საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის,
არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის
ინსტიტუტი

ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია

მეორე გადამუშავებული გამოცემა

„მეცნიერება“ თბილისი
1988

63.3(0)3
ძ.493

წიგნში განხილულია ძველი აღმოსავლეთის თითქმის ყველა ძირითადი ქვეყნის (შუამდინარეთის, ეგვიპტის, მცირე აზიაზიის, ფინიკიის, პალესტინის, ასურეთის, ინდოეთის, ჩინეთის და სხვ.) ისტორია.

ნაშრომი განკუთვნილია დამხმარე სახელმძღვანელოდ ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. იგი გამოადგებათ აგრეთვე მეცნიერ შუშაკებს, მასწავლებლებსა და აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს.

რედაქტორი აკად. გ. მელიქიშვილი

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი მ. ინაძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი ზ. კიკნაძე

ძ $\frac{0503010000}{М\ 607(06)-88}$ 132—88

ISBN 5—520—00162—6

წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს 1971 წ. გამოქვეყნებული „ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის“ მეორე გამოცემას. სახელმძღვანელოს ეს ახალი გამოცემა განტვირთულია ჭარბი მასალისაგან. მასში შეტანილია სათანადო ცვლილებანი, შესწორებანი, დამატებანი, ზოგი რამ (მაგალითად. ეგვიპტისადმი მიძღვნილი ნაწილი) ახლად დაიწერა. წიგნი მომზადდა ძირითადად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ძველი ისტორიის განყოფილების თანამშრომელთა მიერ. სახელმძღვანელოს ცალკეული ნაწილების ავტორები არიან: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები — გ. გ ი ო რ გ ა ძ ე, ნ. ლ ო მ ო ურ ი, ე. მ ე ნ ა ბ დ ე, ნ. ხ ა ზ ა რ ა ძ ე, მ. ხ ი დ ა შ ე ლ ი, დ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატები — გ. მ ა მ უ ლ ი ა, რ. რ ც ხ ი ლ ა ძ ე, ჯ. შ ა რ ა შ ე ნ ი ძ ე, მ. ხ ვ ე დ ე ლ ი ძ ე.

სახელმძღვანელო მოიცავს ძველი აღმოსავლეთის ყველა ძირითადი ქვეყნის ისტორიას. იმედია, წიგნი გარკვეულ სამსახურს გაუწევს ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტობას მსოფლიო ისტორიის ამ ერთ-ერთი უმთავრესი და მრავალმხრივ საინტერესო პერიოდის შესწავლაში. იგი აგრეთვე დაეხმარება მეცნიერ მუშაკებს, მასწავლებლებსა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს.

შესავალი

§ 1. ძველი აღმოსავლეთის ისტორიის საგანი, გეოგრაფიული და ქრონოლოგიური ჩარჩოები

ძველი აღმოსავლეთის ისტორია სწავლობს მსოფლიოში უძველესი კლასობრივი საზოგადოებებისა და სახელმწიფოების ისტორიას. უძველესი სახელმწიფოები სწორედ აღმოსავლეთის ქვეყნებში წარმოიშვა, ამისათვის აქ ხელსაყრელი პირობები არსებობდა. აქ უფრო ადვილი იყო ბუნებასთან ბრძოლა, ვიდრე, მაგალითად, ევროპის ბევრად უფრო მკაცრი ბუნების პირობებში, იმდროინდელი პრიმიტიული ტექნიკის გამოყენებითაც ხალხის ფართო მასების ენერგიული შრომის პირობებში უხვი მოსავალი აქ გარანტირებული იყო და იძლეოდა შედარებით განვითარებული ცხოვრების ფორმათა შექმნის საშუალებას.

ტერმინი „ძველი აღმოსავლეთი“ პირობითია. „აღმოსავლეთი“ ამ რაიონის აღსანიშნავად ანტიკური ხანის ევროპაში (კერძოდ, რომაელთა სახელმწიფოში) შემუშავდა. ამჟამად ჩვენ ამ ტერმინის ქვეშ ვგულისხმობთ მეტად ვრცელ მიწა-წყალს, სადაც წარმოიქმნენ სწორედ ჩვენთვის საინტერესო ეს უძველესი სახელმწიფოები და კლასობრივი საზოგადოებები. ესაა უზარმაზარი ტერიტორია, გადაჭიმული ხმელთაშუა ზღვისა და ეგეოსის ზღვის ნაპირებიდან (დასავლეთით) წყნარი ოკეანის ნაპირებამდე (აღმოსავლეთით). ცოტა ხნის წინ „ძველი აღმოსავლეთის ისტორია“ მხოლოდ მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების უძველეს ისტორიას სწავლობდა, მაგრამ ეს არ იყო სწორი. იმავე პერიოდში, როდესაც მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში ამგვარი განვითარებული ცხოვრება ყვაოდა, ასეთივე დაწინაურებული სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრება იყო შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებშიც — ინდოეთში, ჩინეთში. ამიტომაც ამ უკანასკნელთა ისტორიაც ძველი აღმოსავლეთის ისტორიის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს. ამასთანავე ირკვევა, რომ იმ უძველეს ხანაში უკვე არსებულა გარკვეული ეკონომიკური, კულტურული და სხვ. ურთიერთობა მახლობელი და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის.

ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში განიხილავენ ისეთი ქვეყნების ისტორიას, როგორიცაა: ეგვიპტე, შუამდინარეთი ანუ მესოპოტამია (ორ დიდ მდინარეს — ტიგროსსა და ევფრატს შორის მოქცული ტერიტორია; აქ იყო უძველესი სახელმწიფოები: ბაბილონი და ასურეთი), მცირე აზია (ხეთების სამეფო), მითანი (ჩრდილოეთ შუამდინარეთში), სირია-პალესტინა, ფინიკია, ირანი (ელამის, მიდიისა და ძველი სპარსეთის სახელმწიფოები), ურარტუ, ინდოეთი, ჩინეთი.

„ძველი აღმოსავლეთის ისტორიის" ქრონოლოგიური საზღვრების დასაწყისი სხვადასხვა ქვეყნისათვის სხვადასხვაგვარად განისაზღვრება (პირველი სახელმწიფოები და კლასობრივი საზოგადოებები ხომ ძველი აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დროს წარმოიქმნა!). ყველაზე უძველესი სახელმწიფოები მსოფლიოს ამ რაიონში (კერძოდ, ეგვიპტეში, შუამდინარეთში), ჩანს, ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრულსა და III ათასწლეულის დასაწყისში ჩამოყალიბდა. მაშასადამე, ძველი აღმოსავლეთის ისტორიაც აქედან უნდა დავიწყოთ. რაც შეეხება მის დასასრულს, აქაც მტკიცედ დადგენილი თარიღი არ არსებობს. ზოგი მკვლევარი თვლის, რომ „ძველი აღმოსავლეთის ისტორია" უნდა დავამთავროთ ძვ. წ. V საუკუნეში ბერძენ-სპარსთა ცნობილი ომების ხანით, როდესაც მსოფლიოში ჰეგემონობა აღმოსავლეთის ხალხებიდან გადადის ბერძნების ხელში. ზოგი ასეთ საზღვრად უფრო მიზანშეწონილად თვლის ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებს აღმოსავლეთის ქვეყნებში, როდესაც დაემხო ძველი აღმოსავლეთის რიგი მონარქია — და მათ ნანგრევებზე ჩამოყალიბდა ელინისტური, აღმოსავლური და ბერძნული ელემენტების შერწყმის საფუძველზე წარმოქმნილი სახელმწიფოები (ძვ. წ. IV ს. დასასრული). ზოგი ძველი აღმოსავლეთის ისტორიას კიდევ უფრო უახლოებს ჩვენს დროს.

ძველი აღმოსავლეთის ისტორიის შესწავლა მრავალმხრივაა საინტერესო. იგი, პირველ ყოვლისა, საინტერესოა, როგორც კაცობრიობის ისტორიის უძველესი ეტაპი — უძველესი სახელმწიფოებისა და კლასობრივი საზოგადოებების ისტორია. საინტერესოა ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის შესწავლა აგრეთვე იმ მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის გასაცნობად, რომელიც ამ ხალხებისაგან მიიღო უფრო გვიანდელმა მსოფლიომ. ძველი აღმოსავლეთის ისტორიის შესწავლა გარკვეულ ინტერესს იწვევს ჩვენი ქვეყნის, საქართველოს ისტორიის თვალსაზრისითაც. ცნობილია, რომ ქართველი ხალხი მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს ხალხს წარმოადგენს. იგი ადრე გამოდის ცივილიზებული ცხოვრების გზაზე. ჯერ კიდევ ძველი აღმოსავლეთის ხანაში ქართველთა შორეულ წინაპრებს ურთიერთობა ჰქონიათ რიგი ძველაღმოსავლური სახელმწიფოს მოსახლეობასთან

ხეთებისა და მითანის სამეფოები, ურარტუ, ირანი და სხვ.). ამიტომაც, როგორც ვთქვით, ამ უკანასკნელთა ისტორიის ცოდნა ჩვენთვის ამ მხრივაც საინტერესოა.

§ 2. ძველი აღმოსავლეთის ისტორიის წყაროები. ეგვიპტური იეროგლიფური და ბაბილონური ლურსმული დამწერლობის ამოკითხვა — ძველი აღმოსავლეთის შესახებ მეცნიერების პირველი ნაბიჯები

XIX საუკუნემდე, დაახლოებით ამ საუკუნენახევრის წინ, ძალიან ცოტა რამ იცოდნენ ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის შესახებ. ამ ხალხთა საკუთარ, ადგილობრივ ენებზე ნაწერი ტექსტები ან უცნობი იყო, ანდა ვერავინ კითხულობდა მათ. ძველი აღმოსავლეთის ისტორიის უმთავრეს წყაროს იმ დროს ბიბლია და ბერძენ-რომაელი ავტორების თხზულებები წარმოადგენდა. შემდეგში, მართალია, მდგომარეობა არსებითად შეიცვალა, მაგრამ ამ უკანასკნელებმა მაინც არ დაკარგეს გარკვეული მნიშვნელობა. ამიტომაც, მართებული იქნება, თუ დასაწყისში მათზეც შევჩერდებით და დავახასიათებთ როგორც ძველი აღმოსავლეთის ისტორიის წყაროს.

ბიბლია — ძველი ებრაული ლიტერატურის კრებულია. იგი სხვადასხვა დროს შედგენილ ძეგლებს აერთიანებს. მათგან უძველესად ითვლება „წინასწარმეტყველ ქალ დებორაჰ სიმღერა". მასში აღწერილია პალესტინაში შეჭრილი ებრაელების ერთ-ერთი შეტაკება ამ ადგილების უძველეს მოსახლეობასთან — ქანაანელებთან, რომელიც მოზდა ტანააკთან ძვ. წ. XII საუკუნეში. თვით ძეგლი, რომელშიც ეს ამბავია აღწერილი, როგორც ფიქრობენ, ძვ. წ. XI საუკუნეში უნდა იყოს შექმნილი. ეს თხზულება ებრაული ლიტერატურის პირველ დიდ ძეგლად ითვლება. ყველაზე გვიანდელ თხზულებად კი, რომელიც ბიბლიაშია შესული, ითვლება „წინასწარმეტყველ დანიელის წიგნი", რომელსაც ძვ. წ. II ს. მიაწერენ. ბიბლიაში შეტანილია მრავალი სხვა ძეგლი, რომლებიც სხვადასხვა დროსაა შექმნილი. მათ ჩვენამდე თავდაპირველი სახით არ მოუღწევიათ. თვით ბიბლიის, როგორც კრებულის, შედგენაც ერთდროულად არ მომხდარა. მისი შემადგენელი ნაწილები ნელ-ნელა იხვეჭდნენ წმინდა, კანონიკური წიგნების მნიშვნელობას. კრებულის წარმოქმნას საფუძველი ეყრება ძვ. წ. 445 წ., როდესაც ეზრამ დააკანონა პალესტინაში ბაბილონიდან ჩამოტანილი კანონთა კრებული, რომელსაც „ქურუმთა კოდექსს" ეძახიან. მალე კანონიკური მნიშვნელობა მოიპოვა აგრეთვე „მოსეს ხუთი წიგნის" სახელით ცნობილმა თხზულებამ. შემდეგში ასეთივე „წმინდა" გახდა ებრაული ლიტერატურის სხვა ძეგლებიც.

ბიბლიის ებრაულმა ტექსტმა ჩვენამდე მოაღწია საკმაოდ გვიანდელი ხელნაწერებით, უძველესი ებრაული სრული ხელნაწერი ახ. წ. 916 წ. ეკუთვნის (ე. წ. მასორეტული ბიბლია), თუმცა არის ბიბლიის ცალკეული ნაწილების უფრო ძველი ხელნაწერებიც. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ბიბლიის ძველ ბერძნულ თარგმანს, ე. წ. „სეპტუაგინტას" (ანუ „სამოცდაათისეულს"), რომელიც ძვ. წ. 283—282 წწ. უთარგმნია 72 ეგვიპტელ ებრაელ სწავლულს ეგვიპტის ფარაონის პტოლემაიოს II ფილადელფოსის დავალებით. ამ უკანასკნელმა შემოგვინახა ბევრი უფრო ძველი, უკეთესი წაკითხვა ჩვენამდე მოღწეულ ებრაულ ტექსტებთან შედარებით. ბიბლიის თავდაპირველი ტექსტი ამ უძველეს ბერძნულ თარგმანში უფრო უკეთ არის წარმოდგენილი, ვიდრე ჩვენს ხელთ არსებულ ებრაულ ტექსტში.

ბიბლიით სარგებლობისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს არის რელიგიური და არა ისტორიული თხზულება. ამით განისაზღვრება მისი, როგორც ისტორიული წყაროს, შეზღუდული მნიშვნელობა. ბიბლიაში საინტერესოა, პირველ ყოვლისა, ცნობები ებრაელთა სატომო და სახელმწიფო წარმონაქმნების — ისრაელისა და იუდეას შესახებ, მაგრამ იქვე მოცემულია საყურადღებო მასალა ძველი აღმოსავლეთის ბევრი სხვა ხალხის შესახებ, რომლებთანაც ისრაელს და იუდეას ურთიერთობა ჰქონდათ. ბევრი ცნობაა მასში დაცული, კერძოდ, ბაბილონის, ასურეთის, ეგვიპტის, გვიანდელი (ე. წ. სირიელი) ხეთების შესახებ და სხვ. საისტორიო თვალსაზრისით ბიბლიაში საყურადღებოა ე. წ. „მოსეს ხუთი წიგნი", რომელმაც შემოგვინახა საინტერესო ფოლკლორული მასალა და ძველაღმოსავლური კანონმდებლობის ერთ-ერთი უძველესი ძეგლი — „მოსეს კანონები". საინტერესოა აგრეთვე „ისტორიული წიგნები" — მსაჯულთა წიგნი, მეფეთა წიგნები, ეზრას, ნეემიას წიგნები და სხვ., რომლებიც გადმოგვცემენ ისრაელისა და იუდეას ისტორიას სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში ძვ. წ. XIII საუკუნიდან მათ მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვამდე. დიდად მნიშვნელოვანია აგრეთვე ე. წ. „წინასწარმეტყველთა წიგნები", რომლებშიც საკმაოდ მკაფიოდ აისახა ისრაელსა და იუდეაში არსებული მწვავე საშინაო ვითარება ძვ. წ. VIII საუკუნიდან მათ მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვამდე. მათი მნიშვნელობა მით უფრო დიდია, რომ ისინი მასში მოთხრობილი ამბების თანამედროვეთა ნაქადაგებს შეიცავენ.

ბ ერ ძ ე ნ-რ ო მ ა ე ლ ი ა ვ ტ ო რ ე ბ ი ს ც ნ ო ბ ე ბ ი ს, როგორც საისტორიო წყაროს, მნიშვნელობის შეფასებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ მათი ინფორმირების ნაკლოვანებანი. ბერძნები თავდაპირველად აღმოსავლეთის ქვეყნებს მოედვნენ როგორც ვაჭრები, კოლონისტები ან დაქირავებული ჯარისკაცები, შემდეგ კი —

როგორც დამპყრობლები. ბუნებრივია, მათ კონტაქტი ჰქონდათ უფრო მეტად ამ ქვეყნების მოსახლეობის დაბალ ფენებთან, რომელთაც თვითონაც არ ჰქონდათ საფუძვლიანი წარმოდგენა თავისი ქვეყნის წარსულის შესახებ, და არა — არისტოკრატიულ ფენებთან ან ქურუმებთან, რომლებმაც უფრო იცოდნენ ქვეყნის ისტორია. ამის გამოა, რომ ძველი ბერძნები ხშირად ვერ გვაწვდიან მართებულ ცნობებს და მრავლად მოგვითხრობენ სხვადასხვა ზღაპრებსა და ანეკდოტებს. რა თქმა უნდა, დიდად საყურადღებოა მათი ცნობები გვიანდელ ხანაში ზოგი იმ ძველაღმოსავლური ქვეყნის შესახებ, რომელთანაც მათ ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ (ეგვიპტე, ლიდია, სპარსეთი). სარწმუნო ცნობებს გვაწვდიან ისინი ბაბილონზეც, რომელიც მათ დროსაც განაგრძობდა არსებობას; სამაგიეროდ უაღრესად ზღაპრულია მათი ცნობები მეზობელი ასურეთის შესახებ, რომელმაც აღმოსავლეთში ბერძნების მასიურად გამოჩენამდე კატასტროფით დაამთავრა თავისი არსებობა.

ბერძენი ავტორებიდან, პირველ ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ჰ ე რ ო დ ო ტ ე (ძვ. წ. 484—425). მის თხზულებაში განსაკუთრებით მკაფიოდ იგრძნობა ბერძენთა ინფორმირების ზემოაღნიშნული ნაკლი. ბევრია მასთან ქრონოლოგიური აღრევანი, ზღაპრულ-ლეგენდარული ამბები, ანეკდოტები და სხვ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჰეროდოტეს თხზულებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს — იგი წარმოადგენს საბერძნეთისა და ძველი აღმოსავლეთის ხალხების მთელ ისტორიულ-გეოგრაფიულ და ეთნოგრაფიულ ენციკლოპედიას. აღმოსავლეთის ქვეყნებზე უმთავრესად საუბარია ჰეროდოტეს 9-წიგნიანი „ისტორიის“ პირველ წიგნებში. მისი „პირველი წიგნი“ ეხება, კერძოდ, ლიდიის, მიდიისა და სპარსეთის სამეფოს დამაარსებელ კიროსის ისტორიას. აქვეა ჩართული ცნობები ბაბილონის შესახებ. „მეორე წიგნში“. სპარსეთის მეფის კამბიზის ეგვიპტეზე ლაშქრობის ამბის გადმოცემასთან დაკავშირებით, არის მოთხრობა ეგვიპტის შესახებ. „მესამე წიგნი“ შეიცავს სპარსეთის ამბებს. აქაა, კერძოდ, მეფე დარიოსის დროინდელი სპარსეთის იმპერიის აღწერა. „მეოთხე წიგნში“, დარიოსის სკვითებზე ლაშქრობის აღწერასთან დაკავშირებით, მოიპოვება ჩვენი ქვეყნის ისტორიის თვალსაზრისით მეტად საინტერესო ცნობები სკვითებისა და შავიზღვისპირეთის ხალხების შესახებ. ჰეროდოტეს დანარჩენი V—IX „წიგნები“ ბერძენ-სპარსელთა ომების ამბებისადმია მიძღვნილი.

ქვეყნის აღწერისას ჰეროდოტეს აინტერესებს ყველაფერი: ისტორია, გეოგრაფია, ჩვეულები, რელიგია, ტანსაცმელი, საცხოვრებელი; თქმულებები და სხვ. იგი უხვად გვაწვდის ადგილობრივ, აღმოსავლურ

ისტორიულ-რელიგიურ მოთხრობებს და ფოლკლორულ მასალას. მისი ბევრი ცნობის ჭეშმარიტება დაამტკიცა ახალმა აღმოჩენებმა.

კ ტ ე ზ ი ა ს ს, რომელიც მთელი 17 წლის განმავლობაში (ძვ. წ. 415—398) ექიმად იყო სპარსეთის მეფის კარზე, დაწერილი ჰქონია „სპარსეთის ისტორია“ 22 „წიგნად“. ამ თხზულების მხოლოდ ნაწყვეტებია მოღწეული, საიდანაც ჩანს მისი შედარებით დაბალი ღირებულება. კტეზიასს შეუკრებია აღმოსავლური მოარული მოთხრობები და მათთვის ბერძნული რომანის სახე მიუცია.

„ეგვიპტის ისტორია“ დაუწერია ჰ ე კ ა ტ ე ო ს ა ბ დ ე რ ე ლ ს, რომელიც ძვ. წ. IV ს. ბოლოს ცხოვრობდა ეგვიპტის მეფის პტოლემაიოს I-ის კარზე. ეს თხზულებაც ნაწყვეტების სახითაა ჩვენამდე მოღწეული (მათი დიდი ნაწილი შემოგვინახა დიოდორე სიცილიელმა). ჩანს, რომ მას ბევრი მნიშვნელოვანი ცნობა ჰქონია შეკრებილი. ჰეკატეოს აბდერელისათვის დამახასიათებელია ეგვიპტის იდეალიზაცია — მთელი იმდროინდელი კულტურის წყაროდ იგი ეგვიპტეს თვლიდა.

აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიისათვის საყურადღებოა აგრეთვე დ ი ო დ ო რ ე ს ი ც ი ლ ი ე ლ ი ს — იულიუს კეისრისა და იმპერატორ ავგუსტუსის თანამედროვე მწერლის — „ისტორიული ბიბლიოთეკა“. ამ 40-წიგნიანი თხზულების პირველ 3 წიგნში იგი ეხება აღმოსავლეთს — აგვიწერს ეგვიპტეს, ასურეთ-ბაბილონს, ინდოეთს, არაბებს, სკვითებს, ფინიკიელებს და სხვ. როგორც წესი, მისი თხრობა ორიგინალური არ არის. იგი მექანიკურად იწერს უფრო ძველი ავტორების ცნობებს და ამით მისი თხზულება კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს, რადგან თვით ამ ავტორთა თხზულებები ჩვენამდე არ არის მოღწეული.

ცნობილი გეოგრაფიის, სტრაბონის (ძვ. წ. 60 წ. — ახ. წ. 20 წ.) თხზულების „გეოგრაფიის“ 17 წიგნიდან XI—XVI წიგნები შეიცავენ აზიის, XVII წიგნი კი — აფრიკის აღწერილობას. ამ წიგნებში ბევრი ძვირფასი ცნობა არის ძველაღმოსავლურ პერიოდზეც. სტრაბონის ცნობები აღმოსავლეთის შესახებ ემყარება ნაწილობრივ საკუთარი მოგზაურობების დროს შეკრებილ მასალას, ნაწილობრივ კი — უფრო ადრეული ავტორების ცნობებს (ერასტოსთენე არტემიდორე, მეგასთენი, პოლიბიოსი და სხვ.).

ზოგ საინტერესო ცნობას ძველი აღმოსავლეთის შესახებ ვხვდებით პ ლ უ ტ ა რ ქ ე ს (ახ. წ. I—II სს.) „ბიოგრაფიებშიც“. ამ მხრივ აგრეთვე აღსანიშნავია მისი „ტრაქტატი იზიდასა და იზირისის შესახებ“, რომელიც საკმაო წარმოდგენას გვიქმნის ძველი ეგვიპტელების რელიგიაზე.

ბერძნულ ენაზე შედგენილი თხზულებებიდან ცალკე უნდა გამოვყოთ ის ავტორები, რომლებიც ადგილობრივი წარმოშობისანი იყვნენ, ფლობდნენ აღმოსავლეთის სათანადო ხალხის ენას და სარგებლობდნენ ადგილობრივი, აღმოსავლური წყაროებით.

ეგვიპტის მიმართ ასეთ ავტორს წარმოადგენს მ ა ნ ე თ ო ნ ი — ალექსანდრე მაკედონელისა და პტოლემაიოს I-ის თანამედროვე ეგვიპტელი ქურუმი. მას, ჩანს, ხელი მიუწვდებოდა ეგვიპტის სახელმწიფო არქივზე, და სარგებლობდა იეროგლიფებით ნაწერი მრავალრიცხოვანი წყაროებით. ამიტომაც, ბუნებრივია, მისი „ეგვიპტის ისტორია“ განსაკუთრებული მნიშვნელობის წყაროს უნდა წარმოადგენდეს. სამწუხაროდ, მან ჩვენამდე მოაღწია ფრაგმენტების სახით, რომლებიც შემონახულია იუდეველ, ანტიიუდეურად განწყობილ და ქრისტიან ქრონოგრაფებთან. ეს ნაწყვეტებიც დიდად ფასეულია ძველი ეგვიპტის ისტორიის ქრონოლოგიის აღდგენისათვის. მანეთონიდან მოდის, სხვათა შორის, ეგვიპტის ისტორიის დღესაც ფართოდ გავრცელებული დაყოფა ძველ, შუა და ახალ სამეფოებად, აგრეთვე 31 სხვადასხვა დინასტიად.

ანალოგიური ავტორია ბაბილონეთის მიმართ ბ ე რ ო ს ი — ბაბილონელი ქურუმი, რომელმაც ძვ. წ. 280 წლისათვის ბერძნულად შეადგინა სამტომიანი შრომა „ბაბილონიაკა“. იგიც ეყრდნობა ადგილობრივ, ამჯერად ბაბილონურ ლურსმულ წყაროებს. ისევე როგორც მანეთონის თხზულება, ბეროსის თხზულებაც ჩვენამდე ფრაგმენტების სახითაა მოღწეული.

ძველი ებრაელების მიმართ ამავე რიგისაა იოსებ ფლავიუსის (ახ. წ. I ს.) თხზულება (მასაც მთლიანი სახით ჩვენამდე არ მოულწევია), ხოლო ფინიკიელთა მიმართ — ქალაქ ბიბლოსის მცხოვრებ ფ ი ლ ო ნ ი ს ა (ახ. წ. II ს.).

ცნობილი იყო ადრიდანვე ზოგიერთი ძველი წერილობითი წყარო აგრეთვე შუა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების შესახებ. ასეთებია, მაგალითად, ირანისათვის — ავესტა, ინდოეთისათვის — ე. წ. ვედები, ეპოსის ძეგლები — მახაბხარატა და რამაიანა, მანუს კანონები, სელევკის ელჩის მეგასთენის (ძვ. წ. III ს.) ბერძნულად შედგენილი თხზულება „ინდიკა“ და სხვ., ჩინეთისათვის — სიმაძიანის (ძვ. წ. II—I სს.) „ისტორიული ჩანაწერები“, თხზულებები, რომლებიც ზოგვითხრობენ კონფუცის მოღვაწეობისა და მოძღვრების შესახებ და სხვ.

დღევანდელი ჩვენი ცოდნა ძველი აღმოსავლეთის შესახებ, ძირითადად წყაროთა სულ სხვა, ბევრად უფრო ფართო წრეს ემყარება, რომელთა გამოვლენა და შესწავლა თითქმის მთლიანად XIX—XX სს-ს განეკუთვნება. განსაკუთრებული როლი ძველი აღმოსავლეთის ისტორიის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბებაში შეასრულა ეგ-

ვიპტური იეროგლიფური და ასურულ-ბაბილონური ლურსმული დამწერლობების ამოკითხვამ, ამიტომაც ქვემოთ ჩვენ სწორედ მათზე შევჩერდებით.

ეგვიპტე. ძველ ეგვიპტეში უაღრესად ფართოდ იყო გამოყენებული ადგილობრივი ხატოვანი (იეროგლიფური) დამწერლობა და მის საფუძველზე შემუშავებული დამწერლობის სისტემები. ეგვიპტელები წერდნენ ტაძრების, სასახლეების, პირამიდებისა და აკლდამების კედლებზე, კლდეებზე, ქანდაკებებზე, აგრეთვე პაპირუსებზე („პაპიურ" ეგვიპტურად „მდინარის (ნილოსის) ძღვენს" ნიშნავს. პაპირუსს აკეთებდნენ ეგვიპტური წყლის მცენარის გულიდან, რომელსაც ჭრიდნენ ვიწრო გრძელ ლენტებად. მათ შემდეგ თავისებურ ფურცლებად აქცევდნენ და ქმნიდნენ ხვეულს, ხშირად რამდენიმე ათეული მეტრი სიგრძისას). ადრე (ძველსა და საშუალო სამეფოს ხანაში) წერდნენ ვერტიკალური ბწკარებით, შემდეგ კი — ჰორიზონტალურად მარჯვნიდან მარცხნივ.

იმ ეგვიპტური ენის განვითარებაში, რომლითაც ნაწერია ეს ძეგლები, არჩევენ რამდენიმე პერიოდს: 1) კლასიკური ეგვიპტური — ძველი სამეფოს ენა, 2) საშუალო სამეფოს სახალხო ენა, 3) ახალი სამეფოს ენა (ამ დროს „კლასიკური" ენა უკვე ხალხისათვის გაუგებარია და საგანგებო შესწავლას საჭიროებს), 4) „დემოტური ენა" (ძვ. წ. 800—ახ წ. 200 წწ.) და 5) კოპტური ენა („კოპტი" ეგვიპტის ადგილობრივი სახელწოდების „კუბეტ"-ის არაბიზირებული ფორმაა) — ესაა ქრისტიანი ეგვიპტელების ენა, რომელიც XVIII ს-მდე შემორჩა ცოცხალ მეტყველებაში, ხოლო ამის შემდეგაც — მღვდელმსახურებაში.

წერილობითი ძეგლების უდიდესი ნაწილი შედგენილია ე. წ. იეროგლიფური დამწერლობით. აღნიშნული იეროგლიფებიდან ზოგი ცალკეულ თანხმოვნებს აღნიშნავს, ზოგიც — მარცვლებს. ბევრია აგრეთვე იდეოგრამა — ცნებების აღმნიშვნელი ნიშნები. არის დეტერმინატივებიც, რომლებიც განსაზღვრავენ იმ სახელთა ხასიათს, რომლებთანაც ისმიან. დეტერმინატივები ორი სახისაა: 1) სპეციალური — მაგალითად, ყურის დეტერმინატივი და 2) ზოგადი. მაგალითად, გამოსახულება კაცისა, რომელსაც ხელი პირთან აქვს მიტანილი, შეიძლება დეტერმინატივად დაისვას: ა) ყველა სიტყვასთან, რომლებიც გამოხატავენ პირით წარმოებულ აქტს: ჭამა, სმა, ყვირილი, ლაპარაკი; ბ) აბსტრაქტულ ცნებებთან, რომელნიც შეიძლება მოჰყვეს პირით ჩადენილ აქტს; მოფიქრება, ცოდნა, სამართლიანობა და სხვ. ეგვიპტური იეროგლიფები სურათებს წარმოადგენენ. მათი რიცხვი დაახლოებით 700-ს აღწევს.

იეროგლიფურ დამწერლობას უმთავრესად მონუმენტებზე იყენებდნენ. სხვა შემთხვევაში (მაგალითად, პაპირუსებზე წერისას) ხმა-

რებაში იყო ე. წ. ჰიერატიული შრიფტი, რომელიც იეროგლიფურის გამარტივებულ სახეს, მის ერთგვარ კურსივულ ტრანსფორმაციას წარმოადგენს. შემდეგ XXI—XXV დინასტიათა ხანაში (ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარი) ეს ჰიერატიული შრიფტი კიდევ უფრო გაუბრალოვდა (შემცირდა ნიშნების რიცხვი, დამოკლდა ნიშნები და სხვ.) და ასე შეიქმნა ე. წ. დემოტური („სახალხო") დამწერლობა. შემდეგში ეგვიპტელებმა შეითვისეს ბერძნული ანბანი, მაგრამ რადგანაც იგი ვერ გამოხატავდა ეგვიპტური ენის ყველა ბგერას, დაუმატეს მას 7 დემოტური ნიშანი. ასე შეიქმნა 31-ნიშნიანი ე. წ. კოპტური დამწერლობა.

ეგვიპტური იეროგლიფური ძეგლები ევროპაში ცნობილი იყო ანტიკურ ხანაშიც და შუასაუკუნეებშიც. რომისა და კონსტანტინოპოლის მოედნებს ამკობდა ეგვიპტიდან ჩამოტანილი ქანდაკებები, რომლებზედაც იეროგლიფური წარწერებიც იყო დატანებული. მაგრამ უკვე ჩვენი ერის დასაწყისიდან აღარავინ იყო ისეთი, ვისაც ამ წარწერების წაკითხვა შეეძლებოდა. იეროგლიფების ამოკითხვის პირველი ცდები უნაყოფო იყო და ხშირად ფანტასტიკურ ხასიათს ატარებდა. ასე, მაგალითად, სინოლოგი (ჩინურის მცოდნე) იეზუიტი ათანასე კირხერი XVII საუკუნეში თვლიდა, რომ ყველა ეს ნიშანი რაიმე ფილოსოფიურ გამონათქვამს გადმოსცემს. ერთ ადგილს, სადაც, როგორც შემდეგ გამოირკვა, ფარაონ უახ-იბ-რას სახელი ეწერა, იგი კითხულობდა ასე: „ღვთაებრივი ოზირისის მოწყალება მოპოვებულ უნდა იქნეს წმინდა ცერემონიათა და გენიათა ჯაჭვების მეოხებით, რათა მიღწეულ იქნეს ნილოსის კეთილმოქმედება".

იეროგლიფური დამწერლობის ამოკითხვას საფუძვლად დაედო 1799 წელს ნაპოლეონის ეგვიპტეში ლაშქრობის დროს ფრანგი ჯარისკაცების მიერ სანგრების თხრისას ქ. ალექსანდრიასთან, როზეტის მახლობლად, აღმოჩენილი ქვის დიდი სტელა, რომელზეც სამენოვანი წარწერა იყო დატანილი: იეროგლიფური, დემოტური და ბერძნული. ბერძნული ტექსტიდან ჩანდა, რომ ეს იყო მეფე პტოლემაიოს V-ის (204—181) დროის ძეგლი და წარმოადგენდა ქურუმთა დეკრეტს ეგვიპტის ამ მეფის პატივსაცემად. აქვე იყო ნათქვამი, რომ ერთი და იგივე ტექსტი სამ ენაზე იქნა შედგენილი. აი, სწორედ ამ ე. წ. „როზეტის ქვის" წარწერის საფუძველზე შეძლო იეროგლიფური დამწერლობის ამოკითხვა ახალგაზრდა ფრანგმა მეცნიერმა ფრანსუა შამპოლიონმა. შამპოლიონმა (დაიბადა 1790 წ.) ახალგაზრდობაშივე შეისწავლა მრავალი სხვადასხვა ენა, მათ შორის კოპტურიც. მისთვის, როდესაც დაიწყო მუშაობა „როზეტის ქვაზე", ცნობილი იყო, რომ ეგვიპტელები მეფეების სახელებს წარწერაში გარშემო ხაზს ავლებდნენ. ამასთანავე მან დაასკვნა, რომ ეგვიპტურისათვის ისეთი უცხო (ბერ-

ძნული) სახელი, როგორიცაა „პტოლემაიოს“, აუცილებლად ფონეტიკურად, ე. ი. ბგერათა ნიშნებით უნდა ყოფილიყო გადმოცემული. ამრიგად, მან გააიგივა რკალშემოტყმულ ადგილას მოთავსებული იეროგლიფური ნიშნები „პტოლემაიოს“-სახელის ბგერებთან და დაადგინა, პ, ტ, ლ, მ ბგერების აღმნიშვნელი ნიშნები (აღმოჩნდა, რომ, სემიტური ანბანების მსგავსად, აქაც ხმოვნები არ იწერებოდა). 1815 წელს აღმოჩნდა წარწერა, სადაც „პტოლემაიოს“ სახელის გარდა, იხსენებოდა აგრეთვე „კლეოპატრა“. ამ წარწერამ დაადასტურა „როზეტის ქვაზე“ „პტოლემაიოსის“ სწორად წაკითხვის ფაქტი და დამატებით ახალი ნიშნების დადგენის საშუალება მისცა შამპოლიონს. ასე თანდათან წინ მიიწევდა იეროგლიფური დამწერლობის ამოკითხვის საქმე. 1822 წლის 27 სექტემბერს შამპოლიონმა თავისი მუშაობის შედეგების შესახებ მოხსენება წაიკითხა პარიზში, აკადემიის სხდომაზე. ცხადი შეიქნა, რომ იეროგლიფური დამწერლობა ამოკითხულ იქნა. ამიტომაც ეს თარიღი მიღებულია როგორც ძველი ეგვიპტის შემსწავლელი ახალი მეცნიერების — ეგვიპტოლოგიის — დაბადების თარიღი. შამპოლიონის მიერ დაწყებული საქმე წარმატებით განაგრძეს შემდგომ ლეპიუსმა, ბრუგშმა, დე-რუჟემ, ჰერმანმა, ზეტემ, გარდინერმა და მრავალმა სხვა ეგვიპტოლოგმა. შეკრებილ, ამოკითხულ და გამოცემულ იქნა უამრავი ეგვიპტური წერილობითი ძეგლი, რამაც ძველი აღმოსავლეთის ამ ერთ-ერთი უდიდესი ქვეყნის ისტორია შეუდარებლად უკეთ წარმოაჩინა, ვიდრე მანამდე იყო ცნობილი ბიბლიისა და ბერძენ-რომაელი ავტორების თხზულებათა მიხედვით.

შუამდინარეთი. ასეთივე, თუ უფრო დიდი არა, გარდატეხა მოხდა XIX საუკუნეში ძველი შუამდინარეთის, ე. ი. ბაბილონისა და ასურეთის ისტორიის წყაროების გამოვლენისა და შესწავლის საქმეში. საქმე ისაა, რომ აქ წერდნენ ძირითადად თიხის ფირფიტებზე, ხოლო, როდესაც ძველი ბაბილონისა და ასურეთის ქალაქები დაინგრა და მიწით დაიფარა, არა მარტო ვერავინ კითხულობდა ამ წარწერებს, არამედ მათი არსებობაც კი არავინ იცოდა ევროპაში. მაგრამ ზოგიერთ მეზობელ ქვეყანაში, სადაც ლურსმული დამწერლობა ასურულ-ბაბილონელებისაგან შეითვისეს, მას უმთავრესად კლდეებზე და ქვით აგებული სასახლეების, ტაძრების და სხვ. კედლებზე წარწერებისათვის იყენებდნენ. ასე იყო, მაგალითად, ძველ ურარტუსა და სპარსეთში. აქაური ლურსმული წარწერები მიწის ზემოთ დარჩა. ამიტომაც ევროპელი მოგზაურები და მკლევარები ლურსმულ დამწერლობას პირველად სწორედ ამ ძეგლებით, კერძოდ, ძველი სპარსული ლურსმული წარწერებით გაეცნენ.

პირველი ცნობა ლურსმული დამწერლობის შესახებ ევროპაში მოიტანა იტალიელმა ვაჭარმა და მოგზაურმა პიეტრო დელა ვალემ

1621 წელს. მან გადმოიღო ასლი სპარსეთის მეფის დარიოსის პერსეპოლის სასახლეზე გაკეთებული წარწერიდან. შემდეგში სხვა მოგზაურებმაც გადაიღეს და ევროპაში ჩამოიტანეს ასეთი ასლები. განსაკუთრებით ზუსტი ასლების გადმოღება შეძლო XVIII ს. ბოლოს დანიელმა მოგზაურმა კარსტენ ნიბურმა, რომელმაც, ამასთანავე, გამოთქვა მოსაზრება, რომ ძველ სპარსულ ლურსმულ წარწერებში უნდა გვქონდეს სამენოვანი და სამი სხვადასხვა სისტემით შედგენილი ერთი და იგივე ტექსტები. პირველი (სადაც ნიშნები ძალზე ცოტაა) უნდა იყოს — ალფაბეტური დამწერლობა, მეორე — სილაბური, მესამე კი — იდეოგრაფიულიო.

მეორე დანიელმა მეცნიერმა მიუნტერმა სწორად დაასკვნა, რომ პირველ ადგილზე მოთავსებული წარწერა უნდა იყოს შედგენილი სპარსულ, სპარსეთის მმართველთა მშობლიურ ენაზეო. მან სცადა კიდეც ამ წარწერის ნიშნების ამოხსნა, მაგრამ — უშედეგოდ. გადამწყვეტი ნაბიჯი მათ წაკითხვაში გადადგა გოტინგენის (გერმანიაში) გიმნაზიის აპალგაზრდა მასწავლებელმა გროტეფენდმა 1802 წელს. მან მოიფიქრა, რომ სპარსულ ენაზე გაკეთებული წარწერის დასაწყისში დასახელებული უნდა იყოს წარწერის ავტორი ტიტულატურით და ნიშნების ის ჯგუფი, რომელიც აქ ყველაზე ხშირად მეორდება, სიტყვა „მეფეს“ უნდა აღნიშნავდეს, ხოლო პირველად „მეფის“ დასახელებისას აგრეთვე ამ მეფის სახელი უნდა იყოს მოტანილი. გროტეფენდი ხელმძღვანელობდა უფრო გვიანდელი ხანის სპარსეთის სასანიდი მეფეების ტიტულატურით, რომლიც ცნობილი იყო („X მეფე, მეფე დიდი, მეფე მეფეთა, Y — მეფის შვილი, სასანიდი“) და ასე მოძებნა სპარსულ ლურსმულ წარწერებში ადგილი, სადაც სიტყვა „მეფე“ ეწერა. ამის შემდეგ მან ყურადღება მიაქცია იმას, რომ იმ ადგილას, სადაც მეფის სახელები უნდა ყოფილიყო (ორ სხვადასხვა წარწერაში), ერთგან მეფის მამის სახელის სახით არის ეს პირი დასახელებული, მეორეში იგი, თვით წარწერის ავტორი, მეფეა. საინტერესო ის იყო, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში მისი მამის სახელს უკვე თან აღარ სდევდა „მეფის“ აღმნიშვნელი სიტყვა. აქედან ჩანდა, რომ მას ხელთ აქვს მამა-შვილი მეფეების წარწერები, რომელთაგან მამა-მეფის მამა უკვე მეფე აღარ ყოფილა. ბერძნული ტრადიციიდან ცნობილი იყო, რომ ძველ სპარსეთში, აქემენიდების დინასტიის არსებობის დროს, ორი ასეთი წყვილი არსებობდა: კიროსი და კამბიზი, ერთი მხრივ, და დარიოსი და ქსერქსე, მეორე მხრივ. პირველი წყვილი გროტეფენდის წარწერებისათვის მიუღებელი იყო, რადგანაც ჩანდა, რომ მამა-შვილი მეფეების სახელები სხვადასხვა ნიშნით იწყებოდა, ხოლო ეს ასე არ იქნებოდა, „კიროსი“ და „კამბიზი“ რომ წერებულიყო, რომელთა სახელები ერთი და იმავე ბგერით იწყება. ამიტომაც აშკარა იყო, რომ წარწერებში

მოცემული იყო „დარიოსისა“ და „ქსერქსეს“ სახელები. ამრიგად, გროტეფენდმა სწორად მიაგნო იმ ადგილებს, სადაც ეწერა ეს ორი სახელი, სიტყვა „მეფე“ და სხვ. იგი სარგებლობდა ავესტის — ძველი სპარსელების საღვთო წიგნის — ენის მონაცემებით და ამ გზით ცდილობდა ამ წარწერათა ამოკითხვას. მაგრამ რადგანაც ძველი სპარსული ენა, რომელზეც შედგენილია ეს წარწერები, ზუსტად იდენტური არ არის ავესტის ენისა, მას ზოგი შეცდომა მოუვიდა და მხოლოდ 9 ნიშნის მნიშვნელობის დადგენა შეძლო სწორად. მაგრამ მალე (1836 წ.) ბიურნუფმა, რომელიც გროტეფენდის სისტემით მუშაობდა, ძველი სპარსული ლურსმული დამწერლობის ყველა ნიშანი სწორად განსაზღვრა.

ევროპაში წარმოებული ძიებებისაგან დამოუკიდებლად ამ დამწერლობის წაკითხვა შეძლო აგრეთვე ინგლისელმა ოფიცერმა ჰ ე ნ რ ი რ ა უ ლ ი ნ ს ო ნ მ ა, რომელიც ირანის შაჰის კარზე მსახურობდა. მან გულმოდგინედ გადმოიღო ასლი ბისუტუნის კლდეზე მოთავსებული უზარმაზარი (თითქმის 400-სტრიქონიანი) წარწერისა. მის წაკითხვას შეუდგა და წარმატებით მოახერხა სამივე სისტემის დამწერლობის ამოკითხვა. ამ დროს უკვე შუამდინარეთში, ძველი ასურეთ-ბაბილონეთის ტერიტორიაზე, დაიწყო არქეოლოგიური გათხრები, რომელმაც გამოავლინა უამრავი ლურსმული წარწერა, შედგენილი სწორედ ძველი სპარსეთის აქემენიდი მეფეების წარწერების მესამე სისტემის დამწერლობით. ამით აშკარა გახდა, რომ ეს მესამე სისტემა ასურულ-ბაბილონურ ენაზე შედგენილ ტექსტს გადმოსცემდა. ბერძნული ტრადიციით და ბიბლიით მოღწეული მასალის მიხედვით აშკარა იყო, რომ ასურელები და ბაბილონელები სემიტური ოჯახის ენაზე მეტყველებდნენ, ამიტომაც მკვლევართ საშუალება მიეცათ ასურულ-ბაბილონური ტექსტების წაკითხვისას ფართოდ გამოეყენებინათ მონათესავე სემიტური ენების (არაბულის, ებრაულის და სხვ.) მონაცემები. ამან განსაზღვრა ის, რომ ასურულ-ბაბილონური ლურსმული დამწერლობა სწრაფად იქნა წაკითხული. აქემენიდი მეფეების წარწერების მეორე აბზაცი კიდევ სპარსეთის მეზობელი ელამის ენაზე შედგენილი აღმოჩნდა.

XIX ს. შუახანებში უკვე რამდენიმე მეცნიერი აცხადებდა, რომ იგი ლურსმულ წარწერებს კითხულობს. მაგრამ სამეცნიერო საზოგადოება ეჭვის თვალით უცქერდა ამ განცხადებებს. ამ ეჭვებს ბოლო მოეღო მას შემდეგ, რაც ინგლისის სააზიო საზოგადოებამ 1857 წელს ოთხ სხვადასხვა მეცნიერს, რომლებიც ლურსმულის წაკითხვას იჩემებდნენ (ჰინკსს, ოპერტს, ტალბოტს, რაულინსონს), სამი დღის ვადაში წასაკითხად გადასცა იმ ხანებში აღმოჩენილი ვრცელი ლურსმული ტექსტი (ასურეთის მეფის ტიგლათფილესერ I-ის მატიანე —

მისი ე. წ. „წარწერა პრიზმაზე“). ოთხივემ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ტექსტი დაახლოებით ერთნაირად წაიკითხა. საზოგადოებამ ამით აღიარა, რომ ლურსმული დამწერლობა ჭეშმარიტად ამოკითხული ყოფილა. ეს თარიღი — 1857 წელი — მიჩნეულია როგორც ახალი მეცნიერების — ასირიოლოგიის — დაბადების თარიღი. ასირიოლოგია (ფართო მნიშვნელობით) სწავლობს ყველა იმ ძველაღმოსავლელი ხალხის ენას, კულტურას, ისტორიას, რომელიც ლურსმულ დამწერლობას იყენებდა. ვიწრო მნიშვნელობით ასირიოლოგია საკუთრივ ასურეთსა და ბაბილონს შეისწავლის.

„ლურსმულს“ ამ დამწერლობას იმიტომ ეძახიან, რომ მისი უმარტივესი ელემენტი ლურსმნის მოყვანილობისაა. ასეთი ლურსმნების სხვადასხვა კომბინაცია ქმნის ამა თუ იმ ნიშანს. ამ ნიშნებიდან ზოგი აღნიშნავს ხმოვანს, ზოგი — მარცვალს, ზოგიც იდეოგრამაა — ე. ი. მთელ სიტყვას, მთელ ცნებას აღნიშნავს. არის აგრეთვე დეტერმინატივებიც — ნიშნები, რომლებიც იმ სახელთა ხასიათს განსაზღვრავენ, რომლებთანაც ისინი ისმიან (მაგალითად: ღმერთების სახელების, ქვეყნების სახელების, ქალაქთა სახელების დეტერმინატივები). ნიშნების რაოდენობა ოთხასიოდეა. მაგრამ სიძნელეს ქმნის არა ნიშნების დიდი რაოდენობა, არამედ დამწერლობის პოლიფონიურობა — მრავალმნიშვნელიანობა. ერთი და იგივე ნიშანი, როგორც წესი, იხმარება რამდენიმე სხვადასხვა ცნების აღმნიშვნელად, ზოგჯერ აგრეთვე დეტერმინატივადაც და ა. შ. პასუხს კითხვაზე, თუ როგორ ჩამოყალიბდა ლურსმული დამწერლობის ეს პოლიფონიურობა, გვაძლევს აღნიშნული დამწერლობის ისტორიის გათვალისწინება.

ლურსმული დამწერლობის სათავე სწორხაზოვან, ხატოვან დაწერილობაშია. ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ძეგლებში შემონახულია ლურსმული ნიშნების თავდაპირველი სურათოვანი სახეები. გვ. 18-ზე მოტანილ ტაბულაზე აღნიშნულია, თუ რა ფორმა ჰქონდა ზოგიერთ გავრცელებულ ნიშანს უძველეს ტექსტებში. მაგალითად: ღმერთსა და ცას („ილუ“ და „შამუ“ — ნახ. 1) უძველეს ძეგლებში ჰქონდა ვარსკლავის ფორმა (ნახ. 2); ადამიანის („ამელუ“) აღმნიშვნელი ნიშანი, რომელსაც გვიან აქვს ნახ. 3-ზე მოცემული ფორმა, უძველეს ტექსტებში წარმოდგენილია ნახ. 4-ის სახით; დიდი („რაბუ“) — ნახ. 5 გადმოცემულია ნახ. 6-ის ფორმით; მეფე („შარუ“) — ნახ. 7 გადმოიცემოდა ისე, როგორც ნახ. 8-ზეა გამოსახული; მთა ან ქვეყანა („შადუ“ ან „მათუ“) — ნახ. 9 ადრე გამოისახებოდა ასე (ნახ. 10); ქალაქი („ალუ“) — ნახ. 11 აღინიშნებოდა ნახ. 12-ით; წყალს („მუ“) — ნახ. 13 შეესაბამებოდა ნახ. 14, ნახ. 15-ზე ფიქსირებულ „ხეს“ („იცუ) — ნახ. 16 და სხვ.

თავდაპირველად თითო ამისთანა სურათი რომელიმე ერთ ცნებას გადმოსცემდა, მაგრამ თანდათან ორი ან მეტი ნიშნის შეერთებით შეიძლებელი გახდა ცნებათა ახალი მწკრივის გადმოცემა (მაგალითად: პირი+საჭმელი=ჭამა; ხარი+მთა=გარეული ხარი, ცა+წყალი=წვიმა; თვალი+წყალი=ცრემლი, დღე+30=თვე და სხვ.). ამასთანავე, შესაძლებელი იყო ამა თუ იმ მარტივ ან რთულ ნიშანს (იეროგლიფს, იდეოგრამას) გადმოეცა მონათესავე ცნებებიც. მაგალითად, „ვარსკვლავის" ნიშანი შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო აგრეთვე „ცის" აღსანიშნავად, „მაღალს" შეიძლება გადმოეცა „მაღლა ყოფნის" ცნება, წყლის წვეთს, გარკვეულად გააზრებულს, შეეძლო გადმოეცა შობის, შემქმნელის (მამის), შექმნილის (შვილის) ცნებები. „მზეს" შეეძლო გადმოეცა ცნებები დღის, სინათლის და ა. შ. მაგრამ ასეთი ხატოვანი (იდეოგრაფიული) დამწერლობა, მიუხედავად იდეოგრამების დიდი რიცხვისა (400-მდე), უძლური იყო გადმოეცა სიტყვის ნაწილები (მარცვლები, ბგერები), და, აი, თანდათან იწყება ამ ნიშნების მიერ ფონეტიკურ მნიშვნელობათა განვითარება, კერძოდ, ასეთი ცნებების ნიშნები გამოიყენება იმ მარცვლების ან ხმოვანი ბგერების აღსანიშნავად, რომლებიც შედიოდნენ იმ ცნების აღმნიშვნელ სიტყვაში, რომელსაც განასახიერებდა ესა თუ ის ნიშანი, როგორც იდეოგრამა (ცნების ნიშანი). ამან მოგვცა სწორედ ლურსმული დამწერლობისათვის დამახასიათებელი პოლიფონია (მრავალმნიშვნელიანობა) — ერთი და იგივე ნიშანი აქ მრავალ სხვადასხვა მარცვალს აღნიშნავს. ეს იმ საფუძველზე მოხდა, რომ იმ ეტაპზე, როცა იდეოგრამებმა იწყეს ფონეტიკურ ღირებულებათა განვითარება, ესა თუ ის ნიშანი, როგორც იდეოგრამა, აღნიშნავდა უკვე არა ერთ რომელიმე ცნებას, არამედ რამდენიმეს და, ამიტომაც, შეეძლო ქცეულიყო რამდენიმე სხვადასხვა მარცვლის აღმნიშვნელად.

ლურსმული დამწერლობის ასეთი წარმოშობა თავიდანვე აშკარა იყო მკვლევართათვის. ამიტომაც უკვე ამ დამწერლობის პირველი მკვლევრები (ჰინკსი, ოპერტი, რაულინსონი) მივიდნენ მოსაზრებამდე, რომ ლურსმული დამწერლობა სემიტ ბაბილონელებსა და ასურელებს არ უნდა შეექმნათ, რომ მისი შემქმნელი რომელიღაც უცნობი არასემიტი ხალხი უნდა იყოს. ამ მკვლევრებმა, კერძოდ, შენიშნეს, რომ ამ ნიშნების მარცვლოვანი (თუ ხმოვნის აღმნიშვნელი) ღირებულებანი არ შეესატყვისებიან იმ საგნების სემიტურ სახელწოდებებს, რომელთა აღნიშვნიდან უნდა განევითარებინათ ამ ნიშნებს ფონეტიკური მნიშვნელობანი. მაგალითად, „ვარსკვლავის" ნიშანს — ღმერთის და ცის იდეოგრამას, განუვითარებია არა „შამ" ან „ილ" მარცვლების აღნიშვნა (შდრ. სემიტური ასურულ-ბაბილონური „შამუ" — ცა და „ილუ" — ღმერთი), არამედ იგი აღნიშნავს „ან" მარცვალს. ხელის ნახა-

ტისაგან მომდინარე ნიშანი აღნიშნავს არა „კათ“-ს (ასურ.-ბაბილ. „კა-თუ“ — ხელი), არამედ „შუ“-ს. ნიშანი „წყალი“ ასევე არა „მუ“-ს, არამედ „ა“-ს. შუამდინარეთში აღმოჩენილ წარწერებში იკითხება ორენოვანი ტექსტები, სადაც ერთი (არასემიტური) ენა „შუმერის“, ხოლო მეორე (სემიტური) „აქადის“ ენად იწოდებოდა. ამიტომ დაასკვნეს, რომ ლურსმული დამწერლობა სწორედ შუამდინარეთის უძველეს



მცხოვრებლებს — შუმერებს — უნდა შეექმნათ, ხოლო სემიტმა აქადელებმა (ბაბილონის ჩრდილოეთი ნაწილის მცხოვრებლებმა) იგი შუმერებისაგან შეითვისეს. ერთ-ერთი გამოჩენილი ასირიოლოგი ჟოზეფ ჰალევი ენერგიულად ებრძოდა ამ „შუმერულ თეორიას“, ამტკიცებდა, რომ „შუმერული“ თითქოს იყო მხოლოდ იდეოგრაფიული, მხო-

ლოდ თვალისთვის განკუთვნილი დამწერლობა, რომ იგი ცოცხალი ენა არასდროს ყოფილა და ა. შ. მაგრამ სულ მალე, XIX ს. 70-იან წლებში გათხრების შედეგად მოპოვებულ იქნა უამრავი წმინდა შუმერული ტექსტი და გაირკვა, რომ შუმერები რეალურად არსებული ხალხია და რომ უცილობლად ძველ აღმოსავლეთში ასე ფართოდ გავრცელებული ლურსმული დამწერლობა სწორედ მათი შექმნილია.

ფართოდ გაშლილმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ძველი ასურეთისა და ბაბილონის ტერიტორიაზე გამოავლინა ათეულ ათასობით მნიშვნელოვანი წერილობითი ძეგლი: საისტორიო ძეგლები, სამეფო მატიანეები, საქმიანი ურთიერთობის დოკუმენტები (სავაჭრო და საგახშო ურთიერთობის მაფიქსირებელი საბუთები, მიმოწერა), სამართლის ძეგლები, რელიგიურ-საკულტო და ლიტერატურული ტექსტები, ასტრონომიულ-მათემატიკური შინაარსის ძეგლები, ლექსიკონები და მრავალი სხვა. აღმოჩენილი მასალის გამოვლენამ, წაკითხვამ და გამოქვეყნებამ თვალუწვდენელი ჰორიზონტი გაშალა ჩვენს წინ ასურეთ-ბაბილონეთის ისტორიისა და კულტურის შესასწავლად.

ლურსმულით ნაწერი ტექსტები მალე სხვა ქვეყნებშიც აღმოჩნდა. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1906 წელს დაწყებულ გათხრებს მცირე აზიაში (თურქეთში) ხეთების სამეფოს ძველი დედაქალაქის ხათუსასის ადგილას (თანამ. ბოღაზ-ქოი), რომელსაც გერმანელი მეცნიერი ჰუგო ვინკლერი ხელმძღვანელობდა. აქაც ათეულ ათასობით აღმოჩნდა სხვადასხვა ენაზე ნაწერი ლურსმული ტექსტი. გაჩნდა აგრეთვე ძველი სპარსული, ელამური და ურარტული ლურსმული წარწერების აღმოჩენა და ა. შ.

* * *

ზემოთ ჩვენ ორი დიდი ძველაღმოსავლური ქვეყნის (ეგვიპტისა და შუამდინარეთის, ანუ ასურეთ-ბაბილონის) მაგალითზე დავინახეთ, თუ რა მცირეოდენი მასალა არსებობდა მათი ისტორიის შესასწავლად XIX საუკუნემდე და როგორ გამრავლდა ის XX საუკუნეში, როგორ წავიდა წინ იმავე დროს ამ ახლადგამოვლენილი მასალების შესწავლა, რამაც განაპირობა ორი მეცნიერების — ეგვიპტოლოგიისა და ასირიოლოგიის — წარმოქმნა-ჩამოყალიბება. პირველი ამათგანი სწავლობს ძველ ეგვიპტეს — მის ენას, დამწერლობას, ისტორიას, კულტურას, მეორე კი — ვიწრო მნიშვნელობით ასურეთსა და ბაბილონს (მათ ენას, კულტურას, ისტორიას), ხოლო ფართო მნიშვნელობით — ყველა იმ ხალხის ენას, კულტურას, ისტორიას, რომლებიც ლურსმულ დამწერლობას იყენებდნენ. ასეთი ფართო მნიშვნელობით ასირიოლოგია შეისწავლის აგრეთვე ხეთურ სამყაროს, ხური-მითანურ სამყაროს,

ელამს, ურარტუს, ძველ ირანს და სხვ. რა თქმა უნდა, თითოეული ამათგანის შესახებაც, ისევე როგორც სხვა ძველაღმოსავლური ქვეყნების შესახებ, ცალკე შეიძლებოდა გვესაუბრა (მათი ისტორიის წყაროების აღმოჩენისა და შესწავლის შესახებ), მაგრამ აქ ჩვენ ამისგან თავს შევიკავებთ, რადგანც ქვემოთ, ცალკეული ქვეყნების ისტორიის გადმოცემისას, არის ამაზე საუბარი. აქ ჩვენ გვინდოდა მხოლოდ ძველი აღმოსავლეთის შესახებ მეცნიერების პირველი ნაბიჯები აგვეწერა, რომელსაც ბევრი სხვა მოჰყვა, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა ძველი აღმოსავლეთის ხალხების ისტორიის მეცნიერული სურათის აღდგენა.

§ 3. ძველაღმოსავლური საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის საკითხი საბჭოთა მეცნიერებაში

საკითხი ძველაღმოსავლურ საზოგადოებათა სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის (ბუნების) შესახებ საბჭოთა მეცნიერებში სადავო, სადისკუსიოა. ჩვენში ეს საკითხი პირველად მწვავედ დაისვა 20-იანი წლების დასასრულსა და 30-იანი წლების დასაწყისში მიმდინარე დისკუსიაზე. მკვლევართა ერთი ნაწილი მაშინ იცავდა ძველაღმოსავლურ საზოგადოებათა ფეოდალურ ხასიათს, სხვები კი თვლიდნენ, რომ იქ ჩვენ „წარმოების აზიურ წესთან" უნდა გვქონდეს საქმე, რომელსაც ასახელებს კ. მარქსი, როგორც ანტიკურობის (ე. ი. ბერძნულ-რომაული მონათმფლობელობის) წინა საფეხურს მსოფლიოს საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების პროცესში.

თავისი ნაშრომის — „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის" — წინასიტყვაობაში კ. მარქსი „ეკონომიკური საზოგადოებრივი ფორმაციის პროგრესული ეპოქების" სახით ჩამოთვლის აზიურ, ანტიკურ, ფეოდალურ და ბურჟუაზიულ წარმოების წესებს. „აზიურ წარმოების წესის" ცნებას ჩვენ კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის კიდევ არაერთ სხვა ნაშრომში ვხვდებით. მარქსიზმის ფუძემდებლები „აზიური წარმოების წესში" გულისხმობენ ვითარებას, როდესაც მიწაზე კერძო საკუთრება არ არსებობს ან უაღრესად სუსტად არის გამოხატული; არსებობენ სამიწათმოქმედო თემები და მათი გამაერთიანებელი — დესპოტური სახელმწიფო; მეფე-დესპოტი ახორციელებს უზენაესი მესაკუთრის უფლებას სახელმწიფოს მთელ მიწის ფონდზე და დიდ ბიუროკრატიულ სახელმწიფო აპარატთან ერთად ახდენს (გადასახადების შეწერის, საზოგადოებრივ სამუშაოებზე გამოყვანის და სხვ. საშუალებით) რიგითი მეთემეების ფართო მასების სასტიკ ექსპლუატაციას. ასეთი სიტუაცია უმთავრესად იქმნება აღმოსავლეთის დიდ საირიგაციო საზოგადოებებში, სადაც მეფე და სახელმწიფო გვევლინებიან

მეურნეობის წარმოებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ფართო საირიგაციო სისტემის შექმნის ორგანიზატორებად.

დასახელებული დისკუსიის მონაწილეთა ერთი ნაწილი თვლიდა, რომ ძველი და შუასაუკუნეების აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელია სწორედ ცალკე საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია — „წარმოების აზიური წესი“.

დისკუსიაში გარდატეხა შეიტანა აკად. ვ. სტრუვეს გამოსვლამ, რომელმაც წამოაყენა ძველაღმოსავლურ საზოგადოებათა მონათმფლობელურობის თვალსაზრისი. იგი ეყრდნობოდა ძველ ბაბილონში, ურის III დინასტიის ხანაში (ძვ. წ. XXII—XXI სს.) არსებულ დიდ სამეფო მეურნეობებში მომუშავე პერსონალის მდგომარეობას. სამეურნეო დოკუმენტების საფუძველზე ვ. სტრუვე ამტკიცებდა, რომ ეს პერსონალი მეფის მეურნეობაში მთელი წლის განმავლობაში მუშაობდა. მაშასადამე, იგი მოკლებული იყო საკუთარ საწარმოო საშუალებებს და მონას წარმოადგენდა. ამის შემდეგ, მალე თეზისი ძველ აღმოსავლეთში „ფეოდალიზმის“ ან „წარმოების აზიური წესის“ არსებობის შესახებ უკუგდებულ იქნა და გაბატონდა თვალსაზრისი, რომ ძველაღმოსავლური საზოგადოებები მონათმფლობელურ საზოგადოებებს წარმოადგენდნენ. მკვლევართა ყურადღების ცენტრში მოექცა მასალა, რომელიც ამ ქვეყანაში მონების არსებობაზე და მონური შრომის გამოყენებაზე მიუთითებდა. საგანგებო ყურადღების საგანი გახდა ცნობები ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში ომების შედეგად დიდძალ ტყვეთა ხელთგდებისა და სამართლის ძეგლებში (ბაბილონის მეფის ხამურაბის კოდექსი, ხეთური კანონები და სხვ.) მონისა და თავისუფლის მკვეთრი უფლებრივი გამიჯვნის შესახებ. ამრიგად, შემუშავდა თვალსაზრისი, რომ ძველ აღმოსავლეთში არსებობდა მონათმფლობელური ფორმაცია, თუმცა უკვე იმ დროს გამოითქვა აზრი იმის შესახებ, რომ ძველ აღმოსავლეთში მონათმფლობელობას არ მიუღწევია განვითარების ისეთი დონისათვის, როგორსაც მან მიაღწია ანტიკური ხანის საბერძნეთსა და რომში, რომ ამაში დიდი როლი შეასრულა თემური მიწათმფლობელობის ინსტიტუტის სიმტკიცემ აღმოსავლეთის ქვეყნებში და ა. შ. აღმოსავლური მონათმფლობელობის ამ სპეციფიკაში ასახელებდნენ, ჩვეულებრივ, მოვლენათა მთელ იმ კომპლექსს, რომელიც კ. მარქსსა და ფრ. ენგელსს მოტანილი აქვთ „წარმოების აზიური წესის“ დასახასიათებლად.

ომის შემდგომი ხანის საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ძველაღმოსავლურ საზოგადოებას, როგორც წესი, უწოდებენ „თემურ-მონათმფლობელურს“ ანუ „ადრე მონათმფლობელურს“ და ცდილობენ მკვეთრად განასხვაონ იგი ანტიკური მონათმფლობელობისაგან, ხაზი გაუსვან მის სპეციფიკას (მონათმფლობელობა შედარებით სუსტად არის

განვითარებული. მატერიალური დოვლათის მწარმოებელთა ძირითად ბირთვს მეთემენი წარმოადგენენ და სხვ.). „ძველაღმოსავლური ხალხებიცა და ძველი ბერძნები და რომაელებიც, — წერს პროფ. ვ. ი. ავდიევი. — ცხოვრობდნენ მონათმფლობელური საზოგადოების პირობებში. მაგრამ ძველ აღმოსავლეთში მონათმფლობელობა შედარებით არაგანვითარებადი ბუნებისა იყო და შეფერხდა თავისი განვითარების პირველ სტადიაზე: ეს იყო პრიმიტიული, მნიშვნელოვანწილად, საშინაო მონობა, მაშინ, როდესაც ანტიკურ ბერძნულ-რომაულ სამყაროში მონობამ განვითარების უმაღლეს სტადიას მიაღწია. მონების რაოდენობა ძველ აღმოსავლეთში შედარებით მცირე იყო; მონების გვერდით ბევრი იყო სასოფლო თემების თავისუფალი წევრები. მონობა ძველ აღმოსავლეთში ჯერ კიდევ არ მოიცავდა მთელ წარმოებას ერთიანად, როგორც ეს ჩვენ შეიძლება შევნიშნოთ საბერძნეთისა და რომის ანტიკურ საზოგადოებებში. ანტიკური მონათმფლობელობა არის პრიმიტიული აღმოსავლური მონათმფლობელობის განვითარების შემდგომი სტადია". „ძველაღმოსავლურ საზოგადოებას" პროფ. ვ. ი. ავდიევი „ადრემონათმფლობელურ საზოგადოებას" უწოდებს.

ძველი აღმოსავლეთის წინაფეოდალური ხანის სახელმწიფოების მონათმფლობელურობა. თუ ადრემონათმფლობელურობა საყოველთაოდ გაბატონებული თვალსაზრისი გახდა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. მიუხედავად ამისა, დროდადრო ჩვენს ისტორიოგრაფიაში თავს იჩენდა ამისგან განსხვავებული თვალსაზრისიც.

პროფ. ს. იუშკოვმა, მაგალითად, წამოაყენა წინაფეოდალური, „ბარბაროსული" სახელმწიფოს არსებობის იდეა. ასეთის ნიმუშად ს. იუშკოვს დასახელებული აქვს, კერძოდ, კიევის სახელმწიფო XI ს-მდე, მონღოლთა სახელმწიფოები ჩინგის-ხანის მიერ მათ გაერთიანებამდე, ანგლო-საქსთა სამეფოები IX ს-მდე, მაგრამ, უეჭველია, ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებსაც ამ ცნების ქვეშ აქცევს. ასეთ სახელმწიფოებში პროფ. ს. იუშკოვი ხედავს სამი სხვადასხვა წყობის („уклад") თანაარსებობას და ბრძოლას: პირველყოფილ-თემურის, მონათმფლობელურისა და ფეოდალურის, თუმცა წამყვანს ფეოდალური წყობილება წარმოადგენს.

პროფ. ი. მ. ლურიე, რომელიც 30-იან წლებში მკვეთრად ილაშქრებდა ძველაღმოსავლური საზოგადოების მონათმფლობელურად მიჩნევის წინააღმდეგ და მას ფეოდალურად თვლიდა, შემდეგში აგრეთვე საყოველთაოდ აღიარებულ („მონათმფლობელურობის") პოზიციაზე გადავიდა, მაგრამ ილაშქრებდა „ადრემონათმფლობელურად (ძვ. აღმოსავლეთი) და „განვითარებულ მონათმფლობელობად" (ანტიკური საბერძნეთი და რომი) დაყოფის წინააღმდეგ. იგი წინადადებას იძლეოდა მათში გვენახა არა ერთმანეთის შემცველი ორი ეტა-

პი, არამედ მონათმფლობელური საზოგადოების ორი ტიპი, რომლებიც ერთდროულად თანაარსებობდნენ.

ძველაღმოსავლური და ანტიკური საზოგადოების მონათმფლობელური ფორმაციის სხვადასხვა, დაბალ და მაღალ, განვითარებულ საფეხურებად მიჩნევის წინააღმდეგ გაილაშქრა აგრეთვე აკად. ა. ი. ტიუმენევმა. იგი უსაყვედურებდა მკვლევართ ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში ადგილობრივი მოსახლეობის — უშუალო მწარმოებელთა მასის — ექსპლუატაციის უგულებელყოფას, ილაშქრებდა, ამასთანავე, იმათ წინააღმდეგ, ვინც ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებს განიხილავდა, როგორც ადრემონათმფლობელურს, რომელთაც არ მიუღწევიათ ანტიკური მონათმფლობელური საზოგადოების საფეხურისათვის, რომელიც მათ თითქოს უნდა გაევლოთ, ვიდრე მათში ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობა წარმოიქმნებოდა. მისი აზრით, „აღმოსავლური და ანტიკური მონათმფლობელური საზოგადოების საზოგადოებრივი წყობილებისა და ისტორიული ბედ-ილბლის განსხვავება სულაც არ დაიყვანება სტადიალურ განსხვავებაზე. ეს იყო, უპირველეს ყოვლისა, განსხვავება თვით განვითარების გზებისა". აკად. ა. ი. ტიუმენევს მოაქვს დიდძალი მასალა, ძირითადად ეგვიპტისა დ მესოპოტამიის, პარალელურად საბერძნეთის ისტორიიდანაც, ამ დებულების დასამტკიცებლად. იგი აღნიშნავს, რომ „ანტიკური ქვეყნებისაგან განსხვავებით, ძველ აღმოსავლეთში (უპირველეს ყოვლისა, მდინარეთა კულტურის ქვეყნებში) მონური ექსპლუატაციის ობიექტს წარმოადგენდა, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის ძირითადი მწარმოებელი მოსახლეობა". მართალია, აკად. ა. ი. ტიუმენევის სიტყვით, „ასეთი, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „საყოველთაო მონობა" აღმოსავლეთში არ გამორიცხავდა, რა თქმა უნდა, სამხედრო ტყვეთა შრომის გამოყენებას", მაგრამ ეს უკანასკნელნი, რამდენადაც გაბატონებული კლასის ხელში იყო მთელი ქვეყნის სამუშაო ძალა, წარმოადგენდნენ მხოლოდ დამატებით, სასხვათაშორისო, მეორეხარისხოვანი მნიშვნელობის სამუშაო ძალას. არც სავალო კაბალას ჰქონდა იქ დიდი მნიშვნელობა. აკად. ვ. სტრუვე, მისი აზრით, ამაოდ აწერს მას დიდ როლს ხალხის მასების დაკაბალების საქმეში. აკად. ა. ი ტიუმენევი მიდის იმ დასკვნამდე, რომ „ძველაღმოსავლური და ანტიკური მონათმფლობელური საზოგადოებების ისტორიაში ჩვენ საქმე გვაქვს მონათმფლობელობის განვითარების არა ორ, ერთიმეორის მომდევნო სტადიასთან (როგორც ივარაუდება საბჭოთა მეცნიერებაში გაბატონებული კონცეფციით), არამედ მონათმფლობელურ საზოგადოებათა ერთიმეორისაგან განსხვავებულ ორ ტიპთან"

ამასთანავე, საინტერესოა, რომ ძველაღმოსავლური (კერძოდ, ძველი ეგვიპტის, ბაბილონის) საზოგადოების მონათმფლობელურობას

ა. ი. ტიუმენევი ხედავს ძირითადად ხალხის ფართო მასების, ადგილობრივი წარმოშობის უშუალო მწარმოებელთა მძიმე, „მონურ“ ექსპლუატაციაში.

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ამ საკითხის გარშემო დისკუსია განახლდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც საზღვარგარეთის მარქსისტულ პრესასა და სხვა ლიტერატურაში ფართოდ დაიწყო პირველ კლასობრივ სოციალურ-ეკონომიკურ ფორმაციასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა. კვლავ გამოითქვა აზრი, რომ კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის ნაშრომებში დასახელებული „წარმოების აზიური წესი“ არ უნდა გულისხმობდეს არც მონათმფლობელობას და არც ფეოდალიზმს და რომ ამ ცნების უკუგდება არაა მართებული. ამასთან დაკავშირებით განიხილებოდა ისეთი საკითხები, როგორიცაა: კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის შეხედულებები „წარმოების აზიურ წესზე“ და „წარმოების აზიური წესის“ ადგილი საზოგადოებრივი განვითარების მარქსისტულ კონცეფციაში; „აზიური წესის“ უნივერსალობის საკითხი; ამ საფეხურზე მდგომი („წარმოების აზიური წესის“ მქონე) საზოგადოებების ტიპები და სხვ.

1964 წლიდან განახლდა ამ საკითხებზე დისკუსია საბჭოთა კავშირშიც. აკად. ე. ვარგას წიგნში „Очерки по проблемам политэкономики капитализма“ (Москва, 1964) მთელი თავი აქვს დათმობილი საკითხს წარმოების აზიური წესის შესახებ. ავტორი გაუმართლებლად თვლის 30-იანი წლების დისკუსიის შედეგად ამ ცნების უკუგდებას საბჭოთა ისტორიკოსების მიერ, თუმცა საბოლოო ჯამში ამ საკითხის გადაწყვეტას ისევ მათ უთმობს.

1965 წელს ჟურნალმა „Народы Азии и Африки“ (№ 1. გვ. 100—109) გამოაქვეყნა ფრანგი მეცნიერების ჯ. სიურე-კანალისა და მ. გოდელიეს თეზისები, რომლებიც მათ წარუდიგნეს ანთროპოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მეცნიერებათა VII კონგრესს (მოსკოვი, 1964 წ. აგვისტო), აგრეთვე მათ საპასუხოდ დაწერილ აკად. ვ. ვ. სტრუვეს თეზისები. ამით დაიწყო ფაქტიურად ახალი დისკუსია „წარმოების აზიური წესის“ შესახებ.

60-იანი წლების დისკუსიისათვის დამახასიათებელია „წარმოების აზიურ წესთან“ და აღმოსავლეთის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ წყობილებასთან დაკავშირებული საკითხის განხილვა უფრო ფართო საკითხების ფონზე — საერთოდ, უძველესი კლასობრივი საზოგადოებების ბუნებისა და საერთოდ, საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებათა პრობლემებთან მჭიდრო კავშირში. ამ დისკუსიის დროსაც სხვადასხვა აზრი გამოითქვა „წარმოების აზიური წესის“ შესახებ. ერთნი მას მიიჩნევენ უნივერსალურ საფეხურად საზოგადოების განვითარებაში და აიგივებენ საერთოდ ადრეკლასობრივ საზოგადო-

ებასთან (ჟ. სიურე-კანალი, მ. გოდელიე), მეორენი — აღმოსავლეთი-სათვის დამახასიათებელი განვითარების სპეციფიკურ გზად აღიარებენ (ლ. სედოვი), სხვები კი თვლიან უბრალოდ უკლასოდან კლასობრივ საზოგადოებაზე გარდამავალ სიტუაციად. ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში, შესაბამისად, ზოგი კვლავ აღნიშნულ „აზიური საზოგადოების წესს“ ხედავს, ზოგი ცდილობს ხაზი გაუსვას იქაური საზოგადოების ღრმა სპეციფიკას, მრავალწყობიანობას, ზოგიერთი მკვლევარი კი კვლავინდებურად ძველაღმოსავლური საზოგადოების მონათმფლობელურობის თვალსაზრისს იცავს (ი. დიაკონოვი, მ. კოროსტოვცევი და სხვ.).

* * *

აშკარაა, რომ ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ წყობილებას არ შეიძლება ეწოდოს მონათმფლობელური. კვლევა-ძიებამ გვიჩვენა, რომ აქ მონური შრომის გამოყენების არე მეტად შეზღუდული იყო. სოფლის მეურნეობაში, მაგალითად, უცილობლად ბატონობდა ყველგან თავისუფალი მოსახლეობის შრომა. მონების შრომა უფრო მეტად გამოიყენებოდა ხელოსნობაში, მშენებლობაზე (თუმცა მშენებლობაზე, ირიგაციაში და სხვ. ფართოდ იყო გამოყენებული თავისუფალთა შრომაც), შინასამუშაოებზე, ჯარშიც. უნდა ითქვას, რომ ასეთი მასშტაბის მონობის არსებობა სახეზეა შუასაუკუნეების აღმოსავლეთშიც. ახალმა დრომაც, კარგადაა ცნობილი, მოგვცა გარკვეულ სიტუაციებში მონური შრომის საკმაოდ ფართოდ გამოყენების მაგალითები (ამერიკული მონობა და ა. შ.).

მეორე მხრივ, სულ უფრო და უფრო ვლინდება ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში ფართოდ გავრცელებული სხვა ტიპის ექსპლუატაციის ფორმები. ზოგიერთი საბჭოთა მკვლევარი ჯერ კიდევ „ადრემონათმფლობელურობის“ თვალსაზრისის სრული ბატონობის პირობებში თვლიდა, რომ ძველ აღმოსავლეთში გაბატონებული კლასის არსებობა დამყარებული იყო მეთემეთა ფეოდალური ექსპლუატაციის პრიმიტიულ ფორმაზე (ხარკი, სახელმწიფო გადასახადი), ისევე როგორც შინაური მონების ექსპლუატაციაზე.

მაშინაც კი, როდესაც დიდი დამპყრობლური ექსპედიციების შედეგად ქვეყნად მოედინებოდა ტყვეების დიდი რაოდენობა, ეს არ იწვევდა წარმოებაში მონების სახით მათ ფართო გამოყენებას. მსხვილ სამიწათმოქმედო მეურნეობებში მონათა ექსპლუატაცია იმდენად რთული და არარენტაბელური იყო, რომ მონების მფლობელნი არჩევდნენ გადასულიყვნენ წვრილ მეურნეობათა სისტემაზე, რაც მონების ყმებად გადაქცევისაკენ გადადგმული ნაბიჯი იყო. დიდად გავრცელდა ტყვეების მიწაზე დასმა და მათი გადაქცევა დამოუკიდებელი მეურნე-

ობის მწარმოებელ სახელმწიფო მონებად. ისინი დამოუკიდებლად ამუშავებდნენ მიწას და ბატონს მოსავლის ნაწილს უხდიდნენ.

ტყვეებს ფართოდ იყენებდნენ ჯარში, მათგან ქმნიდნენ სამხედრო სამოსახლოებს და სხვ. მონების მიწაზე დასმა და მათი ექსპლუატაციის ფეოდალური ტიპის ექსპლუატაციასთან დაახლოება დამოწმებულია აღმოსავლეთის ბევრ სხვადასხვა ქვეყანაში.

რამდენადაც საზოგადოების მონათმფლობელურობის სხვა კრიტერიუმი, გარდა მონური შრომის ხვედრითი წონისა წარმოების პროცესში, არ შეიძლება არსებობდეს, შეუძლებელია ითქვას, რომ ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში ჩვენ მონათმფლობელური სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის ბატონობასთან გვაქვს საქმე. ტყვე-მონების შრომას ისეთ პირობებში, როდესაც გაბატონებული წრის ხელში იყო მთელი ქვეყნის სამუშაო ძალა, შეიძლებოდა ჰქონოდა და ჰქონდა კიდეც მხოლოდ მეორეხარისხოვანი, დამხმარე სამუშაო ძალის მნიშვნელობა. არაა სწორი, აგრეთვე, როდესაც სავალო კაბალას მიაწერენ დიდ როლს ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში. დავალიანების გამო მონად გადაქცევა საკმაოდ იშვიათი მოვლენა იყო. ამ გზით მონად გადაქცევა თანამემამულეთა მედგარ წინააღმდეგობას ხვდებოდა. ამას გარდა, სავალო კაბალის გზით თანამემამულეთა მასიური დამონება მკვეთრად ასუსტებდა თვით სახელმწიფოს უნარს გარეშე მტრებთან ბრძოლაში. ამიტომ სახელმწიფო ხშირად იძულებული იყო სპეციალური საკანონმდებლო აქტებით შეეზღუდა იგი (იხ. ხამურაბის კანონები, იუდეას მეფის იოსიას კანონები და სხვ.). ძნელია დავეთანხმოთ აკად. ა. ტიუმენევს, რომელიც ხაზს უსვამს რა ყველაფერ ამას, ძველაღმოსავლურ, კერძოდ, ძველეგვიპტურ და ბაბილონურ საზოგადოებას მაინც მონათმფლობელურად მიიჩნევს, თვლის რა, რომ გაბატონებული წრეების მონური ექსპლუატაციის ობიექტს აქ წარმოადგენდა ძირითადად თანამემამულეთა ფართო მასა, ადგილობრივი მოსახლეობა. კ. მარქსის „საყოველთაო მონობა", რასაც იგი უწოდებს აღმოსავლურ ვითარებას, უეჭველია, ფიგურალური თქმაა და ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების მთელი მოსახლეობის მონებად განხილვა ყოვლად შეუძლებელია. თავისუფალ ადამიანსა და მონას შორის განსხვავება მეტისმეტად მკვეთრი იყო ძველი სავყაროსათვის. მაშინ მონა საზოგადოების, ადამიანთა უფლებრივი ერთობის, საერთოდ კანონს გარეშე მდგომი არსება იყო, რომლის მოკვლა, გაყიდვა, დასჯა-დასახიჩრება ბატონს თავისუფლად შეეძლო. მართალია, ძველ აღმოსავლეთში ხშირად დიდებულებიც ირეზგებოდნენ მეფის ბრძანებით (ერთი ეგვიპტელი დიდებული თავისი აკლდამის წარწერაში სიამაყით აცხადებს, რომ იგი არასდროს გაურეზგავთ), მართალია, დიდი ფასი აქ ხშირად არც თავისუფალის სიცოცხლეს ჰქონდა და ეკონომიკურადაც

ზოგი თავისუფალი ბევრ მონაზე უარეს მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩენილიყო, მაგამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ვერ დავინახოთ განსხვავება ძველაღმოსავლური სამყაროს მონებსა და თავისუფალთ შორის. უეჭველია, რიგითი მეთემენი ძველ აღმოსავლეთში არ წარმოადგენენ ხალხს, რომელთა მოკვლა, გაყიდვა, ცემა-დასახიჩრება დაუსჯელად ყოფილიყო შესაძლებელი გაბატონებული ფენის წარმომადგენელთა მიერ. ისინი როდი წარმოადგენენ ვისსამე საკუთრებას. განა ძველი აღმოსავლეთის ფართო მასებზე შეიძლება თქმა, რომ ისინი მონათმფლობელთა „სრულ საკუთრებას“ წარმოადგენდნენ? ან რომ ისინი მთლიანად იყენენ ჩამოცილებული წარმოების საშუალებებს, რომლებიც მონათმფლობელთა საკუთრებას შეადგენდა? მონათმფლობელური ურთიერთობა კი ძირითადად ხომ სწორედ ამ ორ მომენტს გულისხმობს! გაბატონებული წრეების მიერ თანამემამულეთა ფართო მასების ექსპლუატაცია, მიუხედავად დროდადრო მისი დიდი სისასტიკისა, არ შეიძლება მონათმფლობელურ ექსპლუატაციად იქნეს განხილული. პირიქით, ბევრ შემთხვევაში მონათა ექსპლუატაცია უახლოვდებოდა ფეოდალური ტიპის ექსპლუატაციას. მონები იწყებენ დამოუკიდებელი მეურნეობის წარმოებას და გარკვეულ გადასახადებს უხდიან ბატონს ან სახელმწიფოს; მონებს ოჯახები აქვთ, მათ ერთგვარად კანონიც იცავს და ა. შ.

თანამემამულეთა, რიგით თავისუფალთა წრის ფართო ექსპლუატაცია სახელმწიფოსა და სამხედრო-ბიუროკრატიული აპარატის მიერ თავისი ბუნებით უფრო ახლო დგას ადრეფეოდალურ თუ წინაფეოდალურ (პროტოფეოდალურ) ვითარებასთან, ვიდრე მონათმფლობელობასთან. ზოგიერთი მკვლევარი თვით დასავლეთ ევროპაშიც ფეოდალიზმის საწყისს ხედავს თავისუფალ მეთემეთა გადაქცევაში სახელმწიფო ფისკალური ექსპლუატაციის ობიექტად და შემდეგ მათ მოქცევაში სამიწათმფლობელო და პირადი დამოკიდებულების სხვადასხვა ფორმებში. ფეოდალური წყობილების არსიც ხომ ისეთ სიტუაციაში მდგომარეობს, როდესაც გაბატონებული კლასი ითვისებს იძულების გზით ზედმეტ პროდუქტს უშუალო მწარმოებელთა შრომიდან გადასახადის, ანუ რენტის სახით და, ამასთანავე, თავის საკუთრებად იხდის მიწას და თვით მწარმოებელთა პიროვნებას. ზედმეტი პროდუქტი, რომელიც მიითვისება თავისუფალი მეთემის (გლეხის) შრომიდან გადასახადებისა თუ სხვა სახელმწიფოებრივი ვალდებულებების სახით, არსებითად არ განსხვავდება დამოკიდებული ხალხის რენტისაგან, რომელთაც დაუკარგავთ მიწა და პირადი თავისუფლება. ეს პროცესი, რომელიც შეინიშნება დასავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის მაგალითზეც, კიდევ უფრო აშკარად ჩანს აზიისა და აფრიკის ქვეყნებში ფეოდალურ ურთიერობათა ჩამოყალიბების დროს. აღმოსავლეთში ხომ ბევრგან,

განსაკუთრებით ადრე შუასაუკუნეების ხანაში, გაბატონებული იყო მიწასა და წყალზე სახელმწიფოებრივი საკუთრება და სახელმწიფო ახდენდა სახელმწიფო მიწებზე ნადელების მქონე გლეხების ექსპლუატაციას უშუალოდ სახელმწიფო აპარატის მეშვეობით.

მონური შრომის ექსპლუატაციისა და ადგილობრივი მოსახლეობის ფეოდალური თუ „წინაფეოდალური" ტიპის ექსპლუატაციის გვერდით აღმოსავლეთის (და, საერთოდ, მსოფლიოს) უძველესი კლასობრივი საზოგადოებებისათვის დამახასიათებელია აგრეთვე პირველყოფილ-თემური წყობილების ძლიერი გადმონაშთების არსებობა როგორც მიწათმფლობელობის, ისე პოლიტიკური ორგანიზაციისა და სხვ. სფეროებში. ძირითადი ამ მხრივ არის ხალხის ფართო მასების მიერ პირადი თავისუფლების შენარჩუნება და თემური მიწათმფლობელობა.

ძველაღმოსავლურმა სამყარომ იცის ექსპლუატაციის მესამე სახეც — დაქირავებული შრომა. მთელ რიგ ძველაღმოსავლურ ქვეყნებში გარკვეულ ეპოქებში დაქირავებული შრომის ხვედრითი წონა საკმაოდ დიდი უნდა ყოფილიყო.

ასეთია განუვითარებელი კლასობრივი საზოგადოებების ხასიათი, ბუნება. ისინი, როგორც ვხედავთ, ხასიათდებიან ექსპლუატაციის ფორმების დიდი ნაირსახეობით, ექსპლუატაციის სხვადასხვა ფორმების თანაარსებობით საზოგადოების ძირითადი მასის მიერ პირადი თავისუფლებისა და შედარებითი ეკონომიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნების პირობებში.

* * *

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ძველაღმოსავლური საზოგადოებები განასახიერებენ კლასობრივი საზოგადოების განვითარების უძველეს ეტაპს — ადრეკლასობრივ ეტაპს.

განვითარების ადრეკლასობრივ საფეხურზე ერთი ადამიანის ბატონობა მეორეზე, როგორც წესი, ხორციელდება საზოგადოების მეთაურის, მისი სამეურნეო, სამხედრო თუ საკულტო-რელიგიური საქმიანობის ხელმძღვანელის (ორგანიზატორის) ფუნქციათა მონოპოლიზაციის გზით. იმდროინდელ საზოგადოებაში გათიშვა გაბატონებულად და დამორჩილებულად ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის მიყვანილი. ხალხის ძირითადი მასა ინარჩუნებს პირად თავისუფლებასა და ეკონომიკურ (სამეურნეო) დამოუკიდებლობას. გაბატონებული წრის მდგომარეობაც არ არის იმდენად მტკიცე, რომ მან თავისადმი ეკონომიკურ დამოკიდებულებაში მოაქციოს თანამემამულეთა ფართო მასა. მისი პრივილეგიები გარეგნულად ჯერ კიდევ ძირითადად ემყარება

პირველყოფილი საზოგადოების წიაღიდან მომდინარე ხელმძღვანელის, მოთავის, ორგანიზატორის ფუნქციას. ასეთი სიტუაცია შედეგია აღმოსავლეთის ადრეკლასობრივ საზოგადოებებში შექმნილი სპეციფიკური სიტუაციისა, როდესაც ბუნებასთან ან მეზობელ საზოგადოებებთან ბრძოლის მძიმე ამოცანა მოითხოვს საზოგადოების მთელი ძალების მაქსიმალურ მობილიზაციას, მათი საქმიანობის გარკვეული მიმართულებით გეგმაზომიერ წარმართვას — ესაა ფართო საირიგაციო (მორწყვის) სისტემების შექმნა და სამეურნეო საქმიანობის სხვა დარგების ხელმძღვანელობა; ძალთა მობილიზაცია თავდაცვის ან თავდასხმის ორგანიზაციისათვის, საომრად, რაც ძველად ხშირად მატერიალური დოვლათის მოპოვების მნიშვნელოვან წყაროსაც წარმოადგენდა. ყველაფერ ამას მოსდევდა სახელმწიფო წყობილების უაღრესი ცენტრალიზაცია, მეფის დესპოტური ხელისუფლების განვითარება, ფართოდ განშტოებული სამოხელეო (ბიუროკრატიული) აპარატის შექმნა, თემური წყობილების გადმონაშთების კონსერვაცია (შემონახვა) და სხვ. სასაქონლო წარმოების სუსტი განვითარება დამატებითი ფაქტორი ხდებოდა ეკონომიკური ურთიერთობის საფუძველზე დიფერენციაციის პროცესების შესაკავებლად და აბრკოლებდა კერძო საკუთრების ინსტიტუტის სრულად განვითარებას.

აღმოსავლეთის ადრეკლასობრივ სახელმწიფოებში ექსპლუატაციის წამყვან ფორმას, როგორც წესი, წარმოადგენდა რიგით თავისუფალთა ფართო ფენების ექსპლუატაცია სამეფო ხელისუფლებისა და სამოხელეო-ბიუროკრატიული აპარატის მიერ. ეს ექსპლუატაცია ხორციელდებოდა მძიმე გადასახადების, სახელმწიფო შრომითი ბეგარის (არხების თხრა, მშენებლობა და სხვ.), აგრეთვე სალაშქროდ გამოყვანის გზით.

სწორედ ამგვარ ვითარებას აღმოსავლეთის ქვეყნებში უწოდებდა კ. მარქსი „წარმოების აზიურ წესს". მართალია, უძველეს აღმოსავლურ კლასობრივ საზოგადოებებშიც ყოველთვის და ყველგან როდი იყო ექსპლუატაციის „აზიური" ფორმა ერთადერთი და ყოვლისმომცველი. მის გვერდით ვხვდებით მონათმფლობელური და ზოგჯერ ბატონყმური (ფეოდალური) ექსპლუატაციის ფორმების გავრცელებასაც, ხოლო გარკვეული სახით — დაქირავებული შრომის ექსპლუატაციასაც. მაგრამ ამ უძველეს სახელმწიფოებში, საერთო ჯამში, წამყვანი მაინც „აზიური", ანუ წინაფეოდალური („პროტოფეოდალური") ექსპლუატაციის ფორმები რჩებოდა.

განვითარების საერთო ტენდენცია ამ საზოგადოებებში ფეოდალური საზოგადოების ჩამოყალიბებისაკენ მიიმართებოდა. ის, რაც ჩვენ ამ საზოგადოებათა დამახასიათებელ ნიშნებად ჩავთვალეთ, გულისხმობს სწორედ წინაფეოდალურ სიტუაციას, სიტუაციას, რომელიც ნი-

ადაგს ამზადებს ფეოდალიზაციის პროცესისათვის. მაგრამ ეს სიტუაცია მაინც შორსაა საკუთრივ ფეოდალური წყობილებისაგან. ამ უკანასკნელის ჩამოყალიბება იწყება, როდესაც „აზიური“ გაბატონებული წრე ახერხებს თავისადმი მემკვიდრულ პირად და ეკონომიკურ დამოკიდებულებაში, ე. ი. ბატონყმურ დამოკიდებულებაში ჩააბას უშუალო მწარმოებელთა მასა, წაართვას მას საკუთრება საწარმოო საშუალებებზე და პირადი თავისუფლება. ცალკეული ძველაღმოსავლური „წინაფეოდალური“ სახელმწიფოები დიდად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. განსხვავება დიდი იყო აგრეთვე ცალკეული ქვეყნების შიგნითაც სხვადასხვა დროს. ამიტომ ყოველი ძველაღმოსავლური საზოგადოების ბუნება ამა თუ იმ ეპოქაში ცალ-ცალკე უნდა შევისწავლოთ. „წარმოების აზიური წესისათვის“ დამახასიათებელი ვითარება სავსებით გაბატონებული იყო მხოლოდ ზოგიერთ ქვეყანაში და ისიც — ზოგიერთ ეპოქაში. სხვა შემთხვევაში საზოგადოებები ხასიათდებოდნენ ექსპლუატაციის „აზიური“, ფეოდალური და მონათმფლობელური ფორმების გადახლართვითა და თანაარსებობით. ძველაღმოსავლურ საზოგადოებათა უდიდესი ნაწილი წინაფეოდალურ სახელმწიფოებად შეიძლება იქნეს განხილული.

§ 4. ძველაღმოსავლური ქრონოლოგია

ჯერ კიდევ XIX ს-ში, როდესაც მეცნიერებმა ამოიკითხეს ეგვიპტური იეროგლიფური ტექსტები და ლურსმული წარწერები, ყურადღება მიაქციეს ძველაღმოსავლურ წყაროებში დადასტურებულ ისტორიულ მოვლენათა დათარიღების საკითხს. მაგრამ სპეციალისტები დასაწყისშივე სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდნენ, რადგანაც გაირკვა, რომ ძველაღმოსავლურ ხანაში მცხოვრებ ხალხებს, რომლებმაც შექმნეს პირველი კლასობრივი საზოგადოებანი, არ გააჩნდათ დროის გაზომვის ერთიანი ქრონოლოგიური სისტემა. მათ არ ჰქონდათ გაბმული წელთაღრიცხვა, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა ერთ დიდ, განსაკუთრებული მნიშვნელობის ისტორიულ მოვლენაზე. ერთი რამ კი მაშინვე ცხადი გახდა, სახელდობრ ის, რომ ძველაღმოსავლურ წყაროებში აღწერილი ყველა ისტორიული მოვლენა მოხდა „ქრისტეს დაბადებამდე“, ე. ი. ყველა მათგანი დასათარიღებელი იყო დროის იმ ვრცელი მონაკვეთით, რომელიც ცნობილია „ძველი წელთაღრიცხვის“ სახელწოდებით (შემოკლებით: ძვ. წ.).

მართალია, ძველაღმოსავლურ საზოგადოებაში არ არსებობდა ზუსტად დადგენილი ერთიანი ქრონოლოგიური სისტემა, მაგრამ დროის განსაზღვრის ესა თუ ის წესი რომელიმე პირობითად აღებული მო-

ძენტიდან ცალკეული წლების გადაანგარიშების საშუალებით, ანუ მოკლე წელთაღრიცხვა უძველესი დროიდანვე არსებობდა.

იქვე გაჩნდა პირველი კალენდარიც — დროის გაზომვის სისტემა, წლებისა თუ დღეების გადაანგარიშების გზით.

საზოგადოების განვითარების ადრეულ საფეხურზე ადამიანი კონტროლს უწევდა დროს, ე. ი. მან დაიწყო დროის გაზომვა, გამოანგარიშება და წარსული ვითარების აღდგენა. ეს გამოწვეული იყო ყოველდღიური პრაქტიკული საჭიროებით. არსებობდა პერიოდი, როცა აღრიცხვა ხდებოდა დღისა და ღამის ცვლის მიხედვით, ხოლო შემდგომ — მთვარის ფაზებით: ახალ ან სავსე მთვარეზე დაკვირვებით. მიწათმოქმედების განვითარებამ გამოიწვია დროის გაზომვის საჭიროება წელიწადის სეზონების მიხედვით, როცა დროის განმსაზღვრელი გახდა გაზაფხულის ან შემოდგომის ბუნიაობა (ე. ი. როცა დღე და ღამე თანაბრდება მარტსა და სექტემბერში), ანდა ზაფხულის ან ზამთრის მზებუდობა (ე. ი. როცა დღე კლებულობს ან მატებას იწყებს).

ციურ მნათობებზე დაკვირვებას აწარმოებდნენ ქურუმები, რომლებმაც დაადგინეს წელიწადის სხვადასხვა დროისა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ვადების კავშირი ცის სფეროს წარმოსახვითი სარტყლის, ანუ ზ ო დ ი ა ქ ო ს სხვადასხვა თანავარსკვლავედის ამოსვლასთან (ზოდიაქო შედგება 12 თანავარსკლავედისაგან, რომლებზეც გადის მზის წლიური მოძრაობის გზა).

დროთა მსვლელობაში ყურადღება მიექცა წელიწადის არა მარტო სეზონების თუ თვეების, არამედ ცალკეული დღეების აღრიცხვასაც. ყოველივე ეს ნიშნავდა, რომ წარმოიშვა კალენდარი. წელიწადის ხანგრძლივობის დადგენის ცდები კი სულ წარუმატებლად მთავრდებოდა, რადგან, როგორც ახლა ვიცით, წელიწადი არ შედგება დღეღამეთა ზუსტად განსაზღვრული რიცხვისაგან (ტროპიკული წლის ხანგრძლივობა შეადგენს 365 დღე-ღამეს, 5 საათს, 48 წუთსა და 46 წამს). ამ გარემოებამ ხელი შეუშალა ასტრონომიულად ზუსტი კალენდარული სისტემის შექმნას, რამაც გამოიწვია სხვადასხვა კალენდარული სისტემის — მთვარის, მზისა და შერეული ანუ მთვარისა და მზის კალენდრის წარმოშობა.

ძველ ეგვიპტელებს, მაგალითად, ჰქონდათ მზის კალენდარი, რომელიც დაახლ. ძვ. წ. IV ათასწლეულში წარმოიშვა. წელიწადი შედგებოდა სამი სეზონისაგან. თითოეულ სეზონში 4 თვე იყო, ხოლო ყოველ თვეში — 30 დღე. წლის ბოლოს დაუმატებდნენ ხოლმე კიდევ 5 დღეს. ასე დადგინდა წელიწადის ხანგრძლივობა 365 დღის მოცულობით. ტროპიკული წელიწადისაგან იგი ყოველწლიურად ჩამორჩებოდა დღე-ღამის 1/4-ით, ანუ 6 საათით, ყოველ 4 წელიწადში — 1 დღე-ღამით, 120 წლის განმავლობაში — 1 თვით, ხოლო 1460 წლის მან-

ძილზე — 1 წლით. ეს იმას ნიშნავდა, რომ მხოლოდ 1460 (ანუ 1461 ეგვიპტური) წლის შემდეგ სამოქალაქო კალენდარი დაემთხვეოდა ტროპიკულ წელიწადს.

ეგვიპტური კალენდარული წელი პირველი თოტით იწყებოდა (შეესაბამება იულიუსის კალენდრის 19 ივლისს). ახალი წელი ემთხვეოდა ზაფხულის მზებუდობას, როცა იწყებოდა მდ. ნილოსის ადიდება. ამავე დღეს, მზის ამოსვლამდე ჰორიზონტზე უნდა გამოჩენილიყო მზესთან ერთ-ერთი ყველაზე ახლოს მყოფი, ყველაზე კაშკაშა „უძრავი" ვარსკვლავი სირიუსი, რომელსაც ეგვიპტელები ს ო თ ი ს ს უწოდებდნენ და თაყვანს სცემდნენ როგორც ქალღმერთ ისიდას განსახიერებას. დროთა ვითარებაში ეგვიპტელმა ქურუმებმა შენიშნეს, რომ სირიუსი (სოთისი) წელიწადში მხოლოდ ერთხელ გამოჩნდებოდა. აქედან გამომდინარე, ეგვიპტური წლის ხანგრძლივობა სირიუსის წლიურ ციკლს შეესაბამებოდა.

დაკვირვებამ ქურუმებს აჩვენა ისიც, რომ სირიუსი წელიწადის ერთსა და იმავე დროს არ „ამოდიოდა". ყოველ წელს იგი დღეღამის 1/4-ით იგვიანებდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ოთხი წლის მანძილზე სირიუსი მხოლოდ ერთსა და იმავე დღეს, ვთქვათ, 19 ივლისს გამოჩნდებოდა, ოღონდ სხვადასხვა დროს: თუ ამ ოთხწლიანი ციკლის პირველი წლის 19 ივლისს იგი დილის 6 საათზე, მზის ამოსვლამდე გამოჩნდებოდა, მომდევნო წელს სირიუსი იმავე დღის 12 ს-ზე „ამოვიდოდა", მესამე წელს — საღამოს 6 ს-ზე, ხოლო მეოთხე წელს — ღამის 12 ს-ზე. შემდგომი ოთხი წლის მანძილზე კი სირიუსი „ამოვიდოდა" არა 19, არამედ 20 ივლისს (ციკლის პირველ წელს — დილის 6 საათზე, მომდევნო წელს — დღის 12 ს-ზე და ა. შ.). მომდევნო ახალი ოთხწლიანი ციკლის დაწყებისას სირიუსი უკვე 21 ივლისს გამოჩნდებოდა და ა. შ. ამგვარად, კალენდარული წლის ყოველი დღის გავლას სირიუსი მოანდომებდა 1460 წელს (365×4), რომლის შემდეგ იგი კვლავ 19 ივლისს დილით, მზის ამოსვლამდე გამოჩნდებოდა ჰორიზონტზე. სოთისის ამოსვლა მხოლოდ ახლა დაემთხვეოდა ახალი წლის დღეს — 1 თოტს. მთელს ამ 1460-წლიან ციკლს მიეცა „სოთისის პერიოდის" სახელწოდება.

ეგვიპტელებმა ძველთაგანვე შენიშნეს, რომ სოთისი იყო ცდომილი ვარსკვლავი, რომელიც წელიწადის სულ სხვადასხვა დროს „ამ დიოდა". მის გამოჩენას ეგვიპტელები ყოველთვის დიდი ზეიმით აღ ნიშნავდნენ, თუმცა ახალ წელს — 1 თოტს — იგი ძალიან იშვიათად ემთხვეოდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, 1460 წლის მანძილზე 19 ივლისს იგი მხოლოდ ოთხჯერ ამოდიოდა, აქედან მზის ამოსვლამდე მხოლოდ ერთხელ. ახალი წლის დღეს კი, რომელსაც გარკვეულ პერიოდებში

ემოხვეოდა ნილოსის ადიდების დაწყება, ეგვიპტელები ყოველთვის პირველ თოტს იხდიდნენ.

ძველ შუამდინარეთში მოქმედებდა შერეული, ანუ მთვარისა და მზის კალენდარი, რომელიც უნდა გაჩენილიყო ძვ. წ. III ათასწლეულში. შუმერის ყოველ ქალაქ-სახელმწიფოს თავისი კალენდარი ჰქონდა. II ათასწლეულის დასაწყისიდან მთელ ბაბილონში ოფიციალურად გამოცხადდა ქ. ურის კალენდარი. ბაბილონური კალენდრის მიხედვითაც წელიწადი შედგებოდა 12 თვისაგან (რომლებსაც ერქვათ: ნისანუ, აიარუ, სიმანუ, დუუზუ, აბუ, ელულუ, თეშრითუ, არახ სამნა, ქისლიმუ, ტებეთუ, შაბატუ, ადარუ). როცა პირველი თვე დასცილდებოდა გაზაფხულის ბუნიანობას, წელიწადს დაუმატებდნენ მე-13 თვეს. ბაბილონური კალენდარი მოგვიანო ხანებში გავრცელდა ასურეთშიც.

შერეული კალენდარი ჰქონდათ აგრეთვე ძველ ინდოელებსა და ჩინელებს, იუდეაში კი ხმარობდნენ მთვარის კალენდარს.

ლურსმული წარწერების მონაცემთა შესწავლამ დაადასტურა, რომ ძველაღმოსავლურ ხანაში ისტორიულ მოვლენათა დათარიღება სულ სხვადასხვაგვარად ხდებოდა. ადრეულ ხანებში დათარიღება სრულიად მარტივი იყო, მომდევნო ხანებში იგი თანდათან გართულდა, თუმცა უფრო დაზუსტდა.

მთელ ძველაღმოსავლურ ხანაში დათარიღების ამოსავალი წერტილი — პატარა ერა — მუდმივად იცვლებოდა თითოეულ ქვეყანაში. ამასთანავე, ძალიან იშვიათი იყო ზუსტი დათარიღება, როცა აღნიშნული იქნებოდა წელი, თვე და დღე.

ზოგჯერ წელიწადს აძლევდნენ გარკვეულ სახელწოდებას, მხედველობაში იღებდნენ რა რომელიმე მნიშვნელოვან მოვლენას, რომელიც იმ წელს მოხდებოდა. დათარიღების საყრდენებად იყენებდნენ რომელიმე ქალაქის დაპყრობის წელს, ომის გამარჯვებით დამთავრებას, ტაძრის შენობის საძირკვლის ჩაყრას, ანდა რომელიმე საჰხედრო მოხელის ან სარდლის დანიშვნას. დათარიღების ასეთი ხერხი, რასაკვირველია, პრაქტიკული არ იყო.

ეგვიპტის „ძველ სამეფოში" წლებს აღნუსხავდნენ იმ ამბების მიხედვითაც, რომლებიც სისტემატურად ხდებოდა სახელმწიფოში. ეს იყო მიწისა და საქონლის აღწერა გადასახადების შეწერის მიზნით, რაც ძავდაპირველად ორ წელიწადში ერთხელ ხდებოდა, მომდევნო ხანებში კი — ყოველ წელიწადს.

ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში ფართოდ იყო გავრცელებული ისტორიული ამბების დათარიღება მეფეთა მართვა-გამგებლობის წლების მიხედვით. მეფის ტახტზე ასვლა დიდი ზეიმით აღინიშნებოდა მთელ ქვეყანაში და იგი წელთაღრიცხვის დაწყების მაუწყებელი იყო.

მაგრამ რომელიმე მეფის სახელით წარმოებული წელთაღრიცხვა მაშინვე შეწყდებოდა, როცა მეფე გარდაიცვლებოდა. ახალი მბრძანებელი კი წელთაღრიცხვას თავიდან იწყებდა. მთელი მისი მეფობის მანძილზე იგი, ასე ვთქვათ, საკუთარი წელთაღრიცხვით სარგებლობდა და წარწერებშიც ხშირად აღნიშნავდა: „ჩემი მეფობის ამა და ამ წელს ესა და ეს მოვიმოქმედეო“.

ზოგიერთ ძველაღმოსავლურ ქვეყანაში (კერძოდ ასურეთში) წლებს აღნიშნავდნენ სპეციალური მოხელე-ეპონიმების მიხედვით, რომლებსაც ერთი წლის გამგებლობის უფლებითა და ვადით ირჩევდნენ. ასეთ მოხელეებს ლ ი მ უ ეწოდებოდათ (წელთაღრიცხვის ასეთივე წესი არსებობდა აგრეთვე ძველ ათენსა და რომში. ათენში ასეთ მოხელეს არქონტი, რომში კონსული ერქვა. ისინიც ყოველწლიურად იცვლებოდნენ).

წელთაღრიცხვისას ზოგჯერ იყენებდნენ ბუნების ამა თუ იმ მოვლენას, როგორიცაა, მაგალითად, ეგვიპტეში ნილოსის, ხოლო შუამდინარეთში ტიგროსისა და ევფრატის ადიდება. ციურ მნათობთა წლიურ ციკლებზე დაკვირვებამ შესაძლებელი გახადა წელთაღრიცხვისას გამოეყენებინათ ზოგიერთი ასტრონომიული მოვლენაც, მაგალითად, მზის ან მთვარის დაბნელება და ა. შ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ძველაღმოსავლურ ხანაში ბევრ ხალხებს არ გააჩნდათ ზუსტი ქრონოლოგიური სისტემა. ამიტომაც იყო, რომ ძველი აღმოსავლეთის დარგში მომუშავე სპეციალისტებს ძალზე გაუძნელდათ ათასობით წლის წინ მომხდარი მოვლენების ზუსტად დათარიღება. მათ მიეშველნენ მათემატიკოსები, ასტრონომები და მეცნიერების სხვა დარგის წარმომადგენლები, რომელთა გაერთიანებულმა შრომამ გარკვეული ნაყოფიც გამოიღო.

სპეციალისტებმა მიმართეს თვით ძველაღმოსავლურ წერილობით წყაროებს, სადაც უნდა ეპოვათ დათარიღებისათვის საჭირო ამოსავალი, საყრდენი წერტილები: მეცნიერებმა ასეთ „საყრდენებს“ მართლაც მიაგნეს და მთელი რიგი დამაკავშირებელი პატარა რგოლის დახმარებით საბოლოოდ შექმნეს სანდო ქრონოლოგიური სქემა, სადაც დამაჯერებლადაა დადგენილი ისტორიულ მოვლენათა თანამიმდევრობა, ხოლო თვით ისტორიული მოვლენები ზოგჯერ ზუსტად, ზოგჯერ კი მიახლოებითაა დათარიღებული. ზოგიერთი მოვლენის თარიღზე მეცნიერები დღესაც კამათობენ.

უპირველეს ყოვლისა, მეცნიერებმა მიმართეს ე. წ. „მეფეთა სიებს“, საიდანაც შესაძლებელი გახდა ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების მეფეთა თანამიმდევრობის დადგენა და მათი მმართველობის წელთა ზოგჯერ ზუსტად, ზოგჯერ კი მიახლოებით გამოანგარიშება.

ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეგვიპტელი ქურუმის ალექსანდრე მაკედონელისა და პტოლემაიოს I-ის თანამედროვის — მანეთონის — მიერ შედგენილ (დაახლ. ძვ. წ. 280 წ.) ისტორიულ ნაშრომს, რომელშიც მოცემული ყოფილა ეგვიპტის წარსულის ქრონოლოგიური მიმოხილვა, დაწყებული პირველი დინასტიის დამაარსებლის — მანესის — მეფობიდან ძვ. წ. 343 წლამდე, მაგრამ მანეთონის ნაშრომისაგან ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ცალკეულმა ნაწყვეტებმა, რომლებიც ანტიკურ მწერლებთან შემოინახა და დღესაც ფასდაუდებლად ითვლება. ეგვიპტის ფარაონები მანეთონს დაუჯგუფებია 31 დინასტიად, რომლებიც მას მთავარ ნაწილებად დაუყვია (I—XI, XII—XIX და XX—XXXI დინასტიებად). ძველი ეგვიპტის ისტორიის მანეთონისეული პერიოდიზაცია მცირეოდენი ცვლილებებით მიიღეს თანამედროვე სპეციალისტებმაც, რომლებიც ეგვიპტის ისტორიას ყოფენ ასევე სამ ნაწილად — „ძველ", „შუა" და „ახალ" სამეფოებად.

„მეფეთა სიები" შეუდგენიათ შუამდინარეთის უძველეს ქვეყნებში — ბაბილონეთსა და ასურეთში. რამდენიმე ასეთ სიაში დასახელებულია შუმერის უძველესი მმართველები და მოცემულია მათი მეფობის ხანგრძლივობაც. ზოგიერთ სიაში ჩამოთვლილია შუმერის ის მეფეებიც, რომლებიც ე. წ. „წარღვნამდე" ცხოვრობდნენ. თითოეულ ასეთ მეფეს მიაწერდნენ მმართველობის ფანტასტიკურ წლებს. ასე, მაგალითად, ალულიმს ქ. ურიდუში უმეფია 28800 წელი, ალალგარს — 36000, ენმენდურანნა ქ. სიფარში მეფედ ყოფილა 21000 წელი და ა. შ. ამ „სიების" მიხედვით, შუმერის „წარღვნამდელ" 8 მმართველს 5 სხვადასხვა ქალაქში უმეფია 241 200 წელი!

შუმერის მეფეთა სიებშიც მმართველები დაჯგუფებულია დინასტიებად. ბაბილონის სხვადასხვა ქალაქ-სახელმწიფოს მმართველები დინასტიებად არიან დაყოფილი „წარღვნის" მომდევნო პერიოდშიც. ამ ხანის ადრეულ მმართველებს მიაწერდნენ მეფობის წლების დაუჯერებელ რაოდენობას, რაც კარგად ჩანს შემდეგი მაგალითებიდან. ქ. ქიშის პირველი დინასტიის 23 მმართველს უმეფია 24510 წელი, მეორე დინასტიის 8 მბრძანებელს — 3195, ქ. ურუქის პირველი დინასტიის 12 მეფე ტახტზე ყოფილა 2310 წელი და ა. შ. მხოლოდ მოგვიანო ხანების მეფეთათვის არის მოცემული მმართველობის წელთა დამაჯერებელი რაოდენობა.

გაცილებით უფრო სანდო და ზუსტია ასურეთის „მეფეთა სიები", ესენია თანამედროვე ქ. ხორსაბადში 1932/33 წწ. გათხრებისას აღმოჩენილი სიები და 1954 წ. გამოქვეყნებული ნუსხა, რომელთა შეჯერებით სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ასურეთს სულ 109 მბრძანებელი ჰყავდა. ამ სიებში მეფეები არ არიან დაჯგუფებული დინასტიებად, არც იმის მიხედვით, თუ ვინ მეფობდა „წარღვნამდე" და

„წარღვნის“ შემდეგ. ადრეულ მმართველთაგან აქ დასახელებულია რამდენიმე ათეული მეფე მმართველობის წელთა რაოდენობის მიუთითებლად. ამის შემდეგ დასახელებულ თითოეულ მეფის მიწერილი აქვს მმართველობის წელთა გარკვეული რაოდენობა. სიების მონაცემთა ურთიერთშედარებით დაზუსტებულია ასურეთის მეფეთა თანამიმდევრობა, მაგრამ არ მოხერხდა მათი მმართველობის წელთა საერთო ჯამის გამოანგარიშება ამ სიების ცალკეული ადგილების დაზიანების გამო.

ძირითად ხაზებში აღადგინეს რა მახლობელი აღმოსავლეთის ზოგიერთი ქვეყნის მეფეთა თუ ცალკეულ მოვლენათა თანამიმდევრობა, მეცნიერებმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს წინ დათარიღების საქმეში: ეს იყო სინქრონიზმების დადგენა — ისტორიულ მოვლენათა ზუსტი დამთხვევა დროში.

როგორც წერილობითი წყაროებიდან გაირკვა, ქ. მარის მეფე ზიმრილიმი, ბაბილონეთის მეფე ხამურაბი, ქ. ლარსის მეფე რიმსუენი და ასურეთის მეფე შამშიადადი თანამედროვენი ყოფილან. დადასტურდა აგრეთვე, რომ ეგვიპტის ფარაონი ამენჰოტეპ IV, იგივე ეხნატონი, თანამედროვე იყო მითანის მეფე თუშრათასი, ხეთების მეფე სუფილულიუმასი, ბაბილონეთის მეფე ბურნაბურიაშისა და ასურეთის მეფე ასურუბალიტისა. გაირკვა ისიც, რომ ეგვიპტის ფარაონი რამსეს II ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ხეთების მეფეების — მუვათალისა და ხათუსილი III-ის — დროს. ეს უკანასკნელი თანამედროვე იყო ასურეთის მეფე სალმანასარ I-ისა და ა. შ. თუ შუამდინარეთის, მცირე აზიისა და ზოგიერთი სხვა მეზობელი ქვეყნის ქრონოლოგიის გარკვევაში მეცნიერები ხელმძღვანელობდნენ ძირითადად „მეფეთა სიებით“, სინქრონიზმებითა და ა. შ., ეგვიპტის ქრონოლოგიის დაზუსტებაში დიდი როლი ითამაშა ზემოგანხილულმა „სოთისის პერიოდის“ აღმოჩენამ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ეგვიპტელებმა ძველთაგანვე შენიშნეს, რომ სირიუსი (სოთისი) წლის სხვადასხვა დღეს „ამოდიოდა“, რაც დაადასტურა ეგვიპტურმა წერილობითმა წყაროებმაც. ასე, მაგალითად, თუტმოს III-ის მმართველობის დროს სირიუსის ამოსვლა აღნიშნულია მეთერთმეტე თვის 28-ე რიცხვში; ამენჰოტეპ I-ის მეფობის მეცხრე წელს კი სირიუსის ამოსვლას დღესასწაულობდნენ მეთერთმეტე თვის მეცხრე დღეს; სენუსერტ III-ის მმართველობის მეშვიდე წელს სოთისი გამოჩენილა მერვე თვის მე-16 დღეს.

ამ მონაცემებზე დაყრდნობით მეცნიერებმა სცადეს დაედგინათ ზემოჩამოთვლილ ფარაონთა მეფობის წლები. მაგრამ ამისათვის საჭირო იყო, უპირველეს ყოვლისა, გაეგოთ, თუ, სახელდობრ, რომელ წელს ემთხვეოდა სირიუსის დილაადრიანი ამოსვლა ეგვიპტური კა-

ლენდრის პირველ დღეს — ახალი წლის დღეს, ანუ პირველ თოტს (ე. ი. 19 ივლისს იულიუსის კალენდრით). სპეციალისტებმა ასეთ მითითებასაც მიაგნეს. იგი შემოინახა ახ. წ. III ს-ის რომაელი მწერლის ცენზორინუსის ნაშრომში, საიდანაც ჩანდა, რომ ასეთი დამთხვევა, მართლაც, მომხდარა ახ. წ. 139 წელს. აქედან დაიწყებოდა სირიუსის ერთ-ერთი ახალი 1460-წლიანი პერიოდი.

ამის შემდეგ ადვილად შეიძლებოდა სოთისის ადრეული პერიოდების გამოანგარიშება 1460-წლიანი ციკლის უკან გადათვლით. ამ გზით მიიღეს ქვემოთ ჩამოთვლილი თარიღები, რომლებიც სოთისის პერიოდების დაწყებაზე მიუთითებდნენ: ძვ. წ. 1321 წ. (1460—139); ძვ. წ. 2781 წ. (1321+1460); ძვ. წ. 4241 წ. (2781+1460) და ა. შ. თარიღების ეს რიგი შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს წარსულისაკენ, მაგრამ ამის საჭიროება არ არსებობს, რადგანაც ეგვიპტოლოგებმა (ისტორიკოსებმა, არქეოლოგებმა) დაადგინეს, რომ სოთისის ამ უკანასკნელ ციკლზე უფრო ადრეულ პერიოდში (ე. ი. ძვ. წ. 4241 წელზე ადრე) არ დასტურდება მაღალი ცივილიზაციის არსებობა ეგვიპტეში.

ამის შემდეგ მეცნიერებმა დაიწყეს გარკვევა იმისა, თუ სოთისის ზემოაღნიშნული ციკლებიდან, სახელდობრ, რომელში უნდა მოთავსებულიყო თუტმოს III-ის, ამენჰოტეპ I-ისა და სენუსერტ III-ის მმართველობის წლები. მთელი რიგი მიზეზების გამო, მეცნიერებმა გამორიცხეს 4241 და 1321-წლიანი ციკლები და შეჩერდნენ 2781 წლის ციკლზე.

იმის გამოსაანგარიშებლად, თუ, სახელდობრ, რომელ წელს გამოჩნდა სირიუსი თუტმოს III-ის მმართველობის დროს, სპეციალისტებმა შემდეგ ზერხს მიმართეს, ჯერ გამოიანგარიშეს, ეგვიპტური წელიწადის რომელი დღე იყო რიგით მეთერთმეტე თვის 28-ე დღე. რაკი ეგვიპტური თვე 30 დღეს ითვლიდა, მაშასადამე, ჩვენ საქმე გვქონია 30×10+28, ანუ ეგვიპტური კალენდრის 328-ე დღესთან. ეს იმას ნიშნავს, რომ ეგვიპტური კალენდრის 328 დღის „გავლას“ სირიუსი მოანდომებდა 1312 წელიწადს (328×4. როგორც ზემოთ ითქვა, სირიუსი ყოველ ოთხ წელიწადში ერთსა და იმავე დღეს ამოდიოდა). ეს კი თავის მხრივ მიუთითებს, რომ იმ მომენტიდან, როცა სირიუსის ამოსვლა წლის დასაწყისს დაემთხვა, ე. ი. 2781 წლის ციკლიდან, გასულა 1312 წელი. მაშასადამე, სირიუსი გამოჩენილა ძვ. წ. 1469 წელს (2781—1312), რომელიც შედის თუტმოს III-ის მმართველობის წლებში (წყაროში მითითებული არ არის, თუ თუტმოსის მეფობის რომელი წელი იყო, როცა სირიუსის ზემოაღნიშნული გამოჩენა ჩაიწერეს ქურუმებმა).

ამავე გზით შეძლეს დაედგინათ სენუსერტ III-ის მეფობის მეშვიდე წელი, ხოლო შემდეგ — მისი მმართველობის წლები. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ ფარაონის მეფობის მეშვიდე წელს სოთისი გამოჩენილა მერვე თვის მე-16 დღეს, ანუ 30×7+16=226-ე დღეს, რომელთა გავლისათვის სირიუსს დასჭირდებოდა 904 წელი (226×4). 2781 წლის ციკლიდან გამომდინარე, სენუსერტ III-ის მეფობის მეშვიდე წელი ყოფილა ძვ. წ. 1877 წ. (2781—904). მაშასადამე, ეს ფარაონი ტახტზე ასულა ძვ. წ. 1883 წ. და უმეფია ძვ. წ. 1845 წლამდე (სენუსერტ III ტახტზე იჯდა 38 წელი).

ზოგიერთი უძველესი თარიღის დასადგენად მეცნიერებმა მიმართეს ასტრონომიას, გამოიყენეს რა ძველაღმოსავლური წერილობითი წყაროების მონაცემები მზის სრულ დაბნელებასთან დაკავშირებით. ასე მაგალითად, ასურულ ეპონიმთა სიაში მოხსენიებული მზის დაბნელება ასტრონომებმა მიაკუთვნეს ძვ. წ. 763 წლის 15 ივნისს. ამან კი საშუალება მისცა სპეციალისტებს ზედმიწევნით ზუსტად დაეთარიღებინათ ამავე სიაში ნახსენები ყველა მოხელის ეპონიმობა ძვ. წ. 911 წლიდან.

ასევე ზუსტად დაადგინეს მეცნიერებმა ლიდია-მიდიის ომის დამთავრების თარიღი: ძვ. წ. 585 წლის 28 მაისი. სწორედ ამ დღეს მოხდა მილეტელი ფილოსოფოსის — თალესის, მიერ ნაწინასწარმეტყველები მზის სრული დაბნელება.

ყოველივე ამან ძალზე გააადვილა ძვ. წ. I ათასწლეულის სხვა ისტორიულ მოვლენათა დათარიღება.

უძველესი ხანის ქრონოლოგიის დაზუსტებაში ისტორიკოსები იყენებენ თანამედროვე ფიზიკისა და ქიმიის მიღწევებსაც. ამ უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით პოპულარული გახდა დათარიღების მეთოდი, რომელიც ემყარება ბუნებრივი ნახშირბადის იზოტოპის — C_{14}-ის — თვისებებს.

ცნობილი გახდა, რომ ამ იზოტოპს, რომელიც იქმნება ჩვენი პლანეტის ატმოსფეროს ზედა ფენებში კოსმოსური სხივების გავლენით აზოტის ატომის დაშლის შედეგად, ითვისებენ მცენარეები და ცხოველები. მათი სიკვდილის შემდეგ კი C_{14} იზოტოპის გამოყოფა წყდება ამის გამო, მკვდარ სხეულში (იქნება ეს ხის, თიხისა თუ ძვლის ნატეხები) არსებული იზოტოპ C_{14}-ის რაოდენობის მიხედვით ახერხებენ ნაშთების ხნოვანების დადგენას (განსაზღვრავენ რა საგნების მაგნიტურ არეს).

მაგრამ ამ მეთოდით ახერხებენ ამა თუ იმ ნივთის მიახლოებით დათარიღებას. იგი განსაკუთრებით გამოიყენება ადრეისტორიული ხანის საგნების დათარიღებისათვის. ამჟამად ეს მეთოდი თანდათან უმჯობესდება.

თავი

ძველი შუამდინარეთი (შუმერი და აქადი) ძვ. წ. IV—III ათასწლეულებში

§ I. წყაროები. გეოგრაფიული გარემო

ძველი შუამდინარეთის ისტორიის შესასწავლად მოპოვებულია მდიდარი წერილობითი მასალა დღევანდელ ერაყის ტერიტორიაზე გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ფართოდ წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად. 1877—1902 წლებში საფრანგეთის არქეოლოგიური ექსპედიცია ე. სარზეკის მეთაურობით დღევანდელ თელოში აწარმოებდა გათხრებს შუამდინარეთის ერთ-ერთი უძველესი ქალაქის ლაგაშის ნანგრევების შესასწავლად. ამ ექსპედიციის დროს აღმოჩენილ იქნა ათასობით თიხის ფირფიტა, რომელიც შეიცავდა შუმერულ ენაზე შედგენილ სხვადასხვა ხასიათის ლურსმულ ტექსტებს. 1888—1890 წლებში ქ. ნიფურის არქეოლოგიურ შესწავლას აწარმოებდა პენსილვანიის უნივერსიტეტის (აშშ) მუზეუმის ექსპედიცია, რომელმაც ძირითადად ლიტერატურული ხასიათის ტექსტები მოიპოვა, რაც საუკეთესო წყაროა შუამდინარეთის უძველეს მკვიდრთა — შუმერებისა და სემიტების — სულიერი კულტურის შესასწავლად.

1922—1934 წლებში მიმდინარეობდა არქეოლოგიური გათხრები ქ. ურის ნანგრევების ადგილზე. მუშაობას აწარმოებდა პენსილვანიის უნივერსიტეტისა და ბრიტანეთის მუზეუმის გაერთიანებული ექსპედიცია ლ. ვულის ხელმძღვანელობით. ამ ხანგრძლივი კამპანიის შედეგად წერილობით მასალასთან ერთად გამოვლენილ იქნა მდიდარი ნივთიერი კულტურაც, რომელიც აღმოჩნდა ე. წ. ურის I დინასტიის (XXVI ს. ძვ. წ.) მეფეთა სამარხებში. ექსპედიციის მუშაობის შესახებ დაწვრილებითაა მოთხრობილი ლ. ვულის წიგნში „ქალდეის ური", ხოლო საკუთრივ აქ აღმოჩენილი ლურსმული ტექსტები გამოცემულია „ურის გათხრების ტექსტების" სახელწოდებით ცნობილი ათტომიანი კრებულის სახით.

აღნიშნული ექსპედიციების მუშაობის დროს შუმერულენოვან ტექსტებთან ერთად აღმოჩნდა ძველაქადურ ენაზე შედგენილი სამეურ-

ნეო ხასიათის დოკუმენტებიც. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია შუამდინარეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე მდინარე დიალას ოლქში 1931—1933 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი დოკუმენტების კოლექცია, რომელიც ძვ. წ. XXIII ს. განეკუთვნება და წარმოადგენს კომპლექსურ მასალას სარგონიდების დროინდელი შუამდინარეთის ეკონომიკური ისტორიის შესასწავლად.

არაერთ არქეოლოგიურ ექსპედიციას უმუშავნია წლების მანძილზე შუმერისა და აქადის უძველესი ქალაქების — ერიდუს, ურუქისა და ადაბის — ნანგრევებში ჩამარხული ძვირფასი მასალის გამოსავლინებლად. ამ ნიმართულებით დღესაც მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა.

ძველი შუამდინარეთის უძველესი ენების — შუმერულისა და ძველაქადურის, აგრეთვე ქვეყნის ისტორიისა და კულტურის შესწავლა დღეისათვის წარმოებს მსოფლიოს მრავალ სამეცნიერო ცენტრში. განსაკუთრებით გამოირჩევა ჩიკაგოს, პარიზის, მიუნხენის, ჰელსინკისა და ლენინგრადის სამეცნიერო სკოლები, რომელთა მთავარი წარმომადგენლები არიან ცნობილი შუმეროლოგები: ს. კრამერი, ი. გელბი, მ. ლამბერი, ო. ედცარდი, ა. სალონენი და ი. დიაკონოვი. მათი კვლევა-ძიების სფერო მოიცავს ძველი შუამდინარეთის ისტორიისა და ენების შესწავლის ყველა ძირითად დარგს.

ძველი შუამდინარეთის დაბლობი შექმნეს ევფრატმა და ტიგროსმა მოტანილი მთის ნაშალი ქანებისაგან.

ევფრატი და ტიგროსი მთავარი ფაქტორებია ბაბილონის ისტორიაში. ისინი განსაზღვრავდნენ და წარმართავდნენ მის მეურნეობას. ამ მდინარეთა წყლის ექსპლუატაცია მისი ეკონომიკის საფუძველი იყო. სწორედ ამიტომ იყო, რომ ასე ზრუნავდნენ აქაური მონარქები ირიგაციაზე; ადგილობრივ მმართველებთან მათი მიმოწერის დიდი ნაწილი ხელოვნური მორწყვის საჭირბოროტო საკითხებზეა აგებული. ირიგაციის მოშლა აქ ქვეყნის ძირეულ გალატაკებას უდრიდა. ასე მოხდა შუა საუკუნეებში და ახლაც (თუმცა ზოგი რამ უკვე წამოიწყეს მოშლილი ირიგაციის აღსადგენად). ამის გამო საჭიროა ორიოდე სიტყვით მაინც დავახასიათოთ ევფრატი და ტიგროსი. ევფრატი მოედინება თურქეთიდან, ორი ათასი მეტრი სიმაღლიდან (არზრუმის მახლობლად). მისი სიგრძე დაახლოებით 27000 კმ-ია, აუზის ფართობი — 673 000 კმ². ეს მდინარე იქმნება აღმოსავლეთ ევფრატის, ანუ მურადის (სათავე ალადაგის მთაზე, ვანის ტბასთან 2500 მ სიმაღლეზე) და დასავლეთ ევფრატის, ანუ ყარასუს (სათავე ქ. არზრუმის ჩრდილოეთით, 3000 მ სიმაღლეზე) შეერთებით. მისი მთავარი შენაკადებია ხაბური და ბალიხი. ბაბილონის ტერიტორიაზე შესულ ევფრატს საშუალოდ მოაქვს წყლის რაოდენობა 710 მ³ სეკ, მინიმუმი — 260 მ³ სეკ (სექტე-

მბერი), მაქსიმუმი 1700 მ³ სეკ (მაისი), მისი ქვემო დინება ძალზე დატბორილია და დაჭაობებული.

ტიგროსის სიგრძეა 1950 მ, საშუალო დებიტი — 1240 მ³ სეკ (აპრილი); მისი სათავე არმენიის ნთებშია. შენაკადებია: დიალა, ზაბი (ქვედა და ზედა), რომლებიც ზაგროსის მთიანეთიდან მოედინებიან, სადაც 1000 მმ ნალექია წელიწადში. ტიგროსს შუა დინებაში მოაქვს 1440 გრ შლამი 1 მ³ წყალში. ტიგროსი და ევფრატი სპარსეთის ყურესთან ერთდებიან და ერთ დელტას ქმნიან. ორივე მდინარე ხშირად იცვლის თავის კალაპოტს, განსაკუთრებით ქვემო წელში ტერიტორია ტიგროსსა და დიალას შორის გაზაფხულზე იფარება წყლით. ევფრატმა და ტიგროსმა საშინელი წყალდიდობა იცის; როგორც ჩანს, ბაბილონის ახალი სამეფოს ხელისუფლებმა ირიგაციის ისეთ დონეს მიაღწიეს (უამრავი არხები, წყალსაცავები და სხვ.), რომ თავიდან იცილებდნენ წყალდიდობას. ასე რომ არ ექნათ, მდინარის წყალი მთელ დაბლობს დაფარავდა გაზაფხულზე. ქვეყნის ჰავა ჩრდილოეთით კონტინენტურია, სამხრეთით — ტროპიკული. ნალექების რაოდენობა ქვემო მესოპოტამიაში წელიწადში 200 მმ-ს არ აღემატება, ხოლო ბაღდადთან 220 დღე თითქმის უნალექოა; ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 300—500 მმ-ია; გაზაფხულზე იცის ჩრდილო-დასავლეთის ქარი. ივლისში არაბეთის უდაბნოდან ქრის მწველი ქარი. დიდი მნიშვნელობა აქვს ფინიკის მოსავლიანობისათვის სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარს. ამ ქარის მოქმედებით ფინიკის ნაყოფი ხდება უმაღლესი ხარისხისა; როცა ეს ქარი არ ქრის, ფინიკი უფრო დაბალი ხარისხისაა და იაფიც ღირს შედარებით. ბასრასთან საშუალო ტემპერატურა აგვისტოში +34°-ია. იანვარში — 10,7°. ბაბილონის ტერიტორია დაახლოებით 30000 კმ²-ს უდრიდა. მისი ზედაპირი ოდესღაც ზღვის ფსკერს წარმოადგენდა, რაც კარგად ჩანს თიხის, თაბაშირის, ქვიშა-ქვის დანალექებით დანაოჭებული მთების ჯაჭვის მაგალითზე; ასეთი ნთაგრეხილი გასდევს ტიგროსის მარცხენა სანაპიროს. გამყინვარების ეპოქაში ზღვა აქ თანამედროვე ხითამდე აღწევდა. შემდეგ მთელი დაბლობი მდინარეთა ლამმა დაფარა. ბაღდადიდან დაწყებული მთაგრეხილი მკვეთრად იწევს ქვევით (40 მ); ალაგ-ალაგ აქ არის ქვიშები და ქვები, ძველი ფორმაციების ნაშთები. გვხვდება ბიცი მიწებიც, რომლის ნიშნები უკვე ძველად შეიმჩნეოდა. ევფრატი შუა დინებიდან ძალიან მდორე ხდება და გაზაფხულის წყალდიდობისას მთელი დაბლობის მეტისმეტი სიბრტყეების გამო წყალი ტბორდება დიდ ფართობზე. ტიგროსი შესართავამდე ჩქარია, ამიტომ მისი ლამი ნელა ამაღლებს ამ დაბლობის მხოლოდ უკიდურეს სამხრეთ ნაწილს.

რაც შეეხება ევფრატს, მისი ლამი მთელ დაბლობს ეფინება. მძლავრი წყალდიდობის ნიშნები აღმოაჩინეს არქეოლოგებმა ურის, შურუ-

ფაქისა და ქიშის მიდამოებში. ხვნა-თესვისათვის გამოსადეგი ფართობი ძირითადად მდინარეთა და არხების პირას მდებარეობს. ხელოვნური მორწყვის მოწესრიგება საკმაოდ ძნელი იყო იმის გამო, რომ ნიადაგები ვეტად რბილი შემადგენლობისაა. შუმერის ტერიტორიაზე უდიდესი ფართობი მდინარეთა და ტბორების გვერდით დაფარული იყო ლელით. ლელი დღესაც დიდი სიმაღლისა იზრდება. იგი წინათაც და ახლაც ბინის საშენ მასალას წარმოადგენს; მისგან წნავენ ჭილოფებს, კალათებს და სხვ. სტეპების მცენარეული საფარველი შედგებოდა ქოლგისებური მცენარეებისაგან, ბიცობი ნიადაგებისათვის დამახასიათებელი ბალახისა და ბუჩქებისაგან. ხეებიდან ველურ მდგომარეობაში გვხვდება ფინიკის პალმა, აგრეთვე ლეღვის ხეც. ცხოველებიდან აქ გვხვდება ღორი, გარეული თხა, აფთარი, ტურა, მელა, დათვი, ქურციკი, მაჩვ-ზღარბი, მიწის კურდღელი, თახვი, ონაგრი, წინათ იყო ლომიც.

ფრინველებიდან არის: გარეული იხვი, ბატი, ქორი, წერო, პელიკანი ფლამინგო. ბევრია ქვეწარმავალი, მორიელი, ფალანგა. მწერებიდან არის კალია (საკვებადაც ხმარობენ) და კოღო. უამრავი თევზი ბუდობს მდინარეებსა და ყურეში.

ბუნებრივი წიაღისეულიდან შეიძლება დავასახელოთ მხოლოდ ბითუმის საბადოები დღევანდელ ქალაქ ჰიტთან. ძველად ბითუმით ცნობილი იყო ბაბილონის მიდამოები და ქალაქი ისი.

§ 2. ძველი შუამდინარეთი არქაულ ეპოქაში. მოსახლეობა

შუამდინარეთის ისტორია შეიძლება გავყოთ ორ მთავარ პერიოდად იმის მიხედვით, თუ რა სახის წყაროები გვაქვს ხელთ საზოგადოების სურათის შესასწავლად. ეპოქას, როცა ჩნდება წერილობითი წყაროები, ჩვენ პირობითად ვუწოდებთ ისტორიულ ხანას, ხოლო მასზე უადრეს პერიოდს — არქაულს, რომლის აღსადგენადაც ჩვენს განკარგულებაშია მხოლოდ არქეოლოგიური მასალა.

შუამდინარეთის არქეოლოგიური შესწავლის საქმეში დღეისათვის მნიშვნელოვანი მიღწევებია მოპოვებული. როგორც უცხოეთის, ისე ადგილობრივი ერაყის არქეოლოგიური ექსპედიციების ინტენსიური მუშაობის შედეგად უკანასკნელ წლებში გამოვლენილ იქნა დღემდე უცნობი კულტურები, რომელთაც შუამდინარეთის არქაული ეპოქის ქრონოლოგიის ზედა საზღვარი საკმაოდ შორს გადასწიეს ათასწლეულების სიღრმეში.

კულტურები, რომლებიც აღმოჩნდა ელ-უბაიდში, ურუქსა და ჯემდეთ-ნასრში, განეკუთვნება ძირითადად ძვ. წ. IV ათასწლეულსა და III ათასწლეულის დასაწყისს. ეს კულტურები შედარებით უკეთაა

შესწავლილი, რაც იძლევა საშუალებას, უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ იმდროინდელი მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ელ-უბაიდში (სამხრეთ-დასავლეთ შუამდინარეთი) მიკვლეული მატერიალური კულტურა განეკუთვნება დაახლოებით ძვ. წ. 3800—3500 წწ. ამ ეპოქის სამოსახლოებს წარმოადგენდა დაჭაობებულ დაბლობზე ამოზიდული ბუნებრივი ბორცვები. ადამიანები ცხოვრობდნენ ლერწმისაგან აშენებულ ქოხებში, რომელთა კედლები შიგნიდან შელესილი იყო თიხით. დამოწმებულია მშენებლობის დროს ალიზის აგურის გამოყენების შემთხვევაც. ელ-უბაიდელთა ძირითადი მოსაქმეობა იყო მონადირეობა და მეთევზეობა; ისინი მისდევდნენ მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობასაც. ამ ეპოქის ბოლოს მოიშინაურეს ცხვარი, თხა და ღორი. მარცვლეული კულტურებიდან მათთვის ცნობილი იყო ხორბლის ერთ-ერთი უძველესი ჯიში ემერი, რომელმაც მომდევნო საუკუნეებში ფართო გავრცელება პოვა. მიწათმოქმედის ძირითად იარაღს ჯერ კიდევ წარმოადგენდა ქვის, ძვლისა და თიხის იარაღები, რომლებიც საკმაოდ ეფექტური იყო შუამდინარეთის ალუვიური ნიადაგის დასამუშავებლად. აღნიშნული ეპოქის დასასრულს მრავლდება ლითონის იარაღები, ჩვეულებრივ, სპილენძისა. შეიმჩნევა ხელოსნობის ზოგიერთი დარგის განვითარება, მეტადრე მეთუნეობისა, რომლის პროდუქცია ხელითაა ნაკეთები. ჭურჭლის კედლები დაფარულია ცხოველების, ფრინველებისა და ადამიანთა გამოსახულებებით.

მომდევნო ეპოქისათვის (3500—3000 წწ. ძვ. წ.) დამახასიათებელი კულტურა მიკვლეულია ურუქში (დღევანდელი ვარქა მდ. ევფრატზე, სამხრეთი შუამდინარეთი). ამ დროისათვის შეიმჩნევა მკვეთრი ნახტომი კულტურის განვითარებაში, რასაც არქეოლოგები უწოდებენ „კულტურულ რევოლუციას“ შუამდინარეთის ისტორიაში. ეპოქის მთავარ მიღწევად უნდა ჩაითვალოს სამეთუნეო ჩარხის გამოგონება. კერამიკული პროდუქციისათვის დამახასიათებელია კარგი გამოწვა და ფორმათა მრავალნაირობა. ჭურჭელი ჩვეულებრივ ამოხაზული ორნამენტითაა შემკული. ერთბაშად ვლინდება პროგრესი არქიტექტურის განვითარებაში. ურუქის V არქეოლოგიურ ფენაში (დაახლ. XXXIV—XXXIII სს. ძვ. წ.) აღმოჩნდა ქვის ფუნდამენტზე აგებული ტაძრის მონუმენტური შენობის ნანგრევები. ტაძარი ნაშენია აგურით. ფასადი მორთულია სვეტებით, ხოლო კედლების შიგნითა ზედაპირი — მოზაიკური ფორმის ნაკეთობით. პროგრესი შეინიშნევა სამეურნეო ცხოვრების სხვა დარგებშიც. ლითონის (სპილენძის) იარაღების გამოყენებამ სწრაფად დააწინაურა მიწათმოქმედება. განვითარდა საირიგაციო ტექნიკა. ამავე ეპოქაში გამოიგონეს დამწერლობა, რისი შექმნის აუცილებლობა გამოწვეული იყო განვითარებული სამეურნეო ცხოვრების ყოველდღიურ საქმიანობასთან დაკავშირებული მომენტების ფიქსაცი-

ის საჭიროებით. ურუქის IV არქეოლოგიურ ფენაში (IV ათასწლეულის დასასრული ძვ. წ.) აღმოჩნდა ლურსმული დამწერლობის უადრესი სახის ე. წ. პიკტოგრაფიული (ხატოვანი) დამწერლობით შესრულებული სამეურნეო ხასიათის ტექსტების შემცველი 500-მდე თიხის ფირფიტა. მსგავსი ფორმის 300-მდე თიხის ფირფიტა აღმოჩნდება აგრეთვე ჯემდეთ-ნასრში (დღევანდ. ბაღდადის სამხრეთ-დასავლეთით მდ. ევფრატზე). აქვე იქნა მიკვლეული თავისებური არქეოლოგიური კულტურაც, რომელიც იმავე პერიოდისაა, რაც ურუქის III—II არქეოლოგიური ფენები და ქრონოლოგიურად განეკუთვნება ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისს — 3000—2800 წწ. ძვ. წ.

ჯემდეთ-ნასრის ეპოქაში, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, შეინიშნება შემდგომი პროგრესი. ძვლისა და ქვის იარაღები სწრაფი ტემპით იდევნება ლითონის იარაღებით. ჩნდება ბრინჯაოს იარაღებიც. მარცვლეული კულტურებიდან უკვე ცნობილი ხდება ქერი და ხორბალი. სამეურნეო საქმიანობაში მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს ხარისა და ვირის მოშინაურების ფაქტი. ხელოსნურ წარმოებაში შეინიშნება სამეთუნეო ჩარხის გაუმჯობესება, კერამიკული ნაწარმის შემდგომი სრულყოფა და პროდუქციის მრავალნაირობა. შედარებით სწრაფი ტემპით ვითარდება ვაჭრობა, რომლის პირველი ჩანასახები წინა ეპოქაში გაჩნდა. შუამდინარეთის მთელ რიგ პუნქტებში უცხოური, ძირითადად ინდური და ელამური, ნიმუშების აღმოჩენა მეტყველებს განვითარებულ სავაჭრო ურთიერთობაზე გარე სამყაროსთან. ვაჭრობის განვითარება თავისთავად იწვევდა ტრანსპორტის განვითარებასაც. ჩნდება ოთხთვლიანი ეტლი. სამდინარო ტრანსპორტის ახალი ნიმუში იყო მაღალიჩოიანი მოზრდილი ნავები, რომლითაც შეიძლებოდა საკმაოდ დიდი ტვირთის გადატანა მდინარის დინების ორივე მიმართულებით.

აღნიშნული ეპოქის ბოლოს მთელი სამხრეთი შუამდინარეთის ათვისება უკვე მომხდარი ფაქტია. აღმოცენდა რიგი ქალაქებისა, რომლებიც მომდევნო საუკუნეებში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ შუამდინარეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. ამ ქალაქებიდან აღსანიშნავია ერიდუ, შურუფაქი, ადაბი, ნიფური და ეშნუნა. მათ შორის ქალაქი ნიფური მოგვიანებით მთელი სამხრეთი შუამდინარეთის რელიგიური ცენტრი გახდა, სადაც აგებული იყო უმაღლესი ღვთაების — ენლილის — ტაძარი.

თავისთავად ისმება კითხვა: რომელ ეთნიკურ გარემოს მიეკუთვნებოდნენ ამ კულტურათა შემქმნელი და მატარებელი ხალხები? ეს საკითხი შუამდინარეთის ისტორიის ჯერ კიდევ გადაუწყვეტელ პრობლემათა რიგს მიეკუთვნება. ისტორიულ ხანაში აღნიშნულ ტერიტორიაზე მოსახლეობდა ძირითადად ორი მოდგმის ხალხი: ჩრდილოეთით

სემიტები, ხოლო სამხრეთით, დაახლოებით 33-ე პარალელიდან სპარსეთის ყურემდე — შუმერები. შუამდინარელი სემიტების ენა, ე. წ. აქადურ-ბაბილონური, მიეკუთვნება დღეისათვის კარგად შესწავლილ სემიტურ ენათა ოჯახს, რომელშიც თავის მხრივ ერთიანდება: ძველებრაული, ფინიკიური, არაბული და ზოგიერთი სხვა. დიდი თუ პატარა ენა. ეთნიკურადაც შუამდინარეთის სემიტები ამ ენათა მატარებელი ხალხების გარემოს უნდა ეკუთვნოდნენ. მათი პირველი ტალღა ჩრდილოეთ შუამდინარეთში შემოვიდა დასავლეთიდან, კერძოდ კი სირიის სტეპებიდან ძვ. III ათასწლეულის დასაწყისში. ადგილობრივ შუმერულ მოსახლეობასთან მათი შერევა ატარებდა მშვიდობიან ხასიათს. კულტურის განვითარების მხრივ, შუმერებთან შედარებით, ისინი დაბალ საფეხურზე იდგნენ. სამაგიეროდ მათ მალე შეითვისეს ადგილობრივი მაღალი კულტურა, განსაკუთრებით დამწერლობა, განავითარეს იგი და გადასცეს ნემკვიდრეობად მომდევნო საუკუნეებს. ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებში სემიტები უკვე აქტიურ ძალად ჩანან შუამდინარეთის ისტორიაში. ჩრდილოეთში აღმოცენებული მათი ცენტრის — ქალაქ აქადის — სახელის მიხედვით მთელი ეს ოლქი ამიერიდან იწოდებოდა აქადად, განსხვავებით შუმერისაგან, რომელიც სამხრეთ შუამდინარეთის სახელწოდებას წარმოადგენდა. ძვ. წ. XXIV ს. მათ მიაღწიეს კიდევაც მთელი შუამდინარეთის გაერთიანებას, რომლის შესახებაც დაწვრილებით ქვემოთ იქნება საუბარი. ამჯერად კი რამდენიმე სიტყვით შევეხებით შუმერულ პრობლემას. სწორედ აქ ვაწყდებით ჰიპოთეზების რიგს. აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხებიდან თითქმის არც ერთი არ შეიძლება მივიჩნიოთ დღეისათვის საბოლოოდ გადაჭრილ და მეცნიერებაში საერთოდ მიღებულ ფაქტად. ასეთია, უპირველეს ყოვლისა, პროტოშუმერული მოსახლეობის საკითხი.

მეცნიერების მიერ დიდი ხანია შემჩნეულია, რომ ძველი შუამდინარეთის ტოპონიმიკა — ადგილისა და მდინარეების სახელწოდებანი, არაა შუმერული, როგორიცაა, მაგალითად, მდინარე ტიგროსის ძველი სახელწოდება იდიგნა, ევფრატისა კი — ბურანუნი (აქადურად ფურათუ). ასევე არაა შუმერული მრავალი უძველესი ქალაქის — ურის, ქიშის, ნიფურის, ადაბისა და სხვათა — სახელწოდებანიც. ყოველივე ეს იმის უტყუარი მოწმობაა, რომ შუმერები არ ყოფილან ამ ოლქის თავდაპირველი მკვიდრნი და რომ მათ აქ წინ უსწრებდა რომელიღაც სხვა ხალხი. ზოგიერთი მეცნიერი მათ პირობითად უწოდებს პროტოევფრატელებს (ბ. ლანდსბერგერი) ანდა ელ-უბაიდელებს (ს. კრამერი). მათ შესახებ ჩვენ ბევრი არაფერი ვიცით, გარდა კულტურის ზოგიერთი დამახასიათებელი ნიშნისა და ისიც იმ პირობით, თუ მათ მივიჩნევთ ელ-უბაიდის არქეოლოგიური კულტურის მატარებლებად. დად-

გენილია, რომ შუმერების მიერ ხმარებაში ფართოდ დანერგილი სიტ-ყვები, როგორიცაა ს ი ფ ა „მწყემსი“, ე ნ გ ა რ „მიწათმოქმედი“, ა ფ ი ნ „გუთანი“, ს ი მ უ გ „მჭედელი“, ა შ გ ა ბ „დაბალი“, ქ ი „მიწა“ და ზოგიერთი სხვაც, სრულიადაც არაა შუმერული. რა თქმა უნდა, ისინი არც სემიტურ ენებს განეკუთვნებიან. ეს სიტყვები უნდა იყოს შესული შუმერულ ენაში ელ-უბაიდელთა ენიდან, რომელიც შუმე-რულთან ჭიდილში დამარცხებულ იქნა ამ უკანასკნელის მიერ ისევე, როგორც მისი მატარებელი ხალხი.

ასევე საკვარაუდოდაა მიჩნეული შუმერების შუამდინარეთში მოს-ვლის თარიღად ძვ. წ. IV ათასწლეულის შუა ხანები. ზემოთ, არქე-ოლოგიურ კულტურებზე საუბრისას აღნიშნული იყო, რომ ურუქის კულტურაში, რომელიც დაახლოებით ამავე ეპოქას განეკუთვნება, შენიშნულია ერთბაშად გამოვლენილი პროგრესი, რაც „კულტურულ რევოლუციადაა“ მიჩნეული არქეოლოგების მიერ, ეს ნახტომი კულტუ-რის განვითარებაში, როგორც ფიქრობენ, გამოწვეული უნდა ყოფი-ლიყო სწორედ ამ ოლქში ახალი ხალხის, მოცემულ შემთხვევაში შუ-მერების მოსვლით, რომლებიც კულტურის დონით ადგილობრივ მო-სახლეობასთან შედარებით გაცილებით მაღლა იდგნენ. მათ ხომ მო-სვლიდან არცთუ ისე დიდი ხნის შემდეგ შექმნეს კაცობრიობის უდი-დესი მიღწევა — დამწერლობა.

მეცნიერებაში დღემდე გადაუჭრელია საკითხი იმის შესახებ, თუ საიდან მოვიდნენ შუმერები. არსებობს რამდენიმე მოსაზრება, რო-მელთაგან უკანასკნელი წამოაყენა ამერიკელმა შუმეროლოგმა ს. კრა-მერმა. იგი თვლის, რომ შუმერები სამხრეთიდან მოსულ ხალხად უნდა მივიჩნიოთ, რომლის დასასაბუთებლადაც ს. კრამერის მიერ მოხმო-ბილია რამდენიმე არცთუ ისე უსაფუძვლო ფაქტი. შუმერთა პირ-ველი სამოსახლოები გაჩნდა სამხრეთ შუამდინარეთში, კერძოდ, სპარ-სეთის ყურის სანაპიროებზე. ამ უკანასკნელ ხანებში ერიდუს ნანგრე-ვების ადგილზე ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა, რომე-ლიც ამჟამადაც მიმდინარეობს, მატერიალურად დაასაბუთა ეს გა-რემოება. შუმერულ მითებში ერიდუ იხსენიება შუმერის უძველეს ქა-ლაქად, სადაც თითქოს „პირველად დაეშვა ციდან სამეფო ხელისუფ-ლება“. ამავე დროს მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ მდინარე ინდის ხეობაში აღმოჩენილ კულტურაში დამოწმებული და-მწერლობის უძველესი ნიმუშები, რომლებიც ჯერ კიდევ არაა გაშიფ-რული, პარალელებს პოულობენ შუამდინარეთის ტერიტორიაზე აღ-მოჩენილ პიკტოგრაფიული დამწერლობის ადრეულ ძეგლებთან. იქნებ ეს ფაქტი მიუთითებს დამწერლობის ამ ნიმუშების შემქმნელი ხალ-ხების ეთნიკურ ერთიანობაზე?

მსგავსი მდგომარეობა გვაქვს შუმერული ენის მიმართაც. ერთ

საუკუნეზე მეტია, რაც დაიწყო ამ ენის შესწავლა. დღეისათვის საკმაოდ დიდი მიღწევებია მოპოვებული ამ უძველესი წერილობითი ძეგლებით დამოწმებული ურთულესი ენის კვლევაში. შეიძლება საბოლოოდ შესწავლილად ჩაითვალოს შუმერული ენის შინაგანი სტრუქტურა, სინტაქსური წყობის საკითხები და მრავალი სხვა. მაგრამ დღემდე არ მოხერხდა მისი დაკავშირება მეტად თუ ნაკლებად შესწავლილ ენათა რომელიმე ოჯახთან. გენეტიკური კავშირის დადგენის მიზნით მეცნიერები წლების მანძილზე უდარებდნენ შუმერულს თურქულ-მონღოლურს, უნგრო-ფინურს, ჩინურს, სემიტურ, ინდოევროპულ თუ ეტრუსკულ ენებს. იყო ცდები შუმერული ენის დაკავშირებისა კავკასიურ ენებთან, მათ შორის ქართულთან (მ. წერეთელი, ნ. მარი). მიუხედავად ქართულისა და შუმერულის გარკვეული სტრუქტურული ნათესაობისა (მსგავსი ლექსიკური და მორფოლოგ. აგებულება), ვერ იქნა გამოვლენილი ამ ორ ენას შორის გენეტიკური კავშირის მატერიალური საფუძველი, ე. ი. მათი ძირითადი ლექსიკური ფონდის სისტემატური მსგავსება. ამითაა გამოწვეული ის გარემოება, რომ შუმერული ენის სახელმძღვანელოში ჯერ კიდევ წერია „დგას განცალკევებით“ (ი. დიაკონოვი).

§ 3. შუამდინარეთის საზოგადოება ძვ. წ. III ათასწლეულში

ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის მთელ რიგ მხარეებზე წარმოდგენას გვიქმნის წერილობითი წყაროები. ათასობით თიხის ფირფიტაზე, რომლებიც დაგვიტოვეს შუმერებმა, ფიქსირებულია მათი ყოველდღიური სამეურნეო საქმიანობის მრავალი მომენტი. მათ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია აღვადგინოთ ჩვენგან ოთხი ათასი წლით დაშორებული საზოგადოების შინაგანი სტრუქტურა.

შუამდინარეთის ნიადაგი ადვილად დასამუშავებელი და მაღალნაყოფიერი იყო. საწარმოო ძალთა განვითარების ადრეულ საფეხურზე, როცა მიწათმოქმედის მთავარ იარაღს პრიმიტიული თოხი, ნიჩაბი ანდა უაღრესად მარტივი კონსტრუქციის კავი წარმოადგენდა, ეს იარაღები საკმაოდ ეფექტური საშუალება იყო სამიწათმოქმედო სამუშაოების ფართო მასშტაბით წარმოებისათვის, არცთუ ისე დიდი შრომის დახარჯვით შეიძლებოდა მაღალი მოსავლის მიღება და შრომისნაყოფიერების გადიდება, მითუმეტეს მას შემდეგ, რაც სოფლის მეურნეობაში დაიწყეს გამწევ ძალად ხარის გამოყენება. აღნიშნული გარემოება კი ობიექტურად იწვევდა შრომის იარაღების შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის შეფერხებას, ამიტომაც საკვირველი არაა ის გარემოება, რომ შუამდინარეთი მთელი თავისი ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში რჩებოდა ტექნიკის განვითარების მხრივ

ერთ-ერთ ჩამორჩენილ რაიონად. სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების სფეროში მომხდარი მოვლენები აქ შეპირობებულია სხვა გარემოებებით, კერძოდ კი — უდიდეს საირიგაციო სამუშაოებთან დაკავშირებული მოსახლეობის საქმიანობის ცალკეული პროცესებით.

ძალზე შრომატევადი სამელიორაციო სამუშაოების წარმოების გარეშე შუამდინარეთის ჭაობიან ტერიტორიაზე მიწათმოქმედება წარმოუდგენელი იყო. ჭაობიანი ადგილი რომ ხვნა-თესვისათვის ვარგისი გამხდარიყო, მოითხოვდა მთელი რიგი დამატებითი სამუშაოების ჩატარებას, როგორიცაა: დასაშრობი არხების გაყვანა, მომავალში დაჭაობების თავიდან აცილების მიზნით დამცველი ჯებირების აშენება და სხვა. სამუშაოთა კომპლექსის მეორე ეტაპი დაკავშირებული იყო წყლის რეგულირებასთან, მიწათმოქმედის მთავარ საფრთხეს წარმოადგენდა წყალდიდობა, რასაც ადგილი ჰქონდა ძირითადად ზაფხულის თვეებში. ნაპირებიდან გადმოსული ტიგროსისა და ევფრატის ტალღები ათეული კილომეტრის მანძილზე წალეკავდა ხოლმე ნათეს ფართობებს. ამას ხშირად თან ახლდა სტიქიური უბედურებაც — მთელი რიგი დასახლებული ადგილების დატბორვა და წალეკვა, რაც ადამიანების შეგნებაში ტოვებდა წარღვნის შთაბეჭდილებას. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ მითი წარღვნის შესახებ შუამდინარეთიდან მოდის: იგი მოგვიანებით შეიტანეს ბიბლიაში, რომლის გზითაც შემდეგ გავრცელდა მთელ რიგ ხალხებში. ამ მოვლენისაგან თავდასაცავად აშენებდნენ უზარმაზარ ჯებირებსა თუ წყალსაცავებს.

ამასთან ერთად წყალს სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა შუამდინარეთის მშრალი და ცხელი ჰავის პირობებში. მორწყვის გარეშე აქ არაფერი ხარობდა. სწორედ ამიტომ ძველი შუამდინარეთის მიწა დასერილი იყო საირიგაციო არხების ხშირი ქსელით. თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მოსახლეობა არხების გაყვანას, მოწმობს ის ფაქტიც, რომ ძალზე ხშირად იგი წელთაღრიცხვის სათავედაც კი იყო მიჩნეული. არა ერთ და ორ ათეულ სამეურნეო თუ იურიდიული ხასიათის დოკუმენტშია ნათქვამი: „ეს ამბავი მოხდა მაშინ, როცა მეფემ (მითითებულია სახელი) ესა და ეს არხი გაიყვანაო". ეს საქმიანობა ათასჯერ აღემატებოდა ცალკეული ადამიანის ან ადამიანთა მცირე ჯგუფის შესაძლებლობას. ტექნიკის განვითარების დაბალი დონის პირობებში ამ კოლოსალური სამუშაოების შესასრულებლად საჭირო იყო ათასობით ადამიანის გაერთიანება. სწორედ ამან განაპირობა მოსახლეობის ისეთი რთული პოლიტიკური ორგანიზაციების წარმოშობა და თითქმის უცვლელი სახით ათასწლეულების მანძილზე შენარჩუნება, როგორიცაა თემი და სახელმწიფო. ფრ. ენგელსი წერდა: „მიწათმოქმედების პირველი პირობა აქ — ესაა ხელოვნური მორ-

წყვა, რომელიც წარმოადგენს თემის, ოლქის ან ცენტრალური ხელისუფლების საქმეს".

საირიგაციო სამუშაოების წარმოებაში და საერთოდ მიწათმოქმედებაში, რომელიც შუამდინარეთის ისტორიის მთელს მანძილზე წარმოების ძირითად დარგს წარმოადგენდა, გამოყენებული იყო თავისუფალი მუშახელის შრომა. რა თქმა უნდა, არ იყო უცხო მონათა შრომის გამოყენებაც. ჯერ კიდევ ურუქის ეპოქის დროინდელ ტექსტებში ვხვდებით მონა ქალის მოხსენიების ფაქტს. მონების შეძენის მთავარი წყარო ომი იყო, სამხედრო ტყვეების ძირითად მასას მონებად გადააქცევდნენ ხოლმე. მონას იძენდნენ ყიდვის გზითაც როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ვაჭართა მეშვეობით, მის გარეთაც. არსებობდა მონის შეძენის მესამე გზაც, ე. წ. სავალო კაბალა, ე. ი. დავალიანების შედეგად ერთი პიროვნების გადაქცევა მეორის მონად. მაგრამ ეს უკანასკნელი არ გავრცელებულა შუამდინარეთში. იგი იმდენად უმნიშვნელო მასშტაბითა და კანონმდებლობით შეზღუდულ ფარგლებში მოქმედებდა, რომ შეიძლება არც კი იქნეს მიღებული მხედველობაში.

მონების, განსაკუთრებით მონა ქალების, დასაქმების მთავარი ადგილი საოჯახო მეურნეობა იყო. მონებს ვხვდებით სახელმწიფო მეურნეობებშიც, მაგრამ ძალზე მცირე რაოდენობით. აქ უმთავრესად მონა ქალთა შრომა იყო გამოყენებული და ისიც მეურნეობის დამხმარე დარგებში. მათი რიცხვი ჩვეულებრივ ძალზე მცირე იყო. ასეთ ვითარებაში მონურ შრომას არა მარტო არ შეეძლო თავისუფალი მუშახელის გამოდევნა და წარმოების ძირითად დარგებში გაბატონებული მდგომარეობის მოპოვება, როგორც ეს, ვთქვათ, მოხდა კლასიკური მონათმფლობელური სახელმწიფოების — საბერძნეთისა და რომის — საზოგადოებებში, არამედ მას წარმოუდგენელია მოეხდინა წარმოების ხასიათზე რაიმე არსებითი გავლენაც კი. ეს გარემოება არ გვაძლევს საშუალებას აღნიშნული ეპოქის დროინდელი შუამდინარეთის საზოგადოება მივიჩნიოთ მონათმფლობელურ საზოგადოებად; სინამდვილეში ესაა ადრეკლასობრივი საზოგადოების ერთ-ერთი ტიპი, რომლისათვისაც დამახასიათებელია სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური წყობების თანაარსებობა, თემისა და დესპოტური ხელისუფლების არსებობა მეფის სახით და სხვ.

რას წარმოადგენდა, საერთოდ, ძველაღმოსავლური და, კერძოდ, ძველი შუამდინარეთის საზოგადოებისათვის დამახასიათებელი თემი? იგი იყო, უპირველეს ყოვლისა, გარკვეულ ტერიტორიაზე მოსახლე ადამიანთა კოლექტიური ორგანიზაციის ფორმა, რომლის მთავარ ფუნქციას შეადგენდა საირიგაციო სისტემის გამართვა და მასზე ზედამხედ-

ველობა. თემის მმართველობის პოლიტიკურ ორგანოებს წარმოადგენდა საერთო სათემო სახალხო კრება, რომელიც სათავეს გვაროვნული წყობილებიდან იღებს, და უხუცესთა საბჭო. სახალხო კრებაში მონაწილეობის უფლება ჰქონდა თემის ყველა სრულწლოვან წევრს, იგულისხმება, რა თქმა უნდა, მამაკაცები. მასზე იხილავდნენ ხოლმე თემის საერთო საქმეებს. უხუცესთა საბჭოს მთავარ ფუნქციას შეადგენდა სასამართლო საქმეების წარმოება. სახალხო კრებისა და უხუცესთა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე ირჩევდნენ თემის ზედამხედველს (უგულა ურუ), თემის მიწათმომწყობს (საგსუგი) და აღმასრულებელი ფუნქციის მატარებელ სხვა თანამდებობის პირებს. ასეთივე სხდომებზე განიხილებოდა ზოგიერთი სასამართლო საქმეც, როგორიცაა, უნდა ვიფიქროთ, სიკვდილით დასჯა, თემიდან მოკვეთა და სხვ.

თემი იყო აგრეთვე საზოგადოების მთავარი ეკონომიკური უჯრედი. ძვ. წ. III ათასწლეულის ტერიტორიული თემი საკმაოდ წინაა წასული პირველყოფილ გვაროვნულ თემთან შედარებით, რომლისთვისაც დამახასიათებელია კოლექტიური საკუთრება, კოლექტიური წარმოება და კოლექტიური მოხმარება. აღნიშნული ხანის თემში კოლექტიური საკუთრება შენარჩუნებულია მხოლოდ საერთო სათემო მიწებზე, წყალზე და თემის საძოვრებზე. კოლექტიური შრომა აუცილებელია და სავალდებულო საირიგაციო სამუშაოებზე, და ბოლოს, კოლექტიური მოხმარება ხორციელდება მხოლოდ წყალზე. მიწა საშუალო ზომის ნაკვეთებად განაწილებულია მეთემეებზე მფლობელობის უფლებით. ისარგებლო სათემო მიწის ნაკვეთითა და წყლით, ნიშნავს იყო მოცემული თემის წევრი. თემის წევრობა იყო პირობა სათემო მიწითა და წყლით სარგებლობისათვის. ამა თუ იმ მიზეზით თემიდან გასვლა იწვევდა აღნიშნულ უფლებათა დაკარგვას. ამ გარემოებათა გათვალისწინებით შენიშნავს კ. მარქსი: „თვითეული მეთემე დაკავშირებულია თავის თემთან ისე, როგორც ფუტკარი თავის სკასთან“.

მეთემე ვალდებული იყო თემისა და სახელმწიფოს წინაშე, რაც გამოიხატებოდა შემდეგში: უპირველეს ყოვლისა, გადაეხადა გადასახადები, გასულიყო საირიგაციო ან სხვა სახის საზოგადოებრივ სამუშაოებზე, რომელიც წარმოებდა თემის ან სახელმწიფოს მითითებით, და მიეღო მონაწილეობა ლაშქრობაში. მეთემე აგრეთვე ვალდებული იყო განსაზღვრული დროის განმავლობაში საბეგრო წესით ემუშავა სახელმწიფო მეურნეობაში, სადაც მათი დასაქმება უმთავრესად ხორციელდებოდა შრომის ყოველთვიური ანაზღაურების წესით.

მეთემეები იწოდებოდნენ შესაბამისი თემის შვილებად. თავისუ-

ფალი მეთემის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი იყო გურუში (სიტყ. „კაცი, ძლიერი“).

III ათასწლეულის (ძვ. წ.) II ნახევრიდან აშკარად შეიმჩნევა თემის შიგნით დაჩქარებული ტემპით მიმდინარე ქონებრივი დიფერენციაციის პროცესი.

აღნიშნული ეპოქის დროინდელი შუამდინარეთის საზოგადოების სურათი სრული არ იქნება, თუ რამდენიმე სიტყვით არ შევეხეთ ტაძარსა და სატაძრო მეურნეობას, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის იდეოლოგიურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. ცალკეულ თემს ჰყავდა თავისი მფარველი ღვთაება, რომლის სახელზე აგებული ტაძარი წარმოადგენდა თემის ცენტრს. ასევე, თითოეულ ქალაქში ცენტრალური უბნის მფარველი ღვთაება ითვლებოდა მთელი ქალაქის მფარველ ღვთაებად, ხოლო მისი ტაძარი — ქალაქის ცენტრალურ ტაძრად. ასეთი უბანი იყო, მაგალითად, ქალაქ ლაგაშში გირსუ, მის მფარველ ღვთაებად კი მიიჩნევენ ნინგირსუს (ნიშნავს: „გირსუს მეუფე“). ნინგირსუსა და მისი მეუღლის, ქალღმერთ ბაბას ტაძრები ლაგაშის ცენტრალურ ტაძრებს წარმოადგენდნენ. ჩვენამდე მოაღწია ბაბას ტაძრის მდიდარმა არქივმა, რომლის საბუთები — ათასობით თიხის ფირფიტაზე ფიქსირებული ტექსტები — ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან ამ ტაძრისა და მისი უდიდესი მეურნეობის სტრუქტურისა და ორგანიზაციის შესახებ.

ტაძრის საკულტო საქმიანობას განაგებდა უფროსი ქურუმი, რომელსაც სანგა ეწოდებოდა. იგი ხელმძღვანელობდა აგრეთვე სატაძრო მეურნეობასაც, რომელიც საკმაოდ რთულ ორგანიზაციას წარმოადგენდა. ტაძრის განკარგულებაში მოძრავ ქონებასთან ერთად შედიოდა მიწის უზარმაზარი მასივები, რომლებიც იწოდებოდა შესაბამისი ღვთაების საკუთრებად. ამ მიწების ძირითადი ნაწილის დამუშავება წარმოებდა ტაძარზე დამოკიდებული მეთემეებისა და ტაძრის მუდმივი მუშა პერსონალის ძალებით. მიწების მეორე ნაწილი გაიცემოდა რიგით მეთემეებზე იმ პირობით, რომ მათ გასაზღვრული დროის განმავლობაში ემუშავათ ტაძრის სასარგებლოდ. მესამე ნაწილი მიწებისა კი გაიცემოდა იჯარის წესით ყველა მსურველზე. საიჯარო ქირა ჩვეულებრივ შეადგენდა მოსავლის 1/3 ნაწილს. სატაძრო მიწებიდან მიღებული შემოსავალი ხმარდებოდა საკუთრივ კულტის მსახურებასთან დაკავშირებული საჭიროებებისა და ნაწილობრივ სამეფო სახლის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

მეურნეობის საწარმოო საქმიანობას უძღვებოდა სპეციალური თანამდებობის პირი ნუბანდა. მასვე ევალებოდა ჩატარებული სამუშაოების შესახებ ანგარიშების შედგენაც. ასეთ ანგარიშებში ჩვეულებრივ მითითებულია სამუშაოს ხასიათი, დასაქმებული მუშახელის რა-

ოდენობა თითოეულის სახელისა და პროფესიის ან სოციალური მდგომარეობის ჩვენებით. მითითებულია, თუ რა სახისა და რა რაოდენობის მარცვალი, ზეთი ან მატყლი გაიცა მუშახელზე. ასეთი საბუთების შედგენას უშუალოდ ნუბანდას ზედამხედველობით მომუშავე სპეციალური მდივან-მწერლები აწარმოებდნენ. ისინი სარგებლობდნენ მუშათა ცალკეული რაზმების უფროსების, ე. წ. უგულების მიერ მოწოდებული ჩანაწერებით. საბუთს ჩვეულებრივ ხელს აწერდა ნუბანდა და შემდგენელი მდივან-მწერალი.

მსგავსი ორგანიზაცია და სამუშაოთა წარმოების ასეთივე წესი დამახასიათებელი იყო საკუთრივ სახელმწიფო მეურნეობისთვისაც, რომელიც თავდაპირველად სატაძრო მეურნეობისაგან დამოუკიდებლად არსებობდა. მხოლოდ მოგვიანებით, ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევარში, კერძოდ კი აქადისა და ურის III დინასტიების ძლიერი მეფეების დროს მოხდა სატაძრო და სახელმწიფო მეურნეობების შერწყმა ერთ მთლიან სამეურნეო ორგანიზმად. ასეთ მეურნეობებში, რომლებიც დაქვემდებარებული იყო სახელმწიფოს უმაღლესი გამგებლის — მეფის ხელისუფლებისადმი, ძირითადად მუშაობდა თავისუფალი მუშახელი სავალდებულო ბეგარის ანდა თვიური ანაზღაურების წესით. როგორც ზემოთ მივუთითეთ, ასეთ მეურნეობებში გამოყენებული იყო აგრეთვე მონების, ძირითადად კი მონა ქალთა შრომაც, მაგრამ ძალზე მცირე მასშტაბით.

შუამდინარეთში აღმოცენებული ადრეული პოლიტიკური გაერთიანებების მთავარ ფუნქციას შეადგენდა სარწყავი სისტემის ორგანიზაცია. ძველი შუამდინარეთის მეფეები სამხედრო ოპერაციებთან ერთად სიამაყით მოგვითხრობენ მათი ხელმძღვანელობით ჩატარებული საირიგაციო სამუშაოების, კერძოდ, სარწყავი არხების გაყვანის შესახებ. ასეთი ფუნქცია იყო ამავე დროს მთავარი გამპირობებელი მიზეზიც პოლიტიკური გაერთიანებების შესაქმნელად.

ცალკეული პოლიტიკური გაერთიანების სათავეში იდგა მმართველი სხვადასხვა ტიტულით. ჯემთედ-ნასრის ეპოქის დროინდელ წარწერებში მმართველის ტიტულად გვხვდება ე ნ. მშვიდობიანობის დროს ე ნ აერთიანებდა მოცემულ ოლქში უმაღლესი ქურუმისა და მეთაურის ფუნქციებს. მოგვიანებით ეს ფუნქციები შეითვისა მმართველმა, რომლის ტიტულია უკვე ე ნ ს ი, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „(ტაძრის) საძირკვლის ჩამყრელს". აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ თავდაპირველად მისი მთავარი ფუნქცია იყო ადგილობრივი ღვთაების კულტის სამსახურისა და მასთან დაკავშირებული საქმიანობის ხელმძღვანელობა. ჩვეულებრივ, სხვადასხვა ენსის სახელით შედგენილ წარწერებში უმთავრესად ლაპარაკია სწორედ ტაძრების მშენებლობის შესახებ. რა თქმა უნდა, იგი იყო აგრეთვე ქვეყნის პოლიტიკური და ეკო-

ნომიკური ცხოვრების მეთაურიც. ცნობილია მმართველის ასეთი სახელწოდებაც: ლ უ გ ა ლ ი, რაც ნიშნავს „დიდ კაცს". თავდაპირველად იგი არჩევითი თანამდებობა უნდა ყოფილიყო, რომელსაც ევალებოდა განსაზღვრული ვადით თემის ან ოლქის სამხედრო საქმეების ხელმძღვანელობა. მომდევნო ხანებში ამ ტერმინმა ახალი შინაარსი შეიძინა. ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევარში იგი იხმარებოდა მხოლოდ შეუზღუდველი მმართველის — მეფე-დესპოტის — მნიშვნელობით.

§ 4. ქალაქ-სახელმწიფოები ძვ. წ. III ათასწლეულის შუამდინარეთში

აღნიშნული ხანის შუამდინარეთი დაფარული იყო მცირე სიდიდის ქალაქ-სახელმწიფოებით. ეს ტერმინი ჩვეულებრივ იხმარება ისეთი პოლიტიკური ერთეულის მიმართ, რომლის ცენტრია ქალაქი; მისი მეთაური ენსი ან ლუგალი ავრცელებს თავის ხელისუფლებას საკუთრივ ქალაქსა და მის ირგვლივ მდებარე ტერიტორიაზე. ასეთი პოლიტიკური გაერთიანებები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობდნენ. მათ შორის გამუდმებული ბრძოლა წარმოებდა პირველობისათვის. ჩვენამდე მოაღწია მოგვიანებით შედგენილმა „მეფეთა სიებმა"; რომელთა მონაცემებით ცნობილი ხდება, თუ შუამდინარეთის რომელი ქალაქის მეთაურობით იყო შექმნილი მსგავსი პოლიტიკური ერთეულები. ქრონოლოგიურად ყველაზე უძველესი ქალაქი იყო ერიდუ, სადაც, გადმოცემის თანახმად, პირველად გაჩნდა საშეფო ხელისუფლება. ისტორიულ ხანაში ერიდუ აღარ ასრულებდა აქტიურ როლს შუამდინარეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. სამაგიეროდ წინა პლანზე გამოდის ქალაქი ური, რომელმაც ე. წ. ადრედინასტიურ ხანაში, რაც ქრონოლოგიურად ემთხვევა ძვ. წ. III ათასწლეულის I ნახევარს, მიაღწია დიდ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძლიერებას, რაზედაც მეტყველებს 20-იან წლებში მისი ნანგრევების ადგილას ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი მდიდარი მატერიალური კულტურა, რომელიც აღმოჩნდა ურის I დინასტიის მმართველთა სამარხებში.

მეფეთა სია გვამცნობს, რომ ქალაქ ურუქში მეფობდა გილგამეში, რომლის პიროვნების ირგვლივ მომდევნო საუკუნეებში შეიქმნა მთელი ციკლი ლეგენდებისა. ერთ-ერთი ასეთი შუმერული გადმოცემის გვიანდელ ჩანაწერში მოთხრობილია გილგამეშსა და ქიშის მეფე აგას შორის გამართულ ბრძოლაზე. ქრონოლოგიურად ეს უნდა იყოს დაახლოებით ძვ. წ. XXVII ს. ამბები. გადმოცემაში ნათქვამია: ქიშის მეფემ, რომელიც ჰეგემონობის პრეტენზიას აცხადებდა მთელს შუამდინარეთზე, ელჩები მიუგზავნა გილგამეშს და მოითხოვა მისგან მორ-

ჩილება. გილგამეში შეეკითხა უხუცესთა საბჭოს, დავემორჩილოთ ქიშის მეფე აგას და ვთხაროთო მისთვის ჭები და არხები, თუ შეეებრძოლოთ მას იარაღითო. უხუცესები პირველი წინადადების მომხრენი არიან. მაშინ გილგამეში მიმართავს გურუშთა, ე. ი. მოქალაქეთა კრებას მსგავსი შეკითხვით. გურუშები თანახმანი არიან შეებრძოლონ აგას იარაღით. შემდეგ მოდის თხრობა უშუალოდ ბრძოლის შესახებ. როგორც ჩანს, ბოლოს ყველაფერი ეს დამთავრდა გილგამეშსა და აგას შორის ზავის დადებით. ჩვენ მოვიყვანეთ ამ მითის შინაარსი იმის საჩვენებლად, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ადრეული ხანის პოლიტიკური გაერთიანების ცხოვრებაში წინა ეპოქებიდან გადმონაშთის სახით შემორჩენილ, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ ავტორიტეტულად თავშემონახულ სახალხო მმართველობის ორგანოებს. მეფე ვალდებულია შეეკითხოს მათ რაიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების დროს, მაგრამ არაა ვალდებული დაემორჩილოს უხუცესთა საბჭოს გადაწყვეტილებას. ეს მნიშვნელოვანი ფაქტი მიგვანიშნებს იმაზე, რომ დაიწყო მეფის შეუზღუდველი, დესპოტური ხელისუფლების ჩამოყალიბება.

§ 5. ლაგაშის აღზევება, ბრძოლა სამხრეთ შუამდინარეთის გაერთიანებისათვის

ლაგაშის მმართველთა მრავალრიცხოვან წარწერებში და ამ ქალაქის სატაძრო არქივებიდან მომდინარე სამეურნეო ტექსტებშია შემონახული მრავალი ძვირფასი ცნობა, რის მოშველიებითაც შეგვიძლია თვალი გავადევნოთ ამ ძლიერი პოლიტიკური გაერთიანების ისტორიული განვითარების გზას რამდენიმე საუკუნის მანძილზე.

დაახლოებით ძვ. წ. 2500—2370 წწ. ლაგაშს მართავდნენ ძლიერი მეფეები, რომლებმაც შეძლეს მნიშვნელოვანი ტერიტორიის გაერთიანება თავიანთი ხელისუფლების ქვეშ. ამ მეფეთა დინასტიის დამაარსებლად ითვლება ურნანშე. მისი სახელით შედგენილ წარწერებში, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს, ძირითადად საუბარია ურნანშეს საღმშენებლო საქმიანობის შესახებ. ამ ეპოქის ერთ-ერთ ბარელიეფზე გამოსახულია თვით ენსი თავის ოჯახის წევრებთან და კარის დიდებულებთან ერთად. ურნანშეს, რომელიც მიუძღვის საზეიმო პროცესიას, მიაქვს აგურები თავზე დადგმული კალათით. ამით ხაზი აქვს გასმული იმ გარემოებას, რომ ენსი, რომელიც თავისი მოღვაწეობის მთავარ მიზნად მიიჩნევს ტაძრების მშენებლობას, თვითონ ღებულობს მონაწილეობას ერთ-ერთი მათგანის საძირკვლის ჩაყრის საზეიმო ცერემონიალში.

ლაგაშმა სამხედრო ძლიერებას მიაღწია ურნანშეს შვილიშვილის ეანათუმის ზეობაში. მის წინამორბედ მმართველთა დროს ლაგაში იმყოფებოდა ქიშის მეფე მესილიმას ხელქვეით. ენერგიული მოქმედებით ეანათუმმა არა მარტო შეძლო ქიშის მორჩილებისაგან გათავისუფლება, არამედ მალე კიდევაც დაიპყრო და შეიერთა ეს სამეფო.

განსაკუთრებით ხანგრძლივ ბრძოლას აწარმოებდა იგი უმას მეფე უშის წინააღმდეგ. ამ ორ ქალაქს გამუდმებული შუღლი და ბრძოლა ჰქონდათ ურთიერთ შორის სასაზღვრო ნაყოფიერი სარწყავი ველის გუედენას გამო. იგი ხელიდან ხელში გადადიოდა. ამჯერად კონფლიქტი დაიწყო უმას მხრიდან. მისმა მმართველმა, ეყრდნობოდა რა მეზობელი ქალაქების — ოპისისა და ქიშის — მხარდაჭერას, მოთხარა სასაზღვრო ბოძები, მიისაკუთრა ველი და შეიარაღებული რაზმით შოადგა ლაგაშის საზღვრებს. ქალაქის კედლებთან გამართულ ბრძოლაში ეანათუმმა სასტიკი დამარცხება აგემა მოწინააღმდეგეს. მან გაანადგურა მოკავშირეთა რაზმები და შეიჭრა ქალაქ უშას საზღვრებში. ეანათუმმა გუედენასთან ერთად შეიერთა სხვა ნაყოფიერი ველებიც, რომელთა სახელწოდებანი ჩამოთვლილია ამ ამბებისადმი მიძღვნილ სპეციალურ წარწერაში. ეს წარწერა გაკეთებულია ე. წ. „ძერათა სტელაზე". ქვის ამ მოზრდილმა ფილამ ასეთი სახელწოდება იმიტომ მიიღო, რომ მასზე გამოსახულია მტრის გვამებით მოფენილი ბრძოლის ველი, რომელსაც თავს დასტრიალებს ძერათა გუნდი. იქვეა წარმოდგენილი შეტაკების დროს დაღუპულ ლაგაშელ მეომართა დასაფლავებისა და სამხედრო ტყვეთა მსხვერპლად შეწირვის სცენებიც. სტელაზე გამოსახულია თვითონ გამარჯვებული ეანათუმი, რომელიც ეტლით მიუძღვის წინ ოთხ მწკრივად დაწყობილ თავის ჯარს. აღნიშნული სტელა უძველესი ბარელიეფური ხელოვნების შესანიშნავ ძეგლს წარმოადგენს. მას აქვს აგრეთვე წმინდა ისტორიული ღირებულებაც, რამდენადაც იგი წარმოდგენას გვაძლევს იმდროინდელი სამხედრო ხელოვნების შესახებ. როგორც აღნიშნული ბარელიეფის გამოსახულებიდან ჩანს, ამ ეპოქის დროინდელი მეომრები შეირაღებულნი იყვნენ გრძელი შუბებით. თავს უფარავდათ ლითონის, ულუველად, სპილენძის მრგვალი მუზარადები. ცნობილი იყო აგრეთვე ოთხთვლიანი საომარი ეტლებიც, რომლებშიაც ებამდნენ ვირებს.

ეანათუმმა ასეთივე ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა სხვა მეზობელი ქალაქების მმართველებზედაც. დაიმორჩილა და თავის საგამგეოს საზღვრებში მოაქცია ოდესღაც ძლიერი ურის სამეფო, ხოლო ურუქის, ლარსისა და ერიდუს შემოერთებით დაამთავრა მთელი სამხრეთ შუამდინარეთის გაერთიანება. ამ გარემოებამ საშუალება მისცა ეანათუმს გაეფართოებინა დაპყრობათა არე, მან წარმატებით სძლია

ჩრდილოეთ შუამდინარეთში მდებარე ქიშისა და ოპისის მმართველებს. ერთ-ერთ თავის წარწერაში იგი სიამაყით მოგვითხრობს შუამდინარეთის აღმოსავლეთით მდებარე ელამის ქვეყანაზე მოპოვებული გამარჯვების შესახებაც.

აქტიურ სამხედრო პოლიტიკას ახორციელებდა ეანათუმის შვილიშვილი ენთემენაც.

საკმაოდ ფართო მასშტაბით წარმოებული სამხედრო ოპერაციები მოითხოვდნენ დიდ რესურსებს, რომელიც ძირითადად იფარებოდა მოსახლეობისაგან აკრეფილი გადასახადებით. მაგრამ როცა დამთავრდა აქტიური საგარეო პოლიტიკის ეპოქა, გადაიარა ბრძოლების ექომ და დადგა მშვიდობიანობის პერიოდი, ლაგაშის მმართველები და საზოგადოების მაღალი, არისტოკრატიული წოდება როდი აცხადებდა უარს გადასახადების გაზრდაზე, პირიქით, იგონებდნენ ახალ-ახალ საშუალებებს მოსახლეობისა და ქურუმებისაგან მეტი თანხების გამოძალვის მიზნით. ამან ყოველ ზომას გადააჭარბა ლუგალანდას მეფობის დროს (ძვ. წ. XXV ს. 80-იანი წლები). პირველი შეტევა სამეფო კარისაგან განიცადა სატაძრო ქონებამ. მეფეს ყოველთვის თვალი ეჭირა ამ სიმდიდრისაკენ და ცდილობდა ხელში ჩაეგდო იგი, როგორც ჩანს, ლუგალანდამ მიაღწია კიდევაც ამას; ამ პერიოდის საბუთებში ქალღმერთ ბაბას უმდიდრესი სატაძრო მეურნეობა მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონებით იწოდება დედოფალ ბარნამთარას საკუთრებად. ამიერიდან ქურუმები ვალდებულნი იყვნენ გამოეყვანათ პირუტყვი და ტაძარზე დამოკიდებული მოსახლეობა ენსის მეურნეობაში სამუშაოდ. ამავე დროს მათ ევალებოდათ მნიშვნელოვანი სიდიდის გადასახადების გადახდაც სამეფო კარის სასარგებლოდ. ყოველივე ეს ზრდიდა კანონიერი უკმაყოფილების გრძნობას ქურუმთა წრეში, რომელიც თანდათანობით უპირისპირდებოდა სამეფო ხელისუფლებას.

ლუგალანდას საგადასახადო პოლიტიკა შეუზღუდავად და ყველაზე მახინჯ ფორმებში ხორციელდებოდა მოსახლეობის თართო მასების მიმართ. როგორც გვამცნობს ამ ამბების თანადამსწრე ისტორიკოსი, მეფის ზედამხედველები დაძრწოდნენ თევებში და ძარცვავდნენ მოსახლეობას გადასახადების აკრეფის საბაბით. გადასახადები შეაწერეს ყველას: მეთევზეებს, მწყემსებს, თევზის სარეწებს და, რა თქმა უნდა, რიგით მეთემეებს. მოქმედებდა ასეთი კანონიც: მეფისა და მისი პირველი კარისკაცის სასარგებლოდ საკმაოდ მოზრდილი თანხა უნდა გადაეხადა მამაკაცს, რომელიც გაეყრებოდა ცოლს. მწყემსი, რომელიც მიიყვანდა ცხვარს გასაკრეჭად სასახლეში, იხდიდა განსაზღვრულ თანხას, მაგრამ უფრო მეტს, თუ ცხვარი თეთრი იყო. როცა მიცვალებულს მიიტანდნენ სასაფლაოზე, აქ ჭირისუფალს ხვდებოდა

მთელი ჯგუფი მოხელეებისა და გადასახადის ამკრებლებისა, რომლებიც სხვადასხვა მაქინაციებით გამოძალავდნენ მიცვალებულის ნათესავებსა და ახლობლებს შეტ პურს, ლუდსა და სხვ., ვიდრე ეს იყო გათვალისწინებული ადრე მოქმედი კანონით. ეს გარემოებანი აუტანელს ხდიდა ფართო მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ღარიბთა და ქვრივ-ობოლთა, ცხოვრების პირობებს.

შექმნილი მდგომარეობით ისარგებლა ლაგაშის წარჩინებულთა წრიდან გამოსულმა ერთ-ერთმა პირმა, სახელად ურუქაგინამ (ურუინიმგინამ), და მოსახლეობის საერთო უკმაყოფილება წარმართა სამეფო კარის წინააღმდეგ. მოხდა ისე, რომ უკმაყოფილების აჯანყებაში გადაზრდის გარეშე ლუგალანდა აიძულეს ტახტიდან გადამდგარიყო. როგორც ზოგიერთი არაპირდაპირი ცნობიდან ჩანს, ყოფილი მეფე და დედოფალი სხვა მხრივ არ დაუსჯიათ. სამეფო ხელისუფლება მიიღო ურუქაგინამ დაახლ. ძვ. წ. 2370 წ.

ურუქაგინა, როგორც არამეფური წარმომავლობის პირი, ხელისუფლებას სათავეში მოექცა ფართო სახალხო მასებსა და ქურუმთა წრეზე დაყრდნობით. ამდენად იგი ტახტზე ასვლისთანავე გახდა იძულებული გაეტარებინა რეფორმები, რომლებიც ითვალისწინებდნენ მოსახლეობისა და ქურუმთა მდგომარეობის გაუმჯობესებას. თავისი ხანმოკლე მოღვაწეობის განმავლობაში (სულ იმეფა 6 წელი), მან მოასწრო საკმაოდ ეფექტური რეფორმების გატარება. პირველ რიგში გააუქმა არსებული საგადასახადო სისტემა. როგორც რეფორმის ტექსტშია ნათქვამი, ურუქაგინამ უკან გამოიწვია გადასახადების ამკრეფნი, დატოვა რა ზოგიერთი მათგანი მხოლოდ თემებში. აიკრძალა ის ძალმომრეობა, რასაც დაბალი მასები განიცდიდნენ არისტოკრატიული წრის წარმომადგენელთა მხრივ. რეფორმის ტექსტში ერთ ასეთ საინტერესო კანონს ვხვდებით: თუ ღარიბი კაცის სახლი აშენებულია მდიდრის სახლის გვერდით და ეს უკანასკნელი მოინდომებს მეზობლის სახლის მითვისებას, ეტყვის მას: „მე მინდა ვიყიდო შენი სახლი“; თუ ღარიბი მოითხოვს თანხას, რომლის გადახდას არ მოისურვებს მდიდარი, მას არა აქვს უფლება იხმაროს ძალდატანება ღარიბის მიმართ.

ურუქაგინამ ქალაქიდან განდევნა მევალეები, ქურდები და მკვლელები. იგი სიამაყით აცხადებს, რომ ამიერიდან არაფერი დაეკარგება ქვრივსა და ობოლს, ვერავინ გამოსძალავს მათ, მოსახლეობა გათავისუფლდება სავალო კაბალისაგან, გაძარცვისა და მკვლელობისაგან; ხალხს მისცა მან თავისუფლება. ტექსტში ნათქვამია, რომ ყოველივე ამის უზრუნველსაყოფად მან ღვთაება ნინგირსუსთან დადებული პირობა გამოსცა კანონების სახით. სამწუხაროდ, ეს კანონები ჩვენამდე არაა მოღწეული. შეიძლება იგი გაანადგურეს ძველ დროში რეფორ-

მით უკმაყოფილო პირებმა ურუქაგინას ტახტიდან ჩამოგდებისთანავე.

რეფორმები გატარდა აგრეთვე ქურუმთა სასარგებლოდაც. ისინი გათავისუფლებულ იქნენ გადასახადებისაგან. სატაძრო ქონება გამოცხადდა ხელშეუხებლად, თუმცა მთლიანდ მაინც ვერ დათმო იგი მეფემ. თუ წინათ სატაძრო მეურნეობის შესახებ საბუთებში წერდნენ: „ლაგაშის მეფის ლუგალანდას შეუღლის ბარნამთარას მეურნეობა", ახლა დაიწყეს წერა: „ქალღმერთი ბაბას მეურნეობა. შაშა, ლაგაშის მეფის ურუქაგინას მეუღლე". ასე რომ, ამ სფეროში წინანდელთან შედარებით ბევრი არაფერი შეცვლილა.

გვაროვნული წყობილების ზოგიერთი გადმონაშთის აღმოფხვრის მიზნით გატარდა რეფორმა საოჯახო სამართლის დარგშიც. განზრახული იყო კიდევ უფრო მნიშვნელოვანი რეფორმების გატარება გვაროვნული არისტოკრატიის საბოლოოდ დასუსტების მიზნით, მაგრამ შინაგანმა და გარეშე რეაქციულმა ძალებმა ადრე შეწყვიტეს რეფორმატორი მეფის მოღვაწეობა.

ფართო რეფორმატორულ საქმიანობასთან ერთად ურუქაგინა აწარმოებდა დიდი მასშტაბის მშენებლობებსაც. მის დროს გაყვანილ იქნა არხები, აიგო სასახლეები და ტაძრები ლაგაშში, გამაგრებულ იქნა ცენტრალური უბნის გირსუს კედლები. ეს უკანასკნელი ღონისძიება გამიზნული იყო იმისათვის, რომ გარედან თავდასხმის შემთხვევაში. რის საფრთხესაც თავიდანვე გრძნობდა მეფე-რეფორმატორი, აემაღლებინა ქალაქის თავდაცვისუნარიანობა. ეს საფრთხეც მალე შეიქმნა. შემოტევა დაიწყო უმას მეფე ლუგალზაგესმა, ქალაქის მოსახლეობის ნაწილი, კერძოდ მდიდრები და მევახშეები, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ რეფორმებით, მხარს უჭერდა მტერს. ეს ის ფენა იყო, რომელიც კარზე მომდგარი მეზობლის — ქალაქ უმას მმართველ ლუგალზაგესისათვის წარმოადგენდა „მეხუთე კოლონას". ეს ფენა ცდილობდა დამარცხებულიყო ურუქაგინა, რომელსაც თან გადაჰყვებოდა მისი რეფორმებიც. შექმნილმა რთულმა ვითარებამ შესაძლებლობა მისცა ლუგალზაგესს შეჭრილიყო ქალაქში ურუქაგინას შეფობის მეექვსე წელს. მეფე-რეფორმატორი ტახტიდან იქნა ჩამოგდებული, ხოლო ქალაქი ლაგაში მტერმა საშინლად ააოხრა. ამ დროს ნაწილობრივ გაუქმდა რეფორმები და, უნდა ვიფიქროთ, გაანადგურეს ურუქაგინას კანონების ფირფიტებიც.

ურუქაგინას მომხრე მწერალი ამ მისთვის სამწუხარო მოვლენისადმი მიძღვნილ ელეგიაში წერს: „უმას ხალხმა ლაგაშის განადგურებით შეცოდეს ნინგირსუს წინაშე. მათი წილხვდომილი ძლიერება წარეტაცება მათ. ,ურუქაგინას, ლაგაშის მეფეს, ბრალი არაფერში

მიუძღვის. რაც შეეხება ლუგალზაგესს, უმას მმართველს, დაე, მისმა ქალღმერთმა ნისაამ ზიდოს მისი ცოდვის სიმძიმილი".

უმას მეფე ლუგალზაგესის შორს გამიზნული დაპყრობითი პოლიტიკა არ შეიძლებოდა შეჩერებულიყო ლაგაშის საზღვრებში. მომდევნო წლებში მან წარმატებით სძლია სამხრეთ შუამდინარეთის მთელი რიგი ქალაქების მმართველებს და შემოიერთა ურუქი, ლარსა და ადაბი. ამის შემდეგ ლუგალზაგესმა მიიღო ურისა და ურუქის მეფის ტიტული. იგი აცხადებდა ჩრდილოეთ შუამდინარეთზე გაბატონების პრეტენზიასაც, რის სისრულეში მოყვანის მიზნით ჯერ კიდევ თავისი მეფობის დასაწყისში გაილაშქრა ჩრდილოეთით მდებარე ქალაქების წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ მან სასტიკი დამარცხება აგემა ქიშის მეფე უზარბაბას, ლუგალზაგესმა მაინც ვერ შეძლო ამ მხარეში გაბატონება. ადგილობრივი სემიტები, რომლებიც უკვე საკმაოდ ძლიერ ‘ძალას წარმოადგენდენ ჩრდილოეთ შუამდინარეთში, არ აძლევდნენ ლუგალზაგესს ამის საშუალებას.

ძლიერი პიროვნების ხელქვეით მთელი სამხრეთი შუამდინარეთის ეს ახალი გაერთიანება უდავოდ იყო პროგრესული მნიშვნელობის ფაქტი. უპირველეს ყოვლისა, ამაღლდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, რამაც თავის მხრივ განაპირობა საალმშენებლო საქმიანობის ფართოდ წარმოების შესაძლებლობა. გაყვანილ იქნა ახალი არხები, გაიწმინდა და გაფართოვდა ძველი. ური და ურუქი, რომლებიც ახალი გაერთიანების ადმინისტრაციულ ქალაქებს წარმოადგენდნენ, დამშვენდა ლამაზი შენობებით. ლუგალზაგესი, როგორც გვამცნობს ერთ-ერთ წარწერაში, თავისი მოღვაწეობის მთავარ შედეგად თვლიდა იმ გარემოებას, რომ „ქვეყანა სიმშვიდეში ცხოვრობდა და მინდვრები ირწყვებოდა უხვი წყლით".

ლუგალზაგესის მეფობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ისტორიის ასპარეზზე გამოვიდა ახალი ძალა — ჩრდილოეთ შუამდინარეთში შექმნილი სემიტი ტომების გაერთიანების მეთაური, აქადის მეფე სარგონი. შუამდინარეთის მიწა მალე ვიწრო აღმოჩნდა ამ ორი ძლიერი მმართველისათვის. მათ შორის შეტაკება გარდუვალი გახდა. კიდევაც დაიწყო ბრძოლა, რომელშიაც გამარჯვებული გამოვიდა სარგონი. მას ისტორია იცნობს სარგონ ძველის, ანუ სარგონ აქადელის სახელით.

§ 6. შუამდინარეთი აქადის დინასტიის ხანაში

ჩრდილოეთ შუამდინარეთში სემიტი ტომები, როგორც ცნობილია, მოსახლეობდნენ ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისიდან. იქ, სადაც ტიგროსი და ევფრატი ყველაზე უფრო უახლოვდებიან ერთმა-

ნეთს, ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებში აღმოცენდა სემიტური ქალაქი აქადი. იგი მდებარეობდა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიმავალ სავაჭრო გზაჯვარედინზე, რამაც ხელი შეუწყო მის სწრაფ დაწინაურებას. აქადი შედარებით მალე გახდა სემიტური ჩრდილოეთის პოლიტიკური ცენტრიც, რომლის მმართველთა ხელქვეით გაერთიანდა კიდეც მთელი შუამდინარეთი.

აქადის ძლიერი დინასტიის პირველი წარმომადგენელია სარგონი (2369—2314 წწ). იგი თავისი ეპოქის გამოჩენილი პიროვნება და ფართო მასშტაბის მოღვაწე იყო, რამაც განაპირობა მისი სახელის განსაკუთრებული პოპულარობა ძველ დროშივე. სარგონის პიროვნებასთან დაკავშირებით შეიქმნა მთელი ციკლი ლეგენდებისა, რომელმაც დაფარა ზოგიერთი ისტორიული ჭეშმარიტება და სამუდამოდ უცნობი გახადა ჩვენთვის. ერთ-ერთ მათგანში მოთხრობილია სარგონის ბავშვობის წლებზე და მისი მეფედ გახდომის შესახებ. თხრობა აქ პირველ პირში მიდის, რითაც ლეგენდის გვიანდელ ჩამწერს უნდოდა შეტი დამაჯერებლობა მიეცა ამბისათვის. სარგონის მამის სახელი ლეგენდამ არ იცის. მისი დედა იყო ღარიბი ქალი, რომელსაც არ გააჩნდა ბავშვის აღზრდის საშუალება. ამის გამო იგი იძულებული გახდა ბავშვი ჩაესვა კალათაში და ჩაედგა ევფრატის სანაპიროზე ლერწმის კორომში. ბავშვი იპოვა წყლის მზიდავმა აქიმ, რომელმაც გაზარდა იგი და შეასწავლა მებაღეობა. შემდეგ პოემაში ნათქვამია, რომ ახალგაზრდა სარგონი შეიყვარა ქალღმერთმა იშთარმ, რომელმაც იგი მეფედ დასვა ქალაქ აქადში. მოგვიანებით შედგენილ მეფეთა სიებში სარგონი იხსენიება მებაღედ, რომლისთვისაც ქიშის მეფე ურზაბაბას თავის კარზე მერიქიფის თანამდებობა უბოძებია. ეს არის და ეს, რაც ვიცით სარგონის ცხოვრების ადრეულ წლებზე. ყოველ შემთხვევაში, აშკარაა, რომ იგი არ იყო მეფური წარმომავლობის პირი და რომ ხელისუფლების სათავეში მოექცა, უნდა ვიფიქროთ, უზურპაციის გზით ურზაბაბას კარზე მომხდარი რომელიღაც არეულობის დროს. სავარაუდოა, რომ ეს შემთხვევა უკავშირდებოდეს ქალაქ ქიშზე ლუგალზაგესის ლაშქრობისა და ურზაბაბას დამარცხების ამბებს. აქადში გამაგრებულმა სარგონმა თავი გამოაცხადა მეფედ და დაირქვა შარუქინი, რაც ნიშნავს „ჭეშმარიტ მეფეს". სახელი სარგონი ამ უკანასკნელისაგან ვომდინარე ბიბლიური ფორმაა. ოფიციალურ წარწერებში სარგონი არსად მიუთითებს თავის მეფურ წარმომავლობაზე. ერთ-ერთ მათგანში ვკითხულობთ: „ღვთაება ენლილმა მისცა შარუქინს, აქადის მეფეს, ...სამეფო ხელისუფლება ზენო ზღვამდე (ხმელთაშუა ზღვა)". ეს განცხადებაც, სარგონის ზედწოდება შარუქინიც და ლეგენდის მონათხრობიც მისი მეფედ გახდომის შესახებ ემსახურე-

ბიან ერთ მიზანს: დაასაბუთონ სარგონის ხელისუფლების კანონიერება.

მეფობის დასაწყისშივე სარგონმა მახვილი მიმართა ქიშის წინააღმდეგ. ლუგალზაგესისაგან დამარცხებული და დასუსტებული ქიშის დაპყრობა სარგოს არ გასჭირვებია. თავისთავად ეს იყო მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი; ქიშზე გაბატონება აქადის მმართველისათვის ნიშნავდა მთელს ჩრდილო შუამდინარეთზე ჰეგემონობის მოპოვებას, ხოლო, მეორე მხრივ, ეს ხელს უხსნიდა სარგონს ფართო საბრძოლო ოპერაციების ჩასატარებლად სამხრეთზე გაბატონების მიზნით. დღის წესრიგში დგებოდა ბრძოლის აუცილებლობა ლუგალზაგესის წინააღმდეგ, რომელიც მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენდა მიზნის განხორციელების გზაზე. ლუგალზაგესთან ბრძოლის დაწყების საბაბი, როგორც ყოველთვის, ახლაც ადვილად იქნა გამონახული. სამხრეთის ამ ძლიერმა მბრძანებელმა უარი უთხრა სარგონს დამოყვრებაზე, რაც საკმაო მიზეზი იყო ბრძოლისათვის გამზადებული აქადელი მეფისათვის. დაიწყო ომი, რომელიც სარგონის წარწერათა ცნობების მიხედვით, დამთავრდა ლუგალზაგესისა და მისი მოკავშირეების სრული განადგურებით. თვითონ ლუგალზაგესი ტყვედ იქნა წაყვანილი, სარგონმა იგი გაატარა ღვთაება ენლილის ჭიშკარში. ჩანს, თავისი მთავარი მოწინააღმდეგე მან მსხვერპლად შესწირა შუმერული პანთეონის ერთ-ერთ უმაღლეს ღვთაებას. ამის შემდეგ წინ იდო შუამდინარეთის სამხრეთით მდებარე ქალაქების — ლუგალზაგესის მომხრეთა ახალი კოალიციის — დამარცხების ამოცანა. სარგონმა მოკავშირეთა რაზმები პირველი შეტაკებისთანავე გაანადგურა, რომლის შემდეგაც მან დაიპყრო ქალაქები ური და ლაგაში, აქადის ლაშქარმა მიაღწია „ქვემო ზღვის“ (სპარსეთის ყურის) ნაპირებს და გამარჯვების ნიშნად სარგონმა თავისი ძლევამოსილი მახვილი ამოავლო ზღვის ტალღებში. ამგვარად გაერთიანდა მთელი შუამდინარეთი. შეიქმნა მანამდე არნახული სიდიდისა და სიძლიერის სახელმწიფო, რომლის საზღვრები სპარსეთის ყურიდან გადაჭიმული იყო ჩრდილო-დასავლეთით სირიის საზღვრებამდე.

რამ განაპირობა სარგონის ასეთი სწრაფი და ძლევამოსილი გამარჯვება? — უპირველეს ყოვლისა, ახალი არმიის ორგანიზაციამ. სარგონმა შექმნა 5400 კაცისაგან შემდგარი მუდმივი ჯარი, რომელიც, ერთ-ერთი წარწერის ცნობის თანახმად, „ყოველდღე სადილობდა მის წინ“. ლაშქრის ძირითადი ბირთვი იყო ფეხოსანთა რაზმი, რომელიც შედგებოდა შუბებითა და საბრძოლო ცულებით შეიარაღებული მეომრებისაგან. თითოეული მებრძოლი შეტევის დროს ამ იარაღთაგან ხმარობდა მხოლოდ ერთ-ერთს. თავდაცვის საშუალებას წარმოადგენდა თავწოწოლა სპილენძის მუზარადი. სარგონის არმია ბრძოლის

დროს გაშლილი მწყობრით უტევდა მოწინააღმდეგეს. მას ჰქონდა ძალზე სწრაფი მანევრირების უნარი.

გამარჯვების მეორე მთავარ პირობას წარმოადგენდა სარგონის პოლიტიკა, რომელიც დიამეტრიულად განსხვავდებოდა მისი მოწინააღმდეგის — ლუგალზაგესის — პოლიტიკისაგან. თუ ეს უკანასკნელი ეყრდნობოდა ძველ, გვაროვნულ არისტოკრატიულ ოლიგარქიას, სარგონი, პირიქით, გამოდიოდა ფართო სახალხო მასების მეთაურად. მის მთავარ დასაყრდენ ძალას წარმოადგენდა ახალი, მასზე ეკონომიურად დამოკიდებული მსახურეული არისტოკრატია, რომელიც ყოველთვის უპირისპირდებოდა გვაროვნულ არისტოკრატიას. სწორედ ამ წოდების პოლიტიკური ძლიერების შემუსვრისაკენ იყო მიმართული სახელმწიფოს ცენტრალიზებული ხელისუფლების შექმნის მიზნით გატარებული სარგონის პოლიტიკა; მან გადააყენა ოლქის ყოფილი მმართველები და მათ ადგილზე დასვა მისი პოლიტიკის განუხრელად გამტარებელი პირები.

სარგონი თავიდანვე გრძნობდა კულტის მსახურთა მხარდაჭერის აუცილებლობას. დიდი გავლენის მქონე წრეში დასაყრდენის მოპოვების მიზნით მან შუმერული პანთეონის ღმერთები გამოაცხადა თავის ღვთაებებად, ხოლო ნიფური — საერთო შუმერული რელიგიური ცენტრი — იმპერიის წმინდა საკულტო ადგილად. ცნობილია სარგონის დიდი ზრუნვა დანგრეული ქიშის აღდგენასა და ტაძრების მშენებლობაზე. ამასთან ერთად მან გაატარა ენერგიული ღონისძიებანიც სატაძრო ქონებისა და მეურნეობის მართვა-გამგეობის სადავეების ხელში ჩასაგდებად. უსათუოდ ამ მიზნით დანიშნა სარგონმა თავისი ქალიშვილი ენხედუანა ქალაქ ურში ღვთაება ნანას ტაძრის მთავარ ქურუმად.

გვაროვნული არისტოკრატიის წინააღმდეგ მიმართულმა პოლიტიკამ საბოლოოდ, როგორც ჩანს, მაინც ვერ გატეხა ეს წოდება. სარგონის ხანგრძლივი მეფობის ბოლო წლებში მის წინააღმდეგ მოხდა აჯანყება. როგორც რამდენიმე არაპირდაპირი ცნობის მიხედვით დგინდება, აჯანყებას სათავეში ედგა სარგონის სწორედ ეს ოპოზიციური წრე. აჯანყებულებმა ალყა შეუკარტყეს მეფეს თავისივე სატახტო ქალაქში. როგორც მოთხრობილია „ქრონიკის ტექსტში, სარგონს ჩაუქრია ეს აჯანყება და ამის შემდეგ ლაშქრობაც კი ჩაუტარებია იმპერიის ჩრდილოეთით მდებარე სუბართუს ქვეყანაში. მალე იფეთქა ახალმა აჯანყებამ, რომელიც შიმშილობის შედეგად ყოფილა გამოწვეული. მისი ჩაქრობა მოხუც სარგონს აღარ დასცალდა. აჯანყების ალში გახვეული ქვეყანა სამეფო მემკვიდრეობად მიიღო მისმა შვილმა რიმუშმა, რომელმაც შეძლო ამ აჯანყების ჩაქრობა.

მისი მეფობის მეცხრე წელს (ზოგიერთი ცნობით, მე-13 წელს)

სასახლეში მოეწყო მეფის საწინააღმდეგო შეთქმულება, რომლის დროსაც რიმუშში მოკლეს თავისივე ქვის საბეჭდავით. იგი შეცვალა მისმა ძმამ მანიშთუშუმ, რომელიც, არაა გამორიცხული, რომ მონაწილეობდა შეთქმულებაში.

მანიშთუშუს მიერ ჩატარებულ სამხედრო ლაშქრობათაგან ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ორი. ერთი ამათგანი განხორციელდა ელამის ოლქების ანშანისა და შერიხუმის წინააღმდეგ. მეორე კი ცნობილია მანიშთუშუს საზღვაო ლაშქრობის სახელით. ჩვენამდე მოაღწია მისი სახელით შედგენილმა ვრცელმა დოკუმენტმა, რომლის ტექსტი წარწერილია ქვის დიდ ოთხწახნაგოვან სტელაზე. იგი მეცნიერებაში ცნობილია „მანიშთუშუს ობელისკის“ სახელით. ამ დოკუმენტში შემონახულია ძვირფასი ცნობები ძველი შუამდინარეთის საადგილმამულო ურთიერთობისა და, რაც მთავარია, თემის შესახებ. მასში, კერძოდ, ლაპარაკია ჩრდილო შუამდინარეთში მდებარე ოთხი საქალაქო თემის ტერიტორიაზე მეფე მანიშთუშუს მიერ ყათემო მიწების შესყიდვის შესახებ. ცნობის თანახმად, შესყიდულ იქნა 1300 ჰექტარზე მეტი მიწა, რომლის გამყიდველებად თემის მხრიდან გამოდიან დიდი გვაროვნული ოჯახების (საოჯახო თემების) მეთაური მამები. ისინი იხსენიებიან „მიწის მეუფეებად“, ე. ი. მფლობელებად. გაყიდვის აქტში თემის მხრიდან მონაწილეობენ აგრეთვე „მიწის მეუფეთა ძმებიც“. ამ ტერმინის ქვეშ, უეჭველად, იგულისხმებიან მიწის გამყიდველი გვარის შემადგენლობაში შემავალი უფრო წვრილი ოჯახების უფროსები, რომლებიც ითვლებიან მიწის თანამფლობელებად. ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ საერთო მფლობელობაში არსებული მიწის გაყიდვა შეიძლებოდა მხოლოდ ყველა მფლობელისა თუ თანამფლობელის თანხმობით.

მანიშთუშუს ობელისკში შემონახული ცნობები წარმოდგენას გვაძლევს თემის სტრუქტურის, მისი მმართველობის ორგანოებისა და ზოგიერთი სხვა საინტერესო საკითხის შესახებ. ცნობილი ხდება, რომ თითოეული საქალაქო თემი შედგებოდა უფრო წვრილი ერთეულების — სასოფლო თემებისაგან, რომლის შემადგენლობაში ერთიანდებოდა ცალკეული გვარები. გვარი იშლებოდა დიდ და მცირე პატრიარქალურ ოჯახებად თუ საოჯახო თემებად, რომელთა უფროსებიც — მამები — შეადგენდნენ ჯერ გვარის, ხოლო შემდეგ თემის უხუცესთა საბჭოს. თითოეულ თემში არსებობდა სახალხო კრებაც, რომელშიც მონაწილეობას იღებდა თემის ყველა სრულწლოვანი მამაკაცი. თემის ამ პოლიტიკურ ორგანოთა ფუნქციების შესახებ ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი და აქ მასზე აღარ შევჩერდებით. აღვნიშნავთ მხოლოდ შემდეგს. მანიშთუშუს ობელისკის ცნობათა მიხედვით. ჩვენთვის ცნობილი ხდება სახალხო კრების კიდევ ერთი საყურადღებო

ფუნქცია, კერძოდ: ცალკეული ოჯახების მფლობელობაში არსებული მიწების გასხვისების საკითხი უნდა განეხილა და დაუმტკიცებინა თემის წევრთა საერთო კრებას, რამდენადაც თემი წარმოადგენდა მის საზღვრებში არსებული ყველა მიწის უმაღლეს მესაკუთრეს.

იმის შესახებ, თუ რა მიზნით შეიძინა მეფემ მიწები ასეთი დიდი რაოდენობით, ტექსტში რაიმე პირდაპირ მითითებას ვერ ვპოულობთ. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს აქტი განხორციელდა სახელმწიფო მიწების ფონდის შესავსებად. ამ ფონდიდან კი მნიშვნელოვანი ნაწილი გაიცემოდა მსახურეული არისტოკრატიის წარმომადგენლებზე სამსახურის პირობით. ასეთი პრაქტიკის არსებობა დამოწმებულია ჯერ კიდევ სარგონის მეფობაშიც. სამეურნეო ხასიათის ტექსტებში არა ერთ და ორ დამატებით ცნობას ვპოულობთ, რის მიხედვითაც აშკარა ხდება, რომ სარგონიდების ეპოქაში მაღალი თანამდებობის პირებს საკმაოდ მოზრდილ ნაკვეთებს (15—20 ჰა) ურიგებდნენ.

მანიშთუშუ ხანმოკლე მეფობის შემდეგ შეცვალა ნარამსუენმა, რომლის ზეობაშიც აქადის იმპერიამ თავისი ძლიერების ზენიტს მიაღწია. წინამორბედთა მსგავსად, მეფობის დასაწყისში ნარამსუენს მოუხდა ქვეყნის შიგნით მის წინააღმდეგ მიმართული აჯანყების ჩაქრობა. აჯანყებას მეთაურობდა ქიშის თვითმარქვია მეფე იფხურქიში, რომელიც ქიშელებს აურჩევიათ თავის მეთაურად ნარამსუენის წინააღმდეგ ბრძოლაში.

იფხურქიშის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ნარამსუენმა დაიწყო აქტიური საგარეო პოლიტიკის განხორციელება. მან არნახულად გაფართოვა დაპყრობათა არე. ჩრდილოეთის მიმართულებით ჩატარებული ერთ-ერთი ლაშქრობის დროს მას მიუღწევია ევფრატის სათავემდეც კი, რასაც მოწმობს დღევანდელი დიარბექირის ახლოს აღმოჩენილი ბაზალტის ქვის სტელა ნარამსუენის გამოსახულებითა და მისი წარწერის ფრაგმენტით. ასევე წარმატებით მიაღწია მან ფინიკიის დასავლეთ საზღვარს. ნარამსუენის ძლიერი მახვილი მისწვდა მცირე აზიის შორეულ ოლქებსაც კი, სადაც მან დაამარცხა ადგილობრივ მმართველთა საკმაოდ ძლიერი კოალიცია. შუამდინარეთიდან მცირე აზიისაკენ მიემართებოდა ამ დროისათვის ყველაზე დიდი სავაჭრო-საქარავნო გზა, რომლის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ჩატარდა, ალბათ, ნარამსუენის ეს შორეული და ძალზე სარისკო ლაშქრობა. მისმა მეომრებმა დაარბიეს დასავლეთით მდებარე მაგანის ქვეყანა, საიდანაც შუამდინარეთში შემოჰქონდათ ძვირად ღირებული შავი დიორიტის ქვა, ხოლო აღმოსავლეთში — ელამის მთელი რიგი ოლქები. სუზაში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა ქვის ფილა, რომელზედაც გამოსახულია ძლევამოსილი ნარამსუენი. იგი ამაყად მიუძღვება წინ მთის დაკლაკნილ ბილიკებზე მიმავალ თავის

ჯარისკაცებს. აქვე იპოვეს ძველ ელამურ ენაზე შედგენილი დოკუმენტი, რომლის ტექსტი შეიცავს ნარამსუენისადმი ელამელი მმართველების ფიცს. ისინი წარმოთქვამენ, რომ „ნარამსუენის მტერი ჩვენი მტერია, ხოლო ნარამსუენის მეგობარი — ჩვენი მეგობარიო“.

საყურადღებოა ამ ძლიერი მეფის პოლიტიკა, რომელსაც ახორციელებდა იგი ცენტრალიზებული ხელისუფლების გამტკიცებისა და მმართველობის ბიუროკრატიული აპარატის შექმნის მიზნით. ნარამსუენს არ სწამდა ოლქის მმართველთა მოჩვენებითი ერთგულებისა: მან გადააყენა ბევრი მათგანი, რომელთა ნაცვლად მთელ რიგ ოლქებში მმართველებად განაწესა თავისი ვაჟები ან უახლოესი ერთგული პირები.

ტაძრების მშენებლობა-განახლების საქმისადმი განსაკუთრებული მზრუნველობის გამოჩენითა და ქურუმთა სასარგებლოდ გატარებული ზოგიერთი ღონისძიების მეოხებით ნარამსუენმა უზრუნველყო კულტის მსახურთა მხარდაჭერა. ამის უტყუარი საბუთია ის ფაქტი, რომ ღვთაება ენლილის უფროსი ქურუმი ერთ წარწერაში თავს აცხადებს ნარამსუენის მონად. უეჭველად, ქურუმთა წრეში მომწიფდა აზრი ნარამსუენის სიცოცხლეშივე გაღმერთების შესახებ. დაიწყეს მისი სახელის წერა ღვთაების აღმნიშვნელი დეტერმინატივის დამატებით. თავის ტიტულს — „ქვეყნის ოთხივე მხარის მეფე“ — ნარამსუენმა დაუმატა ახალი ტიტული: „აქადის ღმერთი“. ერთ-ერთ წარწერაში იგი ასეთი ტიტულატურითაა მოხსენიებული: „ღვთაება ნარამსუენი, ძლიერი, ღმერთი აქადისა, ქვეყნის ოთხივე მხარის მეფე“. თავის ვაჟებსაც შესაფერისი სახელები დაარქვა მეფემ; უფროს ვაჟს, რომელმაც შემდეგ შესცვალა მამა სამეფო ტახტზე, უწოდა შარქალიშარი, რაც ნიშნავს „ყველა მეფის მეფეს“, მეორეს კი — ბინქალიშარი — „ყველა მეფის მემკვიდრე“.

ნარამსუენის მეფობის ბოლო წლებში აღმოსავლეთიდან ქვეყნის სიღრმეში შემოჭრა დაიწყეს ზაგროსის მთიანეთში მცხოვრებმა მომთაბარე ტომებმა გუთიებმა (კუთიები). რომელთა წინააღმდეგ ბრძოლაში მიღებული ჭრილობებისაგან გარდაიცვალა ნარამსუენი.

გუთიები შუამდინარეთში ას წელზე მეტ ხანს ბატონობდნენ, (2250—2140 ძვ. წ.), რაც ძალზე ძვირად დაუჯდა ქვეყანას. განსაკუთრებით დაზარალდა ჩრდილო ოლქები. იმდროინდელი წარწერები მოგვითხრობენ მოძალადეთა უღლის სიმძიმისა და აოხრებული ქვეყნის სავალალო მდგომარეობის შესახებ. მოიშალა სარწყავი სისტემა, რის გამოც აღარ ირწყვებოდა მინდვრები. შემცირდა მოსავალი; ხშირი იყო შიმშილობაც. მდინარე ტიგროსზე შეწყდა ნაოსნობა, შუამდინარეთის მოსახლეობა გუთიებმა დაბეგრეს გადასახადებით. ხალხი დამპყრობლებს უწოდებდა „მთის შხამიან გველს, რომელმაც აავსო

ქვეყანა ნტრობითა და ძალდატანებით". ამ ეპოქის ერთ-ერთ წარწერაში ნათქვამია: „გუთიები აშორებენ მეუღლეებს ერთმანეთს, სტაცებენ შვილებს დედ-მამას".

ჩრდილო ოლქებთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყო სამხრეთ შუამდინარეთი, რომელსაც არ განუცდია დარბევა და აოხრება. ადგილობრივი მდიდარი ქალაქები უფრო ადვილად ართმევდნენ თავს დამპყრობელთა გადასახადებსაც. სხვებს შორის განსაკუთრებით დაწინაურდა ლაგაში, რომლის ახალი პოლიტიკური აღმავლობის დასაწყისი უკავშირდება ურბაბას (XXII ს. I ნახევარი ძვ. წ. ენსობის ხანას. ურბაბა აწარმოებდა ლაგაშში ფართო სააღმშენებლო საქმიანობას. როგორც ჩანს, იგი იყო ძალზე მდიდარი და გავლენიანი ენსი. გუთიების ჰეგემონობით იგი ავრცელებდა თავის გავლენას სამხრეთ შუამდინარეთის რიგ ოლქებზე. ურბაბას გარდაცვალების შემდეგ ლაგაშის ენსი გახდა მისი სიძე გუდეა (XXII ს. II ნახევარი ძვ. წ.). განსაკუთრებით გუდეას ენსობის დროს მიაღწია ლაგაშმა აყვავებას. თავის წარწერებში გუდეა თავის თავს უწოდებს არა მარტო ენის, არამედ მთელი „ქვეყნის კეთილ მწყემსსაც", რაც იმაზე მიუთითებს, რომ მისი ხელისუფლება საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ლაგაში ამ დროისათვის გუთიებისაგან დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა. მისი მმართველი ვალდებული იყო ყოველწლიური ხარკი გადაეხადა დამპყრობლებისათვის, რის საფასურადაც გუდეამ უზრუნველყო მშვიდობიანობა თავის სამფლობელოში. იგი პოულობდა სათანადო სახსრებს, რომ ფართოდ ეწარმოებინა ტაძრებისა და სასახლეების მშენებლობა არა მარტო ლაგაშში, არამედ ქალაქ ურშიც. გუდეა შუმერის ისტორიაში ცნობილია „მშენებელი ენსის" სახელით. მშენებლობისათვის გუდეას გამოუყენებია პირველხარისხოვანი მასალა, რომელიც შემოუზიდავს შეზობელი ქვეყნებიდან, კერძოდ, კედრის ხე — ლიბანისა და ამანის მთებიდან, შორს დასავლეთში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე რომ მდებარეობდნენ. დასავლეთიდან შემოუზიდავთ აგრეთვე მარმარილო, სპილენძი და ოქროს შემცველი ქვიშა, შავი დიორიტის ქვები კი — მაგანის ქვეყნიდან. ელამიდან მოუწვევიათ ქვითხუროები და სხვა ხელობის ოსტატებიც. ყოველივე ეს ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ რაოდენ ფართო იყო იმდროინდელი ლაგაშის საგარეო ვაჭრობის სფერო.

მსგავს ეკონომიკურ მომძლავრებას, როგორც ჩანს, განიცდიდნენ შუმერის სხვა ქალაქებიც, როგორიცაა უმა და ურუქი. განსაკუთრებით დაწინაურდა ამ დროს ურუქის მმართველი უთუხენგალი, რომელიც მალე სათავეში ჩაუდგა უცხოელთა ბატონობისაგან ქვეყნის განთავისუფლებისათვის ბრძოლას. გუთიების წინააღმდეგ უთუხენგალის

ბრძოლის შესახებ მოთხრობილია ლექსის ფორმით შედგენილ მის წარწერაში, რომლის ორმა დუბლიკატმა მოაღწია ჩვენამდე. მასში მოთხრობილია, რომ უთუხენგალმა თავისი რაზმებით ბრძოლა გაუმართა გუთიების მეფეს თირიქანს. მოსახლეობის ფართო ფენების აქტიური მხარდაჭერით უთუხენგალმა შედარებით ადვილად სძლია მოწინააღმდეგეს. თირიქანი ბრძოლის ველიდან გაიქცა და თავი შეაფარა სოფელ დუბრუმს, მაგრამ ადგილობრივმა მოსახლეობამ იგი შეიპყრო და გადასცა უთუხენგალს. გუთიების ეს უკანასკნელი მეფე სიკვდილით იქნა დასჯილი. ამით დასრულდა უცხოელთა საუკუნოვანი ბატონობა შუამდინარეთში. უთუხენგალმა აღადგინა „შუმერისა და აქადის სამეფო", როგორც ამის შესახებ ნათქვამია ზემოხსენებულ წარწერაში. მაგრამ მას მშვიდობიანი მმართველობა დიდხანს არ დასცალდა. ამ ამბებიდან ცოტა ხნის შემდეგ იგი დაიხრჩო წყალში. ამიერიდან მთელს შუამდინარეთზე ჰბრძანებლობა მოიპოვეს ურის III დინასტიის ძლიერმა წარმომადგენლებმა, რომელთა მმართველობას უკავშირდება დესპოტიზმის დამყარება შუამდინარეთში.

§ 7. URIS III DINASTIA (2132—2024 წწ. ძვ. წ.)

ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მთავარი მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენდა მთელი შუამდინარეთის ხელახალი გაერთიანება მტკიცე ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ. ამან შექმნა სამიწათმოქმედო მეურნეობის შემდგომი განვითარების შესაძლებლობა. სწრაფი ტემპით დაიწყო საირიგაციო სისტემის განახლების სამუშაოები. ამასთან ერთად გაყვანილ იქნა ახალი არხებიც. როგორც ეს გარკვევით ჩანს ამ ეპოქიდან ჩვენამდე მოღწეული მრავალი ათასი სამეურნეო ხასიათის ტექსტის ცნობიდან, განსაკუთრებულ ეკონომიკურ სიძლიერეს მიაღწია სახელმწიფო მეურნეობამ, რომელსაც ჯერ კიდევ სარგონიდების ხანაში შეუერთდა სატაძრო მეურნეობა. მიწის უზარმაზარი მასივები, რომელიც უშუალოდ სახელმწიფოს ეკუთვნოდა, მუშავდებოდა ძირითადად თავისუფალი მუშახელის გამოყენებით. აღნიშნული ეპოქისათვის შეიმჩნევა დაქირავებული მუშახელის რაოდენობის ერთგვარი ზრდაც, რაც სავსებით გასაგები მიზეზით იყო გამოწვეული. თემის შიგნით სწრაფი ტემპით მიმდინარე ქონებრივი დიფერენციაციის შედეგად თანდათანობით იზრდებოდა ნახევრად უპატრონო და მცირემიწიან მეთემეთა რიცხვი. ოჯახის გამოკვებისათვის საჭირო აუცილებელი მინიმუმის მოპოვების მიზნით ისინი ხალისით თანხმდებოდნენ მოქირავნეობაზე. მეურნეობის ადმინისტრაციაც ფართოდ მიმართავდა ასეთი მუშახელის მოზიდვას. შეიმჩნევა აგრეთვე მონათა შრომის უფრო ფართოდ გამოყენებაც. მაგრამ ამას არ მო-

უხდენია მუშა პერსონალის სოციალურ შემადგენლობაზე. რაიმე არსებითი ხასიათის გავლენა. გაბატონებული მდგომარეობა წარმოებაში წინანდებურად ეჭირა თავისუფალ მუშახელს. ამ ეპოქისათვის არ შეინიშნება ცვლილება მეურნეობის მმართველობის ადმინისტრაციულ წესსა და შრომის ანაზღაურების მანამდე არსებულ ფორმებშიაც.

მიწათმოქმედებასთან ერთად ვითარდება მეურნეობის ისეთი დამხმარე დარგები, როგორიცაა მებაღეობა და მეცხოველეობა. შეინიშნება ხელოსნურ ნაწარმის ცალკეული დარგების აღმავლობაც; ვითარდება საშინაო და საგარეო ვაჭრობა.

სახელმწიფოს მეთაურს ამ დროისათვის წარმოადგენს შეუზღუდველი, სიცოცხლეშივე გაღმერთებული მეფე, რომლის მტკიცედ ცენტრალიზებულ ხელისუფლებას უსიტყვოდ ემორჩილება მმართველობის ბიუროკრატიული აპარატი. ცალკეული ოლქის მმართველები ცენტრალურ ხელისუფლებაზე დამოკიდებული უბრალო მოხელეები არიან, რომლებსაც მეფე თავისი შეხედულების მიხედვით გადააყენებს ხოლმე ან გადაიყვანს ერთი ქალაქიდან მეორეში. ამის გამო ოლქის მმართველები ნაკლებ უკავშირდებოდნენ თავიანთი საგამგებლოს მოსახლეობას, რაც გამორიცხავდა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ოპოზიციური დაჯგუფების წარმოშობის შესაძლებლობას. ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების უტყუარი მოწმეა კანონთა კრებულების გამოცემა, რომლებმაც ფრაგმენტების სახით მოაღწიეს ჩვენამდე. ერთი ამათგანი შედგენილია ურის III დინასტიის პირველი წარმომადგენლის ურნამუს (2132—2113 წწ. ძვ. წ.) სახელით. ესაა დღესდღეობით ყველაზე უძველესი კანონები. სამწუხაროდ, იგი ფრაგმენტულია, მაგრამ მაინც ხერხდება ზოგიერთი მუხლის მთლიანი სახით აღდგენა. შესავალში მეფე-კანონმდებელი მოგვითხრობს თავისი მმართველობის შესახებ, საიდანაც ცნობილი ხდება, რომ ურნამუს სამეფო მოღვაწეობის დასაწყისში მთელი რიგი ღონისძიება ჩაუტარებია სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების ამაღლების მიზნით. მალე მას გაულაშქრია მეზობელი ლაგაშის მმართველის, გუდეას სიძისა და მემკვიდრის ნამახანის წინააღმდეგ, დაუმარცხებია იგი და ტყვედ წაყვანილი სიკვდილით დაუსჯია კიდეც. ამის შემდეგ ურნამუ შეუდგა რეფორმების გატარებასა და საკანონმდებლო საქმიანობას, რის შედეგსაც წარმოადგენს სწორედ ზემოხსენებული კანონები, რომლებიც ამავე დროს ერთადერთი წყაროა ურის III დინასტიის მამამთავრის ურნამუს პოლიტიკური მოღვაწეობის ზოგიერთი მხარის გასაცნობად. ჩვენამდე მოაღწია აგრეთვე ამ მეფის სახელით შედგენილმა რამდენიმე სააღმშენებლო წარწერამაც, სადაც ძირითადად ლაპარაკია

მისი ხელმძღვანელობით წარმოებული ტაძრების მშენებლობის შესახებ.

შუამდინარეთის გაერთიანებულმა სახელმწიფომ კვლავ მიაღწია დიდ სამხედრო და პოლიტიკურ ძლიერებას ურნამუს მომდევნო მეფის შულგის ზეობაში (2112—2065 წწ. ძვ. წ.), მან ჩაატარა არაერთი ძლევამოსილი ლაშქრობა ზაგროსის მთიანეთში მცხოვრები ტომების — სუმურებისა და ლულუბეელების — წინააღმდეგ, რის შედეგადაც ამ უკანასკნელთ კარგა ხნით დაეკარგათ შუამდინარეთზე ლაშქრობის სურვილი.

შულგიმ ასევე წარმატებით დალაშქრა ელამიც, გაანადგურა მისი ერთ-ერთი ოლქი ანშანი, სადაც მმართველად დასვა თავისი მოხელე. ამის შემდეგ მისი მახვილი მიმართული იქნა ჩრდილოეთით სუბართუსა და მდინარე ტიგროსის სათავეებში მდებარე სხვა ოლქების წინააღმდეგაც. ალბათ, ამ მხარეში მოპოვებულმა წარმატებებმა განაპირობეს შულგის შემდგომი ლაშქრობა უფრო შორს, სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, სირიაში. ყოველივე ამის შემდეგ აღდგა შუამდინარეთის ერთიანი შუმერულ-აქადური სახელმწიფოს ძველებური სიძლიერე. თავის წარწერებში შულგი იწოდება „შუმერისა და აქადის მეფედ“. მის ტიტულატურას ემატება ახალი წოდებაც — „ქიშის მეფე“, რაც ამ დროისათვის იხმარებოდა მსოფლიო მბრძანებლის სინონიმად. ამასთან ერთად შულგიმ თავისი თავი გამოაცხადა ღმერთადაც. მისი პიროვნების კულტი ოფიციალური რელიგიის მიერ გათანაბრებულ იქნა უმაღლესი ღვთაების კულტთან.

მომდევნო მეფეებს აღარ მიეცათ ფართო დაპყრობითი ლაშქრობების წარმოების შესაძლებლობა. საერთო მდგომარეობა ძალზე არასახარბიელოდ შეიცვალა მათთვის, როცა შუამდინარეთზე კვლავ განაახლეს შემოტევა ამორეველთა ტომებმა, რომლებთანაც პირველი შეტაკება ჯერ კიდევ აქადის ნეფე შარქალიშარს მოუხდა. შულგის მემკვიდრეები — ამარსუენა (2064—2056 წწ. ძვ. წ.) და შუსუენა (2055—2047 წწ. ძვ. წ.) — აწარმოებდნენ შეუპოვარ ბრძოლას ამ ახალი მტრის წინააღმდეგ. შუსუენმა თავის მეფობის მეოთხე წელს ააშენა კიდევაც „დასავლეთის კედელი“, მაგრამ უშედეგოდ. აღმოსავლეთიდან ელამელთა მიერ განახლებული შემოტევებით, ხოლო დასავლეთიდან ამორეველთა ლაშქრობებით დასუსტებული ური მალე დაეცა. ურის III დინასტიის უკანასკნელი მეფე იბისუენა (2046—2024 წწ. ძვ. წ.) აღმოსავლეთიდან შემოჭრილ ელამელებთან ბრძოლაში სასტიკად დამარცხდა. იგი ტყვედ იქნა წაყვანილი ელამში. ამ ბრძოლის თარიღი ძვ. წ. 2024 წ. ითვლება ურის III დინასტიის დაცემის თარიღადაც. დაიშალა ერთიანი შუმერულ-აქადური სახელმწიფო, რომლის ნანგრევებზე მოგვიანებით აღმოცენდა რამდენიმე მცირე სამეფო.

თავი II

ძველი ბაბილონი

(ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარი)

ურის III დინასტიის დაცემის შემდეგ ძველი შუმდინარეთის ისტორიაში იწყება ახალი ეპოქა, რომელიც იწოდება ძველბაბილონურ ხანად. ქრონოლოგიურად იგი მოიცავს პერიოდს ძვ. წ. 2000 წლიდან 1600 წლამდე, ანუ ე. წ. ბაბილონის პირველი დინასტიის დაცემამდე. ეს არის ხანა, როცა ერთიანი შუმერულ-აქადური სახელმწიფოს ნანგრევებზე აღმოცენდა მრავალი მცირე პოლიტიკური ერთეული, როგორიცაა: ისინის, ლარსას, ეშნუნას, მარისა და ბაბილონის სამეფოები. ამ სამეფოების ჩამოყალიბება-განვითარებაში აქტიური როლი შეასრულა დასავლეთიდან შემოჭრილმა სემიტური მოდგმის ტომების ახალმა ტალღამ, რომელიც ცნობილია ამორეველების სახელწოდებით.

პოლიტიკური ვითარების მიხედვით ეს არის პერიოდი ურთიერთ ბრძოლისა. ცალკეულ სამეფოებს გამუდმებული ბრძოლა ჰქონდათ პირველობისათვის. ძვ. წ. XX—XVIII სს. მანძილზე სამხრეთ შუამდინარეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ისინისა და ლარსას სამეფოები. ამის გამო ძველბაბილონურ ხანაში ჩვეულებრივ ცალკე გამოყოფენ ისინისა და ლარსას ეპოქას. ძვ. წ. XVIII—XVII სს. შეიძლება მივიჩნიოთ საკუთრივ ბაბილონურ ხანად, რამდენადაც ამ დროს განსაკუთრებით გაძლიერდა ბაბილონის სამეფო, რომლის ძლიერი მეფის ხამურაბის ხელქვეით გაერთიანდა მთელი სამხრეთ შუამდინარეთი.

სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის თვალსაზრისით ეს ორი ეპოქა არაფრით განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამდენად საესებით გამართლებულად მიგვაჩნია ძველი შუამდინარეთის ისტორიის ამ მნიშვნელოვან მონაკვეთს ვუწოდოთ ძველბაბილონური ხანა, რამდენადაც ეპოქის დამახასიათებელმა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ყველა მომენტმა დასრულებული სახე მიიღო

სწორედ ბაბილონის სამეფოს ზეობის დროს, კერძოდ კი — ხამურაბის მეფობისას (1792—1750 წწ. ძვ. წ.).

ძველბაბილონური ხანა ხასიათდება ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფო მეურნეობის დაშლითა და კერძო მეურნეობების სწრაფი აღმოცენება-განვითარებით. ამ დროისათვის არნახული გაქანება მიეცა კერძო ინიციატივას (განსაკუთრებით ისინისა და ლარსას ეპოქაში), რაც აღრე მნიშვნელოვნად იზღუდებოდა დიდი სახელმწიფო მეურნეობების არსებობის პირობებში. აქადისა და ურის III დინასტიების დროს ბაბილონის სამეფო ძლიერების ხანაში კვლავ იწყებს გამტკიცებას სანეფო მეურნეობა, რომელიც თანდათანობით იზრდება სხვადასხვა გზით შეძენილი მიწების ხარჯზე. ეპოქის ერთ-ერთ ნიშანდობლივ მომენტს წარმოადგენს ისიც, რომ ამ ხანაში კვლავ წინა პლანზე წამოიწევს თემი, როგორც მოქალაქეთა ორგანიზაციის ძირითადი ფორმა და საზოგადოების მთავარი ეკონომიკური უჯრედი.

საზოგადოების საკმაოდ რთული ეკონომიკური სტრუქტურისა და ამის საფუძველზე აღმოცენებული ასევე მრავალრიცხოვანი სოციალური ფენებისა და კლასების ურთიერთობა მოითხოვდა იურიდიული ნორმების სისტემატიზაციას. ამიტომაც ვითარდება სახელმწიფოს საკანონმდებლო საქმიანობა, რის შედეგადაც შეიქმნა არა ერთი და ორი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ძეგლი (ისინის მეფის ლიფითიშთარისა და ეშნუნას მეფე ბილალამას კანონები, ლარსას სამეფოს კანონები, ხამურაბის კანონები და სხვ.), რომლებიც ძვირფას ცნობებს შეიცავენ ძველი შუამდინარეთის საზოგადოებრივი ურთიერთობის მთლიანი სურათის აღსადგენად. წინამდებარე თავში ძველბაბილონური ხანის დროინდელი საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური ცხოვრების ცალკეულ მხარეებზე საუბარი გვექნება ძირითადად ამ ცნობების მიხედვით.

§ 1. მცირე სამეფოები შუამდინარეთის ტერიტორიაზე (ძვ. წ. XX—XVIII სს.)

ელამელებისაგან განსხვავებით, რომელთა შუამდინარეთზე ლაშქრობა ძირითადად ნადავლის შოვნის მიზნით წარმოებდა, სემიტური წარმოშობის ტომები ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ამურეველებად, ანუ ამორეველებად რომ იწოდებოდნენ (შუმერულად „ამარ“, აქადურად „ამურრუ“ ნიშნავს „დასავლეთს“), შემოსევების შემდეგ ადგილზევე რჩებოდნენ, სახლდებოდნენ დაპყრობილ ტერიტორიაზე, და დამხვდურ მოსახლეობასთან შერევის გზით შედარებით სწრაფად ითვისებდნენ შუამდინარეთის ოლქებს.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სემიტი ტომების პირველი ტალღა შუამდინარეთში შემოიჭრა დასავლეთით მდებარე სირიის უდაბნოებიდან ჯერ კიდევ ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისში. მათ აითვისეს ჩრდილო შუამდინარეთის ოლქები, სადაც თავის დროზე შექმნეს კიდევაც ძლიერი პოლიტიკური გაერთიანება ქ. აქადის მეთაურობით (XXIV—XXIII სს. ძვ. წ.). ძვ. წ. III—II ათასწლეულების მიჯნაზე შემოსული სემიტი ტომების ახალი ტალღა — ამორეველები — უმთავრესად სამხრეთ შუამდინარეთში მკვიდრდებიან. მათ პლაცდარმს წარმოადგენდა შუა ევფრატზე, თანამედროვე თელ-ჰარირის ადგილას მდებარე მარის სამეფო, რომელიც დაარსდა ძვ. წ. XXVII ს. დასაწყისში. იგი იყო ამორეველთა პირველი მსხვილი პოლიტიკური გაერთიანების ცენტრი სამხრეთ შუამდინარეთის უშუალო სიახლოვეს.

ამორეველთა შუამდინარეთში შემოჭრა განსაკუთრებით გაძლიერდა მარის ძლიერ მმართველებთან ბრძოლაში ურის III დინასტიის უკანასკნელი მეფის იბისუენას არაერთხელ დამარცხებისა და ერთიანი შუმერულ-აქადური სახელმწიფოს დაშლის შემდეგ. ძვ. წ. XX ს. დასაწყისში, ჩრდილო და სამხრეთ შუამდინარეთში სემიტი ტომების მეთაურობით, ჩამოყალიბდა რამდენიმე პოლიტიკური გაერთიანება, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ისინის, ლარსას, მარისა და ეშნუნას სამეფოები.

შედარებით უკეთაა ცნობილი ჩვენთვის ისინის მეხუთე მეფის — ლიფითიშთარის — ხანა (1940—1930 წწ. ძვ. წ.). 1947 წელს აღმოჩენილ იქნა ამ მეფის სახელით შედგენილი კანონები, რომელიც დაწერილია არა აქადურ (სემიტურ) ენაზე, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, არამედ შუმერულად, რაც უეჭველად იმაზე მიუთითებს, რომ კანონმდებელი ამორეველი მეფე ანგარიშს უწევდა ადგილობრივ შუმერულ მოსახლეობას, რომელიც ისინის სამეფოში უმეტესობას შეადგენდა. კანონების შესავალში ნათქვამია, რომ ნიფურის, ურისა და ისინის მცხოვრებთათვის „ლიფითიშთარმა, ისინის მეფემ, შუმერისა და აქადის მეფემ ...(ეს კანონები) ჭეშმარიტად დაადგინა". შესავალს მოსდევს კანონების ძირითადი ნაწილი, რომლიდანაც შემორჩენილია დაახლოებით მეოთხედი რაოდენობა პარაგრაფებისა — სულ 37 მუხლი.

ყურადღებას იპყრობს კანონების მე-14 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს საკალო მონობის პირობებს. აღნიშნული პარაგრაფი ვ. სტრუვეს თარგმანით ასე წარმოგვიდგება: „თუ (დაკალიანებული) მონა თავის ბატონს (ვალს) დაუბრუნებს (ე. ი. აუნაზღაურებს) მუშაობით მონური სამსახურის დროს და დაამტკიცებს, (რომ მან) მონური მუშაობით (აანაზღაურა) თანხა გაორკეცებით, (მაშინ) ეს (დაკალიანებული პირი) განთავისუფლებულ უნდა იქნეს". ამ კანონის

მიხედვით ნათელი ხდება, რომ ისინის სამეფოში საკმაოდ გავრცელებული იყო სავალო მონობა. კრედიტორს შეეძლო მოვალე ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში თავისთან ემუშავებინა მონურ პირობებში. როგორც ამ ეპოქის დროინდელი იურიდიული საბუთების მონაცემებიდან ირკვევა, სავალო კაბალის ვადა ხშირად განისაზღვრებოდა 30—50 წლით და ზოგჯერ მთელი სიცოცხლითაც კი. კანონმდებელი მეფე ცდილობს შეამციროს და დაახლოებით მაინც განსაზღვროს ასეთი მონობის ვადა, როცა აწესებს, რომ კრედიტორთან დავალიანებულმა პირმა უნდა იმუშაოს მხოლოდ იმდენ ხანს, სანამ არ აანაზღაურებს ნასესხებ თანხას გაორკეცებით, ე. ი. როგორც თავნს, ისე მის პროცენტსაც და ამავე დროს თავის რჩენისათვის საჭირო პროდუქტის ღირებულებას. აღნიშნული კანონი არის სავალო კაბალისა და საერთოდ, დავალიანების სწრაფად განვითარებადი პროცესის წინააღმდეგ სახელმწიფოს მიერ ჩატარებული ღონისძიებების ერთ-ერთი გამოხატულება.

ლიფითიშთარის კანონები უფლებრივად ერთმანეთს უთანასწორებს ადგილობრივ შუმერულ და მოსულ, მაგრამ ახლა უკვე გაბატონებულ სემიტურ მოსახლეობას. ამასთან ერთად, თვით კანონების შუმერულ ენაზე შედგენაც შეიძლება გამხდარიყო სემიტური მოსახლეობის გარკვეული უკმაყოფილების მიზეზი. ჩვენთვის უცნობია, ამან თუ სხვა მიზეზებმა განაპირობეს ლიფითიშთარის წინააღმდეგ სემიტი დიდკაცობის შეთქმულება, რომელიც მოეწყო მისი მეფობის მე-11 წელს. შეთქმულება მალე საერთო აჯანყებაში გადაიზარდა, რომლის შედეგადაც ლიფითიშთარი ტახტიდან იქნა ჩამოგდებული.

ისინის მომდევნო მეფეების შესახებ, მათი სამშენებლო საქმიანობის გარდა, ბევრი არაფერია ცნობილი. ყოველ შემთხვევაში, აშკარად ჩანს, რომ შუამდინარეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ლიფითიშთარის შემდეგ ისინის სამეფო რაიმე მნიშვნელოვან როლს აღარ ასრულებდა.

ლარსას სამეფო განსაკუთრებით გაძლიერდა რიმსუენის მეფობაში (1821—1761 წწ. ძვ. წ.). თავისი ხანგრძლივი მეფობის მთელ მანძილზე იგი აქტიურ დაპყრობით პოლიტიკას ახორციელებდა; შემოიერთა ერიდუ, ლაგაში, ური და ურუქი, მეფობის 30-ე წელს კი დაამარცხა ისინის უკანასკნელი მეფე დამიქილიშუ და შემოიერთა მისი სამეფოც. სამი წლის შემდეგ რიმსუენის გამგებლობაში მოექცა ევფრატზე მდებარე ქალაქი ბაბილონიც, რომლის მეფე სინმუბალიტი რიმსუენის წინააღმდეგ გამოდიოდა ისინის მეფე დამიქილიშუსთან ერთად. ამიერიდან ელამური წარმომავლობის მქონე მეფის რიმსუენის ხელქვეით აღმოჩნდა თითქმის მთელი სამხრეთ შუამდინარეთი, ფაქტიურად, ეს იყო ელამელების ბატონობა სამხრეთ შუამდინარეთზე.

ჩვენამდე მოაღწია ლარსას სამეფოს იურიდიული პრაქტიკისათვის დამახასიათებელი კანონების ერთმა ნაწილმა, რომელიც შედგენილი უნდა იყოს ძვ. წ. XX ს. შუმერულ ენაზე. სულ შემორჩენილია 7 მუხლი, სადაც განსაზღვრულია საოჯახო სამართლის ნორმები.

კანონთა საერთო ხასიათით ნათელი ხდება, რომ იგი მოწოდებულია გაბატონებული კლასის ინტერესების დასაცავად. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს პირველი პარაგრაფი, სადაც ლაპარაკია შვილობილის მიმართ მშობლების უფლებების შესახებ. თუ შვილობილი ერჩობას გაუწევს მამობილს, მაშინ ეს უკანასკნელი უფლებამოსილია დაადოს მას მონობის ნიშანი (შუბლზე ან საფეთქლებზე თმის აპარსვა) და გაჰყიდოს ვერცხლზე. ძველ შუამდინარეთში ცნობილი და საკმაოდ გავრცელებული იყო შვილად აყვანის პრაქტიკა. შეძლებული პირი იურიდიულად გააფორმებდა ჩვეულებრივი ღარიბი მეთემის შვილად აყვანას, რის შემდეგაც ნაშვილები ვალდებული იყო ემუშავა მამობილის სახლში, სადაც მას მონურ მდგომარეობაში უხდებოდა ცხოვრება. თუ გავითვალისწინებთ შვილად აყვანის ნამდვილ შინაარსსა და მიზანს, მაშინ ნათელი გახდება რომ ლარსას სამეფოს კანონების ზემოხსენებული პარაგრაფი საზოგადოების შეძლებული ფენის ინტერესებს იცავს.

საერთოდ, ისინისა და ლარსას ეპოქაში (XX—XXVIII სს. ძვ. წ.), ცენტრალიზებული სახელმწიფო მეურნეობის არარსებობის დროს, ფართო გასაქანი მიცა კერძომესაკუთრული მეურნეობის განვითარებას. ეს არის კერძო ინიციატივის აყვავების ხანა. განსაკუთრებით განვითარდა მევახშეობა. ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ ლარსადან მომდინარე იურიდიულ საბუთებში ძალზე ხშირად იხსენიება ცნობილი მონათვაჭარი და მევახშე ბალმუნამხე, რომლის საკალო კაბალაში მოქცეული იყვნენ საზოგადოების არა მარტო დაბალი, არამედ საკმაოდ მდიდარი და გავლენიანი ფენების წარმომადგენლებიც.

იურიდიული საბუთების მონაცემებით, გარკვევით შეიმჩნევა ქონებრივი დიფერენციაცია თემში. სწრაფი ტემპით ხდება წვრილი მწარმოებლების გაღატაკება, რომლებიც ყიდიან თავის რჩენის უკანასკნელ იმედს — მიწის ნაკვეთს. ძალზე ხშირია ვალის დაფარვის მიზნით საკუთარი შვილებისა და თვით საკუთარი თავის მონად გაყიდვის შემთხვევებიც. ბალმუნამხეს პირად არქივში აღმოჩენილ ერთ საბუთში ნათქვამია, რომ მშობლებმა თავისი შვილი სახელად სინმაგირი მიჰყიდეს ბალმუნამხეს 20 სიკლ (1 სიკლი=8,4 გრ) ვერცხლად. ასევე მშობლებისაგან იყიდა ამავე პირმა 20 სიკლად ვინმე ზაზიზუმი. ერთი დოკუმენტის ცნობით, ვალში გაიყიდა პიროვნება, სახელად იშთარელათი. მეორე დოკუმენტში რომელშიც მყიდველად ისევე ბალმუნამხეა მოხსენიებული, ნათქვამია, რომ ვინმე ილუმაბი საკუთარ თავს

ყიდის 40 სიკლ ვერცხლად. მსგავსი შინაარსის იურიდიული საბუ-თები ცნობილია ქალაქ ისინიდან და ამავე ეპოქის დროინდელი ურიდანაც.

§ 2. ბაბილონის აღზევება. ხამურაბი

შუამდინარეთის ცენტრალურ თუ განაპირა ოლქებში მდებარე წვრილ პოლიტიკურ ერთეულთა შორის პირველობისათვის წარმოებულ ბრძოლაში ძვ. წ. XVIII ს. აქტიურად ებმება შუა ევფრატზე მდებარე ქალაქი ბაბილონიც, რომელმაც დიდ სიძლიერეს მიაღწია ბაბილონის I ამორეული დინასტიის მეექვსე წარმომადგენლის ხამურაბის დროს.

იქ, სადაც მდინარეები ტიგროსი და ევფრატი ყველაზე უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს, ჯერ კიდევ წინასარგონიდულ ხანაში (XXVI—XXV სს. ძვ. წ.) აღმოცენდა პატარა ქალაქი, რომელიც შემდეგ ისტორიაში ბაბილონის სახელით გახდა ცნობილი. აქადურ ენაზე ბაბილი ნიშნავს „ღვთის ჭიშკარს". შუმერები მას უწოდებდნენ ქადინგირას, რაც აქადური სახელწოდების პირდაპირ თარგმანს წარმოადგენს. „ბაბილონი" ამ სახელის ბერძნული ფორმაა.

ძვ. წ. XIX ს. დასაწყისში შუამდინარეთში შემოიჭრნენ ამორეველთა ტომების ახალი ტალღები სუმუაბუმის მეთაურობით. ძვ. წ. 1895 წ. ახლოს ამ უკანასკნელმა ხელში ჩაიგდო ისინის სამეფოს ჩრდილოეთი ნაწილი, სადაც დააარსა ახალი სამეფო, რომლის ცენტრი გახდა ქალაქი ბაბილონი. ამორეველთა დინასტიის პირველი წარმომადგენლები არცთუ ისე აქტიურად გამოდიოდნენ პოლიტიკურ ასპარეზზე. მათი მოღვაწეობა ძირითადად საალმშენებლო საქმიანობით შემოიფარგლებოდა. ამ დროისათვის ბაბილონის გაძლიერებისათვის არ იყო შექმნილი სათანადო პოლიტიკური ვითარება შუამდინარეთში. მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენდნენ ელამელები, რომლებმაც მოიპოვეს ბატონობა სამხრეთ შუამდინარეთზე. მათი დასაყრდენი პუნქტი გახდა ლარსა, სადაც მეფობდნენ ელამელი უფლისწულები ვარადსუენი და რიმსუენი. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ბაბილონის I დინასტიის ერთ-ერთი მეფე სინმუბალიტი (1812—1793 წწ. ძვ. წ.) ელამელების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოდიოდა ისინის სამეფოს მხარეზე, მაგრამ ეს უკანასკნელი მალე მოექცა რიმსუენის გაძგებლობაში. მალე სინმუბალიტიც იძულებული შეიქნა ძვ. წ. 1798 წ. ახლოს ეცნო ელამელების უზენაესობა რიმსუენის სახით.

ამავე პერიოდს ემთხვევა ჩრდილო შუამდინარეთის ქალაქ აშურში ამორეველთა ერთ-ერთი დინასტიის წარმომადგენლის შამშიადად I გაძლიერებაც. მან თავის ხელისუფლებას დაუმორჩილა მთელი

ჩრდილო შუამდინარეთი და მიაღწია იმასაც, რომ დაიპყრო ქალაქი ეშნუნა, ხოლო დასავლეთით — ევფრატისპირა ოლქები. მან ქალაქ მარში (მდ. ევფრატის შუა წელზე) მეფედ დასვა თავისი შვილი იასმახადადი.

ასეთ რთულ ვითარებაში ბაბილონის ტახტი მემკვიდრეობით მიიღო სინმუბალიტის შვილმა ხამურაბიმ (1792—1750 წწ. ძვ. წ.). თავისი მეფობის პირველ ხანებში იგი იძულებული იყო ეცნო, ერთი მხრივ, რიმსუენის უზენაესობა, ხოლო, მეორე მხრივ, მარის პრეტენზიები ბაბილონის მიმართ, რაც ფაქტიურად აშურის მეფე შამშიადადისადმი მორჩილებას ნიშნავდა.

შექმნილ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში არ იყო საკმარისი მარტო სამხედრო ძალაზე დაყრდნობა. საჭირო იყო ფრთხილი და მოქნილი დიპლომატიის წარმოებაც. ხამურაბის ჰქონდა საკმაო ენერგია, შეექმნა ძლიერი არმიაც და ჰქონდა სათანადო ნიჭიც რთული დიპლომატიის საწარმოებლად. იგი ცდილობდა არ გაეწყვიტა კავშირი ჩრდილოელ მეზობლებთან, კერძოდ კი მარის მმართველთან, რათა შესაძლებლობა ჰქონოდა მის მხარდამხარ გამოსულიყო მომავალში სამხრეთ შუამდინარეთში გაბატონებული საერთო მტრის წინააღმდეგ. ამავე დროს, მან, პირველ ხანებში, მოჩვენებითი მეგობრობაც კი დაამყარა ლარსას მეფე რიმსუენთან, რომლის მხარდაჭერით თავისი მეფობის მე-7 წელს დაიპყრო კიდევაც ურუქი, ური და ისინი. ადგილობრივი მოსახლეობის თავის მხარეზე გადმობირების მიზნით შემოერთებულ ტერიტორიაზე ხამურაბიმ ჩაატარა გრანდიოზული სამეურნეო სამუშაოები; რაც მთავარია, გაიყვანა დიდი სარწყავი არხი, რომელსაც უწოდეს „ხამურობის სიმდიდრე". ამის შემდეგ მან ყურადღება მიაქცია სამხრეთ შუამდინარეთის ჩრდილოეთით მდებარე ოლქების შემომტკიცების საკითხს, რათა ამით შეექმნა მტკიცე ბარიერი შამშიადად I და მისი მოკავშირე ტომების შემოტევის წინააღმდეგ.

შამშიადად I გარდაცვალების შემდეგ (1783 წ. ძვ. წ.) ხამურაბი აქტიურად ჩაერია მარის საშინაო საქმეებში .მისი დახმარებით მარის სამეფო ტახტი დაიჭირა ადგილობრივი დინასტიის წარმომადგენელმა ზიმრილიმმა. ამით ხამურაბიმ ორი საქმე გააკეთა: თავიდან მოიცილა მისთვის არასასურველი, ძლიერი ზურგის მქონე მმართველი იასმახადადი და მეგობრად გაიხადა ახალი მეფე. ზიმრილიმთან მიმოწერაში ხამურაბი მას ძმად მოიხსენიებს და ჰპირდება ყოველგვარ დახმარებას სამეფოს საშინაო თუ საგარეო საქმეების გადაწყვეტისას. ამ დახმარების წყალობით, როგორც აღვნიშნეთ, მარის სამეფო დიდად გაძლიერდა, რის შედეგადაც საბოლოოდ აღიკვეთა დასავლეთიდან

ნომთაბარე ტომების შემოსევები. ამით უშიშარი და დაცული გახდა ბაბილონის სამეფოს დასავლეთი საზღვარი.

ხამურაბი ძალზე უფრთხილდებოდა ზიმრილიმთან მეგობრულ კავშირს. საგარეო საქმეებში შეთანხმებული მოქმედების უზრუნველყოფის მიზნით თავის კარზე მან ზიმრილიმს დაუნიშნა მუდმივი წარმომადგენელი. ყოველივე ეს ბაბილონის მეფეს უქმნიდა ბრწყინვალე შესაძლებლობებს თავისი მტრების წინააღმდეგ მსხვილი სამხედრო ოპერაციების ჩასატარებლად. ნეფობის 30-ე წელს, ზიმრილიმთან შეთანხმებითა და მისივე დახმარებით, ხამურაბიმ გაილაშქრა შუამდინარეთის ჩრდილოეთით მდებარე ოლქების წინააღმდეგ, რომელსაც მაშინ სუბართუს საერთო სახელით იცნობდნენ. ამ ოპერაციის მთავარ შედეგს წარმოადგენდა ეშნუნას დაპყრობა, რომელიც მდებარეობდა ელამის დასავლეთი ოლქების უშუალო სიახლოვეს. ამ დროს მან პირველი მნიშვნელოვანი დარტყმა აგემა ეშნუნას დასახმარებლად მოსულ ელამის ლაშქარსაც.

ჩრდილოეთ შუამდინარეთში გამაგრება სტრატეგიული თვალსაზრისით ძალზე სასარგებლო იყო როგორც ბაბილონის, ისე მარის სამეფოსათვის. ამიერიდან დაცული იყო ჩრდილოეთი საზღვარი ზაგროსის მთიანეთში მცხოვრები ტომების შემოსევისაგან. ამას ჰქონდა დიდი ეკონომიკური მნიშვნელობაც. ამ მხრიდან სამხრეთ შუამდინარეთში შემოჰქონდათ მეტალი და ხე-ტყე. ამ ოლქებზე გადიოდა სავაჭრო-საქარავნო გზები, რომლებიც მიემართებოდა სამხრეთიდან ჩრდილოეთით მცირე აზიისაკენ, აღმოსავლეთიდან კი დასავლეთისაკენ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებამდე.

ამ გამარჯვებიდან ერთი წლის შემდეგ, ძვ. წ. 1761 წ. ხამურაბიმ გაილაშქრა რიმსუენის წინააღმდეგ. ლაშქრობა, როგორც ჩანს, გამარჯვებით დამთავრდა. ხამურაბი ერთ თავის წარწერაში სიამაყით მოგვითხრობს, რომ მან „ღვთაება ანუსა და ენლილის დახმარებით გაანადგურა ემუთბალის ქვეყანა (ელამის ერთ-ერთი ოლქი) და რიმსუენი". ამ უკანასკნელმა გაქცევით უშველა თავს. ლარსას სამეფო შეუერთდა ბაბილონის სამეფოს, ამრიგად, ხამურაბის ხელქვეით აღმოჩნდა მთელი სამხრეთ შუამდინარეთი.

მეზობელი მეფის ასეთი გაძლიერება კარგს არაფერს უქადდა მარის სამეფოს. ადრე თუ გვიან იგი იძულებული გახდებოდა დამორჩილებოდა ბაბილონის მეფის ხელისუფლებას. ვერც ბაბილონი მოითმენდა მის სიახლოვეს დამოუკიდებელი სამეფოს არსებობას. ზიმრილიმისა და ხამურაბის მეგობრობაში პირველი ბზარი მაშინ გაჩნდა, როცა რიმსუენის წინააღმდეგ ლაშქრობისას მარის მეფემ თავი აარიდა ძლიერი მოკავშირისათვის სამხედრო ძალით დახმარებას. ეს გახდა საბაბი ხამურაბისათვის საბოლოოდ გაესწორებინა ანგარიში მარის

სამეფოსათვის. თავისი მეფობის 32-ე წელს ხამურები შეიჭრა ზიმრილიმის სამეფოში, დაიპყრო მარი და მისი მოკავშირე ოლქები. როგორც ჩანს, ზიმრილიმი, ვერ შეურიგდა დამორჩილებულის მდგომარეობას, რამაც გამოიწვია ხამურაბის მეორე ლაშქრობა მარში. მეფობის 35-ე წელს მოწყობილი დამსჯელი ექსპედიციის დროს ხამურაბიმ გაანადგურა მარი, ძირფესვიანად მოთხარა ქალაქის კედელი და იავარქმნა ზიმრილიმის ბრწყინვალე სასახლე, მომდევნო წლებში ბაბილონის ძლიერმა მეფემ ხელმეორედ დაიმორჩილა ტიგროსის ზემო დინების რაიონში მდებარე ოლქები, შემოიმტკიცა ეშნუნა და ბოლოს აშურიც კი. ამგვარად, ბაბილონის ჰეგემონობით კვლავ გაერთიანდა შუამდინარეთის უდიდესი ნაწილი. ხამურაბის სამეფომ პირველი ადგილი მოიპოვა წინა აზიის მეზობელ ქვეყნებს შორის. იგი გახდა უდიდესი სავაჭრო გზების გამგებელი. როგორც ხამურაბის წარწერებიდან ჩანს, მას დაუმორჩილებია აღმოსავლეთით მდებარე ელამის რიგი ოლქები, ხოლო თავისი სავაჭრო-ეკონომიკური გავლენის ქვეშ მოუქცევია მცირე აზიის დასავლეთი ოლქები და სირია თითქმის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებამდე. შესაძლებელია ამ დროისათვის დაემყარებინოს მას კავშირი შორეულ ეგვიპტესთანაც.

§ 3. სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობა ძვ. წ. XVIII ს. ბაბილონში

წყაროები. ძველბაბილონური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის შესასწავლად ჩვენს განკარგულებაშია წერილობითი წყაროების ორი ჯგუფი: 1. იურიდიული დოკუმენტები — კანონები, კერძო ხელშეკრულებები. 2. ოფიციალური მიმოწერის საბუთები და კერძო პირთა წერილები.

ძველაღმოსავლური იურიდიული აზროვნების მწვერვალს წარმოადგენს ხამურაბის კანონები, რომელიც შედგენილი უნდა იყოს მისი მეფობის მეორე ნახევარში — ძვ. წ. XVIII ს. 60—50-იან წლებში. კანონები დაწერილია შავი ბაზალტის ქვის დიდ სვეტზე, რომელიც თავის დროზე ინახებოდა ბაბილონში, საიდანაც იგი გაიტაცეს ელამელებმა სამხრეთ შუამდინარეთზე ლაშქრობის დროს (ძვ. წ. XII ს.). იგი აღმოჩენილ იქნა 1901 წლის ბოლოს სუზაში საფრანგეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ წარმოებული გათხრების დროს.

სვეტის ზემო ნაწილზე გამოსახულია კანონმდებელი მეფე ღვთაება შამაშის წინ მდგომარე. სვეტის მთელი დანარჩენი ნაწილი წინა და უკანა მხარეზე დაფარულია ლურსმული ტექსტით, რომელიც იყოფა სამ ძირითად ნაწილად: შესავალი, ძირითადი ტექსტი — კანონთა შუხლები და დასკვნა. შესავალში ვრცლადაა საუბარი ხამურაბის დამ-

სახურებაზე ბაბილონის მოსახლეობის წინაშე. მეფე სიამაყით აღნიშნავს, რომ დიდმა ღმერთებმა მოუწოდეს მას იმისათვის, რომ „ქვეყნად ბრწყინავდეს სამართლიანობა, რათა მოისპოს კანონდამრღვევნი და ბოროტმოქმედნი, რათა ძლიერმა არ შეავიწროვოს სუსტი“. შესავალს უშუალოდ მოსდევს კანონთა მუხლები, რომლებიც დაუზიანებლადაა მოღწეული. გადაშლილია სვეტის წინა მხარეზე მხოლოდ უკანასკნელი 7 სვეტი, რომელიც შეიცავდა დაახლოებით 35 მუხლს. ეს, უნდა ვიფიქროთ, რომელიღაც ელამელი მმართველის ნახელავია, რომელსაც, ალბათ, უნდოდა გადაფხეკილ ადგილზე თავისი სახელის წარწერა, მაგრამ ეს რატომღაც ვეღარ მოუსწრია. სამხრეთ შუამდინარეთის ტერიტორიაზე ჩატარებული აქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა თიხის ფირფიტებზე დაწერილი ხამურაბის კანონების ცალკეული მუხლები, მათ შორის — გადაშლილებიც. ამის წყალობით აღადგინეს ზოგიერთი უცნობი მუხლიც და გაირკვა, რომ ხამურაბის კანონები თავის დროზე შეიცავდა 282 მუხლს. დასკვნით ნაწილში მეფე წყევლით ემუქრება ყველა იმას, ვინც გადაშლის კანონებს, შეცვლის მათ ან აიძულებს სხვას მსგავსი მოქმედებისათვის.

ხამურაბის დროინდელი საზოგადოება შეიძლება გავყოთ თავისუფალ და არათავისუფალ ნაწილებად. დაყოფა გულისხმობს ცალკეული ფენების არსებობასაც ამა თუ იმ სოციალური კატეგორიის სახით. ასეთი ფენების გამოყოფას კი შეიძლება საფუძვლად დაედოს საზოგადოებაში თითოეული მათგანის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა. ამ უკანასკნელი ნიშნის მიხედვით თავისუფალთა კლასი იყოფა ორ მთავარ ჯგუფად: 1. სრულუფლებიანი მესაკუთრე (მიწის ნაკვეთისა, მონებისა), რომელსაც ხამურაბის კანონები იცნობს ზოგადი ტერმინით ავილუმი (ან აველუმი) — „კაცი“ და 2. არამესაკუთრე და არასრულუფლებიანი, მუშქენუმი — „თაყვანისმცემელი (მეფისა)“. რაც შეეხება საზოგადოების უუფლებო ნაწილს, მას შეადგენდნენ მონები — ვარდუმი, რომელთაც არამცთუ არავითარი საკუთრება არ გააჩნდათ, არამედ, პირიქით, თვითონვე წარმოადგენდნენ მეფის, ტაძრის ან ცალკეული პირების საკუთრებას. განვიხილოთ უფრო დაწვრილებით თითოეული ამ კატეგორიის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა.

ძველბაბილონურ ხანაში ავილუმთა სოციალური ფენა აერთიანებს არა მარტო მსხვილ მიწათმფლობელებს, მონათმფლობელებსა და მსხვილ ვაჭრებს, არამედ წვრილ მწარმოებლებსაც, რომლებსაც ჰქონდათ საკუთარი მეურნეობა, წარმოების საკუთარი საშუალებები და ამის საფუძველზე შეადგენდნენ ტერიტორიული თემის სრულუფლებიან წევრებს.

ბელაბილონური საზოგადოების დროინდელი ავილუმთა ფენა საკმაოდ სწრაფ ქონებრივ დიფერენციაციას განიცდის. ეს განსაკუთრებით შეეხება თემის წვრილ მწარმოებელთა მასას. ხამურაბის კანონების და სხვა სახის იურიდიული დოკუმენტების მონაცემები არაერთხელ მიუთითებენ წვრილ მწარმოებელთა გაღატაკებისა და სავალო კაბალაში ჩავარდნის შემთხვევებზე. მსესხებელი ავილუმი ხშირად იძულებული იყო კრედიტორთან დააგირაოს საკუთარი ოჯახის წევრები, მათ შორის ცოლი და შვილები, რომელთაც მევალის სახლში უნდა ემუშავათ ჰონურ მდგომარეობაში. ხშირი იყო შემთხვევები, როცა დავალიანებაში აღმოჩენილი ავილუმი ვალის დასაფარავად ყიდიდა საკუთარი ოჯახის წევრებს და საკუთარ თავსაც კი. მევახშეობის ზრდისა და ავილუმთა ფენის სწრაფი გაღატაკების შესაჩერებლად ხამურაბი ცდილობს დააწესოს გადასახდელი პროცენტის მაქსიმუმი, ფულადი სესხისათვის 33%, ხოლო მარცვლისათვის — 20%. ასევე შეამცირა მან სავალო კაბალის ვადაც. თუ ლიფითიშთარის კანონების მიხედვით ეს ვადა განისაზღვრებოდა ზოგადად იმ დროით, რომლის განმავლობაში მოვალე შეძლებდა თავისი მუშაობით კრედიტორისათვის აენაზღაურებინა ვალი ორმაგად, ხამურაბის კანონების 117-ე მუხლით ეს ვადა განისაზღვრა 3 წლით. აღნიშნულ პარაგრაფში ნათქვამია: „უკეთუ კაცს მართებს ვალი და ვერცხლში მისცემს (ე. ი. გაყიდის) ან სავალო კაბალაში გადასცემს თავის ცოლს, თავის ვაჟიშვილს ან თავის ქალიშვილს, მათ უნდა იმსახურონ მყიდველის ან გამსესხებლის სახლში 3 წელიწადი; მეოთხე წელიწადს ისინი უნდა გათავისუფლონ“. ეს იყო კანონმდებელი მეფის ერთგვარი ცდა დაეცვა ავილუმთა წრის წარმომადგენლები სავალო კაბალისაგან. ქონებრივი დიფერენციაცია, რა თქმა უნდა, შესაბამისად იწვევდა ავილუმთა შორის უფლებრივი განსხვავებულობის წარმოშობას, რაც აისახა კანონმდებლობაშიც. ხამურაბის კანონების 203-ე მუხლის მიხედვით ის ავილუმი, რომელიც გაარტყამდა სახეში უფლებრივად თავის ტოლ კაცს, ვალდებული იყო გადაეხადა შეურაცხყოფილისათვის I მინა (505 გრ), ვერცხლი; ხოლო 202-ე მუხლში ვკითხულობთ: „უკეთუ კაცი სილას გაარტყამს ძასზე უფრო მაღლა მდგომს, მას კრებაზე (ე. ი. საჯაროდ) 60-ჯერ უნდა დაარტყან ხარის ტყავის მათრახი“. აქ ნათლად ჩანს ხამურაბის ეპოქის დროინდელი ავილუმთა ფენის სოციალური დიფერენციაციის სურათი.

საზოგადოების თავისუფალთა კლასს, ავილუმებთან ერთად, შეადგენდნენ მუშქენუმებიც. ტერმინი მუშქენუმი ითარგმნება, როგორც „თაყვანმისცემელი, მორჩილი“. ეს არის ადგილობრივი მცხოვრები, რომელიც იმყოფება მეფის სამსახურში და სარგებლობს სახელმწიფო მიწის ნაკვეთით, რაც გადაეცემა მას სამსახურის

პირობით. ძველბაბილონური ეპოქის დროინდელი კერძო პირთა წერილები გვაწვდიან ზოგიერთ საინტერესო ცნობას მუშქენუმის, როგორც მეფის მსახურეული ფენის წარმომადგენლის, საზოგადოებრივი მდგომარეობის შესახებ. ერთ-ერთი ასეთი წერილის გამგზავნი ატყობინებს ადრესატს, რომ მას არ შეუძლია შეასრულოს დავალებული საქმე: „ნუთუ შენ არ იცი, რომ მე მუშქენუმი ვარ?". „ნუთუ შენ არ იცი ჩემი დამოკიდებული სამსახურებრივი მდგომარეობა?". მეორე წერილში შვილი წერს მამას: „როგორც მამაჩემისათვის ცნობილია, მე გავხდი მუშქენუმი. დაე, მამაჩემმა დამაბრუნოს მე თემში ისეთნაირად, რომ ჩემს წინააღმდეგ არ აღძრან ბრალდებები". ეს უკანასკნელი ცნობა მრავალმხრივ საინტერესოა მუშქენუმთა სოციალური ფენის წარმოშობის არსის გაგებისათვის. როგორც წერილიდან ჩანს, გამგზავნი სთხოვს მამას კვლავ აღადგინოს იგი თემში, ე. ი. ეს პირი ადრე ადგილობრივი თემის წევრი იყო, რომელიც შევიდა მეფის სამსახურში და ამგვარად გახდა მუშქენუმი. ახლა კი მას უნდა თავი დაანებებს სამსახურს და დაუბრუნდეს თავის წინანდელ მდგომარეობას, მაგრამ ეს, ჩანს, არცთუ ისე ადვილი საქმე იყო. ამიტომ იგი დაბეჯითებით სთხოვს მამას როგორმე მოუხერხოს ეს საქმე, რომ მას რაიმე გართულებები არ მოჰყვეს. ეს ცნობა, მეტყველებს იმ მოსაზრების სასარგებლოდ, რომ მუშქენუმთა ფენას ძირითადად ქმნიდნენ ადგილობრივი მეთემეები, რომლებიც, სხვადასხვა გზით დაკარგავდნენ რა მიწის ნაკვეთს, ჩამოაშორებდნენ საზოგადოების პრივილეგიურ, სრულუფლებიან ავილუმთა წრეს, რის შემდეგ მათ სხვა გზა არ რჩებოდათ, თუ არა მეფის სამსახურში შესვლა, რათა ამ გზით მიეღოთ მიწის ნაკვეთი თუნდაც სარგებლობის უფლებით. რა თქმა უნდა, სრულიადაც არაა გამორიცხული, რომ მუშქენუმთა ფენის საკმაოდ მნიშვნელოვან რაოდენობას ქმნიდა როგორც დაპყრობილი ქვეყნებისა და ოლქების მოსახლეობა, ისე მეზობელი მომთაბარე ტომების წარმომადგენლებიც.

ხამურაბის კანონების ცალკეული მუხლების ჰონაცემთა ურთიერთშეჯერებით ჩანს, რომ მუშქენუმი ავილუმთან შედარებით ნაკლებ პრივილეგირებულია. კანონით განსაზღვრულია, რომ ავილუმის სხეულის რომელიმე ორგანოს დაზიანებისას დამნაშავეს სასჯელის სახით იმგვარადვე უნდა დაუზიანონ იგივე ორგანო. ამ შემთხვევაში მოქმედებს ტალიონის პრინციპი: თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ. ხოლო თუ მუშქენუმს დაუზიანებს ვინმე, ვთქვათ, თვალს ან მოსტეხს ძვალს, დამნაშავემ უნდა მიუწონოს დაზარალებულს განსაზღვრული რაოდენობის ვერცხლი. ასე რომ, მუშქენუმის მიმართ ჩადენილი მძიმე დანაშაულისთვისაც კი კანონი დამნაშავეს მხოლოდ ფულად ჯარიმას აკმარებს. ავილუმისა და მუშქენუმის სოციალურად

განსხვავებული მდგომარეობა იქიდანაც ჩანს, რომ ავილუმის მკურნალობისათვის ექიმი იღებს 10 სიკლ ვერცხლს, ხოლო მუშქენუმის განკურნებისათვის — 5 სიკლს (§ 215—216).

ბილალამას კანონებში წარმოდგენილი ცნობების მიხედვით ჩანს, რომ მუშქენუმი მონათმფლობელია. მუშქენუმის მონების შესახებ, ხშირადაა საუბარი ხამურაბის კანონებშიც. მე-15 მუხლში ნათქვამია: „უკეთუ კაცი გაიყვანს სასახლის მონას ან მხევალს, ან მუშქენუმის მონას ან მუშქენუმის მხევალს ქალაქის ჭიშკრიდან, იგი უნდა მოკლან". საინტერესოა ის გარემოება, რომ აქაც და სხვა შემთხვევაშიაც (§ 175—176) მუშქენუმის მონები ან ქონება მოხსენიებულია სასახლის ან ტაძრის მონებისა და ქონების გვერდით, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს მუშქენუმის სასახლესთან სამსახურებრივ კავშირზე.

ძველბაბილონური ეპოქის დროინდელ ძეგლებში, სადაც კი იხსენიება მუშქენუმი, არსად არაა მითითებული, რომ მას ჰქონდა საკუთარი მიწის ნაკვეთი. ეს მეტად ნიშანდობლივი გარემოებაა. იგი, როგორც მეფის სამსახურში მყოფი პირი, მხოლოდ სარგებლობს ბოძებული მიწის ნაკვეთით, რომელიც მის მფლობელობაშია სამსახურის პირობით.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინება იძლევა საშუალებას მუშქენუმი მივიჩნიოთ საზოგადოების ნახევრადთავისუფალ და არამესაკუთრეთა ფენის წარმომადგენლად; იგი მონათმფლობელთა კლასს ეკუთვნის, მაგრამ თავისი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით გაცილებით დაბლა დგას ავილუმთან შედარებით.

მონები. ძველბაბილონური საზოგადოების უუფლებო და ექსპლუატირებულ ნაწილს წარმოადგენდნენ მონები.

ხამურაბის დროინდელი ბაბილონის სამეფო გამუდმებულ ომებს აწარმოებდა ქვეყნის გაფართოებისათვის. ყოველ ლაშქრობას თან ახლდა ნაძარცვ ქონებასთან ერთად აურაცხელი სამხედრო ტყვეების შემოყვანა, რომელთა დიდ უმრავლესობას მონებად გადააქცევდნენ ხოლმე. აღნიშნული ხანის დოკუმენტებში ხშირად იხსენიებიან ელამელი მონები, რომლებიც, ჩანს, ამ ქვეყნის დასავლეთი ოლქების წინააღმდეგ ჩატარებული ლაშქრობების დროს იყვნენ წამოყვანილნი.

მონებს იძენდნენ ყიდვის გზითაც როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ვაჭრების მეშვეობით მეზობელ ქვეყნებშიაც. ძველბაბილონურ ხანაში მონის ფასი ჩვეულებრივ დაბალი იყო. ლიფითიშთარის კანონების მიხედვით, მონა მამაკაცი ღირდა 15 სიკლი ვერცხლი. ხამურაბის კანონები კი მონის ფასად აწესებს 20 სიკლს.

მონობის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენდა სავალო კაბალა. ძველბაბილონურ ხანაში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებამ გამოიწვია წვრილი მწარმოებლების გაღატაკება და დავალიანება.

ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში კრედიტორს შეეძლო მონურ მდგომარეობაში ემუშავებინა თავისთან თვით მოვალე ან მისი ოჯახის რომელიმე წევრი. ხამურაბის კანონები სამ წლამდე ამცირებს სავალო მონობის ვადას. ეს არის სახელმწიფოს ერთგვარი ცდა დაიცვას თავისი მოქალაქეები სავალო კაბალისაგან. მსგავსი კანონების ცხოვრებაში გატარებას მთელი რიგი სიძნელეები ეღობებოდა წინ. არაა გამორიცხული სავალო მონობის ვადის თვითნებურად გაზრდის შემთხვევების შესაძლებლობაც.

ცალკე უნდა გამოვყოთ თავისუფალი პირის მონად გადაქცევის შემთხვევები, როგორც სასჯელის ერთ-ერთი ფორმა. ეს ფართოდ გავრცელებული ჩანს უძველესი დროიდან. ძვ. წ. XX ს. შედგენილი შუმერული საოჯახო კანონების ერთ-ერთ მუხლში ნათქვამია, რომ, თუ უმცროსი შვილი ეტყვის თავის მამას და დედას „შენ არა ხარ ჩემი მამა, შენ არა ხარ ჩემი დედა“, ნაშინ იგი გაძევებულ იქნება მაჩისეული კარმიდამოდან და გაიყიდება მონად. ხამურობის კანონების მიხედვით, მამას შეეძლო გაეძევებინა სახლიდან ურჩი შვილი და არ მიეცა მისთვის სამემკვიდრეო წილი. ეს ფაქტიურად ნიშნავდა იმას, რომ შვილს არავითარი შესაძლებლობა არ რჩებოდა თავის სარჩენად და იგი იძულებული იყო მონურ მდგომარეობაში ემუშავა შეძლებულ პირთან. ასეთივე ბედი ელოდა იმ მეთემესაც, რომელსაც მიუსჯიდნენ ჩადენილი დანაშაულისათვის თემიდან გაძევებას.

მონობის ერთ-ერთი წყარო იყო მემკვიდრეობითი მონობა. მხევლისაგან შეძენილი შვილები მონებად ითვლებოდნენ და მხოლოდ მაშინ მიიღებდნენ თავისუფლებას, თუ მამა — სრულუფლებიანი მოქალაქე — სპეციალურად დაკანონებდა ამას. ხამურაბის კანონების მიხედვით, თავისუფალი ქალისა და მონის ქორწინების შედეგად გაჩენილი შთამომავლობა თავისუფლად ითვლებოდა. კანონებში არაა განსაზღვრული იმ შვილების სოციალური მდგომარეობა, რომელთა მშობლები მონები იყვნენ. მონათა ქორწინება საერთოდ არ რეგისტრირდებოდა და, იგულისხმება, ასეთ შემთხვევაში შობილი შვილები მონებად რჩებოდნენ.

ძველბაბილონური სამართლის ძეგლებით დაკანონებული იყო მონების უუფლებო მდგომარეობა. მონას არ შეეძლო თვითნებურად ქალაქის ჭიშკრიდან გასვლაც კი. მას არ გააჩნდა საკუთრება რაიმე ფორმით; იგი თვით წარმოადგენდა სხვის საკუთრებას. სპეციალური მუხლებით განისაზღვრებოდა მონის მიერ პატრონის მიმართ ჩადენილი უმნიშვნელო დანაშაულისათვის სასჯელის მკაცრი ზომები: „თუ მონა თავის ბატონს ეტყვის შენ არა ხარ ჩემი ბატონიო, მან უნდა ამხილოს იგი როგორც თავისი მონა და შემდეგ მის ბატონს შეუძლია მას ყური მოჭრას“, ნათქვამია ხამურაბის კანონების 282-ე მუხლში.

სრული უუფლებობა და ცხოვრების მკაცრი პირობები აიძულებდა მონებს მიემართათ წინააღმდეგობის პასიური ფორმისათვის — გაქცევისათვის. ბილალამასა და ხამურაბის კანონები ითვალისწინებენ ამ გარემოებას და აწესებენ, რომ გაქცეული მონა დაჭერის შემთხვევაში დაბრუნებულ უნდა იქნეს წინანდელ პატრონთან. სპეციალური სასჯელია დაწესებული მისთვის, ვინც შეეცდება დამალოს დაჭერილი მონა ან სხვა გზით მიითვისოს იგი. ასეთ შემთხვევაში დამნაშავე უნდა მოიკლას.

ძველბაბილონურ საზოგადოებაში მონათა რიცხვი გაცილებით ნაკლები იყო თავისუფალი მწარმოებლების რიცხვთან შედარებით, მონობა ძირითადად საოჯახო მონობის სახით იყო წარმოდგენილი. ოჯახს ჰყავდა ჩვეულებრივ ორი ან სამი მონა. იყო ოჯახები, რომელთაც სრულიადაც არ ჰყავდათ მონები. ასეთ ვითარებაში ყველა საქმის სამუშაო სრულდებოდა ოჯახის წევრთა ძალებით. აღნიშნული გარემოება იძლევა საშუალებას მივიჩნიოთ, რომ ძველბაბილონურ ხანაში მონური შრომა სრულიადაც არ იყო წამყვანი. საზოგადოებრივი პროდუქტის შექმნაში მონათა როლი უმნიშვნელო იყო.

რამდენადაც ბაბილონის სამეფოს სიძლიერე დამყარებული იყო სამხედრო ძალაზე, ამდენად გასაგებია ის დიდი ზრუნვა, რასაც მეფე იჩენდა მეომრებისადმი, ეს კარგად ჩანს მეფის მიერ ოლქის მმართველებისადმი გაგზავნილ ბრძანებებში; იგივე აისახა კანონებშიც. მეომრებს ეძლეოდათ ნაკვეთები ინდივიდუალურად. როგორც იმდროინდელი მიმოწერიდან და კერძო არქივების მონაცემებიდან ჩანს, ასეთი ნაკვეთის ფართობი შეადგენდა 6-დან 15 ჰა-მდე, ზოგჯერ კი ქმნიდნენ სპეციალურ ახალშენებს, სადაც სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ მიწის დიდ ფართობზე ასახლებდნენ მეომართა ოჯახებს. ორივე შემთხვევაში მიწის ნაკვეთი მათ გადაეცემოდათ სამსახურის პირობით. მიწის მფლობელი ვალდებული იყო ყოველი გაწვევის დროს გასულიყო ლაშქრად და მიეღო მონაწილეობა ბრძოლაში. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სიკვდილით ისჯებოდა.

კანონთა მთელი რიგი მუხლები აწესებს მეომრის ნაკვეთის ხელშეუვალობას. იგი არ შეიძლებოდა წაეღო ვალში კრედიტორს. ასეთი ნაკვეთის მყიდველი კარგავდა გადახდილ საფასურს, ხოლო ნაკვეთი ისევ წინანდელ მფლობელს უბრუნდებოდა. თუ მეომარი ტყვედ ჩავარდებოდა და მას არ ექნებოდა თავისი გამოსასყიდი თანხა, მაშინ ამ უკანასკნელს აანაზღაურებდა შესაბამისი თემის ტაძარი ან სასახლე, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა ამ მიზნით მეომრის ნაკვეთის გაყიდვა. კანონმდებლის მიზანი იყო: დაეცვა მეომრის ქონება კერძო პირთა ხელში გადასვლისაგან და, რაც მთავარია, თავიდან აეცილებინა მეფისთვის ამ მიწების დაკარგვის შესაძლებლობა.

მესაკუთრეს შეეძლო მიწა დაემუშავებინა როგორც თავისი ძალებით — ოჯახის წევრებისა და მონების დახმარებით, ისე იჯარის წესითაც. ძველბაბილონურ ხანაში იჯარით მიწის დამუშავების პრაქტიკის საკმაოდ ფართოდ გავრცელებაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ საიჯარო მიწით სარგებლობასთან დაკავშირებული ვალდებულებების გარკვევას ხამურაბის კანონებში არაერთი მუხლი ეძღვნება.

ძველბაბილონურ ხანაში მიწის ნაკვეთის საკუთრება ან მისი მფლობელობა გაპირობებული იყო ერთი მნიშვნელოვანი მომენტით: ეს არის წყლით სარგებლობის უფლება. შუამდინარეთის ცხელი და შშრალი ჰავის პირობებში მიწა მორწყვის გარეშე მოსავალს არ იძლეოდა. ასე რომ, უწყლოდ მიწა ფაქტიურად არავითარ სიმდიდრეს არ წარმოადგენდა. ძველბაბილონურ ხანაში წყლისა და სარწყავი სისტემის უმაღლესი მესაკუთრე და განმკარგულებელი მეფე იყო. თემი ვალდებული იყო გადაეხადა განსაზღვრული გადასახადი წყლით სარგებლობისათვის. თავის მხრივ, მეთემე ასეთივე ვალდებულებაში იყო თემის წინაშე. ნას ამასთან ერთად ევალებოდა მონაწილეობა მიეღო სარწყავი სისტემის მშენებლობასა და საირიგაციო ნაგებობების შეკეთების სამუშაოებში, რომელსაც სახელმწიფო აწარმოებდა ამ საქმისათვის სპეციალურად გამოყოფილი მოხელეების ხელმძღვანელობით. მეფე, როგორც წყლის უმაღლესი მესაკუთრე, უფლებამოსილი იყო შეხედულებისა და საჭიროებისამებრ გამოეყენებინა შრომა მეთემეებისა, რომლებიც თემის მეშვეობით გამოდიოდნენ წყლის მხოლოდ მფლობელებისა და მოსარგებლეების როლში. ამდენად საკუთრება მიწაზე გაპირობებული იყო მესაკუთრის ვალდებულებებითა და გადასახადებით როგორც თემის, ისე სახელმწიფოს (მეფის) წინაშე. ესაა ძველბაბილონური ეპოქისათვის დამახასიათებელი მიწისმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ფორმების ერთ-ერთი თავისებურება.

ბაბილონის სამეფო ტიპურ ძველაღმოსავლურ სახელმწიფოს წარმოადგენდა. ხამურაბის დროს მეფის ხელისუფლება ერთპიროვნული და შეუზღუდველი იყო: უმაღლესი კანონმდებლობისა და აღმასრულებელი ფუნქციის მატარებელი პირი მეფე იყო. მის ხელში იყრიდა თავს სამხედრო, სასამართლო და რელიგიური საქმეები, თვითონვე განაგებდა სახელმწიფოს სამეურნეო საქმიანობის ძირითად დარგებსაც, განსაკუთრებით კი სარწყავ სისტემას.

ცალკეულ ოლქებსა და ქალაქებში დანიშნული იყო მეფის მოხელეები, რომლებიც წარმოადგენდნენ სამეფო ხელისუფლების გამტარებლებს ადგილებზე. ისინი იწოდებოდნენ „ქვეყნის მმართველებად (შაფირ მათი) და „მოადგილეებად“ (შაქანაქუ). მაგალითად, ხამუ-

რაბის მიერ შემოერთებულ ლარსას ოლქში მმართველად დაინიშნა სინიდინამი. იგი განაგებდა ლარსას ადმინისტრაციულ და სამხედრო საქმეებს. მისი მოადგილე შამაშხაზირი კი ძირითადად სამეურნეო საქმეებს ხელმძღვანელობდა. მეფის ადგილობრივი მოხელეების ძირითად ფუნქციას შეადგენდა სამხედრო საქმეების წარმოება და მოსახლეობისაგან გადასახადების აკრეფა. მათვე ევალებოდათ საგამომძიებლო და სასამართლო საქმეების მეთვალყურეობაც და ადგილობრივი თემების ხელისუფლებასთან ერთად მოქალაქეთა გამოყვანაც სახელმწიფო სამუშაოებზე.

ცალკეულ თემებსა და მცირე სიდიდის ქალაქებში ინიშნებოდა მეფის სპეციალური მოხელე, რომელსაც რაბიანუმი ეწოდებოდა. იგი ადგილობრივ სათემო ხელისუფლებასთან ერთად (თემის უხუცესთა საბჭო, თემის სახალხო კრება) განაგებდა ადმინისტრაციულ და სასამართლო საქმეებს, აგრეთვე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. რაბიანუმი ახორციელებდა კავშირს მეფის ხელისუფლებასა და თემს შორის.

ხამურაბის დროს გატარდა სასამართლო რეფორმა. ადრე არსებული სათემო-სატაძრო სასამართლოების ნაცვლად დაარსდა ადგილებზე მეფის მოსამართლეებისაგან შემდგარი კოლეგიური სასამართლოები, რომლის უფროსებადაც ინიშნებოდნენ რაბიანუმები ან მეფის მოადგილეები (შაქანაქუმ). სასამართლო კოლეგია გამოიყოფოდა თემის უხუცესთა საბჭოსაგან და მოქმედებდა მისგან დამოუკიდებლად. დიდ ქალაქებში ხამურაბის დროს დაინიშნა უშუალოდ მეფისადმი დაქვემდებარებული მოსამართლეები, რომლებიც მოქმედებდნენ მხოლოდ მეფის დადგენილების მიხედვით. მათი გადაწყვეტილება საბოლოო იყო. ამ დროისათვის ჯერ კიდევ მოქმედებდა სატაძრო სასამართლოებიც, მაგრამ მათი ფუნქციები განისაზღვრებოდა მარტოოდენ ღვთაებათა გამოსახულების წინაშე მოპირდაპირე მხარეების დაფიცებით.

უმაღლესი მოსამართლე კი მეფე იყო. მასთან ასაჩივრებდნენ ადგილობრივი სასამართლოების გადაწყვეტილებებს, ჩიოდნენ მოხელეების მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენებაზე, მიმართავდნენ უმნიშვნელოვანეს საქმეებზე, როგორიცაა, მაგალითად, სიკვდილით დასჯის საკითხი და სხვა მრავალი. მეფის გადაწყვეტილება, რომელიც მან საკუთარი შეხედულებით გამოჰქონდა, საბოლოო იყო.

ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჯარს. არმიისათვის მუდმივი კონტინგენტის უზრუნველყოფის მიზნით ხამურაბიმ გაატარა კანონი, რომლის მიხედვითაც კრედიტორს არ შეეძლო ვალში წაეყვანა ოჯახის უფროსი მამაკაცი. თუ ლიფითიშთარის კანონებით ეს საერთოდ დაშვებული იყო (§ 14),

ხამურაბი „პირიქით, აკანონებს, რომ გირაოში შეიძლება აყვანილ იქნეს მოვალის ოჯახის წევრები — ცოლი ან შვილები, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — ოჯახის მამა.

ხამურაბის კანონები განასხვავებენ მეომართა ორ კატეგორიას — რედუმსა და ბაირუმს. გარკვეული არაა, თუ რა განსხვავება არსებობდა მათ შორის. შეიძლება რედუმი მხედარი იყო, ხოლო ბაირუმი — მსუბუქად შეირაღებული ქვეითი ჯარისკაცი. პირველი მათგანი სიტყვასიტყვით ნიშნავს „სწრაფმავალს, გამრეკს, უკან მიმყოლს", ბაირუმი კი ითარგმნება როგორც „დამჭერი". მეომრებს ჰყავდათ თავიანთი უფროსები — დეკუმი („შემკრები") და ლუბუთუმი („ძლიერი კაცი"). ისინი შეადგენდნენ მაღალ სამხედრო წოდებას. მოზრდილი სამხედრო დანაყოფის მეთაურს ეწოდებოდა ვაქილ ამურიმ.

* * *

ხამურაბი თავისი მეფობის უკანასკნელ წლებში აწარმოებდა დიდ სამშენებლო სამუშაოებს სამეფოს ჩრდილოეთი და ჩრდილოაღმოსავლეთი საზღვრის გამაგრებისათვის. იგი გარდაიცვალა მეფობის 42-ე წელს. ტახტზე ავიდა მისი შვილი სამსუილუნა, რომელიც, ბაბილონის I დინასტიის მეფეთა სიის მონაცემების მიხედვით, მეფობდა 28 წელს (1749—1721 წწ. ძვ. წ.). პირველ ხანებში იგი სამშენებლო საქმიანობით იყო გართული. მის დროს გაყვანილ იქნა ორი დიდი სარწყავი არხი, აშენდა რამდენიმე ტაძარიც. სამსუილუნას ეს მშვიდობიანი საქმიანობა ხანმოკლე გამოდგა. მისი მეფობის ბე-19 წელს ბაბილონის სამეფოს შემოუტიეს კასიტებმა, რომლებიც ჯერ კიდევ ძვ. წ. 1750 წ. ახლოს შემოიჭრნენ სამხრეთ შუამდინარეთში და შექმნეს აქ თავიანთი სამეფო. სამსუილუნამ შეძლო მოეგერიებინა კასიტების პირველი დარტყმები და შეენარჩუნებინა სამეფოს მთლიანი ტერიტორია.

შემდგომ წელს სამსუილუნას მოუხდა ბრძოლა ელამელებთან. ლარსას სამეფოს ყოფილმა მეფემ რიმსუენმა, რომელმაც ხამურაბისთან ბრძოლაში დამარცხების შემდეგ ზაგროსის მთებს შეაფარა თავი, ისარგებლა შექმნილი ვითარებით და შემოიჭრა ბაბილონის სამეფოს საზღვრებში. მას მხარს უჭერდნენ ქალაქები — ეშნუნნა, ისინი და ურუქი. სამსუილუნას აღმოაჩნდა საკმაო სამხედრო სიძლიერე იმისათვის, რომ დაემარცხებინა რიმსუენი, რომელიც დაიღუპა კიდევაც უკანდახევის დროს. მაგრამ ამჯერად ბაბილონის სამეფოს ახალი ძლიერი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა სამხრეთით. აქ სპარსეთის ყურის სანაპირო ზოლი ხელში ჩაიგდეს ე. წ. „ზღვის ქვეყნების" მმართველებმა,

რომლებიც ფაქტიურად წარმოადგენდნენ ხამურაბის მიერ დამარცხებული და ადგილობრივი შუმერული ქალაქებიდან აყრილი, ბაბილონის მეფეებისადმი შეურიგებელი მოწინააღმდეგეების კოალიციის მეთაურებს. როგორც ჩანს, სამსუილუნა დამარცხდა. მან დაიხია ბაბილონის სამეფოს ჩრდილო ოლქებისაკენ.

ბრძოლები მათთან, ისევე როგორც კასიტებთან და ელამელებთან შემდეგშიც გრძელდებოდა. მუდმივი ბრძოლებისაგან დასუსტებულ სამეფოს უკვე აღარ შეეძლო არსებითი წინააღმდეგობა გაეწია მტრებისათვის, რომელთა ჯარი რამდენჯერმე მოადგა ქალაქ ბაბილონის კედლებს.

ასეთ რთულ ვითარებაში ბაბილონის სამეფოს, უკანასკნელი მმართველის სამსუდითანის (1632—1595 წწ. ძვ. წ.) დროს, შემოესივნენ მცირე აზიიდან მოსული ხეთები. ეს უნდა მომხდარიყო ძველი წელთ. 1595 წლის ახლოს. გვიანბაბილონური ქრონიკის ჩანაწერი მოგვითხრობს, რომ „ხეთების ქვეყნის ხალხი მოვიდა აქადში და დაამარცხა ბაბილონის სამეფო". შედარებით ვრცლად გადმოგვცემს ამ ამბავს ხეთური ანალური ცნობა, რომელიც შეეხება მურსილი I-ს და შეტანილია ე. წ. „თელეფინუს მბრძანებლების" ტექსტში. ამ ცნობაში ნათქვამია, რომ მურსილი I-მა ქალაქ ხალფუზე (ჩრდილოეთ სირიაში) წარმატებით ლაშქრობის „შემდეგ გაილაშქრა ბაბილონზე და დაანგრია იგი. ბაბილონის ტყვეები ხათუსაში (ხეთების დედაქალაქი) ჩამოიყვანა და ქონებაც ჩამოიტანა". ჩანს, ამ ლაშქრობის მიზანი იყო ნადავლისა და ტყვეების შოვნა. როგორც მოსალოდნელი იყო, დასუსტებულ ბაბილონს მტრის მარბიელი ლაშქრისათვის რაიმე მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა არ გაუწევია.

მურსილი I-ის შემოსევამ იმდენად დაასუსტა ბაბილონი, რომ იგი თითქმის უბრძოლველად დანებდა სამხრეთიდან შემოჭრილ „ზღვის ქვეყნების" მმართველებს. მაგრამ მათი ბატონობა ბაბილონში ხანმოკლე აღმოჩნდა. ბაბილონისათვის ბრძოლაში გამარჯვების სასწორი თანდათან იხრებოდა უფრო ძლიერი მოძალადის — კასიტების — მხარეზე. ძვ წ. XVI ს. 90-იან წლებში ისინი საბოლოოდ გაბატონდნენ როგორც ბაბილონში, ისე მთელს სამხრეთ შუამდინარეთზე. კასიტების მეფე აგუმ II (1593—1574 წწ. ძვ. წ.) თავის წარწერებში იწოდება კასიტებისა და აქადის მეფედ. ბაბილონის ოდესღაც ძლიერ სამეფოში დამყარდა კასიტების ბატონობა, რომელიც თითქმის ხუთ საუკუნეს გაგრძელდა. კასიტების ბატონობის ხანაში ბაბილონი საკმაოდ სუსტ ქვეყანას წარმოადგენდა.

§ 4. ბაბილონი კასიტების გატონოგის ხანაში

კასიტები, დღევანდელი ლურისტანის ტერიტორიაზე განსახლებული ტომი იყო; ისინი ცხოვრობდნენ აგრეთვე მდ. დიალის შუა და ქვემო დინების მახლობელ მიდამოებში, ე. წ. ნამრუს ქვეყანაში. წერილობით წყაროებში კასიტები III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან იხსენიებიან.

კასიტების პოლიტიკურ გაბატონებას ბაბილონში წინ უსწრებდა მათი მონაწილეობა მის ეკონომიკურ ცხოვრებაში. ჯერ კიდევ იმ დროს, როცა კასიტებს პოლიტიკური ძალაუფლება არ ჰქონდათ მოპოვებული ბაბილონში, ცალკეული პირები კასიტებისაგან ჩაბმული იყვნენ ბაბილონის სამეურნეო საქმიანობაში: ესენი იყვნენ მიწის მოიჯარადრეები. ხდება კასიტების სისტემატური გადასახლება ბაბილონში სამუშაოს საძიებლად. მათ ქირაობენ მოსავლის ასაღებად, საბნავ-სათესად და სხვ. ასე, სეზონურ თუ სხვა სამუშაოებზე მოხმარების გზით კასიტები ნელ-ნელა იჭრებიან ბაბილონში, რომლის უდიდესი ნაყოფიერება მათთვის მეტად მიმზიდველი უნდა ყოფილიყო. იმ დროისათვის, როცა კასიტები ბაბილონის ახალი სამეფო დინასტიის დამაარსებელნი გახდნენ, მათ უკვე სერიოზული დაღი ჰქონდათ დაჩნეული ბაბილონის ეკონომიკურ ცხოვრებაზე. შემდგომ ეს გავლენა უფრო გაძლიერდა: გაჩნდა რიგი სპეციფიკური მოვლენაც, რომლებიც აქამდე არ შეიმჩნეოდა ბაბილონში. ეკონომიკის დაქვეითებამ და იურიდიული ნორმების საფრთხის წინაშე დაყენებამ, რაც პოლიტიკური მდგომარეობის სიმყარის შესუსტებით იყო გამოწვეული, წარმოშვა საჭიროება რაღაც სიახლისა, რაც მფლობელობის გარანტიას განახორციელებდა. ასეთი რამ წარმოიშვა ქუდურუს სახით. ქუდურუ სასაზღვრო-სამიჯნო ქვის სტელა იყო. მას დგამდნენ მიწის ნაკვეთზე ან ტაძარში. მისი დანიშნულება იყო დაეცვა მფლობელის ინტერესები აღნიშნულ მიწაზე. ტექსტი, რომელიც ამოჭრილი იყო ქვის სტელა-ქუდურუზე, თავდაპირველად თიხის ფირფიტაზე იწერებოდა; ასე რომ, ქუდურუ საბუთის ასლს წარმოადგენდა. დედანზე ხშირად თვით კასიტი მეფეც კი აწერდა ხელს. ქუდურუების დამკვიდრება ბაბილონში კასიტების ძველი ტრადიციის ერთგვარი გაგრძელება იყო. კასიტებს ქვის მიჯნები ძველიდანვე ედგათ თავის პირველსაცხოვრისში. ქუდურუს მფარველ ღვთაებად ითვლებოდა ნინიბი, რომელიც აგრეთვე ცისა და მიწის გამგებელიც იყო. კასიტი მეფეები თავის დაახლოებულ პირებს, მათ შორის ადგილობრივ დიდებულებსაც, მიწის ნაკვეთებს ურიგებდნენ სათემო მიწებიდან, რათა საიმედო მომხრე-

ები გაეჩინათ. ქუდურუს გავრცელება კასიტურ ბაბილონში კერძო მიწისმფლობელობის ისეთ განვითარებას მოწმობს, რომელიც მხოლოდ მეფის სანქციით მტკიცდება. ხამურაბის დროს ბოძებული მიწები სამხედრო სამსახურის ვალდებულებით გაიცემოდა, კასიტების დროს კი ნაბოძები მიწა მფლობელს მუდმივად რჩებოდა: ეს მიწა შეიძლებოდა მემკვიდრეობით გადაცემულიყო და ამავე დროს მემკვიდრე სიცოცხლეშივე უნდა დაესახლებინათ. ქუდურებზე ზოგჯერ ეწერა სხვადასხვა გადასახადებისაგან განთავისუფლების აქტიც. ასეთი ქუდურუები შესაძლებლობას იძლევა გავიგოთ ზოგი რამ იმდროინდელი გადასახადების შესახებ. როდესაც კასიტი მეფე სათემო მიწების საკუთრებიდან იღებდა საბოძებელ მიწას, იგი სასყიდელსაც აძლევდა თემს. სასყიდელი საკმაოდ დიდი იყო. მიწის ბოძების შესახებ აქტი ფორმდებოდა მეტად საგულდაგულოდ. აქტის შედგენას ესწრებოდნენ როგორც თემის წარმომადგენლები, ისე მეფისაც. სასოფლო თემი კასიტურ ბაბილონში საკმაოდ ძლიერი და დიდი ორგანიზაცია იყო. მას ჰყავდა თემის თავი, ნაცვალი, ზედამხედველი, მრჩეველი, მწერალი და სხვ. სასოფლო თემში შედიოდა არა მარტო ტერიტორიულად გაერთიანებული ადგილობრივი მოსახლეობა, არამედ უცხოელებიც. თემის თავი საკმაოდ დიდი გავლენითა და უფლებებით სარგებლობდა. იგი საკმაოდ მძლავრი კოლექტივის მეთაური იყო. როგორც ჩანს, თემს შეეძლო უკან დაებრუნებინა თემის ფონდიდან გაცემული მიწებიც. ასეთი თემების ტერიტორიაზე ხშირად ქალაქებიც შედიოდა. ტერიტორიული თემი თავის მხრივ იყოფოდა საოჯახო თემებად. მეთემეები ვალდებული იყვნენ სამუშაო ეწარმოებინათ როგორც მეფის სასარგებლოდ, ისევე თემისათვისაც. ეს იყო სამშენებლო და სამხედრო ვალდებულებანი. მეფე იღებდა აგრეთვე გადასახადს ნატურით. თემსა და მეფეს შორის მუდმივად უნდა ყოფილიყო წინააღმდეგობა. ამ წინააღმდეგობის განვითარება საბოლოოდ სათემო მიწისმფლობელობის დარღვევის ტენდენციებს ავლენდა. ამის ხარჯზე ძლიერდებოდა სამეფო კარი და მისი ახლობელი დიდებულები. სამეფო კარის გარშემო ძალაუფლებისა და ქონების კონცენტრაცია კიდევ უფრო ამცირებდა თემის როლს და აჩქარებდა თემის დაშლის პროცესს. მაგრამ თვით მეფესა და მის დიდებულებს შორისაც წინააღმდეგობა იკიდებდა ფეხს. კასიტების სამხედრო წოდებამ დიდძალი მიწა შეიძინა, სადაც მიწისმოქმედნი და ხელოსნები სახლობდნენ. დრო გავიდა და ადგილობრივი წარჩინებულნი და მოსული კასიტი სამხედრო არისტოკრატია ერთმანეთს შეერწყა. კასიტი წარჩინებულები ბაბილონის მიწათმფლობელ არისტოკრატიად გადაიქცნენ. კასიტური

ბაბილონის სამეფოს სამხედრო-ადმინისტრაციულ აპარატს შეადგენდა წარჩინებული სახლების გაერთიანება. ყოველ სახლს თავისი მთავარი გამგებელი ედგა სათავეში. იგი მოვალე იყო თვალყური ედევნებინა გადასახადების აკრეფისათვის მის საგამგებლო ტერიტორიაზე, ირიგაციის მოწესრიგებისათვის, გზების შეკეთებისათვის, რისთვისაც სამუშაო რაზმებს ადგენდა და ა. შ. მას ევალებოდა გამოეყო მინდვრები მეფის საქონლის საძოვრად. ამ სახლებმა ისეთ ძლიერებას მიაღწიეს, რომ მეფეს მეტოქეობას უწევდნენ და ასუსტებდნენ მის ძალაუფლებას. დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ აგრეთვე ქალაქები: ბაბილონი, ნიფური, სიფარი. ისინი განთავისუფლებულნი იყვნენ როგორც სამხედრო ვალდებულებისაგან, ისე საზოგადოებრივი სამუშაოების წარმოებისაგან და დამოუკიდებელნი იყვნენ სამეფო სასამართლოსგანაც.

კასიტურ ბაბილონში ყველაზე დაბალ სოციალურ კატეგორიას მონები შეადგენდნენ. მათ შესახებ თუმცა ძალიან ცოტა ცნობები მოგვეპოვება, მაგრამ გარკვეული სურათის შესაქმნელად მაინც საკმარისია. მონების ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მონებს ყიდულობდნენ ცალკეც და ოჯახიანადაც, მონებს ქირაობდნენ კიდეც მესაკუთრისაგან. ძველ აღმოსავლეთში მონების ყველაზე უფრო უხვი და იაფი წყარო ომი იყო. კასიტების ბაბილონი კი იმდენად ძლიერი არ იყო, რომ აქტიური დაპყრობითი ომები ეწარმოებინა და ასე მოეპოვებინა ტყვეები, რომელთაც საჭიროების მიხედვით მონებად აქცევდნენ. მონებად კასიტურ ბაბილონში ადგილობრივი მცხოვრებნი ხდებოდნენ ხშირად სავალო კაბალის შედეგად. ამიტომ კასიტურ ბაბილონში მონების ფასი გაიზარდა. მეფეს თვით ჰყავდა მონათა საკმაო რაოდენობა. მაგალითად მეფე ქადაშმანხარბე I-მა, ეგვიპტის ფარაონს სხვა საჩუქრებთან ერთად 50 მონა ქალი და კაცი გაუგზავნა. დიდძალი მონა ჰყავდა სატაძრო მეურნეობათა გამგებელს. ამ მხრივ გამოირჩეოდა ნიფურის ტაძარი. ნიფურის სატაძრო მეურნეობა ბაბილონის არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი მეურნეობა იყო. ნიფურის სატაძრო მეურნეობა დამახასიათებელია სხვა ტაძრებისთვისაც სამეურნეო საქმიანობის საკითხში. ტაძრებს ჰქონდათ იმუნიტეტი. ცნობილია, რომ მარდუქისა და ცარფანითუს ტაძრები სრულიად განთავისუფლებული იყვნენ ყოველგვარი სამეფო გადასახადისაგან და საჩუქრებსაც კი იღებდნენ მეფისაგან. მაგრამ სატაძრო მეურნეობებშიც ძირითადად სამეფო მოხელეები გამგებლობდნენ. მეფეს ჰყავდა თავისი საგანგებო მოხელეები, რომელნიც სატაძრო მეურნეობაში საქმიანობდნენ. სატაძრო მეურნე-

ობაში შედიოდა სახნავ-სათესი მიწები, საძოვრები, ბაღები. წამყვანი დარგი იყო მესაქონლეობა. თუმცა კასიტების ბატონობამ მნიშვნელოვნად დაამუხრუჭა ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური განვითარება, განსაკუთრებით მიწათმოქმედება და ხელოსნობა, მაინც შეიმჩნევა ერთგვარი სიახლე მესაქონლეობაში, რაც ცხენის მასობრივ გამოყენებასთან არის დაკავშირებული, როგორც ტვირთის გადასაზიდად, ისე სამხედრო საქმეშიც. კასიტების სამშობლო განთქმული იყო ცხენით. ხამურაბის კოდექსი, რომელიც ძვ. წ. XVIII საუკუნის ძეგლია, არსად არ იხსენიებს ცხენს, რაც იმის დამადასტურებელია, რომ ცხენი იმ დროს ჯერ მასობრივად არ იყო გამოყენებული ბაბილონში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეულ საბუთებში იმ ეპოქაშიც გვხვდება ცხენის დასახელება. რაც შეეხება კასიტების ხანას, იმ დროს ბაბილონში იმდენი ცხენი ყოფილა, რომ, ეგვიპტის ფარაონის თქმით, თივაზე უმრავლესი ჩანდა. ცხენის დიდ მნიშვნელობას იმდროინდელ ბაბილონში და ეგვიპტეშიც აშკარად მოწმობს ის ფაქტი, რომ ორივე ქვეყნის მეფეები წერილის დასაწყისში, მისალმებისას დიდებულების გვერდით ცხენებსა და ეტლებს ასახელებენ.

კასიტური ხანის ბაბილონის სასაქონლო ურთიერთობაში, მიუხედავად ოქროს გამოჩენისა, შეიძლება შევამჩნიოთ ერთგვარი რეგრესი. უფრო ხშირად, ვიდრე უწინ, ადგილი ჰქონდა ნატურალურ გაცვლას.

ურის არქიტექტურული ძეგლების სამშენებლო ტექნიკა და ჩატარებული სამუშაოების რაოდენობა თუ ხარისხი აშკარას ხდის კასიტების ხანაში სახსრების სიმცირეს. მაგალითად, ქურიგალზუს დროინდელი შენობები პირდაპირ ძველ ნანგრევებზეა აგებული. XVII საუკუნის ოცდაათიან წლებში სამსუილუნას მეფობაში ური ძირიანად მოთხარეს, მიწასთან გაასწორეს, როგორც ჩანს, ცენტრალური ხელისუფლებისადმი ურჩობისათვის. ამის შემდეგ ური ძალიან გვიან აღდგა. აღდგენითი სამუშაოები ძალიან უხარისხო და მცირე იყო. ხშირად აშენებდნენ ძველი მასალით. კასიტების ბატონობის პირველ პერიოდში თითქმის არავითარი სამშენებლო საქმიანობა არ მიმდინარეობდა. ხელოვნება კრიზისს განიცდიდა. ძვ. წ. 1400 წლისათვის მოხდა მკვეთრი გარდატეხა, ქურიგალზუ II-მ დიდი მშენებლობა დაიწყო ურში; მას სამხრეთის სხვა ქალაქებიც არ დავიწყებია.

კასიტების რელიგიაზე წარმოდგენას გვიქმნის მათი ღვთაებების გამოსახულებები ქვის სტელა-ქუდურუებზე. აქ გამოსახულია ციური მნათობები, აგრეთვე სხვადასხვა ცხოველები, რომელნიც მათი ღვთაე-

ბის სიმბოლოებს წარმოადგენენ. მაგალითად, მზის დისკო შამაშ-სახი-შურიაშს ასახიერებს, მთვარის გამოსახულება — სინს (სუენს), ლო-მისთავიანი კვერთხი — ნერგალ-ნუსუკუ-შუკუმუნას, თხა-თევზი და ცხვრისთავიანი კავი — ეა-ქამულას.

კასიტი მეფეები ბაბილონურ ღმერთებს უფრო მეტ პატივს სცემ-დნენ. მათ წარწერებში პირველ რიგში ბიბილონური პანთეონის ღმერთები იხსენიებიან. ბაბილონის მთავარი ღმერთი მარდუქი მათი უმაღლესი ღვთაება გახდა. მიუხედავად ამისა, კასიტი მეფეები წმინდა კასიტურ ღმერთებს განსაკუთრებულ ტაძრებს უგებდნენ. დრო-თა განმავლობაში ორივე ხალხის ღვთაებათა პანთეონი ერთმანეთს დაუახლოვდა და ბოლოს, შეიძლება ითქვას, შეერწყვა კიდეც.

თავი III

ძველი შუამდინარეთის კულტურა

ძველი შუამდინარეთის უძველესმა მოსახლეობამ — შუმერებმა — თავისი არსებობის თითქმის 1500 წლის მანძილზე შექმნეს თვითმყოფადი და მეტად მდიდარი კულტურა, რომელიც ფართო მასშტაბით ვრცელდებოდა მთელს წინა აზიაში არა მარტო მისი განვითარების პროცესშივე, არამედ მომდევნო საუკუნეებშიც. მან დიდი გავლენა მოახდინა შუამდინარეთსა და მის პერიფერიულ ოლქებში მცხოვრები სემიტური და ინდოევროპული მოდგმის ხალხების სულიერი შემოქმედების მიმართულებაზე. შუმერული კულტურისაგან განვითარდა ძველბაბილონური და ასურული, ხეთური და ელამური კულტურების უმთავრესი და ყველაზე დამახასიათებელი ელემენტები. უპირველესად ეს ითქმის ლურსმული დამწერლობის მიმართ, რომლის გამოგონების პატივი ასევე შუმერებს ეკუთვნით.

დამწერლობა. ადამიანის გონების დიდი მონაპოვარი — დამწერლობა — შუმერებმა შექმნეს ძვ. წ. IV ათასწლეულის ბოლოს.

შუმერული ლურსმული დამწერლობა ძვ. წ. III ათასწლეულის შუახანებში შეითვისეს შუამდინარეთის ტერიტორიაზე მცხოვრებმა სემიტებმა, რომლებმაც იგი თავისებურად შეუფარდეს თავიანთ ენას. დამწერლობის ეს სისტემა შუმერებისაგან გადაიღეს ხეთებმაც. მოგვიანებით იგი ასურელებისაგან შეითვისეს ურარტელებმა და სირიის ტერიტორიაზე მოსახლე დასავლეთ სემიტური მოდგმის ხალხებმა. ბაბილონიდან იგი გავრცელდა აგრეთვე ძველ ირანშიც. ძვ. წ. II ათასწწლეულში, როცა ლურსმული დამწერლობის პირველშემქმნელები — შუმერები — ფიზიკურად უკვე გადაშენებულნი და სემიტებთან ასიმილირებულნი იყვნენ, დამწერლობის აღნიშნული სისტემა, აქადურ ენასთან ერთად, გადაიქცა დამწერლობის საერთაშორისო სისტემად. იმით სარგებლობდნენ ეგვიპტის ფარაონებიც კი მცირე აზიის მონარქებთან წარმოებული მიმოწერის დროს.

რელიგია. ძველი შუამდინარეთის მოსახლეობის აზროვნება აისახა გარემომცველი ბუნების შესახებ ჩამოყალიბებული შეხედულებებისა და წარმოდგენების ერთობლიობაში. იმ შორეულ წარსულში

ადამიანი ძალზე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბუნებასთან; უფრო მეტიც: იგი თითქმის მთლიანად დამოკიდებული იყო ბუნებისაგან. მის თვალწინ მიმდინარე ბუნების მოვლენები, რომელთა შეცნობა და ახსნა მას არ შეეძლო, ბადებდა მასში შიშს, რაც თავისთავად განაპირობებდა ამ მოვლენების გაღმერთებისა და მისდამი თაყვანისცემის გრძნობის განვითარებას ადამიანში. რელიგიური წარმოდგენების აღმოცენების ეს ზოგადი მომენტი ახასიათებდა ძველი შუამდინარეთის მკვიდრთა აზროვნების განვითარებას მის ადრეულ საფეხურზე. ამდენად, მათი თავდაპირველი რელიგიური შეხედულებანი ატარებდა ფეტიშიზმის ხასიათს.

ძველი შუამდინარეთისა და ბაბილონის რელიგიაში გადმონაშთის სახით თავს იჩენს ტოტემიზმის ნიშნებიც. ისტორულ ხანაში დამოწმებულია შემთხვევები, როცა ღმერთებს თაყვანს სცემდნენ არა მარტო ადამიანთა მსგავსი გამოსახულებების სახით, არამედ ცხოველებისა და ნახევრად ცხოველების სახითაც. მაგალითად, ღვთაება ნინურთას თაყვანს სცემდნენ ვირის სახით, მის მეუღლე გულას — ძაღლის, ხოლო ნერგალს გამოხატავდნენ ნახევრად ხარისა და ნახევრად ადამიანის სახით. ასევე, ძველბაბილონური პანთეონის მთავარი ღვთაება მარდუქი წარმოდგენილი ჰყავდათ ფრთოსანი ადამიანის მსგავს არსებად.

შუმერული და ბაბილონური პანთეონის ღვთაებების კრებული იყოფოდა ორ მთავარ ჯგუფად: მიწისზედა, ანუ ციური ღვთაებები და მიწისქვეშა, ანუ ქვესკნელის ღმერთები. მათი საერთო რიცხვი ძვ. წ. III ათასწლეულში რამდენიმე ასეულს უდრიდა, ხოლო ძველბაბილონელ თეოლოგებს ღვთაებათა სპეციალურ სიებში შეჰქონდათ უკვე 600 დიდი და მცირე ღვთაება. ისინი ძველი შუამდინარეთის მკვიდრთა წარმოდგენაში განასახიერებდნენ კეთილ და ბოროტ სულებს, რომლებიც ერეოდნენ ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში და თავიანთი შეხედულებისდა მიხედვით განაპირობებდნენ მოკვდავთა მოქმედებასა და მომავალს.

შუმერის ცალკეულ ქალაქებს ჰყავდათ თავიანთი მფარველი ღვთაებები. ლაგაშში, მაგალითად, თაყვანს სცემდნენ მიწათმოქმედების ღვთაებას ნინგირსუსა და მის მეუღლე ბაბას, რომელთა სახელობაზე იყო აგებული ლაგაშის უმთავრესი და უპირველესი ტაძრები. ნიფურში ადიდებდნენ შემერული პანთეონის ერთ-ერთ უმაღლეს ღვთაებას ენლილს, რომლის ტაძარი ექური („სახლი მთისა") ითვლებოდა ერთ-ერთ უმდიდრეს ტაძრად მთელს შუმერში. იგი წარმოადგენდა აგრეთვე შუმერული კულტურის ცენტრსაც. ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევარში ენლილი გადაიქცა საერთო შუმერულ ღმერ-

თად, ხოლო ქალაქი ნიფური — შუმერის მექად. ურში თაყვანს სცემდნენ მთვარის ღვთაება ნანას და ა. შ.

შუმერულ პანთეონში პირველ ადგილზე იყო უმაღლესი ტრიადა ღმერთებისა, რომელშიც ერთიანდებოდნენ: ცის ღმერთი ან (აქადურად ანუ), მიწის ღმერთი ენლილ და წყლის ღმერთი ენქი (აქადურად ეა).

უპირველესი ღვთაება **ან** წარმოადგენდა ცისა და სინათლის განსახიერებას. იგი იწოდებოდა „ღმერთების ღმერთად" და „მამად", რომლის უმაღლეს ფუნქციას შეადგენდა სამყაროში წესრიგის დაცვა. საინტერესოა ის გარემოება, რომ ღვთაება **ან**, მიუხედავად ასეთი სიძლიერისა, **არ** სარგებლობდა შესაფერისი ავტორიტეტით. მორწმუნე შუმერელს იგი ყოველთვის წარმოდგენილი ჰყავდა ყოველდღიური მიწიერი ცხოვრებისგან ძალიან შორს, უმაღლეს მესამე ცაში მჯდომ მკაცრ ღვთაებად, რომლის წინაშეც მუხლს იდრეკდნენ დიდი ღმერთებიც კი. მისი საგამგებლო მიუწვდომელი იყო უბრალო შუმერელის წარმოდგენისათვის.

ანის მეუღლედ ითვლებოდა ქალღმერთი ქი („მიწა"), რომელიც ზოგჯერ იწოდებოდა როგორ ნინთუ („სიცოცხლის მომცემი") ან ნინხურსაგი („მთების მეუფე"). მოგვიანებით მისი ადგილი დაიჭირა ანის საყვარელმა ქალღმერთმა და მისმა მეორე ცოლმა ინანამ.

საკმაოდ ადრეული ხანიდან მომდინარე წერილობითი ცნობების მონაცემებით ირკვევა, რომ უმაღლეს ტრიადაში ღვთაება ანის ადგილი თანდათანობით დაიჭირა ენლილმა, რომელიც ხშირად იწოდება „ღმერთების მამად", „ცისა და დედამიწის მეუფედ", „ყველა ქვეყნის მბრძანებლად", რომელიც ნიშნავს ამ ქვეყნად მეფეებს, „აძლევს მათ სამეფო სახელსა და კვერთხს, უმზერს მათ მოწყალე თვალით". თავდაპირველად კი ენლილი („მეუფე ჰაერისა") ჰაერის ღვთაებად ითვლებოდა და მხოლოდ შემდეგ, მოგვიანებით შეიძინა მან მიწის ღვთაების ფუნქციები. მითებში იგი იწოდება აგრეთვე „ბედისწერის" გამრიგედაც. ანისაგან განსხვავებით, ენლილი ითვლებოდა კეთილ და ლმობიერ ღვთაებად, რომელსაც მიაწერდნენ ქალაქების, მცენარეთა სამყაროსა და, რაც მთავარია, სამიწათმოქმედო იარაღების — თოხისა და გუთნის — გამოგონებას. მითებსა და ჰიმნებში იგი ყოველთვის კეთილად იხსენიება. მხოლოდ ერთხელ უსაყვედურეს ენლილს შუმერებმა, როცა მან არ მოინდომა შეეჩერებინა ქალაქ ურის დანგრევა. ენლილის მეუღლედ მიჩნეული იყო ქალღმერთი ნინლილ („ქალბატონი ჰაერისა").

მომდევნო ღვთაება ენქი ითვლებოდა ძველი შუამდინარეთის უძველეს ღვთაებად. როგორც ფიქრობენ, მისი სახელი მომდინარეობს ძველი შუამდინარეთის თავდაპირველი მკვიდრი მოსახლეობის, პი-

რობითად წოდებული უბაიდელების (იგივე პროტოევფრატელები) ენიდან. ზოგიერთი მეცნიერი (ს. ლენგდენი) მიიჩნევს, რომ შუმერის ადგილობრივი სახელწოდებაც ქიენქი ან ქიენგი („მიწა (ღვთაება) ენ-ქისა") წარმომდგარი უნდა იყოს სწორედ ამ ღვთაების სახელისაგან.

ისტორიულ ხანაში ენქი ითვლებოდა წყლისა და უფსკრულის (შუმერულად აბზუ) მეუფედ. იგი მიჩნეული იყო აგრეთვე სიბრძნის მფარველ ღვთაებადაც, რომელსაც მიეწერებოდა ხელოსნობის, დამწერლობისა და ხელოვნების გამოგონება. ყველა ეს სიკეთე მან ხალხს გადასცა. ენქის მეუღლედ თვლიდნენ ქალღმერთ დამქინუს.

ღვთაებათა ეს სამეული, შუმერულთა რწმენით, განასახიერებდა მთელ სამყაროს, რომელიც იყო ცის, მიწისა და წყლის ერთობლიობა. ეს უკანასკნელი კი ითვლებოდა ყოველივე არსებულის პირველსაწყისად.

შუმერულ პანთეონში მეორე ადგილი ეჭირა ღმერთების მომდევნო ტრიადას, რომელიც პირველთან შედარებით არ იყო მაინცდამაინც გამორჩეული. ამ რიგში ერთიანდებოდნენ ასტრალური ღვთაებები, კერძოდ, მთვარის ღვთაება ნანა (აქადურად სინი ან სუენი), მზის ღვთაება უთუ (აქადურად შამაში) და ქალღმერთი ინანა (აქადურად იშთარი). ამათგან პირველი — ნანა — წარმოადგენდა მწყემსთა მფარველ უძველეს ღვთაებას. იგი იყო შვილი ენლილისა და მამა ღვთაება უთუსი. ეს უკანასკნელი კი მიაჩნდათ შუმერულ თემიდად — სამართლიანობისა და კანონმდებლობის გამრიგედ.

ამ ტრიადის მესამე წარმომადგენელი ინანა იყო ამომავალი და ჩამავალი მზის განმასახიერებელი ღვთაება, ცხოველთა მეუფე და სიყვარულისა და სიტკბოების ქალღმერთიც. იგი ითვლებოდა შუმერების მთავარ დედა ღვთაებადაც — ნაყოფიერების და გამრავლების მფარველად. ეს ფუნქცია ადრე ეკუთვნოდა ღვთაება ანის მეუღლე ნინთუს (იგივე ქი), ანუ, როგორც იგი ზოგჯერ შუმერულ ღვთაებათა სიებში იწოდება, ნინხურსაგს (იგივე ნინმახი). მაგრამ როცა ამ უკანასკნელის ადგილი ინტიმურ ურთიერთობაში დაიჭირა ინანამ, დედა ღვთაების ფუნქციაც მასზე გადავიდა. საერთოდ, დედა ღვთაების კულტი ყველაზე უძველესი იყო შუამდინარეთში. იგი შუმერებმა შეითვისეს ადგილობრივი, დამხვდური მოსახლეობისაგან, რომლებმაც შექმნეს ნაყოფიერების ქალღმერთის კულტი და, სხვათა შორის, ამ ქალღმერთის თიხის პირველი ქანდაკებაც (ძვ. წ. IV ათასწლეულის I ნახევარი).

შუმერულ პანთეონში, გარდა ამ ღვთაებებისა, გაერთიანებულნი იყვნენ სხვა ღვთაებებიც. მათ შორის რამდენადმე გამოირჩეოდნენ ენლილის შვილები — ნინურთა და ზაბაბა, რომლებიც ომისა და ნა-

დირობის ღვთაებებს წარმოადგენდნენ. მათი ძმა ნინგირსუ კი მიწათმოქმედების მფარველ ღვთაებად ითვლებოდა.

ერთ-ერთი პირველი ადგილი ეჭირა ღვთაება მარდუქს, რომელმაც ბაბილონის აღზევების შემდეგ თანდათანობით შეიძინა უმაღლესი ღვთაების ფუნქციები და მოგვიანებით გახდა კიდეც ბაბილონის პანთეონის პირველი ღმერთი. იგი იყო ენქისა და დამქინუს შვილი, რომელმაც მემკვიდრეობით მამისაგან მიიღო კეთილი ღვთაების ფუნქციები. მარდუქის გვერდით საპატიო ადგილი ეჭირა მის შვილს ნაბუს, რომელიც ითვლებოდა მწერლობის მფარველ ღვთაებად. განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა დასავლეთ სემიტური პანთეონის წარმომადგენელი, ამინდის ღვთაება ადადი. ძალზე გავრცელებული იყო მარცვლეულის მფარველი ღვთაების დუმუზის (აქადურად თამუზი) კულტი. დუმუზი მკვდრადი და აღდგომადი ღმერთი იყო. მას თაყვანს სცემდნენ როგორც მუდამ ცოცხალი და განახლების შეუწყვეტელ პროცესში მყოფი ბუნების განსახიერებას. მისი კულტი, შუამდინარეთის გარდა, გავრცელებული იყო მთელ წინა აზიაში. თავისი ხასიათის მიხედვით დუმუზი შეიძლება ჩაითვალოს ქრისტეს ერთ-ერთ პროტოტიპად.

მიწისქვეშა ღვთაებების კრებულს ქმნიდნენ ძირითადად ბოროტი და ადამიანთა მოდგმისათვის ავის მომასწავებელი ღვთაებები. მათ შორის პირველი ადგილი ეჭირა ნერგალს, რომელიც ითვლებოდა სასიკვდილო ავადმყოფობებისა და ომების ღმერთად. ეს ფუნქციები ნერგალმა შეითვისა ქალღმერთ ერეშქიგალისაგან, რომელიც ადრე ქვესკნელის უმაღლეს გამგებელს წარმოადგენდა. ამავე კრებულის ერთ-ერთი წარმომადგენელი ღვთაება ირა ითვლებოდა შავი ჭირისა და ყამიანობის ღმერთად. აქადური მითების მიხედვით, იგი მოვლენილი იყო დედამიწაზე ჭირის გასავრცელებლად და ადამიანთა მოდგმის მოსასპობად.

შუმერული და ბაბილონური პანთეონი ატარებდა მკვეთრად გამოხატულ ასტრალურ ხასიათს. ეს ნათლად ჩანს იქიდანაც, რომ არსებობდა მთვარისა და მზის ღვთაებათა სპეციალური კულტები. ამასთან ერთად ცნობილია, რომ ესა თუ ის ღმერთი გაიგივებული იყო ამა თუ იმ პლანეტასთან ან ვარსკვლავთან. ინანა (იშთარი) გაიგივებული იყო პლანეტა ვენერასთან, მარდუქი კი — იუპიტერთან. მერკური წარმოადგენდა ღვთაება ნაბუს ვარსკვლავს. ნინურთას აიგივებდნენ სატურნთან. ასევე ცის ეკვატორის ცენტრალურ ადგილზე მდებარე ვარსკვლავებს უფარდებდნენ ანის, ენლილისა და ენქის სახელებს.

შეხედულება სიკვდილ-სიცოცხლეზე და წარმოდგენა სიკვდილის შესახებ. ძველი შუამდინარეთის მკვიდრი ცხოვრებას უყურებდა პრაქტიკოსის თვალით. მისთვის მთავარი იყო სიცოცხლე და ამქვეყ-

ნიერი არსებობა. ამ მომენტის რაც შეიძლება გახანგრძლივების უზრუნველსაყოფად იგი გულუხვად სწირავდა მსხვერპლს ღმერთებს. შუმერისა და ძველი ბაბილონის მკვიდრთ მიაჩნდათ, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობა ღმერთებისგანაა მკაცრად განსაზღვრული და არ შეიძლება იგი უკვდავებაში გადაიზარდოს. სიკვდილ-სიცოცხლის ასეთი გაგება კარგადაა გადმოცემული ერთ აქადურ მითში ადაპას შესახებ. ადაპი იყო ეას მიერ ადამიანთა ნაშიერად შექმნილი არსება, რომელსაც ღმერთებმა მიანიჭეს სიბრძნე და არა მარადიული სიცოცხლე. ერთხელ ადაპა ნავით თევზაობდა ზღვის ყურეში. უცებ დაუბერა ქარმა და მისი ნავი ზღვის სიღრმეში ჩაიძირა. გაბრაზებულმა ადაპამ დაწყევლა ქარი და მას ფრთები შეალეწა. შვიდი დღე აღარ ქროდა სამხრეთის ქარი. ამით გაიგო ღვთაება ანუმ მომხდარი ამბის შესახებ და ადაპა დაიბარა თავის მკაცრ სამსჯავროში. გამგზავრების წინ ეა არიგებს მას, რომ ადაპამ პირი არ ახლოს ანუს მიერ შემოთავაზებულ საჭმელს, რადგანაც იგი იქნება სიკვდილის საჭმელი. მაგრამ მოხდა ისე, რომ ადაპასადმი კეთილად განწყობილი ღვთაებების თამუზისა და გიშზიდას ტკბილი სიტყვებით გულმომბალმა ანუმ ადაპას შესთავაზა მარადიული სიცოცხლის მომნიჭებელი საჭმელი. არ იცოდა რა ამის შესახებ, ადაპამ ხელი არ ახლო მას, რითაც დაკარგა უკვდავების მოპოვების შესანიშნავი შემთხვევა.

ასევე აქადურ მითში გილგამეშის შესახებ მოთხრობილია, თუ როგორ წაართვა გილგამეშს გველმა დიდი ტანჯვა-წვალებით მოპოვებული მარადიული სიცოცხლის წამალი — ბალახი. ამ მითებში გატარებულია აზრი, რომ ადამიანს თავისი ადამიანური სისუსტის გამო არ შეუძლია შეიცნოს ღმერთების ნება ამ საკითხზე და მოიპოვოს უკვდავება, რაც, გილგამეშის მითის თანახმად, დიდმა ღვთაებებმა უბოძეს მხოლოდ უთნაფიშთიმსა და მის ცოლს, რომლებმაც წარღვნის დროს გადაარჩინეს ადამიანთა მოდგმის თესლი.

საიქიოს უწოდებდნენ „მოუსავლეთის ქვეყანას". ძველი შუამდინარეთის მკვიდრთა წარმოდგენით, იმ ქვეყნად მიცვალებულს მოელის მხოლოდ თიხითა და მტვრით კვება და მუდმივი წყურვილით ტანჯვა. მხოლოდ ბრძოლის ველზე დაცემული ვაჟკაცია სხვებისაგან გამორჩეულად კარგ მდგომარეობაში: წევს საწოლზე აპლობლებით გარშემოხვეული და სვამს ანკარა წყალს. მიცვალებულისათვის მთავარია ისევ ამ ქვეყნად ზრუნვა — მისი ხსოვნის დაცვა და სულის მოსახსენიებლად მემკვიდრის მიერ მსხვერპლის ხშირად შეწირვა. ეს შეხედულება კარგად აისახა ძველ შუამდინარეთში არსებულ დაკრძალვის წესშიაც. მიცვალებულს მარხავდნენ მიწაში. მას საფლავში არაფერს ატანდნენ. მხოლოდ ურის I დინასტიის დროინდელ, შედარებით მდიდრულ სამარხებში გვხვდება შემთხვევები, როცა ჩაყოლებულია

მცირეოდენი სასმელ-საჭმელი და ზოგირთი ნივთიც, რომელიც განსაკუთრებით უყვარდა მიცვალებულს სიცოცხლეში. ძველი შუამდინარეთის მკვიდრი შემჩნეული იყო უბრალოებასა და ცხოვრების მკაცრ წესს ამქვეყნად და განმტკიცებული ჰქონდა იმ ქვეყნად ასეთივე მწირი ცხოვრებისადმი შეგუების აუცილებლობის შეგნება.

ლიტერატურა. შუამდინარეთის ლიტერატურა თითქმის ისევე ძველია, როგორც შუმერული დამწერლობა. არის საფუძველი ვივარაუდოთ, რომ პირველი ლიტერატურული ჩანაწერები გაჩნდა ძვ. წ III ათასწლეულის I ნახევარში, რომელთაც ჩვენამდე არ მოუღწევიათ ანდა, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით უცნობია ჩვენთვის. ლიტერატურის არაერთი ნიმუში წარმოდგენილია ე. წ. შუმერული რენესანსის — ურის III დინასტიის — ხანიდან. ძველი შუამდინარეთის ლიტერატურის მრავალი ნიმუშის წერილობითი ფიქსაცია კი მოხდა ისინისა და ლარსას ეპოქაში, აგრეთვე ძველბაბილონურ ხანაში, როცა შუმერული ენა ის-ის იყო კარგავდა თავის სახეს და კვდომას განიცდიდა. ამ დროს ჩქარი ტემპით მიმდინარეობდა სემიტების მიერ მემკვიდრეობად მიღებული სულიერი კულტურის ნიმუშების ჩაწერა. ამის წყალობით ლიტერატურის არაერთი შედევრი გადაურჩა დავიწყებას და განაგრძო წერილობითი სახით არსებობა საუკუნეებში.

შუმერული ლიტერატურა წარმოდგენილია ყველა ძირითად ჟანრში, როგორიცაა მითი, ეპოსი, ჰიმნი, ლირიკა, იგავ-არაკი, ზღაპარი, ელეგია. ამათგან განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა და მეტად ნაყოფიერიც იყო ორი ჟანრი: მითი და ეპოსი. საუკუნეთა მანძილზე იქმნებოდა მთელი ციკლი მითებისა და საგმირო ეპოსებისა, რომლებშიც აისახებოდა მისი შემოქმედი ხალხის — შუმერების — შეხედულებანი სამყაროს აგებულებისა თუ მიწიერი ცხოვრების არსებული წესისა და სოციალური ურთიერთობის შესახებ. მათი ძირითადი სიუჟეტებია სამყაროს, ღმერთებისა და ადამიანების შექმნა, ღვთაებათა ცალკეული გამოგონებანი და მათი გავრცელება დედამიწაზე, წარღვნა, და, ბოლოს, სხვადასხვა გმირთა საგმირო საქმეები.

მითები სამყაროს, ღმერთებისა და ადამიანთა შექმნის შესახებ. ამ მხრივ ძალზე საინტერესოა ერთ-ერთი მითის — „გილგამეში, ენქიდუ და ქვესკნელის სამეფოს“ — შესავალი, სადაც ნათქვამია, რომ თავდაპირველად ცა და დედამიწა ერთ მთლიანობას წარმოადგენდა, რომლის ფუძე იდგა პირველქმნილ უსაზღვრო ოკეანის ფსკერზე. მოგვიანებით ცის ღმერთმა ანმა ასწია ცა ზევით, ხოლო ქი („დედამიწა“) ჩამოიწია ქვევით. დედამიწისა და ცის შეუღლებით, მათი ერთად ყოფნის დროს გაჩნდა ღვთაება ენლილი.

ამ ციკლის მეორე მითში, რომელიც პირობითად იწოდება „ენ-

ლილისა და ნინლილის შეუღლებად", მოთხრობილია, თუ როგორ წარმოიშვნენ სხვა ღმერთები ამ ორი ღვთაების შეუღლების შემდეგ.

საინტერესოა მითის, „ენქი და სამყაროს შექმნის" სიუჟეტი, რომელიც ძალზე ახლოს დგას მიწიერი ცხოვრების შექმნის შესახებ არსებულ ბიბლიურ ლეგენდასთან. აღნიშნული შუმერული მითი იწყება ღვთაება ენქის შექებით. შემდეგ ნათქვამია, რომ ღმერთებმა მოუწოდეს მას ჩავიდეს დედამიწაზე და შეასრულოს იქ თავისი ღვთაებრივი მოვალეობა. ენქი ჩადის დედამიწაზე, აკეთებს ადამიანს თიხისაგან. ქალღმერთ ნინმახის (იგივე ნინთუ, ანის მეუღლე) დახმარებით იგი გააცოცხლებს თავის შექმნილ ადამიანს და ასწავლის მას მიწიერი არსების ქცევებს: ჭამას, სმას, სიარულს, ლაპარაკსა და აზროვნებას. ამის შემდეგ ენქი გააჩენს მცენარეულ და ცხოველთა სამყაროს. სპარსეთის ყურეში ზღვისა და ქარების მოძრაობის კანონების დაწესების შემდეგ ენქიმ

მიმართა გუთანსა და კავს,
ენქიმ, უმაღლესმა მბრძანებელმა,
გაავლო წმინდა ხნულები,
განაწესა შინდვრად პურის აღმოცენება,
ენქიმ დაავალა (ამათი მეთვალყურეობა) ღვთაება ენლილს.

მითის დანარჩენ ნაწილში მოთხრობილია ენქის მიერ სხვადასხვა ღვთაებებისათვის სახელოსა და საგამგეოს დაწესების შესახებ.

ყურადღებას იპყრობს სამყაროს შექმნის სიუჟეტის აქადური ვარიანტი, რომელიც ჩამოყალიბებულია ვრცელი პოემის სახით და იწოდება დასაწყისი სიტყვების მიხედვით როგორც „ენუმა ელიშ..." („როდესაც ზემოთ...").

სამყაროს შექმნის შესახებ არსებული შუმერული მითისაგან განსხვავებით, ან პოემაში მოქმედებენ სულ სხვა ღმერთები. მასში მოთხრობილია, რომ თავდაპირველად არსებული აბზუსა და ქალღმერთ თიამათისაგან შეიქმნენ ღმერთები, რომლებმაც სიმშვიდე დაუკარგეს შემოქმედ აბზუს. ეს უკანასკნელი მოინდომებს ახალი ღმერთების შემუსვრას, რაზედაც დაიყოლიებს თავის მეუღლე თიამათსაც. მაგრამ შვილები გაიგებენ ნშობელთა ამ გადაწყვეტილებას. ერთ-ერთი მათგანი, ეა (შუმერული ენქი) თავის მეუღლე დამქინუსთან ერთად გააჩენს ძლიერ ღვთაებას მარდუქს. ამ ამბით შეშფოთებული თიამათი, რომლის პირველობას ამიერიდან საფრთხე შეექმნა, მარდუქის დასაღუპავად შობს ურჩხულს. მითში ამის შემდეგ დაწვრილებითაა ლაპარაკი მარდუქისა და ურჩხულის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის შესახებ, რომლიდანაც გამარჯვებული გამოვიდა მარდუქი. ამან ძალზე გაახარა ახალგაზრდა ღმერთები, რომლებიც სპეციალურად

გამართულ ნადიმზე მარდუქს აირჩევენ თავიანთი კრებულის უპირველეს ღვთაებად. ამის შემდეგ მარდუქი დაამარცხებს თიამათსაც, მითში ნათქვამია:

> განკეთა უფალმა თიამათის გვამი,
> გაპრა ურჩხული. ნივთნი მშვენიერნი შექმნა,
> გაკეთა ორწილად, ვითარცა თევზი,
> ერთი ნახევრით ზეცა გადახურა,
> მოპიშა კიდენი, მცველები დაუსხა,
> უბრძანა თვალყური: მის წყლებს არ ედინათ[1].

შემდეგ მარდუქმა მოიარა ზეცა და იქ ღმერთებს გაუნაწილა ადგილები, გაანათლა ვარსკვლავები, შექმნა წელიწადი თავისი დროებით, ცაზე ამოაბრწყინა მთვარე და დაუსახა მოძრაობა-ცვალებადობის კანონები. ამიერიდან მარდუქი მიწიერი ცხოვრების მოწყობაზე ფიქრობს. იგი ეუბნება თავის მამას ეას, რომ გააჩენს ადამიანს:

> „სისხლს შეკადედებ, ძვალს წარმოვქმნი,
> დავსვამ ლულუს, კაცი იქნება სახელი მისი,
> დაეკისროთ ღმერთთა სამსახური,
> ხოლო ღმერთებმა დაე განისვენონ!".

აი, რისთვის შექმნა ღმერთმა ადამიანი პოემის ავტორთა თვალსაზრისით. ამ ძირითადი იდეის წყალობით აღნიშნული მითი ძალზე სწრაფად გავრცელდა რელიგიის მსახურთა წრეში: მას ყოველ ახალ წელს საჯაროდ კითხულობდნენ და ფართოდ ავრცელებდნენ მის ცალკეულ ეპიზოდებს. ყოველივე ამან გამოიწვია შესაქმის მითის აღნიშნული ვარიანტის რამდენიმე რედაქციის წარმოქმნა, რომლებმაც მოაღწიეს კიდეევაც ჩვენამდე. მითის სიუჟეტი გახდა სამყაროს შექმნის ბიბლიური ლეგენდის ერთ-ერთი უშუალო წყარო.

მითი წარღვნის შესახებ. წარღვნის სიუჟეტი არაერთ მცირე და დიდი ზომის ლიტერატურულ ჟანრში აისახა, რომელსაც, ჩანს, სხვადასხვა ვარიანტით ქმნიდნენ შუმერები და სემიტები. დღეისათვის მიკვლეულია წარღვნის შესახებ არსებული მითის შუმერული ვარიანტის ერთი ფირფიტა, რომელიც მოდინარეობს ნიფურიდან. იგი, სამწუხაროდ, ძალზე დაზიანებული სახითაა მოღწეული, რის გამოც უცნობი რჩება ჩვენთვის მისი შინაარსის ზოგიერთი დეტალი. შესავლის შემორჩენილ ნაწილში მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ შექმნეს ადამიანთა მოდგმა დიდმა ღმერთმებმა: ანმა, ენლილმა, ენქიმ და ნინხურსაგმა. მათვე გააჩინეს დედამიწაზე ქალაქები და მეფობა. თხრო-

---

1 პოემების ცალკეული ადგილები მოტანილია ყველგან ზ. კიკნაძისეული თარგმანით.

ბა წყდება ტექსტის დაზიანების გამო, სადაც გადმოცემული უნდა ყოფილიყო ღვთაებათა გადაწყვეტილება დედამიწაზე წარღვნის მოვლინების შესახებ.

ზოგიერთი ღვთაება წინააღმდეგია კაცთა მოდგმისადმი ასეთი მკაცრი განაჩენისა. ამის შემდეგ მოქმედება ხდება დედამიწაზე. მოთხრობილია ღვთისმოშიშ მეფე ზიუსუდრას შესახებ, რომელიც მოქმედებს მხოლოდ სიზმარში გამოცხადებული ღმერთების ნების მიხედვით. ერთ დღეს ზიუსუდრას შემოესმის ღვთაების ხმა, რომელიც არიგებს მას: „დადექ კედელთან, მე გეტყვი და შენ შეისმინე ბრძანება ჩემი: ღმერთების გადაწყვეტილებით მოვლენილი წარღვნა წალეკავს დიდ საკურთხეველებს და გაანადგურებს კაცთა მოდგმას“. ტექსტის მომდევნო დაზიანებული ადგილი, ჩანს, შეიცავდა დაწვრილებით დარიგებას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აეგო ზიუსუდრას ხომალდი, რომლითაც იგი შეძლებდა თავის გადარჩენას. შემდეგ ტექსტში ნათქვამია:

ჭარიშხალნი ძლევამოსილნი ყველანი ერთად მოვარდნენ
და იმავ წუთში წარღვნამ დაფარა ყველა ტაძარი.
შემდგომად შვიდი დღისა და შვიდი ღამისა,
რა წარღვნა მიწის პირს წარღვნიდა,
ხომალდს ზვირთებში მიმოიტაცებდა, —
(როცა) აღმობრწყინდა მზის ღმერთი უთუ, ცად და ხმელეთად
ნათლის მომფენელი,
ზიუსუდრამ გააღო სარკმელი ხომალდისა,
ზიუსუდრა, მეფე, განერთხა უთუს წინაშე,
მეფემ შესწირა მას ხარი და ცხოვარი,

ბოლოს ნათქვამია, რომ დიდმა ღმერთებმა ზიუსუდრას, „მცენარეთა და კაცთა თესლის გადამრჩენელს“ მიანიჭეს მარადიული უკვდავება.

წარღვნის აღნიშნული სიუჟეტი რამდენადმე გადამუშავებული სახით ვრცლად წარმოადგინეს სემიტებმა ცნობილ გილგამეშის ეპოსში, რომლის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ იქნება საუბარი.

საგმირო პოემები. შუმერების საყვარელი ეპიკური გმირი იყო გილგამეში, რომლის შესახებაც შეიქმნა მთელი ციკლი საგმირო მითებისა. დღემდე გამოვლენილია ხუთი ასეთი მითი, რომლებშიც მოთხრობილია გილგამეშის სახელთან დაკავშირებულ საგმირო საქმეებზე: „გილგამეში და ცოცხალთა ქვეყანა“, „გილგამეში და ციური ხარი“, „გილგამეშის სიკვდილი“, „გილგამეში და აგა“ და „გილგამეში, ენქიდუ და ქვესკნელის სამეფო“.

პირველი პოემის შინაარსი ასეთია: ურუქის მეფე გილგამეში დარწმუნდება, რომ მას სიკვდილი უწერია. ამიტომ იგი ცდილობს

განადიდოს თავისი სახელი საგმირო საქმეებით. ამ მიზნით იგი მიემგზავრება შორეულ „ცოცხალთა ქვეყანაში“, სადაც ურჩხული ხუვავა იცავს კედრის ტყეს. თავის მეგობარ ენქიდუსა და თანმხლებ 50 ურუქელ ვაჟკაცთან ერთად იგი შეებრძოლება ხუვავას და დაამარცხებს მას.

პოემა „გილგამეში და ციური ხარი“ ფრაგმენტულადაა ჩვენამდე მოღწეული. მასში მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ შესთავაზა ქალღმერთმა ინანამ გილგამეშს სიყვარული და თანაგრძნობა. გილგამეშისაგან უარყოფითი პასუხის მიღებით გაბრაზებული ინანა ღვთაება ანისაგან გამოითხოვს მრისხანე ციურ ხარს და მიუსვევს გილგამეშის ქალაქს ურუქს. პოემის შემორჩენილი ბოლო სტრიქონების შინაარსის მიხედვით ირკვევა, რომ გილგამეშმა ენქიდუს დახმარებით გაიმარჯვა ციურ ხარზე.

ასევე ფრაგმენტულად შემოინახა პოემა „გილგამეშის სიკვდილი“. როგორც ჩანს, პოემაში საუბარი იყო იმის შესახებ, თუ სიკვდილის გარდუვალობით შეძრწუნებული გილგამეში როგორ ეძებს უკვდავებას. იგი განადიდებს თავის სახელს საგმირო საქმეებით, მაგრამ დარწმუნდება, რომ უკვდავების მოპოვებისათვის ყოველივე ამაოა.

პოემა „გილგამეშისა და აგას“ შინაარსი გადმოცემული იყო ზემოთ შუმერის ადრეულ ისტორიაზე საუბრის დროს. აქ რამდენიმე სიტყვით შევეხებით მოხსენიებული ციკლის უკანასკნელი პოემის — „გილგამეში, ენქიდუ და ქვესკნელის სამეფოს“ სიუჟეტს: ოდესღაც ევფრატის სანაპიროზე გაზრდილა ტირიფის ხე, რომელიც მოეწონება ინანას და გადაიტანს ქალაქ ურუქში. შემდეგ ინანა მოინდომებს ხის მოჭრას და საწოლის გაკეთებას, მაგრამ გამოირკვევა, რომ ეს შეუძლებელია: ხის ფესვებში დაუბუდნია გველს, ხოლო ხის ტოტებში — ფრინველ იმდუგუდს. ინანა დახმარებისათვის მიმართავს გილგამეშს. იგი კლავს გველს, ხოლო შეშინებული ფრინველი მიატოვებს ხეს. ამის შემდეგ ინანა მოჭრილი ხისაგან აკეთებს ჩვენთვის გაურკვეველი დანიშნულების საგნებს, — „ფუქუს“ და „მიქოს“, რომლებიც შემთხვევით ჩაცვივდებიან ჯოჯოხეთში. მის ამოსატანად ენქიდუსთან ერთად გაემგზავრება გილგამეში. ენქიდუ ჯოჯოხეთში შესული ვეღარ ბრუნდება უკან. გილგამეში ენლილის დახმარებით შეძლებს იმქვეყნიური სამყაროდან გამოიყვანოს ენქიდუს მხოლოდ აჩრდილი. იგი უყვება თავის მეგობარს გილგამეშს ქვესკნელის სამეფოს ამბებს.

გილგამეშის ეპოსი. საგმირო ეპოსის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს ვრცელი პოემა გილგამეშის შესახებ, რომელიც დაწერილია ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში აქადური ენის ბაბილონურ დიალექტზე და თავის მხრივ წარმოადგენს გილგამეშის შესახებ არსებული შუმერული პოემების ფაბულის ვრცელ ვარიანტს.

გილგამეშის ეპოსი ძველი შუამდინარეთის ლიტერატურის უპირველეს ძეგლს წარმოადგენს, რომლის გმირია ადამიანი-მოკვდავი მთელი თავისი განცდებით. პოემაში გადმოცემულია ადამიანური დრამა გილგამეშისა, რომელიც უძლეველია როგორც გმირი ჩვეულებრივ მოკვდავთა შორის, სწორუპოვარია (თავისი საგმირო საქმეებით და ამავე დროს საოცრად სუსტი სიკვდილის წინაშე) ნაწარმოებში დასმულია მარადიული პრობლემა სიკვდილ-სიცოცხლისა და გაკეთებულია აქცენტი ამ ორი ურთიერთგამომრიცხველი ცნების თანამიმდევრობის კანონზომიერებაზე. გილგამეშის ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ მას, როგორც ადამიანს, არ შეუძლია გადალახოს ბუნების ამ კანონზომიერების საზღვრები და მთელი თავისი არსებით მონა რჩება მისი.

პოემა იწყება მოკლე შესავლით, რომელშიაც განდიდებულია უძლეველი მეფე გილგამეში და მისი ქალაქი ურუქი. აქვე ხაზგასმულია მისი ღვთაებრივი წარმომავლობა; იგი ორი მესამედი ღმერთია და ერთი მესამედი ადამიანი, რადგანაც წარმოიშვა ქალღმერთ ნინსუნასა და მოკვდავი გმირის ლუგალბანდას შეუღლებით. გილგამეშის ტირანული ქცევებით შეწუხებული ურუქის მკვიდრნი დახმარებისათვის მიმართავენ ღმერთებს, რომლებიც გადაწყვეტენ, რომ გილგამეშის წარმოდგენას თავისთავზე, როგორც სწორუპოვარ გმირზე, ბოლო მოღებოდა. ამ მიზნით ღმერთებმა დედამიწაზე გამოგზავნეს ქალღმერთი არურუ (იგივე ნინთუ), რომელიც თიხისაგან გამოძერწავს ძლიერ ენქიდუს. იგი დაიწყებს ცხოვრებას ველად გარეულ ცხოველებს შორის. ენქიდუ არის უზარმაზარი ღონის მქონე. გილგამეში გაიგებს ენქიდუს არსებობის ამბავს და ცდილობს მოაქციოს იგი ადამიანური ცხოვრების წესზე, რასაც მიაღწია კიდეც ენქიდუსთან სპეციალურად მოგზავნილი ქალის, შამხათის დახმარებით. შამხათი შეუუღლდება ენქიდუს, რომელიც ეზიარება ადამიანურ სიბრძნეს, შამხათისაგან იგი შეისწავლის ცხოვრების ელემენტარულ წესებს, რის შემდეგაც მიდის ქალაქ ურუქში, სადაც შეხვდება ამაყ გილგამეშს. მეფე-გმირი შეერკინება ენქიდუს, მაგრამ, იგემებს რა მისი მკლავის ძალას, ცდილობს დაუმეგობრდეს ენქიდუს. ეს უკანასკნელი გახდება გილგამეშის მეგობარი და მსახური.

რამდენიმე ხნის შემდეგ ენქიდუს მოსწყინდება ურუქის ერთფეროვანი ცხოვრება და ცდილობს შეცვალოს იგი. მას გილგამეში გაუმხელს, რომ სურს საგმირო საქმეების ჩადენის მიზნით გაემგზავროს შორს, კედრის ტყის ქვეყანაში და მოკლას ძლიერი ხუვავა. ენქიდუ ურჩევს მას გადაიფიქროს ეს სარისკო საქმე, მაგრამ გილგამეშს ეცინება მეგობრის შიშზე. ბოლოსდაბოლოს, იმავე ენქიდუს თანხლებით და ღვთაება შამაშის მხარდაჭერით წაქეზებული, გილგამეში გაემგზავრება კედრის ტყეში; იქ მოკლავს ხუვავას და გაჭრის ტყეს.

ურუქში დაბრუნებულ გილგამეშს ახალი საგმირო თავგადასავალ-ელოდება. საქმე ისაა, რომ სილამაზის ქალღმერთი იშთარი (შუმერული ინანა) შეიყვარებს გილგამეშს და სთხოვს მას თანაგრძნობას. გილგამეში უარყოფს ღმერთქალის ამ წინადადებას იმ მოტივით, რომ ქალღმერთისათვის ჩვეულებრივია მრავალი საყვარლის ყოლა და არც ერთისადმი — მტკიცე სიყვარული. შემდეგ მოქმედება ისე ვითარდება, როგორც ეს ამ ეპიზოდის შუმერულ ვარიანტშია მოთხრობილი. იშთარი გამოსთხოვს ანუს ციურ ხარს და მიუსევს მას ურუქს. გილგამეში და ენქიდუ გაიმარჯვებენ გამძვინვარებულ ცხოველზე. ამგვარად, ეს ორი ძმადნაფიცი გმირი დიდების მწვერვალზე აღმოჩნდება. მაგრამ მათი ტკბობა ბიღწეული გამარჯვებებით ხანმოკლე გამოდგა. ენქიდუს შეეპარება ავადმყოფობა, რომელიც მეცამეტე დღეზე კიდევაც იმსხვერპლებს მას. გილგამეშს სულის სიღრმემდე შეაძრწუნებს ეს ამბავი. აქედან დაიწყება მისი ტრაგედია. გილგამეში გაიჭრება ველად. იგი ერთი წუთითაც ვერ ისვენებს, აწუხებს ფიქრი: „მეც მოვკვდები, განა არ მოვკვდები ენქიდუს მსგავსად?"

სიკვდილის შიშით შეძრწუნებულ გილგამეშს არ აშშვიდებს არც მისი საგმირო საქმეებით მოპოვებული დიდება. იგი ახლა გარემოცულია მხოლოდ ერთი გრძნობით — როგორმე უზრუნველყოს ფიზიკური უკვდავება, თორემ ყველაფერი ამაოებაა.

გილგამეშმა ადრეც იცოდა, რომ უკვდავებას ნაზიარებია მხოლოდ ერთი კაცი, სახელად უთნაფიშთიმი, რომელსაც ღმერთებმა უბოძეს მარადიული სიცოცხლე წარღვნის დროს კაცთა მოდგმის თესლის გადარჩენისათვის. იგი გადაწყვეტს მიაღწიოს უთნაფიშთიმამდე, რათა გამოჰკითხოს „სიკვდილ-სიცოცხლის ამბავი" და, თუ შესაძლებელია, ისწავლოს მისგან უკვდავების მოპოვების საშუალება. გილგამეშს ბევრი დაბრკოლების გადალახვა უხდება გზაზე; იგი ებრძვის გარეულ მხეცებს, იტანჯება შიმშილისაგან, მაგრამ ისწრაფვის წინ. იგი გადალახავს პირველქმნილ ოკეანეს და სიკვდილის წყლებსაც. ბოლოს, დაღლილ-დაქანცული მიაღწევს უთნაფიშთიმამდე. ოდესღაც ამაყი მეფე ურუქისა ახლა ღაწვებჩაცვენილი და ცხოველთა ტყავში გამოხვეული სთხოვს უთნაფიშთიმს გაანდოს მას თავისი უკვდავების საიდუმლოება. უთნაფიშთიმი დაწვრილებით უყვება გილგამეშს იმ წარღვნის შესახებ, რომელიც მოავლინეს დიდმა ღმერთებმა დედამიწაზე ყოველი სულდგმულის მოსასპობად. ენლილმა და ეამ გაანდეს ეს საიდუმლოება უთნაფიშთიმს, შურუფაქის მეფეს და ურჩიეს დაენგრია სახლი და აეგო დიდი ხომალდი, რომელშიც შეიძლებოდა ყოველი სულდგმულის მოთავსება. უთნაფიშთიმი ასეც მოიქცა. შამაშის მიერ დათქმულ დროს დაიწყო კოკისპირული წვიმა და გრიგალი, რამაც შვიდ დღე-ღამეს გასტანა. ამის შემდეგ ჩადგა ქარიშხალი. უთნაფიშ-

თიმის ხომალდი მიაჯგა ნიკირის მთას, სადაც მან დაიბანაკა და მსხვერპლი შესწირა ღმერთებს. ამ უკანასკნელთა კრებულის გადაწყვეტილებით, ბრძენი ეას რჩევით ენლილმა ადამიანთა მოდგმის გადარჩენისათვის უთნაფიშთიმსა და მის ცოლს მიანიჭა უკვდავება. უთნაფიშთიმი ეკითხება გილგამეშს: „აწ ვინ შეგიკრებს შენ ღმერთებს, რომ მოიპოვო სიცოცხლე, ასე რომ ეძებ?“ პოემის უცნობი ავტორი აქ ერთ მეტად დამახასიათებელ შტრიხს უსვამს ხაზს: როგორც კი დაჯდა გილგამეში, იმ წუთშივე მკვდარივით ჩაეძინა. უთნაფიშთიმი ეუბნება თავის მეუღლეს: „შეხედე კაცს, რომელსაც მარადიული სიცოცხლე სურს! ძილმა მოიცვა როგორც ღრუბელი“. მხოლოდ ექვსი დღის ძილის შემდეგ გაიღვიძა გილგამეშმა. იგი გრძნობს თავის ადამიანურ სისუსტეს და შეძრწუნებული ეუბნება უთნაფიშთიმს:

> აწ რა ვქნა, უთნაფიშთიმ, საით წავიდე?...
> სიკვდილი მიზის საძილე სახლში
> და საითაც გავიხედავ, ყველგან სიკვდილია?

უთნაფიშთიმი ურჩევს მას დაბრუნდეს ურუქში და ხელი აიღოს უკვდავების ძებნაზე, რადგანაც იგი მიუწვდომელია მისთვის. დაღონებული გილგამეში გამობრუნდება უკან, ამ დროს უთნაფიშთიმის მეუღლე საიდუმლოს გაუმხელს მას, რომ შეიძლება მუდმივი სიცოცხლე მოიპოვო თუ იშოვნი უკვდავების ბალახს, რომელიც ზღვის ფსკერზე იზრდებაო. გილგამეში დიდი გაჭირვებით ჩაიგდებს ხელში ამ ბალახს და გახარებული გამოემართება ურუქისაკენ; მაგრამ ერთხელ, როცა იგი საბანაოდ ჩავიდა წყალში, ნაპირზე დატოვებული ბალახი გველმა მოსტაცა. ამით გაქრა უკვდავების მოპოვების უკანასკნელი იმედი. გილგამეში სასოწარკვეთილი ბრუნდება ურუქში.

საგმირო-ისტორიული ხასიათის პოემები. ამ მხრივ საინტერესოა ენმერქარის პიროვნების ირგვლივ შექმნილი ციკლი მითებისა, რომელშიც არეკლილია შუმერის ადრეული ისტორიის ზოგიერთი რეალური ეპიზოდი. კერძოდ, ერთ-ერთ მათგანში, სახელწოდებით „ენმერქარი და არათას ქურუმი“, მოთხრობილია იმ საგაჭრო ურთიერთობის შესახებ, რომელიც არსებობდა ძვ. წ. III ათასწლეულის I ნახევარში შუმერის ქალაქებსა და აღმოსავლეთით მდებარე არათას ქვეყანას შორის. პოემაში ნათქვამია, რომ ურუქის მეფე ენმერქარი მოინდომებს მისგან შორს, აღმოსავლეთით, დღევანდელი ირანის ტერიტორიაზე მდებარე არათას სამეფოს დამორჩილებას. ენმერქარისათვის ცნობილი იყო, რომ ეს სამეფო გამოირჩეოდა ლითონისა და სამშენებლო ქვების სიმდიდრით, რაც არ მოიპოვებოდა შუამდინარეთში. მან ელჩი გაუგზავნა არათას ქურუმს და დაემუქრა ქალაქის დანგრევითა და მოსახლეობის ამოწყვეტით, თუ იგი არ გამოუგზავნი-

და მას ოქროს, ვერცხლს და არ აუშენებდა ურუქელებს დიდებულ ტაძარს ენქის სახელზე. არათას მმართველს არ აშინებს ეს მუქარა. იგი სამშენებლო მასალის საფასურად ურუქელებისგან მოითხოვს ხორბალს. ენმერქარი გაუგზავნის არათას ქურუმს ძალზე ბევრ მარცვალს, მაგრამ პირობის ასრულებისაგან მოპირდაპირე მხარე თავს იკავებს. ახლა არათას ქურუმი ენმერქარს უთვლის, რომ მათ შორის ძლიერი, დაე, გამოავლინოს მოწინააღმდეგე მხარეების მეომართა ორთაბრძოლამ. ელჩს ამის შემდეგაც არაერთხელ მოუხდა მაღალი მთების გადალახვა. დასასრულს ირკვევა, რომ ყველაფერი დამთავრდა ენმერქარის სასარგებლოდ — არათას ქურუმი დათანხმდა სამშენებლო მასალის გამოგზავნასა და ურუქელებისათვის ტაძრის აგებაზე.

აღნიშნული ციკლის ორ დანარჩენ პოემაშიც მოქმედ გმირად ისევ ენმერქარია გამოყვანილი, მაგრამ ამჯერად აქცენტი გადატანილია შუმერის ერთ-ერთ ეპიკურ გმირზე — ლუგალბანდაზე. პოემაში „ლუგალბანდა და ენმერქარი" თხრობა იწყება იმით, რომ ლუგალბანდა იმყოფება თავისი მშობლიური ურუქიდან შორს, ზამუს ქვეყანაში, საიდანაც იგი ბრუნდება იმდუგუდ ფრინველის დახმარებით. ლუგალბანდა ეახლება მეფე ენმერქარს, რომელიც ძალზე შეუწუხებია სევიტი ტომების ურუქზე შემოტევას. ლუგალბანდა აღუთქვამს მას დახმარებას. ამის შემდეგ მოთხრობილია, თუ როგორ გაემგზავრა იგი არათას ქვეყანაში.

მეორე პოემა „ლუგალბანდა და ხურუმის მთა" გადმოგვცემს არათას დასაპყრობად ენმერქარის გამგზავრების ამბავს. გზაზე, ხურუმის მთასთან ავად გახდა მისი თანამგზავრი ლუგალბანდა, რომელიც მიატოვეს უპატრონოდ. მაგრამ ლუგალბანდა ღმერთების დახმარებით გამოჯანმრთელდება და იწყებს მარტოდმარტო ცხოვრებას მთებში. იგი იკვებება მხეცების ხორცითა და გარეული მცენარეების ნაყოფით. ბოლოს ლუგალბანდა კლავს მძვინვარე გარეულ ხარს და ამზადებს მისგან ღმერთებისადმი შესაწირავ საჭმელს.

ლირიკული პოეზია. ამ ჟანრის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს ურის III დინასტიის ერთ-ერთი მეფის შუსუენასადმი მიძღვნილი სატრფიალო ჰიმნები, რომლებიც დაწერილია შუმერულ ენაზე. დღეისათვის ცნობილია ორი ასეთი ჰიმნი, რომელსაც ყოველი წლის დასაწყისში უმღეროდა მიწიერ მბრძანებელს მისი გულის რჩეული ღვთაება ინანა, ერთ-ერთ ქურუმ ქალთან მეფის რიტუალური შეუღლების დროს. ერთი ჰიმნი იწყება წმინდა სიძის — თვით მეფისადმი ასეთი სატრფიალო მიმართვით:

სიძევ, გულის ჩემისა საყვარელო,
ტკბილია ნაყოფი შენი, უფროის თაფლისა!

ლომო, გულისა ჩემისა საყვარელო,
ტკბილია ნაყოფი შენი, უფროის თაფლისა.

მეორე ჰიმნშიც შექებულია იგივე მეფე შუსუენა უცნობი ქურუმი ქალისაგან, რომელსაც საგალობელის კარგად შესრულებისათვის ჯილდოც კი დაუმსახურებია. აი, ეს სტროფიც:

რამეთუ ვუგალობ, რამეთუ ვუგალობ მეუფემ
ჩემმა ძღვენი მიბოძა.
რამეთუ „ალალი“ ვუგალობე, მეუფემ ჩემმა
ძღვენი მიბოძა.

თემატურად ამავე ჟანრში ერთიანდება ელეგიაც. დღეისათვის გამოვლენილია შუმერული ელეგიის მხოლოდ ორი ნიმუში, რომელიც დაუწერია ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოს ვინმე ლუდინგირას. ლირიკული პოეზიის ამ ბრწყინვალე შედევრებში გადმოცემულია ღრმა ადამიანური განცდა პოეტისა, რომელიც ძალზე დაუმწუხრებია მამისა და საყვარელი მეუღლის გარდაცვალებას.

პირველ ელეგიაში ლუდინგირა დასტირის თავის მამას. იგი გარდაცვლილა რომელიღაც ბრძოლაში მიღებული ჭრილობების გართულების შედეგად შვილის შინ არყოფნისას. დაბრუნებულ ლუდინგირას პირველივე შთაბეჭდილების გავლენით დაუწერია მამის დასატირებელი. ელეგიაში დიდი პოეტური ოსტატობითაა აღწერილი განსვენებულის მეუღლის, შვილებისა და რძლების მწუხარება.

მეორე ელეგია წარმოადგენს ლუდინგირას საყვარელი მეუღლის ნავირთუმის დასატირებელს. დასაწყისში აღწერილია გარდაცვლილი ქალის სილამაზე, შემდეგ კი ის მწუხარება, რომელმაც მოიცვა მისი ახლობელი და ნათესავი. ლუდინგირა მოთქვამს თავის სიმარტოვეზე, რაც მეუღლის გარდაცვალებამ არგუნა მას. შემდეგ ელეგიაში შექებულია ნავირთუმის კეთილი თვისებები, ხოლო დასასრულს ავტორი უსურვებს შვილებს დიდხანს სიცოცხლეს დედის სულის პატივსაცემად და ხსოვნისათვის.

ორივე ელეგია დაწერილია კლასიკურ შუმერულ ენაზე მაღალ პოეტურ სტილში, მრავალი მეტაფორისა და შედარების გამოყენებით. ეს ნაწარმოებები ახლობელთა შორის ყველაზე ძვირფასი პირების გარდაცვალებით გამოწვეული გრძნობებისა და განცდების პოეტურ ფორმაში გადმოცემის პირველი და საუკეთესო ცდაა. ამ ღირსებებმა განაპირობეს ლუდინგირას ელეგიების დიდი პოპულარობა მათი დაწერის ეპოქაშივე. როგორც ჩანს, ისინი ისწავლებოდა სკოლაში, რაზედაც მეტყველებს ნიფურში აღმოჩენილი ერთი ფირფიტა, რომელიც შეიცავს მოსწავლეთა ხელით გადაწერილი და მასწავლებლის მიერ შესწორებული პირველი ელეგიის შესავლის 20 სტრიქონს. აღნიშნული ნა-

წარჩოებების დედნები ინახება მოსკოვის ა. პუშკინის სახ. სახვითი ხელოვნების მუზეუმში. იგი პირველად შეისწავლა საბჭოთა შუმეროლოგმა ვ. შილეიკომ, რომელმაც ვეღარ ბოასწრო მისი გამოქვეყნება. ამჟამად ლუდინგირას ელეგიები გამოცემულია რუსულ და ინგლისურ ენებზე ს. კრამერის მიერ.

სახვითი ხელოვნება. როგორც ცნობილია, შუამდინარეთში არ მოიპოვებოდა ქვა და ლითონი. არაა აქ წარმოდგენილი მაგარმერქნიანი ხის ჯიშებიც. ყოველივე ეს აფერხებდა სახვითი ხელოვნების ისეთი დარგების განვითარებას, რომლის მატერიალურ საფუძვლადაც ითვლება ეს ბუნებრივი მასალა.

ძველი შუამდინარეთის არქიტექტურაში, რომელიც აქ ხელოვნების უძველეს და შედარებით კარგად განვითარებულ დარგს წარმოადგენს, ძირითად სამშენებლო მასალად გამოიყენებოდა თიხის აგური. პირველი ტაძრები და სასახლეები, რომელთა ნანგრევები განეკუთვნება ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისს და აღმოჩენილია ურუქსა და ელ-უბაიდში, ატარებს ოთხკუთხედის ან კვადრატის ფორმას. არქიტექტურის ამ ადრეული ეტაპისათვის დამახასიათებელი იყო შენობის შიგნით გრძელი ეზოს არსებობა, ხოლო მისი ორივე გვერდის ჩაყოლებით შენობის ცალკეული დეტალების სიმეტრიული განლაგება. ასეთი შენობა მონუმენტურობით ხასიათდებოდა, რომელიც წარმოდგენილი იყო რაიმე დამატებითი არქიტექტურული დეტალების გარეშე. ამ დროის არქიტექტურაში თითქმის არ გვხვდება ხის მასალის გამოყენების შემთხვევები. მოგვიანებით კი, კერძოდ აქადისა და ურის III დინასტიების ეპოქაში, ფართოდ მიმართავდნენ სამშენებლო საქმეში ხისა და ქვის გამოყენებას. ამ დროს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ შენობის გარეგნულ და შიდა გაფორმებას დიორიტის ქვაში გამოკვეთილი მითოლოგიური სიუჟეტების გამოსახულებებით. აღნიშნულ ხანაშივე ყალიბდება სატაძრო შენობის ახალი ტიპი, ეგრეთ წოდებული ეზოიანი ტაძრები, რომელსაც ძირითადი და გაბატონებული მდგომარეობა ეჭირა გვიანბაბილონურ ხანამდე. ეზოს შემოყოლებული ჰქონდა მაღალი და გრძელი კედელი, რომელიც შენობასთან ერთად არქიტექტურული ანსამბლის შთაბეჭდილებას ტოვებდა. საკუთრივ ტაძრის შენობა ამ დროისათვის იღებს კოშკის ფორმას, რომელსაც ზიქურათებს უწოდებდნენ. ზიქურათები შენდებოდა როგორც სამ, ისე შვიდსართულიანი (საფეხურიანი).

თავისებურ ფორმით ხასიათდება ძველი შუამდინარეთის სახვითი ხელოვნების სკულპტურული ნიმუშები. ადამიანებისა და ღვთაებების ქანდაკებები გამოირჩევა განსაკუთრებული სტატიკურობით. თითქმის არც ერთ ნიმუშს არ ახასიათებს დინამიზმი, ხოლო როცა ცდილობდნენ მოძრაობის გამოსახვას, ამას აღწევდნენ ძალზე პრიმი-

ტიული ხერხით — ცალკეული ორგანოების პირობით მოძრავ პოზაში წარმოდგენით. ამის ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს ფრინველების, ცხოველებისა და ადამიანების ფიგურების განლაგება ეანათუმის ცნობილ „ძერათა სტელაზე“.

ხელოვნების ამ დარგში რამდენადმე წარმატებას მიაღწიეს აქადის ეპოქის დროინდელმა მხატვრებმა. ისინი ცდილობდნენ მეტი მოძრაობა მიენიჭებინათ ადამიანის ფიგურისათვის. ამ მხრივ ძალზე საინტერესოა „ნარამსუენის გამარჯვების სტელის“ გამოსახულებები. რელიეფზე წარმოდგენილი სცენა ასახავს ელამის მთიანეთში ნარამსუენის ლაშქრობის ეპიზოდს. ძლევამოსილი მეფე გოროზულ პოზაში მიუძღვება მთის ფერდობზე შეფენილ თავის ჯარისკაცებს. მთებისა და მცენარეების სილუეტები აქ ჯერ კიდევ პირობითი მოხაზულობით არის გადმოცემული, მაგრამ მაინც მიღწეულია ბუნებისა და ადამიანების რამდენადმე ერთ მთლიანობაში აღქმის შესაძლებლობა.

შუმერული ქანდაკებების ცივი უმოძრაობა ახასიათებს ურის III დინასტიის დროინდელ სკულპტურულ ნამუშევრებსაც. ამ ეპოქის მოქანდაკეებს ყურადღება გადაქვთ მეტი პორტრეტული მსგავსების გადმოცემაზე. ეს რამდენადმე მიღწეულია, მაგალითად, ლაგაშის ენსის გუდეას ქანდაკებებში, მაგრამ არაა დაძლეული სტატიკურობა. სკულპტურული ხელოვნების ეს დიდი ნაკლი თითქოს დაფარულია ფიგურების მჯდომარე ფორმაში გამოსახვით.

შედარებით მაღალ განვითარებას მიაღწია ძველი შუამდინარეთის გლიპტიკამ. საბეჭდავებზე წარმოდგენილი სხვადასხვა ფორმის მითოლოგიური სცენების მთავარ მოტივს წარმოადგენს ცხოველთა გამოსახულებები. აქვე ასახა შუმერული ლიტერატურის არაერთი ნიმუშის ცალკეული ეპიზოდი. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა გილგამეშისა და მის შესახებ არსებული პოემების პერსონაჟების გამოსახულებები. შუმერულ-აქადური სახვითი ხელოვნების ეს დარგი განვითარდა და სრულყოფილი გახდა მომდევნო საუკუნეების ბაბილონელ და ასურელ ხელოვანთა შემოქმედებაში.

მეცნიერების ცალკეული დარგების აღმოცენება. მათემატიკა. ასტრონომია. ძველი შუამდინარეთის ეპოქაში მეცნიერების მრავალი დარგის საწყისებია წარმოდგენილი. ცხოვრების ყოველდღიური მოთხოვნილება აუცილებელს ხდიდა, რომ ადამიანის აზროვნება უფრო ღრმად ჩასწვდომოდა ბუნების საიდუმლოებას და რამდენადმე მაინც შეეცნო მისი კანონზომიერებანი. ფართოდ წარმოებულმა სამეწარმოქმედო საქმიანობამ, უპირველეს ყოვლისა, მათემატიკური აზროვნების განვითარებას უბიძგა. შუმერებმა შექმნეს თვლის ათეული და სამოცეული სისტემები; შეიმუშავეს და პრაქტიკაში დანერგეს წილადური რიცხვის გამომხატველი ნიშნები. ჩვენამდე მოღწეული საკმა-

ოდ მრავალრიცხოვანი მათემატიკური ტექსტებიდან რამდენიმე ათეული წარმოადგენს მაგალითებისა და ამოცანების სასწავლო-სავარჯიშო კრებულს. ეს იმაზე მეტყველებს, (რომ იმ დროისათვის სკოლებში, ჩანს, ფართოდ ასწავლიდნენ მათემატიკის საფუძვლებს, რაც ემსახურებოდა საბუხჰალტრო სპეციალისტების მომზადებას. აღნიშნული ხასიათის მათემატიკური ტექსტების მონაცემებიდან ნათელი ხდება, რომ შუმერებმა იცოდნენ კვადრატული ფესვის ამოღება და ორუცნობიანი განტოლების ამოხსნაც.)

ძველ შუამდინარეთში გეომეტრიის აღმოცენება-განვითარებაც ძირითადად განაპირობეს პრაქტიკულმა მოთხოვნილებებმა. ეს გამოიხატებოდა უმთავრესად სავარგული მიწების აზომვა-აღრიცხვის საჭიროებაში. შემონახულია მინდვრის გეგმები, რომელთა ნიხდვით ვგებულობთ, თუ როგორ ახდენდნენ მინდვრის აზომვასა და ფართობის გამოანგარიშებას. როცა ნაკვეთი არ იყო სწორკუთხედის ფორმისა, მას დაყოფდნენ ოთხკუთხედებად და სამკუთხედებად, რომელთა ფართობს ანგარიშობდნენ ჩვეულებრივი წესით. მიღებული შედეგების შეკრებით გაიგებდნენ სათანადო მიწის ნაკვეთის ფართობის ზომას.

გეომეტრია პრაქტიკულ გამოყენებას პოულობდა აგრეთვე ნავების წყალწყვის გამოანგარიშების დროს ანდა სხვადასხვა ფორმისა თუ სიდიდის მქონე ჭურჭლის მოცულობის გასაგებად. მეცნიერების ამ დარგის სათანადო განვითარებულობაზე მეტყველებს ის ფაქტი (რომ შუმერებმა ბერძნებზე გაცილებით ადრე იცოდნენ და ფართოდ იყენებდნენ პითაგორას თეორემას.)

ძველმა ბაბილონელებმა ბევრი ვერაფერი შემატეს მათემატიკურ ცოდნას. მათი დამსახურება მხოლოდ ის არის, რომ გვიანბაბილონურ ხანაში შემოიღეს ნულის აღმნიშვნელი სათანადო ნიშანი, რაც არ გვხვდება ადრეულ მათემატიკურ ტექსტებში.

შუმერული კოსმოგონიიდან განვითარდა ასტრონომიის ელემენტები. შუმერელი და ბაბილონელი ქურუმები აკვირდებოდნენ ციური სხეულების მოძრაობას ზიქურათების სულ ზემო სართულზე სპეციალურად დატოვებული მოედნიდან.

ასტრონომიული ცოდნა შედარებით განვითარდა ძველბაბილონურ ხანაში, როცა ამ ცოდნის საფუძველზე (შეიმუშავეს საკმაოდ ზუსტი კალენდარი,) რომლის შესახებაც ზემოთ უკვე იყო საუბარი. აღსანიშნავია ის, რომ ამავე ეპოქაში შეადგინეს კიდევაც ასტრონომიის სახელმძღვანელო, რომლის ასლი აღმოჩნდა აშურბანიფალის ბიბლიოთეკაში.

სამედიცინო ცოდნისა და ფარმაკოლოგიის განვითარება. ექიმის (შუმ. აზუ „წყლის ვცოდნე“) პროფესია შუმერში ძალზე ადრეულ

ხანაში გაჩნდა. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ძვ. წ. 2700 წლისათვის ურში მოღვაწეობდა ექიმი ლულუ, ხოლო ძვ. წ. 2000 წ. ახლოს ურის III დინასტიის სამეფო კარს ჰყავდა საკუთარი ექიმი — ურლუგალედინი, რომელსაც თავისი პროფესიული ბეჭედიც კი გააჩნდა. შუმერები სამედიცინო ცოდნას ღვთაება ენქის ჯილდოდ თვლიდნენ, ხოლო მედიცინის უშუალო მფარველ ქალღმერთად მიაჩნდათ ნინხურსაგი.

ნიფურიდან მომდინარეობს ერთი ფირფიტა, რომელიც განეკუთვნება ძვ. წ. XXII ს. და წარმოადგენს საექიმო რეცეპტების კრებულს. საინტერესოა ის გარემოება, რომ ფარმაკოლოგიის ამ უძველეს დოკუმენტში ვერ ვხვდებით მაგიური შელოცვების რაიმე ნიშანს. ჩამოთვლილი რეცეპტები და ავადმყოფების განკურნების წესები წმინდა ემპირიულ ცოდნაზეა დამყარებული. როგორც მეცნიერებმა დაადგინეს, ამ რეცეპტებით დამზადებული წამლების შემადგენლობაში შედის ნატრიუმის, კალიუმისა და აზოტოვანი ნაერთები. წამლების დამზადების დროს ფართოდ მიმართავდნენ მცენარეებისა და ბალახების გამოყენებას. შეიძლება ამ შორეულ წარსულში მიაგნო ადამიანმა გველის შხამის სამკურნალო თვისებებს; ერთ-ერთი წამლის რეცეპტით რეკომენდებულია გველის ტყავის გამოყენება. ამ მხრივ საინტერესო უნდა იყოს ის გარემოება, რომ გუდეას ერთ-ერთ ვაზაზე გამოსახულია ჯანმრთელობის მფარველი ქალღმერთის ნინგიშზიდას გვერდით კვერთხი, რომელსაც ორი გველი ეხვევა. შეიძლება ეს გამოსახულება ჩაითვალოს მედიცინის თანამედროვე ემბლემის — ესკულაპის გველის — პროტოტიპად.

(ძველბაბილონურ ხანაში უკვე განვითარებული ჩანს მედიცინის ცალკეული დარგები — ქირურგია, გინეკოლოგია და ვეტერინარია. ხამურაბის კანონების რამდენიმე მუხლი ეძღვნება ქირურგის მიერ ჩატარებული თვალის ოპერაციის ან სიმსივნის მოკვეთისათვის გასამარჯელოს ზომის განსაზღვრას.)

ძველი შუამდინარეთის სამედიცინო ცოდნამ ფართო გავრცელება პოვა მთელს წინა აზიაში. შუმერულ-ბაბილონურ მედიცინას იყენებდნენ და დიდად აფასებდნენ ხეთები და ეგვიპტელებიც კი.

ისტორია, ფილოლოგია და იურისპრუდენცია. ისტორიოგრაფია იმ აზრით, როგორც ეს დღეს ჩვენ გვესმის, შუმერში, რა თქმა უნდა, არ არსებობდა. საერთოდ ძველი აღმოსავლეთის არც ერთ ეპოქაში არ ყოფილა ცდა გაეაზრებინათ საკუთარი ისტორია თუნდაც დაახლოებით ისე, როგორც ეს ებრაელებთან და ბერძნებთან გვხვდება. მაგრამ ისტორიული ფაქტების წერილობითი ფიქსირების აუცილებლობას თვით ცხოვრება მოითხოვდა. მეზობელი სამეფოების ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის საჭირო იყო ზოგიერთი მნიშვნელოვანი მოვლენის წერილობითი გაფორმება. ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა

ლაგაშის მმართველის ენთემენას ქალაქ უმასთან ურთიერთობის ამსახველი დოკუმენტი, რომელშიც გადმოცემულია სასაზღვრო ხაზის დაწესებასთან დაკავშირებული მომენტების წინა პერიოდის ამბებიც. იგი ითვლება შუმერის პირველ ისტორიულ თხზულებად და საერთოდ უძველეს ისტორიულ ჩანაწერად.

ტაძრისა და სასახლის მწერლები ყოველწლიურად ახდენდნენ სხვადასხვა ამბების ჩაწერას, რაც მათ უფრო საინტერესოდ მიაჩნდათ. მათივე კალამს ეკუთვნის ზემოთ მოხსენიებული მეფეთა სიებიც, რომლებშიც ჩამოთვლილია შუმერისა და აქადის ცალკეული ქალაქების მმართველთა სახელები მათი მეფობის წლებია მითითებით. დღეისათვის ეს სიები ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ ითვლება ძველი აღმოსავლეთის ქრონოლოგიის აღსადგენად.

არცთუ ისე იშვიათად მიმართავდნენ ზოგიერთი მეფის შესახებ არსებული ლეგენდარული და ნახევრად მითური ცნობების ფიქსაციასაც. ამ ხასიათის ჩანაწერები განსაკუთრებით ძველბაბილონურ ხანაში მრავლდება. ადრეული ხანისათვის ამ თვალსაზრისით საინტერესოა აქადის დინასტიის მეფეების — სარგონისა და ნარამსუენის — შესახებ არსებული ჩანაწერები, სადაც მოთხრობილია როგორც სარგონ აქადელის წარმოშობის, ისე მისი გამეფებისა და ლაშქრობების შესახებ. თავისებური ისტორიული თხზულებაა, თუმცა ნახევრად ლეგენდური, ეგრეთ წოდებული „ნარამსუენის სიმღერის" ტექსტიც. მასში გაბმულადაა მოთხრობილი ამ მეფის დროინდელი აქადის იმპერიის ზოგიერთი მნიშვნელოვანი საშინაო (მაგალითად, იფხურქიშის აჯანყება) და საგარეო ურთიერთობის ამბებზე.

ძველი შუამდინარეთის მკვიდრთა ისტორიული აზროვნება არ გასცილებია ჩანასახოვან ფორმებს. ვერ შევხვდებით ვერც ერთ ჩანაწერს, სადაც იყოს წარმოდგენილი განზოგადებისა და ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის კანონზომიერ პროცესად გააზრების ცდა.

ასევე ჩანასახოვან ფორმებშია წარმოდგენილი იურიდიული აზროვნებაც. ურნამუდანი (XXII ს. ძვ. წ.) მოყოლებული არაერთი კანონთა კრებულია მოღწეული ჩვენამდე, რომლებიც შედგება ასობით ცალკეული მუხლისაგან, მაგრამ არსად ჩანს, რომ ჰქონდათ წარმოდგენა სამართლის ზოგადი პრინციპების შესახებ.

შედარებით უკეთ განვითარდა ფილოლოგია. ძველ შუამდინარეთში ორი სხვადასხვა მოდგმისა და ენის მატარებელი ხალხის — შუმერებისა და სემიტების — ურთიერთმეზობლად ცხოვრებამ და მჭიდრო პოლიტიკურმა თუ ეკონომიკურმა თანამშრომლობამ განაპირობა ორივე ენის შესწავლის საჭიროება. ამ მიზნით ადგენენ სასკოლო სახელმძღვანელოებს, პირველ რიგში კი ლურსმული ნიშნების ცხრილებს (სილაბარებს), სადაც მითითებული იყო ნიშნების როგორც შუ-

მერული, ისე აქადური წაკითხვები. შუამდინარეთელი მწერლები დიდ დროს ანდომებდნენ შუმერულ-აქადური ლექსიკონების შედგენას. ამ მხრივ სწრაფი ტემპით გაიშალა მუშაობა განსაკუთრებით ძველბაბილონურ ხანაში, როცა შუმერული ენა თანდათანობით კვდომას განიცდიდა. ამავე ეპოქაში შეუდგენიათ შუმერული ენის თვით დიალექტების (ემესალ და ემექუ) ლექსიკონებიც, რომელშიც ესა თუ ის სიტყვა მოტანილია ორივე აღნიშნულ დიალექტზე აქადური შესატყვისებითურთ. ძველბაბილონური ხანიდან მოღწეულია აგრეთვე აქადურ-ხეთური, აქადურ-კასიტური და თვით შუმერულ-აქადურ-ხეთური ლექსიკონებიც კი, რომლებიც ძვირფას წყაროებს წარმოადგენენ ძველი აღმოსავლეთის მკვდარი ენების შესასწავლად.

ამ მხრივ ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს სასწავლო სახელმძღვანელოების დანიშნულებით შედგენილ შუმერული და აქადური ენების გრამატიკებსაც. მათში ჩამოთვლილია როგორც არსებითი სახელები და ზმნები, ისე გრამატიკული ფორმებიც: წინსართები, ბოლოსართები და ბრუნვისა თუ ზმნის უღვლილების ნიშნები.

სკოლები. განათლების ძირითად კერას ძველ შუამდინარეთში წარმოადგენდა სასახლესა და ტაძრებთან არსებული სკოლები. აქ ამზადებდნენ სახელმწიფოს სამეურნეო და ადმინისტრაციული საქმიანობისათვის საჭირო სპეციალისტებს. სკოლა იყო თავისებური ლიტერატურული ცენტრიც. აქ არა მარტო სწავლობდნენ წარსულის ძეგლებს, არამედ ქმნიდნენ კიდევაც ახალ ნაწარმოებებს. მაგალითად, ქალაქ ნიფურში ენლილის ტაძარ ექურთან არსებული ედუბა („ფირფიტების სახლი"), შეიძლება ითქვას, წარმოადგენდა უმაღლეს სკოლასა და კულტურულ ცენტრს. ამ სკოლის კედლებში მიმდინარეობდა დიდი შემოქმედებითი და საგანმანათლებლო მუშაობა. მისმა არქივებმა ძველი შუამდინარეთის ლიტერატურის არაერთი ძეგლი შემოუნახა კაცობრიობას.

შუმერული სკოლის შესახებ ცნობები მხოლოდ ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისიდანაა შემონახული. სკოლის სათავეში იდგა „სკოლის მამად" წოდებული მასწავლებელი. მასწავლებლის თანაშემწეებს უწოდებდნენ „უფროს ძმებს", ხოლო მოსწავლეებს — „სკოლის შვილებს". მასწავლებელთა შრომის გასამრჯელო იფარებოდა მოსწავლეების მიერ შეტანილი სწავლის ქირით.

მოსწავლეთა დიდი უმეტესობა გამოსული იყო საზოგადოების მაღალი წრიდან. ამის გარკვევაში გვეხმარება მწერალთა სიები, სადაც მითითებულია მათი მამების სახელები და თანამდებობები: ისინი მსახურობდნენ ტაძრებსა და სასახლეში, იყვნენ ქალაქის უფროსები, ელჩები, სამხედრო პირები, ხომალდების კაპიტნები და მოანგარიშე-ბუხჰალტრები. ხამურაბის ეპოქამდე მწერალთა შორის არ გვხვდება

ქალთა სახელები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ადრეული ხანის სკოლებში მხოლოდ ვაჟებს იღებდნენ.

ჩვენამდე მოაღწია მოსწავლეთა ათასობით ნამუშევარმა, რომლებიც წარმოდგენას გვიქმნის იმდროინდელი სკოლის სასწავლო პროგრამების შესახებ. ირკვევა, რომ ეს პროგრამები ითვალისწინებდა ისეთი დისციპლინების სწავლებას, როგორიცაა: ღვთისმეტყველება, მათემატიკა, ბოტანიკა, მინერალოგია, გეოგრაფია, გრამატიკა და ლინგვისტიკა. ძველბაბილონური ეპოქის დროინდელი სკოლის სასწავლო პროგრამაში საგანგებოდ შეიტანეს შუმერული ენის სწავლებაც. სკოლადამთავრებული მოსწავლე კარგად იყო დაუფლებული არა მარტო ამ მეცნიერებათა საფუძვლებს, არამედ შუმერული და აქადური ენებისა თუ ლურსმული დამწერლობის რთულ სისტემასაც. ძველი შუამდინარეთის სკოლების აღზრდილთა ხელით დაიწერა ის ათეულ ათასობით თიხის ფირფიტა, რომლებმაც მოიტანეს ჩვენამდე არაერთი ძვირფასი ცნობა შუამდინარეთის საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების შესახებ.

თავი IV

ძველი ეგვიპტე

§ 1. ეგვიპტის გეოგრაფიული პირობები

ძველ ეგვიპტეს ეკავა ტერიტორია ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში, რომელიც ძირითადად თანხვდება თანამედროვე ეგვიპტის არაბული რესპუბლიკის საზღვრებს. ადამიანის დასახლებისათვის ვარგისი მიწები ვიწრო ზოლად გაჰყვება ნილოსის დინებას და რამდენადმე ფართოვდება მხოლოდ ნილოსის დელტაში, სადაც დიდი მდინარე ძველად, ჰეროდოტეს აღწერით, ხმელთაშუა ზღვასთან შეერთებამდე შვიდ ტოტად იშლებოდა. დღეს ამ შვიდიდან მხოლოდ ორი ტოტია დარჩენილი. ნილოსის დაბლობის ნოყიერი შავი ნიადაგი მკვეთრად განსხვავდება უდაბნოების ცხელი ქვიშებისაგან, რომლებიც ესაზღვრება დაბლობს მთელ სიგრძეზე როგორც დასავლეთით, ისე აღმოსავლეთით. ალბათ, ამიტომ ძველი ეგვიპტელები თავიანთ სამშობლოს „კემეტს“, ანუ „შავ ქვეყანას“ უწოდებდნენ, განსხვავებით უდაბნოსაგან, რომელსაც ძველეგვიპტურად „დეშერეტ“, ანუ „წითელი ქვეყანა“ ჰქვია. ეგვიპტე პრაქტიკულად უნალექო ქვეყანაა, მის ერთადერთ სასიცოცხლო წყაროს დიდი მდინარე წარმოადგენს. ეს შეამჩნია ჯერ კიდევ ჰეროდოტემ, რომელმაც ეგვიპტეს „ნილოსის ნობათი“ უწოდა. ნილოსის დაბლობის ნიადაგი ძალზე ნოყიერია და წელიწადში ორი მოსავლის აღების საშუალებას იძლეოდა, მაგრამ ამის მიღწევა შეიძლებოდა მხოლოდ დაუღალავი შრომისა და მწყობრი ერთიანი საირიგაციო სისტემის არსებობის შედეგად. ამიტომ ეგვიპტელებმა უძველესი დროიდან დაიწყეს ნილოსის მთელ გაყოლებაზე საირიგაციო არხების ფართო ქსელის მშენებლობა. საჭირო იყო დიდი ყურადღება, რომ მდინარის ადიდების პერიოდში წყალი ყველა არხში მოხვედრილიყო, რათა მოერწყა სახნავად ვარგისი მიწების მთელი ტერიტორია. არხები მუდმივ მოვლას, გაწმენდასა და შეკეთებას ითხოვდა. ამგვარად, დიდი მდინარის მნიშვნელობა თავიანთი ქვეყნისათვის ყველაზე კარგად თვითონ ეგვიპტელებს ესმოდათ. მათ უძველესი დროიდან გააღმერთეს „დიდი ჰაპი“ (ნილოსი) და ეთაყვანებოდნენ

მას, როგორც ღვთაებას. თანამედროვე მეცნიერთა აზრით, ქვეყნის ერთიანობის ერთ-ერთ მძლავრ სტიმულს სწორედ მიწათმოქმედების ამგვარი სისტემა წარმოადგენდა, რადგან პოლიტიკური დეცენტრალიზაციის პერიოდებში ერთიან პრინციპზე დამყარებული ნილოსის საირიგაციო სისტემა, ჩვეულებრივ, მალე გამოდიოდა მწყობრიდან და ქვეყანაში საშინელი შიმშილი მძვინვარებდა.

ჩრდილოეთით ეგვიპტის ბუნებრივ საზღვარს ხმელთაშუა ზღვა წარმოადგენს, დასავლეთით — ლიბიის უდაბნო, აღმოსავლეთით — სუეცის ყურე და წითელი ზღვა, სამხრეთ აფრიკისაგან იგი ნილოსის ჭორომებითა და მაღალი მთებით არის გამოყოფილი. უძველეს დროში, როცა ადამიანი ჯერ კიდევ ვერ აბერხებდა შორეულ ზღვაში გასვლას, ეგვიპტეს გარე სამყაროსთან მხოლოდ სუეცის ყელის ვიწრო ზოლი აკავშირებდა. ამგვარმა იზოლაციამ სწორედ იმ პერიოდში, როცა ისახებოდა ეგვიპტური კულტურის ძირითადი ნიშნები, განაპირობა მისი თავისებურება და თვითმყოფადობა. ამ გარემოებამ გარკვეული დაღი დაასვა ეგვიპტელთა ეთნიკურ თვითშეგნებასაც, რადგან მისი ფორმირების პერიოდში ეგვიპტელები მხოლოდ კულტურული განვითარების მხრივ ძალიან დაბალ დონეზე მყოფ მომთაბარე ტომებს ემიჯნებოდნენ. მათ წარმოდგენაში მტკიცედ ჩამოყალიბდა ეგვიპტური კულტურისა და თვით ეგვიპტელების უპირატესობის რწმენა. ეგვიპტურ ენაზე „რემეჩ“ — „ადამიანი“ — „ეგვიპტელის“ სინონიმს წარმოადგენს, დანარჩენი ხალხები კი „ველურები“ იყვნენ.

ეგვიპტის სიმდიდრეს დიდად განაპირობებდა მისი ბუნებრივი რესურსები. აქ უხვად მოიპოვებოდა მარმარილო, გრანიტი, ალებასტრი და სხვა ძვირფასი სამშენებლო ქვები. აღმოსავლეთის უდაბნოს საბადოები ოქროს ულევ წყაროს წარმოადგენდა, სინაის ყელის — სპილენძისა და ფირუზის. მართალია, ეგვიპტეში არ მოიპოვებოდა ძვირფასი ქვები, მაგრამ ბევრი იყო სარდიონი, ამეთვისტო, მალაქიტი, ლაჟვარდი და სხვ. ე. წ. „ნახევრად ძვირფასი“ ქვა. ნუბიიდან (თანამედრ. ეთიოპია), რომელიც თითქმის ეგვიპტის მთელი ისტორიის მანძილზე მისი კოლონია იყო, შემოჰქონდათ აურაცხელი რაოდენობით სხვადასხვა ნედლეული, ძვირფასი ხის ჯიშები, სპილოს ძვალი, ლეოპარდის ტყავები, პუნტიდან (თანამედრ. სომალი) უცხო სანელებლები. ამგვარმა სიმდიდრემ, ნილოსის ნოყიერ ნიადაგთან ერთად, განაპირობა იმ მძლავრი მატერიალური ბაზის არსებობა, რომლის წყალობით ეგვიპტე იყო ძველი აღმოსავლეთის ერთ-ერთი უმდიდრესი და უმძლავრესი ქვეყანა თითქმის სამი ათასი წლის მანძილზე.

§ 2. ანტიკური ავტორები ეგვიპტის შესახებ

პირველი ავტორები, რომლებმაც ძველი ეგვიპტე აღწერს, ანტიკური ხანის ბერძნები იყვნენ. ინტერესი ამ ქვეყნის მიმართ ბერძნულ სამყაროში იღვიძებს განსაკუთრებით ჩვ. წ.-მდე VII ს. შემდეგ, როცა ეგვიპტელმა ფარაონებმა დაიწყეს იონიელი და კარიელი ჯარისკაცების დაქირავება თავიანთი არმიისათვის. ამას მოჰყვა პირველი ბერძნული კოლონიების ჩამოყალიბება ნილოსის ნაპირებზე. ეგვიპტეში ნამყოფი ბერძნები უდავოდ ბევრს ყვებოდნენ უცხო ქვეყნის საოცრებებზე — იქ ხომ ყველაფერი ასე განსხვავდებოდა მათთვის ჩვეული სამყაროსაგან. სწორედ ბერძნებმა მისცეს ნილოსის ქვეყანას სახელი, რომელსაც დღეს ვეძახით: ეგვიპტის უძველესი დედაქალაქის, მემფისის ერთ-ერთი ეგვიპტური დასახელება — „ხეკა-პტახ" (პტახის-მემფისის შფარველი ღვთაების — სულის — სავანე) — ბერძნულ ენაში „აიგიუპტოსად" გადაიქცა.

ქრონოლოგიური პირველობა ეგვიპტის აღწერაში ეკუთვნის ჰეკატე მილეტელს (დაახლ. 510 წ. ჩვ. წ-მდე). მაგრამ მისი „ქვეყნის აღწერა", რომელიც მხოლოდ ნაწყვეტების სახით შემოინახა, ძირითადად ეგვიპტის ბუნების შესახებ მოგვითხრობს. პირველმა ეგვიპტის ხალხი და მისი ისტორია ჰეროდოტე ჰალიკარნასელმა აღწერა. მისი მოგზაურობა ეგვიპტეში თარიღდება დაახლ. 450 წ. ჩვ. წ.-მდე. მან მიაღწია ნილოსის პირველ ჭორომამდე და მოგვითხრო ბევრი ქალაქისა და ისტორიული ძეგლის შესახებ, რომელიც დღეს არ არსებობს, რის გამოც მისი ნაშრომი თანამედროვე ეგვიპტოლოგიისათვის უაღრესად საინტერესო წყაროს წარმოადგენს. სამწუხაროდ, „ისტორიის მამის" ნაშრომს გააჩნია ყველა ძველი ავტორისათვის დამახასიათებელი ნაკლი — მათი მონაცემები, ასე თუ ისე, სარწმუნოა, როცა ეხება მათ მიერ უშუალოდ ნახული ქალაქების, ძეგლების და ა. შ. აღწერას, მაგრამ აბსოლუტურად მცდარი ხდება, როცა იწყება მსჯელობა ეგვიპტური კულტურის, რელიგიისა და ისტორიის შესახებ. სწორედ ჰეროდოტემ ჩაუყარა საფუძველი დასავლეთის სამყაროში ეგვიპტური ცივილიზაციის მცდარი აღქმის ტრადიციას, რომლის შეცვლას მრავალი საუკუნე დასჭირდა. ერთგვარ გამონაკლისს ამ მხრივ წარმოადგენს ანტიკური ფილოსოფოსი პლატონი (428—327 წწ. ჩვ. წ-მდე), რომელიც, გადმოცემის თანახმად, გარკვეული დროის მანძილზე ეგვიპტელი ქურუმების მოწაფე იყო. მის შრომებში გვხვდება საკმაოდ ზუსტი ინფორმაცია ეგვიპტური ღმერთების — ნეიტის, თოტის და სხვ. — შესახებ.

ეგვიპტის ვრცელი აღწერა დაგვიტოვა დიოდორე სიცილიელმაც. რომლის ხანმოკლე მოგზაურობა ნილოსის ქვეყანაში თარიღდება და-

ახლ. 59 წ. ჩვ. წ.-მდე, მაგრამ მისი „მსოფლიო ისტორიის“ ძირითადი წყარო ყოფილა ჩვენამდე ფრაგმენტების სახით მოღწეული ჰეკატე აბდერელის (დაახლ. 320 წ. ჩვ. წ.-მდე) და აგათარქიდე კნიდოსელის (II ს. ჩვ. წ.-მდე) შრომები. დიოდორეს ნაშრომში ვრცლად არის აღწერილი ქვეყანა, მისი ისტორია, გეოგრაფია, ფლორა და ფაუნა. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს დიოდორეს პირველი წიგნის ბოლო 30 პარაგრაფი, რომლებიც ეხება სამეფო რიტუალებს, პროვინციების ადმინისტრაციულ ორგანიზაციას, მედიცინას, განათლებას, სამართალს, მიცვალებულთა კულტს და ეგვიპტის დამსახურებას ძველბერძნული კულტურის წინაშე.

ერთ-ერთ ყველაზე სანდო ინფორმატორად გვევლინება სტრაბონი. თავისი ეგვიპტეში მოგზაურობის შთაბეჭდილებები (დაახლ. 25—24 წწ. ჩვ. წ.-მდე) მან დაგვიტოვა „გეოგრაფიის“ მეჩვიდმეტე წიგნში. იგი იწყებს ნილოსის აღწერით, შემდეგ გადადის ალექსანდრიისა და სხვა ქალაქების აღწერაზე. სულ სტრაბონმა აღწერა 90-მდე ეგვიპტური ქალაქი. ჩვენამდე მოღწეული მასალის სიმცირის გამო განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სტრაბონის მიერ დელტის ქალაქებისა და ადმინისტრაციული ოლქების აღწერას.

საინტერესო ფაქტებს ეგვიპტის შესახებ გვაწვდის აგრეთვე პლინიუს უფროსის „ბუნების ისტორია“ (ჩვ. წ. I ს.) და კლავდიუს პტოლემაიოსის „გეოგრაფია“ (ჩვ. წ. II ს.).

ანტიკური ავტორების მიერ ეგვიპტის აღწერაში გამოხატულება პოვა კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთმა მეტად საინტერესო ფურცელმა: ეს იყო ორი სხვადასხვა სამყაროს — დასავლეთისა და აღმოსავლეთის — შეხვედრა და დასავლეთის მიერ მისთვის უცხო ცივილიზაციის გააზრების პირველი ცდა. ბუნებრივია, რომ ყველაფერი, რაც ბერძენთათვის ეგვიპტეში უცნაური და უჩვეულო აღმოჩნდა — პირამიდები, იეროგლიფებით დაფარული ტაძრები და ობელისკები, ცხოველისთავიანი ღმერთები, ფარაონი-ღვთაება და მრავალი სხვა — ერთგვარ ახსნას საჭიროებდა. ბუნებრივია ისიც, რომ პირველმა ინტერპრეტატორებმა ყველა ეს საოცრება თავისი წარმოდგენებით ახსნეს და საკუთარ ლოგიკას დაუქვემდებარეს. შექმნილ ვითარებას ართულებდა შემდეგი გარემოებაც: იმ დროისათვის, როცა პირველი ბერძენი მოგზაურები ეგვიპტეში მოხვდნენ, ეს ერთ დროს ბრწყინვალე ცივილიზაცია თავის დასასრულს უახლოვდებოდა. მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა მას შემდეგ, რაც ეგვიპტემ ალექსანდრე დიდის გამარჯვების შედეგად (332 წ. ჩვ. წ.-მდე) პოლიტიკური დამოუკიდებლობა დაკარგა. ხალხის სულიერი კულტურის მატარებელი ფენა, რომელიც ძველ ეგვიპტეში ძირითადად ქურუმებისაგან შედგებოდა, ცდილობდა პოლიტიკური დაცემის პირობებში უცხოელებს

მათი კულტურის სიძველე და მათთვის მიუწვდომელი ეგვიპტური სიბრძნე მაინც ეწამათ. ამიტომ ისინი არათუ არ ცდილობდნენ ბერძენთა გარკვევას ეგვიპტურ დამწერლობასა და რელიგიაში, არამედ პირიქით ხელს უწყობდნენ ისეთი წარმოდგენების ჩამოყალიბებას, რომელთა თანახმად, მაგ., ძველეგვიპტური დამწერლობა აიხსნებოდა როგორც უმაღლესი სიბრძნის ალეგორიული გამოვლინება და ა. შ., რასაც ადვილად უწყობდა ხელს ეგვიპტური კულტურის ბერძენთათვის უჩვეულო გამოვლინების ფორმები. ეგვიპტის „საოცრებათა" ამგვარი ინტერპრეტაციის მხრივ განსაკუთრებით თვალსაჩინოა ის ნაშრომები, რომლებიც ძველეგვიპტურ დამწერლობასა და რელიგიას ეხება. მაგალითად, პლუტარქეს ცნობილი ნაშრომის — „ისიდასა და ოსირისის" — დასაწყისში მოთხრობილია ცნობილი მითოსის შინაარსი, რომელიც ძირითადად ემთხვევა ძველეგვიპტური წყაროების მიხედვით აღდგენილ ტექსტს, მაგრამ როცა პლუტარქე იწყებს ამ მითოსის ინტერპრეტაციას, სადაც ერთ ალეგორიას მეორე მოჰყვება, უკვე იკარგება ყოველგვარი კავშირი ეგვიპტურ რელიგიასთან. ჭეშმარიტების სახეცვლა ცისარტყელის სხვადასხვა ფერებად, ოსირისის გარდაქცევა მთვარის სინათლედ და ა. შ. — ყველაფერი ეს პლუტარქეს საკუთარი ალეგორიული აზროვნების ნიმუშებს წარმოადგენს.

აღსანიშნავია აგრეთვე წარმოშობით ეგვიპტელის, მაგრამ ბერძნული განათლების მქონე პტოლემაიოსების კარის ქურუმის ხორაპოლონის (ძვ. წ. V ს.) შრომა ეგვიპტური დამწერლობის შესახებ. იგი აღწერს იეროგლიფებს, როგორც „მისტიურ ნიშნებს", რომლებშიც უმაღლესი სიბრძნეა ჩაქსოვილი. რა თქმა უნდა, ეგვიპტური ცივილიზაციის შესახებ სიმართლის გადმოცემა ყველაზე უკეთ თვით ეგვიპტურ ტექსტებს შეეძლო, მაგრამ ისინი დუმდნენ XIX ს.-მდე, როცა ფრანგმა მეცნიერმა ფ. შამპოლიონმა ჩაუყარა საფუძველი მათ შესწავლას.

§ 3. ეგვიპტური წყაროები

ძველ ეგვიპტელებს არ შეუდგენიათ თავიანთი სამშობლოს ისეთი აღწერა, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ „ქვეყნის „ისტორია" თანამედროვე გაგებით, — როგორც ცნობილია, ადამიანის ისტორიული აზროვნების განვითარება ანტიკური საბერძნეთიდან იწყება — მაგრამ ეგვიპტეში ძალიან ადრე დაიწყეს მნიშვნელოვანი მოვლენების ფიქსირება და აღწერა, რომლებსაც ამა თუ იმ ფარაონის მეფობის წლებით ათარიღებდნენ.

ჩვ. წ.-მდე III საუკუნეში ეგვიპტელმა ქურუმმა მანეთონმა, რომელიც პირველი ორი პტოლემაიოსის დროს ცხოვრობდა, აღწერა თა-

ვისი ქვეყნის ისტორია. თუმცა იგი ბერძნულად არის დაწერილი, მანეთონმა, როგორც ეგვიპტის ყველაზე განათლებული ფენის წარმომადგენელმა, ეტყობა კარგად იცოდა ეგვიპტური ენა და დამწერლობა. ამასთან, ნათელია, რომ მის განკარგულებაში იმყოფებოდა ჩვენთვის დაკარგული მრავალი სარწმუნო წყარო, რადგან მანეთონის მიერ მოხსენიებული ცნობები თანდათან დამტკიცდა არქეოლოგიის მონაცემებით. თანამედროვე ეგვიპტოლოგიის წინაშე მანეთონის დამსახურების ყველაზე ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს ის გარემოება, რომ მის მიერ შემუშავებული ეგვიპტის ფარაონთა დინასტიებად დაყოფის პრინციპი (მანეთონმა ეგვიპტის ფარაონები, მენესიდან ალ. მაკედონელამდე 30 დინასტიად დაყო, ხოლო „მენესამდელი" პერიოდი შეავსო „ღმერთებისა" და „ნახევრად ღმერთების" ლეგენდარული დინასტიებით) თითქმის უცვლელად გამოიყენება თანამედროვე მეცნიერებაში, თუ არ ჩავთვლით, რომ დღეს მანეთონის 30 დინასტია დაჯგუფებულია ისტორიული ეგვიპტის სხვადასხვა პერიოდების მიხედვით. სამწუხაროდ, მანეთონის შრომამ ჩვენამდე მხოლოდ ფრაგმენტების სახით მოაღწია ებრაელი მეცნიერის იოსების (ჩვ. წ. I. ს.) და ქრისტიანი ავტორების სექსტუს იულიუს აფრიკანუსისა (ჩვ. წ. III ს.) და ევსებიუსის (ჩვ. წ. IV ს.) შრომებში.

ის გარემოება, რომ მანეთონმა თითქმის ზუსტად დაასახელა ფარაონების თანმიმდევრობა (დაწყებული მენესიდან, ე. ი. დროიდან, რომელიც მისგან თითქმის სამი ათასი წლით იყო დაშორებული), ნათელყოფდა, რომ ეგვიპტელები ადგენდნენ თავიანთი ისტორიის ერთგვარ ქრონიკებს, რომლებიც მანეთონის დროს ჯერ კიდევ შემონახული იყო. ამ ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებდა ისიც, რომ ეგვიპტურ ტექსტებში ხშირად გვხვდება სიტყვა „გენუტ", რომელიც ითარგმნება როგორც „ქრონიკა", „მატიანე". და მართლაც, ჩვენი საუკუნის დასაწყისში აღმოჩენილი იქნა ერთ-ერთი ასეთი ქრონიკა, რომელიც V დინასტიის დასასრულით თარიღდება. სამწუხაროდ, ამ „ქრონიკამ" ჩვენამდე მხოლოდ ფრაგმენტების სახით მოაღწია, რომელთაგან ყველაზე დიდი პალერმოს მუზეუმში ინახება (ამიტომ მას ეგვიპტოლოგიაში „პალერმოს ქვას" უწოდებენ), რამოდენიმე მცირე ფრაგმენტი კი — ქაიროს მუზეუმში. თავისი პირვანდელი სახით ეს იყო რომელიმე ტაძრის ეზოში თავისუფლად მდგომი დიორიტის სტელა, ხოლო მის ორივე მხარეს შესრულებული ტექსტი წარმოადგენდა ეგვიპტის ისტორიის თავისებურ ქრონიკას უძველესი დროიდან ვიდრე V დინასტიის ბოლომდე. პალერმოს ქვა დაყოფილია ჰორიზონტალურ სექციებად. პირველ სექციაში მოთავსებულია წინადინასტიური მეფეების სახელები, რომელთა შესახებ, ალბათ, უკვე ქრონიკის შედგენის დროისათვის მეტი არაფერი იყო ცნობილი. მეორე სექცი-

იდან ვითარება იცვლება. თვითეული მათგანი იწყება ფარაონის სახელით, რომელსაც ყოველთვის თან ახლავს დედის სახელი, და შემდეგ მოთხრობილია ყველა ღირშესანიშნავი მოვლენის შესახებ, რომელიც მოხდა მისი მეფობის პირველ, მეორე და ა. შ. წელს მეფობის ბოლომდე. ტექსტი დაახლოებით ასეთი პრინციპით არის შედგენილი: „ფარაონი ხა-სეხემი. მეფობის V წელი. ომი ჩრდილოეთთან ქ. ნეხებში. 4700 ტყვე“ და ა. შ. ამდენად ნათელია, რომ პალერმოს ქვა დაუზიანებელი სახით მართლაც რომ ფასდაუდებელი ძონაპოვარი იქნებოდა თანამედროვე ეგვიპტოლოგიისათვის, რადგან მისი დახმარებით შეგვძლებდით პირველი ხუთი დინასტიის ფარაონების ზუსტი რაოდენობის, მათი თანმიმდევრობისა და მეფობის ხანგრძლივობის აღდგენას, რომ არაფერი ვთქვათ ისტორიის რეკონსტრუქციაზე.

XIX ს. 30-იან წლებში აღმოჩენილი იქნა მსგავსი შინაარსის იერატიული პაპირუსი, შედგენილი რამსეს II დროს. იგი შეისყიდა ტორინოს მუზეუმმა და დღეს „ტორინოს მეფეთა კანონის“ ან „ტორინოს ცხრილის“ სახელითაა ცნობილი. სამწუხაროდ, ეგვიპტიდან ტრანსპორტირების დროს იგი დაიმსხვრა 50-ზე მეტ ფრაგმენტად. პაპირუსის აღდგენაზე ბევრი იმუშავეს შამპოლიონმა და განსაკუთრებით გერმანელმა მეცნიერმა გ. სეიფარტმა, მაგრამ მისი სრული რესტავრაცია მაინც ვერ მოხერხდა. ტორინოს ცხრილი, მანეთონის მსგავსად, იწყება ღმერთებისა და ნახევრად ღმერთების დინასტიებით, რომელთა მეფეებს მიწერილი აქვთ მეფობის წლების ფანტასტიკური რაოდენობა. პირველ ისტორიულ ფარაონად აქაც დასახელებულია მენესი. პალერმოს ქვისაგან განსხვავებით, ტორინოს ცხრილის ტექსტს შეადგენს ფარაონების სახელებისა და მათი მეფობის წლების მონოტონური ჩამოთვლა. ფარაონების რიცხვი თითოეულ დინასტიაში ძირითადად ემთხვევა მანეთონისას.

XIX—XX სს. აღმოჩენილია ეგვიპტელ ფარაონთა კიდევ რამოდენიმე ცხრილი: ესენია: ე. წ. „აბიდოსის ცხრილი“, მოთავსებული აბიდოსის ტაძრის კედელზე და შედგენილი რამსეს II მამის, სეთი I დროს; „საქქარას ცხრილი“, აღმოჩენილი 1861 წ. მემფისელი დიდგვაროვნის სამარხში (რამსეს II ეპოქა) და თუთმეს III დროს შედგენილი „კარნაკის ცხრილი“, რომელსაც ყურადღება მიაქციეს 1925 წ. კარნაკის დიდი ტაძრის წარწერების შესწავლისას.

დღეს ეგვიპტის ისტორიის შესწავლასა და ამ ურთულესი ცივილიზაციის გააზრებაში, ზემოთ აღნიშნული ქრონიკების გარდა, ეგვიპტოლოგია ეყრდნობა უზარმაზარ ტექსტობრივ მასალას, რომელიც ეგვიპტეში შემოინახა. პაპირუსის გარდა, რომელიც თანამედროვე ქაღალდის წინაპარს წარმოადგენს და ეგვიპტეში ძირითად საწერ მასალას წარმოადგენდა, ეგვიპტელები წერდნენ პრაქტიკულად ყველგან და

ყველაფერზე, სადაც წარწერის შესრულება იყო შესაძლებელი — ტაძრებისა და სამარხების კედლებზე, სტელებზე, სარკოფაგებზე, ჭურჭელზე, ყოველდღიური მოხმარების ნივთებზე. შესაბამისად ეგვიპტური ტექსტების რაოდენობა მართლაც რომ განსაცვიფრებელია. ძალზე მრავალფეროვანია ისინი ჟანრობრივადაც — ესაა რელიგიური შინაარსის ტექსტები, ჰიმნები, კერძო პირების წერილები, სატაძრო და სასახლო-სამეურნეო ანგარიშები, სასამართლო პროცესების აღწერები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, იგავები და სხვა მრავალი, რომელთაგან ბევრი დღესაც თავის პირველ მთარგმნელს ელოდება.

ძველეგვიპტური იეროგლიფების ამოკითხვის პირველი ნაბიჯები და, შესაბამისად, ეგვიპტოლოგიის, როგორც მეცნიერების დაბადება, უდავოდ, დაკავშირებულია ფრანგი მეცნიერის ჟ. ფ. შამპოლიონის სახელთან. მაგრამ, დიდი ინგლისელი მეცნიერის ა. გარდინერის ხატოვანი თქმით, შამპოლიონის მიერ მოძებნილი გასაღების კარგად მორგებისა და გამოყენებისათვის კიდევ ბევრი შრომა იყო საჭირო. ახალგაზრდა მეცნიერების განვითარებისათვის აუცილებელი იყო ტექსტების გამოცემა, ეგვიპტური ენის ლექსიკონებისა და გრამატიკის შედგენა და სხვ.

1837 წ. გერმანელმა მეცნიერმა რ. ლეპსიუსმა გამოაქვეყნა თავისი ცნობილი „წერილი როსელინისადმი", რომელმაც სენსაცია მოახდინა და რომელიც შამპოლიონის აღმოჩენის შემდეგ ეგვიპტოლოგიის განვითარებაში მეორე უზარმაზარ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. მან პირველმა შეამჩნია, რომ ეგვიპტური იეროგლიფები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: წმინდა ფონეტიკურ ნიშნებად, რომლებიც შედარებით მცირერიცხოვანია და ერთ ბგერას აღნიშნავს და მარცვლების გამომხატველ ნიშნებად, რომელთა რიცხვი პირველ ჯგუფზე საგრძნობლად დიდია. ასეთი ნიშნები ორ, სამ და მეტ ბგერას აღნიშნავს. მათი არსებობის შესახებ შამპოლიონმა არაფერი იცოდა. 1842 წ. ლეპსიუსი სათავეში ჩაუდგა პრუსიის სამეფო ექსპედიციას ეგვიპტესა და ეთიოპიაში. დაუღალავი სამწლიანი შრომის შედეგს წარმოადგენს „ეგვიპტისა და ეთიოპიის ძეგლების" თორმეტი უზარმაზარი ტომი, რომლებიც ეგვიპტის ისტორიული ძეგლების პირველ მეცნიერულ აღწერად გვევლინება. 1863 წ. ლეპსიუსმა მეორე დიდი გერმანელი ეგვიპტოლოგის, ჰ. ბრუგშის დახმარებით დააარსა ეგვიპტისადმი მიძღვნილი პირველი მეცნიერული ჟურნალი „Zeitschrift für ägyptische Sprache und Altertumskunde", რომელიც დღემდე ერთ-ერთ ცენტრალურ ეგვიპტოლოგიურ ჟურნალს წარმოადგენს. რ. ლეპსიუსის დაუღალავი მოღვაწეობის შედეგად, გერმანიამ დაიკავა ერთ-ერთი პირველი ადგილი ეგვიპტოლოგიაში.

ჟ. ფ. შამპოლიონსა და რ. ლეპსიუსთან ერთად, მეცნიერული

ეგვიპტოლოგიის ფუძემდებლად ითვლება აგრეთვე ფრანგი მეცნიერი ე. დე რუჟე, მსოფლიოში პირველი წმინდა ეგვიპტოლოგიური კათედრის პროფესორი. 1860 წ. კოლეჟ დე ფრანსის არქეოლოგიის კათედრა, რომელსაც თავის დროზე შამპოლიონი ედგა სათავეში, გადაკეთდა ეგვიპტური ფილოლოგიისა და არქეოლოგიის კათედრად, და მის ხელმძღვანელად დაინიშნა ე. დე რუჟე. 1863 წ. ე. დე რუჟემ იმოგზაურა ეგვიპტეში, საიდანაც ჩამოიტანა მრავალი ტექსტის საოცრად ზუსტი ასლები. მანვე გამოაქვეყნა პირველი ეგვიპტური ქრესტომათია ეგვიპტური გრამატიკის მოკლე მიმოხილვით.

შამპოლიონის აღმოჩენის გარდა, საფრანგეთს კიდევ ერთი დიდი ღვაწლი მიუძღვის ეგვიპტოლოგიის წინაშე — პირველი სისტემატური, მეცნიერულ დონეზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები ეგვიპტეში დაკავშირებულია მეორე დიდი ფრანგი მეცნიერის ოგიუსტ მარიეტის სახელთან. ამ საოცრად ენერგიულმა კაცმა, რომელიც ასპარეზზე გასული საუკუნის 50-იან წლებში გამოდის, ჩაატარა სენსაციური გათხრების მთელი სერია. მან აღმოაჩინა მემფისის ცნობილი სერაპეუმი, რამსეს II და სეტი I ტაძრები აბიდოსში, დედოფალ ხატშეპსუტის ცნობილი ტაძარი დეირ ელ-ბაჰარიში და მრავალი სხვა. მისი არქეოლოგიური მონაპოვრები გახდა ბულაქის მუზეუმის დაარსების საფუძველი, რომელიც შემდეგში ქაიროში იქნა გადატანილი და დღეს მსოფლიოში უმნიშვნელოვანეს ეგვიპტოლოგიურ მუზეუმს წარმოადგენს. ო. მარიეტის მიერ დაარსებულმა სიძველეთა სამსახურმა, რომელსაც მეცნიერი სიცოცხლის ბოლომდე ედგა სათავეში, დაიწყესა კონტროლი ეგვიპტურ სიძველეებზე და ბოლო მოუღო მათი ძარცვის ტრადიციას სხვადასხვა ევროპელი ავანტიურისტის მიერ.

XIX ს. დასასრულის მეცნიერებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ჰ. ბრუგში, დემოტიური გრამატიკის მამად წოდებული. მან პირველმა შეადგინა იეროგლიფურ-დემოტიური ლექსიკონი და დემოტიური გრამატიკა, აგრეთვე ძველი ეგვიპტის გეოგრაფიული ლექსიკონი.

XIX ს. ეგვიპტოლოგიის ძირითადი დამსახურება მასალის დაგროვებაში მდგომარეობს. მას აკლდა საგნის შესწავლის მეცნიერულად გამართული მეთოდები, ისტორიული მიდგომა, ცოდავდა სწრაფი დასკვნებითა და არაზუსტი თარგმანებით. შაგრამ ეს ბუნებრივიც არის, რადგან ახალგაზრდა მეცნიერების ფუნდამენტის ჩასაყრელად პირველ რიგში მასალის დაგროვება იყო საჭირო. XIX ს. დასასრულისათვის უკვე მომწიფდა აუცილებლობა იმ დროისათვის დაგროვილი უზარმაზარი ტექსტობრივი და არქეოლოგიური მასალის დამუშავებისა და ანალიზის მეცნიერული მეთოდების შემუშავებისა. ეგვიპ-

ტოლოგიის ამ ახალი მიმართულების ფუძემდებლად ითვლება გერმანელი მეცნიერი ა. ერმანი. მან ეგვიპტოლოგიის მთავარ ამოცანად დასახა ეგვიპტური ენისა და გრამატიკის ღრმა და მეცნიერული შესწავლა. ეურდნობოდა რა ეგვიპტური ტექსტების ბრწყინვალე ცოდნას. მან თავის ეგვიპტური ენის გრამატიკაში, რომელიც ეგვიპტური ენის პირველ, მეცნიერულად გამართულ აღწერას წარმოადგენს, დაადგინა ეგვიპტური ენის განვითარების ფაზები, მოიყვანა ენისა და დამწერლობის ბრწყინვალე ანალიზი. თავისი მიდგომით მან დიდი ბიძგი მისცა ეგვიპტოლოგიის განვითარებას. ერმანის უდიდეს დამსახურებას ისიც წარმოადგენს, რომ მან შექმნა მთელი სკოლა, რომელმაც უკვე თანამედროვე მეთოდებით გააგრძელა მოღვაწეობა. ამ უნერგიული კაცის დამსახურებაა აგრეთვე დიდი ეგვიპტური ლექსიკონის გამოცემის ორგანიზაცია. მრავალტომიანი ლექსიკონი, რომლის შედგენაში, ოთხივე გერმანული აკადემიის გარდა, მონაწილეობდა ევროპის თითქმის ყველა ეგვიპტოლოგიური კათედრა, მოიცავს ყველა სიტყვას, რომელიც გვხვდება ლექსიკონის გამოცემის დროისათვის ცნობილ ეგვიპტურ ტექსტებში და დღესაც ყველა ეგვიპტოლოგის მარჯვენა ხელს წარმოადგენს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ა. ერმანმა უდიდესი სკოლა შექმნა. XX ს. ეგვიპტოლოგია თითქმის მთლიანად მისი მოწაფეების მონაპოვარს წარმოადგენს. ესაა დიდი მეცნიერების მთელი პლეადა; გ. შტაინდორფი, კ. ზეტე, ვ. შპიგელბერგი, ლ. ბორხარდტი, ჰ. შეფერი, ჰ. იუნკერი, ჰ. რანკე გერმანიაში, ა. გარდინერი, ჰ. გრიფიტი ინგლისში, ჰ. ბრესტედი ამერიკაში და მრავალი სხვა. ერმანის სკოლასთან არის დაკავშირებული აგრეთვე დიდი რუსი მეცნიერის ბ. ტურაევის სახელი; სწორედ ბ. ტურაევმა და მეორე გამოჩენილმა მეცნიერმა — ვ. გოლენიშჩევმა — ჩაუყარეს საფუძველი ეგვიპტოლოგიის განვითარებას რუსეთში. მათ მიერ დაწყებული საქმე შესანიშნავად გააგრძელა საბჭოთა ეგვიპტოლოგების მთელმა პლეადამ, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ვ. ვ. სტრუვე, ბ. ბ. პიოტროვსკი, ბ. ვ. ფრანკ-კამენეცკი, მ. ე. მატიე, მ. ა. კოროსტოვცევი, ი. ს. კაცნელსონი და სხვ.

§ 4. წინადინასტიური ეგვიპტე

პირველი ადამიანები ნილოსის დაბლობში ჩნდებიან ქვედა პალეოლითის ხანაში, როცა თვით დიდი მდინარე ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში იმყოფებოდა. თანამედროვე ვარაუდით, ისინი წარმოადგენდნენ იმ ხალხების ერთ-ერთ განშტოებას, რომლებიც ამ დროს განსახლებას იწყებენ ხმელთაშუა ზღვის აუზში, რადგან ნილოსის ნა-

პირებზე ნაპოვნი პრიმიტიული იარაღები ტიპიურია არა მარტო მთელი ჩრდილოეთ აფრიკის, არამედ დასავლეთ ევროპისთვისაც.

ქვის იარაღის დამუშავების თავისებური ტექნიკა ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში ჩნდება შუა და განსაკუთრებით ზედა პალეოლითის დროს (1200—800 წწ. ჩვ. წ.-მდე). ეს პერიოდი საერთოდ ხასიათდება კულტურული ჰომოგენობის რღვევით, რომელიც იქამდე სუფევდა ხმელთაშუა ზღვის აუზში. სწორედ ზედა პალეოლითის დროს ნილოსის დაბლობის ჰავის მკვეთრი გამშრალება აიძულებს ადამიანს შეწყვიტოს მომთაბარეობა და შექმნას პირველი დასახლებები მდინარის სიახლოვეს.

შემდგომ, მეზოლითურ, ანუ შუა ქვის ხანაში ნილოსის დაბლობში პრაქტიკულად ქრება ადამიანის მოღვაწეობის ნაშთები, მაგრამ ამ „ვაკუუმს", რომლის ხანგრძლივობამაც დაახლოებით 2000—3000 წელს გასტანა, მოსდევს კულტურული მოღვაწეობის საოცარი გააქტივებისა და გაფურჩქვნის ხანა. იგი ხასიათდება უკვე განვითარების უწყვეტი აღმავალი ხაზით, რომლის ლოგიკურ დაბოლოებას ეგვიპტური სახელმწიფოს ჩამოყალიბება წარმოადგენს. ამიტომ თანამედროვე მეცნიერება „ძველი ეგვიპტის" ან საკუთრივ „ეგვიპტელების" ისტორიას ითვლის სწორედ ამ დროიდან, და ეს პერიოდი — χ დროიდან ვიდრე პირველ ისტორიულ დინასტიამდე (დაახლ. 3000 ± 150 წ. ჩვ. წ.-მდე) — განიხილება როგორც ძველი ეგვიპტის ისტორიის უძველესი ფაზა, რომელსაც წინაისტორიული, ან წინადინასტიური პერიოდი ეწოდება.

თანამედროვე ეგვიპტოლოგია ჯერჯერობით ვერ ახერხებს წინადინასტიური პერიოდის ხანგრძლივობის მეტ-ნაკლებად ზუსტ განსაზღვრას. შეიძლება მხოლოდ ითქვას, რომ იგი დროის საკმაოდ ვრცელ მონაკვეთს — დაახლ. 2000 წელს — მოიცავს.

ჩვენი საუკუნის დასაწყისში ინგლისელმა მეცნიერმა ფ. პეტრიმ ნაქადასა და ბალასის მიდამოებში გათხარა ვრცელი წინადინასტიური სასაფლაოები, რომლებიც რამოდენიმე ათას სამარხს მოიცავდა. გათხრების შედეგად აღმოჩენილი უზარმაზარი მასალა, ბუნებრივია, მოითხოვდა სისტემატიზაციას და დათარიღებას. შექმნილ რთულ ვითარებაში პეტრიმ შეიმუშავა ე. წ. პერიოდული დათარიღების პრინციპი, რომელიც გულისხმობდა წინადინასტიური ეპოქის დაყოფას გარკვეულ მონაკვეთებად, რომელთა თანმიმდევრობა აღინიშნებოდა არა დათარიღებით, არამედ ერთმანეთთან მიმართებაში. თავისი დროისათვის ცნობილი არქეოლოგიური მასალა მან დაყო 50 ჯგუფად, რომელთაგან ყოველი შემდეგი ჯგუფი შეესაბამებოდა განვითარების უფრო მაღალ საფეხურს და მიუჩინა მათ ნომრები 30-დან 80-მდე. 1—29 პეტრიმ დატოვა უფრო ადრინდელი კულტურებისათვის, თუ,

ვინიცობაა, ისინი აღმოჩენილი იქნებოდა. შემდეგში პეტრიმ კიდევ უფრო გაავრცო თავისი სისტემა და 50 ფაზა დაყო 3 ჯგუფად: ამრატიული (30—37), გერზეული (38—63), სემაინური (64—80). დღეს ამ ჯგუფებიდან წინადინასტიურ ეგვიპტეს მიაკუთვნებენ მხოლოდ პირველ ორს, რადგან უახლესი მონაცემებით მასალა, რომელიც თარიღდება 64—80 უკვე ეგვიპტის ისტორიის შემდგომ, არქაულ პერიოდს შეესაბამება. ზოგიერთი მკვლევარი „ამრატიული“ და „გერზეული“ კულტურების ნაცვლად წინადინასტიური ეგვიპტის ისტორიის ამ ორ ფაზას უწოდებს, შესაბამისად, ნაქადა I და ნაქადა II, იმის საფუძველზე, რომ ორივე კულტურა პეტრის მიერ პირველად ნაქადას მიდამოებში იყო აღმოჩენილი.

ძველეგვიპტური კულტურა უძველესი დროიდან იჩენს განვითარების ორ ძირითად ხაზს: სამხრეთულს, რომელიც აფრიკულ ხასიათს ატარებს და ჩრდილოეთის, უფრო მჭიდროდ დაკავშირებულს ხმელთაშუაზღვისპირულ და დასავლეთ აზიის აუზთან. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეგვიპტის ორივე ნაწილის მოსახლეობა ეთნიკურად განეკუთვნება ხმელთაშუაზღვისპირეთის სამხრეთულ ტიპს.

ჩვენი საუკუნის 20—30-იან წლებში გ. ბრანტონისა და გ. კატონ-ტომსონის მიერ თანამედროვე ელ-ბადარის მიდამოებში აღმოჩენილი იქნა წინადინასტიური ეგვიპტის კიდევ უფრო ძველი კულტურული ფენა, რომელსაც დღეს „ბადარიული“ ეწოდება. ამ გათხრების მასალამ შეავსო პეტრის მიერ დატოვებული ნომრები — 1—30.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ნაქადა I და II, ასევე ბადარიული კულტურის ნაშთები ნაპოვნია ეგვიპტის სხვადასხვა ადგილებში.

ბ ა დ ა რ ი უ ლ ი კ უ ლ ტ უ რ ა აღმოჩენილი იქნა გ. ბრანტონისა და გ. კატონ-ტომსონის მიერ თანამედროვე ელ-ბადარის მიდამოებში. იგი წარმოადგენს სამხრეთული განშტოების უძველეს ნიმუშს, რომლის ნაშთები შემდგომ მრავლად აღმოჩნდა ზემო ეგვიპტესა და ნუბიაში (დეირ ტასა, ჰამამაია, ელ-მუსტაგიდა, ელ-მატმარი და სხვ.), თუმცა დღეისათვის ბადარიული ნაგებობების არავითარი ნაშთი არ არის ნაპოვნი, მათი სასაფლაოების სიდიდე მიუთითებს, რომ ბადარიელები მუდმივ დასახლებებში ცხოვრობდნენ, მისდევდნენ სოფლის მეურნეობას და მეცხოველეობას. მათი ოვალური ფორმის საფლავებში ნაპოვნი გამომწვარი თიხის ჭურჭელი კერამიკული წარმოების განვითარების საკმაოდ მაღალ დონეზე მეტყველებს. ბადარიული კერამიკა ძირითადად სამი ტიპისაა: ე. წ. წითელი, შავი და ყავისფერი ან წითელი შავით. საყვარელ მასალას წარმოადგენს აგრეთვე რქა, სპილოს ძვალი, სხვადასხვა სახის რბილი ქვები. ყურადღებას იპყრობს სპილენძი, რომელიც გამოიყენებოდა ძირითადად სამკაულების და-

სამზადებლად. ბადარიელები არ ცხოვრობდნენ სრულ იზოლაციაში, მათ დამყარებული ჰქონდათ კულტურული და სავაჭრო კონტაქტები სხვა რაიონებთან, რაზეც მეტყველებს სამხრეთიდან ჩამოტანილი სპილოს ძვალი, სინაის ფირუზი და სპილენძი. ბადარიელების პოლიტიკური ორგანიზაციის შესახებ არაფერია ცნობილი.

ნაქადა I, ან ამრატიული კულტურა აღმოჩენილია ფ. პეტრის მიერ 1895 წ. თანამედროვე სოფლების — ნაქადასა და დეირ ელ-ბალასის — მიდამოებში ნაპოვნი უზარმაზარი სასაფლაოების გათხრისას. ნაქადა I მოსახლეობა ცხოვრობდა მოზრდილ, ქალაქური ტიპის დასახლებებში, აგებდა მრგვალი ფორმის, ტალახით შელესილ ქვის შენობებს. ფ. პეტრის მიერ გათხრილი ორი დასახლებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ე. წ. „სამხრეთის ქალაქი" (წინადინასტიური ნუბტ. ი.). მისი ოთხკუთხედი შენობები აგურითაა ნაგები. ასევე აგურითაა აშენებული დასახლების ირგვლივ განლაგებული ციხე-სიმაგრის ტიპის ნაგებობები. ამ დასახლებას, რომელიც მკვეთრად გამოირჩევა ნაქადა I სხვა დასახლებებისაგან, პეტრიმ სამართლიანად უწოდა „ფორტიფიცირებული ქალაქი". ნაქადა I სამარხები, ბადარიულის მსგავსად, ოვალური ფორმისაა, მაგრამ უფრო მდიდრული და ძვირფასად მორთულია. ძველი ტიპის კერამიკას ემატება ახალი — თეთრად მოხატული, ძირითადად გეომეტრიული ფიგურებით, მაგრამ გვხვდება ადამიანების და ცხოველების გამოსახულებებიც. ნაქადა I დასასრულს ჩნდება ჭურჭლის ახალი ტიპი — ქვის, აგრეთვე, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა — ცაისაგან დამზადებული იარაღი. იარაღის გამოჩენა, დასახლების გამაგრებასთან ერთად, მიუთითებს ერთგვარ ცვლილებას სამხრეთ ეგვიპტელის პოლიტიკურ ცხოვრებაში — ბადარიულ სამარხებში იარაღი საერთოდ არ გვხვდება. ზოგადად უნდა ითქვას, რომ ნაქადა I სამარხებში აღმოჩენილ ნივთებს, განსასხვავებით ბადარიულისაგან, უკვე გამოცდილი ხელოსნის ხელი ატყვია. ნაქადა I მოსახლეობის პოლიტიკური და სოციალური ორგანიზაციის შესახებ ასევე არაფერია ცნობილი, თუ არ ჩავთვლით იმ გარემოებას, რომ „მშვიდობიან" ბადარიელებთან შედარებით იარაღის მქონე, გამაგრებულ დასახლებებში მცხოვრებ ნაქადა I მოსახლეობაში უკვე გაიღვიძა მებრძოლმა სულმა. მოსახლეობა ისევ მისდევს მიწათმოქმედებას, მეცხოველეობას, მეთევზეობას და მონადირეობას. განვითარებას იწყებს ხელოსნობა.

ნაქადა II, ან გერზეული კულტურის ძირითადი ნიშანია უცხო მოსახლეობის დიდი ტალღის შემოჭრა ეგვიპტეში, რაც ანთროპოლოგიური მონაცემებით მტკიცდება. მათი სამშობლო ჩვენთვის უცნობია. ზოგიერთი ვარაუდით, ისინი მოვიდნენ დასავლეთ აზიიდან და შემოიტანეს ის ძლიერი სემიტური ელემენტი ადგილობრივი მო-

სახლეობის წმინდა ჰამიტურ ენაში, რომელიც შეიმჩნევა ისტორიული პერიოდის ეგვიპტურში. ეს ვარაუდი ერთგვარად მტკიცდება არქეოლოგიური მასალითაც, რადგან სწორედ ამ კულტურულ ფენაში ჩნდება ჯემდეტ-ნასრის ტიპის კერამიკა და ცილინდრული ბეჭდები, რომელთა სამშობლოს, უდავოდ, შუამდინარეთი წარმოადგენს. მაგრამ ერთი რამ ცნობილია: ამ უცხო ხალხის ტალღა აღმოჩნდა ის ძლიერი კატალიზატორი, რომელმაც საოცრად დააჩქარა ძველეგვიპტური კულტურის განვითარების პროცესი.

ნაქადა II მოსახლეობა იწყებს აქტიურ განსახლებას ნილოსის დაბლობში, ცხოვრობს მოზრდილ, ქალაქური ტიპის დასახლებებში, აგებს ოთხკუთხედ აგურის სახლებს, რომლებსაც, განსხვავებით ნაქადა I შენობებისაგან, უკვე აქვთ კარები და ფანჯრები. ოთხკუთხედი ფორმისაა მათი სამარხებიც, თუმცა უფრო ღარიბი მოსახლეობა კვლავ ოვალურ სამარხებში იმარხება. ქრება მიცვალებულის ჭილოფში გახვევის ტრადიცია, რომელსაც ხის სარკოფაგები ცვლის. განსაკუთრებით თვალში საცემია სამარხებში სამკაულის რაოდენობა, რომელთაგან ბევრი უცხო წარმოშობის ქვებისაგან არის დამზადებული (განსაკუთრებით ხშირია ობსიდიანი და ლაზურიტი); ჩნდება ვერცხლის ნივთები — ვერცხლი, როგორც ცნობილია, ეგვიპტეში არ მოიპოვება. ფართოდ გამოიყენება სპილენძი, უკვე არა მარტო სამკაულების, არაშედ სხვადასხვა იარაღის დასამზადებლადაც. ახალი, ქვის საბურღი ინსტრუმენტის გამოგონებამ საოცრად გაზარდა ქვის ჭურჭლის რაოდენობა. შეიცვალა და დაიხვეწა კერამიკაც, რომელიც ძნელად დასამუშავებელი, მაგრამ უფრო მაღალი ხარისხის თიხისაგან მზადდება. ნაქადა II მოსახლეობის ყველაზე დიდ მონაპოვარს წარმოადგენს პირველი საირიგაციო არხები, რომელიც სწორედ ამ კულტურულ ფენაში ჩნდება.

განსხვავებით გეოგრაფიულად ჩაკეტილი სამხრეთისაგან, ჩ რ დ ი ლ ო ე თ ი ე გ ვ ი პ ტ ე უფრო ფართო კონტაქტებში იმყოფებოდა გარეშე სამყაროსთან, რის გამოც ქვემო ეგვიპტის წინადინასტიური კულტურა სამხრეთულზე უფრო მდიდარი და მრავალფეროვანია. აქ ნაპოვნი არქეოლოგიური მასალა ნათელყოფს წინადინასტიური დელტის კონტაქტებს ლიბიელებთან, კვიპროსთან, კრეტასთან, პალესტინასთან, სირიასთან, შუამდინარეთთან. სამწუხაროდ, ჩრდილოეთში აღმოჩენილი უძველესი კულტურული ფენა (არქეოლოგიური გათხრები გერზეს, ელ-ჰარგეჰის, აბუ სირ ელ-მელექის მიდამოებში) ქრონოლოგიურად ნაქადა II თანადროულია, თუმცა აქვე ნაპოვნი ცალკეული უფრო არქაული ნივთები, უდავოდ, მეტყველებს ჩრდილოეთ ეგვიპტეში უფრო ადრეული კულტურული ფენების არსებობაზე, რომლებიც შთანთქა დელტის ჭაობიანმა ნიადაგმა. თავისი ძირითადი ნიშნებით ჩრდილოე-

თის კულტურა ძალიან ჰგავს სამხრეთულს, თუმცა საგრძნობლად უფრო დახვეწილია. ორგანულ ეგვიპტურ ფორმებთან ერთად ჩრდილოეთისათვის დამახასიათებელია ე. წ. „ტალღიანსახელურიანი“ კერამიკული ჭურჭელი, რომლის უადრესი ნიმუშები ნაპოვნია პალესტინაში. დეკორატიული კერამიკა, განსხვავებით სამხრეთისაგან, აქ ნაცრისფერი ან ღია ვარდისფერია, წითელი ნახატით, რომელიც სიუჟეტურად ახლოს დგას სამხრეთულთან. თავისი დახვეწილობით განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევს ქვის ჭურჭელი და კაჟის იარაღი; აღიარებულია, რომ დელტის ეგვიპტემ შორს გაუსწრო თავისი დროის სამყაროს ქვისა და კაჟის დამუშავების ტექნიკაში. ეგვიპტეში, პირველად აქ გვხვდება ხმელთაშუაზღვისპირეთის აუზისათვის დამახასიათებელი ფორმის შუბი, რომელიც შემდგომ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება. ჩრდილოეთი უსწრებს სამხრეთს მეტალების დამუშავებაშიც, რაზეც მეტყველებს სპილენძის იარაღები — ჰარპუნები, დიდი ზომის დანები, გუთნები და სხვ. აღსანიშნავია დელტის ქაშანური, საიდანაც მზადდება შესანიშნავი ხარისხის ჭურჭელი და სამკაული. მის დასამზადებლად საჭირო ნედლეული დასავლეთით, ლიბიელ ტომთა დასახლების ადგილებში მოიპოვებოდა. დიორიტი შემოდიოდა შუამდინარეთიდან, ობსიდიანი — აბისინიასა და ეგეოსის ზღვის კუნძულებიდან. შუამდინარეთიდან შემოდის აგრეთვე აგურის დამზადების ტექნიკა. დელტის სამარხებში ნაპოვნია სირიიდან და პალესტინიდან იმპორტირებული ჭურჭელი.

წინადინასტიური ეგვიპტის პოლიტიკური განვითარების შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი. თანამედროვე ვარაუდით, თანდათან ნილოსის აუზის მოსახლეობა გაერთიანდა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ქალაქ-სახელმწიფოების ტიპის დასახლებებში, რომელთა თანდათანობითი შერწყმით ჩამოყალიბდა ორი ეგვიპტური სახელმწიფო — ჩრდილოეთის და სამხრეთის. ნაქადას მიდამოებში მდებარე წინადინასტიური ქალაქის — ნუბტ. ის (ომბოსი) — მმართველი გახდა სამხრეთ ეგვიპტის ხელმწიფე, ჩრდილოეთ ეგვიპტეში ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს ჩრდილო-აღმოსავლეთ დელტაში მდებარე ქალაქის — ბეჰდეტის — მმართველებმა. ჩრდილოეთის მთავარი ღვთაება, შესაბამისად, გახდა ბეჰდეტის მფარველი ხორი, სამხრეთის — ნუბტ. ის ლოკალური ღვთაება სეტხი. ჩრდილოეთის მეფეები ატარებდნენ წითელი ფერის გვირგვინს, სამხრეთისა — თეთრს. ეგვიპტის ისტორიის ბოლომდე ეს ორი ფერი ასოცირებული იყო ეგვიპტის ორ ნაწილთან.

რაღაც გარკვეული პერიოდის მანძილზე ორი ეგვიპტური სახელმწიფო, ისევე როგორც ორი — ჩრდილოური და სამხრეთული — კულტურა, დამოუკიდებლად თანაარსებობდა და ვითარდებოდა. მაგრამ

ისტორიული პროცესების საკუთარი ლოგიკური შედეგი იყო მათი თანდათანობით შერწყმა, რაც დაიწყო ჩრდილოეთის უფრო განვითარებული კულტურის გავრცელებით სამხრეთში, სადაც ადგილობრივი ორგანული ფორმები ნელ-ნელა ქრება. ჩრდილოეთის კულტურის გავრცელების უტყუარი მაჩვენებელია ის გარეგნობაც, რომ ხორმა თანდათან დაჩრდილა სეტხის კულტი და მოიპოვა პირველობა სამხრეთშიც, სადაც მისი საკულტო ქალაქი გახდა ნეხენი (იერაკონპოლისი). მაგრამ პოლიტიკური გაერთიანების პროცესი საწინააღმდეგო მიმართულებით წარიმართა. ეგვიპტის გაერთიანებამდე ერთი ან ორი საუკუნით ადრე უფრო აგრესიულმა სამხრეთის მეფეებმა დაიწყეს ბრძოლა ეგვიპტის ორი სამეფოს გაერთიანებისათვის. ორივე სამეფოს მთავარი ღვთაება ამ დროისათვის უკვე ხორი იყო. თანამედროვე ვარაუდით, დაახლოებით ამ დროისათვის მოხდა მეფის „გაიგივება" ამ ღვთაებასთან — ტრადიცია, რომელიც ეგვიპტის ისტორიის ბოლომდე შემორჩა. თანდათან სამხრეთის მეფეებმა მოახერხეს ჩრდილოეთის დაპყრობა და ორი სამეფოს გაერთიანება ერთიანი ძალაუფლების ქვეშ. ამ მნიშვნელოვანი მოვლენის თარიღი — დაახლ. 3100 წ. ჩვ. წ.-მდე — არის პირველი, მეტ-ნაკლებად ზუსტად დადგენილი თარიღი ძველი ეგვიპტის ისტორიაში.

§ 5. არქაული ეგვიპტე

(3100—2780 წწ. ჩვ. წ.-მდე, I—II დინასტიები)

ორი ეგვიპტური სამეფოს გაერთიანებით იწყება ახალი ერა ძველი ეგვიპტის ისტორიაში, რომელსაც დღეს დინასტიური, ან ისტორიული პერიოდი ეწოდება და რომელმაც 3000 წელზე მეტ ხანს გასტანა. ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტი ღირსშესანიშნავია მსოფლიო ისტორიის მასშტაბითაც, რადგან ძველი ეგვიპტის ფარაონებმა, პირველად კაცობრიობის ისტორიაში, შექმნეს სახელმწიფო, სადაც ქვეყნის მთელი ტერიტორია ერთიან ცენტრალიზებულ ხელისუფლებას იყო დაქვემდებარებული.

ძველეგვიპტური ტექსტების თანახმად, ორი ეგვიპტური სამეფოს გაერთიანება შეძლო სამხრეთელმა ფარაონმა მენესმა. ეს ტრადიცია მტკიცდება არქეოლოგიური გათხრების მონაცემებითაც. ამგვარად, დღეს მენესი ითვლება ძველი ეგვიპტის პირველ „ისტორიულ" ფარაონად; მისი სახელით იწყება ისტორიული ეგვიპტის ფარაონებისა და მათი დინასტიების გრძელი რიგი.

ძველი ეგვიპტის ისტორიის შესწავლისას ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ერთიანი ეგვიპტე არ შექმნილა ერთი სახელმწიფოს

მიერ მეორის გაანადგურებისა და შთანთქმის შედეგად. გარკვეული სახით ეს იყო იმ ბუნებრივი პროცესის დაბოლოება, რომელმაც საბოლოოდ გააერთიანა ნილოსის დაბლობის ეთნიკურად და კულტურულად ერთფეროვანი და ერთენოვანი ეგვიპტური მოსახლეობა. ეს პროცესი ერთგვარად შეფერხდა ქვეყნის გეოგრაფიული პირობების გამო, რადგან ნილოსის დაბლობის ვიწრო და გრძელი ზოლი ხელს არ უწყობდა აქტიურ კონტაქტებს ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის. ბუნებრივია ისიც, რომ ცალკეული წინადინასტიური დასახლებები თავდაპირველად ორ — ჩრდილოეთის და სამხრეთის — სამეფოდ შეიკრა, რადგან ნილოსის დაბლობი და მისი დელტა დღესაც ეგვიპტის ორ განსხვავებულ რეგიონს წარმოადგენს. ამ პროცესის დაგვირგვინება არის ორი თანასწორუფლებიანი ეგვიპტური სახელმწიფოს გაერთიანება ერთი ძალაუფლების ქვეშ. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ „კემისთან" ერთად ეგვიპტელები თავიანთ სამშობლოს „ორ ქვეყანას" უწოდებდნენ. ეგვიპტის ფარაონი, ქვეყნის ისტორიის ბოლომდე „ზემო და ქვემო ეგვიპტის", ან „ორი სამეფოს" მეუფედ იწოდებოდა და ატარებდა ორმაგ გვირგვინს, რომელიც სამხრეთის თეთრი და ჩრდილოეთის წითელი გვირგვინების შერწყმას წარმოადგენდა: შესაბამისად, ორი სამეფოს სიმბოლოებმა — შროშანმა (ზემო ეგვიპტე) და პაპირუსმა (ქვემო ეგვიპტე), ისევე როგორც ორი სამეფოს სამეფო რეზიდენციების მფარველმა ღვთაებებმა — ნეხბეტმა (სვავის იკონოგრაფია) და ეჯომ (კობრის იკონოგრაფია) — სამუდამოდ დაიმკვიდრეს ადგილი ფარაონის რთულ ტიტულატურაში.

ამგვარად, ეგვიპტის გაერთიანება კანონზომიერი ისტორიული პროცესის დასრულებას წარმოადგენდა, ხოლო თვით ეგვიპტის ერთიანობის სიმტკიცე მისი არსებით იყო განპირობებული. ჩრდილოეთის სამეფო სახლს არც კი უცდია გამოყოფა და დამოუკიდებელი ტერიტორიის აღდგენა. სამაგიეროდ, ცენტრალიზებული სახელმწიფოს ფარგლებში გაერთიანებისთანავე ორ სამეფო სახლს შორის დაიწყო ხანგრძლივი ბრძოლა ძალაუფლებისათვის, რომელმაც დაახლოებით ოთხ საუკუნეს გასტანა (I—II დინასტიები). ამ პერიოდს — ეგვიპტური სახელმწიფოს, მისი მმართველი აპარატისა და ფარაონის ფუნქციებისა და დანიშნულების საბოლოო ჩამოყალიბების პერიოდს — დღეს ეგვიპტის ისტორიის არქაული, ან ადრედინასტიური პერიოდი ჰქვია. დიდი გერმანელი ეგვიპტოლოგის რ. ანთესის ხატოვანი გამოთქმით, ამ დროის მნიშვნელობა მის დაძაბულობაშია.

ქვეყნის გაერთიანებას ემთხვევა კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა — დამწერლობის ჩამოყალიბება. I—II დინასტიების პირველი ეგვიპტური მოკლე წარწერები ძირითადად ჩრდილოეთისა და სამხრეთის სამეფო სახლებს შორის დაუსრულებელი ბრძოლების შე-

სახებ მოგვითხრობს. ასეთ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში საკუთარ ბუნებრივად გამოიყურება ახალი სამეფო რეზიდენციის დაარსება დელტის 20 კმ სამხრეთით, ჩრდილოეთისა და სამხრეთის ბუნებრივ საზღვრებთან, რომლის სტრატეგიული მნიშვნელობა ჯერ კიდევ ბერძენმა ავტორებმა აღნიშნეს (მაგ., დიოდ. 1,50). შორეული სამხრეთული რეზიდენციიდან გაცილებით უფრო რთული იყო მთელი ქვეყნის ერთიანი კონტროლის ქვეშ მოქცევა. ეგვიპტური ტრადიციის თანახმად, ერთიანი ეგვიპტის პირველი დედაქალაქის დაარსებლად ისევ მენესი გვევლინება. გვიანდელ დროში ბერძნებმა ამ ეგვიპტურ ქალაქს მემფისი უწოდეს (თანამედროვე ვარაუდით, „მემფისი“ წარმოიშვა ქალაქის სიახლოვეს მდებარე ძველი სამეფოს ფარაონის პეპი I პირამიდის სახელწოდებისაგან „მენ ნეფერ“), უადრეს წარწერებში კი იგი მოიხსენიება როგორც „ინებ ხეჯ“ — „თეთრი კედელი“.

ხანგრძლივი ბრძოლა ძალაუფლებისათვის ერთგვარი პოლიტიკური კომპრომისით დამთავრდა. II დინასტიის ბოლო ფარაონი ხასეხემუი დაქორწინდა ჩრდილოეთის სამეფო კარის ხელმწიფის ქალიშვილზე. ხასეხემუის სახელი დღეს ითარგმნება როგორც „ორივე ძალაუფლების აღზევება“. მისი მეფობით მთავრდება არქაული პერიოდი — ცენტრალიზებული ეგვიპტის საბოლოო ჩამოყალიბებისა და ფორმირების მტკივნეული ხანა.

ფარაონის გაღმერთების იდეას ჩაეყარა საფუძველი ჯერ კიდევ წინადინასტიურ ეგვიპტეში, მაგრამ პატრიარქალური წყობის პირობებში რომლის ნიშნები საბოლოოდ ქრება I დინასტიის დროს, მაინც არ არსებობდა ის უფსკრული მეფესა და მის ყველაზე დიდგვაროვან ქვეშევრდომებს შორისაც კი, რომელიც უკვე არქაულ ეგვიპტეში ჩამოყალიბდა. უკვე I დინასტიის შუახანებიდან შეიმჩნევა მნიშვნელოვანი ცვლილება: თუ აქამდე ფარაონის სახელის გვერდით ხშირად იდგა რომელიმე დიდგვაროვანის სახელი, თანდათან ეს ჩვეულება ქრება. ამიერიდან ფარაონი — ხორის სახელის მოთავსება შეიძლება მხოლოდ გარკვეული ტიპის სტილიზებულ წარწერებზე, რომლებზეც უბრალო მოკვდავის მოხსენიებაც კი იკრძალება. ფარაონთან ურთიერთობის უფლება აქვს მხოლოდ უმაღლეს დიდგვაროვანთა ვიწრო წრეს, რომელიც ძირითადად სამეფო ოჯახის წარმომადგენლებისაგან შედგება. ასე, თანდათან სამეფო რეზიდენციის გარშემო ყალიბდება მომავალი ბიუროკრატიული აპარატის ბირთვი. უკეთესი ორგანიზაციისათვის ქვეყანა იყოფა ადმინისტრაციულ ოლქებად, ე. წ. ნომებად, რომელთა სათავეში დგანან მთლიანად მეფის რეზიდენციას დაქვემდებარებული დიდგვაროვანი მოხელეები.

უკვე არქაული პერიოდის დროს თავს იჩენს ეგვიპტის აგრესიული ბუნება, რომელიც ნათლად მჟღავნდება უფრო გვიანდელ ხანა-

ში. ნიუხედავად შინაგანი ბრძოლებისა, არქაული ეგვიპტის ფარაონები ახერხებენ სინაის მომთაბარე ტომების, ლიბიელების, დასავლეთის ოაზისების მცხოვრებთა და ჩრდილოეთ ნუბიის ხალხების დამორჩილებისათვის სამხედრო ლაშქრობების ჩატარებას. მოგვიანებით, პოლიტიკური ჰორიზონტის გაფართოებასთან ერთად, ეგვიპტე თავის დამპყრობლურ პოლიტიკას უფრო შორს მცხოვრებ ხალხებზეც გადაიტანს.

არქაულ პერიოდში ყალიბდება ეგვიპტური დამწერლობა, ცხოველდება კონტაქტები უცხო ქვეყნებთან, საოცრად ვითარდება ეგვიპტური კულტურა, ხელოვნება არქიტექტურა, აშგვარად, I—II დინასტიების ხანა უმნიშვნელოვანესია ეგვიპტის ისტორიაში. სწორედ ამ დროს ჩაეყარა საფუძველი ქვეყნის შემდგომ ბრწყინვალებას და ჩამოყალიბდა ეგვიპტური სახელმწიფოს ის ძირითადი ნიშნები, რომლებიც თითქმის უცვლელი რჩება მთელი მისი ისტორიის მანძილზე.

§ 6. ძველი სამეფო

(2780—2280 წწ. ჩვ. წ -მდე, III—VI დინასტიები)

ძველი სამეფო, ან, როგორც მას უწოდებენ, პირამიდების ეპოქა, ეგვიპტის ისტორიის ყველაზე უფრო ბრწყინვალე პერიოდად ითვლება. თუმცა ძველი სამეფოდან მისი ყოველდღიური ცხოვრების შესახებ ჩვენამდე მოღწეული ტექსტების რაოდენობა ძალზე მცირეა, გიგანტური პირამიდები. რომლებიც დღეს ერთ-ერთ სრულყოფილ არქიტექტურულ ფორმად არის მიჩნეული, ამ დროის ფარაონთა განუსაზღვრელი ძალაუფლების ყველაზე რეალურ გამოხატულებას წარმოადგენს.

ძველი სამეფოს ფარაონების თანმიმდევრობა და დინასტიების ცვლის მიზეზები დღეს არ არის ზუსტად დადგენილი, ამიტომ თანამედროვე მეცნიერება აქ ავტომატურად მიჰყვება მანეთონის დინასტიურ რიგს. მაგრამ ერთი რამ უდავოა: ახალი ეპოქა იწყება ჯოსერის — პირველი ეგვიპტური პირამიდის მფლობელი ფარაონის — გამეფებიდან. მისი ხუროთმოძღვარი იმხოტეპი ეგვიპტურ ტრადიციაში მოიხსენიება როგორც ბრძენი, ხოლო გვიანი პერიოდის ეგვიპტელებმა იგი თავიანთი პანთეონის ერთ-ერთ ღვთაებად შერაცხეს. იმხოტეპის პირამიდა, მართალია, ჯერ ჩამოუყალიბებელი, საფეხუროვანი ფორმისაა, მაგრამ ამ არაჩვეულებრივი ადამიანის გენია, რომელსაც პირველს ეკუთვნის პირამიდის აშენების იდეა, დღესაც გაოცებას იწვევს. მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრების ეს უძველესი ნიმუში კიდევ უფრო შთამბეჭდავი ხდება, თუ გავიხსენებთ, რომ იგი

არის ადამიანის მიერ აშენებული პირველი ქვის ნაგებობა. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ იმხოტეპი თავისმა ეპოქამ წარმოქმნა. მხოლოდ ცენტრალიზებულ და მაქსიმალურად ორგანიზებულ თეოკრატიულ სახელმწიფოში, რომელიც აბსოლუტურად არის დამორჩილებული მისი ერთპიროვნული მმართველისა და უზენაესი ღვთაების — ფარაონის — ნებას, შეიძლება არსებობდეს ის სულიერი საწყისები, რომლებიც წარმოშობს ერთი ადამიანისათვის ასეთი გრანდიოზული ნაგებობის აშენების იდეას, და მატერიალური ბაზა ამ იდეის განხორციელებისათვის. ეს შეუძლებელი იყო როგორც არქაულ ეგვიპტეში, ისე ძველი სამეფოს შემდგომ პერიოდებში. სწორედ ამიტომ ითვლება დღეს ძველი სამეფო ფარაონის აბსოლუტური ძალაუფლების კულმინაციის ხანად, მისი სახელმწიფო კი ერთიან პრინციპს დაქვემდებარებულ მწყობრ მექანიზმს მოგვაგონებს, ურთულესი, იერარქიული პრინციპით აწყობილი ბიუროკრატიული აპარატით, სადაც თითოეულ მოხელეს განსაზღვრული ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული.

ძველი ეგვიპტის მატერიალური კეთილდღეობა ძირითადად სოფლის მეურნეობაზე იყო დამოკიდებული, ხოლო ეს უკანასკნელი — ერთიანი საირიგაციო სისტემის მწყობრ მუშაობაზე, რადგან მხოლოდ მისი საშუალებით შეიძლებოდა ნილოსის წყლების მიწოდება ყანებისა და საძოვრებისათვის ვარგისი მიწებისათვის. ძველი სამეფოს დროს დასრულდა ქვეყნის ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფა. თითოეულ ნომს ევალებოდა წესრიგში ჰქონოდა მის ტერიტორიაზე განლაგებული საირიგაციო ქსელის არხები და ყოველწლიურად ჩაებარებინა სამეფო ბეღლებისათვის მარცვლეულის განსაზღვრული რაოდენობა. არქაულ ეგვიპტეში ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ფარაონი თვითონ ატარებდა მთელს ეგვიპტეში მოსავლის ინსპექციას. ამ პროცედურას „ხორის გაცილება“ ეწოდებოდა. III დინასტიიდან „ხორის გაცილება“ უკვე ყოველწლიური „გადასახადების აღწერად“ გადაიქცა, რომელსაც ადგილზე ატარებდა სათანადო მოხელე ნომის მმართველის მეთვალყურეობით.

ძველი სამეფოს ეგვიპტეს არ ჰყავდა რეგულარული არმია და ფლოტი, მაგრამ სამხედრო ლაშქრობების დროს თითოეული ნომიდან იწვევდნენ მასზე შეწერილი მამაკაცების განსაზღვრულ რაოდენობას. ასევე გამოყოფილი იყო მოსახლეობის განსაზღვრული რაოდენობა მაღაროებში მუშაობისათვის და ნიჩბოსნებად ძირითადად ლიბანსა და ბიბლოსში ექსპედიციებისათვის, საიდანაც ეგვიპტელებს ჩამოჰქონდათ მათთვის შვირფასი ხე — ერთადერთი მასალა, რომლის ნაკლებობა ყოველთვის იგრძნობოდა ამ ქვეყანაში.

სამეფო სახლის სამეურნეო ნაწილი დაყოფილი იყო სხვადასხვა ფუნქციების მიხედვით: საპურჭლე, რომელსაც „ორივე თეთრი სახ-

ლი ეწოდებოდა“ („ორი ქვეყნის“ შესაბამისად), ბეღლები, ბარაღის საწყობები, ტანსაცმლის საწყობები, ზეთეულის საწყობები. თითოეულ მათგანს თავისი მმართველი განაგებდა. ქვეყნის პირველ მოხელედ კი ქვეყნის მთავარი ვეზირი ითვლებოდა. ამ პოსტზე, ჩვეულებრივ, ინიშნებოდა ფარაონის უახლოესი ნათესავი. ქვეყნის ორგანიზაციამ იქამდე მიაღწია, რომ გადაწერილი იყო მთელი ეგვიპტის მოსახლეობა და მონაცემები თითოეულ მცხოვრებზე ინახებოდა სასახლის ბანცელარიაში, სადაც ხდებოდა მოსახლეობის განაწილება მაღაროებში სამუშაოდ, ყანების დასამუშავებლად, პირამიდების მშენებლობაზე დასაკავებლად და სხვ. აქვე ხდებოდა აღნუსხვა, თუ რამდენი ხორბალი, ტანსაცმელი და ა. შ. იყო საჭირო ყოველწლიურად მოსახლეობისათვის. ეგვიპტის მცხოვრებნი ფაქტიურად გადაიქცნენ სახელმწიფო მსახურებად, რომლებიც, თეოკრატიული სახელმწიფოს პირობებში, „ღმერთის მსახურებად“ ითვლებოდნენ. თავად „ღმერთის“ — ფარაონის — რეზიდენციას „პერ აა“ — „დიდი სახლი“ ეწოდებოდა. XVIII დინასტიიდან ამ სახელით რეზიდენციის მფლობელსაც მიმართავდნენ. ეგვიპტის მეუფეთა თანამედროვე დასახელებაც აქედან წარმოიშვა.

არქაულ ეგვიპტეში, როცა ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო პატრიარქალური წყობის ნიშნები, სამეფო მოხელეები ფარაონის, ან „დიდი სახლის“ ხარჯზე ცხოვრობდნენ. თანდათან საოცრად გაზრდილი ბიუროკრატიული აპარატის პირობებში, ეს, ბუნებრივია, შეუძლებელი გახდა. ფარაონი იძულებული იყო გამოეყო მოხელეთათვის მიწები. ამგვარი „მამულების“ ზომები შეესაბამებოდა მოხელის ადგილს რთულ იერარქიულ აპარატში. თეორიულად მოხელის ოჯახს უფლება მიწაზე მინიჭებული ჰქონდა იმ ვადით, სანამ მის უფროსს გარკვეული თანამდებობა ეკავა, მაგრამ, ბუნებრივია, ყოველი მოხელე ცდილობდა თანამდებობის მემკვიდრეობითად გადაქცევას. ასე ნელ-ნელა (დაახლ. IV დინასტიიდან) დაიწყო მიწაზე კერძო საკუთრების ჩამოყალიბება.

ძველი სამეფოს კულმინაციას IV დინასტია წარმოადგენს. ამაზე ნათლად მეტყველებს ამ დროის პირამიდებიც. ეგვიპტის პირამიდებიდან ყველაზე ცნობილი სამი დიდი პირამიდა სწორედ IV დინასტიის ფარაონების — ხეფრენის (ეგვ. ხაფრა), მიკერინის (მენკაურა) და ხეოფსის (ხუფუ) — მიერ არის აგებული. თავად ამ ფარაონების შესახებ, მათი პირამიდების გარდა, თითქმის არაფერია ცნობილი. დიდი სენსაცია გამოიწვია ხეოფსის დედის ხეტეპჰერესის სამარხის აღმოჩენამ. აქ ნაპოვნი ძვირფასი ავეჯი, საოცრად დახვეწილი ჭურჭელი და სამკაულები ამ დროის ფარაონების, მართლაც, ზღაპრულ სიმდიდრეზე მეტყველებს.

სინაის ყელზე ნაპოვნი ამ დროის წარწერებიდან ჩანს, რომ ეგვიპტე სისტემატურად ამუშავებს სინაის მაღაროებს, საიდანაც მოედინება ძვირფასი სპილენძი და ფირუზი. ეს იმას ნიშნავს, რომ სინაის მომთაბარე ტომები დამორჩილებულნი არიან. წესრიგი სუფევს სამხრეთშიც, ნუბიაში, რომელიც აგრეთვე მრავალი ნედლეულის წყაროს წარმოადგენს. ძველი სამეფოს გაცხოველებულ კონტაქტებზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ამ დროით დათარიღებული მარმარილოს ჭურჭელი ნაპოვნია შორეულ კუნძულ კითერაზე გათხრების დროს.

IV—V დინასტიებს შორის დინასტიური ცვლის მიზეზები ჩვენთვის უცნობია. V დინასტიის წარმოშობის შესახებ ძალიან ხატოვნად მოგვითხრობს ე. წ. „ვესტკარის პაპირუსი", რომელიც შუა სამეფოს ხანით თარიღდება. აქ მოყვანილი ლეგენდის შინაარსი შემდეგში მდგომარეობს: ფარაონ ხეოფსს მისი დროის ყველაზე ცნობილმა ბრძენმა მოუთხრო, რომ მზის ღმერთის, რას ერთ-ერთი ქურუმის მეუღლე გააჩენს მზის ღვთაებისაგან სამ ტყუპს, რომელთაგან ერთ-ერთი ფარაონი გახდება. აღელვებულ ფარაონს ბრძენი ამშვიდებს: „შენ წყნარად დაასრულებ მეფობას. შემდეგ ტახტზე ავა შენი შვილი, შემდეგ — მისი შვილი, ხოლო მის შემდეგ — ტყუპისცალი".

დღეისათვის უცნობია V დინასტიის წარმოშობის ისტორია, მაგრამ, ალბათ, ტახტის უზურპაციას ადგილი არ ჰქონია, რადგან შემოინახა რამოდენიმე მსხვილი მოხელის სახელი, რომლებიც ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას როგორც IV დინასტიის დასასრულს, ისე V დინასტიის დასაწყისში. ისტორიულად ლეგენდის გამოძახილი იმაში მდგომარეობს, რომ V დინასტიის დროს ხდება რას კულტის საოცარი აღზევება, რას კულტის სამშობლო — ჰელიოპოლისი (ებრ. იუნუ) და მისი ქურუმობა კი ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. V დინასტიის ფარაონების პირამიდები მცირდება ზომაში, მაგრამ სამაგიეროდ ისინი აგებენ ობელისკის ფორმის საკულტო ნაგებობებს, რომლებსაც რას უძღვნიან — ტრადიცია, რომელიც ქრება შემდეგი დინასტიიდან და აღარასოდეს მეორდება. ამავე დინასტიიდან ფარაონის ტიტულატურაში ჩნდება ახალი ელემენტი — „რას შვილი". ამიერიდან ვიდრე ეგვიპტის ისტორიის ბოლომდე ფარაონი ხდება „ხორი, რას შვილი", ხოლო თავად რა იმკვიდრებს ცენტრალურ ადგილს ეგვიპტის პანთეონში.

რელიგიური ცვლილებების გარდა, შეიმჩნევა ცვლილებები ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. V დინასტიიდან უმაღლესი თანამდებობები ხშირად უკავიათ არა სამეფო წარმოშობის პირებსაც. თუ IV დინასტიის პერიოდში უზენაესი ნების მატარებელი ფარაონი იყო, თანდათან ძალაუფლებას მოხელეების უმაღლესი ფენა იგდებს ხელში. ძველი თანამდებობები, რომლებიც არისტოკრატიას ეკავა, კარგავს საერო

ხასიათს და ძირითადად რელიგიური ხასიათისა ხდება. მაგ., ტიტულს „ურ მაა“ — „დიდი მხილველი“ ატარებდა სამეფო წარმომობის პირი, რომლის მოვალეობა იყო სამხედრო ექსპედიციების ხელმძღვანელობა, ხოლო მეორადი ფუნქცია — ჰელიოპოლისის მთავარი ქურუმის პოსტი. V დინასტიიდან ამ ტიტულის მატარებელი, ისევ დიდგვაროვანი არისტოკრატიის წარმომადგენელი, მხოლოდ ჰელიოპოლისის მთავარი ქურუმის მოვალეობას ასრულებს, სამხედრო ექსპედიციების ორგანიზაცია კი წმინდა საერო თანამდებობა ხდება, რომელსაც ხშირად ხელში იგდებს არა სამეფო წარმომობის პირი. V დინასტიიდან ხდება სატაძრო მიწების განთავისუფლება გადასახადებისაგან — ეს პრივილეგია ადრე მხოლოდ პირამიდებისა და მათ გარშემო განლაგებული სამარხების მიწებს გააჩნდა (ეგვიპტეში სამეფო სამარხებს თავისი მიწები გააჩნდა, მათი მოსავალი გამოიყენებოდა მიცვალებულთათვის მსხვერპლად შესაწირად და მიცვალებულთა კულტის მსახურთა მეურნეობისათვის). სატაძრო მიწების გადასახადებისაგან განთავისუფლება ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია, რომლის შედეგები უფრო გვიან პერიოდებში იჩენს თავს. ფარაონის მიერ მსხვილი მოხელეებისადმი მინიჭებულ მიწებზე, რომლებიც ნელ-ნელა მათი ოჯახების საკუთრებად გადაიქცა, დაიწყო ჩამოყალიბება მსხვილმა მიწათმფლობელურმა არისტოკრატიამ. ამ სოციალური ფენის ხელში თავი მოიყარა უზარმაზარი მიწის ფართობმა, რომელმაც ერთგვარად დაარღვია ქვეყნის სამეურნეო ერთიანობა ძველი სამეფოს I ნახევართან შედარებით, როცა ქვეყნის მთელი მიწები ფარაონის საკუთრებად ითვლებოდა. კერძო მფლობელობაში მყოფ მიწებზე გართულდა კონტროლის დაწესება, რამაც დაარღვია გადასახადების აკრეფის მწყობრი სისტემა. ქვეყნის ცენტრალური ძალაუფლების ერთიანი კონტროლის ქვეშ მოქცევა თანდათან რთულდება, რის გამო ქვეყნის მთავარი ვეზირის თანამდებობას გამოეყო „ზემო ეგვიპტის ზედამხედველის“ თანამდებობა. მომავალში ეს თანამდებობაც ცენტრალიზებული ძალაუფლების ერთ-ერთ მუქარად გადაიქცევა.

ძალზედ საგულისხმოა შემდეგი გარემოებაც: V დინასტიიდან უმაღლესი ქურუმობისა და არისტოკრატიის სამარხებში კვლავ ჩნდება ავტობიოგრაფიული წარწერები, რომლებიც არქაულ ეგვიპტეში იყო შემოღებული და შემდგომ, ძველი სამეფოს დასაწყისიდან, ფარაონის ძალაუფლების აბსოლუტიზმის პირობებში უკვალოდ ქრება. V დინასტიის დიდგვაროვანთა წარწერები სამეფო ავტობიოგრაფიის ტრაფარეტით არის შედგენილი. ეს ფაქტი, უდავოდ, მეტყველებს პიროვნული თვითშეგნების განვითარების შესახებ.

ყველა ეს ფაქტორი ნათლად მეტყველებს, რომ ფარაონის ერთპიროვნულ ძალაუფლებას ნელ-ნელა საძირკველი ეცლება. მაგრამ V

დინასტიის დროს გარეგნულად ვითარება არ შეცვლილა. ოფიციალური წარწერების მონაცემებით არ შეიმჩნევა დიდი ცვლილებები არც VI დინასტიის ხანაში, რომელიც ძველი სამეფოს დასასრულს წარმოადგენს. ამ დინასტიის დროს ეწყობა რეგულარული ლაშქრობები ნუბიაში, სადაც ეგვიპტის ძალაუფლება ნილოსის მესამე ჭორომამდე ვრცელდება; მიმდინარეობს გაცხოველებული საგარეო ვაჭრობა.

VI დინასტიის ბოლო ფარაონი, პეპი II, ტახტზე 6 წლის ასაკში ავიდა და 94 წელიწადს იმეფა, მაგრამ ჩვენამდე მხოლოდ მისი მეფობის პირველი ნახევრის წარწერები შემოინახა. ალბათ, ეს შემთხვევითი არ არის. ფარაონის ძალაუფლება უკვე შერყეულია. განსაკუთრებით ძლიერი ოჯახები თავიანთ ნომებში პირველობასა და ბატონობას ჩემობენ. ამ პერიოდის მდგომარეობა კარგად არის აღწერილი ერთ-ერთი სამხრეთელი დიდგვაროვნის ანხტიფის სამარხის წარწერებში: ქვეყანაში დიდგვაროვანი ნომარქები ბატონობენ; ფარაონის მიწებზე მომუშავე გლეხებმა დაიტაცეს მიწების უმრავლესობა და აღარ უნდათ მორჩილება: ეტყობა, წყობიდან გამოვიდა საირიგაციო სისტემა, რადგან ქვეყანაში დაიწყო შიმშილი. მხოლოდ ზოგიერთი დიდი ტაძრის მეურნეობა ინარჩუნებს ძველებურ წესრიგს. თუმცა თავად ანხტიფი ჯერ კიდევ პატივისცემით იხსენიებს ფარაონს, ამ უკანასკნელის ძალაუფლება, წარწერების შინაარსით თუ ვიმსჯელებთ, უკვე ნომინალურია. პეპი II შემდეგ ტორინოს პაპირუსი ასახელებს რამოდენიმე ეფემერული ფარაონის სახელს, რომლებიც საოცარი სისწრაფით, სულ რაღაც თვეებში ცვლიდნენ ერთმანეთს. ამგვარად, პეპი II მეფობასთან ერთად მთავრდება ძველი სამეფოს ეპოქა, რომელმაც ხუთ საუკუნეს გასტანა. პეპი II სიკვდილის 5—6 წლის შემდეგ ქვეყანა დაიშალა ცალკეულ სამთავროებად, დიდგვაროვან ნომარქებს შორის დაიწყო ბრძოლა ძალაუფლებისათვის.

ამ პროცესის პირველი ნიშნები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, IV დინასტიის დასასრულს ჩნდება. სწორედ ამ დროს დაიწყეს ფარაონებმა დაქორწინება არა სამეფო წარმოშობის მსხვილი ნომარქების ქალიშვილებზე, რაც უფრო ადრე დაუშვებელი იყო. ამგვარი ქორწინებების მიზეზები იმაში მდგომარეობდა, რომ ფარაონი იძულებული გახდა დიპლომატიური ურთიერთობა დაემყარებინა საოცრად მომძლავრებულ ნომარქების ფენასთან. ამას გარდა, ფარაონის იქამდე უმდიდრესი „ორივე თეთრი სახლი“ საგრძნობლად შეარყია გრანდიოზულმა მშენებლობებმა. შემცირდა მისი კუთვნილი მიწების ტერიტორიაც, რადგან მიწების უზარმაზარი ნაკვეთები თანდათან დიდგვაროვანი ნომარქებისა და სატაძრო მეურნეობების ხელში გადავიდა. შემდგომი, V—VI დინასტიების დროს თვალში საცემად მცირდება ფარაონთა პირამიდების ზომები. ამ პროცესის საწინააღმდეგოდ, სულ

უფრო გრანდიოზული ხდება მსხვილი ნომარქების სამარხები. ძალზე საგულისხმოა შემდეგი გარემოებაც: სამეფო სასაფლაოები კარგავს თავის მნიშვნელობას, და თუ ძველი სამეფოს პირველ ნახევარში უდიდეს პატივისცემად ითვლებოდა სამარხის აშენება სამეფო პირამიდის სიახლოვეს, V დინასტიის დასასრულიდან ნომარქები უკვე საკუთარ სამფლობელოებში იგებენ სამარხებს. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ნომის მმართველობა ფარაონის მიერ მინიჭებული თანამდებობიდან ნომარქებმა უკვე დიდი ხანია მემკვიდრეობითად გადააქციეს. ამ პროცესის ბუნებრივი რეზულტატი კი იმაში გამოიხატა, რომ ფარაონმა დაკარგა გავლენა საოცრად გაძლიერებულ ნომარქებზე. არანაკლები საშიშროების წყარო გახდა ქურუმობა, რომელიც ძველი დიდგვაროვანი არისტოკრატიისაგან შედგებოდა და რომლის ხელში სატაძრო მიწების უზარმაზარმა ტერიტორიებმა აურაცხელმა სიმდიდრემ მოიყარა თავი. ამგვარად, „იდეალურად ორგანიზებული სახელმწიფო“ დაიშალა იმ ობიექტური მიზეზების გამო, რომლებიც თვითონ წარმოშვა.

§ 7. ძველი ეგვიპტის რელიგიური წარმოდგენები

ძველი სამეფოს პერიოდში საბოლოოდ ჩამოყალიბდა ეგვიპტის რელიგიურ წარმოდგენათა ძირითადი ქვაკუთხედი, რომელიც თითქმის უცვლელი დარჩა ქვეყნის მთელი დანარჩენი ისტორიის მანძილზე (თუ არ ჩავთვლით ეხნატონის რელიგიური რეფორმის მოკლე ხანას XVIII დინასტიის დროს). ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ეგვიპტეში, ისე როგორც ძველი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, რელიგია სახელმწიფო იდეოლოგიისა და პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. ამიტომ ბუნებრივია, რომ ეგვიპტური სახელმწიფოს არსებაში, მის ისტორიაში გარკვევა შეუძლებელია ეგვიპტელთა რელიგიის შესწავლის გარეშე.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ეგვიპტური სახელმწიფო ცალკეული დამოუკიდებელი დასახლებების თანდათანობით შერწყმის შედეგად წარმოიშვა. ძალაუფლების ცენტრალიზაციის შემდეგ სწორედ მათი საზღვრები დაედო საფუძვლად ქვეყნის ადმინისტრაციულ ერთეულებად (ნომებად) დაყოფას. მაგრამ ხანგრძლივი დამოუკიდებელი განვითარების პერიოდმა ნომებს თავისებური დაღი დაასვა — თვითეული მათგანი გამოირჩეოდა თვითმყოფადობით, ჰყავდა საკუთარი მფარველი ღვთაება, მრავალი საუკუნის მანძილზე ჩამოყალიბებული რელიგიური წარმოდგენები და კანონები. ნომი ეგვიპტის ყველაზე უფრო შეკრულ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა. ერთიანი ხე-

ლისუფლების დაცემის პერიოდებში ეგვიპტე არასოდეს დაშლილა ორ სამეფოდ, არამედ ყოველთვის ქუცმაცდებოდა ცალკეულ სამთავროებად, რომელთა საზღვრები ნომების საზღვრებს შეესაბამებოდა. ნომების ამგვარი პოლიტიკური შეკრულობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული რელიგიასთან. ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად თანდათან წაიშალა ნომების საზღვრები, ხოლო ცენტრალიზაციის პერიოდებში სახელმწიფო პანთეონის მთავარ ღვთაებად ყოველთვის ცხადდებოდა სამეფო ოჯახის მშობლიური ნომის ღვთაება.

აღსანიშნავია, რომ ეგვიპტის მთელი ისტორიის მანძილზე, ძალაუფლების უმაღლესი ცენტრალიზაციის პერიოდებშიც კი, სახელმწიფო რელიგია არასოდეს გადაქცეულა დოგმად, ამდენად, არ არსებობდა ჰერეტიკული წარმოდგენების ცნებაც, და სახელმწიფო კულტის ღვთაებებთან ერთად თითოეულ ნომში ეთაყვანებოდნენ საკუთარი „მიკროპანთეონის" ღვთაებებს. თანამედროვე ლიტერატურაში ხშირად შეხვდებით გამოთქმას, რომ ეგვიპტეში თითოეულ ნომს საკუთარი რელიგია გააჩნდა და შესაბამისად, ეგვიპტური ნომების რაოდენობა (42) ემთხვევა „ეგვიპტური რელიგიების" რიცხვს. სწორედ ამ გარემოებით აიხსნება ეგვიპტური პანთეონის საოცარი გადატვირთულობა და სიჭრელე.

როგორც უკვე ითქვა, ეგვიპტეში სახელმწიფო იდეოლოგია და რელიგია განუყოფელ ერთიანობას წარმოადგენდა, ამდენად, ყველა პოლიტიკური მოვლენა მაშინვე თეოლოგიურ ახსნასა და გამართლებას პოულობდა. ამიტომ ბუნებრივია, რომ ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანების შემდეგ მისი იდეოლოგიის აპოლოგეტები — ქურუმები — შეეცადნენ ლოკალური რელიგიების ერთგვარად მოწესრიგებას და მათ შეთანხმებას ერთიან ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიასთან. ამ მცდელობის შედეგად ეგვიპტეში წარმოიშვა რთული თეოლოგიური სისტემები, რომლებიც ქურუმების თეოლოგიური სპეკულაციების შედეგს წარმოადგენს. ყველა ისინი აგებულია ერთი ძირითადი სქემის მიხედვით. პირველყოფილი ქაოსიდან იბადება შემომქმედი ღვთაება, რომელიც ქმნის დანარჩენ ღმერთებს (სამყაროს). სხვადასხვა კოსმოგონიურ სისტემებში ამგვარი პრინციპით სხვადასხვა ღმერთებია განლაგებული. მაგალითად, უძველესი, ჰელიოპოლისის კოსმოგონიის მიხედვით პირველყოფილი ქაოსიდან (ეგვ. ნუნი) წარმოიშვა შემომქმედი — ატუმი, რომელმაც შექმნა შუ (ჰაერი) და ტეფნუტი (სისველე); მათ, თავის მხრივ, შექმნეს გები (მიწა) და ნუტი (ზეცა), ხოლო ამ ღმერთების წყვილმა, თავის მხრივ, დასაბამი მისცა შემდეგი თაობის ღმერთებს — ოსირისსა და ისიდას, სეტხსა და ნეფტიდას — ეგვიპტური პანთეონის უმნიშვნელოვანეს ღვთაებებს, რომლებთანაც რთული მითოლოგიური ციკლებია დაკავშირებული. მსგავსი კოსმოგონი-

ური სისტემები სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პოლიტიკურ სიტუაციაში იქმნება მემფისში, ესნაში და სხვ. მაგრამ ჰელიოპოლისის კოსმოგონიამ, რომელიც ძველი სამეფოს ფარაონთა იდეოლოგიის ძირითად საყრდენს წარმოადგენდა, მჭიდროდ გაიდგა ფესვები, რადგან თანდათან, ეგვიპტის ისტორიის სხვადასხვა ეტაპებზე, იგი ისისხლხორცებდა სხვადასხვა ეგვიპტურ ღვთაებებს, რომლებიც ამა თუ იმ პოლიტიკური ვითარების გამო გარკვეულ მნიშვნელობას იძენდნენ.

IV დინასტიიდან აღზევება დაიწყო რას კულტმა; V დინასტიიდან მზის რელიგია უკვე სახელმწიფო რელიგია ხდება. ფარაონი, აქამდე ხორად აღიარებული, ამიერიდან ხდება „ხორი, რას შვილი". ბუნებრივია, ატუმის, როგორც შემოქმედი ღვთაების, პოზიცია შეირყა. მაგრამ ჰელიოპოლისის ქურუმების სპეკულაციის შედეგად მოხდა ამ ორი ღვთაების გაერთიანება. ეგვიპტის ოფიციალურ პანთეონში ჩნდება ახალი ღვთაება — რა-ატუმი, რომელიც კიდევ უფრო ძლიერდება უკვე არქაული ტრადიციების მქონე ატუმისა და ახალი სახელმწიფო ღვთაების — რას — თვისებების შერწყმის შედეგად. როცა უფრო გვიანდელ პერიოდში (შუა სამეფო) ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს თებეს ნომარქებმა, მათ, ბუნებრივია, თავიანთი ლოკალური ღვთაების — ამონის — წინ წამოწევა ისურვეს. მათ ამონი ისევ რას დაუკავშირეს და ასე გაჩნდა ეგვიპტურ პანთეონში კვლავ ახალი ღვთაება — ამონ-რა.

ძველ ეგვიპტელთა წარმოდგენით, ყველა მოვლენის მიზეზს წარმოადგენდა იმატერიალური, ცნობიერებისათვის მიუწვდომელი სულიერი საწყისი, რომელსაც ისინი აღნიშნავდნენ სიტყვებით — „ბა", „კა" ან „ახ". მისი არსებობის ფორმა ფლუიდური, მოძრავია — მას შეუძლია სახეცვლა, გადანაცვლება სივრცეში, სხვადასხვა ფორმით გამოვლინება, სხვადასხვა მატერიალურ სხეულში ჩასახლება. ამგვარი წარმოდგენის გამო ისინი ადვილად უშვებდნენ, რომ ერთ სულიერ საწყისს შეეძლო რას, ატუმის და ა. შ. ფორმით გამოვლინება. ამგვარად შედგენილი ეგვიპტური ღვთაებები, როგორიცაა, მაგ., რა-ატუმი, რა-ხორახტი და სხვ., ორი ღმერთის გაიგივებას ან გაერთიანებას კი არ ნიშნავდა, არამედ ერთი ცვალებადი ღვთაებრივი სულიერი საწყისის სხვადასხვა ფორმით გამოვლინების შესაძლებლობას. ეგვიპტური თეოლოგიის ამ თავისებურებას თანამედროვე მეცნიერებაში სინკრეტიზმი ეწოდება. დიდი გერმანელი ეგვიპტოლოგის ზ. მორენცის თქმით, „სინკრეტიზმი არა მარტო ეგვიპტური რელიგიური მსოფლმხედველობის თავისებურებას გამოხატავს; მასში აისახება ეგვიპტელთა აზროვნების სპეციფიკა და სწორედ ამიტომ გვიჭირს დღეს ამ მოვლენაში გარკვევა". სწორედ სინკრეტიზმი უდევს საფუძვლად ფარაონის გაღმერთებას. ოფიციალური იდეოლოგიის თანახმად, ეგვიპტის ფარაონი

გამოცხადებული იყო ღვთაებად და ღვთაების შვილად. თანამედროვე აზროვნებისათვის ძნელია იმის წარმოდგენა, თუ როგორ შეესაბამებოდა ფარაონის „ღვთაებრივობა“ და „მარადიულობა“ გიგანტურ სამარხებს, რომელთა აგებას ფარაონის ტახტზე ასვლისთანავე იწყებდნენ, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ოფიციალური იდეოლოგიის თანახმად, მარადიული იყო ფარაონის „ღვთაებრივი სულიერი საწყისი“ და არა მისი გამოვლინების მატერიალური ფორმა, ეს ერთი შეხედვით პარადოქსული სიტუაცია ერთგვარ გამართლებას ღებულობს. ერთი ფარაონის სიკვდილის შემდეგ მისი ღვთაებრივი სულიერი საწყისი ახალ მატერიალურ გამოვლინებაში — შემდეგ ფარაონში სახლდებოდა. ეგვიპტური თეოლოგიის ამ ოფიციალურ დოქტრინას საბოლოოდ ხსნის კარტუში, რომელშიც ჩვეულებრივ ფარაონის სახელს სვამდნენ. კარტუში — ეს არის წრე, რომელიც თავდაპირველად მიეწერებოდა ფარაონის ტიტულატურას ბოლოში, მხოლოდ ძველი სამეფოს შუახანიდან დაიწყეს მასში სახელების ჩაწერა, რის გამოც მან მოგრძო ფორმა მიიღო. წრე კი ძველ ეგვიპტეში იყო მუდმივი განახლების შედეგად მიღებული მარადიულობის სიმბოლო.

ჩვეულებრივ, რაც უფრო მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა რომელიმე ღვთაებას ეგვიპტურ პანთეონში, მით უფრო მეტი იყო გამოვლინების ფორმები, რომლებიც მას მიეწერებოდა. მაგ., **რას შესახებ ეგვიპტურ ტექსტში** ვკითხულობთ: „მას უფრო მეტი სახე აქვს, ვიდრე რომელიმე ღვთაებას. მათი სახელია მილიონი, მათი დასახელება შეუძლებელია“.

თავისებური რელიგიური გაფორმება პოვა ქვეყნის პოლიტიკურმა ისტორიამ ფარაონის რთულ ტიტულატურაშიც.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ სამეფო ძალაუფლების დაკავშირება ციურ ღვთაებასთან — ხორთან, რომელსაც შევარდენის იკონოგრაფია ჰქონდა, ჯერ კიდევ უძველეს დროში მოხდა. როცა ნილოსის დაბლობის ცალკეული დასახლებები ორ ეგვიპტურ სახელმწიფოდ გაერთიანდა, მათი სამეფო რეზიდენციების მფარველი ქალღმერთების მდგომარეობა დაიკავეს ნეხბეტმა (სვავის იკონოგრაფია) და ეჯომ (კობრის იკონოგრაფია). ეგვიპტის გაერთიანების შემდეგ ფარაონის ტიტულატურაში „ხორს“ დაემატა ორი ელემენტი — „ზემო და ქვემო ეგვიპტის მეუფე (იწერებოდა ზემო და ქვემო ეგვიპტის აღმნიშვნელი იეროგლიფებით) და „ორი ქალღმერთი“ (იწერებოდა ეჯოს და ნეხბეტის იეროგლიფებით). V დინასტიიდან ტიტულატურა შეიესო კვლავ ახალი ელემენტით — „რას შვილი“. ძველი სამეფოს დროს ფარაონი გახდა აგრეთვე „ოქროს ხორი“ — ამ ელემენტის მნიშვნელობა დღეს არ არის ნათელი. ყველა ელემენტის შემდეგ იდგა ფარაონის სახელი; ამასთან, სახელები არ მეორდებოდა. დასრულებული

სახით ფარაონის ტიტულატურა ასე გამოიყურებოდა: „ხორი“ (სახელი), „ოქროს ხორი“ (სახელი), „ორი ქალღმერთი“ (სახელი), „ზემო და ქვემო ეგვიპტის მეუფე“ (სახელი). „რას შვილი“ (სახელი). ტიტულატურა, ჩვეულებრივ, მთავრდებოდა სიტყვებით — „მცხოვრები, ვითარცა რა, მარად“. ამგვარად, ყოველ ფარაონს ხუთი სახელი გააჩნდა (არქაული ეგვიპტის ფარაონებს — სამი), რაც, ბუნებრივია, დღეს საოცარ სირთულეს უქმნის მეცნიერებს, რადგან ერთი და იგივე ფარაონი ერთ ტექსტში შეიძლება ერთი სახელით იყოს ნოხსენიებული, მეორეში — მეორეთი და ა. შ. ეს ძალიან ართულებს მათ იდენტიფიცირებას გარდა იმ შემთხვევებისა, როცა რომელიმე ფარაონის ხუთივე სახელია ცნობილი.

ეგვიპტური რელიგიის შესწავლისას უნდა გვახსოვდეს, რომ თითქმის არაფერია ცნობილი სახალხო ეგვიპტური რელიგიის შესახებ. აქ საკმარისია ითქვას, რომ ეგვიპტის „არაოფიციალურ“ პანთეონს შეადგენდა უთვალავი ლოკალური ღვთაება, რომლებსაც თავისი ფესვებით უძველესი დროის ფეტიშებამდე მივყავართ. ყველა ისინი ძირითადად ზოომორფული ან სელესტიალური წარმოშობისა იყვნენ. გალმერთებული ცხოველების სამარხები ნაპოვნია ჯერ კიდევ წინადინასტიური პერიოდის უძველეს, ბადარიულ კულტურულ ფენაში. დაახლოებით I დინასტიიდან იწყება ანტროპომორფიზაციის პროცესი, მაგრამ კავშირის სრული გაწყვეტა მათ პირვანდელ ზოომორფულ ბუნებასთან ლოკალურ ღვთაებებში მაინც არ მოხდა ეგვიპტის ისტორიის ბოლომდე, რითაც აიხსნება ეგვიპტის ცხოველთავიანი ღმერთების ფენომენი. არქაული ლოკალური ღვთაებებისაგან განსხვავებით, ქურუმების თეოლოგიური სპეკულაციების შედეგად წარმოქმნილი ღვთაებები მთლიანად ანტროპომორფული ხასიათისაა (მაგ., მემფისის პტახი).

ის გარემოება, რომ ჩვენამდე მოღწეული ცნობები ძირითადად ეგვიპტური რელიგიის ოფიციალურ თეოლოგიურ ნაწილს ეხება, სავსებით ბუნებრივია, რადგან ჩვენს განკარგულებაშია ძირითადად უდაბნოს მშრალი ქვიშების წყალობით სამარხებში გადარჩენილი ტექსტები, რომლებსაც ტრადიციული ეგვიპტელები ოფიციალური ტრაფარეტების მიხედვით ადგენდნენ. მაგრამ, მასალის სიმცირის მიუხედავად, ხშირად მივდივართ დასკვნამდე, რომ უბრალო ეგვიპტელები სკეპტიკურად უყურებდნენ ოფიციალური იდეოლოგიის თეოლოგიურ დოქტრინებს. მაგალითად, ოფიციალური ეგვიპტური თეოლოგიის თანახმად, ადამიანის დედამიწაზე ცხოვრების დრო მხოლოდ მისი არსებობის მოკლე ეპიზოდს წარმოადგენდა, რომელიც გრძელდებოდა სიკვდილის შემდეგ „დასავლეთის ქვეყანაში“ — ასე

ეძახდნენ ეგვიპტელები მიცვალებულთა ადგილსამყოფელს. ადამიანის სიკვდილის მომენტში მისი სულიერი საწყისი (ბა) სცილდებოდა სხეულს და შემდეგ ისევ უერთდებოდა მას „დასავლეთში“ გადანაცვლების შემდეგ. მხოლოდ სულისა და სხეულის ხელმეორედ შეერთების შედეგად იყო შესაძლებელი საიქიო ცხოვრების განცხრომით გატარება; ხოლო თუ მიცვალებულის სხეულისა და მისი ბას შეერთება რაიმე მიზეზის გამო ვერ მოხერხდებოდა, მისი სული საბრალო და მიუსაფარი დარჩებოდა. ამგვარად, მიცვალებულის სხეულის შენახვას ენიჭებოდა ძალიან დიდი მნიშვნელობა. სწორედ ამგვარმა შეხედულებებმა წარმოშვა ეგვიპტეში სხეულის მუმიფიცირების ტრადიცია. V დინასტიის დასასრულის რელიგიურ ტექსტებში ჩნდება მიცვალებულთა მფარველის — ოსირისის — სახელი, რომელიც ამიერიდან მტკიცედ იმკვიდრებს მიცვალებულთა მთავარი მფარველი ღვთაების ადგილს. ეტყობა, დაახლოებით ამ დროისათვის ხდება მიცვალებულთა კულტის საბოლოო ჩამოყალიბებაც, რადგან ამ პერიოდის ფარაონთა პირამიდებში ჩნდება თავისებური ხასიათის ტექსტები, რომლებიც დღეს „პირამიდების ტექსტების“ სახელითაა ცნობილი. „პირამიდების ტექსტები“ წარმოადგენს რელიგიური ჰიმნებისა და მაგიური შელოცვების უზარმაზარ კრებულს, რომელთა დანიშნულებაა გაუადვილოს მიცვალებულს დასავლეთის სამეფოში გადანაცვლება და საიქიო ცხოვრება. ძველი სამეფოს პერიოდში ეს „პრივილეგია“ მხოლოდ ფარაონს გააჩნდა; შუა და ახალი სამეფოებიდან იგივე შინაარსის ტექსტები, ერთგვარად მოდიფიცირებული (ე. წ. „მიცვალებულთა წიგნი“ და „სარკოფაგების წიგნი“) უკვე უბრალო ეგვიპტელების სამარხებში გვხვდება. ეს ყველაფერი მიცვალებულთა კულტის ოფიციალურ მხარეს წარმოადგენს. მაგრამ უკვე შუა სამეფოში ჩნდება სკეპტიკური ნოტები სამუდამო საიქიო ცხოვრების მიმართ. ე. წ. „პესიმისტური ტექსტების“ შინაარსი მოკლედ შემდეგში მდგომარეობს: „არავინ დაბრუნებულა დასავლეთის ბნელი ქვეყნიდან, ცხოვრება კი ძალზე სწრაფად გადის. ამიტომ არ შეიძლება საიქიო ცხოვრების იმედით ყოველდღიურ სიამოვნებაზე უარის თქმა“. მსგავსი სკეპტიციზმი უბრალო ეგვიპტელებს, ალბათ, ოფიციალური თეოლოგიის სხვა დოქტრინების მიმართაც გააჩნდათ, მაგრამ, სამწუხაროდ, მასალის სიმცირის გამო დღეს ამის შესახებ მსჯელობა ძალზე რთულია.

§ 8. პირველი გარდამავალი პერიოდი

2280—2016 წწ. ჩვ. წ.-მდე, VII—X დინასტიები, XI დინასტიის დასაწყისი

ძველი სამეფოს დაცემის შემდეგ ქვეყანაში ორ საუკუნეს გრძელდებოდა ანარქიის პერიოდი. ამ დროის მონაკვეთს თანამედროვე მეცნიერებაში I გარდამავალი პერიოდი ეწოდება. იგი VII—X დინასტიებს მოიცავს. რა თქმა უნდა, ქვეყნის დაქუცმაცების პირობებში ეს დინასტიები წმინდა ნომინალურ ხასიათს ატარებდა, მათი ეფემერული მეფეების ძალაუფლება ხანდახან ნაკლებ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა, ვიდრე რომელიმე დიდგვაროვანი ნომარქისა. მანეთონის ცნობები იმის შესახებ, რომ VII დინასტია შედგება 70 მეფისაგან, რომლებიც 70 დღეს მეფობდნენ, უდავოდ, ანარეკლია იმ მძიმე დროისა, რომელმაც დაისადგურა ქვეყანაში VI დინასტიის დაცემის შემდეგ. ამერიკელი მეცნიერის ვ. ჰეისის რეკონსტრუქციით, VI დინასტიიდან IX დინასტიამდე სულ 21 წელი გავიდა. აი, როგორ აღწერს ერთ-ერთი ეგვიპტელი მემატიანე ქვეყანაში შექმნილ ვითარებას; „ქვეყანა ინგრევა, ძმა ძმას კლავს, შვილი — დედას. სისხლის ღვარი მოედინება ყველგან. ტაძრები და სასახლეები ცეცხლშია გახვეული. საითაც გაიხედავ, მხოლოდ ქურდობას და მძარცველობას ხედავ. აღარ არსებობს ზემო და ქვემო ეგვიპტის ხელმწიფის საიდუმლო. მისი ბავშვები უპატრონოდ არიან ქუჩებში, მისი საჭურჭლე გავერანდა. დიდგვაროვანი და უბრალო, ყველა სიკვდილზე ოცნებობს. პატარები კი ამბობენ: ნეტავ არ დავბადებულიყავით. თითქოს ქვეყანა შემცირდა, მისი პატრონების რიცხვი კი ყოველდღე მატულობს“.

ხანმოკლე VIII დინასტიის მეფეების ძალაუფლება მხოლოდ მემფისსა და მის ირგვლივ მდებარე რაიონზე ვრცელდებოდა. დღეს ღიმილს იწვევს მათი მცდელობა დამსგავსებოდნენ ძველი სამეფოს ბრწყინვალე ფარაონებს მათი სახელების მითვისების ხარჯზე. ჩრდილოეთში თარეშობდნენ სინაის მომთაბარე ტომები, სამხრეთში თვითეული ნომარქი თავისი ნომის ერთპიროვნული ბატონი იყო.

დაახლოებით 2242 წ. ჩვ. წ.-მდე ტახტს იპყრობს ვინმე ახტოი, ზემო ეგვიპტის მეოცე ნომის ნომარქი ქ. ჰერაკლეოპოლისიდან (ეგ. ნენ-ნი-სუტ). შუა ეგვიპტის ნომარქებთან ბრძოლების შედეგად მან მემფისის რაიონს შუა ეგვიპტის ტერიტორია შემოუერთა. ახტოის და მის მომდევნო 17 ფარაონს ტახტი ეკავათ დაახლ. 2242—2052 წწ. ჩვ. წ.-მდე (ე. წ. ჰერაკლეოპოლიტური პერიოდი, IX—X დინასტიები). ჰერაკლეოპოლისის მეფეების დროს მოხდა დელტიდან სინაის ტომების განდევნა. სამხრეთ ეგვიპტეში ამ პერიოდში თანდათან აღზევდა

თებეს ნომარქების ოჯახი, რომლებმაც სამხრეთ ეგვიპტის დანარჩენი ნომები დაიმორჩილეს. ჰერაკლეოპოლისელთა X დინასტიის I ნახევარში ჰერაკლეოპოლისელ ნომარქებსა და თებეს მეფეებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობაა, რაც, ალბათ, იმით იყო გამოწვეული, რომ თებეს ნომარქები სამხრეთის დამორჩილებით იყვნენ დაკავებული. მაგრამ მთელი სამხრეთის დაპყრობის შემდეგ თებელებმა იარაღი უკვე ჰელიოპოლისისაკენ მოაბრუნეს. ამ დროისათვის სამხრეთის ტახტზე ადის ენერგიული ნომარქი (მომავალი მენტუხეტეპ II), რომელმაც ერთიმეორის მიყოლებით დაიპყრო ჰერაკლეოპოლისის სამეფოს ქალაქები.

თებე (ეგვ. უას. ტ.), ჯერ კიდევ ძველი სამეფოს დასასრულს, IV ზემო ეგვიპტური ნომის პატარა უმნიშვნელო დასახლებას წარმოადგენდა, მაგრამ მისი მმართველი ოჯახის თანდათანობით მომძლავრების შედეგად მალე ისეთი მნიშვნელობა მოიხვეჭა, რომ IV ნომის დედაქალაქი გახდა (ძველი ჰერმონთისის ნაცვლად). მისი მფარველი ღვთაება იყო ამონი, რომელიც დიდი ეგვიპტური ომის ღვთაების — მინის — ლოკალურ ვარიანტს წარმოადგენდა. VII—X დინასტიების დროს თებეს მართავდნენ ნომარქები, რომლებიც ერთი და იგივე საგვარეულო სახელს — ინტეფს — ატარებდნენ. პირველი ინტეფების წარწერებიდან ჩანს, რომ ისინი ჯერ კიდევ გარკვეულ ანგარიშს უწევდნენ ჰერაკლეოპოლისელთა დინასტიის მეფეებს. დღეს ძალიან ძნელია იმის დადგენა, თუ როგორ მოხდა მათი ძალაუფლების გავრცელება, მაგრამ დაახლ. 2134 წ. ჩვ. წ.-მდე ერთ-ერთმა ინტეფმა თავი უკვე „ზემო და ქვემო ეგვიპტის მეუფედ" გამოაცხადა. მართალია, ვერც მან, ვერც მისმა სამმა შემდეგმა მემკვიდრემ ვერ მოახერხეს ჰერაკლეოპოლისის მეფეების საბოლოო დამარცხება, მაგრამ შემდგომმა ეგვიპტურმა ტრადიციამ იგი მაინც აღიარა XI დინასტიის დამაარსებლად. ამ დინასტიის მეხუთე წარმომადგენელმა მენტუხეტეპ II ერთიმეორის მიყოლებით აიღო ჩრდილოეთის რამდენიმე ქალაქი და დაახლ. 2052 წ., მისი სამხრეთის ტახტზე ასვლის მეცხრე წელიწადს, დაიპყრო თვით ჰერაკლეოპოლისიც. ამგვარად, თებეს ნომარქების შთამომავლმა მთელი ეგვიპტის ხელმეორედ გაერთიანება მოახერხა. ჰერაკლეოპოლისელები კიდევ რამოდენიმე წელიწადს ებრძოდნენ მენტუხეტეპს, მაგრამ ამაოდ. მისი ხანგრძლივი მეფობის (51 წელიწადი) შუახანს ეგვიპტის გაერთიანება საბოლოოდ დასრულდა. ამ მოვლენის აღსანიშნავად მენტუხეტეპმა მიიღო ხორის ახალი სახელი — სემა-ტაუი (ორი ქვეყნის გამაერთიანებელი). ქვეყნის გამაერთიანებლად აღიარა იგი ეგვიპტურმა ტრადიციამაც. ერთ-ერთი ტაძრის კედელზე სამი ფარაონი — მენესი, მენტუხეტეპი და იაჰმესი (XVIII დინ.) — მოიხსენება როგორც ერთიანი ეგვიპტის ფუძემდებელნი

მისი ისტორიის სხვადასხვა პერიოდებში. ამგვარად, მენტუხეტეპის მეფობით იწყება ახალი ეტაპი ეგვიპტის ისტორიაში — მისი ხელმეორედ გაერთიანების პერიოდი, ანუ ე. წ. შუა სამეფოს ხანა.

§ 9. შუა სამეფო

2079—1594 წწ. ჩვ. წ-მდე, XI დინ. II ნახევარი — XIV დინ.

ქვეყანაში წესრიგის დამყარების შემდეგ ენერგიულმა მენტუხეტეპ II თავისი ყურადღება საზღვრების გამაგრებაზე და სავაჭრო გზების აღდგენაზე გადაიტანა. იგი აწყობს ლაშქრობებს ნუბიაში, რომელიც ანარქიის წლებში გამოვიდა ეგვიპტის კონტროლიდან, წესრიგს ამყარებს ლიბიის უდაბნოში და სინაის ყელზე. ერთ-ერთი სტელა ასე აღწერს მის გამარჯვებებს: „მან შიში დასთესა აღმოსავლეთში, დაიპყრო უდაბნოსა და ოაზისების ხალხები, მთის ხალხები, ნუბიელები“... ეგვიპტეში მენტუხეტეპმა ფართო სამშენებლო მოღვაწეობა გააჩაღა, მოაჯდინა მრავალი ძველი ტაძრის რესტავრაცია. მშენებლობის ასეთმა გააქტიურებამ, ბუნებრივია გამოიწვია სამუშაოების გაცხოველება მაღაროებშიც, საიდანაც მოედინება ძვირფასი სამშენებლო ქვები. რეგულარულად იგზავნება ქარავნები ნუბიასა და პუნტში ძვირფასი ნედლეულის ჩამოსატანად. ამგვარად, ენერგიული ფარაონი თითქოს ახერხებს ქვეყანაში წონასწორობის აღდგენას, მაგრამ ანარქიის წლების კვალი მაინც შეიმჩნევა მისი მეფობის დროს. მან მაინც ვერ შეძლო იმ აბსოლუტური ძალაუფლების დაბრუნება, რომელიც ძველი სამეფოს მეფეებს გააჩნდათ, როცა მთელი ქვეყანა, როგორც ერთიანი, საათივით აწყობილი მექანიზმი, მთლიანად სამეფო რეზიდენციაზე იყო დამოკიდებული. ნომარქებმა შეინარჩუნეს თავიანთი მიწები. უკვე დავიწყებას მიეცა დრო, როცა ფარაონი ნიშნავდა ნომების მმართველებს და ანაწილებდა მიწებს დროებით სარგებლობაში სხვადასხვა თანამდებობის პირებზე. ნომის მმართველის ყველა ფუნქცია უკვე მემკვიდრეობით გადადიოდა შუა სამეფოს დროისათვის საკმაოდ ჩამოყალიბებული ფენის — მიწათმფლობელი დიდგვაროვნების — ოჯახებში ერთი თაობიდან მეორეზე. საკუთარი ნომების მასშტაბით მათ შეინარჩუნეს თითქმის მთელი ის უფლებები, რომლებიც ქვეყნის დეცენტრალიზაციის პერიოდში იქნა მოპოვებული. თითოეული ნომის დედაქალაქში ნომარქს ჰყავდა საკუთარი ჯარი, საკარო ბიუროკრატიული აპარატი, საკუთარი სამხედრო რაზმი და ნომის მასშტაბის მნიშვნელობის მქონე მოვლენებს საკუთარი ნომარქობის წლებით ათარიღებდა. ძალიან დიდ გავლენას იხვეჭს ქურუმობაც, რომლის ძირითად და ყველაზე შეძლებულ ბირთვს XI დინას-

ტიის სამშობლოსა და ეგვიპტის ახალი დედაქალაქის — თებეს — მთავარი ღვთაების — ამონის ქურუმობა წარმოადგენს. მართალია, ფორმალურად ყველა ეს ფენა ფარაონს ემორჩილება, მაგრამ მთელი ქვეყნის ერთიანი ცენტრალიზებული კონტროლის ქვეშ მოქცევა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ძველი სამეფოს დროს, ბუნებრივია, ასეთ პირობებში შეუძლებელია. ცვლილება იგრძნობა მოსახლეობის უბრალო ფენებშიც კი. ე. წ. ბრუკლინის პაპირუსმა შემოგვინახა სასამართლო პროცესების აქტები, რომლებიც იხილავს სხვადასხვა პირების შიერ სამეფო სამუშაოების თავიდან აცდენის მცდელობის შემთხვევებს, რაც გამორიცხული იყო პირამიდების ხანაში. ნიშანდობლივია ისიც, რომ სწორედ ამ პერიოდიდან ეგვიპტურ ლიტერატურაში ჩნდება მოტივები, რომლებსაც დღეს „სკეპტიკურს" ან „პესიმისტურს" ვეძახით. ადამიანის არსებობის მარადიულობასთან ერთად მათში ეჭვის ქვეშ არის დაყენებული თვით სახელმწიფოს და სამეფო ძალაუფლების უდრეკობა და ძლიერება, რაც უთუოდ გარდამავალი პერიოდის მძიმე წლების ანარეკლს წარმოადგენს. ამგვარად, შუა სამეფოს ეგვიპტეში ერთგვარად შეირყა ის ძირითადი იდეა, რომელიც ძველი სამეფოს ეგვიპტის ძირითად საყრდენს წარმოადგენდა.

მენტუხეტეპ II 51-წლიანი მეფობის (2061—2010 ჩვ. წ.-მდე) შემდეგ XI დინასტიას აბოლოებს მისი რამოდენიმე მემკვიდრის მშვიდობიანი, მაგრამ ხანმოკლე მეფობა. XI დინასტიის ბოლო ფარაონის, მენტუხეტეპ IV სარკოფაგისათვის ქვის ბლოკების ჩამოსატანად ნუბიის მაღაროებში იგზავნება 20000 კაცისაგან შემდგარი ექსპედიცია, რომელსაც ხელმძღვანელობს სამხრეთ ეგვიპტის ზედამხედველის თანამდებობაზე მყოფი ვინმე ამონემხატი. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, თებეში სარკოფაგის ბლოკების ჩამოტანის შემდეგ მან გამოიყენა თავისი უზარმაზარი რაზმის ძალები ტახტზე ასასვლელად. ასეა თუ ისე, ზემო ეგვიპტის ზედამხედველი ადის ეგვიპტის ტახტზე და მისი გამეფებით იწყება XII დინასტია.

ამონემხატ I უაღრესად გამჭრიახი და ენერგიული პიროვნება აღმოჩნდა. ალბათ, შემთხვევითი არ არის, რომ იგი ეკუთვნის ფარაონთა იმ უმნიშვნელო რიცხვს, რომელთა მეფობიდან ჩვენამდე გასაოცრად მრავალმა წარწერამ და ცნობამ მოაღწია. ამ თავისებურად არაჩვეულებრივმა ადამიანმა არა მარტო მოახერხა ნომარქების ძალაუფლების შეზღუდვა, არამედ პრაქტიკულად ჩამოართვა მათ საუკუნეების მანძილზე მოპოვებული უფლებები. ალბათ, იგივე სტრატეგიული მიზნებით მან, როგორც თავის დროზე მენესმა მემფისის სამხრეთით (თანამედროვე ელ-ლიშტის სიახლოვეს), ააშენა ახალი დედაქალაქი „იტ-ტაუი" (ორივე ქვეყნის დამმარცხებელი), სადაც გადაიტანა თავისი რეზიდენცია. გარდა რამოდენიმე ნომისა, სადაც განსა-

კუთრებით ძლიერი ნომარქები ბატონობდნენ, მან ძალაუფლება სამეფო მოხელეებს გადააბარა. ამონემხატმა დაარღვია აგრეთვე უკვე ჩამოყალიბებული კავშირი ნომარქსა და ნომის მთავარ ღვთაებას შორის — თუ აქამდე ნომარქი თავისი ნომის ქურუმობის ზედამხედველიც იყო, ახლა მას ეს თანამდებობა ჩამოერთვა. ქვეყნის დეცენტრალიზაციის პერიოდში შინაგანი ბრძოლების დროს, უფრო ძლიერმა ნომარქებმა მიიტაცეს მეზობელი ნომების მიწები. ამონემხატმა ყველა საზღვარი ძველ ადგილას დააბრუნა ძველი სამეფოს კადასტრის მიხედვით, რომლის ამოკვეთა მან ბრძანა უმნიშვნელოვანესი ტაძრების კედლებზე. მან გაამაგრა ეგვიპტის საზღვრები, სამხრეთში ეგვიპტის გავლენა კვლავ ნილოსის მეორე ჭორობამდე გაავრცელა, როგორც თავის ქვეყანაში, ისე ნუბიაში ააშენა მრავალი ციხე-სიმაგრე და ტაძარი. მიუხედავად ყველა ამ წარმატებისა, ამონემხატი, რომელიც წარმოშობით სამეფო ოჯახს არ ეკუთვნოდა, ალბათ, მაინც შიშობდა დინასტიის შეცვლის შესაძლებლობაზე თავისი სიკვდილის შემდეგ. ამიტომ მეფობის მეოცე წელს მან ტახტზე თანამმართველად აიყვანა თავისი მემკვიდრე სენუსერტი. ამგვარი პრაქტიკა შემდგომ ტრადიციად გადაიქცა შუა სამეფოს ფარაონებს შორის. ამონემხატის წინდახედულობა ალბათ ცხოვრებით იყო ნაკარნახევი, რადგან თავისი მეფობის ოცდამეათე და სენუსერტ I მეათე წელს, როცა ეს უკანასკნელი იმყოფებოდა ლიბიელთა წინააღმდეგ ლაშქრობაში, ხანდაზმული ფარაონი სასახლის შეთქმულების მსხვერპლი გახდა. ეს ფაქტი აღწერილია ეგვიპტური ლიტერატურის ორი სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებში — მოთხრობაში „სინუხეტის თავგადასავალი“ და ეგვიპტური დიდაქტიკური ჟანრის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშში — „ამონემხატის დარიგება თავისი შვილისათვის“, რომელიც, ეტყობა, სენუსერტის განკარგულებით არის დაწერილი. ამ ნაწარმოებში ხანდაზმული ფარაონი უყვება ვაჟიშვილს თავისი ვერაგული მკვლელობის ამბავს და აცნობს ადამიანის ბუნების ყველა ბნელ მხარეს. იგი არიგებს შვილს, რომ ადამიანს, განსაკუთრებით როცა მას დიდი ქვეყნის ტახტი უპყრია, შეიძლება მხოლოდ საკუთარი ძალისა და გამჭრიახობის იმედი ჰქონდეს. ფარაონის ასეთი „გაადამიანურებული“ სახის შექმნა წარმოუდგენელი და შეუძლებელი იქნებოდა პირამიდების ეპოქაში, როცა ფარაონსა და ჩვეულებრივ მოკვდავებს შორის უზარმაზარი ზღვარი იყო. „სინუხეტის თავგადასავალი“, რომელიც მაღალი ეგვიპტელი მოხელის ავტობიოგრაფიას წარმოადგენს, ღირშესანიშნავია იმით, რომ პირველად მსოფლიო ლიტერატურაში აქ მოთხრობილია არა ხელმწიფის ან ღვთაების ისტორია, არამედ ჩვეულებრივი ადამიანის პირადი განცდებია გადმოცემული.

ამონემხატის მკვლელობის შემდეგ სენუსერტი სასწრაფოდ ტოვებს ლაშქრობას და სამეფო რეზიდენციისაკენ მოისწრაფვის, შეთქმულების მიზეზები დღეს არ არის ნათელი, მაგრამ სენუსერტ I ინარჩუნებს ტახტს და მშვიდობიანად ასრულებს მეფობას. მისი და მისი შემკვიდრეების დროს ეგვიპტე სულ უფრო ძლიერდება. ამ განვითარების კულმინაციას შუა სამეფოს დროს ამონემხატ III მეფობის პერიოდი წარმოადგენს (1841—1792 ჩვ. წ.-მდე). ნუბია დამორჩილებულია ნილოსის მეორე ჭორომამდე, მისი საბადოები რეგულარულად მუშავდება. ძვირფას სამშენებლო მასალასთან ერთად ნუბიიდან შემოდის აურაცხელი ოქრო; ეგვიპტის ვასალია ბიბლოსიც. მისი მმართველები ითვლებიან ეგვიპტის ფარაონის მოხელეებად და ატარებენ ეგვიპტურ სამხედრო ტიტულს (ჰატი-ა). სავაჭრო გზები ბაბილონსა და ანატოლიამდე აღწევს. ხე რეგულარულად შემოდის ლიბანიდან, ანატოლიიდან — ვერცხლი, მეტალი, რომელიც ეგვიპტეში არ მოიპოვება. ამონემხატ III დროს დასრულდა ფაიუმის ტბის რაიონის კულტივაციისათვის გამიზნული გრანდიოზული არხების სისტემის მშენებლობა, რის შედეგად ფაიუმის ტბის მიდამოები აყვავებულ ოაზისად გადაიქცა. ეს საირიგაციო სისტემა ჰეროდოტეს დროსაც კი ფუნქციონირებდა. ამონემხატ III დროს ძალიან გაიზარდა ფაიუმის ოაზისის მთავარი ქალაქი კროკოდილოპოლისი, სადაც ფარაონმა უამრავი ტაძარი და სხვა გრანდიოზული ნაგებობები ააგო. აქვე მდებარე ფარაონის სამარხის ტაძარი ბერძნულ-რომაულ პერიოდშიც აღფრთოვანებას იწვევდა და ცნობილი იყო „ლაბირინთის“ სახელწოდებით.

მდგომარეობა მკვეთრად იცვლება ამონემხატ III მემკვიდრეების — ამონემხატ IV (მეფობის 9 წელი) და სებეკკარას (მეფობის 3 წელი) — დროს. აქ გვინდა აღვნიშნოთ, რომ სებეკკარა იყო, ალბათ, ამონემხატ IV და და მეორე ქალი ეგვიპტის ისტორიაში, რომელიც გახდა „ორი ქვეყნის მეუფე“ (პირველმა ამ მდგომარეობას მიაღწია ნიტოკრისმა ძველი სამეფოს დასასრულს). ეგვიპტის ბრწყინვალება საოცარი სისწრაფით იწყებს დაცემას. თუმცა ამ ეტაპზე წარწერების მიხედვით გარეგნულად საგრძნობი ცვლილებები არ შეიმჩნევა — ისინი ისევე მოგვითხრობენ ლაშქრობებზე, მშენებლობებზე, ექსპედიციებზე და ა. შ. მეცნიერთა უმრავლესობის აზრით, ამ ორი სუსტი ფარაონის ხანმოკლე მეფობის დროს აქამდე შეზღუდულმა პროვინციულმა დიდგვაროვნებმა უფრო თავისუფლად იგრძნეს თავი.

სებეკკარას მეფობით მთავრდება XII დინასტია. შემდგომი ფარაონები (რიცხვით 50-ზე მეტი) ტორინოს პაპირუსსა და მანეთონის ისტორიაში თავმოყრილია როგორც XIII დინასტია (1778—1625 წწ. ჩვ. წ.-მდე), თუმცა ისინი სხვადასხვა ოჯახების წარმომადგენლები იყვნენ. მათგან ყველაზე ხანგრძლივი მეფობა 13 წელიწადს აღწევს, ძირი-

თადად კი ისინი 1—3 წელს მეფობდნენ. მიუხედავად ასეთი ვითარებისა, ბოლო წლებში აღმოჩენილი ცნობები ადასტურებს, რომ ძველი წარმოდგენები XIII დინასტიის ეპოქაზე, როგორც პოლიტიკური ქაოსისა და ანარქიის პერიოდზე, არ არის სავსებით სწორი. მართალია XIII დინასტიის ფარაონების სწრაფი ცვლა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მათ შორის არ მოიძებნება ერთიც კი, რომელიც თავისი ენერგიულობით და პოლიტიკური ალღოთი XII დინასტიის დიდი ფარაონების ტოლი ყოფილყო, მაგრამ მაინც ცენტრალურ ძალაუფლებას ცნობდა და ექვემდებარებოდა ყველა ნომი, ჩვ. წ.-მდე XVIII საუკუნის დასასრულამდე არ შეცვლილა არც ეგვიპტის საგარეო მდგომარეობა. მისი პრესტიჟი ურყევი იყო ნუბიაში, პალესტინაში, ბიბლოსში და ა. შ. მხოლოდ ჰაობებით იზოლირებულმა დასავლეთ დელტის რაიონმა ქაოსმა მოახერხა ერთგვარი დამოუკიდებლობის მოპოვება, მის მმართველებს მანეთონი აერთიანებს XIV დინასტიის სახელით. თუმცა ამ მეფეებიდან არც ერთი წარწერა არ შემოინახა, მათი სახელები გვხვდება ტორინოს კანონში, სადაც ისინი XIII დინასტიის ფარაონების შემდეგ არიან მოთავსებულნი.

მაგრამ ყველაზე დიდი საფრთხე ეგვიპტეს ქვეყნის გარედან ელოდა. XIII დინასტიის დროს — დღეს არ ხერხდება ზუსტად დროის დადგენა — ეგვიპტეში თანდათან დაიწყო შემოჭრა სემიტური წარმოშობის ხალხებმა, რომელთა იდენტიფიცირება დღემდე ვერ ხერხდება. თანამედროვე ეგვიპტელები მათ ბელადებს ეძახდნენ „ჰეკაუ-ხასუტ“ — „მთიანი ქვეყნების“, ანუ „უცხო ქვეყნების მეუფეებს“ („მთიანი ქვეყანა“ ეგვიპტურ ენაში „უცხო ქვეყნის“ სინონიმია). უფრო გვიანი ხანის ეგვიპტელები ამ სახელს უკვე თვით ამ ხალხებს ეძახდნენ, ხოლო მანეთონი, და მის მსგავსად ჩვენც — ჰიკსოსებს. ბიბლოსში აღმოჩენილი წარწერიდან ცხადია, რომ 1729 წლამდე ჰიკსოსები არ წარმოადგენდნენ სერიოზულ საფრთხეს ეგვიპტისათვის, მაგრამ უკვე 1700 წლისათვის მათ დაკავებული აქვთ ქვემო ეგვიპტის მიწების ნაწილი, მათ შორის ქალაქი ავარისი (ეგვ. ჰატ-უა-რეტი), რომელიც ჰიკსოსებმა გაამაგრეს და თავიანთ დედაქალაქად გადააქციეს. კიდევ დაახლოებით ორი ათეული წლის შემდეგ (ჩვ. წ.-ნდე 1675 წ.) ჰიკსოსების მეფე სალათისი იპყრობს მემფისს, რის შედეგად XIII დინასტიის იმდროინდელი ფარაონი კარგავს ერთიანი სახელმწიფოს მეუფის ფუნქციებს. მართალია, ამის შემდეგ ტორინოს პაპირუსი ასახელებს კიდევ 18 ფარაონს, მაგრამ ისინი, ალბათ, თავიანთი აზიელი ბატონების ვასალებს წარმოადგენდნენ.

ამგვარად, ჩვ. წ.-მდე 1675 წ. მემფისის დაპყრობით სრულდება XIII დინასტია და მასთან ერთად, შუა სამეფოს პერიოდი. საუკუნეზე მეტი დროით ეგვიპტე უცხოელ დამპყრობთა ხელში გადადის. ჰიკ-

სოსების ბატონობის ხანას დღეს მეორე გარდამავალი პერიოდი ეწოდება.

როგორც აღვნიშნეთ, შუა სამეფოს დროს ეგვიპტურმა ბიუროკრატიულმა აპარატმა შემდგომი განვითარება განიცადა. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად ითვლება ქვემო ეგვიპტის ზედამხედველის თანამდებობის გამოყოფა (უფრო ადრე, როგორც დავინახეთ, მთავარი ვეზირის თანამდებობას ზემო ეგვიპტის ზედამხედველის თანამდებობა გამოეყო). ეგვიპტის ორი ნაწილის ზედამხედველი ქვეყნის მთავარი ვეზირის შემდეგ უმაღლეს მოხელეებს წარმოადგენდნენ და უშუალოდ მასზე იყვნენ დაქვემდებარებული. „ორივე სახლის" ზედამხედველის თანამდებობას დაემატა მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა, (ეგვ. მერ სეჯაუტი); იგი ზედმხედველობდა მეფის პირად ქონებას, რომელიც მისი პირადი მოთხოვნებისათვის იყო გამიზნული, ამით პირველად მოხდა ფარაონის პირადი ქონების გამოყოფა სახელმწიფო ქონებისაგან (იგი ითვალისწინებდა თანხებს მშენებლობის, ექსპედიციების და ა. შ. ხარჯებისათვის). უფრო გვიან ასეთივე გამოყოფა მოხდა მოხელეების წრეშიც — მათი პირადი ქონება გაემიჯნა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებით დაგროვილ ქონებას. ნომებში ჩამოყალიბდა იურიდიული ფუნქციების შემსრულებელი მოხელის თანამდებობა, რომელიც ვეზირატთან იყო დაკავშირებული და უპირისპირდებოდა ნომების დიდგვაროვნებას. XII დინასტიის დროს ამ უკანასკნელთა ძალაუფლება კიდევ უფრო იზღუდება, რადგან ისპობა ნომის ერთპიროვნული მმართველობა: ნომი დაქუცმაცდა კიდევ უფრო პატარა რაიონებად, რომელთა სათავეში სპეციალური მოხელე იდგა. ყველა ამ სიახლემ კიდევ უფრო გაზარდა და გაართულა ისედაც გადატვირთული ეგვიპტური ბიუროკრატიული აპარატი, მაგრამ ვინაიდან უცხოელ დამპყრობთა შემოჭრით თითქმის წყდება მისი შემდგომი განვითარების პროცესი, დღეს ძნელია იმის თქმა, მივიდოდა თუ არა ეგვიპტე თავისით ქვეყნის ხელმეორედ დაშლამდე, როგორც ეს მოხდა ძველი სამეფოს დასასრულს. შუა სამეფოს დროს ძალიან განვითარდა ეგვიპტური არქიტექტურა და ხელოვნება, დაიხვეწა და ეანრობრივად გამდიდრდა ლიტერატურა. საერთოდ, მიუხედავად იმისა, რომ შუა სამეფოს აკლდა პირამიდების ეპოქის ეგვიპტის მონუმენტურობა, დღეს იგი ეგვიპტის ისტორიის კლასიკურ პერიოდად არის მიჩნეული.

§ 10. მეორე გარდამავალი პერიოდი (ჰიკსოსები)

1675—1567 წწ. ჩვ. წ.-მდე, XV—XVII დინასტიები

ჩვ. წ.-მდე 1675 წ. შემდეგ, როცა სალათისმა აიღო მემფისი და ეგვიპტის ტახტზე ავიდა, მან და მისმა ხუთმა მემკვიდრემ, რომლებსაც მანეთონი აერთიანებს როგორც ეგვიპტის XV დინასტიას, თანდათან გაავრცელეს თავიანთი ძალაუფლება მთელს ეგვიპტესა და ნუბიაზე. ჰიკსოსების ბატონობის პერიოდი თანამედროვე მეცნიერებისათვის ყველაზე უფრო რთული პერიოდია ისტორიული რეკონსტრუქციის თვალსაზრისით, რადგან ამ პერიოდის წარწერები პრაქტიკულად არ შემონახულა. დღემდე უცნობია ჰიკსოსების ეთნიკური შემადგენლობაც. უფრო გვიანი პერიოდის ეგვიპტელები მათ „აზიელებს“ ეძახდნენ; რამოდენიმე ჩვენამდე მოღწეული ჰიკსოსური პორტრეტი მკვეთრად გამოხატული სემიტური ტიპისაა. ვითარებას ართულებს ის გარემოებაც, რომ ეგვიპტური ტახტის დაპყრობის შემდეგ ჰიკსოსელმა მეფეებმა მიიღეს ეგვიპტის ფარაონის ტიტულატურა და ისინი ეგვიპტურ სახელებს ირქმევდნენ, ხოლო მათი ორიგინალური სახელები მოიხსენიება ნახოლოდ მანეთონთან ძლიერ დამახინჯებული სახით.

ჰიკსოსელთა ძალაუფლება მთელ ქვეყანაზე, ეტყობა, ვრცელდებოდა უკვე მესამე ჰიკსოსელი მეფის დროს, რადგან ნივთები მისი სახელით ქვეყნის მთელ ტერიტორიაზეა ნაპოვნი. ამას ერთგვარად ამოწმებს მისი ხორის სახელიც — ინფ-ტაუი (ორივე ქვეყნის მომცველი). ჰიკსოსელთა მდგომარეობა ერთგვარად შეირყა მეოთხე ჰიკსოსელი მეფის — აა-უსერ-რას (მანეთონთან — აპოპი) — ხანგრძლივი მეფობის (ჩვ. წ.-მდე 1620—1580 წწ.) ბოლოს.

უფრო გვიანი პერიოდის ეგვიპტელები ჰიკსოსების ბატონობის პერიოდს აღწერენ როგორც ეგვიპტისათვის ყველაზე საშინელ, უბედურ ხანას, როცა ინგრეოდა ტაძრები და იბილწებოდა ეგვიპტური ღმერთები. ამ ტრადიციის ანარეკლია მანეთონის სიტყვები (იოსეფის მიხ.): „არ ვიცი რის გამო, მაგრამ ღმერთების წყევლა დაატყდა ეგვიპტეს. მოულოდნელად აღმოსავლეთიდან შემოიჭრა უცხო ხალხები, რომლებმაც გამარჯვება იზეიმეს ჩემს ქვეყანაში. მათ ცეცხლის ალში გაახვიეს ქალაქები, მიწასთან გაასწორეს ტაძრები და სასტიკად ეპყრობოდნენ ეგვიპტელებს. ბევრი დიდებული თავიანთ მონად გადააქციეს, სხვებს ცოლ-შვილი დაუხოცეს“... მაგრამ თანამედროვე მონაცემების თანახმად, ეს გვიანდელი ტრადიცია არის იმ განწყობის გამოძახილი, რომელიც, ალბათ, ჩამოყალიბდა ამაყ ეგვიპტელთა შორის თვით იმ უსიამოვნო ფაქტის გამო, რომ მათი უძველესი კულტურის მქონე ქვეყანა უცხოელი ბარბაროსების ასპარეზი გახდა. ჰიკსოსები

არიან პირველი უცხოელი დამპყრობლები ეგვიპტეში — ქვეყანაში, რომელიც აქამდე თვითონ იყო შეჩვეული სხვა ხალხებზე ბატონობას. ის მცირე ცნობებიც კი, რომლებიც დღეს ჩვენს განკარგულებაშია ჰიკსოსების პერიოდის შესახებ, გვამცნობს რომ ჰიკსოსები არათუ არ „ასწორებდნენ მიწასთან“ ეგვიპტურ ტაძრებს, არამედ თვითონ აგებდნენ ახალ ტაძრებს ეგვიპტური ტრადიციებისა და კანონების დაცვით. საერთოდ, ისინი ძალიან ცდილობდნენ დამსგავსებოდნენ ძველი კულტურის მქონე ეგვიპტელებს: მათ მიიღეს ეგვიპტური ენა, დამწერლობა, მათმა მეფეებმა — ეგვიპტური ფარაონის ტიტულატურა და ეგვიპტური სახელები. ახალი სამეფოს დროინდელ ცნობებს იმის შესახებ, რომ ჰიკსოსები უდიერად ეპყრობოდნენ ეგვიპტის ღმერთებს და ცხოვრობდნენ „რას გარეშე“, უარყოფს ის გარემოება, რომ ჰიკსოსებმა თავიანთი მთავარი ღვთაება ეგვიპტურ სეტხთან გააიგივეს (რის გამოც ჰიკსოსური ღვთაების სახელი ჩვენთვის უცნობია), ისინი ეთაყვანებოდნენ სხვა ეგვიპტურ ღმერთებსაც და მათ შორის რას, რომლის სახელი, ფარაონის ოფიციალური ტიტულატურის გარდა, მონაწილეობს ბევრ ეგვიპტურ ყაიდაზე შედგენილ ჰიკსოსების საკუთარ სახელში. სწორედ ამგვარი კულტურული ასიმილაცია ართულებს დღეს მათ არქეოლოგიურ კლასიფიკაციას, რადგან ძალიან ძნელია იმ პერიოდის ეგვიპტური და ჰიკსოსური მასალის ერთმანეთისაგან გარჩევა. არ შეუცვლიათ ჰიკსოსებს არც ეგვიპტის სახელმწიფოს მართვის პრინციპი, ამასთან, ბევრი ნომის უფროსის თანამდებობა ისევ ძველეგვიპტელ ნომარქებს ეკავათ. თანდათან, როგორც ეს უკვე ერთხელ მოხდა ეგვიპტის ისტორიაში, დაიწყეს მომძლავრება თებეს ნომარქებმა. აპოპის მეფობის დასაწყისისათვის ისინი ეტყობა უკვე გამოვიდნენ ჰიკსოსების კონტროლიდან, რადგან თავიანთ თავს „მეფეებს“ ეძახიან. მართალია, ამ „მეფეების“ ძალაუფლება მხოლოდ თებესა და მის რაიონზე ვრცელდებოდა, მაგრამ როგორც ტორინოს ქრონიკა, ასევე მანეთონი მათ ასახელებს როგორც XVII დინასტიას (XVI ჰიკსოსების დინასტია, მოხსენიებული მანეთონთან, თანამედროვე ვარაუდით, შედგება ჰიკსოსების დიდგვაროვნებისაგან, რომლებიც XV დინასტიის თანადროულად ბატონობდნენ ეგვიპტის რაღაც ნაწილზე). აპოპის მეფობის ბოლოს თებელმა ნომარქმა სეკენენრამ დაამარცხა აპოპის არმია, თვით აპოპი ტყვედ ჩაიგდო და საბოლოოდ განდევნა ჰიკსოსები თებეს რაიონიდან. ამ ამბებს მოგვითხრობს ამონის კარნაკის ტაძარში ნაპოვნი სტელა, რომლის ტექსტი შედგენილია სეკენენრას ვაჟისა და მემკვიდრის კა-მესუს ბრძანებით. ამ გამარჯვების შემდეგ ჰიკსოსელთა XV დინასტიაში მოხსენიებულია კიდევ ორი ფარაონი, რომელთა შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი, მაგრამ ეტყობა ისინი ძირითადად თებელებთან ბრძოლებით იყვნენ დაკავებულნი, რადგან

მათზე დაქვემდებარებული ეგვიპტის ტერიტორია სულ უფრო მცირდება. 1567 წ. ჩვ. წ.-მდე თებელმა ნომარქმა იახმესმა აიღო ჰიკსოსების დედაქალაქი და საბოლოოდ განდევნა ჰიკსოსები ეგვიპტიდან. იახმესი სეკენენრას ვაჟი და კამესუს უმცროსი ძმაა, მაგრამ, ალბათ, იმის გამო, რომ მის მიერ მოპოვებული გამარჯვება ჰიკსოსების ეპოქის დასასრულის მაუწყებელი იყო, შემდგომმა ეგვიპტურმა ტრადიციამ იგი ახალი, XVIII დინასტიის დამაარსებლად აღიარა. მისი გამეფებით იწყება ეგვიპტის ისტორიის შემდგომი ე. წ, ახალი სამეფოს პერიოდი.

თანამედროვე მეცნიერთა აზრით, ჰიკსოსებს გარკვეული დამსახურება მიუძღვით ეგვიპტელთა წინაშე. მათ შეარყიეს ეგვიპტელთა რწმენა ეგვიპტის უცხოელების მიერ დაპყრობის შეუძლებლობაში. მათი მეშვეობით ეგვიპტე უფრო მჭიდრო კულტურულ კონტაქტში შევიდა დასავლეთ აზიის ქვეყნებთან, რადგან აზიური წარმოშობის ჰიკსოსები აღმოჩნდა ის ხიდი, რომელმაც გზა გაუკაფა ეგვიპტისაკენ ამ არეალის კულტურის საუკეთესო მონაპოვრებს, რომლებიც, ასიმილირებული და ტრანსფორმირებული ეგვიპტური ნიადაგზე, ერთგვარად სტიმულის მიმცემი იყო ეგვიპტური კულტურის შემდგომი განვითარებისათვის. ამის გარდა, მათ შემოიტანეს ეგვიპტეში რთული აზიური მშვილდი, მსუბუქი საბრძოლო ეტლი და ცხენი, რომლებიც უდავოდ დაეხმარა ახალი სამეფოს ეგვიპტის მძლავრ არმიას იმ დიდი გამარჯვებების მოპოვებაში, რომლებმაც ეგვიპტე მძლავრ იმპერიად გადააქცია.

§ 11. ახალი სამეფო

ჩვ. წ.-მდე 1570—1080 წწ., XVIII—XX დინასტიები

ფარაონი იახმეს I (ჩვ. წ.-მდე 1570—1546 წწ.), მენესისა და მენტუხეტეპ II მსგავსად, გვიანდელმა ეგვიპტურმა ტრადიციამ სამართლიანად აღიარა ახალი ერის ფუძემდებლად. თუმცა მისი წარწერები თითქმის არ შემონახულა, მაგრამ მის მიერ წარმართულ მოვლენათა განვითარება ამხელს იახმეს I უაღრესად ენერგიულ, მებრძოლ ბუნებას. იგი არ დაკმაყოფილდა ჰიკსოსების ქვეყნის ტერიტორიიდან განდევნით. თავისი მეფობის პირველი სამი წელიწადი მან მოანდომა მათთან ბრძოლას და სდია მათ შარუჰენამდე (სამხრეთ პალესტინაში), რომელიც ჰიკსოსების ძირითად საყრდენ ბაზას წარმოადგენდა. ამ ხანგრძლივი ლაშქრობის შედეგად, რომლის დროსაც იგი გამარჯვებას გამარჯვებაზე იხვეჭდა იახმეს I განდევნა ჰიკსოსები სირიის ქალაქებიდან და აიძულა ისინი შორს, ჩრდილოეთისაკენ დაეხიათ, რითაც პრაქტიკულად მოსპო მათი ხელმეორედ ეგვიპტეებზე თავდასხმის საშიშროება. დასავლეთის საზღვრების ამგვარად მოწესრიგების შემდეგ

მან ყურადღება მიაპყრო ნუბიას, რომელიც ჰიკსოსების ბატონობის დროს გამოვიდა ეგვიპტის კონტროლიდან. პირველივე კამპანიის შედეგად იახმესმა დაამყარა წესრიგი ქვედა ნუბიაში (ნილოსის II ჭორომამდე), ხოლო შემდეგ თანდათან წაიწია უფრო სამხრეთით. კვლავ დამონებული ნუბიის მმართველად ფარაონმა დანიშნა თავისი უფროსი ვაჟი, ისიც იახმესი და უბოძა მას ტიტული „ფარაონის ვაჟი, სამხრეთის ქვეყნების ზედამხედველი". ამით მან დააარსა ახალი რგოლი ფარაონის ადმინისტრაციულ აპარატში, რომელმაც იარსება ახალი სამეფოს მთელი პერიოდის მანძილზე. იგი განაგებდა ეგვიპტის სამხრეთ კოლონიების საქმეებს, ხოლო მისი უფროსი ატარებდა ტიტულს „მეფის ვაჟი", ან, უფრო მოგვიანებით „მეფის ვაჟი კუშში" (კუში — ნუბიის ეგვ. სახელია), თუმცა ხშირად ამ თანამდებობაზე ფარაონის პირდაპირი მემკვიდრეები არ ინიშნებოდნენ. თავისი მეფობის მეორე ნახევარში, ეგვიპტის საგარეო საქმეების მოწესრიგებისა და საზღვრების გამაგრების შემდეგ, იახმეს I ფართო სამშენებლო მოღვაწეობა გააჩაღა. მისი მეფობის ოცდამეორე წლით დათარიღებული წარწერა გვამცნობს, რომ იახმესმა თავიდან გახსნა და დაიწყო სამუშაოები ქაოსის წლებში მიტოვებული სამშენებლო ქვების მაღაროებში.

იახმეს I სიკვდილის შემდეგ ტახტზე ადის მისი ვაჟიშვილი ამონხეტეპ I (ჩვ. წ -მდე 1546—1526 წწ.), რომელმაც წარმატებით განაგრძო მამის როგორც საგარეო, ისე შინაგანი საქმეები. მან განამტკიცა ეგვიპტის პოზიცია ნუბიაში, წარმატებით ებრძოდა ლიბიელებს. მისი მეფობის დროს ჩამოყალიბებული სახე მიიღო ახალი სამეფოს ბიუროკრატიულმა აპარატმა. ამონხეტეპ I შეუნარჩუნა სამეფო რეზიდენციას ყველა ის პრივილეგია, რომელიც მოპოვებული იქნა XII დინასტიის დროს მსხვილი პროვინციული მიწათმფლობელური არისტოკრატიის უფლებების შეზღუდვის შედეგად. ქვეყანა სავსებით დაქვემდებარებული იყო ფარაონის ძალაუფლებას, რომელიც თავის მხრივ სატახტო ბიუროკრატიას ეყრდნობოდა. ამ უკანასკნელის მოვალეობა იყო თვალყურის დევნება, რომ ფარაონის ნებისმიერი მოთხოვნა სისრულეში ყოფილიყო მოყვანილი. ახალი სამეფოს დროს წმინდა საერო ბიუროკრატიას დაემატა სამხედროც, რადგან ამ პერიოდიდან ეგვიპტეს უკვე ჰყავს უაღრესად ორგანიზებული რეგულარული არმია და ფლოტი, რომელთა არსებობის აუცილებლობა ქვეყანამ, ალბათ, უცხოელ დამპყრობთა ბატონობის წლებში შეიგრძნო. ახალი სამეფოს დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იხვეჭს აგრეთვე ქვეყნის მთავარი ვეზირის თანამდებობა.

ამონხეტეპის გარდაცვალების შემდეგ ქვეყნის ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე იყო უმცროსი და, „ღვთაების და" იახმესი,

რომელიც ჯერ კიდევ ამონხეტეპის სიკვდილამდე დაქორწინდა ამონ-ხეტეპთან დაახლოებულ სამხედრო პირზე თოტმესზე; ეს უკანასკნელი ამ ქორწინების საფუძველზე ჩვ. წ-მდე 1526 წ. ადის ეგვიპტის ტახტზე როგორც თოტმეს I. შესაძლოა, თოტმეს I სამეფო ოჯახის ერთ-ერთი შტოს წარმომადგენელი იყო და თვით ამონხეტეპის მიერ იყო დანიშნული თავის მემკვიდრედ, მაგრამ კანონის წინაშე მას ტახტზე ასვლის უფლება მხოლოდ ფარაონის დასთან ქორწინებით ჰქონდა მოპოვებული, რამაც მომავალში გარკვეული დინასტიური კონფლიქტები წარმოშვა. თოტმეს I მეფობით (ჩვ. წ-მდე 1526—1508 წწ.) იწყება ეგვიპტის სამხედრო ბრწყინვალების, ტერიტორიული ექსპანსიისა და უდიდესი მატერიალური კეთილდღეობის ხანა. თოტმეს I და მისი მემკვიდრეების — ე. წ. თოტმესიდების — დროს XVIII დინასტიის პირველი ორი ფარაონის მიერ მოპოვებული ქვეყნის წონასწორობა და ძლიერება იზრდება ბრწყინვალე სამხედრო გამარჯვებებით, რომლებსაც დიდად შეუწყო ხელი თავისი დროის ყველაზე უფრო მძლავრმა და მოძრავმა არმიამ. ამ არმიას ხელმძღვანელობდა ფარაონი, რომელიც, ახალი ეგვიპტური ტრადიციის თანახმად, ბავშვობიდან იყო გაწვრთნილი სამხედრო საქმეში. ეგვიპტის მიერ დაპყრობილი ტერიტორია გავრცელდა სამხრეთით ნილოსის მეოთხე ჭორომამდე და ჩრდილო-აღმოსავლეთით — ევფრატის ნაპირებამდე. დაპყრობილი ტერიტორიებიდან ქვეყანაში მოედინებოდა აურაცხელი სიმდიდრე, რომელიც კიდევ უფრო ზრდიდა მაქსიმალურად ორგანიზებული ქვეყნის საკუთარ მატერიალურ კეთილდღეობას. სიმდიდრის კიდევ ერთ წყაროს წარმოადგენდა ფართო საგარეო ვაჭრობა ეგვიპტის სამხედრო კონტროლის გარეთ მდებარე ქვეყნებთან — აფრიკაში, მცირე აზიაში და შუამდინარეთში. ეგვიპტის სავაჭრო გემები აღწევენ კილიკიამდე, იონიამდე, კრეტამდე, კვიპროსამდე და ეგეოსის ზღვის კუნძულებამდე.

თავისი ორი მნიშვნელოვანი სამხედრო კამპანიით ზემო ნუბიასა და დასავლეთ აზიაში თოტმეს I ამტკიცებს, რომ იგი იყო შესანიშნავი სარდალი და თითქმის არ ჩამოუვარდებოდა თავის შვილიშვილს თოტმეს III, რომელიც მსოფლიო სამხედრო ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფიგურად არის მიჩნეული. ნუბიის კამპანიის რეზულტატი იყო ეგვიპტის ძალაუფლების გავრცელება მესამე ჭორომამდე, რაც თოტმესმა უმძიმეს სამხედრო და ნავიგაციურ პირობებში მოიპოვა. ეგვიპტეში დაბრუნებამდე მან დაპყრობილ ტერიტორიაზე ააგო მთელი რიგი ციხე-სიმაგრე და დააწესა მართვის ახალი სისტემა, დაყოფა ეგვიპტეზე დაქვემდებარებული მთელი ტერიტორია ხუთ ადმინისტრაციულ ერთეულად. აზიის კამპანიაში მან დაამარცხა მითანის სახელმწიფოს არმია. ამ გამარჯვების აღსანიშნავად ევფრატის ნაპირებ-

ზე მან დატოვა ჩვენს დღეებამდე შემონახული სასაზღვრო სტელა, რომელიც ერთდროულად წარმოადგენდა ეგვიპტეზე დამოკიდებული ტერიტორიების საზღვარს და ფარაონის გამარჯვების ინაუგურაციას.

თოტმეს I ორი უფროსი ვაჟიშვილი გარდაიცვალა მისი ძეფობის დროს, ამიტომ მისი სიკვდილის შემდეგ ტახტზე ადის მისი ვაჟიშვილი თოტმესი, რომელიც იმ დროისათვის დაახლოებით 12 წლის იყო. თოტმეს II დედა იყო არა დედოფალი იახმესი, არამედ დიდგვაროვანი ქალი მუტ-ნეფრეტი. ამიტომ თავისი პოზიციის გასამტკიცებლად თოტმეს II ერთავს ცოლად თავის ნახევარ დას ხატშეპსუტს, თოტმეს I და იახმესის უფროს ქალიშვილს. მათ იმეფეს დაახლოებით 18 წელიწადს, 1490 წ. კი ჯერ კიდევ ახალგაზრდა ფარაონი, რომლის სუსტ ჯანმრთელობას ხელს არ უწყობდა გაუთავებელი სამხედრო კამპანიები ნუბიაში და სინაისა და პალესტინის მომთბარე ტომების წინააღმდეგ, გარდაიცვალა. ხატშეპსუტისაგან თოტმეს II დარჩა მხოლოდ ქალიშვილი ნეფრუ-რა; ამგვარად, ისევ იქმნება სიტუაცია, როცა ფარაონის ლეგიტიმირება შეიძლებოდა მხოლოდ ფარაონის ქალიშვილთან ქორწინებით. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეგვიპტეში ფარაონი, ჩვეულებრივ, ქორწინდებოდა სამეფო წარმოშობის ქალზე (ხშირად საკუთარ დაზე), რომელსაც ბავშვობიდან ჰქონდა მინიჭებული „ღვთაების მეუღლის" ტიტული (ეს ტრადიცია ჯერ კიდევ ძველი სამეფოს დროიდან მოდის). ფარაონთან საკრალური ქორწინების შემდეგ იგი ხდებოდა ეგვიპტის დედოფალი და ტახტის კანონიერ მემკვიდრეებად ითვლებოდნენ მხოლოდ ის ბავშვები, რომლებიც ფარაონს ამ „ღვთაების მეუღლისაგან" ჰყავდა. მაგრამ სხვადასხვა პოლიტიკური და დიპლომატიური მოსაზრებების გამო ფარაონს ხშირად უხდებოდა მსხვილი ნომარქების ან უცხო ქვეყნების მეფეებისა და მთავრების ქალიშვილებთან ქორწინებაც. ეს მეუღლეები „მეორე რიგის ცოლებად" ითვლებოდნენ და მათ შვილებს შეეძლოთ ტახტზე ასვლა მხოლოდ კანონიერ მემკვიდრეებზე ქორწინებით. თოტმეს II სიკვდილის შემდეგ კარის არჩევანი შეჩერდა მის ვაჟზე, ასეთი II რიგის ცოლის, ისიდასაგან, რომელიც ნეფრუ-რაზე დაქორწინების შემდეგ ტახტზე ადის როგორც თოტმეს III. ამ დროისათვის თოტმეს III და მისი „ღვთაებრივი მეუღლე" ჯერ კიდევ ბავშვები. იყვნენ, ამიტომ ქვეყნის მართვა იკისრა დედოფალმა ხატშეპსუტმა. პირველ ხანებში იგი არ სცილდებოდა თავის უფლებებს, მაგრამ მალე აცხადებს, რომ ეგვიპტის ტახტზე ასვლის კანონიერი უფლება მხოლოდ მას ეკუთვნის. მან თავი ეგვიპტის ფარაონად გამოაცხადა და თავისი პოზიციების გასამაგრებლად შემოიკრიბა უბრალო წარმოშობის პირები, რომლებსაც დიდი თანამდებობები დაურიგა. მათ სათავეში იდგა ასევე უბრალო წარმოშობის სამხედრო სენ-მუტი, რომელსაც დედოფალმა 80-ზე მეტი

ტიტული უბოძა. ქვეყნის შიგნით ხატშეპსუტი როგორც ძირითად ხაზს, ატარებდა შუა სამეფოს ეგვიპტის ტრადიციების რესტავრაციის პოლიტიკას. საგარეო პოლიტიკაში მან ძირითადი აქცენტი აფრიკაზე გადაიტანა და სრულ იგნორირებას უწევდა XVIII დინასტიის მძლავრი ფარაონების მიერ მოპოვებულ აზიურ კოლონიებს. ეგვიპტის ასეთი პასიურობა ხელს უმართავდა მითანის სამეფოს, რომელიც იმ დროს ძალზე მომძლავრდა და თანდათან მოიწევდა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ხატშეპსუტის მეფობის დასასრულისათვის ეგვიპტეს მხოლოდ შარუჰენი შემორჩა, მთელი დანარჩენი ტერიტორია მითანის სამეფოს ხელში გადავიდა. ეგვიპტეში მდგომარეობა მართლაც რომ კრიტიკული გახდა, როცა მითანის მეფემ (შესაძლოა პარსასასთარმა), წაქეზებულმა მითანის გამარჯვებებით და ეგვიპტის პასიურობით, შეკრიბა უზარმაზარი ჯარი ეგვიპტეზე თავდასხმისათვის. იგი ეყრდნობოდა აგრეთვე 330 სირიელ მთავარს და ქადეშის მთავრებს. ეს საფრთხე აღმოჩნდა ის უკანასკნელი წვეთი, რომელმაც საბოლოოდ ააღსო ეგვიპტის მოთმინების ფიალა. ხატშეპსუტის პოლიტიკით შეწუხებული ეგვიპტის დიდგვაროვნები, რომლებიც უთუოდ უკმაყოფილონი იყვნენ ეგვიპტეში შექმნილი ვითარებით, დაეხმარნენ თოტმეს III ტახტის დაბრუნებაში. გამეფების ოცდამეორე წელს ხატშესპუსტი ჩამოაგდეს ეგვიპტის ტახტიდან. ტაძრებმა შეაჩვენეს მისი სახელი, მისი გამოსახულებები და წარწერები კი გაანადგურეს. ხელმეორედ გამეფების უკვე თვენახევრის შემდეგ თოტმესმა, დიდი არმიის სათავეში, გადალახა ეგვიპტის საზღვარი მტერთან შესახვედრად. ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგემ თავი შეაფარა ქ. მეგიდოს. ამას მოჰყვა ქალაქის შვიდთვიანი ალყა, რომლის შედეგად სირიის მთავრები დანებდნენ და გაუგზავნეს ფარაონს წერილი, რომელშიც მორჩილებას უცხადებდნენ ეგვიპტეს. ამ კამპანიის შედეგად ეგვიპტემ აიცილა გარეშე მტრის ქვეყანაზე თავდასხმის საშიშროება. ამას გარდა, მან თითქმის დაიბრუნა სირიის ქალაქებში ხატშეპსუტის დროს დაკარგული პოზიციები. ამის შემდეგ თოტმეს III თითქმის ყოველ წელს აწყობდა ლაშქრობებს დასავლეთში. მან ძალზე გაზარდა ეგვიპტის ფლოტიც. ბიბლოსში იგი აგებდა გემებს, რომლებიც საჭიროების მიხედვით გადაჰქონდა ოთხთვალებით ხმელეთზე, რითაც ძალზე აჩქარებდა არმიის გადანაცვლებას. მეფობის 31-ე წელს (თოტმესის წლებს ჩვეულებრივ ითვლიან მისი პირველად ტახტზე ასვლის დროიდან) იგი გადავიდა ევფრატზე, რათა აქ მითანის მეფეს შებრძოლებოდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა დაიხია ტიგროსსა და ევფრატს შორის მდებარე სტეპების სიღრმეში. ამის გამო თოტმესმა ვერ მიაღწია თავის ძირითად საბრძოლო მიზანს, მაგრამ უკანა გზაზე აიღო ქალაქები სენჯარი და ქადეში, რითაც ძალზე გაამაგრა ეგვიპტის პოზი-

ციები დასავლეთში. მეფობის 33-ე წელს მან დაარბია ნაქარენი, მითანის აღმოსავლეთი პროვინცია, და თავისი ბაბუის, თოტმეს I მაგვასად, დატოვა სტელა ევფრატის ნაპირებზე. 35-ე და 42-ე წლებში მან კვლავ დაამარცხა მითანის ჯარი, გამოგზავნილი მითანის მეფის მიერ სირიის ქალაქებიდან ეგვიპტელთა გასაძევებლად. ამის შემდეგ ბრძოლები ამ ორ იმ დროისათვის ყველაზე მძლავრ სახელმწიფოს შორის წყდება.

დაპყრობილ ტერიტორიაზე მმართველობას, რომელიც ითვალისწინებდა აგრეთვე ეგვიპტისათვის ყოველწლიური ხარკის გადახდას, ძირითადად ეგვიპტის მიერ არჩეული ადგილობრივი დიდგვაროვნები აწარმოებდნენ, მაგრამ ეგვიპტელი მოხელეების მეთვალყურეობით. ეს ეგვიპტელი მოხელეები ატარებდნენ ტიტულს „უცხო ქვეყნის უფროსი“ (აქად. რაბისუ). ეგვიპტის აზიური კოლონიები სამ პროვინციად იყო გაერთიანებული: ქანაანი (მთავარი ქალაქი გაზა), უპი (მთ. ქალაქი ქუმიდი), ამურუ (მთ. ქალაქი სიმურა). ყველა ქალაქში განლაგებული იყო ეგვიპტური გარნიზონები. თოტმეს III საფუძველი ჩაუყარა კიდევ ერთ ტრადიციას, რომელიც აგრეთვე უწყობდა ხელს სირიის ქალაქების ეგვიპტის გავლენის ქვეშ ყოფნას — სირიის დიდგვაროვანთა შვილები ბავშვობიდან ჩამოჰყავდათ ეგვიპტეში და აქ ეძათ ეგვიპტურ განათლებას აძლევდნენ და ზრდიდნენ ეგვიპტურ ყაიდაზე. ეგვიპტის გამარჯვებებმა, ბუნებრივია, შთაბეჭდილება მოახდინეს აზიისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ხალხებზე, რომლებიც შეეცადნენ ქვეყანასთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებას. შემორჩა დოკუმენტები ბაბილონიდან, ასურეთიდან, მითანიდან, ხეთების სამეფოდან, კვიპროსიდან და კრეტიდან დელეგაციების ჩამოსვლის შესახებ, რომლებსაც ფარაონთან უმდიდრესი საჩუქრები ჩამოჰქონდათ და სთავაზობდნენ მას თავიანთ პრინცესებზე ქორწინებას. ყველა შემონახულ დოკუმენტში მეფეები და მთავრები, სხვათა შორის, სთხოვენ ფარაონს ოქროს, რომელიც ეგვიპტეში „უფრო მეტია, ვიდრე მტვერი“. და მართლაც, იმდროინდელი მსოფლიოს ოქროს ძირითადი მარაგი ეგვიპტის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა. აურაცხელი რაოდენობით ოქრო მოედინებოდა ნუბიიდან, სადაც თოტმეს III ეგვიპტის გავლენა ნილოსის IV ჭორომამდე გაავრცელა და ამ ტერიტორიაზე ჩაუყარა საფუძველი მნიშვნელოვან ფორტიფიცირებულ ქალაქ ნაპატას.

თოტმესის რკინისებური ნებისყოფა და ენერგია იგრძნობოდა აგრეთვე საკუთარი ქვეყნის მართვაშიც. ბევრ ცენტრალურ თანამდებობაზე მან დანიშნა მასთან პირადად დაახლოებული პირები, რომლებიც სამხედრო კამპანიებში გამოცადა. ქვეყნის მთავარი ვეზირის თანამდებობა თოტმესმა ორად გაყო — ჩრდილოეთის და სამხრეთის — უკეთესი მეთვალყურეობისათვის. ამ ენერგიულმა ფარაონმა, რომე-

ლიც, ბევრი მეცნიერის აზრით, ყველაზე უფრო არაჩვეულებრივი ფიგურა იყო ეგვიპტის ფარაონებს შორის, პირველმა დაისახა მიზნად ეგვიპტე იმდროინდელ მსოფლიოზე გაბატონებულ იმპერიად გადაექცია.

ეგვიპტის შინაგანი და საგარეო მდგომარეობა კიდევ უფრო განმტკიცდა თოტმეს III მემკვიდრეების — ამონხეტეპ II (ჩვ. წ.-მდე 1436—1411 წწ.) და თოტმეს IV (ჩვ. წ -მდე 1411—1397 წწ.) — დროს. ამ უკანასკნელის საკმაოდ მნიშვნელოვანი დიპლომატიური მიღწევა იმაში მდგომარეობდა, რომ გარკვეული მოლაპარაკების შემდეგ იგი დაქორწინდა ეგვიპტის ძველი მოწინააღმდეგის — მითანის სამეფოს ხელმწიფის — არტატამას ქალიშვილზე. ამ ქორწინების შედეგად მითანის სამეფო ეგვიპტის პოტენციური მოკავშირე გახდა სწრაფად მზარდი ხეთების სამეფოს წინააღმდეგ.

XVIII დინასტიის ენერგიული ფარაონების მიღწევების რეზულტატები განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა ამონხეტეპ III მეფობის დროს (ჩვ. წ -მდე 1397—1360 წწ.). ახალგაზრდა ფარაონის გამეფება დაემთხვა დროს, როცა ეგვიპტე თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური კეთილდღეობის კულმინაციურ წერტილში იმყოფებოდა. დასავლეთში მშვიდობა სუფევდა; სირიის ქალაქებიდან და ნუბიიდან ქვეყანაში მოედინებოდა განუზომელი სიმდიდრე. ამიტომ ბუნებრივია, რომ ამონხეტეპ III მეფობას წითელ ზოლად გასდევს გრანდიოზული მშენებლობები, რომლებსაც ფარაონი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე აწარმოებდა. მაგრამ წონასწორობამ და სიმშვიდემ, რომელიც სუფევდა ფარაონის ხანგრძლივი მეფობის დროს, თანდათან გამოკვეთა ის წინააღმდეგობები ქვეყნის შიგნით, რომლებიც უკვე კარგა ხანს მწიფდებოდა. XVIII დინასტიის ფარაონთა პოლიტიკამ წარმოშვა ახალი მძლავრი სოციალური ფენა, რომელიც სულ უფრო და უფრო მდიდრდებოდა ეგვიპტის საგარეო გამარჯვებების შედეგად. ეს იყო სამხედრო არისტოკრატია, რომელიც ამ დინასტიის მებრძოლი სულის მქონე ფარაონების ძირითად საყრდენს წარმოადგენდა. თანდათან მსხვილ თანამდებობებს, რომლებიც ტრადიციულად სატაძრო განათლების მქონე ძველი ოჯახების წარმომადგენლებს ეკავათ, ეუფლებიან სამხედრო წრიდან წამოწეული, ფარაონთან დაახლოებული და ბრძოლებში გამოცდილი პირები, რომლებიც ხშირად არადიდგვაროვანი წარმოშობისა არიან. ამ ვითარებაში ბევრმა ძველმა ოჯახმა დაკარგა ის პოზიციები, რომლებსაც უკვე საუკუნეების მანძილზე თავის კუთვნილად განიხილავდა. ბუნებრივია, შექმნილი მდგომარეობა არ აკმაყოფილებდა ძველ ბიუროკრატიულ არისტოკრატიას და მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ ქურუმობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეგ-

ვიპტური რელიგია არ მოითხოვდა ქურუმისაგან არავითარ განსხვავებულ ცხოვრების წესს, არ განიხილავდა არც ასკეზის ცნებას, ამიტომ ხშირად რომელიმე დიდგვაროვანს, მაღალ ბიუროკრატიულ თანამდებობასთან ერთად, ქურუმის მოვალეობების შესრულებაც შეეძლო. წმინდა საერო და რელიგიური მოვალეობების გაყოფა, როცა ქურუმს აღარ შეეძლო საერო თანამდებობაზე სამსახური და პირიქით, მოხდა მხოლოდ ახალი სამეფოს დასასრულს. საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ტრადიციის თანახმად დიდგვაროვანი ოჯახების შვილები განათლებას სატაძრო სკოლებში იღებდნენ, რადგან განათლებას, წერა-კითხვის სრულყოფილად ათვისებას და მჭერმეტყველებას ეგვიპტეში უძველესი დროიდან უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამიტომ ბიუროკრატიული აპარატის უმაღლესი წრე და სატაძრო არისტოკრატია, რომელიც ფაქტიურად ერთი ფენის ორ განშტოებას წარმოადგენდა, მჭიდროდ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული და მათ საერთო ინტერესებიც აერთიანებდათ. XVIII დინასტიის დროს მათი საუკუნეების მანძილზე მოპოვებული პოზიციები ერთგვარად შეირყა, რამაც, ბუნებრივია, ამ მძლავრი ფენის უკმაყოფილება გამოიწვია. განსაკუთრებულ საფრთხეს ქმნიდა ამონის ქურუმობა, რომლის განკარგულებაში აურაცხელმა სიმდიდრემ მოიყარა თავი. ამონის ტაძრებში მოგროვილი სიმდიდრე და მათი მიწები იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც სახელმწიფო სახელმწიფოში. ამიტომ ნიშანდობლივია, რომ უკვე თოტმეს III თავისი რეზიდენცია თებედან ისევ ძველ დედაქალაქში — მემფისში გადაიტანა. სწორედ თებესა და მის რაიონში იყო თავმოყრილი ამონის უმნიშვნელოვანესი ტაძრები და მამულები და განსაკუთრებით ძლიერი იყო მისი ქურუმების გავლენა. ამ წინააღმდეგობებმა ერთგვარად შეამზადეს ის უზარმაზარი ცვლილებები, რომლებიც მოიტანა ამონხეტეპ III მემკვიდრის, ამონხეტეპ IV (ეხნატონის) მეფობამ, რომელიც განიხილება როგორც არაჩვეულებრივი ეპიზოდი ეგვიპტის ისტორიაში და ამარნის ეპიზოდის სახელით არის ცნობილი. ამონხეტეპ IV მეფობის წლებმა (ჩვ. წ.-მდე 1370—1353), რომლებიც თავისუფლად შეიძლება ეფემერულ, მეყსეულ პერიოდად ჩაითვალოს ეგვიპტის საოცრად ხანგრძლივ ისტორიაში, ერთბაშად მოიტანა იმდენი სიახლე, რასაც ამ უკიდურესად ტრადიციულ, კონსერვატიულ ქვეყანაში, ჩვეულებრივ, მრავალი საუკუნე სჭირდებოდა.

სუსტი აღნაგობის მქონე ამონხეტეპ IV უკვე ფიზიკურად ძლიერ კონტრასტს წარმოადგენს XVIII დინასტიის მებრძოლ ფარაონებთან შედარებით, რომლებიც თავიანთ საბრძოლო გამარჯვებებზე არანაკლებ ხატოვნად აღწერდნენ წარმატებებს ლომებსა და სპილოებზე ნადირობაში, ცხენოსნობაში და სხვა მსგავს საქმიანობებში. მაგრამ ფი-

ზიკურად სუსტი ამონხეტეპ IV ეგვიპტეში აქამდე არნახული ენერგიით შეებრძოლა არა მარტო ტრადიციულ ბიუროკრატიულ ფენას, არამედ საუკუნოვან ტრადიციებს და თავად ეგვიპტის ღმერთებსაც კი, რაც მით უფრო იწვევს გაკვირვებას, რომ ტახტზე ასვლისას იგი დაახლ. 16 წლის იყო. გამეფების პირველივე წელს იგი იწყებს თებეში, ამონის ამ ნავთსაყუდელში, ახალი ღვთაების, ატონის ტაძრის მშენებლობას. მეფობის მეექვსე წელს კი გადადის მის მიერ აშენებულ ახალ სატახტო ქალაქში — ახეტ-ატონში (ეგვ. „ატონის ჰორიზონტი", თებედან 60 კმ ჩრდილოეთით, თანამედროვე ტელ ელ-ამარნასთან). ერთდროულად იგი იღებს ახალ სახელს — ეხნატონს („ატონის მსახური"), სახელს უცვლის აგრეთვე თავის ლამაზ მეუღლეს ნეფერტიტის, რომელიც ამიერიდან ხდება ნეფერ-ნეფრუ-ატონი (მშვენიერია ატონის მშვენება) და უარყოფს ეგვიპტის ყველა ღვთაებას, მათ შორის რას და ამონს, კრძალავს მათი სახელის ხსენებას და სადაც ხელი შიუწვდება, შლის არა მარტო ძველი ღმერთების სახელებს, არამედ სიტყვას „ღმერთები", რადგან მთელი ეგვიპტე ახალ და ერთადერთ მზის ღვთაებას — ატონს — უნდა ეთაყვანებოდეს, საკმაოდ შთამბეჭდავი იკონოგრაფიით — ესაა მზის დისკო, რომლის სხივები ადამიანის გაწვდილი ხელებით მთავრდება. ამ არაჩვეულებრივი ადამიანის მეფობის დროს მომხდარი რეფორმების შედეგები დღეს ყველაზე ნათლად ჩანს იმდროინდელ ხელოვნებასა და ლიტერატურაში. ეხნატონმა ერთბაშად დაამსხვრია საუკუნეების შანძილზე ჩამოყალიბებული ეგვიპტური ხელოვნების კანონები, რომლებიც განსაკუთრებული სიზუსტით უნდა დაცულიყო ფარაონის გამოსახულებებში, რადგან მათ ძირითად დანიშნულებას ფარაონის ღვთაებრიობის ხაზგასმა წარმოადგენდა. ამიტომ ეგვიპტურ ფერწერასა და სკულპტურაში ფარაონის გამოსახულებები სტერეოტიპულ ხასიათს ატარებს — მათი სხეული ყოველთვის იდეალურად პროპორციული და ახალგაზრდაა, სახის ნაკვთები — სტილიზებული. ამიტომ დღეს ეგვიპტის ფარაონთა გრძელ რიგში გამოირჩევა ეხნატონის გამოსახულებები, რომლებშიც ხშირად ჰიპერთროპიულადაც კია გადმოცემული ამ ავადმყოფური ფარაონის აღნაგობის თვალში საცემი დეფექტები, რაც უპრეცენდენტო შემთხვევაა ეგვიპტის ხელოვნების ისტორიაში. ასევე უპრეცენდენტოდ ითვლება ფარაონის — ამ „ღვთაების" — გაადამიანება ამარნის პერიოდის ფერწერაში, სადაც ეხნატონი გამოსახულია თავის მეუღლესთან და ქალიშვილებთან ერთად. ამ გამოსახულებებში საოცარი ექსპრესიით არის გადმოცემული ისეთი ადამიანური ემოციები, როგორიცაა სიხარული, სიყვარული, სევდა გარდაცვლილ ქალიშვილზე და სხვ. ფარაონის ამგვარი ადამიანური გრძნობებით დაჯილდოება ეგვიპტურ ხელოვნებაში აქამდე წარმოუდგენელი იყო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავისი ხანგრძლივი განვითარების შანძილზე ეგვიპტურმა ენამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. ახალი სამეფოს სალაპარაკო ენა, ბუნებრივია, განსხვავდებოდა შუა სამეფოს ენისაგან, მაგრამ ლიტერატურულ, სამწერლო ენად იხმარებოდა შუა სამეფოს ეგვიპტური, ე. ი. შექმნილი იყო დაახლოებით შუა საუკუნეების ევროპის მსგავსი სიტუაცია, როცა სამეცნიერო და ხშირად ლიტერატურული ნაშრომები ლათინურ ენაზე იწერებოდა. შუა სამეფოს ეგვიპტურზე შედგენილი ტექსტები მხოლოდ სატაძრო განათლების მქონე პირთათვის იყო ხელმისაწვდომი. ეხნატონის რეფორმის ერთ-ერთ სიახლეს წარმოადგენდა სამწერლო ენად ახალი ეგვიპტურის გადაქცევა. ამ ფაქტს, ალბათ, ერთგვარად ეხმიანება ის გარემოება, რომ ფარაონმა პრაქტიკულად უგულვებელყო ძველი არისტოკრატია და ყველა მნიშვნელოვან თანამდებობაზე ძირითადად უბრალო წარმოშობის პირები დანიშნა, რომლებიც თვითონ აღიარებენ, რომ მათ „არც დედა ჰყავთ, არც მამა" (ე. ი. დაბალი ფენიდან არიან) და მათი განდიდება მხოლოდ ფარაონის ნებით მოხდა.

დღეს ძველ ეგვიპტეზე დაწერილი ურიცხვი შრომების თითქმის მეოთხედი ამარნის ხანმოკლე პერიოდისადმი არის მიძღვნილი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ითვლება, რომ ეხნატონის რევოლუციური რეფორმის ძირითადი მიზეზები და არსება მაინც არ არის გარკვეული. თუმცა ხშირად შევხვდებით აზრს, რომ ეხნატონი არის პირველი პიროვნება კაცობრიობის ისტორიაში. (ფარაონის გარდაცვალების შემდეგ ძველმა არისტოკრატიამ ყველაფერი ისევ ძველ რელსებზე გადაიყვანა, და ამიერიდან ფარაონის სახელი იდევნებოდა ისევე, როგორც ადრე თვით ეხნატონი დევნიდა ეგვიპტის ღმერთებს) ეს შემოტრიალება საკმაოდ ადვილად განხორციელდა, რადგან ეხნატონი, როგორც ჩანს, არ სარგებლობდა პოპულარობით არც ეგვიპტის უბრალო მოსახლეობას შორის, რადგან ტრადიციული ეგვიპტელის თვალში ძველი ღმერთების შეურაცხმყოფელის როლში გამოდიოდა.

ეხნატონის ინერტიულობამ საგარეო პოლიტიკის საქმეებში შეარყია ეგვიპტის პოზიციები დასავლეთის კოლონიებში. მითანის სამეფო, რომელიც უკვე 3 თაობის შანძილზე მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფებოდა ეგვიპტესთან, ამაოდ ელოდა მისგან დახმარებას მძლავრი ხეთების სამეფოსთან ბრძოლებში, რომელმაც ამ დროისათვის უკვე არა მარტო მითანის მიწები მიითვისა — ეგვიპტეს თავისი პასიურობა ორი უმნიშვნელოვანესი ქალაქის — ქადეშისა და უგარიტის — ფასად დაუჯდა. ეს ყველაფერი, ბუნებრივია, არ იწვევდა აღფრთოვანებას ქვეყანაში. ეხნატონის სიკვდილის შემდეგ ტახტზე ერთმანეთს ცვლის მისი ორი სიძე — სმენხკარა (ჩვ წ -მდე 1355—1352 წწ.) და ტუტანხამონი (ჩვ. წ -მდე 1352—1343 წწ.). ორივე ფარაონი ძალ-

ზე ახალგაზრდა გარდაიცვალა და ბუნებრივია, მათმა მეფობამ არ შეუწყო ხელი ვითარების გაუმჯობესებას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საგარეო საქმეებში.

ტუტანხამონის გარდაცვალების შემდეგ მისი მეუღლე, ანხსენპაატონი, რომელიც ეგვიპტის ტახტის უკანასკნელი კანონიერი მემკვიდრე იყო, შეეცადა მდგომარეობის შენარჩუნებას ხეთების მეფის, სუფილულიუმას ვაჟზე, ზანზანაზე ქორწინებით, მაგრამ ეს უკანასკნელი დაიღუპა ეგვიპტეში მგზავრობის დროს. ამის შემდეგ ანხსენპაატონი დაქორწინდა ხანდაზმულ ვეზირზე, ეიეზე, რომელიც, სხვათა შორის, ატარებდა ტიტულს — „ღმერთის მამა", რის გამოც ზოგიერთი მეცნიერის აზრით ეხნატონის სიმამრად არის მიჩნეული. იგი მალე გარდაიცვალა, ანხსენპაატონის შემდგომი ბედი კი უცნობია. ამგვარად, ერთ დროს ბრწყინვალე XVIII დინასტია სრულდება დინასტიური კრიზისით, რომელიც, ბუნებრივია, ხელს არ უმართავდა ქვეყნის შინაგანი წონასწორობისა და შერყეული საგარეო მდგომარეობის აღდგენას. შექმნილ რთულ ვითარებაში ტახტის უზურპირებას ახდენს სამხედრო წრის წარმომადგენელი ხორემხები (ჩვ. წ-მდე 1339—1304 წწ); იგი ასრულებდა ეგვიპტის არმიის მთავარი ზედამხედველის მოვალეობას ჯერ კიდევ ამონხეტეპ III დროს და ახალგაზრდა ტუტანხამონის გამეფების შემდეგ (იგი ტახტზე 9 წლის ასაკში ავიდა) უკვე ფაქტიურად მართავდა ქვეყანას. გამეფებისთანავე ხორემხები შეეცადა ქვეყნის საქმეების მოწესრიგებას. მან მიწასთან გასწორა ახეტატონი, დაანგრია კარნაკში ეხნატონის მიერ აგებული ატონის ტაძარი, ხოლო მისი ქვის ბლოკები გამოიყენა ამონის ბრწყინვალე ტაძრის საში ახალი პილონის ასაგებად. ამით ხორემხებმა საბოლოოდ მოსპო ქვეყანაში ეხნატონის ღმერთის სახსენებელი. მიუხედავად ხანგრძლივი მეფობისა, ეს ყოფილი სამხედრო ისე იყო დაკავებული ქვეყნის შინაგანი პრობლემებით, რომ სრულიად ვერ მოიცალა დასავლეთში ეგვიპტის გავლენის აღდგენისათვის. ატონთან ერთად მან გაანადგურა ეხნატონის დროს წამოწეული ყველა მოხელე და ქვეყანაში ძველი წესები აღადგინა. აღსანიშნავია, რომ შემდგომი ეგვიპტური ტრადიცია არ ცნობდა ამონხეტეპ III სამ მემკვიდრეს და ყველა ეგვიპტურ ცხრილში XVIII დინასტიას ასრულებს ხორემხები, რომელიც უშუალოდ ამონხეტეპ III შემდეგ არის მოხსენიებული.

ხორემხების მეფობის დროს მასთან ყველაზე დაახლოებული პირი იყო ეინმე რამსესი, ასევე სამხედრო წრიდან. ერთ-ერთი მსხვილი ეგვიპტელი სარდალის, ტანისელი (ქალაქი აღმ. დელტაში) სეტის ვაჟიშვილი, რომელიც ხორემხებმა თავის მემკვიდრედ გამოაცხადა. ხორემხების გარდაცვალების შემდეგ ეს დიდგვაროვანი სამხედრო, რომელიც ერთდროულად ასრულებდა ეგვიპტის არმიის მთავარი ზედა-

მხედველის, ვეზირის, ქურუმების უფროსის და სხვ. მაღალ თანამდებობებს, ეგვიპტის ფარაონი ხდება. მისი გამეფებით იწყება XIX დინასტია.

ტახტზე ასვლისას რამსეს I (ჩვ. წ-მდე 1304—1303 წწ.) უკვე ხანდაზმული კაცი იყო, ამიტომ მან თანამმართველად დანიშნა თავისი ვაჟი სეტი, ასევე სამხედრო, რომელმაც გამეფების ფაქტიურად პირველი დღიდანვე ყურადღება მიტოვებულ ეგვიპტის საგარეო საქმეებს მიაპყრო. სეტი I მალე დაამყარა წესრიგი პალესტინაში, აღადგინა ეგვიპტის გავლენა სირიის ქალაქებში, დაუბრუნა ეგვიპტეს ისეთი მნიშვნელოვანი პუნქტი, როგორიც იყო ქადეში, რაც მტკიცდება ამ ქალაქში ნაპოვნი სეტი I სტელით. ქვეყნის შიგნით სეტი I აგრძელებს ხორემხების მიერ დაწყებულ საქმეს — ეხნატონის მიერ დანგრეული ტაძრებისა და კანონების რესტავრაციას. საგულისხმოა, რომ ხანგრძლივი ინტერვალის შემდეგ ისევ ჩნდება ფრესკები საბრძოლო სიუჟეტებზე. შედარებით მოკლე დროის მიუხედავად, (ჩვ. წ-მდე 1303—1290 წწ.) ეგვიპტურმა ტრადიციამ სეტი I მეფობა ახალი ერის დასაწყისად გამოაცხადა (ეგვ. უჰემ მესუტ — დაბადების გამეორება). და მართლაც, სეტი I მეფობამ, უდავოდ, შეამზადა ის დიდი ცვლილებები საგარეო პოლიტიკაში, რომლებსაც მიაღწია მისმა ვაჟმა რამსეს II (ჩვ. წ-მდე 1290—1223 წწ.). ეგვიპტის ეს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფარაონი, შემდგომში „დიდ რამსესად" წოდებული, სამხედრო მხედართმთავრის თვისებებთან ერთად დიდი დიპლომატიური ტალანტით იყო დაჯილდოებული. მან მიაღწია სამშვიდობო მოლაპარაკებას ეგვიპტის ძველ მოწინააღმდეგესთან — ხეთების სამეფოსთან. მეფობის მეხუთე წელს რამსესმა დაამარცხა ხეთების მეფის მუვათალისის არმია, რითაც შეინარჩუნა სეტი I მიერ მოპოვებული პოზიციები სირიის ქალაქებში. თუმცა ცნობილ ქადეშის ბრძოლაში (მეფობის მეშვიდე წელს) მან გამარჯვებას ვერ მიაღწია, მაგრამ ამ ჭეშმარიტმა დიპლომატმა მოახერხა ეს ფაქტიური დამარცხებაც თავის სასარგებლოდ შემოეტრიალებინა. ამის შემდეგ მისი ბრძოლები ხეთების წინააღმდეგ ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა, რამსესის მეფობის ოცდამეერთე წელს კი ეს ორი, უკვე ტრადიციული მოწინააღმდეგე მივიდა სამშვიდობო მოლაპარაკებამდე. შემოინახა ამ მოლაპარაკების ტექსტი როგორც ეგვიპტურ, ისე აქადურ ენებზე, სადაც ორივე ნხარე აღნიშნავს, რომ ამიერიდან ისინი გახდნენ, „როგორც ერთი ქვეყანა". და ეფიცებიან ერთმანეთს „სამუდამო მშვიდობასა და მეგობრობაში" ამასთან, ორივე მხარე კისრულობდა ურთიერთდახმარებას როგორც შინაგანი არეულობის, ისე გარეშე მტრის თავდასხმის შემთხვევაში. მეფობის ოცდამეთოთხმეტე წელს რამსესი დაქორწინდა ხატუსილისის უფროს ქალიშვილზე. ამ ქორწინებით დამთავრ-

და რამსესის საბრძოლო და დიპლომატიური მოღვაწეობა. ცხოვრების დარჩენილი წლები მან მშვიდად გაატარა მის მიერ დაარსებულ რეზიდენცია პერ-რა-მესესში. როცა 1223 წელს ხანდაზმული ფარაონი გარდაიცვალა, მისი უამრავი შვილიდან ცამეტი უფროსი ვაჟიშვილი უკვე გარდაცვლილი იყო, ხოლო მეთოთხმეტე ვაჟი მერნეპტახი (ჩვ. წ -მდე 1223—1211) ორმოცდაათს იყო გადაცილებული. მიუხედავად საკმაოდ ხანდაზმული ასაკისა, მერნეპტახს დიდი დამსახურება მიუძღვის ეგვიპტის წინაშე — იგი გამარჯვებული გამოვიდა ბრძოლაში ე. წ. „ზღვის ხალხებთან", რომლებიც იმ დროისათვის თითქმის მთელი ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებს შემოესიენ და ფატალური როლი ითამაშეს ხეთების სამეფოს ისტორიაში. ამას გარდა, მერნეპტახი წარმატებით იბრძოდა სირიასა და პალესტინაში და დაიპყრო ისეთი ქალაქები და მცირე ქვეყნები, როგორიცაა მაგ., ქანაანი, ასკალონი, მეზერი, იენოამი, ისრაელი და სხვ. მერნეპტახის გარდაცვალების შემდეგ XIX დინასტია სრულდება ოთხი ეფემერული ფარაონის მეფობით, რომელთა შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი. არაფერი ვიცით არც სეტნახტის, XX დინასტიის დამაარსებლის წარმოშობის ან ტახტზე ასვლის გზების შესახებ, მაგრამ მისი ვაჟიშვილი, რამსეს III დღეს განიხილება როგორც ახალი სამეფოს უკანასკნელი დიდი ფარაონი (ჩვ. წ -მდე 1192—1160 წწ.). დღეისათვის გავრცელებული აზრით, იგი თავის ცნობილ სეხნიაზე, რამსეს II უკეთესი სტრატეგიც კი იყო და საბრძოლო გამარჯვებებით აღწევდა წარმატებებს იქ, სადაც მისი წინაპარი დიპლომატიას იშველიებდა. მეფობის მეხუთე წელს იგი წარმატებით შეებრძოლა ლიბიელებს, ხოლო მერვე წელიწადს უკუაგდო ზღვის ხალხების გრანდიოზული შემოსევა. ეგვიპტის ისტორიის წინაშე ამ გამარჯვებას მით უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რომ მოცემულ ისტორიულ მომენტში ზღვის ხალხებთან დამარცხებას შეიძლებოდა ქვეყანა თავისი ისტორიის დასასრულამდე მიეყვანა. ეგვიპტიდან გაძევების შემდეგ რამსეს III მტერს სდია დასავლეთ აზიის ტერიტორიამდე, რითაც გამორიცხა მათი ხელმეორედ თავდასხმის საშიშროება. მაგრამ რამსეს III მეფობა, სამწუხაროდ, აღმოჩნდა უკანასკნელი მწვერვალი ქვეყნის ისტორიაში. თანდათან ეგვიპტის სიძლიერე კლებულობს, იგი ერთიმეორის მიყოლებით კარგავს არა მარტო დასავლეთ აზიის კოლონიებს, არამედ ნედლეულის ისეთ უძველეს წყაროსაც კი, როგორიცაა სინაის ნახევარკუნძულის მაღაროები და ნუბია. ქვეყანა თითქოს უკუგანვითარების გზით მიდის. თანამედროვე მეცნიერთა აზრით, ეგვიპტის ასეთი დასუსტების ერთ-ერთი მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ ქვეყანას არ გააჩნდა რკინის საბადოები და ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში იმყოფებოდა, ამიტომ მისთვის ძალზე გართულდა ახალი იარაღით აღჭურვილ არმიებთან

ბრძოლა. მაგრამ, ალბათ, უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი ქვეყნის შინაგან განვითარებაში იმალებოდა. რამსეს III რვა უფერული მემკვიდრის დროს (ყველა სახელად რამსესი, მეფობის საერთო დრო — ჩვ. წ-მდე 1160—1080 წწ.), რომელსაც რამესიდების პერიოდი ეწოდება, ქვეყანაში თანდათან იჩინა თავი ეგვიპტის ტრადიციულმა წინააღმდეგობებმა დიდგვაროვნებსა და სამეფო რეზიდენციას შორის. საუკეთესო მეურნეობების სიმდიდრემ კულმინაციას მიაღწია, მაშინ როცა ფარაონის კუთვნილი მიწები იმდენად შემცირდა, რომ მათ არ შეეძლოთ საკმაო ტერიტორიის გამოყოფა საკუთარი სამარხების კომპლექსებისათვის და იტაცებდნენ გარდასულ დროთა ფარაონების მიწებს. თანამდებობები, რომელთა განაწილება ერთ დროს ფარაონის ხელში იყო, ახლა იმ ზომამდე განიხილებოდა მოხელის კუთვნილებად, რომ მას მათი გაყიდვაც კი შეეძლო. ბოლო რამსესის, რამსეს XI მეფობა, თავისი ხანგრძლივობის მიუხედავად (ჩვ. წ-მდე 1110—1080 წწ.), უკვე წმინდა ნომინალურ ხასიათს ატარებს, ზემო ეგვიპტეში ძალაუფლება ხელთ ეპყრა თებეში ამონის მთავარ ქურუმს ხერიხორს, ქვემო ეგვიპტის ფაქტიური ერთპიროვნული მმართველი კი იყო ჩრდილოეთის მთავარი ვეზირი და ამონის ქურუმი ნესი-ბა-ნებ-ჯედი (სმენდესი), წარმოშობით ქ. ტანისიდან. ეს ადამიანი, რომელმაც თავისი კარიერა დაიწყო როგორც მდიდარმა ვაჭარმა, თანდათან იხვეჭს მნიშვნელობას დ ბოლოს ადის ეგვიპტის ტახტზე, როგორც XXI დინასტიის დამაარსებელი. ამ ორი ფაქტიური მბრძანებლის ფონზე უფერულად დასრულდა რამსეს XI მეფობა და მასთან ერთად ეგვიპტის ისტორიის, თავის დროზე, ბრწყინვალე ახალი სამეფოს პერიოდი. ამის შემდეგ ქვეყანამ, რომლის ისტორია უკვე დასასრულისაკენ მიიწევდა, ვეღარასოდეს შეძლო ძველი ბრწყინვალების დაბრუნება. ამერიკელი ეგვიპტოლოგის ვ. ჰეისის ხატოვანი თქმით, თავისი ისტორიის ბოლოს, ე. წ. გვიანდელ პერიოდში, ეგვიპტეს საშუალება მიეცა უშუალოდ გასცნობოდა უცხოელ თანამედროვეებს, რომლებთანაც ადრე მხოლოდ საგარეო კონტაქტების დროს ჰქონდა ურთიერთობა, რადგან მოკლე პერიოდების გამოკლებით ამიერიდან ეს ერთ დროს უძლეველი ქვეყანა ერთი დამპყრობლიდან მეორის ხელში გადადის. ეგვიპტის ტახტზე ერთმანეთს ცვლიან ლიბიელები, ნუბიელები — ქვეყნის საუკუნოვანი დომინიონის წარმომადგენლები, ასურელები, სპარსელები, ბერძნები და რომაელები, ვიდრე არაბულ დაპყრობამდე ჩვ. წ. 642 წ., რითაც ქვეყნის ისტორია წყდება.

რამსეს XI გარდაცვალების შემდეგ ქვეყანა, ფაქტიურად, ორ ნაწილად გაიყო. ჩრდილოეთში გაბატონდა სმენდესი, რომელმაც თავი ფარაონად გამოაცხადა და ფარაონის ტიტულატურა მიიღო. ძალაუფლება სამხრეთზე შეინარჩუნა ჯერ კიდევ რამსეს XI სიცოცხლეში გარდაცვლილი ხერიხორის ვაუმა პიანხიმ. ამ უკანასკნელს ტახტზე პრეტენზია არ განუცხადებია. ამგვარად, ეგვიპტე გაიყო ორმა ფაქტიურმა მმართველმა. საინტერესოა რომ მათ შორის მშვიდობიანი ურთიერთობა სუფევდა. უფრო მეტიც, ოფიციალური ქურუმული ვერსიის თანახმად, რომელიც ბევრ წარწერაშია მოყვანილი, ქვეყნის უზენაეს ბატონად გამოცხადებული იყო ღვთაებრივი ამონი, ხოლო პიანხი და სმენდესი მისი ნების მიწიერი შემსრულებლები იყვნენ.

ქვეყნის მდგომარეობა კარგად ჩანს იმდროინდელი დიდგვაროვანის უნ-ამონის მოთხრობაში ნისი ბიბლოსში ხის მასალისათვის მოგზაურობის შესახებ. ეგვიპტის ერთ დროს ყურმოჭრილი ვასალები — სირიის ქალაქების მმართველები — საკმაოდ უპატივცემულოდ ეპყრობიან უნ-ამონს, რომელიც მოგზაურობის დროს გაძარცვეს. მას ნისიად ირავინ აძლევს ხის მორებს. მიუხედავად ეგვიპტელის განცხადებისა, რომ იგი ეგვიპტის ერთპიროვნული ბატონის, დიდი ამონის წარგზავნილია; სულ ცოტა ხნის წინ კი არა მარტო ხის მასალა, არამედ აურაცხელი სიმდიდრე მიედინებოდა ეგვიპტეში ამ არეალიდან ხარკის სახით.

სმენდესის მეფობის წლების, ისე როგორც ამ პერიოდის სხვა თარიღების დადგენა, ჯერჯერობით ვერ ხერხდება. ამიტომ მანეთონის ცნობაზე დაყრდნობით აღდგენილი თარიღი (მანეთონი მას მეფობის დაახლ. 26 წელიწადს მიაწერს) — ჩვ. წ -მდე 1069—1043 წწ. — ძალიან მიახლოებითად უნდა ჩაითვალოს.

ჩვ. წ -მდე X საუკუნის დასასრულს ჩრდილოეთში ტახტზე ადის ახალი ოჯახი. XXII დინასტიის დამაარსებლის სახელი — შეშონკი — მიუთითებს, რომ ეს იყო იმ ლიბიელ სამხედროთა შთამომავალი, რომლებმაც რამესიდების პერიოდში დაიწყეს განსახლება ეგვიპტის ტერიტორიაზე. ცნობები როგორც XXI დინასტიის, ისე დინასტიური ცვლის მიზეზების შესახებ ძალზე მცირე და წინააღმდეგობრივია. მაგრამ ის გარემოება, რომ შეშონკმა მოახდინა XXI დინასტიის ბოლო ფარაონის, პსუსენ II ქანდაკების რესტავრაცია და მას „დიდ ღვთაებას“ უწოდებდა, იმაზე მიუთითებს, რომ დინასტიური ცვლა მშვიდობიანად მოხდა. XXII დინასტიის პერიოდის საერთო ტენდენციას ქვეყნის თანდათანობითი დაქუცმაცება წარმოადგენს. თებეში ძალაუფლება შთამომავლობით გადადის მთავარი ქურუმის ოჯახის წევ-

რებზე. მაგრამ ჩრდილოეთისა და სამხრეთის ბატონების — თებეს მთავარი ქურუმის და ფარაონის — ავტორიტეტი სულ უფრო და უფრო მცირდება. ჩვ. წ-მდე VIII საუკუნეში ჩრდილოეთში ტახტზე პრეტენზიას აცხადებს ახალი ოჯახი, რომელსაც მანეთონი XXIII დინასტიას არქმევს და რომელიც რაღაც დროის პერიოდში XXII დინასტიის პარალელურად მეფობდა. ამ უკანასკნელის ძალაუფლების არეალი ამ დროისათვის, ეტყობა, მხოლოდ მემფისის რაიონით შემოიფარგლებოდა, რადგან მათი წარწერები მხოლოდ ამ ტერიტორიაზეა ნაპოვნი. XXIII დინასტიის დამაარსებელი ტეფნახტი ქ. საისიდან იყო. მაგრამ მასთან ერთად ტახტზე უფლებას, როგორც ჩანს, კიდევ რამოდენიმე დიდგვაროვანი იჩემებს; ამგვარად, უკვე VIII საუკუნის შუახანებისათვის ეგვიპტე სრულ დეცენტრალიზაციამდე მივიდა. სწორედ ამ დროს არენაზე გამოდის ახალი ძალა — ნუბიის სამეფო, რომლის შესახებ აქამდე არავითარი ცნობები არ გაგვაჩნია. არაფერი ვიცით არც ამ სამეფოს ჩამოყალიბების შესახებ. ეგვიპტურ წარწერებში ნუბია უკანასკნელად მოიხსენიება XX დინასტიის დასასრულს, როცა იგი ჯერ კიდევ ეგვიპტის კოლონია იყო და მის მიწებს ეგვიპტელი მოხელე მართავდა. ამის შემდეგ ჩვენი ცნობები წყდება დაახლ. 250 წლით, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ორი ათასი წლის ბატონობის შანძილზე ეგვიპტურმა კულტურამ ღრმა ფესვები გაიდგა ამ სამხრეთულ დომინიონში.

ჩვ. წ-მდე VIII ს. შუახანს ნუბიის მეფემ პიანხიმ შეძლო თებეს რაიონის დაპყრობა და ნუბიის სამეფოსთან შეერთება, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ (დაახლ. ჩვ. წ-ნდე 730 წ.) იგი იპყრობს ჰერმოპოლისს და მემფისს და ამით აიძულებს ტეფნახტს დანებდეს ნუბიის ძალაუფლებას. ჩვენამდე შემოინახა პანხის ე. წ. „გამარჯვების წარწერა", სადაც ჩამოთვლილია ეგვიპტური ქალაქები და მათი მმართველები, რომლებიც მან დაიპყრო; ეს წარწერა ქვეყნის სრული დაქუცმაცების თვალსაჩინო ილუსტრაციას წარმოადგენს. პიანხის გამარჯვებების შედეგად ეგვიპტეში ძალაუფლებას ხელში იგდებს ნუბიური (ეთიოპური) დინასტია.

მაგრამ დაქუცმაცებულ და უცხოელ დამპყრობთა ძალაუფლების ქვეშ მოქცეულ ეგვიპტეს წინ კიდევ ახალი გასაჭირი ელოდა, ამჯერად ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. ეს იყო ძველი აღმოსავლეთის ისტორიის არენაზე გამოსული ახალი ძალა — ასურეთის სამეფო დაახლ. 730—700 წწ. ასურელები ერთიმეორის მიყოლებით იპყრობენ სირიის ქალაქებს და თანდათან უახლოვდებიან ეგვიპტის საზღვრებს, ჩვ. წ-მდე 671 წ. კი (ასარქადონის მეფობის მეათე წელი) იღებენ მემფისს. ეგვიპტეში გაბატონებული ეთიოპური დინასტიის იმდროინდელი ფარაონი ტახარკა ახერხებს გაქცევას, მაგრამ მისი მემ-

კვიდრე ასარქადონს უვარდება ტყვედ. ასურეთის მეფემ მემფისიდან წაიღო 55 ქანდაკება, რომლებზეც თავისი სახელის ამოკვეთა ბრძანა. ზინჯირლიში ნაპოვნია ასარქადონის სტელა, რომელიც მოგვითხრობს, რომ ასარქადონმა ტყვედ წაიყვანა აგრეთვე ყველა ნუბიელი, რომლის ხელში ჩაგდებაც შეძლო. ალბათ, მას უნდოდა ეგვიპტელი მოსახლეობის თვალში „განმათავისუფლებლად" გამოსულიყო, რადგან გვატყობინებს, რომ მემფისის მოსახლეობა მას აღტაცებით შეეგება. ასურელებმა ყველა ეგვიპტელი მთავარი თავის ადგილზე დატოვეს. ასარქადონის მემკვიდრის, ასურბანიფალის მიერ ჩატარებული ეგვიპტის ქალაქებისა და მათი მთავრების აღწერა გვიჩვენებს, რომ პიანხის დროიდან ქვეყანაში არაფერი შეცვლილა. ასარქადონმა მიმართა იგივე პოლიტიკას, რომელსაც ერთ დროს იყენებდნენ ეგვიპტის ფარაონები თავიანთ აზიურ კოლონიებში — ყველა ეგვიპტურ ქალაქში მან ადგილობრივი მთავრის გვერდით ასურელი მოხელეები დააყენა. მაგრამ ასურეთის ბატონობა არ გამოდგა ხანგრძლივი. ველა მოულოდნელი მხრიდან მოვიდა — ასურბანიფალს და მის ძმას, ბაბილონის მეფე შამაშ-შუმ-უკინს შორის რთული კონფლიქტური სიტუაცია წამოიჭრა. ასურეთის არმია ასურბანიფალმა სასწრაფოდ გაიწვია ეგვიპტიდან ძმასთან საბრძოლველად. ამით ასურეთის ხანმოკლე ბატონობა დამთავრდა. საგულისხმოა, რომ ეგვიპტეში ყოფნისას ასურელებს თითქმის მუდმივად უხდებოდათ ბრძოლა აჯანყებულ ქალაქებთან, ხოლო ეგვიპტური წყაროები არაფერს მოგვითხრობენ ასურელთა ბატონობის შესახებ. ალბათ, ეგვიპტე ცდილობდა დაევიწყებინა ეს არასასიამოვნო ეპიზოდი. ამ უცხოელთა ბატონობა უფრო მტკივნეული იყო, ვიდრე ნუბიელების, რომლებიც პრაქტიკულად ეგვიპტიზირებულები იყვნენ და უფრო მეტიც — ეგვიპტეში გაბატონების შემდეგ ყოველმხრივ ცდილობდნენ თავი ეგვიპტური კულტურის მატარებლად გამოეცხადებინათ. სწორედ მათი ბატონობის პერიოდი ხასიათდება ძველი ტრადიციების აღდგენით, არქაული ტექსტების რესტავრაციით და სხვ. ამ პერიოდში შექმნილი ხელოვნების ნიმუშები და წარწერები იმდენად მიმსგავსებულია კლასიკური პერიოდისას, რომ ხშირად მათი გარჩევა ძნელდება.

უცხოელი დამპყრობლების — როგორც ლიბიელების ისე ასურელების — წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებით თავი გამოიჩინა საისის მთავარმა ნიკუმ. იგი დაიღუპა ნუბიელებისაგან მემფისის დაცვის დროს (ჩვ. წ -მდე 664 წ.), მაგრამ მისი საქმე გააგრძელა მისმა მემკვიდრემ პსამტიხმა. ასურელების წასვლის შემდეგ კი პსამტიხმა დაიწყო ეგვიპტის ქალაქების მთავრების წინააღმდეგ ბრძოლა და მიაღწია შეუძლებელს — შეეძლო ქვეყნის კიდევ ერთხელ გაერთიანება.

პსამტიხის გამეფებით იწყება XXVI დინასტია. ეგვიპტიდან ასურელების საბოლოოდ განდევნის შემდეგ იგი იწყებს ქვეყნის რეორგანიზაციას, რაც საკმაოდ რთულ საქმეს წარმოადგენდა დეცენტრალიზაციის ასეთი ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ. ამიტომ, როგორც იდეალურ მოდელს, პსამტიხი ძველ სამეფოს მიმართავს, რაც იქიდან ჩანს, რომ მან აღადგინა ძველი სამეფოს დროინდელი მრავალი თანამდებობა და ტიტული. ეს შეგნებული არქაიზმი იქამდე მიდის, რომ ოფიციალური ტექსტები ძველი სამეფოს ენაზე იწერება. მაგრამ პსამტიხის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ქალაქის მთავრების სამეფო მოხელეებით შეცვლა, რომლებიც არ იქნებოდნენ თავიანთ თანამდებობასთან მემკვიდრეობითად დაკავშირებული. პსამტიხის რეფორმები შეეხო ისეთ „ღვთაებრივ სახელმწიფოსაც“ კი, როგორსაც ამ დროისათვის თებე წარმოადგენდა. პსამტიხის მემკვიდრეები კიდევ უფრო შორს წავიდნენ. ისინი შეეცადნენ დასავლეთ ახიაში ეგვიპტის ძველი ზდგომარეობის აღდგენას. მაგრამ რესტავრაცია ხანმოკლე გამოდგა, 525 წ. ჩვ. წ-მდე სპარსეთის მეფის კამბიზის არმიამ აიღო მემფისი და სიკვდილით დასჯა XXVI დინასტიის ბოლო ფარაონი — პსამტიხ III, რომელმაც მხოლოდ 6 თვე იმეფა. კამბიზმა ეგვიპტის ფარაონის ტიტულატურა მიიღო. ასევე ნოიქცა მისი მეშვიდრე დარიუსი. ამ უკანასკნელმა ეგვიპტური ტაძრების რესტავრაციაც კი დაიწყო; ეს აქცია, ალბათ, იმდროინდელი ეგვიპტის მოსახლეობის ყველაზე ვავლენიანი ფენის — ქურუმების — სპარსეთის მხარეზე გადაბირებისათვის იყო ჩატარებული. ეგვიპტე სპარსეთის VI სატრაპიად გადაიქცა. მას უზარმაზარი ყოველწლიური ხარკი უნდა ეხადა თავისი ახალი უცხოელი დამპყობლებისათვის. სპარსეთის ხელში გადავიდა ეგვიპტის საგარეო ვაჭრობაც.

სპარსელების შენრიგებლური პოლიტიკის მიუხედავად, მათი ეგვიპტეში ბატონობა მშვიდობიანი არ იყო, რადგან ეგვიპტელები ხშირად ჯანყდებოდნენ. მაგრამ მიუხედავად წინააღმდეგობის ცდებისა, ეგვიპტემ ვეღარასოდეს მოიპოვა დამოუკიდებლობა. ჩვ. წ-მდე 332 წ. უკანასკნელმა სპარსელმა სატრაპმა უბრძოლველად გადასცა თავისი სატრაპია ალექსანდრე მაკედონელს. ამ ფაქტის შემდეგ ეგვიპტის ისტორია უკვე კარგავს დამოუკიდებელ ხასიათს და ელინიზმის ისტორიის ნაწილი ხდება. აქ გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვის მიუხედავად ქვეყნის და მისი კულტურის ისტორია გრძელდება. ბოლო წერტილი მას მხოლოდ არაბების დაპყრობით დაესვა.

13. კულტურა

ძველი ეგვიპტის უმდიდრესმა კულტურამ დიდი გავლენა მოახდინა არა მარტო ძველი აღმოსავლეთის, არამედ ანტიკური სამყაროს ქვეყნებზე. ძნელია წარმოვიდგინოთ მსოფლიო ხელოვნების, ლიტერატურის, არქიტექტურის და სხვ. განვითარების ისტორია ძველ ეგვიპტელთა მიღწევების გარეშე.

ძველი ეგვიპტის ხელოვნების შესანიშნავი სპეციალისტის მ. მატიეს თქმით, არ არსებობს არქიტექტურის ისტორია პირამიდის, ობელისკის, თაღის, მონუმენტური ქვის ნაგებობის კოლონადის, ხოლო საბვეთი ხელოვნება — სკულპტურული პორტრეტის, პეიზაჟის, ადამიანური ემოციების გამოსახვის გარეშე. მაგრამ, ალბათ, კიდევ უფრო ძნელია იმის წარმოდგენა, რომ ეს ყველაფერი პირველად კაცობრიობის ისტორიაში შექმნა ერთი და იგივე ხალხმა — ძველმა ეგვიპტელებმა. ეგვიპტის ხელოვნება ყველაზე მოწინავე იყო ძველი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების ხელოვნებასთან შედარებით. დღესაც გვაოცებს ის დიდი როლი, რომელიც ამ ძველი ხალხის ხელოვნებაში ადამიანს ეკუთვნის. ეგვიპტურ ხელოვნებაში პირველად ვხვდებით ადამიანის ინდივიდუალობით დაინტერესებისა და გადმოცემის ცდებს.

ეგვიპტური ხელოვნების უძველესი ნიმუშები ჩვ. წ-მდე V—IV ათასწლეულებით თარიღდება და შესაბამისად, III ათასწლეულის დასაწყისისათვის, როდესაც ეგვიპტის გაერთიანებული სახელმწიფო შეიქმნა და იწყება ეგვიპტის ე. წ. ისტორიული პერიოდი, ეგვიპტურ ხელოვნებას განვითარების ხანგრძლივი გზა ჰქონდა გავლილი. ამიტომ ბუნებრივია, რომ უკვე პირველი დინასტიების დროისათვის სავსებით ჩამოყალიბდა ეგვიპტური ხელოვნების ძირითადი კანონები და ყველა ის ძირითადი ნიშანთვისება, რაც მის სპეციფიკას ქმნის და განასხვავებს ეგვიპტურ ფერწერას, სკულპტურასა და არქიტექტურას ძველი აღმოსავლეთის სხვა ხალხების ხელოვნების ნაწარმოებებისაგან.

ეგვიპტის ხსენებაზე, ალბათ, ყველას პირველ რიგში პირამიდები და გრანდიოზული ტაძრები წარმოუდგება თვალწინ. პირველი დიდი ნაბიჯი ეგვიპტის მონუმენტური არქიტექტურის განვითარების საქმეში დაკავშირებულია III დინასტიის ფარაონის — ჯოსერის — კარის არქიტექტორის იმხოტეპის სახელთან. მომავალმა თაობებმა იგი ნახევრად ღვთაებად, მედიცინისა და მეცნიერების მფარველად შერაცხეს, ხოლო ბერძნებმა თავიანთ ასკლეპიუსთან გააიგივეს.

I—II დინასტიების ფარაონების სამარხები წარმოადგენდა გამომწვარი აგურით ნაგები წაკვეთილი პირამიდის ფორმის აკლდამებს, რომლებსაც დღეს მასტაბები ეწოდება. მაგრამ მიუხედავად მათი გრან-

დიოზული ზომებისა (მასტაბის ერთი კედლის სიგრძე ხანდახან 80—90 მეტრს აღწევდა), ისინი, ეტყობა, ვერ აკმაყოფილებდნენ ძველი სამეფოს ბრწყინვალე ფარაონების მოთხოვნებს. იმხოტეპმა პირველმა მოიფიქრა აკლდამის გაზრდა სიმაღლეში. მის მიერ ფარაონ ჯოსერისათვის აგებული აკლდამა, რომელიც დღეს საფეხუროვანი პირამიდის სახელით არის ცნობილი, ფორმით მოგვაგონებს შვიდ ერთმანეთზე შედგმულ მასტაბას, რომელთა ზომაც სიმაღლესთან ერთად მცირდება. იმხოტეპმა პირველმა გამოიყენა ქვა არა მარტო თავისი საფეხუროვანი პირამიდის მოპირკეთებისათვის, არამედ როგორც საშენი მასალა იმ ტაძრებისათვის, რომლებიც სამეფო პირამიდის ირგვლივ ააგო. იმხოტეპს ნიმუშად მხოლოდ აგურითა და ხით ნაგები შენობები გაეჩნდა, ამიტომ ბუნებრივია, რომ ეს ტაძრები ხანდახან იმეორებენ აგურით ნაგები შენობების ფორმებს, მაგრამ მისი უდიდესი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან შექმნა პირველი პირამიდა და პირველმა გამოიყენა ქვა, როგორც საშენი მასალა. ხე და თიხა ეგვიპტეში ცოტა იყო და ძვირად ფასობდა, სხვადასხვა სახის ქვა და მარმარილო კი უხვად მოიპოვებოდა მის საბადოებში. ამიტომ იმხოტეპის მიგნება ეგვიპტის პირობებში მართლაც რომ გენიალური აღმოჩნდა. ამიერიდან აქ სწორედ ქვა გახდა პრაქტიკულად ერთადერთი მასალა, რომელიც მონუმენტურ ნაგებობებში გამოიყენებოდა. თანდათან ჩამოყალიბდა და დაიხვეწა მათი ფორმები. მრავალი ეგვიპტური ტაძარი, როგორც მაგ., ლუქსორისა და კარნაკის ტაძრები, დღესაც გვიხიბლავს თავისი დახვეწილი სრულყოფილი ხაზებით.

შემდგომი განვითარება განიცადა პირამიდამაც. თანდათან წაიშალა საფეხუროვანი სილუეტი და უკვე IV დინასტიის დროს ეგვიპტურმა პირამიდამ მიიღო თავისი კლასიკური ფორმა, რომელიც თანამედროვე არქიტექტურაში ერთ-ერთ სრულყოფილ არქიტექტურულ ფორმად არის მიჩნეული. ძველი სამეფოს დიდი პირამიდიდან განსაკუთრებით გამოირჩევა სამი — ხეოფსის, ხეფრენის და მიკერინის პირამიდები. ეგვიპტურმა პირამიდებმა აღაფრთოვანა ჯერ კიდევ ძველი ბერძნები, რომლებმაც ისინი სამყაროს ერთ-ერთ საოცრებად დაასახელეს.

ძალიან ადრე განვითარდა ეგვიპტური ქანდაკება და ფერწერა. მათი კანონები, რომლებიც ძირითადად უცვლელი დარჩა ეგვიპტის მთელი ისტორიის მანძილზე, სავსებით ჩამოყალიბდა უკვე ძველი სამეფოს ეპოქაში. მაგალითად, ადამიანის გამოსახულებას უნდა დაეკავებინა სიმაღლეში თვრამეტი თანაბარი კვადრატი. თავი და კისერი (თმების გარდა) ორ კვადრატს ავსებდა, მხრებიდან მუხლებამდე მანძილი — ათ კვადრატს, ფეხები — ექვს კვადრატს. განსაკუთრებული სიზუსტით უნდა დაცულიყო კანონი ფარაონის გამოსახულებებში,

რადგან მათი ძირითადი დანიშნულება იყო კიდევ ერთხელ გაესვათ ხაზი ფარაონის ღვთაებრივი არსებისათვის. ამიტომ ეგვიპტის ფერწერასა და სკულპტურაში ფარაონის გამოსახულებები ერთგვარად სტერეოტიპულ ხასიათს ატარებენ — მათი სხეული ყოველთვის იდეალურად პროპორციული და ახალგაზრდაა, სახის ნაკვთები — სტილიზებული. სწორედ ამგვარი გამოსახულებები თავსდებოდა ტაძრებში.

ეგვიპტურ ხელოვნებაში ფარაონის ზეადამიანური არსება განსაკუთრებით ნათლად გადმოიცემოდა სფინქსებში — ფანტასტიკურ არსებებში, რომლებსაც ლომის ტანი და ფარაონის სახე ჰქონდათ. აღსანიშნავია, რომ სწორედ სფინქსები იყო ფარაონის უძველესი ქანდაკებები, რომლებიც ეგვიპტეში ტაძრებს გარეთ თავსდებოდა.

სულ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე სხვადასხვა ოფიციალური პირების ან უბრალო ეგვიპტელების გამოსახულებებში. აქ მხატვარს უკვე შეეძლო როგორც თავისი, ისე მოდელის ინდივიდუალობის გამოჩენა, უფლება ჰქონდა დაერღვია მკაცრი კანონები. ამიტომ შესანიშნავი სკულპტურული და ფერწერული პორტრეტები ძირითადად უბრალო ეგვიპტელების სამარხებშია აღმოჩენილი.

როგორც ცნობილია, ეგვიპტეში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ადამიანის სხეულის დაცვას მისი სიკვდილს შემდეგ. მაგრამ როგორი სრულყოფილიც არ უნდა ყოფილიყო მუმია, მისი განადგურების საფრთხე მაინც არსებობდა. ამიტომ მიცვალებულის სამარხში მის სკულპტურულ გამოსახულებებსაც ათავსებდნენ. ისინი მაგარი ქვისაგან გამოკვეთილი და ამიტომ ნსხვრევად მუმიაზე გაცილებით უფრო საიმედონი იყვნენ. ამ ქანდაკებებს გარდაცვლილის სხეულის მაგივრობა უნდა გაეწიათ მისი დაზიანების შემთხვევაში. ამიტომ მოქანდაკის ძირითადი მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ მიეღწია მაქსიმალური პორტრეტული მსგავსებისათვის. საქმის ამგვარმა ვითარებამ შეუწყო ხელი ეგვიპტეში სკულპტურული პორტრეტის საოცარ განვითარებას. ამ ჟანრის საუკეთესო ნიმუშებმა შემოგვინახეს სხვადასხვა წოდების ეგვიპტელთა პორტრეტები, რომლებიც დღესაც გვხიბლავს თავისი დროისათვის გასაოცარი რეალიზმითა და ექსპრესიულობით.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ძველი ეგვიპტელების სიყვარული ბუნებისადმი. ძველი აღმოსავლეთის არც ერთ ხელოვნებაში არ ეკავა ბუნებას ისეთი დიდი ადგილი, როგორც ეგვიპტეში: ძველი ეგვიპტიდან, განსაკუთრებით ახალი სამეფოს ეპოქიდან, შემოინახა შესანიშნავი ფერწერული პეიზაჟები.

ძველი ეგვიპტის უმდიდრესი ლიტერატურა წარმოდგენილია მოთხრობებითა და იგავებით, სასიყვარულო და ე. წ. „ფილოსოფიური“ ლირიკით, პოლიტიკური პამფლეტებითა და დიდაქტიკური ჟანრის ნაწარმოებებით: სატირით, ჰიმნებით, ეპოსით, ზღაპრებითა და სხვ.

ძველი სამეფოს პერიოდიდან შემოინახა ე. წ. „პირამიდების ტექსტები“ — რელიგიური შინაარსის ტექსტების მსოფლიოში უძველესი უზარმაზარი კრებული. ესაა ლოცვების, შაგიური ფორმულების, ჰიმნების და სხვა ამგვარი ხასიათის ტექსტების კრებული, რომლებიც ერთი საერთო იდეითაა გაერთიანებული — მათი დანიშნულებაა დაეხმარონ გარდაცვლილ ფარაონს აღზევდეს ზეცაზე და შეუერთდეს ღვერთების პანთეონს.

ძველი სამეფოს დროს ჩნდება პირველი, ე. წ. „ავტობიოგრაფიული წარწერები“, რომლებიც ფარაონის მსახურთა აკლდამების კედლებზე თავსდებოდა. ისინი სავსებით დამოუკიდებელნი იყვნენ რელიგიისა და კულტისაგან. მათ ერთადერთ მიზანს წარმოადგენდა სიტყვიერი პორტრეტი, რომელსაც ნარადიულობის ზღურბლზე მდგარი ადამიანის სახე უნდა შეექმნა. სწორედ ეს ავტობიოგრაფიებში, რომლებიც გვხიბლავს თავისი უბრალოებითა და გულუბრყვილობით, წარმოადგენს პირველ ნაბიჯს საკუთრივ ლიტერატურული პროცესის განვითარების გზაზე ძველ ეგვიპტეში.

სიკვდილის შემდეგ არსებობის გაგრძელების რწმენას თავისი მორალური მხარე გააჩნდა. ამიტომ უკვე ძველი სამეფოს ავტობიოგრაფიულ წარწერებში ხშირად შეხვდებით მიცვალებულის მიერ სიცოცხლეში ჩადენილი კეთილი საქმეების აღწერას, მაგ.: „მე მხოლოდ სიმართლეს ვამბობდი, ნე დავიცავი სუსტი უფრო ძლიერისაგან, მე მივეცი პური მშიერს, მე დავასაფლავე კაცი, რომელსაც შვილი არ ჰყავდა, მე პატივს ვცემდი მამას, ყოველთვის სიყვარულით ვეპყრობოდი დედას“ და ა. შ. ალბათ, ავტობიოგრაფიული წარწერების სწორედ ამ ნაწილმა მისცა ბიძგი ეგვიპტური, ე. წ. „დარიგებების“, დიდაქტიკური ჟანრის ნაწარმოებების განვითარებას; ისინი წარმოადგენენ ცალკეული დარიგებების კრებულს, რომლებიც საერთო ჩარჩოთია გაერთიანებული — მამა არიგებს შვილს, ბრძენი — უმცროსს და ა. შ. აქვე გვინდა მოვიყვანოთ პატარა ნაწყვეტი „პტახოტეპის დარიგებებიდან“ — ამ ჟანრის ძველი სამეფოს პერიოდის ერთადერთი ნაწარმოებიდან, რომელმაც ჩვენამდე სრულად მოაღწია: „ნუ იამაყებ შენი ცოდნის გამო. რადგან დახელოვნებას არა აქვს საზღვარი, არც ერთ ხელოვანს არ მიუღწევია სრულყოფისათვის... თუ შენ დიდი თანამდებობა გაქვს და შენთან მდაბიო მთხოვნელი მოვიდა, იქონიე მოთმინება, არ გააწყვეტინო სიტყვა, ბოლომდე მოისმინე... თუ გინდა ახლადგაცნობილი ოჯახის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურო, თვალი შორს გეჭიროს ამ ოჯახის ქალებისაგან“ და ა. შ.

შუა სამეფოს ეპოქა სამართლიანად ითვლება ლიტერატურის საოცარი განვითარების ხანად. სწორედ ამ დროს ჩნდება პირველი „საერო“ ნაწარმოებები, რომელთა ერთადერთ დანიშნულებას ნაკითხვე-

ლის გართობა წარმოადგენს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ ეპოქის მოთხრობები, რომელთაგან ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებს წარმოადგენს „ამბავი სინუხეტის ცხოვრების შესახებ“ (XII დინასტია). მისი მთავარი გმირი, დიდგვაროვანი სინუხეტი, ლაშქრობაში ყოფნის დროს შენთხვევით მოისმენს ფარაონ ამენემხეტ I მოკვლის და მისი შვილის, სენუსერტ I წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობის ამბავს. შეშინებული, იგი ტოვებს ეგვიპტეს და გარბის სირიაში, სადაც მრავალ წელს დაყოფს. მაგრამ სიბერის მოახლოებასთან ერთად მას ეუფლება საოცარი ნოსტალგიის გრძნობა, იგი წერილში პატიებას სთხოვს ფარაონს, რომელიც უფლებას აძლევს სინუხეტს დაბრუნდეს სამშობლოში. „სინუხეტი“ არის უძველესი ნაწარმოები მსოფლიო ლიტერატურაში, სადაც გადმოცემულია არა რომელიმე მეფის ან ლეგენდარული გმირის, არამედ უბრალო ადამიანის ისტორია, მისი გაჭცდები შიში, დაკარგულ სამშობლოზე დარდი და სხვ.

ძალიან საინტერესოა შუა სამეფოს დიდაქტიკური ნაწარმოებები, რომლებმაც ამ დროისათვის ახალი ფორმა მიიღეს. ისინი წარმოადგენენ ხანდაზმული ბრძენის წინასწარმეტყველებათა კრებულს. ბრძენი ჩაფიქრებულია სიცოცხლის ამაოებაზე, სიკეთესა და ბოროტებაზე, საყაროში სრული ჰარმონიის დამყარების შეუძლებლობაზე. მეცნიერებაში ფართოდ არის გავრცელებული აზრი, რომ თხრობის დიდაქტიკური ფორმის სამშობლოს ეგვიპტე წარმოადგენს და რომ სწორედ ეგვიპტურმა „დარიგებებმა“ მოახდინეს უდიდესი გავლენა სოლომონის ბიბლიურ იგავებზე.

შუა და ახალი სამეფოებიდან შემოინახა ე. წ. „არფისტის სიმღერები“. მათ ასე ეწოდებათ იმიტომ, რომ ისინი არფის აკომპონემენტის თანხლებით სრულდებოდა. მოკლედ მათი შინაარსი ასეთია: ცხოვრება ძალიან ხანმოკლეა და სწრაფი, სიკვდილს კი უკუნეთი სიბნელე და დავიწყება მოაქვს. არავინ დაბრუნებულა იალუს მინდვრებიდან, რომლებიც, შეიძლება, არც კი არსებობს, ამიტომ სიამოვნებას „დასავლეთის მარადიულ მხარეში“ კი არ უნდა ვეძებდეთ, არამედ აქ, დედამიწაზე, უნდა გვიხაროდეს სიცოცხლე და ავავსოთ იგი ბედნიერებით, დავაფასოთ ყოველი ბედნიერი წამი.

შუა სამეფოდან შენოინახა შესანიშნავი ზღაპრებიც. აქ პირველად მსოფლიო ლიტერატურაში ვხვდებით რამდენიმე სხვადასხვა სიუჟეტის მქონე ზღაპრის ერთი საერთო ჩარჩოთი გაერთიანების ხერხს. ასეთი ჩარჩო ზღაპარში „ფარაონი ხეოფსი და ჯადოსნები“ ამ ლიტერატურული ხერხის კლასიკურ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს: მოწყენილი ფარაონი იბარებს თავის ვაჟიშვილებს, რომლებიც მას სხვადასხვა საოცარ ისტორიებს უყვებიან.

ძალიან საინტერესოა ზღაპარი „ჯადოსნური კუნძულის შესახებ“, რომელიც მსოფლიო ლიტერატურაში სათავეგადასავლო ჟანრის უძველეს ნიმუშს წარმოადგენს. გემის დაღუპვის ხატოვან აღწერას მოყვება ამბავი მთავარი გმირის საოცარი გადარჩენის შესახებ — მას ტალღები ჯადოსნურ კუნძულზე გარიყავენ. ამ კუნძულზე, რომელიც თანამედროვე მკითხველში „საპოთხის ბაღების“ ასოციაციას იწვევს, ცხოვრობს ჯადოსნური გველეშაპი გრძელი წვერითა და ლაჟვარდის წარბებით. გველეშაპი მოგზაურს ასაჩუქრებს მდიდრული ნივთებით და მშვიდობიანად ისტუმრებს სამშობლოში. რაც შეეხება თვით კუნძულს, მოგზაური მას ვეღარასოდეს იხილავს, რადგან, თუ გველეშაპის სიტყვებს დავუჯერებთ, იგი ზღვის ტალღებში გაუჩინარდება. როგორც ამ ზღაპრის პირველმა მთარგმნელმა, დიდმა რუსმა მეცნიერმა ვ. ს. გოლენიშჩევმა აღნიშნა, ეს ჯადოსნური მოგზაურობის ამბავი საოცრად მოგვაგონებს ზღაპრებს სინდბად-ზღვაოსანის შესახებ და „ოდისეის“ ზოგიერთ ეპიზოდს.

ახალი სამეფო აგრძელებს შუა სამეფოს ლიტერატურულ ტრადიციებს, მაგრამ ჩნდება ახალი ჟანრიც — სასიყვარულო ლირიკა. სამწუხაროდ, ჩვენამდე მხოლოდ ამ ჟანრის 50-მდე ლექსმა მოაღწია. მათი საოცრად დახვეწილი სტილი, რთული ლიტერატურული ხერხების გამოყენება განვითარების ხანგრძლივი ისტორიის დამადასტურებელია, რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენთვის დაკარგულია. აღსანიშნავია, რომ ე. წ. პარაკლაუსიტირონი, ანუ სასიყვარულო სიმღერა საყვარელი ქალის დახურულ კარებთან, რომელიც ადრე მხოლოდ ანტიკური ლირიკის მონაპოვრად იყო ნაჩნეული, ეგვიპტეში გვხვდება უკვე ჩვ. წ.-მდე XII საუკუნეში. კარები პარაკლაუსიტირონში აღიქმება როგორც ცოცხალი არსება, რაც ეხმიანება ეგვიპტურ მიცვალებულთა კულტის ლიტერატურას. ეგვიპტის სასიყვარულო ლირიკაში გვხვდება აგრეთვე ამ ჟანრის უძველესი ნიმუშები, რომლებიც ქალის მიერ არის დაწერილი. „ჩემს გულს მხოლოდ მისი ალერსი ახარებს. რაც მიპოვია, ღმერთო, გთხოვ, სამუდამოდ შემინარჩუნე“ — ასეთი უბრალო ადამიანური თხოვნით მიმართავს ღმერთს დიდი საფოს ეს ანონიმური წინაპარი.

გვიანდელ პერიოდში ჩნდება კიდევ ახალი ჟანრი — იგავი, რომლის მონაწილენი მხოლოდ ცხოველები არიან. ეგვიპტური და ბერძნული პაპირუსების ანალიზმა აღმოაჩინა, რომ ბევრი ბერძნული იგავის პირველწყარო სწორედ ეგვიპტური ორიგინალი იყო.

ძველ ეგვიპტეში გავრცელებული იყო რელიგიური მისტერიებიც, რომლებიც ოსირისის კულტთან იყო დაკავშირებული.

ეგვიპტური ლიტერატურა ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოს ლიტერატურებს შორის. ქრონოლოგიურად მას მხოლოდ შუამდინარე-

თის ლიტერატურა თანხვდება, მაგრამ ჟანრობრივად ძველი ეგვიპტის ლიტერატურა გაცილებით უფრო მდიდარია. სწორედ ეგვიპტიდან მოაღწია ჩვენამდე სხვადასხვა ლიტერატურული ჟანრის უძველესმა ნიმუშებმა. ამგვარი ვითარება, ალბათ, იმით აიხსნება, რომ შუამდინარეთის ლიტერატურა რელიგიის გაცილებით უფრო დიდი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ამიტომ ეგვიპტის ერთ-ერთი დამსახურება მსოფლიო ლიტერატურის წინაშე ის არის, რომ მისმა ხალხმა პირველმა შეძლო შეექმნა წმინდა საერო ლიტერატურული ნაწარმოებები, რომელთა ერთადერთ დანიშნულებას მკითხველის გართობა წარმოადგენდა, რაც ეგვიპტურ ლიტერატურას მაქსიმალურად აახლოებს მხატვრულ ლიტერატურასთან ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით.

ძველეგვიპტელთა მიღწევებს მედიცინის სფეროში დიდ პატივს სცემდნენ იმდროინდელ სამყაროში. ეგვიპტელი ექიმები ბევრ უცხოურ სამეფო კარზე იყვნენ მიწვეულნი. სხეულის მუმიფიცირების ტრადიციამ განაპირობა ეგვიპტელთა მიერ ადამიანის ანატომიის იმ დროისათვის, მართლაც, განსაცვიფრებელი ცოდნა, რაც ნათლად ჩანს შემონახული სამედიცინო ტრაქტატებიდან. ეგვიპტური მუმიების შესწავლამ ნათელყო, რომ უკვე ჩვ. წ.-მდე III ათასწლეულში ეგვიპტელ მედიკოსებს შეეძლოთ საკმაოდ რთული ოპერაციების ჩატარება. დღეს ჩვენს განკარგულებაში იმყოფება 10 ეგვიპტური სამედიცინო პაპირუსი, სადაც აღწერილია ბევრი სხვადასხვა დაავადება და წამლების რეცეპტები; ზოგიერთი წამალი 30—32 კომპონენტისაგან შედგება.

საკმაოდ განვითარებული იყო ეგვიპტეში მათემატიკაც. ჰეროდოტეს კიდეც მიაჩნდა, რომ გეომეტრიის სამშობლოს ეგვიპტე წარმოადგენს. ცნობილია, რომ არქიმედმა საკმაოდ ხანგრძლივი დრო დაყო ეგვიპტეში ეგვიპტური მათემატიკის შესწავლის მიზნით. თუმცა ეგვიპტური მათემატიკის ხერხები ზოგჯერ საკმაოდ თავისებურია, მათ შეეძლოთ ისეთი რთული ოპერაციების ჩატარება, როგორიცაა, მაგ., წაკვეთილი პირამიდის ნოცულობის ან ნახევარსფეროს ზედაპირის ფართობის გამოანგარიშება.

საკმაოდ განვითარებული იყო ეგვიპტეში ასტრონომიაც, რომლის ისტორია უძველესი დროიდან იწყება. ბუნებრივია, ინტერესი ციური სხეულების მიმართ, უპირველეს ყოვლისა, წმინდა პრაქტიკული მოთხოვნებით იყო გამოწვეული — ეგვიპტის ბეთილდღეობა ხომ ძალზედ იყო დამოკიდებული ნილოსის სეზონურ გადიდებაზე. ჯერ კიდევ უძველეს დროში ეგვიპტელებმა შეამჩნიეს, რომ მემფისის მიდამოებში ნილოსის გადიდების დაწყება ემთხვეოდა სამხრეთის ცაზე სირიუსის (სოთისის) გამოჩენას. სწორედ ეს დღე, რომელიც ჩვენი თანამედროვე კალენდარით 19 ივლისს ემთხვევა, მიჩნეული

იყო ახალი წლის დასაწყისად. ამის შემდეგ რამოდენიმე თვის მანძილზე ნილოსის დაბლობი იტბორებოდა. როცა გადიდებული მდინარე თავის კალაპოტს უბრუნდებოდა, იწყებოდა ხვნისა და თესვის პერიოდი. გაზაფხულზე დგებოდა მოსავლის აღების დრო. ეგვიპტური კალენდარი სწორედ ამ ნოვლენებს ითვალისწინებდა. ეგვიპტური კალენდარული წელი 365 დღისაგან შედგებოდა, რომელიც სამ სეზონად იყო დაყოფილი: ახეტ (გადიდება, ზამთარი), პერეტ (გამოსვლა, გაზაფხული), შემუ (სიმშრალე, ზაფხული). თითოეული სეზონი შედგებოდა ოთხი 30-დღიანი თვისაგან. ბოლოში წელს ემატებოდა 5 დღე, რომლებიც მიძღვნილი იყო ღმერთებისადმი; ამ დღეებში დიდი რელიგიური დღესასწაულები ტარდებოდა. ასეთი კალენდარი ძალიან მოსახერხებელი იყო ეგვიპტისათვის, მაგრამ მისი ნაკლი იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ასტრონომიულ წელს ჩამორჩებოდა დღე-ღამის 1/4-ით. შესაბამისად, ყოველ 120 წელიწადში 1 თვით და ა. შ., და მხოლოდ 1460 წლის შემდეგ კვლავ ხდებოდა ასტრონომიული და კალენდარული წლების დამთხვევა. მიუხედავად ამ ვარი ნაკლისა, ძველეგვიპტური კალენდარი ძალიან მოსახერხებელი და ლოგიკურია და საფუძვლად უდევს კალენდარს, რომლითაც დღეს ვსარგებლობთ — ჩვ. წ.-მდე 46 წ. იულიუს კეისარმა სრულყო ძველეგვიპტური კალენდარი, დაუმატა რა ერთი ზედმეტი დღე ყოველ მეოთხე წელს. ამ კალენდარს იულიუსის კალენდარს ვეძახით. ეგვიპტელები იცნობდნენ ძრავალ თანავარსკლავედს და ისეთ ცალკეულ პლანეტებს, როგორიცაა იუპიტერი, სატურნი, მარსი, მერკური, ვენერა, რომელთა გამოსახულებები ხშირად გვხვდება სამარხების კედლებზე. მათ ერთ-ერთ დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ღამის საათების განსაზღვრა ვარსკლავების მდებარეობის მიხედვით, მათ მიერ შექმნილია, აგრეთვე, საკმაოდ ზუსტი ძზისა და წყლის საათები.

ამ მოკლე მიმოხილვიდანაც კი ნათელია, თუ რაოდენ დიდია ძველ ეგვიპტელთა დამსახურება მსოფლიო კულტურის წინაშე. ისტორიამ მათ მსოფლიო ცივილიზაციის სათავეებთან მდგომ ხალხებს შორის ერთ-ერთი მთავარი როლი დააკისრა. ეგვიპტელებმა ბრწყინვალედ გაართვეს თავი ამ ურთულეს ამოცანას — მსოფლიო ცივილიზაცია დღესაც ძნელი წარმოსადგენია ძველი ეგვიპტის დიდი კულტურის მიღწევების გარეშე.

თ ა ვ ი V

ხურრი-მითანის სამეფო

ჩრდილოეთ შუამდინარეთის (ანუ ჩრდილოეთ მესოპოტამიის) ვრცელი ტერიტორია, რომელიც მოიცავს ევფრატის შუა წელზე მდებარე ველის ჩრდილოეთით გადაჭიმულ ოლქებს (კერძოდ, მდინარეების — ბალიხისა და ხაბურის — ველს და ტიგროსის ზემო დინების ტერიტორიაზე არსებულ სხვადასხვა რაიონს), ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულამდე წარმოადგენდა ძველი აღმოსავლეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეთნიკური ერთეულის — ხ ურ ი ს — ენაზე მოლაპარაკე ტომების ძირითად საცხოვრებელ ადგილს. ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებში სწორედ ამ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ხურის ტომთა (ხურიტების) მძლავრი პოლიტიკური გაერთიანება — მ ი თ ა ნ ი ს სამეფო, რომელიც მახლობელი აღმოსავლეთის უძველესს სახელმწიფოთა რიცხვს განეკუთვნებოდა.

ძვ. წ. III—II ათასწლეულების ძველაღმოსავლურ წერილობით წყაროებში მთელი ეს ტერიტორია უმთავრესად სუბართუს სახელით აღინიშნებოდა. სახელწოდება „სუბართუ" ძველ ბაბილონში აღნიშნავდა ტერიტორიას, რომელიც საერთოდ ბაბილონის ჩრდილოეთით იყო, ე .ი. მთელ ჩრდილოეთ შუამდინარეთს — ზაგროსის ვთიანეთსა და ევფრატს შორის მდებარე რაიონებს (ასურეთის ჩათვლით).

ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან ძველაღმოსავლურ (ნუზის, ხეთურ, ალალახისა და სხვ.) წყაროებში ჩნდება იმავე ტერიტორიის აღმნიშვნელი ახალი სახელწოდება — „მ ი თ ა ნ ი". დაახლოებით ამავე ხანებიდან ხურრი-მითანის ტერიტორიის აღსანიშნავად ეგვიპტურ წყაროებში იხმარებოდა სემიტური წარმოშობის „ნ ა ჰ ა რ ი ნ ა" („ნაჰრინა"), რაც სიტყვასიტყვით „ორმდინარეთს" ნიშნავს („ძველ აღთქმაში" ეს ტერმინი შემოინახა „ნაჰარაიმ"-ის ფორმით). ასურულ წარწერებში ჩვენთვის საინტერესო ტერიტორია ცნობილია „ხ ა ნ ი გ ა ლ ბ ა თ ი ს "სახელწოდებით.

წყაროები. ჩრდილოეთ, ანუ ზემო შუამდინარეთის არქეოლოგიური შესწავლისადმი ინტერესი განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ,

რაც ხაბურის სათავეში, თანამედროვე რას-ელ-აინთან არქეოლოგებმა გათხარეს თელ-ჰალაფი, ბორცვი, სადაც აღმოჩნდა ძვ. წ. V ათასწლეულის ბოლოსა და IV ათასწლეულის დასაწყისის დროინდელი ნეოლითური და ენეოლითური კულტურა (მ. ფ. ოპენჰაიმის გათხრები).

ჩრდილოეთ შუამდინარეთის ადრეული ხანის ისტორიისათვის საყურადღებო მასალა გამოვლინდა ჩაგარ-ბაზარსა და თელ-ბრაკში, ხაბურის მხარის ჩრდილოეთ ნაწილში, სადაც 30-იან წლებში გათხრებს აწარმოებდა მ. მალოვანი. აქ დადასტურებული 4 კულტურული ფენა მოიცავს დროის საკმაოდ დიდ მონაკვეთს (ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისიდან ძვ. წ. XVII ს-მდე). ამ ბორცვებზეც აღმოჩნდა კერამიკა, რომელსაც სპეციალისტები ზოგადად „ხაბურის“ ტიპის ჭურჭლებს უწოდებენ (ასეთი ჭურჭლები ზოგჯერ მოხატულია). ამ ადგილებში ნაპოვნია ოქროსაგან დამზადებული ნივთები თუ ლითონის სხვა საგნები.

40—50-იან წლებში არქეოლოგთა ყურადღება მიიპყრო თელ-ფახარიამ, რომელიც ასევე ხაბურის ველზე რას-ელ-აინის სამხრეთით მდებარეობს. აქ გათხრილ იქნა II ათასწლეულის შუა ხანების დროინდელი დიდი შენობა (თიხის აგურებიანი კედლებით), გამოვლინდა მდიდარი კერამიკული მასალა „ნუზისა“ და „ხაბურის“ ტიპისა, იპოვეს ლითონისა და სპილოს ძვლისგან დამზადებული სხვადასხვა სახის და დანიშნულების საგნები, ადამიანთა ქანდაკებები და ა. შ. (ა. მორტგატის, მაკ ევანის, ლ. ბრეიდვუდისა და სხვათა გათხრები). თელ-ფახარიაში გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ სპეციალისტთა უმრავლესობის თვალსაზრისით, ამ ბორცვზე მითანის დედაქალაქი ვ ა შ უ ქ ა ნ ი უნდა ყოფილიყო.

ამ ბოლო ხანებში გათხრები წარმოებს აგრეთვე თელ-ხუერაში (იგი მდებარეობს თელ-ფახარიადან სამხრეთით 40 კმ მანძილზე). აქ აღმოჩენილი მასალა მჭიდრო ურთიერთობაშია ხაბურის ჰხარის კულტურასთან, რომელთანაც აკავშირებენ აგრეთვე ნუზიში (თანამ. იორგან-თეფეში), არაფხაში (თანამ. კერკუკში) და ალალახში (თანამ. თელ-აჩანაში) აღმოჩენილ არქეოლოგიურ ძეგლებს.

სწორედ ზემოაღნიშნულ ადგილებში ნოპოვებულმა არქეოლოგიურმა მასალამ შესაძლებლობა მისცა სპეციალისტებს წამოეყენებინათ ვარაუდი, რომ ზემო მესოპოტამია, განსაკუთრებით ხაბურის ველზე მდებარე ტერიტორია, იყო ხურის ენაზე მოლაპარაკე ტომების ძირითადი საცხოვრებელი რაიონი ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან და მითანის სამეფოს ცენტრი II ათასწლეულის შუა ხანებიდან. მხოლოდ ამ მასალის წყალობით გახდა შესაძლებელი მეცნიერებს ეწესჯელათ ხურის ტომთა მიერ შექმნილი თავისებური არქე-

ოლოგიური კულტურის არსებობის შესახებ, კულტურისა, რომელიც, ჩრდილოეთ შუამდინარეთის გარდა, მახლობელი აღმოსავლეთის სხვადასხვა რაიონშიც გვხვდება. იგი ძალზე ახლოს დგას, მაგალითად, ჩრდილოეთ სირიასა და პალესტინაში ამუკის ველზე აღმოჩენილ ე. წ. „ხირბეთ-კერაქის“ კულტურასა და ამიერკავკასიაში ფართოდ გავრცელებულ „მტკვარ-არაქსის“ კულტურასთან.

წერილობითი წყაროები. ხური-მითანის სამეფოსა და საერთოდ, ხურიტების პრობლემასთან დაკავშირებით გაცილებით მეტი მასალა შემოინახა ძველაღმოსავლურ წერილობით წყაროებში. ამ ტექსტების ერთი ნაწილი ხურიულ ენაზეა შედგენილი და ამდენად, აღნიშნული პრობლემის შესწავლისათვის უნიკალურ წყაროს წარმოადგენს. ესენია: ურქიშის მეფე თიშარის (თუ თიშათალის) სახელით შედგენილი ფირფიტა, რომელიც III ათასწლეულის მეორე ნახევრის დროინდელია; ხურიული ტექსტები მარის არქივიდან (ძვ. წ. XIX—XVIII სს.); საკმაოდ ვრცელი, თითქმის 500-სტრიქონიანი წერილი, რომელიც მითანის სეფე თუშრათამ ფარაონ ამენჰოტეპ III-ს გაუგზავნა ეგვიპტეში (ძვ. წ. XV ს-ის მეორე ნახევარი. წერილი აღმოაჩინეს თელ-ამარნას არქივში); უგარითის არქივში ნაპოვნი ხურიული ტექსტები და შუმერულ-ხურიული ლექსიკონები (ძვ. წ. XIV ს.) და, რაც მთავარია, ბოღაზქოის არქივის ხურიული ტექსტები, უმეტესწილად ფრაგმენტებია საკულტო, მითოლოგიური და ლიტერატურული შინაარსისა (ძვ. წ. XIV—XIII სს.). ყველა ეს დოკუმენტი უძვირფასესი წყაროა აგრეთვე ხურიული ენის შესწავლისათვის. იგივე უნდა ითქვას ხურიული წარმოშობის იმ საკუთარ (გეოგრაფიულ თუ პირთა) სახელებზე, რომლებიც მრავლად გვხვდება შუმერულ, აქადურ და ელამურ ტექსტებში, „კაპადოკიურ“ და ალალახის ფირფიტებში, შემშარას ლურსმულ დოკუმენტებში (ძვ. წ. XVIII ს.) და სხვ.

წყაროების მეორე ნაწილი შედგენილია აქადურ ენაზე, რომელიც ძვ. წ. III—II ათასწლეულის მახლობელ აღმოსავლეთში ფართოდ იხმარებოდა როგორც სახელმწიფოთა თუ ხალხთა შორის ურთიერთობის ენა. აქადურადაა დაწერილი ე. წ. „სამარას ფირფიტა“ — ურქიშისა და ნავარის მეფე არისენის მიერ შედგენილი ტექსტი; ქარხარის მეფე თიშარის წარწერა საბეჭდავზე (ორივე განეკუთვნება ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარს); ჩაგარ-ბაზარსა და მარიში აღმოჩენილი ლურსმული ფირფიტები — რელიგიური და საქმიანი დოკუმენტები (II ათასწლ. დასაწყისი); ალალახის არქივში ნაპოვნი ტექსტი, მეფე იდრიმის სახელით შედგენილი (ძვ. წ. XV ს.); ნუზი-არაფხას არქივის მრავალრიცხოვანი ტექსტები სოციალურ-ეკონომიკური თუ ისტორიული ხასიათისა (განსაკუთრებით მითანის მეფე საუშშათარის წერილი, ძვ. წ. XV—XIV სს.); ხეთების მეფე სუფილულიუმას

მიერ დადებული ხელშეკრულება ხური-მითანის მმართველ მათიეაზასთან (XV ს-ის დასასრული); თელ-ფახარიაში ნაპოვნი თიხის ფირფიტები სალამანასარ I-ის ანდა თუქულთი-ნინურთა I-ის დროისა (ძვ. წ. XIII ს-ის შუა ხანები) და სხვ. მრავალი.

ხური-მითანის სამეფოს ისტორიის სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით მრავალრიცხოვანი ცნობაა დაცული ხეთურ ენაზე შედგენილ ლურსმულ ტექსტებში, რომლებიც დროის საკმაოდ დიდ მონაკვეთს აშუქებენ (ძვ. წ. XVII—XII სს.), და ეგვიპტურ იეროგლიფურ წარწერებში.

ხურიტოლოგიის განვითარება. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის, ენისა და კულტურის შემსწავლელ სხვადასხვა დარგს შორის ხურიტოლოგიას ამჟამად ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს. განსაკუთრებით დაწინაურდა ხურიული ენის შესწავლის საქმე, რასაც თავიანთი გამოკვლევებით დიდი წვლილი დასდეს ე. სპეიზერმა, ი. გელბმა, ა. გოეცემ და სხვ.

ასევე წინ წავიდა ჩრდილოეთ შუამდინარეთის არქეოლოგიური შესწავლის საქმეც, რაზეც მოკლედ ზემოთაც იყო საუბარი. დღეისთვის არაერთი საყურადღებო ნარკვევია შექმნილი ხურიულ ხელოვნებაზე, კულტურაზე, რელიგიაზე (იხ. რ. დიუსოს, ე. ფურლანის, ჰ. გუტერბოკისა და სხვ. ნაშრომები).

ხურიტების პოლიტიკური ისტორიის საკითხები ამჟამად განიხილება ძველაღმოსავლურ სახელმწიფოთა ისტორიასთან მჭიდრო კავშირში. დღემდე არ დამთავრებულა კანათი ხურის ტომთა გამოჩენისა და წინა აზიაში გავრცელების შესახებ. არაერთი ნაშრომი მიეძღვნა ხურიული საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხებს.

ჩრდილოეთ შუამდინარეთის ისტორიისადმი მიძღვნილ ნაშრომთაგან აღსანიშნავია რ. ო'კალაგანის წიგნი „არამ ნაჰარაიმ". ხურიტების შესახებ სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი შექმნა ფ. იმპარატიმ.

ხურიტოლოგიის საკითხებზე საბჭოთა კავშირშიც მუშაობენ. ჩვენში იკვლევენ ხურიულ ენას (ი. დიაკონოვი, ნ. ნოზაძე, ი. მაჭავარიანი). ამუშავებენ ხურიული საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს (ნ. იანკოვსკაია, ი. დიაკონოვი), ხურის ტომთა პოლიტიკური ისტორიის საკითხებს და ა. შ.

ბუნებრივი პირობები და გეოგრაფიული გარემო. ხური-მითანის სამეფო მოიცავდა ტერიტორიას, რომლის ბუნებრივი საზღვარი დასავლეთით ზემო ევფრატი იყო, ხოლო აღმოსავლეთით — ტიგროსის ზემო დინება. ეს მდინარეები ამ ადგილებში თითქმის სრულიად გამოუყენებელია მოსარწყავად, რადგან ისინი უმეტესად მთებში მო-

ედინებიან. საეჭვოა, რომ ევფრატი და ტიგროსი აქ გამოყენებული ყოფილიყო ინტენსიური ნაოსნობისათვისაც. დაბლობ ადგილებში აქა-იქ ნოსარწყავად იყენებდნენ ჭის წყალს.

ხური-მითანის სამეფოს ბუნებრივი საზღვარი სამხრეთით, ალბათ, ისევ ევფრატი, უფრო სწორად, შუა დინებაზე მდებარე ველი უნდა ყოფილიყო (აქ მდებარეობდა ხანას სამეფო). ამ მხარეში ევფრატს ერთვის ორი მარცხენა შენაკადი—ბალიხი და ხაბური, რომელთა სათავეებში ხურის ტომთა განსახლების ერთ-ერთი მთავარი რაიონი იყო.

ჩრდილოეთის მიმართულებით ხურის ქვეყანა მოიცავდა სომხეთის ზეგანის იმ ნაწილს, რომელიც ევფრატის ნარცხენა მხარეში მდებარეობს და სამხრეთისაკენ ნიმართულ რკალს ქმნის.

ამ რკალის სამხრეთით არსებული ტერიტორია საგრძნობლად განსხვავდება როგორც აღმოსავლეთ ანატოლიის ნაღალმთიანი რაიონისაგან, ისე სამხრეთ მესოპოტამიის ოლქებისაგან. მართალია, აქ აღმართულია მთებიც (ტურ-აბდინისა და სხვ.), რომელთა ახლოს იზრდება ნალექთა რაოდენობა, ხოლო ზოგიერთზე მოდის თოვლიც, მაგრამ ეს მთები, რომელთა ნაწილი შეიცავს ბაზალტებს, არ აღემატებიან აღმოსავლეთ მცირე აზიისას. ამ ტერიტორიაზე ჰავა ცხელია, რადგან სამხრეთიდან უბერავს უდაბნოს ქარი (ზაფხულში — მშრალი, ზამთარში ზოგიერთ ადგილას — ყინვიანიც), მაგრამ არა ისეთი ცხელი, როგორიც სამხრეთ შუამდინარეთში. ყოველივე ამის გამო ვარაუდობენ, რომ ძველაღმოსავლურ ხანაში აქ უფრო ხელსაყრელი პირობები იყო ცხოვრებისათვის, ვიდრე სამხრეთით. უფრო მოგვიანო ხანებშიც ეს რაიონი შედიოდა ე. წ. „ნაყოფიერ ნახევარმთვარეში".

რუკაზე თვალის ერთი გადავლებითაც ჩანს, თუ რაოდენ ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ჰქონდა ზემო მესოპოტამიას მთელს წინა აზიაში. სწორედ ამ ტერიტორიაზე გადიოდა გზები, რომლებიც ძველაღმოსავლურ ხანაში სამხრეთ მესოპოტამიას აკავშირებდა ჩრდილოეთ სირიასთან (სადაც გზა ეგვიპტისკენაც მიემართებოდა) და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთთან, კაპადოკიასთან და, საერთოდ, მცირე აზიასთან, ალბათ, ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ხური-მითანის ტერიტორია საკმაოდ ადრე გამოვიდა წინა აზიის პოლიტიკურ ასპარეზზე, ამ ტერიტორიაზე პოლიტიკური გაბატონებისათვის იბრძოდნენ როგორც ძირითადი ნეტოქენი, ხეთები და ასურელები, ასევე შორეული ეგვიპტელებიც.

მოსახლეობა. ჩრდილოეთ შუამდინარეთი დასახლებული იყო უძველესი ხანიდან. მაგრამ ჯერჯერობით გაურკვეველია იმ ტომთა ეთნიკური ვინაობა, რომლებიც აქ ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებამდე ცხოვრობდნენ, რადგან თელ-ჰალაფში აღმოჩენილ კულტურას ზოგჯერ აკუთვნებენ სუბარელებს ან სემიტებს, ბოლო ხანებში კი —

ინდოევროპელებს. წერილობითი წყაროების მიხედვით, ხურის ენაზე მოლაპარაკე ტომები აქ ჩნდებიან III ათასწლეულის მხოლოდ მეორე ნახევრიდან. ამის გამო უმეტესად ვარაუდობენ, რომ ხურის ტომები არ იყვნენ ზემო მესოპოტამიის ძველისძველი ბინადარნი, რომ ისინი აქ უნდა გადმოსახლებულიყვნენ აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიიდან (ზაგროსის მთიანეთიდან) ან ვანის ტბის ირგვლივ განლაგებული ოლქებიდან, ანდა ჩრდილოეთიდან (სომხეთის ზეგნიდან, ამიერკავკასიიდან თუ ჩრდ. კავკასიიდან). ზოგჯერ იმასაც ვარაუდობენ, რომ ხურიტები ზემო მესოპოტამიის, სომხეთის ზეგნისა და ჩრდილოეთ სირიის ადგილობრივი მცხოვრებნი იყვნენ.

ხურიული ენა მჭიდრო ნათესაურ კავშირშია ურარტულთან. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ხურიული ენა ახლოს დგას ნახურ-დაღესტნურ ენებთან.

ჩრდილოეთ მესოპოტამიის თავდაპირველ მოსახლეობად ზოგჯერ მიიჩნევენ ე. წ. სუბარეელებს (ე. ი. სუბართუს ქვეყნის მცხოვრებთ), რომლებსაც, როგორც ენით, ასევე კულტურით, ზოგჯერ განასხვავებენ შედარებით მოგვიანო ხანებში ამავე ტერიტორიაზე მცხოვრები ხურიტებისაგან. მკვლევართა ერთი ნაწილი ამ თვალსაზრისს არ იზიარებს, რადგან თვლის, რომ სუბარეელებს ძველად ეძახდნენ საერთოდ ბაბილონის ჩრდილოეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით მცხოვრებ, ეთნიკურად სხვადასხვა წარმოშობის ტომებს, სახელდობრ, ხურიტებს, ლულუბიელებს და, შესაძლოა, ელამელებს.

უკვე ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან იწყება ხურიული ეთნიკური ელემენტის გავრცელება ჩრდილოეთ შუამდინარეთიდან წინა აზიის სხვადასხვა ქვეყანაში. ამ დროისათვის ხურიული ელემენტი აშკარად ჩანს სამხრეთ შუამდინარეთში. II ათასწლეულის დასაწყისიდან ხურიტები თანდათან ფეხს იკიდებენ ევფრატის დასავლეთით მდებარე ოლქებში, კერძოდ, ჩრდილოეთ სირიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში (ქიცუვათნაში). ხურიული ეთნიკური ელემენტი არსებობდა II ათასწლეულის დასაწყისის კაპადოკიაშიც, როცა აქ დიდი საერთაშორისო ვაჭრობა იყო გაჩაღებული. საკმაოდ ძლიერი ხურიული ეთნიკური ელემენტი იყო ალალახისა და ხეთების სამეფოებში ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან. ამავე ხანებში ხურიტები მომძლავრებული იყვნენ ნუზიში და არაფხაში. ჩრდილოეთ სირიის მიმართულებით ხურის ტომთა მოძრაობას უკავშირებენ ჰიქსოსების შეჭრას ეგვიპტეში. ეს თითქოს უნდა მომხდარიყო მას შემდეგ, რაც ხურიტებმა შეავიწროვეს დასავლურ-სემიტური (ამორეული) წარმოშობის ტომები, რომლებიც ეგვიპტის ჩრდილოეთით მდებარე ვრცელ ტერიტორიაზე ბინადრობდნენ.

როგორც ჩანს, ძვ. წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში ხური-მითანის ტერიტორიაზე შეიჭრა უმნიშვნელო არიული ეთნიკური ელემენტი, რომელმაც მითანის სამეფოს ძლიერების დროისათვის (1450—1350 წწ.) განიცადა ხურიზაცია (არიული ეთნიკური ჯგუფის კვალი შემორჩა ღვთაებათა და პირთა, კერძოდ, მეფეთა სახელებში, მეცხენეობასთან დაკავშირებულ სპეციალურ ტერმინებში). II ათასწლეულის დასასრულიდან იწყება ამორეელ ტომთა შეჭრა ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიაზე, რამაც გამოიწვია ხური-მითანის ბინადართა გასემიტება. I ათასწლეულის დასაწყისში ხურიული ელემენტი შემორჩენილი უნდა ყოფილიყო ამავე ტერიტორიაზე წარმოქმნილ გუზანას სამეფოში, რომელიც ძირითადად არამეელებით იყო დასახლებული. ვარაუდობენ, რომ სახელწოდება „მითანი („შაითენი") შემორჩა ჰეროდოტეს მიერ ნახსენებ „მატიენთა" ტომის სახელში.

ხურის ტომები მითანის სამეფოს ჩამოყალიბებამდე. მითანის სამეფოს წარმოქმნას წინ უსწრებდა ჩრდილოეთ მესოპოტამიის ტერიტორიაზე ხურის ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულთა ბატონობის ხანა, რომელიც თითქმის ერთ ათასწლეულს მოიცავდა. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან დაწინაურდნენ ურქიშის, ნავარისა და ქარხარის სამთავროები, რომელთა მმართველები (თიშარი, არისენი) ცდილობდნენ მეზობელი რაიონების დამორჩილებას. ისინი ატარებდნენ „მეფის" ტიტულს და ხურიულ და აქადურ ენებზე ადგენდნენ წარწერებს. ამავე ხანებში ჩრდილოეთ შუამდინარეთი მოექცა აქადის დინასტიის სახელმწიფოს პოლიტიკურ გავლენაში, ხოლო III ათასწლეულის დასასრულს ეს ტერიტორია განიხილებოდა როგორც ურის III დინასტიის დროინდელი სახელმწიფოს ნაწილი. ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში მთელი ეს მხარე ძლიერი ასურეთის მორჩილებაში უნდა მოქცეულიყო, მით უმეტეს, რომ კაპადოკიაში გაჩაღებული ვაჭრობა მოითხოვდა აქ გამავალ გზებზე სრულ ბატონობას.

ძვ. წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში ხურიტების პოლიტიკური ცხოვრების შესახებ წერილობით წყაროებში შედარებით მცირე ცნობებია დაცული. ვიცით, რომ ამ პერიოდში ხდებოდა მათი ინტენსიური განსახლება ევფრატის დასავლეთით მდებარე ტერიტორიაზე, სახელდობრ, ჩრდილოეთ სირიასა და მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში. დასავლეთ ევფრატისპირა ოლქების ერთი ნაწილი კი ხურიტების პოლიტიკურ გავლენაშიც უნდა მოხვედრილიყო. ხურიტები საკმაოდ მომრავლდნენ იამხადსა და ალალახში, რომლებიც მაშინდელ წინა აზიაში (ძვ. წ. XVIII—XVII სს.) ძლიერ სამეფოებად ითვლებოდნენ, თუმცა ამ ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში ისინი ჯერ კიდევ არ ასრულებდნენ წამყვან როლს. ისინი

აქ გამოყენებული უნდა ყოფილიყვნენ როგორც დამხმარე მუშახელი, ხელოსნები ან მეომრები.

ასევე უნდა ყოფილიყო იმავე ხანის წინა აზიის სხვა ადგილებშიც, სახელდობრ, ასურეთში, ბაბილონში, მარის სამეფოში, სადაც ხურიული წარმოშობის სახელების მატარებელი ადამიანები სხვადასხვა საქმიანობას ეწეოდნენ. II ათასწლეულის დასაწყისში ხურიული სამყაროს გავლენა შეიმჩნევა შემშარაში, რომელიც დოქანის ოლქში, მდ. ზემო ზაბზე მდებარეობს (აქ იპოვეს ძვ. წ. XVIII ს.-ის დროინდელი ლურსმული ფირფიტები). ნუზი-არაფხას მხარეშიც (დღევ. კერკუკი ერაყში) ხურიტები ამავე ხანებიდან უნდა გამოჩენილიყვნენ.

ხეთების ძველი სამეფოს წარმოქმნამ შეაფეხრა ხურიტების პოლიტიკური ექსპანსია დასავლეთის მიმართულებით. ამ დროიდან ხურიტები იბრძოდნენ არა მარტო ხეთების სამეფოს აღმოსავლეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ქალაქებში, არამედ ისინი არაერთხელ შეიჭრნენ თვით ხეთების ქვეყანაში და მიწასთან გაასწორეს ხეთების დასახლებული პუნქტები. ერთ-ერთი ასეთი დიდი შემოსევა მოხდა ხათუსილი I-ის დროს (ძვ. წ. XVII ს-ის მეორე ნახევარი), როცა ხურიტებმა დალაშქრეს ხეთების თითქმის მთელი აღმოსავლეთი მხარე. ხურიტების შემოსევას გადაურჩა ნახოლოდ ხათუსა, რომელიც ხათუსილიმ თავის რეზიდენციად გადააქცია. ვარაუდობენ, რომ სწორედ ხურიტების აქტიურმა სამხედრო მოქმედებამ ხეთების აღმოსავლეთ პერიფერიაზე ხათუსილი I აიძულა სამეფოს ცენტრი ქუსარადან გადაეტანა ხურიტების საომარი ზონისაგან საკმაოდ დაშორებულ ხათუსაში.

ხურიტებს დიდი ბრძოლა გადახდათ მურსილი I-თან, რომელმაც დაამხო ხალაფის (იამხადის) სამეფო და დაანგრია ქ. ბაბილონი (ძვ. წ. 1595 წ.). მიუხედავად იმისა, რომ ისინი დამარცხდნენ მურსილისთან ბრძოლაში, მათ ახალი ძალით შეუტიეს ხათის ქვეყანას ხანთილი I-ის მეფობის დროს (ძვ. წ. XVI ს-ის პირველი ნახევარი), როცა ხურიტებმა ააოხრეს ხათის ტერიტორია, ხოლო დედოფალი ხარაფსილი შვილებითურთ მოიტაცეს და ქ. სუქციაში ყველანი სიკვდილით დასაჯეს.

მართალია, ხურის ტომთა შემოტევებს ხეთები წარმატებით იგერიებდნენ ძველი სამეფოს ხანაში, მაგრამ ხურიტების განდევნა მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთი რაიონებიდან ხეთებმა მაინც ვერ მოახერხეს, ისევე როგორც მათ ვერ შეძლეს საკუთრივ „ხურის ქვეყანაში" ლაშქრობა.

მითანის სამეფოს პოლიტიკური ისტორიიდან. დაახლოებით ძვ. წ. XVI ს-ის შუა ხანებში ხურიტების პოლიტიკური ჰეგემონობა უნდა გავრცელებულიყო საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე. სწორედ ამ დროისათ-

ვის წარმატებით დამთავრდა ხურის ტომთა კონსოლიდაციის პროცესი და ზემო მესოპოტამიაში ჩამოყალიბდა მითანის სამეფო, რომელსაც ეგვიპტის. ასურეთისა და ხეთების სამეფოების ტოლად თვლიდნენ. მითანის მმართველები, რომლებიც ძირითადად ინდოარიული წარმოშობის სახელებს ატარებდნენ, ეგვიპტის ფარაონებსაც „ძმეებად" მიიჩნევდნენ.

ხური-მითანის სამეფოს წარმოქმნის პირველსავე ხანებში, ისევე როგორც ამ სამეფოს არსებობის თითქმის მთელ მანძილზე, ჩრდილოეთ სირიის საკითხს ძირითადი ადგილი ეკავა მითანის საგარეო პოლიტიკაში. ექსპანსია ჩრდილოეთ სირიაში თავისთავად გულისხმობდა, რომ ადრე თუ გვიან მითანი აუცილებლად შეეჯახებოდა, ერთი მხრივ, ხეთების სამეფოს, რომელიც დიდი ხანია იბრძოდა ჩრდილოეთ სირიაში ბატონობისათვის, და, მეორე მხრივ, ეგვიპტეს — სირია-პალესტინით ასევე დიდად დაინტერესებულ სახელმწიფოს. მითანის პოლიტიკის გატარებას ჩრდილოეთ სირიაში ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ძვ. წ. 1500 წლისათვის ამ ორ საშიშ მეტოქეთაგან ერთ-ერთი, სახელდობრ, ხეთი, დასუსტებული იყო ისე, რომ არ შეეძლო სერიოზული წინააღმდეგობა გაეწია მითანისთვის. ამავე დროს, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მითანს არ ელოდა საფრთხე, ასურეთისა და ბაბილონის მხრიდანაც, რადგან აღნიშნული პერიოდისათვის წინა აზიის ამ ორ დიდ სახელმწიფოს ძალა არ შესწევდა შეეჩერებინა მითანის დაპყრობები. უფრო მეტიც. მოგვიანო ხანებში, როგორც დავინახავთ, მითანი თვით ასურეთშიც გაბატონდა.

მითანიმ დიდი წარმატებები მოიპოვა საგარეო პოლიტიკაში საუშშათარის (საუშსათათარის, საუშთათარის) ნმართველობის ხანაში (დაახ. 1495—1470 წწ.) მითანის ეს მბრძანებელი თანამედროვე იყო ეგვიპტის ფარაონების — თუტმოს III-ის და ამენჰოტეპ II-ისა. მითანი ამ დროს კონტროლს უწევდა არა ნარტო ჩრდილოეთ სირიის სამთავროებს (ხალაფს, ქარხემიშს. ალალახს), არამედ შუა სირიის ქალაქ-სახელმწიფოებსაც: ნუხაშეს, კატნასა და სხვებს.

მითანის ასეთმა წარმატებებმა ევფრატის დასავლეთ მხარეში დაიჩქარა ეგვიპტის გაჭოჩენა ჩრდილოეთ სირიაში. ფარაონ თუტმოს III-მ, რომელმაც სირია-პალესტინაში რამდენჯერმე ლაშქრობის შემდეგ ეგვიპტის პოლიტიკურ გავლენაში მოაქცია მთელი სამხრეთ და შუა სირიის სამთავროები, თავისი მეფობის ბოლო წლებში ჩრდილოეთ სირიის მთავარ რაიონს — ხალაფსაც მიაღწია. სამეფო ქალაქის აღების შემდეგ თუტმოსი ქარხემიშთან შეებრძოლა მითანის რაზმებს, რომლებიც დაბარცხდნენ, და მიაღწია ევფრატს. ვარაუდობენ, რომ ფარაონმა ვერ შეძლო ევფრატის მარცხენა მხარეში გალაშქრება საუშშათარის მძაფრი წინააღმდეგობის გამო. თუტმოს III-მ მითა-

ნელთა რაზმები დაამარცხა აგრეთვე მოგვიანებითაც, როცა მან ქადეში აიღო, ეგვიპტელებმა ხელთ იგდეს 700-მდე მითანელი მეომარი და 150-მდე ცხენი, რაც დიდად ფასობდა იმდროინდელ წინა აზიაში.

ჩრდილოეთ სირიაში ეგვიპტის გამოჩენამ ვერ შეარყია მითანის ბატონობა. ხალაფი, ალალახი და ქარხემიში კვლავინდებურად ამ სამეფოს ვასალებად ითვლებოდნენ.

ამ დროისათვის ხურიტები ხეთების ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონშიც გააქტიურდნენ: მათი პოლიტიკური ჰეგემონობა ქიცუკათნაზეც გავრცელდა. სავარაუდებელია, რომ ისინი ხეთების აღმოსავლეთ რაიონებსაც უტევდნენ.

გაძლიერებულმა მითანიმ მის საშიშ მეტოქეს — ასურეთსაც — შეუტია. ერთ-ერთი ლაშქრობის დროს საუშშათარმა ასურეთს სასტიკი დამარცხება აგება, ქ. ასური აიღო და გაძარცვა. მითანელები უმდიდრესი ნადავლით დაბრუნდნენ ვაშუქანიში, სადაც საუშშათარმა ოქროვერცხლით მოჭედილი ალაყაფის კარიც ჩამოიტანა. ასურში მითანიმ დააყენა თავისი ნაცვალი, რომელიც ასურის საბჭოს შემადგენლობაშიც შედიოდა. ნაცვლებს (სუქქალუ) ყოველწლიურად ირჩევდნენ. ადგილობრივი მმართველის როლი დამცირებული იყო.

ამავე ხანებიდან მითანის ქვეშევრდომი ხდება აგრეთვე ტიგროსის ზემო და შუა დინებებთან მდებარე სხვადასხვა რაიონი, მათ შორის ხინევია, ნუზი და არაფხა. ამ დროიდან მოკიდებული ნუზი-არაფხას მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა ძირითადად ხურიული იყო. ნუზი გადაიქცა ამ ოლქის ადმინისტრაციულ ცენტრად. მითანის გაბატონებული მდგომარეობა ევფრატის დასავლეთით არ შეცვლილა საუშშათარის მემკვიდრის ა რ თ ა თ ა მ ა I-ის დროს (დაახლ. ძვ. წ. 1470—1455). ეგვიპტე-მითანის საგარეო ურთიერთობაში ხდება გარდატეხა, რის შედეგადაც ამ ორ სახელმწიფოს შორის მშვიდობიანობა დამყარდა, ორივე მხარემ აღიარა „სტატუს კვო“ — მითანი დარჩა ჩრდილოეთ სირიის ბატონ-პატრონად, ხოლო ეგვიპტე — შუა და სამხრეთ სირიისა.

მითანისა და ეგვიპტის ურთიერთობაში ასეთი მკვეთრი შემობრუნება გამოწვეული იყო ხეთების კვლავ გამოჩენით ჩრდილოეთ სირიაში. ხათის მეფე თუთხალია II-მ ხალაფს ილაშქრა, გაანადგურა იგი, ხოლო შემდეგ მითანიც დაამარცხა. ამის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ეგვიპტეს და მითანის გაუჩნდათ ერთი საერთო მეტოქე — ხათი, რომელიც ჩრდილოეთ სირიაში თავისი ძველი ბატონობის აღდგენას ცდილობდა, ამიტომ, ამ ორმა სახელმწიფომ ამჯობინა გაერთიანება ხეთების წინააღმდეგ საბრძოლველად, თუმცა სინამდვილეში ხათი ჯერ კიდევ არ იყო მომძლავრებული. სწორედ ამას მოჰყვა დინასტიური

კავშირი ამ ორ ყოფილ მეტოქეს შორის: ართათამამ ერთ-ერთი თავისი ქალიშვილი მეუღლედ გაუგზავნა თუტმოს IV-ს.

ხური-მითანის სამეფოს შემდეგი მმართველის — შ უ თ ა რ ნ ა II-ის — დროს (ეს უკანასკნელი ამენჰოტეპ III-ის თანამედროვე იყო) მითანის ბატონობა ჩრდილოეთ სირიაში არ შესუსტებულა, რადგან ხეთების ლაშქრობამ ხალაფში ვერ აღადგინა ხათის ძველი პოზიციები. ასურეთი და მისი მეზობელი რაიონები ძველებურად მითანის სამეფოს მორჩილი იყვნენ. ეგვიპტესთან კი კვლავაც გრძელდებოდა მეგობრული პოლიტიკა, რისი დადასტურებაც იყო ამენჰოტეპ III-ის მიერ შუთარნას ქალიშვილის — გილუ-ხეფას (მითანის მომავალი მეფის — თუშრათას დის) — ცოლად შერთვა, ხოლო როცა ეს ფარაონი ავად გახდა, მითანისაგან მან მიიღო ნინევიის ქალღმერთ იშთარის ქანდაკება, რომელსაც უნდა განეკურნა ამენჰოტეპ III. ფარაონისა და გილუ-ხეფას ქორწინების აღსანიშნავად დამზადებული იყო სპეციალური წარწერა, რომელიც იტყობინებოდა, რომ ამ ქორწინების დროს დედოფალს თან ხლებია სამასზე მეტი სეფე-ქალისაგან შემდგარი ამალა.

თუშრათას (ამენჰოტეპ III-ის, ამენჰოტეპ IV — ეხნატონისა და სუფილულიუმას თანამედროვის) მმართველობის პირველ ნახევარში მითანი კვლავ რჩებოდა წინა აზიის უძლიერეს სახელმწიფოდ. ამ დროს თუშრათა წარმატებით ახორციელებდა წინაპართა საგარეო პოლიტიკას. ჩრდილოეთ სირიასთან, კერძოდ, ხალაფთან ურთიერთობა კვლავ გრძელდებოდა, განიხილებოდა რა ხალაფი მითანის ქვეშევრდომად. ასურეთი ამ პერიოდშიც მითანის ემორჩილებოდა. მცირე აზიის აღმოსავლეთ პერიფერიაზე თუშრათამ დასაწყისში წარმატებით მოიგერია ხეთები, რომლებიც საკმაოდ მომძლავრდნენ და უკვე მითანის ემუქრებოდნენ.

ეგვიპტე ხომ თავის ერთგულ მეგობრად მიაჩნდა თუშრათას. როცა ამენჰოტეპ III კვლავ ავად გახდა მეფობის ბოლო წლებში, თუშრათამ (ისევე როგორც შუთარნა II-მ) მას განსაკურნავად ნინევიელი იშთარის გამოსახულება გაუგზავნა. უფრო ადრე ფარაონს გაუგზავნა თუშრათამ თავისი ქალიშვილი თადუ-ხეფა, რომელიც ამენჰოტეპ III-ის გარდაცვალების შემდეგ ამენჰოტეპ IV-ის (ეხნატონის) მეუღლეც გახდა. ამ ხანებს განეკუთვნება თუშრათას ცნობილი წერილი ამენჰოტეპ III-სადმი, რაც ეგვიპტე-მითანის მეგობრობის ახალი დადასტურება იყო. ამ წერილიდან ვგებულობთ, რომ მითანი უკვე ჩაება ხეთების მიერ წამოწყებულ ბრძოლაში, რომელიც სირიის სამთავროების დამორჩილებისაკენ იყო მიმართული. ამდენად, მითანი იცავდა ეგვიპტის ინტერესებსაც სირიაში, სადაც ამენჰოტეპ III-ს არ შეეძლო იარაღით დაეცვა თავისი სამფლობელოები ეგვიპტის საზღვრო

ძლიერების დაცემის გამო. სამაგიეროდ, თუშრათა სთხოვდა ფარაონს დახმარებოდა მას ოქროთი, რომელიც თითქოს ეგვიპტეში ისე უხვად იყო, როგორც ქვიშა.

მაგრამ მითანის დიდების დღეები უკვე დათვლილი იყო. ევფრატის დასავლეთით გამოჩნდა ძალა, რომელიც აღემატებოდა თუშრათას სამხედრო ძლიერებას. ეს იყო ხათი (ხეთების სამეფო), რომლის ენერგიული მმართველის — სუფილულიუმას — მოქმედებამ ძველი დიდება დაუბრუნა ხეთებს. მას შემდეგ, რაც სუფილულიუმამ ევფრატი გადალახა და ისუვას ქვეყანა დაიმორჩილა, ხათის მეფე მაშინვე გაემართა ვაშუქანისაკენ, მოულოდნელად დაატყდა თავს მითანის დედაქალაქს, დაანგრია და გაძარცვა იგი. თუშრათამ ვერც მოასწრო რაიმე წინააღმდეგობის გაწევა და ბრძოლას განერიდა. ამის შემდეგ სუფილულიუმამ სირიას შეუტია. მან ზედიზედ დაიპყრო სირიის სამთავროები (ხალაფი, ალალახი, ნუხაშე, ამურუ და სხვ.) და ლიბანის მთები თავის საზღვრად გამოაცხადა.

ამ გზით სუფილულიუმამ მითანის ჩამოაშორა ყველა მისი მოკავშირე, რომლებიც ევფრატის დასავლეთ მხარეში იყვნენ. თავისი რეფორმებით გატაცებულ ეზნატონს კი არ ეცალა და არც შეეძლო წინ აღსდგომოდა სუფილულიუმას, რითაც იგი დახმარებას გაუწევდა თავის ყოფილ მოკავშირეს. ასურეთის მხრიდან დახმარების გაწევაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტი იყო. ამრიგად, მითანი მარტოდმარტო აღმოჩნდა საშიში მტრის — ხათის — წინაშე. ამ დროს მითანის სამეფო კარზე მზადდებოდა დიდი შეთქმულება, რომელშიც ასურეთი უნდა ყოფილიყო ჩარეული. საქმე იმით დამთავრდა, რომ თუშრათა ერთ-ერთმა მისმა შვილმა სიცოცხლეს გამოასალმა.

შექმნილი მდგომარეობით უმალვე ისარგებლა ასურეთმა, რომელსაც ასურუბალიტ I მართავდა. ასურეთის ლაშქარი, ალშეს ქვეყნის რაზმებთან ერთად, მითანის ტერიტორიაზე შეიჭრა და მითანელები დაამარცხა. მითანი იძულებული გახდა ეცნო ასურეთის დამოუკიდებლობა და მისთვის დაებრუნებინა საუშშათარის დროს ასურიდან წამოღებული ოქრო-ვერცხლით მოჭედილი ალაყაფის კარიც.

მითანის სამეფო ტახტის კანონიერმა მემკვიდრემ — შათივაზამ, თუშრათას ძეს, სამეფო კარზე მომხდარი გადატრიალების დროს თავს გაქცევით უშველა და სუფილულიუმას შეეკედლა. ხათის მბრძანებელმა ეს გარემოება თავისი მიზნების განსახორციელებლად გამოიყენა: შათივაზას ჯერ ცოლად შერთო თავისი ქალიშვილი, ხოლო შემდეგ შათივაზა ქარხემიშის მეფეს — ფიასილის (რომელიც სუფილულიუმას შვილი იყო) გაუგზავნა, რათა ხეთებს შეერთებული ძალებით ევფრატი გადაელახათ და ვაშუქანიში შესულიყვნენ. სუფილულიუმას ჩანაფიქრი მიმართული იყო ასურუბალიტ I-ის წინააღმდეგაც, რო-

მელიც ცდილობდა მითანი ასურელებისავის დაემორჩილებინა, რითაც საბოლოოდ ხეთებს უმზადებდა საშიშ დარტყმას.

სუფილულიუმას გეგმა წარმატებით განხორციელდა. შათივაზამ თავი ხეთების ვასალად გამოაცხადა. მითანი გახდა ხეთების ბუფერული სახელმწიფო, რომელიც ხათის უნდა გამოეყენებინა ასურეთის იერიშების მოსაგერიებლად. მომდევნო ხანებში ასურელებმა ახალი ძალით შეუტიეს მითანის და წარმატებასაც მიაღწიეს: ხეთების გავლენა მითანიში (ანუ ხანიგალბათში, როგორც ასურულ წყაროებშია აღნიშნული) საგრძნობლად შესუსტდა.

ასურეთმა უფრო ენერგიულად შეუტია ხანიგალბათის სამეფოს სალმანასარ I-ის მმართველობის ხანაში. ამ ქვეყანაში გალაშქრებულ სალმანასარს ბრძოლით შეეგება ს ა თ უ ა რ ა II, რომელსაც ზურგს უმაგრებდა ხათუსილი III. ძნელად მისადგომ ადგილებში მან ალყა შემოარტყა ხანიგალბათის მეფეს, რომელთანაც ერთად იბრძოდნენ ხეთებისა და ახლამუს რაზმები. სალმანასარმა იგი სასტიკად დაამარცხა, მისი მოკავშირენი კი „ცხვრებივით გარეკა". ქაშიარის მთებიდან ქარხემიშამდე გადაჭიმული ვრცელი ტერიტორია ასურეთის სახელმწიფოს შეემატა. მომდევნო ხანებში მითანი-ხანიგალბათის ტერიტორია დაიყო რამდენიმე წვრილ პოლიტიკურ გაერთიანებად. მათ თანდათან დაეპატრონენ სამხრეთიდან შემოჭრილი არამეული წარმოშობის ტომები, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას შეერივნენ.

ხურიტების საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობა. ხეობებსა და დაბლობ ადგილებში მცხოვრები ხურიტები ძირითადად მიწათმოქმედებას მისდევდნენ. თესავდნენ უმეტესად ქერს, შედარებით ნაკლებად — ხორბალს, ფეტვსა და ემერს. მისდევდნენ აგრეთვე მევენახეობასა და მებაღეობას. შინაურ ცხოველთაგან განსაკუთრებით აშენებდნენ ცხვარს. მთავარ მომუშავე საქონლად მათ სახედარი და ხარი ჰყავდათ. აშენებდნენ აგრეთვე თხას, ღორს. მთიელ ხურიტთა ძირითადი საქმიანობა მეცხოველეობა იყო.

ხურის ტომები დიდად იყვნენ დახელოვნებული მეცხენეობასა და მსუბუქ საომარ ეტლებზე ბრძოლის ტაქტიკაში. ხურიტების მეზობელი ხალხები, კერძოდ, ხეთები, მეცხენეობას სწავლობდნენ ხურიული სახელმძღვანელოებით და იცავდნენ ცხენის გახედნის ხურიულ წესს (შემოინახა ხეთურ ენაზე გადათარგმნილი სახელმძღვანელო მეცხენეობის შესახებ, რომელიც ხურიტ კიკულის ეკუთვნის). მეცხენეობის ტერმინოლოგიაში კი ხურიტები ხმარობდნენ ინდოირანული (არიული) წარმოშობის ტერმინებს. ზოგიერთი მეცნიერი ცხენის გამოჩენას მახლობელ აღმოსავლეთში უკავშირებს ხურიტების გამოჩენას წინა აზიაში.

ხურის ტომებში ადრეული ხანებიდან დაწინაურდა ხელოსნობა. როგორც სამუშაო, ასევე საომარ იარაღებს (მშვილდ-ისრებს, შუბებსა და შუბისპირებს, ჯავშანს, მოკლე სატევრებსა და სხვ.) ამზადებდნენ სპილენძისაგან, ანდა ბრინჯაოსაგან. განვითარებული იყო ქსოვა და, რაც მთავარია, მეთუნეობა. „ნუზისა" და „ხაბურის" ტიპის კერამიკული ჭურჭლები დიდი გემოვნებითაა დამზადებული და გამოირჩევა სხვა მეზობელი ქვეყნების კერამიკული ნაწარმისაგან. დიდი ოსტატობით ამუშავებდნენ ძვირფას ლითონებსაც.

ხურიული საზოგადოების ხასიათთან დაკავშირებით გაძოთქმულია სხვადასხვა აზრი. დასავლელი სპეციალისტების შეხედულებით, ნუზი-არაფხას დროინდელი ხურიული საზოგადოება წმინდა ფეოდალური ტიპის იყო. საბჭოთა მეცნიერები ამ აზრს არ იზიარებენ და ხურიული საზოგადოების განვითარების ეტაპებს შემდეგნაირად აღადგენენ: მოსახლეობა ცხოვრობდა საოჯახო თემებად — „სახლებად", რომლებსაც ჰქონდათ საკუთარი მიწის ფონდი („ევრუ"). თითოეულ ამ ფონდს სათავეში ედგა გვარის უფროსი („ევრი"), რომლის გარდაცვალების შემდეგ თემს მართავდნენ მისი „ძმები" — გვარის უფროსის არა მარტო ნამდვილი ძმები, არამედ ყველა მისი შთამომავალი.

ადრეულ ხანებში საოჯახო თემებს შორის არსებობდა ურთიერთობის რთული სისტემა. რამდენიმე ნათესავი ან ზოგჯერ არანათესავი საოჯახო თემი ქმნიდა სამეზობლო (ტერიტორიულ) თემს — დასახლებას, რომელსაც სათავეში ედგა მამასახლისი „ხაზანუ". ამ უკანასკნელს ირჩევდნენ განსაზღვრული ვადით. რამდენიმე დასახლება ჯგუფდებოდა ერთი რომელიმე გამაგრებული პუნქტის ირგვლივ. წერილობით წყაროებში იგი „ქალაქის" სახელითაა ცნობილი. აქ იმყოფებოდა სათემო გაერთიანების ტაძარი, „ქალაქის" მმართველის ან სხვა თანამდებობის პირთა რეზიდენცია. აქვე იწვევდნენ უხუცესთა საბჭოს ან სახალხო კრებას.

ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებისათვის (ე. ი. ნუზი-არაფხას დოკუმენტების შედგენის დროისათვის) თემური ურთიერთობანი გაძლიერებულ რღვევას განიცდიდა. მიწათმოქმედებაში მოხდა ინტენსიფიკაცია, გაჩნდა მეურნეობის სპეციალიზებული ტიპები, რამაც აამაღლა მეურნეობათა შემოსავალი და გამოიწვია გაცვლა. გაძლიერდა ქონებრივი დიფერენციაცია საოჯახო თემებსა და ცალკეულ პირთა შორის. წარმოიშვა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობანი. ყოველივე ამას მოჰყვა მევახშეობა. გაცემული სესხი (ვადიანი თუ უვადო) 30%-ზე მეტ მოგებას იძლეოდა. მევალე ითხოვდა გარანტიას მოვალის მხრიდან. ამის გამო, მოვალე ხშირად კრედიტორს უტოვებდა თავისივე ოჯახის რომელიმე წევრს, რომელიც სესხის დაფარვამდე მის

მეურნეობაში იმუშავებდა. ზოგჯერ ოჯახის თავი თვითონ რჩებოდა კრედიტორთან და, თუ ვალს ვერ გადაიხდიდა, სამუდამო კაბალაში აღმოჩნდებოდა, რაც მონურ მდგომარეობაში ყოფნას ნიშნავდა.

ნუზი-არაფხას დოკუმენტებიდან კარგად ჩანს, რომ მდიდარი კრედიტორი ცდილობდა ხელში ჩაეგდო რაც შეიძლება მეტი მიწა, ყიდულობდა რა მას გაღარიბებული მეთემისაგან. მართალია, არაფხაში აკრძალული იყო სათემო მიწების გასხვისება (ყიდვა-გაყიდვა, ბოძება), მაგრამ შენიღბული ფორმით მიწის გაყიდვასაც ახერხებდნენ: ნაკვეთის მყიდველს ან „იშვილებდნენ („მარუთუ"), ანდა „ძმობაში" მიიღებდნენ („ახუთუ"). ამ შემთხვევაში მყიდველი იხდიდა არა „ფასს", არამედ „საჩუქარს".

შრომითსა თუ სამხედრო ბეგარას რიგითი მეთემენი ასრულებდნენ. სათემო ბეგარა და მეთემის უფლებანი დაკავშირებული იყო მიწის ნაკვეთის მფლობელობასთან, რომლის დაკარგვის შემდეგ თავისუფლდებოდნენ სათემო ვალდებულებისგანაც. ასეთი ადამიანები კარგავდნენ სამოქალაქო უფლებებს, ისინი ტოვებდნენ თავიანთ თემებს და როგორც ეს მთელს წინა აზიაში ხდებოდა, გარბოდნენ. ნუზი-არაფხას დოკუმენტებში არაერთი ცნობაა შემონახული იმის შესახებ, რომ თემისაგან გაქცეულები ქმნიდნენ ჯგუფებს, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობდნენ. მათ ხან სამხედრო სამსახურისათვის ქირაობდნენ, ხან კიდევ — რომელიმე მეურნეობაში სამუშაოდ. ასეთ ადამიანებს ხ ა ბ ი რ უ ეწოდებოდათ. ნუზის ტექსტების მიხედვით, მათთან ზოგჯერ დებდნენ ხელშეკრულებებს, რომელთა დარღვევის შემთხვევაში ხაბირუ სასტიკად ისჯებოდა.

კერძო პირთა მსხვილ მეურნეობაში მწვავედ იდგა სამუშაო ძალის საკითხი. ასეთ მეურნეობებში გამოყენებული იყო მონური შრომა. ხშირად მონებად ხდებოდნენ ვალში ჩავარდნილი ღარიბი მეთემენი. დიდად ფასდებოდნენ უცხოური წარმოშობის მონები, რომლებსაც ომების შემდეგ მოერეკებოდნენ ტყვეების სახით. მონური შრომა გამოყენებული იყო აგრეთვე სატაძრო და სამეფო მეურნეობებში. მიუხედავად ამისა, მონური შრომის ხვედრითი წონა ნუზის ხურიული საზოგადოების მეურნეობაში არ იყო წამყვანი, რაზეც მიუთითებს ნუზი-არაფხას ტექსტებში მონათა მცირე რაოდენობის არსებობაც.

ხურიული საზოგადოება იყოფოდა თავისუფლებად და არათავისუფლებად. სასტიკ ექსპლუატაციას განიცდიდნენ როგორც არათავისუფალი კლასის წარმომადგენლები (მონა, „ცუხარუ", „ხუფშუ", „სახლის ხალხი"), ისე თავისუფალთა დაბალი ფენები, განსაკუთრებით, ღარიბი მეთემენი.

ხურიული საზოგადოების ერთ ნაწილს შეადგენდნენ ეტლოსნები (საომარეტლიანი მეომრები) — „მარიანნი“, რომლებსაც დასავლელი მეცნიერები საერთოდ მითანის სახელმწიფოს მაღალ არისტოკრატიულ ფენას მიაკუთვნებენ. მაგრამ საბჭოთა სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ეტლოსნები არ შეიძლება განვიხილოთ როგორც საზოგადოების პრივილეგიური წარმომადგენლები. ისინი დამოკიდებულ ადამიანთა ფენას განეკუთვნებოდნენ და სამეფო ადმინისტრაციისაგან ღებულობდნენ სხვადასხვა სახის შეიარაღებას, თვით საომარ ეტლებსაც კი.

ხურიული საზოგადოების სახელმწიფოებრივი წყობის შესახებ დაწვრილებითი ცნობები წყაროებში არ შემონახულა. მმართველობის ორგანიზაციის დაბალ საფეხურს შეადგენდა ქალაქის თავი და უხუცესთა საბჭო. ვარაუდობენ, რომ სასოფლო თემებში მოქმედებდა სახალხო კრება. ცალკეულ მსხვილ რაიონს ან ოლქს მართავდნენ უფლისწულები. მითანის სახელმწიფოს ემორჩილებოდა ზოგიერთი ავტონომიური სამეფოც. მთელ სახელმწიფო ორგანიზაციას სათავეში ედგა მითანის მბრძანებელი, რომელსაც მოხელეთა მთელი შტატი ჰყავდა. მაღალ ადმინისტრაციულ თანამდებობათაგან აღსანიშნავია ხ ა ლ ც უ ხ ლ უ. ამ თანამდებობის პირს, როგორც ჩანს, სამხედრო და სასამართლო ფუნქციები ჰქონდა ჩაბარებული.

ხურიული რელიგია. ხურიულმა რელიგიამ დიდი გავლენა იქონია მეზობელ ხალხებზე. ეს განსაკუთრებით ითქმის ხეთებზე. როგორც ქვემოთ აღვნიშნავთ, იაზილიქაიას კლდეზე წარმოდგენილი პანთეონი, როგორც ღვთაებათა თანმიმდევრობით, ასევე ცალკეულ გამოსახულებათა სახელწოდების მიხედვით, ხურიული აღმოჩნდა.

ხურიტები თაყვანს სცემდნენ არა მარტო საკუთარი პანთეონის ღვთაებებს, არამედ უცხო წარმოშობის, კერძოდ, ინდოარიული წარმოშობის (მითრა, ვარუნა, ინდრა, ნასატია) ღმერთებსაც. პანთეონის სათავეში იდგა ღვთაებრივი წყვილი: ქარიშხლისა და ამინდის ღვთაება თ ე შ უ ფ ი და მისი მეუღლე ხ ე ფ ა თ ი, რომელთაც თაყვანს სცემდნენ მახლობელი აღმოსავლეთის მრავალ ქვეყანაში (ეს სახელები გვხვდება სხვადასხვა პერიოდის თეოფორულ სახელწოდებებშიც). მათ ძეს — შ ა რ უ მ ა ს — აიგივებენ ხეთური ქალაქების — ნერიქისა და ციფალანდის — ქარიშხლისა და ამინდის ღვთაებასთან. შ ი მ ე გ ი განასახიერებდა მზის ღვთაებას, ხოლო შ ა უ შ ქ ა (შ ა ვ უ შ ქ ა) ომისა და სიყვარულის ღვთაებას.

მთვარის ღვთაებას ქ უ შ უ ხ ი/ქ უ შ ა ხ ი (მესოპ. სინი, სუენი) ერქვა. ღმერთთა მამას ქ უ მ ა რ ვ ე ს (ხეთ. ქუმარბის) ეძახდნენ, ხოლო დიდ დედა-ქალღმერთს — ქ უ ბ ა ბ ა ს (ქ უ ვ ა ვ ა ს). ხურიტებს

ჰყავდათ მრავალი მეორეხარისხოვანი ღვთაებაც (თაშმიშუ, ფიშა-იშაფხი, ხეშუე და სხვ.).

ხურიტებში გავრცელებული იყო რწმენა სხვადასხვა ფანტასტიკური არსებებისადმი (ნახევრად ფრინველებისადმი, ნახევრად ცხოველებისადმი), რომლებიც ხშირად ფრთებს ატარებდნენ. არსებობდა გველის კულტი. იგი დაკავშირებული იყო ნაყოფიერების ქალღმერთ იშხარასთან.

დასაფლავების წესები სხვადასხვაგვარი იყო. მიცვალებულებს მარხავდნენ საცხოვრებელთა იატაკქვეშ ან წვავდნენ.

ლიტერატურა. ჩვენამდე მოაღწია ხურიული ლიტერატურის ცალკეულმა ფრაგმენტებმა. ეს არის ღვთაებათა ჰიმნები და რელიგიური ხასიათის ტექსტები, აგრეთვე ნაწყვეტები გილგამეშის საგმირო ეპოსიდან (მითი გილგამეშზე და ხუვავაზე). რამდენიმე ხურიული მითი შემოინახა ხეთური ვერსიით (მაგალითად, მითების ციკლი ღვთაებებზე, ულიქუმიზე და ქუმარვეზე/ქუმარიბზე). ცნობილია აგრეთვე ნაწყვეტები მითიდან გველ ხ ე დ ა მ უ ს შესახებ, მონადირე ქ ე შ ი ზ ე, აპუ გმირზე და სხვ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ხეთურად ნათარგმნი მითის სიუჟეტი ულიქუმიზე და ქუმარვეზე. ეს არის პოემა-მითი ძველი და ახალი დინასტიების ღმერთთა ბრძოლის შესახებ. მსოფლიო კულტურის ისტორიაში ამ პოემას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, რადგან იგი განიხილება როგორც ძველი აღმოსავლეთის ლიტერატურის დამაკავშირებელი რგოლი ბერძნულ მითოლოგიურ და პოეტურ ტრადიციებთან. არაერთგზისაა აღნიშნული, რომ ქუმარბისა და ულიქუმის ეპიკური ციკლი კავშირშია ჰესიოდესეულ მითთან ტიფონზე, აგრეთვე ჰესიოდეს თხრობასთან ხელისუფლების გადასვლის შესახებ ურანოსიდან კრონოსზე, ხოლო შემდეგ ამ უკანასკნელიდან — ზევსზე.

მითი მოგვითხრობს რომ: უხსოვარ დროს მბრძანებლობდნენ უფროსი თაობის ღმერთები, რომელთა უკანასკნელი შთამომავლები იყვნენ ალალუ და ანუ. მათთან შებმა და ხელისუფლების ხელში ჩაგდება გადაწყვიტა ღმერთთა მამამ ქუმარბიმ, რომელიც ქალაქ ურქიშში ცხოვრობდა. იგი შობს რამდენიმე ღვთაებას უფროსი თაობის ღმერთებთან საბრძოლველად. ერთ-ერთმა ახალშობილმა, ჰეკა-ქუხილის ღვთაება თეშუფმა ბრძოლა გაუმართა თვით ქუმარბის, ტახტიდან ჩამოაგდო იგი და თვითონ გამეფდა ღმერთებზე. მტრებზე შურის საძიებლად ქუმარბი კლდისაგან შობს ვაჟიშვილს — ქვის ურჩხულ ულიქუმის, რომელიც სწრაფად იზრდება ზღვაში. მე-15 დღეს ზღვა მას წელთან სწვდებოდა. ულიქუმი მიიწევს მაღლა-მაღლა, და, ბოლოს, კლდის თავი მისწვდება ცას, სადაც ღმერთთა ტაძრები და სამკვიდ-

რებელია. იგი დგას როგორც ზღვასა და ცას შორის აზიდული სვეტი. თავისი ჩრდილით მან დაფარა ღვთაება თეშუფის ქალაქი ქუმი. ღმერთები შეძრწუნდნენ და ბჭობენ, თუ რა იღონონ, როგორ დაამარცხონ საშინელი ურჩხული. თეშუფი მზად არის ხელიც კი აიღოს სამეფოზე... მაგრამ კეთილი ღვთაება ეა ყველაფერს აგვარებს. იგი რჩევისთვის მიმართავს ღმერთ უფელურის, რომლის ზურგს ეყრდნობა ცა, დედამიწა და ზღვა. სწორედ მის ზურგზე იდგა ქვის სვეტი ულიქუმი. უფელური ეას ურჩევს იშოვოს სპილენძის დანა, რომლითაც წინათ ცა მოსჭრეს დედამიწას... ღმერთები ბრძოლას უმართავენ ულიქუმის, ისინი წყევლიან ქვის მკვლელს. ღვთაება თეშუფი საომარ ეტლზე მჯდარი ქუხილით დაეშვა ზღვისკენ და შეებრძოლა ულიქუმის. ღვთაება ეამ კი თავისი დანით ძირში წასჭრა ქვის სვეტი, რის შემდეგაც ულიქუმი დამარცხებული დაეცემა. ღმერთებმა შვებით ამოისუნთქეს...

დამწერლობა. ხურიტებს დამწერლობა ჯერ კიდევ ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ჰქონდათ. ამ დროს ისინი ხმარობდნენ აქადურ ლურსმულს და ტექსტებს ადგენდნენ როგორც აქადურ, ასევე ხურიულ ენებზე. ძვ. წ. II ათასწლეულიდან კი მათ შემოიღეს აქადური ლურსმულის ის სახეობა, რომელიც ჩრდილოეთ სირიაში იყო გავრცელებული.

ხელოვნება. ხურიული ხელოვნება საკმაოდ თავისებური და თვითმყოფადია. ამას ამტკიცებს მითანური კერამიკა, გლიპტიკა და სახვითი ხელოვნების სხვადასხვა ძეგლი. მართალია, ხურიულმა ხელოვნებამ გავლენა მოახდინა მეზობელი ხალხების ხელოვნების სხვადასხვა დარგზე, მაგრამ ამავე დროს თვითონაც განიცადა გავლენა ზოგიერთი ძველაღმოსავლური ქვეყნისა, განსაკუთრებით, ბაბილონური ხელოვნებისა.

მითანური კერამიკა, რომელიც აერთიანებს ძირითადად „ხაბურისა“ და „ნუზის“ ტიპის ჭურჭლებს, თავისი სტილითა და ფორმით საგრძნობლად განსხვავდება სხვა მეზობელი ქვეყნების კერამიკისაგან. განსაკუთრებით გამოირჩევა სხვადასხვა დანიშნულების მაღალტანიანი ჭურჭლები, რომლებიც ხშირად მოხატულია. ჭურჭლებს ამშვენებენ ფრინველები, ათასგვარი გეომეტრიული ფიგურები. კერამიკის ნიმუშები აღმოჩენილია არა მარტო საკუთრივ ხური-მითანის ტერიტორიაზე (ჩაგარ-ბაზარში თელ-ფახარიაში), არამედ მის მეზობელ რაიონებშიც (ნუზი-არაფხაში, ალალახში და ჩრდილოეთ სირიის სხვადასხვა ადგილას).

მითანურ გლიპტიკას ძირითადად ცილინდრული საბეჭდავებით ვიცნობთ (საკუთრივ მითანიდან, ნუზიდან, ალალახიდან). მათზე აღბეჭ-

დილია სხვადასხვა მოტივი, რომელთაგან ზოგიერთი ბაბილონური გლიპტიკიდან არის აღებული. გვხვდება შერეული მოტივებიც, რომელთა ნაწილი ადგილობრივია. საბეჭდავებზე გამოსახულია ნადირობის სცენები, საომარი ეტლით ან იარაღით ბრძოლის ცალკეული მომენტები, ცხოველებთან შერკინების სცენები. მითანური საბეჭდავების ამ სტილის ტიპური მაგალითია საუშშათარის საბეჭდავის გამოსახულება ერთ ლურსმულ ფირფიტაზე, რომელიც ნუზიში იპოვეს.

ხურიული სახვითი ხელოვნების სხვადასხვა ნიმუში შემორჩა ძირითადად რელიეფის სახით. ესენია ფანტასტიკურ ფრინველთა გამოსახულებანი, ცხოველთა ქანდაკებანი და სხვ.

თავი VI

მცირე აზია უძველესი დროიდან ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულამდე. ხეთების სამეფო

თანამედროვე თურქეთის აზიური ნაწილი — ანატოლია (ბერძნ. Ἀνατολή სიტყვასიტყვით „მზის ამოსვლა; აღმოსავლეთი", თურქ. Anadolu), რომელსაც ძველთაგანვე უწოდებდნენ აგრეთვე „მცირე აზიას", კაცობრიობის ცივილიზაციის ერთ-ერთ უძველეს კერადაა აღიარებული. ეს არის საკმაოდ ვრცელი ტერიტორია, სადაც ათასწლეულთა მანძილზე ხდებოდა სხვადასხვა წარმოშობის ტომთა თუ ხალხთა შერევა. ძველაღმოსავლურ ხანაში აქ არაერთი დიდი თუ პატარა სახელმწიფო წარმოიქმნა, მაგრამ სხვადასხვა გარემოებათა გამო ისინი თანდათან გაქრნენ ისტორიის ასპარეზიდან ისე, რომ ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო მოეღწია ჩვენს ეპოქამდე.

ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე პოლიტიკურ-ეკონომიკურად და კულტურულად უძველესი ხანებიდანვე დაწინაურდა აღმოსავლეთი ანატოლია, განსაკუთრებით კი მცირე აზიის ცენტრალური ნაწილი, სადაც ჩამოყალიბდა სახელმწიფო, რომელიც ერთ-ერთ უდიდეს პოლიტიკურ ძალად გადაიქცა არა მარტო მცირე აზიაში, არამედ მაშინდელ ახლო აღმოსავლეთშიც. ეს იყო ხეთების სანეფო, ანუ ხათი, რომელიც ძვ. წ. II ათასწლეულში არსებობდა და მცირე აზიის ძველ ისტორიაში, სხვა მეზობელ პოლიტიკურ გაერთიანებებთან ერთად, მთელი ეპოქა შექმნა.

§ 1. წყაროები და ისტორიოგრაფია

ანტიკური ხანის ავტორებს არავითარი ცნობები არ შემოუნახავთ ჩვენთვის საინტერესო პერიოდის მცირე აზიაზე, კერძოდ, ხეთების ქვეყანაზე. უფრო მეტიც, მათ საერთოდ არ იცოდნენ, რომ ზემოაღნიშნული ეპოქის ანატოლიაში არსებობდა ცივილიზაცია, რომელიც დიდად არ ჩამოუვარდებოდა მესოპოტამიურსა და ეგვიპტურს. არც ბიბლია გვაწვდის ცნობებს ძვ. წ. II ათასწლეულის დროინდელ ხე-

თებზე. მართალია „ძველ აღთქმაში“ რამდენჯერმეა ნახსენები „ხეთები“ (ებრ. „ჰიტტიმ“, ძვ. ქართული „ქეტელნი“, „ძენი ქეტისნი“), შაგრამ აქ იგულისხმებიან არა II ათასწლეულის ცენტრალურ მცირე აზიაში მოსახლე ტომები, არამედ ის „ხეთები“, რომლებიც ჩრდილოეთ სირიაში ცხოვრობდნენ ძვ. წ. I ათასწლეულში.

II ათასწლეულის მცირე აზიის, კერძოდ, მისი ცენტრალური ნაწილის ისტორიის შესწავლა შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მეცნიერთა განკარგულებაში აღმოჩნდა ე. წ. „კაპადოკიური“ ფირფიტები და, რაც მთავარია, ხეთური ლურსმული ტექსტები. ხეთების ისტორიას ავსებს აგრეთვე ცნობები ეგვიპტური და ასურულ-ბაბილონური წყაროებიდან, თელ-ამარნას, რას-შამრას (უგარითის) და სხვა არქივებიდან. მცირე აზიის მატერიალური კულტურის ისტორიის შესწავლაში დიდ დახმარებას გვიწევს არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა. ხეთების ისტორიის შემსწავლელი წყაროების მიმოხილვას სწორედ არქეოლოგიური გათხრების ისტორიით და მატერიალური კულტურის ძეგლების გაცნობით დავიწყებთ.

ა) არქეოლოგიური გათხრების ისტორია. მატერიალური კულტურის ძეგლები. ანტიკური ხანის ისტორიით გატაცებულმა მკვლევრებმა ჯერ კიდევ XIX ს. დასაწყისიდანვე თურქეთში აღმოაჩინეს ძვ. წ. II ათასწლეულის დროინდელი ძეგლები. გასული საუკუნის 30-იან წლებში ფრანგმა არქეოლოგმა და მოგზაურმა შ. ტექსიემ ერთ-ერთმა პირველთაგანმა იმოგზაურა ანატოლიაში, მოინახულა პატარა თურქული სოფელი ბოზაღქოი და მასთან ახლოს მდებარე იაზილიქაიას კლდეში ნაკვეთი ბარელიეფი. 1839 წ. შ. ტექსიემ პარიზში გამოაქვეყნა წიგნი „მცირე აზიის აღწერა“, სადაც აღნიშნული იყო, რომ ხალხს, რომლის ძლიერებაზე მიუთითებდა ბოღაზქოის ნანგრევები, უძველეს ხანებში უნდა ეცხოვრა მცირე აზიაში.

შ. ტექსიეს შემდეგ ბოღაზქოიში ჩავიდა ინგლისელი უ. ჰამილტონი, რომელმაც აღმოაჩინა უძველესი დროის ნანგრევები სოფელ ალაჯა-ჰუიუქში. 90-იან წლებში ბოღაზქოიში მოეწყო ბერლინის საიმპერიო მუზეუმის ექსპედიცია. ამავე ხანებში აქ ფრანგმა შანტრმა და გერმანელმა შეფერმა აღმოაჩინეს ლურსმული დამწერლობით შესრულებული ტექსტების რამდენიმე ფრაგმენტი.

მიუხედავად დიდი ცდებისა და მონდომებისა, ამ მეცნიერთა და მოგზაურთაგან ვერც ერთმა სწორად ვერ განსაზღვრა ცენტრალურ ანატოლიაში აღმოჩენილი ძეგლების მნიშვნელობა, კერძოდ ის, რომ ყველა ეს ძეგლი ეკუთვნოდათ ძვ. წ. II ათასწლეულის დროინდელ ხეთებს. ტექსიეს აზრით, ბოღაზქოი წარმოადგენდა ანტიკურ ქალაქ ფტერიას (ფტერის), სადაც კროზისი და კიროსი შეებრძოლნენ ერთ-

მანეთს, ხოლო იაზილიქაიას გამოსახულებებმა მას მოაგონა ამაძონებისა და პაფლაგონელების შეტაკება. არც შანტრენა და შეფერმა იცოდნენ, რომ მათ მიერ ნაპოვნი ფრაგმენტები ხეთურ ენაზე იყო შედგენილი.

XIX ს-ში მართლაც არავის შეეძლო გაენეხილა ბოღაზქოი როგორც ხეთების სახელმწიფოს დედაქალაქი, ხოლო იაზილიქაია — ხეთურ ღვთაებათა პროცესია ცალკეულ მეფეთა პორტრეტებით. ამის მიზეზი იყო ის, რომ XIX ს. ბოლოსათვის ხეთების ქვეყანას სპეციალისტები ათავსებდნენ არა ანატოლიაში, არამედ ჩრდილოეთ სირიაში, სადაც აღმოაჩინეს მანამდე უცნობი იეროგლიფური დამწერლობით შესრულებული მრავალი წარწერა.

გასული საუკუნის 70-იანი წლების დასასრულისათვის მეცნიერებმა ყურადღება მიაქციეს იმ ფაქტს, რომ ჩრდილოეთ სირიაში აღმოჩენილი იეროგლიფური დამწერლობით შესრულებული იყო აგრეთვე რამდენიმე წარწერა ანატოლიიდან (იაზილიქაიას კლდეზე, ბოღაზქოის ერთ ძველ გალავანში ნიშან-თაშის კლდეზე, ივრიზში და სმირნის მიდამოებში). ყოველივე ამან საშუალება მისცა ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორს არჩიბალდ სეისს და უილიმ რაიტს წამოეყენებინათ მოსაზრება, რომ ჩრდილოეთ სირიასა და მცირე აზიაში აღმოჩენილი იეროგლიფური ძეგლები და წარწერები ეკუთვნოდათ ხეთებს, რომელთა პირველსაცხოვრისი, მათი აზრით, სირია იყო, საიდანაც უნდა მომხდარიყო მათი განსახლება ანატოლიისაკენ. ბიბლიის „ჰიტტიმს“, რომელიც მართლაც ჩრდილოეთ სირიაში იყო საძიებელი, მაშინვე დაუკავშირეს ეგვიპტურ იეროგლიფურ და ასურულ წარწერებში მოხსენიებული „ხეთა“ და „ხათი“, ისევე როგორც თელ-ამარნას არქივის აქადურად შედგენილი ტექსტების „ხათი“.

ეს შეხედულება XX ს. დასაწყისამდე ბატონობდა სამეცნიერო ლიტერატურაში. ამასობაში კი ჩრდილოეთ სირიაში აღმოჩენილ იქნა კიდევ მრავალი იეროგლიფური წარწერა, რომლებსაც უკვე „ხეთურს“ უწოდებდნენ.

როგორც შემდგომ გაირკვა, ეს წარწერები სრულიადაც არ წარმოადგენდნენ ნამდვილ ხეთურ ტექსტებს, რომლებიც მაშინ არც კი იყო აღმოჩენილი, თუ არ ჩავთვლით ზემოაღნიშნულ ორ ფრაგმენტსა და თელ-ამარნას არქივში დაცულ ე. წ. „არცავას წერილებს“ (სულ ორ ფირფიტას). ამათ მაშინ არავინ არ განიხილავდა როგორც II ათასწლეულის დროინდელი ხეთების ენაზე შედგენილ ტექსტებს. ასე რომ, ხეთების პრობლემა გადაუჭრელი დარჩა XX ს. დამდეგისათვის, როცა ასირიოლოგიამ პირველ დიდ წარმატებებს მიაღწია. ხეთურ საიდუმლოებას ფარდა ახადა მხოლოდ გერმანელი აღმოსავლეთმცოდნის, „პანბაბილონიზმის“ ერთ-ერთი ავტორის, ჰუგო ვინკლერის გა-

თხრებმა, რომლებიც 1906 წ. დაიწყო ბოღაზქოიში „გერმანიის აღმოსავლური საზოგადოების“ მხარდაჭერით და 1912 წ-მდე გაგრძელდა.

ჰ. ვინკლერისა და მისი თანაშემწის — მაკრიდი ბეის — გათხრების შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ბოღაზქოიში გამომზეურებულ იქნა 10.000-ზე მეტი ლურსმული ფირფიტა და ფრაგმენტი, რომელთა ერთი ნაწილი შედგენილი იყო სპეციალისტებისათვის უკვე კარგად ცნობილ აქადურ ენაზე. ამ უკანასკნელი წარწერების გაცნობის შემდეგ ჰ. ვინკლერისათვის აშკარა გახდა, რომ ბოღაზქოის არქივი ეკუთვნოდათ იმ ხეთებს, რომლებიც ძვ. წ. II ათასწლეულში, თელ-ამარნას ფირფიტებისა და ეგვიპტური წარწერების ხანაში ცხოვრობდნენ მცირე აზიაში და არა ჩრდილოეთ სირიაში, ხოლო თვითონ ბოღაზქოი ხეთების დედაქალაქი იყო.

ბოღაზქოის არქივის დიდი ნაწილის წაკითხვა მაშინვე არ მოხერხდა, თუმცა ფირფიტები შედგენილი იყო იმავე ლურსმული დამწერილობით, როგორც აქადურ ენაზე დაწერილი ტექსტები. „არცავას წერილებისა“ და ამ ფირფიტების შედარებამ ვინკლერი დაარწმუნა, რომ მას საქმე ჰქონდა ერთსა და იმავე, კერძოდ, ხეთურ ენაზე შედგენილ ტექსტებთან, რომელთა გაშიფვრისას მეცნიერები მოულოდნელ სიძნელეებს წააწყდნენ. ვინკლერისა და სხვა მრავალი სპეციალისტის ცდები, ამოეკითხათ ეს ფირფიტები, უშედეგოდ მთავრდებოდა, რადგან ისინი ვერ ახერხებდნენ დაედგინათ ფირფიტების ენა. ამის გაკეთება შეძლო მხოლოდ ჩეხმა ასირიოლოგმა ბედრიხ ჰროზნიმ, რომელმაც 1915 წ. გაშიფრა ამ წარწერების ენა და დაადგინა. რომ იგი ინდოევროპულ ენათა ოჯახს განეკუთვნებოდა. ლურსმული ფირფიტების შემდგენლები თავიანთ ენას უწოდებდნენ არა „ხეთურს“, არამედ „ნესურს“ (ზოგჯერ „ქანესურს“), რომელიც წარმომდგარია მცირეაზიული ქალაქის სახელწოდებისაგან „ნესა“ (ანდა „ქანესი“). მათ დედაქალაქს, რომელიც ბოღაზქოის ადგილას იყო, ხათუსა ერქვა, ხოლო ქვეყანას — ხათი. ეს უკანასკნელი გეოგრაფიულად მცირე აზიით შემოიფარგლებოდა და II ათასწლეულში სრულიადაც არ მოიცავდა ჩრდილოეთ სირიას.

ბოღაზქოის აღმოჩენებმა კიდევ უფრო გაზარდა ინტერესი მცირე აზიის უძველესი ძეგლებისადმი. ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში ქიულ-თეფეს თხრიდა ბ. ჰროზნი, ხეთური ლურსმული წარწერების გამშიფვრელი, რომელმაც იპოვა მრავალი „კაპადოკიური“ ფირფიტა. იმავე ხანებში რამდენიმე ახალი საყურადღებო ძეგლი აღმოაჩინეს მცირე აზიაში ჰ. ოსტენმა და ი. გელბმა. ოსტენმა შემდგომ გათხარა ალიშარ-ჰუიუქი, ანატოლიის ერთ-ერთი უძველესი მნიშვნელოვანი ძეგლთაგანი, სადაც ძვირფას არქეოლოგიურ მასალასთან ერთად, აღმოჩნდა აგრეთვე „კაპადოკიური“ ფირფიტები. 1931-35 წწ., ხოლო

შემდეგ 1952 წლიდან უკვე კურტ ბიტელი ხელმძღვანელობს ბოღაზ-ქოის ახალ გათხრებს.

ანატოლიაში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ მეცნიერებას შესძინა უძვირფასესი მასალა, რომელიც შუქს ფენს მცირე აზიის ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეპოქას პალეოლითიდან დაწყებული ადრეული რკინის ხანამდე. არქეოლოგიური მასალა შესაძლებელს ხდის მეტ-ნაკლები სიზუსტით აღვადგინოთ სხვადასხვა პერიოდის მოსახლეობის ცხოვრებისა და მეურნეობის, საწარმოო ძალთა თანდათანობით განვითარების სურათები. განსაკუთრებით მდიდარი მასალა დაგროვდა ბრინჯაოს (ადრე, შუა და გვიანი) ხანის ანატოლიაზე.

ბ) წერილობითი წყაროები.

1. „კაპადოკიური“ ფირფიტები. ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისის აღმოსავლეთი მცირე აზიის, განსაკუთრებით კი, ცენტრალური ანატოლიის საზოგადოების ისტორია, რომელიც წინ უსწრებს ხეთურ ხანას, ამჟამად შეისწავლება უმთავრესად ე. წ. „კაპადოკიური“ ფირფიტების მიხედვით. ესენია ლურსმული დამწერლობით შედგენილი ტექსტები, რომლებსაც გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან პოულობდნენ კაპადოკიაში, რის გამოც მათ „კაპადოკიური“ უწოდეს. მათი წარმოშობის ძირითადი ადგილია ქიულ-თეფე (თანამ. კაისერის ახლოს), სადაც ძველი მცირეაზიული ქალაქი ქანიში (ხეთური წყაროების ქანესი), იგივე ნესა, მდებარეობდა. 1891 წ. ცნობილმა რუსმა აღმოსავლეთმცოდნემ ვ. ს. გოლენიშჩევმა გამოაქვეყნა მის მიერ კაისერიში შეძენილი რამდენიმე ათეული „კაპადოკიური“ ფირფიტა და პირველმა ზუსტად განსაზღვრა ამ წარწერების ენა, როგორც აქადური ენის ძველასურული დიალექტი. ბ. ჰროზნის გათხრებმა ქიულ-თეფეში კი ათასობით ახალი ასეთი ფირფიტა შესძინა მეცნიერებას. ასეთივე ტექსტები იპოვეს აგრეთვე ალიშარ-ჰუიუქსა და ბოღაზქოიში. „კაპადოკიური“ ფირფიტების რიცხვი ამჟამად რამდენიმე ათეულ ათასს აღწევს და ეხება ძვ. წ. XIX—XVIII საუკუნეებს. ბევრი მათგანი გამოცემულია მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას, მათ შორის საბჭოთა კავშირშიც.

„კაპადოკიური“ ლურსმული ტექსტების დიდი ნაწილი ასახავს აღმოსავლეთ მცირე აზიის სხვადასხვა ადგილას არსებული უცხო ქვეყნების სავაჭრო გაერთიანებათა საქმიანობას, რომელსაც ეწეოდნენ არა მარტო აღმოსავლელი (ასურელი), არამედ დასავლელი სემიტები — ამორეელები (ე. ი. სირიისა და, საერთოდ ევფრატის დასავლეთით მცხოვრები სემიტები). ეს არის ოფიციალური თუ კერძო მიმოწერა, ანდა სამართლებრივი ხასიათის სხვადასხვა დოკუმენტი. ამავე

დროს ამ ფირფიტების ერთი ნაწილი ასახავს აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების სხვადასხვა მხარეს.

2. ბოღაზქოის (ხათუსას) არქივი. ბ. ჰროზნის ეპოქალური აღმოჩენის — ბოღაზქოის ლურსმული ფირფიტების გაშიფვრის — შემდეგ გაირკვა, რომ ხათუსას არქივის ტექსტები, რომლებიც ძირითადი წყაროა ხეთების ისტორიისათვის, რამდენიმე ენაზე იყო შედგენილი. უმეტესწილად ფირფიტები დაწერილი იყო „ნ ე ს უ რ ა დ“, ანუ „ქანესურად“, ე. ი. იმ ენაზე, რომელზედაც ლაპარაკობდნენ ხეთები ძვ. წ. II ათასწლეულის დროინდელ ცენტრალურ მცირე აზიაში. ამჟამად სპეციალისტები ამ წარწერების ენას უწოდებენ აგრეთვე ხეთურ ლურსმულს, ასხვავებენ რა მას ხეთური იეროგლიფურისაგან (იხ. ქვემოთ).

ბოღაზქოის არქივის ერთი ნაწილი შედგენილია „ლ უ ვ ი უ რ ა დ“, ე. ი. ლუვიის — მცირე აზიის სამხრეთით მდებარე ქვეყნის — მცხოვრებთა ენაზე, რომელიც ხეთური ლურსმულის (ნესურის) ახლო მონათესავეა.

აღნიშნულ არქივში შემოინახა რელიგიური შინაარსის წარწერები, რომლებიც „ფ ა ლ ა უ რ ა დ“, ანუ ფალას (მცირე აზიის ჩრდილოეთში ან ჩრდ.-აღმოსავლეთში მდებარე ქვეყნის) მკვიდრთა ენაზეა შედგენილი. ეს უკანასკნელი ენათესავება ნესურსა და ლუვიურს. ზემოჩამოთვლილ სამ ენას სპეციალისტები აერთიანებენ ინდოევროპულ ენათა ჯგუფში და უწოდებენ „ანატოლიურს“, რომელსაც აკუთვნებენ აგრეთვე ხეთურ იეროგლიფურს და ძვ. წ. I ათასწლეულის ანატოლიაში დადასტურებულ ენებს: ლიკიურს, ლიდიურსა და კარიულს.

ზემოაღნიშნულ სამ ენაზე შედგენილ წარწერებთან ერთად, ხათუსას არქივში აღმოჩნდა აგრეთვე „ხ ა თ უ რ ა დ“, ე. ი. ხათის ქვეყნის მკვიდრთა ენაზე დაწერილი ტექსტებიც. როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, ამ ენაზე უნდა ელაპარაკა ცენტრალური მცირე აზიის — ხათის — მოსახლეობას ძვ. წ. III ათასწლეულში, ე. ი. წინახეთურ ხანაში, ინდოევროპულ ტომთა გამოჩენამდე. ამის გამო ხათურ ენას უწოდებენ აგრეთვე პროტოხეთურს, ხოლო ცენტრალური ანატოლიის ადრეულ მოსახლეობას — პროტოხეთებს (ე. ი. ხეთებამდელი ხანის მცხოვრებლებს). ხათური ენა, რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი სტრუქტურულად ამსგავსებს ადიღეურ-აფხაზურ ენებს, ძვ. წ. II ათასწლეულში აღარ იხმარებოდა მცირე აზიაში.

ხეთური ფირფიტები. რომლებიც ნაპოვნია ხათუსას ბიბლიოთეკის ორ დიდ არქივსა და რამდენიმე ტაძარში, სხვადასხვა შინაარსისაა. ამ ტექსტების ნახევარი რელიგიური ხასიათის ძეგლებია. ესენია: რიტუალები, შელოცვანი, წყევლის ტექსტები, მითები, თქმულებები და

ა. შ. ტექსტების დანარჩენი ნაწილი საკმაოდ მდიდარია შინაარსობრივად. აქ გვხვდება საბიბლიოთეკო კატალოგები და ეტიკეტები, შუმერულ-აქადურ-ხეთური ლექსიკონები, საინვენტარო და ცალკეულ პირთა სიები, ტექსტები ხეთურ მეცხენეობაზე.

მდიდარი მასალაა დაცული ხეთურ წყაროებში, რომლებიც ძვ. წ. II ათასწლეულის დროინდელი ცენტრალური მცირე აზიის, კერძოდ, ხეთების სამეფოს ისტორიასა და, საერთოდ, ხეთურ საზოგადოებას ასახავენ. ისტორიულ-პოლიტიკური ხასიათის მრავალი დოკუმენტი შესაძლებლობას იძლევა აღვადგინოთ ხეთების სახელმწიფოს პოლიტიკური განვითარების სურათი მისი არსებობის თითქმის მთელს მანძილზე. ამ მხრივ აღსანიშნავია „ანითას ტექსტი", ხათუსილი I-ის „ანალები" და ე. წ. „ანდერძი" (ორივე დოკუმენტი დაწერილი იყო ხეთურ და აქადურ ენებზე), მეფე თელიფინუს „კანონმდებლობა" ტახტის მემკვიდრეობაზე, სუფილულიუმა I-ის, მურსილი II-სა და თუთხალია IV-ის „ანალები", ხათუსილი III-ის ე. წ. „ავტობიოგრაფია", ხეთების მეფეთა სიები, მათ მიერ დადებული ხელშეკრულებები როგორც მცირე აზიის სხვადასხვა ქვეყანასთან, ასევე ჩრდილოეთ სირიის სამეფოებთან, ეგვიპტესთან, მითანისთან და ა. შ.

ხეთური საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრება ასახულია სხვადასხვა ხასიათის დოკუმენტებში. განსაკუთრებითაა აღსანიშნავი ხეთური კანონების კრებული, რომელიც 200-ზე მეტ მუხლს შეიცავს (ვარიანტებითურთ) და ხეთური საზოგადოების სხვადასხვა მხარეს ეხება. არქივში დაცულია აგრეთვე სასამართლო ოქმები. მიწის ბოძების დოკუმენტები, მეფის მბრძანებულებები, სასაზღვრო ოლქების მმართველთა ინსტრუქციები თუ სხვა ხასიათის ტექსტები, რომლებიც ძვირფასი წყაროა ხეთების სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების შესასწავლად. ამ მხრივ საყურადღებოა აგრეთვე რელიგიური და ისტორიულ-პოლიტიკური ხასიათის მრავალი ფირფიტა.

3. ეგვიპტური და ასურულ-ბაბილონური წყაროები. თელ-ამარნას არქივი. ეგვიპტურ იეროგლიფურ ტექსტებში „ხეთას" მოხსენიება იწყება XVIII დინასტიის დროიდან, როცა თუტმოს III (XV ს.) სირიის ჩრდილოეთ რაიონებში შეიჭრა და ევფრატი გადალახა. ეგვიპტურმა წარწერებმა შემოინახეს ვრცელი მოთხრობა ქალაქ კადეშთან ხეთებისა და ეგვიპტელების მძაფრი ბრძოლისა, რომელიც აღწერა ეგვიპტელმა პოეტმა პენტაურმა. ჩვენამდე მოაღწია ეგვიპტურად და აქადურად შედგენილმა საზავო ხელშეკრულებამ, რომელიც დაიდო ფარაონ რამსეს II-სა და ხეთების მეფე ხათუსილი III-ს შორის. ხელშეკრულების იეროგლიფური ასლი შემოინახა კარნაკის ტაძრის კედელზე და რამესეუმში, თებეში.

ასურულ-ბიბლიურ წყაროებში „ხათის“ უძველესი მოხსენიება განეკუთვნება სამსუდითანას მეფობის ხანას, როცა ხეთებმა ბაბილონს ილაშქრეს და ბოლო მოუღეს ბაბილონის პირველ დინასტიას.

ხეთების სამეფოსთან დაკავშირებით საყურადღებო ცნობებია დაცული თელ-ამარნას არქივში, რომელიც შეიცავს „მეფე-ერეტიკოსის“ — ამენჰოტეპ IV-ის, იგივე ეხნატონის, მეფობის დროინდელ (დაახლ. ძვ. წ. 1424—1388) დიპლომატიურ კორესპოდენციას აქადურ ენაზე. ხეთების ისტორიასთან დაკავშირებით საინტერესოა სირიელ და პალესტინელ ვასალთა წერილები ფარაონებისადმი. მათში ხშირად იხსენიება ხათის მეფე და საუბარია ხეთების სამხედრო ოპერაციებზე ჩრდილოეთ სირიაში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სუფილულიუმა I-ის მიერ ეხნატონისადმი გაგზავნილი ფირფიტა, რომლითაც ხეთების მეფე ტახტზე ასვლას ულოცავს ფარაონს. თელ-ამარნას არქივმა შემოგვინახა ზემოაღნიშნული „არცავას წერილები“ ხეთურ ლურსმულ ენაზე.

4. ტექსტები მარის, ალალახისა და უგარითის (რას-შამარას) არქივებიდან. ძვ წ. II ათასწლეულის დასაწყისის ცენტრალური მცირე აზიის ზოგიერთი ქალაქი თუ ქვეყანა (ხათუსა, ქანესი, ხარსამნა) დასახელებულია არქივში. რომელიც აღმოაჩინეს მარიში (ევფრატის შუა წელის მარჯვენა სანაპიროზე). ხათის ქვეყანაზე საუბარია ალალახის რამდენიმე ფირფიტაში (ალალახი ჩრდილოეთ სირიის ერთ-ერთი სამეფო იყო). ეს ტექსტები ხეთების ახალი სამეფოს დროინდელია. ხეთების სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური სტრუქტურისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს რამდენიმე ასეულ ხეთურ ლურსმულ ფირფიტას, რომლებიც თანამედ. რას-შამრაში, ძველ უგარითში (სირიაში) იპოვეს. გარდა ამისა, უგარითში აღმოჩნდა უგარითულ ენაზეც შედგენილი მრავალი ტექსტი (ხეთების მეფეთა წერილები, ცალკეული წარწერები ხათის ქვეყნის მოხსენიებით და სხვ.).

5. ხეთური იეროგლიფური წარწერები. ეს სახელწოდება შემორჩათ იმ იეროგლიფური დამწერლობით შესრულებულ ტექსტებს, რომლებსაც XIX ს. პოულობდნენ ჩრდილოეთ სირიაში და თავიდანვე „ხეთური“ უწოდეს (იხ. ზემოთ). როგორც მოგვიანებით გაირკვა, სირიიდან მომდინარე თითქმის ყველა ეს იეროგლიფური ძეგლი ძვ. წ. I ათასწლეულს განეკუთვნება. ამ დროისათვის აქ არსებობდა პატარა სამთავროები, რომლებიც ხეთების სამეფოს განადგურების შემდეგ წარმოიშვნენ ჩრდილოეთ სირიაში და ეთნიკურად ენათესავებოდნენ ხეთებს, უფრო სწორად, ლუვიელებს (მცირე აზიის სამხრეთში მცხოვრებ ტომებს). ძვ. წ. I ათასწლეულის დროინდელი ასურული და ურარტული წყაროები კი ჩრდილოეთ სირიას და მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილს „ხათეს ქვეყანას“ უწოდებდნენ. სწორედ ეს გა-

რემოება აისახა „ძველ აღთქმაში“, რომლის მიხედვით „ძენი ქეტისნი“ ჩრდილოეთ სირიის მცხოვრებნი გამოდიან, რამაც აიძულა XIX ს-ის მკვლევრები ამ წარწერებისათვის „ხეთური“ ეწოდებინათ.

ამ იეროგლიფების ენა კი სრულიად არ არის ხეთური (ნესური), თუმცა იგი მისი მონათესავეა. ეს ენა ეკუთვნის ანატოლიურ ენათა ჯგუფს და წარმოადგენს ლუვიური ლურსმულის მოგვიანო დიალექტს, რომლისაგან განსასხვავებლად მეცნიერები მას აგრეთვე ლუვიურ იეროგლიფურსაც უწოდებენ, რაც უფრო მართებულია. ვარაუდობენ, რომ ეს დამწერლობა ლუვიელების მიერ უნდა იყოს შემოღებული.

ამ ენაზე შედგენილი ადრეული წარწერები. რომლებიც ძვ. წ. II ათასწლეულს განეკუთვნებიან, გვხვდება ანატოლიაშიც, ხეთების სამეფოს ტერიტორიაზე, რაც იმაზე მიუთითებს რომ ხეთურ (ლუვიურ) იეროგლიფურ დამწერლობას II ათასწლეულის დროინდელი ხეთებიც ხმარობდნენ. ამ დამწერლობით შესრულებული ადრეული ხანის წარწერები (საბეჭდავებზე, კლდეებზე) მცირერიცხოვანია და ზოგჯერ გაუგებარიც. მიუხედავად ამისა, ისინი განსახილველია როგორც ერთ-ერთი წყარო ხეთების ისტორიისა და ხეთური კულტურისა.

გ) ხეთოლოგიის განვითარება.

ხეთოლოგია თავის საწყისებს იღებს გასულ საუკუნეში, განსაკუთრებით კი 80-იან წლებში, როცა გამოქვეყნდა ა. სეისის ნაშრომი „ხეთები მცირე აზიაში“ (1880 წ.) და უ. რაიტის წიგნი „ხეთების იმპერია“ (1884 წ.). ამ დროიდან მოყოლებული ხეთების საკითხი გასცილდა სპეციალისტთა ვიწრო წრეს და ფართო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. შემდგომში კი აღმოსავლეთმცოდნეობის ეს დარგი თანდათანობით ნამდვილ მეცნიერებად გადაიქცა.

XX ს. დასაწყისამდე არავინ შესდავებია ა. სეისის დებულებას, რომლის თანახმად ხეთები წარმოშობით ჩრდილოეთ სირიიდან იყვნენ და ნელ-ნელა გავრცელებულან ანატოლიაში. ხეთური პრობლემის გადაჭრაში დიდი ნაბიჯები გადაიდგა XX ს. დასაწყისშივე, როცა დაიწყო გათხრები ბოღაზქოიში. ბოღაზქოის აღმოჩენების ახალი მოულოდნელი შედეგები განაზოგადა ჯ. გარსტანგმა თავის წიგნში „ხეთების ქვეყანა“ (1910 წ.), რომელიც ეყრდნობოდა ჰ. ვინკლერის ანგარიშს გათხრების პირველი დიდი წარმატებების შესახებ. მაგრამ ხეთური პრობლემა ჯერ კიდევ არ იყო მთლად გადაწყვეტილი. ეს მოხდა 1915 წლის 15 ნოემბერს, როცა ბ. ჰროზნიმ ბერლინის „წინააზიურ საზოგადოებას“ მოახსენა თავისი შედეგები ხეთური ტექსტების შესახებ. ეს იყო „ხეთოლოგიის დაბადების ნამდვილი დღე“ (ე. ვაიდნერი). ორი წლის შემდეგ გამოქვეყნდა ბ. ჰროზნის წიგნი „ხეთების

ენა", რომელმაც მთელი გადატრიალება შეიტანა ხეთურ საკითხში, დააყენა რა იგი ახალ, სწორ გზაზე.

მიმდინარე საუკუნის 20-იანი წლებიდან დაიწყო ბოღაზქოის ლურსმული ფირფიტების პუბლიკაცია. სწორედ ამ ხანებიდან ბ. ჰროზნის, ე. ფორერის, ა. გოეცესა და სხვათა თაოსნობით გამოსვლას იწყებენ სერიები: „ლურსმული დოკუმენტები ბოღაზქოიდან" და „ლურსმული ტექსტები ბოღაზქოიდან". ამას გარდა, მრავალი ხეთური ფირფიტა იქნა გამოქვეყნებული სპეციალური კრებულების, წიგნების ან ცალკეული ტექსტების სახით. ხეთური ტექსტები გამოქვეყნებულია საბჭოთა კავშირშიც. ტექსტების პუბლიკაცია გრძელდება, რასაც ამჟამად წარმატებით ახორციელებენ გერმანელი ხეთოლოგები.

20-იანი წლებიდანვე ჩაეყარა მყარი საფუძველი ხეთურ ენათმეცნიერებას. ამ დარგში დიდი წვლილი შეიტანეს ფ. ზომერმა, ი. ფრიდრიხმა, ა. გოეცემ და სხვებმა, რომელთა ნაშრომებმა მნიშვნელოვნად გაამდიდრეს ხეთოლოგია. უკვე 30-იანი წლებიდან გამოდის ხეთური ენის რამდენიმე გრამატიკა (ლ. დელაპორტისა, ე. სტერტევანტისა), ლექსიკონები (ე. სტერტევანტისა), იბეჭდება უამრავი გაანოკვლევა ხეთური ენათმეცნიერების დარგში. 1952 წ-დან ნაკვეთების სახით იწყო გამოსვლა ი. ფრიდრიხის „ხეთურმა ლექსიკონმა".

30-იანი წლებიდან დიდი ყურადღება ექცევა ხეთების ისტორიასა და კულტურას, რასაც ეძღვნება მრავალი განმაზოგადებელი ნაშრომი (ლ. დელაპორტისა, ე. კავენიაკისა), რომელთაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა ა. გოეცეს წიგნი „მცირე აზია" (1933 წ.). ამ ნაშრომის მეორე გამოცემაში (1957 წ.) ავტორმა განაზოგადა ახალი მიღწევები ხეთური საზოგადოების დარგში. უნდა აღინიშნოს აგრეთვე ო. გერნის ნარკვევი „ხეთები" (1952 წ.), რომელიც დღემდე რამდენჯერმე გამოიცა (1987 წელს რუსულად).

სწრაფი ტემპით იწყო განვითარება მცირე აზიის არქეოლოგიამ. 30-იანი წლებიდან დღემდე ამ დარგში გამოქვეყნდა უთვალავი სტატია, მონოგრაფია, კრებული. ანატოლიის არქეოლოგიაში არსებულ განმაზოგადებელ ნაშრომთაგან აღსანიშნავია კ. ბიტელის წიგნი მცირე აზიის წინარე და ადრეული ხანის ისტორიის შესახებ. უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე დიდ წარმატებებს მიაღწიეს თურქმა არქეოლოგებმა.

40—50-იანი წლებიდან ხეთოლოგიის ასპარეზზე გამოდის ხეთოლოგთა ახალი პლეადა, რომელთა თვალსაჩინო წარმომადგენლებს — ჰ. ოტენს, ა. კამენჰუბერს, ე. ლაროშს და სხვებს — მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ მსოფლიო ხეთოლოგიის განვითარებაში.

ხეთოლოგიის დარგში მუშაობენ საბჭოთა კავშირშიც. ხეთური ენათმეცნიერების, ხეთების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის საკითხებს ამჟამად იკვლევენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში — თბილისში, ლენინგრადში, მოსკოვში, მინსკში, ერევანში.

§ 2. ქვეყნის ბუნებრივი პირობები

მცირე აზიის რელიეფის თავისებურებამ განაპირობა რამდენიმე ლოკალური კულტურული რაიონის (ცენტრალურის, სამხრეთის, სამხრეთ-დასავლეთის, ჩრდილო-დასავლეთისა და ა. შ.) წარმოქმნა, რომლებსაც სპეციალისტები ორ დიდ კულტურულ მხარედ — დასავლეთანატოლიურ და აღმოსავლეთანატოლიურ კულტურულ ოლქებად ყოფენ. ეს უკანასკნელი მოიცავს ჩვენთვის საინტერესო რაიონს — ცენტრალურ მცირე აზიას, სადაც ჩამოყალიბდა და განვითარდა ხეთური საზოგადოება.

ასეთი რელიეფი ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მეცხოველეობის განვითარებისთვის. მიწათმოქმედება შეიძლებოდა განვითარებულიყო მხოლოდ დაბლობ ადგილებსა და მდინარეების ხეობებში. არქეოლოგიური მასალები და წერილობითი წყაროების ცნობები, მართლაც, ადასტურებენ, რომ ძვ. წ. III და II ათასწლეულების დროინდელ მცირე აზიაში მეცხოველეობა, ისევე როგორც მიწათმოქმედება, საკმაოდ დაწინაურებული ყოფილა.

ანატოლიის დიდი ნაწილი (ეგეოსის, ხმელთაშუა და შავი ზღვების სანაპიროები) სუბტროპიკული კლიმატის ზონაში მდებარეობს. ზღვებისაგან იზოლირებული შიდა რაიონების კლიმატი კი კონტინენტურია. როგორც ვარაუდობენ, ასეთი კლიმატური პირობები ერთ-ერთი ხელშემწყობი გარემოება უნდა ყოფილიყო ადამიანთა საზოგადოების დაწინაურებისა და გავრცელებისათვის დედამიწის ამ რეგიონში.

ანატოლიის თითქმის ყველა მდინარე, რომლებიც თავიანთი წყლის მარაგით ვერ შეედრებიან წყალუხვ მდინარეებს — ნილოსს ან ევფრატსა და ტიგროსს, სათავეს იღებს მთებში და სწრაფად მიედინება ღრმა ქვიან კალაპოტში. ზაფხულობით მდინარეების წყალი მნიშვნელოვნად იკლებს, ხოლო ზოგიერთი პატარა მდინარე საერთოდ ქრება შემოდგომამდე.

ასეთმა ვითარებამ გამოიწვია ის, რომ ძველ მცირე აზიაში მდინარეებს — ყიზილ-ირმაკს (ანტიკ. ჰალისი — ხეთები ამ მდინარეს ეძახდნენ მარასანთას ან მარასანთიას), იეშილ-ირმაკს (ანტიკ. ლიკუსი),

საქარიას (ანტიკ. სანგარიუსი), მენდერესს (ანტიკ. მეანდერი), სეიჰანს (ანტიკ. სარუსი), ჯეიჰანს (ანტიკ. პირამუსი) თუ სხვებს — სათანადოდ ვერ იყენებდნენ ვერც მორწყვისათვის და ვერც ნაოსნობისათვის. სწორედ ამ გარემოების გამო ვერ განვითარდა მცირე აზიაში ირიგაცია — ხელოვნური მორწყვის სისტემა, რომელიც მესოპოტამიასა და ეგვიპტეში მაღალ დონეზე ავიდა. ზღვის სანაპიროზე მდებარე რაიონებში ძველთაგანვე უნდა ყოფილიყო განვითარებული ზღვაოსნობა, რასაც გვიკარნახებს ხეთურ წყაროებში დაცული ცნობები, რომლებშიც იხსენიება ხომალდები (ხეთების მიერ სამხრეთ ანატოლიის დაპყრობასთან დაკავშირებით). თვითონ ხეთები, ცენტრალური მცირე აზიის მცხოვრებნი, ზღვაოსნობას არ მისდევდნენ.

მცირე აზია ძველთაგანვე მდიდარი იყო წიაღისეული სიმდიდრეებით. აქ დიდი რაოდენობით იყო ლითონი, განსაკუთრებით კი სპილენძი და ვერცხლი, რომელთა მოპოვება უძველესი დროიდანვე წარმოებდა. უფრო გვიან, განსაკუთრებით კი ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან, აქ დიდად განვითარდა ლითონების დამუშავება.

დაახლოებით ასეთ ბუნებრივ პირობებში ვითარდებოდა მცირე აზიის საზოგადოება ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში. გეოგრაფიულმა გარემომ სათანადო გავლენა იქონია ანატოლიის ისტორიული განვითარების მსვლელობაზე, მან გარკვეული როლი ითამაშა ამ განვითარების თავისებურებათა განსაზღვრასა და ჩამოყალიბებაში. მცირე აზიის გადაქცევას ცივილიზაციის ერთ-ერთ უძველეს ცენტრად უდავოდ შეუწყო ხელი მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ: წარმოადგენდა რა უდიდეს ნახევარკუნძულს, ანატოლია უძველესი ეპოქიდან იყო წინა აზიისა და ეგეოსის სამყაროს დამაკავშირებელი; იგი ერთგვარი ხიდი იყო ცივილიზებულ აღმოსავლეთსა და იმდროინდელ დასავლეთს შორის.

§ 3. მოსახლეობა

მცირე აზია ადამიანის განსახლების ერთ-ერთ უძველეს რაიონადაა აღიარებული. არქეოლოგიურმა გათხრებმა დადასტურეს, რომ ადამიანებს, აქ ქვედა პალეოლითის ხანიდან უცხოვრიათ.

ანატოლიის ადრეული (წინახეთური) ხანის მოსახლეობაზე წერილობითი წყაროები გარკვევით არაფერს მიუთითებენ. „კაპადოკიური" ფირფიტებისა და ხეთური ტექსტების მონაცემებით კი ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგი სურათის წარმოდგენა შეიძლება. გამოთქმულია ვარაუდი, რომელიც დღემდეა გაბატონებული სამეცნიერო ლიტერატურაში, რომ ცენტრალური მცირე აზიის უძველეს

ადგილობრივ მოსახლეობად უნდა მივიჩნიოთ პროტოხეთები, ხათურ ენაზე მოლაპარაკე ტომები, რომელთაც უნდა შეექმნათ ალაჯა I—II და ალიშარ III ფენების კულტურა. მათი ეთნიკური ვინაობის საკითხი ჯერჯერობით არ არის დადგენილი, თუმცა ვარაუდობენ მათ კავშირს დასავლურ-კავკასიურ სამყაროსთან.

ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისისათვის მცირე აზიაში უკვე ცხოვრობდნენ ინდოევროპული წარმოშობის ტომები, რაც დასტურდება „კაპადოკიურ" ფირფიტებში შემონახული პირთა სახელებით, ანდა ცალკეული სიტყვებით, რომლებიც შემდგომ ხეთურ ლექსიკაშიც გვხვდება. ამ ტომთა გამოჩენა ანატოლიაში ძვ. წ. XX ს-ზე უფრო ადრეულ ხანებშია საეჭვოა.

ძვ. წ. II ათასწლეულის დამდეგს მცირე აზიაში არსებობდა აგრეთვე სემიტური ეთნიკური ჯგუფი, მაგრამ იგი არ განეკუთვნებოდა ადგილობრივ მოსახლეობას. ამ ჯგუფში შედიოდნენ მცირე აზიაში საკუთრად ჩამოსული სემიტები, რომელთა რამდენიმე თაობამ იცხოვრა აღმოსავლეთ ანატოლიაში. შესაძლებელია, რომ აღნიშნული ხანისათვის აღმოსავლეთ მცირე აზიაში იყო ხურიტული ელემენტიც, ასევე არააბორიგენული

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომლის თანახმადაც ინდოევროპელი ტომებისა და ადგილობრივი პროტოხეთური მოსახლეობის შერევა-შეჯვარედინების შედეგად მცირე აზიაში ჩამოყალიბდა ხეთური ეთნოსი, ხეთების სახელმწიფოს შემქმნელი. ხეთური ხანის მცირე აზიაში, ნესიტების (ხეთების) გარდა, ცხოვრობდნენ მათი მონათესავე ლუვიელები (სამხრეთ ანატოლიაში) და ფალაელები (ჩრდილოეთ ან ჩრდ.-აღმოსავლეთ ანატოლიაში). ეს უკანასკნელნი ძველთაგანვე უნდა დაკავშირებულიყვნენ პროტოხეთებით დასახლებულ ტერიტორიაზე, რადგან მათმა ენამ, ხეთურის მსგავსად, პროტოხეთურის (ხათურის) გავლენა განიცადა. ლუვიელები ადრეული ხანებიდანვე უნდა გავრცელებულიყვნენ დიდ ტერიტორიაზე, რომელიც კილიკიასაც მოიცავდა. ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან სამხრეთ-აღმოსავლეთ მცირე აზიაში (კილიკიაში) ჩნდება ხურიული მოსახლეობა. ინდოევროპული წარმოშობის ტომები ცხოვრობდნენ დასავლეთ მცირე აზიაშიც.

ხეთურ ეპოქაში მცირე აზიაში ცხოვრობდა აგრეთვე სხვადასხვა ტომი თუ ხალხი, რომელთა ეთნიკური ვინაობა უცნობია. მაგალითად, ჩრდილოეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი ანატოლია დასახლებული იყო ქასქების ტომებით, რომლებსაც ზოგიერთი მკვლევარი განიხილავს როგორც ანატოლიის ერთ-ერთ ადრეულ მკვიდრთ, ხოლო ზოგი სპეციალისტის თვალსაზრისით, ქასქები მოგვიანო ხანებში დასახლდნენ ანატოლიაში. ხეთების სამეფოს ჩრდილო-აღმოსავლეთითა და აღმო-

სავლეთით მდებარე ტერიტორია დაკავებული იყო აგრეთვე სხვადასხვა ტომებით. ჯერჯერობით დაბეჯითებით არ ხერხდება არც მათი ეთნიკური ვინაობის გარკვევა. შესაძლებელია მხოლოდ, რომ ანატოლიის ამ რაიონში ცხოვრობდნენ ხურიული, ინდოევროპული ან ქართველური წარმოშობის ეთნიკური ჯგუფები.

ხეთების სამეფოს განადგურების შემდეგ მკვეთრად შეიცვალა მცირე აზიის ეთნიკური რუკა, რაზედაც ქვემოთ იქნება საუბარი.

§ 4. ცენტრალური მცირე აზია ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში

ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისისათვის დიდი წინსვლაა მოჰხდარი ცენტრალური ანატოლიის სამეურნეო ცხოვრებაში. წერილობითი წყაროები („კაპადოკიური" ფირფიტები) ადასტურებენ, და მათ მხარს უჭერს არქეოლოგიური მასალაც, რომ II ათასწლეულის დასაწყისში ცენტრალურ მცირე აზიაში, ისევე როგორც საერთოდ აღმოსავლეთ ანატოლიაში, საგრძნობლად იყო განვითარებული მიწათმოქმედება. აღმოსავლეთ მცირე აზიის მოსახლეობას მარცვლეული კულტურებიდან ძირითადად მოჰყავდა ხორბალი და ქერი, აშენებდა ვაზს, აშზადებდა სხვადასხვა ხარისხის ზეთს და ა. შ.

სამიწათმოქმედო კულტურის განვითარებასთან ერთად კიდევ უფრო განვითარდა მესაქონლეობა. „კაპადოკიურ" ფირფიტებში მრავლადაა საუბარი წვრილფეხა და მსხვილფეხა რქოსან საქონელზე (ცხვრებზე, თხებზე, ხარებზე, ძროხებზე), ტრანსპორტირებისათვის ფართოდ იყენებდნენ სახედრებს. ჩვენთვის საინტერესო ხანის აღმოსავლეთ მცირე აზიის მოსახლეობა იცნობდა აგრეთვე ცხენს.

II ათასწლეულის დასაწყისში მაღალ დონეზეა ასული მეტალურგია. აღმოსავლეთ მცირე აზიაში, კერძოდ, კაპადოკიაში, მზადდებოდა სპილენძისა და ბრინჯაოს უამრავი ჭურჭელი და საომარი იარაღი. გაიზარდა იშვიათი ლითონების — ოქროსა და ვერცხლის — მოპოვება. არსებობდა ვერცხლისა და სპილენძის სხვადასხვა ხარისხი. მცირე აზიაში მზადდებოდა ლითონი „ამუთუმ", რომელიც 40-ჯერ იყო ვერცხლზე ძვირი, ხოლო ოქროზე — 5-ჯერ (ეს ლითონი შეიძლებოდა რკინაც ყოფილიყო). აღმოსავლეთ მცირე აზიის მოსახლეობა ამუშავებდა ძვირფას ქვებსაც. საგრძნობლად დაწინაურდა ხელოსნობა.

ქვეყნის სიმდიდრემ, განსაკუთრებით კი ლითონებმა, მიიზიდა უცხოელი ვაჭრები — დასავლელი და აღმოსავლელი სემიტები, მათ შორის ასურელები. ვაჭრობის უკეთ წარმართვის მიზნით აღმოსავლეთ მცირე აზიაში ისინი აარსებდნენ მრავალ სავაჭრო ორგანიზაციას, რომლებიც იყოფოდა ორ ტიპად. ერთ მათგანს ერქვა „ქარუმი"

(სავაჭრო კოლონია), რომელსაც საქალაქო თემის ტიპის ავტონომიური მმართველობის უფლება ჰქონდა (სავაჭრო კოლონიები არსებობდნენ ქანიშში, ხათუშში, დურხუმითში, ზალფაში და სხვაგან). მეორე ტიპის სავაჭრო ორგანიზაცია კი ცნობილი იყო „ვაბართუმის“ (სავაჭრო ფაქტორიის) სახელით („ვაბართუმები“ იყვნენ ქუშარაში, ხეთური წყაროების ქუსარაში, მამაში, შამუხაში და ა. შ.).

სავაჭრო თემების საორგანიზაციო ცენტრი ქანიშში იყო მოთავსებული. ადგილობრივი მმართველის ადგილსამყოფელის გვერდით, საქალაქო კედლის გარეთ. უცხოელთა თემები ადგილობრივ სამთავროებს ემორჩილებოდნენ.

აღმოსავლეთ ანატოლია სავაჭრო გზებით დაისერა. უცხოელი ვაჭრები თავიანთ ოპერაციებს აწარმოებდნენ მრავალ ადგილას, რომლებიც გაფანტული იყვნენ მთელს აღმოსავლეთ მცირე აზიაში. კაპადოკიაში არსებობდა ადგილობრივ ვაჭართა ფენა.

უცხოელი ვაჭრები, რომლებსაც მცირე აზიაში გასაყიდად შემოჰქონდათ სხვადასხვა სახისა და ხარისხის ქსოვილები და ბრინჯაოს დამზადებისათვის მეტად საჭირო ლითონი — კალა, ანატოლიაში ყიდულობდნენ ლითონებს (განსაკუთრებით სპილენძს), ტყავს, მატყლს და სხვ. „კაპადოკიურ“ ფირფიტებში საუბარია მონათა ყიდვა-გაყიდვაზე (კაპადოკიის ფარგლებში).

ვაჭრობა ფართოდ გასცილდა მცირე აზიის საზღვრებს. საგარეო სავაჭრო ურთიერთობათა განვითარებამ დიდად შეუწყო ხელი სამეურნეო და კულტურული ხასიათის ურთიერთობათა გაფართოებას, რასაც კარგად ადასტურებს არქეოლოგიური მასალა. ამ სახის ურთიერთობანი არსებობდა როგორც თვით მცირე აზიის სხვადასხვა ოლქს შორის, ასევე ანატოლიასა, კერძოდ, კაპადოკიასა და მეზობელ ქვეყნებს შორის.

II ათასწლეულის დასაწყისში აღმოსავლეთ მცირე აზიის სამეურნეო ცხოვრებასა და ტექნიკაში მომხდარმა მნიშვნელოვანმა ძვრებმა სათანადო ცვლილებები გამოიწვია საზოგადოებრივ ურთიერთობათა სფეროშიც.

ადგილობრივ მოსახლეობაში უკვე მომხდარი იყო ქონებრივი და სოციალური დიფერენციაცია. კაპადოკიის და საერთოდ, აღმოსავლეთ მცირე აზიის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული იყო „ქალაქ-სახელმწიფოს“ ტიპის ათამდე პოლიტიკური გაერთიანება. ქალაქ-სახელმწიფოს სათავეში ედგა „რუბაუმ“ — მეფე, ანდა ზოგჯერ „რუბათუმ“ — დედოფალი. სამეფო კარზე მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ „დიდებულები“ (რაბიუთუმ). ესენი იყვნენ სახელმწიფო (სამეფო) თანამდებობის პირები, რომელთა რიცხვი რამდენიმე ათეულს აღწევდა. მათ შორის აღსანიშნავია „კიბის მოძღვარი“ (რაბი სიმმილთიმ), რო-

მელიც ქალაქ-სახელმწიფოში უზენაესი მოსამართლის (მეფის) მოადგილის ფუნქციებს განაგებდა. ზოგჯერ იგი სამეფო ტახტზეც ადიოდა.

ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისიდანვე მცირე აზიის ცალკეულ ქალაქ-სახელმწიფოთა შორის დიდი ბრძოლა იყო გამართული ჰეგემონობისათვის. პირველ ხანებში იგი ბურსახანდას (ბურუშხათუშის) სასარგებლოდ მიმდინარეობდა. მისი მმართველი ანატოლიის დანარჩენ „მთავრებს“ შორის „დიდ მეფედ“ ითვლებოდა.

ერთ-ერთი ძლიერი პოლიტიკური გაერთიანება იყო აგრეთვე ქანიში, იგივე ნესა (თანამედ. ქიულ-თეფე). ჩვენთვის საინტერესო ხანაში იგი გადაიქცა დიდ ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრად ანატოლის ზეკანის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში. ქანიში განსაკუთრებით უნდა გაძლიერებულიყო ქიულ-თეფე II ფენის დროს (XIX ს.), როცა სავაჭრო კოლონიები აღმავლობას განიცდიდნენ მთელს ანატოლიაში. ქანიშის მმართველთაგან ცნობილია ლაბარშა, ინარი და მისი ძე ვარშამა. ჯერჯერობით არ ხერხდება მათი პოლიტიკური მოღვაწეობის სათანადოდ შეფასება. ვიცით მხოლოდ, რომ ინარი და ვარშამა ბრძოლებს აწარმოებდნენ მეზობელი რაიონების დამორჩილებისათვის, რაც კარგად ჩანს მამას ქვეყნის მეფის — ანუშხირის — წერილიდან, რომელიც ვარშამასადმია გაგზავნილი. თავის მხრივ, მამას ქვეყნის მმართველიც ცდილობდა გაეფართოებინა თავისი სამფლობელოები მეზობელი რაიონების ხარჯზე (მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, ქანიშთან ახლოს). ინარის დროს ქანიშსა და მამას შორის ხელშეკრულება იყო დადებული.

აღმოსავლეთ ანატოლიის პოლიტიკურ ერთეულთაგან აღსანიშნავია აგრეთვე ხათუში (ხეთური წყაროების ხათუსა), ამქუვა (ხეთური ზანის ანქუვა, თანამ. ალიშარ-ჰუიუქი), ზალფა (ხეთური ტექსტების ცალფა) და სხვა ქალაქ-სახელმწიფოები, რომელთაგან ყურადღებას იპყრობს ქუშარი — ხეთური წარწერების ქუსარა, ნესიტების ერთ-ერთი ადრინდელი პოლიტიკური ცენტრთაგანი მცირე აზიაში. მართალია, ჯერჯერობით ცნობილი არ არის მისი ზუსტი ადგილმდებარეობა, მაგრამ აშკარაა, რომ იგი აღმოსავლეთ მცირე აზიაში იყო.

ქუსარას პირველ მმართველთაგან ჩვენთვის ცნობილი არიან ფითხანა და მისი ძე ანითა (დაახლ. ძვ. წ. 1790—1750 წწ.). ფითხანას დროს, როცა ანთია „კიბის მოძღვარი“ იყო, იწყება მეზობელი რაიონების დაპყრობა. ანითას მიერ შედგენილი ტექსტიდან, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია მოგვიანო ხანის რედაქციით (ხეთურ ენაზე), ვგებულობთ, რომ მამამისმა ილაშქრა ქალაქ ნესაში, აიღო იგი ღამით და თავის სამფლობელოს შეუერთა.

მამამისის დაპყრობითი პოლიტიკა განაგრძო ანითამ, რომელსაც თავისი მმართველობის დასაწყისისათვის წყაროები უბრალოდ „მე-

ფეს“ უწოდებენ. მას შემდეგ, რაც ანითამ დაიმორჩილა მეზობელი რაიონები, დაამარცხა ხათის მეფე ფიუსთი და ხათუსა მიწასთან გაასწორა, ხოლო ფურუსხანდას (იმავე ბურსახანდას) განადგურების შემდეგ მისი მმართველი ტყვედ წამოიყვანა, წყაროებში ანითა უკვე იხსენიება როგორც „დიდი მეფე“. თავის რეზიდენციად მან აირჩია ქ. ნესა, სადაც ციხე-სიმაგრეები და ტაძრები ააგო.

ანითას დროს ცენტრალურ მცირე აზიაში შეიქმნა საკმაოდ ძლიერი სამეფო. იგი თითქმის მთელ ზეგანს მოიცავდა. ამ ხანის ქუსარა იყო ჩვენთვის ცნობილი ყველაზე ძლიერი პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც ხეთების ძველ სამეფომდე არსებობდა ადრეული ხანის მცირე აზიის ისტორიაში. ანითას დაპყრობებს სპეციალისტები უკავშირებენ უცხო სავაჭრო კოლონიების გაქრობას მთელს მცირე აზიაში, რაც, შესაძლოა სინამდვილესთან ახლოს იყოს. ქიულ-თეფე I ფენის დროს (დაახლ. ძვ. წ. XVIII ს. შუა ხანებში), როცა ვარაუდობენ ანითას მმართველობას, უცხო სავაჭრო ორგანიზაციების მოღვაწეობა მართლაც სუსტდება, ხოლო მომდევნო ხანაში — მთლიანად ქრება. ამის შემდეგ წერილობით წყაროებში აღარაფერია ნათქვამი მცირე აზიის ისტორიაზე ხეთების ძველი სამეფოს დაარსებამდე.

§ 5. ხეთების ძველი სამეფო (ძვ. წ. 1650—1500)

ქუსარას სამეფოს ისტორიის შესწავლა ჩვენთვის საინტერესოა იმდენად, რამდენადაც სწორედ აქ უნდა დაწყებულიყო ხეთური ეთნოსის ჩამოყალიბება და ჩასახულიყო ხეთური სახელმწიფოებრივი წყობილება. ყოველივე ამას ფესვები ძალიან შორსა აქვს გადგმული, ყოველ შემთხვევაში, ფითხანა-ანითას ხანაში მაინც. ამიტომაც არის, რომ ამ პერიოდს ხშირად ხეთების ადრეული ხანის ისტორიასთან აკავშირებენ, მით უმეტეს, რომ ხათუსას არქივმა საუკუნეების მანძილზე შემოინახა ანითას სახელით შედგენილი ვრცელი ხეთური ტექსტის რამდენიმე ფირფიტა.

თვით ხეთური ისტორიული ტრადიციაც ხეთების ისტორიის ძველ პერიოდს ქუსარას უკავშირებს. ხეთების სახელმწიფოს ფუძემდებლად კი იგი მიიჩნევს არა ანითას, არამედ ქუსარას მეფე ლაბარნას (I), რომელიც ანითასაგან თითქმის მთელი საუკუნითაა დაშორებული. ლაბარნას დროს ქუსარამ მიაღწია არნახულ ძლიერებას, რომელიც საფუძველი გახდა ხეთების რიგი წარმატებებისა ძველი სამეფოს ხანაშივე, როცა ქვეყანას მართავდნენ ხათუსილი I (იგივე ლაბარნა II), მურსილი I, ხანთილი და ძველი სამეფოს ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელი, თელიფინუ. ხათის სხვა მმართველებმა, რომლებიც

ხანთილისა და თელიფინუს შორის არსებულ პერიოდში მეფობდნენ, ვერ შეძლეს წინაპართა მიერ მოპოვებული წარმატებების შენარჩუნება, რადგან ისინი დაკავებული იყვნენ სანეფო ტახტისათვის წარმოებული სისხლიანი ბრძოლებით.

დაპყრობითი საგარეო პოლიტიკის წარმოებით ხეთებმა მნიშვნელოვნად გააფართოვეს თავიანთი ტერიტორია ძველი სამეფოს ხანაშივე. თვითონ ლაბარნამ, რომლის დროსაც ხეთების „ქვეყანა პატარა იყო“ („თელიფინუს ტექსტის“ მიხედვით), ძალითა და იარაღით დაიმორჩილა მეზობლად მდებარე რაიონები, რომელთა უმრავლესობა სამუდამოდ შევიდა ხეთების ქვეყნის შემადგენლობაში. ლაბარნამ დიდი ბრძოლები ჩაატარა აგრეთვე მცირე აზიის სამხრეთი და ჩრდილოეთი რაიონების დასაპყრობად, განავრცო რა თავისი სამფლობელო „ზღვიდან ზღვამდე“ (ე. ი. ხმელთაშუადან შავ ზღვამდე).

ქუსარაში გამეფდა ხათუსილიც. სტრატეგიული მოსაზრების გამო, მალე მან სამეფოს ცენტრი ქუსარადან გადაიტანა ხათუსას, საიდანაც წარმოდგება ამ ზეფის სახელი. სწორედ ამ დროიდან გახდა ხათუსა დედაქალაქი, რომელმაც ხეთების სახელმწიფოს დაცემამდე იარსება, ხოლო სახელმწიფო „ხათი“ ხეთების მთელი სამეფოს აღმნიშვნელად გადაიქცა. ამიერიდან ქუსარამ დაკარგა თავისი მნიშვნელობა.

ძველი სამეფოს ხანის დიდ მმართველთა ფართო დაპყრობითი საგარეო პოლიტიკა მიმართული იყო, პირველ რიგში, მცირე აზიის ცალკეულ პოლიტიკურ გაერთიანებებზე ხათის ქვეყნის ბატონობის დამყარებისაკენ. ამას წარმატებით ახორციელებდნენ ხათუსილი და მურსილი. ეს პოლიტიკა მიზნად ისახავდა ხეთების პოლიტიკური გავლენის გავრცელებას მცირე აზიის ფარგლებს გარეთაც. ამ პერიოდში ხეთების ყურადღება მიპყრობილი იყო ორი დიდი რაიონისაკენ — ჩრდილოეთ სირიისაკენ, სადაც მაშინდელი ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი მძლავრი სანეფოთაგანი, ხალაფი (იამხადი) მდებარეობდა, და ხურის ქვეყნისაკენ, რომელმაც, თავის მხრივ, თანდათან იწყო ექსპანსია მდ. ევფრატის მარჯვენა მხარის ქვეყნებში.

სწორედ ამ ხანებში მოხდა ერთი მეტად საყურადღებო მოვლენა, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა ხეთების წარმატებანი საგარეო პოლიტიკაში, გააფართოვა რა მათი მოქმედების ასპარეზი. ეს იყო ცხენიანი საბრძოლო ეტლის გამოჩენა, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა სამხედრო საქმეში არა მარტო ხეთებთან, არამედ ახლო აღმოსავლეთის სხვა ხალხებშიც. ამ პერიოდისათვის ხეთებს უნდა ჰყოლოდათ კარგად ორგანიზებული ლაშქარიც.

დიდი ინტერესები ჰქონდათ ხეთებს ჩრდილოეთ სირიაში, რომლისათვის ბრძოლამ საჭირო გახადა მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში მდებარე გზების დაუფლებაც. ხეთების მისწრაფება სი-

რიისაკენ გამოწვეული იყო ამ ქვეყნის სტრატეგიული მდებარეობით, ქვეყნის მატერიალური სიმდიდრით.

ჩრდილოეთ სირიისათვის ბრძოლა დაიწყო ხათუსილი I-მა, რომელმაც თავისი მეფობის დასაწყისშივე ილაშქრა აღნიშნული მხარის ერთ-ერთ ძლიერ სამეფოში — ალალახში. ხათუსილიმ დიდი ხნის ალყის შემდეგ შეძლო ქ. ურსუს (ხეთ. ვარსუვას) დამორჩილებაც. მან წარმატებით დაამთავრა ბრძოლა ხაშუსათვის (ხეთ. ხასუვა), თუმცა შემდგომ ეს უკანასკნელი კვლავ განუდგა ხეთებს.

ხათუსილიმ შეუტია ხალაფსაც (იამხადს), რომლის მეფე იარიმლიმ III მანამდეც იღებდა მონაწილეობას ხეთების საწინააღმდეგო კოალიციაში (ხასუვასთან). ხათუსილიმ ხალაფის წინააღმდეგ ბრძოლა ბოლომდე ვერ მიიყვანა, თუმცა მან ეს სამეფო საკმაოდ დაასუსტა. ხალაფის განადგურება შეძლო მხოლოდ მისმა მეშკვიდრემ მურსილი I-მა, რასაც შედეგად მოჰყვა ამ სამეფოს დამოუკიდებულების დაკარგვა.

ამის შემდეგ მურსილი გაემართა შორეულ ბაბილონს, რომელსაც სამსუდითანა მართავდა. ეს ქალაქი მან მიწასთან გაასწორა და დიდი ნადავლით ხათუსაში გამობრუნდა. სწორედ ამ ლაშქრობის დროს მოეღო ბოლო ბაბილონის I დინასტიას, რაც უნდა მომხდარიყო დაახლ. 1595 წლისათვის. ხალაფსა და ბაბილონში ლაშქრობისას მურსილიმ ხურიტებიც გაანადგურა.

ხათუსილისა და მურსილის ზემოაღნიშნულმა ლაშქრობებმა დიდი გავლენა იქონიეს ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ მოვლენათა მსვლელობაზე. მურსილის გამარჯვებამ ხალაფში საფუძველი ჩაუყარა ხეთების ბატონობას ჩრდილოეთ სირიაში. ამ ხანებიდან ჩრდილოეთ სირიის საკითხი ყოველთვის იდგა ხეთების საგარეო პოლიტიკაში. სწორედ ამან გამოიწვია დიდი წინააღმდეგობანი ხათსა და ეგვიპტეს შორის ახალი სამეფოს დროს.

მურსილის გამარჯვებამ ბაბილონზე, როცა 300-წლიანი ბატონობის შემდეგ დაეცა ბაბილონის I დინასტია, ხელი შეუწყო კასიტების მიერ ხელისუფლების ჩაგდებას ბაბილონში.

ამ სამხედრო ოპერაციებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ თვით ხეთებისათვის: ამიერიდან ხეთების სამეფო ჩადგა ახლო აღმოსავლეთის დიდ სახელმწიფოთა რიგში. უფრო მეტიც. ხათუსილი-მურსილის დროს ხათი გადაიქცა ძლიერ სამხედრო სახელმწიფოდ, რომელსაც წინ ვერ აღუდგნენ მაშინდელი წინა აღმოსავლეთის ისეთი ქვეყნები, როგორიც იყვნენ ხალაფი (იამხადი) და ბაბილონი.

მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთი რაიონების დაპყრობისა და ჩრდილოეთ სირიაში ლაშქრობების დროს დაიწყო ხეთებისა და ხურიტების საომარი შეტაკებანიც. ამ პერიოდიდან იწყება აგრეთვე ხუ-

რიტების შემოსევა ხათში და აღმოსავლეთ პერიფერიის რაიონთა აოხრება.

ხათუსილი-მურსილის ხანისათვის ხურიტები უკვე ჩანან ევფრატის დასავლეთით მდებარე ქვეყნებში, განსაკუთრებით, ჩრდილოეთ სირიაში, სადაც ისინი იერებოდნენ თანდათანობით, უმეტესწილად მშვიდობიანი გზით. ხურიტები იყვნენ ალალახში, ხალაფში, ურსუში, ხაშუში და სხვაგან, რომელთა წინააღმდეგ ხეთებს უხდებოდათ გალაშქრება. ამიტომ ჩრდილოეთ სირიისათვის ბრძოლა განსახილველია როგორც ნაწილი ხურიტებთან შეტაკებებისა, მით უმეტეს, რომ ამ ბრძოლების დროს ზოგჯერ ხურიტების რაზმებიც გამოდიოდნენ მოკავშირეთა დასახმარებლად.

ხურიტების შემოსევა ხათის ქვეყანაში ხათუსილის დროიდან დაიწყო. მისი მეფობის მეოთხე წელს ხურიტები შეიჭრნენ ხათის აღმოსავლეთ ნაწილში და ააოხრეს ეს მხარე ხათუსას გამოკლებით. მათ უნდა დაერბიათ ქუსარა, რაც უნდა გამხდარიყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ხათუსილი გადასულიყო ხათუსაში. ხეთებმა უკუაგდეს ხურიტები, რომლებიც ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან, კერძოდ, ხანიგალბათიდან იყვნენ მოსული.

ზოგჯერ ხურიტები ჩრდილოეთ სირიის მხრიდან უტევდნენ ხეთებს, რომლებიც დიდხანს იბრძოდნენ მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, სახელდობრ, ქილიკიაში (კილიკიაში) მდებარე სტრატეგიული მნიშვნელობის პუნქტების დამორჩილებისათვის. ხურიტების მოქმედების ზონა ამ რაიონში თანდათან ფართოვდებოდა, რაც იწვევდა ხეთებთან შეტაკებას.

ვარაუდობენ, რომ სწორედ ამ მხრიდან უნდა შესეოდნენ ისინი ხათის ქვეყანას ხანთილის მეფობის დროს, როცა კვლავ ააოხრეს მთელი აღმოსავლეთი პერიფერია.

ძველი სამეფოს მთელს მანძილზე მძაფრი ბრძოლა მიმდინარეობდა სამეფო ხელისუფლების განმტკიცებისათვის. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ადრეულ ხანებში მეფის ხელისუფლებას საგრძნობლად ზღუდავდა სახალხო კრება (panku-), რომელსაც დიდი ფუნქციები ეკისრა.

თავდაპირველად იგი აერთიანებდა ყველა მამაკაცს, ვისაც კი იარაღის ტარება შეეძლო. შემდგომში სახალხო კრებაში შემავალ პირთა წრე საკმაოდ შეიზღუდა, როგორც ჩანს, დიდგვაროვანთა უმაღლესი ფენების წარმომადგენლებით. პირველ ხანებში მხოლოდ მას ჰქონდა უფლება დაენიშნა ტახტის მემკვიდრე, განეგო სასამართლო თუ სხვა საქმეები. ლაბარნას დროიდან იწყება ბრძოლა სამეფო ხელისუფლების გაძლიერებისათვის. ამ დროიდან მეფე ატარებს პროტოხეთური წარმოშობის ტიტულს „თაბარნა“, ანდა „ლაბარნა“. ეს

უკანასკნელი ტერმინი იხმარებოდა აგრეთვე ტახტის მემკვიდრის აღსანიშნავად. მეფესთან ერთად დიდ როლს თამაშობდა დედოფალი, რომელიც აგრეთვე პროტოხეთური წარმოშობის ტიტულს — „თავანანას“ — ატარებდა.

მხოლოდ ძველი სამეფოს დასასრულს — თელიფინუს დროს — გადაწყდა ტახტის მემკვიდრეობის საკითხი. მანამდე მეფეს უფლება ჰქონდა მხოლოდ და მხოლოდ დაესახელებინა ტახტის მემკვიდრის კანდიდატურა, რომელსაც სახალხო კრება დაამტკიცებდა ან უარყოფდა. კანდიდატის დასახელება კი ძალიან ძნელი იყო, რადგან იმხანად არსებობდა ტახტის მემკვიდრის განსაზღვრის რამდენიმე ჩვეულება. ტახტზე ასვლის უფლება ჰქონდათ არა მარტო მეფისწულებს ან შვილიშვილებს, არამედ მეფის დისწულს, მისი დის ქმარს (სიძეს) ან ქალიშვილის ქმარს (სიძეს), რაც იმაზე მიუთითებს, რომ განხილული ეპოქის ხეთებში ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო დედის (ქალის) უფლების გადმონაშთები. ტახტის მემკვიდრეობის ამ ჩვეულების მიმდევრები ხშირად მიმართავდნენ უზურპაციას და თავიდან იცილებდნენ ტახტის მემკვიდრეობის ყველაზე უფრო საშიშ მეტოქეებს — მეფისწულებს, რომელთაც უკვე ჰქონდათ უფლება ტახტის მემკვიდრის პირველი კანდიდატები ყოფილიყვნენ. ასეთ შემთხვევებში უზურპატორები აღარ იწვევდნენ სახალხო კრებას, რადგან ეს უკანასკნელი არ მოიწონებდა იმათ მოქმედებას, ვინც ძალით იგდებდა ხელში სამეფო ტახტს.

თელიფინუმ გამოსცა კანონი, რომლის ძალითაც ამიერიდან ტახტზე ასვლის უფლება ეძლეოდათ მხოლოდ და ნხოლოდ მეფისწულებს — მის პირდაპირ შთამომავლებს. თუ შვილთაგან მეფეს არ გაჰხდა მამრობითი სქესის წარმომადგენელი, ტახტზე ასვლა შეეძლო მხოლოდ მისი ქალიშვილის ქმარს — სიძეს. დანარჩენი (დისწული, დისქმარი) თელიფინუმ საერთოდ გამორიცხა ტახტის პრეტენდენტთა რიცხვიდან. თელიფინუს ეს კანონმდებლობა ძალაში იყო ხეთების ისტორიის მთელს შემდგომ მანძილზე.

მიუხედავად იმისა, რომ ამ კანონის შემდეგ საგრძნობლად განმტკიცდა სამეფო ხელისუფლება, თელიფინუს დროს ნეფე მაინც არ გახდა ქვეყნის უზენაესი მმართველი. იგი რამდენადმე შეზღუდული იყო ისევ სახალხო კრებით. ეს პოლიტიკური თუ სასამართლო ორგანო მეფეზე მაღლა იდგა მხოლოდ მაშინ, თუ მეფე ტახტის ნემკვიდრეობის კანონს დაარღვევდა. სხვა სახელმწიფო საქმეებში სახალხო კრება აღარ ერეოდა თელიფინუს დროსვე. ახალი სამეფოს ხანაში კი იგი სულ გაუქმდა.

საზოგადოებრივი ურთიერთობანი. მონობა. ძველი სამეფოს ხანაში საზოგადოება დაყოფილი იყო თავისუფალთა და არათავისუ-

ფალთა კლასებად. თავისუფალთა შორის არსებობდა სხვადასხვა სოციალური ჯგუფი, მათ შორის ძველხეთურ დოკუმენტებში განსაკუთრებით გამოირჩევიან ისეთები, რომლებიც „სასახლის ძეთა“ სახელით არიან ცნობილი. ესენი იყვნენ მეფის სამსახურში მყოფი ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა სამუშაოს ასრულებდნენ სასახლეში. წყაროებში საუბარია სახელმწიფო მმართველობის აპარატის სხვადასხვა მოხელეზე, რომლებიც მეფეზე უნდა ყოფილიყვნენ დამოკიდებული.

არათავისუფალთა კლასში შედიოდნენ მონები, რომელთა შესახებ ბევრი არაფერია ნათქვამი ძველხეთურ ენაზე შედგენილ წარწერებში. ყურადღებას იქცევს მხოლოდ „თელიფინუს ტექსტში“ შემონახული ცნობა „მონების“ აჯანყების შესახებ. ეს ნომხდარა ხათუსილი I-ის მეფობის დროს, „როცა უფლისწულთა მონები ურწმუნონი გახდნენ, მათი (ე. ი. უფლისწულთა) სახლების განადგურება იწყეს, თავიანთ მბრძანებელთა წინააღმდეგ შეიკრნენ და მათი სისხლის ღვრა დაიწყეს“, როგორც ეტყობა, საქმე ეხებოდა ქვეშევრდომთა დიდ აჯანყებას, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ აისახებოდა ისეთი დიდი მნიშვნელობის მქონე პოლიტიკურ დოკუმენტში, როგორიც „თელიფინუს ტექსტია“. სათანადო ცნობების უქონლობის გამო არ ხერხდება მსჯელობა არც მონური შრომის მასშტაბებზე, არც მონათა რიცხვზე. მონობის ერთ-ერთი წყარო უნდა ყოფილიყო ომები, რადგან წყაროებში ზოგჯერ საუბარია დალაშქრული რაიონებიდან ადამიანთა წამოყვანაზე.

ხეთების შუა სამეფო (დაახლ. ძვ. წ. 1500—1450 წწ.). სამეცნიერო ლიტერატურაში ზოგჯერ ამ პერიოდს ცალკე არც კი გამოყოფენ, რაც არ არის მართებული. ამ ხანის ამსახველი წერილობითი წყაროები, მართალია, ძალზე მცირეა, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი პერიოდი ნამდვილად არსებობდა ხეთების ისტორიაში. ეს ხანა ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ შესწავლილი. საიმედოდ არის დადგენილი, მაგალითად, მეფეთა თანამიმდევრობა (ალუვამნა, ხანთილი II, ციდანთა II, ხუცია II, თუთხალია II, არნუვანდა I, ხათუსილი II). ხეთურ ენაზე შემონახული ხელშეკრულება ხათის მეფე ციდანთასა (ციდანცასა) და ქიცუვათნას მმართველ ფილიას შორის ეკუთვნის სწორედ ციდანთა II. ეს ხელშეკრულება ამტკიცებს, რომ შუა სამეფოს ხანაშიც ხეთები ცდილობდნენ მეგობრული ურთიერთობა არ გაეწყვიტათ ქიცუვათნასთან, რომელიც საიმედო დასაყრდენი იყო ჩრდილოეთ სირიაში მოქმედებისათვის.

თუთხალია II-ის ნეფობის დროსაც (დაახლ. ძვ. წ. 1470 წ.) ხეთები აგრძელებდნენ ლაშქრობას ჩრდილოეთ სირიასა და ხურის ქვეყანაში. სწორედ ამ პერიოდში თუთხალია II-ს გაუნადგურებია ხალაფი და ხანიგალბათი (ხური).

ხეთების სამეფო დასუსტდა. ამას დაერთო ეგვიპტის გააქტიურე-

ბა სირიაში, ხოლო აღმოსავლეთში — მითანის აღორძინება. თვითონ ხათი ამბოხებული ქვეყნების რკალში მოექცა (ჩრდილო-აღმოსავლეთიდან უტევდნენ ქასქების ტომები, აღმოსავლეთიდან — ხაიასა და სხვანი, სამხრეთში საგრძნობლად გაძლიერდა არცავა და ა. შ.). მტრებნა გადაწვეს ხათუსა.

ხათის სისუსტის ხანა ამის შემდეგ დიდხანს აღარ გაგრძელებულა. სუფილულიუმას დროიდან იგი კვლავ იბრუნებს თავის ძველ დიდებას.

§ 6. ხეთების ახალი სამეფო (ძვ. წ. 1450—1200 წწ.)

ამ ხანაში, განსაკუთრებით ძვ. წ. 1280 წლამდე, ხათი განიხილებოდა როგორც ეგვიპტის, ბაბილონისა და ასურეთის ტოლი სახელმწიფო. იგი მჯერთლაც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მაშინდელი წინა აზიის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

1280 წლამდე დიდი გამარჯვებები მოიპოვეს ხეთებმა საგარეო პოლიტიკაში. თუთხალია III-ის მიერ (დაახლ. 1450 წ.). წამოწყებული ლაშქრობები წარმატებით განაგრძო მისმა შვილმა სუფილულიუმა I-მა (დაახლ. 1425—1386 წწ.), რომელსაც სპეციალურ ლიტერატურაში ხეთების ახალი საბეფოს დამაარსებლად თვლიან. ამ უკანასკნელის მემკვიდრის არნუვანდა II-ის ხანმოკლე მეფობის შემდეგ სუფილულიუმას უმცროსმა ვაჟმა მურსილი II-მ (ძვ. წ. 1385—1345 წწ.) კიდევ უფრო განამტკიცა ხეთების სახელმწიფოს ძლიერება. მუვათალის (დაახლ. 1345—1310), ურხი-თეშუფის, იმავე მურსილი III-ისა (დაახლ. 1310—1304 წწ.) და ხათუსილი III-ის (დაახლ. 1304—1280 წწ.) ხათი შორეულ ეგვიპტესთან ამყარებს სხვადასხვა სახის ურთიერთობებს. თუთხალია IV-ის დროიდან კი (დაახლ. 1280—1250 წწ.) იწყება ხეთების ძლიერების თანდათანობით დაცემა, რომლის შეჩერებაც ვერ შეძლეს ძრნუვანდა III-მ (დაახლ. 1250—1230 წწ.) და ხეთების უკანასკნელმა მეფემ სუფილულიუმა II-მ (დაახლ. 1230 წ.). ქვემოთ განვიხილავთ ჩვენთვის საინტერესო ხანის ხეთების საგარეო პოლიტიკის ძირითად მომენტებს.

ხეთები და არცავა. თუ ძველი სამეფოს დროს ხეთები კმაყოფილდებოდნენ არცავას დალაშქვრით და ნადავლის წამოღებით, ისინი ახლა ცდილობენ არცავას ქვეყნები (საკუთრივ ძრცავა, ხაფალა, მირა, ვილუსა და მდ. სეხას ქვეყანა) ნახევრად „ვასალურ" მდგომარეობაში ჩააყენონ, რასაც დროდადრო აღწევენ კიდეც.

ხეთების ახალი სამეფოს დამდეგისათვის (საკუთრივ) არცავა დამოუკიდებელი ქვეყანა იყო. მას ურთიერთობა ჰქონდა ეგვიპტესთანაც კი, რაც კარგად ჩანს ზემონახსენები „არცავას წერილებიდან".

ერთ-ერთი მათგანი შედგენილია ეგვიპტის ფარაონ ამენჰოტემპ III-ის (ძვ. წ. 1455—1424 წწ.) მიერ, რომელსაც ხეთურ ტექსტში ჰქვია ნიმურთია (ეგვიპტური „ნიმურიას“ მიხედვით) და მიმართულია არცავას მეფე თარხუნდარადუსადმი. ამ წერილების მიხედვთ არცავას მეფე თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონია.

დიდი ბრძოლები გადახდათ არცავას ქვეყნებში სუფილულიუმას, მურსილი II-ს და მუვათალის, რასაც შედეგად მოჰყვა არცავას დაპყრობა და ხელშეკრულებების დადება ხაფალას, მირას, მდ. სეხას ქვეყნის მმართველებთან (მურსილი II-ის დროს) და ვილუსას მეფესთან (მუვათალის დროს).

ხელშეკრულების შინაარსი ტრაფარეტულია. დამორჩილებული ქვეყნის მმართველი ვალდებულებას იღებდა ხეთების მეფისათვის რეგულარულად მიეწოდებინა დამხმარე რაზმები საომარი ეტლებითურთ, სისტემატურად ეხადა გარკვეული რაოდენობის ხარკი, ხეთებისთვის დროზე ეცნობებინა მტრის უეცარი გამოჩენა საზღვარზე ან ხათის წინააღმდეგ მიმართული შეთქმულება, ხეთების მეფისათვის დაებრუნებინა ხეთი ლტოლვილები და ა. შ. თავის მხრივ ხეთების მეფე ვალდებულებას იღებდა, რომ არაცავას ქვეყნებს დაეხმარებოდა იმ შემთხვევაში, თუ მათ მტერი შემოესეოდა.

არცავას ქვეყნის საშინაო საქმეებში ხეთი მეფეები უმეტესად არ ერეოდნენ. ტახტის მემკვიდრეობის საკითხიც ადგილობრივ წყდებოდა.

ნახევრად დამოუკიდებელ ქვეყნებთან დადებული ხელშეკრულებები ფიცით მტკიცდებოდა, მაგრამ ამ ფიცს ხშირად, ხელსაყრელ მომენტში არ აქცევდნენ ყურადღებას. არცავას ქვეყნებიც არაერთხელ განუდგნენ ხეთებს, რის გამოც ეს უკანასკნელნი ახალ საომარ ექსპედიციებს აწყობდნენ სამხრეთ ანატოლიაში.

ხეთების ბატონობა ჩრდილოეთ სირიაში სულ სხვა შედეგი გამოიღო ხეთების კვლავ გამოჩენამ ჩრდილოეთ სირიაში. აქ არსებული სამეფოებისადმი ხეთების დამოკიდებულების საკითხი გადაწყდა სუფილულიუმას დროს. ამ ხანებისათვის ეგვიპტის ფარაონი ეხნატონი საშინაო საქმეებით იყო გართული და არ ეცალა ფართო საგარეო პოლიტიკის წარმოებისათვის. ან გარემოებამ რამდენადმე ხელი შეუწყო სუფილულიუმას წარმატებებს ჩრდილოეთ სირიაში. აქ მან საბოლოოდ მიაღწია იმას, რომ დაამხო ლიბანის მთებამდე არსებული თითქმის ყველა სირიული სამთავრო, რომლებიც მანამდე მითანის პოლიტიკურ გავლენას განიცდიდნენ. ამ მომენტიდან იწყება ხეთების ბატონობა ჩრდილოეთ სირიაში. ქარხემიშისა და ხალაფის დაპყრობის შემდეგ სუფილულიუმამ ამ სამეფოების ტახტზე თავისი ვაჟიშვი-

ლები — ფიასილი (იგივე შარიქუშუხი) და თელიფინუ — დასვა. ამით მან ქარხემიშსა და ხალაფში საფუძველი ჩაუყარა ხეთურ დინასტიას, რომელიც ხეთების სამეფოს დაცემამდე არსებობდა აღნიშნულ სამთავროებში.

სუფილულიუმამ დაიპყრო ალალახიც. ამ დროიდან ხეთები ბატონობდნენ აქ ხათის სამეფოს განადგურებამდე. ახალი სამეფოს ხანაში ხეთების გავლენა ძლიერი იყო სირიის სხვა ადგილებშიც, კერძოდ, ამურუში, ქინცაში (კადეშში), ნუხაშეში, უგარითსა და ა. შ. ხეთების ლაშქრის დროდადრო გამოჩენა სირიაში ახანგრძლივებდა ჩრდილოელი მრისხანე მეზობლის ბატონობას ამ მხარეში.

ეგვიპტესთან შეტაკება. კადეშის ბრძოლა. ჩრდილოეთ სირიაში გატარებულმა პოლიტიკამ ხათი მიიყვანა ეგვიპტესთან შეტაკებამდე, მიუხედავად იმისა, რომ სუფილულიუმას დროს ხათსა და ეგვიპტეს შორის არ არსებობდა დაძაბული ურთიერთობა. ამას ადასტურებს სუფილულიუმას მიერ ეხნატონისადმი გაგზავნილი წერილი ფარაონის ტახტზე ასვლასთან დაკავშირებით.

XIX დინასტიის დროიდან ეგვიპტის წინაშე დადგა ამოცანა ძველი გავლენის აღდგენისა პალესტინაში, ფინიკიასა და სირიაში. ეგვიპტის მთავარი მეტოქე აზიაში იყო ხათი, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა რამსეს II-ს (დაახლ. 1317—1251) წამოიწყო. ამ უკანასკნელმა თავისი მეფობის მე-5 (ე. ი. დაახლ. 1312) წელს შეკრიბა 20-ათასიანი ლაშქარი და გაემართა სირიისაკენ, სადაც მის შესახვედრად ემზადებოდა მეფე მუვათალი 30-ათასიანი მეომრისაგან შემდგარი ლაშქრით.

მიადგა თუ არა მდ. ორონტის მარჯვენა ნაპირს, რამსესი დაბანაკდა ქ. კადეშში, რომელიც ერთი დღის სავალზე იყო ნაპირიდან. ხეთების მიერ მოგზავნილმა ჯაშუშებმა ეგვიპტელებს აცნობეს, თითქოს ხეთების ლაშქარი გაეცალა კადეშს და შორს, ჩრდილოეთისაკენ გაემართა. რამსესმა გადაწყვიტა მაშინვე აეღო ეს ქალაქი, მაგრამ მახეში გაება. იქვე ჩასაფრებულმა ხეთების ლაშქარმა სასტიკად გაანადგურა ეგვიპტელთა რაზმები, თვითონ რამსესს კი ალყა შემოარტყა. ფარაონი იხსნა მისმა ვაჟკაცობამ, აგრეთვე იმან, რომ ხეთების ლაშქარმა ეგვიპტელთა ბანაკის ძარცვას მიჰყო ხელი და საშუალება მისცა ეგვიპტელებს გაერღვიათ ალყა. რამსესმა ვერ შეძლო ვერც ხეთების დამარცხება, ვერც კადეშის აღება. ხეთების კოალიციამაც ვერ მოახერხა სამხრეთისაკენ წაწევა.

ხეთებისა და ეგვიპტელების ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ხათუსილი III-მ საზავო ხელშეკრულება შესთავაზა რამსეს II-ს, რაც ორივე მხარისათვის იყო ხელსაყრელი. რამსესის მეფობის 21-ე წელს, ე. ი. ძვ. წ. 1296 წელს, დაიდო საზავო ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა მხარეთა შორის ურთიერთშეუვალობის უზრუნველ-

ყოფას, ერთმანეთისადმი დახმარებას საერთო მტრის გამოჩენისას ანდა დაპყრობილი ქვეყნების აჯანყებისას, ლტოლვილთა გაცემას და ა. შ. ხელშეკრულება განამტკიცა რამსესისა და ხეთების მეფის ქალიშვილის ქორწინებამ. ამის შემდეგ ხეთები და ეგვიპტელები აღარასოდეს შებრძოლებიან ერთმანეთს.

ხური-მითანისთან ურთიერთობა. ხურის ტომთა აქტიური მოქმედება აღმოსავლეთ მცირე აზიაში გრძელდებოდა ძველი სამეფოს მომდევნო პერიოდშიც. ამ დროისათვის ხურის ტერიტორიაზე წარმოიშვა საკმაოდ ძლიერი სამეფო — მითანი, რომელიც ეგვიპტესთანაც კი მეტოქეობდა. მითანიმ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია ჩრდილოეთ სირიაშიც (ხეთების შუა სამეფოს ხანაში).

სუფილულიუმამ ბოლო მოუღო მითანის ძლიერებასაც. ხეთების ლაშქარი ისუვას მხრიდან შეიჭრა ხურიტების სამფლობელოში და მიადგა მითანის დედაქალაქ ვაშუქანის, რომელიც ხეთებმა გაძარცვეს და დაანგრიეს. მითანის ტახტზე სუფილულიუმამ თავისი „ვასალი" შათივაზა დასვა, რომელსაც ქალიშვილიც მიათხოვა. აღმოსავლეთის საკითხი მაინც ვერ მოგვარდა. ხეთების პოლიტიკური გავლენა ხურიტების ტერიტორიაზე საგრძნობლად შესუსტდა სუფილულიუმას მომდევნო ხანებში. შემდგომ კი მითანი თანდათან ისე დაუძლურდა, რომ აღარ შეეძლო ასურეთის დარტყმების მოგერიებაც. ასურეთის მმართველების — ადად-ნირარი I-ისა და სალმანასარ I-ის — ლაშქრობის შემდეგ ეს მხარე ასურეთის პროვინციად იქცა.

საუკუნეთა მანძილზე ხურის ქვეყნებთან პოლიტიკურ ურთიერთობებს თან მოჰყვა ხეთებისა და ხურიტების ურთიერთობანი რელიგიისა და კულტურის სფეროში. ამ მხრივ ძალზე საგრძნობი იყო ხურიული სამყაროს კულტურულ-რელიგიური ექსპანსია ხათში ახალი სამეფოს დროს, როცა ხეთების ზოგიერთი მეფე და დედოფალი ხურიული წარმოშობის სახელებს ატარებდა (ურხი-თესუფა, ფუდუ-ხეფა), ხოლო ხეთურ პანთეონში ხურიული წარმოშობის მრავალი ღვთაება გაჩნდა.

ბრძოლა ქასქების ტომებთან. ხეთური წყაროები საუბრობენ პონტოს მთებში მცხოვრებ ტომებთან — ქასქებთან ბრძოლების აღწერით. ახალი სამეფოს დასაწყისში ქასქებთან შეტაკებებმა სისტემატური ხასიათი მიიღო, მაგრამ ქასქების საკითხის საბოლოოდ გადაჭრა ვერ შეძლო ხეთების ვერც ერთმა მეფემ. ხეთები ქასქებთან ხელშეკრულებებსაც დებდნენ, მაგრამ ამასაც დიდი შედეგი არ მოჰყოლია. ქასქები ანადგურებდნენ არა მარტო ხეთების მოსაზღვრე რაიონებს, არამედ თვით ხათუსასაც ესხმოდნენ თავს და ანგრევდნენ მას. ხეთების დამსჯელი ექსპედიციები ქასქების მხარეში ეხოლოდ დროებით

აჩერებდნენ ამ ტომთა იერიშებს ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან.

ხეთები ზოგჯერ ქასქების რაზმებსაც იყენებდნენ მტრის წინააღმდეგ. მუვათილიმ ისინი გამოიყენა, მაგალითად, კადეშის ბრძოლის დროს. როგორც ჩანს, არცავასაც შეეძლო ქასქების რაზმების მოპოვება (თუ დაქირავება), რადგან ზემოაღნიშნული „არცავას" წერილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ფარაონი არცავას მეფეს სთხოვდა ქასქები გაეგზავნა ეგვიპტეში.

ურთიერთობა ახიავასთან. ხეთური წყაროების სახელწოდებას, „ახიავა" სპეციალისტები უკავშირებენ ფარაონ მერნეპტაჰის დროინდელ (დაახლ. 1220 წ.) ეგვიპტურ ტექსტებში „ზღვის ხალხთა" რიცხვში მოხსენიებულ ეთნიკურ სახელს „აკა(ი)ვაშა". მრავალი მეცნიერი ამ სახელწოდებას აიგივებს ჰომეროსის Ἀχαιοί-სთან, რომელიც ძველბერძენ ტომთა კავშირის აღმნიშვნელია.

ხეთური დოკუმენტების მიხედვით, ახიავა დაკავშირებული იყო მცირე აზიის ისეთ რაიონებთან, როგორიცაა: მდ. სეხას ქვეყანა, (საკუთრივ) არცავა, ლუქა, ციფასლა, ასუვა და მილავანდა (შესაძლოა, კლასიკ. ხანის მილეტი), რომლებიც ანატოლიის სამხრეთსა და დასავლეთში არიან მოსათავსებელი. ხათის ქვეყანას ახიავა უშუალოდ არ ესაზღვრებოდა, მათ შორის შუალედი ზონა არსებობდა. ხეთების არც ერთ მმართველს არ ულაშქრია ახიავაში, ისევე როგორც ახიავას რომელიმე მეფეს — ხათში.

მიუხედავად იმისა, რომ სახელწოდებას „ახიავა" მკვლევრები მიიჩნევენ როგორც ძველბერძენ ტომთა დიდი გაერთიანების აღმნიშვნელს, ახიავას სამეფოს ადგილმდებარეობის საკითხში დღესაც არ არის აზრთა ერთიანობა. მკვლევართა ცდები ახიავა მოეთავსებინათ კუნძულ როდოსზე, კვიპროსზე, კრეტაზე თუ მცირე აზიაში (მაგალითად, კილიკიაში, ანატოლიის სამხრეთ ან დასავლეთ ნაწილში), არ დამთავრებულა წარმატებით. ბოლო ხანებში ბევრი მიმდევარი გაუჩნდა ჯერ კიდევ ე. ფორერის მიერ (1924 წ.) წამოყენებულ დებულებას მიკენის დროინდელ საბერძნეთთან ახიავას გაიგივების შესახებ, რაც ყველაზე უფრო ახლოს უნდა იყოს სინამდვილესთან. მეცნიერთა ერთი ნაწილი მაინც იკავებს თავს ამ გაიგივებისაგან და ვარაუდობს, რომ მცირე აზიის სამხრეთ თუ დასავლეთ სანაპიროსაგან ახიავას სამეფო არ უნდა ყოფილიყო დიდად დაშორებული. ამის გამო ახიავას ზოგჯერ კვლავ კუნძულ როდოსზე ათავსებენ.

ახიავასა და ხათს შორის არსებული ურთიერთობანი დადასტურებულია ხეთურ წყაროებში სუფილულიუმას დროიდან დაწყებული არნუვანდა III-მდე. ხეთების მმართველები ანგარიშს უწევდნენ ახიავას მეფეს და თავის ტოლად მიიჩნევდნენ მას. ახიავას და ხათის

ინტერესები თანხვდებოდა ძირითადად ქ. მილავანდაში. ამ ორ ქვეყანას ერთმანეთში თავიდანვე მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა, რაც დაირღვა ხეთების სახელმწიფოს არსებობის მხოლოდ ბოლო ხანებში (არნუვანდა III-ის დროს). ახიავა ცდილობდა მომაგრებულიყო მცირე აზიის სამხრეთ თუ სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ისევე როგორც ალასიაზე (კვიპროსზე). ამას არ შეეძლო არ დაეძაბა ურთიერთობა ხეთებთან, მით უნეტეს, რომ ხეთების ზოგიერთ „ვასალურ" ქვეყანაში, მაგალითად ციფასლაში, საკმაოდ მოურიდებლად მოქმედებდა „ახიას კაცი", ე. ი. ახიავას მეფე (ათარისია).

ხეთების სამეფოს დაცემა. უკვე თუთხალია IV-დან დაიწყო ხეთების ძლიერების თანდათანობით დაცემა. ძვ. წ. XIII ს. ნეორე ნახევარში ხეთებს არ მოუპოვებიათ საგარეო პოლიტიკაში არც ერთი მნიშვნელოვანი წარმატება. ქასქების ტომები ძველებურად უტევდნენ დასუსტებულ მეზობელს, აღმოსავლეთ პერიფერიაზე, ხაიასასთან ახლოს გააქტიურდა ზოგიერთი პოლიტიკური გაერთიანება (ფახუვა, და სხვ.). არასასურველი ამბები მოდიოდა შორეული დასავლეთიდან, სადაც ციფასლას მეფე ნადუვათას უჭირდა „ახიას კაცის" იერიშების მოგერიება.

არც სამხრეთ მცირე აზიაში იყო შექმნილი ხეთებისათვის ხელსაყრელი მდგომარეობა. მიუხედავად ხეთების ხშირი ლაშქრობებისა, არცავას ქვეყნები სულ უფრო მიისწრაფოდნენ პოლიტიკური დამოუკიდებლობისაკენ. რასაც ხელს უწყობდა ლუვიური სამყაროს კულტურული და რელიგიური გავლენის ზრდა ხათში. ლუვიური ოლქების გავლენა განსაკუთრებით უნდა გაზრდილიყო მუვათალის დროს, როცა „ხათის ქვეყნის ღვთაებები და მიცვალებულთა სულები" გადატანილ იქნენ „ქვემო ქვეყანაში" (ხათის სამხრეთით, ლუვიას, ანუ არცავას მოსაზღვრე რაიონში), კერძოდ, დათასაში რომელიც სამეფო რეზიდენციად გადააქცია მუვათალიმ მისი მმართველობის ბოლო წლებში.

ამ ხანებისათვის ხეთების სამეფო დიდ კრიზისს განიცდიდა ქვეყნის შიგნითაც. გაუთავებელმა დაპყრობითმა ომებმა დაღი დაასვა ქვეყნის ეკონომიკას. ხეთების ერთ-ერთი მეფის წერილიდან, რომელიც უგარითის უკანასკნელი მეფის, ამურაბისადმია გაგზავნილი, ისიც კი ირკვევა, რომ ბოლო ხანებში ხათში განიცდიდნენ სურსათის დიდ ნაკლებობასაც, რადგან ხეთების მეფე სთხოვს ამურაბის სურსათი გაუგზავნოს „მზეს", ე. ი. ხათის მბრძანებელს.

ყოველივე ამას დაერთო ეგეოსის საზღვაროს ხალხთა დიდი გადასახლება, რომლებსაც ეგვიპტური წყაროები „ზღვის ხალხებს" უწოდებენ. „ვერც ერთი ქვეყანა ვერ გაუმკლავდა მათ, თვით ხეთაც" — ვკითხულობთ მედინეთ-ჰაბუს ტაძრის ერთ ეგვიპტურ წარწერაში. თვით ხეთურ ფირფიტებში არაფერი შემოინახა ამ დიდ კატასტრო-

ფაზე, რომელსაც უნდა მოსწრებოდა ხეთების მეფე სუფილულიუმა II. დაახლ. ძვ. წ. 1200 წლისთავის ოდესღაც მრისხანე ხათი თავისი დედაქალაქითურთ სამუდამოდ დაეცა.

§ სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობანი ახალი სამეფოს დროს

ხეთების საზოგადოებისათვის ეკონომიკის მთავარ საფუძველს სოფლის მეურნეობა წარმოადგენდა. იგი თითქმის მთლიანად მოიცავდა მშრომელი მოსახლეობის საქმიანობას და მთელი საზოგადოების არსებობის მთავარი წყარო იყო. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ხეთების კანონების ასზე მეტი მუხლი მეტ-ნაკლებად ეხება მეცხოველეობისა და მიწათმოქმედების საკითხებს (საკუთრებისა და მიწათმფლობელობის უფლებების დაცვას, არხებისათვის, ნათესებისა და პირუტყვისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის ფორმებს, დაქირავებული მუშაკის შრომის ანაზღაურების ოდენობას, ფასებს მიწაზე, პირუტყვზე და ა. შ.).

ყოველი ადგილობრივი მმართველის ერთ-ერთ მთავარ მოვალეობას წარმოადგენდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა, პირველ რიგში, სამეფო და სატაძრო მიწებზე.

ახალი სამეფოს დროსაც სოფლის მეურნეობის წამყვან დარგს ხათში მეცხოველეობა წარმოადგენდა. ამ ხანის ხეთურ წერილობით წყაროებში იხსენიება ხარი, ცხვარი, ძროხა, თხა, ღორი, სახედარი, ჯორი და სხვა. განსაკუთრებული ადგილი როგორც სოფლის მეურნეობაში, ისე სამხედრო საქმეში ეკავა ცხენს.

ხეთურ ტექსტებში საკმაოდ უხვად იხსენიება მეცხოველეობის პროდუქტებიც: ხორცი, ტყავი, ყველი, რძე, ქონი, მატყლი და ა. შ.

ხეთებთან საკმაოდ იყო განვითარებული მეფრინველეობა და მეფუტკრეობა. თაფლი, ხორცთან, პურთან, ზეთთან და მატყლთან ერთად, დიდ როლს ასრულებდა რელიგიურ საკულტო რიტუალებში.

ხეთები ამუშავებდნენ მიწას თოხითა და გუთნით, რომელსაც ლითონის (სპილენძის, ბრინჯაოს) სახნისი ჰქონდა.

მიწათმოქმედების მთავარ პროდუქტს პურეული წარმოადგენდა (ხორბალი, და, განსაკუთრებით, ქერი). ბაღებში აშენებდნენ ვაშლის, მსხლის, ლეღვის ხეებსა და სხვა ხეხილს. საკმაოდ გავრცელებული იყო ზეთისხილის კულტურა.

მიწათმოქმედების პროდუქტებიდან აღსანიშნავია აგრეთვე ყურძენი, ბოსტნეული, ღვინო, ლუდი და სხვ.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება სცდებოდა ნატუ-

რალური მეურნეობის ფარგლებს, იქმნებოდა ზედმეტი პროდუქტი, რომელიც გადიოდა როგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზარზე.

მიწათმფლობელობისა და მიწაზე საკუთრების ფორმები ხეთების სახელმწიფოში საკმაოდ მრავალფეროვანი იყო, კერძოდ: სახელმწიფო (სამეფო), სატაძრო, სათემო და კერძო მფლობელობაში მყოფი მიწები, სახელმწიფო და სატაძრო მიწები სამეფო ხელისუფლების უშუალო განკარგულებაში იყო, რადგანაც ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ხათში მეფე წარმოადგენდა არა მარტო უზენაეს საერო მმართველს, არამედ უმაღლეს ქურუმსაც და ამრიგად, სახელმწიფო და სატაძრო მიწების უზენაეს მესაკუთრეს.

ხეთურ წერილობით წყაროებში ხშირად იხსენიება მეფის ან სასახლის მიწები, ამა თუ იმ „ქალაქის" ქონება და ტაძრების საკუთრება. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ხეთები მკაფიოდ ასხვავებდნენ სახელმწიფო, სათემო და სატაძრო ქონებას.

ამ სახელმწიფო, სათემო თუ სატაძრო მიწების ფარგლებში არსებობდა სამეურნეო ერთეულები — ხეთურად „ფარნა" ან „ფირ" (სახლი), რომლებიც ცალკეულ ოჯახებს ეკუთვნოდათ. ანგვარ ნაკვეთს უშუალოდ ამუშავებდა მეთემე გლეხის ოჯახი.

სახელმწიფო (და ნაწილობრივ სათემო) მიწები უმაღლესი ან ადგილობრივი ხელისუფლების განკარგულებით ნაწილდებოდა მეომრებსა და მოხელეებს შორის. ამგვარი მიწებით სარგებლობა დაკავშირებული იყო ორი სახის ვალდებულებასთან, რომელთაც ეწოდებოდათ „სახანი" და „ლუცი".

სახელმწიფო, სატაძრო და სათემო მიწების გვერდით ხეთების სახელმწიფოში არსებობდა მიწის მსხვილ და წვრილ მესაკუთრეთა კლასი, რაც კარგად დასტურდება მისი ყიდვა-გაყიდვის საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკით. მიწის კერძო მფლობელობასთან დაკავშირებით ხათის სახელმწიფოში არსებობდა „თანამფლობელობის" გარკვეული სისტემა. ხეთურ ტექსტებში იხსენიება „ნაკვეთის (ანუ წილის) ადამიანი", რომელიც, როგორც ჩანს, ეკონომიკურად დამორჩილებულ პიროვნებას წარმოადგენდა, თუმცა ოჯახის რიგითი წევრის უფლებებითაც სარგებლობდა. ამ ადამიანს ეკუთვნოდა შემოსავლის დაახლოებით ერთი მესამედი და გაპოყოფის შემთხვევაში ქონების იმავე ნაწილს იღებდა. მაგრამ თუ „წილის ადამიანი" ოჯახში რჩებოდა, მეპატრონის გარდაცვალების შემთხვევაში მას შეეძლო შეერთო ოჯახის განსვენებული უფროსის ქვრივი და თვითონ დამოუკიდებელ მეპატრონედ ქცეულიყო (თუ გარდაცვალებულს პირდაპირი მემკვიდრეები არ ჰყავდა).

ხ ე ლ ო ს ნ ო ბ ა ს ხეთებთან საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვის საინტერესო ხანაშიც. ანატოლია და მისი მომიჯნავე ოლქე-

ბი მდიდარი იყო მთამადნეულით (სპილენძი, ვერცხლი და სხვ.). ლითონები იხმარებოდა არა მარტო საკუთარი მოთხოვნილებისათვის, არამედ იგი ექსპორტის საგანსაც წარმოადგენდა.

სპილენძისა თუ ბრინჯაოსაგან აკეთებდნენ საბრძოლო და შრომის იარაღებს, საოჯახო მოხმარების საგნებს, საკულტო ინვენტარს, სამკაულებსა და სხვ. ამიტომ ხეთების საზოგადოებაში, საერთოდ, და მეფის მეურნეობაში, კერძოდ, განსაკუთრებული ადგილი ეკავათ „მესპილენძეებს“ და „მჭედლებს“, რომლებიც ხშირად გაერთიანებული იყვნენ სახელოსნოებში და გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდნენ (ხელოსანს ხეთები უწოდებდნენ „იარაღის ადამიანს“).

არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოჩნდა ხეთების სამშენებლო საქმის განვითარების საკმაოდ მაღალი დონე. აღმოჩენილია სამშენებლო ხელოვნებისა და არქიტექტურის ნრავალი ძეგლი: სასახლეები, ტაძრები, ციხე-სიმაგრეების ნანგრევები, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი სვეტებიანი ბარელიეფებით და ღვთაებათა და ცხოველთა სკულპტურებით გაფორმებულ შენობებს წარმოადგენდა.

გარდა მელითონეებისა და მშენებლებისა, არსებობდნენ: მეთუნეები, დაბაღები, დურგლები, ფეიქრები, მკერავები, ოქრომჭედლები და ა. შ.

სოფლის მეურნეობისა და ხელოსნობის საკმაოდ მაღალმა დონემ განაპირობა ვაჭრობის განვითარება ხეთებთან. ახალი სამეფოს დროს ვაჭართა ფენას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ხეთების საზოგადოებაში. ვაჭრობა წარმოებდა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ხეთები იცნობდნენ საცალო და საბითუმო ვაჭრობას, გაერთიანებული იყვნენ სპეციალურ სავაჭრო სახლებში და სარგებლობდნენ სამეფო ხელისუფლების განსაკუთრებული მფარველობით. ხათის ქვეყანაში ვაჭრობდნენ სხვადასხვა სახის ქსოვილებით, ძვირფასი და სამშენებლო ქვებით, სოფლის მეურნეობისა და ხელოსნობის ნაწარმით. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლითონებით ვაჭრობასაც.

* * *

სახელმწიფო განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ხეთების ეკონომიკურ ცხოვრებაში. მეურნეობის არც ერთი დარგი არ რჩებოდა გარკვეული ორგანიზაციისა და ცენტრალური ხელისუფლების ყურადღების გარეშე. სპეციალური მოხელეები ხელმძღვანელობდნენ სამეურნეო მოღვაწეობას, ასრულებდნენ უზენაესი ხელისუფლების მოთხოვნებს. ხეთებთან არსებობდა საკმაოდ ორგანიზებული ეკონომიკა,

რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებდა საზოგადოებრივი განვითარების საქმეში.

საზოგადოებრივი კლასები და სოციალური დიფერენციაცია. ხეთების საზოგადოება წარმოადგენდა ტიპურ ძველაღმოსავლურ სოციალურ ორგანიზმს, რომელიც დაყოფილი იყო ორ ძირითად კლასად: თავისუფლებად და არათავისუფლებად. ამ უკანასკნელთ ჩვეულებრივად მონებს უწოდებენ.

ა რ ა თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ თ ა (მ ო ნ ე ბ ი ს) კლასის ძირითად ნაწილს ტყვეები წარმოადგენდნენ. ხათის მმართველები (სუფილულიუმა, მურსილი II და სხვ.) ნოგვითხრობენ ომების შედეგად დიდძალი ნადავლისა და ტყვეების ხელთგდების შესახებ. მაგალითად, მურსილი II-ის „ანალებიდან" ვგებულობთ, რომ ამ მმართველმა ათეულათასობით ტყვე წამოიყვანა სხვადასხვა ქვეყნებიდან: არინანდადან — 15 500, ფურუნდადან — 16 000, არცავას ქვეყნიდან — 66 000 კაცი და ა. შ. აღსანიშნავია ისიც, რომ აქ საუბარია მხოლოდ იმ ტყვეებზე, რომლებიც მეფის უშუალო საკუთრებას წარმოადგენდნენ. მურსილი II განმარტავს: „იმ ტყვეთა რიცხვი, რომელნიც მე, მზეს, სასახლეში მოვიყვანე, შეადგენდა 15 500 კაცს; ხოლო იმ ტყვეთა რაოდენობა, რომელნიც ხელთ იგდეს მხედართმთავრებმა და მეეტლებმა — უთვალავი იყო".

ტყვეობასთან ერთად მონობის სხვა წყაროებიც არსებობდა: არათავისუფალთა ყიდვა-გაყიდვა, სავალო კაბალა, მონობა, როგორც კრიმინალური მოქმედების ან ქორწინების შედეგი (თავისუფალი ქალის გათხოვება მონაზე). ამასთან ერთად, ხეთის დამონება კანონით შეზღუდული იყო და, როგორც წესი, დროებით ან, იშვიათ შემთხვევაში, სამუდამო (სიკვდილამდე) ხასიათს ატარებდა, მაშინ როდესაც ტყვე, წესისამებრ, დამონებული იყო სამეკვიდრეოდ: თვითონ, მისი ოჯახი, შვილები და შვილიშვილები მონებად რჩებოდნენ.

მონების მდგომარეობის შესახებ ერთ-ერთ ხეთურ „ინსტრუქციაში" შემდეგია ნათქვამი: „... როცა მონა თავისი ბატონის წინაშე დგას, იგი დაბანილი და სუფთად ჩაცმული უნდა იყოს. და იგი (ე. ი. მონა) ბატონს მიართმევს საჭმელსა და სასმელს. როცა მისი ბატონი რაინეს შეჭამს, დალევს და კარგ ხასიათზე მოვა — მისდამი (ე. ი. მონისადმი) კეთილად განეწყობა, მაგრამ როდესაც მონა ურჩობს და წინააღმდეგობას უწევს ბატონს, მაშინ მისდამი სულ სხვა დამოკიდებულებაა. თუ ნონა საკუთარ ბატონს ზიანს აყენებს, მაშინ ბატონი კლავს მას ან თხრის თვალებს, აჭრის ყურსა და ცხვირს; ანდა ბატონი პასუხს აგებინებს მას ცოლთან, შვილებთან, ძმასთან, დასთან, მოყვარესთან ერთად, მიუხედავად იმისა, ეს მონა კაცია თუ ქალი. მაშინ კი საქვეყნოდ სჯიან მონას და უყურებენ ნას, როგორც არარა-

ობას; თუ მონა კვდება, იგი არ უნდა მოკვდეს მარტო: მთელი მისი ოჯახი უნდა დაიმარხოს მასთან ერთად".

როგორც ვხედავთ, მონის ხვედრი ბატონისადმი უსაზღვრო მორჩილება იყო, ბატონს კი ფაქტობრივად დასჯის შეუზღუდველი უფლება ჰქონდა. მაგრამ, ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მონა ხეთების საზოგადოებაში თავისი სოციალური მდგომარეობით საგრძნობლად განსხვავდებოდა კლასიკური ხანის მონისაგან. ხეთებთან იგი არ წარმოადგენდა მხოლოდ საკუთრების საგანს, „მოლაპარაკე იარაღს".

მართალია, მონა თავისუფლად იყიდებოდა და ისჯებოდა, მაგრამ იგი მთლიანად მაინც არ კარგავდა ადამიანურ ღირსებას: მას შეეძლო ჰქონოდა მცირეოდენი საკუთრება (ნიწის ნაკვეთი, პირუტყვის გარკვეული რაოდენობა, იარაღი, და სხვ.), შეექმნა საკუთარი ოჯახი (არა მარტო მონა ქალთან, არამედ თავისუფალთა კლასის წარმომადგენელთანაც). გარკვეულ შემთხვევაში კანონი იცავდა მონის სიცოცხლესა და უფლებებს. მონას შეეძლო სასამართლო პროცესზე დამოუკიდებლად გამოსულიყო, როგორც ერთ-ერთი მოდავე მხარე და ა. შ.

მონათა სხვადასხვა ჯგუფებს შორის არსებობდა გარკვეული სოციალური სხვაობა მათი წარმოშობისა (უცხოელი ტყვე, ადგილობრივი მოსახლე და ა. შ.) თუ კუთვნილების მიხედვით (სახელმწიფო, სატაძრო და კერძო მფლობელობაში მყოფი მონები). როგორც ჩანს, განსაკუთრებით დიდი იყო სახელმწიფო მონების რიცხვი, რომელთაც ჩვეულებრივად „მეფის ან სასახლის მონებს" უწოდებდნენ. მაგრამ არსებობდა მონათა სხვა კატეგორიებიც, მაგალითად. „ქვის სახლის" მონები, ე. წ. „ხიფარა" მონები და სხვ. სახელმწიფო მონას („ნამრა") შეეძლო მეფისაგან მიეღო ნაკვეთი კერძო სარგებლობაში, ეკისრა სამხედრო და სხვა სახის ვალდებულებანი (მაგალითად, „სახანი"). არსებობდა მონათა (ხიფარას) სპეციალური გაერთიანებანიც.

თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა, რომელიც შედგებოდა სრულუფლებიანი ადამიანებისაგან, არ წარმოადგენდა სოციალურად ერთფეროვან ფასას.

ამ კლასის უმდაბლესსა და, ამავე დროს, ყველაზე უფრო მრავალრიცხოვან ფენას მეთემე გლეხობა შეადგენდა. ეს უკანასკნელნი, ბელოსნებთან ერთად, მწარმოებელთა კლასის ძირითად ბირთვს ქმნიდნენ. თავისი მდგომარეობით თავისუფალთა კლასის ეს ნაწილი ყველაზე უფრო ახლოს იდგა მონებთან და ხშირად ერწყმოდა მას. მაგალითად, მოვალე გლეხი ადვილად შეიძლებოდა გამხდარიყო მონა (ძირითადად, დროებით), ხოლო არათავისუფალს გამოსყიდვის საშუალებით შეეძლო გამხდარიყო თავისუფალთა კლასის უმდაბლესი ფენის წევრი. როგორც მონები, ასევე თავისუფალი მეთემენი და ხე-

ლოსნები წარმოადგენდნენ მოსახლეობის ჩაგრულ (ექსპლუატირებულ) ნაწილს, რომლის ხარჯზე არსებობდა მთელი საზოგადოება.

შედარებით უფრო მაღლა იდგა ვაჭართა, ქურუმთა და მეომართა ფენა. მოსახლეობის უმდაბლესი ფენებიდან გამოსულნი, ისინი თანდათანობით წყდებოდნენ უშუალო მწარმოებლებს და უახლოვდებოდნენ გაბატონებული კლასის წარმომადგენლებს. მათი რიგებიდან ივსებოდა ნსახურეულთა ფენა, რომელიც აშკარად უპირისპირდებოდა ძველ გვაროვნულ არისტოკრატიას და, მონარქიის გაძლიერების პირობებში, სამეფო ხელისუფლების მთავარ დასაყრდენს ქმნიდა.

ხეთური საზოგადოების განვითარებასთან ერთად თანდათანობით მცირდებოდა ძველი საგვარეულო არისტოკრატიის გავლენა სახელმწიფოს მართვა-გამგეობასა და საზოგადოების ხელმძღვანელობაში, თუმცა მას არასდროს დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და ყოველთვის წარმოადგენდა ხეთების სოციალური ორგანიზმის უმაღლეს ფენას. სამეფო საგვარეულო სახლიც ხომ ამავე ფენის შემადგენელი ნაწილი იყო და თუ იგი ებრძოდა საგვარეულო არისტოკრატიას, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მოეხდინა მთელი ძალაუფლების ცენტრალიზაცია და კონცენტრაცია ერთი დინასტიის, საბოლოო ანგარიშში, ერთი მონარქის ხელში.

როგორც აღვნიშნეთ, ხეთური კანონები ასხვავებენ საზოგადოების ორ ძირითად ნაწილს: თავისუფლებსა და არათავისუფლებს. მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ თავისუფალთა კლასის ყველა ფენა ერთნაირი უფლებებით სარგებლობდა კანონის წინაშე. მაგალითად, თუ სამეფო გვარისა და საგვარეულო არისტოკრატიის წარმომადგენელთა მიმართ კანონით დაშვებული იყო მხოლოდ პირადი (პერსონალური) პასუხისმგებლობა, მონები და მწარმოებელთა კლასის ადამიანები გარკვეული დახაშაულის შემთხვევაში კოლექტიურად (ე. ი. მთელი თავისი ოჯახის შემადგენლობით, მთელი ქონებით)აგებდნენ პასუხს. ბატონს შეეძლო მთლიანად ამოეწყვიტა ურჩი მონის ოჯახი. მაგრამ როგორი მძიმე დანაშაულიც არ უნდა ჩადენილ მეფის ოჯახის, ანდა დიდგვაროვანთა წარმომადგენელს, იგი, კანონის თანახმად, „მხოლოდ საკუთარი თავით აგებდა პასუხს. მის ოჯახსა და მის შვილებს კი ბოროტს ნუ გაუკეთებენ, ...ნუ მოსპობენ მის სახლებს მინდვრებს, ვენახებს, ბელლებს, მონებს, ხარებსა და ცხვრებს“.

სოციალური უთანაბრობა ასევე კარგად ჩანს ხეთების კანონების 173-ე მუხლიდან, რომლიდანაც ვგებულობთ, რომ ერთი და იგივე დანაშაული, მიმართული მეფის, დიდგვაროვნისა და უბრალო ბატონის წინააღმდეგ, ისჯებოდა სხვადასხვაგვარად: პირველ შემთხვევაში — მთელი ოჯახის ამოწყვეტით ან მონად ქცევით, მეორეში — მხოლოდ დამნაშავისათვის თავის მოკვეთით, ხოლო მესამე შემთხვევა-

ში (როდესაც კანონს არღვევდა ქონა)— მკაცრი წამებით და სიკვდილით.

სახელმწიფო მმართველობის სისტემა. ხეთების სახელმწიფოში სამეფო ხელისუფლება აღმოცენდა და განვითარდა როგორც გვაროვნული და სათემო სამმართველო სისტემის შედეგი და უშუალო გაგრძელება. ამიტომ იყო, რომ ხეთების სამეფოს არსებობის პირველ ხანებში უზენაესი მმართველის თანამდებობა არჩევითი ხელისუფლების ნიშნებს ატარებდა.

მეფის (ხასუს) ტიტული ხათის მმართველებმა უძველესი დროიდანვე მიიღეს. შემდეგ იგი „დიდი მეფის" ტიტულად აქციეს. ლაბარნას დროიდან მას საპატიო წოდება „თაბარნაც" მიუმატეს. ტიტულატურა ოდნავ შეიცვალა ხეთების ახალი სამეფოს არსებობის ხანაში, როდესაც მეფე თავის თავს დამატებით „მზესაც" უწოდებდა („მე, თაბარნა, მზე, დიდი მეფე, ხათის ქვეყნის მეფე").

თუ „თაბარნა" გვაროვნული არისტოკრატიის მიერ შეზღუდულ სამეფო ხელისუფლებას აღნიშნავდა, „მზე" — ერთპიროვნული მმართველი იყო, თითქმის დესპოტი. იგი ჯერ ღვთაებად არ იყო გამოცხადებული, მაგრამ სიცოცხლესთან განშორების ჟამს იგი უბრალოდ კი არ კვდებოდა, არამედ როგორც ხეთური წყაროები გვაუწყებენ, „ღმერთად იქცეოდა".

ხეთების ახალი სამეფოს დროინდელი მეფე უზენაესი სასულიერო და საერო მმართველი, დიდი ქურუმი, უმაღლესი მთავარსარდალი, ქვეყნის გამგებელი, კანონმდებელი და მოსამართლე იყო. ზეცასთან კავშირი მის პირველ და წმიდათაწმიდა მოვალეობას წარმოადგენდა. იგი უშუალოდ ხელმძღვანელობდა დიდ რელიგიურ დღესასწაულებს. თუ ამგვარი ზეიმი სამხედრო ლაშქრობების პერიოდს ემთხვეოდა, მეფე არჩევდა შინ დარჩენას და ზეცის წინაშე ვალის მოხდას. ხეთურ საზოგადოებაში გაბატონებული შეხედულების მიხედვით, „ქვეყანა ეკუთვნის ქარიშხლის ღვთაებას; ზეცა, მიწა და ადამიანები აგრეთვე ეკუთვნიან ქარიშხლის ღვთაებას. იგი თავის წარმომადგენლად ქმნის ლაბარნას, ნეფეს და აძლევს მას ხათის მთელ ქვეყანას".

ოფიციალურად მეფე ჩაგრულთა და ტანჯულთა მფარველად იყო გამოცხადებული. ერთ-ერთი ხეთური ტექსტი მოგვითხრობს: „მიეც მათ (გაჭირვებულებს) პური ხელში; იზრუნე ავადმყოფებზე, მიეც მათ პური და წყალი. თუ მას სიცხე სტანჯავს, მიიყვანე იგი სიგრილეში: თუ მას სიცივე აწუხებს, მიიყვანე იგი სითბოში... მიეცი მშიერს პური, ხოლო შიშველს — ტანსაცმელი!".

მეფის სასახლეში მოხელეთა და მოსამსახურეთა უზარმაზარი

შტატი იყო: მეფის პირადი დაცვის მეომრები, მზარეულები, მერიქიფეები, მეჯინიბეები, მეწაღეები და მრავალი სხვა.

დედოფალი, რომელიც ახალი სამეფოს ხანაშიც „თავანანა“ ტიტულს ატარებდა, საკმაოდ დიდ როლს ასრულებდა: ხელს აწერდა ზოგიერთ სახელმწიფოებრივ დოკუმენტს, განაგებდა მთელ რიგ ქალაქსა და ქალღმერთის ტაძარს, აწარმოებდა მიწერ-მოწერას სხვადასხვა ქვეყანასთან და ა. შ. თავანანას ტიტულიც მემკვიდრეობით (მეფის წოდებისაგან სრულიად დამოუკიდებლად) გადადიოდა დედოფლიდან დედოფალზე. საინტერესოა აღინიშნოს ისიც, რომ მეფესა და დედოფალს საერთო საბეჭდავები ჰქონდათ, რომლითაც ამოწმებდნენ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საბუთებს. დედოფალს საკუთარი მომსახურე პერსონალი ჰყავდა, რომელიც ძირითადად თავისუფალი და არათავისუფალი ქალებისა და საჭურისებისაგან შედგებოდა. ყოველგვარი კონტაქტი აღნიშნულ მომსახურე ქალებთან აკრძალული იყო.

დედოფლის ესოდენ მაღალი და დამოუკიდებელი მდგომარეობის ფაქტს ბევრი მეცნიერი ქალის უფლების გადმონაშთად მიიჩნევს.

სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში დიდ როლს ასრულებდა საგვარეულო და სამოხელეო არისტოკრატია. მეფეს უშუალოდ ემორჩილებოდნენ მეფის შვილები (ტახტის მემკვიდრენი) და უმაღლესი რანგის მოხელენი. მათი რიგებიდან ინიშნებოდნენ მეფის ნაცვლები, ადგილობრივი ოლქების მმართველები, სახელმწიფო საქმეების გამგებლები.

ხათის მეფე ყოველ ოლქში როდი ნიშნავდა საკუთარ მოხელეს, იგი ხშირად ტოვებდა ადგილობრივ მმართველს, რომელთანაც დებდა სათანადო ხელშეკრულებას. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც დაპყრობილი ოლქი უშუალოდ შემოდიოდა სახელმწიფოს შემადგენლობაში. ამ შემთხვევაში ნას განაგებდა ცენტრალური ხელისუფლების მიერ უშუალოდ დანიშნული მოხელე — „აურის ისხას“ (ოლქის მმართველი), რომლის ფუნქციები და უფლებები სპეციალური ბრძანებულებით იყო დამტკიცებული. ასეთ ოლქებს შიგნით, გარკვეული ტერიტორიის ფარგლებში, სამეურნეო მოღვაწეობას ხელმძღვანელობდნენ ე. წ. „ქვის სახლები“, რომელთა გამგებლობაში იყო უშუალოდ სამეფო საგვარეულოს მიწები. ხეთების ერთ-ერთ წერილობით წყაროში ნათქვამია: „ასე, ლაპარაკობს ასმუნიქალი, დიდი დედოფალი: „ქვის სახლი“ ჩვენ (ე. ი. მეფემ და დედოფალმა) დავაარსეთ და გადავეცით მას ხელოსნები, მიწათმოქმედნი, მსხვილი და წვრილი რქოსანი საქონლის მწყემსები მათი სახლებითა და დასახლებებით... თუ „ქვის სახლს“ ვინმე დიდ ზიანს მიაყენებს, უნდა მოკვდეს იგი, ხოლო

მისი სახლი უნდა გადაეცეს „ქვის სახლს“... „ქვის სახლის“ მინდორი, ტყე, ბოსტანი, ბაღ-ვენახი არავინ არ უნდა იყიდოს...“

„ქვის სახლი“ ვალდებული იყო ეხელმძღვანელა ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო და ხელოსნური წარმოებისათვის, შეეკრიბა გადასახადები, გაეგზავნა მეომრები მეფის ლაშქარში და სხვ. ამ ადმინისტრაციულ-სამეურნეო დაწესებულებების ცენტრი იყო გარდაცვალებული (და ამიერიდან ღვთაებად ქცეული) მეფის მავზოლეუმი და მასთან არსებული ტაძარი.

უფრო წვრილი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულების (ქალაქების, თემების, დასახლებული პუნქტების) სათავეში იდგნენ ქალაქის თავები, თემის უხუცესნი, სამოქალაქო საბჭოები და ა. შ. თვით სასახლეში მეფის უშუალო ხელმძღვანელობით არსებობდა სპეციალური საგზელეო აპარატი, რომელიც დიდი ვეზირის მონაწილეობით თავისებურ აღმასრულებულ ხელისუფლებას წარმოადგენდა. ამ უმაღლეს მოხელეთა შორის ჩვენ ვხედავთ სამეფო დაცვის უფროსს, მეფის კარისკაცთა მთავარს, მთავარ მევენახეს, სამეფო კვერთხის მთავარ მცველს, მეღვინეთუხუცესს, ათასისთავს, „ოქროს შუბოსანს“ და ა. შ.

სამეფო ხელისუფლების მთავარი დასაყრდენი ძალა იყო ჯარი, რომელიც ძირითადად ორი ნაწილისაგან შედგებოდა: შეიარაღებული ძალების მთავარი, მუდმივი ბირთვისაგან და დროებით, საომარი მოქმედების პერიოდში გაწვეული მეომრებისაგან, რომლებიც მშვიდობიან დროს მწარმოებელთა კლასის ძირითად შრომისუნარიან ნაწილს შეადგენდნენ.

ხეთების არმიის საყრდენ მასას ქვეითი ჯარი წარმოადგენდა, ხოლო მთავარ დამრტყმელ ძალას — საბრძოლო ეტლთა ნაწილები. ან უკანასკნელთა შემადგენლობაში ძირითადად დიდგვარიანები და წარჩინებულები შედიოდნენ. ქვეითი ჯარისა და მეეტლეთა რაოდენობრივი შეფარდება უდრიდა დაახლოებით 10:1 ან 15:1. ხეთური ეტლი, როგორც ეს კადეშის ბრძოლის რელიეფებიდან ჩანს, განსხვავდებოდა ეგვიპტურისაგან; მასზე სამი კაცი იყო: მეეტლე — მძღოლი, მეფარე და ნებრძოლი.

ხეთების არმიის სტრატეგია და ტაქტიკა აგებული იყო, როგორც წესი, ღამის სწრაფ გადასვლებზე და მოულოდნელ თავდასხმაზე. საკუთრივ ხეთური კონტინგენტის გარდა, არმიის შემადგენლობაში შედიოდნენ დამორჩილებული ქვეყნებისა და ოლქების დამხმარე სამხედრო ძალებიც, თუმცა ხათის მეფე შესაძლებლობის ფარგლებში ცდილობდა ემოქმედა „მოკავშირეთა“ დახმარების გარეშე.

სამართალი. ჩვენამდე მოაღწია ხეთური კანონების საკმაოდ ვრცელმა კრებულმა. როგორც ამ კრებულის ანალიზი გვიჩვენებს, იგი

სამ სხვადასხვა ეპოქაში უნდა იყოს შედგენილი: კანონების უძველესი ნაწილი ეკუთვნის დაახლოებით მურსილი I-ის ეპოქას, მეორე — ძველი სამეფოს ბოლოს ან ახალი სამეფოს დასაწყისს, ხოლო მესამე — XIII საუკუნის მეორე ნახევარს.

მრავალ ნუხლში აღნიშნულია, თუ როგორი იყო სასჯელი ამა თუ იმ დანაშაულისათვის წარსულში და როგორია ახლა. როგორც წესი, სასჯელი ამ შემთხვევაში შერბილებულია, უმეტესად განახევრებული.

ხეთური კანონების პირველი ფირფიტა შეიცავს ადამიანის პირადი და საკუთრების უფლებების განმარტებას. აქ აღწერილია თავისუფალი ადამიანისა და მონის ნდგომარეობა, მოცემულია სასჯელთა სისტემა ადამიანის მკვლელობის ან დაშავებისთვის, ქურდობისა თუ მოტაცებისათვის, გაჭხილულია საოჯახო სამართლის ნორმები, სახელმწიფო ვალდებულებანი („სახანი" და „ლუცი").

კანონთა კრებულის ნეორე ფირფიტა ეხება მიწათმფლობელობისა და ნათესების სამართლებრივი დაცვის საკითხებს, სასჯელთა სისტემას ანტისახელმწიფოებრივი და ანტისაზოგადოებრივი მოქმედებისათვის, ქურდობისა და ხელშეკრულების დარღვევისთვის, ქალის ღალატისა და სხვა დანაშაულისათვის. ამას გარდა, აქვეა მოცემული დაქირავებული თუ სხვა შრომის ანაზღაურების საბეობანი, ფასების ტარიფი სხვადასხვა საქონელზე და ა. შ.

კანონთა კრებულის ორივე ფირფიტის ერთნანეთთან შედარება აშკარად მიუთითებს ხეთების საკანონმდებლო სისტემის თანდათანობით განვითარებაზე. მაგალითად, თუ პირველ ფირფიტაში ამა თუ იმ დანაშაულისათვის ხშირადაა ლაპარაკი ადამიანთა (ე. ი. ძირითადად მონათა) „თავებით" ანაზღაურებაზე, მეორე ფირფიტაში აქცენტი ძირითადად გადატანილია ფულად ჯარიმაზე.

ტალიონის უძველესი სისტემის ნაკვალევი შემორჩენილია თელიფინუს ბრძანებულებაში, სადაც ნათქვამია: „სისხლის საქმე აქეთია: თუ ვინმე მკვლელობას ჩაიდენს, სიტყვა სისხლის პატრონს (ე. ი. მოკლულის ოჯახის მეთაურს) ეკუთვნის. თუ იგი იტყვის: „დაე მოკვდეს", დამნაშავე უნდა მოკვდეს მაგრამ თუ იგი იტყვის „დე ზღოსს", მაშინ მან (ე. ი. დამნაშავემ) საზღაური უნდა გაიღოს". ამგვარ დებულებას კი ხეთების კანონებში უკვე აღარ ვხვდებით: ტალიონის სისტემა ადგილს უთმობს ანაზღაურების სხვადასხვა ფორმას (ძირითადად ფულად სისტემას). ხეთების კანონების მე-3-4 მუხლების მიხედვით, თავისუფალი ადამიანისა და მონის უნებლიედ მკვლელობისათვის დაწესებული იყო შესაბამისად ორი და ერთი „თავით" ანაზღაურება. მოგვიანო ხანაში ამგვარი კომპენსაცია შეიცვალა ფულადი გადასახადით.

ხეთური კანონები, ბუნებრივია, კლასობრივ ხასიათს ატარებდა და დიდ ყურადღებას უთმობდა საკუთრების არსებული ფორმების დაც-

ვას. საკუთრებისათვის რაიმე ზიანის მიყენების ან ქურდობის შემთხვევაში დაწესებული იყო მრავალჯერადი ანაზღაურება და ჯარიმა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა მონათმფლობელის უფლებათა დაცვას. მაგალითად, ხეთური კანონების მე-19 (*b*) მუხლის თანახმად, „თუ ხათუსაში რომელიმე ხეთი მოიპარავს ლუვიელს (იგულისხმება „მონას") და მას ლუვიის ქვეყანაში წაიყვანს, წინათ აძლევდნენ 12 „თავს", ხოლო მან 6 „თავი" უნდა მისცეს".

ხეთური კანონების მიხედვით მონის პიროვნება მკვლელობის, ან სხეულის დაზიანების შემთხვევაში რიგით თავისუფალთან შედარებით შეფასებულია ნახევარ ფასად ან უფრო ნაკლებად. მაგალითად, თავისუფალი ადამიანის განზრახ მკვლელობისათვის იხდიდნენ 4 „თავს", მონის მკვლელობისათვის კი— მხოლოდ ორს; თავისუფალის დაბრმავებისათვის ან კბილების ჩამტვრევისათის დაწესებული იყო ჯარიმა 20 სიკლი, ხოლო მონისათვის — ხოლოდ 10 და ა. შ. მაგრამ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მონა, როგორც წესი, უფრო მკაცრად ისჯებოდა, ვიდრე თავისუფალი ადამიანი.

ხეთურ კანონებში საკმაოდ დიდი ადგილი უკავია ფასების ტარიფს, სხვადასხვა სახის სამუშაოთა შეფასებას, რაც ნათლად მეტყველებს სასაქონლო ფულადი სისტემის განვითარებაზე. მონები (მათი კვალიფიკაციის მიხედვით) შეფასებულია 10—15 სიკლად, მიწის ნაკვეთები (ვენახის გამოკლებით) კი 1—3 სიკლ ვერცხლად; მსხვილი რქოსანი საქონლის (ხარის, ძროხის, ხბოსი და ა. შ.) ფასი მერყეობდა 2-სა და 12 სიკლ ვერცხლს შორის, ცხენები, სახედრები, ჯორები შეფასებულია 2 სიკლიდან 1 მინამდე; სხვადასხვა პირუტყვის ხორცი — სიკლის 1/20-დან 1/2-მდე, ტყავი — სიკლის 1/20-დან 1 სიკლამდე. აქვეა აგრეთვე შეფასებული მიწათმოქმედების პროდუქტები (ყველი, თაფლი, ღვინო და სხვ.), ქსოვილები და ტანსაცმელი (ერთიდან 30 სიკლამდე) და ა. შ.

ხეთური კანონების მთელ რიგ მუხლებში განხილულია ადამიანისა და პირუტყვის გაქირავების პირობები. მაგალითად, მოსავლის აღების დროს დაგირავებული მამაკაცის შრომა შეფასებულია 10 „ფად" („ფა" უდრის დაახლ. 16 ლიტრს), ხოლო ქალისა—6 „ფა" მარცვლეულად თვეში. დაშვებული იყო პირუტყვისა და საკუშაო იარაღის გაცემა-გაქირავება (მაგალითად, წყვილი ხარი ქირავდებოდა 0,5 „ფა" მარცვლეულად დღეში, ხოლო ნაჯახის გაქირავების ფასი თვეში 0,5—1 სიკლს უდრიდა).

ხეთურ კანონებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ს ა ო ჯ ა ხ ო ს ა მ ა რ თ ლ ი ს ა და მ ე მ კ ვ ი დ რ ე ო ბ ი ს წ ე ს ებ ს.

იმ დროისათვის, როდესაც დაიწერა ხეთური კანონები, ოჯახი ხეთებთან უკვე პატრიარქალურ ხასიათს ატარებდა და მას სათავეში

ედგა ოჯახის უფროსი — მამა, რომლის ძალაუფლება ვრცელდებოდა არა მარტო საოჯახო საკუთრებაზე, არამედ ცოლსა და შვილებზეც, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ხეთებთან ოჯახის უფროსის ეს ძალაუფლება არ მიდიოდა იმ უკიდურესობამდე, როგორც, ვთქვათ, ასურეთში, ძველ ებრაელებთან, ანდა რომში. მართალია, ხეთებთანაც შეეძლო მამას შვილისათვის ჩამოერთმია მემკვიდრეობის უფლება, გაეძევებინა იგი სახლიდან და გაეყიდა კიდეც, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ შვილიც ისეთსავე მდგომარეობაში იყო, როგორშიც უბრალო მონა. ოჯახის უფროსს არ შეეძლო სურვილისამებრ მოეკლა, გაეყიდა ან ეწამებინა ცოლი და შვილები. ასეთი მოქმედების უფლებას იგი მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში ინარჩუნებდა (მაგალითად, ცოლის ღალატის დროს, შვილის ურჩობისას და სხვ.).

ოჯახი წარმოადგენდა კარგად ორგანიზებულ, როგორც წესი, მონოგამიურ უჯრედს, რომლის სათავეში თავისებური მბრძანებელი (ოჯახის თავი) იდგა. ამ უკანასკნელს ოჯახის წევრებისა და საკუთრების მიმართ გარკვეული რელიგიური, სასამართლო და კერძომესაკუთრული უფლებები ჰქონდა.

ქორწინების მთავარ ფორმას წარმოადგენდა ე. წ. „ქორწინება შესყიდვით", როდესაც სასიძოს ოჯახი გარკვეულ გამოსასყიდს გაიღებდა. სათანადო საქორწინო ხელშეკრულება იდებოდა სარძლოსა და სასიძოს ოჯახებს შორის, როგორც ჩანს, ახალგაზრდების ნებასურვილისაგან დამოუკიდებლად. თუ სარძლო დაარღვევდა ამ კონტრაქტს და მას სხვა მამაკაცი „მოიტაცებდა", არც სარძლო და არც მოტაცებელი არ ისჯებოდა: საჭირო იყო მხოლოდ გაღებული გამოსასყიდის ანაზღაურება. მაგრამ თუ ქალის მშობლები თვითონ გადასცემდნენ ქალს სხვა მამაკაცს, ისინი ვალდებული იყვნენ ორმაგად აენაზღაურებინათ მიღებული გამოსასყიდი. თუ საქორწინო ხელშეკრულებას მამაკაცის ოჯახი დაარღვევდა, იგი კარგავდა გაცემული გამოსასყიდის თანხას.

ხეთებთან არსებობდა ქორწინების კიდევ ერთი სახეობა, ე. წ. „ერებუ", ქორწინება, როდესაც გამოსასყიდს იხდიდა ქალის ოჯახი და „ყიდულობდა" სიძეს. ამ შემთხვევაში სიძე ქალის სახლში გადადიოდა საცხოვრებლად, წყვეტდა კავშირს საკუთარ ოჯახთან და კანონიერი შვილის უფლებით აგრძელებდა სიმამრის გვარს.

ხეთებთან დაშვებული იყო ქორწინება როგორც ნონათა შორის, ასევე თავისუფალთა და არათავისუფალთა კლასების სხვადასხვა წარმომადგენელს შორის (ქორწინების შერეული ფორმა). მონათა შორის ქორწინება დაახლოებით იმავე წესით ხდებოდა, როგორც თავისუფალთა შორის, ამასთანავე, შეუღლებულთა სოციალური მდგომარეობა არ იცვლებოდა. მონების შვილებიც მონებად რჩებოდნენ.

რაც შეეხება შერეულ ქორწინებას, ამ შემთხვევაში შეუღლების შემდეგ ორივე მხარე საკუთარ სოციალურ სტატუსს ინარჩუნებდა (მონა რჩებოდა მონად, ხოლო თავისუფალი — თავისუფლად). ამ სახის ქორწინების დროს შვილები ძირითადად თავისუფალნი იყვნენ. მხოლოდ გარკვეულ შემთხვევაში მონაზე გათხოვილი თავისუფალი ქალი დროებით (ოთხ წლამდე) მონა ხდებოდა, ხოლო ამ ქორწინების შემდეგ გაჩენილი ბავშვები მონებად იბადებოდნენ და სიკვდილამდე მონებად რჩებოდნენ.

ქორწინება წყდებოდა ერთ-ერთი მეუღლის სიკვდილის ან გაყრის შემთხვევაში. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ცოლი ქმრის ოჯახში რჩებოდა (საოჯახო საკუთრების გაყოფის თავიდან აცილების მიზნით) და, ლევირატის პრინციპის მიხედვით, გარდაცვალებულის ძმას ეკუთვნოდა (მთელი თავისი ქონებით). „ერებუს“ ქორწინების შემთხვევაში კი, თუ კვდებოდა ცოლი, ჩასიძებულ მეუღლეს შეეძლო მიეტოვებინა სიმამრის ოჯახი, მაგრამ ქონების გატანის უფლება არ ჰქონდა.

გაყრის შემთხვევაში ცოლს შეეძლო გაეტანა მის მიერ ოჯახში შემოტანილი მზითევი („ივარუ“), რომელიც არასდროს ეკუთვნოდა ქმარს და მემკვიდრეობით გადადიოდა მხოლოდ შვილებზე. თუ ქალი უშვილოდ მოკვდებოდა, „ივარუ“ უბრუნდებოდა მამამისის ოჯახს.

ოჯახის უფროსის სიკვდილის შემთხვევაში, ანდა მისი ლაშქრობაში ყოფნის დროს, ქალი იღებდა ყველა იმ უფლებას, რომლებითაც მისი მეუღლე სარგებლობდა, თუკი სახლში არ იყო არც ერთი სრულწლოვანი და სრულუფლებიანი მამაკაცი.

ქორწინებისა და ოჯახის არსებული პატრიარქალური ფორმები განაპირობებდნენ მემკვიდრეობის წესსაც, რომლის მიხედვითაც მემკვიდრეობა გადადიოდა უფროს ვაჟიშვილზე ან უფროს სიძეზე. თუ ოჯახში არც ერთი ამათგანი არ იყო, მემკვიდრეობა ქალიშვილსაც შეეძლო მიეღო.

§ 8. ხეთური კულტურა

მატერიალური საფუძველი, საიდანაც აღმოცენდა და განვითარდა ხეთური კულტურა, საკმაოდ ორიგინალური იყო. ამან განაპირობა ხეთური კულტურის ის თავისებურებანი, რომლებითაც იგი არსებითად განსხვავდებოდა ძველი აღმოსავლეთის სხვა ხალხთა კულტურებისაგან. თუ პროტოხეთური და ინდოევროპული ტომების შერევის შედეგად ჩამოყალიბდა ხეთური ეთნოსი, ასევე ამ ორი ეთნიკური ჯგუფის კულტურულ მიღწევათა შერწყმამ საფუძველი ჩაუყა-

რა ხეთურ კულტურას, რომელსაც თავიდანვე ახასიათებდა ადგილობრივი, ანუ, როგორც ამბობენ, პროტოხეთური ელემენტის დიდი სიჭარბე.

ხეთური კულტურის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს აგრეთვე ხურიულმა და ლუვიურმა კულტურულმა ელემენტებმა, რომლებიც სამხრეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან შეიჭრნენ ცენტრალურ მცირე აზიაში. ამიტომ ხეთური კულტურა მოიცავს არა მარტო თვით ხეთი (ნესიტი) ტომების მიერ შექმნილ კულტურას, არამედ ხეთების იმპერიაში შემავალი მრავალფეროვანი მოსახლეობის კულტურულ ნამოღვაწარს. ამავე დროს, ხეთურ კულტურაზე გავლენა იქონია ჩრდილოეთ სირიულმა და ასურულ-ბაბილონურმა სამყარომ. საბოლოოდ ჩამოყალიბდა არა ასურულ-ბაბილონური ან სხვა რომელიმე სამყაროს კულტურის „ხეთური ვარიანტი", არამედ სრულიად ორიგინალური ხეთური კულტურა მთელი თავისი მრავალფეროვნებით.

ხეთური ლიტერატურა. ბოღაზქოის არქივმა შემოგვინახა საკმაოდ მდიდარი ხეთური ლიტერატურა, რომელიც მოიცავს ოფიციალური ხასიათის ტექსტებს, მითებს, ლეგენდებს თუ პოეტურ ნაწარმოებებს.

ხეთურ ოფიციალურ ლიტერატურაში შედის მეფის ბრძანებულებები, მეფეთა ანალები, დამორჩილებულ ქვეყნებთან დადებული ხელშეკრულებები და ა. შ. ოფიციალური ლიტერატურიდან ყველაზე ადრეულ ეპოქას ასახავს „ანითას ტექსტი", რომელშიც აღწერილია ამავე მეფის მოღვაწეობა ქუსარასა და ნესაში. აღნიშნულნა ტექსტმა ჩვენამდე მოაღწია გვიანდელი ვარიანტებით, რომელთაგან ერთ-ერთი ხეთების ძველი სამეფოს ხანას განეკუთვნება.

ძველი ხეთური ლიტერატურის ბრწყინვალე ნიმუშია „ხათუსილის ანდერძი", რომელიც მომაკვდავნა ხათუსილი I-მა შეადგინა ტახტის მემკვიდრის (მურსილი I) დანიშვნასთან დაკავშირებით. ძველი სამეფოს ხანაშია შექმნილი ე. წ. „სასახლის ქრონიკაც", სადაც პატარა მოთხრობების სახით გადმოცემულია მეფის კარზე მომხდარი სხვადასხვა ამბავი.

ძველი ხეთური ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია „თელიფინუს ტექსტი", რომლითაც ხეთების ამავე მეფემ მიმართა სახალხო კრებას. ისტორიული ხასიათის შესავალში მოთხრობილია ხეთების მეფეთა მოღვაწეობაზე ლაბარნადან თელიფინუმდე. ტექსტი შეიცავს კანონმდებლობას ტახტის მემკვიდრეობის შესახებ.

ხეთურ ლიტერატურაში თვალსაჩინო ადგილი უკავიათ ანალებს, რომლებშიც ძირითადად მოთხრობილია მეფეთა სანხედრო საქმიანობაზე წლების მანძილზე. ამ ჟანრის ადრეული ნაწარმოებებია „ანითას

ტექსტი“ და ხათუსილი I-ის „ანალები“ (ხეთურად და აქადურად), განსაკუთრებითაა აღსანიშნავი სუფილულიუმა I-ისა და მურსილი II-ის „ანალები“. ამ უკანასკნელშია აღწერილი მურსალის საომარი მოღვაწეობა თითქმის 30 წლის მანძილზე. როგორც ვარაუდობენ, ხეთური ლიტერატურის ამ სახეობამ გავლენა იქონია მოგვიანო ხანის ასურულ საისტორიო მწერლობაზე.

ხათუსას არქივის წყალობით გავეცანით ერთ-ერთ ადრეულ ავტობიოგრაფიათაგანს მთელს მსოფლიო ლიტერატურაში. ესაა „ხათუსილი III ავტობიოგრაფია“, საიდანაც ვგებულობთ ხეთების ამ მეფის პოლიტიკური მოღვაწეობის ძირითად მომენტებს, მის ოინებს ტახტის ხელში ჩასაგდებად.

ხეთურ ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თარგმნილ ნაწარმოებებს. ხეთურ ენაზე იყო თარგმნილი ძველი შუამდინარეთის ხალხური ეპოსი „გილგამეში“, ქანაანელთა ერთი მითოლოგიური ხასიათის ტექსტი ღვთაება ელკუნირშაზე და სხვ. ხეთურად ითარგმნა აგრეთვე ხურიტული ლიტერატურის რამდენიმე შესანიშნავი ძეგლი. მათგან აღსანიშნავია ეპიკური მოთხრობა ზეცაში მეფობის არსებობის შესახებ, სადაც აღწერილია ხელისუფლების გადასვლა ღვთაებათა ერთი დინასტიიდან მეორეზე, და ეპიკური პოემა ღვთაება ქუმარბიზე, რომელსაც ჰქვია „სიმღერა ულიქუმიზე“. ეს ორი უკანასკნელი ნაწარმოები მსოფლიო კულტურის ისტორიისათვის საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მათ მიიჩნევენ ძველაღმოსავლური ლიტერატურისა და ძველბერძნული მითოლოგიური და პოეტური ტრადიციების დამაკავშირებელ რგოლად. მაგალითად, სიუჟეტი მოთხრობისა ღვთაებათა ოთხი თაობის ცვლაზე ანალოგიურია ჰესიოდეს მოთხრობისა ურანოსიდან კრონოსზე, ხოლო კრონოსიდან ზევსზე ხელისუფლების გადასვლის შესახებ. ასევე, სიუჟეტი პოემისა ღვთაება ქუმარბიზე, რომელიც მტრებზე შურის საძიებლად კლდისაგან შექმნის თავის ვაჟიშვილს ულიქუმის, ძალიან წააგავს ჰესიოდესეულ მითს ტიფონის შესახებ.

ხეთური თქმულებებიდან ყველაზე კარგად არის შემონახული ლეგენდა ქ. „ურსუს ალყაზე“, რომელიც აქადურადაა შედგენილი და ასახავს ხათუსილი I ბრძოლას ამ ქალაქისათვის.

საკმაოდ მდიდარია ხეთური მითოლოგიური ლიტერატურა, საიდანაც გამოირჩევიან პროტოხეთური წარმოშობის მითები. მათი უმრავლესობა დაცულია არქაულ რიტუალებში. ასეთია, მაგალითად, პროტოხეთური საახალწლო რიტუალის მითოლოგიური მოთხრობა გველეშაპზე — ილუიანქაზე. რიტუალი წარმოადგენს შეტაკებას ღვთაებრივ გმირსა და მის მოწინააღმდეგე გველეშაპს შორის, რაც ხდება ახალი წლის მოახლოებასთან დაკავშირებით. ამ შეტაკებას ადარე-

ბენ იმ რიტუალურ ბრძოლებს, რომლებიც საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებით იმართებოდა მოგვიანო ხანის მსოფლიოს სხვადასხვა ხალხში. პროტოხეთურ ტრადიციასთან არის დაკავშირებული აგრეთვე ერთი ძველი მითი, რომელიც აღწერს ღვთაების გაქრობას და ამის გამო მოვლენილ გვალვას, აგრეთვე დანარჩენ ღვთაებათა ცდებს — იპოვონ და დაიბრუნონ გამქრალი ღვთაება, რასაც მოჰყვება ბუნების აღორძინება. გამქრალი ღვთაების როლში აქ სხვადასხვა ღმერთი გამოდის: პროტოხეთური ღვთაება ნაყოფიერებისა — თელიფინუ ან ჭექა-ქუხილის ღმერთი, რომლის ხეთური სახელი ჯერ-ჯერობით უცნობია. ინტერესს იწვევს თელიფინუს კულტის ერთ-ერთი ატრიბუტი — კავშირი მარადმწვანე ხესთან. თელიფინუს კულტის ატრიბუტად ამ ხის გამოყენებას ადარებენ ნაძვის ხის როლს საშობაო დღესასწაულების დროს და ა. შ.

ბოღაზქოის არქივის ძირითადი მასა ხეთური რელიგიური ლიტერატურაა. აქ შეინიანახა მრავალი ცერემონიალი, ლოცვა თუ ჰიმნი, ღვთაებათა სიები, აღთქმის ტექსტები, დარიგებანი ტაძრის მსახურთათვის, ორაკულთა ტექსტები და სხვ.

აქვეა სამეცნიერო და სპეციალური ლიტერატურაც. ამ მხრივ აღსანიშნავია ასტროლოგიური, ასტრონომიული, სამედიცინო და მათემატიკური ხასიათის ნაშრომები. მაგრამ ყველა ტექსტი ხეთებმა მხოლოდ და მხოლოდ თარგმნეს ასურულ-ბაბილონურიდან ისე, რომ საკუთარი თითქმის არაფერი მიუმატებიათ. სამაგიეროდ ხეთებმა საფუძვლიანად დაამუშავეს საკმაოდ მდიდარი იურიდიული ლიტერატურა.

ხათუსას არქივში დაცული სპეციალური ლიტერატურიდან უნდა აღინიშნოს ტექსტები ხეთურ მეცხენეობაზე. ეს არის პირველი თხზულება მსოფლიო ლიტერატურაში, სადაც დაწვრილებითაა აღწერილი ცხენების გაწვრთნა, რაც 184 დღეს გრძელდებოდა.

ხეთური დამწერლობა. მართალია, მცირე აზიის ადგილობრივი მოსახლეობა ჯერ კიდევ სავაჭრო კოლონიების ხანაში იცნობდა ძველი აქადური დამწერლობის „კაპადოკიურ“ ვარიანტს, მაგრამ ხეთებმა ეს დამწერლობა არ გამოიყენეს ხეთურ ენაზე შედგენილი ტექსტების ჩასაწერად. ამისათვის ისინი ხმარობდნენ ძველი აქადური დამწერლობის იმ სახეობას, რომელიც ჩრდილოეთ სირიაში იყო გავრცელებული ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისიდან. ზოგიერთი სპეციალისტის ვარაუდით, დამწერლობის ეს სახეობა, რომელიც ხეთებმა შესანიშნავად მიუყენეს თავიანთ ენას, ძველი სამეფოს ხანაში უნდა გადმოეღოთ ნესიტებს ჩრდილოეთ სირიიდან, თუმცა, ზოგი მკვლევრის აზრით, ეს შეიძლებოდა მომხდარიყო უფრო ადრეც (II ათასწლეულის დასაწყისში).

ხეთური ხელოვნება. სწორედ ხეთური ხელოვნებისა და მატერიალური კულტურის მრავალი ძეგლი, რომლებსაც გასულ საუკუნეში პოულობდნენ მცირე აზიის ტერიტორიაზე, გახდა „ჰიზეზი" მივიწყებული ხეთური ცივილიზაციის აღმოჩენისა. ეს ძეგლები დღესაც აცვიფრებენ ადამიანს თავისი ორიგინალობით, სისადავითა და დახვეწილობით.

ცენტრალური მცირე აზიის წინახეთური ხანის ხელოვნების ძეგლები ყურადღებას იპყრობენ ფორმებისა და ტიპების თავისებურებებითა და მრავალფეროვნებით. ესენია ვერცხლისა და ბრინჯაოსაგან დამზადებული ცხოველთა პატარა ფიგურები, ოქროს დოქები და თასები, ოქროს ორნამენტები და ე. წ. „სტანდარტები" ზოგჯერ ირმის გამოსახულებით (ირემი წმინდა ცხოველად ითვლებოდა ხეთურ ხანაშიც). უნიკალურია ქვისაგან დამზადებული პრიმიტიული კერპები ქიულთეფედან. ამ დროის კერამიკის ნიმუშები (სხვადასხვა ჭურჭელი, ვაზები და სხვ.) გამოირჩევიან თავიანთი ფორმებითა და პროპორციებით და ლითონის ჭურჭლების პროტოტიპებს წარმოადგენენ. მაღალ დონეს მიაღწია ანატოლიურმა გლიპტიკამ, რომელიც წარმოდგენილია ძირითადად ცილინდრული საბეჭდავებით მესოპოტამიურ სტილში, ხშირად ანატოლიური მოტივებით.

მრავალფეროვანია ხეთური ხანის ხელოვნების ძეგლები. ახალი სამეფოს დროიდან ცენტრალურ მცირე აზიაში ჩნდება მონუმენტური სტილი, რამაც გამოხატულება პოვა ხელოვნების სხვადასხვა სფეროში. მონუმენტურია ქვისგან დამზადებული ბარელიეფები, რომლებიც ხშირად იეროგლიფური ნიშნებითაა შემკული. უმეტესწილად აქ გამოსახულია მეფეები და ქურუმები, ანდა შეწირვის სცენები თუ ღვთაებათა ჯგუფი, ორიგინალურია ცხოველთა სკულპტურული გამოსახულებანი. ამ მხრივ განსაკუთრებითაა აღსანიშნავი მონუმენტური სფინქსები და ლომები ბოღაზქოიში და ალაჯა-ჰუიუქში. მონუმენტური სტილი გამოყენებული იყო არქიტექტურაშიც.

დიდად განვითარდა ცენტრალურ მცირე აზიაში კლდის დამუშავება. ამის ბრწყინვალე ნიმუშია იაზილიქაიას კლდეში ნაკვეთი სკულპტურული გალერეა. ძალზე თავისებურია ლითონისაგან დამზადებული ადამიანების მინიატურული ფიგურები. თავიანთი ფორმებითა და სახეებით ყურადღებას იპყრობს ლითონის, განსაკუთრებით, ბრინჯაოს სხვადასხვა ჭურჭელი, ისევე როგორც კერამიკული ნაწარმი.

დახვეწილია ხეთური გლიპტიკა. ახალი სამეფოს ხანაში ნაკლებად იხმარებოდა ცილინდრული საბეჭდავები. სამაგიეროდ გამრავლდა ტიპური ხეთური საბეჭდავები, რომლებსაც ზემოდან კონუსის ფორმა აქვთ, ხოლო ძირი — მრგვალი. მეფეთა საბეჭდავებზე მოთავსებულია

იეროგლიფური და ლურსმული დამწერლობით შესრულებული წარწერები.

ხეთური რელიგია. საკმაოდ თავისებური იყო ხეთური რელიგიაც. ივი წარმოადგენდა ყველა იმ რელიგიათა ჯამს, რომლებთანაც ურთიერთობა უხდებოდათ ხეთებს მთელი მათი არსებობის მანძილზე. როგორც თვით ხეთები აღნიშნავდნენ, არსებობდა „ხეთების სამეფოს 1000 ღვთაება". ესენი იყვნენ ხათური (პროტოხეთური), ნესური, ხურიული, ლუვიური, ფალაური, ბაბილონური, არიული და სხვა წარმოშობის ღვთაებები. ხეთურ პანთეონში შედიოდნენ აგრეთვე ყველა იმ რაიონის ღვთაებები, რომლებიც ხეთების სამეფოს შეუერთდებოდნენ.

ყოველ ხეთურ ქალაქს თუ დასახლებას თავისი ადგილობრივი კულტი ჰქონდა. ხეთური ხანის ანატოლიაში ძალზე გავრცელებული იყო ამინდის ღვთაების კულტი სხვადასხვა სახეობით (საომარ ეტლზე ან ხარზე მდგარი). ხეთების სამეფოს სამხრეთ ოლქებში ლუვიური პანთეონის ღვთაებები — სანთა, დათა, თარხუნი და სხვ. — ბატონობდნენ, სამხრეთ-აღმოსავლეთით — ხურიული პანთეონის წარმომადგენლები: ხეფათი, თეშუფი, შაუშქა და სხვ. ხეთების სამეფოს ცენტრში კი თაყვანს სცემდნენ პროტოხეთური პანთეონის ღვთაებებს. აქ მდებარეობდა ერთ-ერთი დიდი რელიგიური ცენტრი არინა, რომლის მთავარი ღვთაება მზის ქალღმერთი იყო. ამავე მხარეში მდებარეობდა აგრეთვე შეორე დიდი რელიგიური ცენტრი ნერიქი, სადაც აღმერთებდნენ ამინდის ღვთაებას. მრავალ ადგილას სცემდნენ თაყვანს ნაყოფიერების ღვთაება თელიფინუს, რომელსაც ადარებენ სირიულ-ფინიკიურ ადონისთან, ეგვიპტურ ოსირისთან, სემიტურ თამუზთან და ა. შ.

ადგილობრივ ღვთაებათა გარდა, ხეთებს ჰქონდათ აგრეთვე სახელმწიფო რელიგია. უზენაეს ღვთაებად ითვლებოდა მზის ქალღმერთი ქ. არინადან. ეს იყო „დედოფალი ხათის ქვეყნისა, ცისა და დედამიწისა, ქალბატონი ხათის მეფეთა და დედოფალთა". მისი მეუღლე იყო ამინდის ღვთაება ხათისა, რომელსაც ეწოდებოდა „მეფე ცისა, ბატონი ხათის ქვეყნისა".

მოგვიანო ხანებში სახელმწიფო რელიგიამ განიცადა ხურიული რელიგიის დიდი გავლენა, რის გამოც არინას მზის ქალღმერთი გაიგივებული იქნა ხურიულ ხეფათთან, ხოლო ხათის ღვთაება ამინდისა — თეშუფთან. ხურიული რელიგიის გავლენით აიხსნება ის, რომ იაზილიქაიას გალერეის ღვთაებები და ქალღმერთები ხურიული პანთეონის წარმომადგენლები არიან.

როგორც ადგილობრივ, ასევე სახელმწიფო პანთეონის ღვთაებათა პატივსაცემად იმართებოდა პერიოდული რელიგიური დღესასწა-

ულები. მათგან აღსანიშნავია „ფურული-დღესასწაული“, რომელიც ახალი წლის დადგომასთან დაკავშირებით ეწყობოდა.

ხეთური რელიგია ითვალისწინებდა სხვადასხვა ხასიათის რიტუალებს ამა თუ იმ მოვლენასთან დაკავშირებით. ტექსტებში დაწვრილებითაა აღწერილი მიცვალებულის (განსაკუთრებით, მეფის) დამარხვის ცერემონიალი, რაც 13 დღეს გრძელდებოდა. დამარხვის ხეთურ წესს, როგორც ვარაუდობენ, ბევრი საერთო აქვს ჰომეროსისეულ დამარხვის რიტუალებთან.

ხეთური კულტურის ტრადიციები არ გამქრალა ხეთების სამეფოს დაცემის შემდეგაც. ბევრი მათგანი გაგრძელდა მოგვიანო ხანებში ჩრდილოეთ სირიასა და ანატოლიის აღმოსავლეთ პერიფერიაზე, სადაც ძვ. წ. I ათასწლეულში ჩამოყალიბდა რამდენიმე ახალხეთური სამთავრო.

თავი VII

მცირე აზია ძვ. წ. XII—VII საუკუნეებში

§ 1. ფრიგია

მცირე აზიის მოსახლეობა ძვ. წ. XII—VII სს. მცირე აზიის ისტორიაში ძვ. წ. XII—VIII საუკუნეებს ჩვეულებრივ „ბნელ ხანას“ უწოდებენ. „ზღვის ხალხების“ შემოსევამ ქარიშხალივით გადაუარა მცირე აზიას. ოდესღაც ბრწყინვალე ბოღაზ-ქოი (ხეთების დედაქალაქი — ხათუსა) ფერფლმა და ნანგრევებმა დაფარა. იგივე ბედი ეწია წინარე ხანის იმ მნიშვნელოვან ცენტრებსაც, რომლებიც თანამედროვე ალიშარის, ალაჯა-ჰუიუქისა და ქიულ-თეფეს ადგილას მდებარეობდნენ.

წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალების სრული უქონლობის გამო თითქმის არაფერი ვიცით ძვ. წ. VIII ს-მდე არსებული პერიოდის მცირე აზიის ცენტრალური, დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი ოლქების შესახებ. ძვ. წ. XII ს-ის შემდგომ ხანაში დასავლეთი და ცენტრალური მცირე აზია მრავალი ახალი ტომის სამშობლო ხდება. ამ ხანიდან მოყოლებული მცირე აზიაში განუწყვეტელი ნაკადით მოედინებიან ბალკანურ-თრაკიული ჯოდგმის ინდოევროპული ტომები: ფრიგიელები, თრაკიელები მიზიელები, ბითვინიელები ეოლიელი, იონიელი და დორიელი ბერძნები.

ბალკანურ-თრაკიული ნოდგმის ინდოევროპული ტომების გარდა ძვ. წ. I ათასწლეულის მცირე აზიაში ცხოვრობდნენ აგრეთვე მცირე აზიის უძველეს მოსახლეობასთან (ხეთებთან, ლუვიელებთან) გენეტიკურად დაკავშირებული ისეთი ტომები, როგორიც იყვნენ ლიდიელები, კარიელები, ლიკიელები, პისიდიელები და სხვ.

საკმაოდ დიდი ძვრები მოხდა აღმოსავლეთ მცირე აზიაშიც, რაც კარგად ჩანს ტიგლათფილესერ I-ის (ძვ. წ. 1115—1077 წწ.) დროინდელი ასურული წარწერებიდან. ძვ. წ. XII ს-ის ასურულ ტექსტებში პირველად ვხვდებით წერილობითი წყაროებისათვის მანამდე უცნობი მუშქებისა და ურუმაელების სახელებს. იმავე ტიგლათფილესერ I-ის წარწერებიდანვე ვგებულობთ წინარე (ხეთური) ხანის ისტორიიდან

ცნობილი ტომების მოძრაობის შესახებაც. ამ მხრივ საყურადღებოა ქასქების გადაადგილება მათი ძველი ტერიტორიიდან დღევანდელი მალატიის მიმართულებით.

ძვ. წ. I ათასწლეულის აღმოსავლეთ მცირე აზიის სამხრეთ რაიონებში საკმაოდ ძლიერი იყო ლუვიური (ლუვიურ-იეროგლიფური) ეთნიკური ელემენტი, რაც კარგად დასტურდება აღნიშნულ რაიონში ძვ. წ. IX—VIII საუკუნეებით დათარიღებულ ლუვიურ-იეროგლიფური წარწერების სიმრავლითა და გავრცელების დიდი არეალით. ამასვე მიუთითებს ისიც, რომ იმავე პერიოდის აღმოსავლეთ მცირე აზიის წვრილ სამეფოთა მმართველები, როგორც წესი, ლუვიურ-იეროგლიფური წარმომავლობის თეოფორულ სახელებს ატარებდნენ (თარხუნაზი, თარხულარა, სანდასარმე, ვასუსარმე და სხვ.). აღმოსავლეთ მცირე აზიაში იეროგლიფურ-ლუვიურის ძლიერ პოზიციებზე ლაპარაკობს ამ რაიონში ლუვიური რელიგიური პანთეონის დიდი პოპულარობაც.

მკვლევრები ვარაუდობენ აგრეთვე ძვ. წ. I ათასწლეულის აღმოსავლეთ მცირე აზიაში ქართველური და ჩრდილოკავკასიური მოდგმის ტომების არსებობასაც. ასეთ ტომთა რიცხვს ჩვეულებრივ აკუთვნებენ მუშქებს (გვიანდელ მოსხებს — მესხებს), თაბალელებს (გვიანდელ ტიბარენებს), ქასქებს (გვიანდელ ქაშაგებს), ცუფანელებს (გვიანდელ წოვებს) და სხვ.

ზემოჩამოთვლილ ტომებთან ერთად ძვ. წ. XII—VIII საუკუნეების აღმოსავლეთ მცირე აზიაში უნდა ეცხოვრათ აგრეთვე ხურიული და სემიტური წარმომავლობის ტომებსაც.

ხეთების სამეფოს დაცემის მომდევნო ხანის მცირე აზიაში ყველაზე ადრე ფრიგიელები დაწინაურდნენ. ძვ. წ. VIII ს. ბოლო მეოთხედში ცენტრალურ და აღმოსავლეთ მცირე აზიაში მათ ძლიერი პოლიტიკური გაერთიანება შექმნეს,

ძვ. წ. VIII—VII საუკუნეების ფრიგიის ისტორია ორ პერიოდად იყოფა. პირველი პერიოდი მოიცავს ხანას ძვ. წ. VIII საუკუნიდან ძვ. წ. VII ს. 80-იან წლებამდე (ამ ხანას პირობითად „წინაკიმერიულ ხანას“ უწოდებენ), ხოლო მეორე — ძვ. წ. VII ს. 80-იანი წლებიდან ძვ. წ. VII ს. დასასრულამდე. ძვ. წ. VII ს. ბოლოს ფრიგია ხდება დასავლეთ მცირე აზიის მეორე მსხვილი პოლიტიკური ერთეულის — ლიდიის — ქვეშევრდომი.

ძნელია ზუსტი წარმოდგენა ვიქონიოთ ფრიგიის საზღვრებზე არქეოლოგიური მასალებისა და წერილობითი წყაროების სიმცირის გამო. ადრეანტიკური და ანტიკური ხანის ავტორები (ჰომეროსი, ჰეროდოტე, ქსენოფონტი, სტრაბონი და სხვ.) ფრიგიას, ჩვეულებრივ, ათავსებენ მდ. სანგარიოსის (დღევ. საკარიას) შუა დინების აუზში, მდ.

ჰალისის (დღევ. ყიზილ-ირმაკის) დასავლეთითა და მდ. მეანდროსის (დღევ. მენდერესის) სათავეების ჩრდილოეთით („ილიადას“ მონაცემებით, ფრიგია მდებარეობდა მდ. სანგარიოსის აუზში. დასავლეთის მიმართულებით იგი ასკანიის ტბამდე, დღევ. იზნიქამდე, ვრცელდებოდა. ფრიგიის აღმოსავლეთი საზღვარი ჰეროდოტეს — ძვ. წ. V ს. ავტორს — მდ. ჰალისთან ეგულება, ხოლო ქსენოფონტეს — ძვ. წ. IV ს. ავტორის — გადმოცემით, ქ. იკონიუმი დღევ. კონია, ფრიგიის უკიდურესი აღმოსავლეთი პუნქტია).

XX ს. დამდეგს მდ. ჰალისის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ტიანაში (დღევ. ბორში) ფრიგიელთა მეფე მითას (მიდასის) სახელის შემცველი ძველფრიგიული წარწერის აღმოჩენამ, ისევე როგორც სარგონ II-ის (ძვ. წ. 722—705 წწ.) დროინდელ ტექსტებში დაცულმა ცნობებმა, აშკარა გახადა, რომ ძვ. წ. VIII ს. ბოლო მეოთხედის ფრიგია აღმოსავლეთით კილიკიის კარამდე ვრცელდებოდა.

ძვ. წ. VIII—VII საუკუნეების ფრიგიის ისტორიის უმთავრეს წყაროს ძველბერძნული ისტორიული ლიტერატურა და მითოლოგია წარმოადგენს.

ამ მხრივ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჰომეროსის „ილიადას“. ამ უკანასკნელ წლებში ჰომეროლოგიაში მოპოვებულმა დიდმა წარმატებებმა, რაც მიკენური დამწერლობის გაშიფვრასა და მიკენის, პილოსისა და კრეტას არქეოლოგიურ შესწავლას მოჰყვა შედეგად, საგრძნობლად გაზარდა „ილიადას“, როგორც ისტორიული წყაროს, მნიშვნელობა. გაირკვა, რომ „ილიადაში“ ასახული სამყარო დასაკავშირებელია ძველ მიკენურთან (ფ. ოლბრაიტი, რ. დიუსო, ს. ლურიე, მ. ვენტრისი ჯ. ჩედიკი, ჯ. ტომსონი და სხვ.). ამიტომ აღნიშნულ პოემაში ფრიგიის შესახებ დაცულ ცალკეულ მითითებებს სადღეისოდ დიდი მნიშვნელობა აქვთ. თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ პოემის ლიტერატურული გაფორმება ძვ. წ. VIII—VI საუკუნეებამდე გრძელდებოდა, რის გამოც მასში ძველ ვითარებასთან ერთად შედარებით გვიანდელი ამბებიც აისახა.

„ილიადა“ ყველაზე ადრეული წერილობითი ძეგლია, რომელშიც აღწერილია ფრიგიის გეოგრაფიული მდებარეობა, ასახულია ფრიგიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე, დაცულია მითითებები ფრიგიის ისტორიის ადრეული ქრონოლოგიისათვის და სხვ.

ფრიგიის ისტორიის ზოგიერთი საკითხისათვის არაერთ საგულისხმო ცნობას შეიცავს ჰეროდოტეს, ქსანთოს ლიდიელის (ძვ. წ. V. ს.), ქსენოფონტის, ევდოქსეს (ძვ. წ. III ს.), სტრაბონისა (ძვ. წ. I—ახ. წ. I სს.) და სხვათა თხზულებები.

ფრიგიის ისტორიის წყაროების რიცხვს უნდა მიეკუთვნოს აგრეთვე ძველბერძნული მითოლოგიაც, განსაკუთრებით კი, ფრიგიის მეფე

მიდასის სახელთან დაკავშირებული ძველბერძნული მითები და ლეგენდები, რომლებშიც თავისებურად აირეკლა ფრიგიის ისტორიის ცალკეული მხარე. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ლეგენდების ის ციკლი, რომელიც მიდასის ზღაპრულ სიმდიდრეზე მოგვითხრობს (ამ ლეგენდების თანახმად, ყველაფერი რასაც მიდასის ხელი მოხვდებოდა, მაშინვე ოქროს ზოდად იქცეოდა).

ძვ. წ. VIII—VII საუკუნეების ფრიგიის ისტორიის წერილობითი წყაროების მეორე დიდ ჯგუფს ძველაღმოსავლური (იეროგლიფურ-ლუვიური, ასურული) ტექსტები ქმნიან და აი, რატომ: 1898 წ. ცნობილმა გერმანელმა მკვლევარმა ჰ. ვინკლერმა მეცნიერულად დაასაბუთა ძველბერძნული წყაროების „ფრიგიისა" და სარგონ II-ის (ძვ. წ. 722—705 წწ.) დროინდელი ასურული ტექსტების „მუშქების ქვეყნის" იგივეობა. ასეთი საგულისხმო დასკვნისათვის საფუძველს, უპირველეს ყოვლისა, ამ ორი ქვეყნის („დიდი ფრიგიისა" და „მუშქების ქვეყნის") გეოგრაფიული მდებარეობის ამსახველი ცნობები იძლეოდა, რადგან ჰ. ვინკლერმა გაარკვია, რომ ძვ. წ. VIII ს. ასურული წყაროების მუშქების ქვეყანა მოსათავსებელია შუა ჰალისის მიდამოებში და მისგან სამხრეთ-აღმოსავლეთით, ანტიკური წყაროების მიხედვითაც, როგორც ეს ზემოთ დავინახეთ, ფრიგიის აღმოსავლეთი საზღვარი მდ. ჰალისთან გადიოდა. გარდა ამისა, ჰ. ვინკლერი ითვალისწინებდა იმასაც, რომ ორივე ქვეყნის პოლიტიკური ძლიერების ხანა ძვ. წ. VIII ს. 30-იან წლებზე მოდიოდა. ბოლოს, ჰ. ვინკლერმა პირველმა მიაქცია ყურადღება, ერთი მხრივ, ფრიგიის, ხოლო მეორე მხრივ, მუშქების ქვეყნის მეფეთა სახელების მსგავსებას: სარგონ II-ის წარწერების თანახმად, ძვ. წ. VIII ს. ბოლო მეოთხედში მუშქების ქვეყნის მეფეს მითა ერქვა, ხოლო ბერძნული ისტორიული ტრადიციით, ამავე ხანებში უნდა ეცხოვრა ფრიგიელთა მეფე მიდასსაც. მუშქებისა და ფრიგიელების ქვეყნების იგივეობის ვინკლერისეული თეორია ძველი ისტორიის არაერთი წამყვანი მკვლევრის მიერაა გაზიარებული (ა. კიორტე, ემ. ფორერი, ი. ფრიდრიხი, ა. გიოცე და სხვ.). ამიტომ ფრიგიის ისტორიის შესწავლისას ძველაღმოსავლურ წყაროებს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება.

ფრიგიის ისტორიის ძველაღმოსავლური წყაროები არცთუ ისე მრავალრიცხოვანია, ამათგან უძველესია ყიზილ-დაღისა და ქარხემიშის (დღევ. ჯერაბლუსის) იეროგლიფურ-ლუვიური წარწერები (ძვ. წ. IX—VIII სს.). მაგრამ ყველაზე მეტ ცნობას ძვ. წ. VIII ს. ბოლო მეოთხედის ასურული ტექსტები შეიცავენ.

ფრიგიის ისტორიის წერილობითი წყაროების სიმცირეს ავსებს ფრიგიის ტერიტორიაზე 900-იანი წლებიდან დღემდე ჩატარებული

არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად მოპოვებული მატერიალური კულტურის მასალები. ფრიგიის შესწავლა არქეოლოგიური თვალსაზრისით ა. კიორტეს სახელთანაა დაკავშირებული. მან პირველმა მიაქცია ყურადღება ფრიგიის ძველი დედაქალაქის გორდიონის (დღევ. იასი-ჰუიუქი) ყორღანულ სამარხებს. მანვე 1900—1901 წლებში გათხარა ამ ყორღანების ერთი ნაწილი და გამოსცა გათხრების შედეგად მოპოვებული არქეოლოგიური მასალები. ფრიგიის დედაქალაქის არქეოლოგიური შესწავლა ინტენსიურად მიმდინარეობს 1950 წლიდან, როდესაც აქ არქეოლოგიურ სამუშაოებს პენსილვანიის უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექსპედიცია ჩაუდგა სათავეში (ექსპედიციის ხელმძღვანელი — რ. იანგი). 1950 წლიდან დღემდე ექსპედიცია წარმატებით სწავლობს გორდიონისა და მისი მიდამოების არქეოლოგიურ ძეგლებს. გათხრილია და გაწმენდილი ყორღანული სამარხების დიდი ნაწილი, დადგენილია გორდიონის სამოსახლო ბორცვის სტრატიგრაფიაც. გამორკვეულია, რომ აღნიშნული ქალაქის უძველესი კულტურული ფენა ძვ. წ. VIII ს. მეორე ნახევრითაა დასათარიღებელი, ხოლო უახლესი — გვიანელინისტურით. გორდიონის არქეოლოგიუმა შესწავლამ გამოავლინა მდიდარი მასალა, რაც საშუალებას იძლევა ახლებურად წარმოვიდგინოთ (წერილობით წყაროთა უქონლობის გამო დღემდე ბუნდოვანი) ფრიგიის ისტორიის მრავალი საკითხი.

ფრიგიის ისტორიის შესასწავლად დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ძვ. წ. I ათასწლეულით დათარიღებულ სხვა ცენტრებში გამოვლენილ არქეოლოგიურ მასალას. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურეუბს ბოღაზ-ქოიში, ქიულ-თეფეში, ტარსუსში, მალატიაში, სარდეში, კონიაში და სხვ. აღმოჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლები.

ძვ. წ. VIII ს. ბოლო მეოთხედამდე თითქმის არაფერი ვიცით ფრიგიის პოლიტიკური ისტორიის შესახებ.

აღმოსავლეთ მცირე აზიასა და ჩრდილოეთ სირიაში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით ფრიგიის პირველი მოხსენიება ძვ. წ. 717 წლით თარიღდება. სარგონ II-ის „ანალები“ გვიამბობენ, რომ ქარხემიშის მთავარმა „უღალატა ასურეთის ღმერთებს“ და ნეგობრული ურთიერთობა დაამყარა ფრიგიის (მუშქების) ქვეყნის მეფესთან — მითასთან. ფრიგიის მეფის მფარველობას მხოლოდ ქარხემიშის ნთავარი როდი ეძებს: მიდასთან მჭიდრო კონტაქტში ჩანან თაბალისა და მისი მეზობელი ათუნას (დღევ. ულუქიშლა-ზეივეს ადგილას მდებარე) სამთავროებიც. ამგვარად, ირკვევა, რონ დროის ერთ მონაკვეთში (ძვ. წ. VIII ს. 20-იან წლებში) ფრიგიის მეფე მითა (მიდასი) ანტიასურული კოალიციის სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი იყო. ამავე ხანებში ფრიგიელებმა ხელთ იგდეს ასურეთის ქვეშევრდომობაში მყოფი ოლ-

ქის — კილიკიის (ასურული წყაროების ქუეს) — სამი ციხე-სიმაგრე. მაგრამ კილიკიაში ფრიგიელების ბატონობა ხანგრძლივი არ აღმოჩნდა. უკვე ძვ. წ. 715 წ. ასურელთა მძლავრი შემოტევის შემდეგ ფრიგიელები იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ კილიკია.

ძვ. წ. 712 წელს ასურელები ფრიგიის საზღვარზე სამ ციხე-სიმაგრეს აარსებენ, ხოლო ძვ. წ. 709 წელს კილიკიელი მოხელე სამგზის ლაშქრობს ფრიგიის სანეფოს განაპირა ოლქებში. ასურულ წერილობით ტექსტებს თუ დავუჯერებთ, ძვ. წ. 709 წლის ამბებით შეშინებული მითა-მიდასი იძულებული გამხდარა ძვირფასი ძღვენი და ხარკი გაეგზავნა ელამის საზღვართან მყოფ სარგონ II-ისათვის. ფრიგიასა და ასურეთს შორის ამიერიდან მეგობრული ურთიერთობა დამყარდა, რაც კარგად ჩანს 1958 წ. აღმოჩენილი ერთ-ერთი ასურული დოკუმენტიდანაც. ამ უკანასკნელიდან ვიგებთ, რომ ფრიგიელთა მეფეს თავისი ქვეყნის საზღვარზე დაუპატიმრებია კილიკიიდან ურარტუში მიმავალი 14 კაცისაგან შემდგარი ანტიასურული დელეგაცია და გადაუცია იგი კილიკიაში მყოფ ასურელთა მოხელისათვის. ასურულ დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ ფრიგიის მეფე მითა (ვიდასი) ასურეთის მოკავშირე და მეგობარია, რითაც გახარებულია ასურეთის მეფე. იგი რჩევას აძლევს თავის კილიკიელ ქვეშევრდომს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოიქცეს ეს უკანასკნელი, რათა განამტკიცოს ფრიგიელებთან დაწყარებული მეგობრული ურთიერთობა. ამავე დროს, ბერძნული საისტორიო ტრადიციით, ძვ. წ. VIII ს. ბოლოს ფრიგიელებს უკვე საკმაოდ მჭიდრო კონტაქტი ჰქონდათ არა მხოლოდ დასავლეთ და სამხ.-დასავლეთ მცირე აზიასთან, არამედ საბერძნეთთანაც.

წერილობითი წყაროების თანახმად, ფრიგიის მეფე მიდასის ცოლი ჰერმოდიკე წარმოშობით ქვიმელი ბერძენი მთავრის ოჯახიდან იყო. ჰეროდოტეს მიხედვით კი, იმავე მიდასს (ბერძნებთან მეგობრული ურთიერთობის ნიშნად) დელფოსის ცნობილი ტაძრისათვის თავისი სამეფო ტახტი შეუწირავს.

ძვ. წ. 676 წ. ფრიგიას კიმერიელთა და ურარტელთა გაერთიანებული ლაშქარი შეესია. ანტიკური წყაროების მოწმობით, როცა მიდასს ამ შემოსევის შედეგების შესახებ აცნობეს, მას თავი მოუკლავს.

ფრიგიის ისტორიის ე. წ. „წინაკიმერიულ“ პერიოდს, ჩვეულებრივ, ძვ. წ. 676 წლით ამთავრებენ. ძვ. წ. VII ს. დამლევს კი ფრიგია ლიდიის მეფეების ქვეშევრდომი გახდა (იხ. ქვემოთ).

ახალი არქეოლოგიური გათხრების შედეგად გაირკვა, რომ ფრიგიაში კიმერიელთა შემოსევის შედეგები არცთუ ისე გამანადგურებელი ყოფილა, როგორც ამას მკვლევრები წინათ ვარაუდობდნენ. ძვ. წ. VII ს. არქეოლოგიური ნასალა იმაზე მიუთითებს, რომ კიმერიელების

შემოსევის შემდგომი ხანის ფრიგიის ეკონომიკური და კულტურული განვითარების დონე კვლავ მაღალი იყო.

მეურნეობა. ხელოსნობა. ვაჭრობა. ძვ. წ. VIII—VII საუკუნეების ფრიგია ძირითადად განვითარებული მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ქვეყანა იყო. მდინარეების — სანგარიოსისა და მეანდროსის — ნაყოფიერი ველები ხელსაყრელი კლიმატური პირობების გამო ხელს უწყობდნენ ამ რაიონში მევენახეობის განვითარებას. შემთხვევითი როდია, რომ „ილიადას“ ავტორი ფრიგიის ხსენებისას საგანგებოდ აღნიშნავს, „ფრიგია ვენახით მდიდარი ქვეყანააო“, ხოლო ჰეროდოტე ხაზს უსვამს იმას, რომ ფრიგიელები საქონლითა და „მიწის ნაყოფით“ იყვნენ მდიდარი.

მიუხედავად იმისა, რომ ფრიგიის ძირითადი ტერიტორია საკმაოდ ღარიბი იყო ტყით, ძვ. წ. VIII—VII საუკუნეების ფრიგიაში საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა ხის დამუშავების ტექნიკა. ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებით დათარიღებულ არქეოლოგიურ მასალებში დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი სხვადასხვა ფორმისა და ზომის, სხვადასხვა დანიშნულების ხის ავეჯი (ხის სარეცლები, მცირე და დიდი ზომის სკამები, სამეფო სავარძლები, სამფეხა და ოთხფეხა მაგიდები, სკივრები და სხვ.). ფრიგიულ ავეჯს საზეიმო ფორმა ჰქონდა. მისი შემქმნელნი ხის დამუშავებისა და გალამაზების ურთულეს ხერხებს იყენებდნენ (ინკრუსტაციას, გრავირებას, ჩუქურთმას, მოზაიკას). ფრიგიული ავეჯისათვის გეომეტრიული ორნამენტია დამახასიათებელი. გორდიონის ყორღანულ სამარხებში ავეჯთან ერთად ხის ჭურჭელსა (ლანგრებს, ბრინჯაოს სახელურებიან ხის ჯამებს, კოვზებს) და ცხოველების მცირე ზომის ფიგურებსაც ვხვდებით. ხის ნივთების დამზადებისათვის ფრიგიელები ხმარობდნენ შავი ფიჭვის, ნეკერჩხლის, წიფელის, კედარის, ბზის, მსხლის, ურთხელისა და ალვის ხის მერქანს.

მაღალგანვითარებული ჩანს ფრიგიაში ადგილობრივი კერამიკული წარმოებაც. არქეოლოგიურ მონაპოვრებში მრავლად ვხვდებით მოხატულ ჭურჭლებს, რომლებიც გეომეტრიული ორნამენტითა და ხანდახან ზოომორფული პანელებითაა შემკული. ასეთი ჭურჭელი, ჩვეულებრივ, მუქი ყვითელია, ხოლო ნახატი შავითაა გაკეთებული. ძვ. წ. VIII—VII საუკუნეების ჭურჭელს განეკუთვნება აგრეთვე ბატის ფორმის ჭურჭლები და ბერძნული გრძელყელიანი დოქების (ასკების) მსგავსი კერამიკული ნაწარმი, რომელსაც ფრინველის ფორმა აქვს. ფრიგიული სამარხებისა და გორდიონის სამოსახლო ბორცვის ინვენტარში ხშირად ცხვრის ფორმის ჭურჭლებსაც ვხვდებით (ასეთი ჭურჭლები, ჩვეულებრივ, წითელი ფერისაა, ხოლო მოხატულობა შავი აქვს). მოხატულ კერამიკასთან ერთად ფრიგიელები მაღალკვალიფი-

ციურად ამზადებდნენ შავპრიალა ჭურჭლებსც (ყელიან ამფორებს, ღრმა თასებს, ლარნაკებს, ფიალებსა და ჯამებს).

ძვ. წ. VIII—VII საუკუნეების ფრიგია განვითარებული ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის ქვეყანაა. ფრიგიის ტერიტორიაზე დიდი რაოდენობითაა ნაპოვნი დიდი ზომის ბრინჯაოს ქვაბ-ქოთნები, დიდი ზომის დოქები (სამყურა მრგვალი და გრძელცხვირიანი), კოპებიანი თასები, ომფალოსიანი და სადა ფიალები, ჯამები, ჩამჩები და თეფშები. აღნიშნული ხანის არქეოლოგიურ ინვენტარში მრავლად გვხვდება აგრეთვე სხვადასხვა ფორმისა და ზომის ბრინჯაოს ფიბულები, სარტყლები, ბალთები, ლურსმნები, კაუჭები, სათამაშო კოჭები და მცირე ზომის დეკორატიული დისკოები. ფრიგიელები ბრინჯაოს იყენებდნენ ტყავის, ხისა და ქსოვილების გალამაზების მიზნითაც.

არქეოლოგების მიერ ნაპოვნია აგრეთვე რკინისაგან დამზადებული ნივთებიც (სამფეხა ქვესადგრები, ლურსმნები, რკინის მინიატურული ნივთები და სხვ.), რაც ძვ. წ. VIII—VII საუკუნეების ფრიგიაში რკინის ფართო ათვისებაზე ლაპარაკობს.

ფრიგიის ეკონომიკის განვითარების მაღალი დონე, თავისი მხრივ, საშუალებას აძლევდა მას აქტიურად ჩაბმულიყო საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობაში. ამაზე აშკარად მიუთითებს არქეოლოგიურ მასალებში ადგილობრივის გვერდით, იმპორტული (ასურული, ურარტული, კვიპროსული და ჩრდილო სირიული) წარმომავლობის ნივთების არსებობა. ამასვე ლაპარაკობს „ბიბლიის“ ცნობილი ადგილი იეზეკიელის ტვიროსის გოდებაში, სადაც ნათქვამია: „იავანი (ე. ი. იონელი), თობელი (ე. ი. თაბალი) და მოსოხ (ე. ი. ფრიგია) ვაჭრობდნენ შენ შორის სულებსა კაცთასა და ჭურჭელნი რვალისანი ნისცნეს სავაჭროდ შენდა“.

იმდროინდელი ფრიგიის სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესების წარმოსადგენად საკმარისია გავიხსენოთ, თუ რა გააფთრებით იბრძოდა ფრიგია, რათა პირველობა მოეპოვებინა სამხრეთ-აღმოსავლეთ მცირე აზიის ისეთ მნიშვნელოვან ოლქში, როგორიც იყო კილიკია, ანუ ქუე (ცნობილია, რომ კილიკიაზე გადიოდა ჩრდილოეთ სირიისა და აღმოსავლეთის ქვეყნებისაკენ მიმავალი გზა. იგივე კილიკია შუამავლის როლს ასრულებდა კვიპროსსა და აღმოსავლეთ მცირე აზიის ქვეყნებს შორის).

ფრიგიული საზოგადოება. კულტურა. რელიგია. წერილობითი წყაროების სიმცირისა და ფრიგიულ ენაზე სამეცნიერო ან სამართლებრივი დოკუმენტების სრული უქონლობის გამო, თითქმის შეუძლებელია აღვადგინოთ ძვ. წ. VIII—VII საუკუნეების ფრიგიის სოციალური ისტორია. საფიქრებელია, რომ ბალკანეთიდან მოსული ეს ტომები სოციალური განვითარების საკმაოდ დაბალ საფეხურზე იდგნენ. მცი-

რე აზიაში გადმოსახლების შემდეგ მათი საზოგადოებრივი განვითარების პროცესი მნიშვნელოვნად დაჩქარდა.

ძვ. წ. VIII ს. ბოლო მეოთხედის ფრიგია უკვე კლასობრივი საზოგადოება იყო. ანტიკური ტრადიციით, „გორდიოსი“ და „მიდასი“ ფრიგიელი მეფეების დინასტიური სახელები იყო. ფრიგიის საზოგადოების შიგნით ქონებრივი უთანასწორობის პროცესი საკმაოდ შორს იყო წასული. ამას ადასტურებს გორდიონის განაპირას აღმართული, მდიდრული ინვენტარის შემცველი დიდებული ყორღანული სამარხები (ერთ-ერთი ასეთი ყორღანი 52 მ სიმაღლისაა), რომლებიც მეფეთა და მმართველი წრეების წარმომადგენელთა განსასვენებელი ადგილები იყო.

ძვ. წ. VIII ს. მეორე ნახევრის ფრიგიის საზოგადოებრივი განვითარების მაღალ დონეზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ ფრიგიელებმა მცირე აზიაში მცხოვრებ ტომთაგან (ლიდიელები, კარიელები, ლიკიელები) ყველაზე უფრო ადრე (ძვ. წ. VIII ს. 30-იან წლებში) შეითვისეს ფინიკიურიდან მომდინარე დამწერლობა (საკუთარ ენაზე წარწერების შესადგენად).

დღეისათვის ორმოცამდე ძველფრიგიული წარწერაა ცნობილი. ადრეული წარწერები ბუსტროფედონებს წარმოადგენს (ასეთია, მაგალითად, მიდასის ცნობილი წარწერა ტიანიდან). ამ ბოლო დროს გორდიონში ასამდე ძველფრიგიული გრაფიტი იქნა აღმოჩენილი.

ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებში ფრიგიელებმა ორიგინალური, თვითმყოფი კულტურა შექმნეს.

ზემოთ დავინახეთ, თუ რა სიმაღლეს მიაღწია იმდროინდელ ფრიგიაში ხის დამუშავებამ, კერამიკულმა წარმოებამ, მეტალურგიამ. მაღალ დონეზე იდგა აქ აგრეთვე ქსოვილებისა და საიუველირო ნივთების დამზადების საქმეც.

აღნიშნული ხანის ფრიგიაში დიდად იყო განვითარებული მონუმენტური არქიტექტურა. მიდასის ქალაქის კლდეში ნაკვეთი სამარხებისა და საკულტო ნაგებობების მაღალ მხატვრულ ღირსებებს დღესაც აღფრთოვანებაში მოჰყავთ მნახველები (სახლის ფორმის ფასადებს აქ, ჩვეულებრივ, რეალისტურად შესრულებული ლომის გამოსახულებები ამშვენებს), ხოლო გორდიონის ცადაზიდული ყორღანები დაუვიწყარს ხდიან ამ ძველი ქალაქის ხედს.

ფრიგიული რელიგიური პანთეონის ხასიათის დადგენა საკმაოდ რთული საქმეა. ანტიკური წერილობითი ტრადიციის, მითოლოგიისა და ფრიგიული სახვითი ხელოვნების მონაცემების საშუალებით დიდი ხანია, რაც ცნობილია, რომ ფრიგიული რელიგიური პანთეონის სათავეში „ღმერთების დიდი დედა“ — კიბელა — იდგა. მკვლევრები დიდი ხნის განმავლობაში თვლიდნენ, რომ კიბელა მცირე აზიის ადგილობ-

რივი ტომების ძველი ღვთაება იყო (მასთან დაკავშირებით იხსენიებდნენ ხეთებთან დადასტურებულ მზის ღვთაებას ქ. არინადან). მაგრამ, როგორც ამ ბოლო წლებში გაირკვა, არც ხეთურ საკულტო ტექსტებში და არც ხეთურ მატერიალურ კულტურაში არ დასტურდება „ღმერთების დიდი დედის" — კიბელას — არსებობა. ამიტომ საფიქრებელია, რომ კიბელა საკუთრივ ფრიგიული ღვთაება იყო.

§ 2. ლიდია

ძვ. წ. VII საუკუნემდე ლიდიისა და ლიდიელების შესახებ ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით, მიუხედავად იმისა, რომ რიგი მონაცემების მიხედვით. დასავლეთ მცირე აზიაში ლიდიელებს უკვე ძვ. წ. II ათასწლეულში უნდა ეცხოვრათ.

ლიდიელები ხეთურ-ლუვიური ტომების მონათესავენი იყვნენ. ახალ სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდაა გავრცელებული მოსაზრება, რომ ლიდიური ინდოევროპული ენების ხეთურ-ლუვიური ჯგუფის მონათესავე ენაა. ხეთურთან ლიდიურის დაკავშირება კარიული ენის საშუალებით ხერხდება.

ლიდია მცირე აზიის დასავლეთ სექტორში, მდ. ჰერმოსის (დღევანდელი გედისის) ნაყოფიერ დაბლობში მდებარეობდა. ჩრდილოეთით მას მისია ესაზღვრებოდა, აღმოსავლეთით — დიდი ფრიგია, ხოლო სამხრეთით — კარია. ლიდიის დედაქალაქს ბერძნები სარდეს ეძახდნენ.

რადგან ლიდია წყლისა და ნალექების ნაკლებობას არ განიცდიდა, ამიტომ ხელოვნური მორწყვის პრობლემა ლიდიელებისათვის იმთავითვე მოხსნილი იყო. ლიდია მდიდარი იყო სხვადასხვა ჯიშის მარცვლეულით, ღვინით, ხილითა და შაფრანით. ლიდიის კარგ კლიმატურ პირობებზე დიდ გავლენას ახდენდა წიწვოვანი ტყეები, რომლებიც ფარავდა მდ. ჰერმოსის დაბლობის გარშემო განლაგებულ გორაკებს.

გიგესის ტბა მდიდარი იყო სხვადასხვა თევზით (ლიდიელები აქ დიდი რაოდენობით იჭერდნენ ჭანარს).

ლიდიის ბუნებრივ სიმდიდრეზე საუბრისას არ შეიძლება დავივიწყოთ ლიდიის უმთავრესი სიმდიდრე — ოქრო.

გადმოცემის თანახმად, მდ. ჰერმოსის შენაკად პაქტოლუსს, რომელიც ქ. სარდეზე მიედინებოდა, ოქროს ქვიშა მოჰქონდა. ოქრომ ლიდიის მეფეები საკმაოდ პოპულარულ პიროვნებად აქცია. ამ მხრივ საკმარისია გავიხსენოთ ლიდიის მეფე კროეზოსი (ძვ. წ. 560—546),

რომლის ზღაპრულმა სიმდიდრემ არაერთი ავტორის ყურადღება მიიქცია.

შემთხვევითი როდია, რომ ძველბერძენი მწერლები დელფოსის ცნობილ ტაძარში ლიდიელების მიერ შეწირული ნივთების აღწერისას ძირითადად ოქროს ნივთებს ასახელებენ. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ძვ. წ. V ს-ის ავტორის — ჰეროდოტეს — თხზულება, რომელშიც საკმაოდ დაწვრილებითაა აღწერილი ლიდიის მეფეების — გიგესის, ალიატეს და კროზუსის — შეწირულებანი.

ჰეროდოტეს გადმოცემით, კროზუსმა დელფოსის ღვთაებას 3000 სამსხვერპლო ნივთი შესწირა. პირველ რიგში მან უამრავი ოქრო გადაადნობინა და მისგან გამოაჭედინა ნახევარფილები, რომელთაც სიგრძე 6 ციდა ჰქონდათ, სიგანე — 3 ციდა, ხოლო სისქე — ერთი ციდა. ასეთი ნახევარფილა 117 ცალი იყო გაკეთებული. ამათგან 4 წმინდა ოქროსი იყო და თითოეული $2^1/_2$ ტალანტს იწონიდა. დანარჩენი ნახევარფილები — თეთრი ოქროსი იყო (თითოეული 2 ტალანტს უდრიდა). ამავე სამხვერპლო ნივთებში ჰეროდოტე იხსენიებს ლომის ოქროს გამოსახულებებს, რომლებიც 10 ტალანტს იწონიდნენ, ქალის ოქროს სამწყრთიან ქანდაკებას, ოქროს ფარებს, ოქროს სამფეხებს, ოქროს შუბისპირებს, ძროხების ოქროს ქანდაკებებს, ოქროს სვეტებს, სამკაულებს და სხვა ნრავალს.

ძვ. წ. VII—VI საუკუნეების ლიდიის ისტორიის წყაროები არცთუ ისე მრავალრიცხოვანია. ნათ განეკუთვნება რამდენიმე ძველაღმოსავლური წერილობითი ტექსტი.

ლიდიის შესახებ ყველაზე ადრეულ ცნობებს ასურეთის მეფე ასურბანიფალის (ძვ. წ. 668—626 წწ.) დროინდელ წერილობით ძეგლებში ვხვდებით. სწორედ ამ ტექსტებიდან ვგებულობთ პირველად ლიდიის მეფე გიგესის (ასურ. გუგუს) სახელს. აღნიშნულ წყაროშივე ვპოულობთ საყურადღებო ცნობებს ლიდიის ადრეული პოლიტიკური ისტორიის, სახელდობრ, ლიდიაში კიმერიელების შემოსევისა და მისი სავალალო შედეგების შესახებ.

ლიდიის პოლიტიკური ისტორიის წარმოსადგენად არაერთ საგულისხმო ცნობას შეიცავს ძველებრაული წერილობითი ძეგლიც — „ბიბლია". ამ წყაროში საინტერესო ცნობებია დაცული მიდია-ლიდიის ბრძოლის ისტორიიდან (იხ. „დაბადება", „იეზეკიელი" და სხვ.).

ლიდიის ისტორიის ძირითადი წყაროებია ძველბერძნული თხზულებები.

ამ ნხრივ პირველად უნდა მოვიხსენიოთ ძვ. წ. V-ის ავტორი ქსანთოს ლიდიელი. სამწუხაროდ, ქსანთოს ლიდიელის ნაშრომმა, რომელიც ლიდიის ისტორიის პირელხარისხოვანი წყარო უნდა ყოფილიყო (ქსანთოსის კაპიტალური ნაშრომის მიზანი ხომ სწორედ ლი-

დიის ისტორიის დაწერა იყო), სხვადასხვა ავტორთა (ნიკოლოზ დამასკოელის, დიონისე ჰალიკარნასელის, სტეფანე ბიზანტიონელის) თხზულებებში გაბნეული ფრაგმენტების სახითღა მოაღწია ჩვენამდე. ეს გარემოება საკმაოდ ართულებს ქსანთოს ლიდიელის მემკვიდრეობით სარგებლობას და ამავე დროს, ბუნებრივია, ამცირებს მის თავდაპირველ მნიშვნელობას. მიუხედავად ამისა, ქსანთოს ლიდიელის სახელით ცნობილი ცალკეული მითითებების გათვალისწინება აუცილებელია ლიდიის ისტორიის აღსადგენად.

შეუდარებლად დიდია ქსანთოსის თანამედროვე ჰეროდოტეს თხზულების („ისტორიები", 9 წიგნად) მნიშვნელობა. ამ ნაშრომის პირველი წიგნის უმთავრესი ნაწილი (§§ 6—95) ლიდიის წარსულის საკმაოდ დაწვრილებით გადმოცემას ეთმობა.

ლიდიის ისტორიისათვის საინტერესო ცნობებს ვპოულობთ აგრეთვე კტესიოსის (ძვ. წ. IV ს.), ნიკოლოზ დამასკოელისა (ძვ. წ. I ს.) და სტრაბონის (ძვ. წ. I—I ახ. წ. სს.) თხზულებებშიც. მაგრამ აღნიშნული ავტორების შრომები სრულფასოვან ცნობებს არ გვაწვდიან, რადგან კტესიოსის „პერსია" (23 წიგნად) და ნიკოლოზ დამასკოელის „მსოფლიო ისტორია" (44 წიგნად) მხოლოდ ფრაგმენტების სახითაა ჩვენამდე მოღწეული.

ლიდიის ისტორიის მნიშვნელოვან, მაგრამ ჯერჯერობით მთელი რიგი მიზეზის გამო ნაკლებად გამოყენებულ წყაროს წარმოადგენს ეპიგრაფიკული და ნუმიზმატიკური მასალა.

შინაარსობრივად ლიდიური წარწერები რამდენიმე ჯგუფად იყოფა. ერთ ჯგუფს განეკუთვნება საფლავის ქვებზე ამოკვეთილი ეპიტაფიები. მეორე ჯგუფში შემავალი წარწერები იურიდიული შინაარსისაა (ამ წარწერების წაკითხვას ის გარემოება აადვილებს, რომ ზოგი ასეთი წარწერა ბილინგვაა. დღეისათვის ცნობილია ლიდიურ-ბერძნული, ლიდიურ-არამეული და ლიდიურ-კარიული წარწერები). დაბოლოს, წარწერების მესამე ჯგუფში შედის პოეტური ხასიათის ტექსტები.

ლიდიის ისტორიის კვლევისათვის ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ნუმიზმატიკურ მასალებსაც. როგორც ცნობილია, სწორედ ლიდიელებს მიაწერენ ძვ. წ. VII ს. პირველი მონეტის მოჭრას. ლიდიური მონეტა ორი ტიპისა იყო. შინაური ბაზრისათვის ლიდიელები უფრო მსუბუქ მონეტას ჭრიდნენ (168,4 გრანი)[1], ხოლო იონურ ქალაქებთან სავაჭროდ — შედარებით უფრო მძიმეს (224 გრანი). ერთ-ერთი მონეტის ცალ მხარეს ლომის თავი ამშვენებს, ხოლო მეორეს — ისრითა და მუზარადით შემკული მეფისა.

ძვ. წ. VII ს. მონეტებზე (დღეისათვის 15-ოდე ასეთი მონეტაა

1 გრანი=0,0648 გრამს.

აღმოჩენილი) იკითხება სიტყვა Valvel, რაც შესაძლოა ნიშნავდეს „ვადიდებ“ ან „ადიდე“.

ძვ. წ. VII—VI საუკუნეების ლიდიის ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა აგრეთვე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად აღმოჩენილი მასალაც. ლიდიის დედაქალაქ სარდეს არქეოლოგიური თვალსაზრისით შესწავლა გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო და იგი დღესაც გრძელდება. სარდეში არქეოლოგიური გათხრები თავდაპირველად გერმანელმა არქეოლოგებმა დაიწყეს. 1910 წლიდან ისინი ამერიკელმა მკვლევრებმა შეცვალეს. 1958 წლიდან სარდეში ჰარვარდის უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი პროფ. ჯ. ჰანფმანი) იწყებს არქეოლოგიურ სამუშაოებს.

ლიდიურ ფენაში არაერთი საყურადღებო ნივთია აღმოჩენილი. არქეოლოგებმა მზის სინათლეზე გამოიტანეს ლიდიური ჭურჭელი, როგორც ბრინჯაოსი და ოქრო-ვერცხლისა, ასევე კერამიკულიც (ფიალები, სამტუჩა და ერთსახელურიანი დოქები, თასები), მეტალისა და ქვისაგან ნაკეთი სამკაულები, მოხატული ტერაკოტები, ბრინჯაოს იარაღი.

ლიდიის საგარეო ურთიერთობათა დასახასიათებლად საგულისხმოა ძვ. წ. VI ს.-ის ფენაში იონური და ატიკური ჭურჭლის, ფინიკიური და ეგეოსური საბეჭდავების აღმოჩენა.

არქეოლოგიური გათხრები საშუალებას იძლევა შესწავლილ იქნეს აგრეთვე ლიდიური არქიტექტურა. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს სასახლის, საზოგადოებრივი დანიშნულების რიგი შენობების, აბანოების, საკუთხევლის (კროზსოსის ხანა) და სხვა ობიექტების გათხრების შედეგები.

ბატლერის მრავალტომიან გამოცემაში — „სარდე“, რომელიც XX ს. 30-იან წლებში გამოქვეყნდა, გამოყენებულ იქნა წერილობითი წყაროებიცა და არქეოლოგიური მასალებიც.

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ლიდიის ისტორია სპეციალურად არავის უკვლევია, მაგრამ რამდენადაც ლიდიის ისტორია მჭიდროდ იყო გადახლართული ძვ. წ. I ათასწლეულის მცირე აზიაში მცხოვრები ხალხების ისტორიასთან, ამდენად, სპეციალისტებს ხშირად უხდებათ ლიდიის ისტორიის ცალკეული საკითხების დამუშავებაც. ბევრ საინტერესოს ნახავს მკითხველი ვ. სტრუვეს, ი. დიაკონოვის, ს. სოლოვიოვას, ა. ალიევისა და სხვ. ნაშრომებში. ლიდიის ისტორიის მოკლე მიმოხილვამ სათანადო ადგილი პოვა აგრეთვე «Всемирная история»-ს I ტომში.

ლიდიის ისტორიას ახალი შუქი მოჰფინეს XX ს. 30-იან წლებში ლიდიური ენის შესწავლის ხაზით ჩატარებულმა სამუშაოებმაც. ე. ლიტმანის, ო. დანიელსონის, პ. კალესა და ფ. ზომერის გამოკვლევებმა საშუალება მისცეს ისტორიკოსებს უფრო ფართოდ გამოეყენებინათ ლიდიური წარწერები. ლიდიელთა ეთნიკური წარმომავლობის რთული პრობლემის გადაწყვეტის საქმეში დიდი როლი ითამაშა ლიდიური ენის ბუნების განსაზღვრამ. 40—60-იან წლებში პ. მერიჯის, ე. ფეტერის ა. ჰოიბეკის, რ. გუსმანის, ო. კარუბას, ა. კამენჰუბერის მიერ გამოქვეყნებულმა ენათმეცნიერულმა გამოკვლევებმა ნათელი გახადეს ლიდიურის ინდოევროპული, უკეთ კი, ხეთურ-ლუვიური ბუნება. ლიდიური ენის ბუნების განსაზღვრამ დიდად გაზარდა ლიდიური ენის შესწავლის შესაძლებლობანი. ახლა საშუალება გვეძლევა ლიდიურის კვლევისას გამოვიყენოთ ლიკიური, კარიული და ხეთურ-ლუვიური ენების ჯგუფში შემავალი სხვა ენების მონაცემები.

პოლიტიკური ისტორიის საკითხები. VII—VI საუკუნეების ლიდიის პოლიტიკური ისტორია საკმაოდ კარგადაა ცნობილი. ძვ. წ. VII ს. დამდეგს ლიდიაში სამეფო დინასტიების შეცვლა მოხდა. ჰერაკლიდების სამეფო საგვარეულოს ადგილი მერმნადებმა დაიკავეს. ამ დინასტიის წარმომადგენელთაგან პირველი გიგესი (გუგუ) გამეფდა (692—654 წწ.). ძვ. 680—654 წლებში ლიდიამ ორგზის განიცადა კიმერიელთა შემოსევა. პირველი თავდასხმის მოგერიება ლიდიელებმა ასურელთა დახმარებით შეძლეს. ასურბანიფალი თავის „ანალებში" იკვეხნის, რომ გუგუმ (გიგესმა), ლიდიის მეფემ, რომლის სახელი მანამდე უცნობი იყო, ასურელებს მფარველობა სთხოვა და დიდძალი საჩუქარი გაუგზავნა მათ. მაგრამ, როგორც ჩანს, ასურელთა დახმარება ლიდიელებს ძვირად უჯდებოდათ. სულ მალე ლიდიელებმა ზურგი აქციეს თავის მოკავშირეებს და ეგვიპტის ფარაონ ფსამეტიქ I-თან დაამყარეს მეგობრული ურთიერთობა (ეს უკანასკნელი ამ დროს საკმაოდ აქტიურად ემზადებოდა ასურელთა ქვეშევრდომობისაგან განთავისუფლებისათვის). ლიდიის მეფის ამგვარმა პოლიტიკამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. როდესაც ძვ. წ. 654 წ. ლიდიის დედაქალაქ სარდესთან კიმერიელთა ურდოები კვლავ გამოჩნდნენ, იგი მარტო აღმოჩნდა ამ საშიში ძალის წინააღმდეგ. მკვლევართა აზრით, კიმერიელთა ამ თავდასხმაში ასურელების ხელიც ერია. კიმერიელებმა ცეცხლითა და მახვილით გადაიარეს ლიდიის ძიწაწყალი. მცირე ხნით მათ ნაწილობრივ სარდეს აღებაც მოახერხეს (აუღებელი მხოლოდ სარდეს აკროპოლისი დარჩა). გადმოცემით, გიგესი ბრძოლის ველზე დაეცა.

ლიდიის ტერიტორიიდან კიმერიელთა განდევნა გიგესის მემკვიდრე არდისმა (ძვ. წ. 654—605 წწ.) შეძლო. ამისათვის იგი იძულებული

გახდა კვლავ ასურელებისათვის ეთხოვა დახმარება და ქვეშევრდომობა.

არდისის მეფობაში ლიდიელები იწყებენ მრავალწლიან ომს დასავლეთ მცირე აზიის ზღვისპირა ზოლში მდებარე იონური ქალაქების დასამორჩილებლად. ამ მიმართულებითაც არდისმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. მან შეძლო დაემორჩილებინა ქ. პრიენე, რომელიც დასავლეთ მცირე აზიის სანაპიროს ცენტრალურ სექტორში, ქ. მილეტის მეზობლად მდებარეობდა. ნაკლებ იღბლიანი აღმოჩნდა ლაშქრობა მილეტის წინააღმდეგ.

იონურ ქალაქებთან ბრძოლის დროს ლიდიელი მეფეები მარჯვედ იყენებდნენ იონურ ქალაქებში შექმნილ სიტუაციას, სახელდობ კი, მძაფრ კლასობრივ წინააღმდეგობას გვაროვნულ არისტოკრატიასა და დემოსს შორის.

მილეტის ხელში ჩასაგდებად არც არდისის მემკვიდრეები — სადიატე (ძვ. წ. 629—617 წწ.) და ალიატე (ძვ. წ. 617—560 წწ.) იძურებდნენ ძაღლონეს. მილეტსა და ლიდიას შორის ომი თითქმის 12 წელს გაგრძელდა. 6 წლის განმავლობაში ალიატე სისტემატურად ანადგურებდა მილეტის სანახებს და ქალაქის მოსახლეობას უპუროდ ტოვებდა. მიუხედავად ასეთი მკაცრი ზომებისა, მილეტი მედგრად იდგა. მაშინ ალიატე იძულებული გახდა ზავი შეეკრა მასთან. ზავის პირობით, მომავალში ლიდიელები და მილეტელები მოკავშირეები და მეგობრები ხდებოდნენ. კიდევ უფრო მწარე მარცხი განიცადეს ლიდიელებმა კლაძომენეს კედლებთან, სამაგიეროდ, ალიატეს სმირნაში გაუღიმა ბედმა.

ალიატეს მეფობის დროსვე მოუხდათ ლიდიელებს მიდიელებთან ბრძოლაც. მიდიის მეფე კიაქსარმა, რომელმაც დიდ წარმატებებს მიაღწია ასურეთისა და ურარტუს წინააღმდეგ ბრძოლაში, მცირე აზიის ცენტრალური და დასავლეთი ოლქების ხელში ჩაგდებაც განიზრახა. ამ მიზნით მან ძვ. წ. 591 წ. მიდიელთა ლაშქარი მდ. ჰალისისაკენ (დღევანდელი ყიზილ-ირმაკი) დაძრა. ლიდია ომის თანამონაწილე აღმოჩნდა.

ლიდია-მიდიის ომი 6 წელს გაგრძელდა. იგი გარდამავალი წარმატებებით მიმდინარეობდა, ჰეროდოტე წერს: „ხან მიდიელები სძლევდნენ ლიდიელებს, ხან კი პირიქითო". და აი, 585 წლის 28 მაისს, მდ. ჰალისთან შეტაკების დროს ორივე მხარემ დაზავება არჩია. ჰეროდოტე შემდეგნაირად აღწერს ომის ბოლო დღეს: „მეექვსე წელს, როდესაც შეეჯახნენ ერთმანეთს და ბრძოლა დაიწყო, მოხდა ისე, რომ დღე უცბად ღამედ იქცა. თალეს მილეტელმა იონელებს უწინასწარმეტყველა დღის ეს შეცვლა და განსაზღვრა კიდევაც ის წელიწადი, როდესაც მოხდებოდა ეს შენაცვლება. როცა ლიდიელებმა და მიდიელებმა დაინახეს, რომ დღის მაგივრად ღამე დადგა, შეწყვიტეს ბრძო-

ლა და ორივე მხარემ სასწრაფოდ ზავი დადო ერთმანეთში". ლიდია-მიდიის შერიგებაში მონაწილეობას იღებდნენ ბაბილონისა და კილიკიის წარმომადგენლები. ზავის პირობით, ამიერიდან ლიდიასა და მიდიას შორის საზღვარი მდ. ჰალისზე გაივლიდა. საზავო ხელშეკრულება დინასტიური ქორწინებით იქნა შემაგრებული. ალიატეს ქალიშვილი — არიენისი — მიათხოვეს კიაქსარეს ვაჟს — ასტიაგს.

რაკი მიდიელებთან ბრძოლა ლიდიელებისათვის საპატიო ზავით დამთავრდა, ალიატემ კვლავ მიაპყრო ყურადღება ბერძნული ქალაქების დამორჩილების საქმეს.

ალიატე შეეცადა დაექვემდებარებინა მცირეაზიელი ტომებიც.

ალიატეს მემკვიდრე კროზსოსმა (ძვ. წ. 560—546 წწ.) თითქმის მთელი მცირე აზია შემოიმტკიცა. მან ერთნაირი წარმატებით დაიმორჩილა ეოლიელებიცა და იონელებიც, ფრიგიელებიცა და მიზიელებიც, პაფლაგონიელებიცა და ბითვინიელებიც, კარიელებიცა და პამფილიელებიც. ერთი სიტყვით, ლიკიელებისა და კილიკიელების გარდა, მთელი მცირე აზია ლიდიელების ხელში აღმოჩნდა. კროზსოსის მეფობის დროსვე ლიდიელებს მიზნად ჰქონდათ დაეპყროთ ეგეოსის კუნძულებიც, მაგრამ არ დასცალდათ.

კროზსოსს წინ დიდი გადამწყვეტი ბრძოლები ელოდა. მიდიაზე მოპოვებული გამარჯვებით შეგულიანებული სპარსეთის მეფე კიროსი მცირე აზიის დასაპყრობად ემზადებოდა. კროზსოსმა დასწრება არჩია და ძვ. წ. 550 წელს მან კაპადოკიისაკენ აიღო გეზი, მდ. ჰალისი გადალახა და ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ გაეშურა. კიროსმა რომ ეს ამბავი შეიტყო, სასწრაფოდ სამზადისს შეუდგა. სულ მოკლე დროში ისიც კაპადოკიაში გაჩნდა. ბრძოლები რამდენიმე წლის განმავლობაში არ შემწყდარა. ბოლოს, ძვ. წ. 546 წ., კროზსოსმა სარდეში დაბრუნება არჩია. მას მიზნად ჰქონდა დაესვენებინა ლაშქარი და თანაც შეეკრა იგი მოკავშირეთა (ბაბილონელების, ეგვიპტელებისა და ლაკედემონელების) ხარჯზე. რადგან ზამთრის პირი იდგა, კროზსოსს იმედი ჰქონდა, რომ სპარსელები მას თავს არ დაესხმოდნენ. მაგრამ ლიდიის მეფეს იმედები არ გაუმართლდა. კიროსმა მაშინვე შეიტყო კროზსოსის გეგმების შესახებ. კიროსი სარდეს კედლებთან გაჩნდა. კროზსოსი მოუმზადებელი შეხვდა ბრძოლას, და მიუხედავად ინისა, რომ სახელდახელოდ შეკრებილი ლიდიელთა ცხენოსანი ლაშქრი გაოფთრებით ებრძოდა მოწინააღმდეგეს, ძვ. წ. 546 წ. სარდე აღებულ იქნა, ხოლო ლიდიელთა უძლეველი მეფე ტყვეთა რიგებში აღმოჩნდა.

ლიდიამ შეწყვიტა დამოუკიდებელი არსებობა. ამიერიდან იგი აქემენიანთა სპარსეთის ერთ-ერთ პროვინციად იქცა.

ძვ. წ. 546 წ. მთავრდება ლიდიის ისტორიის ერთი საკმაოდ საინტერესო პერიოდი. კიროსმა მოკლე დროში შეძლო იონიის ქალაქების დამორჩილებაც და, ამგვარად, მთელი მცირე აზიის ბატონ-პატრონი გახდა.

ვაჭრობა და ხელოსნობა.

ძვ. წ. VII საუკუნეში ლიდიის საზოგადოების შიგნით ქონებრივი უთანასწორობის პროცესი საკმაოდ შორსაა წასული. ამ პროცესის გაღრმავებას, შინაგანი ფაქტორების გარდა, ბევრად უწყობდა ხელს მაღალგანვითარებულ ფრიგიასთან და იონურ სავაჭრო ცენტრებთან მეზობლობა და მჭიდრო ურთიერთობა.

ძვ. წ. VII—VI სს. ლიდია კლასობრივი საზოგადოებაა. ლიდიას განაგებენ ნეფეები, რომელთა ძირითად საყრდენს შუბებით შეირაღებული ცხენოსანი ლაშქარი წარმოადგენდა. ლიდია მაღალგანვითარებული მიწათმოქმედებისა და ხელოსნობის ქვეყანა იყო.

ლიდიელები ერთნაირად დახელოვნებულნი ჩანან როგორც კერამიკული, ასევე საიუველირო ნივთების დამზადებაში. ლიდიელთა ნასახლარებსა და სამარხებში ხელოვნების არაერთი შესანიშნავი ძეგლია აღმოჩენილი. განსაკუთრებული გემოვნებით უკეთებიათ ლიდიელებს ოქროს, ვერცხლისა და სპილოს ძვლის სამკაულები (საკიდები, დიადემები, ბეჭდები, სამაჯურები, ქინძისთავები და სხვ.), ოქროსა და ვერცხლის სხვადასხვა ზომის, ფორმისა და დანიშნულების ჭურჭლები. შემთხვევითი როდია, რომ ჰეროდოტე არაერთგზის უბრუნდება ლიდიური ოქროსა და ვერცხლის ნივთების დეტალურად აღწერას. ბერძენი ავტორის თანახმად, ლიდიელებს გიგესის, არდისის, ალიატესისა და კროზსოსის მეფობის დროს ერთნაირი გულმოდგინებით უმზადებიათ ადამიანთა და ცხოველთა ოქროს ქანდაკებები, ოქროსა და ვერცხლის კრატერები (რომელთაგან ზოგიერთი 600 ამფორასაც იტევდა), ოქროსა და ვერცხლის პითოსები, ოქროს ფარები, საჭეხები, სასხურებლები, ჭურჭლები, სხვადასხვა სამკაულები და სხვ.

ლიდიელები საკმაოდ დახელოვნებული იყვნენ აგრეთვე ფერადი ქსოვილებისა და ტყავის დამზადების საქმეშიც.

ხელოსნობის განვითარებამ, ერთი მხრივ, და სავაჭრო გზების სიმრავლემ, მეორე მხრივ, ხელი შეუწყო ლიდიაში ვაჭრობის განვითარებას. ლიდიაზე არაერთი სავაჭრო გზა გადიოდა. ცნობილია, რომ სწორედ აქ იწყებოდა ის განთქმული სავაჭრო მაგისტრალი, რომელსაც მთელ მცირე აზიაზე გავლით ვაჭრები სარდედან სუზაში ჩაჰყავდა. ჰეროდოტეც ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ლიდიელები პირველი წვრილვაჭრები იყვნენ“, რომ „მათ პირველებმა მოჭრეს და გამოიყენეს ოქროსა და ვერცხლის ფული“.

ლიდიელებს მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტები ჰქონდათ როგორც მცირე აზიის ხალხებთან, ისევე ეგეოსურ სამყაროსთან, შატერიკულ საბერძნეთთან, ეგვიპტესთან, სირია-ფინიკიასთან, ბაბილონთან და სხვ. ძვ. წ. VII ს. არქეოლოგიურ ფენაში მკვლევრებს არაერთგზის აღმოუჩენიათ ატიკური, კორინთული ეგვიპტური და ფინიკიური წარმომავლობის სხვადასხვა ნივთი. საბერძნეთთან ლიდიის მჭიდრო ურთიერთობაზე დელფოსის სამისნოში ლიდიელი მეფეების მდიდარი შეწირულობანიც ლაპარაკობენ.

ლიდია შემაერთებელი ხიდი იყო საბერძნეთსა და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის. სწორედ ლიდიაში ხდებოდა ადგილობრივი, მცირეაზიული და ბერძნული კულტურული გავლენების შეხვედრა. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ ლიდიურ ხელოვნებასა და რელიგიაში, ფრიგიულთან და მცირეაზიულთან ერთად, საკმაოდ ძლიერია ბერძნული ელემენტებიც.

ბერძნულ სამყაროსთან ლიდიის მჭიდრო ურთიერთობის შედეგი უნდა ყოფილიყო ისიც, რომ უკვე ძვ. წ. VI ს. ბერძნულმა ენამ ლიდიაში ფართო გავრცელება პოვა.

ბერძენ ვაჭრებთან ერთად ლიდიაში არაერთ ცნობილ ბერძენს უცხოვრია და უმოგზაურია.

დამწერლობა. ძვ. წ. VII საუკუნის მეორე ნახევარში ლიდიაში დამწერლობა გაჩნდა. ადრე გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ ლიდიელებმა ბერძნული ანბანი დასავლეთ მცირე აზიაში მცხოვრები ბერძნებისაგან გადაიღეს. ამ ბოლო დროს ლიდიური დამწერლობის გენეზისის საკითხთან დაკავშირებით სხვა მოსაზრებებიც გამოითქვა. ე. წ. „პარაკარიული" წარწერების აღმოჩენამ და შესწავლამ საშუალება მისცა მკვლევრებს იფიქრონ, რომ სწორედ მცირეაზიულ ხეთლუვიელებს (კარიელებს) უნდა გადაეღოთ პირველად სემიტური დამწერლობა, მათვე უნდა გადაემუშავებინათ იგი, გადაეცათ ფრიგიელების, ლიდიელებისა და ლიკიელებისათვის. ბერძნებს სემიტურიდან მონდინარე ეს დამწერლობა უკვე მზამზარეული ფორმით უნდა გადაეღოთ კარიელებისაგან. ამ თეორიის მომხრენი ითვალისწინებენ იმ მნიშვნელოვან ფაქტს, რომ კარიული, ლიდიური, ლიკიური და ფრიგიული დამწერლობები უფრო არქაული, სემიტურთან ახლო მდგომი ფორმებით ხასიათდებიან, ვიდრე ბერძნული ანბანური ნიშნები.

ხელოვნება. ძვ. წ. VII—VI საუკუნეების ლიდიაში ერთნაირად განვითარებული ჩანს როგორც მონუმენტური, ისე მცირე ხელოვნებაც. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად ხელოვნების არაერთი შესანიშნავი კომპლექსია აღმოჩენილი. ძვ. წ. VII—VI საუკუნეებში ლიდიელები დიდი ზომის გათლილი ქვის კვადრებით აგებდნენ სა-

სახლებს, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებს. ისინი ფართოდ იყენებდნენ სვეტებსა და ქანდაკებას. აღნიშნული ხანის ლიდიაში პოპულარულია ლომის გამოსახულება. მაგალითად, კროზსოსის დროინდელ ერთ-ერთ საკურთხეველს ლომის 4 გამოსახულება ამშვენებს.

რელიგია. ლიდიელთა რელიგიური წარმოდგენები მჭიდრო კავშირშია როგორც მცირეაზიულ, ასევე ბერძნულ რელიგიებთან. ლიდიური რელიგიური პანთეონის სათავეში ღმერთების დიდი დედა იდგა. ლიდიელები მას არტიმუს (შდრ. ბერძნული არტემიდა) ეძახდნენ. მასთან ერთად ლიდიელები თაყვანს სცემდნენ ზევსსა და მთვარის ღვთაება მენს.

ძვ. წ. VII—V საუკუნეების ლიდიაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა აგრეთვე დიონისეს კულტიც, რასაც ამ ქვეყანაში მეევნახეობის განვითარების მაღალი დონე უწყობდა ხელს.

თავი VIII

ფინიკია

ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ვიწრო ზოლად გასდევდა ფინიკია. ფინიკიის საზღვარი სამხრეთით კარმელის კონცხთან იწყებოდა ჩრდილოეთით იგი ქალაქ უგარითს აღწევდა, აღმოსავლეთით კი დიდ სიგრძეზე ლიბანის მთებზე გადიოდა, რის გამოც ფინიკიელებს მეურნეობისათვის გამოსადეგი მცირე ფართობი რჩებოდათ. ამისდა მიუხედავად, ფინიკია მდიდარ მხარედ ითვლებოდა. ლიბანის მთების დასავლეთი ფერდობები და ქვეყნის დაბლობი მებაღეობა-მეღვინეობით, ზეთისხილითა და საამშენებლო ხე-ტყით უძველესი დროიდანვე იყო განთქმული, ხოლო ხმელთაშუა ზღვა და მდინარეთა უბეები მეთევზეობის განვითარებისათვის საუკეთესო პირობებს ქმნიდნენ.

ფინიკიის უძველესი მოსახლეობა ქანაანელების სახელით იყო ცნობილი. ქანაანელები დასავლურ სემიტური მოდგმის ტომები იყვნენ და ქანაანური ენაც სემიტურ ენებს მიეკუთვნებოდა. ქანაანელები ამ ქვეყნის მკვიდრნი არ უნდა ყოფილიყვნენ, ხოლო საკითხი იმის შესახებ, თუ როდის შემოიჭრნენ სემიტური ტომები ფინიკიაში, დღემდე გადაწყვეტილად ვერ ჩაითვლება. სემიტური ტომების ფინიკიაში გავრცელების უძველეს ტალღას ადრებრინჯაოს ხანაში ვარაუდობენ და მათი შერევა ფინიკიის აბორიგენებთან, როგორც ჩანს, თანდათანობით ნოხდა. კრანიოლოგიური მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ფინიკიის მოსახლეობა საკმაოდ ნარევი ჩანს მეოთხე ათასწლეულშიაც კი. ჯერჯერობით გადაჭრით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ძვ. წ. XIV ს. ფინიკიის მოსახლეობას ქანაანელებს უწოდებდნენ, რადგან ტელ-ამარნას არქივის წერილებში ისინი აქადურად ქინაჰუდ ან ქინანუდ იწოდებიან. ეს არის ფინიკიის უძველესი სახელი.

თვით სახელწოდება „ფინიკიელები", როგორც ჩანს, ქანაანელებს მიკენის ბერძნებმა შეარქვეს, რომელთაც სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ ქანაანთან მეორე ათასწლეულის მეორე ნახევარში. პირველად ეს სახელი ჰომეროსთან გვხვდება, იგი აღნიშნავდა მეწამულსა თუ

ყაენისფერს, შემდგომ, როგორც ვარაუდობენ, იგი ყაენისფერკანიან ქანაანელებზე გადაიტანეს საერთოდ.

ფინიკიის ისტორიის ძირითად წყაროებს არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მატერიალური ძეგლები და წერილობითი წყაროები წარმოადგენენ. ფინიკიის ტერიტორიაზე წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა მრავალ საკითხს მოჰფინეს შუქი, მიუხედავად იმისა, რომ არქეოლოგიურად ფინიკია თანაბრად არ არის შესწავლილი. ფინიკიის ისტორიის მნიშვნელოვან წყაროებს წარმოადგენენ უგარითის გათხრების შედეგად აღმოჩენილი წერილობითი მასალები, ტელ-ამარნას არქივში აღმოჩენილი წერილები, ძველეგვიპტური წყაროები და ბიბლია. იოსებ ფლავიუსმა შემოგვინახა ძვ. წ. X საუკუნის სიდონის მატიანის ცალკეული ფრაგმენტები, ხოლო საეკლესიო მწერალს, ევსებიოსს, როგორც ჩანს, ხელთ ჰქონდა ფილონ ბიბლოსელის მიერ ბერძნულ ენაზე თარგმნილი ფინიკიელი სანხონიატონის ნაშრომი. საყურადღებო ცნობებია შემონახული ასურულ წყაროებშიც, ისევე როგორც ფინიკიურ ენაზე შედგენილ ეპიგრაფიკულ ძეგლებში. საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ ძველ ბერძნულსა და რომაულ წყაროებში შემონახული ცნობები ფინიკიის შესახებ. ჰომეროსის, ჰეროდოტეს, ტროგუსისა და სხვათა ცნობები ფინიკიის ისტორიის მრავალ ძვირფას მასალას შეიცავენ. ამის მიუხედავად, რადგან უშუალოდ ფინიკიურმა ნარატიულმა საისტორიო წყაროებმა ჩვენამდე არ მოაღწიეს, ფინიკიის ისტორიის სრული სურათის აღდგენა ვერ ხერხდება, უცხოური წყაროები, ჩვეულებრივ, ფინიკიის მხოლოდ ცალკეული პერიოდებისა და მათთვის საყურადღებო მოვლენების მასალებს შეიცავენ ხოლმე.

ფინიკიის ისტორიის ინტენსიური შესწავლა XIX ს. 50-იანი წლებიდან დაიწყო და მას გერმანელმა მეცნიერმა ფ. მოვერსმა ჩაუყარა საფუძველი. XX ს. ფრანგი არქეოლოგების მიერ ფართოდ გაშლილმა არქეოლოგიურმა გათხრებმა განსაკუთრებით კი უგარითსა და ბიბლოსში (ს. შეფერი, მ. დიუნანი, მონტე), ფინიკიის ისტორიის მრავალ საკითხს მოჰფენს შუქი, ხოლო უგარითის სამეფო არქივში აღმოჩენილი წერილობითი წყაროების საშუალებით ცნობილი გახდა მანამდე ფაქტიურად სრულიად უცნობი ჩრდილო ფინიკიის ქალაქ-სახელმწიფოს — უგარითის — ისტორია. საბჭოთა კავშირში ფინიკიის ისტორიის საკითხებზე მუშაობდნენ ი. ვინიკოვი, ი. შიფმანი და სხვ. 1955 წელს ალ. წერეთელმა ქართულ ენაზე გამოსცა წიგნი სირიისა და ფინიკიის ისტორიის შესახებ.

ქვეყნის გეოგრაფიული პირობების გამო ფინიკიის ქალაქები ზღვისპირას იყო გაშენებული. მათ შორის უმნიშვნელოვანესი იყო: ტვიროსი, ბიბლოსი, უგარითი და სიდონი. გეოგრაფიულმავე გარემომ

განაპირობა ის, რომ ფინიკიაში ერთიანი ძლიერი სახელმწიფო არასდროს წარმოქმნილა. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ფინიკია დიდად იყო დამოკიდებული ძალთა იმ წონასწორობაზე, რომელიც იქმნებოდა ძველეგვიპტესა და წინააზიის სხვა ძლიერ სახელმწიფოთა შორის. ფინიკიის უძველესი ისტორია შედარებით კარგად ბიბლოსის არქეოლოგიური შესწავლის შედეგად არის ცნობილი. ძვ. წ. V ათასწლეულში ბიბლოსი მიწისმოქმედთა, მესაქონლეთა და მეთევზეთა დასახლებას წარმოადგენდა, ხოლო IV ათასწლეულის უკანასკნელ ასეულში იგი უკვე თითქმის ქალაქური ტიპის დასახლებად იქცა. მესამე ათასწლეულში, რომელიც დაახლოებით ადრებრინჯაოს ხანას ემთხვევა (დაახლ. 3100—2200/2100), ბიბლოსი ქალაქური ტიპის დასახლებად იქცა და მას ქვისაგან აგებული დასაცავი კედელი ჰქონდა, ამავე ხანის ბიბლოსში აშენდა ეგვიპტურ ტაძართა მიბაძვით რამდენიმე ტაძარი, რომელთა შორის აღსანიშნავია „ბიბლოსის მბრძანებლის“ ტაძარი. ადრებრინჯაოს ხანის ბიბლოსზე გავლენა ჰქონდა ეგვიპტეს, რაზეც მიუთითებენ ბიბლოსში აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი ეგვიპტური წარწერები. ამავე დროს, ბიბლოსი შუამდინარეთთან იყო დაკავშირებული. ამაზე მიუთითებენ არქეოლოგიური გათხრების დროს მოპოვებული ცილინდრული საბეჭდავები და მათი ანაბეჭდები, რომლებზეც გილგამეში და ენკიდუ არიან გამოსახული. ადრებრინჯაოს ხანის ბიბლოსი უფრო სწრაფად ვითარდება ფინიკიის სხვა ოლქებთან შედარებით. ამის მიზეზს მკვლევარნი ბიბლოსის ზღვაზე მოხერხებული მდგომარეობით ხსნიან. ეგვიპტის ვაჭრობა ბიბლოსთან, განსაკუთრებით კი ბიბლოსიდან ფინიკიური კედარისა და მუხის გაზიდვა ეგვიპტეში, აგრეთვე თვით ეგვიპტელი რეზიდენტების ყოფნა ბიბლოსში, ხელს უწყობდა მის სწრაფ აღმავლობას. მესამე ათასწლეულის მიწურულიდან მეორე ათასწლეულის ნახევრამდე (2200/2100—16000, რაც დაახლოებით შუა ბრინჯაოს ხანას ემთხვევა), ეგვიპტის გავლენა ბიბლოსზე შედარებით ნაკლებადაა შესამჩნევი. ამ ხანებში აგებული ტაძრები უფრო სირიულ-წინააზიურ ტაძრებს გვანან. ანალოგიური მოვლენები მატერიალური კულტურის სხვა ძეგლებზეც შეინიშნება. შუაბრინჯაოს ხანიდან ყურადღებას იპყრობს თიხის ფირფიტები შუმერული ლურსმული ნიშნებით. ეს ფირფიტები სასკოლო ფირფიტების ნაშთებს წარმოადგენენ, რაც მიუთითებს, რომ ბიბლოსში იმ ხანად იცნობდნენ შუმერულ დამწერლობას. შუმერის ძლიერი გავლენა ბიბლოსზე განსაკუთრებით ურის III დინასტიის ხანაშია შესამჩნევი, რადგან ბიბლოსის ენისის სახელოა ცნობილი. შუაბრინჯაოს ხანაშივე ბიბლოსში ეგვიპტური წარწერებიც გვხვდება. ძვ. წ. XIX ს. მიწურულითა და XVIII ს. დასაწყისით თარიღდება პირველი ცნობები უშუალოდ ბიბლოსის მმართველთა შესახებ. ეგვიპტური წყა-

როების მიხედვით ესენი არიან: იფშემუაბი, იფშემუს ძე, და ინტენი, ძე რეიენისა. ეგვიპტის დიდ გავლენაზე იმ ხანების ბიბლოსზე მიუთითებს ის, რომ ბიბლოსის დასახელებული მმართველები თავის თავს ნომარქებს უწოდებენ. მეორე ათასწლეულის მეორე ნახევრის ბიბლოსის ისტორიას არქეოლოგიურ მასალებთან ერთად წერილობითი წყაროებიც ავსებენ და იგი შედარებით უკეთ არის ცნობილი. ეგვიპტური წყაროებიდან ცნობილია, რომ თუტმოს III (1503—1491) ფინიკიაში გემთმშენებლობას ეწეოდა და ლაშქრობა ნოაწყო ფინიკიაზე, ასეთივე პოლიტიკის გამტარებელი იყო ფინიკიის მიმართ თუტმოს III-ის მენკვიდრე ამენჰოტეპ II (1491—1465). ამენჰოტეპ III-ის (1455—1424) ბიბლოსზე მბრძანებლობა ეგვიპტურ წყაროებშია დადასტურებული.

პოლიტიკური ბრძოლა ფინიკიის ქალაქებში, კერძოდ ბიბლოსში, ეჯაჭვებოდა დიდ სახელმწიფოთა მეტოქეობას ფინიკიაში. ამაზე მიუთითებს ბიბლოსის ისტორია ამენჰოტეპ IV-ის მეფობის დროს. ამენჰოტეპ IV-ის თანამედროვე ბიბლოსის მეფე რიბ-ადდი პროეგვიპტური პოლიტიკის გამტარებელი იყო, ნიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოეთიდან ხეთების მეფე სუფილულიუმა უტევდა სირიასა და ფინიკიას. რიბ-ადდი ბიბლოსის სავაჭრო ფენების ინტერესებს იცავდა, რომელნიც თავის მხრივ სამეფო ხელისუფლების გაძლიერებას უწყობდნენ ხელს. ბიბლოსის ვაჭრებისთვის ეგვიპტესთან კავშირი იყო გამოსადეგი, რადგან მათ ეგვიპტეში გაჰქონდათ არა მხოლოდ ადგილობრივი ნაწარმი და ხე-ტყე, არამედ სატრანზიტო ვაჭრობასაც ეწეოდნენ მცირე აზიიდან და კუნძულ კვიპროსიდან, ისევე როგორც ეგვიპტური საქონელი გადაჰქონდათ ბიბლოსში. ბიბლოსის მოსახლეობის მიწისმოქმედთა ფენისთვის კი უფრო სარგებლიანი ხეთების ბატონობა ჩანდა, რადგან იგი უფრო ნაკლებად ცენტრალიზებული იყო ეგვიპტელთა ადმინისტრაციულ სისტემასთან შედარებით. ამის გამო, ხეთების მოწოდება აჯანყებისაკენ რიბ-ადდის წინააღმდეგ მიწისმოქმედთა ფენაში მხარდაჭერას პოულობდა და რიბ-ადდიც დახმარებას სთხოვდა დასუსტებულ ეგვიპტის ფარაონს ამენჰოტეპ IV-ს, მიუხედავად იმისა, რომ მას არავითარი დახმარების აღმოჩენა არ შეეძლო. ბიბლოსში გაჩაღებული შინაკლასობრივი ბრძოლა რიბ-ადდის გადაყენებით დამთავრდა და ბიბლოსიც სირიის ამორეველ ტომთა მეფის აზირუს ბატონობის ქვეშ აღმოჩნდა. სირიაში ხეთების გაძლიერების შედეგად უგარითშიც, რომელიც მანამდე ეგვიპტის გავლენის სფეროში იყო, გამწვავდა შინაკლასობრივი ბრძოლა პროეგვიპტურ და პროხეთურ დაჯგუფებებს შორის და უგარითი საბოლოოდ ხეთებს დამორჩილდა. ასეთივე ვითარება შეიქმნა ტვიროსში, სადაც მოქალა-

ქეებმა მოკლეს მეფე აბინილქი და ხელისუფლება ანტიეგვიპტური პოლიტიკური ორიენტაციის პარტიის ხელში გადავიდა. მხოლოდ XIX დინასტიის ფარაონთა წარმატებამ წინა აზიაში შეუწყო ხელი ეგვიპტის გავლენის აღდგენას ფინიკიაში. საერთოდ კი, ეგვიპტე-ხეთების ომმა, რომელსაც ორივე მხარემ დიდი ძალა შეალია, კარგი პირობები შეუქმნა ფინიკიის ქალაქთა ბრძოლას დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, ხოლო ზღვის ხალხთა გადმოსახლების შემდეგ, როგორც ცნობილია, წინა აზიაში აღარ არსებობდა ისეთი სახელმწიფო, რომელსაც დაპყრობითი პოლიტიკის წარმოება შეეძლებოდა ფინიკიის მიმართ. ასეთ პირობებში ფინიკიის ქალაქებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს, რომელთა შორის ბიბლოსის გვერდით ტვიროსი დაწინაურდა.

XIII ს. ბიბლოსში ნეფობდა აპირამი, რომელმაც, შესაძლებელია, სამეფო ტახტი ძალით ჩაიგდო ხელში, რადგან მისი ძე, ეტბაალ, აპირამის სარკოფაგზე ამოკვეთილ წარწერაში აპირამის მამის სახელს არ ახსენებს, რაც, ალბათ, იმით იყო გამოწვეული, რომ აპირამის მამა, შესაძლებელია, მეფე არ იყო. ფინიკიის ქალაქთა ბრძოლაზე დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, როგორც ჩანს, დიდი გავლენა არც ტიგლათფილესერ I-ის ძლევამოსილმა ლაშქრობამ მოახდინა ძვ. წ. XII ს. მიწურულს, რომელმაც ბიბლოსს, სიდონსა და არვადს ხარკი დაადო. XI ს. ბიბლოსი დამოუკიდებელი ჩანს, რაზედაც მიუთითებს ბიბლოსის მმართველის ზაქარბაალის დამოკიდებულება ეგვიპტელ უნამუნისადმი, რომელიც ბიბლოსში სავაჭრო მისიით ჩამოვიდა. ძვ. წ. X ს. პირველი ნახევრიდან ფინიკიის ქალაქებს შორის ჰეგემონობას ტვიროსი ისაკუთრებს, რომელმაც ბიბლოსზე გაავრცელა თავისი გავლენა. განსაკუთრებულ ძლიერებას ტვიროსმა ჰირამ I-ის (969—936) მეფობის ხანაში მიაღწია. თუ მანამდე ტვიროსი მხოლოდ კუნძულზე მდებარეობდა, ჰირამმა მიწაყრილის საშუალებით მნიშვნელოვნად გააფართოვა ქალაქის ტერიტორია, ხოლო თვით ქალაქში მელქართისა და აშთართის ტაძრები გადააკეთა. ტვიროსის მოსახლეობის რიცხვიც გაიზარდა და 40.000-ს მიაღწია. ჰირამს მჭიდრო კავშირი ჰქონდა დამყარებული ისრაელის სამეფოსთან, რომელსაც ის დახმარებას უწევდა ფართოდ წამოწყებულ მშენებლობაში. სანაცვლოდ ტვიროსი დიდი რაოდენობით ღებულობდა სოფლის მეურნეობის პროდუქტებს ისრაელის სამეფოდან. ჰირამის მეფობის ხანაში ტვიროსი საკმაოდ მნიშვნელოვანი ახალშენების მქონე სახელმწიფოს ცენტრად იქცა. როდესაც ტვიროსის ახალშენმა უტიკამ განდგომა განიზრახა და მეტროპოლიას ხარკის მიცემა შეუწყვიტა, ჰირამმა უტიკის წინააღმდეგ გაილაშქრა და დაიმორჩილა. ჰირამის გარდაცვალების შემდეგ ტვიროსში ტახტის გარშემო დინასტიური ბრძოლა გაჩაღდა, რომელშიც ქალაქის სხვადასხვა სოციალური ფენები ღებულობდნენ მონაწილეობას.

საბოლოოდ სამეფო ტახტი აშთართის ტაძრის ქურუმმა ეტბაალმა მიიტაცა. ეტბაალი თავის თავს სიდონის მეფედაც ასახელებს. როგორც ჩანს, ფინიკიის სანაპიროს მნიშვნელოვანი ნაწილი ტვიროსს ემორჩილებოდა.

ფინიკიის ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენას ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულში და I ათასწლეულის დასაწყისში ხმელთაშუაზღვისპირეთის ფართო კოლონიზაცია წარმოადგენდა, რომელშიც წამყვანი ადგილი ტვიროსელებს ეკუთვნოდათ. ჯერ კიდევ II ათასწლეულის შუა ხანებში ფინიკიელებმა ფეხი მოიკიდეს არა მხოლოდ კუნძულ კვიპროსზე, არამედ ეგეოსის ზღვის აუზშიც. წყაროები მოგვითხრობენ, რომ ძვ. წ. XIII ს. ერთ-ერთი უგარეთელი ვაჭრის სინარანუს, სიგინუს ძის გემები ხშირად დაცურავდნენ კუნძულ კვიპროსზე. ფინიკიელთა ვაჭრობის შესახებ მოგვითხრობენ აგრეთვე „ილიადა" და „ოდისეა", რომელნიც გადმოგვცემენ, რომ შესაფერის შემთხვევაში ფინიკიელი ვაჭრები მეკობრეობასაც არ თაკილობდნენ. კუნძულ თასოსზე ფინიკიელებმა რკინის საბადოები აღმოაჩინეს და მის დამუშავებას მიჰყვეს ხელი, ხოლო ის გარეგნობა, რომ არქეოლოგიურმა გათხრებმა თასოსზე მელქართის ტაძარი გამოავლინეს, იმის მაჩვენებელია, რომ ფინიკიელ კოლონისტთა შორის თასოსზე ტვიროსელები იყვნენ გაბატონებულნი. ეგეიდის ათვისების შემდგომ ფინიკიელებმა სავაჭრო ურთიერთობა დაამყარეს ხმელთაშუაზღვის უკიდურეს დასავლეთის რაიონებთან, პირენეის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ იბერებთან, რომელთაგან ისინი უმთავრესად ლითონს იძენდნენ. ფინიკიელები პირენეის იბერიაში დიდ სავაჭრო ექსპედიციებს აწყობდნენ, სადაც ბრინჯაოს იარაღს, ნაირგვარ სურნელოვან ზეთებს, ძვირფას ქსოვილებსა და სხვადასხვა წვრილმანს მიეზიდებოდნენ ხოლმე. იქ შეძენილი საქონელი კი მიჰქონდათ აღმოსავლეთისაკენ — სიცილიაში, საბერძნეთში, აზიაში და ვაჭრობის შედეგად დიდ მოგებას ნახულობდნენ. თანდათან ფინიკიელებმა ამ სავაჭრო გზის ათვისება მოახერხეს, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი, მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობის დასამყარებლად საჭირო იყო აღნიშნული სავაჭრო გზის გასწვრივ ფინიკიურ დასახლებათა შექმნა, რომელნიც იქცეოდნენ ბაზებად დასავლეთისკენ მიმავალი გემებისათვის. პირველი ფინიკიური კოლონია ტვიროსელებმა დააარსეს გიბრალტარის სრუტის დასავლეთით აფრიკის სანაპიროზე, იქ, სადაც ამჟამად მდინარე ლიქსი ატლანტიკის ოკეანეს ერთვის, მაგრამ რადგან იგი სავაჭრო გზებისაგან დაშორებული იყო, ტვიროსელმა ვაჭრებმა უშუალოდ იბერიის ნახევარკუნძულზე მოიკიდეს ფეხი და ფინიკიური ქალაქი გადესი (თანამედროვე კადიქსი) დააარსეს. ფინიკიელებმა, რამდენადაც დღეს ცნობილია საისტორიო მეცნიერებისათვის, პირველად გაიკვლიეს გზა

ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან უკიდურეს დასავლეთში. ეს მოგზაურობა 76 დღეს გრძელდებოდა. ამ გზის მნიშვნელოვან საყრდენ პუნქტს კუნძული სიცილია წარმოადგენდა, სადაც ფინიკიელებს თავისი სავაჭრო ფაქტორიები ჰქონდათ. ჯერ კიდევ 1112 წელს ტვიროსელებმა ჩრდილოეთით, აფრიკის სანაპიროზე ქალაქი უტიკა დააარსეს, უტიკის შემდგომ კი — სამი ახალი ქალაქი. ფინიკიელებმა მტკიცედ მოიკიდეს ფეხი დასავლეთ სიცილიაში და კუნძულ სარდინიაზეც. მაგრამ ფინიკიის უმნიშვნელოვანეს კოლონიად მაინც კართაგენი რჩებოდა, რომელიც ტვიროსელებმა დააარსეს 825 წელს.

ფინიკიელები სავაჭრო ექსპედიციებს არა მხოლოდ დასავლეთით აწყობდნენ, არამედ — მეწამული ზღვის სამხრეთითაც. ეს ექსპედიციები ისრაელის სამეფოსთან ერთად ეწყობოდა. ისრაელის სამეფოს უკიდურეს სამხრეთ სანაპიროზე ნავსადგური ეილათი მდებარეობდა. აქედან ისრაელის მეფემ სოლომონმა და ტვიროსის მეფემ ჰირამმა მოაწყვეს სავაჭრო ექსპედიცია ოფირის ქვეყანაში, რომელიც მკვლევართა ვარაუდით, ინდოეთის სანაპიროზე იმყოფებოდა. ოფირიდან, ბიბლიაში დაცული ცნობის მიხედვით, მათ ჩამოიტანეს დაახლოებით 250 ტონა ოქრო, ძვირფასი ქვები და სხვადასხვა ძვირფასი საქონელი. ოფირიდან ჩამოტანილი ოქრო ბიბლიაში არაერთგზის იხსენიება, რაც მკვლევართ ავარაუდებინებს, რომ სავაჭრო ექსპედიციები ოფირში ხშირად ეწყობოდა. საზღვაო ვაჭრობა ფინიკიაში სახმელეთო ვაჭრობასთან იყო დაკავშირებული. ფინიკიის სანაპიროს გასწვრივ გადიოდა ძველი მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სატრანზიტო მაგისტრალი, რომელიც ეგვიპტეს ტიგროსისა და ევფრატის მოსაზღვრე ქვეყნებთან აკავშირებდა. ფინიკიის სატრანზიტო ნავსადგურებში თავს იყრიდა სხვადასხვა საქონელი მრავალი ქვეყნიდან. ფინიკიის გაცხოველებულ სავაჭრო ურთიერთობის სურათს კარგად გვიხატავს წინასწარმეტყველი იეზეკიელი. მისი თქმით, ტვიროსი თარშიშიდან (ესპანეთის იბერიიდან) ღებულობდა ვერცხლს, რკინას, კალასა და ტყვიას, საბერძნეთიდან და მცირე აზიიდან — ძონებსა და სპილენძის ნაწარმს, აფრიკიდან (სამხრეთ არაბეთის გზით) და ინდოეთიდან — სპილოს ძვალსა და მაიმუნებს. ჩრდილოეთ სირიიდან — შალის ქსოვილს და ძვირფას ქვებს, ისრაელიდან და იუდეიდან — ხორბალს, თაფლს, ზეთისხილსა და ბალზამს. სირიის უდაბნოდან მომთაბარე არაბებს მოჰყავთ წვრილფეხა საქონლის ჯოგები, საბეელთ კი სხვადასხვა ნელსაცხებლები ჩამოჰქონდათ.

ფართო სავაჭრო ექსპედიციებმა განაპირობეს ფინიკიელთა გემების კონსტრუქციული სრულყოფა. რომელთა გაუმჯობესების შემდეგ ტვირთზიდვა გაიზარდა, რამაც განაპირობა ფინიკიელთა წარმატებები ზღვაოსნობაში. მხოლოდ ფინიკიელებმა შეძლეს ძველ სამყაროში აფ-

რიკის გარშემო ზღვით მოგზაურობა. ტვიროსელებს, როგორც ცნობილია, ფართო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ ეგვიპტესთან. ქალაქ ბუბასტიში ფინიკიელთა ვაჭრებს, რომელთა უმრავლესობას ტვიროსელი ვაჭრები შეადგენდნენ, საგანგებო უბანიც კი ჰქონდათ. სწორედ ეგვიპტიდან ძვ. წ. VII ს. მიწურულს ფინიკიელებმა მოაწყვეს მოგზაურობა აფრიკის გარშემო. თანამედროვე სუეცის ყურიდან ფინიკიელები გაემართნენ სამხრეთისკენ, მეწამული ზღვით გავიდნენ ინდოეთის ოკეანეში, შემოუარეს აფრიკას სამხრეთიდან, გიბრალტარის სრუტით შეშოვიდნენ ხმელთაშუა ზღვაში და ეგვიპტეში დაბრუნდნენ. ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე, რომელმაც ეს ცნობა შემოგვინახა, აღნიშნავს, რომ ამ მოგზაურობას სამი წელიწადი დასჭირდა.

ფინიკია არასდროს წარმოადგენდა ერთ მთლიან სახელმწიფოს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ტვიროსის ხანმოკლე და არამყარ ჰეგემონიას. ფინიკიის ისტორია ამის გამო არსებითად ქალაქ-სახელმწიფოთა ისტორიას წარმოადგენს. ფინიკიის ყველა ქალაქ-სახელმწიფო გარშემორტყმული იყო სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიით, სადაც ცხოვრობდა მოსახლეობის ძირითადი მასა. სოციალურად ფინიკიის ქალაქ-სახელმწიფოები უთანაბროდ არის შესწავლილი. თუ ისეთი მნიშვნელოვანი ქალაქების შესახებ, როგორიც იყო ტვიროსი, ბიბლოსი და სიდონი, ჩვენამდე მოღწეული წყაროები მეტისმეტად ნაკლულია და ამის გამო მათი საფუძვლიანი სოციალური შესწავლა ვერ ხერხდება, უგარითის სამეფო არქივის მასალების გამოქვეყნების შემდეგ უგარითის სოციალური შესწავლა ივდენად დაწინაურდა, რომ დღეისათვის ამ მხრივ იგი ფინიკიის ყველა სხვა ქალაქზე უკეთ შესწავლილად უნდა მივიჩნიოთ, მიუხედავად იმისა, რომ უგარითიდან მოღწეული წყაროები მხოლოდ ორი საუკუნით — ძვ. წ. XIV—XIII საუკუნეებით — თარიღდება და ქალაქის სოციალური ევოლუციის სრულ სურათს ვერ გვაძლევენ.

უგარითის სამეფო ტერიტორიულად 3000—4000 კვადრატულ კილომეტრს მოიცავდა და დაახლოებით 200 სოფლისაგან შედგებოდა. ქვეყნის სათავეში მეფე იდგა, რომელიც უზენაესი მმართველი იყო. ქვეყნის მთელი მიწა-წყალი იყოფოდა ორ ნაწილად — სათემო და სამეფო მიწებად. თემი მეფეს ემორჩილებოდა როგორც სიუზერენს და არა როგორც სათემო მიწის მფლობელს. სამეფო მიწაც, თავის მხრივ, ორ ნაწილად იყოფოდა: პირველში შედიოდა მიწის ის ფონდი, რომელსაც მეფე გარკვეული ვალდებულებებისა თუ სამსახურის პირობით გასცემდა ხოლმე, მეორეში კი ის მიწა-წყალი, რომელიც უშუალოდ სამეფო-სახელმწიფო მიწებს შეადგენდა. სამეფო სახლის წევრებს ჰქონდათ თავისი პირადი მიწის ნაკვეთები, მაგრამ არ არის ცნობილი, შედიოდა თუ არა მათი მიწები სამეფო-სახელმ-

წიფო მიწების ფონდში. სასოფლო თემის მცხოვრებნი გადასახადებს კოლექტიურად იხდიდნენ, მათ სამხედრო სამსახურიც ევალებოდათ, ხოლო ზღვისპირა სოფლების მცხოვრებნი სამეფო ფლოტში მსახურობდნენ. გარკვეული დროის განმავლობაში მეთემენი სამეფო-სახელმწიფო მიწებზე შრომობდნენ და საზრდოს სამეფო საწყობებიდან ღებულობდნენ. უგარითის სასოფლო თემი შედარებით მცირერიცხოვანი ოჯახებისგან შედგებოდა. წყაროები ოჯახის წევრების ჩამოთვლისას ასახელებენ მონებსაც. მონების მოხსენიება და აგრეთვე ცნობები იმის შესახებ, რომ სხვადასხვა სახლს განსხვავებული რაოდენობით ჰყავდა საქონელი, მიუთითებს თემის შიგნით არსებულ ქონებრივ დიფერენციაციაზე. მიწის გაყიდვა თემის შიგნით დასაშვებად ითვლებოდა, ამავე დროს სახლის ვალდებულებანი გადადიოდა მყიდველზე, თუ საგანგებოდ არ იყო აღნიშნული, რომ მათ ძველებურად იტოვებდა მიწის გამყიდველი მიწის ნაწილის შენარჩუნების შემთხვევაში. უგარითში მიწას ყიდიდნენ როგორც მეფე, ისე მისი ოჯახის წევრები. სამეფო-სახელმწიფო მიწებს „მეფის ხალხი" ამუშავებდა. „მეფის ხალხი" აღნიშნავდა მეფეზე დამოკიდებულ ყველა პირს, რომელნიც არც ნეთემენი იყვნენ და არც მონები. „მეფის ხალხი" მოიცავდა როგორც სამეფო-სახელმწიფო მეურნეობაში უშუალოდ დასაქმებულ ხელოსნებს, ისევე ამავე მიწა-წყალზე დასაქმებულ პირთა სხვა ჯგუფებსაც. მასში შედიოდნენ აგრეთვე სასახლის პერსონალი და სამხედრო პროფესიათა პირები. მეფეზე დამოკიდებული ეს სოციალური ფენა ანაზღაურებას ვერცხლითა და ნატურით ღებულობდა, უმეტეს შემთხვევაში კი მათ ეძლეოდათ მიწა პირობით მფლობელობაში. ხელოსნები ემსახურებოდნენ სასახლესა და სამეფო-სახელმწიფო მეურნეობას; მათი ხელოსნური ნაწარმის ნაწილი მიდიოდა ხეთების სასარგებლოდ დადგენილი გადასახადის დასაფარავად. ისინი ამარაგებდნენ უგარითის ლაშქარს და ფლოტს და შედიოდნენ უგარითის ლაშქარში. ხელოსნების სხვადასხვა პროფესიულ გაერთიანებებს უხუცესები ხელმძღვანელობდნენ, რომელთაც უშუალო კავშირი ჰქონდათ სამეფო ადმინისტრაციასთან. ხელოსნურ წარმოებაზე მონოპოლია უგარითში მეფეს ეკუთვნოდა.

გარკვეული ვალდებულების პირობით „მეფის ხალხს" სამეფო-სახელმწიფო მიწები სხვადასხვა ზომის ნაკვეთებად ეძლეოდათ. მთელი რიგი წყარო მიუთითებს, რომ ზოგჯერ ცალკეულ პირებს სოფლებიც კი ეძლეოდათ, მაგრამ არა სამუდამოდ, არამედ მხოლოდ სიცოცხლის განმავლობაში. როგორც წესი, ის, ვინც მიწის ნაკვეთს ღებულობდა, ვალდებული იყო გარკვეული მშენებლობა ჩაეტარებინა მიღებულ ნაკვეთზე, მასვე მიუვიდოდა ის შემოსავალი, რომელსაც ადრე მეფე ღებულობდა გაცემული ნაკვეთიდან. აღნიშნულ შემთხვე-

ვებში მიწისმფლობელნი საზოგადოების მაღალ ფენებს მიეკუთვნებოდნენ. მიწა ნაწილდებოდა უფრო მცირე ნაკვეთებადაც, მინდორის, ვენახის, მარილის მქონე მიწის ნაკვეთის სახით და სხვ., ოღონდ მარილის მოპოვებაზე სამეფო მონოპოლია არსებობდა. სატაძრო მეურნეობა უგარითში დამოუკიდებელი არ იყო სანეფო-სახელმწიფო მეურნეობისაგან. ქურუმები, ჰიეროდულები და ტაძართა პერსონალი იმავე სოციალურ კატეგორიას განეკუთვნებოდნენ, რომელშიც „მეფის ხალხი" შედიოდა, რის გამოც, სავარაუდებელია, რომ ქურუმთა ფენა მთლიანად სამეფო ხელისუფლებას ემორჩილებოდა და მას არ ეკავა დამოუკიდებელი ადგილი უგარითის საზოგადოებაში. მეფის მიერ გაცემული მიწა-წყალი უგარითის სამეფოს სოფელთა დაახლოებით 40% აღწევდა. მეფე დროებით გაცემულ მიწა-წყალს ართმევდა იმათ, ვინც მათზე დაკისრებულ სამსახურსა თუ ვალდებულებებს ვერ ასრულებდნენ და სხვებს გადასცემდა. ამრიგად, სამეფო-სახელმწიფო მიწების ვრცელი ფონდი სამეფო ხელისუფლების ძლიერების წყაროს წარმოადგენდა. ნონებსა და მონურ შრომას უგარითში ფართო გავრცელება არ ჰქონია. მსხვილი მონათმფლობელური მეურნეობანი თითქმის არ არსებობდნენ და მონათმფლობელთა ფენა მრავალრიცხოვანი არ იყო. თვით მონების რიცხვი უგარითის მოსახლეობის უმნიშვნელო პროცენტს შეადგენდა. უგარითის ცხოვრებაში დიდი ადგილი ეჭირა ვაჭრობას. უგარითი იყო არა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო ცენტრი, არამედ მნიშვნელოვანი სავაჭრო ქალაქიც. ამაზე მიუთითებს ვაჭართა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ფენის არსებობა, რომელსაც თამქარი ეწოდებოდა. თამქარნი მეფის სავაჭრო აგენტები იყვნენ, ისინი ზოგჯერ დამოუკიდებელ სავაჭრო ოპერაციებსაც ეწეოდნენ.

მეფე იყო უგარითის ლაშქრის მთავარსარდალი, მას ემორჩილებოდა „მეფის ხალხი", იგი კრეფდა გადასახადებს და აწესრიგებდა სხვადასხვა ვალდებულებებს. მეფესვე ეკითხებოდა უგარითელი ვაჭრების — თამქართა — ოპერაციები, მასვე ჰქონდა სხვადასხვა პრივილეგიების მინიჭების უფლება, შეეძლო დანაშაულისათვის მონად ექცია უგარითის მცხოვრები, ისევე როგორც გაეაზატებინა მონა, ე. ი. მეფეს უგარითის სამეფოს თითქმის ყველა უბანზე მიუწვდებოდა ხელი.

მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა უგარითში დედოფალს — დედას, რომელიც, შესაძლებელია, მეფის უგარითში არყოფნის დროს რეგენტად რჩებოდა. მასზე იყო დამოკიდებული საზოგადოების ზოგიერთი ფენა. მემკვიდრე, როგორც ჩანს, მეფის თანამმართველი არ იყო, მაგრამ სხვა უფლისწულებისაგან იგი გამოირჩეოდა. უგარითის მემკვიდრეს ქარხენიშის მეფე ამტკიცებდა, რომელსაც უგარითი ემო-

რჩილებოდა. მთლიანად უგარითის სამეფოს მოსახლეობა დაახლოებით 50000—60000 უნდა ყოფილიყო, აქედან დაახლოებით 23000—32000 მეთემე და 11000—13000 „მეფის ხალხი“.

უგარითისაგან განსხვავებით, სამეფო ხელისუფლება ფინიკიის სხვა ქალაქებში მნიშვნელოვნად იყო შეზღუდული გაბატონებული წრეების წიაღიდან გამოსული უხუცესთა საბჭოს მიერ. რომელიც, შესაძლებელია, იხილავდა და ამტკიცებდა მთავარ სახელმწიფო საკითხებს, მათ შორის ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიც არის ომისა და ზავის საკითხი. უგარითისაგან განსხვავებით ფინიკიის სხვა ქალაქში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქურუმთა კორპორაციას, განსაკუთრებით კი, ტვიროსის მფარველი ღმერთის ტაძრის ქურუმს. ამ ტაძრის ქურუმმა, ეტბაალმა, როგორც ითქვა, სამეფო ტახტიც კი ჩაიგდო ხელთ.

დიდი გავლენით სარგებლობდნენ ფინიკიაში მსაჯულებიც. ბიბლოსის მეფის აჰირამის ეპიტაფიიდან ჩანს, რომ უმაღლესი მოსამართლე ერთ-ერთი უმაღლესი ხელისუფლების თანამდებობის პირად განიხილებოდა ბიბლოსში, ხოლო ტვიროსში ძვ. წ. VI ს. პირველ ნახევარში მეფის ადგილი მცირე ხნით მსაჯულებს ეკავათ. ცნობილია, რომ ფინიკიელთა ახალშენებში მმართველთ სუფეტები ანუ მსაჯულები ეწოდებოდათ. ფინიკიის ქალაქ-სახელმწიფოთა მოსახლეობის ძირითად ფენას ვაჭრები, ხელოსნები, მიწის მუშები და მონები შეადგენდნენ. მონურ შრომას, როგორც ჩანს, განსაკუთრებით ფართოდ იყენებდნენ გემებზე. მენიჩბენი ჩვეულებრივ მონები იყვნენ. უგარითისგან განსხვავებით, ფინიკიის სხვა ქალაქებში მონების საკმაოდ მრავალრიცხოვან ფენაზე მიუთითებენ იუსტინეს ცნობები ტვიროსის მონათა აჯანყების შესახებ. VI საუკუნის პირველ ნახევარში, იუსტინეს გადმოცემით, აჯანყებულმა მონებმა ტვიროსში ამოქლიტეს ყველა თავისუფალი მამაკაცი და გაამეფეს ქალაქში ერთადერთი გადარჩენილი თავისუფალი ადამიანი სახელად სტრატონი. იმისაგან დამოუკიდებლად. თუ რამდენად შეესატყვისება სინამდვილეს იუსტინეს წყაროს ცალკეული დეტალები, ტვიროსის მონათა აჯანყებამ საკმაოდ ხანგრძლივი კვალი დატოვა, რადგან ალექსანდრე მაკედონელის ხანაში ეს ამბავი საყოველთაოდ იყო ცნობილი.

საერთაშორისო სატრანზიტო ვაჭრობა ხელს უწყობდა ფინიკიის სოფლის მეურნეობისა და ხელოსნობის აღმავლობას. მიუხედავად მიწის სიმცირისა, ლიბანის მთების დასავლეთ ფერდობი და დაბლობი მხარე, რომელიც მთებიდან ჩამომდინარე მდინარეებითა და ნაკადულებით უხვად ირწყვებოდა, განთქმული იყო მევენახეობით, ზეთისხილის ბაღებითა და სამკურნალო მცენარეულობით. აქვე თესავდნენ ხორბალს, ქერსა და ფეტვს, მოჰყავდათ სელი. ფინიკიის სოფლის მე-

ურნეობის წარმატებაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ ფინიკიური ღვინო ძველ მსოფლიოში საუკეთესო ღვინოდ ითვლებოდა. ასევე ფართოდ იყო ცნობილი ფინიკიური ზეთისხილი. ფინიკიაში დიდად იყო განვითარებული მეთევზეობა, გამჰმარი თევზი ფინიკიელთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგაჭრო საქონელი იყო. მრავალფეროვანი ხელოსნური ნაწარმით ფინიკია უძველესი დროიდანვე გამოირჩეოდა, ოგრამ დროთა განმავლობაში განსაკუთრებით განვითარდა ფინიკიაში გემთმშენებლობა, სხვადასხვა იარაღების დამზადება, საფეიქრო მრეწველობა, შუშის წარმოება, საიუველირო საქმე და სხვ. ფინიკიის ფართო სავაჭრო ურთიერთობებმა განაპირობეს გემთმშენებლობის ტექნიკის განვითარება, რასაც ხელს უწყობდა ფინიკიის სიმდიდრე საგემშენებლო და საანძო ხე-ტყით. ლიბანის კედარი და მუხა ფინიკიის ერთ-ერთ ძთავარ სიმდიდრეს წარმოადგენდა. საფეიქრო მრეწველობიდან მეწანული საღებავებით შეღებილი ძვირფასი ქსოვილები ფინიკიური ხელოსნური წარმოების მთავარი დარგი იყო. საღებავს ზღვის ნიჟარებისაგან ამზადებდნენ და ქსოვილს სხვადასხვა ფერს აძლევდნენ. მუქი წითლიდან ღია იისფერამდე. საერთოდ ფინიკიური ხელოსნური ნაწარმი გამოირჩეოდა მაღალი ხარისხითა და მრავალფეროვნებით, მიწის დამუშავების ტექნიკა კი საკმაოდ პრიმიტიული იყო. თოხი და უბრალო გუთანი, რომელშიც უმთავრესად ხარებს ან ვირებს აბამდნენ, ძირითად იარაღებს წარმოადგენდნენ.

ძვ. წ. IX საუკუნიდან ფინიკია ასურეთის გავლენის ქვეშ აღმოჩნდა. 876 წელს სირიაზე და ფინიკიაზე გაილაშქრა ასურნასირფალ II-მ (885—860), რომელმაც დაიმორჩილა და დახარკა ტვიროსი, სიდონი, ბიბლოსი და სხვა მცირე ქალაქები. ასურეთის ბატონობის ქვეშ მყოფ ფინიკიის ქალაქთა შორის ჰეგემონობა ტვიროსს ეპყრა.

ძვ. წ. IX ს. შუა ხანებში სირია-პალესტინის ანტიასურული მოძრაობა ჩრდილოეთ ფინიკიის ქალაქებსაც მოედო. 853 წელს სირია-პალესტინის ანტიასურულ კოალიციაში ქარქარასთან ბრძოლაში სალმანასარ III-ის წინააღმდეგ მონაწილეობდა ჩრდილოეთ ფინიკიის ქალაქთა — ირქანათის, არვადის, უსანათისა და შიანის — ლაშქარიც. როგორც ჩანს, ასურეთმა ჩრდილოეთ ფინიკიის ქალაქთა დამორჩილება ვერ მოახერხა. სალმანასარ III-ის ლაშქრობები სირიული კოალიციის წინააღმდეგ 849—848, 845 წლებშიც გრძელდებოდა, მაგრამ გადამწყვეტ წარმატებებს ასურელებმა ვერ მიაღწიეს, არ არის გამორიცხული, რომ მცირე ხნის მანძილზე მაინც ტვიროსი და სიდონი ასურელთა ხარკისაგან განთავისუფლდა. საბოლოოდ ასურელებმა სირიული კოალიციის დამარცხება მაინც მოახერხეს და ტვიროსის მეფეს ბალეაზარს (847/6—841/840) ხარკის გა-

დახდა დააკისრეს. ასურელთა გაზრდილ გავლენაზე ფინიკიაში მიუთითებენ ცნობები, რომელთა მიხედვითაც სალმანასარს ხარკს უხდიდნენ სიდონი და ბიბლოსიც. ამ ვითარებაშიც ფინიკიის ქალაქთა შორის ჰეგემონად კვლავ ტვიროსი რჩებოდა.

იმის მიუხედავად, რომ ძვ. წ. 803 წელს ასურელთა მეფემ ადადნირარ III-მ ტვიროსი და სიდონი დაიმორჩილა და დახარკა, ტვიროსს, როგორც ჩანს, ემორჩილებოდა მოსაზღვრე მიწა-წყლის საკმაოდ მოზრდილი ნაწილი, მათ შორის სიდონი და კუნძულ კვიპროსზე ტვიროსის უდიდესი ახალშენი კიტიონი. ტვიროსის მეფეს ელულაის იმდენად დამოუკიდებლად ეჭირა თავი ასურელთა მიმართ, რომ მან ძვ. წ. VIII ს. შუა წლებში გაილაშქრა აჯანყებული კიტიონის წინააღმდეგ, რასაც მოჰყვა ასურელთა ლაშქრობა ტვიროსზე. ტვიროსის ბატონობაში მოქცეული სანხრეთ ფინიკიის ქალაქები, მათ შორის სიდონიც, ასურელთა მხარეზე გადავიდა და დროებითი წარმატების მიუხედავად, ტვიროსი იძულებული გახდა საბოლოოდ სარგონ II (722—705) დამორჩილებოდა. ასურეთის ბატონობა ფინიკიაზე მძიმე იყო, განსაკუთრებით უჭირდათ ფინიკიელებს კედარის გადასახადის გადახდა, რაზედაც ასურელებმა მონოპოლია დააწესეს. გადასახადის ამკრეფთა ძალმომრეობის გამო ტვიროსსა და სიდონში აჯანყებამ იფეთქა, რომელიც სასტიკად ჩაახშეს.

VIII ს. მიწურულს სამხრეთ ფინიკიაში აჯანყება დაიწყო. ამჯერად ანტიასურულ მოძრაობას სიდონი ხელმძღვანელობდა. ასურეთის მეფემ სინაქერიბმა (705—681) სიდონის მეფე ლული დაამარცხა და სიდონის ტახტზე ეტბაალი გაამეფა. ეტბაალის მემკვიდრემ აბიმილქუთმა განაახლა ბრძოლა ასურეთის წინააღმდეგ და ჩრდილოეთ სირიის რამდენიმე წვრილ სამეფოთაგან ანტიასურული კავშირის შექმნაც კი მოახერხა, მაგრამ, როგორც ასურეთის მეფე ასარქადონი (681—668) თავის ანალებში გადმოგვცემს, მან დაანგრია სიდონი, ქალაქის მოსახლეობა კი ტყვედ წაიყვანა. თვით აბიმილქუთი სიკვდილით დასაჯეს და სიდონის ჰეგემონიას სამხრეთ ფინიკიაში ბოლო მოეღო.

ასევე წარუმატებლად იბრძოდა ტვიროსის მეფე ბაალი ასარქადონის წინააღმდეგ. ბაალი ემორჩილებოდა ასარქადონის მემკვიდრეს ასურბანიფალსაც (668—626). ასურეთის დაცემის შემდეგ ფინიკიაზე ბატონობას ეგვიპტე და ახალბაბილონური სამეფო ეცილებოდნენ ერთმანეთს. თავდაპირველად ფინიკიას ეგვიპტელები დაეპატრონენ, მაგრამ შემდგომ, ნაბუქოდონოსორ II-ის (604—562) მეფობის დროს ეგვიპტე იძულებული გახდა ფინიკია ახალბაბილონური სამეფოსათვის დაეთმო. ნაბუქოდონოსორ II-მ 586 და 572—570 წლებში ალყა შემოარტყა ტვიროსს და, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის აღე-

ბა ვერ მოახერხა, ტვიროსი მაინც დაიმორჩილა. ასეთ რთულ პოლიტიკურ სიტუაციაშიც კი ტვიროსი გარკვეულ ავტონომიას და თავის პოლიტიკურ ორგანიზაციას ინარჩუნებდა. 564 წ., ბაალ II-ის გარდაცვალების შემდეგ, ტვიროსის ხელისუფლების სათავეში შვიდი წლის მანძილზე 564—558 წლებში, მსაჯულნი იდგნენ, რომელთა პოლიტიკური კურსი, ადრეულ ეტაპზე მაინც, ანტიბაბილონური უნდა ყოფილიყო. მსაჯულთა მმართველობის შემდეგ ტვიროსში ხელისუფლების სათავეში სამეფო დინასტია დაბრუნდა. 553 წლიდან ტვიროსის მეფედ ჰირამ III ჩანს.

ახალბაბილონის სამეფოს დაცემას და აქემენიდური ირანის იმპერიის წარმოქმნას ფინიკია კმაყოფილებით უნდა შეხვედროდა. ფინიკიის სავაჭრო ქალაქებს იმპერიის სავაჭრო მაგისტრალებზე მშვიდობის დამყარება აინტერესებდათ და თვით კიროსის (553—529) პოლიტიკაც ფინიკიის მიმართ მტრული არ იყო. კიროსმა, როგორც ცნობილია, ნება დართო ბაბილონელთა მიერ წაყვანილ ტყვეებს დაბრუნებულიყვნენ პალესტინაში, რომელთა შორის ფინიკიელებიც იყვნენ. აქემენიდური ირანის შემადგენლობაში შემავალ ფინიკიის ქალაქთა საშინაო ცხოვრებაში ირანის ხელისუფლნი, როგორც ჩანს, არ ერეოდნენ. საყურადღებოა, რომ ფინიკიის მთელი ისტორიის მანძილზე ირანის მმართველობის ხანაში ფინიკიაში შეიქმნა ერთიანი პოლიტიკური დაწესებულების მსგავსი მმართველობის ორგანო, რომელსაც ფინიკიის ყველა ქალაქი უნდა დაქვემდებარებოდა. ტვიროსმა, სიდონმა და არვადმა გაერთიანებული ძალებით დააარსეს ახალი ქალაქი ტრიპოლისი, სადაც ზოგადფინიკიური საბჭო იმყოფებოდა და რომელიც მთელი ქვეყნის მნიშვნელობის საკითხებს წყვეტდა. აქემენიდების ხანის ფინიკიაში, როგორც ჩანს, სიდონი ინარჩუნებდა პირველობას, რადგან ფინიკიის ირანელი მმართველები სიდონში ისხდნენ. ფინიკიელები აქემენიდური ირანის ბატონობის ხანაშიც იბრძოდნენ თავისი ინტერესების დასაცავად. როდესაც კამბიზმა (529—523) მოინდომა ფინიკიელთა ფლოტის გამოყენება კართაგენის წინააღმდეგ საბრძოლველად, მან ფინიკიელებისგან მტკიცე უარი მიიღო, ბერძენ-სპარსელთა ომში კი, როგორც ჰეროდოტე მოგვითხრობს, ფინიკიის ფლოტი აქტიურ მონაწილეობას იღებდა, სხვათა შორის, სალამინის ცნობილ საზღვაო ბრძოლაშიც, რადგან ფინიკიელებს აინტერესებდათ ბერძენ ვაჭართა განდევნა ხმელთაშუაზღვისპირეთიდან. ირანის დამარცხების შემდეგ ფინიკიელები ბერძნებთან მშვიდობიან ურთიერთობას ამყარებენ. სიდონის მმართველმა ტენესმა მონაწილეობაც კი მიიღო ირანის წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაში. არტარქსერქსე

III-ს (359—338) სიდონი მიწასთან გაასწორა და მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ აღდგა ქალაქი სიდონის ნაქალაქარზე. 333 წელს ფინიკიის სანაპირო ალექსანდრე მაკედონელმა დაიპყრო. მიუხედავად იმისა, რომ ომის დასაწყისში ფინიკიის ფლოტი ირანის მხარეზე იყო, არვადი, სიდონი და ბიბლოსი ალექსანდრეს უომრად დამორჩილდნენ, მხოლოდ ტვიროსმა გაუწია მაკედონელებს ძლიერი წინააღმდეგობა. ალექსანდრე მაკედონელმა იგი ხანგრძლივი ალყის შემდეგ ხელთ იგდო და ქალაქის გადარჩენილი მოსახლეობა, რომელიც 30000-ზე მეტი იყო, მონებად გაყიდეს. ელინიზმმა ფინიკიაში ძლიერ მოიკიდა ფეხი. ახ. წ. პირველ საუკუნეებში ფინიკიაში გაბატონდა ბერძნული და არამეული ენები. II—III საუკუნეების რომაულ პროვინციას — ფინიკიას, რომელიც რომის სირიის ტერიტორიაზე არსებობდა, აღარაფერი ჰქონდა საერთო ისტორიულ ფინიკიასთან.

ფინიკიელების სახელთანაა დაკავშირებული კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი მიღწევა — ანბანური დამწერლობის შექმნა. ფინიკიელ ვაჭრებს სავაჭრო ოპერაციების წარმოებისათვის სჭირდებოდათ მარტივი გრაფიკის მქონე დამწერლობა, ხოლო ამ მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებდა ვერც აქადური ლურსმული და ვერც ეგვიპტური იეროგლიფური დამწერლობები. ამავე დროს, აღნიშნული ენები ფინიკიელთათვის არ იყო მშობლიური და ამდენად, მათი შესწავლა არ იყო ადვილი. ფინიკიელ ვაჭართა აღნიშნული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად შეიქმნა უგარითული დამწერლობა, ლურსმული გრაფიკის საფუძველზე და რადგანაც იგი მხოლოდ თიხის ფირფიტებზე საწერად იყო გამოსადეგი, უგარითულმა ლურსმულმა დამწერლობამ, მიუხედავად მნიშვნელოვანი გამარტივებისა, ვერ გაუწია მეტოქეობა სამხრეთ ფინიკიაში შექმნილ ხაზოვან დამწერლობას, რომლისთვისაც საწერად ყოველგვარი მასალა გამოდგებოდა. თვით ფინიკიური ხაზოვანი დამწერლობის წარმოშობის საკითხი ჯერჯერობით ბოლომდე გარკვეული არ არის. ვარაუდობენ, რომ მას წინ უსწრებდა ბიბლოსური ფსევდოიეროგლიფური დამწერლობა, რომლის თითოეული ნიშანი მარცვალს აღნიშნავდა. ფინიკიელთა მიერ შემოღებული ანბანის სიმარტივე კი იმაში მდგომარეობდა, რომ ანბანის ყოველი ნიშანი წინასწარ მოცემულ, მტკიცედ განსაზღვრულ მარცვალს კი არ აღნიშნავდა, არამედ თანხმოვანს, რომელსაც შეიძლებოდა ნებისმიერი ხმოვანი დართვოდა ან არ დართვოდა. ამის გამო, დამწერლობის ახალი სახე ფაქტიურად მხოლოდ თანხმოვანთა აღსანიშნავად იყო გამოსადეგი და თვით ანბანის ნიშანთა რიცხვიც ძლიერ შემცირდა. ფინიკიური ანბანი 22 ასოსგან შედგებოდა.

ფინიკიელთა დამწერლობას ბერძნები გაეცნენ. რადგან ეს დამ-

წერილობა მარტივი იყო, ბერძნებმა იგი თავისი ენის ნორმებს მიუყენეს და დახვეწეს. მთავარი ცვლილება იმაში მდგომარეობდა, რომ ბერძნებმა ხმოვნებისთვის მტკიცედ დადგენილი ნიშნები შემოიღეს და ამგვარად ჩამოყალიბდა მყარი ანბანური დაწერილობა, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა კაცობრიობის კულტურის ისტორიაში.

ფინიკიელთა ცხოვრებაში დიდი ადგილი ეჭირა რელიგიას. ღმერთების სახელებს ფინიკიელები არ გამოთქვამდნენ, რადგან მათი რწმენით, ღმერთი შეიძლებოდა განრისხებულიყო. ამის გამო, ფინიკიელთა ყველა ღმერთის სახელი ცნობილი არ არის. უმაღლეს ღმერთს, რომელიც მსოფლიოს მპყრობელი იყო, ელი (ფინიკიურად ღმერთი) ეწოდებოდა. ელის მეუღლეს ერქვა ელათი, ანუ ღმერთქალი ან ზღვის სული — აშერათი. სხვა ღმერთებს შორის ბაალი გამოირჩეოდა, რაც ფინიკიურად მფლობელს ნიშნავს. ყოველ საგანს თავისი ბაალი გააჩნდა. ბაალი ფინიკიელთა ქალაქების მფარველ ღმერთადაც გვევლინებოდა. ქალაქ სიდონს საკუთარი ბაალი ჰყავდა, ტვიროსის ბაალს კი მელქართს უწოდებდნენ, რომლის პატივსაცემად ტვიროსელები ყოველ გაზაფხულს ზეიმებს აწყობდნენ. ამ ზეიმებზე ტვიროსის შორეული კოლონიების მცხოვრებნიც კი ჩამოდიოდნენ. დროთა ვითარებაში მელქართი ნაოსნობის მფარველ ღმერთადაც იქცა, რადგან იგი ფინიკიელთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საზღვაო ქალაქის — ტვიროსის — მფარველი ღმერთი იყო. ზოგიერთი ფინიკიური ქალაქის მფარველად ღმერთქალი გვევლინებოდა. ასეთი იყო ბიბლოსის მფარველი — სიყვარულისა და ნაყოფიერების ქალღმერთი — აშთართი. ფინიკიელთა წარმოდგენით, ღმერთზე იყო დამოკიდებული არა მხოლოდ ცალკეული ადამიანის სიცოცხლე, არამედ ქალაქის კეთილდღეობაც. ამის გამო კულტმსახურება სახელმწიფო მნიშვნელობის საქმე იყო. ქალაქთან ახლოს მდებარე ბორცვზე, ანუ „სიმაღლეზე" ფინიკიელებს ღმერთების ტაძრები და საკურთხევლები ჰქონდათ აგებული, რომელთაც ქურუმები ემსახურებოდნენ. უგარითის გათხრების დროს აღმოჩნდა უძველესი ფინიკიური რელიგიური ჰიმნებისა და პოემების ჩანაწერები. მათ შორის ყურადღებას იპყრობს ერთ-ერთი პოემა, რომელშიც მოთხრობილია ალეიანის — მიწათმოქმედებისა და ნაყოფიერების (წვიმის) ღვთაების, და მოთის — სანახრეთის მზის, მცენარეულობისა და სიცოცხლის დამღუპველი ღვთაების — მტრობის ამბავი, რომელიც საბოლოოდ მოთის დამარცხებით მთავრდება. ერთ-ერთი ვარიანტი ფინიკიური ლეგენდისა მიწათმოქმედების ღმერთებზე ასახულია ბერძნულ გადმოცემაში ადონისის შესახებ. ფინიკიურად სიტყვა „ადონ" უფალს, ბატონს ნიშნავს. რაც მიუთითებს იმაზე, რომ ამ შემთხვევაშიც ღვთაება მისი საკუთარი სახელით კი არ იწო-

დება, არამედ პირობითი სახელით. ლეგენდის მიხედვით, ადონისი დაიბადა ხორბლის მარცვლიდან და გარდაცვალების შემდეგ ქვესკნელში მოხვდა, საიდანაც მას ნაყოფიერების ქალღმერთი გაათავისუფლებს და ადონისი დედამიწაზე გამქრალ სიცოცხლეს აღადგენს. ადონისის კულტი მთელს ფინიკიაში ფართოდ იყო გავრცელებული და ყოველწლიურად მის პატივსაცემად ზეიმი ეწყობოდა ხოლმე.

რაც შეეხება ფინიკიურ ხელოვნებას, იგი ძლიერი სინკრეტიზმით გამოირჩევა. მასში შერწყმულია როგორც ადგილობრივი, ისე ნასესხები მოტივები.

თავი IX

ძველი პალესტინა

პალესტინა გეოგრაფიულად წარმოადგენს მოგრძო ზოლს, შემოსაზღვრულს ჩრდილოეთიდან ლიბანის მთებით, სამხრეთით — არაბეთის უდაბნოთი, დასავლეთიდან — ხმელთაშუა ზღვით, ხოლო აღმოსავლეთიდან — სირია-მესოპოტამიის ველით. მდინარე იორდანე, რომელიც ანტილიბანის მთებში იღებს სათავეს, მოედინება სამხრეთით, გაივლის გენისარეთის ტბას და მკვდარ ზღვას უერთდება. იგი პალესტინას ყოფს დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად. ქვეყნის დასავლეთი მხარე ცნობილი იყო ნაყოფიერებით, განსაკუთრებით — ზღვისპირა სანაპირო ზოლი, სარონისა და იესრეელის დაბლობები, გენისარეთის ტბის პირას მდებარე მდინარე იორდანეს ხეობა. დაწინაურებულ სასოფლო-სამეურნეო მხარეს წარმოადგენდა აღმოსავლეთ პალესტინის ჩრდილოეთი მხარე — ბასანი. რაც შეეხება მკვდარი ზღვის სამხრეთ-დასავლეთსა და მდინარე იორდანეს სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებს, ისინი უფრო მესაქონლეობისათვის იყვნენ გამოსადეგი და ამის გამო ამ მხარეში მესაქონლეობა უფრო იყო განვითარებული, ვიდრე მიწათმოქმედება. ბუნებრივი სიმდიდრით პალესტინა არ გამოირჩეოდა. თუ სამშენებლო ქვა და კარგი ხარისხის თიხა კერამიკული წარმოებისათვის მრავლად მოიპოვებოდა, ხე-ტყე თითქმის სრულიად არ იყო და იგი ფინიკიიდან შემოჰქონდათ. წიაღისეული სიმდიდრის რესურსებიც საკმაოდ შეზღუდული იყო.

ძველი პალესტინის, ანუ ქანაანის (როგორც უძველეს ხანებში ეწოდებოდა პალესტინას) ისტორიის ძირითად წყაროებს არქეოლოგიური გათხრების დროს მოპოვებული მასალა და წერილობითი წყაროები წარმოადგენს. რადგან პალესტინა იუდაიზმისა და ქრისტიანობის სამშობლო იყო, მის სისტემატურ არქეოლოგიურ შესწავლას ჯერ კიდევ გასული საუკუნის პირველ მეოთხედში ჩაეყარა საფუძველი. ძველი პალესტინის არქეოლოგიურ შესწავლასთან დაკავშირებით საისტორიო მეცნიერებაში საგანგებო დარგი ჩამოყალიბდა, რო-

მელსაც ბიბლიური არქეოლოგია ეწოდება. წერილობითი წყაროებიდან, რომელნიც ქანაანის ისტორიული მოვლენების შესახებ მოგვითხრობენ, განსაკუთრებულ ყურადღებას ძველი ეგვიპტური ძეგლები იმსახურებენ. თუტმოს III. სეტი I, რამსეს II, მერნეპტაჰის წარწერები და სხვა წყაროები უმთავრესად ქანაანში ეგვიპტელთა ლაშქრობების ამბებს გადმოგვცემენ. ქანაანის ისტორიის მნიშვნელოვან წყაროებს წარმოადგენენ აგრეთვე თანაახისა და ტელ ამარნის არქივებში აღმოჩენილი მასალები და ხეთური წარწერები. თვით ქანაანურ ენაზე დაწერილმა ნარატიულმა წყაროებმა ჩვენამდე ვერ მოაღწიეს. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა ქანაანურ ენაზე შესრულებული მხოლოდ ეპიგრაფიკული ძეგლები, რომელთა რაოდენობა საკმაოდ მცირეა. ამის გამო ქანაანის სრული ისტორიული სურათის აღდგენა ჯერჯერობით შეუძლებელია.

ისრაელ-იუდეის სამეფოთა ჩამოყალიბების შემდგომ პალესტინის მიწა-წყალზე, ძველი პალესტინის ძირითად წყაროს ბიბლია წარმოადგენს, რომელიც მრავალ ცნობას შეიცავს როგორც ქანაანის, ისევე სხვა სახელმწიფოთა შესახებაც. ბიბლიის წიგნების შემადგენლობაში შევიდა ლეგენდარული, ისტორიული, სამართლებრივი, სოციალურ-პოლიტიკური და სხვა ხასიათის წყაროები, რომელნიც ისრაელისა და იუდეის სამეფოთა ისტორიას მოგვითხრობენ. ბიბლიის, როგორც ისტორიული წყაროს, გამოყენება კრიტიკულ მიდგომას მოითხოვს. გასათვალისწინებელია, რომ ბიბლია, უპირველეს ყოვლისა, რელიგიური ძეგლია და მასში მოთხრობილი ისტორიული მოვლენები გარკვეული რელიგიური თვალსაზრისით არის გაშუქებული. საისტორიო მეცნიერების იმ დარგს, რომელიც ბიბლიას როგორც საისტორიო წყაროს სწავლობს, ბიბლიური კრიტიკა ეწოდება.

ბიბლიის უძველესი ნაწილი ძვ. წ. IX საუკუნით თარიღდება. ამ ნაწილის რედაქტორი ღვერთებს ელოჰიმს უწოდებდა და ამისდა შესაბამისად მას ელოჰისტი დაარქვეს. ძვ. წ. VIII ს. იმავე ნაწილის რედაქტორი კი ღმერთს ებრაელ ტომთა ნთავარი ღვთაების იაჰვეს სახელით იხსენიებს, რის გამოც მას იაჰვისტი ეწოდება. ძვ. წ. VII ს. აღნიშნული ორი რედაქცია ერთ წიგნად გააერთიანეს და ამგვარად ჩამოყალიბდა ბიბლიის უძველესი ნაწილი, ბიბლიურ კრიტიკას, როგორც მეცნიერებას, XVII საუკუნის ცნობილმა ფილოსოფოსმა ბ. სპინოზამ ჩაუყარა საფუძველი. XVIII ს. ჟ. ასტრიუკმა ელოჰისტისა და იაჰვისტის რედაქციები დაადგინა, ხოლო ისტორიული მეთოდის გამოყენების საშუალებით ცნობილმა გერმანელმა მკვლევარმა იულიუს ველჰაუზენმა დაასაბუთა ძირითადი ბიბლიური წიგნებისა და მათი

წყაროების შედგენის დრო, ტენდენციები და მიზეზები. ი. ველკოვუზენმა თავისი გამოკვლევის შედეგები გადმოსცა 1879 წელს გამოცემულ წიგნში — „ისრაელის ისტორიის შესავალი", რომელმაც ბიბლიური კრიტიკის ისტორიაში ახალი ეტაპი შექმნა. ბიბლიური არქეოლოგია და ბიბლიური კრიტიკა ინტენსიურად XX საუკუნეშიც ვითარდება. საზღვარგარეთის მრავალრიცხოვან მკვლევართა ბორის (ბ. ალტი, მ. ნოთი, ვ. ოლბრაიტი და სხვ.) ძველი პალესტინის ისტორიის შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი საბჭოთა მეცნიერებმაც შეიტანეს (ნ. ნიკოლსკი, ა. რანოვიჩი, ი. ამუსინი, ი. შიფმანი და სხვ). ქართულ ენაზე 1935 წელს დაიბეჭდა ალ. წერეთლის მცირე მოცულობის წიგნი — „ებრაელების ძველი ისტორია", რომელშიც იმჟამად არსებული ლიტერატურის გათვალისწინების საფუძველზე გადმოცემულია პალესტინის ისტორია ძვ. წ. III საუკუნემდე.

არქეოლოგიურ მასალებთან ერთად ისრაელ-იუდეის სამეფოთა ისტორიის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს სხვადასხვა ხასიათის ეპიგრაფიკული ძეგლები. აღმოსავლეთ პალესტინაში აღმოჩნდა მოაბიტელთა მეფის — მეშას — წარწერა, სადაც იხსენიება ებრაელ ტომთა მთავარი ღვთაება იაჰვე და მოთხრობილია მოაბიტელთა ომის შესახებ ებრაელებთან. საყურადღებოა აგრეთვე სამეფურნეო და სხვა ხასიათის ეპიგრაფიკული მასალები (მეცად ჰაშავიაჰუს წარწერა, აჰაბის სასახლის ოსტრაკები, ლახიშის საშხედრო კომენდანტის მიმოწერა და სხვ.). ძვირფასი ცნობები ისრაელისა და იუდეის სამეფოთა შესახებ შემოგვინახა ახ. წ. I საუკუნის ებრაელმა ისტორიკოსმა იოსებ ფლავიუსმა.

არქეოლოგიური გათხრების დროს მოპოვებული მასალიდან ირკვევა, რომ ადამიანი პალესტინის მიწა-წყალზე პალეოლითის ხანიდან ბინადრობდა. ამაზე მიუთითებს გენისარეთის ტბის პირას ნაპოვნი ნეანდერტალოიდის ტიპის თავის ქალა და გვიანმუსტიე-ორინიაკისთვის დამახასიათებელი იარაღები. კარგად არის წარმოდგენილი პალესტინაში მეზოლითიც, რომელიც ნატუფიური კულტურის სახელით არის ცნობილი. ნატუფიური კულტურის ადამიანები ანთროპოლოგიურად მაღალნი და მოგრძო თავისქალის მქონენი ჩანან. ნადირობასთან ერთად ნატუფიელები მეთევზეობასაც მისდევდნენ და, შესაძლებელია, მიწისმოქმედებასაც. მაგიურ-რელიგიური წარმოდგენების ჩასახვაც პალესტინაში ნატუფიელთა სახელთან არის დაკავშირებული. ნეოლითის ხანის ნიწურულიდან (დაახლ. მეექვსე ათასეულიდან) პალესტინაში ჩნდება პირველი დასახლებანი. ქალაქ იერიხონში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები მიუთითებენ, რომ უკვე მეექვსე ათასწლეულში ის ადგილი, სადაც შემდგომ ქალაქი იერიხონი მდება-

რეობდა, წამოადგენდა გამაგრებულ დასახლებას კარგად ნაშენი სახლებითა და საკულტო ნაგებობებით. მისი მცხოვრებნი უმთავრესად მიწათმოქმედებას მისდევდნენ, აშენებდნენ აგრეთვე ცხვარს, თხასა და ღორს. ხალკოლითი პალესტინაში ღასულის კულტურის სახელს უკავშირდება. ღასულის კულტურის წრეში შედის, იერიხონის ზოგიერთი ფენის გარდა, ისეთი ქალაქების არქეოლოგიური ფენები, როგორიცაა ბეთშანი, მეგიდო და იესრეელის დაბლობებში მდებარე აფულა. ღასულის კულტურის ადამიანები მიწათმოქმედებას ირიგაციის საფუძველზე ეწეოდნენ. ისინი თესავდნენ ქერს, ხორბალსა და ფეტვს, მოჰყავდათ ბოსტნეული, ყურძენი, ზეთისხილი. ღასულის კულტურის სახლებს სწორკუთხოვნება ახასიათებდა და ლამაზად იყო მოხატული გეომეტრიული ფიგურებით, ყვავილების და ცხოველების გამოსახულებებით.

ბრინჯაოს ხანა (ადრებრინჯაო — 3000— დაახლ. 2000, შუაბრინჯაო — დაახლ. 2000—1500 და გვიანბრინჯაო — 1500—1200) მესამე ათასწლეულით იწყება და მნიშვნელოვანი ცვლილებებით აღინიშნება. თუ გვიანი ნეოლითისა და ხალკოლითის ხანაში პალესტინის ტერიტორიის მიწისმოქმედთა დასახლებანი ხშირად არ გვხვდება, ადრებრინჯაოს ხანიდან იღებს სათავეს ძველი პალესტინის ქალაქთა უმრავლესობა. ადრებრინჯაოს ხანაშივე მოხდა პალესტინის მოსახლეობის ეთნიკური ცვლილება. პალესტინის აბორიგენები სემიტები არ უნდა ყოფილიყვნენ, მესამე ათასწლეულში კი პალესტინის მიწაწყალზე სემიტური მოდგმის ტომები სახლდებიან, რომელნიც სამხრეთისა და აღმოსავლეთის მხრიდან ტალღებად იჭრებიან პალესტინაში. თავდაპირველად სემიტების ძირითად სამეურნეო საქმიანობას მომთაბარე მესაქონლეობა შეადგენდა, პალესტინაში შეჭრის შემდგომაც ისინი გარკვეული ხნის განმავლობაში ეწეოდნენ მომთაბარეობას ქვეყნის მიწისმოქმედთა დასახლებებს შორის, შემდგომ თვით ეზიარნენ მიწათმოქმედებას და საფუძველი ჩაუყარეს ძველი პალესტინის იმ ქალაქებს, რომელთა სახელები სემიტური ენების წრეს მიეკუთვნებიან. სემიტურმა ტომებმა პალესტინის აბორიგენების ასიმილაცია მოახდინეს. რადგანაც პალესტინაში გაბატონებული სემიტური ტომები ქანაანელების სახელით იყვნენ ცნობილი, ძველ პალესტინას ქანაანი ეწოდებოდა. თვით სახელი პალესტინა ძველი ბერძნული ენიდან მომდინარეობს და ქანაანის სამხრეთ სანაპიროზე ძვ. წ. XIII—XII სს. დამკვიდრებული ტომის პელეშეტის ბერძნულენოვან ფორმას წარმოადგენს. ქანაანელები დასავლურსემიტური ნოდგმის ტომები იყვნენ და ქანაანური ენაც დასავლურსემიტური ენების ჯგუფს მიეკუთვნება.

ძველი ეგვიპტური წყაროები მიუთითებენ, რომ ეგვიპტელები

ჯერ კიდევ III ათასწლეულში აწყობდნენ ლაშქრობებს პალესტინაზე და გავლენას ახდენდნენ მასზე, ხოლო ძვ. წ. XVIII საუკუნიდან პალესტინა ჰიქსოსთა სახელით ცნობილ ტომთა გაერთიანების ცენტრი გახდა. II ათასწლეულის დასაწყისიდან პალესტინაში ჩრდილოეთიდან ხურიული ტომები შეიჭრნენ, რომელთა შორის მცირერიცხოვანი ინდოარიული ფენაც უნდა ყოფილიყო. ტომთა ამ გადანაცვლების შედეგად ძვ. წ. XVIII ს. წარმოიქმნა ეთნიკურად ჭრელი ჰიქსოს ტომთა გაერთიანება. ამ ტომთა გაერთიანებამ დიდი ტერიტორია — ჩრდილოეთ სირიიდან ეგვიპტემდე — მოიცვა და ჰიქსოსები ეგვიპტეში გაბატონდნენ.

ეგვიპტეში ჰიქსოსთა ბატონობის დამხობის შემდგომ XVIII დინასტიის ფარაონებს ჰიქსოსების წინააღმდეგ ბრძოლა პალესტინაში გადააქვთ. ძვ. წ. XVI ს. უკანასკნელი მეოთხედისთვის თუტმოს I-ს (1538—1525) პალესტინაში ფეხი უკვე მტკიცედ ჰქონდა შოკიდებული. ეგვიპტის ხელისუფლების საბოლოო კონსოლიდაცია პალესტინაში თუტმოს III-მ (1503—1491) შეძლო, რომელმაც ეგვიპტის ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვარი მდინარე ევფრატის ნაპირზე გადაიტანა. მითანის მხარდაჭერით ეგვიპტის წინააღმდეგ საბრძოლველად სირია-პალესტინის ქალაქებმა კოალიცია შექმნეს. აღნიშნულ კოალიციას სირიის ქალაქი ქადეში მეთაურობდა, ხოლო პალესტინის ქალაქთა შორის ამ კოალიციაში მთავარ როლს ქალაქი მეგიდო ასრულებდა. ქალაქ მეგიდოსთან მომხდარ ბრძოლაში თუტმოსმა სირია-პალესტინის ქალაქთა კოალიცია დაამარცხა და პალესტინის ქალაქებში ეგვიპტის სახელმწიფო მოხელენი დანიშნა, რომელნიც ქვეყნის მართვა-გამგებლობას აბორციელებდნენ და გადასახადებს კრეფდნენ. ისეთ მნიშვნელოვან ქალაქებში, როგორიც იყო მეგიდო და ბეთშანი, თუტმოსმა ეგვიპტელთა სამხედრო გარნიზონები ჩააყენა, ქალაქ გაზაში კი პალესტინის მმართველი დასვა. ადგილობრივ მმართველთა ფენისათვის თუტმოსს ხელი არ უხლია, არამედ ისინი ვასალობის პირობით თავისსავე ადგილებზე დატოვა. ფარაონის კარზე ქანაანური არისტოკრატიის შვილები იგზავნებოდნენ ხოლმე, სადაც ისინი მძევლებად ჰყავდათ, და მათ ფარაონისადმი მორჩილების სულისკვეთებით ზრდიდნენ. თუტმოს III-ის წარმატებების მიუხედავად სირია-პალესტინაში ანტიეგვიპტური მოძრაობა არ წყდებოდა, რასაც ძველებურად მითანი აღვივებდა. ამის გამო ფარაონმა ამენჰოტეპ II-მ (1491—1465) სირია-პალესტინაში ორი სასტიკი დაესჯელი სამხედრო ექსპედიცია მოაწყო, რომლის დროსაც ეგვიპტელებმა ქანაანში სარონისა და იესრეელის დაბლობის აჯანყებული მცხოვრებნი დალაშქრეს. ამ ლაშქრობების შედეგად, როგორც ამენჰოტეპ II მემფისის წარწერაში გადმოგვცემს,

მან ხელთ იგდო 101218 ტყვე და სხვა მრავალრიცხოვანი ნადავლი. როგორადაც არ უნდა იყოს გადიდებული ტყვეთა რიცხვი, იგი ნათლად მიუთითებს იმ დიდ დაპყრობებზე, რომელსაც ეგვიპტე აწარმოებდა წინა აზიაში. ქალაქი მეგიდო ეგვიპტელთა ხელისუფლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საყრდენად რჩებოდა ქანაანში, რაზეც თანაახში ახლადაღმოჩენილი მასალები მიუთითებენ. იქ არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა პატარა არქივი. ამ არქივის ერთ-ერთ წერილში აღნიშნულია, რომ თანაახის მმართველმა მიიღო ბრძანება მეგიდოში დაუყოვნებლივ საომარი ეტლის გაგზავნის შესახებ. ეს წერილი ეგვიპტის ერთ-ერთი მაღალი მოხელის ამენ-ხატპას სახელით იყო შედგენილი. სხვა წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ თანაახის მმართველს უცხადებდნენ საყვედურს იმასთან დაკავშირებით, რომ მან ეგვიპტის გარნიზონის უფროსს სამხედრო რაზმი არ გაუგზავნა და თვითონაც მასთან გაზაში არ გამოცხადდა. შესაძლებელია, რომ ამ წერილების გაგზავნა ამენჰოტეპ II-ის ქანაანზე ლაშქრობას უკავშირდებოდეს.

ეგვიპტელთა დამსჯელი ექსპედიციები პალესტინაში თუტმოს IV მეფობის (1465—1455) ხანაშიც გრძელდებოდა. ერთ-ერთ წარწერაში თუტმოს IV გადმოგვცემს, რომ მან ქალაქი გეზერი დაიპყრო და მისი მცხოვრებნი ეგვიპტეში წაიყვანა. თუტმოს IV-ის შემდგომ, განსაკუთრბით კი ეხნატონის (1424—1388) მეფობის ხანაში ეგვიპტის საერთო დასუსტებასთან დაკავშირებით, ეგვიპტელთა გავლენა პალესტინაზე ძლიერ დაეცა.

ძვ. წ. XIV ს. მეორე მეოთხედში ძალთა წონასწორობა წინა აზიაში დაირღვა. ხეთების გაძლიერება ჩრდილოეთ სირიაში სათანადო გავლენას ახდენდა პალესტინაზეც. იმის მიუხედავად, რომ ამ ხანებში პალესტინა ფორმალურად ეგვიპტის გავლენის ქვეშ იყო, ეგვიპტის ხელისუფალთა სისუსტე ხელს უწყობდა პალესტინის ქალაქ-სახელმწიფოთა მმართველებს შორის ქიშპის გაღვივებას. ზოგი მათგანი ეგვიპტელთა უღლის გადაგდების მიზნით უცხო ძალებთან აბამდა კავშირს.

ეგვიპტელთა ხელისუფლების ძალაუფლება მეტ-ნაკლებად მხოლოდ იერუსალიმზე ვრცელდებოდა, რომლის მმართველი ეგვიპტის მოხელე პუტიხეფა ფარაონს დახმარებას სთხოვდა. გამწვავებულ პოლიტიკურ ვითარებაში პალესტინის პროეგვიპტურმა ძალებმა პუტიხეფას საომარი ეტლები გაუგზავნეს დასახმარებლად.

XVIII დინასტიის უკანასკნელი ფარაონების დროს ეგვიპტის დასუსტებას აზიაში მოჰყვა ხეთების ძალაუფლების კონსოლიდაცია სირიაში. ამასვე დაერთო მომთაბარეთა სულ უფრო ინტენსიური შემოტევები ქანაანზე. ეგვიპტის ძალაუფლების აღდგენა ქანაანზე სეტი I-მა (1337—1317) მოახერხა. პალესტინა-ფინიკიაში ლაშქრობის შე-

დეგად ეგვიპტის ხელისუფლების ქვეშ გადავიდა ბეთშანი, გალილეა და ფინიკიის სანაპირო ულლაზამდე. სეტი I-ის ლაშქრობის დროს ჩრდილოეთ გალილეაში წყაროებში პირველად იხსენიება ასერის ტომი, რომელიც, მკვლევართა აზრით, ებრაელთა ერთ-ერთი ტომი უნდა ყოფილიყო. სეტი I-ის მემკვიდრის რამსეს II-ის (1317—1251) მეფობის ხანაში ომმა ეგვიპტესა და ხეთებს შორის სირიის გამო კულმინაციას მიაღწია. ქადეშის (1312) ბრძოლის შემდეგ ეგვიპტელთა გავლენა პალესტინაზე შეირყა. მდგომარეობის გამოსასწორებლად რამსეს II-მ გალილეა დალაშქრა და ბეთშანი დაიკავა. სამხრეთ პალესტინაში რამსესმა ხელთ იგდო ასკალონი და ნეგევის უდაბნოში შემოჭრილი მომთაბარეები დაამარცხა. პალესტინის შემომტკიცების მიზნით ეგვიპტელებმა მოაბელთა ტომები დალაშქრეს, დაიპყრეს ქალაქი დიბონი და თავისი გავლენა სამხრეთ ტრანსიორდანიაზეც გაავრცელეს. ეგვიპტისა და ხეთების მეტოქეობას სირიის გამო 1296 წელს რამსეს II და ხეთების მეფის ხათუსილი III შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დადება მოჰყვა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ხელშეკრულებაში საზღვარი ეგვიპტესა და ხეთებს შორის აშკარად გამიჯნული არ იყო, ხელშეკრულებიდან ირკვევა, რომ პალესტინა ეგვიპტის გავლენის ქვეშ რჩებოდა, რადგან დამასკო ეგვიპტელების ხელთ იყო.

რამსეს II გარდაცვალების შემდგომ ქანაანში ძლიერმა აჯანყებამ იფეთქა, რომელიც ფარაონმა მერნეპტაჰმა (1251—1231) ჩაახშო. ამ ნოვლენებთან დაკავშირებით მერნეპტაჰი თავის წარწერაში გადმოგვცემს რომ მან სხვებთან ერთად დაამარცხა ისრაელი. მკვლევართა აზრით, ეს არის ისრაელთა პირველი მოხსენიება არაბიბლიურ წყაროში. ძვ. წ. XIII ს. II ნახევარი და XII ს. დასაწყისი წინა აზიაში „ზღვის ხალხთა“ წამლეკავი ტალღის მოძალებით აღინიშნა, რამაც წინა აზიის პოლიტიკური და ეთნოგრაფიული რუკის დიდი ცვლილება გამოიწვია. არქეოლოგიური გათხრები მოწმობენ, რომ „ზღვის ხალხთა“ შემოსევამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა პალესტინასაც. პალესტინის სამხრეთ სანაპიროს გასწვრივ ფილისტიმელთა ტომი დამკვიდრდა, რომელთა საშუალებით ფარაონი რამსეს III (1204—1173) ცდილობდა აღედგინა ეგვიპტის დაკარგული გავლენა პალესტინაზე. რამსეს III წარმატებით ებრძოდა პალესტინის სამხრეთ საზღვრებში შემოჭრილ მომთაბარეებს და პალესტინის ზღვისპირა ქალაქები გაამაგრა, ხოლო ეგვიპტის გავლენის განსამტკიცებლად რამსესი ქანაანში ინტენსიურად ამკვიდრებდა ეგვიპტურ რელიგიურ კულტებს. რამსეს III გარდაცვალების შემდგომ ეგვიპტის გავლენა პალესტინაში განუხრელად ეცემა, რასაც ხელი შეუწყო ასურეთის, მართალია, ხანმოკლე, მაგრამ სწრაფმა გაძლიერებამ ტიგლათფილესერ I-ის (1115—1077) მეფობის დროს. ეგვიპტისა და ასურეთის შემდგომმა დასუსტებამ

ადგილობრივ ძალებს გაუხსნა ხელი და ამიერიდან ჰეგემონობა პალესტინაში ისრაელ-იუდეისა და ფილისტიმელების ხელში გადადის.

ქანაანელთა მეურნეობის ძირითად დარგს მიწათმოქმედება შეადგენდა. უმთავრესად მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ფეტვი, ზეთისხილი, ყურძენი და ბროწეული. მიწას თავდაპირველად თოხით ამუშავებდნენ, რომლებიც შემდგომ პრიმიტიულმა გუთანმა შეცვალა. მთაში და ზოგიერთ დაბლობ ადგილებში მესაქონლეობა იყო განვითარებული. წვრილფეხა საქონელი (ცხვარი, თხა) და რქოსანი პირუტყვი ქანაანელთა სიმდიდრის ერთ-ერთ წყაროს შეადგენდა. მნიშვნელოვან განვითარებას მიაღწია ქანაანში ხელოსნობამაც. სამშენებლო მასალის, სპილენძისა და ბრინჯაოს იარაღის, ძვირფასი ქსოვილების წარმოება ხელოსნობის მთავარი დარგები იყო. ქანაანელთა ცხოვრებაში დიდი ადგილი ეკავა ვაჭრობას. ქანაანზე გადადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები, რომლებიც ეგვიპტეს აკავშირებდნენ აზიის სხვა სახელმწიფოებთან. ამ სავაჭრო გზებზე იყო გაშენებული ქანაანის ქალაქები, რომელნიც ქვეყნის შიდა სავაჭრო ცენტრებს გარდა სატრანზიტო პუნქტებსაც წარმოადგენდნენ. ქანაანელებს გაჰქონდათ ხორბალი, ხილი, სელი, ტყავი, მატყლი, ქსოვილები და სხვ. შემოჰქონდათ უმთავრესად ხელოსნური ნაწარმი, მაგალითად, მიკენის ჭურჭლეულობა და სხვადასხვა ძვირფასეულობა.

არქეოლოგიური მასალები და შემონახული წერილობითი წყაროები ქანაანში კლასობრივი საზოგადოების არსებობაზე მიუთითებენ, იმის მიუხედავად, რომ წყაროთა სიმცირის გამო ქანაანის კონკრეტული სოციალური სურათის აღდგენა შეუძლებელია. ქანაანი ერთიან, ძლიერ სახელმწიფოს არასდროს წარმოადგენდა, სახელმწიფოებრივი განვითარების ძირითად ფორმას ქალაქი-სახელმწიფო ქმნიდა, რომელსაც „მეფე" ჰყავდა და საგვარეულო არისტოკრატია მართავდა. ქანაანური საზოგადოების მიწათმფლობელობის ფორმების განვითარების ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითს წარმოადგენდა ბიბლიაში მოთხრობილი გადმოცემა აბრაამის მიერ მიწის სყიდვის შესახებ. წყაროში შემონახული გადმოცემის მიხედვით აბრაამმა 400 სიკლი ვერცხლის ფასად შეისყიდა მიწის ნაკვეთი, რომელსაც კერძო პირი ფლობდა. ეს მიუთითებს, რომ ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარში პალესტინაში კერძო მიწათმფლობელობა არსებობდა. აბრაამი ქანაანური თემის წევრი არ იყო, რის გამოც მას მიწის შესაძენად თემის წევრთა თანხმობა უნდა მიეღო. თემივე განსაზღვრავდა მიწის სამართლებრივ სტატუსს. ამრიგად, თემი ნასყიდ მიწაზე თავის საჯარო სამართლებლივ უფლებას იტოვებდა, იმის მიუხედავად, რომ უშუალოდ ყიდვა-გაყიდვის აქტში იგი არ მონაწილეობდა და სყიდვის ხასიათზე

გავლენას არ ახდენდა. აღნიშნული მეთემენი ქვეყნის ძირითად მწარმოებელ მასას წარმოადგენდნენ.

ქანაანის სოციალურ განვითარებას ეგვიპტის მიერ მისი ეკონომიკური ექსპლუატაცია აფერხებდა. სირია-პალესტინა ეგვიპტელებმა სან ნაწილად გაყვეს და ყოველი პროვინციის სათავეში ეგვიპტელი მოხელე დანიშნეს, რომელიც უშუალოდ ფარაონს ემორჩილებოდა. აღნიშნულ მოხელეს აქადურად რაბიცუ, ხოლო ქანაანურად სოქინუ ეწოდებოდა. რაბიცუ ქვეყანას ადგილობრივი მმართველების საშუალებით მართავდა, რომელნიც ხაზანნუდ იწოდებოდნენ. ქანაანური კულტურა, მისთვის დამახასიათებელი ორიგინალური მნიშვნელობის მიუხედავად, ეგვიპტური კულტურის დიდ გავლენას განიცდიდა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ქანაანზე შუმერულ-აქადური კულტურაც.

დამწერლობა ქანაანში II ათასწლეულის II ნახევრიდან ჩნდება. იყენებდნენ აქადურ ლურსმულ და ეგვიპტურ იეროგლიფურ დამწერლობასაც. ქანაანში გავრცელებული იყო სინური დამწერლობაც, ხოლო საკუთრივ ქანაანურ ენაზე შექმნილმა ლიტერატურამ ჩვენამდე არ მოაღწია. ქანაანის თითოეულ თემს, ქალაქსა თუ ტომს თავისი მფარველი ღმერთი ჰყავდა, რომელსაც ბაალს (უფალს, ბატონს) უწოდებდნენ. გავრცელებული იყო ნაყოფიერების ქალღმერთების ანათის და აშთართის, წვიმისა და ქუხილის ღმერთის ჰადადის კულტები, რომელთათვის ქანაანელები საგანგებო ტაძრებს აშენებდნენ. ფართოდ იყო გავრცელებული აგრეთვე ხის, ქვისა და სხვა კულტების თაყვანისცემა.

ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევარში პალესტინაში ებრაული ტომები იჭრებიან. ქანაანელთა მსგავსად, ებრაელები დასავლურ-სემიტური მოდგმის ტომები იყვნენ, ებრაული ენაც სემიტური ენების დასავლურ ჯგუფს მიეკუთვნება. ბიბლიური გადმოცემით, პალესტინაში შემოსვლამდე ებრაელები „ეგვიპტის ტყეებში" იყოფებოდნენ. თუ რამდენად რეალურია აღნიშნული გადმოცემა, მკვლევართა შორის სადავოდ ითვლება. ქანაანელებთან შედარებით, ებრაული ტომები სოციალური განვითარების უფრო დაბალ დონეზე იდგნენ, რომელთა მეურნეობის მთავარ დარგს მომთაბარული მესაქონლეობა შეადგენდა, ძირითად სოციალურ უჯრედს გვარი წარმოადგენდა პატრიარქალური ოჯახის ფორმით, რომლის უხუცესს განუსაზღვრელი უფლებები ჰქონდა ოჯახის სხვა წევრების მიმართ. თვით პატრიარქალური ოჯახი სოციალური განშრევების გზაზე იდგა. უფროსი ძე პრივილეგიებით სარგებლობდა, სხვებთან შედარებით მას ორჯერ მეტი ქონება ეკუთვნოდა. ამასვე უწყობდა ხელს ლევირატის წესი, რომლის თანახმად ქმრის გარდაცვალების შემთხვევაში ქვრივი ცოლად უნდა

გაპყოლოდა თავისივე გარდაცვლილი მეუღლის ძმას, რათა ქონება გვარშივე დარჩენილიყო. გვარები ტომებში ერთიანდებოდნენ, რომელთა რიცხვი თორნეტს უდრიდა. მათ შორის სიდიდით ეფრაიმისა და იუდას ტომი გამოირჩეოდა. ქანაანის დაპყრობას ებრაელთა ტომები ძვ. წ. XIII ს. შეუდგნენ, რასაც ხელს უწყობდა თვით ქანაანის დაქუცმაცებულობა და სისუსტე. დაპყრობის პროცესი თანდათანობით მიმდინარეობდა და ორ საუკუნეზე მეტ ხანს გაგრძელდა. მომთაბარე ებრაელები ქანაანელთა გავლენით მიწათმოქმედებას ეზიარნენ, რაც, თავის მხრივ, სათემო მიწათმფლობელობის ჩამოყალიბებას დაუკავშირდა ებრაელთა ტომებში. განუწყვეტელი ომები ხელს უწყობდნენ გვაროვნულ-თემური მიწათმფლობელობის ფორმების დაშლასა და შედარებით მყარი ტომთაშორისი კავშირების გაერთიანებას. ამგვარი ვითარებაა აღწერილი ბიბლიის ერთ-ერთ გადმოცემაში, რომელიც ბიბლიის უძველეს წყაროდ ითვლება და ძვ. წ. XIII საუკუნით თარიღდება. იგი „დებორას სიმღერის" სახელით არის ცნობილი და მასში მოთხრობილია, თუ როგორ გაერთიანდნენ ქანაანელთა შემოტევის გამო ებრაელთა ტომები დებორასა და ვარაკის წინამძღოლობით ქანაანელ სისარას წინააღმდეგ და დაამარცხეს იგი. მშვიდობიანობის დროს ტომის ბელადი საჯარო ხელისუფლების ზოგ ფუნქციას ინარჩუნებდა და მსაჯულად გამოდიოდა სხვადასხვა პირებსა და გვარებს შორის. ამ ეპოქამ სათანადო ასახვა პოვა ბიბლიაში და იგი მსაჯულთა ეპოქის სახელით არის ცნობილი.

ქანაანელთა დაპყრობის დროს მოძრაობაში მოსული ებრაული ტომები და გვარები ერთმანეთში ირეოდნენ, ერთსა და იმავე მიწა-წყალზე სხვადასხვა გვარის ხალხი სახლდებოდა, რაც ხელს უწყობდა ისედაც სოციალური განშრევების გზაზე დამდგარ პატრიარქალურ-თემური საზოგადოების დაშლასა და კლასების წარმოქმნას. დაპყრობილ ქანაანელებს ებრაელთა სამხედრო არისტოკრატია თავის სასარგებლოდ ხარკს აღებდა და ამით თანამეტომეთა ძირითად მასას ემიჯნებოდა, ამ პირობებში ტომთაშორისი დროებითი გაერთიანება შეიცვალა მუდმივ გაერთიანებად. ეს გამოწვეული იყო იმითაც, რომ ებრაელთა ტომები იმ ხანებში მძიმე ომს აწარმოებდნენ გარეშე მტრებთან—ფილისტიმელებთან და მოაბიტელებთან. ომები მოითხოვდნენ ტომთა მტკიცე გაერთიანებას. ეს შესაძლებელი იყო ტომთა მუდმივი გაერთიანების საშუალებით, ამის უზრუნველყოფა კი მხოლოდ სახელმწიფოს შეეძლო. ძვ. წ. მეორე ათასეულის უკანასკნელი საუკუნის II ნახევარში წარმოიქმნა ისრაელის სახელმწიფო, რომლის პირველი მეფე გახდა საული (დაახლ. 1050—1030).

საული წარმოშობით ბენიამინის ტომიდან იყო და გამეფებამდე დიდი სახელი მოიპოვა თანამეტომეთა შორის. ამონელები მდინარე

იორდანეს აღმოსავლეთით მცხოვრებ ებრაელებს ავიწროებდნენ და ალყაც კი შემოარტყეს ებრაელთა ქალაქ იაბეშს. ებრაელთა ბრძოლას ამონელების წინააღმდეგ საული ჩაუდგა სათავეში და მალე დაამარცხა კიდეც ისინი. წყაროს ცნობით, ამის შემდეგ საული მეფედ გამოაცხადეს, მაგრამ ისრაელის მდგომარეობა საულის გამეფების შემდეგაც მძიმე რჩებოდა. ფილისტიმელები, რომელნიც ებრალებს პალესტინაზე ბატონობაში ექიშპებოდნენ, მტკიცედ ისხდნენ ებრაელთა უმნიშვნელოვანეს ქალაქებში. თვით საულის სამშობლო ქალაქი გიბეა ფილისტიმელთა რაზმს ჰქონდა დაკავებული. გადმოცემის თანახმად, ფილისტიმელებს ისრაელიდან გაუძევებიათ მჭედლები, რათა ებრაელებს იარაღის გამოჭედვის საშუალება არ ჰქონოდათ. გამეფებისთანავე საული შეუდგა მუდმივი ჯარის შექმნას და მალე მის ხელთ 3000-იანი კარგად გაწვრთნილი რაზმი იყო, რომელსაც ომის შემთხვევაში უნდა შეერთებოდა სახალხო ლაშქარი. საული და მისი უფროსი ვაჟი იონათანი ფილისტიმელთა წინააღმდეგ აჯანყებას ჩაუდგნენ სათავეში და ქვეყანა მალე გაწმინდეს ფილისტიმელთა რაზმებისაგან. ფილისტიმელებთან წარმატებით დაწყებულმა ბრძოლამ განამტკიცა ახლადწარმოქმნილი სამეფო ხელისუფლება. საული თავისთან დაახლოებულ პირებს ურიგებდა მიწის ნაკვეთებს და ათასისა და ასისთავებად აყენებდა მათ. მიუხედავად ამისა, საულის მეფობაში ჯერ კიდევ იგრძნობოდა ძველი პატრიარქალური ყოფის ძლიერი გავლენა. ნეფესთან დაახლოებული პირნი იყვნენ უმთავრესად მისივე თანამეტომელები, თვეში ერთხელ, ახალი მთვარის გამოჩენისას, საული სამხედრო საბჭოს იწვევდა. იგი ენერგიულად იბრძოდა მთელი ისრაელის შემოშტკიცებისათვის. ამ მიზნით აწარმოებდა ომს მდინარე იორდანეს აღმოსავლეთით მცხოვრებ ებრაელ ტომთა დასაცავად, ხოლო ჩრდილოეთის ტომთა დასახმარებლად საული ომობდა არამეელ ტომებთან. სამხრეთის უდიდესი ტომის — იუდას — შემოსამტკიცებლად საულმა დალაშქრა ამალექიტების მომთაბარე ტომები და დაამარცხა ისინი. საულის მეფობის ხანაშივე მთავრდება ქანაანელთა ტომების დამორჩილება. ფილისტიმელებთან ერთ-ერთი შეტაკების დროს საული თავის სამ ვაჟთან ერთად დაიღუპა. მისი საქმის ენერგიული გამგრძელებელი იყო დავითი (დაახლ. 1030—990).

საულს დარჩა ერთი ძე — იაშბაალი, რომელიც ისრაელის სამეფოს ჩრდილოეთის ტომებმა მეფედ გამოაცხადეს, მაგრამ იშბაალის მეფობა იუდას ტომმა არ ცნო. ამ ტომში, ჯერ კიდევ საულის მეფობაში, დიდი გავლენა ჰქონდა მოპოვებული დავითს, რომელიც საულთან ერთად მონაწილეობდა ლაშქრობაში. დავითმა საულის ყურადღება მიიპყრო, დაწინაურდა და საულის ქალიშვილი შეირთო ცოლად. იუდას ტომმა დავითი მეფედ გამოაცხადა. საულის დაღუპვის შემდ-

გომ ფილისტიმელებმა კვლავ წამოიწყეს ბრძოლა ისრაელის წინააღმდეგ. დავითის მეფობის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას ფილისტიმელთა დამარცხება წარმოადგენდა. ეს დავითმა თანმიმდევრულად გადაჭრა და ფილისტიმელები მთლიანად განდევნა ისრაელის მიწა-წყლიდან, ხოლო მდგომარეობის განსამტკიცებლად დავითმა ომი მტრის ტერიტორიაზე გადაიტანა და ხელთ იგდო ფილისტიმელთა ქალაქი გათი. ფილისტიმელთა და ისრაელის ურთიერთობაში ამიერიდან გარდატეხა მოხდა. ფილისტიმელები, რომელნიც მთავარ მოწინააღმდეგე ძალას წარმოადგენდნენ ისრაელისათვის, საბოლოოდ მარცხდებიან. ფილისტიმელებზე გამარჯვებას დავითის სხვა ძლევამოსილი ლაშქრობები მოჰყვა. დავითმა ჯერ მკვდარი ზღვის აღმოსავლეთით მცხოვრები მოაბიტელები დაიმორჩილა, შემდეგ კი მოაბიტელთა ჩრდილოელ მეზობლებზე — ამონიტელებზე — გაილაშქრა. ამონიტელებთან ომში დავითის წინააღმდეგ არამეელნი ჩაერივნენ, მაგრამ დავითმა არამეელნი დაამარცხა, დამასკო აიღო და მის მოსახლეობას გადასახადების გადახდა დააკისრა. ჩრდილოეთიდან ისრაელის სამეფომ თავისი ძალაუფლება სამხრეთისკენ განავრცო. მთელი რიგი ბრძოლების შემდეგ ისრაელს დამორჩილდნენ ედომელნი, რომელნიც იუდას ტომის სამხრეთით სახლობდნენ. ედომი დავითმა ისრაელის სახელმწიფოს პროვინციად აქცია. ამრიგად, დავითის მეფობის ხანაში ისრაელი აღმოსავლეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახელმწიფოდ გადაიქცა.

სახელმწიფოს გაძლიერებასა და ზრდას სახელმწიფო აპარატის შემდგომი დახვეწა და გართულება მოჰყვა. ამიერიდან ისრაელში სულ უფრო და უფრო დიდსა და მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ მოსამართლენი, გადასახადის ამკრეფნი, მდივნები. განსაკუთრებით გაიზარდა მთავარი ხაზინადარისა და მეფის მომხსენებლის თანამდებობის მნიშვნელობა. გაძლიერებულ სამეფოს ერთიანი პოლიტიკური და რელიგიური ცენტრი სჭირდებოდა, რომელიც ტომებად დაყოფილი ისრაელისათვის ქვეყნის გამაერთიანებელი სიმბოლო უნდა გამხდარიყო. საულის მეფობისას მისი მშობლიური ქალაქი გიბეა, რომელიც ბენიამინის ტომის მიწაწყალზე მდებარეობდა, სამეფო რეზიდენციას წარმოადგენდა, მაგრამ მას არც პოლიტიკური და არც რელიგიური მნიშვნელობა არ ჰქონია. დავითმა თავისი სამეფოს სატახტო ქალაქად ძველი ქანაანური ქალაქი იერუსალიმი აირჩია. მას შემდეგ რაც ებრაელებმა ქანაანი დაიპყრეს, იერუსალიმი კვლავ რჩებოდა ერთ-ერთი ქანაანური ტომის — იებოსელთა — ხელში. დავითმა იერუსალიმს ალყა შემოარტყა და აიღო იერუსალიმის მიუდგომელი ციხე-სიმაგრე სიონი, აიშენა სასახლე და დაემკვიდრა. სავაჭრო გზებზე მდებარე და დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის იერუსალიმი მალე გაშენდა. დავითმა იგი წმინდა ქალაქად აქცია. ნან ებრაელ ტომთა მთავარი

ღვთაება იაჰვეს კულტის ცენტრი იერუსალიმში გადმოიტანა და იაჰვეს მღვდელთმთავარი დანიშნა.

დავითის გარდაცვალების შემდეგ ისრაელის სამეფო ტახტზე ავიდა მისი ძე — სოლომონი (დაახლ. 990—950), რომლის მეფობასაც საისტორიო ტრადიცია ისრაელის სამეფოს აყვავებას უკავშირებს. სახელმწიფოებრივი ორგანიზმის დახვეწასა და განვითარებას დავითის მეფობაში სოლომონის რეფორმები მოჰყვა. თუ ადრე სახელმწიფოს დაყოფას ეთნოგრაფიული პრინციპი ედო საფუძვლად და სახელმწიფოც თორმეტ ტომად იყოფოდა, სოლომონმა ტომობრივი დაყოფა ადმინისტრაციულ დაყოფად შეცვალა და ქვეყანა თორმეტ ოლქად დაყო, რომელთა საზღვრები ხშირ შემთხვევაში არ ემთხვეოდა ტომობრივ დაყოფას. თითოეული ოლქის სათავეში სოლომონმა თავისი მოხელე დანიშნა, რომელთაც ევალებოდათ თავიანთი ოლქებიდან ყოველი თვის განმავლობაში ნატურალური გადასახადების აკრეფა სამეფო სასახლისათვის. ოლქებში დანიშნული მოხელენი ემორჩილებოდნენ მეფის მიერ მათთვის დანიშნულ პირს, რომელიც სამეფო კარზე ცხოვრობდა იერუსალიმში. გარდა ნატურალური გადასახადებისა, მოსახლეობა ფულად გადასახადსაც იხდიდა. ისევე როგორც დავითის ხანაში, სახელმწიფოში დიდი ადგილი ეკავათ მდივნებს, მეფის პირად მრჩევლებს და მომხსენებელს.

სახელმწიფოებრივ რეფორმებს თან ხდევდა ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობა. დიდად დაწინაურდა მიწათმოქმედება, ხელოსნობა და ქვეყნის სამხრეთ რაიონში — ვეცხოველეობა, განვითარდა შიდა და საგარეო ვაჭრობა. განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობაში იყო ისრაელის სამეფო სოლომონის მეფობის ხანაში ეგვიპტესა და ფინიკიასთან. სოლომონმა ცოლად შეირთო ეგვიპტის ფარაონის ქალიშვილი, რომელსაც მზითვად მოჰყვა მნიშვნელოვანი სავაჭრო ქალაქი გეზერი. მშვიდობიანმა ურთიერთობამ ეგვიპტესთან ხელი შეუწყო ამ ორი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავებას. წყაროს გადმოცემით, ეგვიპტიდან ისრაელში ისეთი დიდი რაოდენობით შემოჰყავდათ ცხენები და საომარი ეტლები, რომ სოლომონს მათთვის საგანგებო სადგურების აშენებაც კი დასჭირვებია. მაგრამ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ისრაელისათვის სატრანზიტო ვაჭრობას. ისრაელზე გადიოდა საქარავნო გზები ეგვიპტიდან შუამდინარეთისა და სირიისაკენ, ფინიკიელთა ვაჭრობაც შუამდინარეთთან ისრაელის საშუალებით ხორციელდებოდა. საბაჟო გადასახადები გადატანილ საქონელზე სახელმწიფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა. ჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა ისრაელის სამეფოს ფინიკიასთან. ორივე ქვეყნის ვაჭრები აწყობდნენ გაერთიანებულ სავაჭრო ექსპედიციებს „ოქროს

ქვეყანაში" — ოფირში. ისრაელის უკიდურეს სამხრეთის ნავსადგურიდან — ეციონ-გებერიდან (ელათი)— მიემართებოდნენ გემების ქარავნები, რომელნიც დაახლოებით სამი წლის შემდეგ ბრუნდებოდნენ დატვირთულნი ოქროულობითა და სხვადასხვა ძვირფასი საქონლით. ისრაელის ვაჭრები მონაწილეობდნენ იმ საკაჭრო ექსპედიციაში, რომელთაც ფინიკიელები აწყობდნენ ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქვეყნებთან.

მეფობის პირველი წლებიდანვე სოლომონი განსაკუთრებულ ზრუნვას იჩენდა იერუსალიმის მიმართ. ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში მან წამოიწყო იაჰვეს ტაძრის მშენებლობა, რომლის მახლობლად ახალი სამეფო სასახლეც ააგო. ფართოდ გაშლილი მშენებლობა მოითხოვდა დიდი რაოდენობით საამშენებლო მასალასა და კვალიფიციურ ხელოსნებს, რაც ისრაელს აკლდა. რადგან საკუთრივ ისრაელი ხე-ტყით ღარიბი იყო, სოლომონი შეუთანხმდა ქალაქ ტვიროსის მეფეს — ჰირამს, რომელმაც ხე-ტყის მიწოდება იკისრა. წყაროს ცნობით 30000 მუშა ლიბანის ტყეებში ხის მოჭრაზე იყო დასაქმებული. ტვიროსის დახელოვნებული კალატოზები და ხურონი ფართოდ ღებულობდნენ მონაწილეობას მშენებლობაში. სოლომონი, თავის მხრივ, ჰირამს აწვდიდა ხორბალს, ღვინოსა და ზეთს. მშრომელი მასების საშინელი ექსპლუატაციის მიუხედავად, რომელთა ზურგზე გადადიოდა სახელმწიფოს უზარმაზარი ხარჯები, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა არცთუ ისეთი ბრწყინვალე იყო, როგორც ამას გვიხატავენ გვიანდელი წყაროები. ცნობილია, რომ სოლომონმა ტვიროსიდან 120 ტალანტის მისაღებად ჰირამს ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი დაუთმო. თუ ქვეყნის მმართველი ზედაფენა მანამდე არნახულ ფუფუნებაში ცხოვრობდა, სოფლისა და ქალაქის ძირითადი მოსახლეობა მძიმე გადასახადებით იყო დაბეგრილი. თავი იჩინა უკმაყოფილებამ, რამაც მალე თავისი შედეგი გამოიღო.

ისრაელის სამეფო, მიუხედავად მთელი გარეგნული ბრწყინვალებისა, არ წარმოადგენდა მტკიცე გაერთიანებას. ჩრდილოეთის მხარე, საკუთრივ ისრაელი, ქვეყნის მდიდარ სასოფლო-სამეურნეო რაიონს წარმოადგენდა, ეკონომიკურად იგი ნაღლა იდგა მასთან შედარებით მწირ იუდეაზე. ქვეყნის ეკონომიკური სიმძიმე უშუალოდ ისრაელზე მოდიოდა, რაც ჩრდილოეთის ტომთა უკმაყოფილებას იწვევდა სამეფო დინასტიის წინააღმდეგ, რომელიც იუდას ტომს ეკუთვნოდა. განსაკუთრებით მძიმე იყო მიწისმოქმედთა ფენისთვის შრომითი ბეგარა, რომელიც თავდაპირველად დაპყრობილ მოსახლეობას ეკისრებოდა, ხოლო შემდგომ უშუალოდ ისრაელ მწარმოებელთა ფენაზე გავრცელდა და სამეფო ხელისუფლების სასარგებლოდ სრულდებოდა. ჯერ კიდევ სოლომონის მეფობის დროს სამეფოს მსხვილმა მოხე-

ლემ იორობეამმა, რომელიც წარმოშობით ჩრდილოეთის უდიდეს ტომს — ეფრაიმს — ეკუთვნოდა, შეთქმულება მოაწყო და აჯანყებისათვის ემზადებოდა. სოლომონმა იორობეამის შეპყრობა სცადა, ნაგრამ იორობეამმა ეგვიპტეს შეაფარა თავი. დაახლოებით 40 წლის მეფობის შემდგომ სოლომონი გარდაიცვალა. მისი მეფობით მთავრდება გაერთიანებული ისრაელის სამეფოს ასწლოვანი ისტორია, რომელიც სახელმწიფო, ეკონომიკური და კულტურული აყვავების ხანას წარმოადგენდა.

სოლომონის გარდაცვალების შემდეგ იუდასა და მასთან ახლოს მდგომმა ბენიამინის ტომმა მეფედ სოლომონის ძე — როვოამი — გამოაცხადეს. ჩრდილოეთის ტომები თანხმდებოდნენ როვოამი ეცნოთ მეფედ იმ შემთხვევაში, თუ იგი გაათავისუფლებდა მათ მძიმე გადასახადებისაგან, რაზეც როვოამმა მტკიცე უარით უპასუხა. შექმნილი ვითარებით ისარგებლა ეგვიპტეში შეფარებულმა იორობეამმა და ჩრდილოეთის ტომებმა იგი მეფედ გამოაცხადეს. როვოამის ყველა ცდა სამეფოს გასაერთიანებლად წარუმატებლად დამთავრდა. ისრაელის დასუსტებით დაინტერესებულმა ფარაონმა შეშონკმა (941—920) იორობეამს სამხედრო დახმარება აღმოუჩინა და ეგვიპტელთა დიდი ლაშქარით იგი იუდეას შეესია, დაამარცხა იუდეველთა ჯარი და იერუსალიმი გაძარცვა. როვოამიც ენერგიულად იბრძოდა დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. ასეთ ვითარებაში ისრაელის ერთიანი სამეფო ორ პატარა სამეფოდ გაიყო. ჩრდილოეთის — საკუთრივ ისრაელის სამეფოდ და სამხრეთის — იუდეის სამეფოდ.

როგორც ითქვა, მიწათმოქმედებას ებრაელები ქანაანელებისაგან დაეუფლნენ. მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ბოსტნეული და სხვ. განსაკუთრებით ფართო გავრცელება ისრაელსა და იუდეაში მოიპოვა მებაღეობა-მევენახეობამ. ზეთისხილისა და ყურძნის მოყვანა ქვეყნის სოფლის მეურნეობის უმთავრეს დარგს წარმოადგენდა. ზეთისხილისაგან ამზადებდნენ ზეთს, რომელსაც არა მხოლოდ საკვებად ხმარობდნენ, არამედ იყენებდნენ განათებისათვის. ზეთისხილის ზეთისგანვე ამზადებდნენ საკოსმეტიკო და სხვადასხვა წამლებს.

სოფლის მეურნეობის პროდუქტები წარმოადგენდნენ ისრაელისა და იუდეის ექსპორტის მთავარ საგნებს. მესაქონლეობაც კვლავინდებურად რჩებოდა ისრაელისა და იუდეის მოსახლეობის მეურნეობის ერთ-ერთ ძირითად დარგად. თუ ადრე ებრაელები უმთავრესად წვრილფეხა საქონელს აშენებდნენ (თხა, ცხვარი და სხვ.), შემდგომ წვრილფეხა საქონელთან ერთად რქოსანი პირუტყვის მოშენებასაც მიჰყვეს ხელი. პალესტინის ბუნებრივ სიმდიდრეთა სიმწირე აბრკოლებდა ყველა დარგის თანაბარ განვითარებას. ამის გამო, ნედლეულისა და ხელოსნური ნაწარმის ზოგიერთი სახეობა მეზობელი ქვეყ-

ნებიდან შემოჰქონდათ. ამისდა მიუხედავად, ხელოსნურ წარმოებას ისრაელისა და იუდეის სამეფოებში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა, რაზედაც ხელოსნობის საკმაოდ ძლიერი სპეციალიზაცია მიუთითებს. ქვეყნის სხვადასხვა რაიონები და ქალაქების ცალკეული უბნები გარკვეული ხელოსნური ნაწარმის წარმოებაზე სპეციალდებოდნენ. განვითარებული იყო მეთუნეობა, ქვის დამუშავება, აგურის წარმოება, ქსოვილების დამზადება, რკინისა და სპილენძის გამოდნობა. ძვ. წ. XII საუკუნიდან პალესტინაში ვითარდება რკინის წარმოება, რისი მაჩვენებელიცაა არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი რკინის გამოსადნობი ღუმელები. ისრაელისა და იუდეის ხელოსნური წარმოება განვითარებული მეზობელი ქვეყნების დიდ გავლენას განიცდიდა. მიწის დამუშავების ტექნიკა საკმაოდ პრიმიტიული რჩებოდა. სახვნელად მარტივ გუთანს ხმარობდნენ, რომელსაც ძვ. წ. XI საუკუნიდან რკინის სახნისს უკეთებდნენ, ხოლო გუთნის გამწევ ძალად ხარებს ან სახედარს იყენებდნენ. იქ, სადაც გუთნის გამოყენება ვერ ხერხდებოდა, მიწის ძირითადი დასამუშავებელი იარაღი თოხი იყო.

ებრაელთა მიერ პალესტინის დაპყრობის შემდეგ, ქანაანური მიწათმფლობელობის ფორმებთან შედარებით, პალესტინის ისრაელ-იუდეის საზოგადოებაში მიწათმფლობელობის რამდენადმე უფრო არქაული ფორმები ჩამოყალიბდა, იმის მიუხედავად, რომ ქანაანური საკერთალი მთელ რიგ ოლქში დაპყრობის შემდეგაც განაგრძობდა არსებობას. ისრაელ-იუდეის მიწათმფლობელობის ფორმების არქაიზაცია იმაში გამოვლინდა, რომ იგი უმთავრესად საგვარეულო მიწათმფლობელობის ფორმებს სცნობდა, რომელიც თემის სახით იყო წარმოდგენილი. მეთემეთა ძირითად მასას, რომელიც ქვეყნის მთავარ მწარმოებელ ძალას წარმოადგენდა, „მიწის ხალხი" (ამ-ჰაარეც) ეწოდებოდა. „მიწის ხალხი" ეკონომიკურად არ იყო ერთგვაროვანი, მისი სოციალური განსაზღვრულობის ნიშანს მიწათმფლობელობა და მასთან დაკავშირებული სამოქალაქო უფლება-მოვალეობანი შეადგენდნენ (ლაშქრობაში მონაწილეობა, გადასახადების გადახდა და სხვ.). ამ სოციალურ ფენას აწვა სხვადასხვა სახელმწიფო სამუშაოების შესრულება და სახელმწიფო გადასახადების გაღება, ასაქონლო-ფულადი მეურნეობის განვითარების პროცესში „მიწის ხალხი" განუწყვეტელ სოციალურ განშრევებას განიცდიდა, ეს პროცესი განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობდა ძვ. წ. VIII—VI სს. თუ ერთი მხრივ გამოიყოფოდა უმცირესობა — მიწათმფლობელური არისტოკრატია, ნეორე მხრივ, მეთემეთა არცთუ მცირე ნაწილი კარგავდა მიწის ნაკვეთებს და უმიწაწყლო მიწისმოქმედთა ფენას ქმნიდა. მევახშეობის საფუძველზე წამოშობილი მონათა ფენაც ძირითადად გალატაკებულ მეთემეთაგან იქმნებოდა. ამის შედეგად, სათემო მიწათ-

მფლობელობის გვერდით ჩაეყალიბდა კერძო მიწათმფლობელობაც. სამეფო კარის, უმაღლესი არისტოკრატიისა და ქურუმების ხელში მიწების საკმაოდ დიდი ფონდი იკრიბებოდა.

ისრაელისა და იუდეას საზოგადოებაში ორი ფორმის სამეფო ბეგარა არსებობდა: შრომითი ბეგარა სამეფო მეურნეობაში და ნატურალური გადასახადები (გადასახადი მიწაზე, რომელიც მოსავლის ერთ მეათედს შეადგენდა და გადასახდი საქონელზე, რომელიც პირუტყვის წლიური ნამატის ერთ მეათედს უდრიდა). სოლომონის მიერ დაყოფილი ისრაელის სამეფოს 12 ოლქის მმართველთ ევალებოდათ სამეფო კარისთვის მიეწოდებინათ ყოველდღიურად 30 კორი საუკეთესო ფქვილი, 60 კორი უბრალო ფქვილი, 10 საგანგებოდ გამოკვებილი ხარი, 20 ხარი უშუალოდ საძოვრებიდან, 100 ცხვარი და სხვა ძღვენი. ამას გარდა სოლომონი ტვიროსის მეფე ჰირამს იმ ხე-ტყის და დახმარების სანაცვლოდ, რომელსაც ჰირამი უგზავნიდა მას საამშენებლო სამუშაოებისათვის, ყოველწლიურად უგზავნიდა ტვიროსში 20000 კორ ხორბალსა და 20000 ბატ ზეთისხილის ზეთს. როგორი გადიდებულიც არ უნდა ჩანდეს დასახელებული ციფრები, თუ გავითვალისწინებთ, რომ კორი უდრიდა 364,5 ლიტრს, ხოლო ბატი კი 36,5 ლიტრს, გასაგები გახდება იმ გადასახადების სიმძიმე, რომელიც აწვებოდა ქვეყნის ძირითად მწარმოებელ ფენებს. კერძო მიწათმფლობელობის ფორმებს თემური მიწათმფლობელობის სახით საგვარეულო მიწათმფლობელობა უპირისპირდებოდა, რომლის შესანარჩუნებლად ისრაელ-იუდეაში საგანგებო ღონისძიებებს მიმართავდნენ. საგვარეულო მიწა გვარის მფლობელობაში უნდა დარჩენილიყო. ამის გამო, მისი სამუდამოდ გასხვისება არათანამოგვარეზე აკრძალული იყო. დროებით გასხვისებული მიწა საიუბილეო წელს გვარს უკან უნდა დაებრუნებინა. მიწის სრული გასხვისება დაიშვებოდა მხოლოდ ერთი და იმავე გვარის წევრებს შორის, რის გამოც მიწების კონცენტრაცია ხშირ შემთხვევაში თვით გვარის შიგნით მიმდინარეობდა და მათ საგვარეულო არისტოკრატია ეუფლებოდა. საგვარეულო მიწების გვერდით არსებული ნასყიდი მიწები კერძო მიწათმფლობელობის ფონდს ქმნიდა და გვარის საკუთრებას წარმოადგენდა. კანონი იუბილეს შესახებ მათზე არ ვრცელდებოდა. კერძო მიწათმფლობელობის ფონდის ერთ-ერთი წყარო მიტაცებული სათესი მიწები იყო. კერძო მიწათმფლობელობის ფონდიდან სამეფო კარის მიწები გამოირჩეოდა, რომლებიც სახნავ-სათესი მიწების, ვენახების და ზეთისხილის ბაღებისაგან შედგებოდა. მეფის უზენაესი მფლობელობა ისრაელ-იუდეის საზოგადოებაში არ ჩანს.

ისრაელ-იუდეის საზოგადოების მწარმოებელთა კლასის ერთ-ერთ ფენას მონები შეადგენდნენ. მეთემეებთან შედარებით, რომელნიც

მწარმოებელთა ძირითად მასას წარმოადგენდა, მონების რიცხვი დიდი არ უნდა ყოფილიყო. ისრაელ-იუდეის სამეფოში მონობის ორი სახე არსებობდა — მუდმივი და დროებითი. მუდმივი მონები მესაკუთრის ქონების ნაწილს შეადგენდნენ და ამის გამო იყვნენ სამართლის არა სუბიექტი, არამედ ობიექტი. მუდმივი მონობის ძირითად წყაროს მონათვაჭრობა ქმნიდა. მონების კატეგორიაში შედიოდნენ აგრეთვე ბიბლიაში მოხსენიებული „სახლის შვილნი" (ბენე ბაით), რომელთა რიცხვში შეიძლება „სახლს" მიკედლებული თავისუფალიც აღმოჩენილიყო ან გააზატებულის შთამომავლები, რომელთაც კავშირი „სახლთან" არ გაწყვეტათ, ანდა თვით ამ „სახლის" მონათა შთამომავლები. არსებობდნენ შინაური მონებიც, რომელთა შორის მონა-ქალები — ზეველებია აღსანიშნავი. მუდმივი მონების რიცხვში იძულებით შეიძლება იუდეველიც ან ისრაელიტელიც მოხვედრილიყო, მხოლოდ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში.

როგორც წესი, იუდეველის ან ისრაელიტელის, თუ მას დანაშაული არ ჰქონდა ჩადენილი, სამუდამოდ მონად გადაქცევა არ შეიძლებოდა. ამის გამო დროებითი მონები ისრაელიტელები ან იუდეველები იყვნენ და მონობის ამ ფორმის ძირითად წყაროს სავალდებო კაბალა წარმოადგენდა. იუბილეს კანონის ძალით დროებითი მონა თავისუფალი ხდებოდა, ოღონდ, თუ დროებითი მონა თავისივე სურვილით სამუდამო მონობაში დარჩენას მოისურვებდა, იგი შეიძლებოდა სამუდამო მონად ქცეულიყო. მსხვილ მამულებში ფართოდ გამოიყენებოდა გაღატაკებულ მეთემეთა და მონების შრომა, მონებს იყენებდნენ სხვადასხვა სამუშაოებზე, განსაკუთრებით კი — ხელოსნობაში. შინაურ მონას ზოგჯერ პატრონის მეურნეობის ზედამხედველობა ევალებოდა. მონათმფლობელს შეეძლო მონის გაქირავებაც. რაციონალური ექსპლუატაციის მიზნით ისრაელისა და იუდეის სამეფოში კანონმდებლობა მონებს ნაწილობრივ მაინც იცავდა უხეში ძალადობისაგან. თუ პატრონი მონას თვალს ან კბილს დაუზიანებდა, ასეთი მონა პატრონს უნდა გაეზატებინა. მონის მოკვლის შემთხვევაში პატრონს საზღაური ეოეკითხებოდა, ოღონდ წყაროებში ამ საზღაურის ბუნება და ხასიათი გარკვეული არ არის. ამავე დროს პატრონს პასუხი მოეთხოვებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მონა გარდაიცვლებოდა უშუალოდ ფიზიკური დასჯის დროს, ხოლო თუ უფრო გვიან, — პატრონი უდანაშაულოდ ითვლებოდა. ისრაელისა და იუდეის სამეფოს ქალაქებში მრავლად ცხოვრობდნენ უცხოელებიც, რომელნიც ვაჭრობასა და ხელოსნობას მისდევდნენ და უუფლებოთა ფენას განეკუთვნებოდნენ.

მუდმივმა ომებმა, მეთემეთა გაღატაკებამ და სოციალურ წინააღმდეგობათა გაძლიერებამ ისრაელისა და იუდეის სამეფოებში გამო-

იწვია რელიგიურ-საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელიც წინასწარმეტყველთა სახელით არის ცნობილი. წინასწარმეტყველნი მოსახლეობის საშუალო ფენებთან იყვნენ დაკავშირებულნი და ხედავდნენ ამ ფენის უკიდურეს მძიმე მდგომარეობას. წინასწარმეტყველნი — ესაია, ამოსი, იერემია და სხვები — თავიანთ გამოსვლებში ამხელდნენ მდიდრების მიერ ღარიბთა სასტიკ ექსპლოატაციას, იცავდნენ მეთემეებს მათი მიწების მიტაცებისაგან და სოციალურ სიმართლეს იმქვეყნიურ ცხოვრებაში ეძიებდნენ. საზოგადოებრივი უბედურების წყაროს ისინი იაჰვეს მცნებების დავიწყებაში ხედავდნენ, ხოლო იაჰვეს კულტის პროპაგანდით და ადგილობრივი კულტების წინააღმდეგ გამოსვლით წინასწარმეტყველნი ცენტრალიზებული სამეფო ხელისუფლების იდეოლოგიის დამცველად გვევლინებიან ადგილობრივ მიწათმფლობელთა ხელისუფლების დეცენტრალიზაციური ძალების წინააღმდეგ.

ისრაელ-იუდეის ერთიანი სამეფოს დაყოფამ და გაუთავებელმა ურთიერთბრძოლამ ისრაელიც და იუდეაც დაასუსტა, რამაც მათზე მეზობელ სახელმწიფოთა ზეგავლენა გააძლიერა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ისრაელის სამეფო, რომელიც წარუმატებელი ომის შემდეგ იძულებული გახდა არამეელთათვის ქვეყნის ჩრდილოეთი მხარის ნაწილიც კი დაეთმო. გაუარესებული მდგომარეობის ნაწილობრივი გამოსწორება ისრაელის ენერგიულმა მეფემ ომრიმ (876—869) მოახერხა. ომრი არა მხოლოდ წარმატებით ებრძოდა თავის მტრებს (მოაბის სამეფოს ხარკის გადახდა დააკისრა), არამედ მშნებლობასაც ეწეოდა ისრაელის ახალ დედაქალაქ სამარიაში. მაგრამ ცალკეული წარმატება ვერ ცვლიდა ისრაელისა და იუდეის გაუარესებულ ვითარებას, რასაც ართულებდა თვით ქვეყნის შიგნით მიმდინარე მწვავე კლასობრივი და შიდაკლასობრივი ბრძოლები. VIII ს. II ნახევარში წინა აზიაში განსაკუთრებით გაძლიერდა ასურეთი, რომელიც ძვ. წ. 738 წ. სირიაში გაბატონდა და უშუალოდ ისრაელის სამეფოს დაემუქრა. ასურელთა მეფემ ტიგლათფილესერ III-მ (745—727) ისრაელზე გაილაშქრა, ქვეყნის ჩრდილოეთი მხარე — გალილეა — მდინარე იორდანეს აღმოსავლეთით მდებარე მიწა-წყალთან ერთად ისრაელს ჩამოაჭრა და თავის სამეფოს შეუერთა, ისრაელის სამეფოს დარჩენილ ნაწილს კი გადასახადები დააკისრა. ძვ. წ. 727 წ., ტიგლათფილესერ III-ის გარდაცვალების შემდეგ, სირიასა და პალესტინაში აჯანყება დაიწყო ასურეთის წინააღმდეგ. აჯანყებულნი შველას ეგვიპტიდან მოელოდნენ, მაგრამ იმედები არ გაუმართლდათ. ასურელები დიდი ჯარით შეიჭრნენ ისრაელში და ალყა შემოარტყეს მის დედაქალაქს — სამარიას. ბრძოლა სამ წელს გაგრძელდა და 722 წ. სამარია დაეცა. ასურეთის მეფეს სარგონ II-ს (722—705) აჯანყებული ისრაელის სრული განადგურება ჰქონდა გადაწყვეტილი. ამის გამო მან

ტყვედ წაასხა ისრაელის მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელიც მიდიასა და მესოპოტამიაში დაასახლა, მათ მაგივრად კი ისრაელში ბაბილონელი და არამეელი კოლონისტები გადმოასახლა.

ისრაელის სამეფოს დაცემის იუდეის უმნიშვნელო გაძლიერება მოჰყვა. ისრაელის სამეფოს სამხრეთი საზღვრების ხარჯზე იუდეა გაფართოვდა ჩრდილოეთით, ხოლო ისრაელის გადარჩენილი მოსახლეობის ნაწილმა იუდეას შეაფარა თავი. VII ს. ასურეთი დასუსტდა და იუდეას უშუალო დაპყრობის საფრთხე აღარ ემუქრებოდა. ისრაელის მოსპობამ თავისი გარკვეული კვალი დააჩნია იუდეის საზოგადოებრივ ცხოვრებას, რაც იუდეის მეფის იოსიას (640—608) რეფორმებში აისახა, რომლის მიზანი იყო იუდეის შინაგანი გაძლიერება კლასობრივი ბრძოლის შესუსტების საშუალებით. იოსიამ გაატარა კანონი, რომლის თანახმად თუ ებრაელი მონად იქნებოდა გაყიდული, მონობაში ის მხოლოდ ექვსი წელიწადი უნდა დარჩენილიყო, მეშვიდე წელს კი პატრონი მას გაათავისუფლებდა. ამავე დროს ბატონს მისთვის ქონებრივი დახმარებაც უნდა აღმოეჩინა — მიეცა რამდენიმე ცხვარი, გარკვეული რაოდენობის ხორბალი და ღვინო. კანონმდებლობის სხვა მუხლებიც კლასობრივი ბრძოლის შესუსტებისკენ იყო მიმართული, მაგრამ ძირითადი ადგილი იოსიას მოღვაწეობაში შაინც რელიგიურ რეფორმას ჰქონდა, რომელიც კულტის ცენტრალიზაციას ისახავდა მიზნად. რელიგიური რიტუალიდან განდევნა იუდეველებთან შემორჩენილი ქანაანური, სირიული და სხვა რელიგიური გადმონაშთები. იოსიამ დააწესა ებრაელთა უმაღლესი ღვთაების, იაჰვეს ერთიანი და ცენტრალიზებული კულტი იერუსალიმის ტაძრით. ეს ღონისძიება სახელმწიფო ცენტრალიზაციის მიზნით იყო ჩატარებული.

იუდეის დამოუკიდებლობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 608 წ. ეგვიპტის ფარაონმა ნეხომ (611—595) იუდეა დაიპყრო და ჰეფე იოსია სიკვდილით დასაჯა, 602 წ. კი იუდეა უკვე ახალი ბაბილონის სამეფოს მოხარკე გახდა, რადგან ახლადაღზევებულმა ბაბილონმა ეგვიპტე დაამარცხა და თავისი გავლენა გაავრცელა იუდეაზე. ბრძოლა ბაბილონსა და ეგვიპტეს შორის გრძელდებოდა, რითაც ისარგებლა იუდეას მეფემ იოაკიმმა (607—657) და ბაბილონს გადაუდგა. ახალბაბილონის მეფემ ნაბუქოდონოსორ II-მ (604—562) 597 წ. იუდეაზე გაილაშქრა და იერუსალიმი აიღო. იუდეის დასუსტების მიზნით მან ქვეყნის შეძლებული მოსახლეობის ნაწილი ბაბილონში გადაასახლა, მაგრამ იუდეაში ეგვიპტეზე ამყარებდნენ იმედებს და ანტიბაბილონური მოძრაობა არ წყდებოდა, მიუხედავად იერემია წინასწარმეტყველის მრავალგზის გაფრთხილებისა, რომელიც ნათლად ხედავდა ქვეყნის კატასტროფულ მდგომარეობას, 586 წ. ნაბუქოდო-

ნოსორმა კვლავ შემოარტყა ალყა იერუსალიმს და სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ ხელთ იგდო იგი. ნაბუქოდონოსორ II უსასტიკესად გაუსწორდა აჯანყებულებს. იუდეის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მან ბაბილონში ტყვეებად გარეკა და იუდეის სამეფომაც არსებობა შეწყვიტა.

იუდეველთა ბაბილონში გადასახლებით იუდეველთა ისტორიაში დაიწყო „ბაბილონის ტყვეობის" პერიოდი, რომელიც 586—537 წლებს მოიცავდა. თუ იუდეველთა გარკვეული ნაწილი სავაჭრო და ფულის ოპერაციაში ჩაება და დროთა ვითარებაში თანდათან შეეგუა ახალ პირობებს, მიწისმფლობელთა და ქურუმთა ფენისათვის „ბაბილონის ტყვეობა" განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა. ისინი სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობდნენ, რათა კვლავ მოეპოვებინათ დაკარგული მდგომარეობა. სწორედ ამ წრეში ჩაისახა და გავრცელდა რელიგიურ-პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც წინასწარმეტყველთა ტრადიციას უკავშირდებოდა. ამ მოძრაობის მეთაური სასულიერო წრის წარმომადგენელი იეზეკიელი იყო, რომელიც ჯერ კიდევ 597 წ. გადასახლებულ ტყვეთა შორის მოხვდა ბაბილონში. იუდეველთა სახელმწიფოს კატასტროფის მიზეზს იეზეკიელი იაჰვესგან განდგომაში ხედავდა, ხოლო მომავალი იუდეის სახელმწიფო, იეზეკიელის აზრით, თეოკრატიული უნდა ყოფილიყო, რომლის სათავეში დავითის შთამომავალი „ბესია" და იერუსალიმის ქურუმობა იქნებოდა. აღნიშნული თეოკრატიული სახელმწიფოს სრულუფლებიან მოქალაქეებად მხოლოდ იაჰვეს კულტის მიმდევრები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ. იერუსალიმი იაჰვეს ტაძრით, რომელიც მთლიანად გამორიცხავდა სხვა რაიმე კულტს, იუდეველთა მომავალი თეოკრატიული სახელმწიფოს ცენტრი უნდა გამხდარიყო. ამრიგად, იეზეკიელის გეგმებში დასახული იაჰვეს საზოგადოება არსებითად თვითმმართველ თეოკრატიულ სატაძრო-საქალაქო თემს წარმოადგენდა.

ახალი ბაბილონის სამეფოს დაცემას და აქემენიდების იმპერიის წარმოქმნას იუდეველთა აღნიშნული ფენა დიდი სიხარულით შეხვდა. ძვ. წ. 537 წ. კიროსმა (553—529) იუდეველთ იერუსალიმში დაბრუნებისა და იაჰვეს ტაძრის აშენების უფლება მისცა იმ მიზნით, რომ პალესტინის შემომტკიცებით ეგვიპტე დაეპორჩილებინა. „ბაბილონის ტყვეობიდან" განთავისუფლებული იუდეველები ჯგუფ-ჯგუფად გაემართნენ იერუსალიმისაკენ. ორი ათეული წლის განმავლობაში იერუსალიმის სანახებში დაახლოებით 42 000 იუდეველი და 7 000 მონა დაბრუნდა. იუდეველთა თანდათანობითი დაბრუნება შემდეგაც მიმდინარეობდა და ათეული წლების განმავლობაში გაგრძელდა. ასე ჩაეყარა საფუძველი იუდეველთა სატაძრო თემს, რომელიც სამეფო გადასახადებისა და სხვადასხვა ვალდებულებისგანაც იყო თავისუფა-

ლი, ხოლო ტაძრისა და ქალაქის მშენებლობას ზოგჯერ სირია-პალესტინის პროვინციის შემოსავლის ნაწილიც კი ხმარდებოდა. თემის წევრები ავტონომიით სარგებლობდნენ. მათ უფლება ჰქონდათ საკუთარი კანონების მიხედვით ეცხოვრათ, ტაძარს კი თემისგან გარკვეული გადასახადები აეკრიფა. პრივილეგიური სატაძრო-საქალაქო თემის ჩამოყალიბება გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში მიმდინარეობდა. ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც უმთავრესად ტყვედ არწაყვანილ ისრაელიტელთა და იუდეველთა ღარიბი ფენების, ისევე როგორც ასურელთა და ბაბილონის მეფეთა მიერ გადმოსახლებული კოლონისტებისაგან შედგებოდა, რომელიც იაჰვეს მართლმორწმუნეთა რიცხვს არ ეკუთვნოდნენ, სულ უფრო და უფრო ექცეოდა სატაძრო-საქალაქო თემის ეკონომიკური და სოციალური ჩაგვრის ქვეშ. ამის გამო, და აგრეთვე იმიტომ, რომ ირანის ადმინისტრაცია უნდობლად ეკიდებოდა იუდეველთა თემს, რადგან თემის ავტონომიაში პალესტინაზე ირანის სახელმწიფო ადმინისტრაციის გავლენის დასუსტებას ხედავდა, იუდეველთა იერუსალიმის თემის ჩამოყალიბება და ქალაქისა და ტაძრის მშენებლობა დიდი ხნით გაჭიანურდა და მხოლოდ დავით მეფის ჩამომავლის — ზორაბაბელისა და ქურუმის — ეზრას — ენერგიული მოღვაწეობის შემდგომ დასრულდა საბოლოოდ ძვ. წ. V—IV საუკუნეებში, ვიდრე პალესტინა აპლადწარმოქმნილი ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის შემადგენლობაში არ შევიდა.

ძველი ებრაული რელიგია თავის ადრეულ საფეხურზე არ იყო მონოთეისტური, როგორც ეს ბიბლიაშია გადმოცემული. თვით ბიბლიამ შემოგვინახა გადმონაშთის სახით ებრაელთა რელიგიური ყოფის ადრეული საფეხურები, როდესაც ებრაელი ტომები თაყვანს სცემდნენ ცხოველის, ხისა და ქვის კულტებს. ებრაელთა რელიგიურ შეგნებაზე დიდი გავლენა მოახდინეს ქანაანურმა და მეზობელ ხალხთა ღმერთებმაც. ქანაანური წარმოშობისაა ბაალთა ზოგი კულტი, რომელიც ისრაელისა და იუდეის სასოფლო თემთა და ქალაქთა ღვთაებებად გვევლინებოდა. დავითისა და სოლომონის სამეფო ტახტზე ასვლის შემდგომ განსაკუთრებით წინ წამოიწია ებრაელ ტომთა საერთო ღვთაება — იაჰვე, რომელიც ცეცხლისა და ქარიშხლის კულტთან იყო დაკავშირებული. იაჰვეს კულტის წინ წამოწევა სახელმწიფოს ცენტრალიზაციას ისახავდა მიზნად. იაჰვე ებრაელთა მთავარი ღვთაება გახდა და ქვეყნის სამეფო დინასტიის მფარველად იქცა. ისრაელის სამეფოს მოსპობისა და, განსაკუთრებით კი, იუდეის სამეფოს დაცემისა და იერუსალიმის სატაძრო-საქალაქო თემის წარმოქმნის შემდეგ საბოლოოდ ჩამოყალიბდა მონოთეისტური მოძღვრება იაჰვეს შესახებ.

ბიბლია ძველი და ახალი აღთქმის წიგნების კრებულს ეწოდება. ებრაელთა რელიგია — იუდაიზმი — თავის საღვთო წიგნად მხოლოდ

ძველი აღთქმის წიგნებს აღიარებს. ძველი აღთქმის წიგნების კრებული მრავალი საუკუნის განმავლობაში იქმნებოდა და საბოლოოდ ახ. წელთაღრიცხვის II საუკუნეში ჩამოყალიბდა. თვით სიტყვა „აღთქმა“ მიუთითებს, რომ ძველი აღთქმის წიგნებში მოთხრობილია იმ კავშირის შესახებ, რომელიც არსებობდა ღმერთსა და ღმერთის მიერ რჩეულ ხალხს — ებრაელთა — შორის.

ძველი აღთქმის წიგნები სამ ნაწილად იყოფა: მოსეს ხუთ წიგნად, წინასწარმეტყველთა წიგნებად და საღვთო წერილებად. მოსეს ხუთი წიგნი კანონმდებლობით ნაწილში აწესრიგებს რელიგიური და საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმებს, თხრობით ნაწილში გადმოგვცემს ლეგენდებს ადამიანისა და მსოფლიოს წარმოშობის შესახებ, უმთავრესად კი მოგვითხრობს ებრაელთა წარმოშობისა და თავგადასავლის შესახებ პალესტინაში შეჭრამდე. წინასწარმეტყველთა წიგნებიც იყოფა ორ ნაწილად: უფროს (იესო ნავინი, მსაჯულთა წიგნი, მეფეთა წიგნები) და უმცროს წინასწარმეტყველებად (ესაია, იერემია, იეზეკიელი და 12 „მცირე წინასწარმეტყველი“).

წინასწარმეტყველთა წიგნები მოგვითხრობენ რელიგიურ-დიდაქტიკურად გადამუშავებულ ებრაელთა ისტორიას. საღვთო წერილს მიეკუთვნება: ფსალმუნნი — საეკლესიო ლირიკისა და საღვთო ჰიმნების კრებული, რომელიც გვიან დავით მეფეს მიაწერეს; იგავნი — დიდაქტიკური აფორიზმებისა და ანდაზების კრებული (იგავნიც შემდგომში სოლომონ მეფის სახელს დაუკავშირეს); ქება-ქებათა — სასიყვარულო შინაარსის ხალხური სიმღერები, რომელიც ბიბლიაში შევიდა ალეგორიული გადააზრების საფუძველზე; ეკლეზიასტე — ფილოსოფიურ-რელიგიური მსჯელობანი ცხოვრების ამაოების შესახებ და სხვ. ამრიგად, ძველი აღთქმა წარმოადგენს ძველებრაული წერილობის ძეგლების კრებულს, რომელიც იქმნებოდა და ყალიბდებოდა თითქმის ათასი წლის მანძილზე.

უძველეს ხანაში ებრაელთა რელიგიური და საზოგადოებრივი ცხოვრება არ იყო განსაზღვრული რაიმე დაწერილი კანონით, მხოლოდ გვიან, ძვ. წ. V ს. მეორე ნახევარში, იერუსალიმის იუდეველთა თემმა ძველ წყაროებზე დაყრდნობით შექმნა „კანონი“ და იმავე ხანებიდან ეიღო მან „საღვთო წიგნების“ ხასიათი. ეს შემდგომში გავრცელდა წინასწარმეტყველთა წიგნებზე, რომელთაც საბოლოო გადამუშავება ძვ. წ. III ს. გაიარეს. უფრო გვიან, ახ. წ. II ს. მათ დაურთეს „საღვთო წერილი“ და ამ გზით შეიქმნა ძველი აღთქმის წიგნების კრებული.

თავი X

ასურეთის სამეფო

ბუნებრივი პირობები და მოსახლეობა. ასურეთი ეწოდებოდა თანამედროვე ერაყის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს, მდინარე ტიგროსის შუა წელზე, ბაბილონის ჩრდილოეთით მდებარე ოლქს. თავდაპირველად ასურეთი მდ. ევფრატამდე არ აღწევდა — დასავლეთიდან მას ევფრატის მარცხენა სანაპიროზე გაშლილი სტეპიანი ზოლი საზღვრავდა, ჩრდილო-აღმოსავლეთით ასურეთს ირანის ზეგანისგან გამოყოფდა ზაგროსის მთები, სამხრეთ-აღმოსავლეთით საზღვარი მდ. ქვემო ზაბზე გადიოდა.

თავისი ბუნებრივი პირობებით შუამდინარეთის ეს ოლქი მკვეთრად განსხვავდება ბაბილონისაგან (სამხრეთ მესოპოტამიისაგან). მდინარეები ტიგროსი და ევფრატი აქ ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებით (300-დან 400 კმ-მდე) მოედინებიან. ამიტომ მათ პერიოდულ ადიდებებს არ ჰქონდა ქვეყნისათვის ის მნიშვნელობა, რაც სამხრეთში. შუამდინარეთი აქ მაღალ ზეგანსა და მთიან მხარეს წარმოადგენს და მთები ახლოს მიდიან მდინარესთან, რის გამოც საირიგაციო მიწათმოქმედებისათვის ვარგისი რჩება მხოლოდ მდინარის სანაპირო ვიწრო ზოლი. ტიგროსის მარცხენა შენაკადების — დიდი და მცირე ზაბის — ზემო წელზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება წვიმის წყლის მარაგზე დაფუძნებულ ხელოვნურ რწყვას: დიდი წვიმების პერიოდში წყალს აგროვებენ საგანგებო საცავებში და შემდეგ იყენებენ სარწყავად.

ჰავა აქ უფრო მკაცრია და კონტინენტური; ზამთარი საკმაოდ ცივია და ხშირად თოვლიანიც, ზაფხული კი — ცხელი და მშრალი.

განსხვავებით ბაბილონისა და შუმერისაგან ასურეთში ადრიდანვე დიდ მნიშვნელობას იძენს მესაქონლეობა, რომლის ბაზას წარმოადგენს მთიანი საძოვრები, სადაც ზაფხულობით მიერეკებიან მსხვილფეხა საქონლის ჯოგებსა და ცხვრის ფარებს. მთების ქვედა კალთებზე ადრიდანვე აშენებდნენ ვენახს, რომლის კულტურა ბაბილონში ნაკლებად იყო გავრცელებული.

მდ. ტიგროსის აღმოსავლეთით და დასავლეთით აღმართულ მთებში მოსახლეობა, გარდა მეცხოველეობისა, მისდევდა მონადირეობას, რომელიც აქ მუდამ რჩებოდა მეურნეობის დამოუკიდებელ დარგად.

განსხვავებით შუამდინარეთის უფრო სამხრეთის დაბლობი რაიონებისაგან, ასურეთის ტერიტორიაზე საკმაოდ ბევრი იყო ტყე, აგრეთვე საშენი ქვა და ლითონი. ამან ხელი შეუწყო აქ ხელოსნობის რიგი დარგის უფრო ადრეულ და სწრაფ განვითარებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებას, რომ ასურეთის მთებში სპილენძთან ერთად იყო რკინის საბადოებიც, რომელთა დამუშავება აქაურმა მოსახლეობამ საკმაოდ ადრე დაიწყო.

მერმინდელი ასურეთის მოსახლეობის თავდაპირველ ბირთვს შეადგენენ, როგორც ჩანს, ხურიტული და მათი მონათესავე ტომები; ამ ოლქებს ძვ. წ. II ათასწლეულის შუმერული ტექსტები „სუბირ"-ს, ხოლო აქადური დოკუმენტები „სუბართუს" („შუბართუს") უწოდებენ. მეცნიერთა უმეტესობა ამ ქვეყნის მცხოვრებლებს — სუბარელებს (შუბარელებს) — ხურიტებად მიიჩნევს.

ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში ბაბილონის ჩრდილოეთით მდებარე ოლქში ჩნდება აქადური — სემიტური — მოსახლეობა. მეცნიერთა ნაწილი ვარაუდობს აქადიდან სემიტური ტომების თანდათანობით გადმოსახლებას, სხვები კი აქ სემიტურ დასახლებათა გაჩენას საგაჭრო ინტერესებით ხსნიან. აქადის და შუმერის ტერიტორიაზე ისეთი ნედლეულის ნაკლებობა, როგორიცაა ქვა, ხე-ტყე და ლითონი, აიძულებდა შუმერისა და აქადის ქალაქებს გამოეგზავნათ აქეთ თავისი საგაჭრო აგენტები ამ ნედლეულის შესაძენად და სწორედ ისინი ქმნიდნენ აქ თავის დასახლებებს, როგორც თავისებურ საყრდენ პუნქტებს. ასეა თუ ისე, ძვ. წ. III ათასწლეულის შუა წლებიდან მერმინდელი ასურეთის ტერიტორიაზე იქმნება სემიტური (აქადური) დასახლებანი, ხდება სემიტური ტომების იმიგრირება და ადგილობრივ სუბარულ ტომებთან შერევა.

სემიტურ დასახლებათა შორის უმნიშვნელოვანესი იყო ქალაქი ასური, რომელიც მდ. ტიგროსის მარჯვენა ნაპირზე, მასთან მცირე ზაბის შეერთების ცოტა ზევით, ახლანდელი ქალაათ-შერკატის ადგილზე მდებარეობდა. შემდგომ ხანებში ეს ქალაქი გახდა აქ შექმნილი სახელმწიფოს ცენტრი და ქვეყანასაც მის მიხედვით ასური ან ბერძნული ფორმით „ასირია" ეწოდა.

ასურეთის განვითარების თავისებურებებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის მდებარეობას. ასურეთის მიწაზე გადიოდა ძველთაგანვე დიდი საგაჭრო გზები. სამხრეთ მესოპოტამიიდან სირიისაკენ ტიგროსითა და ევფრატით მიმავალი გზები ასურეთზე ან მის

უშუალო სიახლოვეს გაივლიდა, ტიგროსის გაყოლებით მიმავალი გზა ასურეთის ტერიტორიაზე უერთდებოდა მცირე აზიიდან და სამხრეთ ამიერკავკასიიდან მომავალ გზას. ასურეთთან ძალიან ახლოს გაივლიდა აღმოსავლეთიდან, ირანის ზეგანიდან, მდინარეების ადემისა და ლალას გაყოლებით გადაჭიმული გზები. ამრიგად, ასურეთი თავისებურ. გზაჯვარედინზე მდებარეობდა, რამაც ხელი შეუწყო აქ ვაჭრობის ადრეულ განვითარებას და ასურეთის გადაქცევას ერთგვარ შუამავლად წინა აზიის სხვადასხვა ოლქებს შორის აღებმიცემობაში.

ასურეთის უძველესი ისტორია. ასურეთის უძველესი ისტორია, იქ კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის პირობები ჩვენთვის თითქმის უცნობია. წერილობითი წყაროები მოგვითხრობენ, რომ უკვე აქადური დინასტიის ხანაში ეს ტერიტორია აქადის პოლიტიკური გავლენისა და, შესაძლოა, ძალაუფლების ქვეშაც იმყოფებოდა. როგორც აქადური ტექსტები გვაცნობენ, სარგონ I-მა (XXIV ს.) დაიპყრო სუბართუს ქვეყანა და ზაგროსამდე ილაშქრა, მისმა მემკვიდრემ რიმუშმა კი მერმინდელი ასურული ქალაქის — ნინევიის — ჩრდილოეთით ააშენა ქალაქი, რომელსაც თავისი სახელი მიაკუთვნა.

ასურისა და ნინევიის არქეოლოგიურმა შესწავლამ დაადასტურა წერილობითი წყაროების ცნობები; ამ ქალაქების უძველესი ფენები აშკარად ატარებენ სარგონისა და რიმუშის დროინდელი საალმშენებლო მოღვაწეობის კვალს.

ურის III დინასტიის მმართველობის დროს ასურეთის აღმოსავლეთი, ტიგროსისპირა მხარე ამ დინასტიის ხელქვეით ქვეყანას წარმოადგენდა; ასურში ურის მეფეთა მოხელე იჯდა.

ურის III დინასტიის დაცემისა და სამხრეთ შუამდინარეთში ელამის მოძალების ხანაში (XXI ს. ბოლოს და XX ს. დასაწყ.) ასურეთი განთავისუფლდა და აქ დამოუკიდებელი პოლიტიკური გაერთიანება შეიქმნა. ასურის მმართველები, ე. წ. იშაკუმები („იშაკუმ" არის შუმერული ენის აქადური ფორმა), დამოუკიდებელ მმართველებად იქცნენ. უფრო მეტიც, ასურის იშაკუმი ილუშუმა (XX ს.), როგორც ეს ერთ-ერთი საალმშენებლო წარწერიდან ჩანს, ხელთ იგდებს ბაბილონის ცალკეულ ოლქებს და ქალაქ ნიფურამდე და ურამდეც კი აღწევს.

ილუშუმა იყო შვილიშვილი ასურის მმართველის ფუზურასურისა (XX ს. 80—70-იანი წლები), რომელიც აქ დამოუკიდებელი აქადური ჩამომავლობის დინასტიის ფუძემდებლად ითვლება. ამ დინასტიის საშინაო თუ საგარეო მოღვაწეობის შესახებ ცნობები თითქმის არ მოღწეულა, თუ არ ჩავთლით ილუშუმას ზემონახსენებ ლაშქრობას სამხრეთში და უკანასკნელის წინამორბედ და მომდევნო მეფეთა

რამდენიმე წარწერას, რომლებიც მათ სააღმშენებლო მოღვაწეობაზე მოგვითხრობს.

ფუზურასურის დინასტიის მმართველობის ხანაზე მოდის ასურელთა მიერ სავაჭრო კოლონიების დაარსება მცირე აზიაში — კაპადოკიაში. ჯერ კიდევ შუმერული და აქადური ქალაქები გზავნიდნენ თავის სავაჭრო აგენტებს — თამქარებს — საკმაოდ შორეულ ექსპედიციებში. ისინი საქარავნო გზებზე აარსებდნენ თავის საყრდენ პუნქტებს და სავაჭრო ფაქტორიებს. მაგრამ ასე შორს შუამდინარეთიდან პირველად სწორედ ასურელი თამქარები აღწევენ. ამასთან, ეს უკანასკნელნი კაპადოკიაში აარსებენ საკმაოდ დიდ და ძლიერ ახალშენებს, რომელთა მიზანი იყო ადგილობრივი ნედლეულის რესურსების სისტემატური შეძენა და მყარი აღებმიცემობის დამყარება.

ყველაზე მნიშვნელოვანი ასურული ახალშენი იყო ქ. ქანეშის გვერდით მდებარე სავაჭრო დასახლება. ქ. ქანეშის (ქიულ-თეფეს ნაქალაქარი თანამედროვე ქ. კაისერის მახლობლად) გათხრების შედეგად აღმოჩენილი ასურული ტექსტები, ისევე როგორც ზოგიერთი დოკუმენტი თვით ასურიდან, საშუალებას გვაძლევს ძირითადად წარმოვიდგინოთ ასურულ ახალშენთა მდგომარეობა და მათი საქმიანობა. ეს ახალშენები ადგილობრივ დასახლებათა (ქალაქთა) გვერდით, მათი კედლების გარეთ, მაგრამ მათ კუთვნილ მიწებზე არსებობდა.

მცირე აზიაში ასურელ ვაჭრებს გაჰქონდათ ხელოსნური ნაწარმი, უმთავრესად ქსოვილები, ხოლო აქედან მოჰქონდათ ვერცხლი, ტყვია, სპილენძი, მატყლი და ტყავი.

ქიულ-თეფეს არქივის დოკუმენტები დაახლოებით სამ თაობას მოიცავს და XX—XIX სს. განეკუთვნება; XIX ს. ასურული კოლონიების არსებობა წყდება; რითაა ეს მოვლენა გამოწვეული, ჩვენ არ ვიცით. შესაძლოა, აქ გარკვეული როლი შეასრულა ასურის მბრძანებელთა ბრძოლამ ამორეული ბაბილონის წინააღმდეგ; მაგრამ უფრო საფიქრებელია, რომ ასურელებმა დაკარგეს კაპადოკიაში თავისი პოზიციები ადგილობრივ ტომთა გააქტიურებისა და თანდათანობითი გაერთიანების შედეგად.

ფუზურასურის დინასტიას ბოლო მოუღო ამორეველმა შამშიადად I-მა (1815—1782). ისევე როგორც ცენტრალურ და სამხრეთ შუამდინარეთში, ძალაუფლება აქ შემოკრილ ამორეველ ბელადთა ხელში გადავიდა. შამშიადადმაც შეძლო, როგორც ჩანს, მომთაბარე ამორეულ ტომებზე დაყრდნობით ხელთ ეგდო ძალაუფლება ტიგროსის შუა წელზე, ქ. ასურში, და შემდეგ თავისი ხელისუფლების უფრო ფართოდ გავრცელება. შამშიადადმა მიზნად დაისახა შეექმნა ისეთივე დესპოტური ხელისუფლება, როგორიც იყო დამყარებული ბაბილონში. იგი თავის თავს უბრალოდ იშაკუმას კი არ უწოდებს,

არამედ შარ-ქიშათის „მრავალთა მეფეს“ (დაახლოებით იგივეა, რაც „სამყაროს მეფე“). შამშიადადის ხელქვეით აღმოჩნდა ევფრატის სანაპიროებიც, კერძოდ, თავისი ვაჟი მას ქ. მარის მმართველად დაუყენებია. ასურის მეფეს ერთ დროს ემორჩილებოდა ჩრდილოეთი აქადიც, როგორც მისი წარწერებიდან ჩანს, მას ხარკს აძლევდნენ ასურეთის აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მოსახლე ტომები, ხოლო დასავლეთით შამშიადადს ხმელთაშუა ზღვის სანაპირომდე მიუღწევია, სადაც ლიბანის ქვეყანაში თავისი ძეგლი დაუდგამს.

შამშიადად I-ის მიერ შექმნილ ძლიერ სახელმწიფოს ბოლო მოუღო გაძლიერების გზაზე მდგომმა ბაბილონის სახელმწიფომ, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა მეფე ხამურაბის დროს. ამ უკანასკნელს ასურეთის მხარე დაულაშქრავს და, თუმცა თავისი სამეფოსათვის უშუალოდ არ შეუერთებია, საგრძნობლად კი დაუსუსტებია იგი. არც ხამურაბის სახელმწიფოს დამხობამ მისცა საშუალება ასურეთს კვლავ აღორძინებულიყო. ამ დროს ასურეთის დასავლეთით, მდ. ევფრატის ნოყიერ სანაპიროზე გაძლიერდა ხურიტულ ტომთა დიდი გაერთიანება — მითანის სამეფო.

მითანის მეფე შაუშატარის დროს (დაახლ. 1500 წ. ძვ. წ.) ასურეთი მისი ბატონობის ქვეშ მოექცა. შაუშატარს დაულაშქრავს ასურეთი, ხელთ უგდია ქ. ასური და გაუძარცვავს იგი. ასურში მეფის „ელჩი“ (სუქალუ) იმყოფება, რომელიც, ფაქტიურად, მეფის მოადგილეს, მეფის ნაცვალს წარმოადგენს. მართალია, ასურეთის ზოგიერთ ქალაქში ადგილობრივი მმართველებიც იყვნენ, მაგრამ მათი როლი მცირე იყო და ისინი ფაქტიურადაც მითანის მეფის ქვეშევრდომები იყვნენ.

ასურეთის როლი ამ პერიოდში საერთოდაც დაეცა. საერთაშორისო სავაჭრო გზებმა დასავლეთით გადაინაცვლა, ძირითად სავაჭრო ცენტრებად იქცა სირიისა და, განსაკუთრებით, ფინიკიის ქალაქები, სადაც თავს იყრის კრეტა-მიკენის, ეგვიპტის, ხეთების, მითანის მხარეებიდან მომავალი საქონელი. მართალია, ასურეთის ვეშვეობით ვაჭრობა ინარჩუნებს მნიშვნელობას ბაბილონისათვის, მაგრამ ასურეთი ვეღარ არის ისეთი აქტიური, როგორიც ადრე იყო. მას უკვე აღარ შეუძლია თავისი სავაჭრო კოლონიების გაყვანა მცირე აზიაში და ჩრდილოეთ მესოპოტამიაში იქ ხეთებისა და მითანის მძლავრი სახელმწიფოების წარმოქმნის გამო.

მითანის დასუსტება და ასურეთის პოლიტიკური გაძლიერება. XV ს. დასაწყისიდან მითანის სახელმწიფო საგრძნობლად დასუსტდა. ეგვიპტელებმა გააძევეს ის სირიის ოლქებიდან. ამით ისარგებლეს ასურეთის მმართველებმა და ცდილობდნენ დამოუკიდებლობის მოპოვებას. როგორც ჩანს, დროდადრო ისინი ამას აღწევენ კიდეც. ასუ-

რულ წყაროებში XV ს. მეორე ნახევრისათვის იხსენიებიან მმართველები, რომელნიც „მეფის“ ტიტულს ატარებდნენ, მითანისაგან დამოუკიდებლად ბაბილონის კასიტური დინასტიის ნეფეებთან ხელშეკრულებებს დებდნენ და სასაზღვრო საკითხებს არკვევდნენ. მაგრამ XIV ს. 70-იან წლებამდე ასურეთი მაინც მითანის ძალაუფლების ქვეშ რჩებოდა. მითანისაგან განთავისუფლებისათვის ხელსაყრელი პირობები ასურეთს შეექმნა მას შემდეგ, რაც ხეთების მეფემ სუფილულიუმა I-მა (1370 წ. ახლო ხანებში) გაანადგურა მითანის მეფის, თუშრათას ჯარები და დაიკავა მთელი ჩრდილოეთი სირია. მითანის ამ მარცხით და მისი ძლიერების დაცემით ისარგებლა ქ. ასურის მმართველმა ა ს ურ უ ბ ა ლ ი ტ მ ა, თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა და თვით გადავიდა შეტევაზე თავისი ქვეყნის ყოფილი მპყრობელის წინააღმდეგ.

ასურუბალიტ I-ის დროიდან (1365—1330) იწყება ასურეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა და მისი ახალი აღმავლობის ხანა, ანუ ეგრეთ წოდებული „შუაასურული პერიოდი“.

მიუხედავად ხეთებისა და ასურელებისაგან განცდილი მარცხისა, მითანის სამეფო კიდევ კარგა ხანს არსებობდა, ვაგრამ ასურეთმა მისგან სრული დამოუკიდებლობა მოიპოვა და მისი ცალკეული ოლქებიც დაიპყრო.

მოიპოვა თუ არა დამოუკიდებლობა, ასურეთი ცდილობდა გარეპოლიტიკური კავშირების დამყარებას. ამ მხრივ ნიშანდობლივია ასურუბალიტის დიპლომატიური ურთიერთობა ეგვიპტის ფარაონ ამენჰოტეპ IV-სთან, ანუ ეხნატონთან. ცნობილია მისი ორი ელჩობა ეხნატონთან. პირველი ელჩობის დროს ასურეთის მეფე ფარაონს მხოლოდ საჩუქრიბს უგზავნის, ხოლო მეორე ელჩობის დროს, მირთმეულ საჩუქართა სანაცვლოდ, ოქროს გამოგზავნას სთხოვს. ამ მეორე ელჩობისას ასურუბალიტი გვევლინება ეგვიპტის ფარაონის სრულუფლებიან პარტნიორად, მის „ძმად“. აქვეა აღსანიშნავი, რომ ფარაონისადმი გაგზავნილ წერილებში ასურეთის მფლობელი თავის თავს „მეფეს“ (შარუ) ან „დიდ მეფეს“ (შარუ რაბუ) უწოდებს.

ასურეთისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ევფრატის სანაპიროზე გასვლას, მაგრამ აქ ის ბაბილონის წინააღმდეგობას წააწყდებოდა, რადგან ასურელები ამით ხელთ იგდებდნენ ბაბილონიდან ჩრდილოეთიდ მიმავალ უმთავრეს სავაჭრო მაგისტრალს. ასურუბალიტი აქაც მოხერხებულ პოლიტიკას ატარებს. იგი თავის ქალს მიათხოვებს ბაბილონის მეფეს ბურნაბურიაშს, რაც ასურეთის მეფეებს შეეფდგომში საშუალებას მისცემს ჩაერიონ ბაბილონის სამეფოს შინაურ საქმეებში.

თავისი მეფობის უკანასკნელ წლებში ასურბანიპალი, სარგებლობს რა ბაბილონში ტახტის პრეტენდენტთა ურთიერთბრძოლით, იპრობა მის საზღვრებში და ტახტზე თავის შვილიშვილს ქურიგალზუს სვამს.

ასურბანიპალის მემკვიდრეები განაგრძობენ მის აქტიურ საგარეო პოლიტიკას, რის შედეგადაც აფართოებენ ასურეთის საზღვრებს და იქვემდებარებენ მეზობელი ქვეყნებისა და ტომების საკმაოდ დიდ ნაწილს. მეფე ადადნირარი I (1307—1275) ლაშქრავს ასურეთის დასავლეთით მითანის სამეფოს ტერიტორიას და აღწევს ხარანსა და ქარხემიშამდე. მნიშვნელოვნად აფართოებს იგი თავის საფლობელოებს სამხრეთით და აღმოსავლეთითაც. აღსანიშნავია, რომ სწორედ ადადნირარის დროიდან შეინიშნევა ცდა დაპყრობითი პოლიტიკის კანონიერად და ღმერთებისათვის სასურველად გამოცხადებისა. ადადნირარი თავის თავს „ყოველთა მეფეს“ (შარ-ქიშათი) უწოდებს. მის წარწერებში იგი გამოცხადებულია „მეფედ, რომელმაც ყველა მტერი, ზევით და ქვევით მცხოვრები, განდევნა და ყველა ქვეყანა თავის ფერხთით დასცა“.

ადადნირარის მემკვიდრის სალმანასარ I-ის (1724—1245) დროს ასურეთი იწყებს აგრესიულ მოქმედებას ჩრდილოეთით ურუატრის (მერმინდელი ურარტუს სამხრეთი ნაწილი) წინააღმდეგ, სადაც სამი დღის განმავლობაში აღწევს გამარჯვებას, იპყრობს და ანადგურებს სოფლებსა და გამაგრებულ დასახლებებს. წარმატებებს აღწევს სალმანასარ I დასავლეთითაც, სადაც ლაშქრობს ქარხემიშამდე და ამ ოლქებს უშუალოდ უერთებს ასურეთს. დალაშქრული იყო აგრეთვე ბაბილონიც. სალმანასარ I-ის დროს გარკვეულად ყალიბდება ასურეთის მეფეთა დიდმპყრობელური პოლიტიკა.

განსაკუთრებით აგრესიულ პოლიტიკას ატარებს მეფე თუქულთინინურტა I (1244—1208). მიუხედავად მისი წინამორბედების წარმატებითი ომებისა, მათ მიერ დალაშქრული ქვეყნები ასურეთს არ ემორჩილებოდა; როგორც კი ასურეთის ლაშქარი თითქოს დამორჩილებულ-დაპყრობილ ოლქს ტოვებდა, აქ კვლავ ადგილობრივი ხელისუფლება აღდგებოდა და ასურეთის მეფეებს უხდებოდათ ამ ქვეყნების ხელახალი დალაშქვრა. ამავე დროს, ასურეთის სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვან საშიშროებას წარმოადგენდნენ მომთაბარე ტომები, რომლებიც ოდესღაც ევფრატის გადაღმა სახლობდნენ, ამ დროისათვის კი მათ ევფრატი გადმოლახეს და ჩრდილოეთ შუამდინარეთის დაბლობი და ზეგანის ნაწილი დაიკავეს. ამ მომთაბარე ტომებთან, რომელთა შორის განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი ახლამუს (ამორეველების) ტომი იყო, ბრძოლა თუქულთინინურტას წინამორბედებსაც უხდებათ, ხოლო უკანასკნელი ახერხებს მათ დამორჩილებას და დაბეგვრას.

თუქულთინინურტა ანადგურებს ჩრდილო სირიის ხეთურ ოლქებს, საიდანაც, მისი წარწერის მიხედვით, 28000 ტყვე მოჰყავს. დალაშქრავს იგი აგრეთვე ასურეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ელამის ტერიტორიაზე მოსახლე ტომებსაც და დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ოლქებს. ჩრდილოეთით იგი იჭრება ნაირის მხარეში და ამარცხებს 43 „მეფეს“.

თავისი მეფობის მეთერმეტე წელს თუქულთინინურტა შეიჭრა ბაბილონში, აიღო ქალაქი ბაბილონი, გაძარცვა იგი, დაანგრია მისი სიმაგრეები, მეფე კასტილიაშ IV ტყვედ წამოიყვანა, გაძარცვა ღმერთ მარდუკის ტაძარი, ხოლო თვით ღმერთის ქანდაკება „ტყვექმნილი“ წამოიღო ასურში. კასიტების დიდი რაოდენობა ასურეთში იქნა გამორეკილი და კალხუსთან (დღევ. ნიმრუდი) დასახლებული.

თუქულთინინურტას დროს ასურეთის საზღვრებში მტკიცედ შევიდა ყოფილი მითანის მიწა-წყალი და მისი ტერიტორია დასავლეთით ევფრატამდე გავრცელდა.

დაპყრობილი ქვეყნების უფრო მყარად შემომტკიცების მიზნით თუქულთინინურტა ფართოდ შიმართავს დამორჩილებულ ოლქთა მცხოვრებლების დიდი რაოდენობით ასურეთში გადმოსახლების, მძევალთა აყვანის მეთოდებს, აგრეთვე ზოგიერთ ოლქში (მაგალითად, მითანში) სიმაგრეების აგებასა და იქ ასურული ჯარების დატოვებას.

ფართო დაპყრობით პოლიტიკას მარტო საზღვრების გაფართოებისა და პოლიტიკური პრესტიჟის ამაღლების მიზანი არ ჰქონია. ასეთი დაპყრობები წმინდა ეკონომიკური ამოცანებითაც იყო ნაკარნახევი. დალაშქრული ქვეყნებიდან ასურელებს უამრავი ნადავლი მოჰქონდათ, განსაკუთრებით ისეთი ნედლეული, რაც ასურეთში ცოტა იყო, მაგალითად: ლითონი, ხე-ტყე, სოფლის მეურნეობის პროდუქტები. დაპყრობილ ოლქებს ხარკს ადებდნენ. ეს ყველაფერი ამდიდრებდა ქვეყანას, პირველ რიგში, ცხადია, მის გაბატონებულ ზედაფენას.

თუქულთინინურტა, თავის წინამორბედთა მსგავსად, საკმაოდ ფართო სამშენებლო მოღვაწეობასაც ეწეოდა. ამისათვის ის სწორედ მოპოვებულ ნადავლს და დატყვევებულთა შრომას იყენებდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასურელ მეფეთა ზრუნვა საკუთარი სასახლეების გადიდება-გამშვენიერებაზე. ეს ღონისძიება მიზნად ისახავდა არა მარტო ესთეტიკური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, არამედ ემსახურებოდა მეფის ძლიერების, მისი პიროვნების ბრწყინვალების ხაზგასმას, მისი განსაკუთრებული მდგომარეობის სიმბოლიზაციას. თუქულთინინურტას დროისათვის მეფე უკვე ხდება სავსებით შეუზღუდველი მეუფე და ერთპიროვნული მმართველი, ღმერთის მოადგილე დედამიწაზე. მის ხელში იყრის თავს სახელმწიფო

მმართველობის ყველა ძაფი და ის ნამდვილ დესპოტად გვევლინება.

თუქულთინინურტას მეფობის უკანასკნელი წლები ბურუსითაა მოცული, ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ იგი სასახლის გადატრიალების მსხვერპლი გამხდარა.

თუქულთინინურტას ნემკვიდრეთა დროს ასურეთის სახელმწიფო საგრძნობლად სუსტდება. ბაბილონში ახალი დინასტიის ენერგიული წარმომადგენლის, ნაბუქოდონოსორ I გამეფების შემდეგ ბაბილონი კვლავ გაძლიერდა და გარკვეული დროით ასურეთი თავის გავლენასაც დაუმორჩილა. არამყარი აღმოჩნდა სხვა დაპყრობებიც, დამორჩილებულმა ტომებმა და ხალხებმა კვლავ იგდეს ხელთ დამოუკიდებლობა.

მხოლოდ XII ს. ბოლოს, მეფე ტიგლათფილესერ I-ის (1115—1077) დროს მოხდა ასურეთის დროებითი აღზევება და მისი საგარეო ძლიერების აღდგენა. გამეფების პირველ წლებშივე ტიგლათფილესერ I ლაშქრობს მცირე აზიის აღმოსავლეთ ოლქებში, სადაც ამ დროს მუშქების დიდი გაერთიანებაა წარმოქმნილი, ცეცხლითა და მახვილით გაივლის ამ ქვეყანაზე და დაიმორჩილებს მას. ლაშქრობის შემდგომ ასპარეზად ხდება ყოფილი მითანის სამეფოს ტერიტორია, რომელიც ასევე დაპყრობილ იქნა. ამის შემდეგ ტიგლათფილესერ I მიმართავს თავის მახვილს ჩრდილოეთით, ნაირის მხარისაკენ, სადაც მის წინააღმდეგ ნაირის ტომთა საკმაოდ მსხვილი გაერთიანება გამოდის, მაგრამ ასურეთის მეფე ამარცხებს ამ კავშირს, ანადგურებს მის დასახლებებს, ხელთ იგდებს დიდძალ ნადავლს, ტყვეებს და მძევლებს.

ტიგლათფილესერ I წარმატებებს აღწევს სირიაშიც, მიდის ლიბანის მთებამდე და გადალახავს რა მათ, ფინიკიის ქალაქებს — ბიბლოსს, სიდონს და არვადს — დახარკავს, აქედან გაჰზიდავს კედრის ხეებს, რომლითაც ასურში ტაძრებს აგებს.

ტიგლათფილესერ I-ის წინაშე აუცილებელ ამოცანად ისახება იმ მომთაბარე ტომთა ალაგმვა და განადგურება, რომელთა თავდასხმები სულ უფრო საშიში ხდება ასურეთისათვის. ყველაზე მრავალრიცხოვანი და მოუსვენარი ახლამუს, ანუ არამეელთა ტომები იყო. ტიგლათფილესერმა შეძლო მათი უკუგდება და ევფრატის გადაღმა გადარეკვა, მაგრამ აქ ისინი ფართო ველზე გაიფანტნენ და მეფემ, მიუხედავად ენერგიული დევნისა, მათი განადგურება ვერ შეძლო.

ტიგლათფილესერ I-მა თავისი მეფობის ოცდამეათე წელს დალაშქრა ბაბილონიც, შემდეგ წელს ხელმეორედ შეესია მას, აიღო და მიწასთან გაასწორა ბაბილონი და სიფარი. ასურეთი გარეგნულად უდიდეს ძლიერებას აღწევს, უჩვეულოდ ამაღლდა მისი საერთაშორისო ავტორიტეტიც, მაგრამ ეს ძლიერება მეტად არამყარი აღმოჩნდა. ტიგლათფილესერ I-ის მემკვიდრეთა დროს დაიწყო ასურეთის

ხელახალი დაცემა, რაც ძირითადად არამეული ტომების შემოსევებით იყო გამოწვეული. მრავალი ომითა და გამუდმებული ლაშქრობებით დასუსტებული ასურეთი ველარ აღუდგება წინ არამეელთა შემოსევებს, თანდათანობით კარგავს ყველა დაპყრობილ ოლქს და საბოლოოდ ქვეითდება.

ასურეთის საშინაო ვითარება შუაასურულ ხანაში. ასურეთის გაერთიანება ერთ სახელმწიფოდ და მისი წარმატებები საგარეო სარბიელზე ხელს უწყობდა ვაჭრობის ხელახალ აღორძინებას, მაგრამ შუაასურულ ხანაში საგარეო ვაჭრობამ მაინც ვერ მოიპოვა ისეთი წამყვანი როლი, როგორიც მას ადრეულ პერიოდში ჰქონდა; ამის მიზეზი იყო მცირე აზიაში ძლიერი ხეთების სახელმწიფოს წარმოქმნა და სავაჭრო გზების გადანაცვლება უფრო დასავლეთით. ამასთან, ერთიანი სახელმწიფოს შექმნამ, ევფრატისპირა დაბლობი ოლქების დაპყრობამ ხელი შეუწყო მიწათმოქმედების ხვედრითი წონის გაზრდას ქვეყნის ეკონომიკაში.

ასურეთის სახელმწიფოში მიწის უმთავრეს მფლობელს წარმოადგენდა სასოფლო თემი. სათემო მიწის მთელი ფონდი შედგებოდა დასამუშავებელი მიწისაგან, რომელიც იყოფოდა ნაკვეთებად; ეს ნაკვეთები ცალკეულ ოჯახებს ურიგდებოდა და პერიოდულად გადანაწილებას განიცდიდა. სათემო მიწებში შედიოდა კიდევ სათადარიგო მიწები, რომლებიც საერთო საკუთრებაში ითვლებოდა. უკვე შუაასურულ ხანაში ხდებოდა მიწების გასხვისება. შემორჩენილი დოკუმენტები ცხადყოფენ მიწის ნაკვეთების ყიდვა-გაყიდვის ფაქტებს, მაგრამ ეს პროცესი გართულებული იყო სხვადასხვა ფორმალობით და მიწის გაყიდვის შესახებ ხელშეკრულება საჭიროებდა მეფის ან მისი სათანადო მოხელის დასტურს, რაშიც ელინდებოდა მეფის უფლება. როგორც მთელი მიწის უზენაესი მესაკუთრისა. თემი იყო ის ორგანიზაცია, რომელიც იხდიდა გადასახადს და ბეგარას. საერთოდ, მეფის ხელისუფლება ყოველმხრივ კონტროლს უწევდა სასოფლო თემს და აწესრიგებდა მის ურთიერთობას მსხვილ მიწისმფლობელებთან.

შუაასურული ხანისათვის ჯერ კიდევ დამახასიათებელია დიდი პატრიარქალური ოჯახის არსებობა, მაგრამ მის შიგნით უკვე ჩნდება ბზარი და შემონახულ დოკუმენტებში ჩანს, როგორ იყოფა ერთიანი ოჯახი. არსებული წესის მიხედვით ოჯახის გაყოფისას უფროსი ვაჟი ღებულობს მიწის ორ წილს, რომელთაგან ერთს თვითონ ირჩევს, მეორეს არგუნებს წილისყრა, დანარჩენი მიწა კი თანაბრად ნაწილდება ძმებს შორის. ეს წესი იწვევს ოჯახშივე ქონებრივი უთანასწორობის წარმოქმნას.

შუაასურული ხანის საკანონმდებლო ძეგლებში გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი ქალის უფლებრივ მდგომარეობას. ქალი საკმაოდ უუფლებო ჩანს ამ ძეგლების მიხედვით. გათხოვებისას ქმარი მას ფაქტიურად ყიდულობდა და შემდეგ ცოლი ქმრის სრულ მორჩილებაში ექცეოდა. ქმრის გარდაცვალების შემთხვევაში ცოლი გადადიოდა ოჯახის სხვა მამაკაცის ხელში (მაზლის, მამამთილის, გერის) და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ოჯახში არ რჩებოდა 10 წელზე უფროსი ასაკის ვაჟი, ქალს ჰქონდა გარკვეული უფლებამოსილება ოჯახის მართვის საქმეში. მართალია, ასურული კანონები ერთგვარ გარეგნულ უპირატესობას ანიჭებდნენ თავისუფალ ქალს მონა ქალთან შედარებით (თავისუფალ ქალს ჰქონდა მანდილის ტარების უფლება, მონა ქალს კი, ისევე როგორც მეძავ ქალებს, ეს ეკრძალებოდათ და მანდილის ტარებისათვის სასტიკად ისჯებოდნენ — მათ როზგავდნენ), მაგრამ ქალის უფლებრივ მდგომარეობაზე ეს დიდ გავლენას არ ახდენდა.

შუაასურულ კანონებში კარგად გამოსჭვივის მათი ძირითადი ტენდენცია — დაიცვან კერძო საკუთრება. ტიგლათფილესერ I-ის დროინდელი კანონების სპეციალური მუხლები სასტიკად სჯიან სამიჯნო ქვების ხელმყოფს: მას თითს სჭრიან, 100 როზგს არტყამენ და გარკვეულ დროს იძულებით ამუშავებენ.

ქონებრივი დიფერენციაცია ამ დროს უკვე საკმაოდ მკვეთრად ისახება. ცალკეული პირების ხელში თავს იყრის დიდი სიმდიდრე, ვაჭრობისა და მევახშეობის განვითარება შლის სასოფლო თემს, ხელს უწყობს მეთემეთა შორის მდიდარი ზედაფენისა და ღარიბი, გაღატაკების გზაზე მდგომი მწარმოებელი ფენის გამოყოფას. რაც შეეხება მონობას, იგი ამ დროს ჯერ კიდევ მეტად შეზღუდულია. რიგითი მეთემის მეურნეობაში მონის შრომა არ გამოიყენებოდა, მცირე იყო მონების რიცხვი მდიდარ მიწათმფლობელთა მამულებშიც. ნართალია, შუაასურული ხანის მეფეთა დაპყრობითი ომების დროს ასურელები ბევრ ტყვეს შოულობდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ნათ ყოველთვის მონებად არ აქცევდნენ. მაგალითად, სალმანასარ I ურუატრის ქვეყანაში ლაშქრობისას აღნიშნავდა თავის წარწერაში, რომ მან მხოლოდ ისინი აქცია თავის მსახურად ტყვეთაგან, რომლებიც განსაკუთრებით მოეწონა. ხეთებისა და არამეელების დამარცხების შემდეგ იგივე სალმანასარ I 14000 ტყვეს მონად კი არ აქცევს, არამედ აბრმავებს. იმ ტყვეებსაც, რომლებიც მონები ხდებიან, როგორც ჩანს, უმთავრესად თვით მეფე და მისი კარი იყენებს სასახლეში ან ტაძრებს სწირავს მსხვერპლად. ყოველ შემთხვევაში, ამ დროისათვის ასურეთში მონათმფლობელურ მეურნეობაზე ლაპარაკი გამორიცხულია.

რაც შეეხება სავალო მონობას, იგი უკვე საკმაოდ ფეხმოკიდებული ჩანს ამ დროისათვის. ქონებრივი დიფერენციაციის გაღრმავე-

ბა იწვევდა მწარმოებელი მოსახლეობის გაღატაკებასა და დავალიანებას, ამასთან, მოვალე საწინდრად აძლევდა მევალეს მიწას, სახლს, საქონელს და თავისი ოჯახის წევრებსაც.

თუ ვალი საბოლოოდ არ იქნებოდა გადახდილი, გირაოში დატოვებული პირი უკვე კრედიტორის სრულ საკუთრებაში გადადიოდა და მისი მონა ხდებოდა. მაგრამ ასეთ მონათა რიცხვი არ შეიძლებოდა იმდენად დიდი ყოფილიყო, რომ მათ მეურნეობაში რაიმე გადამწყვეტი როლი ეთამაშათ.

ასურეთის ხელახალი გაძლიერება. მიუხედავად იმისა, რომ II ათასწლეულის ბოლოს ასურეთი არამეელთა შემოსევების შედეგად დასუსტდა და საკუთრივ ასურული ოლქებით შემოიფარგლა, მან შეინარჩუნა გარკვეული შინაგანი პოტენციალი, რათა თანდათან კვლავ გაძლიერებულიყო.

განსაკუთრებით ფართოვდება ასურეთის სახელმწიფო მეფე ასურნასირფალ II-ის დროს (885—860). მან გაილაშქრა არამეული ტომების წინააღმდეგ, რომლებიც ევფრატის ნაპირებზე სახლობდნენ და დაიმორჩილა ისინი. ასეთივე ძლევამოსილი ლაშქრობები ჩაატარა ნან აღმოსავლეთით მთიან ოლქებში და ასურეთის სახელმწიფო აღადგინა თითქმის იმ ფარგლებში, რომელიც მას ჰქონდა XIII—XII სს. ასურნასირფალმა ილაშქრა ჩრდილოეთ სირიაში, აქედან გადალახა ლიბანის მთები, მიაღწია ხმელთაშუა ზღვას და დახარკა ფინიკიის ქალაქები: ტვიროსი, სიდონი და ბიბლოსი. ჩრდილოეთით იგი ნაირის მხარეში შეიჭრა და დიდძალი ნადავლით გამობრუნდა უკან.

ასურნასირფალ II არაჩვეულებრივი სისასტიკით იქცეოდა დალაშქრულ ქვეყნებში, თავის გზაზე ყოველივეს ანადგურებდა, ანგრევდა და წვავდა, მოსახლეობას მასიურად სპობდა და ატყვევებდა, მის შემდეგ ეს ქვეყნები გაუკაცრიელებულ და უდაბურ მხარეებად იქცეოდა.

ასეთივე პოლიტიკას აგრძელებს მისი ვაჟი სალმანასარ III (860—825). თავისი მეფობის მანძილზე იგი ყოველწლიურად აწყობს ლაშქრობებს ყველა მიმართულებით, ჩრდილოეთ სირიაში, ტიგროსის აღმოსავლეთით მდებარე ოლქებში, ნაირის მხარეში იგი რამდენჯერმე ძლევამოსილად ლაშქრობს და დიდძალი ნადავლით და მრავალრიცხოვანი ტყვეებით ბრუნდება. ამიერიდან ასურეთს ჩრდილოეთით საქმე ექნება არა ნაირის ტომების გაერთიანებებთან, არამედ აღმავლობის გზაზე მდგომ, ერთიან ურარტუს სახელმწიფოსთან. ამ მიმართულებით ასურეთს უკვე კარგა ხნის მანძილზე აღარ შეეძლო აქტიური მოქმედება. გამანადგურებელი ლაშქრობა მოაწყო სალამანასარ III-მ ბაბილონის წინააღმდეგ და სპარსეთის ყურის ნაპირებსაც მიაღწია. ბაბილონის ტახტზე მან თავისი ერთგული პირი დასვა.

სალამანასარის მემკვიდრეების დროს ასურეთის დაპყრობითი პოლიტიკა უკვე აშკარა კრიზისს განიცდის; ასურეთი მხოლოდ ცალკეული დამსჯელი ექსპედიციების მოწყობას ახერხებს დაპყრობილ ოლქებში აჯანყებების ჩასახშობად და არანცთუ ვერ აფართოებს თავის საზღვრებს, არამედ ზოგიერთ, ადრე მოპოვებულ პოზიციასაც კარგავს.

ურარტუ წარმატებით იგერიებს ასურელთა თავდასხმებს და შეტევაზეც კი გადადის და ასურეთს უხდება ახლა თავისი საზღვრების დაცვაზე ზრუნვა. მეფეების — არგიშთი I-ისა და სარდური II-ის — დროს ურარტუ სამხრეთისაკენ დაიძრა და ასურეთს გზა გადაუკეტა ჩრდილო-დასავლეთით მცირე აზიისა და ჩრდილო სირიისაკენ. დაიკავა რა ასურეთის კუთვნილი ზოგიერთი ჩრდილოეთი ოლქი. 745 წ. ასურეთის ტახტზე ადის მეფე ტიგლათფილესერ III, რომელსაც საკმაოდ რთული საგარეო და საშინაო საკითხები ჰქონდა გადასაწყვეტი.

743 წ. ტიგლათფილესერ III გადალახავს ევფრატს და ლაშქრობას იწყებს სირიაში, სადაც ამ დროს ახალ კოალიციას სათავეში ქალაქი არფადი უდგას. მაგრამ ევფრატთან ის შეფერხდა. აქ ნის ჯარს თავს დაესხა ურარტუს მეფე სარდური III. ტიგლათფილესერმა დაამარცხა იგი და ჩრდილოეთისაკან უკუაგდო, შევიდა სირიაში, ორწლიანი ალყის შემდეგ, 740 წ. აიღო ქ. არფადი, რასაც მოჰყვა სირიისა და კილიკიის ქალაქების, მათ შორის დამასკოს დამორჩილება და მათგან ხარკის აღება. მაგრამ უკვე მეორე წელს ასურეთის მეფეს კვლავ მოუხდა სირიაში გალაშქრება და მისი ხელმეორედ დამორჩილება. სირიის ქალაქები, ასევე მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის ოლქები (თაბალებისა და ქუე-კილიკიის) თავს ასურეთის ნოხარკედ ცნობენ. სირიაში მეტ-ნაკლებად ფეხის მოკიდება საშუალებას აძლევს ტიგლათფილესერს თავისი ყურადღება ჩრდილოეთით, ურარტუსაკენ მიმართოს.

პირველ ლაშქრობას 737 წ. მეთაურობს ერთ-ერთი სარდალი, რომელიც უმთავრესად ვითარებას ზვერავს და პლაცდარმებს ამზადებს გადამწყვეტი ბრძოლებისათვის. ამავე დროს ასურეთის ჯარი შეიჭრება შორს აღმოსავლეთით მიდების ტომის ტერიტორიაზე (მერმინდელი მიდია), აქედან დიდ ხარკს წამოიღებს და 40000 ტყვეს წამოასხამს.

736 წ. უკვე თვით ტიგლათფილესერ III შედის თავისი არმიით ურარტუს ტერიტორიაზე და ლაშქრავს ვანის ტბასა და ევფრატს შორის მდებარე ოლქებს. ხოლო ჩრდილოეთი და ცენტრალური სირია ტიგლათფილესერმა უშუალოდ თავის ძალაუფლებას დაუმორჩილა და მათგან შექმნა ადმინისტრაციული ოლქები. აქაური მოსახლეობის

დიდი რაოდენობა ასურეთის სახელმწიფოს სხვა მხარეებში იქნა გადასახლებული. მოხარკე სამეფოთა შემადგენლობაში შევიდა ისრაელთა სამეფო და არაბეთი. ამ უკანასკნელის დედოფალი, ბარკის გარდა, ტიგლათფილესერს აძლევდა 10000 მეომარს. 732 წ. აღებულ იქნა ქ. დამასკოც.

ამის შემდეგ ასურეთის მეფის წინაშე დგება ბაბილონის საკითხი, სადაც ამ დროს ტახტის გარშემო მიმდინარეობს შინაბრძოლები. ტიგლათფილესერი ერევა ამ ბრძოლაში, მაგრამ ბაბილონს უშუალოდ არ უერთებს ასურეთს; ის თავის თავს ბაბილონის მეფედ აცხადებს და ნომინალურად ქმნის თავისებურ კავშირს ბაბილონისა და ასურეთის სამეფოებისას. ეს, ცხადია, დიპლომატიური ხერხი იყო, რეალურად კი ბაბილონიც ასურეთის მეფეს ემორჩილებოდა.

აღსანიშნავია ტიგლათფილესერ III-ის ღონისძიებები, რომელთა მიზანი იყო ქვეყნის მეტი ცენტრალიზაცია და მისი სამხედრო ძლიერების განმტკიცება. სწორედ ამ ღონისძიებების წყალობით აბერხებს იგი ესოდენ წარმატებული საგარეო პოლიტიკის განხორციელებას.

ადმინისტრაციულ სფეროში ტიგლათფილესერმა შეამცირა ის ოლქები, რომელთაც სათავეში მეფის ნაცვლები ედგნენ. ამ დიდი სამეფისნაცვლოების მაგიერ შეიქმნა უფრო პატარა ადმინისტრაციული ერთეულები, რომელთაც ახლა „ოლქის უფროსნი“ მართავდნენ. მათ ევალებოდათ ამ ოლქებში გადასახადების აკრეფისა და ბეგარაზე ხალხის გაყვანის უზრუნველყოფა. ამასთან, ისინი სათავეში ედგნენ მათ ოლქში შეკრებილ სამხედრო კონტინგენტებს; ძველი მეფის ნაცვლებისაგან განსხვავებით, მათ არ ჰქონდათ გადასახადებისა და ბეგარისაგან ვისიმე განთავისუფლების უფლება. „ოლქის უფროსნი“ ემორჩილებოდნენ მეფის დიდმოხელეს — „სახელმწიფო ბაცნეს“. ადმინისტრაციულ ერთეულთა შემცირებით, მათი მმართველების უფლებათა ერთგვარი შეკვეცით ტიგლათფილესერმა უზრუნველყო ცენტრალური ხელისუფლებისადმი ცალკეული ოლქების თავნება მმართველთა მორჩილება.

მნიშვნელოვანი იყო ტიგლათფილესერ III-ის სამხედრო რეფორმაც. მან შექმნა მუდმივი სამეფო ჯარი, რომელიც ასურეთის ლაშქრის ძირითადი ბირთვი ხდებოდა. ეს ჯარი მთლიანად მეფის კმაყოფაზე იყო და ამდენად მის დასაყრდენს წარმოადგენდა. ეს აძლევდა მას საშუალებას ჯარში გაეწვია ღარიბი, არაფრისმქონე პირებიც. ეს, თავის მხრივ, ზრდიდა არმიას, ჯარი აღჭურვილი იყო სტანდარტული იარაღით, რაც ამაღლებდა მის ბრძოლის უნარს. ჯარი დაიყო ქვეგანაყოფებად. რომლებშიც გარკვეული შეფარდებით შედიოდნენ ქვეითი მძიმედ შეირაღებული მეომრები, ცხენოსნები და ეტლოსნები. ქვეგანა-

ყოფების შექმნა აადვილებდა ჯარის ხელმძღვანელობას, ზრდიდა მის მოძრავუნარიანობას და მანევრირებას. მუდმივი ჯარი ყოველდღიურ წვრთნას გადიოდა. შეიქმნა სპეციალური დამხმარე რაზმები, რომელთაც თავისებური „საინჟინრო“ ფუნქციები ევალებოდათ — მათ უნდა ეზრუნათ გზების, ხიდების, სამხედრო ბანაკების მშენებლობაზე, საალყო სამუშაოების ჩატარებაზე. ამრიგად, ძირითადი მებრძოლი ნაწილი თავისუფლდებოდა ამ დამქანცველი სამუშაოებისაგან ლაშქრობის დროს. იმისათვის, რომ მუდმივი ჯარი იარაღით მომარაგებულიყო, შეიქმნა სპეციალური იარაღის სახელოსნოები და „არსენალები“ — იარაღის საწყობები. ასურეთის ჯარის აღჭურვილობა რკინისა და ბრინჯაოსაგან ამზადდებოდა, თვით იარაღი — სატევრები, შუბები და ისრისპირები — რკინისა იყო, ხოლო ჯავშან-შუზარადები და ფარები — ბრინჯაოსი.

სწორედ ასეთი ორგანიზებული ჯარის შექმნამ მისცა საშუალება ტიგლათფილესერ III მიეღწია წარმატებებისათვის ბრძოლებში.

ტიგლათფილესერ III 727 წ. გარდაიცვალა.

მისი ვაჟისა და მემკვიდრის სალმანასარ V (727—722) მეფობის შესახებ მეტად მწირი ცნობებია მოღწეული, მაგრამ არსებული წყაროები მაინც გვაძლევენ საშუალებას სალმანასარ V საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მოვლენები წარმოვიდგინოთ. რამდენადაც იგი, გარდა ასურული სახელისა — შულმანუაშარედ, ატარებდა ბაბილონურ სახელსაც — ალულაია, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ინარჩუნებდა ხელისუფლებას ბაბილონში.

ცნობილია, რომ ასურეთის წინააღმდეგ ამხედრდა ფინიკიური ქალაქი ტვიროსი, რომელსაც მხარს უჭერდა ისრაელის მეფე ოსია. სალამანასარ V-მ დაამარცხა ტვიროსელთა და ისრაელთა გაერთიანებული ლაშქარი და ალყა შემოარტყა როგორც ტვიროსს, ისე ისრაელის დედაქალაქ სამარიას, ალყის წარმატებით დაგვირგვინებას თვით სალმანასარ V ვეღარ მოესწრო.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სალმანასარ V რეფორმას. ამ დროისათვის ასურეთის გაბატონებული კლასი ორ დაჯგუფებად გაიყო. ერთი მათგანი შედგებოდა ქურუმობისა და მასთან დაკავშირებული ბაბილონის მსხვილი მონათმფლობელებისა და ვაჭრებისაგან. იგი მოითხოვდა გაბატონებული კლასის უფლებათა და პრივილეგიების შემდგომ გაფართოებას, კერძოდ კი ქალაქებისათვის თვითმმართველობისა და გადასახადებისაგან შეუვალობის მინიჭებას. მათ აინტერესებდათ ვაჭრობისა და მონათმფლობელური სასაქონლო მეურნეობის განვითარება. ამ ღონისძიებათა გატარება შესაძლებლად

მიაჩნდათ, თუნდაც სამხედრო ხარჯების შემცირებისა და საგარეო დაპყრობათა შეკვეცის ხარჯზე.

გაბატონებული კლასის მეორე დაჯგუფება უმთავრესად არმიასთან იყო დაკავშირებული და მისი შემოსავალი ძირითადად ომი, დაპყრობები იყო. ეს დაჯგუფება სახელმწიფოს მთავარ დასაყრდენს არმიაში ხედავდა და თვლიდა, რომ სახელმწიფოში ყველაფერი არმიის ინტერესებს უნდა დამორჩილებოდა. ტიგლათფილესერ III სწორედ ამ დაჯგუფების პოლიტიკას ატარებდა, ხოლო სალმანასარ V ამ მხრივ კიდევ უფრო აქტიურად მოქმედებდა.

თავისი რეფორმით მან წაართვა საგადასახადო შეუვალობა და თვითმმართველობის უფლება იმ ქალაქებს, რომელთაც ადრე ეს პრივილეგიები ჰქონდათ, კერძოდ, ბაბილონში ქალაქებს — ბაბილონს, სიფარსა და ნიფურს, ხოლო ასურეთში — ასურს. ამ ღონისძიებამ გამოიწვია სალმანასარ V-ის წინააღმდეგ პირველ დაჯგუფებაში შემავალ მიწათმფლობელთა, ქურუმთა და დიდვაჭართა უკმაყოფილება, რაც შეთქმულებაში გადაიზარდა. 722 წ. სალმანასარ V მოკლულ იქნა და ასურეთის ტახტზე ავიდა სარგონ II (722—705).

გამეფებისთანავე სარგონ II-მ დაუბრუნა პრივილეგიები ქალაქებს ასურსა და ხარანს და უხვი შესაწირავით დააშოშმინა ქურუმობა. ტახტზე ასვლის წელსვე მან დალაშქრა ისრაელის სამეფო, აიღო მისი დედაქალაქი სამარია და 24 ათასზე მეტი ისრაელიტელი გადაასახლა ასურეთის სხვადასხვა პროვინციებში. ისრაელის ტერიტორიაზე ჩამოსახლებულ იქნენ ბაბილონელები, სირიელები, არაბები და სხვ. ისრაელის ტერიტორია უშუალოდ შეერიდა ასურეთის სამეფოს შემადგენლობაში.

საკმაოდ გააქტიურდა ამ დროისათვის ურარტუც, რომლის მეფემ რუსა I-მა კავშირი შეკრა მუშქების მეფე მითასთან. ამ კავშირს მიემხრო აგრეთვე ქ. კარხემიშის მმართველიც. მაგრამ 717 წ. სარგონ II-მ აიღო კარხემიში და, ამრიგად, მთელი სირია დაიპყრო.

715—714 წწ. სარგონ II-ის ლაშქარი ურარტუს წინააღმდეგ მოქმედებს. ურარტუს სამეფოს ტერიტორია დალაშქრული და სასტიკად გაძარცულ იქნა. 714 წ. სარგონმა აიღო ურარტუს რელიგიური ცენტრი ქ. მუსასირი; რუსა I-მა თავი მოიკლა.

სარგონ II-მ შეძლო თავისი ყურადღება კვლავ სამხრეთით, ბაბილონისაკენ მიემართა. მით უფრო, რომ აქ ვითარება საგრძნობლად შეიცვალა. შინაგანმა არეულობამ მნიშვნელოვნად დაასუსტა ელამის სამეფო, ამავე დროს, ქალდეველი მარდუქაფალიდინის პოლიტიკამ აამხედრა მის წინააღმდეგ ბაბილონის ზედაფენა. მარდუქაფალიდინმა ბაბილონის მიწების დიდი ნაწილი ქალდეველებს დაურიგა, ადგილობრივი ზედაფენის მრავალი წარმომადგენელი დაატუსაღა. ისარ-

გებლა რა ამ მდგომარეობით, სარგონ II-მ 710 წ. დაძრა თავისი ჯარები ბაბილონისაკენ. მარუდქაფალიდინა ბაბილონთან დამარცხდა, აღებულ იქნა ქალდეველთა მთავარი ოლქი ბით-იაქინი და 90 ათასი ქალდეველი გასახლებულ იქნა. ბაბილონის დიდკაცობამ დაიბრუნა თავისი მიწები. ლაშქრობის დროს აღებული ხარკი სარგონმა ბაბილონის მარდუქის ტაძარს შესწირა. ბაბილონმა, ნიფურმა და სიფარმა დაიბრუნეს პრივილეგიები და ავტონომია. ბაბილონის კიდევ ცხრა ქალაქმა მიიღო შეღავათები. ამით სარგონ II-მ მიიმხრო ბაბილონის ქურუმობა, მოქალაქეები და დიდკაცობა.

ამავე დროს სარგონ II ატარებს საკმაოდ ინტენსიურ სამშენებლო პოლიტიკასაც, კერძოდ, ის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ახალი დედაქალაქის დურ-შარუქინის მშენებლობას აწინდელი ხორსაბადის მახლობლად. 707 წ. სწორედ აქ გადმოიტანა მან თავისი რეზიდენცია. სარგონ II 705 წ. დაიღუპა ერთ-ერთ ბრძოლაში. მის ნაცვლად ტახტზე ავიდა მისი ვაჟი სინაქერიბი (705—680), რომელიც მთლიანად დაუბრუნდა ტიგლათფილესერ III-ისა და სალმანასარ V-ის პოლიტიკას. როგორც ჩანს, სწორედ ამან აამხედრა მის წინააღმდეგ ბაბილონის დიდკაცობა, რომელიც მიემხრო შუამდინარეთში მობრუნებულ მარდუქაფალიდინას. სინაქერიბს 702 წ. მოუხდა ლაშქრობა ბაბილონში მარდუქაფალიდინისა და ელამის წინააღმდეგ. მართალია, ეს ლაშქრობა ასურელთა გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ თითქმის მაშინვე დაიწყო დიდი აჯანყება დასავლეთში, რომელსაც იუდეის მეფე ეზეკია ჩაუდგა სათავეში და რომელსაც მიემხრო ფინიკიის ქალაქები, არაბული ტომები; აჯანყებას მხარს უჭერდა ეგვიპტე. სინაქერიბმა აქაც წარმატებას მიაღწია, გაანადგურა აჯანყებულთა ჯარები და ალყა შემოარტყა იერუსალიმს. ეზეკიამ მხოლოდ დიდძალი საფასურის გაღებით გადაირჩინა თავი.

ასურეთში მობრუნებულ სინაქერიბს კვლავ ბაბილონში მოუხდა ლაშქრობა: აქ მის წინააღმდეგ ძლიერი კოალიცია შეიქმნა, რომელსაც, გარდა ბაბილონის და ელამისა, მიემხრნენ არამეული, მიდიური და სპარსული ტომები. ბრძოლა ხანგრძლივი და საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა. მხოლოდ 689 წ. შეძლო სინაქერიბმა ბაბილონის აღება. ამჯერად იგი ქალაქს სასტიკად გაუსწორდა, მთლიანად დაანგრია მისი მცხოვრებნი ან სიკვდილით დასაჯა, ან სხვა ოლქებში გაასახლა.

თავისი მეფობის უკანასკნელი წლები სინაქერიბმა გაატარა ქ. ნინევიაში, რომელიც მან თავის დედაქალაქად აირჩია და რომლის გაშენება-გამშვენიერებას დიდი სახსრები შეალია. 680 წ. სინაქერიბი მოკლულ იქნა მისი პოლიტიკით უკმაყოფილო დიდგვაროვანთა მიერ, მაგრამ ტახტის დაკავება მაინც შეძლო მისმა ვაჟმა ასარქადონმა. ეს

უკანასკნელი ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში იქნა გამოცხადებული მემკვიდრედ.

ასარქადონის (680—669 წწ.) პოლიტიკა ძირფესვიანად განსხვავდება მისი მამის პოლიტიკისაგან. იგი იმთავითვე ეყრდნობა ქურუმობას და ბაბილონის ქალაქების ზედაფენებს. მისი ერთ-ერთი პირველი ღონისძიება ქ. ბაბილონის აღდგენა და აქ მოსახლეობის დაბრუნება იყო. ასარქადონი აღარ ცდილობდა ფართო დაპყრობითი პოლიტიკის წარმოებას, მისი მთავარი მიზანი ასურეთის სახელმწიფოს ერთიანობის შენარჩუნება და აჯანყებათა ჩახშობა იყო. ფაქტიურად ამ მიზნის განხორციელებას ემსახურებოდა მისი ეგვიპტური ლაშქრობაც, რომელიც 671 წ. იქნა განხორციელებული და რომლის შედეგად ეგვიპტე გარკვეული დროით ასურეთის ქვეშევრდომად იქცა. ასარქადონმა წარმატებით შეასრულა თავისი მიზანი — ასურეთის სახელმწიფო შეენარჩუნებინა თავის საზღვრებში. ეგვიპტის დაპყრობამ დიდად გაზარდა ასურეთის საერთაშორისო ავტორიტეტი.

მეურნეობა და საზოგადოებრივი ურთიერთობა ახალასურულ ხანაში. ახალასურულ ხანაში მეურნეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს ძველებურად წარმოადგენდა მესაქონლეობა. ამ დარგში სიახლე იყო აქლემის ფართოდ გამოყენება როგორც მეურნეობაში, ისე სამხედრო საქმეში. ასურეთის მეფეებს, განსაკუთრებით ტიგლათფილესერ III-ის დროიდან, დიდი რაოდენობით მოჰყავდათ აქლემები არაბეთიდან. აქლემებს იყენებდნენ როგორც ტვირთმზიდავ საქონელს საკაჭრო ექსპედიციებისა და სამხედრო ლაშქრობების დროს.

რაც შეეხება მიწათმოქმედებას, აქ სიახლეს წარმოადგენდა საბალო მეურნეობის განსაკუთრებული განვითარება. ასურეთის ქალაქების გარშემო გაშენდა ვრცელი ბაღები, რომლებშიც დარგეს მრავალი ჯიშის ხილი, მაგალითად, ზეთისხილი. ცნობილია, რომ სწორედ ახალასურულ ხანაში ცადეს ასურელებმა „მატყლის მომცემი ხის", როგორც ჩანს, ბამბის მცენარის აკლიმატიზირება. მნიშვნელოვნად დიდდებოდა ვენახების ფართობი, გამოჰყავდათ ყურძნის ახალი ჯიშები.

მიწათმოქმედებაში მორწყვას ასურეთის მდინარისპირა ველებზე ადრეც იყენებდნენ, მაგრამ სწორედ ახალასურულ ხანაში ირიგაცია საგრძნობლად ფართოვდება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ასურეთს უშუალოდ შეუერთდა ევფრატის სანაპიროები; ცნობილია, რომ, მაგალითად, სინაქერიბის და ასარქადონის დროს გაყვანილ იქნა დიდი სარწყავი არხები, რომელნიც საკმაოდ ვრცელ ფართობებს რწყავდნენ.

შემდგომ განვითარებას აღწევს ხელოსნური წარმოებაც. ახალასურულ ხანაში იქმნება ხელოსნობის ახალი დარგები, მაგალითად, მინისებური ქაშანურის, მინის ჭურჭლის წარმოება. დიდი რაოდენობით ამზადებენ ამ დროს კერამიკულ ფილებს (კაფელს), რომელიც

სხვადასხვა ფერის მინანქრით არის დაფარული და ფართოდ გამოიყენება მდიდართა სახლების, სასახლეთა და ტაძართა კარიბჭეების შესამკობად. ასეთი ფილებითაა მოპირკეთებული, მაგალითად, სარგონ II სასახლე, რომელიც ხორსაბადშია გათხრილი.

მეურნეობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა პროგრესს მეტალურგიაში. ძვ. წ. IX საუკუნიდან ასურეთში ბრინჯაოს გვერდით ფართოდ გამოიყენება რკინა. რკინის მეტალურგიაზე გადასვლამ დიდად შეუწყო ხელი ასურეთის გაძლიერებას სწორედ IX საუკუნიდან. სარგონ II-ის სასახლის ნანგრევებში, ნინევიაში და ასურეთის სხვა პუნქტებში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს რკინის ნაწარმის საკმაოდ დიდი რაოდენობა: ურო‌ები, გუთნები და სახნისები, თოხები, ჯაჭვები და სხვა სამეურნეო იარაღი, ნაპოვნია რკინის სატევრებიც, რაც მოწმობს რკინის სამხედრო საქმეში გამოყენებასაც. მეტალურგიის საერთო განვითარებაზე მიუთითებს აგრეთვე საიუველირო ნაწარმის არაჩვეულებრივი დახვეწილობა, საოჯახო ნივთების (ბრინჯაოს სასანთლეების, საკარძლების და სხვ.), სამკაულების მრავალფეროვნება და მათი შესრულების მაღალი ოსტატობა.

მეურნეობის სხვადასხვა დარგების განვითარებამ, სახელმწიფოს პოლიტიკურ გაძლიერებასთან ერთად, ხელი შეუწყო ვაჭრობის, განსაკუთრებით საგარეო ვაჭრობის ახალ აღორძინებას. ახალასურულ ხანაშიც ასურეთზე გადიოდა საერთაშორისო მნიშვნელობის არაერთი სავაჭრო მაგისტრალი, რომელიც ასურეთს გარესამყაროსთან აკავშირებდა. ასურეთი სავაჭრო გზებით დაკავშირებული იყო ჩრდილოეთით ამიერკავკასიის ოლქებთან, დასავლეთით — ჩრდილო სირიასა და მცირე აზიასთან, სამხრეთ-დასავლეთით, დამასკოზე გავლით, — ფინიკიის სავაჭრო ქალაქებთან და შემდეგ ეგვიპტესთან.

ახალასურულ ხანაში მეფეები საგანგებოდ ზრუნავენ სავაჭრო გზების კეთილმოწყობაზე. ჩნდება მოკირწყლული გზები, მდინარეებზე შენდება ხიდები, ეწყობა გზების საგანგებო დაცვა. ცხადია, მეფეთა მზრუნველობა მარტო სავაჭრო ინტერესებით არ იყო გამოწვეული. ამ გზებს უაღრესად დიდი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, ისეთი სამხედრო სახელმწიფოსათვის როგორიც ასურეთი იყო, კეთილმოწყობილი გზები, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო არმიების სწრაფი და შეუფერხებელი გადაყვანისათვის. ამასთან ერთად ეს გზები აადვილებდა კავშირს ვრცელი სამეფოს სხვადასხვა ოლქებს შორის, საშუალებას უქმნიდა მეფეს გაეწია კონტროლი და ზედამხედველობა სამეფოს ცენტრიდან მოშორებული ოლქებისათვის. აღსანიშნავია, რომ ამ უძველესი გზების ცალკეული მონაკვეთები დღემდეა შემორჩენილი.

ასურეთის ეკონომიკა აღმავლობას განიცდიდა, მიუხედავად სა-

ხელმწიფოს სათავეში მდგომი სამხედრო არისტოკრატიის პოლიტიკისა, რომელსაც ნაკლებ აინტერესებდა სოფლის მეურნეობის, ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარება. თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ეს სამხედრო წრეები უცხო ქვეყნების ძარცვითა და რბევით ცდილობდნენ, ამიტომ, იმის ნაცვლად რომ დაპყრობილი ქვეყნების სამეურნეო რესურსები გამოეყენებინათ, ისინი უმოწყალოდ ანადგურებდნენ ამ ქვეყნებს, ანგრევდნენ და სპობდნენ ძველ სავაჭრო ცენტრებს და ზშირად აუდაბურებდნენ საკმაოდ აყვავებულ მხარეებსაც. ამით აიხსნება სწორედ, რომ, მიუხედავად მეურნეობის გარკვეული პროგრესისა, ის ვერ მიჰყვებოდა ფეხდაფეხ მზარდ მოთხოვნილებებს, ვერ უზრუნველყოფდა სახელმწიფოსათვის მტკიცე ეკონომიკურ საფუძველს; ასურეთის სახელმწიფოს ძლიერება, ამდენად, საკმაოდ ზედაპირული იყო და როგორც კი რაიმე საგარეო თუ საშინაო პირობების ზეგავლენით ეცემოდა სამხედრო დაპყრობების პოტენციალი, სახელმწიფოც კრიზისს განიცდიდა და სუსტდებოდა.

ასურეთის საზოგადოებრივი წყობილება ახალასურულ ხანაშიაც ინარჩუნებდა ძველი გვაროვნული და თემური წყობილების ზოგ ნიშანს, თუმცა თემის შიგნით საკმაოდ ინტენსიურად ხდებოდა ქონებრივი განშრევება. სასოფლო თემი ძველებურად ძირითად სამეურნეო და ფისკალურ საგადასახადო ერთეულად რჩებოდა. ახალასურული ხანის მეფეთა ფართო დაპყრობის შედეგად არაჩვეულებრივად გაიზარდა ტყვე მონათა რიცხვი. ათასობით მონა იყრის თავს სამეფო კარზე, მსხვილ მიწათმფლობელთა და დიდმოხელეთა ოჯახებში, ტაძრებში. მონებს იყენებენ სხვადასხვა სამუშაოზე — არხების გაყვანაზე, ციხე-სიმაგრეთა, სასახლეთა და ტაძართა მშენებლობაზე; აბამენ მონებს სოფლის მეურნეობაშიაც, მაგრამ მეურნეობის ძირითად დარგებში წამყვან მწარმოებელ ძალას და უმთავრეს ექსპლუატირებულ ფენას მაინც თავისუფალი მოსახლეობა წარმოადგენს. თავისუფალი მწარმოებლის ხვედრითი წონის შენარჩუნებას ხელს უწყობს თვით ასურელ მეფეთა პოლიტიკაც.

თემის შიგნით მიმდინარე ქონებრივი დიფერენციაცია, ვაჭრობის განვითარება იწვევს თავისუფალი მოსახლეობის უღარიბესი ნაწილის გაღატაკებას, უმიწოდ დარჩენას, სავალო კაბალაში მოქცევას, მაგრამ ეს უარყოფითად მოქმედებს სახელმწიფოს სამხედრო ძლიერებაზე. თავისუფალი მოსახლეობის შემცირება ნიშნავს არმიაში გასაწვევ პირთა რაოდენობის შემცირებასაც, ამიტომ მეფეები მიმართავენ ე. წ. „სამხედრო კოლონისტთა“ თავისებური ფენის შექმნას. გაღატაკებულ მწარმოებელთ მეფეები ურიგებენ მიწის ნაკვეთებს სამხედრო სამსახურის პირობით. ასეთ სამხედრო კოლონისტებს ჩვეულებრივ ასახლებდნენ საზღვრისპირა რაიონებში, რითაც ამაგრებდნენ სახელმწიფოს

საზღვრებს. ეს სამხედრო მოსახლეები უშუალოდ მეფის მფარველობით სარგებლობდნენ, მათი ნაკვეთები ხელშეუხებელი იყო.

ასურეთის მეფეები, განსაკუთრებით ახალასურულ ხანაში, ფართოდ მიმართავდნენ დალაშქრულ-დაპყრობილი ქვეყნებიდან მოსახლეობის გადმოსახლებას ასურეთში ან სხვა დაპყრობილ ქვეყნებში. ამით ისინი ამცირებდნენ დამორჩილებული ქვეყნების მოსახლეობის წინააღმდეგობას. სხვა ქვეყნებიდან გადმოსახლებული პირები ღებულობდნენ ახალ ადგილას მიწის ნაკვეთებს და, თუმცა თავისი იურიდიული მდგომარეობით ისინი მონებისაგან არ განსხვავდებოდნენ, მათი ექსპლუატაციის ფორმა მაინც განსხვავებული იყო: მათ ჰქონდათ მიწის გარკვეული ნაკვეთი, რომელსაც ისინი ამუშავებდნენ და მოსავლის ერთ ნაწილს აძლევდნენ სახელმწიფოს, მაგრამ ნაწილი რჩებოდათ, მათ ეძლეოდათ მცირეოდენი ქონებისა და ოჯახის ყოლის უფლებაც. ამრიგად, მათი მდგომარეობა ერთგვარად უახლოვდებოდა შუასაუკუნეების ყმების მდგომარეობას.

მიუხედავად მონათა არაჩვეულებრივად დიდი რიცხვისა, მათი ფართოდ გამოყენებისა სხვადასხვა სამუშაოებზე და მეურნეობაშიც, მონები არ გამხდარან მეურნეობაში წამყვან სამუშაო ძალად, მონათმფლობელური ექსპლუატაცია კი ექსპლუატაციის ძირითად ფორმად. მონათა მდგომარეობაც ხშირად თავისებური იყო: მათ აძლევდნენ მიწის ნაკვეთებს, რომლის მოსავლის გარკვეული ნაწილი მათვე რჩებოდათ.

ასურეთის თავისუფალი მოსახლეობის ფართო მწარმოებელ ფენებს ევალებოდათ სხვადასხვა ნატურალური გადასახადის გადახდა და საამშენებლო და სამხედრო ბეგარის მოხდა. ეს ვალდებულებანი მეტად მძიმე იყო და მწარმოებელ მოსახლეობას სახელმწიფოზე და მსხვილ მიწათმფლობელებზე მთლიანად დამოკიდებულს ხდიდა.

რაც შეეხება გაბატონებულ ფენას — მსხვილ მიწათმფლობელებს, მსახურეულ არისტოკრატიას, ქურუმობას, მსხვილ ვაჭრებს, ისინი სარგებლობდნენ მრავალი შეღავათით და პრივილეგიით — როგორც წესი, არ იხდიდნენ გადასახადებს და ბეგარას. მსხვილ მოხელეებზე მიმაგრებული იყო გარკვეული ოლქები, რომელთა შემოსავალი მათი კუთვნილება იყო.

ასურეთის სახელმწიფოს დასუსტება და დაღუპვა. ასარქადონი ეგვიპტეში ლაშქრობის დროს, 669 წ. გარდაიცვალა და სამეფო ტახტზე ავიდა მისი ვაჟი ასურბანიფალი, რომელმაც თავისი უმცროსი ძმა შამაშ-შუმუქინი ბაბილონის მეფედ აკურთხა. ასურბანიფალმა შეძლო დაეძლია ეგვიპტეში დაწყებული ანტიასურული მოძრაობა და განამტკიცა აქ თავისი ძალაუფლება; კვლავ შემომტკიცებულ იქნა ფინიკიის ქალაქები ტვიროსი და არვადი, ხოლო ლიდიის

მეფე გუგუსთან დამყარდა კავშირი. ასურეთი ინარჩუნებდა თავის გარეგნულ ძლიერებას და საერთაშორისო პრესტიჟს.

VII ს. 60-იანი წლების წინა აზიაში იწყება მოვლენები, რომელთაც განაპირობეს ასურეთის დაღუპვა.

თვით ასურეთის ვრცელი სახელმწიფოს შიგნით მრავლად იყო ისეთი ძალები, რომელთაც მისი დაღუპვა სურდათ. დაპყრობილი ხალხები და ტომები, დახარკული ქალაქები, ასურეთის ტერიტორიაზე ათასობით გადმოსახლებულნი, ტყვეები ელოდნენ მოხერხებულ დროს. ასურეთის მძიმე უღლის გადასაგდებად.

სუსტი იყო ასურეთის პოზიციები ბაბილონში, სადაც ანტიასურულ მოძრაობას აცხოველებდნენ არამეული და ქალდეური ტომების ბელადები, რომელნიც მუდამ ცდილობდნენ, და ხშირად შედეგიანადაც, ბაბილონში გაბატონებას. მათ მოკავშირედ გამოდიოდა ელამის სამეფო.

ასურეთის სამეფოს განაპირა ოლქებში და მის მეზობლად მცხოვრებ ხალხებსა და ტომებში იზრდება ასურეთის საწინააღმდეგო მოძრაობა, მით უფრო, რომ ასურელებთან ხანგრძლივ ბრძოლებში ამ ხალხების სამხედრო გამოცდილება საგრძნობლად გაიზარდა.

ასურეთის სახელმწიფოს მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ თვით მისი გაბატონებული კლასის შიგნით არსებობდა ორი მტრული დაჯგუფება, რომლებიც გამუდმებით ებრძოდნენ ერთმანეთს.

ასეთ პირობებში ასურეთი ინარჩუნებდა თავის არსებობას და მოჩვენებით ძლიერებას მხოლოდ იმის გამო, რომ მისი მოწინააღმდეგე ძალები დაქსაქსული იყვნენ და ვერ ხერხდებოდა მათი გაერთიანება.

VII ს. 50-იანი წლების დასაწყისიდან ანტიასურული ძალები საგრძნობლად გააქტიურდნენ და იწყება მძიმე ბრძოლა ასურეთის სახელმწიფოს მთლიანობის შენარჩუნებისათვის. თუმცა ასურბანიფალი კიდევ ახერხებდა დაპყრობილი ოლქების შენარჩუნებას, მაგრამ ზოგიერთი ტერიტორია მისთვის მაინც დაკარგული აღმოჩნდა. 657—655 წლებში ეგვიპტეში ძალაუფლება ხელთ იგდო ერთ-ერთი ოლქის მმართველმა ფსამეტიქემ, კავშირი შეკრა ლიდიის მეფესთან, რომელმაც უარი თქვა ასურეთთან დადებულ ხელშეკრულებაზე, თავი ფარაონად გამოაცხადა და გაანადგურა ასურული გარნიზონები. ასურეთის მეფემ, რომლის საბრძანებელს ელამის ჯარების შემოსევა ემუქრებოდა, ვერაფერი იღონა ფსამეტიქეს წინააღმდეგ. ეგვიპტე ასურეთისათვის დაკარგული აღმოჩნდა.

655 წ. დაიწყო ომი ელამთან. ეს ომი ასურბანიფალმა წარმატებით დააგვირგვინა, აიღო ელამის დედაქალაქი სუზა და მისი მეფე სიკვდილით დასაჯა. მაგრამ 653 წ. აჯანყდა ბაბილონის მეფე, ასურბა-

ნიფალის ძმა შამაშ-შუმუქინი, რომელმაც მიიმხრო ბაბილონის წარჩინებული ზედაფენა, ქალდეური არისტოკრატია, კავშირი შეკრა არაბულ ტომებთან, ელამთან, და როგორც ჩანს, მიდიელებთანაც. ბრძოლა აჯანყებულთა წინააღმდეგ საკმაოდ ხანგრძლივი და მძიმე აღმოჩნდა, მაგრამ ასურბანიფალმა ბოლოს შეძლო ძმის დამარცხება და ბაბილონის აღება. შამაშ-შუმუქინის მოკვლის შემდეგ ასურბანიფალმა ორგზის გაილაშქრა ელამის წინააღმდეგ და საბოლოოდ გაანადგურა ეს სახელმწიფო.

ასურბანიფალის სიკვდილის ზუსტი თარიღი ჩვენთვის ცნობილი არაა. ის დაახლოებით 631—627 წლებს შორის უნდა გარდაცვლილიყო, ყოველ შემთხვევაში, 627 წ. ასურეთის მეფედ უკვე მისი ვაჟი ასურეტელილანი იხსენიება. ამ უკანასკნელს ტახტის დაკავებისას საკმაოდ მძიმე ბრძოლის გადატანა მოუხდა სხვადასხვა პრეტენდენტების წინააღმდეგ, რამაც იმთავითვე განაპირობა მისი მმართველობის სისუსტე.

ამავე დროს მნიშვნელოვანი მოვლენები ხდება ბაბილონში. 627 წ. გარდაიცვალა ბაბილონის მმართველი ქანდალანუ, რომელიც, როგორც ჩანს, ასურელების მიერ შამაშ-შუმუქინის შემდეგ იქნა აქ დაყენებული. ერთი წლის მანძილზე ბაბილონში მეფედ აღარავინ დაუყენებიათ. ასურეტელილანს ამისათვის არ ეცალა. შექმნილი ვითარებით ისარგებლა ქალდეური ტომის ბელადმა ნაბუფალასარმა, რომელიც ადრე ასურეთის სამსახურში იმყოფებოდა და ხელთ იგდო ბაბილონი. 626 წ. ნაბუფალასარი ბაბილონში მეფედ ეკურთხა.

ამის შემდეგ იწყება ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ბრძოლა ასურეთსა და ახალბაბილონურ სამეფოს შორის. ნაბუფალასარი სულ უფრო აქტიურად უტევს ასურეთს და თუ უკანასკნელს ჯერ კიდევ აქვს თავდაცვის უნარი, შეტევაზე გადასვლისათვის უკვე ძალა აღარ შესწევს.

სწორედ ამ დროს ასურეთს ახალი მტერი გამოუჩნდა: ეს იყო ახლადწარმოქმნილი მიდიის სამეფო, რომელიც ჯერ მეფე ფრაორტას, ხოლო განსაკუთრებით აქტიურად კიაქსარის დროს გადმოღის შეტევაზე ასურეთის წინააღმდეგ.

615 წ., როდესაც ასურეთის მეფე სინშარიშქუნი (ასურეტელილანის მემკვიდრე) თავის სამხრეთ საზღვრებზე იბრძვის ნაბუფალასარის წინააღმდეგ, კიაქსარი თავისი ჯარით იჭრება ასურეთში, იღებს და სასტიკად ძარცვავს მის ძველ დედაქალაქს ასურს. აქ, ასურის ნანგრევებთან ხვდებიან ერთმანეთს ნაბუფალასარი და კიაქსარი და კავშირს კრავენ. ეს კავშირი დინასტიური ქორწინებით იქნა განმტკიცებული: ნაბუფალასარის მემკვიდრეს ნაბუქოდონოსორს ცოლად შერთეს კიაქსარის ქალიშვილი.

612 წ. მოკავშირეები შეხვდნენ მდ. ტიგროსის ნაპირას და მათი გაერთიანებული ლაშქარი დაიძრა ნინევიისაკენ. ქალაქი აღებულ იქნა, სინშარიშქუნი ბრძოლაში დაიღუპა, ხოლო ასურეთის ჯარის ნაშთები ასურუბალიტის (ასურბანიფალის ერთ-ერთი ძმის) მეთაურობით გაიარღვევენ ალყას და თავს შეაფარებენ ხარანის ოლქში, სადაც ასურუბალიტი თავს ასურეთის მეფედ გამოაცხადებს. მაგრამ ასურეთის დღეები დათვლილი იყო. 605 წ. ბაბილონის ჯარი ნაბუქოდონოსორის მეთაურობით, ქ. ქარხემიშთან საბოლოოდ ამარცხებს ასურელებისა და მათი მოკავშირე ეგვიპტის ჯარს, უკანასკნელი მეფე ასურეთისა ასურუბალიტი იღუპება და ასურეთის სამეფო წყვეტს თავის არსებობას.

ასურეთის კულტურა. ასურეთის კულტურის, მისი მოსახლეობის რელიგიური რწმენების, ლიტერატურისა და მეცნიერების, ხელოვნებისა და არქიტექტურის შესწავლა შესაძლებელი გახდა უმთავრესად არქეოლოგიური გათხრების შედეგად, რომლებიც წარმოებულ იქნა ასურეთის სხვადასხვა პუნქტში. ამ გათხრებმა გამოავლინეს როგორც მატერიალური, ისე სულიერი კულტურის მრავალი ძეგლი.

ასურელთა სულიერი კულტურის ძეგლთა დიდი უმეტესობა თავმოყრილია მეფე ასურბანიფალის ბიბლიოთეკაში რომელიც ნინევიის ნანგრევებში აღმოჩნდა. ასურბანიფალის ბრძანებით სპეციალურად იქნა შეგროვებული და გადაწერილი შუამდინარეთის ტაძრებსა და სასახლეებში შენახული სამეცნიერო ტექსტები და ლიტერატურული ნაწარმოებები; მრავალ ასეულ თიხის ფირფიტაზე შემოინახა მათემატიკური და ასტრონომიული ტრაქტატები, ძველი ჰიმნები და ლოცვები, ეპიკური თხზულებანი და ფილოლოგიური ძიებანი. მათი უმეტესობა შუმერულ-აქადური და ბაბილონური სამყაროდან მომდინარეობს და მხოლოდ მცირე ნაწილია თვით ასურელთა შემოქმედების ნაყოფი.

საერთოდ სულიერი კულტურის დარგში ასურელთა საკუთარი წვლილი შედარებით მცირეა. მათ ფაქტიურად არაფერი შეუქმნიათ დამოუკიდებელი და თავისთავადი, შეითვისეს და მცირედად გადაამუშავეს შუამდინარეთის ხალხთა — შუმერების, აქადელების, არამეელების — მონაპოვარი. თუ რაიმე იყო საკუთრივ ასურული ამ დარგში, ესაა სამხედრო სამეფო ანალები, რომლებიც გამოირჩევა რიტმული ენით, აღმავლობითი ტონით და გამომსახველობით, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ეს ანალებიც აქადური (ბაბილონური) სალიტერატურო ენითაა შესრულებული. აქადურის გვერდით, განსაკუთრებით ახალასურულ ხანაში, ფართოდ არის გავრცელებული აგრეთვე არამეულიც.

ასურელთა რელიგიაც ფაქტიურად არაფრით განსხვავდებოდა ბაბილონური რელიგიისაგან. ღმერთების პანთეონი იგივე იყო, რაც ბა-

ბილონური, იმ განსხვავებით, რომ მის სათავეში იდგა ადგილობრივი უზენაესი ღმერთი ასური. შემდეგ კი მოდიოდა ბაბილონური ღმერთების უმაღლესი ტრიადა — ანუ, ენლილი და იშთარი. ამ ღმერთების კულტთან დაკავშირებული მთელი რიტუალი, მითოლოგია უცვლელად იყო გადმოტანილი ასურულ ღვთისმსახურებაში, აღსანიშნავია, რომ არ შემონახულა ასურელთა უზენაესი ღმერთის, ასურის კულტთან დაკავშირებული არავითარი მითოლოგია. მართალია, ასურელთა შორის გავრცელებული იყო ისეთი მითები და რწმენები, რომლებიც ბაბილონელთათვის არ იყო ცნობილი, მაგრამ ისინიც არ იყო ადგილობრივი წარმოშობისა და ხურიტული ეთნიკური სამყაროდან მომდინარეობდა. ასურული რელიგიისათვის დამახასიათებელია რიტუალების სირთულე, მრავალი ცრურწმენა, რწმენა ათასგვარი ბოროტი სულებისა, დემონებისა და მოჩვენებებისა. ღმერთები, როგორც წესი, წარმოდგენილი ჰყავთ როგორც მძლავრი და უძლეველი, მეტად ეჭვიანი და მრისხანე, შეუბრალებელი თავის მსხვერპლთა მიმართ.

ასურელთა მატერიალურ კულტურას ჩვენ ვეცნობით მათი ქალაქების ნანგრევების, აქ შემონახული სასახლეების, ტაძრების, სიმაგრეების ნაშთების წყალობით. ძველი ასურული ქალაქების — ასურის, ნინევიის, კალხუს, არბელას, დურ-შარუქინის — გათხრებმა გამოამზეურეს ასურული არქიტექტურის, სახვითი ხელოვნების, ოქომჭედლობის მრავალი საყურადღებო ძეგლი.

ასურულ არქიტექტურასა და სახვით ხელოვნებასაც ეტყობა შუმერულ-ბაბილონური კულტურის დიდი გავლენა, ოაგრამ ამ დარგებში მათ მაინც მიღწევები აქვთ.

ასურული ქალაქები, სასახლეები და ტაძრები შენდებოდა ხელოვნურად შექმნილ დიდ მიწაყრილზე, ანუ ბორცვებზე. შენობებს აგებდნენ გამოუწვავი თიხის აგურით — ალიზით. მათ ჯერ კიდევ გამოუმშრალს ადებდნენ ერთმანეთზე. ასეთი მასალისაგან აგებული კედლები გაშრობის შემდეგ წარმოადგენდნენ ერთიან, მკვრივ მასას. მაგრამ მისგან შენობის აგება მოითხოვდა ძალიან სქელი კედლების გაკეთებას და ზღუდავდა არქიტექტურული ფორმების ნაირფერობას. შენობები იგებოდა შედარებით დაბალი და ვიწრო, კედლები, როგორც წესი, ყრუ იყო, სინათლის წყარო (სარკმელები) უმეტესწილად ჭერში უკეთდებოდა. გადახურვა ჰორიზონტალური იყო. სახურავზე ზემოდან ადებდნენ მიწის საკმაოდ სქელ ფენას, რომელიც თიხის სახურავს იცავდა წვიმისა და მზის სხივებისაგან, რომელთა გავლენით ზედმეტად გამშრალი თიხა შეიძლება დამსკდარიყო.

ქვას, ჩვეულებრივ, იყენებდნენ მხოლოდ მოსაპირკეთებლად. მაგრამ შენობათა შესამკობად უფრო ხშირად მიმართავდნენ კერამიკულ სხვადასხვა ფერის ფილებს, რომლითაც აპირკეთებდნენ კარიბჭეებს,

სასახლეთა კედლებს შიგნიდან. ასეთი ფერადი ფილები ზოგჯერ საკმაოდ რთულ ორნამენტსაც ქმნიდა.

კარიბჭეებს ამკობდა ფრთოსანი ლომებისა და ხარების ქანდაკებები, რომელთაც ადამიანის სახეები ჰქონდათ, ხოლო სახურავის გარშემო კეთდებოდა კიბისებური შვერილები. ამით ამოიწურებოდა გარეთა მორთულობა.

სასახლეთა და ტაძართა შიდა არე ირთვებოდა, გარდა ფერადი კერამიკული ფილებისა, აგრეთვე ბარელიეფებითა და კედლის მხატვრობით.

განსაკუთრებით ცნობილია ასურული ბარელიეფები, რომელნიც ბევრ საერთოს ამჟღავნებენ ხურიტულ და ხეთურ ხელოვნებასთან, მაგრამ გამოირჩევიან დამოუკიდებელი ნიშნებითაც. ბარელიეფები დიდი ქვის ფილებზე იყო ხოლმე გამოკვეთილი და უმეტესწილად ნადირობისა და ბრძოლების სცენებს გამოხატავდა. უფრო ადრეული (IX ს. წინადროინდელი) ბარელიეფები უხეშია, არადინამიური, ხაზს უსვამს ფიზიკურ ძალას და არქაულობის ელფერს ატარებს. VIII ს. შემდეგ კი, განსაკუთრებით სარგონ II და სინაქერიბის დროიდან, ბარელიეფებში შეიმჩნევა მეტი დახვეწილობა, ფიგურები უფრო მოძრავია, რეალისტური, ოსტატურადაა მათთან შეხამებული პეიზაჟი.

ასურული ბარელიეფებისათვის დამახასიათებელია ის, რომ მათი ცენტრალური ფიგურა ყოველთვის მეფეა. სწორედ მისი განდიდებისა და ხოტბის შესხმისათვის არის გამიზნული ეს ძეგლები. ასურეთის მეფეები ამ ბარელიეფებზე გაიდეალებულნი არიან, ხაზგასმულია მათი უძლეველობა, ფიზიკური ძალა. ისინი გამოსახული არიან ცხენზე ან ეტლებზე, რომელთა გარშემო მათგან დამარცხებულ-დახოცილი ტყის ნადირი ან მტრებია გაფანტული. ისინი პირისპირ ებრძვიან ლომებს და მრავალრიცხოვან მტრებს. მაგრამ ასურული ბარიელიეფის ხელოვნება მაინც ერთგვარად შეზღუდული რჩება, ფიგურების გამოსახულება ტრაფარეტულია, არ არის მისწრაფება ცალკეული პირების კონკრეტული პირადული ნიშნების გადმოცემისა, მოძრაობებიც ერთნაირი, პირობითია. ასურული ბარელიეფები შელებილია სხვადასხვა ფრად. ფერები საკმაოდ მკვეთრია, ქმნის გარკვეულ სიჭრელეს, საზეიმო ელფერს.

ასურული სახვითი ხელოვნება მოწოდებულია ასურეთის მეფეთა, ასურეთის არმიის უძლეველობის განდიდებისა და მტერთა დამცირებისაკენ. იგი ასახავდა ასურეთის სახელმწიფო დიდმპყრობელურ იდეას, ქადაგებდა ასურელთა განსაკუთრებულობას სხვა ხალხებთან შედარებით.

ᲣᲠᲐᲠᲢᲣ

ძვ. წ. IX—VI საუკუნეებში სამხრეთ ამიერკავკასიისა და ირან-თურქეთის მომიჯნავე ტერიტორიაზე არსებობდა იმ დროის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო — ურარტუ. „ურარტუს“ ამ ქვეყანას მეზობელი ასურელები ეძახდნენ. თვით ურარტელები, მათი მეფეები თავის ქვეყანას „ბიაინილს“ უწოდებდნენ. მისი ცენტრალური რაიონები იმყოფებოდა ვანის ტბის მიდამოებში (დღევანდელ თურქეთში). აქ, ვანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, დღევანდელ ქალაქ ვანის ადგილას, იყო ამ სახელმწიფოს დედაქალაქი ტუშფა. თავისი ძლიერების ჟამს ეს სახელმწიფო დიდ ტერიტორიას მოიცავდა. სამხრეთით მასში შედიოდა ჩრდ. მესოპოტამიის ნაწილი, აღმოსავლეთით — ურმიის ტბისა და დღევანდელი თავრიზის რაიონი, დასავლეთით — ჩრდ. სირიისა და აღმ. მცირე აზიის მთელი რიგი ოლქები, ხოლო ჩრდილოეთით სევანის ტბის, დღევანდელი ლენინაკანისა და ყარსი-არზრუმის რაიონები. იყო დრო (ძვ. წ. IX ს. ბოლოსა და VIII ს. პირველ ნახევარში), როდესაც მან დიდად შეავიწროვა ძლევამოსილი ასურეთიც კი და ამ უკანასკნელს მძიმე თავდაცვითი ბრძოლების წარმოება მოუხდა ურარტუსთან.

ურარტუ, ამრიგად, ერთ-ერთი უძლიერესი ძველაღმოსავლური სახელმწიფო იყო და მისი ისტორია ძველი აღმოსავლეთის ისტორიის ორგანულ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. მაგრამ ურარტუ ჩვენთვის სხვა მხრივაც საინტერესოა. ეს იყო უძველესი სახელმწიფო საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. დღეს სსრკ-ს შემადგენლობაში შემავალი სამხრეთ ამიერკავკასიის რიგი რაიონი თავის დროს ურარტუს შემადგენლობაში შედიოდა. ურარტელებს აქ გაჩაღებული ჰქონდათ ფართო სამშენებლო, საირიგაციო, სამეურნეო საქმიანობა: აშენებდნენ ციხე-ქალაქებს, სასახლეებსა და ტაძრებს, გაჰყავდათ არხები, აწყობდნენ ბაღ-ვენახებს, მსხვილ მეურნეობებს. როგორც ირკვევა, ურარტული კულტურის ბევრი ელემენტი შევიდა ამიერკავკასიის თანამედროვე ხალხების კულტურაში. ამ უკანასკნელთა ენებშიც კი

(კერძოდ, ქართულში, სომხურში) საკმაოდ დიდი რაოდენობით გვხვდება ურარტული ლექსიკური ელემენტები. ამიტომაა, რომ ურარტუს ენის, ისტორიისა და კულტურის შესწავლისადმი ჩვენში დიდ ინტერესს იჩენენ.

ურარტუს ისტორიის შესასწავლად ჩვენ მოგვეპოვება როგორც წერილობითი წყაროები, ისე მატერიალური კულტურის ძეგლები.

ურარტუს ისტორიის შესახებ მნიშვნელოვან მასალას შეიცავს ასურული წარწერები. ასურელებს, ურარტელთა ამ უშუალო მეზობლებს, საუკუნეთა მანძილზე ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ ურარტუსთან. უმეტესად ეს იყო საომარი შეტაკებები, თუმცა იყო მშვიდობიანი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობაც. წყაროებში უმთავრესად აისახა პირველი — საომარი შეტაკებები ასურეთსა და ურარტუს შორის. ურუატრის (ე. ი. იმავე ურარტუს) დალაშქვრის შესახებ მოთხრობილია უკვე ძვ. წ. XIII ს. ასურელი მმართველის სალმანასარ I-ის წარწერებში. ამავე ტერიტორიაზე არსებულ დიდ გაერთიანებებთან ბრძოლების შესახებ ლაპარაკია ასურეთის მეფეების — ადადნირარი I-ის (XIV ს.), თუქულთინინურტა I-ის (XIII ს.) და ტიგლათფილესერ I-ის (XII—XI სს.) — წარწერებში. განსაკუთრებით მდიდარ მასალას ურარტუსა და მისი მეზობელი ქვეყნების შესახებ შეიცავენ ძვ. წ. IX—VII სს-ების, ე. ი. ურარტუს ძლიერების ხანის თანამედროვე ასურული წყაროები. ამასთანავე, ურარტუს შესახებ ცნობებს ჩვენ ვხვდებით არა მარტო მეფეთა საომარ წარწერებში, არამედ სხვა ხასიათის ტექსტებშიც — ასურელი მზვერავების მოხსენებებში სამეფო კარისადმი (VIII ს. ბოლო), ღვთაება შამაშისადმი სამისნო შეკითხვებში (VII ს.). ასურელ დიდმოხელეთა — ეპონიმთა — სიებში, რომლებშიც მრავლადაა დაცული მითითებები მათი მმართველობის წლებში მომხდარ მნიშვნელოვან ამბებზე და სხვ.

ურარტუს ისტორიის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ საკუთრივ ურარტული წარწერები. მათი უდიდესი ნაწილი სამეფო წარწერებია, რომლებიც მოგვითხრობენ ურარტუს მეფეთა საომარ, სამშენებლო ან საკულტო საქმიანობის შესახებ. ურარტელებმა ლურსმული დამწერლობა მეზობელი ასურელებისაგან შეითვისეს და თავდაპირველად, IX ს. შუახანებში ასურულადვე წერდნენ. ურარტუს ერთ-ერთი პირველი მეფის — სარდური I-ის დროიდან ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ასურულმა წარწერებმა. მხოლოდ მისი ვაჟის იშფუინის დროს იწყებენ წარწერების შედგენას ურარტულ ენაზე, თუმცა ზოგჯერ ამის შემდეგაც წარწერებს ორ ენაზე — ასურულ და ურარტულ ენებზე — ადგენდნენ. ჩვენამდე მოალწია ორმა ასეთმა ასურულ-ურარტულმა ბილინგვამ (ორენოვანმა წარწერამ), რომელთაგან ერთი

დასახელებული იშფუინისა და მისი ვაჟის მენუას სახელითაა შედგენილი (ძვ. წ. IX ს. დასასრულს), ხოლო მეორე — რუსა I-ს ეკუთვნის (ძვ. წ. VIII ს. უკანასკნელი მესამედი). ორივე ეს წარწერა დადგმული ყოფილა ურარტელთა რელიგიური ცენტრის, მათი უმთავრესი ღვთაება ხალდის კულტის მთავარ ქალაქ მუსასირის ტერიტორიაზე (დღეკანდელ ქ. რევანდუზის მიდამოებში, ურმიის ტბის სამხრეთ-დასავლეთით, ასურეთის მახლობლად).

ჩვენამდე მოაღწია 700-მდე ურარტულმა ლურსმულმა წარწერამ. ზოგი მათგანი ზეტად მოკლეა, რამდენიმე სიტყვას შეიცავს, მაგრამ არის 400—500-სტრიქონიანი მატიანის ხასიათის ძეგლებიც. ასეთია, მაგალითად, არგიშთი I-ის მატიანე, ამოკვეთილი ვანის კლდეზე, სარდური II-ის მატიანე, ამოჭრილი ვანის კლდეში გამოკვეთილ ნიშაში მდგარ დიდ სტელასა და მის პოსტამენტზე. ჩვენამდე მოაღწია აგრეთვე მეფე მენუას მატიანის ფრაგმენტებმა და სხვ.

ურარტული წარწერები მკვლევართათვის ცნობილი გახდა დიდი ხნის წინათ. მათი ნაწილი ხომ კლდეებზე და ზეტად თვალსაჩინო ადგილას არის გაკეთებული. ამიტომ მათ ადრე მიიპყრეს ევროპელ მოგზაურთა და მკვლევართა ყურადღება. 1828—1829 წ. ფრიდრიხ შულცმა ვანის რაიონში აღმოაჩინა და გადმოიხატა ორმოცზე მეტი ურარტული ლურსმული წარწერა. ამათ შორის იყო ისეთი ვრცელი ტექსტი, როგორიცაა არგიშთი I-ის მატიანე, ამოკვეთილი ვანის კლდეზე. ფ. შულცი, სხვათა შორის, შეეწირა კიდეც ამ საქმიანობას — ადგილობრივი ფანატიკოსების მსხვერპლი გახდა, რომელთაც საეჭვოდ მიიჩნიეს მისი საქმიანობა. დაღუპვამდე მას ევროპაში უკვე გაგზავნილი ჰქონდა ურარტული ლურსმული წარწერების მის მიერ გაკეთებული ასლები და ისინი შემდეგ გამოქვეყნდა 1840 წელს პარიზში გამომავალ „აზიურ ჟურნალში“ („Journal Asiatique“). მაგრამ იმ დროს ჯერ ვერავინ კითხულობდა ლურსმულ დამწერლობას. ურარტული ლურსმული წარწერების ამოკითხვაზე მუშაობის დაწყება შესაძლებელი გახდა მხოლოდ საერთოდ ლურსმული დამწერლობის ამოკითხვის შემდეგ, რომელიც ურარტელებმაც გადმოიღეს. ფრანგმა მეცნიერმა გიუარმა ყურადღება მიაქცია ურარტული წარწერების ზოგი ადგილის გასაოცარ დამთხვევას ასურული წარწერების წყვილის ფორმულასთან, რისი დადგენის საშუალებასაც იძლეოდა ორივე მათგანში ერთნაირი მნიშვნელობით ნახმარი ნიშნები — იდეოგრამები (მთელი ცნებების აღმნიშვნელები). მისმა ნაშრომებმა, რომლებიც ქვეყნდებოდა 1880 წლიდან „აზიურ ჟურნალსა“ და ზოგ სხვა ორგანოში, დიდად წასწია წინ ურარტული წარწერების ამოკითხვის საქმე. საერთოდ კი ურარტული წარწერების წარმატებით ამოკითხვა უკავშირდება ინგლისელი ორიენტალისტის არჩიბალდ სეისის სახელს. მისი ვრცელი ნაშრომი „ვანის

ლურსმული წარწერები“, რომელიც გამოქვეყნდა 1882 წ. „სამეფო აზიური საზოგადოების ჟურნალში“ („Journal of the Royal Asiatic Society“), ფაქტიურად, წარმოადგენს იმ დროისათვის ცნობილი მთელი ურარტული ეპიგრაფიკული მასალის სრულ კრებულს — კორპუსს. აქაა მოტანილი ყველა წარწერა თავისი თარგმანითურთ, აქვეა ურარტული ლურსმული ნიშნების ცხრილი და ურარტული ენის გრამატიკის ნარკვევი. ეყრდნობოდა რა ამ წარწერებში ნახმარ იდეოგრამებს, რომელთაც ისეთივე მნიშვნელობა უნდა ჰქონოდათ აქ, როგორც ასურულ ლურსმულ წარწერებში, სეისმა შეძლო აზრობრივად ძირითადად სწორი თარგმანების მოცემა.

ამის შემდეგ ურარტული სიძველეებისადმი ინტერესი გაღვივდა აგრეთვე რუსეთში, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა ურარტუს მიწა-წყლის ერთი ნაწილი. 1893 წ. გამოჩენილმა რუსმა ასირიოლოგმა. მ. ვ. ნიკოლსკიმ არქეოლოგ ა. ა. ივანოვსკისთან ერთად მოიარა ეს ტერიტორია და აქ აღმოჩენილი ურარტული წარწერების სრული კრებული გამოაქვეყნა ვრცელი საისტორიო და ფილოლოგიური გამოკვლევითურთ 1896 წ. (იხ. მისი ნაშრომი „Клинообразные надписи Закавказья“, სერიაში — „Материалы по археологии Кавказа“, т. V).

1898—1899 წლებში ასეთივე სამუშაო, მხოლოდ უკვე ძველი ურარტუს მთელი ტერიტორიის მასშტაბით, ჩაატარეს გერმანელმა მეცნიერებმა კ. ფ. ლემან-ჰაუპტმა და ვ. ბელმა. მათ მიერ ადგილზე შესწავლილ ურარტულ წარწერათა გამოქვეყნებას შეუდგა კ. ფ. ლემან-ჰაუპტი ურარტულ (მათ იგი „ხალდურს“ ეძახდა) წარწერათა კორპუსის სახით, მაგრამ მისი ბოლომდე მიყვანა არ დასცალდა. გამოვიდა ამ კორპუსის („Corpus Inscriptionum Chaldicarum“) ორი ნაკვეთი (1928 და 1935 წლებში), სადაც გამოქვეყნებულია სულ 110 წარწერა, ისიც მხოლოდ ტრანსკრიფციაში, როგორც წესი, თარგმანების გარეშე.

როდესაც 1916 წ., პირველი მსოფლიო ომის დროს, რუსთა ჯარებმა დაიკავეს თურქეთის ტერიტორიის ნაწილი, მათ შორის ქალაქი ვანი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ აქ მოავლინა ექსპედიცია აკადემიკოსების — იოსებ ორბელისა და ნიკო მარის — მეთაურობით. ექსპედიციას დიდი წარმატება ხვდა წილად იმის გამო, რომ ვან აღმოაჩინა ურარტუს მეფის სარდური II-ის ვრცელი მატიანე, რომელიც ამოკვეთილი იყო ვანის კლდეში ამოჭრილ ერთ-ერთ ნიშაში მდგომ დიდი სტელის ოთხსავე მხარეზე და მის პოსტამენტზე. შემდეგში, 1922 წელს ეს ტექსტი გამოსცა ნ. მარმა. ნ. მარის მოწა-

ფის, აკადემიკოს ი. მეშჩანინოვის მთელ რიგ ნაშრომში („Язык Ванской клинописи“ т. II, 1935; „Грамматический строй урартского языка“, ч. I, 1958, ч. II, 1962) ურარტული ენის სტრუქტურის ბევრი, საკითხი სწორად და გონებამახვილურად იქნა გაშუქებული.

1939 წ. გამოქვეყნდა აკადემიკოს გ. წერეთლის სანიმუშო გამოცემა ურარტული წარწერების იმ დიდი კოლექციისა, რომელიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია დაცული.

ურარტული ენის და ცალკეული ურარტული წარწერების შესწავლის საქმეში სერიოზული წვლილი შეიტანეს მიმდინარე საუკუნის 30-იან წლებში გამოქვეყნებული ნაშრომებით ცნობილმა ორიენტალისტებმა ალბრეხტ გოეცემ და იოჰანეს ფრიდრიხმა. მრავალი საყურადღებო გამოკვლევა ამავე საკითხებზე საჰლვარგარეთ გამოაქვეყნა 20—50-იან წლებში მიხეილ წერეთელმა.

1953/54 წლებში გამოქვეყნდა ჟურნალ „Вестник древней истории“-ს ფურცლებზე ურარტული წარწერების სრული კრებული—კორპუსი ურარტული ენის გრამატიკული ნარკვევითა და ლექსიკონით (გ. მელიქიშვილი); შემდეგ ეს ნაშრომი ცალკე წიგნად გამოიცა (Г. А. Меликишвили. Урартские клинообразные надписи. М. 1960). ამავე ნაშრომის მეორე ნაწილს წარმოადგენს საისტორიო გამოკვლევა „ნაირი-ურარტუ“ (თბ., 1954). ორივე ეს ნაშრომი 1957 წ. ლენინური პრემიით აღინიშნა.

1955—1957 წლებში ავსტრიელმა მეცნიერმა ფრ. ვ. კიონიგმა გამოაქვეყნა ურარტული წარწერების კრებული. მნიშვნელოვანი შენაძენი იყო ურარტული ეპიგრაფიკის შესწავლის საქმეში პროფ. ი. დიაკონოვის მიერ აქამდე აღმოჩენილი ყველა ურარტული წერილისა და დოკუმენტის გამოქვეყნება, რომლებიც თიხის ფირფიტებზე არიან დატანილი (И. М. Дьяконов. Урартские письма и документы. М.-Л., 1963).

ურარტუს შესასწავლად, წერილობით ძეგლებს გარდა, ჩვენ მოგვეპოვება მატერიალური კულტურის მრავალი ძეგლი. ურარტული ქალაქების არქეოლოგიური შესწავლა ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუახანებში დაიწყო. ვანი ამ მიზნით მოინახულა 1850 წ. ცნობილმა არქეოლოგმა ლეიარდმა. 1879—1880 წწ. აქ მუშაობდნენ კლეიტონი, რეინოლდსი, რასამი. 1898—99 წწ. ვანში მუშაობდა ექსპედიცია ვ. ბელკისა და კ. ფ. ლემან-ჰაუპტის ხელმძღვანელობით, ხოლო 1916 წ. ვანში ბათხრებს აწარმოებდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ექსპედიცია ი. ორბელის ხელმძღვანელობით და სხვ.

ძველი ურარტული ცენტრების არქეოლოგიური შესწავლა განსაკუთრებით ინტენსიური გახდა უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში. 1939 წ. დაიწყო ურარტული ციხე-ქალაქის — თეიშებაი-

ნის — გათხრები (დღევანდელი კარმირ-ბლური ქ. ერევნის განაპირას) აკად. ბ. ბ. პიოტროვსკის მეთაურობით. ამ გათხრების შედეგებს მიეძღვნა აკად. ბ. პიოტროვსკის წიგნების სერია „Кармир - блур". ეს შედეგები ფართოდ არის ასახული აგრეთვე ანავე ავტორის განმაზოგადებელ, ურარტუს ისტორიისა და კულტურისადმი მიძღვნილ ნაშრომში „История и культура Урарту", რომელმაც თავის დროს სახელმწიფო პრემია დაიმსახურა. 1959 წ. გამოვიდა ამ წიგნის ახალი გამოცემა სახელწოდებით „Ванское царство". 1950 წლიდან პროფ. კ. ლ. ოჰანესიანის ხელმძღვანელობით გაითხარა მეორე დიდი ურარტული ციხე-ქალაქი ირფუნი (ერებუნი — ერევნის ახლოს). ფართოდ გაიშალა ურარტული ქალაქების არქეოლოგიური თხრა თურქეთშიც. აქ აღსანიშნავია გათხრები ალთინ-თეფეში (ტ. ოზგიუჩი), ადილჯევაზში (ეგინ ბილგიჩი), ვანში (ტოპრაჰ-კალეზე), კაიალიდერეში (ჩ. ბარნეი) და სხვ. არქეოლოგიურმა გათხრებმა მოგვცა, უამრავ ახალ ურარტულ წარწერასთან ერთად, მატერიალური კულტურის მრავალი შესანიშნავი ძეგლი, რომელსაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ურარტელთა ეკონომიკის, მეურნეობის, კულტურისა და ხშირად აგრეთვე სოციალური ცხოვრების შესასწავლად.

ურარტუს წამყვანი მოსახლეობა — ურარტელები — ენით ახლოს იდგნენ ხურიტებთან, რომელთაც ძვ. წ. II ათასწლეულში შექმნეს ძლიერი სახელმწიფო — მითანი. მათ შორის სიახლოვე შეინიშნება კულტურის, რელიგიის მხრივაც, ურარტელების მთავარ ღმერთად ითვლებოდა ადგილობრივი ღვთაება ხალდი. პანთეონში მეორე ადგილი ეკავა ტაროსის, ჰექა-ქუხილის ღმერთ თეშუბას და მის მეუღლე ხუბას, რომელნიც ასახიერებდნენ ხურიტების უზენაეს მამაღმერთსა და ქალღმერთს — თეშუფსა და ხეფას.

მითანის ძლიერების ხანაში ურარტელი ტომები ამ სახელმწიფოს ფარგლებში უნდა ყოფილიყვნენ მოქცეული. ცნობილია, რომ მითანის საზღვრები ჩრდილოეთით საკმაოდ შორ მანძილზე უნდა ყოფილიყო გავრცელებული. იგი, შეიძლება, თვით კავკასიის სამხრეთ რაიონებსაც კი მოიცავდა. ამიტომ, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ურარტელი ტომებიც მის ფარგლებში უნდა ყოფილიყვნენ მოქცეული. ეს მით უფრო სავარაუდებელია, რომ ურარტელი ტომების, ყოველ შემთხვევაში, მათი იმ ნაწილის უმთავრესი კერა, რომელნიც შემდეგ ურარტუს სამეფოს სათავეში იმყოფებოდნენ, მდებარეობდა საკმაოდ სამხრეთით, ურმიის ტბის სამხრეთ-დასავლეთი სანაპიროს მახლობლად. აქ იყო ურარტელთა რელიგიური ცენტრი — ქალაქი, რომელსაც ურარტელები არდინის, ხოლო მეზობელი ასურელები მუსასირს ეძახდნენ.

მას შემდეგ, რაც ხურიტების ძლიერი სახელმწიფო — მითანი — დასუსტდა, ხოლო შემდეგ საბოლოოდ დაემხო (ძვ. წ. XIII ს.), ასურელებმა სასტიკი ბრძოლები გააჩაღეს ადრე ამ სამეფოს შემადგენლობაში შემავალი, ახლა კი დამოუკიდებლად ქცეული ურარტელ და მათ მეზობელ ტომთა გაერთიანებების დასაპყრობად. პირველად ურარტუს (ურუატრის) წინააღმდეგ ლაშქრობაზე მოგვითხრობს ასურეთის მეფის სალმანასარ I-ის წარწერები, სწორედ იმ მეფისა, რომელსაც მიეწერება მითანის სამეფოს ნაშთების სრული განადგურება.

ძვ. წ. XIII—XI სს. საერთოდ ძალზე ინტენსიური გახდა ასურელთა ლაშქრობები ჩრდილოეთში. თურქულთინინურტა I (1245—1209), მაგალითად, ლაპარაკობს, რომ იგი ღვთაება ასურმა გაგზავნა ნაირის ქვეყნებისა და ზემო ზღვის პირას მდებარე ქვეყნების დასალაშქრად, რომ მან დაიპყრო ეს ქვეყნები და მათი 40 მეფე დაიმორჩილა. ნაირის და ზემო ზღვისპირა ქვეყნების მეფეთა წინააღმდეგ ბრძოლაზე კიდევ უფრო ვრცლად მოგვითხრობს მეფე ტიგლათფილესერ I (1115—1077). იგი ჩამოთვლის ნაირის 23 ქვეყნის მეფეს, რომელთაც კავშირი შეკრეს და მის წინააღმდეგ ამხედრდნენ, როცა იგი ჩრდილოეთით გაემართა. ამ კოალიციას სათავეში ედგა დაიაენის მეფე სიენი. დაიაენი შემდეგში იხსენიება ურარტულ წყაროებში „დიაოხის“ ფორმით, ხოლო ძველ ბერძნულ წყაროებში „ტაოხი“-ს სახით. ეს სახელი შემორჩა ისტორიული საქართველოს ერთ-ერთ ოლქს — ტაოს. ამრიგად, ნაირის ქვეყნების კოალიციის სათავეში მდგომი სიენი ტაოს მეფე უნდა ყოფილიყო.

ტიგლათფილესერ I-ის შემდეგ ასურეთი ერთხანს დასუსტდა, მაგრამ ძვ. წ. IX საუკუნიდან ხელახლა ძველებურად და კიდევ უფრო მეტად გაძლიერდა. ამას თან სდევდა მეზობლებზე, მათ შორის ნაირი-ურარტუს მოსახლეობაზე შეტევის გაძლიერება. ასურელების მიზანი ამჯერადაც ძველებური იყო: ნადავლი, ტყვეები, ხარკი. მათ ლაშქრობებს, ამასთანავე, თან სდევდა მხეცური სისასტიკე დალაშქრული მხარის მოსახლეობის მიმართ. ასეთი რამ განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო ასურნასირფალ II-ის (884—860) ლაშქრობებისათვის. ასურეთში — ამ მხედრების ქვეყანაში — თავისი მეომრობითა და სისასტიკით განთქმულ მეფეთა შორისაც, ასურნასირფალ II-ს უცილობლად პირველი ადგილი უჭირავს მოლაშქრეობასა და სისასტიკეში. მისი დროის წერილობითი თუ სახვითი ხელოვნების ძეგლები მას გვიხატავენ, როგორც მრისხანე და სისხლისმღვრელ ბრძანებელს. მისი ლაშქარი მარტო დამარცხებულთა გაჟლეტით არ კმაყოფილდებოდა. დამარცხებული ქვეყნის მოსახლეობას ასურნასირფალი მასიუ-

რად ცოცხლად სარზე აცვამდა, კედელში ატანდა, თვალებს სთხრიდა, ხელებს, თითებს, ცხვირსა და ყურებს აჭრიდა, ცოცხლად წვავდა ცეცხლში (მეტადრე ახალგაზრდა ვაჟებსა და ქალებს) და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, არა მარტო დამარცხებული ქვეყნის ბელადებს, არამედ სხვა მრავალსაც ცოცხლივ ტყავს აძრობდა და ხალხის დასაშინებლად მათი ან ასურეთის ქალაქების კედლებზე გადაფენდა ხოლმე.

ასურნასირფალის ასეთი სისასტიკის აღწერით სავსეა მისი წარწერების ის ადგილებიც, სადაც ნაირი-ურარტუს მოსახლეობის წინააღმდეგ მოწყობილი ლაშქრობებია აღწერილი. ასევე, ქალაქ კალხუში მისი სასახლის რელიეფები, როგორც აღმოჩნდა, აჭრელებული ყოფილა გამოსახულებებით, რომლებზეც გამოხატულია დაპყრობილ ქვეყნებში ასურელთა მიერ ჩადენილი სისასტიკე. ამ სახის ათასგვარ სცენას ვხვდებით აქ, მათ შორის ცოცხალი ადამიანისათვის ტყავის გაძრობის სცენებსაც.

საყურადღებოა, რომ, მიუხედავად ასურნასირფალის ასეთი ინტენსიური ლაშქრობებისა ჩრდილოეთით, აქ მას ურარტელთა რაიმე დიდი პოლიტიკური ერთეული არ ხვდება. სამაგიეროდ მის მემკვიდრეს სალმანასარ III-ს (860—825) უკვე თავისი მეფობის დასაწყისში შეტაკება უხდება ურარტუს ძლიერ და დიდ სამეფოსთან. უნდა ვიფიქროთ, რომ ასურელების აღვირახსნილმა თარეშმა გარკვეულად ბიძგი მისცა ურარტელთა პოლიტიკური გაერთიანებების კონსოლიდაციას და ურარტუს დიდი სამეფოს წარმოქმნას შეუწყო ხელი.

ურარტუს პირველ მეფედ ასურულ წყაროებში დასახელებულია არამე. მასთან ომს რამდენჯერმე იხსენიებს სალმანასარ III. უკვე თავისი მეფობის დასაწყისში ეს უკანასკნელი იღებს არამეს ერთ-ერთ ციხე-სიმაგრე სუგუნიას და მის გარშემო მდებარე 14 სხვა ქალაქს, რომლებსაც იგი სასტიკად არბევს. მეფობის მესამე წელს სალმანასარს სასტიკი შეტაკება უხდება არამესთან, რომელიც, როგორც სალმანასარი ამბობს, თავისი ჯარების მრავალრიცხოვნობის იმედით გამოემართა მასთან შესაბრძოლებლად. სალმანასარი ამბობს, რომ მან დაამარცხა არამეს ეს მრავალრიცხოვანი ლაშქარი და 3400 მეომარი მოუკლა მას. ამ ლაშქრობის დროს სალმანასარმა აიღო არამეს „სამეფო ქალაქი" არზაშქუ, რომელიც ვანის ტბის ჩრდილოეთით მდებარეობდა. კიდევ ერთხელ, მეფობის მე-15 წელს იხსენიებს სალმანასარი არამეს: იგი ამბობს, რომ დაარბია, დაანგრია და ცეცხლს მისცა ურარტუს მეფის არამეს ქალაქები.

სალმანასარ III-ის (860—825) მეფობის 27-ე წელს ურარტუს სამეფო ტახტზე უკვე სხვა პირი ჩანს — სედური. დანამდვილებით ვიცით, რომ ამ უკანასკნელის რეზიდენცია იყო ქალაქი ტუშფა (დღე-

ვანდელი ვანი, ეგნის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე). აქ ურარტული დროის ციხე-სიმაგრის გალავნის კედლებში ჩატანებულია მრავალი წარწერიანი ქვა, სადაც მეფე თავის თავს სარდური ლუთიფრის ძეს ეძახის, ბრწყინვალე ტიტულატურით იმკობს თავს („მეფე დიდი, მეფე ძლიერი, მეფე სამყაროსი, მეფე ნაირის ქვეყნისა, მეფე, რომელსაც ტოლი არ ჰყავს და ა. შ.). ტუშფაში მას დიდი აღმშენებლობა უწარმოებია. ჩანს, ისიც ძლიერი ხელისუფალი ყოფილა. სალმანასარ III ამბობს, რომ ეს სარდური (I) (სედური) თავისი მრავალრიცხოვანი ლაშქრის იმედით გამოემართაო ჩემთან საბრძოლველად...

ძვ. წ. IX ს. დასასრული და VIII საუკუნე ურარტუს სახელმწიფოს ძლევამოსილების ხანას წარმოადგენს. ამ დროს მეფობდნენ ურარტუში ზემოდასახელებული სარდური ლუთიფრის ძის ძე, იშფუინი (IX ს. უკანასკნელი მეოთხედი), ამ უკანასკნელის ძე მენუა (IX—VIII სს-თა მიჯნა), არგიშთი I მენუას ძე (786—764) და სარდური II არგიშთის ძე (764—735). ამ პერიოდში ურარტუს მეფეები აწარმოებდნენ ფართო დამპყრობლურ ომებს და ყველა მიმართულებით დიდად გააფართოეს თავისი სამეფოს ტერიტორია.

ასურეთის ლაშქრის დამარცხებას და მის დამორჩილებას იკვეხნის თავის მატიანეში ურარტუს მეფე არგიშთი I, მისი მემკვიდრე სარდური II კი აღნიშნავს, რომ მან სძლია „ასურნირარის, ადადნირარის ძეს, ასურის ქვეყნის მეფეს". ურარტუმ ხელთ იგდო რა ჩრდილოეთ მესოპოტამიისა და ჩრდილოეთ სირიის რიგი რაიონი, ლითონით ღარიბ ასურეთს გზა გადაუკეტა მისი ბომარაგების წყაროსაკენ — მცირე აზიისაკენ და ამითაც ხელი შეუწყო მის დასუსტებას.

დიდ წარმატებებს აღწევს ურარტუ სამხრეთ-აღმოსავლეთით, ურმიის ტბის მიმართულებით. აქ, როგორც ვთქვით, მდებარეობდა ურარტელი ტომების უძველესი ცენტრები, კერძოდ, მათი უმთავრესი ღვთაების ხალდის კულტის ცენტრი ქალაქი მუსასირი. ურარტუს სამეფოს წარმოქმნის ჟამს, IX ს. შუახანებში მუსასირი, ეტყობა, არ შევიდა ურარტუს შემადგენლობაში, მის ფარგლებს გარეთ დარჩა. მაგრამ მალე, უკვე იშფუინის დროს, მას ურარტუს გავლენის სფეროში ვხედავთ. აქ მოდიან იშფუინი და მენუა, ხალდის ტაძარს ძღვენს სწირავენ, მშენებლობას აწარმოებენ და სხვ. მუსასირის შესვლა ურარტუს შემადგენლობაში მშვიდობიანი გზით უნდა მომხდარიყო. აქ ურარტუს არსებობის მთელ მანძილზე დატოვებულ იქნა ადგილობრივი დინასტია, რომელიც აღიარებდა ურარტუს მეფეთა უმაღლეს ხელისუფლებას. მუსასირთან ერთად ურარტუმ შეიერთა, უეჭველია, ურმიის ტბის დასავლეთ სანაპიროსთან მდებარე სხვა ქვეყნებიც. ამავე რაიონში, ურმიის ტბის სამხრეთითა და აღმოსავლეთით ურარტუს

მეფეებმა დიდი ბრძოლები გააჩაღეს აქ არსებულ დიდ გაერთიანებასთან — მანას სამეფოსთან. მის წინააღმდეგ ლაშქრობები ხშირად ყოველწლიურად წარმოებდა. ურარტული წარწერები სავსეა მანას ტერიტორიაზე დაპყრობილი და დარბეული პუნქტებისა და ოლქების ჩამოთვლით, აქ ხელთგდებული უზარმაზარი ნადავლის (ძირითადად პირუტყვის) და ტყვეთა დიდი რაოდენობის დასახელებით... ურარტელები ცდილობენ მანას ცალკეული რაიონები უშუალოდ შეუერთონ თავის სამეფოს და პროვინციად გაიხადონ. ისინი აქ აგებენ ციხესიმაგრეებს, ტოვებენ თავის გარნიზონებს და სხვ.

არანაკლებ ინტენსიური იყო ამ ხანებში ურარტელთა შეტევა სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. ურარტუს ლაშქარმა მიაღწია დასავლეთით ისე შორს მდებარე პუნქტებს, როგორიცაა კუმუხი, მალატია, ალეპო. ურარტელთა ჯარები ევფრატის დასავლეთით, ჩრდილოეთ სირიაშიც არაერთხელ გამოჩნდნენ და ცდილობდნენ ეს ადგილებიც დაემორჩილებინათ. უკვე მენუა მეფე იკვეხნის ისეთი ქვეყნების დამორჩილებას, როგორიცაა: მელიტეა (მალატია), ხათი (ხეთების ქვეყანა — ამ დროს ასე ეძახდნენ ჩრდილოეთ სირიას და მცირე აზიის მომიჯნავე რაიონებს), ცუფანი (ანტიკური ხანის „სოფენე"), ალზი (მდ. მურად-სუს დინების სამხრეთით), და სხვ.

ამ და სხვა მეზობელი ქვეყნების დალაშქვრა ხდებოდა არგიშთი I-ის დროსაც, ხოლო მისი მემკვიდრის სარდური II-ის მეფობაში ურარტელთა აქტივობა განსაკუთრებით იზრდება ამ მხარეში. მის დროს ჩრდილოეთ მესოპოტამიისა და ჩრდილოეთ სირიის უმნიშვნელოვანესი ერთეულები ურარტუს გავლენის სფეროში მოქცეული ჩანს. კუმუხის მეფე ქეშთაშფილი, მაგალითად, სარდური მეფეს ხარკის სახით მიართმევს 40 მინა (დაახლოებით 20 კგ) „სუფთა ოქროს", 900 მინა ვერცხლს, დიდძალ სპილენძს და სხვ.

ადრიდანვე ურარტელთა ექსპანსიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ობიექტი გახდა ამიერკავკასიის სამხრეთი რაიონებიც. უკვე იშფუინის მეფობის ხანაში ურარტელებს თავს დასხმიან ლუშას, ქათარზას და ვიტერუხის ტომები. ამ ტომების ადგილსამყოფელი შორეულ ჩრდილოეთში უნდა ყოფილიყო, შავი ზღვის სანაპიროთა მახლობლად. ქათარზას სახელი შემოინახა შემდეგდროინდელი „კლარჯეთის" სახელში, ხოლო ვიტერუხი (გამოთქმაში ვიძერუხი) იგივე სახელია, რაც ქართული წყაროების „ოძრახე" (ამ სახელით ძველად უნდა აღენიშნათ შემდეგდროინდელი „სამცხე"). იშფუინსა და მის ვაჟს მენუას უკუუგდიათ ეს ტომები, დასდევნებიან მათ, შეჭრილან მათ ქვეყანაში და დიდძალი ნადავლი (მაგალითად, 13.540 სული მსხვილფეხა და 20.785 სული წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი), აგრეთვე ტყვეები უგდიათ ხელთ. ლუშას, ქათარზასა და ვიტერუხის მიშველებიან „ეთიუნის მე-

ფეები". „ეთიუნის" ურარტელები უწოდებდნენ ზოგადად სამხრეთ ამიერკავკასიის ვრცელ ტერიტორიას ყარსი-არზრუმის რაიონიდან დაწყებული სევანის ტბის რაიონამდე.

მეფე მენუას დროს ურარტელებს ჩრდილოეთში უმთავრესი ბრძოლების წარმოება უხდებათ დიაოხის (ტაოხი, ტაო) ძლიერი სამეფოს წინააღმდეგ. მენუამ დაამარცხა დიაოხის მეფე უტუფურსი, მიიღო მისგან დიდძალი ხარკი, მათ შორის ოქრო-ვერცხლი.

მენუას დროს ურარტელებმა ფეხი მოიკიდეს არარატის მთის სამხრეთ კალთებზეც. აქ მათ დაიმორჩილეს ერქუას ქვეყანა და თავისი დასაყრდენი პუნქტი — ქალაქი მენუახინილიც — ააგეს.

განსაკუთრებით ინტენსიური გახდა ბრძოლა სამხრეთ ამიერკავკასიის დასამორჩილებლად მენუას მემკვიდრის — არგიშთი I-ის (786—760) მეფობაში. დიდი ბრძოლები გრძელდებოდა დიაოხისთან, რომლის მეფედ არგიშთის მმართველობის დასაწყისში კვლავ უტუფურსი იყო. ამიერკავკასიის თითქმის ყველა მეზობელი ტომი (ლუშა, ქათარზა, ერიახი გულუთახი, ვიტერუხი, აფუნი, იგანიეხი) ეხმარებოდნენ დიაუხის და მასთან ერთად იქნენ დარბეული ურარტელთა მიერ. არგიშთიმ დიაოხის ტერიტორიას ნაწილი ჩამოაჭრა და იქ თავისი დასაყრდენი პუნქტები — ციხე-სიმაგრეები — ააგო. 15.181 ყრმა, 2734 მამაკაცი, 10.604 ქალი ტყვედ წაიყვანა, ნადავლის სახით ხელთ იგდო 4426 ცხენი, 10.478 მსხვილფეხა და 73.770 წვრილფეხა საქონელი. დიაოხის მეფემ ხარკის სახით არგიშთის მისცა 41 მინა (მინა=დაახლოებით ნახევარ კილოგრამს) სუფთა ოქრო, 37 მინა ვერცხლი, მრავალი ათეული ათასი მინა სპილენძი, 1000 ცხენი, ათეულ ათასობით წვრილფეხა პირუტყვი და სხვ. არგიშთიმ დიაოხის დააკისრა ყოველწლიური ხარკიც (მათ შორის მარტო სპილენძისა — წლიურად 5 ტონის რაოდენობით).

არგიშთი I-ის დროს ურარტელები გადმოვიდნენ არაქსის ჩრდილო ნაპირზე და არარატის ველის ინტენსიურ დაპყრობას შეუდგნენ. არგიშთიმ აქ ააშენა ორი დიდი ციხე-სიმაგრე: ირფუნი (ერებუნი) (დღევანდელი ერევნის ტერიტორიაზე) და არგიშთიხინაილი არაქსის დინების მახლობლად. ურარტუს ჯარებმა ამ დროს სევანის ტბის რაიონებსაც მიაღწიეს და იქ მრავალი ქვეყანა დაიპყრეს.

არგიშთი I-ის მატიანე იხსენიებს აგრეთვე ზაბახას (ჯავახეთის) დალაშქვრას.

ურარტელები განსაკუთრებით შეუდგნენ არარატის ნაყოფიერი ველის ათვისებას. როგორც ვთქვით, მათ აქ ორი დიდი ციხე-ქალაქი ააგეს. ერთ-ერთ მათგანში, ირფუნიში არგიშთიმ შორეული დასავლეთიდან, ხათესა და ცუფანის ქვეყნებიდან გადმოსახლებული 6600

ტყვე-მეომარი დაასახლა და აქ მათ ურარტუს ინტერესების დაცვა დააკალა. არგიშთიმ არარატის ველის მოსარწყავად მდინარე არაქსიდან ოთხი არხი გაიყვანა, მოაწყო აქ დიდი მეურნეობები და სხვ.

სარდური II-ის დროს გრძელდებოდა არარატის ველის ათვისება. უფრო ინტენსიური გახდა ბრძოლები სევანის ტბის მიდამოების, დღევანდელი ლენინაკანის მხარის და სხვ. დასაპყრობად. დიაოხი ამ დროს, ჩანს, უკვე სავსებით განადგურებული იყო და მისი მიწები შეიერთეს ნაწილობრივ ურარტუმ, ხოლო ნაწილობრივ კოლხამ — საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე დიდმა კოლხურმა სამეფომ. ახლა ეს დიდი ერთეულები უშუალო მეზობლები გახდნენ და მათ შორის შეტაკებებმაც იჩინა თავი. სარდური II ორჯერ იხსენიებს თავის მატიანეში გალაშქრებას კოლხას (კოლხეთის) წინააღმდეგ, ლაპარაკობს კოლხას მეფის „სამეფო ქალაქ“ ილდამუსას დაპყრობაზე, სადაც მას გაუჟლეტია „კოლხას მეფის ნაცვლები“, სასტიკად დაურბევია აქაურობა და სხვ. სარდური II-ს ილდამუსაში „რკინის ბეჭედი“ გაუკეთებია, ჩანს, თავისი გამარჯვების აღსანიშნავად. ეტყობა, ადგილობრივი კოლხი მელითონეები ამ საქმეში დახელოვნებული იყვნენ და სარდურიმაც იმიტომ გააკეთებინა მათ ასეთი „რკინის ბეჭედი“. ეს, სხვათა შორის, „რკინის“ მოხსენიების ერთადერთი შემთხვევაა ურარტულ წყაროებში და ეხმაურება სხვა მასალებით ცნობილ ფაქტს რკინის დამუშავებაში ისტორიული კოლხეთის მოსახლეობის დაწინაურების შესახებ

ბრძოლები სამხრეთ ამიერკავკასიის დასაპყრობად გრძელდებოდა აგრეთვე სარდური II-ის მემკვიდრის რუსა I-ის (735—714) მეფობაში. მის დროს, როგორც ჩანს, ადგილი ჰქონდა თვით ძორეული სევანისპირა მიწების ურარტულ პროვინციად გადაქცევას. ურარტელები აქ ინტენსიურად აგებენ ციხე-სიმაგრეებს, ქმნიან თავის დასაყრდენ პუნქტებს.

VIII ს. პირველ ნახევარში, როგორც აღვნიშნეთ, ურარტუს ძლევამოსილების ხანას წარმოადგენს. ამ დროს იგი მახლობელ აღმოსავლეთში უძლიერეს სახელმწიფოდ ყალიბდება. ურარტუ ძლიერ სახელმწიფოდ რჩებოდა ამ საუკუნის მეორე ნახევარშიც, მიუხედავად იმისა, რომ მან ამ პერიოდში არაერთი სერიოზული მარცხი განიცადა. რამდენიმე ასეთი მარცხი ურარტუმ განიცადა მეზობელი ასურეთისაგან, რომელიც ტიგლათფილესერ III-ის (745—727) დროს მნიშვნელოვნად გაძლიერდა. ამ უკანასკნელის სახელს უკავშირდება რიგი სამხედრო და სხვ. რეფორმის გატარება. სახალხო ლაშქრის გვერდით, სადაც გამოდიოდა საკუთარი შეირაღებით ყველა ასურელი მამაკაცი, ტიგლათფილესერმა შექმნა რამდენიმე ათიათასკაციანი მუდმივი ჯარი, რომელიც სახელმწიფო ხარჯზე იარაღდებოდა. მასში, ამრიგად, ფარ-

თოდ გაეხსნა გზა გაღატაკებულ გლეხობას, რომელსაც საკუთარი ხარჯით არ შეეძლო შეიარაღება. მცირე აზიის აღმოსავლეთი ნაწილისა და ჩრდ. სირიის მთავრებმა იგრძნეს ასურეთის მხრით გაზრდილი საფრთხე და ურარტუსთან ერთად ჩაებნენ ასურეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ ტიგლათფილესერმა 735 წ. ჩრდ. სირიის მიწა-წყალზე სასტიკად დაამარცხა ეს დიდი კოალიცია. ასურელებმა მისდიეს დამარცხებულ ურარტელებს დედაქალაქ ტუშფამდე, ალყა შემოარტყეს მას, მაგრამ ვერ აიღეს და თავის ქვეყანაში გაბრუნდნენ.

ტიგლათფილესერ III-ის ამ სამხედრო წარმატებით ურარტუს ძლიერებამ საგრძნობი დარტყმა განიცადა. ურარტუმ დაკარგა ზოგი პერიფერიული რაიონი, გამოიდევნა ჩრდ. მესოპოტამიისა და ჩრდ. სირიიდან. შერყევა გახდა მისი პოზიციები ურმიისპირა რაიონშიც. სახელმწიფო ცენტრალიზაციის საქმესაც ამით დიდად ევნო. ურარტუს ცალკეული ოლქების მმართველებმა ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ გააჩაღეს ბრძოლა. ურარტუში ეწყობა ოლქის მმართველებისა და მხედართმთავრების აჯანყებები მეფის წინააღმდეგ. რუსა I-მა (735—714), რომელმაც ურარტუს სამეფო ტახტზე სარდური II შეცვალა, ძლივს შეძლო ამ აჯანყებების ჩაქრობა. ამასობაში დიდი საფრთხე გაჩნდა ჩრდილოეთიდან. სამხრეთ რუსეთის ველებიდან შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროს გზით VIII ს. 20-იან წლებში ურარტუს საზღვრებს შემოესივნენ კიმერიელთა მეომარი ტომები. კიმერიელებმა სასტიკად დაამარცხეს ურარტუს ლაშქარი და მისი დიდი ნაწილი ამოჟლიტეს.

ამ გართულებებით კარგად ისარგებლა ასურეთის მეფე სარგონ II-მ (722—705) და 714 წ. გრანდიოზული ლაშქრობა მოაწყო ურარტუს წინააღმდეგ. ამ ლაშქრობის ამბები დეტალურად არის აღწერილი ღვთაება ასურისადმი სარგონ II-ის სახელით შედგენილ „წერილში" — ვრცელ ტექსტში, რომელიც მისი ახლანდელი ადგილსამყოფელის მიხედვით „ლუვრის ფირფიტის" სახელითაა ცნობილი.

სარგონი ურარტუში შეიჭრა ურმიის ტბის რაიონიდან, სადაც ურარტუს მხრივ შევიწროებული მანას სამეფო ასურელთა საიმედო დასაყრდენს წარმოადგენდა. მთავარი შეტაკება ურარტუსა და ასურელთა ლაშქარს შორის მოხდა ურმიის ტბის აღმოსავლეთით, უაუშის დიდი მთის რაიონში, რომელიც ახლანდელი მთა სოხენდი უნდა იყოს. რუსა I-ის ჯარები აქ სასტიკად დამარცხდნენ და თვით მეფემ, სარგონის ცნობით, თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე, თუმცა იგი, შეიძლება, თავისი დიდებულების მსხვერპლი გახდა. ასურელთა ჯარებმა ამის შემდეგ ცეცხლითა და მახვილით გაიარეს ურარტუს ვრცელი მიწა-წყალი, დაიპყრეს, როგორც სარგონი ამბობს, ურარტუს 7 ოლქი და 430 ქალაქი. დაბრუნებისას ასურელთა ლაშქარი შეიჭრა ქალაქ მუ-

სასირში — ურარტუს რელიგიურ ცენტრში, დაარბია ადგილობრივი მთავრის, ურარტუს მეფის ვასალის ურზანას სასახლე. და ურარტუს უზენაესი ღვთაება ხალდის ტაძარი, სადაც უზარმაზარი სიმდიდრე ჩაიგდო ხელთ. ამ უკანასკნელის ჩამოთვლას „ლუვრის ფირფიტის“ კარგა მოზრდილი ნაწილი უკავია.

ასურელებთან 714 წლის ომში ამ დამარცხებას სერიოზული შედეგები მოჰყვა ურარტუსათვის. ურარტუმ საბოლოოდ დაკარგა თავისი ძლიერების პერიოდში დაპყრობილი მრავალი ოლქი. იგი გაშოდევნილ იქნა არა მარტო ჩრდ. მესოპოტამიიდან, ჩრდ. სირიიდან და მცირე აზიის აღმოსავლეთი რაიონებიდან, არამედ აგრეთვე ურმიისპირა რაიონებიდანაც. მათ დაკარგეს ძალაუფლება თვით ქვეყნის რელიგიურ ცენტრზე — ქალაქ მუსასირზე. ამ რაიონში მდებარე მანას სამეფო კი განთავისუფლდა ურარტუსაგან და მომდევნო ხანაში, VII საუკუნეში, დიდად გაძლიერდა. მხოლოდ ერთი მიმართულებით, ჩრდილოეთით, სამხრეთ ამიერკავკასიაში, ეტყობა, ურარტუს მეფეთა პოზიციები ხელშეუხებელი დარჩა. არარატის ველზე ურარტუს მეფე რუსა II (685—645) დიდ სამუშაოებს აწარმოებდა. მან ააგო, მაგალითად, დღევანდელი ერევნის განაპირას ციხე-ქალაქი თეიშებაინი (დღევანდელი კარმირ-ბლური, რომელიც ითხრებოდა 1939—1971 წლებში აკად. ბ. პიოტროვსკის მიერ), გაიყვანა აქ არხები, გააშენა ბაღ-ვენახები, დაამუშავა აქამდე დაუმუშავებელი მიწები და სხვ.

რუსა II-ის ხანა, საერთოდ, ურარტუს ხელახალი გაძლიერების პერიოდად არის მიჩნეული. რუსა II, ჩანს, აქტიურ საგარეო პოლიტიკას აწარმოებდა თვით ისეთ შორეულ რაიონებშიც. როგორიცაა ჩრდ. სირია და მცირე აზიის აღმოსავლეთი ნაწილი. ერთ თავის წარწერაში რუსა II იხსენიებს ლაშქრობას ხალიტუს (ჰომეროსთან მოხსენიებული „ჰალიბონების“ ტომი), ხეთებისა და მუშქების ქვეყნების წინააღმდეგ. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ სწორედ ამ პერიოდში, 776 წ. მომხდარად მიიჩნევს ძველი ბერძნული ტრადიცია მუშქების, ანუ ფრიგიის სამეფოს განადგურებას და მას კიმერიელებს მიაწერს. ურარტული წარწერები კი ფრიგიის მიმართ ამ პერიოდში ურარტელთა აქტივობას გვიდასტურებენ. შეიძლება ვიფიქროთ, რომ საქმე ეხება სწორედ ურარტუს მეფის რუსა II-ის გალაშქრებას ფრიგიის (მუშქების) სამეფოს წინააღმდეგ ურარტუს მეფის სამსახურში თუ მასთან კავშირში მყოფი კიმერიელთა რაზმებთან ერთად. ამას გვიდასტურებენ აგრეთვე ასურული წყაროები — რუსა II-ის თანამედროვე ასურელი მეფის ასარქადონის სამისნო შეკითხვები ღვთაება შამაშისადმი, როცა მას სურს შეიტყოს ასურეთის წინააღმდეგ ურარტელ რუსასა და კიმერიელთა ხალხის ზრახვები. ეს ცნობაც ურარტელებს და კიმერიელებს მოკავშირეებად გვავარაუდებინებს. ურარ-

ტელთა არისტოკრატიის, ჯარებისა და ოლქების უფროსების გამოსვლებს ურარტუს მეფის წინააღმდეგ უნდა აეძულებინა ურარტუს ხელისუფალნი უფრო და უფრო ფართოდ გაეხსნათ გზა ჯარში დაქირავებული უცხო ელემენტისათვის. სამეფოს მეზობლად ამ დროს მოთარეშე სკვითები და კიმერიელები საამისოდ სწორედ საუკეთესო მასალას წარმოადგენდნენ.

ამრიგად, სწორედ სკვითებთან და კიმერიელებთან კავშირის მეოხებით ურარტუ ერთხანს (VII საუკუნეში) საგრძნობ წარმატებებს აღწევს — ანადგურებს ფრიგიის დიდ სამეფოს მცირე აზიაში და კვლავ შიშის ზარს სცემს ამ დროს თავისი ძლიერების ზენიტში მყოფ ასურეთს.

რუსა II-ის დროს მიღწეული წარმატება მაინც ეპიზოდური იყო. დასუსტებულ ურარტუს ფართო პოლიტიკის საწარმოებლად ძალა არ შესწევდა. VII ს. მეორე ნახევარში იგი, მტრებისაგან შევიწროებული, თავის საუკუნეობრივ მტერთან — ასურეთთან — ეძებდა დახმარებას. ასურეთის მეფის ასურბანიფალის კარზე რამდენჯერმე ცხადდებიან ურარტუს მეფის ელჩები ასურეთის მეფისადმი პატივისცემისა და კეთილგანწყობილების დასადასტურებლად.

მალე გამოჩნდა ურარტუს იმედების ამაოება. ბაბილონმა და მიდიამ VII ს. ბოლოს გაანადგურეს ასურეთი და გაყვეს მისი სამფლობელოები. ჯერი ახლა ურარტუზე, მანასა და სხვა სამეფოებზე მიდგა, რომელთაც დღეს თუ არა ხვალ უეჭველად ბოლოს მოუღებდა მეზობლად დიდად გაძლიერებული მიდია. 583 წ. მიდიის ლაშქარი უკვე მცირე აზიის შუაგულში, მდ. ჰალისზე ებრძვის ლიდიის ლაშქარს. აქამდე რომ მოეღწია, მას უნდა გადაევლო ურარტუს ტერიტორიაზე. აშკარაა, რომ ამ დროს მიდიელებს უკვე დალაშქრული და განადგურებული აქვთ ურარტუს ცენტრალური რაიონები. შეიძლება მას შემდეგაც, რაც მიდია დაეუფლა ურარტუს ცენტრალურ რაიონებს, ურარტელთა ხელისუფლება კიდევ არსებობდა ჩრდილოეთში, სამხრეთ ამიერკავკასიაში, მაგრამ მალე იგი აქაც დაემხო. ამიერკავკასიის ურარტული ცენტრები (თეიშებაინი, არგიშთიხინილი და სხვ.) განადგურებული და გადამწვარი ჩანს მტრების მიერ, რომლებიც სკვითური ტიპის ისრისპირებით ყოფილან შეიარაღებული. უნდა ვიფიქროთ, რომ ამიერკავკასიაში ურარტელთა ძალაუფლებისათვის ბოლო უნდა მოეღო ამიერკავკასიისაგან ტომებს, შესაძლებელია, ამ მიდამოებში მცხოვრებ სკვითებთან ერთად.

როგორც არქეოლოგიური მასალები, ისე ასურული და ურარტული წერილობითი წყაროები ცხადყოფენ ეკონომიკური ცხოვრების ინტენსიურობას ძველ ურარტუში. ყურადღებას იქცევს მეურნეობის ფორმათა დიდი მრავალფეროვნება, რაც გარკვეულად დაკავშირებუ-

ლია ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნებასთან. აქ, ერთი მხრივ, ვხედებით მესაქონლეობის განვითარებისათვის ხელსაყრელ მთიან ოლქებს, ხოლო, მეორე მხრივ, ვრცელ დაბლობ ადგილებს ნოყიერი ნიადაგით, რომელიც საუკეთესო პირობებს ქმნიდა მიწათმოქმედების განვითარებისათვის. ზოგიერთ ასეთ ადგილას, მაგალითად, არარატის ველზე, ხელოვნური სარწყავი სისტემის მოწყობა მეურნეობის წარმოების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა.

ურარტუს ტერიტორია ღარიბია ხე-ტყით. სამაგიეროდ იგი ძალზე მდიდარია ქვით, აგრეთვე მადნეულით (სპილენძი, რკინა).

ურარტუში დიდად იყო განვითარებული მესაქონლეობა. ამაზე მეტყველებს ამ ტერიტორიაზე ნადავლისა და ხარკის სახით წყაროებში უზარმაზარი ოდენობით მოხსენიება მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცხენების, სახედრებისა და ჯორების, აგრეთვე აქლემებისა. აქლემებისა და ცხენების მოშენებით განსაკუთრებით განთქმული ყოფილა ურარტუს სამხრეთ-აღმოსავლეთი, ურმიისპირა რაიონები. საინტერესოა, რომ ურარტუში თურმე ეწყობოდა დიდი შეჯიბრებები ცხენოსნობაში, რაშიც მეფეებიც იღებდნენ მონაწილეობას. ერთ თავის წარწერაში, რომელიც ახლა თბილისში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია დაცული, მეფე მენუა იკვეხნის, რომ მისი ცხენი, რომელსაც „არციბი", ე. ი. არწივი ერქვა (ქართული სიტყვა არწივი შეიძლება სწორედ ურარტუს გზით იყოს შეთვისებული), გადახტა 22 წყრთაზე, ე. ი. დაახლოებით 11 მეტრსა და 20 სმ-ზე, საინტერესოა აღინიშნოს, რომ ახლანდელი რეკორდი წყლით სავსე არხზე ცხენის გადახტომისა მხოლოდ ოდნავ აღემატება მეფე მენუას ამ მიღწევას.

განვითარებული ჩანს ურარტუში მიწათმოქმედებაც. ურარტულ და ასურულ წყაროებში ამ ტერიტორიაზე ხშირად იხსენიება უზარმაზარი მეურნეობები, ბაღები და სხვ. განსაკუთრებით განვითარებული ჩანს აქ მევენახეობა. ურარტული წყაროები ხშირად იხსენიებენ მეფეთა მიერ უზარმაზარი ბეღლებისა და მარნების მშენებლობას. ასეთი ნაგებობანი, სათანადო ინვენტარი და სხვ. მრავლად არის აღმოჩენილი არქეოლოგიური გათხრების დროს.

სახელმწიფო ხელისუფლების ზრუნვას სამეურნეო ცხოვრებაზე, კერძოდ მიწათმოქმედებაზე, მოწმობს ურარტუს მეფეთა საქმიანობა არხების გაყვანის, ხელოვნური ტბების წყალსაცავების და საერთოდ საირიგაციო სისტემის მოწყობისათვის. ამის შესახებ მოგვითხრობს ბევრი ურარტული წარწერა. ურარტუს მეფეთა დიდი საირიგაციო და სხვა სამეურნეო საქმიანობის ვრცელ აღწერას ვხედებით ასურეთის მეფის სარგონ II-ის „ლუვრის ფირფიტაშიც": ზოგი არხის კალაპოტი ურარტელებს კლდეში ჰქონდათ გაჭრილი. ზოგიერთი არ-

ხის სიგრძე მრავალ ათეულ კილომეტრს უდრიდა. საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ ურარტულ ხანაში გაყვანილ არხებს დღესაც იყენებს ადგილობრივი მოსახლეობა.

დიდად განვითარებული ყოფილა ურარტუში ლითონის დამუშავება. ამას თვალნათლივ მოწმობს არქეოლოგიური მონაპოვარი, აგრეთვე წერილობითი წყაროების, კერძოდ, იმავე სარგონ II-ის „ლუვრის ფირფიტის“ მონაცემები ურარტუში (კერძოდ, ქალაქ მუსასირში) ხელთგდებული ლითონის უზარმაზარი ოდენობის შესახებ. სპილენძ-ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიასთან ერთად დაწინაურებული ჩანს ძვირფასი ლითონების — ოქროს, ვერცხლის — დამუშავება. მუსასირში, ადგილობრივი მთავრის სასახლეში, სარგონ II-მ ხელთ იგდო, მაგალითად, ტონაზე მეტი ოქროსა და 5 ტონაზე მეტი ვერცხლის ნივთი, ხოლო აქვე, ხალდის ტაძარში დაეუფლა, დიდძალი ოქროს გარდა, დაახლოებით ხუთიოდე ტონა ვერცხლის ნივთებსა და 109 ტონა სპილენძის ნადნობს. ლითონებით მეტად მდიდარი ჩანს ურარტუს ჩრდილო-დასავლეთი რაიონებიც, კერძოდ, დიაოხის (ტაოს) და კოლხას (კოლხეთის) ქვეყნები.

ურარტული ციხე-ქალაქები, ჩვეულებრივ, გარშემორტყმული იყო დიდი მეურნეობებით — ნათესი ფართობებით, ბაღებითა და ვენახებით. ქალაქებში იყო უდიდესი საწყობები მარცვლეულისა და სხვა პროდუქტებისათვის, დიდი მარნები, განკუთვნილი ასეულ ათასობით ლიტრ ღვინისათვის და სხვ. ხშირად წარწერები ყველაფერი ამის შექმნა-მოწყობას ურარტუს ამა თუ იმ მეფეს მიაწერენ. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ აქ საქმე გვაქვს უზარმაზარ სამეფო მეურნეობებთან, რომლებითაც დასერილი იყო ურარტუს თითქმის ყოველი მხარე. ასეთ მეურნეობებში მუშაობდნენ, ალბათ, ნაწილობრივ მონები, ნაწილობრივ კი ადგილობრივი თავისუფალი მოსახლეობა. ასეთ ციხე-სიმაგრეებში იკრიბებოდა აგრეთვე ხარკი და გადასახადები მეზობელი პუნქტებისა და მხარეების მოსახლეობისაგან, რომელიც ნაწილობრივ აქვე გადამუშავდებოდა და იგზავნებოდა ცენტრში.

მონების მოპოვების უმთავრეს წყაროს ურარტუში ომი წარმოადგენდა. ურარტუს მეფის არგიშთი I-ის მატიანეში იხსენიება დაახლოებით 280.512 ადამიანის (კაცის, ქალის, ბავშვის) დატყვევება, ხოლო სარდური II-ის მატიანეში — 197.521 ადამიანისა. ხშირად ლაპარაკია ამა თუ იმ ოლქის მთელი მოსახლეობის ტყვედ წაყვანაზე. რა თქმა უნდა, ასე აყრილი ხალხიდან ყველა როდი ხდებოდა მონად. მათ ნაწილს ურარტუს მეფეები ოჯახებიანად ასახლებდნენ თავისი სამეფოს სხვა ადგილას, აძლევდნენ მათ სამეფო (სახელმწიფო) მიწებს დასამუშავებლად და მათგან, სამაგიეროდ, რეგულარულად გადასახადების გადახდას და სხვა ვალდებულებათა შესრულებას მოითხოვდნენ.

ზოგჯერ გადმოსახლებული ხალხისაგან ისინი ერთგვარ სამხედრო დასახლებას ქმნიდნენ და ერთი ადგილიდან აყრილ მოსახლეობას სხვა ადგილას იყენებდნენ სამხედრო ძალის სახით ადგილობრივი მოსახლეობის დასამორჩილებლად.

ტყვეების ერთი ნაწილი უშუალოდ მეფის განკარგულებაში ექცეოდა, ნაწილი კი მეომრებს ურიგდებოდათ, რომელთაც, უეჭველია, საკუთარ ოჯახსა და მეურნეობებში მონებად იყენებდნენ. საკუთრივ სამეურნეო საქმიანობაში მაინც, უნდა ვიფიქროთ, მონებს შედარებით მცირე გამოყენება ჰქონდათ. მეურნეობაში ძირითად მწარმოებელ ძალად, ისევე როგორც სხვა ძველაღმოსავლურ ქვეყნებში, რიგითი მეთემეების ფართო მასები რჩებოდნენ. მონები უმეტესწილად მუშაობდნენ მშენებლობაზე, საირიგაციო და სხვა ამგვარ სამუშაოებზე, შინამოსამსახურეებად და სხვ.

რიგითი თავისუფლები ურარტუში თემებში გაერთიანებული უნდა ყოფილიყვნენ, სამწუხაროდ, მასალების უქონლობის გამო, ძნელია მსჯელობა ამ თემებში კოლექტიური და ინდივიდუალური საწყისების თანაფარდობის შესახებ. უნდა ვიფიქროთ, რომ ესენი იყვნენ სასოფლო (ტერიტორიული) თემები, სადაც მიწის ფონდი უკვე საბოლოოდ დანაწილებული და წარმოების პროცესიც ინდივიდუალიზებული იყო. თემი მისი წევრების მიწის ფონდზე მხოლოდ უმაღლეს საკუთრებას ახორციელებდა. იგი ასრულებდა აგრეთვე ფისკალური, სამხედრო და სხვ. ასეთი უჯრედის ფუნქციასაც.

ასეთი თემების გამაერთიანებელ ფუნქციას თვით სახელმწიფო ახორციელებდა. იგი დიდად ერეოდა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში, ხელმძღვანელობდა მთელი რიგი რაიონის და თემისათვის აუცილებელ საირიგაციო სისტემის მოწყობას და სამაგიეროდ, ამ თემების ექსპლუატატორადაც გამოდიოდა, რამდენადაც მეთემეებს დაკისრებული ჰქონდათ გადასახადების გადახდის, სალაშქროდ და საზოგადოებრივ სამუშოებზე გამოსვლის მძიმე ვალებულებანი. სამეფო ხელისუფლებისა და მმართველი ზედაფენის მხრივ ექსპლუატაციის ეს უღელი იმდენად მძიმე იყო, რომ როგორც მონები, ისე რიგითი თავისუფლები ზოგჯერ იძულებული ხდებოდნენ გაქცეულიყვნენ ქვეყნიდან და მეზობელი, ძნელად მისავალი მთიანი ქვეყნებისათვის შეეფარებინათ თავი. როგორც ასურეთიდან, ისე ურარტუდან გამოქცეულთა თავშესაფარს წარმოადგენდა, მაგალითად, ურარტუს დასავლეთით მდებარე შუფრიას მთიანი ქვეყანა.

დიდი ძალა ჰქონდათ ურარტუში აგრეთვე ტაძრებს და მის მსახურთ — ქურუმებს. ურარტულ პანთეონში მრავალი ათეული ღვთაება იყო. ყოველ ღმერთს თავისი კულტის ცენტრი ჰქონდა, სადაც იყო ამ ღმერთის მთავარი ტაძარი. ამას გარდა, არსებობდა ამ ღმერთი-

ხალხი მიძღვნილი ათასგვარი სხვა საკულტო ნაგებობა ქვეყნის სხვადასხვა ადგილას. ასეთ საკულტო ნაგებობებს („ღმერთის სახლი", „ღმერთი ჭიშკარი", „ღმერთის სუსი", „იარანი" და სხვ.) მრავლად აგებდნენ ურარტუს მეფეები. ურარტული ტაძრები, თუ, მაგალითად, ქალაქ მუსასირის ხალდის ტაძრის მიხედვით ვიმსჯელებთ, დიდ სიმდიდრეს ფლობდნენ. ამ სიმდიდრის ნაწილი სამეფო შემოწირულებათა გზით იყო მიღებული. ტაძრებს სწირავდნენ არა მარტო ლითონის და სხვ. ნივთებს, არამედ აგრეთვე დიდძალ პირუტყვს. ეტყობა, ისინი ფლობდნენ მთელ ჯოგებს და უეჭველია, სამიწათმოქმედო მეურნეობასაც — ნათესებს, ბაღ-ვენახებს. მეფეები — იშფუინი და მენუა — მაგალითად, პირდაპირ ლაპარაკობენ ღვთაება ხალდისათვის (ე. ი. ხალდის ტაძრისათვის) ბაღებისა და ვენახების გაშენების შესახებ. ტაძრების ამ მამულებს, უნდა ვიფიქროთ, ამუშავებდა შესაბამისი მხარის თავისუფალი მოსახლეობა ვალდებულების სახით.

ურარტუს გაბატონებულ ზედაფენაში ორი ნაწილი განირჩევა: სამეფო საგვარეულო და სამხედრო-სამოხელეო არისტოკრატია. სამეფო საგვარეულო, ამასთანავე, ურარტული არისტოკრატიის ზემაღლეს ფენას ქმნიდა. ამ ფენის წარმომადგენლებს ხშირად ეკავათ მაღალი სახელმწიფო თანამდებობები (მხედართმთავრები, ოლქის უფროსები და სხვ.). ისინი ფლობდნენ მამულებს. რუსა I-ის ძმები, მაგალითად, ასურული ცნობის მიხედვით, ყველა თავ-თავის ქალაქს ფლობდა, უეჭველია, მის გარშემო მდებარე ვრცელი მეურნეობითურთ.

უფრო მრავალრიცხოვანი იყო ურარტუში არასამეფო წარმოშობის სამხედრო და სამოხელეო არისტოკრატიის ფენა. წყაროებში იხსენიება სხვადასხვა რანგის მხედართმთავრები, ოლქის მმართველები — ურარტუს მეფის ნაცვლები (ურარტულად „ირდი") და სხვ. ურარტუს ტერიტორია დაყოფილი იყო ცალკე ოლქებად, რომლის სათავეშიც დასახელებული ოლქის მმართველები იდგნენ. ასურეთის მეფე სარგონ II იხსენიებს ურარტუს 7 ასეთ დიდ ოლქს. ესენია: სუბის, ბარის, ულხუს, სანგიბუთუს, არმარილის, აიადუსა და აიაისის ოლქები. მხედართმთავრებისა და ოლქის მმართველებს გარდა, ურარტუში არსებობდა მრავალი სხვა თანამდებობა.

ოლქის მმართველებსა და სხვა მოხელეებს დიდ ძალას აძლევდა მათი წამყვანი მდგომარეობა ლაშქარში. ურარტუს ლაშქარი ძირითადად შედგებოდა ოლქის მმართველთა მიერ მათივე სარდლობით გამოყვანილი კონტინგენტისაგან. ურარტული არისტოკრატიის ამ ფენის წარმომადგენლებიც ფლობდნენ, უეჭველია, საკუთრებაში მყოფ მამულებს, სადაც გამოიყენებოდა, თავისუფალი შრომის გარდა, მონის შრომაც. კერძო პირთაგან მონების მფლობელები ძირითადად სწორედ ეს ზედაფენები უნდა ყოფილიყვნენ. მონები ფართოდ იქ-

ნებოდნენ დასაქმებული, პირველ ყოვლისა, მსახურების სახით დიდებულთა ოჯახებში.

სამეფო საგვარეულოსა და სამხედრო-სამოხელეო არისტოკრატიის წარმომადგენლები, გარდა იმისა, რომ ქმნიდნენ მეთაურთა ფენას ჯარში, აკომპლექტებდნენ აგრეთვე ლაშქრის წამყვან, პრივილეგიურ ნაწილებს — კერძოდ, კავალერიას. ყაჩაღური ომების შედეგად მოპოვებული დოვლათი, აგრეთვე ტყვეები ზედაფენას კიდევ უფრო ამდიდრებდა, რადგან ნადავლის უმთავრესი ნაწილი სწორედ მის ხელში ექცეოდა.

დროთა ვითარებაში ეკონომიკურად და პოლიტიკურად ესოდენ მომძლავრებული სამხედრო-სამოხელეო არისტოკრატია უკვე მეფისგან დამოუკიდებლობასაც ესწრაფვის, ურჩობს და აჯანყებებს აწყობს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ. ზოგჯერ ასეთი აჯანყებები მთავრდებოდა თვით მეფის ტახტიდან ჩამოგდებითა და მოკვლით. შეიძლება ასეთი ბედი ეწიათ, კერძოდ, ურარტუს მეფეებს სარდური II-სა და რუსა I-ს. ამიტომაც მომდევნო ხანის ურარტუს მეფეები, ცდილობენ რა უფრო დამოუკიდებელი გახდნენ ოლქის მმართველთა და საერთოდ არისტოკრატიისაგან სამხედრო საქმეში, ფართოდ უღებენ კარს ჯარში დაქირავებულ ელემენტს. ძვ. წ. VII საუკუნეში, კერძოდ, რუსა II-ის მეფობაში, ურარტუს მეფის დაქირავებულ თუ მოკავშირე ძალებს ქმნიან ქვეყნის მეზობლად მოთარეშე სკვითებისა და კიმერიელების რაზმები. სწორედ მათზე დაყრდნობით აღწევს რუსა II მთელ რიგ წარმატებას საგარეო ასპარეზზე. მაგრამ, როგორც ცნობილია ასეთი უცხო ელემენტი სანდოა მანამ, სანამ ბედი სწყალობს მეფეს და იმარჯვებს. სხვა სიტუაციაში ისინი დასაყრდენის ნაცვლად შეიძლება სასიკვდილო საფრთხედ იქცნენ. ალბათ, სწორედ ასე მოხდა ურარტუშიც. როდესაც გაძლიერებულმა მიდიამ ძლიერი დარტყმა აგემა ურარტუს. ეტყობა, ქვეყნის ჩრდილოეთ მხარეებში განლაგებულმა სკვითებმა პატრონი შეიცვალეს, ახლა სხვა ძალასთან (ამიერკავკასიის ტომებთან) კავშირში გაანადგურეს ურარტული ცენტრები ამიერკავკასიაში და ამით დაასრულეს მიდიელთა მიერ დაწყებული ურარტუს სამეფოს განადგურება.

ურარტელთა **რელიგია** ძირითადად ბუნების ძალთა გაღმერთებას წარმოადგენდა. ურარტელთა ღმერთების სათავეში იდგა ადგილობრივი ღვთაება ხალდი, უზენაესი ქალღმერთი კი იყო არუბანი. ხალდის კულტის ცენტრი იყო ქალაქი მუსასირი. პანთეონში მეორე ადგილი ეკავა ქარიშხლის, ტაროსის ღვთაება თეიშებას და მის შეუღლეს — ქალღმერთ ხუბას. ეს ღმერთი და ქალღმერთი ურარტელთა მონათესავე ხურიტებში უზენაეს ღმერთებს წარმოადგენდნენ (თეშუფი და ხეფა). თეიშების კულტის ცენტრი იყო ქალაქი კუმენუ.

პანთეონში მესამე ადგილი ეკავა მზის ღვთაება შივინის (ხურიტების შიმიგი) და მის მეუღლეს — ქალღმერთ ტუშფუეას. ამ უკანასკნელთა კულტის ცენტრი იყო დედაქალაქი ტუშფა, რომლის სახელიც წარმომდგარი უნდა იყოს მზის ღმერთის მდედრობითი ორეულის — ტუშფუეას — სახელიდან.

ღმერთებისა და ქალღმერთების ამ უზენაეს ტრიადებს გარდა ურარტული პანთეონი მოიცავდა არაერთ ათეულ სხვა ღმერთს, მეფეების იშფუინისა და მენუას მხერ-კაპუსის წარწერაში, რომელიც ამოკვეთილია ვანის მახლობლად კლდეზე, ჩამოთვლილია ურარტული პანთეონის ყველა ღვთაება და განსაზღვრულია მათთვის მსხვერპლად მისატანი ცხოველების რაოდენობა. საინტერესოა, რომ მამაღმერთებს ურარტელები სწირავდნენ ხარებსა და ცხვრებს, ხოლო ქალღმერთებს — ძროხებსა და ცხვრებს.

თავის ღმერთებს ურარტელები გამოსახავდნენ ადამიანების სახით, თუმცა აქა-იქ ჩანს ნაშთები ძველი ტოტემისტური წარმოდგენებისა — ცხოველთა ან ფრინველთა სახით გამოსახვა (ღვთაებებს აქა-იქ უხატავდნენ რქებს ან ფრთებს).

ურარტული სახვითი ხელოვნების ძეგლებში დამოწმებულია ზოგი ისეთი კულტი, რომელიც წერილობითი წყაროების მიხედვით არაა ცნობილი, ფართოდ გავრცელებული ჩანს, მაგალითად, სიცოცხლის ხის კულტი. ურარტულ ბეჭდებსა და სხვ. ნივთებზე გამოსახულია მრავალი სხვადასხვა რელიგიურ-მითოლოგიური სცენა, ფანტასტიკური არსებები და სხვ. ურარტუში, რა თქმა უნდა, იქნებოდა მითები, მაგრამ ურარტული მითოლოგიის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით. ურარტუს რელიგიაში დიდი ადგილი უნდა სჭეროდა მაგიას, შინნობას.

ურარტუს ზოგი ნაწილის მოსახლეობაში მიცვალებულის კრემაციის (დაწვის) ჩვეულება იყო გავრცელებული, მაშინ, როდესაც ქვეყნის სხვა რაიონებში მიცვალებულს მიწაში ამარხავდნენ. ჩანს, ამ ვრცელი ქვეყნის მოსახლეობაში დიდი იყო განსხვავებები რელიგიური წარმოდგენების, ზნე-ჩვეულებებისა და ენის მხრივაც.

დამწერლობა ურარტუში ფართოდ გავრცელებული ჩანს. ურარტელები იყენებდნენ ასურელებისაგან IX ს. შეთვისებულ ლურსმულ დამწერლობას, თუმცა იგი ერთგვარად გაამარტივეს, სარგებლობდნენ რა ნიშნების შედარებით შეზღუდული რაოდენობით და ისიც მათი ზოგიერთი მნიშვნელობით (ასურულ ლურსმულში ნიშნებს ძალზე ბევრი, ხშირად ორ ათეულამდე სხვადასხვა მნიშვნელობა აქვთ). თავდაპირველად, როგორც აღნიშნული იყო, ურარტელები წერდნენ ასურულად, ხოლო მალე შეუდგნენ წერას თავის საკუთარ ენაზე. ჩვენამდე მოაღწია 700-ზდე ურარტულმა წარწერამ. მათი უდიდესი ნაწილი ამა თუ იმ მეფის სახელითაა შედგენილი. ამ წარწერებს

უმთავრესად საომარი, სამშენებლო ან საკულტო შინაარსი აქვთ. საშეფო წარწერები უმეტესწილად ქვაზეა დატანილი — კლდეებზე, საამშენებლო ქვებზე და სხვ. არის წარწერები ბრინჯაოს ნიკთებზე (ფარებზე, თასებზე და სხვ.). ბოლო დროს გახშირდა თიხის ფირფიტებზე დატანილი წარწერების აღმოჩენა. ისინი უმთავრესად სხვადასხვა წერილებსა თუ განკარგულებებს ან საანგარიშო ჩანაწერებს წარმოადგენდნენ.

ურარტუს მეფეთა (განსაკუთრებით საისტორიო, საომარი და საამშენებლო) წარწერები თავისი სტილით ძალზე ჰგვანან ასურეთის მეფეთა წარწერებს. ეს წარწერები, ამასთანავე, მეტისმეტად ტრაფარეტულია: საუკუნეთა მანძილზე წარწერები ერთი გეგმით დგება, ამბები ერთი და იმავე ფრაზებით, გამოთქმებით გადმოიცემა. ეს ტრაფარეტული ფრაზებიც ხშირად სათანადო ასურული გამოთქმების ზუსტ თარგმანს წარმოადგენს. ასურული საისტორიო წარწერების მხრივ ასეთი ძლიერი გავლენა ურარტული წარწერების სტილის შემუშავებაზე შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ ძალიან ბევრი იყო საერთო ამ ორ სახელმწიფოს შორის: ორივეგან ერთნაირი იყო ღვთაების ადგილი ხალხის საზოგადოებრივ და სულიერ ცხოვრებაში, ძირითადად ერთნაირი ხელისუფალი იყვნენ ასურეთისა და ურარტუს მეფეები (მხედართმთავარი, თვითმპყრობელი-დესპოტი), ერთნაირი იყო ასურეთისა და ურარტუს მეფეთა საომარი ექსპედიციების ხასიათი, მიზანი და ა. შ.

ყურადღებას იქცევს ის, რომ ზოგჯერ ურარტული წარწერები თავისი სტილით უფრო ახლო დგას ხეთურთან, ვიდრე ასურულთან. ამიტომ გამორიცხული არ არის ვიფიქროთ, რომ ურარტულ მწერლობაში თავი იჩინა ხეთურის გავლენამაც (ალბათ, ხურიტების გზით).

ურარტუში არსებულა ადგილობრივი იეროგლიფური დამწერლობაც, თუმცა მას, ჩანს, მეტად შეზღუდული გამოყენება ჰქონია. ზოგი მისი ნიმუში ჩვენამდეა მოღწეული თიხის ფირფიტებზე ან დიდ ქვევრებზე.

* * *

მაღალ განვითარებას მიაღწია ურარტუში მატერიალური კულტურის ბევრმა დარგმა. დიდად დაწინაურებული იყვნენ ურარტელები ლითონის დამუშავებაში. მაღალგანვითარებული ბრინჯაოს მეტალურგიის გვერდით აქ ადრე იწყო განვითარება რკინის მეტალურგიამაც. ურარტული ლითონის ნაწარმი განთქმული იყო ამ ქვეყნის გარეთაც და ფართო ექსპორტის საგანს წარმოადგენდა სირიაში, მესოპოტამიაში, ირანსა და წინა აზიის დასავლეთ ნაწილში ეგეოსის ზღვამდე.

რკინის ნივთებიდან, რომლებიც აღმოჩნდა ტუშფას (დღევ. ვანი), თეიშებაინის (დღევ. კარმირ-ბლური) და სხვა პუნქტების გათხრების დროს, აღსანიშნავია სასოფლო-სამეურნეო, აგრეთვე საყოფაცხოვრებო იარაღები და ნივთები. განსაკუთრებით კარგად შემოინახა ბრინჯაოს მრავალრიცხოვანი, მაღალი გემოვნებით შესრულებული ნივთები: ფარები, მუზარადები, ადამიანისა და ცხოველების სკულპტურული გამოსახულებები, ბრინჯაოს დიდი ჭურჭლები, თასფიალები, ცხენის ბრინჯაოს აღჭურვილობა, ხანჯლები, სამაჯურები და სხვა სამკაულები. უფრო ნაკლებადაა აღმოჩენილი ოქროს ნივთები. ამათგან აღსანიშნავია ოქროს მედალიონი ორი ქალის ფიგურის გამოსახულებით, რომელთაგან ერთი ტახტზე ზის, ხოლო მეორე მის წინ დგას რტოთი ხელში.

თავისი სტილით ურარტული ლითონის ნაწარმი ახლოს დგას ასურულთან, თუმცა მასთან შედარებით თავისებურ იერს ატარებს.

დიდად განვითარებული იყო ურარტუში ქვის დამუშავებაც. აღმშენებლობაში იყენებდნენ კარგად გათლილი ბაზალტის დიდ ბლოკებს. ურარტელებს, როგორც აღვნიშნეთ, ხშირად არხის კალაპოტი პირდაპირ კლდეში გაჰყავდათ. კლდეში ისინი კვეთდნენ ოთახებს, დიდ დარბაზებს, კიბეებს და სხვ. კლდეში გამოკვეთილი ასეთი კომპლექსები მრავლადაა თვით ურარტუს დედაქალაქ ტუშფაში (დღევ. ვანი), რომელთაც სხვადასხვა ფუნქცია ეკისრებოდათ. ზოგი მათგანი, შეიძლება, რელიგიურ-საკულტო დანიშნულებისა იყო, ხოლო ზოგი მეფეთა ნეშტის განსასვენებელ ადგილს წარმოადგენდა (აქ იდგმებოდა, ალბათ, გარდაცვლილ მეფეთა სარკოფაგები და სხვ.).

ურარტუში გვხვდება ქვაზე გამოკვეთილი ადამიანისა და ცხოველის ფიგურები. არსებულა აქ როგორც ლითონის, ისე ქვის დიდი სკულპტურები. ერთი ასეთი სკულპტურის ფრაგმენტი ამჟამად ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

გავრცელებული იყო აქ აგრეთვე ქვის მცირე ნივთები (ბეჭდები, სხვადასხვა ფიგურები და სხვ.).

მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია ჩვენამდე მოღწეული ურარტული კერამიკის ნიმუშები. მრავალფეროვნება თავს იჩენს როგორც ჭურჭლის ფორმებში, ისე ფერში. არის მოხატული კერამიკის ნიმუშებიც. დიდად გავრცელებული იყო ურარტუში უზარმაზარი ქვევრები ღვინის ან მარცვლეულის შესანახად. ურარტულ ციხესიმაგრეებში გათხრილია უზარმაზარი დარბაზები, რომლებიც მთლიანად მოფენილია მიწაში ნახევრად ჩაფლული ასეთი დიდი ქვევრებით. ამ უკანასკნელზე, როგორც წესი, ჩვენ ვხვდებით ტევადობის აღნიშვნას ლურსმული ან ადგილობრივი იეროგლიფური ნიშნებით.

ჩვენამდე მოაღწია აგრეთვე თიხისაგან გაკეთებულმა სკულპტურულმა გამოსახულებებმაც.

ლითონის, თიხისა და ქვის დიდძალი ნივთების გვერდით ჩვენამდე მოაღწია ურარტული ქსოვილების ნიმუშებმა, აგრეთვე ხის, ძვლისა და რქისაგან გაკეთებულმა ნივთებმა.

არქიტექტურის შესანიშნავ ძეგლებს წარმოადგენს ძველი ურარტუს ტერიტორიაზე მდებარე ციხე-სიმაგრეები, რომლებიც ამ ბოლო დროს ინტენსიურად ითხრება და შეისწავლება მკვლევართა — არქეოლოგთა და არქიტექტორთა — მიერ. საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გათხრილი ციხე-სიმაგრეებიდან აღსანიშნავია თეიშებაინი (კარმირ-ბლური). ირფუნი (ერებუნი), არინ-ბერდი). ერგიშთიხინილი (არმავირისა და დავთი-ბლურის გორაკები) და სხვ. ბევრი ურარტული ციხე-სიმაგრე შეისწავლება დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე — ტუშფა (ვანი), ადილჯევაზის, ალთინ-თეფეს ციხეები და სხვ.

ამ ურარტულ ციხე-ქალაქებს, როგორც წესი, ეკავათ დიდი ფართობი, აგებული იყვნენ მაღლობებზე და მათ ერტყმოდა ერთი ან რამდენიმე გალავანი. კედლები იყო მეტად სქელი, ხშირად მათი სისქე 3 მეტრს აღემატებოდა. იგი წარმოადგენდა მსხვილი, კარგად გათლილი და მორგებული ბლოკების ორ რიგს, რომელთა შორის სივრცე ივსებოდა უფრო მცირე ზომის ქვებით, ზოგჯერ კედლები თიხით იყო შელესილი და მოხატული — მასზე ფრესკები იყო დატანილი. ასეთმა ფრესკებმა დიდი რაოდენობით მოაღწია ჩვენამდე, კერძოდ, ქალაქ ირფუნიდან.

ციხე-სიმაგრის გალავნის შიგნით, რომელსაც მრავალი კონტრფორსი — კოშკები — ჰქონდა, მოთავსებული იყო საკულტო, სამეურნეო, საცხოვრებელი დარბაზების კომპლექსი. ქვის ცოკოლზე, როგორც წესი, იმართებოდა ალიზის აგურებით აგებული მაღალი კედელი. ფანჯრები, როგორც ჩანს, თავსდებოდა სულ მაღლა, უშუალოდ სახურავის ქვეშ.

ურარტული ციხე-სიმაგრეების არქიტექტურა მეტად ახლოს დგას ასურული არქიტექტურის ფორმებთან. სავაგიეროდ, ჩანს, მეტად ორიგინალური უნდა ყოფილიყო ურარტული ტაძრების არქიტექტურა, თუ ვიმსჯელებთ ღვთაება ხალდის მუსასირის ტაძრის მიხედვით, რომლის გამოსახულებაც შემოგვინახა ასურეთის მეფის სარგონ II-ის სასახლის ერთ-ერთმა რელიეფმა. ამ ტაძრის არქიტექტურა ანალოგიებს უფრო დასავლეთში — მცირე აზიის (ფრიგიის, პაფლაგონიის) არქიტექტურაში პოვებს.

ურარტუს სახელმწიფოს დაცემას ძვ. წ. VI ს. დასაწყისში მნიშვნელოვანი ძვრები მოჰყვა. უმთავრესი ამაში იყო ძველი ურარტუს

მიწა-წყალზე ან მის მეზობლად მცხოვრები არაურარტული ტომების, პირველ ყოვლისა, ქართველი და სომეხი ტომების გააქტიურება.

ქართველი ტომები ურარტელთა ჩრდილოელი მეზობლები იყვნენ და ძლიერი ურარტუს სამეფოს არსებობის ხანაში მათთან, უეჭველია, ინტენსიური ურთიერთობა ექნებოდათ. ეს ურთიერთობა ხშირად მტრული იყო. სხვა მეზობელ ტომებთან ერთად ისინიც განიცდიდნენ ურარტელთა მეფეების თავდასხმებს. ამის პარალელურად იქმნებოდა აგრეთვე მშვიდობიანი პოლიტიკური ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობაც, რაც მათი კულტურული მონაპოვრების ურთიერთგაზიარებას და ურთიერთშეღწევას უწყობდა ხელს. ბუნებრივია, რომ სამხრეთის ძლიერი მეზობლის — ურარტუს — განადგურებამ დააჩქარა ჩრდილოეთით მცხოვრები ქართველი ტომების კონსოლიდაციის პროცესი და შეუწყო ხელი დიდი ქართული გაერთიანებების შექმნას. ამ გაერთიანებებში მოხვდა ზოგიერთი არაქართველური ტომიც. მათ შორის იყვნენ, უნდა ვიფიქროთ, ურარტელებიც. ამ უკანასკნელთა ნაწილი, ჩანს, შეერწყა ქართველ ტომებს და ამ გზით ქართველი ხალხის შემადგენლობაში შევიდა. ამას ადასტურებს ზოგი მკაფიო ენობრივი ფაქტი, რომელიც ქართულში ურარტულენოვანი კოლექტივის შემონატანი უნდა იყოს. საინტერესოა, რომ ურარტული ენის მონაცემებით ხერხდება დღევანდელი ქართველისათვის თავისი შედგენილობით სრულიად გაუგებარი ზოგიერთი გამოთქმის ახსნა, მაგალითად, ისეთი ქართული გამოთქმებისა, როგორიცაა „ყირამალა", „თავდაყირა" ან „ყირაზე გადასვლა". ეს **გამოთქმები გასაგები გახდება, თუ მოვიგონებთ, რომ ურარტულში „ყირა"** („კირა") ნიშნავს „მიწას", მაშინ ყირამა(ლ)ლა=მიწა მაღლა, თავდაყირა=თავით მიწისკენ. ყირაზე გადასვლა=მიწაზე (თავით) გადასვლა. თვით „ყირა" არც ერთ ქართველურ ენაში არ ნიშნავს „მიწას".

არაერთი ქართული სიმღერის მისამღერში ეხვდებით ასეთსავე გაუგებარ სიტყვებსა და გამოთქმებს, რომელთა ახსნა აგრეთვე ხერხდება ძველაღმოსავლური მასალის, კერძოდ, ურარტული ენის მონაცემებით. ყურადღება მიაქციეს, მაგალითად, რომ ქართული სიმღერების ამ მისამღერებში იხსენიება წინა აზიის უძველესი მოსახლეობის არაერთი ღმერთის სახელი, მათ შორის ხშირად გვხვდება მოსაღლის ღვთაება არალეს (ალალეს) სახელიც. საინტერესოა, რომ ამ ღმერთთან დაკავშირებით ქართულ სიმღერებში თავს იჩენს სიტყვები. რომლებიც თანამედროვე ქართველისთვის გაუგებარია, მაგრამ ურარტულ ენაში კარგად ცნობილ სიტყვებს წარმოადგენს. მაგალითად, გვხვდება გამოთქმები: „ივრი ალალე", „თარი არალე" („თარი ალალე"), „არი ალალე". „ივრი" ურარტულად „მეუფეს", „ბატონს" ნიშნავს. ასე რომ, ქართული მისამღერის „ივრი ალალე" ნიშნავს

„მეუფეო ალალე“! „თარი“ ურარტულად „ძლიერს“ აღნიშნავს, ასე რომ, „თარი არალე“ ნიშნავს „ძლევამოსილო არალე!“ რაც შეეხება „არი არალეს“, აქაც „არი“ ურარტული სიტყვა ჩანს. იგი კანონზომიერი ფორმაა ბრძანებითი კილოს მხოლობითი რიცხვის მე-2 პირისა ურარტული ზმნის ძირიდან „არუ“, რაც „მიცემას“ ნიშნავს. ასე რომ, „არი“ ურარტულად ნიშნავს „მომეც (მოგვეც!)“, ხოლო მთლიანად „არი ალალე“ იქნება: „მომეც (ღმერთო) ალალე!“ ამრიგად, როგორც ვხედავთ, დღემდე ქართველები მღერიან სიმღერებს და ხმარობენ გამოთქმებს, სადაც ისმის ურარტული სიტყვები და გამოთქმები, თავისი შედგენილობით დღევანდელი ქართველისათვის გაუგებარი ზოგი სიტყვა და გამოთქმა ურარტული ენის საშუალებით შეიძლება აიხსნას. ასეთი ფაქტები ადასტურებენ, რომ ურარტელი ხალხის ერთი ნაკადი ქართველი ხალხის შემადგენლობაში უნდა შესულიყო, მას უნდა შერწყმოდა.

. ურარტუს სამეფოს დაცემის შემდეგ მის დასავლეთ პერიფერიაზე გააქტიურდნენ სომეხი ტომები. მათ თანდათანობით იწყეს აღმოსავლეთით წინსვლა და ძველი ურარტუს მთელ რიგ რაიონს დაეუფლნენ. ძვ. წ. VI საუკუნის ბოლოს სპარსულ წარწერებში ძველი ურარტუ უკვე „არმინად“ იწოდება, ხოლო ეს სახელი თანდათან უცხოელთა წრეში სწორედ სომხებს უკავშირდება. ამაში გამოხატულება პოვა ურარტუს ძირითად რაიონებში სომხების ჰეგემონობის დამყარების ფაქტმა. ურარტუს მოსახლეობის ერთი ნაწილი ამასობაში სომეხთა წრეში გაითქვიფა. ამ გზით სომხურ ენაშიც (რომელიც წარმომავლობით სულ სხვა ჯგუფის, ინდოევროპული ჯგუფის ენაა) დამკვიდრდა ზოგი ურარტული სიტყვა და მათმა კულტურამაც ბევრი რამ შეითვისა მაღალგანვითარებული ურარტული კულტურიდან.

რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს ნელ-ნელა ხდებოდა, ხანგრძლივი, მრავალსაუკუნოვანი პროცესი იყო. ურარტუელთ უცბად არ დაუკარგავთ თავისი საკუთარი ტომობრივობა, თავისი ენა, კულტურა, ეთნიკური ინდივიდუალობა. საინტერესოა, რომ სწორედ ძველი ურარტუს ტერიტორია იგულისხმება სპარსეთის XVIII სატრაპიაში (ოლქში), რომელშიც ძვ. წ. V ს. ბერძენი ავტორის ჰეროდოტეს ცნობით შედიოდნენ ალაროდიები, შატიენები და სასპერიბი. ამათგან ალაროდიები, უეჭველია, ძველ ურარტელებს გულისხმობს — სახელი „ალაროდი“ (არაროდი) ოდნავ სახეცვლილი იგივე „ურარტუ“-ა. ეს სახელი შემორჩა დღეს არარატის მთას, რომელსაც ადგილობრივი სომხური მოსახლეობა „მასისს“ უწოდებს.

თავი XII

ბაბილონის ახალი სამეფო

ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნის დასასრულს შუამდინარეთში კვლავ ბაბილონის ჰეგემონობით იქმნება ე. წ. ბაბილონის ახალი სამეფო. განსხვავებით ძველი ბაბილონის, ხამურაბის დროინდელი ბაბილონის სამეფოსაგან, ბაბილონის ახალ სამეფოს ქალდეურ ბაბილონსაც უწოდებენ, რადგან მის შექმნაში და შემდგომ მთელი არსებობის მანძილზეც დიდ როლს ასრულებდნენ სპარსეთის ყურის პირას ჯერ კიდევ II ათასწლეულის ბოლოს არაბეთიდან მოსული სემიტური ტომები, ქალდეველები. მათი ბელადების საუკუნოვანი ბრძოლის შედეგად მოიპოვა ბაბილონმა თავისუფლება ასურეთისაგან. ქალდეური დინასტია ბაბილონში თითქმის ცხრა ათეული წელი ბატონობდა; თუმცა საკუთრივ ქალდეველები სრულიად ასიმილირებულ იქნენ ბაბილონელებისაგან.

ევიანი ბაბილონის ნამდვილ მეცნიერულ შესწავლას საფუძველი ჩაეყარა XIX ს. 90-იან წლებში, როცა იქ სისტემატური არქეოლოგიური გათხრები დაიწყო გერმანიის ექსპედიციამ რ. კოლდეველის ხელმძღვანელობით. მანამდე, გასული საუკუნის შუა ხანებში ფრანგი მეცნიერის ჟ. ოპერტის ხელმძღვანელობით ბაბილონში ჩატარდა პირველი არქეოლოგიური გათხრები, რომლის შედეგად აღმოჩნდა ნაბუქოდონოსორის სასახლე და ქალაქის გალავნის ნაშთები, მაგრამ, სამწუხაროდ, მის მიერ აღმოჩენილი უამრავი მასალა უბედურმა შემთხვევამ მდინარე ევფრატის წყალს მისცა და სამუდამოდ დაუკარგა მეცნიერებას.

დიდი შედეგები ჰქონდა რ. კოლდეველის არქეოლოგიურ გათხრებს. მის მიერ აღმოჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლები შუქს ჰფენს ბაბილონის დიდებულ წარსულს. ბაბილონის საპროცესიო გზა, უამრავი ტაძარი, დეტალურად იქნა შესწავლილი და გამოვლენილი. მან აღმოაჩინა მრავალი ლურსმული წარწერა, მათ შორის სპარსეთის მეფის, კიროსის წარწერა — მანიფესტი, რომელიც თიხის ცილინდრზე იყო ამოკვეთილი და ბაბილონის აღებისადმია მიძღვნილი.

ბაბილონის ახალი სამეფოს დროინდელი ფენები შეისწავლა ქალაქ ურის გათხრებისას ლ. ვულიმ, რომელიც ხელმძღვანელობდა პენსილვანიის უნივერსიტეტისა და ბრიტანეთის მუზეუმის გაერთიანებულ ექსპედიციას. ლურსმული ტექსტების ცალკე ჯგუფს წარმოადგენს ნაბუქოდონოსორის წარწერები კლდეზე ნახრ-ელ—კელბთან (ფინიკია) და. ლიბანის ველზე ვადი-ბრისაზე. წარწერები გამოირჩევა საგულდაგულო ლიტერატურული დამუშავებით. აქვე იყო ბარელიეფებიც.

ცალკე დგას კიდევ ერთი საინტერესო წყარო ახალი ბაბილონის სამეფოს ისტორიის შესწავლისათვის — ბიბლია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ წინასწარმეტყველ იერემიას, იეზეკიელისა და დანიელის წიგნები. ბიბლიის სხვა ნაწილებშიც არის ბევრი საყურადღებო რამ ბაბილონის არსებობის ბოლო წლებიდან.

ანტიკური ავტორებიდან თავისი მნიშვნელობით გამოირჩევა ჰეროდოტეს (ძვ. წ. V ს.) ცნობები ბაბილონზე. გვიან ბაბილონის არქიტექტურაზე, ბეურნეობის მრავალ დარგზე, ირიგაციასა და მოსახლეობის ზნე-ჩვეულებაზე ბევრი საყურადღებო რამ შეიძლება შევიტყოთ მისი „ისტორიიდან". „ისტორიის მამა", ჰეროდოტე ცდილობდა პირუთვნელად გადმოეცა სინამდვილე; ეს ფაქტი დღესდღეობით დადგენილია, რადგან სადაც ხერხდება მისი ცნობების შედარება არქეოლოგიურ მასალასთან, თუ წერილობითი წყაროებიდან დადგენილ მონაცემებთან, იგი გამოიყურება სიმართლის მოყვარულ ავტორად, რომლისთვისაც უცხო არ არის ერთგვარი ეგზალტაციაც. არ შეიძლება გვერდი ავუაროთ აგრეთვე ქსენოფონტის (V—IV სს. ძვ. წ.), კტესიოსის (V—IV სს. ძვ. წ.), დიოდორესა (II ს. ძვ. წ.) და სტრაბონის (I ს. ძვ. წ.) წიგნებში დაცულ ცნობებს ბაბილონზე; საინტერესო დეტალებია დაცული ბაბილონის შესახებ აგრეთვე ალექსანდრე მაკედონელის თანმხლები პირების (მაგ., ნეარხის) მოგონებებში, აგრეთვე მისი ბიოგრაფების (პლუტარქე. არიანე, კურციუს რუფუსი) ნაწერებში.

ცალკე უნდა დავასახელოთ ბაბილონელი ქურუმის, ბეროსის (IV—III სს. ძვ. წ.) ბერძნულ ენაზე დაწერილი ნაშრომი, რომლის მცირე ნაწყვეტებიღაა შემონახული. აბიდენთან, ევსებიოსთან, სინელასთან, იოსებ ფლავიუსთან, ალექსანდრე პოლიჰისტორთან და სხვ. ბეროსს დაუწერია ბაბილონის ისტორია 3 წიგნად.

ახალი ბაბილონის ისტორიის შესწავლა მყარ საფუძველზე დადგა მას შემდეგ, რაც დაიწყო ბაბილონის არქეოლოგიური შესწავლა. ამ საქმის პიონერი იყო საფრანგეთის ექსპედიცია, რომლის შედეგები ჟ. ოპერტმა ორ დიდტანიან წიგნად გამოსცა. აქ იყო როგორც არქეოლოგიური გათხრების შედეგების ანგარიში, აგრეთვე აღმოჩენილი

სამშენებლო ხასიათის წარწერები. ბაბილონის ისტორიას დაუთმეს თავისი მრავალტომიანი ნაშრომების ნაწილი ჯ. რაულინსონმა და ედ. შაიერმა. მრავალი ნაშრომი მიუძღვნა ბაბილონის ისტორიასა და კულტურას ჟ. კონტენომ. აღსანიშნავია აგრეთვე ე. უნგერის, ფ. იაკობის, ო. რავნისა და ფ. ვეტცელის ნაშრომები.

გამოსაკუთრებით დიდი ღვაწლი დასდო ბაბილონის ახალი სამეფოს ისტორიის შესწავლას რ. კოლდეკეიმ. მის მრავალ ნაშრომში გამოირჩევა „Das wiederstehende Babylon". დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ახალი ბაბილონის შეფეთა სამშენებლო წარწერების მეცნიერულ გამოცემას, რაც განახორციელა ს. ლანგდონმა; აგრეთვე საინტერესოა ს. სმიტის გამოცემული „ნაბონიდის ქრონიკა", „ლექსის წყარო" და სხვ.

ნაყოფიერად მუშაობს ახალი ბაბილონის სოციალურ-ეკონომიკური ისტორის შესასწავლად მ. დანდამაევი. მის მიერ ასობით შესწავლილი სამეურნეო საბუთი დიდი წვლილია ამ საქმეში.

* * *

ასურეთის ძლიერების ხანაში ბაბილონმა რამდენჯერმე წამოიწყო დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა. ყველაზე ხანგრძლივი და შეუპოვარი მათ შორის იყო მარდუქაფალიდინის (ქალდეური ბაბილონის შეფე 722—710 წწ. ძვ. წ., 703—702 წწ. ძვ. წ. — ბით-იაქინის მმართველი; ბით-იაქინი სპარსეთის ყურესთან მდებარე ქალდეური სამთავრო იყო) ხელმძღვანელობით წარმოებული ბრძოლები ძვ. წ. VIII ს. ბოლო ათეულ წლებში. ამ ბრძოლებში ბაბილონის შთავარი მოკავშირე იყო ელამი; თუმცა ხშირად ხდებოდა, რომ საკუთრივ ბით-იაქინისა და ბაბილონის წარჩინებულთა ინტერესები უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს, რითაც სარგებლობდა ასურეთი, მაგრამ ბრძოლა მაინც გარდამავალი წარმატებებით მიმდინარეობდა. ასურეთის ნეფის სარგონ II-ის დროს (722—705 წწ. ძვ. წ.), როცა მან დაამარცხა მარდუქაფალიდინი, ბაბილონს დამოუკიდებლობა მიენიჭა თვითმმართველობით; მაგრამ ბაბილონის სავაჭრო-სავახშო არისტოკრატია და ქურუმები ისე ადვილად ვერ შეურიგდებოდნენ ასურელ მეფეთა პოლიტიკას, რომელიც სამხედრო პარტიის ინტერესებისათვის იყო გამიზნული. კვლავ მოეწყო აჯანყება და ბაბილონი ასე გაბდა 689 წ. ძვ. წ. სინაქერიბის (705—689 წწ. ძვ. წ.) მრისხანების მსხვერპლი. ბაბილონის მოკავშირე ელამიც კვლავ დამარცხდა და მარტოდ დარჩენილი მოჯანყე მიწის პირთან გაასწორა მრისხანე მბრძანებელმა; სინაქერიბი თავის წარწერაში იკვეხნის, რომ მან ბაბილონის ნაგებო-

ბანი ეფფრატში ჩაძირა. სინაქერიბის ძე, ასარქადონი (681—668 წწ. ძვ. წ.) ატარებდა ქურუმთა წრის შესაბამის პოლიტიკას, ამიტომ მან აღადგენინა ბაბილონის, ამ დიდი რელიგიური ცენტრის, შენობები. შემდგომ არანაკლებ სისხლისმღვრელი ბრძოლები წარმოებდა ბაბილონის სრული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად (652—648 წწ. ძვ. წ.) შამაშშუმუქინის, ასურეთის მეფის ასურბანიფალის (668—626 წწ. ძვ. წ.) ძმის დროს. შამაშშუმუქინს ეხმარებოდნენ არაბები და ელამელები. ასურბანიფალი თავის ანალებში გვამცნობს, რომ მისმა ვერაგმა ძმამ ბაბილონიდან ელჩები გაუგზავნა და როდესაც იგი მათ დიდებულად დახვდა და მათ შორის ტკბილი საუბარი მიმდინარეობდა, აუჯანყდა აქადის, არამუს, ზღვისპირა ქვეყნის ხალხები აქაბიდან (უკიდურესი ჩრდ. პუნქტი ბაბილონში) ბაბსალიმეთამდე (უკიდურესი სამხ. პუნქტი). აღსანიშნავია, რომ შამაშშუმუქინს ეხმარებოდა ბრძოლაში მარდუქაფალიდინის შვილიშვილი ნაბუბელშუმათუ. ასურეთის მეფემ ალყა შემოარტყა ბაბილონს. მოჯანყე ძმა სასახლის ცეცხლში დაიწვა. მოკავშირე ელამიც ასურეთის ჯარმა გადათელა. სასოწარკვეთილი ნაბუბელშუმათუ სთხოვს თავის მეაბჯრეს მოკლას იგი: მათ ხანჯლებით განგმირეს ერთმანეთი. ელამის მეფემ მათი გვამები მარილში ჩადო და ასურში გაგზავნა. ასევე დაამარცხა ასურეთმა არაბი მოკავშირეები და ხელი დარია სირია-პალესტინისაც.

მალე ბაბილონისათვის ხელსაყრელი დროც დადგა, ასურეთის ძლიერებას ბზარი გაუჩნდა. ეს გამოიწვია როგორც შიგნით პრივილეგირებული ზედაფენის არაერთგვაროვნებამ და ურთიერთშუღლმა, ასევე ფართო მასების, დაპყრობილი ხალხების უკმაყოფილებამ, ასურეთის მეზობლების საგხედრო ძლიერების ზრდამ და თვით ასურეთის არმიის ბრძოლისუნარიანობის დაცემამ. ბაბილონის ტახტზე 626 წ. ძვ. წ. ავიდა ნაბუფალასარი (იგი ასურეთის ვასალი იყო ადრე და მხედართმთავარი). ნაბუფალასარი საბოლოოდ გამოეყო ასურეთს და მიდიასთან კავშირში შემუსრა ასურეთის სამეფო. ბრძოლის მსვლელობაში ნაბუფალასარი ქალაქ ასურს დაემუქრა, მაგრამ ასურელებმა უკან დაახევინეს და აიძულეს ქალაქ თაქრითაინში შეკეტილიყო. აქ ალყა შემოარტყეს ასურელებმა, მაგრამ ქალაქი ვერ აიღეს და უკან გაბრუნდნენ. 614 წ. ძვ. წ. ასური დაეცა. ამ დროისათვის ასურეთს მთელი დაპყრობილი ტერიტორიები შემოკლილი ჰქონდა. ნაბუფალასარმა და მიდიის მეფე კიაქსარმა, კავშირი დინასტიური ქორწინებით განამტკიცეს. ნაბუქოდონოსორმა, ბაბილონის ტახტის მემკვიდრემ, მიდიის სეფეწული შეირთო ცოლად. ასურეთის მეფე სარაკი მაინც არ ცხრებოდა. მან კვლავ დაუწყო ბაბილონს ომი, 613 წ. ძვ. წ. არამეელთა ტომები შეაგულიანა მის წინააღმდეგ და ნაწილობრივ მარცხი მიაყენა. მაგრამ მალე, 612 წ. ძვ. წ. კიაქსარმა სა-

ბოლოოდ გაანადგურა ასურეთი და ნინევია მიწასთან გაასწორა. ნაბუფალასარს ნინევია უკვე აღებული დახვდა 612 წ. ძვ. წ., როცა იგი იქ მივიდა. ასურეთის მეფე სასახლის ცეცხლში დაიწვა. ნინევიის დაღუპვა აღწერა ამ ამბების მომსწრე წინასარმეტყველმა ნაუმმა.

ნაბუფალასარმა თავისი გარნიზონები ჩააყენა ხარანსა და ქარხემიშში, იმისთვის, რომ იქ არ ეთარეშათ ასურელთა არმიის ნარჩენებს. ამასობაში ეგვიპტის მეფე ნეხომ (610—594 წწ. ძვ. წ.) სირიის საბაპირო დალაშქრა, აიღო სიდონი, იერუსალიმს ხარკი დაადო, მთელი სირია, პალესტინა და ფინიკია გადათელა, ხარანსა და ქარხემიშსაც მიადგა, ნაბუფალასარის გარნიზონები ამოწყვიტა და ასურეთის არმიის გადარჩენილ ნაწილებს შეუერთდა. აქ უკვე დაყოვნება არ შეიძლებოდა და ნაბუფალასარმაც მოიკრიბა ძალა, რათა გადამწყვეტი მოქმედება დაეწყო. ერთ ხანს, ნინევიის დაცემის შემდეგ ასურელები ასურუბალიტის (ალბათ, ასურბანიფალის ძმა) ხელმძღვანელობით ქარხემიშში გამაგრდნენ. 605 წ. ძვ. წ. ნაბუფალასარის ძემ ტახტის მემკვიდრე ნაბუქოდონოსორმა ქარხემიში შეანგრია და აიღო, დაიმორჩილა აგრეთვე ხარანიც. ასურეთი საბოლოოდ დაეცა. მისი უზარმაზარი ტერიტორია მიდიის, რომელსაც ბაბილონურ ქრონიკებში „უმან-მანდას“ უწოდებენ, და ბაბილონს წილი გახდა. სანამ დრო იყო, ბაბილონს სირია, ფინიკია, იუდეა უნდა შემოემტკიცებინა და სირიის მუდმივი პრეტენდენტის — ეგვიპტის — მეფისთვისაც ლაგამი უნდა ამოედო. ამით დაიწყო თავისი ხანგრძლივი სამეფო საქმიანობა ნაბუქოდონოსორმა. 604 წ. გარდაიცვალა ნაბუფალასარი და სირიაში მყოფი უფლისწული მხოლოდ პირადი ამალის თანხლებით სასწრაფოდ გაეშურა ბაბილონისაკენ, რათა იქ ტახტის პრეტენდენტი არ გამოსჩენოდა.

597 წ. ძვ. წ. ნაბუქოდონოსორმა გაილაშქრა იერუსალიმზე, საგარეო მდგომარეობა საამისოდ ხელსაყრელი ჩანდა. მიდია ხელშეკრულებით და დინასტიური ქორწინებით დროებით უსაფრთხო იყო ბაბილონისათვის. მცირე აზიაში მხოლოდ ორი დამოუკიდებელი სამეფო დარჩა: ლიდია და კილიკია. რაც შეეხება ეგვიპტეს, სირია-იუდეა-ფინიკიის ამ ძველთაძველ იარაღს ასურეთ-ბაბილონის წინააღმდეგ, იგი დასუსტებული იყო დინასტიური უთანხმოებით. იუდეის მეფეს იოაკიმს მაინც მისკენ ეჭირა თვალი და ბაბილონს ხარკზე უარი უთხრა, განზე გადგა. ნაბუქოდონოსორმა ეს ხელზე დაიხვია და დალაშქრა იუდეა. სამი თვის შემდეგ იერუსალიმმა ალყას ვეღარ გაუძლო და ეს საკმაოდ ძლიერი ციხე-სიმაგრე დანებდა ბაბილონის მეფეს. იოაკიმი ოჯახითა და წარჩინებულებით გადაასახლეს ბაბილონში. იერუსალიმის უმდიდრესი ტაძარი გაძარცვეს და მისი ქონება ბაბილონის გზას გაუყენეს. იუდეაში მაინც დარჩა სამეფო. ნაბუქოდონო-

სორმა ტახტზე დასვა სედეკია. ეგვიპტემ ჩარევა ვერ გაბედა და ნაბუ-ქოდონოსორმა მთელი პალესტინა დაიქვემდებარა. მალე პალესტინა და ფინიკია ახალი ბრძოლისათვის იწყებენ მზადებას. ძალა მოიკრიბა ეგვიპტემ და ფარაონმა აპრიამ (588—569 წწ. ძვ. წ.) სიდონი აიღო. მას მიემხრო სედეკიაც (იუდეის მეფე) და სხვა მცირე სამეფო-თა მფლობელნიც. ამ კოალიციას ბაბილონისა და მიდიის კონფლიქ-ტის იმედი ჰქონდა, მაგრამ ამ დროისათვის მიდია ურარტუს დანგრევას უნდებოდა, თუმცა ნაბუქოდონოსორი, ნორსმეკვრეტელი პოლიტიკოსი, ქ. სიფარის ზევით ტიგროს-ევფრატის დაბლობზე, თავ-დაცვის დიდ კედელს აგებინებს ქვეშევრდომთ მიდიასთან მომავალი უთანხმოების შემთხვევაში მზადყოფნისათვის.

ნაბუქოდონოსორი 587 წ. ძვ. წ. კვლავ გამოჩნდა იერუსალიმის კედლებთან. ეგვიპტის ჯარმა უშედეგო ბრძოლის შემდეგ უკან დაი-ხია. იუდეა ბედის ანაბარა დარჩა. ქალაქის დამცველები თავგანწირ-ვით იბრძოდნენ, მაგრამ ნაბუქოდონოსორის მრავალრიცხოვანმა არ-მიამ იერიშით აიღო იუდეველთა უცანასკნელი დასყრდენი. ქალაქი უდაბნოდ გადააქციეს, გაძარცვეს, დაწვეს. ასე მოეღო ბოლო იუდე-ველთა სამეფოს. სედეკია დაბრმავეს იერიხონის დაბლობზე (იერუ-სალიმის მახლობლად). ათასობით იუდეველი გადაასახლეს ბაბილონ-ში, განსაკუთრებით ხელოსნები, სულ 597—586 წწ. ძვ. წ. იუდეიდან ბაბილონში დეპორტირებული იყო. მოსახლეობის 20% (ძირითადად იერუსალიმიდან და ციხე-სიმაგრეებიდან). მათი მიწები გაუნაწილეს დანარჩენ უმიწაწყლოებს, რომ ამით დასაყრდენი გაეჩინათ ბაბილო-ნისთვის პალესტინაში. ამის შემდეგ იუდეველებმა მცირე წინააღმდე-გობა კიდევ გაუწიეს ბაბილონს; ამას ემსხვერპლა მეფისნაცვალი გე-დელია, მაგრამ ბოლოს დარჩენილმა, წელში გაწყვეტილმა პატრიო-ტებმა ეგვიპტეს მიაშურეს და იქ დასახლდნენ.

ნაბუქოდონოსორმა, მტკიცედ რომ ჩადგა ფეხი სირიის სანაპი-როზე, ტვიროსის დაპყრობაც მოინდომა. დიდი ხნის ალყამ (13 წელ.) ვერ დათრგუნა ტვიროსელები; ქალაქის კუნძულებრივი მდება-რეობა და მიუვალი კედლები მისი უსაფრთხოების გარანტიას იძლე-ოდა. 574 წ. ძვ. წ. ტვიროსის მეფე ითობალმა ძალაგამოლეული დამ-ცველების დასახმარებლად მაინც ირჩია ზავი მეეღო ბაბილონის მე-ფისაგან და მის სუვერენობას დაქვემდებარებოდა, თუმცა მდი-დარი და ძლევამოსილი სავაჭრო ქალაქი სრულიად დამოუკიდებელი დარჩა შინაგან საქმეებში. ამის შემდეგ ნაბუქოდონოსორს ხელფეხი გაეხსნა ეგვიპტეზე საიერიშოდ, მაგრამ ამ დროის საომარი მოქმედე-ბის რეალური შედეგები ჩვენთვის უცნობია.

ბაბილონის სამეფოს არსებობის მთელი შემდგომი ხანის განმავ-ლობაში ეგვიპტეს ხელი აღარ მიუწვდებოდა სირიის სანაპიროზე.

585 წ. ძვ. წ მიდიასა და ლიდიას შორის დადებულ ზავში შუამავლად გამოდიან ბაბილონისა და კილიკიის სამეფოები. მიღიის მეფე ასტიაგი (585—550 წწ.), ისევე როგორც კიაქსარი, არ არღვევს ბაბილონთან მშვიდობიან ურთიერთობას.

ნაბუქოდონოსორის მეფობა მეტად ნაყოფიერი იყო. ‘ან დიდი საშენებლო საქმიანობა გააჩაღა: ხელახლა ააგო თითქმის ყველა ძველი ნაგებობა ბაბილონში, ბაბილონის ნანგრევების აგურებს მისი სახელი აწერია. განსაკუთრებით ზრუნავდა იგი ბაბილონის მთავარი ღმერთის, მარდუქის ტაძრის ესაგილისა და მისი კოშკის ეთემენანქის, აგრეთვე ბარსიფის (ბაბილონის ახლოს მდებარეობდა), ნაბუს (მარდუქის ძე) ტაძრის, ეზიდასა და მისი კოშკის ეურიმინანქის აღდგენა-გამშვენებაზე. ბაბილონის ციხე-სიმაგრის მის მიერ აგებული კედლები თითქმის აუღებლად ითვლებოდა. ბაბილონის დიღებულების შესახებ უფრო მოგვიანო ხანაში აღფრთოვანებით მოგვითხრობენ ბერძენი ავტორები — ჰეროდოტე, ქსენოფონტი, დიოდორე და სხვ.

ნაბუქოდონოსორი ღრმა მოხუცებული გარდაიცვალა 562 წ. ძვ. წ. მისი ძლევამოსილი მეფობის შესახებ მრავალი ლეგენდა შეიქმნა. ნაბუქოდონოსორის ძლიერება ეყრნობოდა ქურუმთა და სავაჭრო-მონათმფლობელური არისტოკრატიის მხარდაჭერას. მისი მთელი საგარეო და საშინაო პოლიტიკა ამ უკანასკნელთა ინტერესებიდან გამოდიოდა; საქმის ღირსეული განმგრძობი ნაბუქოდონოსორს არ გამოუჩნდა. მისი ძე აველ-მარდუქი (562—559 წწ.) იუდეველთა მეფეს იეხონიას ციხიდან უშვებს და იახლოვებს. მალე იგი სასახლეში გადატრიალების მსხვერპლი ხდება, რადგან, როგორც ჩანს, მამის პოლიტიკის მიმდევრობას არ აპირებდა. ტახტზე ავიდა ნაბუქოდონოსორის მდიდარი, სახელგანთქმული სიძე ნერიგლისარი; იგი მხედართმთავარი იყო და დიდი მიწათმფლობელი. მისი მეფობაც ხანმოკლე აღმოჩნდა. გარდაიცვალა თუ არა, იმავე წელს სასახლის შეთქმულებმა (555 წ. ძვ. წ.) მოკლეს მისი ძე ლაბაშ-მარდუქი. წყაროები კადმოგვცემენ, რომ მას „ავი ზნე სჭირდა და არ იცოდა მმართველობა“. ბაბილონის სამეფო ტახტზე ავიდა მისი უკანასკნელი მონარქი ნაბონიდი (555—538 წწ. ძვ. წ.), რომელიც თუმცა რელიგიური ფანატიზმით განირჩეოდა და ამდენად, ქურუმთა გამგონი მმართველი უნდა ყოფილიყო, მაგრამ, როგორც ირკვევა, მისი მომხრეები კულტის მსახურთა იმ ვიწრო წრეს შეადგენდნენ, რომელნიც უფრო ორთოდოქსალური და უძველესი მრწამსის ტრადიციის მომხრენი იყვნენ. ნაბონიდი წარმოშობით ჩრდილო სირიიდან იყო, კერძოდ, ხარანიდან. აქედან დაჰყვა მას პროასურული ორიენტაცია და სუენის კულტის უპირატესი თაყვანისცემა მარდუქის კულტთან შედარებით. ნაბონიდმა აღადგინა

სუენის ტაძრები ხარანსა და ურში. ესაგილის ქურუმებს სინის მარდუქზე წინ წამოწევა, რა თქმა უნდა, არ მოეწონებოდათ რადგან ეს მათ იდეოლოგიურ დასაყრდენს მოუსპობდა და აუცილებლად მათ მატერიალურ მდგომარეობასაც შეარყევდა. ქურუმებს არ მოსწონდათ აგრეთვე ნაბონიდის პოლიტიკა ებრაელების მიმართაც (მან აღადგინა ტვიროსის სამეფო, იქ იუდეველთა უფლისწული გაგზავნა). ისახებოდა ოპოზიცია მეფის წინააღმდეგ

ნაბონიდის დროს დაიწყო სერიოზული უთანხმოება სპარსეთის მეფე კიროსსა და მიდიის მეფე ასტიაგს შორის. ამით ისარგებლა ნაბონიდმა და დაიპყრო ხარანი, თავის სამშობლო ქალაქი. აქ მან დაიწყო სუენის ტაძრის მშენებლობა, აღდგენა-განახლება. ეს საქმიანობა ბაბილონის ქურუმებს არ გამოჰპარვიათ; მათ კიდევ ერთი საბაბი გაუჩნდათ ნაბოდინის წინააღმდეგ გალაშქრებისათვის. ამავე დროს ნაბონიდი ცდილობდა არაბებთან კავშირის განმტკიცებას, ილაშქრა ტეიმზე და აქ საკმაოდ დიდხანს დარჩა, ისე რომ, არ მონაწილეობდა ბაბილონის ყოველწლიურ აუცილებელ ცერემონიალში, რომელსაც ეწოდებოდა „ბელის ხელის მოკიდება" და სამეფო ძალაუფლების ხელში პყრობის სიმბოლოს წარმოადგენდა; ამ დროისათვის ბაბილონის ქურუმებმა ნაბონიდი ფაქტიურად ჩამოაცილეს ტახტს და მისი ძე ბალთაზირი აზიარეს ხელისუფლებას.

ახლა სპარსეთის მეფე კიროსი იწყებს აღზევებას. ბაბილონური ქრონიკა თანამიმდევრულად ასახავს სპარსეთის მეფის მზარდ წარმატებებს. კიროსმა დაიკავა გუთიუმი (ბაბილონის ჩრდილოეთით). როგორც ჩანს, ელამი კიროსის მომხრე ხდება. 546 წ. ძვ. წ. ელამელები თავს ესხმიან ბაბილონს; ურუქში ელამელი მმართველი ჯდება. კიროსი ყველა მხრიდან შემოადგა ბაბილონს — ჩრდილოეთი საზღვრიდანაც და აღმოსავლეთიდანაც; 539 წ. ძვ. წ. ქრონიკა აღნიშნავს: უმანმანდამ უფე (ოპისი) აიღო. 538 წ. საფარი დაეცა და ბაბილონს მიადგა სპარსთა ლაშქარი. ასე დაიწყო ბაბილონის დაცემა. აქ კი დრო იხელთა მეფის საწინააღმდეგო ოპოზიციამ და ეახლა კიროსს. როგორც ჩანს, სპარსელთა სარდლობა კარგად იყო ინფორმირებული ბაბილონის მდგომარეობაზე. ნაბონიდი უძლური აღმოჩნდა შინაური ოპოზიციისა და გარეშე მტრის ერთიანობის წინაშე. სამეფოს სხვადასხვა კუთხიდან შეგროვილმა ღმერთების გამოსახულებებმა მას არათუ უშველა, ქვეშევრდომთა დრტვინვაც კი გამოიწვია.

სპარსეთის ჯარი უბრძოლველად შევიდა ბაბილონში, მაშინ როცა მოქალაქენი დიდ ლხინში იყვნენ. თვით ბაბილონის ამღები კიროსის სარდალი უგბარუ ბაბილონელი დიდებული ყოფილა წინათ; მან ღალატი ნაბონიდს და კიროსის ერთგული გახდა. სპარსეთის ჯარი ბაბილონში შედის ძვ წ. 538 წ. 16 თეშრის თვეში (სექტემბერ-ოქ-

ტომბერი). თვით კიროსს ორი თვე შეაგვიანდა კიდევ. ბაბილონში მას დიდი ზარ-ზეიმით შეხვდნენ ნაბონიდის მოძულე ქურუმები და წარ-ჩინებულნი. კიროსმა ნაბონიდი კარანანიაში გაგზავნა ტყვედ, მან დაპირებისამებრ აღადგინა მარდუქის კულტის უპირატესობა და უფ-რო დაამშვენა მისი ტაძარი და კოშკი. კიროსმა ებრაელ ტყვეებს უფლება მისცა დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში და იერუსალიმის ქონებაც თან გაატანა (ებრაელი ტყვეები ბაბილონში აგრეთვე მო-უთმენლად ელოდნენ მათთვის საძულველი ბაბილონის დაცემასა და კიროსის გამარჯვებას).

* * *

ბაბილონის სამეფოს ეკონომიკა ძირითადად ისევე, როგორც ძვე-ლი სამეფოს ხანაში, სოფლის მეურნეობას ეყრდნობოდა; გაძლიერ-და მხოლოდ საავჭრო-საავახშო ოპერაციები, მონათმფლობელური მე-ურნეობა განვითარების ახალ საფეხურზე ავიდა. ცალკეულ პირებს სულ უფრო მეტი ავლა-დიდება უგროვდებოდათ. დიდი დიფერენცი-აცია შეიმჩნეოდა თვით მონათა შორისაც. შეიცვალა მონათა ექსპ-ლუატაციის ხასიათი. გამოირჩეოდნენ მონა-ხელოსნები, რომელნიც ვაჭრობდნენ, თავისუფლად დებდნენ ურთიერთშორის და თავისუ-ფალ მოსახლეობასთანაც ხელშეკრულებებს. ისინი უხდიდნენ პატ-რონს მონის ღირებულების 1/5-ს (წელიწადში), აგრეთვე შემოსავლი-დან — გარკვეულ პროცენტს. ასეთ მონებს ჰქონდათ ოჯახები, ფლობ-დნენ მიწებს, ჰქონდათ მოძრავი ქონება, რომელსაც თავისუფლად განაგებდნენ. მათ ჰყავდათ საკუთარი მონები, ქირაობდნენ აგრეთვე თავისუფალ, მაგრამ ღარიბ პირებსაც სხვადასხვა სამუშაოების შე-სასრულებლად. ერთ-ერთ ასეთ მონას, დაიან-ბელუცურს, მაგალითად, ბაბილონში ჰქონდა სახლი, საკმაოდ გავლენიანი კაცი იყო, ვაჭარი და მსხვილი მევახშე. იგი თავისუფალ მოქალაქეებს ვალად აძლევდა ათასობით ლიტრ ფინიკს, მარცვლეულს და სხვ., აგრეთვე გაასესხებ-და დიდი რაოდენობით ვერცხლს. იყო შემთხვევები, როცა იგი ვალის გადაუხდელობის გამო თავისუფალ კაცს ციხეში აგდებდა, თუმცა წყაროები აღნიშნავენ მის რამდენჯერმე გაყიდვას, ჩუქებას, გირაოდ მიცემას პატრონის მიერ ოჯახიან-ქონებიანად, რაც, როგორც ირკვე-ვა, არა იმდენად მის ფაქტიურ უუფლებობაზე მიუთითებს (მისთვის სულერთი უნდა ყოფილიყო ვის გადაუხდიდა თავისი ქონების უმ-ნიშვნელო ნაწილს), რამდენადაც მისი პატრონის უქონლობა-გასაჭირ-ზე, თორემ ასეთი მონის ყოლა მისი გაყიდვის საფასურზე ბევრჯერ მეტ შემოსავალს აძლევდა პატრონს სინამდვილეში.

მონების უმრავლესობა სულ უფრო მეტ ექსპლუატაციას განიცდიდა. გახშირდა გაქცევა და ურჩობა. ხშირად მონების გაყიდვის საბუთებში აღნიშნულია: მონის პატრონი გარანტიას იძლევა მონის თვინიერებისა. რა თქმა უნდა, დიდძალი მონა იყო სასახლის განკარგულებაში. ისინი სასახლის საჭიროებისათვის ასრულებდნენ სხვადასხვა სამშენებლო-სამეურნეო სამუშაოებს. სამეფო სამუშაოებზე — სამხედრო საჭიროებისათვის — თემის მოსახლეობის გარკვეული კონტინგენტიც გადიოდა, თუმცა ბაბილონის მეფეს დაქირავებული ჯარიც ჰყავდა. დიდი საირიგაციო და სამშენებლო სამუშაოებისათვის სხვა ქვეყნებიდან მოყვანილი სამხედრო ტყვეებიც გაჰყავდათ.

უმდიდრესი მონათმფლობელები იყვნენ ქურუმები. თავისი აურაცხელი ქონებით განთქმული იყო ბაბილონის მარდუქის ტაძარი. ესაგილის მეურნეობა ისე მდიდარი ყოფილა, რომ ბაბილონის სამეფოს დაცემისა და მარდუქის ტაძრის მრავალგზის განადგურება-გაძარცვების შემდეგაც მისი უეჭველად შემცირებული დოვლათი საკმარისი ყოფილა ქვეყნის მაღალი მოხელისათვის სარგოს გამოსაყოფად, დახმარების გასაწევად.

ბაბილონის ახალი სამეფოს პოლიტიკური წყობის სპეციფიკა სწორედ ქურუმთა განუყოფელ ძლიერებაში გამოიხატებოდა. ბაბილონის მეფეთა უდიდესი სამშენებლო სამუშაოები მათი ტაძრების გამშვენებასა და რესტავრაციას ემსახურებოდა. ქურუმები გამოხატავდნენ ქვეყნის საავჭრო ზედაფენის ინტერესებს. როგორც კი რომელიმე ბაბილონელი მეფე გზას გადაუხვევდა და ესაგილის ქურუმების სასარგებლოდ არ იმოქმედებდა, იგი მათი მსხვერპლი ხდებოდა.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ბაბილონის ახალი სამეფოს ეკონომიკა ხასიათდება სულ უფრო მზარდი საავჭრო-საავახშო კაპიტალით. უამრავი საბუთი მოწმობს დიდი საავჭრო ოპერაციების ჩატარებას. ყიდიდნენ პურს, ქერს ღვინოს, ფინიკს, ზეთს, პირუტყვს, ქსოვილებს, ტანისამოსს, მატყლს, მინდვრებს, სახლებს, ბაღებსა და სხვ. ბაბილონში ჩამოყალიბდა ე. წ. „ეგიბის ძეთა საავჭრო სახლი", ნიფურში — „მურაშუს ძეთა საავჭრო სახლი". ეს იყო უდიდესი გაერთიანებანი. მაგალითად, მურაშუს ძეთა გაყრის აქტიდან ჩანს, რომ მათ ჰქონდათ 13 სახლი, 12 მინა ვერცხლი, 3 სამშენებლო ნაკვეთი, 96 მონა. ამავე დროს ქონების ნაწილი საერთო სარგებლობაში რჩებოდა. ჩვენს ხელთ არის სპარსეთის ბატონობის პირველი ხანების (ბაბილონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ამ დროს ძირითადად ისეთივე იყო, როგორც ახალი ბაბილონის სამეფოს არსებობის განმავლობაში) მრავალი სამეურნეო საბუთი, საიდანაც ჩანს, რომ ამ საავჭრო სახლების წარმომადგენლები მდიდარი სპარსელების მეურ-

ნეობას უძღვებიან: იჯარით აძლევენ კერძო პირებს მიწებს, საქონელს და სხვ. ასეთი ოპერაციები, როგორც ჩანს, დიდძალ შემოსავალს იძლეოდა; მათ სამეურნეო საქმიანობაში შედიოდა არხების, გადასახადების მოწესრიგება და კონტროლი.

განუსაზღვრელად დიდია ბაბილონის კულტურული მემკვიდრეობა კაცობრიობის ისტორიაში. ახალი ბაბილონის სამეფოს არსებობის ხანა აღინიშნა ღრმა ძვრებით როგორც ეკონომიკაში, ისე მეცნიერებასა და ტექნიკაში. უკვე VIII საუკუნიდან ასტრონომებმა დაიწყეს წლის გამოთვლა, თუ ადრე ვარსკვლავთა მიხედვით იყო წლის რეგულირება, IV ს-თვის ამას უკვე საფუძვლად ედება მზის წელი. დაახლოებით VII ს-თვის ჩამოყალიბდა ასტრონომიული ხასიათის ბაბილონური ნაშრომი. IV ს-დან ბაბილონელმა ასტრონომებმა ისწავლეს პლანეტათა დგომის გამოთვლა, დაადგინეს დამატებითი თვეების ჩასმის წესი. ყველაზე ცნობილი ასტრონომიული სკოლა აქ ბარსიფაში ჩამოყალიბდა. ბარსიფაში დაადგინეს პლანეტათა სელის ორი ნაწილი, რომელნიც სიჩქარით განსხვავდებიან ერთიმეორისაგან. ბაბილონელთა მიერ დადგენილი მთვარის თვის ხანგრძლივობა (9 დღე, 44 წუთი, 3 1/3 წამი) მხოლოდ 0,4 წამით განსხვავდება თანამედროვე გამოთვლისაგან. ბაბილონურ ასტრონომიას მჭიდრო კავშირი ჰქონდა ცის მნათობების მიხედვით ბედ-იღბლის წინასწარმეტყველებასთან, ასტროლოგიასთან; მიუხედავად თავისი უარყოფითი მხარეებისა ასტროლოგიის რწმენა სტიმული იყო ცის სფეროს შესწავლისათვის. ბაბილონელმა ასტრონომებმა დაადგინეს მზის დაბნელების ზუსტი პერიოდები, რომელთა შორის მანძილი, საროსი შეადგენდა 18 წელსა და 10—11 დღეს. როგორც ყველა სხვა მეცნიერების ცენტრი იმ დროს, ასტრონომიის ცენტრიც ტაძრებში იყო. რელიგიური ელფერი დაჰკრავდა სამედიცინო დარგსაც, თუმცა უნდა ითქვას, რომ დიდი წარმატებები ჰქონდათ როგორც ფარმაკოლოგიაში, ისე თერაპია-ქირურგიაში. ბაბილონელმა მათემატიკოსებმა იცოდნენ კვადრატული და კუბური ფესვების ამოღება, შემოიღეს გამოთვლის 60-იანი სისტემა. ზომა-წონის ბაბილონური სისტემა დიდხანს დარჩა მსოფლიოში ბაბილონის სამეფოს მოსპობის შემდეგაც. ბაბილონელი „ლინგვისტები" საკმაოდ დახელოვნებული მეცნიერები ჩანან. ისინი ადგენდნენ სხვადასხვა ლექსიკონებს (შუმერულ-აქადურს, კასიტურს), ლურსმული ნიშნების ფონეტიკური მნიშვნელობის ტაბულებს, გრამატიკის სახელმძღვანელოებს და სხვ. ღვთისმსახურების ცერემონიალი ხელს უწყობდა მუსიკის განვითარებას. რელიგიურ დღესასწაულებზე სრულდებოდა სიმღერები და ჰიმნები ფლეიტების, კითარების და არფების თანხლებით.

უნდა ითქვას, რომ ახალი ბაბილონის სამეფოში არქიტექტურა იყო წამყვანი დარგი ხელოვნებაში. ახალი ბაბილონის სამეფო გამოხატავდა ქურუმთა მისწრაფებებსა და ინტერესებს; ამიტომ გაქრა ხელოვნებაში მეფის ნადირობისა თუ სხვა სცენები საბრძოლო ცხოვრებიდან. ყველაფერი და ყველა ღვთაებათა სამსახურში და მათი სიბრძნის გასხივოსნებაში იმყოფებოდა. ძველი ბაბილონი, როგორც ცნობილია, ჯერ სინაქერიბმა მოსპო, ხოლო შემდეგ, ასარქადონის მიერ აღდგენილი, ხელმეორედ მოისრა ასურბანიფალის დროს. ასე, რომ, ახალი ბაბილონის სამეფოს დედაქალაქი თითქმის მთლიანად მისი მეორე მეფის, სახელგანთქმული ნაბუქოდონოსორის სამშენებლო საქმიანობის შედეგად გაშენდა. მის შემდეგ ნაბონიდი აგებდა და ამშვენებდა ბაბილონს, ადრე ნაწილობრივ — ნაბუფალასარიც.

ბაბილონურ არქიტექტურას საფუძვლად დაედო სამშენებლო ტექნიკის მაღალი დონე. ადგილობრივი საშენი მასალა თიხა იყო. თიხისაგან აკეთებდნენ როგორც მზეზე გამომშრალ და ნაკლებად გამძლე აგურს, აგრეთვე გამომწვარს, რომლითაც ძირითადად წარმოებდა შენობების მოპირკეთება. ალიზის აგურისაგან ნაგებ კედლებში სიმტკიცისათვის ლელისაგან მოწნულ ჭილოფებს ატანდნენ და ცხელი ბითუმით აკავშირებდნენ ერთმანეთს. ადგილობრივი კლიმატური პირობების გათვალისწინება ცხადს ხდის, თუ რატომ აგებდნენ ბაბილონელები ასეთი გულდასმით შენობათა მაღალ ცოკოლებს ან რატომ ატანდნენ სადრენაჟო ხვრელებს კედლებში და გაჰყავდათ გადახურული არხები შენობათა მთელ სისტემაში. კედლებს მეტი სიმაგრისათვის ხშირად დაქანებულს აკეთებდნენ.

ბაბილონი უდიდესი რელიგიური ცენტრი იყო. აქ 53 დიდი ტაძარი და ასობით სამლოცველო დაითვლებოდა. ქალაქი არქიტექტურულად გასაოცარ მთლიანობას ქმნიდა. რვა საპროცესიო გზა სწორ კვადრატებად ყოფდა ქალაქს, მდინარის გადამკვეთი ქუჩები სანაპიროზე ჭიშკრებით თავდებოდა. ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუში იყო აიბურშაბუ, მთავარი საპროცესო გზა. იგი მოკირწყლული იყო დიდი ქვის კვადრებით: ვარდისფერი ბრეკჩიითა და თეთრი კირქვით. უნდა ითქვას, რომ, მართალია, საკუთრივ ბაბილონის ფარგლებში სამშენებლო ქვა არ მოიპოვებოდა, მაგრამ უშუალოდ მის ჩრდილო-დასავლეთ საზღვართან, იმ ტერიტორიაზე, რომელიც ასურეთის დაცემის შემდეგ მის განკარგულებაში მოექცა, კერძოდ, ქ. მოსულთან, სადაც გადის ტიგროსსა და ევფრატს შორის ბაზალტური მწკრივი ჯებელ-სინგარი, უნდა ყოფილიყო ქვის კარიერები; აქედან და აგრეთვე უფრო ჩრდილოეთი პუნქტებიდან მდინარის გზით შედიოდა ქვა ბაბილონში. მთავარ საპროცესიო გზას მთელ სიგრძეზე დაბლიდან ერთი მეტრი სიმაღლის მოჭიქული აგურის ფრიზი გაუყვებოდა (ცისფერი,

ლურჯი). მასზე რელიეფურად იყო გამოყვანილი ლომები: თეთრები — ყვითელი ფაფარით, ყვითლები — მოწითალო-წაბლისფერი ფაფარით (სურ. 120). იშთარის ჭიშკარი ამ საპროცესიო გზის ყველაზე ბრწყინვალე ადგილს წარმოადგენდა. ამ კარიბჭის ორმაგ კედლებზე, ლურჯ მოჭიქულ ფონზე გამოსახული იყო დრაკონები და ხარები, რომელნიც წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენენ ახლაც ფერადოვნებით, მკაცრი კონტურებით. ბაბილონის ცენტრალური ნაგებობა, კოშკი აშენებული იყო ძველებური ტრადიციით. მისი დამრეცი კედლები ვერტიკალურად განლაგებულ წინწამოწეულ ზოლებად იყოფოდა. ზედა მეშვიდე კოშკი ცისფერი იყო, ალბათ, ღვთაებათა მუდმივი სამყოფელის ანალოგიით, ესაგილა — თეთრი ფერისა, ცოკოლი შავი ჰქონდა. ჭიშკრის ორივე მხარეს კოშკები იყო აღმართული.

ნაბუქოდონოსორის სასახლეში დიდებული სატახტო დარბაზი იყო. მისი ფასადი (სიგრძე 50 მ) მოჭიქული აგურით აიგო; ფასადს გასდევდა ორნამენტი: ლურჯ ფონზე ოქროსფერი სვეტების წყება, რომლის კაპიტელები ლოტოსის გრეხილებით იყო გადაბმული. სვეტებს ზევით ამშვენებდა მოთეთრო-მოყვითალო პალმეტების ფრიზი. მთელი ეს ანსამბლი ქმნიდა არაჩვეულებრივი სიმსუბუქის, ჰაეროვნების შთაბეჭდილებას და კონტრასტს წარმოადგენდა დარბაზის მონუმენტურობასთან.

რაც შეეხება მცირე ხელოვნების ნიმუშებს, ასეთი ძალიან მცირეა ცნობილი ბაბილონის არსებობის ბოლო საუკუნეებიდან. გამონაკლისს წარმოადგენს რ. კოლდეკეის მიერ აღმოჩენილი პატარა „განძი"; ეს იყო საიუველირო ნაწარმი. მაგალითად, ლილაქვის და ცისფერი პასტის მრგვალი მოგრძო მძივები, რომლებზეც ღმერთები იყო გამოსახული; ხელოვნების მცირე ნიმუშს წარმოადგენს აგრეთვე დიდებული, ხის მოჩუქურთმებული ტახტი, რომელიც უნდა ყოფილიყო შემკული ოქროს ფირფიტებით და ინკრუსტირებული იყო ძვირფასი ქვებით; როგორც ჩანს, ესაგილის ტაძარს თავისი საკუთარი საიუველირო სახელოსნოები ჰქონდა. მისი გათხრების დროს აღმოჩენილია უამრავი დაუმუშავებელი ძვირფასი ქვების კომპლექტი, ნაწევრადდამუშავებული ძვირფასი ქვების გროვა და სხვადასხვა სამკაული, ძირითადად მძივები. ურში აღმოჩნდა ოქროს მცირე ქანდაკება. ესაგილიდანვე ცნობილია თიხის მცირე ქანდაკება; ეს არის წვერიანი არსების ქანდაკება, რომელსაც რქები და კუდი აქვს, ხოლო ხელთ უპყრია სტანდარტი ვარდულით. უნდა აღინიშნოს აგრეთვე მრავლად აღმოჩენილი ცილინდრული საბეჭდავები (სარდიონის, ქალცედონის, ჰემატიტის), რომელნიც თილისმასაც წარმოადგენენ. სტილისტურად ისინი ახლოს დგანან მონუმენტური ხელოვნების ნიმუშებთან. არსებობს რამდენიმე ბაბილონური რელიეფი: კირქვის ნატეხი, რო-

ნელზეც გამოსახულია ორი წვეროსანი კაცის ფიგურა, თავზე თიარით, თიხის ფირფიტა — შიშველი კაცი (ჩანს, მსახური) დიდი ძალლით. თუმცა ჩვენამდე არ მოუღწევია სხვადასხვა ღმერთების გამოსახულებებს, მაგრამ, როგორც ლურსმული წერილობითი წყაროები და კლასიკური ბერძნული მწერლობა გვამცნობს, ასეთებს მრავლად აკეთებდნენ ძვირფასი ლითონებისაგან; ყოფილა აგრეთვე მეფეთა სპილენძის ქანდაკებანიც.

ახალი დროის ბაბილონის კულტურაში შეიმჩნევა სწრაფვა გარდასულ დროთა ფორმების აღდგენისაკენ. უნდა ითქვას, რომ ძველისადმი ლტოლვა განსაკუთრებით შეიმჩნევა დამწერლობაში. ბაბილონელი ნწერლები აქადის დინასტიის (III ათასწლეულის შუახანები) დროინდელ ნიშნებს იყენებდნენ მეფეთა წარწერების შედგენისას.

მას შემდეგ, რაც ბაბილონმა პოლიტიკური ჰეგემონობა მოიპოვა, მისი მთავარი ღმერთი, მარდუქიც, უმაღლესად იქნა აღიარებული, შემდგომ თანდათან თავს იჩენდა მისწრაფება მონოთეიზმისაკენ, ყველა ღვთაების სახე; მარდუქში ირწყმებოდა.

თავი XIII

ელამი

ზაგროსის მთიანეთი განლაგებულია ირანის ზეგნის სამხრეთ-დასავლეთით და მესოპოტამიის ჩრდილო-აღმოსავლეთით. იგი იწყება ურმიის ტბის სამხრეთით მდ. მცირე ზაბის სათავეებთან და მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. მთიანეთის სიგრძე დაახლოებით 1600 კმ-ია, ხოლო სიგანე 200 კმ აღწევს. ზაგროსის მთიანეთი ქმნიდა ბუნებრივ საზღვარს ასურეთ-ბაბილონსა და ირანის ზეგანს შორის.

ზაგროსის მთიანეთი დასერილია ხშირი მდინარეებით. მათ შორის მთავარია ზედა და ქვედა ზაბი, დიალა, ქერუნი და სხვ. მდინარეთა სანაპიროები მდიდარია ნაყოფიერი ველებით, რომლებიც გარშემორტყმულია ტყიანი მთებით. აქ დიდი რაოდენობით მოიპოვება რკინა, სპილენძი, ტყვია, ძვირფასი ლითონი, სამშენებლო ქვა და სხვ.

ზაგროსის მთიანეთი უძველესი დროიდან დასახლებული იყო ერთმანეთთან ეთნიკურად ახლოს მდგომი ტომებით: ელამელებით, კასიტებით, ლულუბეელებითა და გუთიებით.

ამ ტომების ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული შუამდინარეთის უძველესი საზოგადოების ისტორიასთან. ზაგროს-ელამური სამყარო წინა აზიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და მისი ისტორიის შესწავლა დიდი მნიშვნელობის მქონეა მახლობელ აღმოსავლეთში მიმდინარე ისტორიული პროცესების შესახებ მართებული წარმოდგენის შესამუშავებლად.

ელამი წინააზიური სამყაროს ერთ-ერთ უძველესსა და საკმაოდ მნიშვნელოვან სახელმწიფოს წარმოადგენს. მისი ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული შუამდინარეთის უძველესი საზოგადოების ისტორიასთან. ელამი იყო დამაკავშირებელი რგოლი ირანსა და წინა აზიის კულტურულ ცენტრებს შორის.

ელამის სახელმწიფო წარმოიშვა III ათასწლეულის დასაწყისში და ორ ათას წელზე მეტ ხანს იარსება. ელამი იყო მოწმე შუამდინარეთის ქალაქ-სახელმწიფოების წარმოშობისა და დაცემისა, აგრეთვე ასურეთის, ურარტუს, ხეთების სამეფოს აღზევებისა და დაღუპვისა.

იგი მოესწრო შუმერული ენის გაქრობას, სემიტური ტომების გამოჩენასა და აქადური ენის გავრცელებას, აგრეთვე ირანის ზეგანზე ინდოევროპული ტომების გაძლიერებასა და ამ რაიონში მცხოვრებ ხალხთა ირანიზაციას.

ელამის სახელმწიფო მდებარეობდა ირანის პლატოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. საკმაოდ გართულებულია ელამის სახელმწიფოს ზუსტი საზღვრების დადგენა მისი ისტორიის ყველა პერიოდისათვის. საზღვრები ხშირად იცვლებოდა იმის მიხედვით, თუ როგორ მიმდინარეობდა ელამის მმართველთა ომები. ელამის სახელმწიფოს განსაკუთრებული ძლიერების ხანაში მისი ბატონობა ვრცელდებოდა საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე, რომლის საზღვრები დასავლეთით აღწევდა ბაბილონსა და ასურეთს, ხოლო აღმოსავლეთით — მარილის უდაბნოს. სამხრეთით ელამს ესაზღვრებოდა სპარსეთის ყურე.

ელამის სახელმწიფოს ბირთვი განლაგებული იყო დაბლობზე, მდინარე კარუნსა და კერხას შორის, სადაც მდებარეობდა ელამის სამეფოს მთავარი ქალაქი სუზა. დაბლობი ყოველი მხრიდან გარშემორტყმული იყო მაღალი მთებით. ელამის არქეოლოგიური შესწავლა მჭიდროდ არის დაკავშირებული ფრანგი არქეოლოგების სახელთან.

XIX ს. შუა წლებში ცნობილმა ფრანგმა მოგზაურებმა ფლანდენმა და კოსტამ აღმოაჩინეს ელამის უძველესი დედაქალაქი სუზა. 1897 წ. საფრანგეთის მისიამ ირანში დაიწყო დიდი არქეოლოგიური სამუშაოები სუზაში. 1897—1912 წწ. ამ სამუშაოებს ხელმძღვანელობდა ცნობილი ფრანგი არქეოლოგი დე მორგანი. დე მორგანის გათხრებს მეტად მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა. ფრანგი არქეოლოგების მიერ მოპოვებულ იქნა მეტად მნიშვნელოვანი ძეგლები, დაწყებული უძველესი ხანიდან, გათავებული სასანური ეპოქით. მათ მიერ გათხრილი იყო უძველესი ნეკროპოლი, სადაც აღმოჩენილ იქნა ოქროს, ვერცხლის, ტყვიისა და ბრინჯაოსაგან დამზადებული სხვადასხვა დანიშნულების ნივთები, ჭურჭელი, საბეჭდავები, ბარელიეფები; დიდი რაოდენობით იყო აგრეთვე მოპოვებული ელამურ ენაზე შესრულებული წარწერები. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სუზაში აღმოჩენილ მესოპოტამიური წარმოშობის ნივთებს, რომლებიც, როგორც ჩანს, ელამელების მიერ სამხედრო ნადავლად იყო წაპოღებული. ამ ნივთებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქვის სტელაზე შესრულებულ ბაბილონის ცნობილი მეფის ხამურაბის კანონებსა და ნარამსუენის სტელას.

1936—39 წწ. ელამში გათხრით სამუშაოებს აწარმოებდა ინგლისისა და ირანის გაერთიანებული არქეოლოგიური ექსპედიცია.

ელამის სიძველეების შესწავლისათვის უდიდესი მნიშვნელობა

აქვს ცნობილი ფრანგი არქეოლოგის პროფ. გირშმანის მოღვაწეობას, რომელიც ელამში არქეოლოგიურ სამუშაოებს ხელმძღვანელობდა.

ამ ექსპედიციის განსაკუთრებულ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს სუზის მახლობლად უდიდესი ზიქურათის აღმოჩენა. ამ ზიქურათის გარშემო გათხრილი და შესწავლილია დიდი არქიტექტურული კომპლექსი, რომელიც შეიცავს სასახლეების ჯგუფსა და თერთმეტ ტაძარს. არქეოლოგების მიერ აქვე აღმოჩენილი იყო ელამურ ენაზე შესრულებული წარწერა, რომელიც გვამცნობს ამ არქიტექტურული კომპლექსის მშენებელი მეფის — უნთაშსუბანის — სახელს.

უკანასკნელი წლების მანძილზე ელამში მეტად მნიშვნელოვან არქეოლოგიურ სამუშაოებს აწარმოებს აგრეთვე ბელგიის არქეოლოგიური ექსპედიცია.

ელამის ისტორიის შესწავლის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს საკმაოდ მრავალრიცხოვანი წარწერები, რომლებიც ორ ნაწილად იყოფა:

1) უცხოური წარწერები, რომლებშიც შედის შუმერული, აქადური, ბაბილონური, ასურული და ხეთური წარწერები და 2) ელამურ ენაზე შესრულებული წარწერები.

ელამის ისტორიის ადრეული პერიოდის შესწავლის ერთადერთ წყაროს შუმერული და აქადური ლურსმული წარწერები შეადგენს. ისინი აშუქებენ ელამის ადრეული სახელმწიფოს პოლიტიკურ ისტორიას და გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან ელამის სახელმწიფოებრივ წყობაზე.

ამავე საკითხებს ეხება უფრო გვიანდელი წყაროები, ბაბილონისა და ასურეთის მეფეთა ანალები.

ელამის ისტორიის სხვადასხვა საკითხის შესწავლისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს თვით ელამურ ენაზე შესრულებულ წარწერებს. ისინი აშუქებენ ქვეყნის საგარეო თუ საშინაო ისტორიის მეტად მნიშვნელოვან საკითხებს. წარწერებში დიდი ადგილი ეთმობა ელამელ მეფეთა ომების ისტორიას, სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის საკითხებს, მეფეთა საშინაო პოლიტიკას, ძირითადად მათი მშენებლობის ასახვასა და სხვ.

ცნობილია, მაგალითად, წარწერა ელამის მეფის შუტრუკ-ნახუნტე I-ისა, რომელიც შეიცავს ბაბილონში და ელამში წამოიღო ნარამსუენის გამარჯვების სტელა და მანიშთუსუს ობელისკი. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ელამის მეფის შილხაქ-ინშუშინაკის წარწერებს. სადაც ლაპარაკია მის სამხედრო დაპყრობით ომებზე. დიდი ადგილი ეთმობა მის წარწერებში აგრეთვე მეფეების სააღმშენებლო მოღვაწეობის ასახვას. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შილხაქ-ინშუ-

შინაკის იმ წარწერას, სადაც მოცემულია ელამის მეფეთა გენეალოგია.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ელამში აღმოჩენილ სამეურნეო და სავაჭრო დოკუმენტებს, რომლებიც ძირითადად აქადურ ენაზეა შესრულებული. ეს დოკუმენტები გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ელამის სოციალურ-ეკონომიკურ ისტორიაზე. ამ დოკუმენტებში დაცულია ცნობები ელამის სატაძრო, სამეფო და სათემო მეურნეობის მნიშვნელოვან საკითხებზე.

ელამში აღმოჩენილი უძველესი ტექსტები შესრულებულია პიქტოგრაფიული დამწერლობით. პიქტოგრაფიის ენას პროტოელამურს უწოდებენ. ეს ტექსტები, როგორც ფიქრობენ, III ათასწლეულის პირველ ნახევარს განეკუთვნება. პიქტოგრაფიული ნიშნები გარკვეულ მსგავსებას იჩენს შუმერულ, კერძოდ, ჯემდეტ-ნასრის ეპოქის დამწერლობასთან. საფიქრებელია, რომ პროტოელამური ენა შუმერულ ენას კი არ წარმოადგენდა, არამედ განეკუთვნებოდა ელამის ადგილობრივ უძველეს ნოსახლეობას. აგრეთვე სავარაუდებელია, რომ ელამურმა პიქტოგრაფიულმა დამწერლობამ შუმერის ერთგვარი გავლენა განიცადა. პროტოელამური ენა, სამწუხაროდ, ჯერ ანოუციითხავია.

მესამე ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ელამში ვრცელდება ხაზოვანი დამწერლობა, რომელიც, როგორც ჩანს, ელამური პიქტოგრაფიული დამწერლობის საფუძველზეა შექმნილი. ხაზოვანი დამწერლობა დამოწმებულია ელამის მეფის ფუზურ-ინშუშინაკის მმართველობის ხანაში. ელამური ხაზოვანი დამწერლობა ამოკითხულია ცნობილი გერმანელი ელამოლოგის ვ. ჰინსის ნიერ.

მესამე ათასწლეულის დასასრულიდან ელამში ფართოდ ვრცელდება ლურსმული დამწერლობა, რომელიც ელამში მესოპოტამიიდან შემოვიდა. შუმერულ-აქადურმა ლურსმულმა დამწერლობამ სრულიად განდევნა ელამში ძველი, ადგილობრივი დამწერლობის სისტემები და ნტაციად მოიკიდა ფეხი.

ელამურმა ლურსმულმა დამწერლობამ თავის განვითარებაში სანი პერიოდი გაიარა: ძველელამური, საშუალოელამური და ახალელამური.

ძველელამური ლურსმული დამწერლობა განეკუთვნება III ათასწლეულის დასასრულს. იგი სრულიად თანხვდება აქადურ ლურსმულ დამწერლობას, რაც აქადის დიდი გავლენით უნდა იყოს ახსნილი. ძველელამური ლურსმული დამწერლობით შესრულებული წარწერები შედარებით ეცირერიცხოვანია.

საშუალოელამური დამწერლობა გავრცელებას პოულობს ძვ. წ. XIII ს. ელამში დამოწმებული ეს დამწერლობა თანდათან სცილ-

დება თავის პროტოტიპს და ძველბაბილონური პერიოდის აქადური დამწერლობის შემდგომ განვითარებას წარმოადგენს. ამ პერიოდში ელამური ენის გავრცელების არე ძლიერ შემცირებულია. დაახლოებით 1000 წლიდან ირანის ცენტრალურ რაიონებში ჩნდებიან ახალი ტომები, რომლებიც, როგორც ჩანს, ეკუთვნიან ინდოევროპული ტოშების ინდო-ირანულ შტოს. IX—VII სს. ისინი ელამის აღმოსავლეთ ნაწილში ჩანან დასახლებულნი.

VII ს. ძვ. წ. საშუალო ელამურ ენაზე დაწერილი ტექსტები წყდება. ეს ფაქტი, როგორც ჩანს, უკავშირდება ელამის დაპყრობას ასურეთის მიერ.

ძველი და საშუალოელამური ენა საკმაოდ კარგად არის შესწავლილი, ამ ენების გრამატიკა შედგენილია ბორკის მიერ.

ახალელამური ენისათვის დამახასიათებელია ლურსმული ნიშნების გამარტივება, რომელთა რიცხვი მინიმუმამდეა დაყვანილი. ნიშანდობლივია ისიც, რომ VI ს-დან ეს წარწერები საკმაოდ იტვირთება სპარსული ლექსიკით.

ახალელამურ ენაზე შესრულებულია სხვადასხვა დანიშნულების წარწერები: 1) მეფის ხელოსნური ნეურნეობის დოკუმენტები სუზიდან, 2) აქემენიდი მეფეების სამენოვანი წარწერების ელამური ვერსიები, 3) სამეფო მეურნეობის დოკუმენტები პერსეპოლისიდან. ახალელამური ენა შედარებით კარგად არის შესწავლილი. 1955 წ. გამოქვეყნდა გ. პეიპერის მიერ შედგენილი ახალელამური ენის გრამატიკა. ელამური ენის საკმაოდ სრული გრამატიკული ნარკვევი ეკუთვნის აგრეთვე ცნობილ საბჭოთა მეცნიერს ი. ნ. დიაკონოვს.

ელამური ენისა და ელამელების ეთნიკური ვინაობის შესახებ მეცნიერებაში განსხვავებული და ზოგჯერ ერთმანეთის გამომრიცხავი აზრებია გამოთქმული. ყველაზე დასაბუთებული დღეისათვის ის მოსაზრებაა, რომ ელამელების ენა, ზაგროსის მთიანეთში მცხოვრებ სხვა ტომების ენებთან ერთად, ეკუთვნის ე. წ. ზაგროს-ელამურ ენათა ჯგუფს. მეცნიერთა ნაწილი აღნიშნავს გარკვეულ სიახლოვეს კავკასიურ და ელამურ ენებს შორის. უკანასკნელ ხანებში კვლავ წინა პლანზე წამოიწია მოსაზრებამ, რომელიც ელამურ ენას ძველი ინდოეთის ერთ-ერთი ტომის — დრავიდების — ენას უკავშირებს.

ელამის ისტორია მრავალმხრივ იმსახურებს ინტერესსა და ყურადღებას. მიუხედავად ამისა, მასში ჯერ ბევრია საიდუმლო და გაურკვეველი. შედარებით უკეთესად არის გაშუქებული ელამის პოლიტიკური ისტორია, რომელსაც წლების განმავლობაში სწავლობდნენ დასავლეთის ცნობილი მეცნიერები—ჯ. კემერონი, სპაიზერი, ვ. ჰინცი და სხვები. კარგად არის შესწავლილი აგრეთვე ელამური სამარ-

თალი, რომელიც გაშუქებულია კლიმას, კოშაკერის, მეიერისა და სხვათა ნაშრომებში.

უკანასკნელ ხანებამდე სრულიად შეუსწავლელი იყო ელამის სოციალურ-ეკონომიკური ისტორია. ელამოლოგიის ეს ხარვეზი შეავსო საბჭოთა მეცნიერმა ი. იუსუფოვმა, რომელმაც სპეციალური მონოგრაფია მიუძღვნა ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის შესწავლას.

ელამის ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ ხელი შეუწყო ამ ტერიტორიაზე მოსახლეობის ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლას. უკვე IV ათასწ. დასაწყისისათვის ელამში სავარაუდებელია ბინადარი მიწათმოქმედი და ნახევრად მომთაბარე ტომების არსებობა, რომლებიც ცხოვრობენ პირველყოფილ-თემური წყობილების პირობებში.

მესამე ათასწლეულის დასაწყისში ელამში სავარაუდებელია სახელმწიფოს არსებობა. ეს იყო პირველი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი წინა აზიაში შუმერისა და აქადის შემდეგ. ელამის ადრეული სახელმწიფოს სტრუქტურის შესახებ არავითარი ცნობები არ არსებობს. საფიქრებელია, რომ თავიდან ელამის ეს ადრეული სახელმწიფო საკმაოდ პრიმიტიული იქნებოდა, რომელშიც დიდი როლი უნდა ეთამაშა პირველყოფილ-თემური წყობილების გადმონაშთებს. თავისი ხასიათით იგი დიდად არ განსხვავდებოდა სხვა, ძველი აღმოსავლური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნებისაგან, უპირველეს ყოვლისა, მესოპოტამიისაგან, სადაც სახელმწიფოს არსებობა ადრე არის სავარაუდებელი.

III ათასწლეულის დასაწყისში ელამში, ისევე როგორც შუმერში, არსებობდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ქალაქ-სახელმწიფოები: შუშენი (სუზა). ანშანი, სიმაში, ადამდუნი, ბარახშე და სხვ. თითოეულ ამ პატარა სამეფოს თავისი საკუთარი დამოუკიდებელი მმართველი უნდა ჰყოლოდა. ადრეულ ხანაში ყველაზე ძლიერი ავანას სამეფო უნდა ყოფილიყო.

ელამის სამეფოებსა და მესოპოტამიის ქალაქ-სახელმწიფოებს შორის უძველესი ხანიდან მეტად მჭიდრო ურთიერთობა არსებობდა, რომელიც თავდაპირველად ძირითადად სამხედრო შეტაკებებსა და ბრძოლებში გამოიხატებოდა. პირველ ხანებში შუმერთან ომებს ავანასა და ბარახშეს სამეფოები აწარმოებდნენ, რომლებიც თითქმის ყოველთვის საბრძოლო ურთიერთობაში იყვნენ მესოპოტამიასთან. ამ ომებში გამარჯვება უფრო ხშირად გარდამავალი იყო. ელამისა და შუმერის ამ საბრძოლო ურთიერთობის ძირითად წყაროს შუმერული წარწერები წარმოადგენს. ეს წყაროები, სამწუხაროდ, არ ასახელებენ მესოპოტამიასთან მებრძოლი ელამელი მეფეების სახელებს.

XXVI ს. ძვ. წ. ქიშის I დინასტიის მეფე ეანმეტარაგესი შეიჭრა ელამში და, როგორც წყაროები აღნიშნავენ, იქიდან დიდი ნადავლი წამოიღო. ქიშის დინასტიის შემდგომი მეფეების ბატონობის ხანაში ელამელები არაერთხელ შეჭრილან მესოპოტამიაში და დიდი ზიანი მიუყენებიათ ქვეყნისათვის. XXV ს., ლაგაშის მეფე ეანათუმის მმართველობის ხანაში ელამელების თარეში მესოპოტამიაში დროებით შეჩერებულ იქნა. უნდა ვიფიქროთ, რომ ელამი მესოპოტამიისათვის საკმაოდ ძლიერ მოწინააღმდეგეს წარმოადგენდა და მან ელამელების სრული დამორჩილება ვერ შეძლო. მართლაც, ლაგაშის მეფეთა ეს წარმატება დროებითი აღმოჩნდა. მალე ელამელებმა კვლავ ილაშქრეს მესოპოტამიის წინააღმდეგ, ხელთ იგდეს ლაგაში და მესოპოტამიის რამდენიმე ქალაქი დაიმორჩილეს.

უფრო გვიან, სარგონ აქადელის (2369—2314) მეფობის ხანაში, ელამის საერთაშორისო მდგომარეობა მკვეთრად იცვლება. სარგონი სასტიკად ილაშქრებს ელამის წინააღმდეგ და იმორჩილებს მას. სარგონის სიკვდილის შემდეგ ელამი იწყებს სამხედრო გამოსვლებს აქადელთა ბატონობის წინააღმდეგ. ამიტომ სარგონის შვილი რიმუში იძულებულია კვლავ გაილაშქროს ელამის წინააღმდეგ, რასაც ქვეყნის დარბევა სდევს თან.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ელამის წინააღმდეგ მეფე ნარამსუენ აქადელის ლაშქრობას, რასაც ელამის დამორჩილება მოჰყვა შედეგად. მალე, მეფე ფუზურ-ინშუშინაკის მოღვაწეობის შედეგად, ელამი გამოდის ვასალური მდგომარეობიდან და თავს აქადელების მოკავშირედ აცხადებს.

ფუზურ-ინშუშინაკი ავანის სამეფო დინასტიის უკანასკნელ მეფეს წარმოადგენს. იგი იყო ელამის პირველი მეფე, რომელმაც შეძლო ელამის დაქუცმაცებული სახელმწიფოს გაერთიანება ერთი მბრძანებლის ხელქვეით. ამ ხანებში ელამმა თავისი პოლიტიკური ძლიერების მაღალ საფეხურს მიაღწია

თავის წარწერებში ფუზურ-ინშუშინაკი თავს სუზის იშშაქუსა და მთელი ელამის შაქანაქუს უწოდებს. გარდა ამისა, ფუზურ-ინშუშინაკი თავს სამყაროს ოთხივე ნაწილის მრძანებლად აცხადებს.

მის წარწერებში ლაპარაკია იმ ძლევამოსილ ომებზე, რომლებიც მეფემ ჩაატარა ქვეყნის გაერთიანებისათვის, წყაროები მიუთითებენ სამოცამდე ოლქზე, რომლებიც ფუზურ-ინშუშინაკმა დაიპყრო და საკუთარ ტახტს დაუმორჩილა. ნახსენებია აგრეთვე სიმაშის მეფე, რომელიც ფუზურ-ინშუშინაკს მუხლებზე მოეხვია და ამით ცნო მისი ძალაუფლება.

როგორც ჩანს, ერთიანი ელამის მეფე ზრუნავდა აგრეთვე ქვეყნის შინაგან სიძლიერეზეც. წყაროებში დაცულია ცნობა იმის შესახებ,

რომ ფუზურ-ინშუშინაკმა დაიწყო დიდი არხის მშენებლობა, რასაც ქვეყნის ეკონომიკისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ამ ეპოქას უნდა ეკუთვნოდეს მეტად მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც დაიდო აქადის მეფე ნარამსუენსა და ელამის მმართველს შორის. ხელშეკრულება შედგენილია ელამურ ენაზე. სამწუხაროდ, ელამის მეფის სახელმა ამ წარწერაში ჩვენამდე ვერ მოაღწია, მაგრამ, ვინაიდან ფუზურ-ინშუშინაკი ნარამსუენის თანამედროვეს უნდა წარმოადგენდეს, საფიქრებელია, რომ ეს ხელშეკრულება სწორედ იმ ორ მმართველს შორის უნდა დადებულიყო. აღნიშნული ხელშეკრულება გულისხმობს აქადისა და ელამის, როგორც ორი თანასწორი სახელმწიფოს, მეგობრულ კავშირს. ამ ხელშეკრულებაში ნათქვამია: „ნარამსუენის მტერი ჩემი მტერია, ნარამსუენის მეგობარი — ჩემი მეგობარი“.

ფუზურ-ინშუშინაკის სიკვდილის შემდეგ სწრაფად იწყება ელამის ერთიანი სახელმწიფოს რღვევა. სამეფო ძალაუფლება გადადის ელამის მეორე ქალაქის — სიმაშის — ხელში. სიმაშის სამეფო სიაში ნახსენებია ამ ქალაქის თორმეტი მეფე, რომელთა შორის პირველი იყო მეფე გარნამე.

ამ პერიოდიდან ელამის ძლიერება საგრძნობლად ეცემა და პოლიტიკურ სარბიელზე იგი დიდ როლს აღარ ასრულებს.

ამ ხანიდან დაწყებული ელამის სახელი ხშირად გვხვდება ლაგაშის ენსის გუდეას სამეფო წარწერებში. როგორც წყაროები აღნიშნავენ, გუდეას დაუპყრია ელამის ქალაქი ანშანი. მისი ბრძანებით ელამელები ლაგაშში ჩამოსულან, რათა მონაწილეობა მიეღოთ ნინგირსუს სახელობის ტაძრის მშენებლობაში.

ელამი ემორჩილებოდა აგრეთვე ურის მესამე დინასტიას. მიუხედავად ამისა, მას სრულად დამოუკიდებლობა არ დაუკარგავს, მის ცალკეულ ოლქებსა და ქალაქებში მმართველები არსებობდნენ, რომლებიც არ ცნობდნენ ურის სრულ ბატონობას. ხშირად ელამის ეს პატარა სამეფოები დამოუკიდებელ ომებს აწარმოებდნენ და ზოგჯერ საკმაოდ წარმატებითაც.

მაგალითად, ელამის ემუტბალის ოლქის მმართველმა შეძლო ლარსის სამეფოში გარკვეული გავლენის მოპოვება და ლარსის სამეფო ტახტზე თავისი შვილის აყვანა.

ურთიერთობა ელამსა და ურის III დინასტიას შორის არ უნდა ყოფილიყო მხოლოდ მტრული. ურის მეფეები ზოგჯერ ცდილობდნენ ელამის მეფეებთან ნათესაური ურთიერთობის დამყარებას. როგორც წყაროები აღნიშნავენ, ურის III დინასტიის მეფე შულგიმ თავისი ერთ-ერთი ქალიშვილი ცოლად მისცა ბარახშას მმართველს, ხოლო შეორე — ანშანის მმართველს. შულგი აქტიურ მონაწილეობას იღებ-

და აგრეთვე ელამელ ღვთაებათა ტაძრების მშენებლობაშიც, მაგრამ ცოტა უფრო გვიან, იმავე შულგიმ სასტიკად გაილაშქრა ანშანის წინააღმდეგ და სრულიად დაარბია იგი.

ელამში ძალიან ადრე იჩინა თავი უკმაყოფილებამ ურის III დინასტიის ბატონობის წინააღმდეგ. ეს უკმაყოფილება ხშირად აჯანყების სახით ვლინდებოდა. განსაკუთრებით დიდ აჯანყებას ელამში ადგილი ჰქონდა ურის III დინასტიის მეფის იბი-სუენის (2046—2024) მმართველობის ხანაში. იბი-სუენმა მოაწყო დიდი დამსჯელი ექსპედიცია ელამში და სრულიად დაარბია ქალაქები: სუზა, ადამდუნი და ავანა, ხოლო სიმაშის მეფე იბი-სუენი ტყვედ წამოიყვანა.

ურის III დინასტიის დაცემის შემდეგ ელამი თავს აღწევს ურის ბატონობას და გარკვეულ პერიოდში დამოუკიდებლობას ინარჩუნებს.

ბაბილონის მეფის ხამურაბის (1792—1750) ბატონობის პერიოდში ელამი კვლავ დაუძლურდა. მაგრამ XII ს. ახალმა სამეფო დინასტიამ შეძლო გაეტეხა ელამის ადგილობრივ მმართველთა სეპარატიზმი და გააძლიერა ცენტრალური სამეფო ხელისუფლება.

განსაკუთრებულ სიძლიერეს ელამმა მიაღწია მეფე შილხაკ-ინშუშინაკის (1165—1115) მმართველობის ხანაში. შილხაკმა გააერთიანა ქვეყანა, განამტკიცა სახელმწიფო წყობილება, ჩაატარა ძლევამოსილი ლაშქრობანი, რის შედეგადაც საგრძნობლად გაზარდა თავისი სამეფოს საზღვრები.

დღევანდლამდე მოაღწია შილხაკ-ინშუშინაკის რამდენიმე წარწერამ. ეს წარწერები შუქს ჰფენს ამ ეპოქის მრავალ საყურადღებო მხარეს. ამ წარწერებში უმთავრესად ლაპარაკია მეფის დაპყრობით ომებზე. ჩამოთვლილია ორას ორმოცდაათამდე ადგილი, რომელიც შილხაკმა ელამის სახელმწიფოს შემოუერთა. მეფემ, როგორც ჩანს, ძალიან გაადიდა ელამის სახელმწიფო საზღვრები, განსაკუთრებით ზაგროსის მთების მიმართულებით. მეფე ასურეთშიც შეეჭრილა, სადაც დაუპყრია ქ. ეკკალათე. ელამის საზღვრები, როგორც ჩანს, პერსეპოლისამდე აღწევდა. მთელ ამ ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი ალიზის ნატეხები, რომლებზეც ამოტვიფრულია მეფე შილხაკ-ინშუშინაკის სახელი.

შილხაკის სახელთან არის დაკავშირებული ელამში დიდი რელიგიური რეფორმის ჩატარება. მეფემ სუზის ადგილობრივი ღვთაება ინშუშინაკი ელამის უმაღლეს ღვთაებად გამოაცხადა და თავისი წარმოშობა სწორედ ამ ღვთაების სახელს დაუკავშირა.

შილხაკ-ინშუშინაკმა დიდი ყურადღება მიაპყრო აგრეთვე ქვეყნის საშინაო მშენებლობას. წყაროები აღნიშნავენ, რომ შილხაკმა მთელს ელამში ააგო დიდი რაოდენობით ტაძრები და ყველგან და-

ამთავრა უფრო ადრე დაწყებული ტაძრების მშენებლობა. განსაკუთრებით დიდი მშენებლობა წამოიწყო ელამის დედაქალაქ სუზაში.

სუზა, მრავალფეროვანი არქიტექტურული ანსამბლებითა და სიმდიდრით, შილხაკ-ინშუშინაკმა იმ ეპოქის სხვა დიდ ქალაქებს გაუთანასწორა. აქ ცენტრალური ადგილი ეჭირა სასახლეებისა და ტაძრების კომპლექსს, ცალკე დიდ ნაწილს ქმნიდა ხელოსანთა და ვაჭართა დიდი რაიონი, რომელიც ყველაზე ცოცხალი და ხალხმრავალი იყო.

შილხაკ-ინშუშინაკის მიერ აგებულ ტაძრებს შორის უდიდესი იყო სუზაში ინშუშინაკის სახელობის დიდი ტაძარი, სადაც აღმართული იყო ალიზისაგან გაკეთებული თვით შილხაკ-ინშუშინაკის ქანდაკება წარწერით, რომელშიც ნეფე შესთხოვს ღვთაება ინშუშინაკს, რათა წყალობის თვალით გადმოხედოს მას.

ტაძრის წინ მდებარეობდა მოპირკეთებული ეზო, რომლის ერთი კედელი მთლად ელამურ ენაზე შესრულებული ქვის სტელებით იყო ნაგები. სამი წარწერა მოგვითხრობს შილხაკის დაპყრობით ომებზე, ორი — ტაძრის აგების შესახებ. აქვეა აღმოჩენილი ის სტელა, რომელზეც ელამელ მეფეთა გენეალოგიაა მოცემული. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო სამხრეთი შემოსასვლელი, შემკული სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი ნივთებით. სწორედ აქ იყო აღმოჩენილი ხამურაბისა და ნარამსუენის ქვის სტელები.

შილხაკ-ინშუშინაკის სიკვდილის შემდეგ კვლავ იჩენს თავს ელამის ცალკეული ქალაქების და ოლქების მმართველთა სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ. 1150 წ. ნაბუქოდონოსორის შემოტევის შედეგად ელამი სასტიკად მარცხდება. ამ დამარცხების ძირითადი მიზეზი ელამში ერთიანი ხელისუფლების არარსებობა უნდა იყოს.

XII ს. ელამი როგორც დიდი ძალა აღარ არსებობს. წყაროები მის შესახებ თითქმის აღარავითარ ცნობებს აღარ შეიცავენ. საფიქრებელია, რომ ელამი კვლავ დაშლილია ცალკეულ სახელმწიფოებად, რომლებიც დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებენ და არ ემორჩილებიან მეფის ერთიან ძალაუფლებას.

დიდი ხარვეზის შემდეგ ელამის შესახებ ცნობები ჩნდება 742 წ. ბაბილონის ქრონიკაში, რომელიც გვამცნობს ელამის მეფის ხუბანნაგაშის სახელს. ამ პერიოდში ელამში არსებობს ძირითადად ორი სამეფო — სუზის და ანშანის სამეფოები. ელამის ისტორიის ეს ხანა ცნობილია ელამის ახალი სამეფოს სახელწოდებით; სამეფო ცდილობს ძველი ძლიერების აღდგენას. რიგ შემთხვევაში ახერხებს წარმატებით ომების ჩატარებას. ამ პერიოდში ელამი ძირითადად ებრძვის ასურეთის იმპერიას და ბაბილონს უკავშირდება.

ასურეთის მეფეთა ანალებში ხშირად არის ლაპარაკი იმაზე, რომ ელამის ცალკეულ ოლქებს შორის გაუთავებელი ომები იყო პირ-

ველობისათვის, სწორედ ამით სარგებლობდა ასურეთი და დაპყრობით პოლიტიკას ახორციელებდა ელამის მიმართ.

VII ს. ასურეთის მეფე სარგონ II შეეჯახა ბაბილონისა და ელამის გაერთიანებულ ლაშქარს და სასტიკად იქნა დამარცხებული.

მაგრამ მალე ასურეთი კვლავ ძლიერ შეტევას იწყებს ელამის წინააღმდეგ. ამ მხრივ საინტერესოა სინაქერიბის ლაშქრობა ელამში. ელამის მეფე ქუდურნახუნდის ბრძანებით მოსახლეობა მთებში გაიხიზნა. სინაქერიბი იძულებული იყო ნინევიაში დაბრუნებულიყო. ელამის სრული დამორჩილება მან ვერ შეძლო. ამიტომ სინაქერიბმა კვლავ ილაშქრა ელამში და კვლავაც საშინლად დაარბია იგი. ეს გაუთავებელი ომები ელამსა და ასურეთს შორის დამთავრდა მხოლოდ ასურბანიფალის ეპოქაში, რომელმაც 639 წ. საშინლად დაარბია ელამი. ამ ბრძოლას ელამის სრული დამარცხება მოჰყვა თან.

ამის შემდეგ ელამი თითქმის უმტკივნეულოდ შევიდა მიდიის სახელმწიფოში, ხოლო უფრო გვიან — აქემენიდების იმპერიაში.

ელამში უკვე III ათასწლეულის დასაწყისში არსებობდა სახელმწიფო, რომელსაც სათავეში თავისი მმართველი უნდა ჰყოლოდა. ადრეულ ხანაში ელამის ქვეყნის მმართველის აღსანიშნავად გამოიყენებოდა შუმერული და აქადური წარმოშობის რამდენიმე ტერმინი. ერთ-ერთი მათგანი იყო შუმერული ტერმინი ensi, ანუ „მმართველი ქურუმი". ამ ტერმინს შეესაბამებოდა აქადური ტერმინი iššakku. პატარა სახელმწიფოს მმართველად ტერმინ iššakku-სთან ერთად გამოიყენებოდა ტერმინი addu—„მამა" და šarru—მეფე.

ელამის გაერთიანების შემდეგ სახელმწიფოს სათავეში იდგა და სახელმწიფოს მმართველს წარმოადგენდა შაქქანაქქუ. საინტერესოა ფუზურ-ინშუშინაკის ტიტულატურა, რომელიც თავის თავს უწოდებს სუზის იშშაქუსა და მთელი ელამის შაქქანაქქუს.

II ათასწლეულიდან ელამის სახელმწიფოს სათავეში იდგა სუქქალმახი, ანუ უმაღლესი მოციქული და სუქქალი — მოციქული. სუქქალმახი შეესაბამებოდა ადრეულ შაქქანაქქუს, ხოლო სუქქალი — სუზის შარრუს.

II ათასწლეულიდან ელამის სახელმწიფოს ერთდროულად მართავდა სუქქალმახი, სუქქალი და შარრუ. ამ თანამდებობების შემსრულებელი სამივე პირი ერთი გვარის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო. შარრუს თანდათან შეეძლო ამაღლებულიყო ჯერ სუქქალისა და მერე სუქქალმახის თანამდებობამდე. ამ პროცესს საფუძვლად ედო სპეციფიკური ელამური ფორმა სამეფო ტახტის მემკვიდრეობისა, რომელიც დედის ხაზით ხორციელდებოდა. სუქქალისა და სუქქალმახის თანამდებობა არჩევითი იყო. მაგრამ ამ თანამდებობის პრეტენდენტი აუცილებლად სამეფო გვარის წარმომადგენელი უნდა ყო-

ფილიყო. სამეფო საგვარეულო კი ამ უფლებას, ცხადია, მემკვიდრეობით იღებდა.

II ათასწლეულის შუა ხანებიდან ელამში ცნება „სუქქალმახი“ ისპობა. წყაროები მმართველს უწოდებენ šunki-ს (მეფე), ეს ტერმინი შეესაბამება აქადურ შარრუს. რადიკალურად იცვლება აგრეთვე სამეფო ტახტის გადაცემის მემკვიდრეობითი წესი. მეფის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტზე ადის მისი ვაჟი ან უკიდურეს შემთხვევაში, მისი ძმა.

ელამის მოსახლეობის ძირითად საქმიანობას მიწათმოქმედება წარმოადგენდა. მოსახლეობას მოჰყავდა ქერი, პური, ცერცვი და სხვ. მიწათმოქმედების განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საარხო სისტემების გაყვანას, რასაც ელამში დიდი ყურადღება ექცეოდა.

მიწათმოქმედებასთან ერთად ელამში დიდ როლს ასრულებდა მესაქონლეობა, რომელსაც ძირითადად მთიანი ზოლის მოსახლეობა მისდევდა. ელამის მოსახლეობის მნიშვნელოვან საარსებო წყაროს წარმოადგენდა აგრეთვე მონადირეობა და მეთევზეობა.

ელამში ძლიერ განვითარდა ხელოსნობა. უკვე II ათასწ. დასაწყისიდან წყაროები ხშირად იხსენიებენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს: მშენებლებს, პურის მცხობლებს, მეთუნეებს და სხვ. როგორც ჩანს, ხელოსნობას ვთელი საგვარეულოები მისდევდნენ, სადაც ეს პროფესია მემკვიდრეობით გადადიოდა.

წყაროები ერთხმად მიუთითებენ შუამდინარეთის ქალაქებსა და ელამს შორის არსებულ ვაჭრობაზე, რომელიც უკვე III ათასწ. დასაწყისიდან გაცხოველებით მიმდინარეობდა ამ ქვეყნებს შორის. ელამიდან შუამდინარეთში გაჰქონდათ ძვირფასი ხე-ტყე, ვერცხლი, ლითონი, ხოლო მესოპოტამიიდან ელამში შემოჰქონდათ ქერი და ზეთი.

ელამში მოსახლეობა გაერთიანებული იყო ცალკეულ თემებში, აქ სავარაუდებელია სასოფლო თემის არსებობა, მაგრამ ადრეულ ხანაში თემისათვის დამახასიათებელი მიწის კოლექტიური მფლობელობის შესახებ დღეისათვის ცნობები არ არსებობს.

უკვე III ათასწლ. ბოლოსათვის ფუზურ-ინშუშინაკის ეპოქის ელამურ წყაროებში ვიხსენიებულია მეფის მიერ დაპყრობილი მიწები, რომლებიც აღნიშნულია აქადური ტერმინით alu. ამ ტერმინის ქვეშ იგულისხმებოდა სასოფლო ან საქალაქო თემი, გაერთიანებული ტერიტორიული პრინციპით. ადრეულ ხანაში სასოფლო თემისათვის დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო მიწათმოქმედების კოლექტიური ფორმა. ცალკეულ alu-ს თავისი საკუთარი მფარველი ღვთაება ჰყავდა.

თითოეულ თემს საკუთარი სათემო თვითმმართველობა ჰქონდა, რომლის ფუნქციას შეადგენდა თემის წევრებს შორის ურთიერთობის მოწესრიგება, მათ შორის წამოჭრილი სადავო საკითხების გადაწყვეტა, ტაძრების მომარაგება სამსხვერპლო საქონლით და ა. შ.

თემის სათავეში იდგა სათემო საბჭო, რომელშიც თითოეული უბნის წარმომადგენელი შედიოდა. სადავო საკითხები ძირითადად სათემო საბჭოში ირჩეოდა. განსაკუთრებულ შემთხვევებში საქმეს ტაძრები განიხილავდნენ. მაგრამ ამ შემთხვევაშიც, ტაძართან განხილულ სასამართლო პროცესში მონაწილეობას იღებდნენ როგორც სათემო საბჭო, ისე თავისუფალი მეთემეები.

ელამურ წყაროებში დაცულია საინტერესო ცნობები სათემო თვითმმართველობის ორგანიზაციის სამოხელეო აპარატის შესახებ. ეს ტერმინებია: tepir — მწერალი, daisanu — მოსამართლე, kipari — უბნის მამასახლისი, haššа — სათემო დასახლების უფროსი და სხვ.

მუდმივმა ომებმა ხელი შეუწყო ელამში მსხვილ საქალაქო და სასოფლო თემების მმართველთა დაწინაურებასა და უმაღლესი ხელისუფლების ჩამოყალიბებას.

II ათასწლეულის დასაწყისში ელამში სასოფლო თემი საოჯახო თემებად იშლება. საოჯახო თემში გაერთიანებულია ცალკეული საოჯახი ერთეულები, რომლებიც ერთმანეთთან იყვნენ დაკავშირებული არა მარტო ნათესაური პრინციპით. საოჯახო თემში გაერთიანების ერთ-ერთი საშუალება იყო შვილად აყვანა ან სათემო „ძმობაში" მიღება. „ძმობაში" საოჯახო თემის წევრები მიწას კოლექტიურად ამუშავებდნენ, მაგრამ განაწილება უკვე ინდივიდუალური იყო. ამიტომ საოჯახო თემის შიგნით თანდათან თავს იჩენს საკუთრების მითვისების ტენდენცია, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს კოლექტივის წევრებს შორის უთანასწორობის განვითარებას. იწყება სიმდიდრის დაგროვება კოლექტივის გარკვეულ წევრებს შორის. ეს პროცესი კი შინაგანად შლიდა საოჯახო თემს.

ელამში მეტად მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა ტაძრები. ტაძრებს უზარმაზარი მიწის ნაკვეთები ჰქონდათ. მათი სიმდიდრისა და ძლიერების წყაროს მრავალრიცხოვანი შემოწირულებანიც ქმნიდა. ყოველივე ამის გამო ტაძრების ხელში უამრავი სიმდიდრე იყრიდა თავს. ელამში ტაძრები გვევლინებიან მსხვილ მიწისმფლობელებად, რომელთა საკუთრება სამეფო მეურნეობისაგან დამოუკიდებელი იყო. ტაძრებს უზარმაზარი ეკონომიკური ზეგავლენა ჰქონდა ქვეყნის მთელს ცხოვრებაზე. ამასთან ერთად, ისინი მნიშვნელოვან საკანონმდებლო ორგანოსაც წარმოადგენდნენ. ელამის მეფეები ყოველთვის განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდნენ ტაძრების მიმართ და ხელშეუხებლად იცავდნენ მათ იმუნიტეტს.

მხოლოდ VIII—VII სს. ელამის ახალ სამეფოში რადიკალურად იცვლება ტაძრების მდგომარეობა. გაუთავებელი ომიანობა, სატაძრო მუშახელის ტყვედ წაყვანა და განსაკუთრებით მიდიურ-სპარსული რელიგიის გავრცელება აჩანაგებდა ტაძრებს, ზღუდავდა მათ ძლიერებასა და ზეგავლენას.

ელამში დიდ როლს ასრულებდა სახელმწიფო ან სამეფო მეურნეობა. სამეფო მეურნეობა მეფეს ემორჩილებოდა და ორი ნაწილისაგან შედგებოდა: სამიწათმოქმედო და ხელოსანთა მეურნეობისაგან. მეფეს ელამში ეკუთვნოდა მიწების საუკეთესო ნაკვეთები. ეს მიწები ზოგჯერ კერძო პირებს ან სამიწათმოქმედო თემებს ეძლეოდა იჯარით დასამუშავებლად. ხელოსნური წარმოებაც მეფის მფლობელობაში შედიოდა. წყაროები ასახელებენ მეფეთა მეურნეებს, მჭედლებს, მოქანდაკეებს, ხის დამმუშავებლებს.

სამეფო და სატაძრო მეურნეობაში გამოიყენებოდა მონის შრომა. მონობის ერთ-ერთ ძირითად წყაროს ომების შედეგად წამოყვანილი ტყვეები წარმოადგენდნენ. როგორც ელამის ისტორიის განხილვის დროს დავინახეთ, ელამი განუწყვეტელ საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამ ბრძოლების დროს დამპყრობელთათვის იგი ხშირად თვითონვე წარმოადგენდა მონობის მნიშვნელოვან წყაროს, ამიტომაც ელამი მუდმივად განიცდიდა მუშახელის ნაკლოვანებას; საჭირო იყო თავისუფალი მუშახელის მოპოვების საკუთარი წყაროს შექმნა. ამ მიზნით ელამში მონებს ქორწინების უფლება ჰქონდათ. მონათა შვილი თავიდანვე მონა უნდა ყოფილიყო. ეს იყო ელამში მუდმივი მუშახელის ზრდის ერთ-ერთი საშუალება.

ელამში შექმნილია შეტად თავისებური და თვითმყოფადი კულტურა. საყოველთაო აღიარება პოვა ელამის ტერიტორიაზე აღმოჩენილმა ენეოლითური კულტურისათვის ნიშანდობლივმა მოხატულმა კერამიკამ. მისთვის დამახასიათებელია ფორმის ნაირგვარობა და დახვეწილი ორნამენტი. ჭურჭელი ღია ფერისაა და მოხატულია მუქი საღებავებით, ჭურჭელზე ხშირად გვხვდება ცხოველების, ფრინველებისა და ადამიანთა სტილიზებული გამოსახულებანი ან გეომეტრიული ორნამენტით შესრულებული სახეები.

უკანასკნელ ხანებში ელამის ტერიტორიაზე აღმოჩენილია მრავალრიცხოვანი და მეტად მრავალფეროვანი მასალა, რომელიც საშუალებას იძლევა წარმოდგენა შევიქმნათ ელამურ ხელოვნებაზე სახელმწიფოს არსებობის პირობებში. მასალა შეიცავს არქიტექტურულ კომპლექსებს, მრგვალი ქანდაკების ნიმუშებს, რელიეფებსა და სხვ. ყველაზე უკეთ არის შესწავლილი ელამური გლიპტიკა; ელამური გლიპტიკური მასალა საფუძვლად დაედო საერთოდ ელამური ხელოვნების

კლასიფიკაციას. ელამურ ხელოვნებაში გამოყოფენ სამ პერიოდს: ადრეულს, საშუალოსა და გვიანს.

პირველი პერიოდი მოიცავს II ათასწ. I ნახევარს. ამ ხანისათვის დამახასიათებელი ძეგლები მცირერიცხოვანი და ნაკლებმნიშვნელოვანია. შუა ელამური ხელოვნება განეკუთვნება II ათასწ. II ნახევარს. საშუალო ელამური ხელოვნება ასახავს ელამურ კულტურას ელამის სახელმწიფოს განსაკუთრებული სიძლიერის ხანაში. სწორედ აღნიშნული ეპოქის ძეგლებია ყველაზე მრავალრიცხოვანი და მნიშვნელოვანი.

ამ პერიოდის არქიტექტურაზე წარმოდგენას იძლევა ელამის უძლიერესი მეფის შილხაკ-ინშუშინაკის მიერ სუზაში აგებული არქიტექტურული ანსამბლები, რომლებზეც უკვე გვქონდა ლაპარაკი. მეტად საინტერესოა აგრეთვე მეფე უნტაშ-ხუბანის მიერ აგებული არქიტექტურული კომპლექსი. ეს ნაგებობანი აღმოჩენილია ჩვენი საუკუნის 60-იან წლებში პროფ. გირშმანის მიერ სუზის მახლობლად, შოგა ზემბელში. აქ აღმოჩენილი იყო დიდი არქიტექტურული ანსამბლი, რომელშიაც შედიოდა ზიქურათი, ცხრა ტაძარი და სასახლეთა ჯგუფი.

ზიქურათი ეძღვნებოდა ღვთაება ინშუშინაკს. იგი შედგებოდა ხუთი სართულისაგან, მისი სიმაღლე იყო 25 მ. ზიქურათის კოშკი წარმოადგენდა კვადრატულ ოთხკუთხედს, რომლის თითოეული გვერდის სიგრძე 104 მ უდრიდა. ამ ზიქურათის აღმოჩენას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც იგი მესოპოტამიაში დღემდე აღმოჩენილ მრავალრიცხოვან ზიქურათებზე გაცილებით უკეთ არის შენახული.

ზიქურათის მახლობლად ჯგუფებად იყო განლაგებული ტაძრები. ტაძრების კომპლექსი დაცულია გრანდიოზული ელიფსის ფორმის გალავნით. გალავანი უშუალოდ გასდევს რელიეფს. დიდი გალავნის შიგნით გაკეთებული იყო მეორე, უფრო პატარა ზღუდე, რომელსაც ოთხკუთხედის მოყვანილობა ჰქონდა.

სასახლეებში თავისებურად იყო გადაწყვეტილი წყლით მომარაგების პრობლემა. 1962 წ. ექსპედიციის მიერ სასახლის მიღმა აღმოჩენილ იქნა დიდი აუზი, რომლის შიგნით მოთავსებული იყო რეზერვუარი, სადაც წყალი იწმინდებოდა და ცხრა არხით უკავშირდებოდა პატარა აუზს, რომელშიც მხოლოდ სუფთა წყალი ინახებოდა.

სასახლისა და ტაძრების მახლობლად არქეოლოგებმა აღმოაჩინეს მეტად თავისებური სამარხი ნაგებობა ხუთი აკლდამით. აქ დამოწმებულია ელამისათვის დამახასიათებელი დაკრძალვის უნიკალური ჩვეულება — მიცვალებულის კრემაცია იარაღთან და სამკაულთან ერთად. ფიქრობენ, რომ კრემაცია ელამში მხოლოდ მეფეთა დაკრძალვის წესს წარმოადგენდა.

ამ პერიოდის ელამურ ხელოვნებაში დიდ როლს თამაშობს მრგვალი ქანდაკება. მეტად საინტერესოა მეფე უნტაშ-ხუბანის მეუღლის, ნაფირა-ასუს ბრინჯაოს ქანდაკება. დედოფალი გამოხატულია ხელდაკრეფილად. შესანიშნავად არის დამუშავებული ხელები, რომლებიც მეტად გამომხატველ იერს აძლევენ მთელ ფიგურას. შესანიშნავია მამაკაცის სკულპტურული პორტრეტები, შესრულებული ბრინჯაოსა და თიხისაგან. გავრცელებულია აგრეთვე ვერცხლისაგან დამზადებული ინშუშინაკის მთელი სიმაღლით წარმოდგენილი ფიგურები, რომლებსაც ხელში ყოველთვის სამსხვერპლო ცხოველები უჭირავთ.

საკმაოდ რთულად გამოიყურება ელამელთა რელიგიური პანთეონი. პანთეონის სათავეში იდგა ელამელების უმაღლესი ღვთაება ინშუშინაკი. ელამელთა რელიგიამ, როგორც ჩანს, შუმერული პანთეონის ძლიერი გავლენა განიცადა. ელამელები თაყვანს სცემდნენ შუმერულ-აქადური წარმოშობის ღმერთებს: შამაშს, სინს, იშთარსა და სხვ.

როგორც დავინახეთ, ელამი ძველი აღმოსავლური სამყაროს საკმაოდ მნიშვნელოვანსა და თავისებურ ქვეყანას წარმოადგენდა. მან უდიდესი ისტორიული გავლენა მოახდინა ისეთ დიდ სახელმწიფოებზე, როგორიც იყო მიდია და აქემენიდური ირანი.

თავი XIV

ირანი

§ 1. გეოგრაფიული გარემო

ირანი გეოგრაფიულად წარმოადგენს ე. წ. ირანის ზეგანს, რომელსაც დასავლეთ აზიის, ანუ შუა აღმოსავლეთის საკმაოდ ფართო რაიონი, დაახლოებით 2,5 მილიონი კვადრატული კილომეტრი უჭირავს. ამ გეოგრაფიული რაიონის საზღვრებს წარმოადგენს: დასავლეთით — ზაგროსის მთები, რომელიც ირანს ტიგროსის დაბლობისაგან გამოყოფს, ჩრდილოეთით — მდ. არაქსი, კასპიის ზღვა, კოპეტ-დაღისა და პაროპამისის მთები (ამუ-დარიის სამხრეთით), სამხრეთით — ინდოეთის ოკეანე სპარსეთის ყურით, ხოლო აღმოსავლეთით — ჰინდიკუშის მთები, რომლებიც ირანს ინდოეთისგან გამოყოფს.

ირანის ზეგანი გარშემორტყმულია მაღალი მთებით, ხოლო მისი ცენტრალური ნაწილი წარმოადგენს დაცემულ აუზს, რომელსაც არ გააჩნია ზღვისკენ გასასვლელი. სწორედ აქ, ამ მშრალსა და უბაყოფო დაბლობზე იკარგება ყველა ნაკადული და მდინარე, რომელიც ირანის მთებიდან დაბლობისაკენ ეშვება.

მიწათმოქმედებისათვის ყველაზე ხელსაყრელი პირობები ჩრდილო და დასავლეთ მთიანეთის მთაგრეხილთა ფერდობებსა და მთისწინა ზოლს აქვს. ირანის ტერიტორია ბუნებრივი საზღვრებით 5 დიდ რაიონად იყოფა. პირველ რაიონს შეადგენს ზაგროსის მთიანეთი, ანუ ელამი (ხუზისტანი), რომელიც მესოპოტამიის დაბლობს ემეზობლება და მას რიგი მდინარითა და გასასვლელით („კარებით") უკავშირდება. ამ რაიონის ჩრდილო ნაწილი, რომელიც მიდიის ატროპატენას სახელითაა ცნობილი, უფრო ასურეთთან იჩენს სიახლოვეს, ხოლო სამხრეთი ნაწილი, რომელიც ბაბილონისაგან მთებით და ჭაობებითაა გამოყოფილი, წარმოადგენს კარჩაკეტილ ზოლს. სწორედ აქ, ზაგროსის მთიანეთში, ქერხისა და ქარუნას ალუვიურ დაბლობებზე, შუმერული კულტურის მახლობლად და მასთან ერთდროულად, წარ-

მოიქმნა უძველესი ბინადარი ცივილიზაცია, რომელიც ისტორიაში ელამის კულტურის სახელითაა ცნობილი.

ელამისაგან სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს მთიანი ზოლი, რომელიც აღმოსავლეთისკენაა დაქანებული. ეს ისტორიული პერსიდაა (პარსა, თანამედროვე ფარსი).

ზაგროსის რაიონი მდიდარია ტყიანი და მაღალი მთებით გარშემორტყმული ნაყოფიერი დაბლობებით, რომელთაც შექმნეს პირობები, რომ აქ უძველესი სამიწათმოქმედო-ბინადარი კულტურა წარმოქმნილიყო. გარდა ამისა, ტყის სიმრავლე, მადნეულისა (სპილენძი, ტყვია, რკინა და ა. შ.) და სხვადასხვა ჯიშის ქვების სიუხვესთან ერთად, ქმნიდა საფუძველს ხელოსნობის სწრაფი განვითარებისათვის. ამგვარი ბუნებრივი, მეორე მხრივ, აპირობებენ იმ ვითარებასაც, რომ მეზობლები ხარბი თვალით უყურებდნენ ამ ქვეყნის სიმდიდრეს და ხშირად ესხმოდნენ თავს.

ირანის მეორე რაიონს წარმოადგენს მიდია, უფრო კი დაბლობი ან ველის მიდია, რომელიც ბორცვებიანი მხარეა. ამ სამკუთხედის ფორმის ზოლს დასავლეთით ზაგროსი ესაზღვრება, ჩრდილოეთით — ელბრუსის მთაგრეხილი, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით — დეშთ-ი ქევირის მარილიანი უდაბნო.

მესამე რაიონი მიითვლის ტყიან და ტენიან სამიწათმოქმედო ვიწრო ზოლს, რომელიც კასპიის ზღვასა და ელბრუსის მთაგრეხილს შორის არის მოქცეული. ამ რაიონს აკრავს სეფიდრუდის ველი, რომელიც მას ურმიის ტბის რაიონთან და ცენტრალურ მიდიასთან აკავშირებს. შუა აზიასა და აღმოსავლეთ ირანს იგი გორგანისა და ჰირკანის (ატრექის) დაბლობებით უკავშირდება.

მეოთხე რაიონი მიითვლის ისტორიულ პართიას და ჰირკანიას. იგი იწყება ირანის ზეგანის ცენტრში, ვიწრო ზოლად სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილოეთისაკენ მოემართება კასპიის ზღვამდე. ესაა უდაბნოებისა და მშრალი ველების ზოლი, რომელსაც გადაკვეთს თანამედროვე ხორასნის მთები. პართია და ჰირკანია ერთმანეთთან აკავშირებს აღმოსავლეთ და დასავლეთ ირანს.

მეხუთე რაიონს შეადგენს ირანის აღმოსავლეთი მთიანი ოლქი, რომელიც აღმოსავლეთით მდ. ინდის დაბლობებს ებჯინება, დასავლეთით — ცენტრალური ირანის დაბლობს, ხოლო ჩრდილოეთით — მდ. ამუ-დარიას დაბლობს. რაიონი წარმოდგენილია მთაგრეხილებით, რომლებიც პამირ-ჰინდიკუშის მთების კვანძებიდან გამოდის.

§ 2. წყაროები

ირანის ძველაღმოსავლური ხანის ისტორია განვითარების სამ საფეხურს მიითვლის: ელამური, მიდიური და სპარსულ-აქემენიდური. ელამისა და ელამური საზოგადოების ისტორიისა და წყაროების შესახებ უკვე იყო საუბარი.

მიდიის, როგორც პოლიტიკური ერთეულის, ისტორია ძვ. წ. IX—VII საუკუნეებს მოიცავს და მისი გაშუქება ძირითადად წერილობითი წყაროების მიხედვითაა შესაძლებელი.

წერილობითი წყაროების პირველი ცნობები იმ ტომების შესახებ, რომლებიც ისტორიული მიდიის ტერიტორიაზე მოსახლეობდნენ (გუთიები, ლულუბეელები), ძვ. წ. III ათასწლეულს მიეკუთვნება და შეეხება მიდიის უკიდურეს დასავლეთ პერიფერიას — ზაგროსის მთიანეთს, რომელიც ჯერ შუმერების ყურადღებას იქცევდა, ხოლო შემდეგ — ხურიტების, ელამელების, ბაბილონელებისა და ასურელებისა. ცალკეულ შემთხვევაში ლურსმული ნაწერები ჩოგვითხრობენ მიდიის ცენტრალური რაიონების შესახებაც. ეს განსაკუთრებით შეეხება ძვ. წ. IX—VII საუკუნეების ასურულ წყაროებს, რომლებიც უკიდურესი ტენდენციურობით გამოირჩევიან; ისინი შეიცავენ ძვირფას ცნობებს მიდიის იმ რაიონების შესახებ, რომელთა დალაშქვრაც ასურელებმა მოახერხეს, თუმცა გაურბიან მარცხიან ლაშქრობათა აღწერას. საინტერესო ცნობებს შეიცავენ აღებული პერიოდის ბაბილონური ქრონიკები, ურარტული და ბაბილონური წარწერები, ბიბლიის შესაბამისი თავები („ქრონიკა", მეფეთა წიგნი, ნაუმი, იერემია და ა. შ.). მიდიის ისტორიის აქემენიდური ხანის ვითარების წარმოსადგენად საინტერესო მონაცემებს იძლევა სპარსეთის მეფეების წარწერები.

მიდიისა და მიდიელების შესახებ საინტერესო ცნობების შეკრება შეიძლება ძველბერძენ ავტორებთან (ჰეკატე მილეტელი, ჰეროდოტე ჰალიკარნასელი, ქარონ ლამპსაკელი, დიონისე მილეტელი, ქსანთუს ლიდი, ესქილე, კტესიუს კნიდელი, ქსენოფონტი ათენელი, ბეროს ბაბილონელი და სხვ.), რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ჰეროდოტე ჰალიკარნასელი (ძვ. წ. V ს. მეორე ნახევარი). ჰეროდოტე იძლევა მიდიის ისტორიის გაბმულ თხრობას, რაც, ჯერჯერობით, ერთადერთი ამგვარი ნარკვევია, რომელმაც ძველი დროიდან ჩვენამდე მოაღწია. თუმცა ჰეროდოტეს მონათხრობშიც ყველაფერი დასაჯერებელი არ არის, მაგრამ იგი ჯერჯერობით რჩება ყველაზე სრულ და სანდო წყაროდ ამ რიგის წყაროთა შორის.

მიდიის ისტორიის შესწავლისათვის! ცარკვეული მნიშვნელობა აქვს ზოროასტრული დოგმატური რელიგიის საღვთო წიგნს — ა ვ ე ს-

ტ ა ს, რომელიც არ იცნობს აქემენიდურ სახელმწიფოს და მის მეფეებს. მკვლევართა ერთ ჯგუფს ეს მოძღვრება შუა აზიაში შექმნილად მიაჩნია (ვ. ბ. ჰენინგი, კ. ვ ტრევერი, ს პ. ტოლსტოვი, ა. კრისტენსენი, ა. ა. ფრეიმანი, მ. მ. დიაკონოვი და სხვ.), ხოლო მეორეს — ირანში (ე. ჰერცფელდი, კ. გელდნერი, ა. მეიე, პ. ტედესკო და სხვები).

მიდიის ისტორიის ზოგიერთი საკითხის, კერძოდ, მიდიელთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური კუთვნილების საკითხთა შესწავლისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ენობრივ მონაცემებს. სწორედ მათ საფუძველზე იქნა დადგენილი, მაგალითად, რომ მიდიელები ეკუთვნოდნენ ინდოევროპული მოდგმის ირანულ შტოს და ენათესავებოდნენ სპარსელებს.

* * *

ირანის აქემენიდური ხანის ისტორიის წყაროების ფონდი მიითვლის როგორც ნივთიერი კულტურის ძეგლებს, ისე წერილობით ცნობებსა და ენობრივ მონაცემებს.

წინაკლასობრივი ხანის ირანული (სპარსული) საზოგადოების ისტორიის წყაროები უპირატესად არქეოლოგიური მასალითაა წარმოდგენილი (პერსეპოლის ძველი ფენები, თეფე-სიალქი, თეფე-ჰისარი, ტიურინგ-თეფე, შახ-თეფე, გარ-ი ქამარაბადი, სუზა და ა. შ.), ხოლო კლასობრივი პერიოდისათვის ძირითადია წერილობითი წყაროები, კერძოდ, აქემენიდი მეფეების წარწერები, რომელთაგან უძველესია კიროს დიდის მოკლე წარწერა ფასარგადიდან. მეფეთა წარწერებიდან ყველაზე ვრცელი და მნიშვნელოვანია დარიოს I-ის ლურსმული წარწერა, რომელიც ბისუტუნის კლდეზეა დაცული. სხვა წარწერები ეკუთვნის როგორც დარიოს I-ს, ისე ქსერქსეს, არტაქსერქსე I-ს, არტაქსერქსე II-ს, არტაქსერქსე III-ს; ისინი წარმოდგენილია მეფეების სასახლეებისა და მავზოლეუმების კედლებზე, კლდეებზე (ფასარგადი, ნაქშ-ი რუსტემი, სუზა, პერსეპოლი, ვანის ტბის მიდამოები, ეგვიპტე, ბისუტუნი და ა. შ.), აგრეთვე ოქროსა და ვერცხლის ფილებზე, ქვის საწონებზე, საბეჭდავებზე, ჭურჭლებზე, თიხის ფირფიტებზე და სხვ. განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია პერსეპოლის გათხრებისას, 1933—1934 წლებში აღმოჩენილი არქივები, რომლებიც ელამურ და არამეულ ენებზე შესრულებულ ათასობით თიხის ფირფიტას შეიცავენ.

Vაქემენიდი მეფეების წარწერები, ჩვეულებრივ, სამენოვანია. წარწერის ტექსტი შესრულებულია ძველსპარსულ, ელამურ და ბაბილონურ (აქადურ) ენებზე. ეს ის ენებია, რომელთაც აქემენიდების სამეფოში

შომეტებული მნიშვნელობა ჰქონდათ. ნილოსის რაიონში აღმოჩენილ წარწერებს ემატება მეოთხე, ეგვიპტური ენაც.

ირანული საზოგადოების შესწავლისათვის საყურადღებო მონაცემებს იძლევა ავესტა, აგრეთვე ელეფანტინის პაპირუსები (არამეულ ენაზე დაწერილი დოკუმენტები, რომლებიც მოგვითხრობენ ეგვიპტეში აქემენიდების მიერ შექმნილი სამხედრო დასახლებების ცხოვრებაზე), ეგვიპტეში აქემენიდი სატრაპის არშამას წერილები, ბაბილონური ქრონიკები, ბერძენი ავტორები (ჰეროდოტე, ქსენოფონტი, კტესიოსი, თუკიდიდე, ესქილე, პლატონი, დემოსთენე პოლიბიოსი, სტრაბონი, პლუტარქე, არიანე და სხვ.).

აქემენიდური ხანის ირანის ნივთიერი კულტურის ძეგლებიდან გადარჩა სასახლეების, მავზოლეუმებისა და სხვა არქიტექტურული ნაგებობების ნანგრევები პერსეპოლში, ფასარგადში, ეკბატანაში, სუზაში, ნაქშ-ი, რუსტემში და სხვაგან. გარდა ამისა, გადარჩენილია სკულპტურები და რელიეფები, ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული ჭურჭლები, ცილინდრული საბეჭდავები, მონეტები, სამკაული და ა. შ.

უნდა აღინიშნოს, რომ წყაროები თანაბრად არ ნაწილდება ირანის ისტორიის ყველა პერიოდის მიხედვით. ზოგიერთი პერიოდი შედარებით სრულადაა გაშუქებული, ზოგჯერ კიდევ თითქმის არაფერი გაგვაჩნია და ზოგადი სურათის წარმოდგენაც კი ძნელდება.

იმ დროს, როცა ხუზისტანში (ელამში) კლასობრივი საზოგადოება და სახელმწიფო ყალიბდებოდა, ირანის ზეგნის დანარჩენი რაიონები ჯერ კიდევ განაგრძობდნენ ცხოვრებას თემურ-გვაროვნული ორგანიზაციის პირობებში, თუმცა აქ უკვე შეინიშნება ქონებრივი უთანასწორობის გაძლიერება და მაღალგანვითარებული ხელოსნობის არსებობა.

ირანის ზეგანზე კლასობრივი საზოგადოების ისტორია ძვ. წ. III ათასწლეულის დამდეგიდან შეიძლება დავიწყოთ, როცა ელამში პირველი და ისტორიაში ერთ-ერთი უძველესი ადრეკლასობრივი საზოგადოება გაფორმდა. ირანის ტერიტორიაზე ძველადმოსავლური ხანის კლასობრივი საზოგადოების ისტორია შეიძლება სამ ძირითად საფეხურად დავყოთ: ელამური, მიდიური და სპარსული (აქემენიდური).

§ 3. მიდიის სამეფო

მიდიის ტერიტორია მოიცავდა სამ დიდ რაიონს: ე. წ. ატროპატენეს მიდიას, ქვემო მიდიას და პარეტაკენეს.

ატროპატენეს მიდიას ეკუთვნოდა მიწები არაქსის სამხრეთით ავრინ-დაღისა და ყარა-დაღის მთებამდე, ყარა-სუს დაბლობი, ურმიის

ტბის აუზი, მდ. ყიზილ-უზენის დინება, მდ. პატარა ზაბის ზემო წელის რაიონი, მდ. დიალის ზემო და შუა წელი და მდ. ქერხის ზემო დინების დაბლობები. ამ ტერიტორიაზე იყო გაშლილი ისტორიული ოლქები: სანგიბუთუ, ზამუა (ანუ ლულუ), მანა, ზიქირთუ, ფარსუა და მადაი, ან საკუთრივ მიდია, აგრეთვე ზოგიერთი სხვა.

ქვემო მიდიის ტერიტორია მოიცავდა ჰამადანის რაიონს (აქ იყო მიდიის სამეფოს დედაქალაქი ეკბატანა), ჰაუზ-ი სულთანის და დარიაი ნემკეს ტბების, ასევე მდინარეების — აბხარ-ჩაის, ყარა-სუს და კუმ-რუდის — აუზებს, აგრეთვე, დეშთ-ი ქებირის უდაბნოს ჩრდილოეთით განლაგებულ რაიონს. პარეტაკენე, რომელიც მშრალ ველს წარმოადგენდა, ელამისგან მთებით იყო გამოყოფილი, ხოლო პერსიდიდან — უდაბნოთი. იგი ეკბატანის მიდამოებსაც ებჯინებოდა. ძველი პარეტაკენეს ტერიტორიაზე მდებარეობს თანამედროვე ისპაჰანი.

გარდა ამ ძირითადი რაიონებისა, რომლებიც უშუალოდ მიდიის სამეფოს ტერიტორიას შეადგენენ, მიდიის სფეროს მიეკუთვნებოდა მომდებარე რაიონებიც, კერძოდ, კასპიის ზღვისპირა ოლქი, რომელიც მონადირე ტომებით იყო დასახლებული. მიდიასთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა ალბანეთსაც, რომელიც მისგან მდ. არაქსით იყო გამოყოფილი. პარეტაკენეს მეშვეობით მიდია უკავშირდება პერსიდას, რომელიც უძველეს ხანაში ელამელებით იყო დასახლებული.

ბუნებრივი პირობების სხვადასხვაობის გამო ატროპატენეს მიდია უფრო სწრაფად წინაურდებოდა, ვიდრე ქვემო მიდია, რაც გავლენას ახდენდა ამ ორი რაიონის შემდგომ განვითარებაზე.

წერილობითი წყაროების მიხედვით, ძვ. წ. II ათასწლეულში მიდიის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ შემონახული იყო მოსახლეობის ადინდელი ეთნიკური სიჭრელე, რაც თავს იჩენდა ნივთიერი კულტურის მრავალსახეობაშიც. მაგალითად, თუ თეფე-გიანის IV—II ფენები ახლოს არის ელამის კულტურასთან, გეოი-თეფე („D" და „C" ფენები) განცალკევებით დგას და მსგავსებას იჩენს ამიერკავკასიურ კულტურასთან. თავის მხრივ, თეფე-ჰისარის, თეფე-სიალკისა და თიურინგ-თეფეს შესაბამისი ფენები კავშირს ამჟღავნებენ შუა აზიის სინქრონულ კულტურასთან.

თანამედროვე ლურისტანი — ეს მთიანი ქვეყანა — დასახლებული იყო კასიტებით, რომლებიც, როგორც ფიქრობენ, ელამურის მონათესავე ენაზე ლაპარაკობდნენ და მთის ტიპის მესაქონლეობას მისდევდნენ.

ძვ. წ. I ათასწლეულის დამდეგს მიდიის ეთნიკური სახე მეტ-ნაკლებად გაფორმებულია. ფიქრობენ, რომ მას დიდი ცვლილება არ განუცდია ძვ. წ. III ათასწლეულიდან ძვ. წ. I ათასწლეულის დამდეგამდე.

ძვ. წ. III ათასწლეულიდან I ათასწლეულის დამდეგამდე მიდიის მოსახლეობის შემადგენლობა შემდეგი სახით წარმოგვიდგება: ტერიტორია ურმიის ტბიდან მდ. დიალის სათავეებამდე უკავია გუთიურ-ლულუბეურ მოსახლეობას. ამ რაიონის დასავლეთი ზოლი, როგორც ფიქრობენ, ლულუბეელებს უჭირავთ, ხოლო აღმოსავლეთი—გუთიებს. მიდიის სამხრეთ-დასავლეთი რაიონები ეჭირა კასიტურ ეთნიკურ ელემენტს. ესაა მდ. დიალის და მდ. ქერხის ზემო წელი. კასიტურ-ელამური მოდგმისა უნდა ყოფილიყო კასპიისპირა ზოლის ის მოსახლეობაც, რომელსაც შემდეგი ხანის ავტორები კასპიებს უწოდებენ.

ძვ. წ. I ათასწლეულის დამდეგს მიდიის აღმოსავლეთ ზოლში და მის მეზობლად თავს იჩენს მანამდე ამ რაიონისათვის სრულებით უცნობი ირანული ეთნიკური ელემენტი, რომელიც აქ, როგორც ფიქრობენ, შუა აზიიდან უნდა იყოს მოსული. ძვ. წ. IX—VII სს. მიდიაში, კერძოდ, მის აღმოსავლეთ ნაწილში, თეირანისა და ისპაჰანის რაიონებში შეინიშნება ირანულენოვანი ეთნიკური ელემენტის მოძრაობა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. მიდიური ეთნიკური ელემენტიც შუა აზიიდანაა შემოსული.

ძვ. წ. II და I ათასწლეულთა მიჯნაზე დასავლეთ. ანუ ატროპატენეს მიდიაში უკვე ისახებოდა კლასობრივი ურთიერთობა, ადრეკლასობრივი საზოგადოება. მართალია, მთის ზოლისა და ზოგიერთი ჩაკეტილი ხეობების მოსახლეობა ჯერ კიდევ განვითარების თემურ-გვაროვნულ საფეხურზე რჩებოდა, მაგრამ ბარის მეურნეობრივად დაწინაურებული რაიონები მტკიცედ დაადგნენ კლასობრივი საზოგადოების შექმნის გზას.

სოციალური განვითარების ტემპებისა და დონის მიხედვით დასავლეთ მიდიას აშკარად ჩამორჩებოდა აღმოსავლეთი მიდია, რომელიც ამ დროს პირველყოფილ-თემური წყობილების სტადიაზე იყო.

ძვ. წ. I ათასწლეულის დამდეგს დასავლეთ მიდიის ტერიტორიაზე გაფორმებას იწყებს წვრილ-წვრილი პოლიტიკური წარმონაქმნები, რომელთა შორის წამყვანი ადგილი ზ ა მ უ ა ს ო ლ ქ ი ს „სამეფოებს“ ეკავათ. ოდნავ მოგვიანებით მათ შორის წინაურდება მ ა ნ ა ს ს ა მ ე ფ ო, რომლის ცენტრი ურმიის ტბის სამხრეთით, ირანის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარეობდა. მეორე მხრივ, ყალიბდება მიდიის ტომთა კავშირი, რომელსაც სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ოლქები უჭირავს.

ძვ წ. IX—VIII საუკუნეებიდან მანას სამეფო აქტიურად ჩაება ასურეთისა და ურარტუს წინააღმდეგ ბრძოლაში.

მანას ქვეყანა შემდგომში, კერძოდ, ძვ. წ. VI ს. მიდიის სამეფოს კულტურულ და ეკონომიკურ ბირთვად იქცა, მაგრამ ძვ. წ. IX ს. იგი მიდიის ტერიტორიაზე მიდიის ტომთა კავშირისგან დაძოუკიდებ-

ლად არსებობდა, როგორც ცალკე პოლიტიკური წარმონაქმნი. მიდიის ტომთა კავშირში მიდიის ყველა ტომი არ შედიოდა და ასურული წყაროები ყველას არც იხსენიებენ „მიდიელებად („მადაი").

ძვ. წ. IX—VII საუკუნეები მიდიის ტომთა კავშირის არსებობის, მიდიის სახელმწიფოებრიობის შექმნისათვის მზადების პერიოდია.

მანას სამეფოს არ გააჩნდა იმდენი ძალა, რომ მოეხდინა სამხრეთ-აღმოსავლეთ მიდიის ტომთა ერთ სამეფოში გაერთიანება, რაც შეაძლებინებდა მას წინააღმდეგობა გაეწია ასურეთის და ურარტუს აგრესიისათვის, საბოლოოდ აელაგმა მათი თარეში. იმ დროს, როცა მიდიის ტომთა კავშირი აყვავებას განიცდიდა, მანა ძალიან მძიმე პირობებში იყო. 788 წლიდან 745 წლამდე იგი აწარმოებდა გამათავისუფლებელ ბრძოლებს ურარტუს წინააღმდეგ. 745 წ. იწყება ასურეთის ახალი შეტევები ურარტუზე. ამ ომმა საშუალება მისცა მანას სამეფოს წელში გასწორებულიყო. გაძლიერებული ასურეთი საფრთხეს უქმნიდა მიდიის ტომთა კავშირსაც. გააფთრებული ბრძოლები ასურეთსა და მიდიის ტომთა კავშირს შორის 744 წლიდან 678 წლამდე გრძელდებოდა.

744 წ. ასურეთის მეფე ტიგლათფილესერ III, როგორც აღნიშნული იყო, შეიჭრა მიდიის ტერიტორიაზე და დალაშქრა იგი. ამ ლაშქრობის შედეგად მიდიის დაპყრობილ ტერიტორიაზე შეიქმნა ორი ასურული ოლქი — ფარსუა და ბიტ-ხამბანი, რომლებიც ასურეთის შემადგენლობაში ასურეთის სამეფოს დაცემამდე დარჩნენ და ძლიერი ასირიზაცია განიცადეს.

737 წ. ტიგლათფილესერ III განმეორებით ლაშქრავს მიდიას, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ მისი სარდალი აშურდანი თარეშობს ამ ქვეყანაში.

მიდიის დალაშქვრას განაგრძობს სარგონ II-ც. მის დროს ასურული ოლქების რიცხვი მიდიის ტერიტორიაზე ხუთამდე იზრდება (ხამუა, ფარსუა, ბიტ-ხამბანი, ქიშესუ და ხარხარი). VII ს. დამდეგს მიდიის ტერიტორიაზე მოწყობილი ასურული პროვინციების რიცხვი უკვე ხუთზე მეტია, მაგრამ ეს ზრდა გამოწვეული ჩანს უკვე არსებული პროვინციების შემდგომი დანაწილებით.

713 და 706 წლებში სარგონ II კვლავ ლაშქრავს ცენტრალურ მიდიას, ხოლო 702 წ. სარგონ II-ის ძე სინაქერიბი; უკანასკნელი ამით იწყებს ელამის წინააღმდეგ ხანგრძლივი ომისთვის მზადებას. ასურეთი ცდილობს არ დაუშვას ელამის გავლენა მიდიაზე და დაიმარტოხელოს ურარტუ, რათა ეს მოკავშირე ქვეყნები ცალ-ცალკე დაამარცხოს.

* * *

ძვ. წ. VII ს. დამდეგს მდ. ყიზილ-უზენის დაბლობის ზემო ნაწილი და მისგან აღმოსავლეთით მდებარე მიწები დეშტ-ი ქეკირის უდაბნომდე ასურულ წყაროებში „მიდიელების ქვეყნად" („მადაი") იწოდებოდა. ამ დროს ამ რაიონის ერთი ნაწილი ასურეთს ეჭირა, ხოლო მეორე — მ ი დ ი ი ს ტ ო მ თ ა კ ა ვ შ ი რ ს. ამ ოლქის დასავლეთ ზოლში სახლობდნენ გუთიურ-ლულუბეური ეთნიკური კოლექტივები, ხოლო აღმოსავლეთი ზოლი უკვე დაკავებული ჰქონდათ ირანულენოვან ეთნიკურ კოლექტივებს. მიდიის სამხრეთი საზღვრების რაიონში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ელამურ-კასიტური მოდგმის მოსახლეობა.

ასურელების ბატონობის შედეგად იცვლებოდა მიდიის უკიდურესი დასავლეთ ზოლის ეთნიკური სახე. აქ სახლდებოდნენ ეთნიკური ჯგუფები სირიიდან, პალესტინიდან, ბაბილონიდან და სხვა ქვეყნებიდან. ამ მოსახლეობისათვის საერთო უნდა ყოფილიყო არამეული ენა. ეს ის რაიონია, რომელსაც ანტიკური ავტორები სირო-მიდიას ეძახიან.

ძვ. წ. VII ს. დამდეგს მიდიის ტერიტორია თავისი სოციალურ-ეკონომიკური სახითაც წარმოადგენდა ჭრელ სურათს. აქ ეკონომიკურად დაწინაურებული რაიონების გვერდით, რომელთაც მაღალგანვითარებული სამიწათმოქმედო კულტურა ჰქონდათ და კლასობრიობის სტადიაზე იყვნენ ასული (მანა და ზოგიერთი სხვა რაიონი), წარმოდგენილი იყო ბინადარი თუ ნახევრად მომთაბარე მეჯოგეობის რაიონებიც, აგრეთვე მთის ზოლი (მთის კასიტები, ლურები და ა. შ.), რომლებიც ჯერ კიდევ არ ასულიყვნენ კლასობრიობის საფეხურზე.

* * *

ძვ. წ. VIII—VII სს. მიჯნაზე წინა აზიას კიმერიელები და სკვითები შეესივნენ. ისინი აქ ჩრდილო შავიზღვისპირეთიდან მოვიდნენ. კიმერიელებისა და სკვითების შემოსევებმა საგრძნობლად შეცვალა წინა აზიაში პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობა. ჩქარა ისინი ასურეთისა და ურარტუს, აგრეთვე სხვა პოლიტიკური გაერთიანებების ლაშქარშიც გამოჩნდნენ როგორც დაქირავებულები. კიმერიელები ამავე დროს განაგრძობდნენ მოქმედებას დამოუკიდებელ ძალადაც.

VII ს. შუა ხანებში მიდიაში აღმოსავლეთ ამიერკავკასიის გზებით სკვითები შემოიჭრნენ. მათ დაამარცხეს მიდიელები და მანას სამეფოს დაუმეზობლდნენ, რომელიც ამ დროს საკმაოდ გაძლიერებული იყო.

ამ დროს მიდიის ტომთა კავშირის ტერიტორიაზე შემდეგი სურათი დასტურდება: ცენტრალური მიდიის მნიშვნელოვანი ნაწილი ასურეთის შემადგენლობაშია, მაგრამ ასურელების ბატონობის სფერო დაპყრობილ მიდიურ ოლქებში ძირითადად იმ ზოლით განისაზღვრებოდა, რომელიც ციხეების გარშემო იყო გაშლილი. მეტ-ნაკლებად მტკიცედ ეჭირათ ასურელებს ზამუა, ფარსუა და არაფხა, რომლებიც VIII ს. დამდეგს უცხო ეთნიკური ელემენტებით (გადმოსახლებულებით) იქნა დასახლებული.

ასურეთის მიერ დაპყრობილი ოლქების აღმოსავლეთით მდებარეობდა დამოუკიდებელი მიდიელი ტომების ტერიტორია, რომელსაც ტომთა ბელადები და სამოსახლოთა მამასახლისები განაგებდნენ. აქ ცხენების მოშენებას მისდევდნენ, მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ და თავისი ვანვითარებით საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ დასავლეთ მიდიის ოლქებს, რომელთა შორის ყველაზე დაწინაურებული იყო მანა.

ასურელებს ძლიერ უჭირდათ მიდიური ოლქების მორჩილებაში ყოლა და მათგან ხარკის აკრეფა. გაძლიერებული მანა ჯერ კიმერიელებთან, შემდეგ სკვითებთან კავშირში აძლიერებს დაწოლას ასურეთზე, რითაც ხელს უწყობს მიდიური პროვინციების გამათავისუფლებელ ბრძოლას. დაახლოებით 674 წლისათვის ასურეთი საბოლოოდ კარგავს მანას, როგორც მოხარკე ქვეყანას. მანას დაკარგვამ ასურეთის არმიის წინაშე დააყენა საკითხი ცხენებით მომარაგების შესახებ, რაც იწვევს მათი ექსპანსიის გაძლიერებას აღმოსავლეთ მიდიაში, სადაც მეცხენეობა მაღალგანვითარებული სამეურნეო დარგი იყო. სკვითების შემოსევამ ცენტრალურ მიდიაში საფრთხის ქვეშ დააყენა ასურელების ბატონობა არა მარტო აღმოსავლეთ მიდიაში, არამედ ადრე დაპყრობილ პროვინციებშიც.

ამგვარად, VII ს. 70-იანი წლების მიწურულს ცენტრალურ მიდიაში გამოჩენილი სკვითები წარმოადგენენ მიდიურ ტომთა კავშირის ბუნებრივ მოკავშირეებს. ასე, რომ, სკვითებთან კავშირში, ერთი მხრივ, მანას სამეფო, მეორე მხრივ, მიდიურ ტომთა კავშირი ემზადებოდა ასურეთის ბატონობისა და მისი მოძალების წინააღმდეგ გამოსასვლელად; და მართლაც, 673 წ. დაიწყო ცნობილი აჯანყება, რომელიც ერთ-ერთი სატომო ბელადის ქაშტარიტის აჯანყების სახელითაა ცნობილი. ამ აჯანყების დროს მიდიის ტომთა კავშირი გამოდის, ერთი მხრივ, მანასთან, მეორე მხრივ — სკვითებთან კავშირში. აჯანყება სწრაფად გავრცელდა და ასურული პროვინციების უდიდეს ნაწილს მოედო. 672 წ. ასურელები ცდილობენ დაიწყონ მოლაპარაკება ქაშტარიტთან, როგორც მიდიის ტომთა კავშირის მთავარსარდალთან. ამავე დროს ცდილობენ ერთმანეთს წაკიდონ მიდია და მისი

მოკავშირეები. მართლაც, ასარქადონი ახერხებს სკვითების მეფის, პარტატუას გადაბირებას, ცოლად აძლევს მას თავის ქალიშვილს და ამით საგრძნობლად ასუსტებს მიდიის ტომთა აჯანყების ძალას.

პარტატუას ღალატის გამო მიდიელთა აჯანყება სრული წარმატებით ვერ დაგვირგვინდა, მაგრამ 672 და 669 წლებს შორის უკვე იხსენიება „მიდიის სამეფო", როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული. ამ დროისათვის ერთიანი მიდიის სამეფო ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული — დამოუკიდებლად განაგრძობდნენ არსებობას მანა და „სკვითების სამეფო".

ასურეთის მიერ გადაბირებულ სკვითებთან ბრძოლაში 653/52 წწ. დაიღუპა ქაშტარიტი (ჰეროდოტე მას იხსენიებს როგორც ფ რ ა ო რ ტ ი ს). მიდიელების ბრძოლა ასურელების წინააღმდეგ მარცხით მთავრდება. მიდიაში სკვითების ბატონობა მყარდება, რაც 28 წელი გრძელდება. ნას არ ჰქონია მიზნად მიდიის სახელმწიფოებრიობის განადგურება და ნოსპობა. სკვითები ერთხანს დიდი ხარკის აღებით კმაყოფილდებოდნენ, მაგრამ მიდიელებმა მოახერხეს მათი დამარცხება და სკვითები მიდიის სამეფოს შემადგენლობაში შევიდნენ.

ძვ. წ. VII ს. 20-იან წლებში სკვითების ბატონობისაგან განთავისუფლებული მიდიის სამეფო კვლავ მოგვეელინა როგორც მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სამხედრო ძალა. ამის შემდეგ მიდიის სამეფოს გამგებელი კიაქსარი იოლად ახერხებს წვრილი სამეფოების შემოერთებას და ქმნის მიდიის უძლიერეს სამეფოს, რომელიც ჩქარა შიშის ზარს დასცემს აღმოსავლეთს. კიაქსარი ქმნის პირველ რეგულარულ მიდიურ არმიას, რომელიც დაყოფილია სტრატეგიულ და ტაქტიკურ ერთეულებად. ეს სამხედრო ძალა უკვე აღარ ჩამოუვარდება ასურულ არმიას.

რეგულარული არმიის შექმნა წარმოადგენდა მიდიის სახელმწიფოს ჩამოყალიბების უკანასკნელ, დამამთავრებელ ნაბიჯს.

625—615 წლებს შორის კიაქსარი არა მარტო ამარცხებს სკვითებს და მიდიიდან ერეკება მათ, არამედ აერთიანებს ირანის მთელ ზეგანს. 615 წლის ახლო ხანებში კიაქსარის არმიაში ვხვდებით უცხოელებსაც. ამ დროს მიდია სავსებით მზად იყო მხარი გაეწიოებინა ასურეთისათვის, რომლის დაღუპვასაც მთელი ახლო აღმოსავლეთის ხალხები ნატრობდნენ. ამას ემატებოდა შინაბრძოლები თვით ასურულ არისტოკრატიულ წრეში, კერძოდ, დაპირისპირება ვაჭარ-ქურუმთა და სამხედრო დაჯგუფებებისა. გარდა ამისა, თვით ასურული არმია ძირითადად უცხო კონტინგენტისაგან იყო შედგენილი, ხოლო ასურულ სამხედრო ხელოვნებას წარმატებით დაეუფლნენ ახლო აღმოსავლეთის ის ხალხები, რომლებიც ნატრობდნენ ასურეთის განადგურებას და გამალებითაც ემზადებოდნენ ამისათვის.

სწორედ ამ დროს იწყება ბაბილონის აჯანყება ასურეთის წინააღმდეგ. ბაბილონის ბუნებრივი მოკავშირე შეიძლებოდა ყოფილიყო ელამი, მაგრამ იგი უკვე აღარ არსებობდა. ამიტომ ბაბილონის მეფე ნაბუფალასარი უთანხმდება კიაქსარს, როგორც ასურეთის ბუნებრივ მოწინააღმდეგეს და მისი დამარცხების მოსურნეს.

ბაბილონ-მიდიასთან ბრძოლაში ასურეთი მანას სამეფოს უკავშირდება. ფიქრობენ, რომ მიდიის შიშით ასურეთის მოკავშირედ გამოდიან ურარტუ და ეგვიპტე. ასურეთის მიერ ასეთი ზომების მიღება მიუთითებდა იმაზე, რომ საგარეო საფრთხეს დაემატა ასურეთის ექსპლუატირებული მასების გამოსვლა თავისი მჩაგვრელების — ასურული არისტოკრატიული ზედაფენების, კერძოდ, ბიუროკრატიულ-პარაზიტული სამხედრო აპარატის წინააღმდეგ.

ძვ. წ. 616 წ. აგვისტოს დასაწყისში ნაბუფალასარი ამარცხებს ასურეთისა და მანას სამეფოს გაერთიანებულ ლაშქარს და ატყვევებს მის სარდლებს. 615 წ. გაზაფხულზე მოხდა ახალი ბრძოლა არაფხას პროვინციაში. აქაც ბაბილონელებმა ასურეთის ლაშქარი მდ. მცირე ზაბში გადააგდეს და ხელში ჩაიგდეს მათი აღალი. ასე რომ, 615 წლისათვის ასურეთისა და ბაბილონის საზღვარი ასურეთის ძველ დედაქალაქ ასურთან, მისგან ოდნავ სამხრეთით გადიოდა.

მანას სამეფოს ლაშქრის განადგურებას მოჰყვა მანას დაპყრობა მადიის მიერ, რაც ბაბილონ-ასურეთის ომში პირდაპირ ჩარევასაც ნიშნავდა. მიდია, მართალია, ბაბილონის მხარეზე გამოვიდა, მაგრამ ჩქარა წამყვანი როლი მის ხელში გადავიდა. ნაბუფალასარის მარცხი ასურის შტურმის დროს გზას უხსნიდა კიაქსარს ხელში ჩაეგდო ასურეთის წინააღმდეგ ბრძოლის სადავეები. 615 წ. იგი შედის არაფხას პროვინციაში, ხოლო 614 წ. ზაფხულში იერიშით იღებს ასურს — ასურეთის წმინდა ქალაქს, რომლის საფორტიფიკაციო სისტემები თავისი გრანდიოზულობით დღესაც ანცვიფრებენ ადამიანს. ასურელების მიერ საუკუნეების მანძილზე დასავლეთ აზიის ხალხების ძარცვით ნაგროვები სიმდიდრე, რომელიც ასურში იყო თავმოყრილი, ახლა მიდიელების ნადავლი აღმოჩნდა. სწორედ აქ, ასურის ნანგრევებზე, კიაქსარის ბანაკში, ნაბუფალასარი და კიაქსარი დებენ მეგობრობისა და მოკავშირეობის ხელშეკრულებას, რომელიც დინასტიური ქორწინებითაც იქნა განმტკიცებული.

613 წ. სულთმობრძავი ასურეთი ახერხებს ბაბილონელების წინააღმდეგ ააჯანყოს არამეელები და ამით ჩამოიცილოს ბაბილონის არმია, მაგრამ 612 წ. გადამწყვეტი ხანმოკლე დარტყმით მიდიელები იღებენ ნინევიას და ბოლოს უღებენ ასურეთს. აქ ბაბილონელები და მიდიელები უკვე შეთანხმებულად მოქმედებენ და ნინევიის აღებაშიც ორივე არმია მონაწილეობს. ასურელი დიდკაცობა გაულიტეს, ნინე-

ცია მოთხარეს, მისი სიმდიდრე ეკბატანაში გაგზავნეს, ხოლო ქალაქის რიგითი მცხოვრებნი სოფლებში გადაასახლეს.

ნაძარცვით დატვირთული მიდიური არმია 612 წ. კიაქსარის სარდლობით ნინევიიდან ეკბატანაში დაბრუნდა, ხოლო ნინევიის ნანგრევებზე დარჩენილი ნაბუფალასარი ასურეთის გარე ოლქის დასახლებებზე თარეშობდა. იგი 611—610 წლებშიც განაგრძობდა ასურეთის ცალკე ოლქების დამორჩილებას. 610 წ. ოქტომბერ — ნოემბერში ბაბილონელებს შეუერთდა მიდიის არმიაც. გაერთიანებული ლაშქარი ევრიშზე გადავიდა ხარანის წინააღმდეგ, განდევნა იქიდან ასურული არმიის ნაშთები და მისი მოკავშირე ეგვიპტელები, რომლებიც ახლა ევფრატის გაღმა გადავიდნენ და ქარხემიშს შეეფარნენ. ხარანი მიდიელების საკუთრებაში გადავიდა. 609 წ. ასურეთის მეფე ასურუბალიტი ეგვიპტის ფარაონ ნეხოსგან იღებს ძლიერ დამხმარე არმიას და აღყას არტყამს ხარანს, მაგრამ ჩქარა ბრძოლაში ებმება ნაბუფალასარის ძირითადი ძალები. ამ დროს ასურეთი ცდილობს დაუკავშირდეს ურარტუს, მაგრამ მიდიელებმა დაასწრეს, ურარტუს გადამწყვეტი დარტყმა მიაყენეს, ტუშფამდე მივიდნენ და ურარტუს სამეფოც დაიმორჩილეს. იმედგაცრუებული ასურელები ისევ ქარხემიშის კედლებს შეეფარნენ.

ამგვარად, მიდიის აქტიური მონაწილეობით დამთავრდა ასურეთის სახელმწიფოს განადგურება. 610—590 წლებს შორის მიდიის სამეფომ მოახერხა მანას, ურარტუს და სკვითების სამეფოს დამორჩილებაც. 593 წ. ეს სამეფოები, როცა მათ უკანასკნელად იხსენიებდა ძველაღმოსავლური წყარო, თვითმმართველი მიდიისგან დამოკიდებული ერთეულები არიან, მაგრამ შემდეგ ისინი ჩქარა წყვეტენ ნაბევრად დამოუკიდებელ არსებობასაც.

590—585 წლებში კიაქსარი ლაშქრავს მცირე აზიას, კერძოდ, ლიდიას, რომელიც წინდაუხედავად გამოექომაგა სკვითებს, რომლებიც კიაქსარს განუდგნენ და ლიდიაში გადავიდნენ. 585 წ. 28 მაისს, მზის სრული დაბნელების დღეს, მიდია-ლიდიის ომი ზავითა და დინასტიური დანათესავებით დამთავრდა. ჰალისი მიდია-ლიდიის საზღვრად იქცა. იმავე წელს მიდიის სამეფოს ალმაშენებელი კიაქსარი გარდაიცვალა, ხოლო ტახტი მისმა შვილმა ასტიაგმა დაიკავა (585—549 წწ.).

585—549 წლებს შორის მიდიას განაგებდა ასტიაგი, რომლის მეფობაზე წყაროები მეტად მცირე და ფრაგმენტულ ცნობებს შეიცავენ.

553 წ. ასტიაგის წინააღმდეგ აჯანყებას აწყობს სპარსეთის მეფე კიროსი, რომელიც მიდიაში შემავალ ერთ-ერთ დამოკიდებულ სამეფოს წარმოადგენდა. თავდაპირველად ასტიაგი ამარცხებს კიროსსა და სპარსელებს, ერეკება მათ სპარსეთის მეფეების დედაქალაქ ფასარგადის-

კენ. ფასარგადის კედლებთან 550 წ. დადგა გადამწყვეტი მომენტი, როცა სპარსელების მხარეზე გადავიდა მიდიელების მიერ დამორჩილებული ხალხებისგან გამოყვანილი ლაშქარი, მათ შორის ჰირკანები, პართელები და ზოგიერთი სარდალი, აგრეთვე, დიდკაცობის მოზრდილი ჯგუფი.

მიდია-სპარსეთის ომით ისარგებლა ბაბილონმა (ნაბონიდემ) და 553 წ. დაიკავა მიდიის კუთვნილი რიგი პროვინციები. მიდია თავდაპირველად მძიმე დამარცხებებს აყენებს სპარსელებს, მაგრამ მიდიის არისტოკრატიის ღალატი ბრძოლის სასწორს კიროსის მხარეს ხრის: 550 წ. იგი იკავებს ეკბატანას და ბოლოს უღებს მიდიის სამეფოს არსებობას. მიდია იქცევა სპარსეთის მოხარკე პროვინციად. კიროსმა მიდიაში მეფობა არ გააუქმა და თავისი თავი მიდიისა და სპარსეთის მეფედ გამოაცხადა. ამგვარად, ძვ. წ. 550—549 წწ. აქემენიდების სპარსული დინასტია ერთი გვირგვინის ქვეშ აერთიანებს მიდიასა და სპარსეთს, ქმნის ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ უძლიერეს სამეფოს, რომელმაც ალექსანდრე დიდის ლაშქრობამდე იარსება.

მიდიის საზოგადოება. მიდიის საზოგადოება სახელმწიფოებრიობის ხანაში ადრეკლასობრივი ტიპის საკმაოდ ჭრელ სოციალურ ორგანიზმს წარმოადგენდა. ამ საზოგადოების ძირითად ნაწილს შეადგენდა ე. წ. kāra, „მეომარი ერი", ანუ თავისუფალი შეიარაღებული მოსახლეობა.

ბისუტუნის წარწერა ასხვავებს კარას, რომელიც მეფისთანაა, იმ კარასგან, რომლებიც თემებში სხედან. პირველში აროფესიონალ მეომრებს და მოხელეებს ხედავენ, ხოლო მეორეში — რიგით მეთემეებს ანუ მიწათმოქმედ მეომრებს.

აქემენიდური ხანის წარწერები იხსენიებენ აგრეთვე მწარმოებელთა ერთ კატეგორიას — ქურტაშ-ს (kurtaš). იგი ზოგჯერ გაიგივებულია მანიია-სთან (maniya), რაც სპარსულში მონის აღმნიშვნელი სიტყვაა. ქურტაშების უმრავლესობა სამხედრო ტყვეებს, გაღარიბებულ მეთემეებსა და ხელოსნებს წარმოადგენდნენ. ისინი ძირითადად სამეფო მეურნეობაში იყვნენ დასაქმებული

ქურტაში ელამური სიტყვაა და შეესაბამება ირანულ გრდა-ს (grda), არამ. CRD. გრდა, ბოგვიანო მასალების მიხედვით, შეადგენდა ძირითად სამუშაო ძალას დიდკაცების მეურნეობაში. იგი ეთნიკური შემადგენლობით ჭრელი იყო და ამ კატეგორიის მწარმოებელს, ჩვეულებრივ, დაღი დაესმოდა. ამგვარად, ირანული დოკუმენტებით გრდა იგივეა, რაც პერსეპოლის არქივით ელამურენოვანი დოკუმენტების ქურტაში. გრდა-ქურტაშის ძირითადი ნაწილი სამხედრო

ტყვე-მონებისაგან შედგებოდა, თუმცა ამ კატეგორიაში შეიძლებოდა მოხვედრილიყვნენ როგორც თავისუფალი მეთემეები, რომლებიც შრომით ბეგარას იხდიდნენ, ისე პროფესიონალი ხელოსნებიც.

ფიქრობენ, რომ ძვ. წ. VIII—VII სს-ის ურარტუს, ძვ. წ. VII—VI სს-ის მიდიის სამეფოსა და ძვ. წ. V ს-ის აქემენიდურ ირანს თავისი მეურნეობისთვის სამუშაო ძალის მოპოვების დაახლოებით ერთნაირი წყაროები ჰქონდათ — დამორჩილებული ქვეყნების მოსახლეობის ერთი ნაწილი გამარჯვებული არმიის შემადგენლობაში შეჰყავდათ, მეორე ნაწილი მიჰყავდათ და მიწაზე ასახლებდნენ, როგორც სამეფო მონებს — დამოუკიდებელ მეურნეებს, ხოლო ნაწილიც ჩაირიცხებოდა სამეფო და დიდკაცობის მეურნეობის ფონდში. თუმცა ისინი დასაქმებული იყვნენ მშენებლობაში, ხელოსნობაში, მებაღეობაში, მეცხოველეობაში და ხშირად დამოუკიდებლადაც აწარმოებდნენ მეურნეობას, მაინც განიხილებოდნენ როგორც არათავისუფალნი და უპირისპირდებოდნენ მიდიურ ელემენტს.

ჩვენ შევეხეთ მიდია-სპარსეთის თავისუფალი მოსახლეობის აღმნიშვნელ სახელს „კ ა რ ა“, რომელიც მთელ თავისუფალ მოსახლეობას აღნიშნავდა და ფორმალურად მიითვლიდა როგორც არმიას და დიდკაცობას, ისე მთელ თავისუფალ ერს („წვრილ ერს“).

მიუხედავად იმისა, რომ მთელი თავისუფალი მოსახლეობა ერთიანი ტერმინით აღინიშნება, მიდია-სპარსეთის თავისუფალ მოსახლეობაში კარგადაა გამოკვეთილი ქონებრივი დიფერენციაციის სურათი. მიდიაში, მაგალითად, არსებობდა ტრადიცია, რომ ღარიბს შეეძლო შეფარებოდა მდიდარს და ამგვარად დაახლოებით მონის მდგომარეობაში აღმოჩენილიყო, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მას შეეძლო ყოველთვის წასულიყო მფარველისაგან, თუ რითიმე უკმაყოფილო იქნებოდა. გარდა ამისა, თავისუფალი მეთემე, მიდიელი ან სპარსელი მიწის ნაკვეთის დაკარგვასთან ერთად კარგავდა თემის წევრობას და თემის მფარველობას, რაც მას მძიმე მდგომარეობაში აყენებდა. ექსპლუატაციის ზემოაღწერილი ფორმა საკმაოდ არქაულია და დამახასიათებელია ადრეკლასობრივი საზოგადოების ძალიან ადრეული საფეხურისათვის. შემდგომში, ნახევრადპატრიარქალური სახის ექსპლუატაციის ეს ფორმა იცვლება ექსპლუატაციის უფრო გაშიშვლებული ფორმებით.

მიდიის სამეფო თავისი ძლიერებისა და ერთიანობის ხანაში მოიცავდა როგორც საკუთრივ მიდიას, ისე ნახევრად დამოუკიდებელ თუ დამოკიდებულ მანას სამეფოს, სკვითების სამეფოს, პერსიდას, ურარტუს, ასურეთის ნაწილს, დრანგიანას, პართიას, ჰირკანიას და ა. შ. მიდიის სამეფო დაყოფილი იყო ოლქებად, რომელთაც სატრაპები („ხშათრაპან“) განაგებდნენ. ისინი უშუალოდ ჰეფეს ემორჩილებოდნენ.

მიდიელ სატრაპებს, როგორც ფიქრობენ, შუალედი მდგომარეობა ეკავათ ასურელ ოლქის უფროსებსა და აქემენიდ სატრაპებს შორის. მიდიური სატრაპია უფრო მსხვილი ადმინისტრაციული ერთეული იყო, ვიდრე ასურული ოლქი. ამიტომაც მიდიელი სატრაპები შეიძლებოდა უფრო ძლიერი და დამოუკიდებელი გამხდარიყვნენ, ვიდრე ასურული ოლქის უფროსი. სატრაპების გვერდით მიდიის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. ცალკეული სამეფოებიც. ძველებრაული წყაროები ლაპარაკობენ მიდიის მეფეებზე და არა მეფეზე. ნაბონიდეს ბაბილონურ წარწერაშიც იხსენიება მიდიის მეფე და მისი მოადგილე მეფეები. მიდიელი სატრაპები, როგორც ფიქრობენ, განაგებდნენ თავიანთი ოლქების ადმინისტრაციას, ფინანსებს, გადასახადების აკრეფას, შრომისა და სამხედრო ბეგარის საქმეებს და ა. შ.

* * *

ჩვენი ცოდნა მიდიის სამეფოს კულტურისა და რელიგიის შესახებ მეტად განსაზღვრული და ფრაგმენტულია. სხვადასხვა ხანითის მონაცემების მიხედვით შესაძლებელი ხდება მიდიელთა დასახლების ტიპის, საცხოვრებელი სახლის, ჩაცმულობის, შეირაღების და ცხოვრების სხვა მხარეების მეტ-ნაკლები სისრულით წარმოდგენა. ხელოსნობის დარგებიდან დაწინაურებული ჩანს რკინისა და ბრინჯაოს მეტალურგია, ლითონისა და ქვის დამუშავება, მეთუნეობა, ფეიქრობა და ა. შ.

ფიქრობენ, რომ ძველსპარსული აქემენიდური ლურსმული დამწერლობა თავისი წარმოშობით მიდიური დამწერლობაა.

თითქმის არაფერი ვიცით უშუალოდ მიდიურ მწერლობაზე, ხელოვნებაზე და კულტურის სხვა მხარეებზე. ბევრი არაფერი ვიცით რელიგიასა და კულტებზეც. ასე რომ, მიდიის ისტორიის ის პერიოდი, რომელიც კლასობრივი საზოგადოების ჩასახვის და სახელმწიფოებრიობის წარმოშობის ხანას ეკუთვნის, წყაროებით მეტად სუსტადაა გაშუქებული.

§ 4. აქემენიდური ირანი

როგორც აღვნიშნეთ, მიდიის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა მისგან დამოკიდებული პერსიდა, რომელსაც ძვ. წ. VII საუკუნიდან აქემენიანთა სამეფო გვარი განაგებდა. ამ დინასტიამ სახელი მიიღო მისი დამაარსებლის აქემენისაგან. აქემენისა და მისი შვილის ტეისპას შემდეგ აქემენიდების ორი შტო წარმოიქმნა: პირველ შტოს

ეკუთვნოდა კიროს I, რომელიც პარსუმაშს განაგებდა. მან 639 წ. ასურეთის მეფეს ასურბანიფალს მძევლად მისცა თავისი შვილი არუკუ. ამავე შტოს ეკუთვნოდა აგრეთვე კამბის I, რომელიც აქემენიდური სახელმწიფოს ფუძემდებლის კიროს II-ის მამა იყო. როგორც ჰეროდოტე წერს, კამბის I-ს ცოლად ჰყავდა მიდიის მეფის ასტიაგის ქალი მანდანე.

აქემენიდების მეორე შტო შექმნა ტეისპას მეორე შვილმა არიარამნმა. მას აგრძელებს მისი შვილი არსამი და შვილიშვილი ჰისტასპი. უკანასკნელის ვაჟი დარიოს I (ძვ. წ. 522—486 წწ.) განსაკუთრებულ ადგილს იკავებს აქემენიდური დინასტიის წარმომადგენლებს შორის.

პერსიდის საზოგადოება თავდაპირველად ისეთივე აღნაგობისა იყო, როგორისაც მიდიის საზოგადოება. ერთ-ერთი ძველსპარსული წარწერის მიხედვით, სპარსელები ფიქრობდნენ, რომ მათ და მიდიელებს ერთი ენა აქვთ. თანამედროვე ლინგვისტები ადასტურებენ, რომ თუმცა სპარსული და მიდიური ენები განსხვავდებიან, მაგრამ ძალიან ახლოს დგანან ერთმანეთთან.

პერსიდა მთაგორიანი ქვეყანაა, სადაც მიწათმოქმედება შესაძლებელია მხოლოდ განსაზღვრულ რაიონებში. ჩრდილო-დასავლეთი პერსიდა გაშლილია ცენტრალური ირანის მშრალ სტეპებზე, სადაც საგარტიები მომთაბარეობდნენ. ამ ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთი მარდებს ეჭირათ. მართალია, სპარსეთის ყურის სანაპირო თავისი მშრალი ჰავის გამო ბინადარი ცხოვრებისათვის ნაკლებ გამოსადეგი იყო, მაგრამ ამ გზით პერსიდა მაღალგანვითარებულ ელამს (სუზიანას) უკავშირდებოდა, რომლისგანაც სხვა მხრივ მაღალი მთებით იყო გამოყოფილი.

უძველეს დროში პერსიდა ელამური კულტურის წრეს მიეკუთვნებოდა. აქ, სპარსეთის ყურის სანაპიროზე, იდგა უძველესი ელამური ქალაქი ლიიანი. ფიქრობენ, რომ პერსიდის ტერიტორიაზე იყო უძველესი ელამური ოლქი ანშანი, რომელიც წერილობით წყაროებში III ათასწლეულშივე იხსენიება. ელამის მმართველები თავის თავს, ჩვეულებრივ, უწოდებდნენ „სუზისა და ანშანის მეფეებს". ძვ. წ. VII ს. ანშანად იწოდებოდა ელამისგან გამოყოფილი ოლქი. 691 წ. ხალულეს ბრძოლაში, რომელიც ასურეთსა და ელამს შორის მოხდა, ელამის არმიის მხარეზე პარსუმაშის (პერსიდის) და ელიფის არმიებთან ერთად გამოდიოდა ანშანის ჯარებიც.

ჯერ კიდევ არ არის დადგენილი, თუ როდის გამოჩნდნენ პერსიდის ტერიტორიაზე სპარსელი ირანელები. კიროს II თავის წარწერაში, რომელიც ბაბილონურად არის დაწერილი, თავის წინაპ-

რებს — კამბის I-ს, კიროს I-სა და ტვისპას — „ანშანის მეფეებად“ იხსენიებს.

თვით სახელწოდება სპარსეთი, პერსია, პერსიდა უკავშირდება მიდიურ-ირანულ სიტყვას *pars —, *parsav-ს, რომელიც განაპირას, გვერდს, გარე მხარეს აღნიშნავდა. მართლაც, ირანის სამი დიდი ოლქი, კერძოდ. პერსიდა, პარსუა და პართია, მიდიის მიმართ წარმოადგენდნენ განაპირა მხარეებს, განაპირა ქვეყნებს: მიდიის სამხრეთ პერიფერიაზე პერსიდა იყო, დასავლეთზე — პარსუა, აღმოსავლეთზე — პართია, ხოლო ჩრდილოეთით, სხვა ტომების ჯგუფში — პარსიები.

მიდიელებთან შედარებით სპარსელები განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე იდგნენ. მიდიური ხანის პერსიდაში ჯერ კიდევ არ იყო ქალაქები. სამეფო რეზიდენციები — ფასარგადი და პერსეპოლი — არ წარმოადგენდნენ ქალაქებს ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ძვ. წ. VI ს. დამდეგს სპარსელებში ჯერ კიდევ დაცული იყო გვაროვნული წყობის ნაშთები. გვარი (თაუჰმა) და საგვარეულო თემი (ვისი) მთელი საზოგადოებრივი ორგანიზაციის საფუძველს წარადგენდნენ. ფასარგადების ტომს მიეკუთვნებოდა აქემენიდების სამეფო გვარი, რომლის ხელისუფლება თავდაპირველად ფასარგადებზე, მარათიების და მასპიების ტომებზე ვრცელდებოდა და მემკვიდრეობით გადადიოდა. სამეფო პრეროგატივი შეიძლებოდა გადასცემოდა სამეფო საგვარეულოს შვილს ან სიძეს. ქსერქსემდე (ძვ. წ. 485—465 წწ.) სპარსეთის მეფეები ხაზს უსვამდნენ, რომ ისინი აქემენიდების გვარიდან არიან. ეკუთვნიან „პარსას“ ტომს და წარმოშობით „არიებს“ მიეკუთვნებიან.

მიდიის სამეფოს ძლიერების ხანაში, კიაქსარისა და ასტიაგის დროს, აქემენიდები და მათი ქვეყანა (ოლქი) მიდიისგან იყო დამოკიდებული. პარსუმაშის (პერსიდის) სამეფო ანშანის დაყოფების შემდეგ ორად გაიყო, რომელშიც აქემენიდების ორი შტო მეფობდა. ასურეთთან ბრძოლების ხანაში სპარსელები, როგორც ფიქრობენ, მიდიელებს მიემხრნენ, რადგან ასურეთის ვანადგურება მათ ელამისკენ უხსნიდა გზას. რომელიც ძვ. წ. VI ს. პირველ ნახევარში, პერსიდის მსგავსად, მიდიისგან დამოკიდებული ქვეყანა იყო.

პერსიდის გაერთიანება, როგორც ფიქრობენ, ასტიაგის წინააღმდეგ კიროს II-ის აჯანყების პერიოდში მოხდა.

კიროს II პერსიდის მეფის კამბის I-ისა და ასტიაგის ქალის მანდანეს შვილი იყო. მაშასადამე, კიროსის მიერ ასტიაგის დამხობა უფრო დინასტიური ბრძოლის იერს ატარებდა, რომლის შედეგადაც ირანის ზეგანზე პოლიტიკური ჰეგემონობა მიდიელებისაგან სპარსელების ხელში გადავიდა. ამის გამოცაა, რომ ბერძნები, ეგვიპტელე-

ბი და ებრაელები ამ ამბების შემდეგაც კი სპარსეთის სამეფოს ხშირად მიდიის სამეფოდ იხსენიებენ.

ბაბილონური წყაროების მიხედვით, ბრძოლა მიდიის მეფე ასტიაგსა და კიროს II-ს შორის 553 წლიდან 550 წლამდე გაგრძელებულა და ასტიაგის დატყვევებით დამთავრებულა. კიროს II-მ ისარგებლა იმ წინააღმდეგობით, რომელიც მიდიის მეფის ხელისუფლებასა და მიდიის ახალ დიდკაცობას შორის, აგრეთვე, მეფესა და მიდიური კარას რიგით წევრებს შორის არსებობდა, დაეყრდნო სპარსელების არაკეთილგანწყობილ დამოკიდებულებასაც მიდიელთა ჰეგემონობის მიმართ და შეძლო ასტიაგის დამხობა, ტახტის მემკვიდრის მოკვლა და ორივე ტახტის გაერთიანება.

მიდია-სპარსეთის გაერთიანების შემდეგ კიროს II (ძვ. წ. 550—530 წწ.) აგრძელებდა კიაქსარის დაპყრობით პოლიტიკას, მაგრამ წინამორბედთაგან განსხვავებით იგი ეყრდნობოდა არა მარტო მიდიის ან მიდია-სპარსეთის, არამედ ახლო აღმოსავლეთის დაწინაურებული ქვეყნების, კერძოდ, ბაბილონის, ფინიკიის და სხვა მხარეების გაბატონებული კლასების გარკვეულ ჯგუფებს.

ლიდიის მეფე კროისოსმა, როცა გაიგო თავისი მოკავშირის ასტიაგის დამხობის ამბავი, გადაწყვიტა, რომ დადგა მისი სამეფო საზღვრების გაფართოების მომენტი. მან ასტიაგის დამხობისათვის სამაგიეროს მიზღვევის საბაბით გადალახა სასაზღვრო მდინარე ჰალისი. ძვ. წ. 546 წ. კაპადოკიაში პტერიასთან მომხდარი ბრძოლა უშედეგოდ დამთავრდა. ზამთრის დადგომასთან დაკავშირებით კროისოსი დედაქალაქ სარდში დაბრუნდა. აქ მან ზაფხულისათვის საომარ მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად მიიწვია თავისი მოკავშირეები — ბაბილონი, ეგვიპტე და სპარტა, მაგრამ კროისმა აღარ დააცალა, სარდის კედლებთან გაჩნდა და იმავე 546 წ. სარდი იერიშით აიღო. გამარჯვებულმა სპარსელებმა ლიდია პროვინციად გადააქციეს. ანტისპარსული აჯანყება, რომელიც ხაზინის გამგის პაქტიას მეთაურობით დაიწყო, სწრაფად იქნა დათრგუნვილი, რის შემდეგ ლიდიელებს იარაღის ტარებაც აეკრძალათ.

აქემენიდურ ირანს ლიდიისაგან მემკვიდრეობად ერგო ლიდიის სავაჭრო გზები, ინტერესები ბერძნული სამყაროსადმი, კავშირები ბერძნულ ვაჭრობასთან და ნაწილობრივ მტრული, ნაწილობრივ მეგობრული ურთიერთობა იონიის ქალაქებთან. ასე რომ, სპარსეთის სახელმწიფომ, ირანულმა სამყარომ პირი ეგეოსის სამყაროსკენ მიიბრუნა და იქ აქტიური პოლიტიკის გატარებისათვის მოემზადა.

პაქტიის აჯანყების დათრგუნვის შემდეგ კიროს II იპყრობს იონიის რიგ ქალაქს, იმორჩილებს ლიკიას (მცირე აზიის სამხრეთ სანაპი-

როზე) და კილიკიას. ამის შემდეგ მის წინაშე დგება უფრო სერიოზული ამოცანა — ბაბილონის დამორჩილება. საამისოდ იგი იწყებს საფუძვლიან მზადებას, რაც რამდენიმე წელი გაგრძელდა. 545—540 წლებს შორის კიროს II იპყრობს ირანის აღმოსავლეთ ოლქებს — დრანგიანას, არეიას, განდახარას, სატაგიდიას და არახოსიას (თანამედროვე ავღანეთის ტერიტორიაზე), რომელთა ერთი ნაწილი, შესაძლებელია, თავის დროზე, კიაქსარის მიერაც იყო დამორჩილებული. თავისი არმიის გაძლიერებისა და გაზრდის მიზნით კიროსმა ბრძანა, რომ ყოველ დაპყრობილ ოლქს (ქვეყანას) სპარსეთის არმიაში გაეგზავნა ჯარის შენაერთების გარკვეული რაოდენობა.

თვით ბაბილონის სავაჭრო-სავახშო და ქურუმთა წრეებში იზრდება უკმაყოფილება მეფე ნაბონიდის მმართველობით. თვით ბაბილონი სამხედრო თვალსაზრისით გაცილებით სუსტი იყო, ვიდრე სპარსეთი. ამას ზედ დაერთო ბაბილონის ზოგიერთ წრეში პროსპარსული ორიენტაციის გაძლიერებაც, რაც უკავშირდებოდა ბაბილონელი ვაჭრების ინტერესების გაფართოებას, მის გავრცელებას ახალ რაიონებზე.

კიროს II-მ კარგად შეაფასა შექმნილი ვითარება და 538 წ. თავისი უძლიერესი არმიებით ბაბილონისკენ დაიძრა. ვაჭრების, მევახშეებისა და ქურუმების პირდაპირი ხელშეწყობის პირობებში კიროსის არმიამ იოლად სძლია ბაბილონის ჯარებს და 538 წლის 14 ივლისს თითქმის უბრძოლველად აიღო ბაბილონი — შუამდინარეთის ეს ყველაზე ძლიერ გამაგრებული ქალაქი მთელ ძველაღმოსავლურ ხანაში. უშუალოდ ბაბილონზე იერიშის დაწყებამდე სპარსელებმა ნაწილობრივ დაიკავეს სირია, მესოპოტამია და ფინიკია.

კიროს II შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი იყო. იგი გრძნობდა, რომ მისი შემდგომი მეტოქე ეგვიპტე იქნებოდა, რომელზეც გამარჯვების მოსაპოვებლად საკმარისი არ იქნებოდა მარტო ირანელების მხარდაჭერა. (ამიტომ იგი ცდილობს დასაყრდენი შექმნას ახალდამორჩილებულ ქვეყნებში. ჯერ ერთი, იგი იღებს ბაბილონის მეფისა და მეფეთმეფის ტიტულს,(რითაც ხაზს უსვამს, რომ იგი ბაბილონური პოლიტიკის გამგრძელებელია. აშენებს ახალ ტაძრებს და გარკვეულ პრივილეგიებს ანიჭებს ქურუმებს, ვაჭრებსა და მევახშეებს, ყველა იმათ, ვინც ბრძოლაში მის მხარეზე გამოდიოდა.) ამასთან, იგი ნებას აძლევს იუდეველ ლტოლვილებს სამშობლოში დაბრუნდნენ, ბრძანებს აღადგინონ იერუსალიმის ტაძარი, ხოლო თვით იერუსალიმს იგი თვითმმართველ სატაძრო ქალაქად აქცევს, რომლის მსგავსი ადრევე არსებობდა ბაბილონის სამეფოში (ქ. ბაბილონი, სიფარი, ნიფური). ამით კიროს II-ს სურს შექმნას საიმედო ფორპოსტი ეგვიპტის სამეფოს წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამრიგად, კიროსმა შექმნა უზარმაზარი, თუმცა საკმაოდ სუსტად შეკავშირებული იმპერია, რომლის ცალკეული ნაწილები განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იდგა. თვით სპარსეთი და მიდიის დიდი ნაწილი გაცილებით სუსტად იყო განვითარებული, ვიდრე ბაბილონი, ფინიკია და სირია.

კიროსი პრივილეგიებს ანიჭებდა არმიაში და სახელმწიფო აპარატში მომსახურე რიგით სპარსელებს — ათავისუფლებდა გადასახადებისა და საზოგადოებრივი სამუშაოებისაგან. ამიტომ ისინი არასდროს გამოსულან მეფეების წინააღმდეგ. სპარსელები და ნაწილობრივ მიდიელები დაინტერესებული იყვნენ დაპყრობითი ომებით, რაც მათ საშუალებას აძლევდა ეცხოვრათ დამორჩილებული ხალხების ექსპლუატაციის ხარჯზე და გადაეწყვიტათ მრავალი საშინაო პრობლემა (წინააღმდეგობანი გაბატონებული კლასების შიგნით, ანტაგონიზმი გაბატონებულ ზედაფენებსა და რიგით თავისუფლებს შორის, საბუშაო ძალის საკითხი და ა. შ.). გარდა ამისა, იმის გამო, რომ სპარსული იმპერია და არმია საერთაშორისი სახეს იღებდა, იოლი ხდებოდა მშრომელი მასების მორჩილებაში ყოლა როგორც თვით ირანში, ისე მის გარეთ — დამორჩილებულ ქვეყნებში. ვინაიდან სპარსელების მოქმედება ობიექტურად მხარს უბამდა დაპყრობილი ქვეყნების გაბატონებული კლასების ინტერესებს, უკანასკნელნი გარკვეულ დრომდე, მხარს უჭერდნენ აქემენიდების საგარეო და საშინაო პოლიტიკას. თუ არა ეს მხარდაჭერა, აქემენიდები ვერ მოახერხებდნენ თითქმის მთელი ძველი აღმოსავლეთის დაპყრობას და ორი საუკუნის შანძილზე მორჩილებაში ყოლას.

მიუხედავად ამისა, ცალკეული ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების არათანაბრობა, სპარსული იმპერიის ექსპლუატატორული და პარაზიტული ხასიათი, ის გარემოება, რომ დამორჩილებული ქვეყნების მოსახლეობის ძირითადი მასა იარაღის გამოყენებით იყო დათრგუნვილი, აქემენიდურ იმპერიას არამყარ, სუსტ გაერთიანებად ხდიდა, რაც დაადასტურა მოვლენების შემდგომმა განვითარებამაც.

კიროსის საშინაო პოლიტიკა დიდად არ განსხვავდებოდა მიდიის მეფეების საშინაო პოლიტიკისაგან. ქვეყანას განაგებდნენ სატრაპები — მეფის ნაცვლები, რომლებიც ცალკეულ ქვეყნებს და „საბეფოებს“ გამგებლობდნენ. აქა-იქ გვხვდებოდა ადგილობრივი ავტონომიური ქალაქები (იერუსალიმი, მცირე აზიის ბერძნული ქალაქები, ფინიკიისა და ბაბილონის ზოგიერთი ქალაქი და ა. შ.), დამოკიდებული სამეფოები (მაგ., კილიკია) და ნახევრად დამოუკიდებელი ტომები (კასპიისა და შავი ზღვის სანაპიროებზე, ირანის მთიანეთში და ა შ.).

ბაბილონი, აგრეთვე ელამი და ლიდია ითვლებოდნენ „სამეფოებად“ „ქვეყნების სამეფოს“ შემადგენლობაში („ქვეყნების სამეფოს“ უწოდებდა კიროსი მის მიერ შექმნილ იმპერიას).

თუკი ბაბილონის დაპყრობამ კიროს II ხმელთაშუაზღვისპირეთის პოლიტიკაში გახვია და მის წინაშე ეგვიპტის დაპყრობის აუცილებლობის საკითხი დასვა, თვით ირანში მტკიცე ბატონობისთვის მას აუცილებლად ესაჭიროებოდა შუა აზიის, კერძოდ, ბაქტრიის, სრულად დამორჩილება, სადაც ძვ. წ. VII—VI სს. უკვე იქმნებოდა კლასობრივი საზოგადოება. ბაქტრია ძველაღმოსავლურ ხანაში ითვლებოდა აღმოსავლეთის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ნაყოფიერ ქვეყნად. ირანის საზღვრებში აქემენიდების ბატონობა გაპირობებული იყო იმით, თუ როგორ წარიმართებოდა ბრძოლა დაახლოებით თანაბარი ძალის მქონე და განვითარების დაახლოებით ერთნაირ დონეზე მდგომ სამ საზოგადოებას შორის. ეს იყო მიდიის, სპარსეთისა და ბაქტრიის საზოგადოებები.

მართალია, არ არის პირდაპირი ცნობები კიროს II-ის მიერ ბაქტრიის, სოგდიანისა და ხორეზმის დამორჩილების შესახებ. მაგრამ მისი მემკვიდრის კამბის I-ის დროს ეს ოლქები აქემენიდური ირანის შემადგენლობაშია. მეორე მხრივ, ამ რაიონების სრულ მორჩილებაში ყოლა მხოლოდ მანინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ მოხდებოდა შუა აზიის ჩომთაბარეების — სკვითების, მასაგეტებისა და სხვათა — ნეიტრალიზება. ამდენად, ბაქტრიის, სოგდიანისა და ხორეზმის შესანარჩუნებლად აქემენიდებს უნდა დაეთრგუნათ მომთაბარეებიც. სწორედ მათთან ბრძოლაში ძვ. წ. 530 წ. დაიღუპა კიროს II. ძველი ისტორიის ეს გამოჩენილი პიროვნება. იგი, როგორც მიუთითებენ, ბრწყინვალედ აფასებდა შექმნილ სიტუაციას, სწორად ესმოდა თავისი მოვალეობა და ამოცანები. შესწევდა უნარი თავის მხარეზე გადაებირებინა ყველა, ვისი დახმარებაც ესაჭიროებოდა, ყოველთვის ახერხებდა საომარი წარმატების მოპოვებას და თანამედროვეებზე უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა. მოკლედ, კიროს II ძველაღმოსავლურ პირობებში ბრწყინვალე პოლიტიკოსი და შესანიშნავი სარდალი იყო.

კიროს II-ის სიკვდილის შემდეგ სპარსეთის უზარმაზარი იმპერია მემკვიდრეობით ხვდა მის შვილს კამბისს (კამბის II: ძვ. წ. 530—522 წწ.), რომელიც მონდომებით აგრძელებდა მამის დაპყრობით პოლიტიკას. ლიდიის, ბაბილონისა და შუა აზიის შემომტკიცების შემდეგ სპარსეთს მთელ აღმოსავლეთში დარჩა ერთადერთი ძლიერი მეტოქე ეგვიპტის სახით. კამბისი ენერგიულად აგრძელებდა მამის მიერ დაწყებულ მზადებას ეგვიპტის წინააღმდეგ ომისათვის, რაც კარგად იყო ცნობილი ეგვიპტის მეფის ამასის II-სათვის. ისიც საპასუხოდ

თავის არმიას აძლიერებდა ბერძენი პროფესიონალი მოქირავნეებით, გააფორმა სამხედრო კავშირი კვიპროსთან და კუნძულ სამოსის ტირან პოლიკრატორთან, რომელსაც მეტად ძლიერი ფლოტიც ჰყავდა.

კამბისი შეეცადა ეგვიპტისთვის ჩამოეშორებინა მოკავშირეები და დამხმარეები. მან მოისყიდა და გადაიბირა ბერძენ მოქირავნეთა სარდალი ფანეტი. ამგვარი სამხედრო და დიპლომატიური მომზადების შემდეგ, 526 წ. კამბისი ეგვიპტეს შეესია. ლაშქრობის დაწყების წინ მან მოაკვლევინა თავისი ძმა ბარდია, რომელიც ბაქტრიის სატრაპი იყო. ამით მან ჩამოიცილა ტახტის მოსალოდნელი მოცილე და მეამბოხე. ბარდიას მკვლელობა იმდენად საიდუმლოდ მოხდა, რომ ამის შესახებ თითქმის არავინ არაფერი იცოდა.

აფრიკისა და აზიის საზღვარზე, პელუსიასთან მოხდა ბრძოლა კამბისსა და ფსამეტიქეს შორის (ამასისი გარდაიცვალა ომის დაწყების წინ), რომელიც ეგვიპტელების დამარცხებით დამთავრდა. მართალია, ეს გამარჯვება არ ყოფილა გადამწყვეტი და სრული, მაგრამ ეგვიპტელებს შორის აღმოჩნდნენ გამცემლები; კერძოდ, ქურუმების და მოხელეების გარკვეული ნაწილი კამბისის მხარეზე გადავიდა და ეგვიპტის არმიის საბოლოო მარცხი დააჩქარა.

კამბისმა მიიღო ეგვიპტის მეფის ტიტული და შეეცადა გაეტარებინა ისეთივე პოლიტიკა, როგორსაც კიროს II ბაბილონში ატარებდა. იგი ცდილობდა დაედასტურებინა, რომ ეგვიპტის კანონიერი გამგებელია. იარაღით დაიმორჩილა რა ეგვიპტე, მან უარი თქვა ქვეყნის გაძარცვასა და მოსახლეობის გაჟლეტაზე, სიცოცხლეც კი შეუნარჩუნა ეგვიპტის მეფეს, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ჰეროდოტე მოგვითხრობს, მას დაუნდობელი და თავშეუკავებელი ხასიათი ჰქონდა.

კამბისმა გადაწყვიტა დაემორჩილებინა აფრიკის სხვა ქვეყნებიც. ჩრდილო აფრიკის ბერძნული კოლონიები მას ნებაყოფლობით დანებდნენ. კართაგენის დასაპყრობად კამბისი იწყებს საზღვაო ექსპედიციის მზადებას, მაგრამ ფინიკიის ფლოტმა უარი თქვა ელაშქრა თანამეტოვეთა წინააღმდეგ.

ძვ. წ. 524—523 წწ. კამბისი წარუმატებლად ლაშქრობს ნუბიაში. როგორც კი გახმიანდა ნუბიაში ლაშქრობის მარცხი, ეგვიპტეში იფეთქა აჯანყებამ ფსამეტიქეს მეთაურობით, მაგრამ კამბისი უვნებლად დაბრუნდა ეგვიპტეში და საკმაო ძალაც აღმოაჩნდა, რომ აჯანყება დაეთრგუნა, ფსამეტიქე მოკლეს, ხოლო სხვა მონაწილეები სასტიკად დასაჯეს. ამასთან, ქვეყანა ააოხრეს, ხოლო ტაძრები გაძარცვეს. ამის შემდეგ კამბისი ემზადებოდა ნუბიაში ახალი ლაშქრობისათვის, მაგრამ ამ დროს ირანიდან მოაღწია ხმებმა, რომ ბარდია ცოცხალია და მისი მეთაურობით მთელი ირანი აჯანყებულაო.

კამბისი ტოვებს ეგვიპტეს და სასწრაფოდ მიეშურება ირანში, მაგრამ 522 წ., სირიაში საიდუმლოებით მოცულ ვითარებაში იღუპება. ბისუტუნის წარწერის მიხედვით კამბისი „თავისთავად" მოკვდა. ბარდიას სახელს ამოფარებულმა მაგმა გაუმატამ, ანუ ცრუბარდიამ მცირე დროში კამბისის წინააღმდეგ მთელი ირანის ამბოხება მოახერხა. ხალხს არწმუნებდა, რომ იგი კამბისის ძმა ბარდიაა. 522 წ. მარტში მან თავი მეფედ გამოაცხადა, ხოლო ზაფხულში მთელი იმპერია მის გამგებლობაში აღმოჩნდა.

ცრუბარდიას წინააღმდეგ გამოდის აქემენიდების სახლის გვერდითი შტოს წარმომადგენელი უფლისწული დარიოსი. დარიოსის მამა ჰისტასპი პართიის სატრაპი (მეფისნაცვალი) იყო, ხოლო მისი შვილი ამ დროს, როგორც ფიქრობენ, პერსიდის სატრაპიას განაგებდა.

სპარსეთის უძლიერესი გვარების მხარდაჭერის პირობებში, თანამზრახველთა მცირე ჯგუფით, 522 წ. 29 სექტემბერს დარიოსი თავს ესხმის ცრუბარდიას, რომელიც მიდიაში ერთ-ერთ ციხეში იმყოფებოდა, კლავს მას და ჟლეტს მის მომხრეებს, რომლებიც მასთან იმყოფებოდნენ. ამგვარად, სპარსეთის იმპერიის მართვის ყველა სადავე 522 წ. დარიოს ჰისტასპის ძის ხელში გადადის.

ფიქრობენ, რომ გაუმატას აჯანყებაში ძირითადად გამოხატულება პოვა ირანის საზოგადოების ზედა ფენის ორი დაპირისპირებული დაჯგუფების ბრძოლამ ხელისუფლებისათვის. ერთი ამ დაჯგუფებათაგანი დაკავშირებული იყო ტრადიციულ ადგილობრივ კულტებთან, ხოლო მეორე — მაგების მოძღვრებასთან. გაიმარჯვებდა ის დაჯგუფება, რომელიც მიიმხრობდა თავისუფალ ერს (ყარას). გაუმატა დაიღუპა შეთქმულების საფუძველზე და არა იმის გამო, რომ ვერ შეძლო გამოეძებნა და შეექმნა შესაფერისი საზოგადოებრივი საყრდენი. პირიქით, მრავალრიცხოვანი აჯანყებები, რომლებიც გაუმატას აჯანყების ჩახშობის შემდეგ მოხდა ნაწილობრივ იმის გამოხატულებაც იყო, რომ ის ფაქტორები, რომელთაც უზრუნველყვეს გაუმატას აჯანყების წარმატება, მოქმედებდნენ მისი სიკვდილის შემდეგაც. მალე, გაუმატას სიკვდილის შემდეგ, დარიოსს უხდება ასირას აჯანყების ჩაქრობა ელამში. მის შემდეგ ბაბილონში გამოჩნდა ვილაც ნიდინტუ-ბელი, რომელმაც ძალაუფლება ხელში ჩაიგდო და თავი ბაბილონის მეფის ნაბონიდის მემკვიდრედ და მეფედ გამოაცხადა. 522 წ. დეკემბერში დარიოსი ორი სასტიკი ბრძოლით ამარცხებს ამ აჯანყებასაც, იღებს ბაბილონს და კლავს ახალ მეფეს (ნაბუქოდონოსორ III). მაგრამ სანამ იგი ბაბილონის დაშოშმინებით იყო დაკავებული, აქემენიდებს განუდგა სპარსეთი, ელამი, მიდია, ასურეთი, ეგვიპტე, პართია, მარგიანა, სატაგიდია არახოსიით და საკები.

ყველაზე ძლიერი აჯანყება დაიწყო მიდიაში, რომელსაც სათავეში ჩაუდგა კიაქსარიდების გვარის წარმომადგენელი ფრავარტიში; მან მიიღო სახელი ხშატრიტი. 521 წ. იანვრის ბრძოლებში დარიოსის სარდალი მეიდარნა ვერ ახერხებს აჯანყებულთა დამარცხებას. მხოლოდ მას შემდეგ, რაც დარიოსი ძირითადი ძალებით ჩაება ბრძოლაში, 521 წ. მაისში აჯანყება ჩააქრეს, ხოლო მისი ბელადი დაატყვევეს. მაგრამ ამ დროს უკვე ზენიტს იყო მიღწეული დიდი აჯანყება არმენიაში, რომლის შესახებ ბისუტუნის წარწერაშია მოთხრობილი. ეს არის არმენიის პირველი წერილობითი ხსენება ისტორიაში. დარიოსს დრო არ დარჩა სასწრაფოდ გასწორებოდა არმენიას, რადგან დაიწყო მეტად საშიში აჯანყება თვით პერსიდაში, რომელსაც მეთაურობდა ვინმე ვაჰიაზდატა: იგი თავს ბარდიად ასაღებდა და ტახტზე პრეტენზიას აცხადებდა. 521 წ. იელისში ვაჰიაზდატას აჯანყება ჩაახშეს, ხოლო მისი მეთაური სიკვდილით დასაჯეს.

იყო სხვა აჯანყებებიც: მეორედ განდგა ბაბილონი, ცეცხლში იყო გახვეული შუა აზია...

521 წ. ზაფხულში დარიოსი ძირითადად ამთავრებს ყველა უმნიშვნელოვანესი აჯანყების დათრგუნვას და იწყებს სახელმწიფო ორგანიზაციის განმტკიცებაზე ზრუნვას. თავის მოღვაწეობაში იგი ემყარება სპარსეთში 7 ყველაზე ძლიერ გვარს, რომლებიც მას მიაჩნია ედგნენ გაუმატას წინააღმდეგ ბრძოლაში. ის გვარები კი, რომლებიც წინამორბედი მეფეების ხელოვნურ იერარქიულ ნებაზე იბრძოდნენ, უკანა რიგში მოექცნენ და თანდათანობით ჩამოვიდნენ სცენიდან.

დარიოსი ცდილობს ალადგინოს კამბისის I-ის იმპერია. იგი აჯანყებების ჩაქრობისა და რიგი საორგანიზაციო ღონისძიებების გატარების შემდეგ, 519 წ. აპრილში კვლავ იმორჩილებს ეგვიპტეს და იღებს ფარაონის ტიტულს. ამავე დროს აქემენიდური იმპერიის შემადგენლობაში შემოდის აფრიკის ზოგიერთი ოლქი და ბერძნული კოლონია კირენა.

დაამორჩილა რა კიროსისა და კამბისის იმპერიაში შემავალი ქვეყნები და ჩააქრო რა ყველა აჯანყება, დარიოსი მიხვდა, რომ საჭიროა გატარდეს რიგი ეკონომიკური და ადმინისტრაციული ღონისძიება, რათა იმპერიამ შეძლოს ფეხზე მტკიცედ დგომა, გააგრძელოს არსებობა. დაპყრობილი ქვეყნების ის სოციალური ჯგუფები, რომელნიც მხარს უჭერდნენ კიროსსა და კამბისს, ემხრობიან დარიოსსაც, რომელიც მათ მიმართ, განსაკუთრებით დაწინაურებული ქვეყნების მიმართ, აგრძელებდა თავისი წინამორბედი მეფეების პოლიტიკას. ბაბილონი, სირია, პალესტინა, ეგვიპტე, ბაქტრია და ზოგიერთი სხვა სწორედ ის ქვეყნები იყვნენ, რომლებიც აქემენიდური იმპერიის ეკონომიკურ საფუძველს ქმნიდნენ.

ეკონომიკური ცხოვრების შემდგომი მოწესრიგების მიზნით დარიოსი იწყებს მონეტების გამოშვებას. ოქროს მონეტა, ე. წ. დარიკი, 8,4 გრამს იწონიდა, ხოლო ვერცხლისა, ე. წ. სიკლი — 5,6 გრამს. სიკლი დარიკის მეოცედი ღირებულებისა იყო (ოქროს ღირებულებითი შეფარდება იმ ხანაში შეადგენდა 1:13,3). ოქროს მონეტის გამოშვება მხოლოდ მეფეს შეეძლო, ხოლო სიკლი შეიძლებოდა გამოეშვათ ოლქის მმართველებს, დამოკიდებულ მეფეებს და ქალაქებს.

სამონეტო სისტემის შემოღება მიზნად ისახავდა გაეძლიერებინა სახელმწიფო ხელისუფლება, მოეწესრიგებინა ეკონომიკური კავშირები სხვადასხვა რაიონებს შორის, ერთიანი სახე მიეცა საგადასახადო სისტემისათვის.

ამასთან, დარიოსმა შექმნა მმართველობის მტკიცე სისტემა, რასაც საფუძვლად დაუდო სახელმწიფოს დაყოფა ადმინისტრაციულ ოლქებად — სატრაპიებად (ირან. „ხშატრაპა(ვა)ნ", ანუ „სამეფისნაცვლებად. ჰეროდოტეს ცნობით, მთელი იმპერია 20 სატრაპიად დაიყო. ამასთან, იგი მიუთითებს, თუ რომელ სატრაპიაში რა ხალხები იყო გაერთიანებული და რა თანხა შეჰქონდათ სამეფო ხაზინაში.

თითოეულ სატრაპიას ან სატრაპიების ჯგუფს განაგებდა მეფის მიერ დანიშნული სატრაპი, რომელიც, როგორც წესი, სპარსელი დიდებული იყო. იგი სარგებლობდა სამხედრო ხელისუფლების ყველა პრეროგატივით, თვით ჯარების შეგროვების უფლებითაც კი. გარდა ამისა, მას უნდა უზრუნველეყო გადასახადის შეტანა ხაზინაში და ყოფილიყო მსაჯული. თავისი სატრაპიის საჭიროებისთვის მას შეეძლო მოეკრა ვერცხლისა და სპილენძის ფული. სატრაპს ემორჩილებოდნენ ადგილობრივი მმართველები და საქალაქო თემები.

იმპერიის დასავლეთი სატრაპიები (მცირე აზია, არმენია, ასურეთი, სირია, პალესტინა და ბაბილონი) იხდიდნენ ორჯერ მეტ გადასახადს, ვიდრე მთელი ირანი და შუა აზია ერთად. იმ დროს, როცა ირანის ზეგნის უმდიდრესი ქვეყანა — მიდია — 450 ტალანტს იხდიდა, ბაბილონს სახელმწიფო ხაზინაში 1000 ტალანტი ვერცხლი შეჰქონდა. რაც შეეხება სპარსელებს, მთელი მოზრდილი მამრობითი მოსახლეობა იქ სახელმწიფოს ხარჯზე ცხოვრობდა. სპარსელები მსახურობდნენ ე. წ. „უკვდავთა გვარდიაში", არმიასა და სახელმწიფო აპარატში, თავისუფალი იყვნენ გადასახადებისა და ბეგარისგან. ისინი შეადგენდნენ გაბატონებულ ჯგუფს, რომელიც იმპერიის დანარჩენი ქვეყნების მშრომელი მოსახლეობის ხარჯზე ცხოვრობდა. ამიტომ იყო, რომ არა მარტო დიდკაცობა, არამედ სპარსელების უმრავლესობა მხარს უჭერდა აქემენიდებს.

მოაწესრიგა რა იმპერიის საშინაო საქმეები, დარიოსმა დაიწყო ზრუნვა საზღვრების გაფართოებაზე. ბისუტუნის წარწერაში სა-

უბარია სკვითებზე (შუა აზიის საკებზე) ლაშქრობის შესახებ; დარიოსის სამფლობელოების სიაში მითითებულია აგრეთვე ინდოეთი (მდ. ინდის დაბლობი).

515 წლის ახლოს დარიოსის სარდლები იპყრობენ თრაკიას, რითაც დასაბამი ეძლევა სპარსელების შეღწევას ევროპაში. 513 წ. მოეწყო წარუმატებელი ლაშქრობა ევროპის სკვითიაშიც.

V ს. დამდეგს მოხდა დიდი აჯანყება მცირე აზიის ბერძნულ ქალაქებში, რომლებიც 494 წლის ახლო ხანაში იქნა დათრგუნვილი. დარიოსი ხედავს, რომ მცირე აზიაში მტკიცედ დამკვიდრებისათვის აუცილებელია საბერძნეთის დამორჩილება. იგი გზავნის სარდლებს და აწყობს პირველ ლაშქრობას ბოსფორის გავლით, მაგრამ რწმენდება, რომ ასეთი ღონისძიება ძალიან ძვირი და სახიფათოა. ამიტომ იგი გადაწყვეტს ფლოტით გადასხვა არმია ატიკის გულში, ათენის მახლობლად. 490 წ. სექტემბერში სპარსელები მცირე აზიიდან მარათონის ველზე გადასხდნენ და იქვე, 12 სექტემბერს სასტიკი მარცხიც იწვნიეს. სპარსელები გემებზე მოთავსდნენ და თავს გაქცევით უშველეს. დარიოსი არ ურიგდება ამ დიდ მარცხს. იგი რევანშისთვის ემზადება, მაგრამ ამ დროს ეგვიპტეში იფეთქა აჯანყებამ, რომლის ჩაქრობაც დარიოსს აღარ დასცალდა. ძვ. წ. 486 წ. იგი გარდაიცვალა.

ირანის ტახტი დაიკავა დარიოსის ძემ ქსერქსემ (ძვ. წ. 486—465 წწ.), რომელსაც მმართველობის დაწყება მოუხდა ისეთ პირობებში, როცა აჯანყებული იყო ეგვიპტე, ხოლო ირანის არმიამ ბერძნებთან ომში ის-ის იყო სასტიკი მარცხი განიცადა. გარდა ამისა, ირანში ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული ტახტის მემკვიდრეობის ზუსტად განსაზღვრული წესი. ქსერქსემ დასძლია ძმების წინააღმდეგობა, ტახტი დაიკავა და 484 წ. ჩაახშო ეგვიპტის აჯანყება, სადაც სატრაპად დანიშნა თავისი ძმა აქემენი (ძვ. სპარს. ხახამანიში).

ამის შემდეგ ქსერქსე შეუდგა ბერძნების წინააღმდეგ ომისათვის მზადებას დ შეაგროვა მრავალფეროვანი უზარმაზარი არმია, რომელშიც რაზმები და შენაერთები ტომობრივი ნიშნის მიხედვით იყო განლაგებული. არმიებს სატრაპები სარდლობდნენ. თითოეული სატრაპის არმია შედგებოდა მის სატრაპიაში მოსახლე ტომებისა და ხალხებისაგან გამოყვანილი კონტინგენტისაგან. ქვეითი ჯარები 30 რაზმად იყო დაყოფილი. მას ემატებოდა პრივილეგიური სპარსელებისაგან შედგენილი გვარდია „10000 უკვდავი“ და კავალერიის 9 რაზმი. საზღვაო ფლოტს ფინიკიური, ეგვიპტური, მცირეაზიული და კუნძულების მცხოვრებთა ეკიპაჟები ემსახურებოდნენ, ხოლო გემებზე მეომრებად სპარსელები, მიდიელები და საკები იყვნენ. საზღვაო ფლოტს ნომინალურად ეგვიპტის სატრაპი აქემენი სარდლობდა რამდენიმე უფლისწულთან ერთად, მაგრამ ფაქტიურად ფლოტს უძღვე-

ბოდნენ ფინიკიელები და კვიპროსელები. საერთოდ, მთელ შეირაღებულ ძალებს თვით ქსერქსე სარდლობდა.

480 წლისათვის ქსერქსემ დაამთავრა ბერძნების წინააღმდეგ საბრძოლო მზადება და გაზაფხულზე ჰელესპონტთა ჯარები ევროპაში გადასხა. სპარსელები თრაკიაში შეიჭრნენ და სანაპიროს დაუყვნენ. ბერძნების მიერ გაგზავნილი არმია 10000 კაცის შემადგენლობით, რომელსაც სპარტის მეფე ლეონიდე სარდლობდა, ნელ-ნელა იხევდა უკან თერმოპოლის ხეობამდე, სადაც ბერძნებს გენერალური ბრძოლის გამართვა ჰქონდათ განზრახული. აქ სპარსელებმა შეძლეს ბერძნების დამარცხება. ბრძოლაში დაიღუპა სპარტის მეფე ლეონიდეც. ძლიერ დაზარალდა ფლოტიც. სპარსელები ცენტრალურ საბერძნეთში შეიჭრნენ და სასტიკად ააოხრეს, შემდეგ დაიკავეს მთელი რიგი ქალაქი, მათ შორის ათენიც. ბერძნების ფლოტმა დატოვა ატიკის სანაპიროები და თავი მოიყარა კუნძულ სალამინთან. აქ მან სპარსეთის ფლოტთან გენერალური ბრძოლა ჩაატარა და იგი სასტიკად დაამარცხა. ეს საზღვაო ბრძოლა ისტორიაში „სალამინის ბრძოლის“ სახელით შევიდა. ამ მარცხის შემდეგ სპარსელები შეტად კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ბერძნები იწყებენ ძალების მობილიზაციას და 479 წ. გაზაფხულზე აიძულებენ სპარსელებს ატიკიდან ბეოტიაში დაიხიონ. აქ, პლატეასთან მომხდარ ბრძოლაში ბერძნების ლაშქარი სასტიკად ამარცხებს სპარსელებს, ამავე წელს სპარსელებმა მიკალეს კონცხთან (მილეტის მახლობლად) კიდევ ორი მძიმე მარცხი იწვნიეს. ამის შემდეგ ბერძნებმა საბოლოოდ გამოაძევეს სპარსელები ევროპის ფარგლებიდან და ჩქარა შეტევაზე თვითონ გადავიდნენ. 470—469 წწ. ისინი უკვე მცირე აზიაში ებრძვიან სპარსელებს. მიუხედავად მარცხისა, სპარსელები ხელს არ იღებენ საბერძნეთის დაპყრობის ცდებზე, საამისოდ ისინი მიმართავენ სხვა საშუალებებსაც. კერძოდ იწყებენ მოსყიდვასა და ინტრიგებს ბერძენი პოლიტიკური მოღვაწეების დისკრედიტაციის მიზნით. ამის შემდეგ იყო, რომ 480—479 წლების ბრძოლებში ბერძნების ხელმძღვანელები თემისტოკლე და პავსანია მოღალატეებად ცნეს და გააძევეს საბერძნეთის ფარგლებიდან.

ქსერქსე საბერძნეთში ლაშქრობასთან ერთად ცდილობს დააკნინოს ბაბილონის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მნიშვნელობა. პირველ რიგში მან მოშალა მარდუქის კულტი, რომლის გარშემო ყოველთვის თავს იყრიდნენ ანტისპარსული ორიენტაციის ძალები. გარდა ამისა, 479 წლიდან ქსერქსემ უარი თქვა ბაბილონის მეფის ტიტულზე, რითაც ბაბილონი რიგითი სატრაპიის მდგომარეობამდე ჩამოაქვეითა.

ქსერქსემ გაატარა მრავალი რეფორმა. კერძოდ, მას მიაწერენ

სპარსული კალენდრის შეცვლას, მაგრამ მის მიერ ჩატარებულ გარდაქმნებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო რელიგიური რეფორმა, კერძოდ, აჰურამაზდას კულტის სავალდებულო თაყვანისცემის დაწესება ირანსა და რიგ მეზობელ ქვეყანაში. ამასთან, იგი კრძალავს ადგილობრივი ღვთაებებისა და კულტებისადმი (ე. წ. დევებისადმი) თაყვანისცემას. ფიქრობენ, რომ ქსერქსეს რეფორმა რელიგიის სფეროში ისახავდა პოლიტიკურ მიზანს — უზრუნველეყო ქვეყნის ერთიანობის საფუძველი და მოესპო გვაროვნულ-ტომური არისტოკრატიის, კერძოდ, ქურუმების სეპარატისტული ტენდენციების არსებობის პირობები. ფიქრობენ, რომ ახალ კულტს კავშირი ჰქონდა მაგების მოძღვრებასთან, რომელიც ზარატუშტრას მოძღვრების პარალელურად არსებობდა, ან მის განვითარებას წარმოადგენდა. აჰურამაზდას კულტის საფუძველზე შემდგომში ვითარდება დოგმატიკური რელიგია, რომელიც ზოროასტრიზმის სახელითაა ცნობილი.

ძვ. წ. 465 წ. ქსერქსე და მისი უფროსი ვაჟი დარიოსი სასახლეში შეთქმულების მსხვერპლნი გახდნენ. ქსერქსეს ორი დარჩენილი ვაჟი არტაქსერქსე და ვიშტასპი იწყებენ ბრძოლას ტახტისათვის, რომელიც 462 წ. ვიშტასპის დაღუპვით მთავრდება. ტახტზე ჯდება არტაქსერქსე I (ძვ. წ. 462—424 წწ.), რომელსაც ბერძნები მხარგრძელს ეძახიან. ძმათა შორის ომის დროს სპარსეთს გამოეყო ეგვიპტე და დამოუკიდებლობა აღიდგინა. ეგვიპტის აჯანყებას სათავეში ჩაუდგა ფსამეტიქეს ვაჟი ინარი, რომელსაც მხარი დაუჭირა ათენმა. მან მოკლა არტაქსერქსეს ბიძა აქემენი. ინარის წინააღმდეგ არტაქსერქსე გზავნის თავის საუკეთესო სარდალს ბაგაბუხშუს (მეგაბიზს), რომელიც ამარცხებს ეგვიპტელებს და ტყვედ მიჰყავს ინარი, რომელსაც სიცოცხლის შენარჩუნებას აღუთქვამს. მიუხედავად მეგაბიზის მიერ მიცემული პირობისა, არტაქსერქსემ იგი მაინც სიკვდილით დასჯა, რითაც უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა ბაგაბუხშუ. ეგვიპტე მაინც განაგრძობდა ბრძოლას აქემენიდური უღლის მოსაშორებლად და სპარსელების ბატონობამაც მალე ნომინალური სახე მიიღო.

ამავე დროს, გრძელდებოდა ბრძოლა ბალკანეთის ქალაქთა კავშირთან, რომელსაც ათენი მეთაურობდა, ძვ. წ. 449 წლის ზავით სპარსელები ფაქტიურად კარგავენ ეგეოსის ზღვის სანაპიროებს. სასაზღვრო პუნქტად აღიარებულ იქნა ლიკიის ქალაქი ფასელიდა; ეს ბერძნების დიდი გამარჯვება იყო.

ამ დროს იწყება განაწყენებული ბაგაბუხშუს (მეგაბიზის) აჯანყება, რაც აქემენიდური იმპერიის შინაგანი დასუსტების სერიოზული სიმპტომი იყო. დარიოს I-ის გამეფების შემდეგ ეს იყო სახელმწიფო მოხელის პირველი განდგომა. ბაგაბუხშუს აჯანყება ჩაქრეს,

თვითონ სატრაპი დაიღუპა, ხოლო მისი ვაჟი ზოპირი ბერძნებთან გაიქცა. ფიქრობენ, რომ ჰეროდოტეს ძირითადი წყარო აქემენიდების სახელმწიფოს შესახებ სწორედ ზოპირის მონათხრობი იყო.

ძვ. წ. 424 წ. არტაქსერქსე I გარდაიცვალა და ტახტზე დაჯდა მისი ერთადერთი ვაჟი ქსერქსე (ქსერქსე II). მისი მეფობა არ მოეწონა სპარსელ დიდკაცობას; იგი გადააყენეს და მის ნაცვლად ტახტზე დასვეს არტაქსერქსეს „უკანონო" შვილი სეკუდიანე (სოგდიანე), მაგრამ მისი მეფობაც ხანმოკლე იყო — 424 წ. აპრილიდან დეკემბრამდე; ამის შემდეგ დიდებულები ტახტზე სვამენ არტაქსერქსეს კიდევ ერთ „უკანონო" შვილს — ოხას (ძვ. სპარს. ვახუკ-ი), რომელიც დარიოს II-ის სახელს ატარებს. მისი მეფობის დროის მოვლენები კიდევ უფრო აშკარად მიუთითებენ, რომ იმპერია ღრმა კრიზისს განიცდიდა და დაცემის გზაზე იყო შემდგარი. ერთობა თვით სპარსელებს შორისაც აღარ არსებობდა. ამ დროს სასახლის კარზე ათასგვარი ინტრიგები იხლართებოდა, რომელშიც ძირითად როლს ასრულებდა ვერაგი და ყოვლისშემძლე დედოფალი პარსატიდა. ამავე დროს, პროვინციებში გახშირდა აჯანყებები. ჯერ იყო და აჯანყდა მეფის ძმა არსიდი, რომელსაც მხარს უჭერდა ბაგაბუხშუს შვილი არტიფია. ბაგაბუხშუს აჯანყების შემდეგ ბაგაბუხშუს გვარი, როგორც ფიქრობენ, სამეფო გვარს ოპოზიციაში ჩაუდგა.

ლიდიაში აჯანყდა მეფის მამის ბიძაშვილი პისუფი, რომლის წინააღმდეგ 412 წ. გაიგზავნა ტისაფერნი. მან თავი გამოიჩინა როგორც კარგმა სარდალმა და მოქნილმა დიპლომატმა. იგი, მცირე აზიის მეორე სატრაპ ფარნაბაზთან ერთად, ატარებდა პოლიტიკას, რომლის მიზანი იყო ათენის დასუსტება. ამისათვის ისინი ცდილობდნენ გამოეყენებინათ ათენისა და სპარტელების წინააღმდეგობა. მათ მოახერხეს კიდეც სპარტელების თავის მხარეზე გადაბირება.

ძვ. წ. 407 წ. მცირე აზიის ყველა სატრაპიის მმართველად დანიშნულ იქნა მეფის ერთ-ერთი შვილი კიროსი, რომელიც ისტორიაში კიროს უმცროსის სახელით არის ცნობილი. იგი გონებამახვილი პოლიტიკოსი გამოდგა და ამ რაიონში კვლავ წამოსწია წინ სპარსეთის სამეფო ხელისუფლების ავტორიტეტი. ძვ. წ. 405 წ. კიროსამდე აღწევს ხმა მისი მამის დარიოსის მძიმე ავადმყოფობის შესახებ. იმის შიშით, რომ მამის სიკვდილის შემთხვევაში ტახტი მის ძმას არტაქსერქსეს არ დაეკავებინა, კიროსი მიემართება ბაბილონში, სადაც ავადმყოფი მეფე და სამეფო კარი იმყოფებოდა, მაგრამ უკვე გვიან იყო — დარიოს II გარდაცვლილიყო და არტაქსერქსე გვირგვინის დასადგმელად ემზადებოდა. ტისაფერნის დასმენით კიროსი დააპატიმრეს, მაგრამ საქმეში დედა (პარსატიდა). ჩაერია და იგი უვნებლად დაბრუნდა მცირე აზიაში. აქ მან დაიწყო საიდუმლო მზადება ტახტის ხელში

ჩასაგდებად; ამ დროისათვის ბალკანეთში ჰეგემონობა სპარტის ხელში გადავიდა. 404 წ. მან გამარჯვება მოიპოვა ათენის საზღვაო კავშირზე. სპარტელები კიროსის ჯარეზე გამოდიოდნენ და სწორედ მათი დახმარებით მოახერხა კიროსმა შეეგროვებინა 10000-იანი ბერძნული დაქირავებული რაზმი, რომლის სარდლად კლეარხი დანიშნა. ამ რაზმის სამხედრო მეთაურთა შორის იყო ცნობილი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი ქსენოფონტი, რომელმაც დაგვიტოვა ამ ამბების დეტალური აღწერები — უმნიშვნელოვანესი წყარო არა მარტო ამ ომის, არამედ საერთოდ სამხრეთ ამიერკავკასიისა და შავიზღვისპირეთის ტომთა ისტორიის საკითხების შესასწავლად ძვ. წ. V—IV სს-ის მიჯნაზე.

ძვ. წ. 401 წ. 3 სექტემბერს ბაბილონის მახლობლად ს. კუნაქსასთან მომხდარი ბრძოლა კიროსისთვის საბედისწერო აღმოჩნდა — იგი დაიღუპა, ხოლო მისი არმია გაიფანტა. 10000 ბერძენმა მოქირავნემ კი ბრძოლით გაიარა მესოპოტამია, დასავლეთ არმენია, ქართველ ტომთა საცხოვრისი და ტრაპეზუნტთან შავი ზღვის სანაპიროზე გავიდა. ამ ლაშქრობამ ბერძნებს დაანახა, თუ რამდენად სუსტია სპარსეთის სამეფო და როგორ იოლია მისი დამარცხება.

კიროსის დამარცხების შემდეგ არტაქსერქსე სპარტას მიუბრუნდა და საომარ მზადებას შეუდგა. კერძოდ, მან გადაწყვიტა მცირე აზიის ბერძნული ქალაქების დალაშქვრა. სპარტელები, თავის მხრივ, არ დაელოდნენ თავდასხმას, 396 წ. აგესილაის მეთაურობით, გადმოსხდნენ მცირე აზიაში და მთელი წლის განმავლობაში აოხრებდნენ ფრიგიასა და ლიდიას.

სპარსელები მიმართავენ მოსყიდვას. 394 წ. აგესილაი იძულებულია სპარტაში დაბრუნდეს, რადგან სპარსელების ფიერ დათესილმა ლვარძლმა გაღვივება დაიწყო. ომი კიდევ რამდენიმე წელს გაგრძელდა. 386 წ. დაღლილი მეტოქეები აფორმებენ ზავს, რის მიხედვითაც ბერძნები აღიარებენ სპარტელების ჰეგემონობას ეგეოსის სანაპიროზე. ათენის საზღვაო კავშირი ჩქარა აღადგინეს (თუმცა ზავის პირობის თანახმად იგი არ უნდა აღედგინათ).

ცნობილი არ არის, თუ რა ხდებოდა ამ დროს სპარსეთის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში, მაგრამ ჩანს, რომ მან აქ დაკარგა ტერიტორიის დიდი ნაწილი, კერძოდ, ხორეზმი, რომელიც დამოუკიდებელ სამეფოდ გაფორმდა. V ს. მიწურულში იმპერიას საბოლოოდ ჩამოსცილდა ეგვიპტე. უკვე IV ს. დამდეგს ეგვიპტის ფარაონი ნეფერუდი დიდ დახმარებას უწევს სპარტას სპარსელებთან ბრძოლაში.

ძვ. წ. 365 წ. სირიაში აჯანყდა სატრაპი არიობარზანი, ხოლო 361—360 წწ. ეგვიპტის ფარაონი ტახი ეგვიპტიდან სირიაში შეიჭრა.

ძვ. წ. 358 წ. არტაქსერქსე II გარდაიცვალა. ამ დროისთვის აქემენიდთა იმპერიაში არსებობდა დაცემის ყველა სიმპტომი. ტახტზე ავიდა არტაქსერქსე III (ძვ. წ. 358—338 წწ.). იგი ენერგიული მმართველი აღმოჩნდა. მან ჯერ დაიმორჩილა ურჩი სატრაპები, ხოლო შემდეგ 348—345 წწ. იბრძოდა სირიაში, ფინიკიაში, პალესტინაში, დაბრუნდა ეგვიპტეში და იქ დროებით კვლავ დაამყარა სპარსელების ბატონობა. არტაქსერქსე III-ის მეფობის უკანასკნელი წლები განსაკუთრებით მშფოთვარეა. იგი ცდილობს სატრაპებს ჩამოართვას დამოუკიდებელი ჯარების ყოლის უფლება და ამით შეარყიოს მათი სეპარატისტული ტენდენციები. როგორც ჩანს, ამის გამო იყო, რომ იგი შეთქმულების მსხვერპლი გახდა — მას კლავს საჭურისი ბაგოი. ამის შემდეგ ტახტზე ადის ოარსი (ძველსპარსული ვარშა), რომელმაც, როგორც ფიქრობენ, ხელი შეუწყო შეთქმულებას, რომლის შედეგადაც დაიღუპა მაკედონიის მეფე ფილიპე. უკანასკნელს სპარსელები უახლეს და ყველაზე პოტენციურ მეტოქედ თვლიდნენ.

კარისკაცებს და დიდკაცობას ოარსი შეტისმეტად დამოუკიდებელ მეფედ მოეჩვენათ და იგი ძვ. წ. 336 წ. მოკლეს, ასევე ამოქლიტეს მთელი მისი ოჯახიც, ხოლო ტახტზე დასვეს კოდომანი არსამის ძე, აქემენიდების გვერდითი შტოს წარმომადგენელი, რომელმაც მიიღო დარიოს III სახელი (ძვ. წ. 336—330 წწ.).

დარიოს III-ის მეფობის პერიოდი ფაქტიურად აქემენიდური ირანის სახელმწიფოს დანგრევის, მისი დაღუპვის ხანაა. იგი ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობამ დაიჭარა და მას კატასტროფული და ტრაგიკული სახე მისცა.

* * *

აქემენიდების მიერ დამორჩილებული ტომებისა და ხალხების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე არ იყო ერთგვაროვანი. მათთვის საერთო მხოლოდ ის იყო, რომ უკვე რკინის ხანა იდგა. რკინა ფართოდ გამოიყენებოდა აქემენიდური ირანის პერიფერიის ჩამორჩენილ რაიონებშიც კი.

სოფლის მეურნეობა, იმდროინდელი ბინადარი არსებობს ძირითადი საფუძველი, აქემენიდური ირანისთვისაც დიდმნიშვნელოვანი სამეურნეო დარგი იყო.

თითქმის მთელი მიწათმოქმედება ხელოვნურ მორწყვაზე იყო დამყარებული. სახელმწიფო აპარატში იყვნენ სპეციალური მოხელეები, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ მიწათმოქმედებას და კრეფდნენ გადასახადებს. აქემენიდები ატარებდნენ წამახალისებელ ღონისძი-

ებებს მიწათმოქმედების განვითარებისათვის. გადმოგვცემენ, მაგალითად, რომ კიროს მცირე, სამხედრო ვარჯიშობათა გვერდით, პირადად მონაწილეობდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში, რითაც ხაზს უსვამდა მიწათმოქმედების დიდ მნიშვნელობას საბელმწიფოში. გვაქვს ცნობები, რომ ირანის დიდკაცობა ცდილობდა დაპატრონებოდა სარწყავ წყალს, როგორც გამდიდრებისა და თავისუფალი თემების კიდევ უფრო მეტად დამორჩილების საშუალებას.

წინა აზიის კულტურული რაიონების სოფლის მეურნეობაში მეთემეთა შრომის გვერდით ფართოდ გამოიყენებოდა მონის შრომაც. ამასთან, მონას, რომელიც სოფლის მეურნეობასა და ხელოსნობაში იყო დასაქმებული, ნება ეძლეოდა დამოუკიდებელი მეურნეობა ჰქონოდა, ოღონდაც მიღებული ზედმეტი პროდუქტის უდიდესი ნაწილი თავისი ბატონისათვის ჩაებარებინა. თვით ირანის უფრო ჩამორჩენილ რაიონებში მიწათმოქმედებაში ძირითადად მეთემეები იყვნენ დასაქმებული.

აქემენიდი მეფეების ხელში აღმოჩნდა ასურეთის, ბაბილონის, მიდიის მეფეების მიერ დაპყრობილი მიწების დიდი ნაწილი. ამით შეიქმნა სამეფო მიწების უზარმაზარი ფონდი, რომელიც თემებით იყო დასახლებული. მართალია, სამეფო მიწები იმთავითვე დასახლებული იყო სასოფლო თემებით, მაგრამ ზოგჯერ თემებს სპეციალურად ქმნიდნენ, როგორც საგადასახადო ერთეულებს, ფისკალური ინტერესებისათვის.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ირანის ველების რაიონებში, სადაც ბოლთაბარე და ნახევრად მომთაბარე ტომები ცხოვრობდნენ, განვითარებული იყო მესაქონლეობა. საყოველთაოდ იყო ცნობილი „ნესეური ცხენები“, რომელთაც მიდიაში აშენებდნენ.

აქემენიდურ ირანში ფართოდ იყო განვითარებული ხელოსნობა. დამახასიათებელია სპეციალიზაცია ცალკეული სატრაპიების მიხედვითაც. სუზისა და პერსეპოლში აღმოჩენილი სამეურნეო დოკუმენტები ადასტურებს, რომ ხელოსანთა უდიდეს ნაწილს შეადგენდნენ „სამეფო კაცები“ და მონები. მთელი უზარმაზარი იმპერია ამარაგებდა სპარსეთს ხელოსნებითა და სამშენებლო მასალით, აგრეთვე ნედლეულით. მაგალითად, დარიოს I-ის სასახლის მშენებლობის დროს ალიზის აგური ბაბილონელებს დაუმზადებიათ, კედრი ლიბანიდან მოუტანიათ, ოქრო — ლიდიიდან და ბაქტრიიდან, ლაჟვარდი და სარდიონი — სოგდიანიდან, ვერცხლი და შავი ხე — ეგვიპტიდან, კედლების შემკულობა — იონიიდან, სპილოს ძვალი — ეთიოპიიდან, ინდოეთიდან და არახოსიიდან, ქვის სვეტები — სუზიანიდან და ა. შ. კალატოზებად მუშაობდნენ იონიელები და ლიდიელები, ოქრომჭედლებად — მიდიელები და ეგვიპტელები, მეაგურეებად (მეთუნეებად) —

ბაბილონელები, სასახლის კედლების მომრთველებად — მიდიელები და ეგვიპტელები და ა. შ.

დიდი იყო ვაჭრობის მნიშვნელობა. აქემენიდური სახელმწიფოს მთავარი გზები სახელმწიფოს მუდმივი ზრუნვისა და ყურადღების საგანი იყო. გარდა ამისა, დარიოს I-ის დროს გაიჭრა არხი, რომელმაც ნილოსი მეწამულ ზღვას შეუერთა, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმპერიის დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ვაჭრობისათვის. მიუხედავად ვაჭრობის დიდი როლისა, სასაქონლო ურთიერთობა საკუთრივ ირანის ეკონომიკას მხოლოდ ზერელედ შეეხო. უმრავლესი მეურნეობები ისევ ნატურალური დარჩა.

სპარსეთის სახელმწიფოში საზოგადოებრივი სტრუქტურა შემდეგი სახით წარმოგვიდგება: მეფეს, შეფის ოჯახის წევრებსა და უმსხვილეს მოხელეებს მთელი ირანის ტერიტორიაზე ჰქონდათ მსხვილი მეურნეობები, რომელთაც ემსახურებოდა მშრომელების გარკვეული კატეგორია. მათ ირანელები ეძახიან მანიას, ანუ გრდას (ელამური ქურტაში). მანიას დაპლას უკეთებენ და იყენებენ სასოფლო-სამეურნეო, სამშენებლო და ხელოსნურ წარმოებაში. გრდის კატეგორიაში უმრავლესობას, როგორც ფიქრობენ, სამხედრო ტყვეები შეადგენდნენ. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ გრდებს ხშირად სოფლებად ასახლებდნენ. ცნობილია, მაგალითად, სხვადასხვა ქალაქებიდან გადმოსახლებული ბერძენი ტყვეების მთელი სოფლები.

აქემენიდური ირანის მოსახლეობის ძირითად მასას შეადგენდნენ თავისუფალი მეთემე-მეომრები, რომლებიც, ამავე დროს, მატერიალურ დოვლათს ქმნიდნენ. ირანულად მათ კარად იხსენიებენ, რაც „მეომარ ხალხს“ აღნიშნავს. ამ კატეგორიაში შედიან სამოქალაქო, სამხედრო და საერთოდ წარჩინებულთა ფენები, მათ შორის ქურუმებიც.

მძიმე მდგომარეობაში იყო სამეფო, სატაძრო თუ სხვა მსხვილი კერძომესაკუთრული მეურნეობის ტერიტორიებზე მოსახლე თემები. ზოგჯერ მათ უფლებაც კი არ ჰქონდათ დაეტოვებინათ თავის სამოსახლოთა ტერიტორია, დაკისრებული ჰქონდათ ათასგვარი ღალა, ბეგარა და გამოსაღები, რის გამოც ხშირად მევახშის ხელში ვარდებოდნენ.

სპარსეთის სამეფო ჩათრეული აღმოჩნდა რთულ ურთიერთობაში წინა აზიის დაწინაურებულ ქვეყნებთან, რომლებიც გაცილებით მაღალგანვითარებული იყვნენ, ვიდრე თვით სპარსეთი.

სპარსელები, ობიექტურად, ხელს არ უწყობდნენ ქალაქების ეკონომიკურ განვითარებას. პირიქით, ისინი, როგორც პარაზიტები, ტვირთად აწვნენ იმპერიის სხვადასხვა ნაწილების ეკონომიკას, ფიტავდნენ და აჩანაგებდნენ მას. შემდგომში ამას დაემატა ისიც, რომ

თავისუფალი თემების ძირითადი ნაწილის გაღარიბების გამო დასუსტდა არმია. რამდენადაც მოსახლეობის ეს ნაწილი ყველაზე უფრო ბრძოლისუნარიანი იყო, მისი დასუსტება, დაბეჩავება და ნახევრადთავისუფლის მდგომარეობამდე ჩამოქვეითება სპარსეთის საზოგადოებას ორ დაპირისპირებულ ბანაკად ჰყოფდა და ძლიერაც ასუსტებდა, ახლა უკვე ხსნებაც კი არ იყო ინტერესთა იმ ერთობისა, რომელიც სპარსელებს აქემენიდური სახელმწიფოს შექმნისას მისი არსებობის პირველ პერიოდში ჰქონდათ.

აქემენიდური ირანი წინა აზიის ძველი კულტურების მემკვიდრე და მისი ტრადიციების გამგრძელებელიც იყო. ფაქტიურად, იმპერიის ცენტრი მესოპოტამიასა, ელამსა და სირიაში იყო, რაც განსაზღვრავდა აქემენიდური კულტურის ხასიათსაც. ისევე როგორც ძველი აღმოსავლეთის ყველა ქვეყანაში, აქაც რელიგია უდიდეს როლს ასრულებდა, მაგრამ აქემენიდური იმპერია ჭრელი იყო არა მარტო სოციალურ-ეკონომიკურად და ეთნიკურად, არამედ იდეოლოგიურად და რელიგიურადაც. იგი მეტად სუსტად იყო შეკავშირებული და არასოდეს ჰქონია მთლიანი სახე. ამგვარი ვითარება განსაზღვრავდა აქემენიდების სახლის რელიგიურ პოლიტიკას. პირველი აქემენიდები, თაყვანს სცემდნენ რა წმინდა ირანულ კულტს — აჰურამაზდას, ცნობდნენ აგრეთვე ბაბილონის, პალესტინის, ეგვიპტის, მცირე აზიის ტრადიციულ ადგილობრივ კულტებსაც. მხოლოდ ქსერქსე I-ის (ძვ. წ. 486—465 წწ.) დროს იცვლება აქემენიდების დამოკიდებულება არაირანული პროვინციების ადგილობრივი კულტების მიმართ და იწყება ბრძოლა მათ წინააღმდეგ. ქსერქსე ცდილობს ყველასთვის სავალდებულო გახადოს აჰურამაზდას კულტი. მას ეშინია ადგილობრივი კულტებისა, რომლებიც შეიძლება ადგილობრივი სეპარატისტული ტენდენციების გაღვივების იდეოლოგიური საყრდენი გახდნენ. არტაქსერქსე II (ძვ. წ. 405—358) აჰურამაზდას კულტის გვერდით სავალდებულოდ აცხადებს ანაჰიტისა და მითრას კულტებს. ეს კულტები იხსენიება აგრეთვე არტაქსერქსე III-ის დროსაც (ძვ. წ. 358—338 წწ.). ამავე დროს განაგრძობდნენ არსებობას ადგილობრივი კულტები და რწმენები. (გაცილებით გვიან აქემენიდური ირანის ოფიციალური კულტი ფორმდება რელიგიურ მოძღვრებად, რომელიც ზოროასტრიზმის სახელით არის ცნობილი. ირანელი მაგები არ ებრძოდნენ, არ უარყოფდნენ სხვა კულტებს და ხშირად ღვთის მსახურებას სხვა კულტების ქურუმებთან ერთად ატარებდნენ.

ზოროასტრიზმი, ფაქტიურად, მხოლოდ საკუთრივ სპარსული საზოგადოების ზედა ფენაში იყო გავრცელებული, ნაწილობრივ — ირანის მოსახლეობაშიც. სპარსეთის ფარგლებს გარეთ იგი არმენიასა

და მცირე აზიაში ჩანს გავრცელებული, თანაც ადგილობრივ კულტებთან და რწმენებთან შერწყმული სახით.

აქემენიდური იმპერიის შემადგენლობაში მოხვედრილი, კულტურულად მაღალგანვითარებული ქვეყნები აგრძელებენ თავიანთ ტრადიციებს. ბაბილონში გრძელდება ძველი საერო და რელიგიური ძეგლების გადაწერა, მათ შორის — აქადურ და შუმერულ ენაზეც კი. ბაბილონელი ასტრონომები და მათემატიკოსები უწინდებურად იყენებენ აქადურ ენასა და დამწერლობას.

სპარსელების ბატონობის ხანაში საბოლოოდ ფორმდება იუდაიზმის დოგმატური რელიგია, რომელიც წარმოადგენდა იერუსალიმის სატაძრო-საქალაქო თემის შექმნის იდეოლოგიურ დასაბუთებას. ამ რელიგიის პროპაგანდისათვის ხდება ძველი იუდეურ-ისრაელიტური ლიტერატურის გადამუშავება, ფორმდება ბიბლიის დოგმები. ამ დროს ეკუთვნის ის წიგნები, რომლებიც იერუსალიმის თემის ორგანიზატორებს ეზრასა და ნეემიას მიეწერება. ეს წიგნები იერუსალიმის ქურუმების მსოფლმხედველობის მიხედვით აგვიწერს მოვლენათა მსვლელობას, ხოლო საამისოდ იყენებს სპარსეთის სამეფო ადმინისტრაციის არამეული დოკუმენტების ორიგინალებს. ამავე ხანას მიეკუთვნება გვიან „წინასწარმეტყველთა" სიტყვები (აგეია, ზაქარია, მალაქია), რომლებიც დაწერილია ძველებრაულ ენაზე, თუმცა იმ დროს პალესტინაში ხმარებაში უფრო და უფრო მტკიცდება არამეული ენა.

აქემენიდებს თავიანთი უზარმაზარი იმპერიის სამართავად სჭირდებოდათ განვითარებული სამწერლობო სისტემა. მათ, მართალია, დამწერლობის სისტემა შუამდინარეთიდან ისესხეს, მაგრამ იგი შემდგომ განავითარეს და მნიშვნელოვნად გადაამუშავეს. მარცხენა-ლურსმული დამწერლობის საფუძველზე აქემენიდებმა შექმნეს უფრო განვითარებული ლურსმული დამწერლობა, რომელიც უახლოვდება ანბანურს. მას შეიძლება ნახევრადანბანური დამწერლობაც ვუწოდოთ. იგი, როგორც ირკვევა, კიროს დიდის დროს (ძვ. წ. 550—530 წწ.) გაფორმებულა. აქემენიდური იმპერია ეთნიკურ-კულტურულადაც ჭრელი შემადგენლობისა ყოფილა და არ შეეძლო ჰპოლოდ ერთი ოფიციალური ენით დაკმაყოფილებულიყო. ამიტომ, გარდა ძველსპარსულისა, აქ გამოიყენებოდა ელამური და აქადური (ბაბილონური) ენებიც. ეგვიპტეში კი, გარდა ამ სამი ენისა, გამოიყენებოდა მეოთხეც — ეგვიპტური. ეს ენები, ძირითადად, ოფიციალური წარწერების შესასრულებლად იხმარებოდა, ხოლო საქმიან მიმოწერასა და საერთაშორისო ურთიერთობაში თანდათანობით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა ერთ-ერთი სემიტური ენა — არამეული. რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული მთელ წინა აღმოსავლეთში. არამეუ-

ლად უკვე წერდნენ არა ლურსმულით, არამედ განსაკუთრებული ანბანური დამწერლობით, რომელიც თავისი წარმოშობით ფინიკიური იყო. არამეულმა დამწერლობამ უდიდესი როლი შეასრულა თანამედროვე დამწერლობათა წარმოშობაში.

მშენებლობის ხელოვნებაში, ისევე როგორც ხელოვნების სხვა დარგებში, აქემენიდები იღებენ ყველაფერს საუკეთესოს, რაც კი მანამდე წინა აღმოსავლეთის კულტურულ სამყაროს შეუქმნია, და შემდგომ ავითარებენ მას. სასახლეები ფასარგადაში, პერსეპოლში, სუზაში კარგად წარმოგვიდგენენ აქემენიდების სამეფო არქიტექტურული სტილის განვითარების მრავალ წყაროს მესოპოტამიური, ელამური, ბერძნული, ეგვიპტური სამშენებლო ხელოვნების, მისი ელემენტების სახით.

ძალიან დიდადაა დავალებული აქემენიდური სკულპტურა მესოპოტამიურისაგან, განსაკუთრებით ასურული სკულპტურისაგან.

აქემენიდურ მხატვრულ ხელოვნებაში თავს იჩენს რამდენადმე განსხვავებული ელემენტები, ვიდრე ოფიციალურ არქიტექტურასა და მონუმენტურ სკულპტურაშია წარმოდგენილი. აქ მესოპოტამიური და ბერძნული ხელოვნების ელემენტების გვერდით თავს იჩენს ნიშნები, რომლებიც აქემენიდურ მხატვრულ ხელოსნობას აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის მომთაბარეების იმ ხელოვნებას უკავშირებს, რომელიც მეცნიერებაში პირობით „სკვითურ ხელოვნებად“ არის ცნობილი.

აქემენიდური ხელოვნების გავლენა წინა აღმოსავლეთის ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევრის ხელოვნებაზე მეტად საგრძნობია და მნიშვნელოვანი.

აქემენიდური ირანის კულტურის გავლენა შეინიშნება ამიერკავკასიის ხალხების ყოფაშიც. ჩვენთვის ცნობილია, მაგალითად, აქემენიდური სამშენებლო ხელოვნების ელემენტებისა და მხატვრული ხელოსნური ნაწარმის გამოჩენის ფაქტები ძვ. წ. VI—IV სს. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ამავე პერიოდში, როგორც ჩანს, ქართულ ენაში ფეხს იკიდებს ძველსპარსული წარმოშობის ზოგიერთი სოციალური ტერმინიც. მიუთითებენ, მაგალითად, რომ ქართული „მონა“ ძველსპარსული „მანიას“ სახენაცვალი ფორმაა და ა. შ.

თავი XV

ძველი ინდოეთი

გეოგრაფიულ, ისტორიულ და ეთნიკურ ასპექტში ინდოეთი იმდენად მრავალფეროვანი და კონტრასტებით აღსავსე ქვეყანაა, რომ მას ხშირად „პატარა მსოფლიოს“ უწოდებენ. ამ უზარმაზარი ქვეყნისათვის, რომლის ტერიტორიის საერთო ფართობი 4 მილიონ კვ. კილომეტრს აღემატება, დამახასიათებელია გეოგრაფიული და კლიმატური პირობების მრავალფეროვნება, ეთნიკური სიჭრელე და პოლიტიკური დაქსაქსულობა, ისტორიულად აღმოცენებული გარკვეული სულიერი და კულტურული კარჩაკეტილობა და, ამავე დროს, სხვა ქვეყნებთან საკმაოდ აშკარა ურთიერთობის ნიშნები.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ინდოეთი უძველესი დროიდან წარმოადგენდა ერთიან და განუყოფელ სამყაროს. ამ ერთიანობის საფუძველს წარმოადგენდა ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების თავისებური და მძლავრი პროცესი, რომლის ჩარჩოებში მოქცეული აღმოჩნდა სხვადასხვა ეთნიკური ნაკადი, რაც წარმოქმნა ერთიანი საჰყარო. გადაჭიმული ჰიმალაის მთებიდან (ჩრდილოეთით) კუმარის კონცხამდე (სამხრეთით).

§ 1. უძველესი ხანა

ბუნებრივი პირობები. გეოგრაფიულად ინდოეთი სამ ნაწილად იყოფა: 1) ინდისა და განგის დაბლობი, 2) დეკანის მაღლობი, რომელიც გადაჭიმულია ვინდჰიას მთებიდან კრიშნასა და ტუნგაბჰადრას ხეობამდე და 3) შორეული სამხრეთი.

ინდისა და განგის დაბლობს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ინდოეთის მთელი ისტორიის მანძილზე, განსაკუთრებით კი უძველეს ხანაში. სწორედ აქ გაჩნდა პირველად ინდოეთის ისტორიაში ადამიანთა დასახლებანი და ცივილიზაციის მნიშვნელოვანი კერები. ამ მდინარეებს ძველი ინდოეთისათვის ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდათ,

როგორც ნილოსს ეგვიპტისათვის, ხოლო ტიგროსსა და ევფრატს — მესოპოტამიისათვის, რადგან ეს იყო დრო, როცა მორწყვითი მიწათმოქმედება მეურნეობის წამყვან და ძირითად დარგს წარმოადგენდა და მეტ-ნაკლებად საიმედო მოსავლის აღების საშუალებას იძლეოდა.

განგის დაბლობში მოჰყავთ ბრინჯი, ჯუთი, შაქრის ლერწამი. ამ მცენარეულ კულტურებს თითქმის არ სჭირდებათ ხელოვნური მორწყვა, რაც აუცილებელია ქვეყნის დასავლეთი რაიონებისათვის, სადაც მცირეა ნალექების რაოდენობა.

ამასთან ერთად, აღსანიშნავია ისიც, რომ ინდოეთის ისტორიის მთელ მანძილზე მდინარეები ხშირად იცვლიდნენ კალაპოტს, განსაკუთრებით საგაზაფხულო წყალდიდობის პერიოდში, რაც იწვევდა ცივილიზაციის ცენტრების შესაბამის გადანაცვლებას. მაგალითად, ქალაქი პატალიპუტრა ოდესღაც განგის და ს ო ნ ი ს შესართავთან მდებარეობდა, ახლა კი დაახლოებით 18 კილომეტრითაა დაშორებული შესართავს.

ინდის დინების ზედაწელში მას კიდევ ოთხი შენაკადი ერთვის (ს ე ტ ლ ე ჯ ი, რ ა ვ ი, ჰ ე ნ ა ბ ი, ჯ ე ლ უ მ ი). ამიტომ ამ ოლქს პ ე ნ ჯ ა ბ ი (ხუთმდინარეთი) ეწოდება. სწორედ აქ, მდ. რავის ნაპირებზე აღმოცენდა ჰ ა რ ა პ ა ს უძველესი კულტურა, ხოლო პენჯაბის სამხრეთით, ინდის დინების შუა წელში — მ ო ხ ე ნ ჯ ო-დ ა რ ო ს საოცარი დასახლებანი.

მიუხედავად იმისა, რომ ინდოეთი მთლიანად ტროპიკულ და სუბტროპიკულ ზონაში მდებარეობს, მისი ჰავა არაჩვეულებრივად მრავალფეროვანია: აქ ვხვდებით როგორც მუდმივი ყინვისა და თოვლის ზონას (ჰიმალაის მთებში), ასევე ოლქებს, სადაც დაუსრულებელი ზაფხულია (თითქმის მთელ დანარჩენ ტერიტორიაზე). ინდისა და განგის აუზების შედარებით რბილ კლიმატს სამხრეთში ცვლის დეკანის ზეგნის მშრალი, კონტინენტური და ცხელი ჰავა. ამიტომ ამ მიწების ათვისება შედარებით მოგვიანო ხანაში მოხდა.

ქვეყნის სამხრეთი გამოირჩევა ნესტიანი და ცხელი კლიმატით. ნალექების რაოდენობაც ინდოეთის სხვადასხვა ნაწილში სხვადასხვაგვარია; მაგალითად, თუ ასამში ნალექები წელიწადში 1200 მილიმეტრამდე ადის, სინდისა და რაჯპუტანას (ტარის) ზოგიერთ ნაწილში 7—8 მილიმეტრს არ აღემატება.

უძველესი მოსახლეობა და კულტურის კერები. ინდოეთის უძველესი მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილების შესახებ დღეისათვის გარკვეულად არაფერია ცნობილი. ამ უზარმაზარ ნახევარკუნძულზე მცხოვრები ხალხები ენობრივად და ანთროპოლოგიურად დღესაც ორ დიდ ჯგუფად იყოფა: ი ნ დ ო ე ვ რ ო პ უ ლ ი და დ რ ა ვ ი დ უ ლ ი. როგორც ვარაუდობენ, ეს უკანასკნელნი ინდოეთში უხსო-

ვარი დროიდან ცხოვრობდნენ (თუმცა არ არის დადგენილი, იყვნენ ისინი აქ ქვეყნის მკვიდრნი თუ არა). ჩვენს დროში ისინი ძირითადად ქვეყნის სამხრეთ ნაწილში სახლობენ.

მეცნიერთა ჯგუფი დრავიდებში შუმერების მონათესავე ეთნიკურ ელემენტს ხედავს. არსებობს ჰიპოთეზა დრავიდების ავსტრალიიდან გადმოსახლების შესახებაც.

დრავიდები ცნობილი იყვნენ როგორც კარგი მეზღვაურები და ვაჭრები. ზოგიერთი მეცნიერი დრავიდულ საზოგადოებაში მატრიარქატის ნიშნებს ხედავს: დრავიდები თაყვანს სცემდნენ დედა-ქალღმერთს და მრავალ დემონს, რომელთა პატივსაცემად ხშირად მსხვერპლად ადამიანსაც სწირავდნენ. ფიქრობენ, რომ მოგვიანო ხანაში მრავალი დრავიდული დემონი არიების პანთეონში შევიდა.

დრავიდების სოციალური ორგანიზაციის შესახებ ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით. ცნობილია მხოლოდ, რომ მათ კასტები არ გააჩნდათ და პირველყოფილ-თემური საზოგადოების პირობებში ცხოვრობდნენ.

ჰარაპა და მოხენჯო-დარო. ჩვენი საუკუნის 20-იან წლებამდე ინდოეთის მეტ-ნაკლებად დასაბუთებულ ისტორიას იწყებდნენ ინდოეთის ტერიტორიაზე არიელების გამოჩენის დროიდან. 1922 წ. ინდოელმა არქეოლოგმა რ. ბ ა ნ ე რ ჯ ი მ დაიწყო გათხრები მ ო ხ ე ნ ჯ ო-დ ა რ ო შ ი (რაც სინდჰის ენაზე „მიცვალებულთა ყორღანს“ ნიშნავს), ხოლო რ ა ი ბ ა ჰ ა დ უ რ დ ა ი ა რ ა მ ს ა ჰ ნ ი მ იმავე წელს აღმოაჩინა ჰ ა რ ა პ ა. მომდევნო წლებში ამ გათხრებს ხელმძღვანელობდა გამოჩენილი მეცნიერი, ინდოეთის არქეოლოგიური სამმართველოს დირექტორი ჯ ო ნ მ ა რ შ ა ლ ი.

ჰარაპასა (დღევანდელი პენჯაბის პროვინცია) და მოხენჯო-დაროში (სინდი) აღმოჩენილმა არქეოლოგიურმა მასალამ შუქი მოჰფინა ინდოეთის ისტორიის უძველეს, არიელებამდე არსებულ ხანას. აღმოჩნდა, რომ ინდის საქალაქო ცივილიზაცია ისევე ძველია, როგორც ეგვიპტისა და შუამდინარეთის კულტურის კერები. მეცნიერთა ერთი ჯგუფი ამ კულტურულ სამყაროს ათარიღებს ძვ. წ. IV—III ათასწლეულით (დაახლოებით 3250—2750 წწ.), მკვლევართა მეორე ჯგუფი კი — III—II ათასწლეულებით. ასეა თუ ისე, ჰარაპასა და მოხენჯო-დაროს კულტურა განეკუთვნება სპილენძისა და ბრინჯაოს იარაღების ინტენსიური გამოყენების ეპოქას. აღნიშნული ლითონებისაგან აქ ამზადებდნენ როგორც შრომის იარაღებს (ნაჯახებს, ნამგლებს, დანებს, ხერხებს, ანკესებს), ისე საბრძოლო იარაღს (სატევრებს, შუბებისა და ისრების თავებს). მოხენჯო-დაროში აღმოაჩინეს ლითონის ცივი და ცხელი დამუშავების სპეციალური ადგილები. სხვა ლითონებიდან აქ იცნობდნენ ოქროს, ვერცხლს, ტყვიას, კალას. ოქ-

რო-ვერცხლისა და სპილენძის გარდა სამკაულებისათვის იყენებდნენ აგრეთვე სპილოს ძვალსა და ძვირფას ქვებს. ქვა აქ იშვიათი იყო და მისგან ამზადებდნენ კერპებს, ქოთნებს, საბეჭდავებს და ა. შ.

მდ. ინდის ხეობაში არსებული ქალაქური ცივილიზაციის საფუძველს საკმაოდ განვითარებული მიწათმოქმედება და მეცხოველეობა წარმოადგენდა. მიწის დამუშავებისას ძირითადად იყენებდნენ გუთანს კაჟიანი სახნისით, ხის კავსა და თოხს. მოჰყავდათ ხორბალი, ქერი და, შესაძლოა ბრინჯი, განვითარებული იყო მებაღეობა და მებოსტნეობა (სხვადასხვა სახის ხილი, განსაკუთრებით კი ფინიკი და ნესვი), თესავდნენ ბამბასა და ქუნჟუთს. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ არქეოლოგებმა ვერ აღმოაჩინეს ხელოვნური ირიგაციის ვერავითარი კვალი.

შინაურ ცხოველთაგან აშენებდნენ ძროხას, ხარს, ცხვარს, ღორს. განვითარებული უნდა ყოფილიყო მექათმეობა და მეთევზეობა.

საქალაქო ცენტრებში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ხელოსნობას. კარგად იცნობდნენ რთვას, ფეიქრობას (ვარაუდობენ, რომ ინდის ხეობის მოსახლეობამ მსოფლიოში პირველმა აითვისა ბამბის რთვა და ქსოვა), სამეთუნეო საქმეს (ჩარხზე ამზადებდნენ საკმაოდ კარგად დამუშავებულ, მოხატულ ორნამენტირებულ თუ გამომწვარ თიხის ჭურჭელს), ოქრომჭედლობას, ქვისა და სპილოს ძვლის დამუშავებასა და სხვ. აღმოჩნდა როგორც საშინაო, ისე საგარეო ვაჭრობის აშკარა ნიშნები (მაგალითად, ელამთან და შუამდინარეთთან). საქონელი გაჰქონდათ და შემოჰქონდათ არა მარტო ხმელეთის გზით, არამედ ზღვითაც.

თვით ქალაქი საკმაოდ დიდი ხელოვნებით იყო აგებული. აქ ვიწრო და ფართო ქუჩებზე განლაგებული იყო სახლები, ტაძრები და სასახლეები. ნაგებობათა ერთ-ერთ დამახასიათებელ არქიტექტურულ ელემენტს საფეხურიანი თაღები წარმოადგენდა. ქალაქში იყო მრავალი აბანო, ჭა, კანალიზაციის საქალაქო სისტემა. ნაგებობათა შორის ნაპოვნია 2 ათასზე მეტი საბეჭდავი, მრავალი იარაღი, სამკაული, საწონი, სახაზავი და სხვ.

ბევრი მკვლევრის აზრით, ინდოეთის უძველესი საქალაქო ცივილიზაცია მდ. ინდის დაბლობში დრავიდების მიერაა შექმნილი, თუმცა დღეს არავინ იცის, რა ენაზე ლაპარაკობდნენ ამ ქალაქების მკვიდრნი. ვარაუდობენ აგრეთვე, რომ აქ, შესაძლოა, სულ ცოტა სამი ეთნიკური სამყაროს (ხმელთაშუაზღვისპირეთის, კავკასიისა და რომელიღაც უცნობი რასის) წარმომადგენლები იყრიდნენ თავს. აქ, სხვათა შორის, მონღოლოიდის ჩონჩხიცაა ნაპოვნი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მოხენჯო-დაროში აღმოჩენილი საბეჭდაეები მოგვაგონებენ შუმერულ საბეჭდავებს გილგამეშისა და

ენკიდუს გამოსახულებით. ამავე დროს, ინდის ხეობაში შექმნილ ბევრ საბეჭდავს მეცნიერებმა მიაკვლიეს შუამდინარეთშიც (ურში, თელ-ასმერში). მათზე აღბეჭდილია რომელიღაც არქაული დამწერლობის ნიშნები, მაგრამ მათი გაშიფვრა, ვიუხედავად მრავალი ცდისა, დღემდე არ ხერხდება.

იყო ცდა ინდის უძველესი კულტურის სამყარო დაეკავშირებინათ არიელებთან, მაგრამ ამის დამამტკიცებელი დამაჯერებელი საბუთი არ აღმოჩნდა. მოხენჯო-დაროსა და ჰარაპას ქალაქური ცივილიზაცია მკვეთრად განსხვავდება ვედებში აღწერილი სასოფლო ცივილიზაციისაგან: არიელები იყენებენ ცხენს, ინდის ხეობის მოსახლეობა კი არ იცნობს ამ ცხოველს. პირველნი თაყვანს სცემენ ძროხას, მეორენი — ხარს. დედა-ქალღმერთის კულტი და კერპთაყვანისმცემლობა, რაც გავრცელებული იყო ჰარაპასა და მოხენჯო-დაროში, სრულიად უცნობია ვედური არიელებისათვის, რომელთა პანთეონი ძირითადად მამრობითი სქესის ღვთაებებისაგან შედგებოდა.

დაახლოებით ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებისათვის ინდის ხეობის კულტურა დაემხო, როგორც ჩანს, მოულოდნელი შემოსევის შედეგად. შესაძლოა ესენი სწორედ არიელები იყვნენ; ყოველ შემთხვევაში, აშკარაა, რომ დამპყრობელთა კულტურა შესამჩნევად უფრო დაბალ საფეხურზე იდგა, რასაც ჯ ე უ კ ა რ შ ი აღმოჩენილი კულტურული ფენა ადასტურებს.

ჰარაპასა და მოხენჯო-დაროს კულტურა, ყველა მონაცემის მიხედვით, ადრეკლასობრივი საზოგადოების ნიმუშს წარმოადგენს. ასეთ საზოგადოებაში აშკარად შეინიშნება ეკონომიკური და სოციალური დიფერენციაციისა და სახელმწიფოებრიობის აღმოცენების ნიშნები.

§ 2 ძველი ინდოეთის ისტორიის წყაროები

არიული ინდოეთის ისტორიული განვითარების შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ვ ე დ ურ ლიტერატურას, რომელიც შედგენილია ე. წ. ვ ე დ ურ ს ა ნ ს კ რ ი ტ ზ ე.

სიტყვა „ვედა“ ნიშნავს (რელიგიურ) ცოდნას. მეცნიერთა აზრით, ვედები შეიქმნება დაახლოებით ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოსა და I ათასწლეულის პირველ ნახევარში. ისინი შედგება ოთხი კრებულისაგან, რომელთაც ს ა მ ი ტ ე ბ ი ეწოდება: რ ი გ ვ ე დ ა — ჰიმნების ვედა, ს ა მ ა ვ ე დ ა — სიმღერების ვედა, ი ა ჯ უ რ ვ ე დ ა — ლოცვათა და სამსხვერპლო ფორმულების ვედა, ა თ ჰ ა რ ვ ა ვ ე დ ა — შელოცვათა ვედა.

ამ სამჰიტებს შორის უძველესია რიგვედა, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, უნდა შექმნილიყო ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოს პენჯაბის ოლქში. ამ კრებულის ძირითადი ნაწილი (6 „ციკლი“ ათიდან) ეხება პირველყოფილ-თემური საზოგადოების პერიოდს. ამ დროისათვის ინდოეთის კულტურული განვითარების ცენტრმა ინდის ხეობიდან განგისა და ჯამნას შუამდინარეთის რაიონში გადაინაცვლა.

ვედურ ლიტერატურას განეკუთვნება აგრეთვე მოგვიანო ხანის რელიგიურ-ფილოსოფიური კომენტარები — ბრაჰმანები, არანიაკები და უპანიშადები, რომლებიც თან ერთვიან ცალკეულ სამჰიტებს.

საინტერესო ისტორიულ ცნობებს შეიცავენ ბუდისტებისა და ჯაინების სარწმუნოებრივი ნაშრომები და ზოგიერთი მეცნიერული შრომა ასტრონომიაში (მაგალითად, გარგისამჰიტა) და გრამატიკაში (მაგალითად, პანინის „აშთადჰიაი“ და პატანჯალის „მაჰაბჰაში“). საყურადღებო ცნობებია დაცული აგრეთვე ლიტერატურულ თხზულებებში (მაგალითად, კალიდასასა და ბჰასის ნაწარმოებებში).

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ VI—V საუკუნეების დიდ ეპიკურ პოემას „მაჰაბჰარატასა“ და შედარებით მოგვიანო ხანაში შექმნილ ეპოსს — „რამაიანას“.

პირველ ნაწარმოებში მოთხრობილია ორი სამეფო გვარის (პანდუსა და კურუს) ხანგრძლივ ბრძოლაზე ძალაუფლებისათვის, რაც, შესაძლოა, რეალური ისტორიული სინამდვილის გარკვეულ ასახვას წარმოადგენს.

რაც შეეხება „რამაიანას“, მისი საწყისი უნდა ვეძიოთ არიელებამდელ, ანუ დრავიდული ტომების სანადირო ეპოსში. ფიქრობენ, რომ ამ ნაწარმოებში ასახულია ჩრდილოეთიდან მოსული ტომების მიერ ლანკას დაპყრობის რეალური ფაქტი.

ინდოელებმა უძველესი დროიდან დატოვეს წარწერები ლითონისა (ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს, სპილენძის) და თიხის ფირფიტებზე, თიხის ჭურჭელზე, ქვაზე, აგურზე და ა. შ. წარწერების დიდი უმრავლესობა სავსეა ცნობებით მსხვერპლად შეწირვის შესახებ. ეპიგრაფიკული ძეგლების ნაწილი შეიცავს ამა თუ იმ ისტორიული ამბის მოკლე მკაფიო აღწერას.

ამ წარწერებიდან შეიძლება ამოიკრიფოს არა მარტო ისტორიული მნიშვნელობის ფაქტები, არამედ ცნობებიც ძველი ინდოეთის ეკონომიკური. სოციალური და პოლიტიკური ვითარების შესახებ.

ინდოეთის ძველი ისტორიის შესწავლისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ ტექსტებს, რომლებიც მცირე აზიასა (ბოღაზ-ქოი-

ში) და ირანში (პერსეპოლისში და ნაქშ-ი-რუსთამში) აღმოჩნდა. ინდოეთის ძველი ისტორიის შესწავლის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბერძენ, რომაელ, ჩინელ და ტიბეტელ მწერალთა, ისტორიკოსთა და მოგზაურთა ცნობებს. ზოგიერთ მათგანს თვითონ უმოგზაურია ინდოეთში და მოგვითხრობს ყველაფერს, რაც საკუთარი თვალით უნახავს. სხვანი, მართალია, ინდოეთში არ ყოფილან, მაგრამ სარგებლობენ ძველი წყაროებით, რომელთა უდიდესმა ნაწილმა ჩვენამდე არ მოაღწია.

ძველი ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე არასდროს ყოფილა ინდოეთში, მაგრამ იგი საკმაოდ დამაჯერებლად მოგვითხრობს სპარსელების მიერ ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთის დაპყრობის შესახებ. ინდოეთში ალექსანდრე მაკედონელის შეჭრისა და ქვეყანაში იმდროინდელი სოციალურ-პოლიტიკური ვითარების შესახებ საიმედო ცნობებს გვაწვდიან ბერძენი და რომაელი მწერლები — კვინტუს კურციუსი, დიოდორე, არიანე, პლუტარქე და სხვანი. მათი ნაშრომები ერთადერთი წყაროა ინდოეთის აღნიშნული პერიოდის ისტორიისათვის (ინდური ლიტერატურა და ეპიგრაფიკული ძეგლები ამ საკითხთან დაკავშირებით დუმან).

მაურიების სამეფოს დროინდელი ცნობები პოლიტიკური განვითარებისა და საზოგადოებრივი ინსტიტუტების შესახებ მოიპოვებოდა მეგასთენის „ინდიკაში", მაგრამ ამ ნაწარმოებებმა ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ცალკეული ციტატების სახით, რომელთა უმრავლესობა შემოინახა არიანეს, სტრაბონის, იუსტინესა და სხვა ანტიკური ხანის ავტორთა თხზულებებში. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის უცნობი ავტორის (ფსევდოარიანეს) „ერიტრეის ზღვის პერიპლუსს" და პტოლემაიოსის „გეოგრაფიას".

მაურიების დინასტიის დამხობის შემდგომ ხანას აგვიწერენ ჩინელი ისტორიკოსები — ფა სიანი, სიუან ძიანი და სხვანი. ჩინელი და ტიბეტელი ავტორების (განსაკუთრებით ტარანათჰა ტიბეტელის) ცნობები საშუალებას გვაძლევენ მეცნიერულად შევისწავლოთ ძველ ინდოეთში გავრცელებული რელიგიურ-ფილოსოფიური წარმოდგენები, კერძოდ, ბუდიზმის ისტორია.

ყველა ამ წერილობით წყაროსთან ერთად, ინდოეთის უძველესი ხანის ისტორიის რეკონსტრუქციისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს არქეოლოგიურ გათხრებს, რომლებიც ინდოეთის თითქმის მთელ ტერიტორიაზე, განსაკუთრებით კი ინდისა და განგის აუზებში წარმოებს. სწორედ ამ გათხრებმა მოგვცეს საშუალება შეგვესწავლა ინდოეთის ისტორიის უძველესი ხანა, აღგვედგინა ჰარაპასა და მოხენჯო-

დაროს კულტურული კერები, გარკვეული წარმოდგენა შეეგვექმნა არიელებამდელი პერიოდის ინდოეთზე.

არქეოლოგიურ ძიებას არანაკლები მნიშვნელობა აქვს აგრეთვე არიელთა გამოჩენის დროის საკითხისა და მომდევნო პერიოდების ისტორიის სხვადასხვა პრობლემის შესასწავლად.

§ 3. არიელები ინდოეთში

არიელების გამოჩენა ინდოეთში. მეცნიერებაში გაბატონებულია შეხედულება იმის შესახებ, რომ არიელთა ტომები გამოჩნდნენ ინდოეთში ძვ. წ. III ათასწლეულის მიწურულსა და II ათასწლეულის დასაწყისში. ამ ხანიდან მოყოლებული ისინი საუკუნეების მანძილზე ვრცელდებოდნენ და სახლდებოდნენ ინდოეთის მთელ ტერიტორიაზე.

თვით სიტყვა ა რ ი ა (ანუ ა ი რ ი ა) სანსკრიტზე ნიშნავს „ერთგულს", ერთი და იმავე ეთნიკური ერთეულის წარმომადგენელს. იგი უპირისპირდება დ ა ს ა-ს (ანუ დ ა ს ი უ ს), რომლითაც ძველინდურ ლიტერატურაში აღინიშნებოდა მტერი, ინდოეთის უძველესი მოსახლეობა — დრავიდები, რომლებიც აქ დახვდნენ არიელთა შემოჭრილ ტომებს. საიდან მოვიდნენ ეს ტომები — დღეს ცნობილი არ არის. მეცნიერთა ერთი ნაწილი მიუთითებს ცენტრალურ აზიაზე, ხოლო სხვანი — აღმოსავლეთ ევროპაზე. ავტორთა მეტად მცირე ნაწილს მიაჩნია, რომ არიელები ინდოეთის მკვიდრ მოსახლეობას წარმოადგენდნენ (ეს თვალსაზრისი დღეს ფაქტიურად უკუგდებულია მეცნიერთა მიერ).

არიული ე ნ ა — ვ ე დ ი ს ი ს ა ნ ს კ რ ი ტ ი — ინდოევროპულ ენათა ჯგუფს განეკუთვნება და მეტად ახლოს დგას ძველსპარსულსა და „ავესტის" ენასთან. ფიქრობენ, რომ ინდო-არიული და სპარსული დიალექტების დიფერენცირება ერთიანი ენის შიგნით მოხდა მხოლოდ ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში.

ინდოეთში არიელების გამოჩენის ხანას უკავშირებენ რ ი გ ვ ე დ ა ს ჰიმნების შედგენის პერიოდს, ე. ი. ძვ. წ. 2500—2000 წწ. (სხვა მოსაზრების მიხედვით, ძვ. წ. 1500—1000 წწ.).

არიელების პირველი ნაკადი იპყრობს ავღანეთს და ჩრდილოდასავლეთიდან იჭრება პენჯაბში. შემდეგ არიელები ჯამნასა და განგის მიმართულებით მიემართებიან და აღწევენ ჰიმალაის მთებს, ე. ი. სახლდებიან ძირითადად ჩრდილოეთში. ამ დროს მათ ჯერ კიდევ ვერ მიუღწევიათ ვ ი ნ დ ჰ ი ა ს მთებამდე და მდინარე ნ ა რ ბ ა დ ა მ დ ე. არიელების მიერ ამ ეტაპზე დაპყრობილი ტერიტორიის ძირითად

ნაწილს საპტასინდჰუ (შვიდმდინარეთი) წარმოადგენს. ადრეულ ვედურ ხანაში პოლიტიკური აქტივობით გამოირჩევიან არიელთა შემდეგი ტომები: მდ. სარასვატის აუზში — ბჰარატები, პურუ და სრინჯაია, მდ. ინდისა და ჩენაბის ნაპირებზე — კურუ.

მომდევნო პერიოდში (ე. წ. გვიან ვედურ ხანაში) არიელები განაგრძობენ მძაფრ ბრძოლებს ადგილობრივ არაარიულ მოსახლეობასთან და თანდათანობით მიიწევენ არა მარტო აღმოსავლეთისაკენ, არამედ სამხრეთისკენაც.

ადგილობრივი მოსახლეობა (დასა) თავისი განვითარებით უფრო მაღალ საფეხურზე იდგა, რასაც თუნდაც ჰარაპასა და მოხენჯო-დაროს ძეგლები ადასტურებენ.

მართალია, არიელების შემოსევამ ამ კულტურას ბოლო მოუღო, მაგრამ ადგილობრივ ცივილიზაციას არ შეიძლება არ მოეხდინა გარკვეული გავლენა შემოჭრილ ტომებზე, არ დაეჩქარებინა პირველყოფილ-თემური საზოგადოების დაშლისა და სოციალური დიფერენციაციის პროცესი, რის შედეგად იქმნებოდა კლასობრივი საზოგადოება და სახელმწიფო.

მიუხედავად ამისა, მოსული არიელები ქედმაღლურად უყურებდნენ და დასცინოდნენ ადგილობრივ შავკანიან და „უცხვირო" ადამიანებს, იმონებდნენ მათ და დევნიდნენ მშობლიური ადგილებიდან მთებსა და ტყეებში. ყოველივე ამის შედეგად ადგილობრივი მოსახლეობის ერთი ნაწილი განადგურდა, ხოლო მეორე ნაწილი — ასიმილირებულ იქნა არიელ ტომთა მიერ.

არიელთა სამეურნეო ცხოვრება. არიელ ტომთა უმრავლესობა მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდა და ძირითადად მესაქონლეობას მისდევდა. რიგვედაში (ვედების ამ უძველეს ნაწილში) ნახსენებია ძროხები, ცხენები, ცხვრები, თხები, სახედრები, ძაღლები. მაგრამ ხულ მალე არიელები ბინადარ ცხოვრებაზე გადავიდნენ და თანდათანობით დაიწყეს მიწის დამუშავებაც, მოჰყავდათ რა ხორბალი, ქერი, ქუნეუთი, შაქრის ლერწამი, ბამბა, სხვადასხვა სახის ხილი და ბოსტნეული. ამ დროს უკვე ჩნდება პირველი პრიმიტიული სარწყავი სისტემებიც.

ინდის აუზის უძველესი საქალაქო ცივილიზაციისაგან განსხვავებით არიელთა იმდროინდელ კულტურას ხშირად „სასოფლო ცივილიზაციას" უწოდებენ, რადგან მას საფუძვლად სოფლის მეურნეობა (მესაქონლეობა და მიწათმოქმედება) ედო.

არიელები ძირითადად სპილენძისა და ბრინჯაოს იარაღებს ხმარობდნენ. მხოლოდ ათჰარვავედაში (ვედების უგვიანეს ნაწილში) არის ნახსენები რკინის იარაღები, რომლებიც ძვ. წ. II—I ათასწლეულის

მიჯნაზე ჩნდება. ახლა გუთანი უფრო დამძიმდა და მასში რამდენიმე უღელ ხარს აბამდნენ.

მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებასთან ერთად საკმაოდ განვითარებული იყო ნადირობა (ლომებზე, გარეულ ღორებზე, კამეჩებზე, ანტილოპებზე, ჩიტებზე) და, როგორც ჩანს, მეთევზეობა. არიელების კერძი ძირითადად პურის, კარაქის, ხილისა და ბოსტნეულისაგან შედგებოდა. ხორცს ჭამდნენ მხოლოდ სადღესასწაულო დღეებში. ძროხებსა და ხარებს კლავდნენ მხოლოდ სამსხვერპლოდ და სტუმართა პატივსაცემად. დიდად აფასებდნენ სპირტიან სასმელებს (ს ო მ ა ს, ს უ რ ა ს). სომას, მაგალითად, სვამდნენ მხოლოდ გარკვეული რელიგიური რიტუალის დროს.

საკმაოდ განვითარებული იყო ხელოსნობაც, განსაკუთრებით ისეთი დარგები, როგორიცაა მესპილენძეობა, მჭედლობა, ნავმშენებლობა, მეტყავეობა, ხუროობა, დურგლობა, ოქრომჭედლობა და სხვ. შეინიშნებოდა ვაჭრობის განვითარების პირველი ნაბიჯები, ხოლო ფულის როლს ხარები და ოქროს სამკაულები ასრულებდნენ.

არიული სოციალური ორგანიზაცია და ოჯახი. არიელთა უძველესი საზოგადოების სტრუქტურის აღდგენა მხოლოდ ვედური ლიტერატურის საფუძველზე შეიძლება.

რიგვედაში შემორჩა იმ უძველესი ხანის გამოძახილი, როდესაც არიელებმა აითვისეს ცეცხლი (ა გ ნ ი), საიდანაც მათი წარმოდგენით, წარმოიშვა ყოველივე, რაც კი არსებობს ამ ქვეყნად: სიმდიდრე, განვითარება, ბედნიერება და თვით სიცოცხლეც, ამდროინდელი არიელები სისხლით ნათესაობის პრინციპის მიხედვით გვარებად (გ ა ნ ა) იყვნენ გაერთიანებული და კოლექტიურად შრომობდნენ პირველყოფილ-თემური საზოგადოების პირობებში. ყოველი გვარის ცენტრი „ს ა მ ი დ ჰ ი“ (კერა) იყო.

გვაროვნული წყობილების პირველ საფეხურზე კასტური სისტემა ჯერ არ არსებობდა. კასტური სისტემა წარმოიშვა როგორც საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაციის შედეგი, ამ დიფერენციაციის გარკვეული ფორმა კლასობრივი საზოგადოების ჩასახვისა და განვითარების პერიოდში.

მართალია, უკვე რიგვედას დროს იხსენიება საზოგადოების დაყოფა ქ შ ა ტ რ ი ე ბ ა დ (სამეურნეო და სამხედრო მმართველებად), ბ რ ა ჰ მ ა ნ ე ბ ა დ (ქურუმებად) და საზოგადოების რიგით წევრებად, რომლებიც შეადგენდნენ ვ ი შ ს, მაგრამ დასაწყისში ყველა სათემო და სატომო თანამდებობა არჩევითი იყო და მისი დაკავება პოლიტიკურ გაბატონებას არ მოასწავებდა. ერთ-ერთ ძველ ინდურ ტექსტში ვკითხულობთ: „არ არსებობს სხვაობა ვარნებს შორის: (და-

საწყისში) მთელი მსოფლიო ბრაჰმანებისაგან შედგებოდა, მხოლოდ შემდგომ პირველშობილნი ბრაჰმანები გაიყვნენ ვარნებად მათი საქმიანობის მიხედვით".

ვ ა რ ნ ა სანსკრიტულ ენაზე „ხარისხს, კატეგორიას" ნიშნავს და მას ევროპულ ენებში პორტუგალიური სიტყვა „კასტა" შეესატყვისება (ცნობები ინდოეთში კასტური სისტემის არსებობის შესახებ ევროპელებს პირველად სწორედ პორტუგალიელებმა გააცნეს).

ბ რ ა ჰ მ ა ნ ე ბ ი (ქურუმები) ქმნიდნენ უმაღლეს კასტას (ვარნას) და ძველ ინდურ ლიტერატურაში მათ ხშირად ღმერთებსაც კი უწოდებდნენ. შემდგომ საფეხურზე იდგნენ ქ შ ა ტ რ ი ე ბ ი (მეომართა და საერთოდ მმართველთა კასტა), რომელთაც ჩვეულებრივად „მეფეებს" უწოდებდნენ. თავისუფალთა კლასის მშრომელი მოსახლეობა, რომელიც მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებას მისდევდა, ვ ა ი შ ი ე ბ ი ს ვარნას შეადგენდა.

მეოთხე კასტას, რომელიც ძირითადად დამარცხებულ ტომთა წარმომადგენლებისაგან და უთვისტომო ელემენტებისაგან შედგებოდა, შ უ დ რ ე ბ ი ქმნიდნენ.

ბრაჰმანების უზენაესობა და კასტებს შორის სოციალური სხვაობა დაცული იყო კანონით. მაგალითად, ქშატრიის მკვლელობისათვის იხდიდნენ იმის მეოთხედს, რაც დაწესებული იყო ბრაჰმანის მკვლელობისათვის, ვაიშიის მკვლელობისათვის — მერვედს, ხოლო შუდრისა — მეთექვსმეტედს.

ყოველ ვარნას ცხოვრებისა და მოღვაწეობის საკუთარი კანონი (დჰარმა) ჰქონდა. პოლიტიკური ძალაუფლება და მმართველობის სისტემა პირველი ორი კასტის ხელში იყო. ამასთან, ქურუმთა მოვალეობა ეკისრებოდა ბრაჰმანებს, ხოლო სამხედრო საქმე — ქშატრიებს. ვაიშიების მოვალეობას შეადგენდა მეცხოველეობა, მიწის დამუშავება, ვაჭრობა და ხელოსნობა (ძველინდურ საზოგადოებაში შრომა არ ითვლებოდა სამარცხვინო საქმედ). რაც შეეხება შუდრებს, ისინი ვალდებულნი იყვნენ ემსახურათ პირველი სამი კასტის წარმომადგენლებთან.

ყოველივე ეს იმაზე ლაპარაკობს, რომ კასტური სისტემა ინდოეთში საბოლოოდ ჩამოყალიბდა საზოგადოებაში სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაციის შედეგად, სახელმწიფოებრიობის ფორმირების პირობებში.

ვაიშიები და შუდრები, როგორც წესი, მოსახლეობის ჩაგრულ ნაწილს შეადგენდნენ, მაგრამ ისინი მონები არ იყვნენ. შესაძლებელი იყო, რომ ზოგიერთი მათგანი (განსაკუთრებით შუდრა) გარკვეულ პირობებში მონაც გამხდარიყო. მაგრამ ეს ფაქტი არ განსაზღვრავდა

ამ ვარნების სოციალურ მდგომარეობას. ასეთ შემთხვევაშიც კი მონა-შუდრა ან მონა-ვაიშია არ კარგავდა სოციალურ და ნათესაურ კავშირს საკუთარ ვარნასთან, რომელიც მას გარკვეულად მფარველობდა და ცდილობდა შეექმნა მათთვის შედარებით უკეთესი პირობები, ვიდრე მონების ძირითად მასას გააჩნდა.

მონა ინდოეთში ტერმინით „დ ა ს ა“ აღინიშნებოდა. როგორც ვიცით, ეს სიტყვა დასაწყისში ნიშნავდა ინდოეთის არიელებამდელ მოსახლეობას, არაარიელებს, „უცხოელს“, „ტყვეს“. აქედან იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ პირველი მონები ინდოეთში გაჩნდნენ არიელების მიერ ადგილობრივი მოსახლეობის სამხედრო ძალით დამორჩილების შედეგად. ამგვარად, მონობის მთავარ, მაგრამ არა ერთადერთ წყაროს წარმოადგენდა სამხედრო ტყვეობა. მანუს კანონების მიხედვით, „ხელთგდებული დროშის ქვეშ (ე. ი. სამხედრო ტყვე), მონა კვების გამო (ე. ი. თუ ვინმემ გამოკვება მშიერი ადამიანი, მას შეუძლია დაიმონოს იგი), დაბადებული სახლში (ე. ი. დაბადებით მონა), ნაყიდი, ნაჩუქარი, მემკვიდრეობით მიღებული, მონა სასჯელის გამო — ასეთია მონების შვიდი სახეობა“.

მონა, ჩვეულებისამებრ, ისეთივე საკუთრება იყო, როგორც პირუტყვი. „მაჰაბჰარატაში“ ვკითხულობთ: „ძროხა, თხა, ადამიანი (მ ა ნ უ ჯ ა — იგულისხმება მონა), ცხვარი, ცხენი, ჯორი, სახედარი — ეს შვიდეული მცოდნეთა მიერ ითვლება შინაურ ცხოველებად“. ამიტომ მონათმფლობელის ძალაუფლება მონაზე ფაქტიურად შეუზღუდველი იყო. მონებს ხშირად „ორფეხა პირუტყვს“ უწოდებდნენ და დღედაღამ ამუშავებდნენ. ერთ-ერთ ძველინდურ ტექსტში ნათქვამია: „თუ მსახური ფულითაა ნაყიდი, მისი ცხოვრება — მეპატრონის ხელშია; არ ითვლება დანაშაულად, თუ ასეთ მსახურს სიცოცხლეს წაართმევ“. მონას არ გააჩნდა იურიდიული უფლება: მას არ შეეძლო გარიგებაში მიეღო მონაწილეობა ან მოწმედ გამოსულიყო სასამართლოში. მონა თავისუფლად იყიდებოდა, საჩუქრად ან გირაოდ გაიცემოდა. იყო თვითგაყიდვისა და თვითჩუქების შემთხვევებიც, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მონობა ძველინდურ საზოგადოებაში პატრიარქალურ ხასიათს ატარებდა და ხშირად მონის მდგომარეობა არაფრით განსხვავდებოდა ოჯახის ზოგიერთი წევრის მდგომარეობისაგან. მაგალითად, მანუს კანონებში ვკითხულობთ: „ცოლი, შვილი და მონა — სამივე ითვლება საკუთრებას მოკლებულ პირებად; მათ მიერ შეძენილი ქონება ეკუთვნის იმას, ვისიც ისინი არიან“.

აღნიშნულის მიუხედავად, მონების გარკვეულ კატეგორიებს არ ჰქონდათ სრულიად დაკარგული ადამიანური ღირსება. ამაზე ისიც უნდა ლაპარაკობდეს, რომ ასეთი მონები გათანაბრებული იყვნენ

ოჯახის თავისუფალ წევრებთან. მათ ჰქონდათ საკუთრების შეძენის გარკვეული უფლება. ძველინდურ ნაწარმოებში „ართჰაშასტრაში“ ვკითხულობთ: „დაე. მიიღოს მონამ ფის მიერ პატრონისათვის ნუშაობაში დანაკლისის გარეშე შეძენილი და აგრეთვე მემკვიდრეობა და საჩუქარი... მონის ქონების მემკვიდრენი მისი ნათესავები არიან, მხოლოდ მათი არარსებობის შემთხვევაში — პატრონი“.

ინდურ ტექსტებში იხსენიება ისეთი მონებიც, რომელთაც თვითონ ჰყავდათ მონები, ჰქონდათ საკუთარი ოჯახი, შეეძლოთ ჩვენება მიეცათ სასამართლოში (თუ არ იყო თავისუფალი მოწმე) და ა. შ.

მონათა რიცხვი ძველ ინდოეთში შედარებით მცირე იყო და წარმოებაში ძირითადად თავისუფალი მოსახლეობა მონაწილეობდა. ამიტომ, როგორც ჩანს, მონა განსაკუთრებული სიმდიდრის მაჩვენებელი იყო და მას საკმაოდ მაღალი ღირებულება ჰქონდა. მისი ფასი ცხენის ფასსაც კი აღემატებოდა, იგი 2 1/2-ჯერ უფრო ძვირი იყო, ვიდრე ძროხა ან კამეჩი, 20-ჯერ უფრო ძვირი — ვიდრე ცხვარი.

მონა, როგორც წესი, შინამოსამსახურე იყო. მაგრამ მსხვილ მეურნეობაში (მეფის ნიწებზე, სახელოსნოებში, მსხვილ მიწათმფლობელებთან) იგი წარმოებაშიც იყო ჩაბმული.

პირველი სახელმწიფოები. ინდური ისტორიული ტრადიცია უძველესი სახელმწიფოების შექმნას მ თ ვ ა რ ი ს ა და მ ზ ი ს დ ი ნ ა ს ტ ი ე ბ ს უკავშირებს. პირველი ბატონობდა განგის ზედა წელში და მას ეკუთვნოდა ლეგენდარული მეფე ბ ჰ ა რ ა ტ ა და „მაჰაბჰარატას“ გმირები — პ ა ნ დ ა ვ ე ბ ი და კ ა ურ ა ვ ე ბ ი. ბადმოცემის თანახმად, ბჰარატამ დაიმორჩილა არა მარტო ჩრდილოეთ ინდოეთი, არამედ მთელი ნახევარკუნძული და შექმნა ერთიანი სახელმწიფო ბ ჰ ა რ ა ტ ვ ა რ შ ა (ბჰარტის ქვეყანა). საგულისხმოა, რომ დღევანდელი ინდოეთის რესპუბლიკის ოფიციალურ სახელწოდებასაც ბჰარატა წარმოადგენს.

რაც შეეხება მზის დინასტიას, იგი შედარებით მოგვიანო ხანაში გაბატონდა მდ. განგის დინების შუა წელში. ყველაზე გამოჩენილი მეფე ამ სამეფო გვარიდან რ ა მ ა („რამაიანას“ გმირი) იყო. სწორედ განგის ზემო დინებისაკენ გადმოინაცვლა ინდოეთის პოლიტიკური ცხოვრების ცენტრმა ვედური ეპოქის დამთავრების შემდეგ. ამ ქვეყანას ინდოელები მ ა დ ჰ ი ა დ ე შ ა ს (ე. ი. „შუა ქვეყანას“) უწოდებდნენ.

ყველა ეს ცნობა მითოლოგიურ ხასიათს ატარებს და ასახავს ინდოეთში არსებულ რეალურ ვითარებას ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულიდან I ათასწლეულის პირველი ნახევრის ბოლომდე.

ძვ. წ. VI ს. დასაწყისში განგისა და ჯამნას რაიონში და უფრო სამხრეთით, ძველი გადმოცემების თანახმად, არსებობდა 16 სახელმ-

წიფო. თავდაპირველად გაძლიერდა კაშის სახელმწიფო და მან ერთგვარ წარმატებასაც მიაღწია, მაგრამ ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად ბოლოს გაიმარჯვა კოსალამ, რომელმაც დაიმორჩილა რამდენიმე მეზობელი სამეფო.

§ 4. მაგადჰას სახელმწიფო

მაგადჰას სამეფოს გაძლიერება. ძვ. წ. VI ს. შუა ხანებიდან თანდათანობით ძლიერდება განგის შუა წელის სამხრეთით მდებარე სამეფო მ ა გ ა დ ჰ ა, რომლის სათავეში ამ დროისათვის დგას მეფე ბ ი მ ბ ი ს ა რ ა ჰ ა რ ი ა ნ ტ ა ს დინასტიიდან. მან საგრძნობლად გააფართოვა სამეფოს ტერიტორია. ძველი გადმოცემის თანახმად, მის სახელმწიფოში შედიოდა 80.000 დასახლება.

ბიმბისარა მოკლა მისმა შვილმა ა ჯ ა ტ ა შ ტ უ მ, რომლის დროსაც მაგადჰა იქცა უძლიერეს სახელმწიფოდ ჩრდილო ინდოეთში. მეფე უ დ ა ი ნ ი ს შემდეგ (მან გადაიტანა დედაქალაქი რ ა ჯ ა გ რ ი ჰ ი დ ა ნ პ ა ტ ა ლ ი პ უ ტ რ ა შ ი) სახელმწიფოში იწყება ხანგრძლივი შინაპოლიტიკური ბრძოლები. ყოველი მეფის მმართველობა ხანმოკლეა და მეფეთა უმრავლესობა არაბუნებრივი სიკვდილით კვდება.

ამ გართულებებით ისარგებლა დაბალი წარმოშობის ადამიანმა მ ა ჰ ა პ ა დ მ ა ნ ნ ა ნ დ ა ს (იგი, გადმოცემის თანახმად, მეძავი ქალისა და დალაქის შვილი იყო; დედამისი შუდრას კასტას ეკუთვნოდა), რომელმაც მოკლა ჰარიანტას დინასტიის უკანასკნელი მმართველი კ ა ლ ა შ ო კ ა შვილებითურთ და გამეფდა. ძველი ცნობების მიხედვით მან მოაკვლევინა ყველა ქშატრია.

მაჰაპადმამ დაიპყრო და დაიმორჩილა ქვეყნის უდიდესი ნაწილი. იგი ინდოეთში პირველი იმპერიის დამაარსებლად ითვლება. ნანდას დინასტია არსებობდა ალექსანდრე მაკედონელის შემოსევამდე. ამ სამეფო გვარის უკანასკნელი წარმომადგენელი — ა გ რ ა მ ე ს ი — დაამხო ჩ ა ნ დ რ ა გ უ პ ტ ა მ ა ურ ი ა მ.

სპარსელებისა და ბერძნების შემოსევები. როგორც დავინახეთ, VI ს. მეორე ნახევარში ქვეყნის პოლიტიკურმა ცენტრმა აღმოსავლეთით — ჯამნა-განგის აუზისაკენ — გადაინაცვლა. პენჯაბში არსებობდა მხოლოდ ერთი სუსტი სახელმწიფო მ ა დ რ ა. ამით ისარგებლა აქემენიანთა სპარსეთმა და ინდოეთის დამორჩილება ცადა. უკვე კიროსმა დაიმორჩილა მთელი ტერიტორია მდინარე ქაბულიდან ინდამდე. დ ა რ ი ო ს I-მა დაიპყრო გ ა ნ დ ჰ ა რ ა და ინდის ხეობა (519—

518 წ.). სწორედ ამ ტერიტორიებზე დაარსდა სპარსეთის მეშვიდე და მეთორმეტე სატრაპიები.

ძვ. წ. IV საუკუნისათვის სპარსელთა ძალაუფლება ინდოეთის მიწა-წყალზე სუსტდება და, როგორც ჩანს, მხოლოდ ნომინალურ ხასიათს ატარებს. ამ დროისათვის პენჯაბში უკვე არსებობს რამდენიმე ფაქტიურად დამოუკიდებელი სახელმწიფო: ტ ა ქ ს ი ლ ა, ა რ ს ა კ თ ა სახელმწიფო, პ ო რ ი ს სამეფო, ს ო ფ ი ტ ა და სხვ.

ამ სახელმწიფოთა ერთ ნაწილში მონარქიული მმართველობა იყო, ხოლო მეორე ნაწილი ოლიგარქიული რესპუბლიკებისაგან შედგებოდა.

ძვ. წ. IV ს. 20-იანი წლების დასაწყისში ინდოეთში გამოჩნდა ახალი მტერი — ბერძენთა და მაკედონელთა ლაშქარი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე მ ა კ ე დ ო ნ ე ლ ი ს მეთაურობით.

სპარსეთის დაპყრობის შემდეგ ძვ. წ. 327 წ. ალექსანდრე მაკედონელმა გადალახა ჰინდუკუშის მთები და მივიდა მდ. ინდამდე, რომლის გადალახვაც მან შეძლო მხოლოდ 326 წ. გაზაფხულზე. ტაქსილას მმართველი ა მ ბ ჰ ი მას უბრძოლველად დანებდა და მდიდარი საჩუქრები მიართვა. ამის შემდეგ ალექსანდრეს ლაშქარი მდ. გ ი დ ა ს პ ა მ დ ე (ჯ ე ლ ა მ ი) მივიდა. აქ მას დიდი წინააღმდეგობა გაუწია პორის სახელმწიფომ. გადამწყვეტ ბრძოლაში, რომელიც გაიმართა კ ა რ ი ს ხეობაში, პორი დამარცხდა და ცხრაგზის დაჭრილი ტყვედ ჩავარდა. მაკედონელმა იგი გაათავისუფლა და სამეფოც დაუბრუნა. ალექსანდრეს კარგად ესმოდა, რომ პორისა და ამბჰის მტრული დამოკიდებულება ერთმანეთისადმი სასარგებლო იქნებოდა ბერძნებისათვის.

ამის შემდეგ მაკედონელთა ლაშქარმა დაიმორჩილა რამდენიმე პატარა სახელმწიფო და მიადგა ქალაქ ს ა ნ გ ა ლ ს, სადაც იგი მძაფრ წინააღმდეგობას წააწყდა. ბოლოს და ბოლოს, ალექსანდრემ აიღო ქალაქი და იგი მიწასთან გაასწორა.

ხანგრძლივმა ლაშქრობამ და ინდოელთა წინააღმდეგობამ ბერძენ მებრძოლთა უკმაყოფილება გამოიწვია. გავრცელდა ხმები, რომ განგის ხეობაში ბერძნებს ელოდებოდა ნანდას დინასტიის წარმომადგენელი აგრამესი უზარმაზარი ლაშქრით (80.000 მხედრით, 200.000 ქვეითი მეომრით, 8.000 საბრძოლო ეტლითა და 6.000 სპილოთი). ბერძნები მოითხოვდნენ სამშობლოში დაბრუნებას. ალექსანდრე იძულებული გახდა დაეხია ინდისაკენ, ხოლო მანამდე დაპყრობილი ტერიტორიების მართვა-გამგეობა მიენდო ამბჰისა და პორისათვის.

325 წ. შემოდგომაზე ალექსანდრეს ლაშქარმა საბოლოოდ დატოვა ინდოეთი.

324 წ. გაზაფხულზე, როცა ალექსანდრე სუზაში ჩავიდა, ცნობილი გახდა, რომ ზემო ინდის ოლქის ბერძენთა სატრაპი მოკლეს. ალექსანდრეს გარდაცვალების (323 წ.) შემდეგ ჩანდრაგუპტა მაურიამ დაამხო ბერძენთა ბატონობა პენჯაბში.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ალექსანდრე მაკედონელის ელვისებურმა შემოჭრამ ინდოეთში თითქმის არავითარი კვალი არ დატოვა, არავითარი გავლენა არ იქონია არც ინდოელთა კულტურაზე და არც სოციალურ ინსტიტუტებზე. ადგილობრივ წყაროებში ალექსანდრე არც კი იხსენიება.

მაურიას სამეფო. მაურიას დინასტიის დამაარსებელი ჩანდრაგუპტა ეკუთვნოდა ქშატრიების კასტას. არსებობს ცნობა, რომლის თანახმადაც ჩანდრაგუპტა წეეცადა დაემხო ნანდას დინასტია ალექსანდრე მაკედონელის დახმარებით. ამ უკანასკნელმა მისი მოკვლაც კი დააპირა. ჩანდრაგუპტა გაიქცა და დაუკავშირდა ტაქსილელ ბრაჰმანს კ ა უ ტ ი ლ ი ა ს. მათ შექმნეს ლაშქარი და 324 წ. დაამხეს ნანდას დინასტია.

გამეფების შემდეგ ჩანდრაგუპტამ ილაშქრა პენჯაბში და ბოლო მოუღო ბერძენთა ბატონობას ამ რაიონში. ამის შემდგომ იგი სამხრეთისაკენ დაიძრა და მადრასსა და მაისურამდე მიაღწია. მის ხელთ აღმოჩნდა ქვეყნის უდიდესი ნაწილი. ჩანდრაგუპტას მეფობის ბოლო წლებში გამწვავდა ურთიერთობა დასავლეთ აზიის მმართველთან ს ე ლ ე ვ კ ნ ი კ ა ტ ო რ თ ა ნ, რომელმაც ცადა კვლავ ხელთ ეგდო ალექსანდრეს მიერ დაპყრობილი პროვინციები. ხანგრძლივმა ბრძოლამ მას წარმატება არ მოუტანა და იგი ზავზე დათანხმდა. სელევკმა 500 სპილოში გაცვალა ა რ ი ი ს (დღევანდელი გ ე რ ა ტ ი), ა რ ა ქ ო ზ ი ი ს (ყ ა ნ დ ა ჰ ა რ ი), გ ე დ რ ო ზ ი ი ს (ბ ე ლ უ ჯ ი ს ტ ა ნ ი) და პ ა რ ა პ ა ნ ი ს ა დ ი ს (ქ ა ბ უ ლ ი) რაიონები. სელევკი და ჩანდრაგუპტა მოკავშირენი გახდნენ და ინდოელი მმართველის კარზე ბერძენთა ელჩი მ ე გ ა ს თ ე ნ ე გაიგზავნა.

გადმოცემის თანახმად, დაახლოებით ძვ. წ. 300 წ. ჩანდრაგუპტა ჯ ა ი ნ ი ზ მ ი ს სარწმუნოებას ეზიარა, უარი თქვა ტახტზე და, ჯაინების წესის თანახმად, მოიკლა თავი შიმშილით.

ჩანდრაგუპტას შვილი და მემკვიდრე იყო ბ ი ნ დ უ ს ა რ ა (ძვ. წ. 300—273 წწ.), რომელსაც ა მ ი ტ რ ა გ ჰ ა ტ ა (მტერთა მკვლელი) უწოდეს. როგორც ჩანს, სწორედ ბინდუსარას დროს დამთავრდა მაურიების ძირითადი დაპყრობანი. მთელი ინდოეთი, გარდა კ ა ლ ი ნ გ ი ს ა და უკიდურესი სამხრეთი ნაწილისა, მაურიების ხელში აღმოჩნდა. ბინდუსარას შესახებ სხვა არაფერია ცნობილი

ბინდუსარას შვილი ა შ ო კ ი (ძვ. წ. 273—232 წწ.) იყო არა

შარტო ერთ-ერთი ულლიერესი მმართველი ინდოეთში, არამედ დიდი მოიზროვნეც.

ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ბრძოლების შედეგად ძვ. წ. 261 წ. აშოკიმ შემოიერთა კ ა ლ ი ნ გ ა. ამის შესახებ თვით აშოკი აღნიშნავს: „150.000 კაცი დაჭრილი იყო, 100.000 მოკლული და ადამიანთა ბევრად უფრო დიდი რიცხვი დაიღუპა". როგორც ჩანს, ამ სისხლისღვრამ გარკვეულად იმოქმედა აშოკიზე, რომელმაც შეწყვიტა დაპყრობითი ომები. მიიღო ბ უ დ ი ზ მ ი და დაიწყო ახალი მორალისა და დჰარმას (კანონის) ქადაგება. იგი არ დევნიდა არც ერთი რელიგიური სექტის მიმდევარს. ერთ-ერთ თავის წარწერაში (ჩვენამდე მოაღწია აშოკის 30-ზე მეტმა წარწერამ) იგი აღნიშნავს: „მმართველი პატივს სცემს ყველა სექტის წარმომადგენელს". მისი ძირითადი დჰარმა გამოხატული იყო შემდეგ სიტყვებში: „საჭიროა დაუჯეროთ მამასა და დედას; თანაბრად უნდა ვცეთ პატივი ყველა ცოცხალ არსებას; საჭიროა სიმართლის თქმა... ღირსებად ითვლება ხელგაშლილობა მეგობრების, ნაცნობების, ნათესავების, ბრაჰმანებისა და ასკეტების მიმართ; ღირსებად ითვლება მცირე დანახარჯი და მცირე დაგროვება".

აშოკი მმართველებისადმი მორჩილებას მოითხოვდა და დანიშნა სპეციალური მოხელენიც (დჰარმა-მაჰამატრა), რომელთა მოვალეობა მეფის მიერ შემოღებული კანონის დაცვა იყო.

აშოკიმ ხელი აიღო დ ი გ ვ ი ჯ ა ი ს (მსოფლიოს დაპყრობის) ტრადიციულ პოლიტიკაზე და საკუთარ პოლიტიკურ მიზნად დ ჰ ა რ მ ა ვ ი ჯ ა ი ა (კანონის გავრცელება) გამოაცხადა. ამიერიდან მის ხელში საბრძოლო იარაღს დჰარმა ცვლის. აშოკის წყალობით ბუდიზმი გასცდა ინდოეთის ფარგლებს. აშოკი თავის თავს დ ე ვ ა ნ ა მ პ ი ა ს („ის, ვინც ღმერთებს უყვართ") უწოდებდა.

მან აკრძალა ცოცხალ არსებათა სამსხვერპლოზე მიტანა. უწესო საქციელი, ს ა მ ა ჯ ა (მასობრივი სიმთვრალე), გამოაცხადა ა ჰ ი მ ს ა (ე. ი. აკრძალა ცოცხალი არსებებისადმი ზიანის შიყენება) და მ ა ი ტ რ ი (მშვიდობიანი პოლიტიკა).

იგი მფარველობდა სასოფლო-სამეურნეო წარმოებას, ხელოსნობასა და ვაჭრობას.

აშოკი წარმოადგენს მეტად რთულ და წინააღმდეგობებით აღსავსე პიროვნებას. აშოკი-ფილოსოფოსი ხშირად უპირისპირდება აშოკი-მმართველს. როგორც ფილოსოფოსი, იგი უარყოფს ძალადობას. მაგრამ როგორც პოლიტიკოსს, მას კარგად ესმის ძალის მნიშვნელობა არსებული კანონის დასაცავად.

აშოკი გარდაიცვალა დაახლოებით ძვ. წ. 232 წ. მისი მემკვიდრეობის შესახებ დამაჯერებელი ცნობები თითქმის არ არსებობს. ცნობი-

ლია მხოლოდ, რომ მაურიების დინასტიის უკანასკნელი მმართველი ბ რ ი ჰ ა დ რ ა თ ჰ ა ძვ. წ. 187 წ. მოკლა მისივე მხედართმთავარმა ს უ ნ გ ჯ ს დინასტიის დამაარსებელმა — პ უ შ ი ა მ ი ტ რ ა მ.

სახელმწიფო მმართველობის სისტემა მაურიების დროს. ამ სისტემის შესახებ ჩვენ ვმსჯელობთ მეგასთენის ცნობების, კ ა უ ტ ი ლ ი ა ს (ჩ ა ნ ა კ ი ა ს) ნაწარმოების „ართჰაშასტრასა“ და აშოკის წარწერების მიხედვით.

სახელმწიფოს სათავეში იდგა მეფე, რომლის რეზიდენციაც დედაქალაქ პატალიპუტრაში იყო. სათათბირო ხმის უფლებით სარგებლობდა მეფესთან არსებული სპეციალური საბჭო — მ ა ნ ტ რ ი პ ა რ ი შ ა დ ი, რომელიც შედგებოდა უმაღლესი არისტოკრატიის წარმომადგენლებისაგან. მეფის ადმინისტრაციის სათავეში იდგა მთავარი მ ა ტ რ ი ნ ი, ჯარებს სარდლობდა ს ე ნ ა პ ა ტ ი, მთავარი ქურუმის მოვალეობას ასრულებდა პ უ რ ო ჰ ი ტ ა, სასამართლო სისტემას ხელმძღვანელობდა და კანონების განმარტების უფლებით სარგებლობდა დ ჰ ა რ მ ა დ ი ა ქ შ ა. ამას გარდა, მეგასთენის ცნობით, არსებობდა მოხელეთა ორი კატეგორია: ა გ ო რ ა ნ ო მ ი (ისინი განაგებდნენ სოფლებს) და ა ს ტ ი ნ ო მ ი (მათ ხელში იყო დედაქალაქის მმართველობა). პირველნი ხელმძღვანელობდნენ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას, ხოლო უკანასკნელნი — ხელოსნობას, ვაჭრობას, გადასახადების აკრეფას და ა. შ.

„ართჰაშასტრაში“ ნახსენებია 32 მოხელე, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ სახელმწიფო მნიშვნელობის ამა თუ იმ საქმეს (ხაზინას, გადასახადების აკრეფას, სამონეტო დაწესებულებას, ხომალდების მშენებლობას, მესაქონლეობას, ნავსადგურებს, საპატიმროებს, ცხენოსანთა ჯარს, საბრძოლო ეტლებს და ა. შ.).

უმცირეს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს სოფელი — გ რ ა მ ა — წარმოადგენდა. 10 სოფელი ტერიტორიულ ათეულს შეადგენდა და მისი ცენტრი ს ა ნ გ რ ა ჰ ა ნ ა იყო; ორი ათეული სოფელი — ოცეულს შეადგენდა; ხუთი ოცეული — ტერიტორიულ ასეულს; ოთხი ასეთი ასეული — ტერიტორიულ ოთხასეულს, რომელსაც აგრეთვე საკუთარი ცენტრი — დ რ ო ნ ა მ უ კ ჰ ა ჰქონდა, 800 სოფლის ცენტრი კ ი ს ტ ჰ ა ნ ი ა იყო.

ეს გაერთიანებანი ერთნაირი როდი იყო, რაც იმით აიხსნება, რომ მაურიების სამეფოს შიგნით მრავალი ტომი იყო, რომლებიც ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ საკუთარ შინაგან ავტონომიას და თემური საზოგადოების სტადიაზე იმყოფებოდნენ. ეს პოლიტიკური სიჭრელე თავისებურად აისახა არმიის სტრუქტურაში, რომელიც, გარდა თვით მეფის ჯარებისა, შედგებოდა მოკავშირეთა ნაწილებისა და სატომო ლაშქრისაგან. გადმოცემის მიხედვით, ომის შემთხვევაში

ჩანდრაგუპტას შეეძლო 600.000 ქვეითი ჯარისკაცის, 30.000 მხედრისა და 9.000 სპილოს გამოყვანა.

გადასახადების სისტემაც საკმაოდ რთული იყო. მიწათმოქმედნი, როგორც წესი, იხდიდნენ მოსავლის მეექვსედს (ბ ჰ ა გ ა). ასევე ნატურით იხდიდნენ გადასახადებს მწყემსები, მებაღეები და ა. შ. არსებობდა სახელმწიფო შრომითი ბეგარა — ვ ი შ ტ ი. ხელოსნები ხაზინას აბარებდნენ საკუთარი პროდუქციის ნაწილს და ვალდებულნი იყვნენ თვეში ერთი დღე მეფის სასარგებლოდ ემუშავათ. სავაჭრო გარიგების მონაწილენიც იხდიდნენ გარკვეულ გადასახადს — შ უ ლ კ ა ს

ჯაინიზმი და ბუდიზმი. ძვ. წ. VI ს. ვედურ რელიგიას თანდათანობით ცვლის ახალი სარწმუნოებანი — ჯაინიზმი და ბუდიზმი.

ჯ ა ი ნ ი ზ მ ი ს დამაარსებლად ითვლება ვ ა რ დ ჰ ა მ ა ნ ა მ ა ჰ ა ვ ი რ ა, თუმცა ჯაინები მას როდი თვლიდნენ პირველ მასწავლებლად. იგი იყო რიგით ოცდამესამე და უკანასკნელი დამრიგებელი (ტ ი რ ტ ქ ჰ ა ნ ა კ ა რ ა მ ი). მაჰავირას წინამორბედთაგან ყველაზე ცნობილია და, შესაძლოა ერთადერთი ისტორიული პიროვნება იყო პ ა რ ს ვ ა ნ ა თ ჰ ი, რომელიც ქადაგებდა შემდეგ მცნებებს: ნუ მიაყენებ ზიანს (ა ჰ ი მ ს ა), ნუ იცრუებ, ნუ მოიპარავ და ნუ მოიხვეჭ.

მაჰავირა, გადმოცემის თანახმად, იყო ქშატრიას და ვ ა ი შ ა ლ ი ს სამეფოს მმართველთა (ლ ი ჩ ჰ ა ვ ი ს დინასტიის) ნათესავი. ოცდაათ წლამდე მას ოჯახი ჰყავდა, შემდეგ მან იგი მიატოვა, გახდა ასკეტი და 12 წლის განმავლობაში გადადიოდა ერთი ადგილიდან მეორეზე. ორმოცდაორი წლის ასაკში მან უმაღლეს ცოდნას (კ ა ი ვ ა ლ ი ა ს) მიაღწია და ცნობილი გახდა როგორც „ვნებათა დამმარცხებელი“ — ჯ ი ნ ი (აქედან რელიგიის სახელწოდებაც — ჯ ა ი ნ ი ზ მ ი) და „საერო ჯაჭვებისაგან განთავისუფლებული“ — ნ ი რ გ რ ა ნ თ ჰ ი. ამიტომ მის მიმდევართ უწოდებენ ჯაინებსა და ნირგრანთჰებს.

მაჰავირამ გაიზიარა პ ა რ ს ვ ა ნ ა თ ჰ ი ს ოთხი მცნება და დაუმატა მათ მეხუთე — უმწიკვლობა.

მაჰავირას ცხოვრების თარიღები არ არის დადგენილი. ზოგიერთი მეცნიერი ვარაუდობს, რომ იგი ძვ. წ. 523 წ. გარდაიცვალა, სხვების აზრით კი — ძვ. წ. 468 წ.

ჯაინები უარყოფდნენ ვედების ავტორიტეტს და ებრძოდნენ ცოცხალ არსებათა მსხვერპლად შეწირვას. მათ მიაჩნდათ, რომ ყოველ საგანს თავისი სული აქვს, ხოლო ამ სულს საკუთარი შეგნება. ისინი არ ცნობდნენ სამყაროს გამჩენ ღმერთს, რომელიც, მათი აზრით, წარმოადგენდა „ერთადერთ უმაღლესს, უკეთილშობილესს და სრულ განსახიერებას იმ ძალებისა, რომლებსაც ადამიანის სულში ძინავთ“. სრული განთავისუფლების მიღწევა, მათი აზრით, შეიძლე-

ბოდა „სამი ძვირფასეულობის“ (ტ რ ი რ ა ტ ნ ა ს) გამოყენებით: სწორი სარწმუნოებით, სწორი ცოდნითა და სწორი ყოფაქცევით. ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ასკეტიზმსა და თვითწამებას.

ჩანდრაგუპტას სამეფოში ჯაინიზმი სახელმწიფო რელიგიად იქცა და სწრაფად გავრცელდა ინდოეთის მრავალ რაიონში. მართალია, იგი ინდოეთის ფარგლებს არასდროს გასცდენია, მაგრამ ამ ქვეყნის შიგნით ბევრი მიმდევარი გაუჩნდა.

ამ რელიგიური მიმდინარეობის წარმომადგენლებმა დაგვიტოვეს საკმაოდ მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა: ფილოსოფიური ნაწარმოებები, რელიგიური ტექსტები, ეპოსები, რომანები, ჰიმნები და ა. შ.

ბ უ დ ი ზ მ ი ს დამაარსებელი გ ა უ ტ ა მ ა მაჰავირას თანამედროვე იყო (ერთნი ფიქრობენ, რომ იგი ძვ. წ. 543 წ. გარდაიცვალა, ხოლო მეორენი — ძვ. წ. 483 წ.). იგი ეკუთვნოდა შ ა ქ ი ა ს ტომს, რომელიც ნეპალის ჯუნგლებში ცხოვრობდა. გაუტამა ქშატრია იყო. მან სულ ახალგაზრდამ ითხოვა ცოლი და შვილიც ეყოლა, მაგრამ შემდგომ, მაჰავირას მსგავსად, ასკეტი გახდა. ასკეტისათვის დამახასიათებელმა მკაცრმა რეჟიმმა კი მას სასურველი შედეგი არ მოუტანა. მხოლოდ ხანგრძლივი დაჟინებული ჩაფიქრებისა და ღრმა ჭვრეტის შედეგად მან ჭეშმარიტებას მიაღწია და გახდა ბ უ დ ა, რაც „ზიარებულს“ (ე. ი. ჭეშმარიტებას ნაზიარებს) ნიშნავს.

ბუდამ მიზნად დაისახა სევდისა და ტანჯვისაგან განთავისუფლება. ამისათვის მან „4 კეთილშობილი ჭეშმარიტება“ წამოაყენა: 1) არსებობს ტანჯვა, 2) ამ ტანჯვას თავისი მიზეზი უნდა ჰქონდეს, 3) ტანჯვისაგან საჭიროა განთავისუფლება, 4) ამისთვის კი საჭიროა იცოდე ტანჯვისაგან განთავისუფლების სწორი გზა. ტანჯვის მიზეზია სურვილი, ამიტომ იგი უნდა მოისპოს, ხოლო სურვილის მოსპობა მხოლოდ რვა მცნების შესრულებით შეიძლება (სწორი რწმენა, აზრი, სიტყვა, მოქმედება, წესიერი გზით ნაშოვნი საარსებო საშუალებანი, სწორი მეცადინეობა, მოგონებანი და ჭვრეტა). ეს იყო ე. წ. დიადი საშუალო გზა, რომელიც ათავისუფლებდა ადამიანს უკიდურესობებისაგან — გადაჭარბებული სიმდიდრისა და თავშეკავებულობისაგან, რასაც საბოლოო ანგარიშში ნ ი რ ვ ა ნ ა მ დ ე (სრულ სიმშვიდემდე) მივყავართ. ამასთან ერთად, საჭირო იყო შ ი ლ ა ს (მორალური მცნებანი: არ მოკლა, არ იცრუო, უარი თქვი ფუფუნებაზე და ა. შ.), ს ა მ ა დ ჰ ი ს ა (ყურადღების კონცენტრირება) და პ რ ა ჯ ნ ა ს (საკუთარ არსებაში ღრმა ჩაფიქრება) პრინციპების მკაცრი დაცვა.

ბუდიზმი უარყოფს ვედურ რელიგიას, მაგრამ იგი ცნობს კ ა რ მ ა ს — სულთა გადასახლებას.

ბუდისტური რელიგია, ჯაინიზმისაგან განსხვავებით, გავრცელდა არა მარტო ინდოეთში, არამედ მეზობელ ქვეყნებშიც.

ბუდიზმის გავრცელებასთან დაკავშირებულია მონაზონთა სპეციალური თემის — სანგჰას — წარმოშობა, რომელიც გამოირჩეოდა მტკიცე დისციპლინით, კარგი ორგანიზაციითა და თავისებური იერარქიით. ბუდისტების აზრით, ამ თემში მიიღებოდა ყველა თავისუფალი ადამიანი და უნდა გამქრალიყო ვარნებად დაყოფა.

ბუდისტებმაც საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა შექმნეს. მაგალითად, ბუდას მოძღვრება შეტანილია „ტრიპიტაკაში", რაც სიტყვასიტყვით „სამ კალათს" ნიშნავს.

მომდევნო ხანაში როგორც ჯაინების, ასევე ბუდისტების მიმდინარეობანი მრავალ სექტად დაიყო.

მაგადჰას სახელმწიფოს დაქვეითება და უცხოელთა ახალი შემოსევები. სუნგასა და კანვას დინასტიების ხანაში (ძვ. წ. 187—30 წწ.) მაგადჰას სახელმწიფო თანდათანობით სუსტდება. მას ჩამოშორდა კალინგა, ჩრდილო-დასავლეთში გააქტიურდნენ **ბაქტრიელი ბერძნები.** კანვას დინასტიის დამხობის შემდეგ მაგადჰას შესახებ ფაქტიურად არავითარი დამაჯერებელი ცნობები არ მოგვეპოვება ახ. წ. IV საუკუნემდე. ცხადია, ეს სამეფო დაეცა და დაკარგა წამყვანი პოლიტიკური როლი ინდოეთში.

ამის შემდეგ ნახევარკუნძულის ტერიტორიაზე (განსაკუთრებით დეკანში) შეიქმნა რამდენიმე დამოუკიდებელი სახელმწიფო (კალინგა, ანდჰრა, ვიდიში, სამეფოები შორეულ სამხრეთში და ა. შ.).

ძვ. წ. II ს. დასაწყისში პენჯაბის უდიდესი ნაწილი დაიმორჩილა ბაქტრიის მმართველმა დემეტრემ. როგორც კი იგი ინდოეთში შეიჭრა, ბაქტრიაში ძალაუფლება ხელთ იგდო ევკრატიტმა და დემეტრე იძულებული გახდა დასჯერებოდა „ინდოეთის მმართველის" ტიტულს. მისი დედაქალაქი ამიერიდან ევტიდემია (სალკოტი) იყო. დემეტრე იყო პირველი ბერძენი მმართველი, რომელიც ჭრიდა მონეტებს ბერძნული და ინდური წარწერებით (ინდურისათვის ხმარობდა ქჰაროშთჰის დამწერლობას, რომელიც არამეული დამწერლობის გავლენით იყო შედგენილი).

ბაქტრიელთა ბატონობის განმტკიცების ხანა, როგორც ჩანს, მენანდრის მეფობის პერიოდს ემთხვევა. მის შემდეგ ბაქტრიელთა სამფლობელო ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთში თანდათანობით სუსტდება და ახ. წ. I ს. ქუშანთა მმართველმა კადფიზ I დაამხო ამ ხეარის უკანასკნელი ბერძენი მმართველი — გერმაი.

ძვ. წ. II ს. შუა ხანებში სირ-დარიის ჩრდილოეთიდან ინდოეთისაკენ დაიძრნენ საკები, რომლებმაც დაიმორჩილეს ინდოეთის და-

დი ნაწილი და ბატონობდნენ აქ ახ. წ. IV ს. მესამე მეოთხედამდე, როდესაც ჩანდრაგუპტა II ვიკრამადიტიამ დაიპყრო მალვა და ქათჰაივარი და მოკლა საკების უკანასკნელი მმართველი.

ახ. წ. I ს. განდჰარას რაიონიდან საკები განდევნეს პართელებმა. ისინი განსაკუთრებით გაძლიერდნენ ავღანეთში, პენჯაბსა და სინდის რაიონებში I ს. მეორე ნახევარში, როდესაც გამეფდა კონდოფერნი. ამ მეფის სიკვდილის შემდეგ პართელების ბატონობას ბოლო მოუღეს ქუშანებმა.

იუე-ჯის ტომი, რომელმაც შემდგომ ქუშანების სახელმწიფო დააარსა, განდევნილი იყო ჩრდილო-დასავლეთ ჩინეთიდან ჰუნ-ჰუს (ჰუნების) მიერ. ჰუნებმა დაიპყრეს ბაქტრია და სოგდიანა და ინდოეთში შემოიჭრნენ. ინდოეთის ქუშანელ მმართველებს შორის ყველაზე გამოჩენილი იყო ქანიშკი (დაახ. ახ. წ. I ს. უკანასკნელი მეოთხედი). მან დაიმორჩილა არა მარტო განდჰარა, არამედ დაიპყრო ქაშმირი, დაამარცხა პართელები და ჩინელები. საბოლოოდ იგი მაინც დამარცხდა ჩინელ მხედართმთავართან — ბან ჩაოსთან — ბრძოლაში.

ახ. წ. III ს. ქუშანების ერთიანი სახელმწიფო პატარ-პატარა სამთავროებად დაიშალა.

§ 5. ძველი ინდოეთის მეცნიერება, კულტურა და იდეოლოგია

„მაჰაბჰარატა“ და „რამაიანა“. ზემოთ უკვე განვიხილეთ ძველინდური წყაროები (ვედები, ეპოსი და ა. შ.). მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ორ დიდ ეპიკურ ქმნილებას — „მაჰაბჰარატასა“ და „რამაიანას“.

„მაჰაბჰარატა“ შეიქმნა ძვ. წ. VI—V სს., ხოლო ჩაწერილია ახ. წ. I—II სს. მასში ძირითადად ასახულია (ამ უზარმაზარ ნაწარმოებში აღძრულია რამდენიმე თემა) ორი გვარის (პანდუსა და კურუს) ბრძოლა ძალაუფლებისათვის.

ამ პოემის მოკლე შინაარსი ასეთია.

ერთხელ ბრძენი განდეგილები შეიკრიბნენ ტყის პატარა მინდორზე და სთხოვეს ძველი ამბების მთქმელს საუტის მოეთხრო ამბავი ბჰარატას მემკვიდრეთა ბრძოლისა. საუტიმ ასე დაიწყო:

იყო დრო, როდესაც ქვეყანას მართავდა მეფე პარიკშიტი. ერთხელ მან შეურაცხყოფა მიაყენა ხნიერ განდეგილს, რომლის შვილმაც დასწყევლა მეფე. პარიკშიტი გარდაიცვალა გველის ნაკბენისაგან. მეფის შვილმა ჯანამეჯაიამ გადაწყვიტა შური ეძია, რის გამოც

დაიწყო გველების დაწვა სამსხვერპლოზე. აქ, ამ სამსხვერპლოსთან მოისმინა მან ბრძენი ვ ა ი შ ა მ პ ა ი ა ნ ა ს მოთხრობა ბჰარატას მემკვიდრეთა შესახებ.

ქალაქ კ ა ს ტ ი ნ ა პ ურ შ ი ცხოვრობდა ორი ძმა — დ ჰ ი ტ ა რ ა შ ტ რ ა და პ ა ნ დ უ, ორივე დიადი ბჰარატას შთამომავალნი (ე. წ. მთვარის დინასტიიდან); რადგანაც დჰიტარაშტრა ბრმა იყო, ქვეყანას მართავდა პანდუ. მაგრამ იგი მალე გარდაიცვალა და თავისი ხუთი შვილი აღსაზრდელად ძმას დაუტოვა. ერთად იზრდებოდნენ პანდუს შვილები — პანდავები ას კაურავთან — დჰიტარაშტრას შვილებთან. დავაჟკაცდნენ თუ არა ისინი, მათ შორის მოეწყო შეჯიბრი. გამარჯვება წილად ხვდა პანდავებს. ამიტომ ხალხმა გამოთქვა სურვილი, რომ გამეფებულიყო უფროსი პანდავი — ი უ დ ჰ ი შ დ ჰ ი რ ა.

შურით აღივსო კაურავების გულები. მათ გადაწყვიტეს მოეკლათ პანდავები. ამ მიზნით ისინი დაპატიჟეს ვ ა რ ნ ა ვ ა ტ შ ი, სადაც უნდა დაეწვათ პანდავები საგანგებოდ აგებულ სახლში. მაგრამ ხნიერმა ვ ი დ უ რ ა მ გააფრთხილა ისინი. ძმებმა გათხარეს მიწაში გასასვლელი და თავი დააღწიეს ცეცხლმოდებულ სახლს. ამის შემდეგ პანდავები დასახლდნენ ქ. ე კ ა ჩ ა კ რ ი ს გარეუბნებში და ცდილობდნენ, რომ კაურავებს არაფერი გაეგოთ მათი არსებობის შესახებ.

ერთხელ ძმებმა გაიგეს, რომ პ ა ნ ჩ ა ლ ე ბ ი ს მეფე დ რ უ ჯ ა დ ა აპირებს ქალიშვილის გათხოვებას. მშვილდოსანთა შეჯიბრებაში ყველას აჯობა ერთ-ერთმა პანდავმა ა რ ჯ უ ნ ა მ და იგი გახდა ულამაზესი დ ა რ ა უ პ ა ლ ი ს ქმარი. შურმა ისევ აღავსო კაურავების გულები და ისინი კვლავ მოითხოვდნენ პანდავების მოკვლას, მაგრამ მათმა პაპამ ბ ჰ ი შ მ ა მ არ მისცა ამის უფლება.

პანდავებმა ტყეში ააგეს შესანიშნავი ქალაქი ი ნ დ რ ა პ რ ა თ ჰ ა. იმდენად ლამაზი იყო ეს ქალაქი და მასში აგებული სასახლე. რომ კაურავების უფროსი ძმის დ უ რ ი ო დ ჰ ა ნ ი ს გული მესამედ აღივსო შურით. მან დაპატიჟა პანდავები კ ა ს ტ ი ნ ა პ უ რ შ ი და კამათელი ეთამაშა მათ. პანდავებმა ყველაფერი წააგეს და იძულებული გახდნენ 12 წელი განდევნილად ეცხოვრათ. მეცამეტე წელს ისინი დასახლდნენ მ ა ტ ს ი ე ბ ი ს მეფე ვ ი რ ტ ა ს კარზე. მალე კაურავებმა ამ მეფეს საქონელი წაართვეს, მაგრამ პანდავებმა დაამარცხეს კაურავები გახარებულმა მეფე ვირტამ თავისი ქალიშვილი მიათხოვა არჯუნას ვაჟიშვილს.

მშვიდობიანმა მოწოდებებმა (საქმეში თვით ღვთაებრივი კრიშნა ჩაერია) არავითარი შედეგი არ გამოიღო. გადამწყვეტი ბრძოლა (რომელიც დაწვრილებითაა აღწერილი ეპოსში) მოხდა კ ურ უ კ შ ე ტ რ ა ს ველზე. მრავალი დღის მანძილზე იღვრებოდა სისხლი. ბოლოს,

პანდავებმა სძლიეს მტერს, მაგრამ მათ რიგებში მხოლოდ შვიდი დარჩა ცოცხალი (მათ შორის ხუთი ძმა), ხოლო კაურავებიდან გადარჩა მხოლოდ სამი კაცი.

ამის შემდეგ დამყარდა ი უ დ ჰ ი შ თ ჰ ი რ ა ს დიდებით აღსავსე და სამართლიანი მეფობა.

რაც შეეხება „რამაიანას", იგი შედარებით გვიან შეიქმნა და აგვიწერს უფრო განვითარებული საზოგადოების ეტაპს.

დიდი ხნის წინათ კუნძულ ლ ა ნ კ ა ზ ე (ცეილონზე) ბატონობდა ათთავიანი რ ა ვ ა ნ ა, დევების — რ ა ქ შ ა ს ე ბ ი ს — მბრძანებელი. თავისი წესიერი და ღვთისნიერი ცხოვრებით მან ღვთაება ბრაჰმას სიყვარული დაიმსახურა. რავანამ ბრაჰმასაგან მიიღო ისეთი ძალა, რომ ვერც ერთი ადამიანი და თვით ღმერთი ვერ გაუმკლავდებოდა მას. ამის შემდეგ კი რავანამ დაივიწყა ყველაფერი, იგი დასცინოდა ღმერთებს, დევნიდა განდეგილთ. ღვთაებებმა და წმინდანებმა დაკარგეს მოთმინება და სთხოვეს ბრაჰმას დაეცვა ისინი რავანასაგან. მაშინ ბრაჰმამ შექმნა ღვთაება ვ ი შ ნ უ, რომელმაც ადამიანის სახე მიიღო: რავანას დამარცხება შეეძლო მხოლოდ მომაკვდავს.

ა ი ო დ ჰ ი ე ს ქვეყანაში ცხოვრობდა მეფე დ ა შ ა რ ა თ ჰ ა. ამ მეფის უფროსი ვაჟის — რ ა მ ა ს — სახე მიიღო ვიშნუმ. დაშარათჰა მოხუცდა და დააპირა შვილისათვის ტახტის გადაცემა. მაგრამ მასთან მივიდა მისი უმცროსი ცოლი კ ა ი კ ე ი, რომელმაც ერთხელ მეფეს მძიმე ჭრილობები მოუშუშა (რისთვისაც სამი სურვილის აღსრულების უფლება მიიღო დაშარათჰასაგან) და სთხოვა საკუთარი ვაჟის — ბ ჰ ა რ ა ტ ა ს — გამეფება. მეფე მზად იყო ხელი აეღო თავის ადრინდელ განზრახვაზე. მაგრამ რამამ არ მოისურვა ეს და თავისივე სურვილით შორს გადაიხვეწა. მას გაჰყვნენ ერთგული ცოლი ს ი ტ ა და ძმა ლ ა ქ შ მ ა ნ ი.

დაშარათჰა მალე გარდაიცვალა. ბჰარატამ მოძებნა ძმა და სთხოვა გამეფებულიყო აიოდჰიეში. რამამ უარი თქვა ამაზეც და დასახლდა დ ა ნ დ ა კ ი ს ტყეში, წმინდა განდეგილების მეზობლად. ამ განდეგილებს რაქშასები ავიწროებდნენ. რამამ ისინი სასტიკად დაამარცხა, რის გამოც განრისხებულმა რავანამ შას ცოლი მოსტაცა.

რამა და ლაქშმანი იძულებული გახდნენ სატას საძებრად წასულიყვნენ. გზად მათ მაიმუნების მეფეს აღმოუჩინეს დახმარება. მადლობელმა მმართველმა შეკრიბა მაიმუნების უზარმაზარი ჯარი და ძმებს გააყოლა. მაიმუნებმა ზღვაზე ხიდი ააგეს. რამას ლაშქარი სწრაფად შეიჭრა ლანკაზე. მეომრებმა მუსრი გაავლეს რაქშასების ციხე-სიმაგრეებს. ბევრი რაქშასი დახოცეს. მაშინ რავანა თვითონ გამოვი-

და რამას წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ მამაცმა რამამ განგმირა იგი.

ამის შემდეგ რამა გამეფდა ლანკაზე, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ იგი სამშობლოში დაბრუნდა და მამის ტახტზე ავიდა.

ორივე პოემა, რომლებიც ესოდენ პოპულარულია ინდოეთში, გამსჭვალულია სამართლიანობის აუცილებელი გამარჯვების რწმენით, თავისუფლების იდეით, უსაზღვრო ჰუმანიზმითა და რაინდული სულისკვეთებით.

ძველ ინდოელთა ფილოსოფია. ძველ ინდოეთში სამყაროს შეიცნობდნენ გაბატონებული რელიგიური წარმოდგენების მიხედვით. ამან განაპირობა ის გარემოება, რომ ფილოსოფიაში წამყვან მიმართულებას იდეალიზმი წარმოადგენდა.

დასაწყისში არსებობდა სამი წამყვანი რელიგიურ-ფილოსოფიური სისტემა. უძველესი მათგანი — ბ რ ა ჰ მ ა ნ ი ზ მ ი — ვედებზე იყო დაფუძნებული და ამტკიცებდა, რომ მთელი სამყარო, ღმერთებიცა და ადამიანებიც წარმოიშვენ მსოფლიო სულის — ბ რ ა ჰ მ ა ს — შემოქმედების შედეგად.

ბუდიზმისა და ჯაინიზმის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ინდოეთის ძველი ისტორიის დასასრულისათვის ამ მოძღვრებათა საფუძველზე (და ზოგჯერ მათ საწინააღმდეგოდაც) ყალიბდება რამდენიმე იდეალისტურ-ფილოსოფიური და რელიგიური მიმართულება (ვ ე დ ა ნ ტ ა, ი ო გ ა, მ ი მ ა ნ ს ა, ვ ა ი შ ე შ ი კ ა და სხვ.). განსაკუთრებული აქტივობით ვედანტას მიმდევარნი გამოირჩეოდნენ. ისინი აღიარებდნენ ვედების ავტორიტეტს, რომელიც წარმოადგენდა ღვთაებრივ ზეშთაგონებას — შ რ უ ტ ი ს, ჭეშმარიტი შემეცნების ერთადერთ გზას. როდესაც შემმეცნებელი შეუერთდება (შეერწყმის) ბრაჰმას— იგი აღწევს ჭეშმარიტებას. მომდევნო ხანაში ვედანტა ინდუიზმის საფუძვლად იქცა.

ძველ ინდოეთში არსებობდა მატერიალისტური მსოფლმხედველობაც. მაგალითად, ძვ. წ. VI—V სს. წარმოიქმნა ჩ ა რ ვ ა კ ა ს მოძღვრება, რომლის მიმდევრები უარყოფდნენ ვედების ავტორიტეტს და ამტკიცებდნენ, რომ სამყარო მატერიალურია და შეგრძნება შემეცნების ერთადერთ წყაროს წარმოადგენს. ჩარვაკასთან ახლოს იდგ ა ნ ა ს ტ ი კ ა ს და ლ ო კ ა ი ა თ ა ს მოძღვრებანიც, რომელთა წარმომადგენლები ასევე თვლიდნენ, რომ რეალური სამყაროს შემეცნება და შესწავლა გრძნობებზეა დამყარებული.

მეცნიერება. მეცნიერული ცოდნა ძველ ინდოეთში ცხოვრების პრაქტიკულ მოთხოვნილებათა პარალელურად ვითარდებოდა. მაგალითად, საირიგაციო მიწათმოქმედების განვითარებამ საფუძველი ჩაუყარა ასტრონომიულ ცოდნას. შეიქმნა ინდური კალენდარი, რომ-

ლის მიხედვით წელი დაყოფილი იყო თორმეტ ოცდაათდღიან თვედ, ხოლო ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ემატებოდა მეცამეტე თვეც. ჩვენ მოგვეპოვება ცნობები, რომ ძველმა ინდოელებმა იცოდნენ დედამიწის სფერული ფორმისა და მისი ღერძის გარშემო ბრუნვის შესახებ.

ძველ ინდოეთში საკმაოდ იყო განვითარებული მათემატიკაც. ათწილადი სისტემა აქ შეიქმნა ჯერ კიდევ ჰარაპას ხანაში. ინდოელებმა შემოიღეს პირველი ციფრები, რომლებიც შემდეგ დასავლეთ აზიის ხალხებმა გადაიღეს, ხოლო აქედან გავრცელდა ევროპაში, სადაც ციფრების დამწერლობის ამ სისტემას „არაბული“ უწოდეს (საინტერესოა, რომ თვით არაბები მათ „ინდურ ციფრებს“ უწოდებდნენ). ძველი ინდოელი მათემატიკოსებისა და ასტრონომების — ა რ ი ა ბ ჰ ა ტ ა ს ა (V ს.) და ვ ა რ ა ჰ ა მ ი ჰ ი რ ი ს (VI ს.) — ნაშრომებიდან ცნობილი გახდა, რომ იმხანად კვადრატული და კუბური ფესვების გამოყვანაც იცოდნენ, ხოლო π-ის სიდიდეს განსაზღვრავდნენ როგორც 3,1416. სწორედ ინდოეთში პირველად გაეცნენ ალგებრისა და ტრიგონომეტრიის საწყისებს.

მათემატიკურ ცოდნასთან ერთად ინდოეთში საკმაოდ განვითარებული იყო მედიცინა (მკურნალობდნენ მრავალ ავადმყოფობას, ქმნიდნენ მცენარეულ წამლებს, აკეთებდნენ ქირურგიულ ოპერაციებს), ქიმია (იღებდნენ გოგირდის მარილისა და აზოტის მჟავეებს, სხვადასხვა სახის მარილებს, ამზადებდნენ წამლებსა და საღებავებს) და ზოგიერთი სხვა დარგი.

დამწერლობა, ლიტერატურა, სახვითი ხელოვნება. უკვე აშოკის წარწერები ადასტურებენ, რომ ძვ. წ. III ს. ინდოეთში საკმაოდ დახვეწილი დამწერლობა არსებობდა. ამ წარწერათა ერთ-ერთი სისტემა — ბ რ ა ჰ მ ი — საფუძვლად დაედო დ ე ვ ა ნ ა გ ა რ ი ს შრიფტს, რომელიც დღესაც კი იხმარება ინდოეთში.

ამავე ხანებიდან დაიწყო ენათა მეცნიერული შესწავლაც. ძვ. წ. V—IV სს. სწავლულმა ბრაჰმანმა პ ა ნ ი ნ ი მ შეისწავლა გვიანი ვედური ხანის ლიტერატურის ენა „სანსკრიტი“ (ნიშნავს „განწმენდილს“, ე. ი. განწმენდილს მოგვიანო ხანის ნასესხები სიტყვებისაგან) და შექმნა პირველი მეცნიერულად დამუშავებული გრამატიკა. სანსკრიტი თანდათანობით იქცა ინდოელთა საერთო ენად, რომელზედაც წერდნენ მეცნიერები, მწერლები, პოლიტიკური მოღვაწენი. თანდათანობით სანსკრიტი გაბატონებული კლასის ენად იქცა და სულ უფრო გაუგებარი ხდებოდა ხალხისათვის, რომელიც ადგილობრივ დიალექტებზე (პ რ ა კ რ ი ტ ე ბ ზ ე) ლაპარაკობდა.

თავი XVI

ძველი ჩინეთი

განსაკუთრებულად ხელსაყრელი ბუნებრივი და კლიმატური პირობების გამო ადამიანი დღევანდელი ჩინეთის ტერიტორიაზე უხსოვარი დროიდან სახლობს, შეიძლება ითქვას, თითქმის იმ დროიდან, როდესაც იგი გამოიყო ცხოველთა სამყაროს როგორც ცალკე ბიოლოგიური და სოციალური ერთეული. ამიტომ ადამიანთა საზოგადოების განვითარებამ აქ ყველა კლასიკური ეტაპი განვლო და უკვე ძვ. წ. II ათასწლეულში, შუამდინარეთის, ეგვიპტისა და ინდოეთის მსგავსად, შექმნა ცივილიზაციის უძველესი და უმძლავრესი კერები, რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულეს კაცობრიობის ისტორიაში.

ამ ქვეყნის ქართული სახელწოდების („ჩინეთი") ძირი — „ჩინ", რომელიც აგრეთვე მის დასავლეთევროპული და აღმოსავლური სახელწოდებების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, მოდის ძველი ჩინეთის ერთ-ერთი სამეფოს — ც ი ნ-ი ს — სახელიდან. რაც შეეხება რუსულ ტერმინს — „კ ი ტ ა ი", იგი ნასესხებია შუა აზიის ხალხებისაგან, რომელთაც უძველეს დროში უშუალო ურთიერთობა ჰქონიათ ჩინეთის მიწა-წყალზე მოსახლე მონღოლური წარმოშობის ტომებთან — კ ი ტ ა ი ე ბ თ ა ნ.

თვით ჩინელები საკუთარ ქვეყანას სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელს უწოდებდნენ, ძირითადად გაბატონებული სამეფო დინასტიების მიხედვით: შ ა ნ ი, ჯ ო უ, ც ი ნ ი, ხ ა ნ ი და ა. შ. უძველესი დროიდან მოდის აგრეთვე სახელმწიფოს დღემდე შემორჩენილი სახელწოდებანი: ჯ უ ნ გ ო („საშუალო სამეფო") და ხ უ ა („აყვავებული") ან ჯ უ ნ ხ უ ა („საშუალო აყვავებული"). ეს უკანასკნელი დღესაც შედის ჩინეთის ოფიციალურ სახელწოდებაში.

§ 1. წყაროები და ჩინეთის ისტორიული განვითარების მეცნიერული შესწავლა

დიდი ხნის განმავლობაში ჩინეთის ისტორიის შესწავლა ტრადიციულად აგებული იყო ძირითადად იმ მონაცემებზე, რომლებსაც შეიცავდნენ შედარებით მოგვიანო ხანის ისტორიული, მეცნიერული, ლიტერატურული და სხვა სახის წერილობითი წყაროები. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ხალხური გადმოცემების, ლეგენდებისა და მითების შესწავლას.

ჩინეთის უძველესი ისტორიის საკითხების დამუშავების საქმეში განსაკუთრებული ადგილი უკავიათ ძველ მითებს (მმართველების — ხ უ ა ნ დ ი -ს, ი ა ო-ს, შ უ ნ ი-ს, ი უ ი-ს ა და ტ ა ნ ი-ს — შესახებ). ეს ლეგენდები ძირითადად თავმოყრილია კონფუცის კანონების ერთ-ერთი წიგნში — „შ ა ნ შ უ"-შ ი ან „შ უ ძ ი ნ"-ში („ისტორიული გადმოცემების წიგნში"), რომელიც შეიქმნა უმთავრესად ძვ. წ. V—III სს. და შეიცავს მითებს, გავრცელებულს ძვ. წ. VIII საუკუნემდე.

განსაკუთრებული ადგილი მრავალ სხვა ისტორიულ და მეცნიერულ ნაწარმოებთა შორის უკავია უდიდესი ჩინელი ისტორიკოსის ს ი მ ა ც ი ა ნ-ი ს (ძვ. წ. 145—86 წწ.) ნაწარმოებს — „შ ი ძ ი"-ს („ისტორიული ჩანაწერები"), რომელიც 130 თავისაგან შედგება და შეიცავს ჩინეთის ისტორიულ აღწერას უძველესი ლეგენდარული დროიდან (ხუან-დის მმართველობის ხანა) ძვ. წ. I საუკუნემდე.

ჩინეთის სიძველეთა თანამედროვე მეცნიერული შესწავლა ფაქტიურად მიმდინარე საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო, როდესაც სხვადასხვა ადგილებში გაითხარა უძველესი ადამიანის სადგომები, რომლებიც განეკუთვნება როგორც პალეოლითის, მეზოლითისა და ნეოლითის ხანებს, ასევე ბრინჯაოსა და რკინის ეპოქებს.

ამ მონაცემებისა და წერილობითი წყაროების საფუძველზე მეცნიერებამ აღადგინა ძველი ჩინეთის ისტორიული განვითარების ძირითადი მონახაზი. ინტერესი ამ ქვეყნისადმი გაიზარდა და მისი ისტორიული წარსული დღეს შეისწავლება თითქმის ყველა მნიშვნელოვან მეცნიერულ ცენტრში, სადაც კი ხდება ისტორიული პროცესების კვლევა-ძიება.

თვით ჩინეთში უძველეს ხანას სწავლობენ ისტორიკოსები: ფ ა ნ ვ ე ნ-ლ ა ნ ი, ძ ი ა ნ ბ ო-ძ ი ა ნ ი, ლ ი უ ჯ ე ნ-ი უ ი, გ ო მ ო-ჟ ო, შ ა ნ ი უ ე, ვ ა ნ ჯ უ ნ-ლ ო და სხვანი, რევოლუციამდელ რუსეთში — ი. ბ ი ჩ უ რ ი ნ ი, ს. გ ი ო რ გ ი ე ვ ს კ ი, ვ. ვ ა ს ი ლ ო ვ ი და სხვანი. საბჭოთა ისტორიკოსებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ლ. დ უ მ ა ნ ი ს, ა. ფ ი ლ ი პ ო ვ ი ს, ლ. ს ი მ ო ნ ო ვ ს კ ა ი ა ს ა და

სხვათა ნაშრომები. დასავლეთის ისტორიკოსთა შორის სერიოზული კვლევა-ძიებით გამოირჩევიან ჰ. მ ა ს პ ე რ ო, ო. ფ რ ა ნ კ ე, ბ. კ ა რ ლ გ რ ე ნ ი, ჰ. კ ო რ დ ი ე და სხვანი.

ჩინეთის ისტორიის უძველესი ხანა ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის შესწავლილი და შეიცავს საკმაოდ ბევრ ხარვეზსა და ბუნდოვან ადგილებს, რომელთა გარკვევა მხოლოდ ისტორიულ-ტრადიციული გადმოცემებით არ ხერხდება.

§ 2. ბუნებრივი პირობები და უძველესი მოსახლეობა

ჩინეთის უზარმაზარი ტერიტორია გეოგრაფიულად იყოფა ორ დიდ ნაწილად: დასავლეთში — ჰ ი მ ა ლ ა ე ბ ი ს, კ უ ნ-ლ უ ნ ი ს და ტ ი ა ნ შ ა ნ ი ს ქედებით დასერილი მაღალმთიანეთი, რომელიც წარმოადგენს ბუნებრივ საზღვარს ინდოეთთან, ხოლო აღმოსავლეთში — დაბლობები მძლავრი მდინარეების გასწვრივ და ზღვისპირეთში. ჩინეთის ძირითადი მდინარეები სწორედ აქ მოედინებიან დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. ჩრდილოეთ ჩინეთში წყლის ამგვარ არტერიას წარმოადგენს ხ უ ა ნ ხ ე, რომლის სიგრძე 4.000 კმ აღემატება. ცენტრალურ ჩინეთში მოედინება ამ ქვეყნის უდიდესი მდინარე — 5.000 კილომეტრზე მეტი სიგრძის ი ა ნ ძ ი ძ ი ა ნ ი, ხოლო სამხრეთ ჩინეთის მთავარი მდინარის — ს ი ძ ი ნ ი ს — სიდიდე 2000 კილომეტრამდე აღწევს.

სწორედ აქ ხელსაყრელი ბუნებრივი და კლიმატური პირობების გამო წარმოიქმნა უძველესი ცივილიზაციის ცენტრები (პირველ რიგში ხუანხეს აუზში). დასავლეთ ჩინეთისაგან განსხვავებით, სადაც იცის ხანგრძლივი და ცივი ზამთარი, ცხელი და მოკლე ზაფხული, აღმოსავლეთში ჰავა უფრო ხელსაყრელია სოფლის მეურნეობისათვის. ყველაზე მეტი წვიმები იცის ზაფხულში, ხოლო შემოდგომა თბილი და მშრალია. ამასთან ერთად აღმოსავლეთ ჩინეთისათვის დამახასიათებელია განსაკუთრებით ნოყიერი ნიადაგები, თევზეულობით მდიდარი მდინარეები, ტბები და ზღვები. უძველეს ხანაში ამ მხარის დიდი ნაწილი დაფარული იყო ტყეებით.

ჩინეთის ტერიტორია, ისტორიული ტრადიციის მიხედვით, უძველესი დროიდან დასახლებული იყო სხვადასხვა ტომებით: სამხრეთში ცხოვრობდნენ ტომები, გაერთიანებულნი ერთი სახელწოდებით — **მანი;** აღმოსავლეთში — **ი;** ჩრდილოეთში — **დი;** დასავლეთში — **ჟუნი.** ამ წმინდა ჩინური მოდგმის ტომების გვერდით სახლობდნენ სინო-ტიბეტის ჯგუფის ენებზე მოლაპარაკე ხალხები (სამხრეთში და სამხრეთ-დასავლეთში) და თურქული, მონღოლური და მანჯურიულ-

ტუნგუსური წარმოშობის ტომები (დასავლეთში, ჩრდილოეთსა და ჩრდილო-აღმოსავლეთში).

ეს ტომები ქვეყნის დაბლობ რაიონებში მისდევდნენ მიწათმოქმედებას, ზოგან კი განვითარებული იყო მესაქონლეობა, ნადირობა, მეთევზეობა.

§ 3. უძველესი ხანა

ლეგენდარული ცნობები ჩინეთის ისტორიული განვითარების შესახებ უძველეს ხანაში. ჩრდილო-დასავლეთ ჩინეთის იმ ტერიტორიაზე, სადაც გავრცელებული იყო იანშაოს კულტურა, ცხოვრება დი-ს ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენელი, ხუანდის ტომი (უძველესი მმართველის ხუანდის სახელის მიხედვით), რომელსაც ადრიდანვე მოუხდა ბრძოლების წარმოება ცენტრალურ ჩინეთში შემოჭრილი ტომების (ლ ი და მ ი ა ო მანის ტომთა ჯგუფიდან და ი ა ნ დ ი ძიანის ტომთა ჯგუფიდან) წინააღმდეგ.

როგორც უძველესი გადმოცემებიდან ჩანს, ლი-ს ტომების მიერ შევიწროებულმა იანდი-ს ტომმა დახმარებისათვის მიმართა ხუანდი-ს, ამ უკანასკნელმა დაამარცხა ჯერ ლი, ხოლო შემდეგ დაიმორჩილა იანდი-ც. ამის შემდეგ ხუანდი ემზადება მიაო-ს მძლავრი ტომის წინააღმდეგ საბრძოლველად. იგი შედის შანდუნის ტერიტორიაზე და უკავშირდება ი-ს ტომს. ხუანდი-ს ტომის მმართველები ი ა ო, შ უ ნ ი და ი უ ი თანდათანობით იპყრობენ უზარმაზარ ტერიტორიას და საათავეში ექცევიან ტომთა მძლავრ გაერთიანებას.

ამის შემდეგ ხუანდი-ს ტომი იანდი-ს დახმარებით იწყებს შეტევას მიაო-ს წინააღმდეგ, იპყრობს მდინარე ხუანხეს ორივე ნაპირს შუა დინების რაიონში და დევნის მოწინააღმდეგეს იანძიძიანის აუზში. ამ გამარჯვების შედეგად ხუანდი-ს ტომთა გაერთიანება იპყრობს ცენტრალურ დაბლობს ხუანხეს შუა წელში, სადაც, როგორც ფიქრობენ, წარმოიქმნა ხ უ ა ს ი ა-ს კულტურა — მომავალში საერთო ჩინური კულტურის საძირკველი.

პირველყოფილ-თემური საზოგადოების ნიშნები ჩინური საისტორიო ტრადიციის მიხედვით. კონფუცის ერთ-ერთ კანონიკურ წიგნში — „ლ ი ძ ი" („დადგენილებათა წიგნი") — ასეა აღწერილი ძველი ჩინური საზოგადოება: „მაშინ ხორციელდებოდა დიადი სამართლიანობის პრინციპები და ზეცის ქვეშ ყველაფერი საერთო იყო. ირჩევდნენ ბრძენთა და ნიჭიერთ, იქცეოდნენ კეთილსინდისიერად და მზარს უქერდნენ თანხმობასა და მშვიდობას. ადამიანები ნათესაურად

ექცეოდნენ არა მარტო თავის ნათესავებს, მამაშვილურად — არა მარ-
ტო საკუთარ შვილებს. ამიტომ ჰქონდათ მოხუცებს თავშესაფარი,
მცირეწლოვანთ დიდი ამაგით ზრდიდნენ, უვლიდნენ ყველას — ქვრივ
მამაკაცებს და ქალებს, ობლებს, უშვილო მოხუცებს, უძლურებს.

ყოველ მამაკაცს საკუთარი საქმე ჰქონდა. ქალიშვილებს შეეძ-
ლოთ დროზე გათხოვება. პროდუქტების დაყრა ადგილზე არ შეიძლე-
ბოდა, მაგრამ არ არსებობდა მათი საკუთარ სახლში შენახვის აუცი-
ლებლობაც. ისინი შრომისათვის თავის არიდებას სამარცხვინოდ
თვლიდნენ, მაგრმ შრომობდნენ არა საკუთარი თავისთვის. აი, რატომ
არ ხორციელდებოდა ბოროტი ზრახვები. არ არსებობდა მოტყუება,
არ იყო ქურდობა და ყაჩაღობა, ამიტომ არ კეტავდნენ შემოსასვლელ
კარებს. ყოველივე ამას „დიადი ერთობა“ ეწოდებოდა.

ბუნებრივია, რომ ამ „დიადი ერთობის“ აღწერაში ჩვენ პირველ-
ყოფილ-თემური საზოგადოების საკმაოდ დაწვრილებით დახასიათე-
ბას ვხვდებით: ჯერ არ არსებობს კერძო საკუთრება და ქონებრივი
დიფერენციაცია, კოლექტიური შრომის ნაყოფით სარგებლობს მთე-
ლი თემი, საზოგადოების ყოველ წევრს თანაბარი უფლებები აქვს,
მაგრამ უკვე გაჩნდა საზოგადოების შემადგენელი პირველადი ერთე-
ული — მონოგამიური ოჯახი, იწყება სიმდიდრის დაგროვება და
ტყვედ ჩავარდნილ ადამიანთა მონებად გადაქცევა. როგორც ეს სხვა
ქვეყნებშიც ხდებოდა, დაპყრობილი ხალხების ეთნიკური სახელი „მო-
ნის“ სინონიმად იქცეოდა ხოლმე ან ამ ტერმინის შემადგენელ ნაწილს
წარმოადგენდა. მონა ჩინეთში, ზოგიერთი მკვლევრის აზრით, აღინიშ-
ნებოდა იეროგლიფით „მ ი ნ“ („ადამიანები, ხალხი“), რომელიც შიშ-
ველ ფეხებშებოჭილ ადამიანს გამოხატავდა. იმის მიხედვით, თუ რო-
მელი ტომიდან იყო ესა თუ ის მონა, მას ლ ი მ ი ნ-სა და მ ი ა ო მ ი ნ-ს
უწოდებდნენ, ანუ „ლი-ს ადამიანი“ და „მიაო-ს ადამიანი“. ამავე
დროს, არ იქნება სწორი, თუ ძველი ჩინეთის „მინ-ს“ ყველგან და ყო-
ველთვის განვიხილავთ როგორც მონას, რადგანაც ეს ტერმინი მო-
იცავდა მდაბიო (ძირითადად მშრომელ) ხალხებსაც.

კონფუციის კანონების ერთ-ერთ წიგნში — „ლ ი ძ ი“-შ ი („დადგე-
ნილებათა წიგნი“) — ეს პერიოდი ასე არის დახასიათებული: „რად-
განაც ამჟამად დაირღვა დიადი დ ა ო-ს პრინციპი (სამყაროსა და სი-
ცოცხლის საყოველთაო კანონი, რომელიც, ძველ ჩინელთა წარმოდგე-
ნით, საფუძვლად უდევს წარმატებებისა და ზნეობრივი თვითდახვე-
წის გზას — ე. მ.), ყველაფერი ზეცის ქვეშ ცალკეული ოჯახების
ხელში აღმოჩნდა, ყველა ცდილობს შეიყვაროს მხოლოდ საკუთარი
მშობლები და იზრუნოს მხოლოდ საკუთარ შვილებზე, აქციოს საგ-
ნები საკუთრებად და იშრომოს მხოლოდ საკუთარი თავისათვის. მა-
ღალი თანამდებობების შვილებზე და შვილიშვილებზე მემკვიდრეო-

ბით გადაცემა ადათად იქცა; ქალაქის კედლები და თხრილები ემსახურება დაცვის საქმეს; განისაზღვრება ქვეშევრდომთა და მმართველის, მშობლებისა და შვილების ურთიერთობანი, დამყარდა მეგობრობა ძმებს შორის, მშვიდობა — მეუღლეთა შორის; დადგინდა გარკვეული წესწყობილება, გაიმიჯნა ველები; განსაკუთრებით დაფასდნენ მამაცნი და ბრძენნი; ადამიანები მოქმედებენ საკუთარი წარმატებისათვის, და მაშინ დაიწყო სამხედრო შეტაკებანი"...

დაირღვა პირველყოფილ-თემური საზოგადოების საყრდენი, გაჩნდა ქონებრივი დიფერენციაცია, კლასები, სახელმწიფო. ცხადია, ეს პროცესი ისეთი სისწრაფით არ მიმდინარეობდა, როგორც იგი აღწერილია ზოგიერთ ლეგენდაში. ეს იყო ხანგრძლივი ისტორიული განვითარების, ახალი სოციალურ-ეკონომიკური ვითარების ელემენტების თანდათანობით და ზოგჯერ თითქმის შეუმჩნეველი დაგროვების შედეგი.

§ 4. შან-ის (ინ-ის) სახელმწიფო

სია-ტომის ბატონობის ეპოქა (ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრული — II ათასწლეულის შუა ხანა). ცი ითვლება სია-ტომის ბატონობის პერიოდის პირველ მმართველად (მეფედ). მის მიერ შემოღებული ტახტის მემკვიდრეობით გადაცემის წესი, როგორც მოსალოდნელი იყო, წააწყდა სხვა გვარების წარმომადგენელთა მძაფრ წინააღმდეგობას.

ცოტა მოგვიანებით მმართველ სია-ს დინასტიამ საბოლოოდ დაიმორჩილა ი-ს სახელწოდებით ცნობილი ტომები, მაგრამ უკვე ი ნ ძ ი ა-ს დროიდან იწყება სია-ს დასუსტების ხანა, რასაც განსაკუთრებით ხელი შეუწყო შ ა ნ-ის ტომთან ბრძოლამ, რომელიც ძვ. წ. დაახლოებით XVII—XVI სს. სია-ს მარცხითა და შანის გამარჯვებით დაგვირგვინდა.

შან-ის (ინ-ის) სახელმწიფოს ძლიერების ხანა (ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანიდან მის მიწურულამდე). შან-ის დინასტიის მმართველნი ძ ი-ს საგვარეულოს ეკუთვნოდნენ და, ძველი გადმოცემების მიხედვით, მათი მამამთავრები ვ ა ნ ხ ა ი და ს ი ა ნ ტ უ იყვნენ, რომელთა დროსაც თითქოს შანელებმა ცხოველთა მოშინაურება დაიწყეს, ამას მოჰყვა მიწათმოქმედების, ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარება.

შანის გაძლიერებისა და შემდგომი განვითარების გზაზე იდგა სია-ს სახელმწიფო. გადამწყვეტი ბრძოლები შან-სა და სია-ს შორის დაიწყო ჩ ე ნ ტ ა ნ ი-ის მმართველობის წლებში. ტან-მა ჯერ და-

ამარცხა სია-ს მოკავშირეები — ვ ე ი-ს ა და გ უ ა-ს ტომები, ხოლო შემდეგ, ისარგებლა ოა სია-ს უკანასკნელი მეფის — სასტიკი დესპოტის ძ ე-ს — არაპოპულარობით, შეუტია სია-ს. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა მ ი ნ ტ ი ა ო-სთან და დამთავრდა ძე-ს სასტიკი მარცხით და სია-ს საბოლოო დამორჩილებით. ამ გამარჯვების შემდეგ ტანი დაბრუნდა თავის დედაქალაქ ბო-ში და უ-ე ა ნ-ის სახელი მიიღო.

ამ სამეფოს მმართველობიდან განსაკუთრებით ცნობილია პ ან გ ე ნ ი (დაახლოებით XIII—XII სს.), რომელმაც მთელი რიგი რეფორმა გაატარა. მან შეამცირა უსარგებლო ხარჯები, ძალით გადაასახლა არისტოკრატებიცა და უბრალო ხალხიც მდინარე ი ნ-ი ს მეორე ნაპირზე, აუშენა მათ ლერწმით გადახურული ქოხები და შეამსუბუქა ხალხის მდგომარეობა. აქვე დააარსა მან ახალი დედაქალაქი — ი ნ ი. მისი სიკვდილის შემდეგ შანის სახელმწიფონ კიდევ ერთი საზელწოდება მიიღო — ი ნ ი.

პენ გენ-ის მომდევნო მმართველებიდან განიორჩეოდნენ მხოლოდ უ დ ი ნ ი და ძ უ ძ ი ა, რომლებმაც ცადეს შეეჩერებინათ შანის სახელმწიფოს დაშლისა და დაქვეითების პროცესი, მაგრამ მათი სიკვდილის შემდეგ ეს პროცესი კიდევ უფრო დაჩქარდა და ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოსათვის შან-ის სახელმწიფო განადგურდა ჯოუ-ს დინასტიის წარმომადგენლის უ-ვ ა ნ-ის ჯარების შემოსევის შედეგად.

მოსახლეობის საქმიანობა, სოციალური სტრუქტურა და სოციალური ურთიერთობანი შან-ის (ინ-ის) სახელმწიფოში. ერთი მხრივ, წერილობითი წყაროები, ხოლო, მეორე მხრივ, არქეოლოგიური მასალები ინ-ის პერიოდის ნამოსახლარებიდან (სოფ. ს ი ა ო ტ უ ნ ი ხენანის პროვინციაში, სოფ. უ გ უ ა ნ ც უ ნ ი და სხვ.) გვაძლევენ საშუალებას გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ შან-ის (ინ-ის) ეპოქის საზოგადოებრივი განვითარების შესახებ.

შან-ის პირველ პერიოდში მოსახლეობის მთავარ საქმიანობას მესაქონლეობა წარმოადგენდა (მოშინაურებულ ცხოველთა შორის ამ დროს უკვე ცნობილია ღორი, ცხვარი, ძაღლი, ძროხა, ცხენი, სპილო), მაგრამ შემდგომში მას გამოეყო მიწათმოქმედება, რომელმაც მოსახლეობის საქმიანობაში მთავარი ადგილი დაიკავა. ამ დროისათვის უკვე არსებობს იეროგლიფები, რომლებიც აღნიშნავენ როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, ასევე სხვადასხვა დანიშნულების მიწის ნაკვეთებსა და მათთან დაკავშირებულ ტერმინებს. შანის ეპოქაში გაჩნდა ბრინჯაოს გუთანი, მაგრამ მთავარ საწარმოო იარაღს მაინც ხის კავი წარმოადგენდა. ამ დროისათვის უკვე შემუშავებული იყო მიწის დამუშავების წესები სათანადო კლიმატური პირობების მიხედვით.

მიწათმოქმედნი, რომლებიც აღინიშნებოდნენ სხვადასხვა იეროგლიფებით, იხდიდნენ გარკვეულ გადასახადებსა და ასრულებდნენ საბეგრო სამუშაოებს. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, უკვე ამ დროს არსებობდა მიწის რენტის რამდენიმე სახეობა: „გ უ ნ“, „ჯ უ“, „ჩ ე“. პირველი ცნობილია სია-ს ეპოქიდან და აღნიშნავს ფოსავლის მეათედს, რომელსაც უხდიდნენ მებატონეებს. „ჯუ“ განვითარდა შან-ის დროს და აღნიშნავდა სამუშაოებს საზოგადო მინდვრებზე („გუნტიანი“), რომელნიც ფაქტიურად გაბატონებული კლასის ხელში იყო. რაც შეეხება „ჩეს“, იგი ძირითადად მომდევნო ჯოუ-ს პერიოდში იყო განვითარებული და აღნიშნავდა საპროდუქტო რენტას.

შან-ის ეპოქაში უმთავრესად ლითონის (ბრინჯაოს) იარაღი იყო გავრცელებული (ისრის თავები, ხმლები, დანები, საფხეკები, ნაჯახები, თასები, ფიალები და მრავალი სხვა). ქვა ამ დროისათვის გამოიყენებოდა მხოლოდ ხელოვნებასა და რელიგიურ კულტთან დაკავშირებული საგნების დასამზადებლად. არსებობდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი და კარგად ორგანიზებულ ხელოსანთა კლასი, საამქოდრო და შრომის იარაღის შემქმნელი, მეტყავეები, მელითონეები, მკერავები და ა. შ. მათ სათავეში სპეციალური მოხელეები იდგნენ.

შან-ის მთელი მოსახლეობა, როგორც ჩანს, დაყოფილი იყო ორ დიდ სოციალურ კლასად: თავისუფალთა კლასი — „ბ ა ი ს ი ნ ი“ და მდაბიონი — „მ ი ნ ი“, რომელთა შორის გარკვეულ ნაწილს მონები შეადგენენ. ამ უკანასკნელთ ზოგჯერ „ჩ უ მ ი ნ“-საც („ხალხი — საქონელი, ცხოველი“) უწოდებდნენ.

როგორც წყაროებიდან ირკვევა, შანის პერიოდის დასაწყისში ტყვედ ჩავარდნილ ადამიანებს კლავდნენ, შემდეგ კი იმონებდნენ. მონის გამომხატველი ერთიანი ტერმინი არ არსებობდა და იგი სხვადასხვა იეროგლიფით აღინიშნებოდა. მონას, როგორც წესი საშუალება ჰქონდა შეექმნა საკუთარი ოჯახი და გარკვეული საკუთრება ჰქონოდა.

არც „ბაისინ“-ის კლასი წარმოადგენდა სოციალურად ერთფეროვან მასას, მათ შორის გამოირჩეოდნენ როგორც უმაღლესი რანგის მოხელენი (ოლქის თავები, სპასალარები, წარმოების ცალკეული დარგების ხელმძღვანელნი და ა. შ.), ასევე მშრომელნი, რომელთა შორის, მაგალითად, იყვნენ მიწის მცირე ნაკვეთების მფლობელნი.

საზოგადოების სათავეში იდგა ერთი მმართველი — დ ი, გ უ ნ ი ან ვ ა ნ ი (მეფე), რომლის ძალაუფლება ზემკვიდრეობით გადადიოდა უფროს ვაჟიშვილზე. როგორც წერილობითი წყაროებიდან ჩანს, დასაწყისში ვანი ხშირად „გადიოდა მინდვრად“, ნადირობდა, იჭერდა თევზს და ა. შ., ე. ი. უშუალოდ ხელმძღვანელობდა წარმოებას და, შესაძლოა მონაწილეობდა კიდეც მასში, მაგრამ დროთა განმავლობაში

ერთპიროვნულ დესპოტად იქცა. იგი იყო უზენაესი მბრძანებელი, მთავარსარდალი და ქურუნი, ღმერთის მოციქული მიწაზე.

სახელმწიფოში დიდ როლს ასრულებდნენ მეფის შვილები (ძ ი, რომლებიც ჩვეულებრივად ოლქების მმართველებად ინიშნებოდნენ) და ცალკეული ტომების ბელადები და სხვანი.

შან-ის ეპოქის კულტურა და მეცნიერება. ძველი წყაროებიდან ჩანს, რომ მეფეს მრავალი მრჩეველი ჰყავდა, რომელთა შორის გამოირჩეოდნენ „უ“ (მკითხავები) და „ში“ (მეცნიერები). პირველნი უკრავდნენ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე, მღეროდნენ, ცეკვავდნენ, მკურნალობდნენ ავადმყოფებს, ხოლო მეორენი ქმნიდნენ მატიანეებს, სწავლობდნენ ასტრონომიულ მოვლენებს, კარგად იცოდნენ ისტორია და ა. შ.

შან-ის ეპოქაში ჩინელებმა შექმნეს პირველი კალენდარი, რომლის მიხედვითაც წელიწადი იყოფოდა 12 თვედ (ნაკიანი წელი შედგებოდა 13 თვისაგან). თვეში იყო 30 („დიდი თვე“) ან 29 („პატარა თვე“) დღე.

ვარაუდობდნენ, რომ დამწერლობა ჩინეთში შეიქმნა შანის დინასტიამდე. ყოველ შემთხვევაში, როგორც ძვლებზე შემორჩენილი წარწერები მოწმობენ, ამ დროისათვის უკვე საკმაოდ განვითარებული იყო პიქტოგრაფია.

ამ დროს გავრცელებულია პოლითეიზმი და მოსახლეობა თაყვანს სცემს მრავალი სახის კეთილ და ბოროტ სულებს.

§ 5. ჯოუ-ს ეპოქა

დასავლეთი ჯოუ. XIII—XII სს. ჩრდილო-დასავლეთ ჩინეთში გამოჩნდა და თანდათანობით გაძლიერდა ჯ ო უ-ს ტომი. დასაწყისში ისინი მომთაბარენი იყვნენ, ხოლო შემდგომ ბინადარ ცხოვრებაზე გადავიდნენ, დაიპყრეს მთელი რიგი მეზობელი ტომი და შან-ისათვის საშიშ მეტოქედ იქცნენ.

ხანგრძლივი ბრძოლა შან-სა და ჯოუ-ს შორის ძვ. წ. 1066 წ. (სხვა მონაცემებით, 1122 წ.) დასრულდა უკანასკნელთა გამარჯვებით. ჯ ო უ-ს მმართველმა უ-ვ ა ნ-მა დაამარცხა შან-ის უკანასკნელი მბრძანებელი დ ი ს ი ნ ი და აიღო მისი დედაქალაქი ჩ ა ო გ ე.

უ-ვან-ის სიკვდილის შემდეგ გამეფდა მისი მცირეწლოვანი შვილი ჩ ე ნ-ვ ა ნ ი, მაგრამ ქვეყნის რეალურ მბრძანებლად რეგენტი ჯ ო უ-გ უ ნ ი (უ-ვ ა ნ-ის უმცროსი ძმა) გახდა. ამ დროს ადგილი ჰქონდა დაპყრობილ ტომთა მძლავრ აჯანყებას, რომელშიც მთავარ როლს შან-ის მმართველი უ-გენი ასრულებდა. ბრძოლა სამ წელს

გაგრძელდა და აჯანყებულთა მარცხით დამთავრდა. უ-გენი მოკლეს. სულ დაპყრობილი იყო 17 ტომი და ჯოუ-ს სახელმწიფოს ტერიტორიამ ხუანხეს ქვედა წელამდე მიაღწია.

აჯანყების ჩახშობის შემდეგ ჯო-გუნ-მა ჩაატარა რიგი რეფორმისა, რომელთა უმრავლესობა სახელმწიფო ხელისუფლების განმტკიცებას ემსახურებოდა. შანელების ცალკეული გვარები მან გადაასახლა სხვადასხვა ადგილებში და დაუმორჩილა ისინი ჯოუ-ს არისტოკრატიის წარმომადგენლებს. მიწებისა და დაპყრობილი ტომების წარმომადგენელთა განაწილების შედეგად მმართველი გვარის — ჯოუ-ს — თითქმის ყველა წარმომადგენელი ჯ უ ხ ო უ-დ („მფლობელ თავადად") იქცა, ხოლო ჯოუ-ს ცენტრალურ გვარს. ძ უ ნ ჯ უ-ს („სიუზერენს, გვარის უფროსს") უწოდებდნენ.

ყოველივე ამან, მართალია, ხელი შეუწყო დასავლეთ ჯოუ-ს სახელმწიფოს გაძლიერებას, მაგრამ ამ უკანასკნელმა მაინც ვერ შეძლო სხვა ტომების იმდენად დამორჩილება, რომ მათ საბოლოოდ შეეწყვიტათ წინააღმდეგობა. მომდევნო ხანაში ჯოუ განაგრძობდა განუწყვეტელ ბრძოლებს სხვადასხვა ტომებთან, კერძოდ, სიუნუ-ს ანუ ჰუნების ტომთან.

დასავლეთ ჯოუ-ს რღვევის პროცესი განსაკუთრებით შეინიშნება ლ ი ვ ა ნ-ის (878—842 წწ.) პერიოდიდან, როდესაც მრავალი დაპყრობილი ოლქის მმართველმა შეწყვიტა ხარკის გადახდა და აღარ ცხადდებოდა მეფის კარზე. ლი ვანი, სიმა ციან-ის გადმოცემით, სასტიკ და დაუნდობელ დესპოტად იქცა, დროსტარებით იყო გართული, ხოლო ხალხს სიკვდილით დასჯის შიშით ხმის ამოღებისაც კი ეშინოდა, მაგრამ უკმაყოფილებამ მაინც ამოხეთქა და 842 წ. აჯანყებულმა ხალხმა აიძულა ლი ვანი ქვეყნიდან გაქცეულიყო.

ი უ ვ ა ნ-ს (781—771 წწ.) აუჯანყდა საკუთარი სიმამრი, რომელიც დაუკავშირდა მეზობელ მომთაბარე ტომებს. ეს უკანასკნელნი შემოიჭრნენ დედაქალაქში და მოკლეს იუ ვანი — დასავლეთ ჯოუს უკანასკნელი მმართველი.

აღმოსავლეთი ჯოუ (ძვ. წ. 770—403 წწ.). იუ ვან-ის შვილმა და მემკვიდრემ პ ი ნ ვ ა ნ-მა (770—719 წწ.), რომელმაც ვერ გაუძლო ჟუნ-ების შემოტევას, ც ი ნ-ის მმართველის ს ი ან-გ უ ნ-ის დახმარებით გადაინაცვლა აღმოსავლეთით და გადაიტანა დედაქალაქი ლ ო ი-შ ი, ხოლო ერთგულ სინ-გუნ-ს ჯ უ ხ ო უ-ს (ოლქის მმართველის) წოდება უბოძა. მომდევნო ხანაში ცინ-ის სამთავრომ დასავლეთში ჯოუ-ს მიერ დაკარგული ბევრი მიწა შემოიერთა და მძლავრ პოლიტიკურ ერთეულად იქცა.

დაიწყო ჯოუ-ს ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებისა და მრავალი სამთავროს გაძლიერების, მათ შორის დაუსრულებელი

ბრძოლების ხანა. ჯოუს-ს მმართველები, ნომინალური ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით ურიგებდნენ მიწებს ცალკეულ მთავრებს, რომლებიც სულ უფრო ძლიერდებოდნენ და დამოუკიდებელნი ხდებოდნენ. იშვიათი გახდა ჯოუ-ს ვანის კარზე მათი გამოცხადება და მდიდარი საჩუქრების ბოძება.

ძვ. წ. 250 წ. ჯოუ-ს მმართველის ძ ი ნ-ვ ა ნ-ის გარდაცვალების შემდეგ ვ ა ნ ძ ი-ჩ ა ო-მ, გამოიყენა რა ძველი მოხელეებისა და ხელოსნების უკმაყოფილება, დაიწყო აჯანყება ტახტის ხელში ჩაგდების მიზნით. ხუთწლიანი ბრძოლების შემდეგ იგი დამარცხდა და გაიქცა ჩ უ-ს სამთავროში. ჩინური ტრადიციის მიხედვით, მან გაიტაცა ვანის საგვარეულო წიგნები და დოკუმენტები, რამაც ხელი შეუწყო კულტურულ აღორძინებას არა მარტო ჩ უ-ს, არამედ ლ უ-ს ა და ს ი ნ-ის სამთავროებშიც. სწორედ აქ შექმნეს თავისი მოძღვრებანი კ უ ნ ც ი უ-მ ანუ კონფუციმ (სამთავრო ლუ,) მ ო დ ი-მ (სუნი) და ლ ი ე რ - მ ა (ჩუ).

ბრძოლები ცალკეულ სამთავროებს შორის მრავალი საუკუნის მანძილზე გაგრძელდა. დასაწყისში გაძლიერდა ჩუ-ს სამთავრო, რომელიც არაჩვეულებრივ აგრესიულობას იჩენდა მეზობელთა მიმართ. ამ სამთავროში სამარცხვინოდ ითვლებოდა, თუ მშვიდობა ხუთ წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა. ჩუ განსაკუთრებით გაძლიერდა ძვ. წ. VIII ს. მიწურულს, ე. წ. ჩ უ ე ნ ც ი უ-ს პერიოდის დასაწყისში. სწორედ ჩუ-ს ბატონობის ხანაში ჩინეთის ცივილიზაცია გასცდა ხუანხეს აუზის ფარგლებს და დაიწყო იანძიძიანის აუზის ათვისება.

ძვ. წ. 632 წ. ძ ი ნ-ის მმართველი ვ ე ნ-გ უ ნ ი სათავეში მოექცა ოთხი სამთავროს კოალიციას (ძინი, სუნი, ცი, ცინი) და გაილაშქრა ჩუ-სა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ. ჩუ-ს ჯარები დამარცხდნენ, ხოლო ძინი იქცა ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ. ამის შემდეგ ძინი კიდევ სამჯერ ილაშქრებს ჩუ-ს წინააღმდეგ, მაგრამ გადამწყვეტ წარმატებას ვერ აღწევს. ძვ. წ. 546 წ. იგი იძულებული ხდება დაიწყოს საზავო მოლაპარაკება. ამ მოლაპარაკებით აღმოსავლეთ ჯოუ-ს ისტორიაში იწყება ახალი პერიოდი, როდესაც ძალთა თანაფარდობის საფუძველზე ჩუ და ძინი ინარჩუნებენ ჰეგემონობას გავლენის საკუთარ სფეროებში. ძინის დასუსტება იწყება მხოლოდ V ს. 80-იანი წლებიდან და მალე მისი რამდენიმე სამთავროდ დაშლით მთავრდება.

ძვ. წ. VII—V სს. ჩინეთის ისტორიაში ჩვეულებრივად „ხუთი ჰეგემონის“ (ჩინურად — უ ბ ა) პერიოდს უწოდებენ, რადგანაც ამ დროს განსაკუთრებულად გაძლიერდნენ ც ი-ს, ჩ უ-ს, ც ი ნ-ის, ძ ი ნ-ი ს ა და ი უ ე-ს სამთავროები. შედარებით უფრო მცირე სამთავროების რიცხვი კი 150-მდე ადიოდა.

ჯანგო-ს პერიოდი (403—221 წწ.). ხანგრძლივი შინაომების შედეგად ძვ. წ. 403 წ. ძინის სამეფო დაიშალა სამ დამოუკიდებელ სამთავროდ — ხ ა ნ ი, ჯ ა ო და ვ ე ი. სხვა პოლიტიკურ ერთეულთა შორის ამ დროს განსაკუთრებით გაძლიერებულია კიდევ ოთხი სამთავრო — ც ი ნ ი ც ი, ჩ უ და ი ა ნ ი. სწორედ ეს შვიდი სამთავრო შეადგენს იმ „შვიდ მეტოქეს“ („ც ი უ ს ი უ ნ ი“), რომელიც განაგრძობს ბრძოლას ჰეგემონობისათვის. რაც შეეხება აღმოსავლეთ ჯოუ-ს სამეფო სახლს, იგი ამ დროისათვის იმდენად დასუსტებულია, რომ განაგებს მხოლოდ უმნიშვნელო ტერიტორიას (აღმოსავლეთი ჯოუ საბოლოოდ განადგურებულ იქნა ძვ. წ. 249 წ. ცინის სამთავროს მიერ).

403—221 წლების ეპოქას ჩინეთის ისტორიაში ჯ ა ნ გ ო-ს („მებრძოლი სამთავროების“) პერიოდს უწოდებენ.

IV ს. მეორე მეოთხედიდან გაძლიერებას იწყებს ც ი ნ-ის სამთავრო, რომელიც მომდევნო ხანაში ჩინეთის უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა.

დასაწყისში ცინ-ის მმართველებმა ცადეს მოლაპარაკების გზით დაემორჩილებინათ ექვსი სხვა სამთავრო და, თითქოს დაითანხმეს კიდეც ისინი, მაგრამ ეს კოალიცია სულ მალე დაიშალა და შინაბრძოლები განახლდა.

ეს ბრძოლები დიდ ხანს გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. გარდატეხა მოხდა მას შემდეგ, რაც ძვ. წ. 260 წ. ცინ-ის ჯარებმა სასტიკად დაამარცხეს სამთავრო ჯაო-ს უზარმაზარი არმია. 400 ათასი მეომარი ჩავარდა ტყვედ და ყველანი ცოცხლად დამარხეს. მართალია, ამის შემდეგაც ვეი-სა და ჩუ-ს ჯარების დახმარებით ჯაო-მ დროებით თავი დააღწია სრულ განადგურებას, მაგრამ ამ სამთავროების ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. მათი საბოლოო დაპყრობა დაასრულა ცინ-ის საკმაოდ მტკიცე და ენერგიულმა მმართველმა ი ნ ჯ ე ნ-მა (246—210 წწ.). ძვ. წ. 230 წ. მან დაიმორჩილა ხანი, 228 წ. — ჯაო, 225 წ. — ვეი, 223 წ. — ჩუ, 222 წ. — იანი და 221 წ. — ცი; რის შემდეგაც დასრულდა ჯანგოს პერიოდი ჩინეთის ისტორიაში და შეიქმნა მძლავრი ერთიანი სახელმწიფო (იმპერია). თვით ინ ჯ ე ნ-მა ხ უ ა ნ დ ი-ს (იმპერატორის) ტიტული მიიღო და ისტორიაში შევიდა ც ი ნ-შ ი ხ უ ა ნ დ ი-ს („ცინ-ის იმპერიის პირველი იმპერატორის“) სახელით.

ეკონომიკური და სოციალური განვითარება ჯოუ-ს ეპოქაში. ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლასთან დაკავშირებით ჯოუ-ს ტომთა შორის მთავარ ადგილს მიწათმოქმედება იკავებს. ძველი ლეგენდების მიხედვით, ჯოუ-ს მამამთავარმა ც ი-მ პირველმა დათესა ფეტვი და ხორბალი მას ხ ო უ ძ ი-ს („მეფე-ფეტვს“) უწოდებდნენ. მიწას

ამუშავებდნენ გლეხები, ხოლო მთელი შემოსავალი მსხვილ მიწათ-მფლობელთა („თავადების") ხელში გადადიოდა. შემდეგ ეს მემამულენი ურიგებდნენ გლეხებს საკვებს, ჩასაცმელს, შეშას და ა. შ. გლეხს უფლება ჰქონდა მხოლოდ ნანადირევი ფრინველის მცირე ნაწილი დაეტოვებინა თავისთვის. „თავადები" უშუალოდ თვითონ ხელმძღვანელობდნენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს და თვითონვე ურიგებდნენ გლეხებს საკვებსა და ტანსაცმელს. მიწას ამუშავებდნენ ბრინჯაოს იარაღებით: გუთანი, ბარი, ნამგალი და ა. შ. რკინის იარაღი ჩნდება მხოლოდ ჯანგო-ს პერიოდში, თუმცა მაშინაც ბრინჯაოს იარაღი საკმაოდ ფართოდ იხმარებოდა.

ჯოუ-ს დინასტიის დამაარსებელს, გ უ-გ უ ნ-ს მიეწერება ტერიტორიული ერთეულის („ი") დაარსება, სახელმწიფოებრივი სისტემისა და მოხელეთა იერარქიის შემოღება. მისმა ერთ-ერთმა მემკვიდრემ ვ ე ნ-ვ ა ნ-მა გადაანაწილა მიწები გლეხთა შორის. ახლა ყოველმა ოჯახმა მიიღო კერძო სარგებლობაში 100 მ უ (1 მუ=614,4 კვ. მ.) მიწა და ვალდებული იყო გადაეხადა მოსავლის 1/9 ნაწილი. ამას გარდა გლეხები ამუშავებდნენ საზოგადო მიწებს. მსხვილ და წვრილ მოხელეებს ვენ-ვან-მა უბოძა სათანადო ზომის მიწის ნაკვეთები, რომლებიც მემკვიდრეობით გადადიოდა მამიდან შვილზე. მხოლოდ ვაჭრები იყვნენ თავისუფალნი ყოველგვარი გადასახადებისაგან.

ცალკეული სამთავროებისა და ოლქების მმართველები ურიგებდნენ მიწებს უფრო წვრილ მფლობელებს და ა შ. მანამ, სანამ ამათუ იმ ზომის მიწის შედარებით მცირე ნაკვეთი არ აღმოჩნდებოდა შ უ მ ი ნ-ის ხელში, რომელნიც წარმოადგენდნენ მიწათმოქმედთა თავისუფალ თუ დამონებულ მასას. შუმინ-ის ხელში მყოფი მიწა მემკვიდრეობით გადადიოდა უფროს ვაჟიშვილზე, ხოლო სხვა შვილები ან მცირეოდენ ნაკვეთს იღებდნენ, ან სულ არაფერს, სახელმწიფოში არსებობდა გადასახადების კარგად აწყობილი სისტემა, „შუძინ"-ში ამის შესახებ ნათქვამია: „თუ ოლქების მმართველნი არ უხდიან გადასახადს იმპერატორს, ხოლო მდაბიო ხალხი არ უხდის მმართველებს, მმართველობაში უწესრიგობა იწყება". ხოლო სახელმწიფოს ამგვარ სისტემაში ვანი (მეფე) წარმოადგენს უზენაეს სუვერენსა და მფლობელს. „უსაზღვრო ცისქვეშ არ არის მიწა, რომელიც ვანს არ ეკუთვნის; ადამიანთა შორის, რომელნიც ამ მიწაზე საზლობენ, არ არის არც ერთი, რომელიც ვანის მსახური არ იყოს". — ეკითხულობთ ჩვენ ძველ ჩინურ „სიმღერათა წიგნში" — „შ ი ძ ი ნ"-ში.

დასავლეთ ჯოუ-ს სახელმწიფოში ძველი არისტოკრატიული გვარების წარმომადგენლები („ბ ა ი ს ი ნ") უპირისპირდებოდნენ „მთელ ხალხს" („ვ ა ნ მ ი ნ"-ს). „ბაისინ" ძირითადად შედგებოდა ვანის სა-

გვარეულო სახლისა და ძველი საგვარეულო არისტოკრატიის წარმომადგენლებისაგან. ამ წრიდან გამოდიოდნენ მეფისნაცვლები (მეფის შვილები და ნათესავები), ოლქის მმართველნი, მსხვილი მოხელენი და ა. შ.

„მთელი ხალხი („ვ ა ნ მ ი ნ ი“ ან „შ უ მ ი ნ ი“) შედგებოდა სხვადასხვა სოციალური ფენებისაგან: 1) „ს ი ა ო ჟ ე ნ ი“, რომელნიც მისდევდნენ მიწათმოქმედებას, ვაჭრობას და პირადად თავისუფალნი იყვნენ; 2) შუმინ-ის ის ნაწილი, რომელიც მიწაზე იყო მიმაგრებული და რომლის მდგომარეობაც ყმა-გლეხის მდგომარეობას წააგავს; 3) მონები.

ხალხი ცხოვრობდა გამაგრებულ დასახლებებში — „ი“. ყველაზე პატარა ი შედგებოდა ათი ოჯახისაგან. ისინი ერთად ამუშავებდნენ მიწებს და ვალდებული იყვნენ სალაშქროდ გამოეყვანათ ერთი საომარი ეტლი და მეომართა 2 „ხუთეული“.

აღმოსავლეთ ჯოუ-ს არსებობის პერიოდში საგრძნობლად შეირყა ცენტრალიზებული სახელმწიფოს სისტემა, გაძლიერდა ცალკეული სამთავროები, დაირღვა მიწაზე საგვარეულო საკუთრების წესი და მიწის ნაკვეთი იქცა ყიდვა-გაყიდვის საგნად, მაგრამ გვარი კვლავ რჩებოდა მყარ ერთეულად — საგვარეულო თემად („ძ უ დ ა ნ ი“). გვარის მამას ემორჩილებოდნენ მამაკაცნი, დედას — ქალები. გვარის წევრები ძირითადად გვარის უფროსის მიწებს ამუშავებდნენ და თაყვანს სცემდნენ მას, როგორც უზენაეს ძალაუფლების მატარებელს. ყოველ ასეთ საგვარეულო თემს გააჩნდა საკუთარი წეს-ადათი და სასჯელების სისტემა, ჯარი, მოხელენი, თავისუფალი გლეხობა — „ნ უ ნ მ ი ნ ი“ (სისხლით ნათესავნი), მოსახლეობის დამონებული ნაწილი — „ნ უ ნ ნ უ“ (უცხო ტომების წარმომადგენელნი). გვარის მთელ საქმეებს უფროსის დავალებით განაგებდა „ძ ა ი“ ან „ძ უ ნ ლ ა ო“ (გვარის უხუცესი), რომელსაც ემორჩილებოდნენ მოხელენი: „ჯ უ“ — რელიგიური რიტუალის შემსრულებელნი, „ს ი მ ა“ — სამხედრო საქმეების გამგებელნი, „გ უ ნ ჯ ე ნ ი“ — ხელოსანთა და ვაჭართა ხელმძღვანელი და ა. შ. ასე რომ, ყოველი გვარი პატარა სამთავროს, სახელმწიფოს წარმოადგენდა და, რა გასაკვირია, რომ ტერმინი „გვარი („შ ი“) ზოგიერთი პოლიტიკური ერთეულის სახელწოდებაში გვხვდება: მ ე ნ ს უ ნ-შ ი, ძ ი ს უ ნ-შ ი და ა. შ.

თანდათანობით სოციალური დიფერენციაციის შედეგად გვარი იშლებოდა ცალკეულ ოჯახებად, რომელთა შორის გაჩნდებოდნენ მსხვილი მიწათმფლობელნი („დ ი ჯ უ“) და თავისუფალი გლეხობა („ნ უ ნ მ ი ნ ი“). აქ უკვე ცოლებსა და შვილებს არავითარი პირადი ქონება არ გააჩნდათ და ისინი ემორჩილებოდნენ ოჯახის უფროსს.

აღმოსავლეთ ჯოუ-ს პოლიტიკური დაქსაქსულობის პირობებში განსაკუთრებულ როლს ასრულებდნენ დიდებულნი, ოლქების მმართველნი — „ჯ უ ხ ო უ“, მსხვილი მოხელენი — „ც ი ნ დ ა ფ უ“, მსახურნი — „შ ი“. ეს უკანასკნელნი სამსახურისათვის იღებდნენ მიწის ნაკვეთებს, რომელთაც არა მარტო მემკვიდრეობით გადაცემის, არამედ გაყიდვის უფლებაც ჰქონდათ. ამ დროს ძლიერდება ვაჭართა კლასის ზედაფენა — „დ ა შ ა ნ ჟ ე ნ ი“, ხოლო რაც შეეხება შუმინს, ხელოსნებს, წვრილ ვაჭრებსა და მონებს („ნ უ ლ ი“), მათი მდგომარეობა უცვლელი რჩება.

ჩუნციუ-ს პერიოდის დაუსრულებელმა ომებმა დააჩქარეს გადასახადების ახალი სისტემის შემოღება. ძვ. წ. 594 წ. ლუ-ს სამთავროში შემოიღეს საადგილმამულო გადასახადი, რომელიც შემდგომ ჩინეთის სხვა სამთავროებშიც გავრცელდა. საადგილმამულო გადასახადი ნიშნავდა დასავლეთი ჯოუ-ს ეპოქიდან გავრცელებული საზოგადოებრივი მიწების სისტემის გაუქმებას. ეს იყო ახალი სისტემა — „ც ი უ ძ ი ა“, რომლის არსიც ის იყო, რომ ყოველი თემი ასრულებდა გარკვეულ, სრულიად განსაზღვრულ სამხედრო ვალდებულებას, ხოლო თვით თემის შიგნით ეს ვალდებულებანი ნაწილდებოდნენ ცალკეულ კერძო მფლობელობაში არსებული ნაკვეთების სიდიდის მიხედვით. ძველი სისტემის ჩარჩოებში სალაშქროდ წასვლა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმოებაზე იყო დამოკიდებული. ახლა კი აქ შრომის განაწილება მოხდა: მეომარი გამოეყო მიწათმოქმედს.

აღმოსავლეთ ჯოუ-ს პერიოდში გარკვეული ცვლილებები ხდება აგრეთვე პოლიტიკურ სისტემაშიც: ძლიერდება მოხელეთა ზედაფენა, სახელმწიფო თანამდებობანი მემკვიდრეობით გადადის მამიდან შვილზე. ყოველივე ეს ცენტრალური ხელისუფლების დასუსტების შედეგს წარმოადგენს.

ცინ-ის სამთავრო (ჯანგო-ს ეპოქა) დასაწყისში შედარებით სუსტი სახელმწიფო იყო. როდესაც ს ი ა ო-გ უ ნ ი ავიდა ტახტზე (361 წ.), მან შემოიკრიბა გამოჩენილი მრჩევლები და მეცნიერები. მათ შორის გამოირჩეოდა გ უ ნ ს უ ნ ი ა ნ ი, რომელსაც შ ა ნ-ის მამული უბოძეს, და ამის გამო იგი ისტორიაში შ ა ნ ი ა ნ-ის სახელით შევიდა. ძვ. წ. 359 წ. შან იან-მა ჩაატარა მთელი რიგი რეფორმისა, რომლებმაც ცინ-ის ძლიერებას ჩაუყარა საფუძველი.

უპირველეს ყოვლისა, მან ჩამოაყალიბა მოსახლეობის კომლობრივი ორგანიზაცია. ჩატარდა საკომლო აღწერა, რომლის შედეგად შეიქმნა უმცირესი ტერიტორიული ერთეულები — ბ ა ო (ხუთი კომლი) და ლ ი ა ნ ი (ათი კომლი). თუ ამ ერთეულების შიგნით ვინმე ჩაიდენდა დანაშაულს, სხვებს უნდა განეცხადებინათ ამის შესახებ.

დამნაშავის მფარველი სიკვდილით ისჯებოდა (მას შუაზე ჩეხდნენ). ამგვარმა ტერიტორიულმა კომლობრივმა ორგანიზაციამ საბოლოოდ გააუქმა გვარებად ცხოვრების სისტემა და განამტკიცა უფრო პატარა უჯრედი — ოჯახი. „თუ ოჯახში, — ნათქვამი იყო კანონში — არის ორი ან მეტი მამაკაცი და მათ ერთმანეთში არ გაიყვეს მეურნეობა, დე გადაიხადონ ორმაგი გადასახადი". მშრომელი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ამიერიდან გვაროვნული არისტოკრატიის ნაცვლად უშუალოდ სახელმწიფოს ემორჩილებოდა. საგვარეულო მფლობელობის წესის დარღვევასა და ნაკვეთებს შორის ძველი საზღვრების გაუქმებასთან დაკავშირებით (ე. წ. „მინდვრების გახსნა") დაიწყო მიწის თავისუფალი ყიდვა-გაყიდვა. სახელმწიფოს საყრდენს ამიერიდან დიდგვაროვანნი აღარ წარმოადგენდნენ. მათი ადგილი დაიკავეს მსხვილმა მიწათმფლობელებმა. შან იანი განსაკუთრებულ ყურადღებას მიწათმოქმედებასა და საფეიქრო საქმეს აქცევდა.

შან იან-მა მთელი ტერიტორია მაზრებად (ს ი ა ნ ი) დაყო, რომელთა სათავეში სპეციალური მოხელენი — ლ ი ნ ჩ ე ნ-ები ჩააყენა. მანვე შემოიღო მტკიცე კლასობრივი და სამოხელეო იერარქია: ყოველი კლასის წარმომადგენელს თუ თანამდებობის პირს ეძლეოდა მიწის ზუსტად ფიქსირებული ნაკვეთი და საცხოვრებელი სახლი, მას შეეძლო ჰყოლოდა მონების განსაზღვრული რაოდენობა და უნდა სცმოდა განსაკუთრებული, ამ კლასისათვის დადგენილი ტანსაცმელი, ე. ი. მთელი მოსახლეობა ამიერიდან იყოფოდა ქონებრივი პრინციპის მიხედვით.

კანონით დადგენილი იყო მოსახლეობის 18 ხარისხად დაყოფა: პირველი რვა — ეს იყო სამოქალაქო, ყველასათვის ხელმისაწვდომი წოდებანი, ხოლო დანარჩენი — სამოხელეო და სამხედრო ტიტულები. ეს წოდებანი ენიჭებოდათ საბრძოლო მამაცობისათვის, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის და ა. შ. მაგალითად, ყოველი მოკლული ან ტყვედ წამოყვანილი მტრისათვის მეომარს ენიჭებოდა ერთი ხარისხი.

ძველი წყაროების ცნობით, ჯანგო-ს ეპოქაში სწრაფად იზრდებოდა მოსახლეობა, რასაც მოჰყვა ყამირი მიწების მასობრივი ათვისება. გაჩნდა რკინის იარაღი, თუმცა არც ბრინჯაო გამოსულა ხმარებიდან. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებას. ვაჭრობა ყველაზე მოჰგებიან საქმიანობად ითვლებოდა. „შიძინ"-ში ვკითხულობთ: „სილარიბიდან სიმდიდრისაკენ გადასვლა გლეხისთვის უფრო ძნელია, ვიდრე ხელოსნისთვის, ხოლო ხელოსნისათვის უფრო ძნელია, ვიდრე ვაჭრისათვის". სხვა ცნობის მიხედვით, „მიწის დამუშავება იძლევა ათმაგ, ხოლო ვაჭრობა — ასმაგ მოგებას".

მიწათმოქმედების, ხელოსნობისა და ვაჭრობის ამგვარი განვითარება ქმნიდა ხელსაყრელ პირობებს საგარეო ექსპანსიის წარმატებით განვითარებისა და ქვეყნის ერთიან სახელმწიფოში გაერთიანებისათვის.

§ 6. ᲪᲘᲜ-ᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐ

ᲪᲘᲜ-ᲨᲘ ᲮᲣᲐᲜᲓᲘ (246—210 ᲬᲬ.). მას შემდეგ, რაც ცინ-ში ხუანდი-მ შემოიერთა ექვსი სამეფო, მათ ტერიტორიაზე მოსახლეობის დაშინების მიზნით მოეწყო მასობრივი ჟლეტა. ამის შემდეგ ჩინეთის ახლად გაერთიანებული სახელმწიფო აწარმოებს ომებს ჩრდილოეთში ᲡᲘᲣᲜᲣ-ს (ანუ ᲰᲣᲜᲔᲑᲘᲡ) მომთაბარე ტომთა წინააღმდეგ. ძვ. წ. 215—214 ᲬᲬ. ცინ-ში ხუანდი-ს სარდალმა ᲛᲔᲜ ᲢᲘᲐᲜ-მა სამასათასიანი ჯარით დაამარცხა ჰუნები, დაიპყრო ხენან-ის ტერიტორია (მდ. ხუანხეს დიდ საქცევში) და დაყო იგი 44 მაზრად, სადაც იმპერიის შიდა რაიონებიდან გადმოასახლეს დამნაშავენი. ამის შემდეგ მენ ტიან-ის მთელი არმია და აქ გადმოსახლებული დამნაშავენი (სულ ორ მილიონამდე ადამიანი) ათი წლის მანძილზე დღე და ღამ მუშაობდა ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲙᲔᲓᲚᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ. ჯერ კიდევ IV საუკუნეში ცინ-ის, იან-ისა და ჯაო-ს საზღვრებზე აგებული იყო სასაზღვრო კედლები. ახლა კი ისინი შეაერთეს და 5.000 ლი-ს (ჩინური ლი უდრის 576 მეტრს) სიგრძეზე აიგო ახალი ერთიანი კედელი, რომელიც გადაჭიმული იყო ᲚᲘᲜᲢᲘᲐᲝ-დან (ᲒᲐᲜᲡᲣ-ს პროვინცია) ᲚᲘᲐᲝᲓᲣᲜ-ამდე და ძველ ნაგებობებთან ერთად 4000 კილომეტრამდე აღწევდა. კედლის სიმაღლე უდრიდა ათას, ხოლო სიგანე რვა მეტრს. ყოველ 60—100 მეტრში აშენებული იყო ციხე-კოშკები. ჩინეთის დიდ კედელს არა მარტო სამხედრო, არამედ საგაჭრო მნიშვნელობაც ჰქონდა, რადგან იგი ქვეყნის შიდა რაიონებს ჩრდილოეთის ტომებთან აკავშირებდა.

ჰუნებთან ბრძოლები ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, რომ ცინ-ში ხუანდი-მ 214 წ. სამხრეთში მრავალრიცხოვანი ჯარი გაგზავნა სამეფო იუე-ს ყოფილ მიწა-წყალზე, სადაც ახლა სამი სახელმწიფო (ᲓᲣᲜᲮᲐᲘ, ᲕᲘᲜᲘᲣᲔ ᲓᲐ ᲜᲐᲜᲘᲣᲔ) არსებობდა. ცინ-ის არმია ნანიუე-ში მძლავრ წინააღმდეგობას წააწყდა და დაკარგა ასეულ ათასობით ჯარისკაცი, მხოლოდ მას შემდეგ, რაც ნახევარმილიონიანი მაშველი ძალები მოვიდნენ, ნანიუე-ლები დამარცხდნენ და ცინ-ის ბატონობა ცნეს.

ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲘᲡ გაძლიერების და სამმართველო სისტემის ცენტრალიზაციის მიზნით ცინ-ში ხუანდი-მ გაატარა მნიშვნელოვანი აგრარული, ადმინისტრაციული, საფინანსო და სამხედრო რეფორმები.

უპირველეს ყოვლისა, მან გააუქმა ძველ სამეფოთა საზღვრები და ჯოუ-ს ეპოქიდან მომდინარე მიწების ბოძების სისტემა. ამიერიდან ცინ-ის იმპერიის მცხოვრებთ ერთიანი სახელი ეწოდათ — ხეშოუ („შავთავიანები"). მთელი სახელმწიფო დაყოფილი იყო 36 ოლქად (ძიუნი), ხოლო ყოველი ოლქი — მაზრებად (სიანი). ოლქის უზენაესი მმართველის გვერდით დაწესდა ჩენვეი-ს (მთავარი თანაშემწის) თანამდებობა, რომლის ფუნქციებში ჯარის ფორმირება და სამხედრო მომარაგება შედიოდა. დაწესდა ძიანიუიში-ს თანამდებობაც. ესენი ინსპექტორები იყვნენ, რომელნიც თვალყურს ადევნებდნენ ოლქების მმართველთა მოღვაწეობას და კანონების ზუსტი შესრულების საქმეს.

ცენტრალური მთავრობის სათავეში იდგა თვით იმპერატორი, რომელსაც ორი („მარცხენა" და „მარჯვენა") თანაშემწე — ჩენსიანი — ჰყავდა. მთავრობაში აგრეთვე შედიოდნენ ტაივეი (სამხედრო ადმინისტრაციის მეთაური), იუიში, დაფუ, ტინვეი (მათ ხელში იყო მართლმსაჯულება), ჯისუ, ნეიში (განაგებდნენ ეკონომიკასა და ფინანსებს), ბოში (მრჩევლები, ექსპერტები) და ა. შ.

ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ყოველგვარი გამოსვლების აღკვეთისა და სახელმწიფოს ერთიანი კულტურული და ადმინისტრაციული ცენტრის შექმნის მიზნით დედაქალაქ სიანიანში დაპყრობილი სამეფოებიდან გადმოასახლეს დიდგვაროვანთა 120.000 ოჯახი. ძველი არისტოკრატიული წოდებანი გაუქმდა. ამიერიდან მდგომარეობას საზოგადოებაში განსაზღვრავდა სიმდიდრე და სახელმწიფო სამსახური.

მთელ მოსახლეობას ჩამოართვეს იარაღი, აუკრძალეს ძველი წიგნების („შიძინ"-ისა და „შუძინ"-ის) კითხვა, ყოველგვარი ლაპარაკიც კი ძველ ტრადიციებსა და წესჩვეულებებზე. ვინც ამ კანონს არღვევდა, სიკვდილით ისჯებოდა. ყოველ ჩინელს შეეძლო მხოლოდ არსებული კანონების შესწავლა. კონფუციანელთა ნაწარმოებებს აკროვებდნენ და წვავდნენ.

ცინ-ში ხუანდი-მ შემოიღო სასჯელთა არაჩვეულებრივი სასტიკი სისტემა: დამნაშავეებს სჭრიდნენ ცხვირს, უჩეხდნენ მუხლებს, გლეჯდნენ ნეკნებს, ხლეჩდნენ შუაზე საომარი ეტლებით, ნაკუწ-ნაკუწ ჭრიდნენ, ცოცხლად მარხავდნენ და ა. შ. თავის მოკვეთა ხომ ყველაზე მსუბუქი სასჯელი იყო. განსაკუთრებით სერიოზული დანაშაულის შემთხვევაში ისჯებოდა არა მარტო დამნაშავე, არამედ მთელი მისი ნათესაობა სამ თაობაში. როგორც ერთ-ერთ ძველ წყაროში წერია, „ყველა გზა გაჭედილი იყო მსჯავრდადებულებით გასისხლიანებულ

პერანგებში, ხოლო ციხეები სავსე იყო პატიმრებით, ისევე როგორც ბაზრები ხალხით;

მიწის რენტა, გადასახადები მარილზე, რკინაზე და ა. შ. გაიზარდა ოცჯერ, მოსახლეობა ასეულ ათასობით გაჰყავდათ სასახლეების, გზების და სხვა მშენებლობებზე.

ცინ-ში ხუანდი დიდ ყურადღებას აქცევდა ვაჭრობის განვითარებას; მან მოაწესრიგა გზები, რომელთა სიგანეს შეუფარდა ურმის ბორბალთა სტანდარტული ღერძი; წემოიღო მთელს იმპერიაში წონის და ზომის ერთიანი სისტემა; მოახდინა ფულის რეფორმა და შემოიღო ერთიანი სპილენძის მონეტა (ამიერიდან ფულად მხოლოდ ოქრო და სპილენძი დაწესდა). მანვე შემოიღო, „მცირე გამარტივებული დამწერლობა" — ს ი ა ო ჯ უ ა ნ ი და მოახდინა მისი უნიფიცირება მთელი სახელმწიფოს მასშტაბით.

ძვ. წ. 207—206 წლების მიჯნაზე ქ. ჰეის მმართველის ლიუ ბანის და ჩუ-ელი არისტოკრატი სიან იუის ჯარებმა ბრძოლით აიღეს ცინ-ის იმპერიის დედაქალაქი — ს ი ა ნ ჰ ა ნ ი. ცინ-ის დინასტია დაეცხო.

§ 7. ხან-ის იმპერია

ხან-ის იმპერიის დაარსება. როგორც კი აჯანყებულებმა ხელთ იგდეს სიანიანი, მათ შორის თავი იჩინა უთანხმოებამ: ლიუ ბან-იცა და სინ იუი-ც პრეტენზიას აცხადებდნენ იმპერატორის ტახტზე, მაგრამ მათი მოქმედების ტაქტიკა განსხვავებული იყო. მაგალითად, სიანიანში შეჭრისთანავე სინ იუი-მ მოაკვლევინა 200 ათასი ცინელი ჯარისკაცი და ეანი ძ ი ი ნ ი, გადაწვა სასახლეები, გაიტაცა სიმდიდრენი და თან წაიყვანა ვანის ყველა ცოლი. ლიუ ბანი კი ყველგან ათავისუფლებდა მონებსა და პატიმრებს, აუქმებდა მძიმე გადასახადებს. ყოველივე ამან მას დიდი პოპულარობა და საბოლოო ანგარიშში გამარჯვებაც მოუტანა ძვ. წ. 202 წ.

ლიუ ბანი უ ფ რ ო ს ი ანუ დ ა ს ა ვ ლ ე თ ი ხ ა ნ ი ს დ ი ნ ა ს ტ ი ი ს (ძვ. წ. 206 — ა. წ. 25 წწ.) დამაარსებელია (დინასტიისა და აქედან მთელი იმპერიის სახელწოდება მოდის მდ. ხანის სახელიდან, სადაც გამარჯვებამდე დაბანაკდა ლიუ-ბან-ის ჯარები). მართალია, ლიუ ბან-მა გაიმარჯვა მხოლოდ ძვ. წ. 202 წ., მაგრამ ხანის დინასტიის დათარიღება იწყება 206 წლით, როდესაც ლიუ ბან-ს დანებდა ცინ-ის უკანასკნელი იმპერატორი.

გამარჯვებისთანავე ლიუ ბან-მა თავი იმპერატორად (ძვ. წ. 202—195 წწ.) გამოაცხადა და დედაქალაქი ჩ ა ნ ა ნ-ში გადაიტანა.

ხანგრძლივი ომების შედეგად სახელმწიფო ამ დროისათვის დასუსტებული იყო, მრავალი მეურნეობა მიგდებული და განადგურე-

ბული, მოსახლეობა განახევრებული. ისტორიკოსი სიმა ციანი ასე აგვიწერს შექმნილ ვითარებას: „როდესაც ხელისუფლება ხან-ის ხელში აღმოჩნდა, მას ცინ-ისაგან მხოლოდ ნანგრევები დარჩა... მოწიფული მამაკაცები ჯარში იყვნენ. მოხუცებსა და ბავშვებს სურსათი გადაჰქონდათ. ყოველგვარი საქმიანობა უკიდურესად გაძნელებული იყო, სიმდიდრენი განიავებული, ზეციური შვილის (ე. ი. იმპერატორის) გამგზავრებისათვის ოთხი ერთი ფერის ცხენიც კი არ მოიპოვებოდა. სარდლები და მოხელენი ხარებშებმული ურმებით მგზავრობდნენ. უბრალო ხალხს არაფერი არ გააჩნდა".

ლიუ ბანი ენერგიულად შეუდგა მდგომარეობის გამოსწორებას. უპატრონო ნაკვეთთა უდიდესმა ნაწილმა შეადგინა სახაზინო მიწების ფონდი (გ უ ნ ტ ი ა ნ ი) და იმპერატორის საკუთრებად იქცა. ყველა არისტოკრატი და მიწათმფლობელი, რომელიც დაუბრუნდა თავის მამულს, იბრუნებდა აგრეთვე თავის ტიტულს, სახლ-კარსა და ქონებას, მათ ევალებოდათ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ორგანიზება.

მიწის უზარმაზარი ნაკვეთები მიიღეს დიდგვაროვნებმა — ვანებმა, ხოუ-ებმა და ჯუხოუ-ებმა. უმცირესი ამგვარი სამფლობელოებისა 500—600 კომლისაგან შედგებოდა, ხოლო უდიდესი — რამდენიმე ათეული ქალაქისაგან. ამასთან ერთად, შეიზღუდა ვაჭართა პრივილეგიები: მათ არ ჰქონდათ უფლება მოხელეებად ემსახურათ, ჩაეცვათ აბრეშუმის ტანსაცმელი და ეტლებით ევლოთ. ისინი დიდ გადასახადებს იხდიდნენ.

ამავე დროს, ლიუ ბან-მა მოახდინა ჯარების დემობილიზაცია და მუშახელი დაუბრუნდა წარმოებას, რამაც ბიძგი მისცა მიწათმოქმედებისა და ხელოსნობის გამოცოცხლებას. მიწები თავისუფლად იყიდებოდა. გადასახადი მიწაზე მოსავლის 1/15 შეადგენდა, მაგრამ მას ამიერიდან ახალი სულადი გადასახადი დაემატა. ამ უკანასკნელს მთელი მოსახლეობა 15—56 წლის ასაკში იხდიდა.

ბრძოლა ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისათვის. ლიუ ბან-ის პოლიტიკამ გამოიწვია ოლქების მმართველთა (ვანების) გაძლიერება და უკვე იმპერატორი ვ ე ნ-დ ი-ს დროს (179—157 წწ.) იმპერია ფაქტიურად დაიშალა ცალკეულ სამთავროებად. ამავე დროს (177 წ.) ჰუნებმა გადმოლახეს ხუანხე და განაახლეს შემოსევები ხანის შიდა რაიონებში.

ასეთ ვითარებაში ცენტრალური ხელისუფლება ეძებს მოკავშირეებს მდაბიოთა და ვაჭართა შორის. უკვე 167 წ. ვენ-დი-მ გააუქმა გადასახადი მიწაზე (იგი აღდგენილ იქნა მხოლოდ 155 წ. იმპერატორ ძ ი ნ-დ ი-ს დროს და ისიც მოსავლის 1/30 ოდენობით), ვაჭრებს სახელმწიფო პოსტებისა და დიდგვაროვანთა ტიტულების მიღების უფლება მიენიჭათ.

ძლიერი ვანების დასუსტებას ცენტრალური ხელისუფლება სხვა გზითაც ცდილობდა: მრავალ მათგანს ჩამოართვეს მიწები, სხვების სამფლობელოები ვანის სიკვდილის შემდეგ დაქუცმაცდა და გადაეცა სხვა მმართველებს, ზოგიერთი მთავრის კარზე დაინიშნა სპეციალური მოხელეები, რომელნიც თვალყურს ადევნებდნენ ვანის მოქმედებას და ა. შ.

ხანის მმართველნი ამ პოლიტიკას განსაკუთრებით თანმიმდევრულად ახორციელებდნენ იმპერატორ ძინ-დი-ს დროს (151—141 წწ.). ამ იმპერატორის მრჩეველმა ჩაო ცო-მ პირველ რიგში დაიწყო ყველაზე ძლიერი ვანის ლიუ პი-ს (ლიუ ბან-ის ძმისწული) შევიწროება, რამაც ძვ. წ. 154 წ. გამოიწვია ლიუ პი-სა და სხვა ვანების აჯანყება, რომელიც ისტორიაში ცნობილია, როგორც „შვიდი ვანის ამბოხება“.

აჯანყებული ვანები დაუკავშირდნენ ჰუნებს და შეუტიეს იმპერატორის ჯარებს. ისინი ჩაო ცო-ს სიკვდილით დასჯას მოითხოვდნენ და იმპერატორი იძულებული გახდა გადაეცა მათთვის მისი ერთგული მრჩეველი. მაგრამ აჯანყებულები ამას არ დასჯერდნენ. ლიუ პი-მ პრეტენზია თვით იმპერატორის ტახტზე განაცხადა. ბრძოლა განახლდა და რამდენიმე თვის შემდეგ მთავრობის ჯარებმა დიდი გაჭირვებით გაანადგურეს აჯანყებულთა ჯარები.

ამის შემდეგ ვანების მიწების დანაწევრების პროცესი გაგრძელდა უფრო სწრაფი ტემპით. ვანებს ჩამოერთვა ადმინისტრაციული მართვის უფლება, მათ სამთავროებს იმპერატორის მიერ დანიშნული მოხელენი განაგებდნენ. ხანის დინასტიის მმართველებმა ცენტრიდანულ ტენდენციებს მხოლოდ იმპერატორ უ-დ ი-ს დროს (140—87 წწ.) მოუღეს ბოლო.

დასავლეთ ხან-ის იმპერიის ძლიერების დრო. ხან-ის იმპერია განსაკუთრებით გაძლიერდა იმპერატორ უ-დი-ს დროს. განვითარდა მიწათმოქმედება, ხელოსნობა, ვაჭრობა. აშენდა მრავალი საირიგაციო სისტემა, რომელთა შორის განსაკუთრებით რთული ნაგებობებით (მიწისქვეშა არხები-გვირაბები) გამოირჩეოდა ვეიბეი-ს სარწყავი სისტემა (მდ. ვ ე ი ბ ე-ს ჩრდილოეთით), რომელიც აგებული იყო ჯ ე ნ გ ო-ს არხზე.

გაფართოვდა სათესი მიწები. გაჩნდა რკინის მძიმე გუთანი ორი სახნისით.

ხელოსნობაში განვითარდა რკინის დამუშავება. პლინიუსის ცნობით, ჩინური რკინა ამ დროს მსოფლიოში საუკეთესო იყო. შეიქმნა ისეთი სახელოსნოები, სადაც მუშაობდა ათასამდე ადამიანი. ერთ-ერთი ძველი წყაროს ცნობით, რკინისა და სპილენძის სახელმწიფო მაღაროებში შრომობდა 100 ათასი კაცი. განვითარდა ხის დამუშავე-

ბა, კერამიკული წარმოება, საიუველირო საქმე, სართავი და აბრეშუმსაქსოვი ხელოსნობა და ა. შ.

ხელოსნობაში სპეციალიზაციის გაღრმავებამ ბიძგი მისცა ვაჭრობის შემდგომ განვითარებას. ძველი ჩინეთის ისტორიკოსი ბ ა ნ გ უ ამის შესახებ მოგვითხრობს: „ხან-ის დინასტიის მიერ ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ ზღვებს შორის მდებარე ქვეყანა (ე. ი. ჩინეთი) ფახდა ერთიანი, გაიხსნა საბაჟო სადგურები და ხიდები, აღარ არსებობდა დაბრკოლებანი მთებისა და ტბების გამოყენებაში. ამიტომ მდიდარი და მსხვილი ვაჭრები მოედვნენ მთელ იმპერიას. არ არსებობდა ისეთი საქონელი, რომელიც ყველგან არ შეჭრილიყო. ყოველ ადამიანს შეეძლო მიეღო ყველაფერი, რაც სურდა“. ძვ წ. II ს. ბოლოს ჩინეთი დაუკავშირდა დასავლეთის შორეულ ქვეყნებს, სადაც გაჰქონდათ პირველ რიგში ჩინეთის ცნობილი აბრეშუმი („აბრეშუმის დიდი გზით“). რომში ჩინელებს უწოდებდნენ ს ე რ-ებს, ე. ი. აბრეშუმის მწარმოებლებს („სერ“ წარმოადგენს ჩინური სიტყვის სი-ს — „აბრეშუმის“ — ბერძნულ ტრანსკრიფციას), მთელი რიგი ქალაქისა (გ უ ა ნ ხ ა ნ ი, ჩ ე ნ დ უ. ი ნ ი ა ნ ი, ი უ ა ნ ი და სხვები) სავაჭრო ცენტრებად იქცა. გაიზარდა ფულის მიმოქცევა. გაჩნდა სპილენძისა და კალის, რკინისა და ტყვიის შენადნობი მონეტები. ძვ. წ. 115 წ. მონეტების მოჭრაზე დაწესდა სახელმწიფო მონოპოლია. მიმოქცევაში იყო აგრეთვე ოქროს ზოდები, რომელთა წონაც ერთ ძ ი ნ-ს (244 გრამი) უდრიდა. დიდ როლს ასრულებდნენ მევახშეებიც, რომელნიც იძლეოდნენ, როგორც წესი, 20-პროცენტიან სესხს.

გაიზარდა სახელმწიფო და კერძო მონების (ტ უ ნ) რიცხვი. მონათა შორის იყვნენ შინამოსამსახურენი, მწყემსები, მიწათმოქმედნი, ხელოსნები, მაღაროელები და ა. შ.

ჯერ კიდევ 138 წ. უ-დი-მ დასავლეთისკენ გაისტუმრა ცნობილი მოგზაური ჯ ა ნ ც ი ა ნ ი, რომელმაც ჰუნების ტყვეობაში ათი წელი დაყო და შემდეგ მოიარა მრავალი მხარე. იგი სამშობლოში მხოლოდ 125 წ. დაბრუნდა. მან ჩამოიტანა მრავალი ცნობა დასავლეთში მდებარე ქვეყნების შესახებ, ამან გაზარდა ჩინელების ინტერესი ამ ქვეყნებთან ურთიერთობისადმი, რასაც ხელს უშლიან ჰუნები.

სახალხო მეურნეობის აყვავებას ხელს უწყობდა სახელმწიფო მმართველობის სისტემის ცენტრალიზაცია, რაც განსაკუთრებით გაძლიერდა უ-დი-ს დროს. ამავე დროს უ-დი ჰუნებთან საბრძოლველად ემზადებოდა. საშინაო მდგომარეობის განმტკიცების შემდეგ მან დაიწყო საომარი მოქმედება ჰუნების წინააღმდეგ, რაც 124-დან 119 წლამდე გაგრძელდა. ხან-ის იმპერიამ ამ ომის შედეგად შემოიერთა ვრცელი ტერიტორია ჩრდილოეთში და საბოლოოდ დაამარცხა ჰუ-

ნები გობის უდაბნოში (119 წ.). 111—110 წწ. უ-დი-მ დაიმორჩილა ნ ა ნ ი უ ე და დ უ ნ ი უ ე — სამხრეთში, 110 წ. ც ი ა ნ-ის ტომი — დასავლეთში. ამიერიდან ჩინეთი ყველაზე დიდ სახელმწიფოდ იქცა მაშინდელ მსოფლიოში.

საგარეო ექპანსია გაგრძელდა უ-დი-ს მემკვიდრეების შეფობის პერიოდშიც.

ვან მან-ის რეფორმები, „წითელწარბიანთა (ჩიმეი) და „მწვანე ტყეების მცხოვრებთა“ (ლულინი) აჯანყება. საგარეო ომების ფართო მასშტაბით წარმოების შედეგად გაძლიერდა მშრომელი მასების ექსპლუატაცია ქვეყნის შიგნით. ამან ხალხის უკმაყოფილება გამოიწვია და უკვე უ-დი-ს დროს ადგილი ჰქონდა რამდენიმე აჯანყებას. ეს აჯანყებანი განსაკუთრებით გაძლიერდა იმპერატორების — ჩენ-დი-სა (ძვ. წ. 32—7 წწ.). და ა ი-დ ი-ს (ძვ. წ. 6—1 წწ.) — დროს. ამ უკანასკნელმა სპეციალური ბრძანებულებით, რომელიც მიწათმფლობელობისა და მონათმფლობელობის შეზღუდვას ითვალისწინებდა, ცადა შეენელებინა სოციალური გართულებანი, მაგრამ დიდგვარიანთა წინააღმდეგობამ არ მისცა მას საშუალება განეხორციელებინა ეს განზრახვა.

ძვ. წ. I წ. ტახტი ცხრა წლის პ ი ნ-დ ი-ს ერგო. მთელი ძალაუფლება კი არისტოკრატიის ერთ-ერთი წარმომადგენლის ვ ა ნ-მ ა ნ-ის ხელში აღმოჩნდა. ჩვ. წ. 5 წ. ვან მან-მა მოკლა პინ-დი, ხოლო ჩვ. წ. 8 წ. გადააყენა ი ნ-დ ი, დაისაკუთრა ტახტი და დააარსა ძხალი დინასტია — ს ი ნ ი („ახალი“). ასე დამთავრდა დასავლეთი, ანუ უფროსი ხან-ის ბატონობის ხანა.

საკუთარი მდგომარეობის განმტკიცებისა და ქვეყნის შიგნით მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური ბრძოლების შეწყვეტის მიზნით ვან მან-მა (ჩვ. წ. 8—23 წწ.) გაატარა რეფორმები.

უპირველეს ყოვლისა, მან მთელი მიწები ვანის საკუთრებად გამოაცხადა და აღადგინა ძველ ლეგენდებში აღწერილი „ჭის სისტემა“, რომლის მიხედვითაც დასამუშავებელი მიწები თანაბარ ნაწილებად — 1 კვადრატული ლ ი, ანუ 900 მუ (1 მუ=6,144 არს) — იყოფოდა, ხოლო ეს ნაწილები. თავის მხრივ, ცხრა თანაბარ ნაკვეთად იჭრებოდა. ამ ნაკვეთებიდან რვა ცალკეულ ოჯახებს გადაეცემოდა, ხოლო მეცხრე — ცენტრალური (ნაკვეთები ჩინური იეროგლიფის ძ ი ნ-ის — „ჭა“ მსგავსად განლაგდებოდა ხოლმე) — საერთო მიწას წარმოადგენდა და მთელი შემოსავალი აქედან ხაზინას გადაეცემოდა.

ამასთან ერთად, მან აკრძალა მონებით ვაჭრობა და მისცა მონებს საშუალება მონათმფლობელის ოჯახის წევრები გამხდარიყვნენ.

სპეკულაციის აღკვეთის მიზნით ვან მან-მა ვაჭრობაზე მკაცრი კონტროლი დააწესა და ბაზრების ზედამხედველთა სპეციალური ინს-

ტიტუტი („ხ უ თ ი ძ ი უ ნ ი“) შემოიღო. მანვე დაამტკიცა „ე ქ ვ ს ი გ უ ა ნ ი ს“ სისტემა, რაც ნიშნავდა სახელმწიფო მონოპოლიის შემოღებას ღვინით, მარილით, რკინის ნაწარმით ვაჭრობაზე, მონეტის მოჭრაზე, გადასახადების აკრეფაზე და 3-პროცენტიანი სესხის გაცემაზე.

ვან მან-მა 28 დასახელების სხვადასხვა ფული შემოიღო. ფულად ითვლებოდა არა მარტო ოქრო, ვერცხლი და სპილენძი, არამედ კუს ბაკანიც, ნიჟარაც, ქსოვილებიც და ა. შ.

ვან მან-ის რეფორმებმა, მათი ავტორის განზრახვის საწინააღმდეგოდ, კიდევ უფრო გაართულეს ვითარება და უკმაყოფილება გამოიწვიეს, რადგანაც მონების ე. წ. „განთავისუფლება“ მონობის მხოლოდ ფორმის შეცვლას წარმოადგენდა, ხოლო ახალი ფულადი სისტემის შემოღება იწვევდა ალებმიცემობის სრულ დეზორგანიზაციას. როგორც ძველი წყაროები გვამცნობენ, „მიწათმოქმედნი და ვაჭრები ვეღარ მისდევდნენ თავიანთ საქმიანობას, სურსათი და საქონელი იღუპებოდა, ხალხი კვნესოდა და ტიროდა ბაზრებსა თუ გზებზე... ხალხს ხელის განძრევაც კი არ შეეძლო, რადგანაც ყველაფერი აკრძალული იყო; მას მიწის დამუშავებისა და თუთის ხეების დარგვის საშუალებასაც არ აძლევდნენ... მდიდრებს საკვები არ ჰქონდათ, ხოლო ღარიბები კვდებოდნენ“.

ყოველივე ამის გამო ვან მანი იმდენად მძლავრ წინააღმდეგობას წააწყდა, რომ საბოლოო ანგარიშში თვითონვე იძულებული გახდა უარი ეთქვა საკუთარ რეფორმებზე. სახალხო მეურნეობა უკვე მოშლილი იყო, უკმაყოფილება კი იზრდებოდა. ვან მან-მა ცადა უკმაყოფილო ხალხის ენერგიის გამოყენება გარეშე მტრების წინააღმდეგ და დაიწყო ხანგრძლივი ომები ჰუნებისა და გ ა ო გ ი უ ი ლ ი-ს ტომების წინააღმდეგ. ამ ომებმა კიდევ უფრო გაამწვავეს ქვეყნის შიგნით ეკონომიკური და სოციალური კრიზისი.

გავრცელდა ძარცვა-გლეჯა. მშიერი ხალხის ბრბო ძარცვავდა დასახლებულ პუნქტებს და იტაცებდა სახელმწიფო ქონებას. ვამ მანი სასტიკად სჯიდა მძარცველებს, მაგრამ ამ სიმკაცრემ კიდევ უფრო გაამწვავა მდგომარეობა და ახ. წ. 15 წ. უ ი უ ა ნ-ის (შიდა მონღოლეთი) რაიონში იფეთქა მძლავრმა აჯანყებამ. ორი წლის შემდეგ აჯანყდა ხალხი სამხრეთშიც. აჯანყებულთა რაზმები სხვადასხვა სახელებს ატარებდნენ: „მდინარის ქვედა დინება“, „ტყე დაბლობში“, „სპილენძის ცხენები“ და ა. შ. მაგრამ მთავარ ძალებს აჯანყებულთა ორი არმია წარმოადგენდა: ე. წ. „წითელწარბიანთა“ (ჩრდილოეთში) და „მწვანე ტყეების მცხოვრებთა“ (სამხრეთში) ჯარები.

„წითელწარბიანთა“ არმიის სათავეში იდგა ფ ა ნ-ჩ უ ნ ი. აჯანყება სწრაფად მოედო შანდუნისა და ძიანსუს პროვინციებს. ვან მან-

ის ჯარისაგან რომ განსხვავებულიყვნენ, აჯანყებულები წითლად იღებავდნენ წარბებს, ხოლო ერთმანეთს ძ ი უ ი ე ნ ს („გოლიათს") უწოდებდნენ. ჩვ. წ. 23 წ. „წითელწარბიანთა" არმია ხენანის პროვინციაში შევიდა, სადაც მას ახალი ძალები შეემატა.

ვან მან-ის მდგომარეობა კრიტიკული გახდა. როდესაც ლიუ სიუან-მა შეუტია მის დედაქალაქს — ჩ ა ნ ა ნ-ს, ვან მან-მა გაათავისუფლა პატიმრები და ცადა მათგან არმიის შექმნა, მაგრამ განთავისუფლებულნი აუჯანყდნენ მას და მოკლეს (ჩვ. წ. 23 წ.).

ჩანან-ის აღების შემდეგ ლიუ სიუან-მა დაიკავა ქალაქი ლოიან-ი, სადაც საკუთარი დედაქალაქი გადაიტანა (ჩვ. წ. 24 წ.). ამავე დროს ჩანან-თან „წითელწარბიანთა" რაზმები გამოჩნდნენ. მათ დაამარცხეს ლიუ სიუან-ის ჯარები და ჩვ. წ. 25 წ. იმპერატორად უბრალო მწყემსი ლ ი უ პ ე ნ-ძ ი გამოაცხადეს. ამის შემდეგ მათ ხელთ იგდეს ჩანანი, მაგრამ გამოუცდელობამ მართვის საკითხებში და დაწყებულმა შიმშილმა აიძულა „წითელწარბიანები" აღმოსავლეთისაკენ გაბრუნებულიყვნენ.

ამ დროს გააქტიურდა ხებეიში გასახლებული ლიუ სიუ, რომელმაც შემოიკრიბა ადგილობრივი მიწათმფლობელები, შექმნა მძლავრი არმია და დაამარცხა რამდენიმე სახალხო რაზმი. ჩვ. წ. 25 წ. მან თავი იმპერატორად გამოაცხადა, შემდეგ დაამარცხა ლიუ სუან-ი, აიღო ქ. ლოიანი, ჩაუსაფრდა და ორგზის გაანადგურა „წითელწარბიანები". ლიუ პენ-ძი თავის საკმაოდ შეთხელებულ რაზმთან ერთად ტყვედ ჩავარდა.

ამის შემდეგაც ფან ჩუნ-მა კიდევ ცადა ბრძოლის გაგრძელება, მაგრამ დამარცხდა და დაიღუპა.

აღმოსავლეთ ანუ უმცროს ხანთა (ჩვ. წ. 25—220 წწ.) სახელმწიფო. ლიუ სიუ-მ აღადგინა ხან-ის დინასტიის საგვარეულო სახლის ლიუ-ს ბატონობა, ხოლო თვითონ, როგორც იმპერატორმა, გ უ ა ნ უ დ ი-ს (ჩვ. წ. 25—57 წწ.) სახელი მიიღო და დედაქალაქი ლოიანში გადაიტანა.

გუანუ-დი-მ მხოლოდ ჩვ. წ. 37 წლისათვის შეძლო მთელი ქვეყნის გაერთიანება. იგი, ერთი მხრივ, ხელს უწყობდა მიწათმფლობელ მეომართა გამდიდრებას და მათ მიერ ახალი მიწების შესყიდვას, ხოლო, მეორე მხრივ, ათავისუფლებდა მონებს. იგი ცდილობდა გადასახადების თანაბარი განაწილების სისტემის შემოღებას. მანვე გაავრცელა სამხედრო დასახლებების სისტემა სასაზღვრო რაიონებში, რაც ამ რაიონების ეკონომიკურ აღმავლობასა და გლეხების მიწებზე მოთხოვნის დაკმაყოფილებას უწყობდა ხელს.

ამავე პოლიტიკას განაგრძობენ გუანუ-დი-ს მემკვიდრენიც. გლეხებს აძლევდნენ თესლს და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს. მცირ-

დებოდა გადასახადები მიწაზე. ყოველივე ამან ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის აღმავლობას. მდინარეებზე აგებდნენ დამბებს, ქმნიდნენ ხელოვნურ ტბებსა და წყალსაცავებს.

განვითარდა ხელოსნობაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ დროს ქაღალდის წარმოების აღმოცენება. მართლია, ქაღალდი დასავლეთ ხან-ის დინასტიის იმპერატორ უ-დი-ს დროიდანაა ცნობილი, მაგრამ მაშინ იგი აბრეშუმისაგან მზადდებოდა და ძალზე ძვირი ჯდებოდა. იმპერატორ ხე-დი-ს განკარგულებით (105 წ.) მიღებულ იქნა ცაი ლუ ნ-ის მიერ შემუშავებული მერქნიდან ქაღალდის მიღების ტექნოლოგია.

ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებასთან ერთად აყვავდა და გაშენდა მრავალი ქალაქი და ნავსადგურიც.

აღმოსავლეთ ხანის დინასტიის დროს გარკვეული ცვლილებები მოხდა სახელმწიფო წყობილებაშიც. მოხელეები სწავლების სპეციალურ კურსს გადიოდნენ სახელმწიფო სკოლებში (ტ ა ი ს ი უ ე), სადაც მათ შთააგონებდნენ, რომ ერთი ბატონი ჰყავთ — იმპერატორი, მოწაფეთა რიცხვი ზოგჯერ 30 ათას კაცს აღწევდა. სახელმწიფო მოხელეები ინიშნებოდა ადგილობრივ ხელისუფალთა წარდგინებით (ამ პირებს ტ უ ი ძ ი უ ი-ს უწოდებდნენ). მაგრამ ამგვარ წარდგინებას „ბადლობის გადახდა“ სჭირდებოდა. ეს კი მხოლოდ მდიდართა კლასის წარმომადგენლებს შეეძლოთ.

თანდათანობით გავრცელდა კორუპცია, დაიწყო ბრძოლა თანამდებობებისათვის. მეფის კარზე გაძლიერდა საჭურისების გავლენა. ისინი შეთქმულებებსა და ტახტისათვის ბრძოლებში მონაწილეობდნენ. დროდადრო ხელისუფლება საჭურისების ხელში გადადიოდა. გავრცელდა საიდუმლო შეთქმულებანი. შეთქმულთ აპატიმრებდნენ და სიკვდილით სჯიდნენ.

დაიწყო გლეხთა გალატაკების პროცესი. საირიგაციო ნაგებობანი ინგრეოდა. ამას დაერთო ციან-ის ტბის შემოსევები. იმპერატორ ან-დ ი-ს (107—125 წწ.) დროიდან დაიწყო გლეხთა აჯანყებანი, ხოლო იმპერატორ ლ ი ნ-დ ი-ს (168—189 წწ.) ეპოქიდან გაძლიერდა დიდგვარიანთა და საჭურისების მიერ მიწების დატაცება. გავრცელდა მექრთამეობა და გახრწნილობა. ერთ-ერთ ჰატიანელში ვკითხულობთ: „ხ ე ნ ე ი ს მცხოვრებთა შორის ცოლები ჰამდნენ ქმრებს, ხოლო ხ ე ნ ა ნ-ში ქმრები — ცოლებს“.

აღმოსავლეთ ხან-ის დინასტიის განადგურებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ე. წ. „ყვითელ არტახიანთა“ არმიამ, რომლის სათავეშიც ვინმე ჯან ძ ი უ ე იდგა.

184 წ. ჯან ძიუე-მ თავი „ზეციურ მთავარსარდლად — „უნად“ გამოაცხადა და აჯანყება დაიწყო. ცენტრალურმა ხელისუფლებამ გა-

აჩაღა დაუნდობელი ბრძოლა აჯანყებულთა წინააღმდეგ: მოძრაობაში მონაწილე გლეხებს ასეულ ათასობით კლავდნენ. „ყვითელ არტახიანთა“ არმია დამარცხდა, მაგრამ აჯანყებები გრძელდებოდა, ახლა აჯანყებულთა სათავეში ჯ ა ნ ნ ი უ-ძ ი უ ე და ჯ ა ნ-ი ა ნ ი აღმოჩნდნენ. ეს აჯანყებაც, რომელსაც შეუერთდნენ „ყვითელ არტახიანთა“ განადგურებული არმიის ნარჩენებიც, აგრეთვე დამარცხდა.

ხანის სახელმწიფოს დასუსტებისა და დაშლის პროცესი შეუჩერებლივ გრძელდებოდა. გლეხებთან ბრძოლის ვითარებაში გაძლიერდნენ ადგილობრივი მმართველები და მათ შორის დაიწყო ხანგრძლივი ბრძოლა ჰეგემონობისათვის.

ამ ბრძოლების შედეგად ხანის ოდესღაც ერთიანი იმპერია სამ სამეფოდ დაიშალა: ვ ე ი-ს სამეფო (დაარსდა 220 წ.), შ უ-ს ანუ ხ ა ნ-ის სამეფო (221 წ.) და უ-ს სამეფო (229 წ.).

§ 8. ძველი ჩინეთის კულტურა

ჩინეთის კულტურა ჯოუ-ს ეპოქაში. ჩინეთის კულტურა და მეცნიერება ჯოუ-ს ეპოქაში ახალ საფეხურზე ავიდა.

გაფართოვდა ჩინელთა ცოდნა ასტრონომიაში. რეგულარულად სწავლობდნენ მნათობთა მოძრაობას. შან-ის ეპოქაში შექმნილი კალენდარი უფრო დაიხვეწა: თვეები დაიყო ოთხ-ოთხ კვირად.

ჯოუ-ს დინასტიის დასაწყისში ჩნდება პრიმიტიული მატერიალისტური წარმოდგენები, რომელთა მიხედვით მთელი სამყარო შედგება პირველადი ელემენტებისაგან: მიწა, ცეცხლი, წყალი, ტბა, ქარი, მთა და ჭექა-ქუხილი. ყველაფერი ამ სამყაროში მოძრაობს და იცვლება ორი კოსმოსური ძალის — სინათლისა და წყვდიადის — ურთიერთქმედებისა და ურთიერთშეტაკების შედეგად. ეს მსოფლმხედველობა აისახა „ცვალებადობათა წიგნში“ („ძ ი ნ“-ში).

ჩინური დამწერლობა უხსოვარი დროიდან მოდის. უკვე ძვ. წ. XV ს. არსებობდა საკმაოდ განვითარებული იეროგლიფური დამწერლობა. ჯოუ-ს პერიოდში წერდნენ ბრინჯაოს ნაწარმზე და ბამბუკის ფირფიტებზე.

დამწერლობის პარალელურად, ბუნებრივია, ვითარდებოდა ლიტერატურაც: ჯერ — ზეპირსიტყვიერება (ლეგენდები), შემდეგ — წერილობითი ნაწარმოებები. მაგალითად, ჯოუ-ს ისტორიის მთელ მანძილზე იქმნებოდა „სიმღერათა წიგნი“ — „შიძინი“, რომელშიც შევიდა როგორც საკულტო სიმღერები, ასევე განდიდების, სადღესასწაულო, საბალხო და სხვა ლექსები და სიმღერები.

ჯოუ-ს პერიოდში იხვეწება ხელოვნების ნაწარმოებები (ჩნდება სასიუჟეტო კომპოზიციის ჩანჯახი), ვითარდება მუსიკალური კულტურა: უკვე არსებობს დოლი, სტვირი, ზარები და, შესაძლოა, სიმებიანი ინსტრუმენტიც; სპეციალურ სასწავლებლებში ასწავლიან ცეკვა-თამაშს, აღმოსავლეთ ჯოუ-ს ეპოქაში სპეციალური ტრაქტატიც კი დაიწერა — „ი უ ძ ე ი" („მუსიკის აღწერილობა").

უძველეს ჩინელთა შორის გავრცელებული იყო ტოტემისტური წარმოდგენები, რაც მოგვიანო ხანაში ტომთა სახელებში აისახა: „ძ ა ფ ა ნ ი" („ცხენის ტომი"), „ი ა ნ ფ ა ნ ი" („ცხვრის ტომი") და ა. შ. არსებობდა ბუნების მოვლენათა კულტიც. მიწა, მთა, მდინარე, მთვარე, წვიმა და ა. შ. — სულიერად ითვლებოდა და მას თაყვანს სცემდნენ. უკვე შან-ის ეპოქაში გამოეყო ერთიანი შ ა ნ დ ი („უზენაესი ღვთაება"), რომელსაც მოგვიანებით „დიად ზეცას" ან „ზეციურ ღვთაებას" უწოდებენ. ამ ზეციერის შვილს ჯოუ-ს პერიოდში თვით მეფე წარმოადგენდა.

ძველ ჩინელებს მიაჩნდათ, რომ ადამიანი სიკვდილის შემდეგაც ცოცხლობს და ადამიანთა საქმიანობაში ერევა. მიცვალებულს საფლავში მონებსა და მსახურთ, იარაღსა და სამკაულს ატანდნენ.

დაოსიზმი, კონფუციანელობა და ფაძია. ეს ფილოსოფიურ-ეთიკური მიმდინარეობანი ჯანგო-ს პერიოდში გაჩნდა.

დაოსიზმის დამაარსებლად ნახევრად ლეგენდარული ლ ა ო-ძ ი ითვლება, ლაო-ძი გმობს სიმდიდრეს, ფუფუნებასა და დიდგვარიანობას, იგი ილაშქრებს მმართველთა სისასტიკის, ძალადობისა და ომების წინააღმდეგ, მის სოციალურ იდეალს პირველყოფილი თემი წარმოადგენს. მიუხედავად არსებული უსამართლობისა, ადამიანი ბედს უნდა ემორჩილებოდეს, უმოქმედოდ უნდა რჩებოდეს და მორჩილად მიჰყვებოდეს ლაო-ს — ცხოვრების ბუნებრივ დინებას.

კონფუციანური თეორიის ავტორი კ უ ნ-ძ ი (კონფუცი — 551—479 წწ.) წარმოშობით სამეფო ლუ-დან იყო. კონფუცის მოძღვრების მიხედვით, ყოველ ადამიანს საზოგადოებაში გარკვეული ადგილი უკავია: „ხელმწიფე ხელმწიფედ უნდა იყოს, ქვეშევრდომი — ქვეშევრდომად, მამა — მამად, შვილი — შვილად", კუნ-ძი პატრიარქალური ურთიერთობის მქადაგებელი და წინაპართა კულტის თაყვანისმცემელი იყო.

ფ ა ძ ი ა-ს („ლეგისტების") აზრით, უნდა დაწესდეს კერძო საკუთრება მიწაზე, შეწყდეს შინაომები, მოითხოვდნენ იურიდიულ კანონზე აგებულ სახელმწიფო მმართველობის სისტემის დაწესებას, როდესაც ყველა კანონს ემორჩილება. ამ მიმდინარეობის ყველაზე თვალსაჩინო მიმდევარნი შ ა ნ ი ა ნ ი (ძვ. წ. IV ს. მეორე ნახევარი) და ხ ა ნ ფ ე ი (ძვ. წ. III ს.) იყვნენ.

ჩინეთის მეცნიერება და კულტურა V—III სს. ჯანგო-ს პერიოდში ჩინეთში კიდევ ერთხელ დაზუსტდა კალენდარი: წელიწადი უდრიდა 365,25 დღეს, თვე — 29,53 დღეს. მთვარისა და მზის წელიწადებს შორის სხვაობის დასაფარავად ყოველ 19 წელიწადში 7 თვე ემატებოდა. ჩინელმა ასტრონომებმა ვარსკვლავები უკვე მოიყვანეს სისტემაში და თანავარსკვლავედებად დაყვეს, განსაზღვრეს ზოგიერთი პლანეტების მოძრაობა და შეადგინეს კაცობრიობის ისტორიაში ვარსკვლავთა პირველი კატალოგი, რომელშიც 800-მდე მნათობი შეიტანეს.

განვითარდა მათემატიკა (განსაკუთრებით, გეომეტრია), ანატომია და მედიცინა, ფილოსოფია, მატერიალისტური მსოფლმხედველობის ელემენტები აისახა ლაო-ძის მოძღვრებაში. მატერიალისტური მიმდინარეობის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენლად ითვლება ვეი-ს სამეფოს V—IV სს. მოაზროვნე ი ა ნ ჯ უ, რომელიც უარყოფდა ზებუნებრივი ძალის არსებობას და ამტკიცებდა, რომ სამყაროში ყველაფერი ემორჩილება ბუნებრივი აუცილებლობის კანონს. იგი უარყოფდა უკვდავების არსებობას და ამბობდა: „სიცოცხლეში ყველა საგნები განსხვავდება ერთმანეთისაგან. სიცოცხლეში არიან ბრძენნი და სულელნი, დიდებულნი და მდაბიონი — და ეს არის ის, რაც განასხვავებს ადამიანებს. მაგრამ სიკვდილში არის გახრწნა და განადგურება — ის, რაც ათანასწორებს მათ (ადამიანებს)". პიროვნება თავისუფალი უნდა იყოს და მისდევდეს საკუთარ ვნებასა და სურვილებს: „უნდა განხორციელდეს ის, რაც ჩვენი გრძნობის ორგანოებს სურთ, უნდა იმოქმედო ისე, როგორც ეს ჩვენს სულს უნდა".

ფილოსოფიის პარალელურად ვითარდებოდა ლიტერატურაც. ჯანგოს პერიოდში განსაკუთრებით გაიფურჩქნა პოეზიის თავისებური სახეობა — ე. წ. „ჩუ-ს სტროფები" (იგი ჩუ-ს სამეფოში შეიქმნა), რომელიც ხასიათდება ამა თუ იმ ლექსის ავტორის ინდივიდუალური ნიჭის გამოვლინებით. ამ პოეზიის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი წარმომადგენელი ციუი იუანი (340—278 წწ.) იყო.

იდეოლოგია და კულტურა ხანის ეპოქაში. დიდ და რთულ ჰიდრონაგებობათა აგებასთან დაკავშირებით ამ პერიოდში განსაკუთრებით განვითარდა ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი. ჩვ. წ. I ს. დაიწერა „მათემატიკა ცხრა თავად", რომელიც მოიცავდა არითმეტიკულ, ალგებრულ და გეომეტრიულ ამოცანებს. აქ პირველად იყო მოხსენიებული უარყოფითი რიცხვები და მოცემული იყო მათზე ოპერაციების გზები.

ხანის ასტრონომებმა დაყვეს ცა 28 თანავასკვლავედად, რომელნიც განალაგეს პოლარული ვარსკვლავის გარშემო. ასტრონომმა ჯ ა ნ ხ ე ნ-მ ა (78—139 წწ.) შექმნა ცის პირველი გლობუსი და შეიტანა

მასში 2500 ვარსკვლავი. მანვე გამოიგონა სეისმოგრაფი, რომელიც აღრიცხავდა არა მარტო ბიძგებს მიწაში, არამედ მიწისძვრის მიმართულებასაც.

მიწათმოქმედების განვითარებასთან დაკავშირებით ხდებოდა ნიადაგების კლასიფიცირება და მეცნიერულ ცოდნაზე დამყარებული დამუშავება.

ამ დროსვე შეიქმნა პირველი ჩინური ფარმაკოლოგიური ტრაქტატი — „ბ ე ნ ცა ო“.

ხანის დინასტიის პერიოდში შეიქმნა შესანიშნავი არქიტექტურული ნაგებობანი (სასახლეები, ტაძრები), ბრწყინვალე სკულპტურები. ამ უკანასკნელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ქვის ძეგლი სარდალ ხო ციუი-ბინის საფლავზე.

ამ პერიოდში ჩინელებმა გამოიგონეს ტუში, ქაღალდი და წერისათვის აუცილებელი თმის ფუნჯი. გაიზარდა იეროგლიფთა რიცხვი (3300 — ძვ. წ. III ს.) 10. 500-მდე (ჩვ. წ. I—II სს,) და 18.000-მდე (ჩვ. წ. III ს.), შეიქმნა პირველი ლექსიკონები.

ხანის ეპოქაში ცხოვრობდნენ გამოჩენილი ისტორიკოსები — შ ი ძ ი-ს („ისტორიული ჩანაწერების“) ავტორი ს ი ‍Ძ ა ც ი ა ნ-ი (145—86 წწ.) და „ც ი ა ნ ხ ა ნ შ უ“-ს („ხან-ის უფროსი დინასტიის“) ავტორი ბ ა ნ გ უ (32—92 წწ.).

ჩინეთის ისტორიული ტრადიციის მიხედვით, ბუდიზმის პირველი მქადაგებელნი ჩინეთში ჯერ კიდევ ძვ. წ. II ს. გამოჩნდნენ, მაგრამ ამ რელიგიურმა მიმდინარეობამ ჩინეთში გავრცელება განსაკუთრებით სწრაფად ჩვ. წ. I—II სს. დაიწყო. ბუდიზმმა დიდი გავლენა იქონია ჩინეთის მოსახლეობის იდეოლოგიასა და კულტურაზე.

ლიტერატურა

მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებელთა შრომები

კ. მარქსი, კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები, თბ., 1952.
ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, თბ., 1952.
ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, თბ., 1932.
ვ. ი. ლენინი, სახელმწიფოს შესახებ, თხზულებანი, ტ. 29.
К. Маркс, Британское владычество в Индии, Маркс и Энгельс, Сочинения, т. IX.

საერთო ხასიათის წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა

ი. დოლიძე, ძველი აღმოსავლეთის სამართალი, თბ., 1960.
გ. მელიქიშვილი, როგორ ამეტყველდნენ ლურსმული წარწერები, თბ., 1961.
ვ. სტრუვე, ძველი აღმოსავლეთის ისტორია, თბ., 1946.
В. И. Авдиев, История древнего Востока, М., 1970.
В. И. Авдиев, Советская наука о древнем Востоке за 40 лет, М., 1958, Всемирная история, т. I, М., 1955.
Геродот, История в девяти книгах, изд. I, т. 1—2, перев. Ф. Г. Мищенко, М., 1888.
Диодор Сицилийский, Историческая библиотека, перев. И. Алексеева, часть 1—6, Спб., 1774—1775.
И. М. Дьяконов, Изучение клинописи в СССР за 30 лет. — «Вестник древней истории», 1947, № 3.
И. М. Дьяконов, Проблемы собственности. О структуре общества Ближнего Востока до середины II тыс. до н. э. — «Вестник древней истории», 1967, № 4.
И. М. Дьяконов, Проблемы экономики. О структуре общества Ближнего Востока до середины II тыс. до н. э. Структура общинного сектора экономики в Западной Азии. — «Вестник древней истории», 1968, № 3.
И. М. Дьяконов, Проблемы экономики. О структуре общества Ближнего Востока до середины II тыс. до н. э. Структура государственного сектора экономики в Западной Азии. — «Вестник древней истории», 1968, № 4.
Законы Вавилонии, Ассирии и Хеттского царства. — «Вестник древней истории», 1952, № 3—4.
История Древнего Востока, Зарождение древнейших классовых обществ и

первые очаги рабовладельческой цивилизации, ч. I. Месопотамия. Под редакцией И. М. Дьяконова. М., 1983.
История Древнего Востока, Под редакцией В.И.Кузищина.М.,1979.
История Древнего мира, Ранняя древность, т. I—III. Под редакцией И. М. Дьяконова, В. Д. Нероновой, И. С. Свенцицкой. М., 1982.
Источниковедение истории Древнего Востока. Под редакцией В. И. Кузищина, М., 1984.
И. Лурье, К. Ляпунов, М. Матье, Б. Пиотровский, Н. Флиттнер, Очерки по истории техники Древнего Востока, М., 1940.
Г. Масперо, Древняя история народов Востока, М., 1911.
Г. А. Меликишвили, К вопросу о характере древнейших классовых обществ, — «Вопросы истории», 1966, № 11.
Г. А. Меликишвили, Об основных этапах развития древнего ближневосточного общества. — «Вестник древней истории», 1985, № 4.
Общее и особенное в историческом развитии стран Востока. Материалы дискуссии об общественных формациях на Востоке (Азиатский способ производства), М., 1966.
Н. М. Постовская, Изучение древней истории Ближнего Востока в Советском Союзе (1917—1959), М., 1961.
Проблемы истории докапиталистических обществ, книга I, М., 1968.
Страбон, География, М., 1964.
Б. А. Тураев, История древнего Востока, т. 1—2, Л., 1936.
Б. А. Тураев, Русская наука о древнем Востоке до 1917 г, Л., 1927.
А. И. Тюменев, Передний Восток и античность (особенности социально-экономического развития). — «Вопросы истории», 1957, № 6.
А. И. Тюменев, Передний Восток и античность (страны речных культур (Двуречье и Египет) в эллинистическую и римскую эпохи). — «Вопросы истории», 1957, № 9.
Хрестоматия по истории древнего Востока, Под редакцией В. В. Струве и Д. Г. Редера, М., 1963.
Хрестоматия по истории Древнего Востока, ч. I—II. Под редакцией М. А. Коровстовцева, И. С. Кацнельсона, В. И. Кузищина. М., 1980.
Чайлд Гордон, Древнейший Восток в свете новейших раскопок, М., 1956.
С. Юшков, К вопросу о дофеодальном («варварском») государстве. — «Вопросы истории», 1946, № 7.

შუამდინარეთი (ბაბილონი და ასურეთი)

ზ. კიკნაძე, გილგამეშის ეპოსი, თბ., 1963.
ზ. კიკნაძე, თამუზის სიზმარი, თბ., 1969.
ზ. კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია, თბ.
რ. რეხილაძე, ბაბილონელთა ზნე-ჩვეულებების შესახებ ჰეროდოტეს ზოგიერთი ცნობის განმარტებისათვის. ძველი ისტორიის საკითხები. — „კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული“, III, თბ., 1970.

რ. რცხილაძე, ჰეროდოტეს „ბაბილონური ლოგოსი“ ევფრატზე ნაოსნობისა და ირიგაციის შესახებ — „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები“, თბ., 1968.
ჯ. შარაშენიძე, გურუშის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის საკითხისათვის, აქადის დინასტიის ხანაში — „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები“, თბ., 1968.
ჯ. შარაშენიძე, მიწისმფლობელობის ფორმები აქადის დინასტიის დროინდელ შუმერში — „მაცნე“, 1968, № 3.
ჯ. შარაშენიძე, შუმერები და მათი კულტურა, თბ., 1983.
И. М. Дьяконов, Общественный и государственный строй древнего Двуречья. Шумер, М., 1959.
И. М. Дьяконов, Развитие земельных отношений в Ассирии, Л., 1948.
И. Клима, Общество и культура древнего Двуречья, Прага, 1967.
С. Н. Крамер, История начинается в Шумере, М., 1965.
Н. М. Никольский, Частное землевладение и землепользование в древнем Двуречье, Минск, 1948.
В. В. Струве, Государство Лагаш XXV—XXIV вв. до н. э., М., 1961.
А. И. Тюменев, Государственное хозяйство древнего Шумера, М.—Л., 1956.
Н. Д. Флиттнер, Культура и искусство Двуречья, М., 1958.

ეგვიპტე

ბ. ლონგინიმი, დაკარგული პირამიდა, თბ., 1965.
В. И. Авдиев, Военная история древнего Египта, т. I—II, М., 1948—1959.
Д. Г. Брестед, История Египта, т. I—II, М., 1915.
История искусства древнего Египта, Л., 1947.
Г. Картер, Гробница Тутанхамона, М., 1959.
К. Керам, Боги, гробницы, ученые, М., 1960.
М. А. Коростовцев, Путешествие Ун-Амона в Библ., М., 1960.
А. Л. Конейовский, Тексты пирамид, т. I, Одесса, 1917.
И. М. Лурье, Очерки древнеегипетского права XVI—X вв. до н. э. — Памятники и исследования, Л., 1960.
М. Э. Матье, Мифы древнего Египта, Л., 1956.
А. Морэ, Во времена фараонов, М., 1913.
А. Морэ, Цари и боги Египта, М., 1914.
В. В. Павлов, Очерки по истории древнего Египта, М., 1936.
Т. В. Савельева, Аграрный строй Египта в период Древнего царства, М., 1962.
Н. П. Снегиров, Ю. П. Францов, Древний Египет, М., 1958.
И. А. Стучевский, Зависимое население древнего Египта, М., 1966.
И. А. Стучевский, Храмовая форма царского хозяйства древнего Египта, М., 1962.
Б. А. Тураев, Древний Египет, Пг., 1922.
Б. А. Тураев, Египетская литература, т. I, М. ,1920.

გრ. გიორგაძე, სავაჭრო-კულტურული ურთიერთობანი კაბადოკიასა და მეზობელ ქვეყნებს შორის ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში — „კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული“, II, თბ., 1962;
კ. კერამი, ხეთების საიდუმლოება, თბ., 1966.
ნ. ხაზარაძე, ფრიგიის სავაჭრო-კულტურულ ურთიერთობათა ისტორიიდან — „საქ. სსრ მეცნ. აკად. საზ. მეცნ. განყ-ის მოამბე“, 1963, № 3.
ნ. ხაზარაძე, ძველი ფრიგიული დამწერლობის გენეზისის საკითხისათვის — „ძველი ისტორიის საკითხები“, V, თბ., 1977.
ნ. ხაზარაძე, აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ. წ. I ათასწლეულის ნახევარში, თბ., 1978.
ნ. ხაზარაძე, საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები, თბ., 1984.
В. Г. Ардзинба, Ритуалы и мифы древней Малой Азии, М., 1982.
Т. В. Гамкрелидзе, Клинописная система аккадско-хеттской группы и вопрос о происхождении хеттской письменности. — «Вестник древней истории», 1959, № 1.
Т. В. Гамкрелидзе, «Хеттские языки» и вопрос о переселении в Малую Азию индо-европейских племен. — «Труды Института языкознания. Серия восточных языков», II, Тбилиси, 1957.
Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, т. I—II, Тбилиси, 1984.
Г. Г. Гиоргадзе, О престолонаследии в Древнехеттском царстве. — «Вестник древней истории», 1969, № 4.
Г. Г. Гиоргадзе, «Текст Анитты» и некоторые вопросы ранней истории хеттов. — «Вестник древней истории», 1965, № 4.
Г. Г. Гиоргадзе, Очерки по социально-экономической истории Хеттского государства, Тбилиси, 1973.
Б. Грозный, Хеттские народы и языки. — «Вестник древней истории», 1938, № 2.
Г. И. Довгяло, К истории возникновения государства (на материале хеттских клинописных текстов), Минск, 1968.
Г. И. Довгяло, О переходе к наследованию царской власти по отцовско-правовому принципу. — «Советская этнография», 1963, № 6.
И. М. Дунаевская, О характере и связях древней Малой Азии. — «Вопросы языкознания», 1955, № 4.
И. М. Дьяконов, Предыстория армянского народа. Ереван, 1968.
И. М. Дьяконов, Хетты, фригийцы, армяне. — «Переднеазиатский сборник», I, М., 1961.
В. В. Иванов, Происхождение и история хеттского термина «panku» «собрание». — Вестник древней истории», 1957, № 4, 1958, № 1.
В. В. Иванов, Хеттский язык, М., 1963.
Дж. Г. Маккуин, Хетты и их современники в Малой Азии, М. 1983.
Г. А. Меликишвили, Возникновение Хеттского царства и проблема древнейшего населения Закавказья и Малой Азии. — «Вестник древней истории», 1965, № 1.
Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тбилиси, 1959.

Э. А. Менабде, О рабстве в Хеттском государстве. — Переднеазиатский сборник», I, М., 1961.
Э. А. Менабде, Хеттское общество, Тбилиси, 1965.

ხურრო-მითანის სამეფო

Г. Г. Гиоргадзе, Хетты и хурриты по древнехеттским текстам. — «Вестн. древ. ист.», 1969, № 1.
И. М. Дьяконов, Народы древней Передней Азии. — «Переднеазиатский этнографический сборник», I, М., 1958.
И. М. Дьяконов, Языки древней Передней Азии, М. ,1967.
Н. А. Нозадзе, Вопросы структуры хурритского глагола, Тбилиси, 1978.
М. Л. Хачикян, Хурритский и урартский языки, Ереван, 1985.
Н. Б. Янковская, Из истории хурритского общества по материалам юридических документов из Аррапхи, М., 1960.
Н. Б. Янковская, Хурритская Аррапха. — «Вест. др. ист.», 1957, № 1.
Н. Б. Янковская, Юридические документы из Аррапхи в собраниях СССР. — «Переднеазиатский сборник», I. М., 1961.

ფინიკია

ალ. წერეთელი, სირია და ფინიკია, თბ., 1955.
М. Л. Гельцер, Войско Угарита и его организация. — «Вестник древней истории», 1969, № 3.
М. Л. Гельцер, О некоторых вопросах социальной и экономической истории Финикии IX в. до н. э. — «Древний мир», М., 1962.
Н. М. Никольский, Этюды по истории финикийских общинных и земледельческих культов, Минск, 1948.
Б. А. Тураев, Остатки финикийской культуры, Спб., 1903.
И. Ш. Шифман, Финикийские мореходы, М., 1965.
И. Ш. Шифман, Финикийский язык, М., 1963.

პალესტინა

И. Д. Амусин, Народ земли. — «Вестник древней истории», 1955, № 2.
Зенон Косидовский, Библейские сказания, М., 1966.
Иосиф Флавий, Иудейские древности, т. 1—2, Спб., 1900.
Иосиф Флавий, О древности иудейского народа. Против Аппиона, Спб., 1898.
Н. М. Никольский, Древний Израиль, М., 1922.
А. Б. Ранович, Очерки истории древнееврейской религии, М., 1937.
И. Ш. Шифман, Земельные отношения в Палестине в первой половине I тыс. до н. э. — «Вестник древней истории», 1965, № 4.
И. Ш. Шифман, К характеристике царских повинностей в Палестине в первой половине I тыс. до н. э., по данным библейской традиции. — «Вестник древней истории», 1967, № 1.
И. Ш. Шифман, Правовое положение рабов в Иудее по данным библейской традиции. — «Вестник древней истории», 1964, № 3.

ვ. გვახარია, ზმნა და სახელი ურარტულში, თბ., 1982.
გ. მელიქიშვილი, ურარტუ, თბ., 1951.
Н. В. Арутюнян, Земледелие и скотоводство в Урарту, Ереван, 1964.
Н. В. Арутюнян. Топонимика Урарту, Ереван, 1985.
И. М. Дьяконов, Ассиро-вавилонские источники по истории Урарту. — «Вестник древней истории», 1954, № 2, 3, 4.
И. М. Дьяконов, Урартские письма и документы, М.—Л., 1963.
Г. А. Меликишвили, Наири-Урарту, Тбилиси, 1954.
Г. А. Меликишвили, Урартские клинообразные надписи, М., 1960.
Б. Б. Пиотровский, Ванское царство (Урарту), М., 1959.
Г. В. Церетели, Урартские памятники Музея Грузии, Тбилиси, 1939.

ელამი, ზაგროსის მთიანეთის ტომები

გ. მელიქიშვილი, ლულუბის ხალხი და ზამუას ქვეყანა — „მიმომხილველი", 111, 1954.
ზ. შარაშენიძე, კასიტების პირველსაცხოვრისისა და მათი ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის. — „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის საზ. მეცნ. განყ. მოამბე", 1961, № 2.
И. Алиев, История Мидии, Баку, 1960.
И. М. Дьяконов, История Мидии, М., 1956.
Г. А. Меликишвили, Наири-Урарту, Тбилиси, 1954.
В. Хинц, Государство Элам, М., 1977.
Ю. Б. Юсифов, Элам. Социально-экономическая история, М., 1968.

ირანი და შუა აზია

В. И. Абаев, Антидэвовская надпись Ксеркса. — «Материалы и исследования по иранским языкам», 1—3, М.—Л., 1945.
В. А. Абаев, Надпись Дария I о сооружении дворца в Сузах. — «Материалы и исследования по иранским языкам», I, М.—Л., 1945.
И. Алиев, История Мидии, Баку, 1960.
Э. А. Грантовский, Ранняя история иранских племен Передней Азии, М., 1970.
М. А. Дандамаев, Иран при первых Ахеменидах, М., 1963.
М. А. Дандамаев, Политическая история Ахеменидской державы, М., 1985.
М. А. Дандамаев, В. Г. Луконин, Культура и экономика древнего Ирана, М., 1980.
И. М. Дьяконов, История Мидии, М., 1956.
И. М. Дьяконов, Древняя Бактрия, М., 1954.
И. М. Дьяконов, Очерк истории древнего Ирана, М., 1961.
В. М. Массон, Средняя Азия и древний Восток, М., 1964.
В. В. Струве, Надпись Ксеркса о «дэвах» и религия персов. — Известия АН СССР, «серия истории и философии», 1944, т. I, № 3.

С. П. Толстов, Древний Хорезм, М., 1948.
С. П. Толстов, По следам древнехорезмийской цивилизации, М., 1948.
А. А. Фрейман, Древнеперсидские клинообразные надписи. — «Восток», 1925, № 5.

ინდოეთი

Н. П. Анников, О материалистических традициях в индийской философии, М., 1965.
Арриан, Индия. — «Вестник древней истории», 1940, № 2.
Артхашастра, Перев. с санскрита, М.—Л., 1955.
Г. М. Бонгард-Левин, Г. Ф. Ильин, Древняя Индия, М., 1963
С. А. Данге, Индия от первобытного коммунизма до разложения рабовладельческого строя, М., 1950.
Древнеиндийская философия. Начальный период. Извлечения из ведических гимнов Брахман, Араньяк и Упанишад, Подготовка текстов В. В Бродова, М., 1963.
Г. Ф. Ильин, Древний индийский город Таксила, М., 1958.
А. Н. Кочетов, Буддизм, М., 1965.
Б. Ларин, Из области ведийской поэзии. — «Восток», 1924, № 4
Б. Н. Луния, История индийской культуры, М., 1960.
Э. Маккэй, Древнейшая культура долины Инда, М., 1951.
Махабхарата, кн. I, М.—Л., 1950; кн. II, М.—Л., 1952; кн. IV, Л., 1967
И. С. Рабинович, Сорок веков индийской литературы, М., 1969.
Н. К. Синха и А. Ч. Банерджи, История Индии, М., 1954.
Д. Р. Чанана, Рабство в древней Индии, М., 1964.
С. Д. Эльманович, Законы Ману, М., 1960.

ჩინეთი

Л. С. Васильев, Аграрные отношения и община в древнем Китае (XII—XI вв. до н. э.), М., 1961.
Л. И. Думан, Очерки по древней истории Китая, Л., 1938.
Н. И. Конрад, Сунь-цзы. Трактат о военном искусстве; М., 1950.
М. В. Крюков, Формы социальной организации древних китайцев, М., 1967.
Л. С. Переломов, История Цинь — первое централизованное государство в Китае, М., 1962.
Сима Цянь, Избранное. Перев. с китайского В. Папасюка, М., 1956.
У-Цзи, Об искусстве ведения войны. Перев. Е. И. Сидоренко, М., 1957

Фан Вэнь-Лань, Древняя история Китая, М., 1958.

Н. Т. Федоренко, Шицзин и его место в китайской литературе, М., 1958.

Шан Юэ, Очерки истории Китая, М., 1959.

Шицзин, Издание подготовили А. А. Штукин и Н. Т. Федоренко, М., 1957.

М. В. Штейн, Гуань-цзы. Исследование и перевод, М., 1959.

Ян Хин-Шун, Древнекитайский философ Лао-цзы и его учение, М., 1950.

ტაბულების სია

I. ძვ. წ. V ათასწლეულის კერამიკის მოხატულობის ნიმუშები. ძველი შუამდინარეთი.

II. ქ. ურის ჯარისკაცებს მოპყავთ ტყვეები და მოაქვთ ნადავლი. დაახლ. ძ. წ. XXVI ს.

III. 1 — ურნანშე თავის ოჯახის წევრებთან და დიდებულებთან ერთად. ტაძრის საძირკვლის აყრის საზეიმო ცერემონიალი. 2 — ეანათუმას „ძერათა სტელის" გამოსახულება. ლაგაშის მეომრები ეანათუმას მეთაურობით მიდიან საომრად.

IV. 1 — საკულტო ვაზა ქალღმერთ ინანას ტაძრიდან. ძვ. წ. III ათასწლეული. 2 — არფა წვერებიანი ხარის გამოსახულებით ურის მეფეთა სამარხიდან. დაახლ. ძვ. წ. 2600 წ.

V. 1 — სარგონ ქადელის სკულპტურული გამოსახულება ნინევიიდან. სპილენძი. 2 — მანიშთუშუს ობელისკი.

VI. 1 — ლაგაშის ენსი გუდეა. დიორიტი.
2 — მთვარის ღვთაება ნანას ზიქურათი ურში. ძვ. წ. XXI ს.

VII. 1 — ზიმრილიმის სასახლის მოხატულობის ფრაგმენტი მარიდან. მსხვეპლთშეწირვის სცენა. ძვ. წ. XVIII ს.
2 — გამოსახულება ცილინდრულ საბეჭდავზე.

VIII. 1 — ქალღმერთ ინანას (იშთარის) ქანდაკება მარიდან. ძ. წ. XVIII ს.
2. — ქვის სტელა ხამურაბის კანონებით, წინა მხარე.

IX. 1 — შუმერული ლურსმული დამწერლობის გრაფიკული განვითარების სურათი.
2 — ლურსმული ფირფიტა ჯემდეთ-ნასრიდან (მარცხნივ — წინა მხარე, მარჯვნივ — უკანა მხარე). ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისი.

X. რელიეფი გილგამეშის გამოსახულებით.

XI. ლულუბეელ ტომებზე ნარამსუენის გამარჯვებისადმი მიძღვნილი სტელა.

XII. 1 — მოხატული წინადინასტიური კერამიკა. ქვემო ეგვიპტე.
2 — წითელი კერამიკა თეთრი დეკორით. წინადინასტიური პერიოდი. ზემო ეგვიპტე.

XIII. ეგვიპტური იეროგლიფები.

XIV. იერატიული დამწერლობა.

XV. დემოტიური დამწერლობა.

XVI. 1 — სამი დიდი პირამიდა — მიკერინის (წინა პლანზე), ხეოფსისა და ხეფრენის.
2 — ერთ-ერთი დიდი პირამიდის მფლობელი ფარაონი ხეფრენი. IV დინასტია.

XVII. ფარაონი მიკერინი ორ ქალღმერთს შორის. IV დინასტია.

XVIII. 1 — ფარაონი ეხნატონი.
2 — პროვინციელი დიდგვაროვანი და მისი მეუღლე. ხე. V დინასტია.

XIX. 1 — ფარაონი ეხნატონი თაყვანს სცემს თავის ღვთაებას — ატონს.
2 — ტუტანხამონის ოქროს სარკოფაგი. XVIII დინასტია.

XX. 1 — ფარაონი რამსეს II, XIX დინასტია.
2 — აბუ სიმბელი. რამსეს II-ის კოლოსები კლდეში ნაკვეთი ტაძრის ფასადზე. XIX დინასტია.
XXI. 1 — ლუქსორი. ამონის ტაძრის კოლონადა. XVIII—XIX დინასტიები.
2 — მუსიკოსი ქალები. ფერადი ფრესკა. XVIII დინასტიის სამარხიდან.
XXII. ეგვიპტური სამარხის შიდა ხედი. XIX დინასტია.
XXIII. მზის დაბადება. ფერადი ფრესკა რამსეს VI-ის სამარხიდან. XX დინასტია.
XXIV. ადამიანის გამოსახულების ეგვიპტური კანონის დიაგრამა, აგებულია სამეფო მოხელის — ჰესირას — გამოსახულებაზე. III დინასტია.
XXV. 1 — ურქიშის მეფე თიშათალის წარწერა ხურიტულ ენაზე.
2 — ორთოსტატი თელ-ჰალაფიდან.
XXVI. 1 — მითანური კერამიკა ალალახიდან.
2 — მითანური ცილინდრული საბეჭდავი თელ-ჰალაფიდან.
XXVII. დიდი დედა-ქალღმერთი ქუბაბა.
XXVIII. 1 — ოქროს დიადემა ალაჯა-ჰუიუქიდან. ძვ. წ. III ათასწლ. დასასრული.
2 — რიტონი ლომის ფორმით. ქიულ-თეფე. ძვ. წ. XIX ს.
XXIX. 1 — საკულტო შტანდარტი ირმის გამოსახულებით. ალაჯა-ჰუიუქი.
2 — ლითონის ჭურჭელი ქიულ-თეფედან.
XXX. 1 — „კაპადოკიური“ თიხის ფირფიტა ლურსმული ტექსტითა და ანაბეჭდებით. ძვ. წ. XIX—XVIII სს.
2 — საბეჭდავები ძველი ხეთური ხანისა. დაახლ. ძვ. წ. 1550 წ.
XXXI. 1 — ლომთა ჭიშკარი ხათუსაში (ბოღაზქოი).
2 — კლდეში ნაკვეთი ღვთაებები იაზილი-ქაიაში.
XXXII. 1 — ღვთაება მებრძოლის სახით. ბოღაზქოი.
2 — ხეთური ლურსმული თიხის ფირფიტა.
XXXIII. ლუვიური (ხეთური). იეროგლიფური წარწერა.
XXXIV. ძველი ფრიგიული თიხის ჭურჭლები (ძვ. წ. VIII ს-ის დასასრული).
XXXV. ძველი ფრიგიული თიხის ჭურჭლები (ძვ. წ. VIII ს.).
XXXVI. ძველი ფრიგიული ბრინჯაოს ჭურჭელი (ძვ. წ. VII ს.).
XXXVII. საკულტო ნაგებობა, იაზილიქაია (ძვ. წ. VII ს.).
XXXVIII. მიდახის ყორღანის დასაკრძალავი კამერა (ძ. წ. VIII ს-ის დასასრული).
XXXIX. 1 — ტაძრის ნანგრევები. ძვ. წ. III ათასწლეული. ფინიკია.
2 — ბიბლოსის ბასტიონები. დაახლ. ძვ. წ. 2500 წ.
XL. 1 — ღვთაებათა ბაალი. ფინიკია.
2 — სპილოს ძვლის ჭურჭლის სახურავი ნაყოფიერების ქალღმერთის გამოსახულებით. უგარითი. ძვ. წ. XIV—XIII სს.
XLI. 1 — ფიგურა სვეტზე ბიბლოსის ტაძარში.
2 — ფინიკიური სკულპტურა.
XLII. უგარითის ნანგრევები.
XLIII. მეფე იეჰუ ხარკით სალმანასარ III-ის წინაშე.
ძვ. წ. XI ს. ძველი პალესტინა.
XLIV. 1 — ჭექა-ქუხილის ღვთაება ჰადადი, ძველი პალესტინა.
2 — სილოამის წარწერა იერუსალიმიდან. ძველი პალესტინა.
XLV. სტელა ფინიკიური წარწერით.
XLVI. ასირიელთა ლაშქრის ბანაკიდან გამოსვლა და სალმანასარ III-ის მიერ მსხვერპლშეწირვა ვანის ტბის სანაპიროზე. ბალავათი.
XLVII. ურარტელთა ციხე-სიმაგრის — არზაშქუს — აღება და ცხენების გარეკვა გილზანის ქვეყნიდან. ბალავათი.

XLVIII. ვანის კლდე. „იჩკალას“ გამოქვაბული.

XLIX. ღვთაება თეიშებას ბრინჯაოს ქანდაკება. კარმირ-ბლური.

L 1 — შესასველელი „სუსი“ ტაძარში. არინ-ბერდი.

2 — არგიშთი მენუას ძის წარწერა „სუსი“ ტაძრის აგების შესახებ. არინ-ბერდი.

LI. 1 — გათხრები კარმირ-ბლურში.

2. მარანი ღვინის ქვევრებით. კარმირ-ბლური.

LII. ლომებისა და ხარების გამოსახულებანი ბრინჯაოს ფარზე. კარმირ-ბლური.

2 — მეომართა და საომარ ეტლთა გამოსახულებანი არგიშთი I-ის მუზარადზე. კარმირ-ბლური.

LIV. თიხის ჭურჭელი ხარის თავებით. კარმირ-ბლური.

სარჩევი

წინასიტყვაობა 3

შესავალი 4

§ 1. ძველი აღმოსავლეთის ისტორიის საგანი, გეოგრაფიული და ქრონოლოგიური ჩარჩოები (გ. მელიქიშვილი) . . . 4

§ 2. ძველი აღმოსავლეთის ისტორიის წყაროები. ეგვიპტური იეროგლიფური და ბაბილონური ლურსმული დამწერლობის ამოკითხვა — ძველი აღმოსავლეთის შესახებ მეცნიერების პირველი ნაბიჯები (გ. მელიქიშვილი) 6

§ 3. ძველაღმოსავლური საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის საკითხი საბჭოთა მეცნიერებაში (გ. მელიქიშვილი) 20

§ 4. ძველაღმოსავლური ქრონოლოგია (გ. გიორგაძე) . . 30

თავი I. ძველი შუამდინარეთი (შუმერი და აქადი) ძვ. წ. IV—III ათასწლეულებში (ჯ. შარაშენიძე) 39

§ 1. წყაროები. გეოგრაფიული გარემო 39

§ 2. ძველი შუამდინარეთი არქაულ ეპოქაში. მოსახლეობა . . 42

§ 3. შუამდინარეთის საზოგადოება ძვ. წ. III ათასწლეულში . 47

§ 4. ქალაქ-სახელმწიფოები ძვ. წ. III ათასწლეულის შუამდინარეთში 53

§ 5. ლაგაშის აღზევება. ბრძოლა სამხრეთ შუამდინარეთის გაერთიანებისათვის 54

§ 6. შუამდინარეთი აქადის დინასტიის ხანაში 59

§ 7. ურის III დინასტია (2132—2024 წწ. ძვ. წ.) 67

თავი II. ძველი ბაბილონი (ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარი) (ჯ. შარაშენიძე, გარდა § 4-სა) 70

§ 1. მცირე სამეფოები შუამდინარეთის ტერიტორიაზე (ძვ. წ. XX—XVIII სს.) 71

§ 2. ბაბილონის აღზევება. ხამურაბი 75

§ 3. სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობა ძვ. წ. XVIII ს. ბაბილონში 78

§ 4. ბაბილონი კასიტების ბატონობის ხანაში (რ. რცხილაძე) . 89

თავი III. ძველი შუამდინარეთის კულტურა (ჯ. შარაშენიძე) 94

თავი IV. ძველი ეგვიპტე (მ. ხვედელიძე) 117

§ 1. ეგვიპტის გეოგრაფიული პირობები 117

§ 2. ანტიკური ავტორები ეგვიპტის შესახებ 119

§ 3. ეგვიპტური წყაროები 121

§ 4. წინადინასტიური ეგვიპტე 126
§ 5. არქაული ეგვიპტე 132
§ 6. ძველი სამეფო 135
§ 7. ძველი ეგვიპტის რელიგიური წარმოდგენები . . . 141
§ 8. პირველი გარდამავალი პერიოდი 147
§ 9. შუა სამეფო 149
§ 10. მეორე გარდამავალი პერიოდი (ჰიკსოსები) . . . 155
§ 11. ახალი სამეფო 157
§ 12. გვიანდელი პერიოდი 171
§ 13. კულტურა 175

თავი V. ხური-მითანის სამეფო (გ. გიორგაძე) 183

თავი VI. მცირე აზია უძველესი დროიდან ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულამდე. ხეთების სამეფო (გ. გიორგაძე, გარდა § 7-ისა) 202
§ 1. წყაროები და ისტორიოგრაფია 202
§ 2. ქვეყნის ბუნებრივი პირობები 202
§ 3. მოსახლეობა 213
§ 4. ცენტრალური მცირე აზია ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში . 215
§ 5. ხეთების ძველი სამეფო (ძვ. წ. 1650—1500 წწ.) . . . 218
§ 6. ხეთების ახალი სამეფო (ძვ. წ. 1450—1200 წწ.) . . . 224
§ 7. სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობანი ახალი სამეფოს დროს (ე. მენაბდე) 230
§ 8. ხეთური კულტურა 242

თავი VII. მცირე აზია ძვ. წ. XII—VII სს. (ნ. ხაზარაძე) . 249
§ 1. ფრიგია 249
§ 2. ლიდია. 258

თავი VIII. ფინიკია (გ. მამულია) . . 268

თავი IX. ძველი პალესტინა (გ. მამულია) . 285

თავი X. ასურეთის სამეფო (ნ. ლომოური) 308

თავი XI. ურარტუ (გ. მელიქიშვილი) . . . 334

თავი XII. ბაბილონის ახალი სამეფო (რ. რცხილაძე) . 360

თავი XIII. ელამი (მ. ხიდაშელი) . . . 374

თავი XIV. ირანი (დ. ხახუტაიშვილი) . . 390
§ 1. გეოგრაფიული გარემო . . 390
§ 2. წყაროები . . . 392
§ 3. მიდიის სამეფო . . 394
§ 4. აქემენიდური ირანი . . 405

თავი XV. ძველი ინდოეთი (ე. მენაბდე) 427
§ 1. უძველესი ხანა 427
§ 2. ძველი ინდოეთის ისტორიის წყაროები 431
§ 3. არიელები ინდოეთში 434
§ 4. მაგადჰას სახელმწიფო 440
§ 5. ძველი ინდოეთის მეცნიერება, კულტურა და იდეოლოგია . 448

თავი XVI. ძველი ჩინეთი (ნ. მენაბდე) . . . . . , 453
§ 1. წყაროები და ჩინეთის ისტორიული განვითარების მეცნიერული შესწავლა 454
§ 2. ბუნებრივი პირობები და უძველესი მოსახლეობა . . . 455
§ 3. უძველესი ხანა 456
§ 4. შან-ის (ინ-ის) სახელმწიფო 458
§ 5. ჯოუ-ს ეპოქა 461
§ 6. ცინ-ის იმპერია 469
§ 7. ხან-ის იმპერია 471
§ 8. ძველი ჩინეთის კულტურა 479
ლიტერატურა 483
ტაბულების სია 491

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 3871

გამომცემლობის რედაქტორი ლ. ჯ ე ე ბ ე ნ ა ვ ა
მხატვარი გ. ლ ო მ ი ძ ე
მხატვრული რედაქტორი ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე
ტექრედაქტორი ნ. ბ ო კ ე რ ი ა
კორექტორი ლ. ჯ ი ქ ი ა
გამომშვები ე. მ ა ი ს უ რ ა ძ ე

გადაეცა წარმოებას 17.12.87; ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.7.88;
ქაღალდის ზომა 6×90¹/₁₆; ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი
გარნიტურა ვენური; პირობით საბეჭდი თაბახი 34.50
პირ. საღ. გატ. 34.50; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 30.75;

ტირაჟი 12000; შეკვეთა № 4018

ფასი 5 მან 90 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19